

საქართველო-ჩინეთის კულტურის ცენტრი
„აბრეშუმის გზა“
„丝绸之路“

ჩინური თანამედროვე
მწერლობა

中国现当代作家
中短篇小说译集

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2012
出版社 „美利吉安“

წიგნი „ჩინური თანამედროვე მწერლობა“ შეიქმნა საქართველო-ჩინეთის კულტურის ცენტრის „აბრეშუმის გზისა“ და საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს თანამშრომლობით (ფინანსური მხარდაჭერით)

წიგნი ეძღვნება საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დიპლომატიური ურთიერთობების 20 წლისთავს

წიგნის იდეის ავტორი ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი

რედაქტორები: ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი
რუსუდან ქუთათელაძე
ნინო დალუნდარიძე

დიზაინი: დავით გოგლიძე
მალხაზ უთურაშვილი

ტექ. რედაქტორი კახაბერ რუსიძე

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012

© საქართველო ჩინეთის კულტურის ცენტრი „აბრეშუმის გზა“

ISBN 978-9941-10-580-7

ს ა რ ჩ ე ვ ი

目录

წინასიტყვაობა 前言	7
მოთხრობები და ესეები 小说和散文	
სუ თუნგ-ი. ცოლებ-ხარჭები გუნდ-გუნდად. მთარგმნელები ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი და რუსუდან ქუთათელაძე	
苏童. “妻妾成群”. Liu-Kandareli Guangwen, R.Kutateladze 译.....	9
ლუ სიუნ-ი. შეშლილის დღიური. მთარგმნელი ელისო ელისაშვილი	
鲁迅. ”狂人日记”. E.Elisashvili 译.....	43
ჭანგ აილინგ-ი. ჩინელთა მოძვრებანი. მთარგმნელები ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი და რუსუდან ქუთათელაძე	
张爱玲. “中国人的宗教”. Liu-Kandareli Guangwen, R.Kutateladze 译.....	49
შ' თიეშენგ-ი. ბებოს ვარსკვლავი. მთარგმნელი ნატალია მაისურაძე	
史铁生. ”奶奶的星星”. N.Maisuradze译.....	66
ლუ ჩანგცინგ-ი. მაჩვი. მთარგმნელი მანანა კუპატაძე	
路长青. ”罍”. M. Kupatadze 译.....	71
სიუი ტიშან-ი. შეხვედრა. მთარგმნელი თინათინ შიშინაშვილი	
许地山. ”再会”. T.Shishinashvili 译.....	73
ვანგ ხუნგნიუნ-ი. ცის ბინადართა მთვრალის სტილის დასაბამი	
ჩინურიდან მთარგმნელები ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი და მალხაზ უთურაშილი	
王鸿君. “八仙醉拳”. Liu-Kandareli Guangwen, M.Uturashvili 译.....	74
ვანგ ხუნგნიუნ-ი. შაოლინის ბერი ხუი ქე. მთარგმნელები ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი და ლაშა უთურაშილი	
王鸿君. ”少林慧可佛僧求法记”. Liu-Kandareli Guangwen, L.Uturashvili 译.....	77
ვანგ მენგ-ი. ტბა. მთარგმნელები ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი და რუსუდან ქუთათელაძე	
王蒙, ”湖”. Liu-Kandareli Guangwen, R.Kutateladze 译.....	79
სანგ ქე. ჩინელი ჩინელებზე. მთარგმნელები ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი და რუსუდან ქუთათელაძე	
桑科. ”中国人漫谈中国人”. Liu-Kandareli Guangwen, R.Kutateladze译.....	82
იუე წინჟენ-ი. ლამაზი სიცრუე. მთარგმნელი ნინო ნადარეიშვილი	
月金人. “善意谎话”. N.Nadareishvili 译	84
ლი იუიინგ-ი. დედობრივი მზერა. მთარგმნელი ქეთი ფუტურიძე	
李玉英. “母爱”. Q.Puturidze译.....	87
თანგ ინგ-ი. სხვა ქალაქი. მთარგმნელები ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი და კონსტანტინე გოგოლაშვილი	
唐颖. ”另一座城”. Liu-Kandareli Guangwen, K.Gogolashvili译.....	91
დრამატურგია 戏剧	
ცაო იუი. თავსხმა. ტრამალი. მთარგმნელები ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი, ნინო დალუნდარიძე	
曹禺. “雷雨”. “原野”. Liu-Kandareli Guangwen, N.Daghundaridze译.....	202

პოეზია 诗

ნიუ ხან-ი. მკვდარი ქვა. თესლი. მარტის განთიადი. მთარგმნელები ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი და მარიამ ნიკლაური-ძიდიგური

牛汉. “死石”. “籽”. “三月天”. Liu-Kandareli Guangwen, M. Tsiklauri-Dzidziguri 译.....343

კუო მოჟო. ლარნაკი. (კრებულდან „ლარნაკი“). მთარგმნელები ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი და თამარ გაბროშვილი

郭沫若. “花瓶”. Liu-Kandareli Guangwen, T. Gabroshvili 译..... 344

ემი სიაო. აღსდექ პოეტო! . მთარგმნელები ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი და თამარ გაბროშვილი

EMY XIAO. “站起来, 诗人 “! Liu-Kandareli Guangwen, T. Gabroshvili 译..... 345

სიუ ჭ'მო. მხდალი და ამო სამყარო. ჩინურიდან მთარგმნელები ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი და თამარ გაბროშვილი

徐志摩. ”胆怯的世界 “. Liu-Kandareli Guangwen, T. Gabroshvili 译..... 346

სიუ პინგსინ-ი. ქალღმადის გემი. ჩინურიდან მთარგმნელები ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი და თამარ გაბროშვილი

谢冰心. “纸船”. Liu-Kandareli Guangwen, T. Gabroshvili 译..... 347

ნანგ ქენია. სიმღერა ვირუკასადმი. სამი თაობა. მთარგმნელები ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი და თამარ გაბროშვილი

臧克家. “歌唱小驴”. “三代”. Liu-Kandareli Guangwen, T. Gabroshvili 译..... 348

ნოუ ტიფანგ-ი. შავი ზღვა. პატარა ნიჟარა. ბაბუანვერა. სასიყვარულო გზავნილი. მთარგმნელები ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი და თამარ გაბროშვილი

邹荻芳. “黑海”. “螺”. “蒲公英”. “爱”. Liu-Kandareli Guangwen, T. Gabroshvili 译.... 349

თიენ ნიენ-ი. უსათაურო. მთარგმნელები ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი და რუსუდან ქუთათელაძე

田间. “无名”. Liu-Kandareli Guangwen, R. Kutateladze 译..... 351

აი ცინგ-ი. მზეს (პოემის ნაწყვეტი). მთარგმნელები ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი და რუსუდან ქუთათელაძე

艾青 “太阳向 “. Liu-Kandareli Guangwen, R. Kutateladze 译..... 352

მაო ნეტუნ-ი. მეიხუა. მთარგმნელები ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი და რუსუდან ქუთათელაძე

毛泽东. ”梅花” Liu-Kandareli Guangwen, R. Kutateladze 译..... 353

ნიუ ხან-ი. არნივი. სისხლოფლნარევი მერანი. მთარგმნელები ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი და რუსუდან ქუთათელაძე

牛汉. “鹰”. “汗血马” .. Liu-Kandareli Guangwen, R. Kutateladze 译..... 353

ფენგ პანგჭენ-ი. ლირიკა. მთვარის სამშობლო. გაზაფხულები შემოდგომები მეოცე საუკუნეში. მთარგმნელები ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი და რუსუდან ქუთათელაძე

彭邦珍. ., 诗作”. “月亮”. “20世纪的春秋”. Liu-Kandareli Guangwen, R. Kutateladze 译..... 358

იგავები და ელექტრონული ნიგნი 寓言 ; 电子文学

ვანგ ლიცინგ-ი. ცხოველების გაბასება. მთარგმნელები ნინო დალუნდარიძე, ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი

王莉清. ”动物聊天”. Liu-Kandareli Guangwen, N. Daghundaridze 译..... 359

ქაო ვეი. ამ ადგილზე დაჯდომა არ შეიძლება. მოთხრობის ელექტრონული ვერსია. მთარგმნელი თინათინ ფიჩხაია

考薇. ”这个位置不能坐”. T. Pichkhaia 译..... 360

წინასიტყვაობა 前言

წინამდებარე წიგნი შექმნილია საქართველოში ჩინური კულტურის ცენტრის – „აბრეშუმის გზა“ – თაოსნობით. მანამდე „აბრეშუმის გზის“ მიერ მომზადებული და გამოქვეყნებულია კიდევ რამდენიმე წიგნი, სახელდობრ: 1. „Цветы на ветру“ (ჩინური კლასიკური პოეზიის მცირე ანთოლოგია. მთარგმნელი ქ. პეკინის უნივერსიტეტის პროფესორი სია ჭი-ი. 1995). 2. „ჩაის კულტურის სათავეებთან საქართველოში“ (ავტორთა ჯგუფი. 2003). 3. ალმანახი „ჩინეთი ჟამთა სივრცეში“ (სხვადასხვა ავტორთა და მთარგმნელთა ჯგუფი. 2007). 4. „სიუენ'ძ სამხედრო ხელოვნების შესახებ“ (მთარგმნელი ზურაბ მამნიაშვილი. 2009). 5. „ლიაო ჭაი. ფუ სუნგლინი-ი. „მოთხრობები“ (მთარგმნელები ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი და რუსუდან ქუთათელაძე. 2010).

„ჩინური თანამედროვე მწერლობა“ კრებულია, რომელიც წარმოადგენს XX ს. და XXI ს. დამდგის ჩინელ მწერალთა შემოქმედების პირველ ქართულ თარგმანს. იმდენად, რამდენადაც საქართველოში ჩინური ლიტერატურა თითქმის უცნობია, ვფიქრობთ, წინამდებარე კრებული დააინტერესებს მკითხველს.

ალბათ უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ენაზე ნათარგმნი და გამოცემული ჩინური ლიტერატურის (უმეტესწილად პოეზიის) მცირეოდენი ნიმუშები თარგმნილია უცხო (უპირატესად რუსული) ენების პნკარედებიდან. ამავდროულად ჩინეთში „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი ხუთჯერ გამოიცა (სამი სხვადასხვა თარგმანი, სამსუხაროდ არა ქართული, არამედ ევროპული ენებიდან). ასევე ევროპული და რუსული ენებიდან უკვე დიდი ხანია ითარგმნა და დაიბეჭდა ი. ჭავჭავაძის, მ. ჯავახიშვილის, ნ. დუმბაძის, ჭ. ამირეჯიბის პროზა, ი. აბაშიძის, მ. მაჭავარიანის და სხვათა პოეზია, ხოლო ს.ს. ორბელიანის იგავ-არაკები ითარგმნა ქართულიდან (მთარგმნელი ზ. მამნიაშვილი).

საქართველოში უკვე 20 წელია არსებობს ჩინური ენის ფაკულტეტი (ჯერ აზია-აფრიკის ინსტიტუტში, ამჟამად „თავისუფალ უნივერსიტეტში“). ეს უმაღლესი სასწავლებლები ამზადებენ კადრებს, რომელთაც ხელეწიფებათ ქართველ მკითხველს გააცნონ ჩინური ლიტერატურა. კრებული „თანამედროვე ჩინური ლიტერატურა“ შეეცადა ეს შესაძლებლობა ხელიდან არ გაეშვა.

თავდაპირველად წინამდებარე კრებული ჩაფიქრებული იყო, როგორც ჩინური ენის ფაკულტეტის სტუდენტთა საკითხავი წიგნი, ვინაიდან ამ ფაკულტეტზე იკითხებოდა ჩინური ლიტერატურისა და მისი ისტორიის საგანი (საგანი მიმყავდა მე). ახლა, მართალია, ეს საგანი სასწავლო პროგრამაში აღარ შედის, მაგრამ სტუდენტი-ახალგაზრდობისათვის, რომელიც ეუფლება ჩინურ ენას და ზოგადად სინოლოგიას, მიმაჩნია, რომ ამგვარი გამოცემები დიდი სარგებლობის მომტანი იქნება.

ამასთანავე, ჩინური ლიტერატურა სამიათასწლოვანი და მეტი ხნის ისტორიის პატრონია. ამდენად, ფართო მკითხველისათვის სასურველი იქნება მასთან ზიარება. სასურველია ჩინურმა ლიტერატურამ დაიკავოს კუთვნილი ადგილი ქართულ ენაზე თარგმნილ სხვა ერების ლიტერატურაში, ჩვენს ეროვნულ მდიდარ მთარგმნელობით ტრადიციაში ერთი თეთრი ლაქა შეივსოს.

„ჩინური თანამედროვე მწერლობა“ მოიცავს XX-XXI ს.ს. ჩინური ლიტერატურის ნიმუშებს. პირობითად შედგება ოთხი ნაკვეთისაგან – I. მოთხრობები და ესსეები; II. დრამატურგია; III. პოეზია; IV იუმორი, ელექტრონული წიგნი აქ შესულია: ცალკეული სახელგანთქმული, კლასიკოსად აღიარებული პროზაიკოსებისა და პოეტების (ლუ სიუნ-ი, ცაო იუი, ჭანგ აილინ, კუო მოჟუო), ასევე დღესდღეობით მოღვაწე ცნობილი მწერლებისა და პოეტების (სუ თუნგ-ი, თან ინგ-ი, ვანგ მენგ-ი, სანგ ქე, ნიუ ხან-ი ფენგ პანგჭენ-ი), მათთან ერთად კი ახალბედა, დამწყები ავტორების ნაწარმოებები. იმ ავტორების, ვინც სულ ახლახანს ელექტრონული მოთხრობებით მოიხვეჭეს პოპულარობა. II. დრამატურგიის ნაწილი აერთიანებს ცაო იუი-ს ორ პიესას. პირველი – „თავსხმა“, სხვათა შორის, 50-60-იან წლებში თბილისში მარჯვანიშვილის სახელობის დრამატული თეატრის სცენაზე წარმატებით იდგმებოდა (თარგმანი ფრანგულიდან. რეჟისორი, საფრანგეთიდან დაბრუნებული. ვ. ყუშიტაშვილი, მსახიობები მ. თბილელი, ვ. გოძიაშვილი და სხვ.). მეორე პიესა „ტრამალი“, „აბრეშუმის გზის“ შეთავაზებით 1999 წ. დაიდგა „მსახიობთა სახლის“ სცენაზე. დადგმა (პიესის ადაფტირებული ვარიანტი. რეჟისორები გ.ლორთქიფანიძე და ვ.ანდრონიკაშვილი. საქართველოს სახალხო არტისტები: ზ. კვერენჩილაძე, რ.თავართქილაძე, გ.ჩუგუაშვილი, მსახიობი ნ. ანდრონიკაშვილი, და სხვ.) განხორციელდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსების 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა ფარგლებში, საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. ამჯერად აღნიშნული ორივე პიესა სრული სახით უშუალოდ ჩინურიდან ითარგმნა და პირველად იბეჭდება. III. პოეზიის ნაწილში წარმოდგენილი არიან სხვადასხვა თაობის პოეტები. ეს პოეზია, ვფიქრობთ, საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ნათელჰყოფს თანამედროვე ეროვნული პოეზიის კავშირს უძველეს ტრადიციასთან და ამავდროულად ახალი ფორმებისა და გამოთქმის საშუალებათა ძიებებს მიათითებს, დაწერილია არა უძველესი სალიტერატურო ვენიენ-ის ენით (რომელზეც იწერებოდა ლიტერატურის ნიმუშები), არამედ დღევანდელი სასაუბრო ენით. კრებულის IV ნაწილში, წიგნის ფორმატის გათვალისწინებით, მოვიზიდეთ იუმორისა და „საშინელებათა“ ჟანრების თითო-ოროლა მაგალითი, ამოკრებილი ავტორიტეტული ლიტერატურული ალმანახებიდან და ჟურნალებიდან. ეს ნიმუშები, ვვარაუდობთ, ასევე ნათელს ხდიან თანამედროვე ჩინური

ლიტერატურის თემატიკის მრავალსახეობას – პოლიტიკური სარკაზმი, ყოველდღიური ყოფის პრობლემები და ა.შ.

კრებულს ერთვის მონაცემები ავტორთა შესახებ. ისევ და ისევ გამოცემის ფორმატის გამო ეს მონაცემები მცირე მოცულობისაა. იმედს ვიტოვებთ, რომ თარგმნილი მასალის საკმაო ნაწილი, რომელიც ამ კრებულის ფორმატმა ვერ დაიტია, მომავალში გამოგვიჩინდება საშუალება და ანალოგიური კრებულის სახით შეხვდება ქართველ მკითხველს.

ჩემს მოვალეობად მიმაჩნია აღვნიშნო, რომ კრებულში გაერთიანებული თარგმანები შესრულებულია როგორც ჩინური ენის ახალგაზრდა, დამწყები სპეციალისტების, ისე ამ საქმეში უკვე დახელოვებული ორი მთარგმნელის – რუსუდან ქუთათელაძისა და კონსტანტინე გოგოლაშვილის მიერ (ჩემთან თანამშრომლობით). მათი რამდენიმე თარგმანი მანამდე გამოქვეყნდა კრებულში „ჩინეთი ჟამთა სივრცეში“ და XVIII ს. დიდი კლასიკოსის, „ლიაო ჭაი. ფუ სუნგლინ-ის მოთხრობები“. ამჯერად ბ-მა კოტემ და მე ვრცელი მოთხრობა „სხვა ქალაქი“, შევარჩიეთ მასში აღწერილი თანამედროვე ყოფითი პრობლემეტიკის გამო. ხოლო ქ-ნი რუსუდანისა და ჩემი ნათარგმნი ცნობილი მწერლის, სუ თუნგ-ის რომანი „ცოლებ-ხარჭები გუნდ-გუნდად“ ქართველი, ისევე, როგორც მსოფლიო კინომაყურებლებისათვის ცნობილია რომანის თარგზე აგებული, მრავალჯის პრემირებული, რეჟისორ ჭანგ იმოუ-ს ფილმით „წითელი ფარნები“.

აღვნიშნავ აგრეთვე, მშვენიერი ქართველი პოეტების – მარიამ ნიკლაური-ძიძიგურისა და თამარ გაბროშვილის, როგორც საკუთარ თარგმანებს, ისე თარგმნილის რედაქტირებაში გაღებული ღვაწლს. აქვე გავისვენებ, ჩემი და რუსუდან ქუთათელაძის, გაბედულებას, გვეთარგმნა რამდენიმე პოეტური ნიმუში. არჩევანი შევაჩერეთ პოეტ ნიუ ხან-ის ორ პოეტურ ნიმუშზე, რამეთუ მათში გვენიშნა შორეული გადაძახილი ქართული პოეზიის დიდებულ ძეგლებთან – ბარათაშვილისეულ „მერანთან“ და ვაჟა-ფშაველასეულ „არწივთან“. ჩვენვე ვთარგმნეთ აგრეთვე აი ცინგ-ისა და თიენ ნიენ-ის ლექსები, რათა ქართველ მკითხველს წარმოედგინა შექმნოდა ჩინური პოეზიის მრავალსახეობაზე.

დასასრულ, კიდევ ერთხელ მინდა ქედი მოვიხარო თითოეული ადამიანის წინაშე, ვისი ძალისხმევითაც მომზადდა წინამდებარე კრებული. ეს ბრძანდებიან მთარგმნელები, მათთან ერთად, დამკაბადონებელი, ნიგ-ნის მაკეტის, კომპიუტერული სამუშაოს უზრუნველმყოფი, ბ-ნი მალხაზ უთურაშვილი. მისი თავდადებული, ხანგრძლივი, და, რაც მთავარია, სრულიად უსასყიდლო ამაგით შესაძლებელი გახდა კრებულის მომზადება, ამ გზით პირობა შექმნა ჩემს ორ სამშობლოს – ჩინეთსა და საქართველოს შორის კიდევ ერთი სამეგობრო ხიდი გადებულიყო.

განსაკუთრებული მადლობა საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს, სრულუფლებიან ელჩს, ბ-ნ ჩენ ნიენფუ-ს, საელჩოს მრჩეველს ქ-ნ ჭენგ ვეი-ს, მათი მზადყოფნისათვის თარგმანის საბოლოო მიზნის, კრებულის გამოცემის ფულადი უზრუნველყოფისათვის. დიდი მადლობა გამომცემლობა „მერიდიანის“ დირექტორს, ბ-ნ კახა რუსიძეს, ბეჭდვის ხარჯებში შეღავათებისათვის.

მკითხველ საზოგადოებას წინასწარ ვუხედი მადლობას ჩვენი ნაშრომის გაცნობისათვის. ხოლო კეთილმოსურნე რჩევები თუ შენიშვნები, რა თქმა უნდა, ჩვენს მომავალ მუშაობაში გათვალისწინებული იქნება.

ღრმა პატივისცემით ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი
2012 წ. თბილისი

ცოლებ-ხარჭები გუნდ-გუნდად

妻妾成群

მეოთხე ქალბატონი სუნგლიენ-ი ჩენ-ების ოჯახის ბაღში ოთხმა სოფელმა მზიდველმა ტახტრევანდით შეაბრძანა მაშინ, ცხრამეტისა რომ შესრულდა. საღამო ხანს იგი დასავლეთის გვერდითი ალაყაფის კარიდან შეაბრძანეს. მოახლე ქალები სწორედ ამ დროს ჭასთან მატყლის ძაფსა რეცხავდნენ. დაინახეს მზიდველები, ერთმანეთს რომ აწვებოდნენ, ძლივს რომ შეეტივნენ მთვარის ალაყაფში¹. ტახტრევანიდან ჩამოვიდა ერთი სტუდენტი ქალიშვილი. შავი ქვედაკაბა და თეთრი ზედატანი ეცვა. მოახლე ქალებმა გაიფიქრეს, შინ დაბრუნდაო უფროსი ქალიშვილი, პეიფინგ-ში² რომ სწავლობდა. მაგრამ მისასაღმებლად გუნდად რომ მიიბრინეს, დაინახეს, სულაც ის კი არა, არამედ ყოფილა გზაზე მტვერში მთლად ამოგანგლული, უზომოდ მოქანცული ერთი სტუდენტი ქალიშვილი. სუნგლიენ-ს იმ წელს თმა მოკლედ შეეჭრა³. სუნგლიენ-ს თმა ისე შეკვეცოდა ყურის ბიბილოს რომ უსწორდებოდა. თმაზე შემოერთყა ღიაციფერი ატლასის ბაფთა. პირმრგვალი იყო. ფერუმარილი არ ეცხო. ოდნავ ფერმკრთალი ჩანდა. სუნგლიენ-ი ჩამოძვრა ტახტრევანიდან, ბალახს დააბიჯა ფეხი. დაბნეულმა თვალი მიმოავლო იქაურობას. მისი შავი ქვედანელის კალთასთან გარდიგარდმო იდგა ლიანების რტოებისგან მოწნული სკივრი. შემოდგომის მზის სხივებში მისი ტანკენარი და თხელ-თხელი სხეული სიფრიფანა ქალაღდისგან გამოჭრილ ფიგურებს⁴ ჩამოჰგავდა თითქო, რადგან თოჯინასავით გაშეშებული იდგა. ხელები ასნია ოფლის მოსაწმენდად. მოახლე ქალებმა შენიშნეს, ოფლს ზედატანის სახელოთი ინმენდა და არა ცხვირსახოცით. ამან მათზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. როგორც იქნა სუნგლიენ-ი ჭასთან მივიდა. იენერ-ს, რომელიც მატყლის ძაფსა რეცხავდა, მიმართა, პირი დამაბანინე, სამი დღეც იქნება პირისახე არ დამიბანიაო. იენერ-მა ჭიდან ჩაფით ამოზიდა წყალი. შესცქეროდა წყალში თუ როგორ ჩაანო სახე. სუნგლიენ-ი მთელი ტანით მშვილდსავით მოიდრიკა, ხოლო სხეული უთრთოდა პატარა დოლსავით⁵, მედოლეები წელზე შემორტყმულს რომ დაატარებენ და ზედ არაკუნებენ. იენერ-მა ჰკითხა, საპონი გინდა? სუნგლიენ-მა არ უპასუხა. იენერ-ი ისევ ეუბნება, წყალი მეტად გრილია? სუნგლიენ-მა ისევ არ უპასუხა. იენერ-მა დანარჩენ მოახლე ქალებს, ჭასთან რომ იდგნენ, თვალი ჩაუკრა, პირს ხელი აიფარა და ჩაიცინა. მოახლე ქალებს ეგონათ, ჩენ-ების ოჯახის ვინმე ღარიბი ნათესავი იქნებაო. მათ თითქმის ყოველთვის შეეძლოთ უშეცდომოთ ამოეცნოთ ჩენ-ების ოჯახის სტუმართა წარმოშობა-წარმომავლობა. თითქოს სწორედ იმ წამს სუნგლიენ-მა უცბათ მოაბრუნა თავი და შეხედა. მისი სახე, პირის დაბანის შემდეგ, კიდევ უფრო მკვეთრად ავლენდა რალაცნაირ ცივ გაუცხოებას. მოქნილი, შავმაკვი წარბები წელ-წელა შეჭმუნხა. სუნგლიენ-მა წუთიერად მიაპყრო მზერა იენერ-ს. თქვა, რა სულელურად იკრიჭები, წყალს რად არ გადაღვრი? იენერ-ი ჯერაც იცინის. ვინა ხარ, აგრე მკაცრი რომ ხარ? სუნგლიენ-მა ხელი მიჰკრა იენერ-ს. მერე აიღო სკივრი, ჭას გამოიღო. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, შეჩერდა, შეტრიალდა, თქვა, ვინა ვარ? ადრე და მალე შეიტყობთ.

*** **

მეორე დღეს, ჩენ-ების კარ-მიდამოში ყველამ, დიდიან-პატარიანად შეიტყო, ბატონ ჩენ წუოციენ-ს მეოთხე ცოლად ქალბატონი სუნგლიენ-ი რომ მოეყვანა. სუნგლიენ-ი დაასახლეს უკანა ბაღის მცირე სახლში, სამხრეთ მხარეს. ეს მესამე ქალბატონის, მეიმ ანის მცირე სახლის მახლობლად იყო. ჩენ წუოციენ-მა იენერ-ი, მანამდე მსახურთა სადგომში რომ მუშაობდა, მეოთხე ქალბატონს იახუნ-ად⁶ მიუჩინა.

მეორე დღეს, იენერ-მა, გულში შიშავარდნილმა, თავდახრილმა, ძლივ-ძლივ გაბედა მიემართა, მეოთხე ქალბატონოო. ხოლო სუნგლიენ-ს უკვე დავინწყნოდა უწინდელი შეტაკება. იქნებ საერთოდაც დავინწყნოდა ეს იენერ-ი ვინლა იყო. იმ დღეს სუნგლიენ-ს ტანისამოსი შეეცვალა. ეცვა ვარდისფერი აბრეშუმის ხალათი, ციფაოს თარგისა, ფეხზე კი მოქარგული ქოშები. ერთ ღამეში პირისახეზე ფერი მოსვლოდა. გაცილებით უფრო გულკეთილი ჩანდა. მან მიიახლოვა იენერ-ი, შეათვალიერა. გვერდზე მდგარ ჩენ წუოციენ-ს უთხრა, გონჯად არ დაბადებულა, არაა გულმიუსვლელი. შემდეგ იენერ-ს მიუბრუნდა, თქვა, აბა ერთი ჩაცუცქედი, თმას მოგიხილავ. იენერ-ი ჩაცუცქედა, იგრძნო თმაში ხელს როგორ უფათურებენ, თითქოს დაეძებნო რალაცას. მერე გაიგონა სუნგლიენ-მა რომ თქვა, იმედია ტილები არ გეყოლება, ყველაზე მეტად ტილებისა მეშინია. იენერ-მა ტუჩი ჩაიკვნიტა. კრინტი არ დაუძრავს. ასე ეჩვენა, სუნგლიენ-ი თითებს ცივი, ბასრი

დანასავით თავზე აქეთ და იქეთ უსვამს. ცოტა არ იყოს სტკიოდა კიდეც. სუნგლიენ-მა თქვა, ეს რა სუნი უდის შენს თმას. რა საზიზღარი სუნი გდის. მიდი, ჩქარა, აილე ერთი ნაჭერი სურნელოვანი ხელის საპონი, თავი კარგად დაიბანე. იენერ-ი წამოდგა. მორჩილად დაუშვა ხელები. დგას გაშეშებული. ჩენ წუოციენ-მა მკაცრად დაუბრიალა თვალები, თქვა, რაო, ვერ გაიგონე რა გითხრა მეოთხე ქალბატონმა? იენერ-მა თქვა, გუშინ დავიბანეო. ჩენ წუოციენ-მა დაუყვირა, ბევრს ნულარ ლაყობო. გითხრეს წადიო, ესე იგი წადი დასაბანად. გაროზგვას უფროთხილდი.

იენერ-მა მოიგანა წყლით სავსე ტაშტი, სამოთხის ვაშლის ხეების ძირში დადგა. სულში სიძულვილი ჩასდგომოდა, ტყვიასავით მძიმედ დაჰკიდებოდა გულზე. შუადღის მზე სამოთხის ვაშლის ორსავე ხეს სხივსა ჰფენდა. მათ შორის გაბმული იყო სარეცხის თოკი. მეოთხე ქალბატონი სუნგლიენ-ის სარეცხს, შავ ქვედაკაბასა და თეთრ ზედატანს ნიავი აფრიალებდა. იენერ-მა ირგვლივ მიიხედ-მოიხედა. უკანა ბაღში სიჩუმე სუფევდა, უკაცრიელი იყო მიდამო. მიუახლოვდა სარეცხის თოკს. ჯერ თეთრ ზედატანს მიაფურთხა გულიანად, მერე კი შავ ქვედატანსაც.

*** **

ჩენ წუოციენ-ი იმ წელიწადს სწორედ ორმოცდაათს გადააგორებდა. არც მეტი არც ნაკლები, ორმოცდაათს. სუნგლიენ-ის ხარჭად დასმა, რა თქმა უნდა, სანახევროდ ფარულად ხდებოდა, ნახევრად ნებადართულად. ერთი დღით ადრეც კი, პირველმა ქალბატონმა, იუიჟუ-მ, არაფრისგან არაფერი უწყოდა. ჩენ წუოციენ-მა სუნგლიენ-ი იუიჟუ-ს წარუდგინა. ჩენ წუოციენ-მა თქვა, ეს არის დიდი ქალბატონი, ჩემი უფროსი ცოლი. იმ დროს იუიჟუ, გრძელი კრიალოსანით ხელში, ბუდას სალოცავში ლოცვებს წარსთქვამდა. სუნგლიენ-მა ის-ის იყო დააპირა თავის დასაკრავად მიახლებოდა, რომ იუიჟუ-ს ხელში კრიალოსანი გაუწყდა. კრიალოსნის მარცვლები იატაკზე გაიფანტა-გამოიფანტა. იუიჟუ-მ უკან დახია წითელი ხით ნაკეთი სავარძელი და კრიალოსნის მარცვლების აკრეფას შეუდგა. თან ბუტბუტებდა, ცოდვა, ცოდვა! სუნგლიენ-მა მიხმარებას მიჰყო ხელი, აკრეფა დაიწყო, მაგრამ იუიჟუ-მ თავაზიანად იუარა, თან იმეორებდა, ცოდვა, ცოდვა! სუნგლიენ-ს ზედ ერთხელაც არ შეხედა. სუნგლიენ-ი ხედავს, ჩასუქებული იუიჟუ მარცვალ-მარცვალ თუ როგორ ჰკრეფს კრიალოსანს ნოტიო იატაკიდან. პირს ხელი აიფარა, უხმოდ ჩაიცინა. ჩენ წუოციენ-ს გადახედა, მან კი თქვა, აბა, მაშ ჩვენ წავალთ. სუნგლიენ-მა მაღალ ზღურბლს გადააბიჯა, ხელი გაუყარა ჩენ წუოციენ-ს, თქვა, ასი წლისა მოიყარა, ასე ბებერია? ჩენ წუოციენ-ი დუმს. სუნგლიენ-მა კვლავ თქვა, რა, ბუდა სწამს? შინ რად ლოცულობს? ჩენ წუოციენ-მა თქვა, სწამს კი არა ერთი, უბრალოდ აღარ იცის რა აკეთოს, რომ იტყვიან „წონას დამპალი კარტოფილით ავსებს“⁷.

სუნგლიენ-ს მეორე ქალბატონმა, ჭუოიუნ-მა, გულლია მასპინძლობა გაუმართა. ჭუოიუნ-მა თავის იახუან-ს უბრძანა, საზამთროსა და გოგრის თესლი და კიდეც თაფლში მოხარშული ჩირი მოერთმია. რომ დასხდნენ, ჭუოიუნ-ის პირველი სიტყვა თესლეულს შეეხო. თქვა, აქ ხომ რიგიანი საზამთრო არსად იშოვება. ჩემთვის თესლი, ჩემი დავალებით, სუჭოუ-დან ჩამოაქვთ. სუნგლიენ-მა საკმაო ხანს აკნანუნა ჭუოიუნ-ის თესლეული. ეს კნანა-კნუნ გვარიანად მობეზრდა კიდეც. ამ ტკბილეულით, დღეში სამჯერ, ჭამასა და ჭამას შორის რომ სჩვევიათ, არასოდეს ყოფილა დიდად გატაცებული, მაგრამ ახლა ამის გამომჟღავნება ეუხერხულა. სუნგლიენ-ი ფრთხილად აპარებს თვალს ჩენ წუოციენ-ისაკენ. სურს ანიშნოს, წასვლის დროაო. მას კი, თითქოს სწადია კიდეც შეყოვნდეს ჭუოიუნ-თან, სუნგლიენ-ის მინიშნებებს თითქოს არც ამჩნევს. სუნგლიენ-მა აქედან დაასკვნა, ჩენ წუოციენ-ს ჭუოიუნ-ი უყვარს და ანებივრებსო. ნებაუნებურად მეტი ყურადღება მიაპყრო. დააკვირდა მის პირისახეს, აგებულებას. ჭუოიუნ-ი სათუთი, მოხდენილი იყო. ამას წვრილ-წვრილი ნაოჭები და ცოტა არ იყოს მოდუნებული კანი დიდად ვერაფერს აკლებდა. მის მიხრა-მოხრაში სჭვიოდა დარბაისლურსა და კეთილშობილ ოჯახში აღზრდილი ქალის ქცევა. სუნგლიენ-მა იცოდა, ჭუოიუნ-ის ნაირი ქალებისათვის იოლია მამაკაცის გულის დაპყრობა, მაგრამ ასეთი ქალებიც საძულველნი შეიქნებიან ხოლმე. სუნგლიენ-მა მალე და ადვილადაც დაუწყო მას მიმართვა, უფროსო დაიკოო.

ჩენ-ის ოჯახობის სამ ქალბატონს შორის, ადგილმდებარეობით ყველაზე ახლოს ცხოვრობდა მეიმ ანი, მაგრამ სუნგლიენ-მა იგი ყველაზე უფრო გვიანა ნახა. სუნგლიენ-ს მანამდე უკვე ჰქონდა გაგონილი, მეიმ ანი გარეგნობით მზეთუნახავიაო ისეთი, „ქალაქები რომ ძალუძს მოსრას“⁸. მთელი სულითა და გულით სწორედ მისი ნახვა ეწადა. ხოლო ჩენ წუოციენ-ს არა და არ მიჰყავდა მასთან. მან თქვა, აგრე ახლოსაა, თითონ წადი! სუნგლიენ-მა თქვა, უკვე ვიყავიო, მისმა იახუანმა მითხრა, ავად არისო, ჩადგა კარებში, შინ არ შემეშვაო. ჩენ წუოციენ-მა ჩაიბურტყუნა – ჰმ! თან დააყოლა, მუდამ რაღაცით უკმაყოფილოა, თავს მოიავადმყოფებს ხოლმე. მერე დასძინა, უნდა რომ თავზე წამომაჯდეს. სუნგლიენ-ი ჰკითხავს, და შენ კი რა, აძლევ უფლებას თავზე რომ დაგაჯდეს? ჩენ წუოციენ-მა ხელი გაიქნია, ფიქრადაც ვერ გაბედავს. ქალი ვერასოდეს ვერ შეძლებს მამაკაცს თავზე წამოაჯდეს.

სუნგლიენ-ი ჩრდილოეთ მცირე სახლისაკენ გაემურა. ხედავს, მეიმ ანის ფანჯარაზე ვარდისფერი აბრეშუმის, ნაჩვრეტებიანი გვირისტით ნაქარგი ფარდაა ჩამოფარებული. ოთახის ღია ფანჯრიდან მინდვრის ყვავილების სურნელი იფრქვევა. სუნგლიენ-ი წუთით შედგა ფანჯარასთან. უეცრად აენტო დაუოკებელი სურვილით ოთახში უჩუმრად შეეჭყიტა. სული განაბა, ფრთხილად გადასწია ფარდა, სულ, სულ ოდნავ ჩგა-

დასწია. ისე შეშინდა, სული ლამის სხეულიდან ამოუფრთხილდა. თურმე ფარდის უკან მეომ ანი დგას. ის კიდევ მას უცქერს. მზერა მათი ერთმანეთს შეერჩება. მართალია, თვალთა ეს შეხვედრა წამიერი იყო, მაგრამ სუნგლიენ-ი თავპირისმტვრევით გაიქცა, აფორიაქებული სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას.

შუალამისას ჩენ წუოციენ-ი სუნგლიენ-ის სასუფეველში მივიდა, ლამის გასათევად. სუნგლიენ-მა გახადა ტანისამოსი. დააპირა ლამის ნიფხავ-პერანგით შევცვლიო. ჩენ წუოციენ-მა კი თქვა, ლამის ნიფხავ-პერანგს არა ვხმარობ, შიშველს მიყვარსო ძილი. სუნგლიენ-მა თვალი მოარიდა სანახაობას. თქვა, როგორც გენებოს, მაგრამ მაინც, ალბათ აჯობებს ნიფხავ-პერანგი ჩაგეცვა, ვაითუ გაცივდე. ჩენ წუოციენ-მა გადაიხარხარა. შენ ჩემი გაციებისა კი არ გეშინია, გეშინია ჩემი ტიტველი უკანალი დაინახო. სუნგლიენ-მა თქვა, არაფერიც არაო, მაგრამ სახე კი შეაბრუნა. სახე მთლად ალანძოდა, ლოყები აჭარხლებოდა. ეს იყო პირველი შემთხვევა, იგი ნათლად და ცხადად, პირისპირ რომ ხედავდა მის სხეულს. ხმელ-ხმელი აგებულებისა და მალალი აღნაგობის გამო წეროს ჩამოჰგავდა. ხოლო განაყოფიერების ასო მისი მშვილდსავით გაძაბულ-გაბრექილიყო. სუნგლიენ-მა იგრძნო, რომ იხრჩობოდა. ისლა მოახერხა ეთქვა, ასე გამხდარი რატომ ხარ? ჩენ წუოციენ-ი სანოლზე აძვრა, აბრეშუმის დაბამულ საბანქვეშ შეცურდა, თან დააყოლა, აი, იმათ გამაცალეს სიქა.

სუნგლიენ-ი გვერდზე გადაბრუნდა, ნათურის გამოსათიშად. ჩენ წუოციენ-ის ხელები გადაეღობა. ჩენ წუოციენ-მა თქვა, მე მინდა გხედავდე, ჩააქრობ და ველარ დაგინახავ. სუნგლიენ-მა სახეზე მიუალერსა, თქვა, როგორც გენებოს. ასეა თუ ისე, ამ საქმეში მე არაფერი გამეგება. შენი მორჩილი ვიქნები.

სუნგლიენ-ი თითქო რალაც სიმაღლიდან შავბნელ უფსკრულში ჩავარდა. ტკივილი, თავბრუსხვევა, უჩვეულო სიმსუბუქესთან შერეული გრძნობები დაუფლებოდა. ჩგასაკვირია, მის გონებაში გაუთავებლად ტივტივებდა მეომ ანის სახე. მისი აუნერლად ლამაზი სახე ხან გამორჩნდებოდა უკუნ სიბნელეში, ხან გაუჩინარდებოდა შავბნელ უფსკრულში. სუნგლიენ-მა ანაზდად თქვა, რა უცნაური ვინმეა! ვისზე ამბობ? მესამე ქალბატონზე. იგი ფარდის მიღმა იდგა და მე მიცქეროდა. ჩენ წუოციენ-ის ხელმა სუნგლიენ-ის მკერდიდან მის ტუჩებზე გადაინაცვლა. უგაჩუმდი, ახლა ნუ ილაპარაკებ. სწორედ ამ დროს კარზე გაისმა ჩუმი კაკუნი, ორჯერ ზედიზედ. ორთავენი შეკრთნენ. ჩენ წუოციენ-მა სუნგლიენ-ისაკენ უხმოდ გადაიქნია თავი. სინათლის ამომრთველს თითი ჩამოჰკრა. შუქი ჩაქრა. ცოტა ხანში კაკუნი გამეორდა. ჩენ წუოციენ-ი წამოხტა, ბრავმორეულმა დაიყვირა, ვინაა რომ აკაკუნებს? ჰკარსუკან გაისმა გაუბედავი და შიშნარევი გოგონას ხმა, მესამე ქალბატონი ავადაა, ბატონს თავისთან ეძახის. ჩენ წუოციენ-მა თქვა, ტყუის, ისევე ტყუის! წადი, გაბრუნდი, მესამე ქალბატონს უთხარი, ბატონმა თქვა – მე უკვე დავნექი დასაძინებლადაო. ჰკარსუკან გოგონამ თქვა, მესამე ქალბატონი უეცრად ავად გახდა, მოითხოვს აუცილებლად მოვიდესო. ამბობს, საცაა მოვკვდებიო. ჩენ წუოციენ-ი სანოლზე წამოჯდა, დაფიქრდა, თითქო თავისთვისაო, ჩაილაპარაკა, ისევე რალაც საზიზღარი თამაში გამოიგონა. სუნგლიენ-ი ატყობს, თუ როგორ უჭირს გადაწყვეტილების მიღება, წავიდეს თუ არ წავიდეს. ხელი მიჰკრა, თქვა, ადექ და წადი, ვაი თუ მართლა მოკვდეს, მაშინ რალა?!

იმ ღამით ჩენ წუოციენ-ი აღარ მობრუნებულა. სუნგლიენ-ი ერთთავად მიყურადებული იყო, ჩრდილოეთ მცირე სახლიდან ხმა რამ თუ მოისმისო. თითქოს არაფრისგან არაფერი არღვევდა სიჩუმეს. მხოლოდ და მხოლოდ ბრონეულის ბუჩქზე ბულბულმა ჩაიგალობა, ხოლო სტვენამ მისმა მოიტოვა მწუხარე, წმინდა და შორეული ექო. სუნგლიენ-მა ვერა და ველარ დაიძინა. მას იმედგაცრუების ნალველით გავსილი ტალღები თითქოს უფსკრულისაკენ მიაქანებდნენ. მეორე დღეს ადრინადად ადგა. მაშინვე მიჰყო ხელი მორთვა-გალამაზებას. თმა დაივარცხნა. შეამჩნია, მის სახეს რალაც ღრმა ცვლილება რომ განეცადა. თვალეები ამოღამებოდა, ირგვლივ ჩაშავებოდა. სუნგლიენ-ი მიხვდა, მეიშან-თან დაკავშირებით რაშიც იყო საქმე, მაგრამ მეორე დღეს, როდესაც ჩენ წუოციენ-ი ჩრდილოეთ მცირე სახლიდან გამოვიდა, სუნგლიენ-ი მაინც მიეგება. ჰკითხა, მეომ ანი თავს როგორა გრძნობსო? მესამე ქალბატონისათვის ექიმში თუ მოიწვიესო? ჩენ წუოციენ-მა ცოტა არ იყოს უხერხულობა იგრძნო. უარის ნიშნად თავი გაიქნია. სახეზე მოქანცულობა აღბეჭდვოდა, იმგვარი დაღლილობა ეტყობოდა კაცს სიტყვის დაძვაც კი რომ ეზარება. მან მხოლოდ ისა ქნა, რომ ხელი ჩაჰკიდა სუნგლიენ-ს და შეპარვითა და ალერსით მოუჭირა.

*** ** *

სუნგლიენ-მა უნივერსიტეტში პირველი სასწავლო წელი დაასრულა და ჩენ წუოციენ-ს მისთხოვდა. მიზეზი მეტად მარტივი იყო. სუნგლიენ-ის მამის მიერ გახსნილი ჩაის ფაბრიკა გაკოტრდა. სწავლის ფული აღარ იყო. როდესაც სუნგლიენ-მა სწავლა შეწყვიტა და შინ დაბრუნდა, მესამე დღეს, სამზარეულოდან მოსამსახურეების ყვირილი და ერთი ალიაქოთი შემოესმა. იქეთ გაქანდა და დაინახა მამა. უუხერხულად, მობრეცილი დამხობოდა ხელსაბანის ნიჟარას. ნიჟარა აპირთავებულისყო წყლითა და სისხლით. ზედაპირზე ბუშტუკები ტივტივებდა. მამას მაჯებზე ვენები გადაესერა და ახლა მსუბუქი ნაბიჯებით ყვითელ წყაროსაკენ გზას⁹ გასდგომოდა. სუნგლიენ-ს კარგად დაამახსოვრდა უკიდურესი სასოწარკვეთილების ის განცდა, მაშინ რომ დაეუფლა. ისიც ახსოვდა, თუ როგორ ამოუდგა მხებქვეშ მამის გაციებულ სხეულს და როგორ შეიგრძნო ამ გვამზე კიდევ უფრო მეტი სუსხი. ეს უბედურება თავს რომ დაატყდა, ძალა არ შესწევდა ერთი ცრემლი მაინც გადმოეგდო. ხელსაბანის ის ნიჟარა რამდენიმე დღეს აღარავის უხმარია. სუნგლიენ-ი კი იქ

უნინდებურად იბანდა თავს. მას არ მოსდგამდა სისუსტე და მშიშარობა, გოგონებს რომ სჩვევიათ ხოლმე. სალი გონების ადამიანი იყო. მამა როგორც კი გარდაეცვალა, მაშინვე იძულებული შეიქნა თავად ეზრუნა საკუთარ თავზე. ხელსაბანის იმ ნიჟარაში ყოველ ჯერზე უნინდებურად იბანდა და ივარცხნიდა თავს და ამ დროს თავს ძალას ატანდა ცივი გონებით ეფიქრა თავის მომავალ ცხოვრებაზე. ამიტომაც იყო, როცა დედინაცვალმა პირდაპირ უთხრა, არჩევანი გააკეთე, მოახლეობასა და ცოლობას, ამ ორ გზას შორისაო, მან ყოველგვარი მიდებ-მოდების გარეშე პირდაპირვე უპასუხა – რა თქმა უნდა, ცოლობაო. დედინაცვალმა კვლავ ჰკითხა, რა გენდომებოდა, ჩვეულებრივ ოჯახში შესვლა, თუ მდიდარში? სუნგლიენ-მა თქვა, რა თქმა უნდა, მდიდარში, ეს რა, საკითხავია განა?! დედინაცვალმა თქვა, ეს სულ სხვადასხვა რამაა. მდიდარ ოჯახში შესვლა ნიშნავს იყო უმცროსი ცოლი. სუნგლიენ-მა ჰკითხა, უმცროსი ცოლი რასა ნიშნავსო? დედინაცვალი დაფიქრდა მცირედ, უპასუხა, ეს ნიშნავს იყო ხარჭა. მდგომარეობა, რა თქმა უნდა, ცოტა არ იყოს დამამცირებელია. სუნგლიენ-მა უგულოდ, ამრეზით ჩაიცინა. მდგომარეობა რაღასა ნიშნავსო? განა ისეთმა, მე რომ ვარ, შეიძლება მდგომარეობაზე იოცნებოს? ასეა თუ ისე, მე გასასყიდად შენს ხელში ვარ. თუკი შენ გაითვალისწინებ მამაჩემის შენდამი გრძნობებსა და თქვენს კარმას, მაშ, მიდი, იზრუნე იმაზე, შედარებით კეთილ პატრონს რომ მიმასყიდო!

ჩენ წუოციენ-ი სუნგლიენ-ის, საპატარძლოს გასასინჯად პირველად რომ მივიდა, სუნგლიენ-ი შეიკეცა და კარი არ გაუღია. ჰკარებიდან მარტო ერთადერთი წინადადება მიუგდო. წავიდეთ დასავლეთევეროპულ რესტორანში, იქა მნახავ. ჩენ წუოციენ-მა გაიფიქრა, ბოლოს და ბოლოს სტუდენტია, რითიმე ხომ უნდა განსხვავდებოდეს მდაბიო კეკელა გოგონებისაგან. დასავლეთევეროპულ რესტორანში ორი ადგილი შეუკვეთა. იქ დაელოდა. იმ დღეს წვიმდა. ჩენ წუოციენ-ი იჯდა, ელოდა. ფანჯრიდან აკვირდებოდა გამვლელ-გამომვლელებს, ჟინჯლით დანისლულ ქუჩაზე რომ მიდი-მოდოდნენ. უჩვეულო განწყობა დაუფლებოდა, განსხვავებული თავისი სიხლბითა და სითბოთი, ისეთი, წინა სამი ქორწინებისას რომ არ განუცდია. სუნგლიენ-ი, ყვავილებით მოჩითული აბრეშუმის ქოლგით ხელში, მის წინაშე აუჩქარებლად წარსდგა, ვითარცა ფარშევანგი. ჩენ წუოციენ-ს სიხარულისა და სიამოვნებისაგან სახე გაებადრა. სუნგლიენ-ი, მართლაც, იყო ისეთი, როგორც წარმოედგინა. გარეგნობა ჰქონდა სალუქი, ლამაზი და თან აგრეერივ ნორჩი იყო. ჩენ წუოციენ-ს დაამახსოვრდა, თუ როგორ დაჯდა მის წინ, პატარა საფულიდან თუ როგორ ამოიღო წვრილ-წვრილი სანთლების კონა. წელი ხმითა თქვა, ჩემთვის ტორტი შეუკვეთე, კარგი? ჩენ წუოციენ-იც დაელოდა, ვიდრე ოფიციალტი მოიტანდა ტორტს. მერე უყურებდა სუნგლიენ-ი ტორტში ერთიმეორის მიყოლებით თუ როგორ არჭობდა სანთლებს. სულ ცხრამეტი ცალი იყო. მონარჩენი ისევ საფულეში ჩადო. ჩენ წუოციენ-ი შეეკითხა, რასა ნიშნავსო, დღეს შენი დაბადების დღეაო? სუნგლიენ-მა მხოლოდ გაიღიმა. სანთლები აანთო. უცქერის პატარუქის პანანინა ალს. მოციმციმე შუქზე სუნგლიენ-ის სახე კიდევ უფრო ფაქიზი, რაღაც გამჭვირვალე მოჩანდა. ამასთან მან თქვა, შეხედე, რა საყვარელია ალის ეს პანია ენები! ჩენ წუოციენ-მაც თქვა, მართლაც, საყვარელია. ამ სიტყვებით სუნგლიენ-მა ღრმად ჩაისუნთქა ჰაერის ყლუპი და ფუ! შეუბერა. სანთლები იმავე წამს ჩაქრა. მერე ჩენ წუოციენ-ს კვლავ ჩაესმა მისი ხმა. მან თქვა, მე წინასწარ ვიზიემე ჩემი დაბადების დღე. ჩათვალე, რომ მე ცხრამეტი წელი შემისრულდა.

ჩენ წუოციენ-მა იგრძნო, მის სიტყვებში დაფარული იყო რაღაც საიდუმლო, მას რომ ვერ ამოეცნო. ამ საიდუმლოს შეეძლო დამახსოვრებიყო, დაეფიქრებინა იგი. შემდეგში, გაცილებით უფრო მოგვიანებით, იგი ხშირად იხსენებდა ამ პატარა სცენას, სუნგლიენ-მა სანთლების ჩაქრობით რომ გაითამაშა და ამით იგი აღიარებდა, იყო სუნგლიენ-ში რაღაც მხიბლავი ძალა. სექსუალური ცხოვრების დიდი გამოცდილების მქონე ჩენ წუოციენ-ს კიდევ მეტად ხიბლავდა ის ტემპერამენტი და სიმარჯვე, სუნგლიენ-ი ლოგინში რომ ამჟღავნებდა. მან თითქოს პირველი შეხვედრისთანავე შეიგრძნო, რომ სუნგლიენ-ში იყო ის სექსუალური ნეტარება, რომელსაც შესწევს უნარი სული ზეცაში აიტაცოს. და ეს ყველაფერი შემდგომ გამართლდა კიდევაც, მაგრამ მას უჭირდა მიხვედრა იმისა, სუნგლიენ-ი ბუნებით იყო ასეთი, თუ მისი გულის მოგებასა ცდილობდა, ესწრაფვოდა ეამებინა. მართალია, ჩენ წუოციენ-ი დაკმაყოფილებულიც იყო, ნასიამოვნებიც, ხოლო მთელი ჯალაბობა, დიდიან პატარიანად, დედანულიანად, ხედავდა მის სიყვარულსა და სურვილს გაენებვირებინა სუნგლიენ-ი. ეს თვალშისაცემი იყო.

*** **

უკანა ბაღში, იქ, სადაც კედელი კუთხესა ქმნიდა, იდგა თალარი, მცოცავი გლიცინიებით გარსშემოხვეული. ზაფხულით დაწყებული შემოდგომამდე ლილისფერ-იისფერი, ფუფუნებით გაფურჩქნული ყვავილთა მტევნები მძიმე-მძიმედ ეკიდა რტოებს. ფანჯრიდან მოჩანდა ეს ლილისფერ-იისფერი მტევნები, შორიდან ფოჩებს რომ ჩამოჰგავდა, შემოდგომის ქარი რომ არხევდა. დღითიდღე ეს იისფერ-ლილისფერი ყვავილები ხუნდებოდა, თვალდათვალ ეცრიცებოდათ ფერი. სუნგლიენ-მა ყურადღება მიაქცია ქას, თალარში რომ იყო ამოთხრილი. იქ კიდევ იდგა ქვის ტაბლა, გარშემო ქვისავე ტუმბოებით. ეს იყო მყუდრო, წყნარი ალაგი, თუმცა თალარში შესულ-გამოსული ერთი სულიერიც კი არასოდეს დაუნახავს. ხოლო ამ ალაგისაკენ მიმა-

ვალი ბილიკი მთლად დაეფარა ხშირ ბალახს. აქ მხოლოდ პეპლები დაფარფატებდნენ. იისფერ-ლილისფერ მტევნებზე ჩამოსკუპებული ჭრიჭინობლები კი თავდავინწყებით მისცემოდნენ თავიანთ სიმღერას. სუნგლიენ-მა გაიხსენა, შარშან, ამავე დროს, ასეთსავე, ოღონდ აკაციით გარსშემოხვეულ თალარში, უნივერსიტეტის ბაღში რომ იჯდა და წიგნსა კითხულობდა. ახლა ეს ყველაფერი ისე შორეული, ისე მოჩვენებითი იყო, როგორც სიზმარი. სუნგლიენ-ს ქვედანელის კალთა აენია, ნელ-ნელა მიმოდოდა წინ და უკან, ფრთხილობდა, რათა არც გაბარდნული სარეველა დაეტყუებინა და არც ჭია-ლუა გაესრისა. ფრთხილად რომ გასწი-გამოსწია და ზევით აზიდა რტოები, შენიშნა, ქვის ტაბლა სქლად დაეფარა დიდი ხნის მტვერს. ჭას რომ მიუახლოვდა დაინახა, ჭის კედლებს ხავსი მოჰკიდებოდა. სუნგლიენ-ი დაიხარა, ჭაში ჩაიხედა. მოლურჯო-მოშავო წყალი ლაპლაპებდა. წყლის ზედაპირზე წლობით ნაცვენი ფოთლები გროვ-გროვად ტივტივებდა. სუნგლიენ-ი დააცქერდა წყალში არეკლილ საკუთარ სახეს. სახე მისი მოლიცლიცე ზედაპირზე თითქოს კანკალებდა, რალაც-ნაირად მყიფე, მთრთოლვარე, ბუნდოვანი, თანაც გადიდებული იყო. თითქოს სუნთქვა ეკვროდა, იხრჩობოდა. ნიავემა წამოუბერა. კაბის კალთები ფრინველის ფრთებსავით აუფარფატა. უცნაურმა, დაჟინებულმა, ძვალ-რბილში რომ ატანდა, ისეთმა სიცივემ აიტანა. სიცივე იყო მყარი, ქვასავით ეკვროდა, ეტმასნებოდა, აწვებოდა და უბაგუნებდა მის სხეულს. გაბრუნება გადაწყვიტა. უკან უკვე ძალზე ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა. თავის სამხრეთ მცირე სახლში რომ დაბრუნდა, შუშაბანდშივე შვებით ამოისუნთქა. ხოლო უკან რომ მიიხედა და თალარის მიდამოს შეავლო თვალი, დაინახა, მკრთალი იისფერ-ლილისფერი ყვავილის ორი-სამი მტევანი, სწორედ იმ წუთას, რტოდან ცვიოდა. მოულოდნელმა სანახაობამ სუნგლიენ-ი ერთობ განაცვიფრა.

თურმე ნუ იტყვი, ჭუოიუნ-ი უკვე მის სასუფეველში იჯდა, ელოდებოდა სუნგლიენ-ს. მან უეცრად შენიშნა, იმ წუთას ჭუოიუნ-ის გამომეტყველება ერთობ უგულო, კუმტი იყო. თუმცკი მაშინვე ზეზე წამოდგა, ნელზე შემოხვია ხელი, შეეკითხა, რა მოხდა, რა მოგივიდაო? სუნგლიენ-მა თქვა, მე რა მომივიდა? უბრალოდ გადაწყვიტიე გამველ-გამომველო. ჭუოიუნ-მა თქვა, სახეზე ფერი არ გადევს. სუნგლიენ-მა გაიცინა და თქვა, იქნებ ფეხმძიმედ ვარ, ხომ შესაძლებელია. ჭუოიუნ-მა გაიცინა და თქვა: აკი ვამბობდი, ნეტავ რატომაა, ბატონი ისევ ჩემთან რომ მოვიდაო. გახსნა ქალაღდში გამოხვეული პარკი. ამოიღო მილისავით გრძლად დახვეული აბრეშუმის ქსოვილი, თან თქვა, სუჭოუდან მივიღე, წმინდა, ხალასი აბრეშუმია, საკაბედ გჩუქნი, გამოჭერი და შეიკერე. სუნგლიენ-მა მსუბუქად მიჰკრა ხელი, მოიშორა, არ ეგების, არ შეიძლება. წესისაებრ და რიგისა მე მევალება შენ მოგართვა ძღვენი. ჩემთვის უხერხულია საჩუქრის მიღება. ჭუოიუნ-მა ჩაიფრუტუნა, ეს რა წესებია?! მე შენ გამორჩეულად, გულით მომწონხარ. ჰოდა, გამახსენდა ეს აბრეშუმის ქსოვილი. აი, მეორემ, იმან, კედელს უკან რომ ცხოვრობს, რომც შემეხვენოს, მიყიდვითაც კი არ მიყვიდი. ეს, თუ გინდა, ჩემ უცნაურობას მიაწერე. მაშინ სუნგლიენ-მა ჩამოართვა საჩუქარი. მუხლებზე უდევს, ალერსით ხელს უსვამს. თქვა, მესამე ქალბატონი, მართლადაც, ცოტა არ იყოს უცნაური ქალია. ხოლო რა მომხიბლავია, რა ლამაზია. ჭუოიუნ-მა კი თქვა, ლამაზი კი არა! ფერუმარილი რომ ჩამოაფხიკო, ნახევარ წინ-ს¹⁰ აიწონის. სუნგლიენ-მა ისევ გაიცინა. სხვა საკითხზე გადაიტანა საუბარი. სულ ახლახანს თალარში ვიყავი, ცოტა ხნით. მომენონა იქაურობა. ჭუოიუნ-მა შეჰკვივლა, რას ამბობ, სიკვდილის ჭისაკენ ნახვედი? მეტად ნულარასოდეს ნულარ ნახვალ. იქ ავი თვალი ბუდობს, იქ სიკვდილის სული სუფევს. სუნგლიენ-ი გაოცებული ჰკითხავს, რაო, აი ასე ჰქვია, სიკვდილის ჭა? ჭუოიუნ-მა თქვა, გასაკვირი რა არის, სასუფეველში რომ შემოხვედი, სახეზე ფერი აღარ გედო. იქ ხომ უკვე სამი ადამიანია დაღუპული. სუნგლიენ-ი წამოდგა, ფანჯრიდან გარეთ გადაიხარა, თალარის მხარეს გახედა. ვინ იყვნენ, რა ხალხი იყო, ჭაში რომ დაიღუპა? ჭუოიუნ-მა თქვა, ამ ოჯახის წინამავალი თაობა ერთიანად ქალები იყვნენ. სუნგლიენ-ს კვლავაც სძლედა ცნობისმოყვარეობა, მაგრამ ჭუოიუნ-ს აღარაფერი ჰქონდა საამბოში. ჭუოიუნ-მა თქვა, მხოლოდდამხოლოდ ეს ვიცი, სხვა აღარაფერი, რადგან ჩენ-ების ოჯახში ამ საკითხს ტაბუ აძევს. ოჯახის წევრები და, საერთოდ, ჯალაბობა, რომ იტყვიან, საიდუმლოს ინახავენ, კრინტს არ ძრავენ, პირი დამუნული აქვთ, როგორც საცობით დაცობილ ბოთლს. ამ სიტყვებზე სუნგლიენ-ს ელდა ეცა. ცოტა ხნის მერე თქვა, ასეთი ამბები, რაკი არ ვიცი, სჯობს ასევე დარჩეს, არც არაფერი ვუნყოფეთ!

ჩენ-ების ოჯახის უმცროსი თაობის ბატონიშვილები და ქალიშვილები, ყველანი, შუა ეზოს ბინებში¹¹. ცხოვრობდნენ. სუნგლიენ-მა ერთხელ დაინახა კიდევაც დები იჟუნგ-ი და იუენ-ი ეზოში ჭიაყელებს რომ ჩიჩქნიდნენ. ორივესა ჰქონდა მხიარული თვალწარბი. მათი პირისახის შემხედვარე სუნგლიენ-ი უმალ მიხვდა, მათი მხიარული თვალწარბის მიხედვით კაცი ხელად ამოიცნობდა, ჭუოიუნ-ის სისხლი და ხორცი რომ იქნებოდნენ. იდგა და აკვირდებოდა, ხოლო როცა ბავშვებმა შენიშნეს, მათ რომ უყურებდა, სრულიადაც არ დაუმორცხვიათ, გეგონებოდათ ახლომახლო ადამიანიშვილი არა ჭაჭანებდა, კვლავინდებურად აგრძელებდნენ ჭიაყელების ჩალაგებას ბამბუკის პატარა ქვაბუკაში. სუნგლიენ-მა თქვა, ჭიაყელები რისთვის გინდათო? იჟუნგ-მა თქვა, თევზების დასაჭერადო, ხოლო იუენ-მა, დაურიდებლად ახედ-დახედა სუნგლიენ-ს, უკმეხად თქვა, რა შენი საქმეა?! სუნგლიენ-მა უსიამოდ იგრძნო თავი. ის-ის იყო ორიოდ ნაბიჯი გადადგა, რომ მოესმა დების ბუზღუნით ნათქვამი: უმცროსი დედაკაცია¹², ჩვენი დედასავით. სუნგლიენ-ი მოულოდნელობისგან სრულიად დაიხნა, თავი მოაბრუნა, გაბრაზებული თვალი დაასო დებს და დაინახა, იჟუნგ-ი სიცილით იგუდებოდა, იუენ-მა კი კბილები დაუკრიჭა, სახე დაუღმიჭა. და ამ ყველაფერს კიდევ ბილწი სიტყვაც მიაყოლა. სუნგლიენ-მა გაიფიქრა, ჰოო, კარგადაა საქმე! ჯერ პანიები არიან და უკვე იგინებიან.

ზეცამ უწყის ეს ჭუოიუნ-ი რარიგად ზრდის ამ ორ დაიკოს.

როცა სუნგლიენ-ი ჭუოიუნ-ს შეხვდა, ვერ მოითმინა, გადასცა იუენ-ის სიტყვები. ჭუოიუნ-მა თქვა, ეს ემპაკის ნაშიერი ესა, პირზე კლიტე არ ადევს. აი ნახავ, დავბრუნდები თუ არა, მაშინვე კარგად ჩავჩქმიტავ. ჭუოიუნ-მა, მართალია, მოიბოდიშა, მაგრამ ისიცა თქვა, ჩემი ორი შვილი კიდევ იოლი საქმეა. შენ ჯერ კიდევ უმცროსი ბატონიშვილი არ გინახავს, აი აქვე, მეზობლად რომაა. ეს ნაბიჭვარი ძალსავეთა ჰკბენს ყველას, იფურთხება. შენთვის ჯერ არ უკბენია? სუნგლიენ-მა თავი გაიქნია. გაახსენდა პატარა ბიჭი, სახელად ფეილანი, ერთხელ მცირე სახლის ზღურბლთან რომ იდგა, ფუნთუშასა ლეჭდა და მას შესცქეროდა. ბრილიანტინით გაპოხილი თმა უბზინავდა, ფეხზე მამაკაცის ყელიანი ტყავის პანია ფეხსაცმელი ეცვა. სუნგლიენ-მა მის სახეზე ჩენ წუოციენ-ის იერსახესთან შორეული მსგავსება შენიშნა. ამიტომ, თავისი მაშინდელი სულიერი მდგომარეობისა და გუნება-განწყობიდან გამომდინარე, ბიჭი გაცილებით უკეთესი ეჩვენა. შესაძლოა, გულის სიღრმეში ოცნებობდა კიდევაც ჩენ წუოციენ-ისათვის კიდევ ერთი ბიჭუნა გაეჩინა. სჯობს ბიჭი, ვიდრე გოგონა, იკბინებოდეს, მერე რა, აი დარდი!

ხოლო იუიჟუ-ს წველი შვილის, ქალ-ვაჟის ნახვის საშუალება სუნგლიენ-ს დიდხანს არ მისცემოდა. ამკარა იყო, რომ ჩენ-ის ოჯახში მათი მდგომარეობა მეტად მაღალი, შეუდარებლად მაღალი იყო. სუნგლიენ-ს ხშირად სმენოდა, ვაჟიშვილ ფეიპუ-სა და ქალიშვილ იხუი-ზე ჭორაობა და მსჯელობა. ფეიპუ მუდამ სახლის მიღმა იყო, ოჯახისათვის გადასახადებსა კრებდა. ამასთანავე უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის საქმეებიც ებარა. ხოლო იხუი პეიფინგ-ის ქალთა უნივერსიტეტში სწავლობდა. სუნგლიენ-მა, იქითურ-აქეთურზე რომ ემასლაათებოდა იენერ-ს, სასხვათაშორისოდ ფეიპუ-ს შესახებაც ჰკითხა. იენერ-მა თქვა, ჩვენი უფროსი ბატონიშვილი მოხერხებული და საქმიანი კაციაო. სუნგლიენ-ი დაინტერესდა, ეს ხერხიანობა რა არის, როგორი რამაა, რაში გამოიხატებაო? იენერ-მა თქვა, ასეა თუ ისე, მოხერხებული კაცია. ჩენ-ების ოჯახი ახლა მისი წყალობითაა რომ ცხოვრობს. სუნგლიენ-ი ისევ ჰკითხავს იენერ-ს, უფროსი ქალიშვილი, ის როგორიდა? იენერ-მა თქვა, ჩვენი უფროსი ქალიშვილი განა მარტო ლამაზია, ნასწავლიც არის და მშვიდიც. მერე, რა თქმა უნდა, კარგი გვარიშვილობის კაცზე გათხოვდება. სუნგლიენ-ს გუნებაში გაეცინა, არ მოეწონა იენერ-ის ნათქამი, ერთს ხოტბას ასხავს, მეორეს კიცხავსო. ამით დაზარალდა მარტო სპარსული ჯიშის კატა, მისი კაბის კალთის ქვეშ რომ მოკალათებულიყო. სუნგლიენ-მა ერთი ჭიტლაყი ამოჰკრა კატას. უსირცხვილო, სად შემძვრალხარ, შე უზნეო, შენაო?

სუნგლიენ-ს რაც დრო გადიოდა იენერ-ი სულ უფრო და უფრო გულს ურევდა. ყველაზე მეტად კი ის არ მოსწონდა წარამარა მეიშან-თან რომ მირბი-მორბოდა, ხოლო როცა ჩენ წუოციენ-ის საცვლებს გასარეცხად მისცემდა ხოლმე, იენერ-ის მთელი არსება ზიზღს გამოხატავდა. სუნგლიენ-ი იენერ-ს დროდადრო ტუქსავდა, ჭკუასაც არიგებდა. ვის უკერავ უკმაყოფილო სიფათს, ჩემი მომსახურება თუ არ გნებავს, შეგიძლია მსახურთა სადგომში დაბრუნდე, კედლის გადაღმა მეზობელ მცირე სახლსაც შეგიძლია მიაშურო. იენერ-ი ჯიუტობდა. ამბობდა, არა, არაფერიც, როგორ გავებდავ სიფათი მოგიკერო? დაბადებიდანვე ვარ უსახური, სახე არც არასოდეს მქონია¹³. სუნგლიენ-მა ხელი დასტაცა სავარცხელს, იქვე რომ იდო, იენერ-ს გაუქანა. იენერ-მა, რასაკვირველია, ხმა ჩაინწყვიტა. სუნგლიენ-ს ესმოდა, იენერ-ი გვარიანად რომ ჭორაობდა მასზე და ათასგვარ სიბინძურესაც უფრცვლებდა, მაგრამ მაინც არ შეეძლო დაუნდობლად მოქცეოდა, რადგან თვალი ჰქონდა მოკრული, ერთხელ მასთან მისულმა ჩენ წუოციენ-მა, იენერ-ს, კარებში რომ შეეჩხუა, ძუძუზე ხელი თუ როგორ წაატანა. ეს, მართალია, ნამიერად კი მოხდა, თუმცაღა ფრიად ბუნებრივი, ჩვეულებრივი რამ ჩანდა. ეს რომ არა, იენერ-ი აგრერიგ თავგასული, თავხედი არ იქნებოდა. სუნგლიენ-ს ესმოდა, თავშეკავება რომ მართებდა. სუნგლიენ-ი გუნებაში ფიქრობდა, ამ ერთი ციდა იახუან-ს კარგად ესმის ვისი და რის წყალობითა აქვს უფლება იყოს აგრერიგ კადნიერი, თავგასულია. აი ასეთი არსებები ბრძანდებიან ქალები.

*** **

მოახლოვდა ჩუნგიანგ-ის დღესასწაული¹⁴ და წინდლით უფროსი ბატონიშვილი ფეიპუ შინ დაბრუნდა.

სუნგლიენ-ი ბაღში ქრიზანთემების ცქერით იტკობოდა თავს. ხედავს, რომ იუიჟუ და მოურავები, მეურნეები, მოახლეებთან ერთად გარს შემოხვევიან რამდენიმე მამაკაცს, რომელთა შორის განირჩევა მაღალი, მხარბეჭიანი ახალგაზრდა მამაკაცი, თეთრ ევროპულ შარვალ-კოსტუმში გამონწყობილი. სუნგლიენ-ი მიხვდა, მისკენ ზურგით მდგომი მამაკაცი სწორედ ფეიპუ რომ იყო. მან დაინახა მსახურებს საზიდარიდან ერთიმეორის მიყოლებით თუ როგორ შეჰქონდათ უკანა ბაღში ბარგი. ნელ-ნელა ყველა მიიფანტ-მოიფანტა, შინ შევიდნენ. სუნგლიენ-ს მისვლა ეუხერხულა. ერთი ღერი ქრიზანთემით ხელში იგი ნელი ნაბიჯით უკანა ბაღისაკენ მიემართებოდა. გზად მიმავალმა დაინახა ჭუოიუნ-ი და მეიშანი, ბავშვებითურთ, ისინიც იქეთკენ მიდიოდნენ. ჭუოიუნ-მა ხელი ჩაავლო სუნგლიენ-ს, თქვა, უფროსი ბატონიშვილი დაბრუნდა. მოსანახულებლად არ წამოხვალ? სუნგლიენ-მა თქვა, მე წამოვიდე? ასე მგონია, ისა ვალდებული მე მომინახულოს. ჭუოიუნ-მა თქვა, მართალი ხარ, პირველად ის უნდა მოსულიყო შენთან, უნდა მოეკითხე. მეიშანი იქვე, გვერდით რომ იდგა, მოუთმენლად კეფაში უთაქუნებდა ფეილან-ს, მიდი, ნადი ჩქარაო!

სუნგლიენ-მა ფეიპუ პირისპირ მხოლოდ სადილობისას ნახა. იმ დღეს ჩენ წუოციენ-მა ფეიპუ-ს პავტივსაცემად მზარეულს საზეიმო სუფრის გაშლა უბრძანა. სუფრაზე მოერთმიათ რჩეული, ძვირფასი კერ-

ძეული. სუნგლიენ-მა შემფასებლური თვალი იჭყნეულად მიმოავლო ამ ფუფუნებას. ნებაუნებურად გაახსენდა დღე, თავად პირველად რომ შემოვიდა ამ ოჯახში. იმდღინდელი საზეიმო სუფრა ფრიად დაშორებული იყო ახლანდელი სუფრის ბრწყინვალეობასა და ხელგაშლილობას, ფეიპუ-ს დაბრუნების აღსანიშნად რომ გაეშალათ. უნებლიედ გულში ეჭვიანობამ გაჰკრა, თუმცა მისი ყურადღება მალე თავად ფეიპუ-მ მიიზიდა. ფეიპუ იუიჟუ-ს გვერდით იჯდა. იუიჟუ-მ ორიოდ სიტყვა გადაულაპარაკა მას. ფეიპუ სკამიდან წამოიწია, ზრდილად წელში ოდნავ მოიხარა და სუნგლიენ-ს ღიმილით რამდენჯერმე დაუკრა თავი. სუნგლიენ-მაც ოდნავ დახარა თავი და ღიმილითვე უპასუხა. პირველი შთაბეჭდილება ის იყო, რომ მისთვის მოულოდნელად ფეიპუ ახალგაზრდა, ლამაზი, ელეგანტური იყო. შემდეგი შთაბეჭდილება კი – ჭკვიანი და არცთუ უბრალო რომ იყო. სუნგლიენ-ს უყვარდა ახალ-ახალი ადამიანების გაცნობა და მათი შეფასება.

მეორე დღეს დადგა ჩუნგიანგ-ის დღესასწაული. მეზალემ ქრიზანთემის ყველა ქოთანს, ბაღში რაც კი იყო, გადმოიტანა და ერთად დაანყო, მერე კი ფერად-ფერადი ქრიზანთემებისგან შეადგინა ოთხი იერო-გლიფი სურვილებისა. ეს იყო ფუ, ლუ, შოუ და სი¹⁵.

სუნგლიენ-ი ადრიანად ადგა. გავიდა ქრიზანთემების მორთულობის დასათვლიერებლად. მარტოდ-მარტო დასეირნობდა ყვავილთა გარემოში. დილის ნიავი გრილი იყო. სუნგლიენ-ს კი ერთი უსახელოებო ნაქსოვი ჟაკეტი ჰქონდა წამოსხმული. მხრებზე ხელებშემოჭდობილი დასეირნობდა და ათვალერებდა. შენიშნა, შორით, შუა ეზოდან, გამოვიდა ფეიპუ და აქეთ გამოემართა. სუნგლიენ-ი შეეცდებოდა. საჭიროა თუ არა, პირველი ის რომ მიესალმოს, მაგრამ ფეიპუ-მ დაასწრო, დაუძახა – დილა მშვიდობისაო, სუნგლიენ. სუნგლიენ-ი ცოტა არ იყოს გააკვირვა ესოდენ ფამილარულმა, უშუალოდ სახელით მიმართვამ, მაგრამ მაინც დაუკრა თავი და თქვა, თუკი თაობათა შორის არსებულ საკითხს მივდევთ, შენ არ გმართებს სახელით მომმართო. ფეიპუ-მ, კლუმბის მოპირდაპირე მხარეს რომ იდგა, პერანგის სახელოებზე საკინძეებს იმაგრებდა, სიცილითა თქვა, რაო, უნდა გინოდო მეოთხე ქალბატონოო. შენ ხომ ჩემზე უმცროსი ხარ, რამდენიმე წლით მაინც. რამდენი წლისა ხარ? სუნგლიენ-მა უკმაყოფილება ვერ დაფარა, გვერდზე მიიხედა, თვალი ყვავილეს მიაპყრო. ფეიპუ ჰკითხავს, შენც გიყვარს ქრიზანთემები? მე კი ვიფიქრე, ადრიანად, პირველი დავტკბები ბუნების სურათით-მეთქი. არ მეგონა შენ თუ დამასწრებდი. სუნგლიენ-მა თქვა, ბავშვობიდან მიყვარს ქრიზანთემებიო, მხოლოდ დღეს კი არ გავტაცებულვარო. ფეიპუ-მ თქვა, უფრო მეტად რომელი ჯიშისა გიყვარს? სუნგლიენ-მა თქვა, ყველა ჯიში მიყვარს, მხოლოდ ის ჯიში, სიეჭუა¹⁶ რომელსაც ჰქვია, ის მეჯავრება. ფეიპუ-მ თქვა, ვითომ რატომო? სუნგლიენ-მა თქვა, სიეჭუა მეტისმეტად მძაფრად აყვავის, გაგიჟებით. ფეიპუ-მ ისევ გაიცინა, თან თქვა, საინტერესოაო. მე კიდევ, სწორედ სიეჭუა მიყვარსო. სუნგლიენ-მა დაკვირვებული მზერა დაასო – ასეც ვიცოდი, ეგ ჯიში მოგეწონებოდაო. ფეიპუ-მ კვლავ თქვა, რატომო ვითომ? სუნგლიენ-მა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა წინ, ნაბიჯს ხმა ააყოლა: ყველა ყვავილი ყვავილი არაა, ყველა ადამიანი – ადამიანი¹⁷. ადამიანი – ყვავილია, ყვავილი – ადამიანი. ლოგიკის ამგვარი გზა გასაგებია შენთვის? სუნგლიენ-მა უეცრად თავი აალო, რადგან ანაზად მოეჩვენა, ფეიპუ-ს გამომეტყველებაში ელვისებურად გაკრთა ანარეკლი, მსგავსი იმ წყალმცენარისა, წყლის სიღრმეში რომ ლივლივებს და იკლაკნება. იგი მიხვდა, რომ შეიძლება ამ გამოხედვას მიუხვდეს, გაუგოს. ფეიპუ ჯერაც იქვე დგას, ყვავილების გადაღმა მხარეს, დონიჯი შემოუყრია. უეცრივ თქვა, მე შეეცვლი სიეჭუას. სუნგლიენ-მა არაფერი თქვა. შეჰყურებდა ფეიპუ-მ თუ როგორ შეცვალა სიეჭუა, მოიტანა რამდენიმე ქოთანსი მოძიუ-ს¹⁸ ჯიშისა. მცირე დუმილის შემდეგ სუნგლიენ-მა ისევ თქვა – ყვავილი ყველა კარგია. იეროგლიფებისგან შედგენილი თაიგული კი დიდი ვერაფერი რამაა, ვულგარულია, მდარე გემოვნების ელფერი დაჰკრავს. ჭეფიპუ-მ ხელი ხელს შემოჰკრა, ხელისგულს მიკრული მინა და თიხა ჩამოიბერტყა, თვალი ჩაუკრა, თქვა, აქ უკვე ველარაფერს გაანყო. ფუ, ლუ, შოუ, სი, ბატონმა ბრძანა დაანყეთო. ასეა წლითი წლობით, წინაპართაგან გადმოცემული წეს-კანონია.

მერე და მერე, სუნგლიენ-ი როცა კი გაიხსენებდა ჩუნგიანგის დღესასწაულზე ქრიზანთემებით ტკბობას, მის გულს სიხარული ეუფლებოდა. თითქოს სწორედ იმ დღეს მასსა და ფეიპუ-ს შორის უსიტყვო ურთიერთგაგების შეთქმულება ჩაისახა. სუნგლიენ-ი როცა იხსენებდა ფეიპუ როგორ ეზიდებოდა სიეჭუას ქოთნებს, სიცილი აუტყდებოდა ხოლმე. მხოლოდ და მხოლოდ სუნგლიენ-მა უწყოდა, რომ კიბორჩხალას ბრჭყალებად წოდებული ქრიზანთემების საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა.

*** ** *

ყველაზე მეტად ვინ გიყვარს? სუნგლიენ-ი სასთუმალზე ხშირად ჰკითხავდა ხოლმე ჩენ წუოციენ-ს. ჩვენ ოთხს შორის, რომელი გიყვარს ყველაზე მეტად? ჩენ წუოციენ-ი პასუხობდა, რა თქმა უნდა, შენ. აბა იუიჟუ? ის დიდი ხანია ბებერ კრუხად გადაიქცა. აბა ჭუოიუნ-ი? ჭუოიუნ-ს არაუშავს რა, მაგრამ რაღაც დონდლო შეიქნა. მაშ მემი ანი? სუნგლიენ-ს არასოდეს არ შეეძლო ჩაეხმო ცნობისმოყვარეობა ყველაფერ იმის მიმართ, რაც მეიშან-ს შეეხებოდა. მემი ანი სადაურია? ჩენ წუოციენ-მა თქვა, მე რა ვიცი სადაურია, თვითონაც კი არ იცის. სუნგლიენ-ი ეკითხება, გამოდის რომ ობოლია? ჩენ წუოციენ-მა თქვა, მსახიობია, პეკინური ოპერის, ცაოთაი-ს დასში ქალების სახასიათო როლებს ასრულებდა ტ ანის ამპლუაში. იმხანად ოპერით ვიყავი გატაცებული, ვმღეროდი კიდევაც, რა თმა უნდა, როგორც მოყვარული. ერთი-ორჯერ იმასთან კულისებშიც შევიარე, სადილად დაევატიჟე, ჰოდა ისიც გამომყვა. სუნგლიენ-მა ჩენ წუოციენ-ს ლოყაზე

მიუთათუნა, თან თქვა, ხედავ, ყველა ქალს სურს შენზე გათხოვება. ჩენ წუოციენ-მა კი თქვა, შენი სიტყვები სანახევროდა მართალი. უნდა ითქვას, მდიდარ კაცს, ფულიან კაცს, ქალებიც უნდა. და ვერასოდეს ვერა ძლება. სუნგლიენ-მა გაიცინა, და შენც სანახევროდა ხარ მართალი. უნდა ითქვას, რომ მდიდარ კაცებს, როცა ბევრი ფული აქვთ, კიდევ და კიდევ უნდათ ქალი და არასოდეს ჰყოფნით.

სუნგლიენ-ს არასოდეს არ გაეგონა მეიმ ანი პეკინურ ოპერაში თუ როგორ მღეროდა. იმ დღით გამოაღვიძა რალაც წერილა, ანკარა ხმამ, მისი ფანჯრისაკენ რომ მოცურავდა. მან ხელი ჰკრა გვერდით მწოლარე ჩენ წუოციენ-ს, ჰკითხა, მეიმ ანი იმღერსო? ჩენ წუოციენ-მა მძინარე ხმით ჩაიბურტყუნა, კარგ გუნებაზე როცაა – იმღერის, ცუდზე კი – ტირის, ეგ ძუნკა ეგა. სუნგლიენ-მა ფართოდ გამოალო ფანჯარა. ხედავს, შემოდგომის თრთვილით მოფენილ ქათქათა ბაღში, გლიცინიათა თალარში, შავსამოსიანი ქალი ცეკვავს და მღერის. ეს იყო მეიმ ანი.

სუნგლიენ-მა წამოისხა სამოსი, კარში გავიდა, დგას ზღურბლზე. შორიდან უცქერის იქ, შორს, მეიშან-ს. მეიმ ანი მთლად თავდავიწყებულია. სუნგლიენ-ს ეჩვენა, ისე ნაღვლიანად, ისე დახვეწილად მღეროდა, რომ მძლავრად იგრძნო გული რარიგ შეუფრთხილდა, თითქოს სადღაც ზეცაში აფრინდაო. საკმაო ხანი გავიდა. უეცრად მეიმ ანი შედგა. თითქოს დაინახაო სუნგლიენ-ის თვალებში აკიაფებული ცრემლი. მეიშან-მა მხრებზე წამოისხა შიუეისიუ-ს¹⁹ უგრძესი სახელოები, წავიდა, უკან გაემართა. სისხამი დილის, რიყრაყის სხივებით მოფენილ მეიმ ანის სახეზე, მის ტანისამოსზე ათინათები დახტოდა. ბროლის ანარეკლსავით ციმციმებდა. მისი თმა, მაღალ, მრგვალ ვარცხნილობად აკრეფილი, დილის წამით დალტობილიყო. მისი სხეული მთლიანად ნოტიო იყო და კაემანი, ვითარცა ბალახის ღეროს, ანანავებდა.

სტირი? შენ ხომ კარგა მხიარულადა ცხოვრობ, მამ რალა გატირებს? მეიმ ანი, სუნგლიენ-ის წინ მდგომი, გამოუმეტყველო სახითა საუბრობს. სუნგლიენ-მა ამოიღო ცხვირსახოცი, თვალის უპეებში მომდგარი ცრემლის შესაშრობად. მან თქვა, თვითონაც არ ვუნცი რად ან რისთვის. იმ ოპერას, შენ რომ იმღერდი, რა ჰქვია? ჰქვია „ბოროტი სიკვდილით გარდაცვლილ ქალზე გოდება“. მოგეწონა? პეკინური ოპერისა არაფერი გამეგება. უბრალოდ, შენ ისე გულისამაჩუყებლად მღეროდი, ისე იყავი როლში შესული, რომ მე სევდა მომერია. ამას რომ ამბობდა სუნგლიენ-მა იგრძნო, რომ მეიმ ანის სახეზე, ამდენი ხნის განმავლობაში პირველად, კეთილმოსურნე ღიმილი გაკრთა. მეიშან-მა თავი დახარა, დახედა თავის თეატრალურ კოსტუმს, თქვა, ეს ხომ თამაშია. არ ღირს გულთან აგრერიგ ახლოს მიტანა. თუკი კარგად ითამაშებ, შეგიძლია სხვა მოატყუო, ხოლო თუკი ცუდად თამაშობ, მხოლოდ და მხოლოდ შენს თავს იტყუებ.

ჩენ წუოციენ-მა, ჯერაც სუნგლიენ-ის ადგილსამყოფელში რომ იმყოფებოდა, ჩაახველა. სუნგლიენ-მა უხერხულად იგრძნო თავი. გადახედა მეიშან-ს. მეიშან-მა თქვა, არ მიდიხარ, ჩაცმისას რომ მიემსახურო? სუნგლიენ-მა თავი გააქნია, თქვა, არა, თვითონ ჩაიცვამს, რა, ბავშვი ხომ არაა. მეიმ ანი ცოტას შეყოვნდა, გაიცინა, თქვა, ის ყოველთვის მოითხოვს, რომ მე ჩავაცვა ფეხსაცმელიცა და ტანსაცმელიც. სჩანს, ადამიანები განიყოფებიან კეთილშობილებად და არარაობად. სწორედ ამ დროს ჩენ წუოციენ-მა ოთახიდან დაიღრილა, მეიშან, მოდი, შემოდი. მოდი, ერთი ნაწყვეტი რამ მიმღერე! მეიშან-მა, რომ იტყვიან ტირიფისებრი წარბები აჭიმა, დამცინავად ჩაიღიმა, ფანჯარასთან მიიბრინა, ფანჯრიდან ოთახში შესძახა, მამილო, მე არა მნებავს!

სუნგლიენ-მა ამჯერად შეიცნო მეიმ ანის ხასიათი. როცა ამ საკითხს ეშმაკურად შეეხებოდა ხოლმე, ჩენ წუოციენ-ი ამბობდა, ყველაფერში მე თვითონ ვარ დამნაშავე. ამ წლების მანძილზე მეტისმეტად გავანებივრე. თუკი რაიმე მის ჭკუაზე არაა, ლანძღვასაც კი მიბედავს. წინაპრებს გამისხენებს ხოლმე, რვავე თაობას²⁰. ჩენ წუოციენ-მა კიდევ ისიცა თქვა, ამ ძაღლიშვილს, ამ ბოზ დედაკაცს, ადრე თუ გვიან ვუჩვენებ სეირს. სუნგლიენ-მა თქვა, გულს ასე ნუ გაისასტიკებ. სინამდვილეში ხომ საბრალოა, არც ახლობელი გააჩნია, არც წინაპართა ფესვები. სჩანს, ეშინია, რომ მიატოვებ, აი ამიტომ ნაუხდა კიდევ ხასიათი.

მას მერე სუნგლიენ-სა და მეიშან-ს შორის დამყარდა ურთიერთობა, რომელსაც, შეიძლება, არც გულთბილი ეწოდოს და არც გულცივი. მეიმ ანი აზარტულად, ლამის სიგიჟემდე იყო გატაცებული მანნიანგ-ით²¹, შეეძლო ნავახშმევს შუალამემდე, უფრო გვიან ლამემდე, აუდგომლად ეთამაშა. სუნგლიენ-ს ხშირად მოესმოდა კედლის გადაღმა მანნიანგ-ის მაგარ-მაგარი ფირფიტების რაკარუკი, აჭრისას რომ გამოსცემს. ამ ხმის – ხუა-ლა, ხუა-ლა – გამო ხშირად ვერც კი იძინებდა. იგი ბუზღუნებდა, ჩენ წუოციენ-ს შესჩიოდა. ის კი ეუბნებოდა, მოითმინე ცოტა, მანნიანგ-ს როცა თამაშობს ცოტა არ იყოს ჭკუაზე მოდის. ასეა თუ ისე, ფულს მთლად რომ წააგებს, მეტს აღარ მიცემ. დაე, ითამაშოს რამდენსაც ინებებს, ვიდრე არ ჩაძალდებდა! ერთხელაც, მოულოდნელად, მეიშან-მა სუნგლიენ-თან გამოგზავნა თავისი იახუ ანი. მანნიანგ-ის სათამაშოდ ეპატიჟებოდა. სუნგლიენ-მა მოკლედ მოუჭრა, უკან გაისტუმრა იახუანი, თქვა, წადი, უთხარი – მანნიანგ-ის სათამაშოდ მე წამოვიდე? ეს როგორ მოგივიდა თავში?! იახუ ანი რომ გაბრუნდა, უკან რომ გაემართა, ახლა მეიმ ანი თავად ეახლა. თქვა, სათამაშოდ სამნი უკვე შეგვროვდით, მარტო ერთილა გვაკლია. ქენი სიკეთე, ერთხელ დამდე პატივი. სუნგლიენ-მა თქვა: და თამაში რომ არ ვიცი, თავის მოკვლა ხომ არ მინდა, აშკარა ნაგებაზე რომ წამოვიდე? მეიმ ანი მხრებში ჩააფრინდა, წამოდი, თუ წააგებს, ფულს არ დაგადებინებენ, მოიგებს და შენი იქნება, წააგებს და მე გადავიხდი. სუნგლიენ-მა თქვა, არა, საქმე ეს კი არაა, ეს თამაში არ მიყვარს, ესაა მთავარი. ეს რომ თქვა, სუნგლიენ-მა შეამჩნია, მეიშან-ს ერთბაშად თუ როგორ შეეცვალა სახე,

რა დამცინავად თქვა, ჰმ! რაო, რა გაბადია ამ სახლში? გეგონება ოქროს განძეულს ყარაულად უდგებხარ, შინიდან ფეხი რატომ ვერ გაგიდგამს? ერთი ჩირივით გამხმარი ბებერი გყავს მარტოდ მარტო. ეს არის და ეს. სუნგლიენ-ს წყენამ სუნთქვა შეუკრა, ლამის იყო აფეთქებულიყო. სალანძღავი სიტყვები მოადგა ენაზე, მაგრამ ჩაყლაპა. წამისყოფაში აწონ-დანონა ვითარება და თქვა, კარგი, წამოგყვები.

მოთამაშე წყვილი უკვე შემოსხდომოდა სათამაშო მაგიდას. ერთი მათგანი ოჯახის მოურავი იყო, სახელგვარად ჩენ ძოვენ-ი. მეორე, უცნობი იყო. მეიშან-მა როგორც წარუდგინა, ექიმი იყო. მას ეკეთა ოქროსჩარჩოიანი სათვალე, შავგვრემანი იყო, ტურები ჰქოდა ისე წითელი და ნაზი, როგორც გენახოთ უმანკო ქალწულს. სუნგლიენ-ს უწინაც დაენახა იგი, მეიმ ანის სასუფეველიდან გამოსული. რატომღაც არა სჯეროდა ექიმი რომ იყო.

სუნგლიენ-ი სათამაშო მაგიდას გულგრილად უჯდა. გონებას ვერა და ვერ იკრებდა, მით უფრო, რომ ცუდი მოთამაშე იყო. შეცბუნებულს ჩაესმოდა მათი შეძახილები, ხ-ლ'ე, ხან კიდევ ძიმო²². სუნგლიენ-ს ისლა დარჩენოდა ფული დაედო ხოლმე. თანდათან დაენანა ფული. თქვა, თავი ამტკიცდა, წავალ, დავისვენებ. მეიშან-მა თქვა, რაკი დაჯექი, ახლა რვა ხელი მაინც უსათუოდ უნდა ითამაშო, წესი ასეა. სჩანს, წაგებული ფული დაგენანა! ჩენ ძოვენ-მა, იქვე მჯდარმა, თქვა, არაფერია, ცოტას გაკოტრდები, კარგი ნიშანია, წაგებული ფული უბედურებას თან გაიყოლებს. ისევ მეიშან-მა თქვა, ჩათვალე, რომ დღეს შენ ჭუოიუნ-ს სიკეთე უყავი. იმას მოწყენილობისაგან სული ეხუთება. შენ კი ერთი ღამით დაუთმე ბებრუცუნა. ის ნაღდი ფული-თაც კი აგინაზღაურებს წანაგებს. ორმა მამაკაცმა გადაიხარხარა. სუნგლიენ-მაც გაიცინა, თქვა, მეიშან, შენ დიდი ხუმარა ვინმე ხარ. გულში კი ისეთი გრძნობა ღდაებადა, ეგონა ბუზი გადაყლაპაო.

შეუძლებელი იყო სუნგლიენ-ის, გარეშე დამკვირვებლის, თვალს არ შეენიშნა მეიმ ანი და ექიმი ერთ-მანეთს თვალებით სასიყვარულო შეთქმულების იდუმალ ნიშნებს თუ როგორ სტყორცნიდნენ. დარწმუნებულიც იყო, მის გუმანს არაფერი რომ გამოუპარებოდა. მანიაგ-ს რომ ჭრიდნენ, იმ წუთას სუნგლიენ-ს ხელიდან გაუვარდა მანიაგ-ის ფირფიტა, დაიხარა და მაგიდის ქვეშ უმალ მოჰკრა თვალი ოთხი ფეხის უცნაურ მდგომარეობას. მაგიდის ქვეშ შემალული ფეხები ერთურთს უცნაურად შენმახნოდა, მიტმასნოდა. ხოლო როცა გაშორიშორდნენ, ეს მოხდა ძალიან სწრაფად და ბუნებრივად, განაფულად. მიუხედავად ამისა სუნგლიენ-მა ეს მაინც დანამდვილებით დაინახა.

სუნგლიენ-მა არც შეიმჩნია და არც არაფერი გამოუმჟღავნებია, მაგრამ არც მეიმ ანისა და არც ექიმისათვის სახეში მეტი აღარ შეუხედავს. იმ წუთებში მისი მდგომარეობა რთული იყო, ცოტა არ იყოს დაბნეული, ცოტა არ იყოს დაძაბული და ცოტა არ იყოს აღგზნებულად გახარებულიც. სხვისი უბედურების გამო ბოროტი სიხარული დაუფლებოდა. თავისთვის, გუნებაში ამბობდა, მეიშან, მეტისმეტად ლალად, მეტისმეტად აღვირახსნილად და გიჟურად ცხოვრობ.

შემოდგომით ხშირია დღეები, როდესაც სარკმლის მიღმა ცა ჩამოზნელებულია, მოლუშული. ბაღში წვრილ-წვრილ ძაფებად ჩამოკიდულა გაუთავებელი წვიმა. წვიმის წვეთები ძ'წინ-ის ეკლიან ბურქებს და ბროწეულის ტოტებს რომ ეცემა, ისეთ ხმაურსა სტეხს, თითქოს იემშის ლარნაკი წვრილ-წვრილად დამსხვრეულიყოს და ფოთლებზე მოელვარე წვეთებად ბრჭყვიალებს. ასეთ დროს სუნგლიენ-ი, ფანჯარასთან მიმჯდარი, გარინდებული გასცქეროდა აბრეშუმის ქსოვილს, სარეცხის თოკზე გასაშრობად გაფენილს, წვიმას მთლად რომ გაეჟიბინა. გუნება-განწყობა მისი რთული, გაღიზიანებული იყო. თავში ისეთი აზრები უტრიალებდა, იდუმალი რომ იყო, არ გამოითქმოდა.

სუნგლიენ-ს ვერაფრით ვერ გაერკვია თუ რატომ ხდებოდა ისე, რომ მოლუშული, წვიმიანი ამინდის დადგომისთანავე მისი ფიქრები ლოგინის საქმეებისაკენ მიიწვედა ხოლმე. ჩენ წუოციენ-ი, რალა თქმა უნდა, არასოდეს არ აქცევდა ყურადღებას იმას, თუ როგორ ზემოქმედებას ახდენდა ამინდი ქალის ბუნებრივ მოთხოვნილებებზე. ჩენ წუოციენ-ს იმის უნარილა შესწევდა, არ დაეფარა თავისი შეცბუნება. ის ამბობდა, წლები არავის ინდობსო, ხოლო მე, ამასთანავე, მძულს აღმგზნები საშუალებები, რალაც ისეთები, სანპიენ-ი რომაა, ან კიდევ შენიოუ²³. ჩენ წუოციენ-ი უაღერსებდა სუნგლიენ-ის ვარდისფერ თბილ-თბილ სხეულს, ეხებოდა უამრავ ბაჭიას მის კანქვეშ თითქოს რომ გარბი-გამორბოდნენ, ლამის იყო ამომხტარიყვენ და გამობხატავდენ ქალის დაუოკებელ გზნებას. მისი ხელები გაშმაგებით მიმოქროდნენ, ტურები ლოშნიდნენ ქალს. აჭარხლებული სუნგლიენ-ი, გრძელ ტახტზე განოლილი, აყურადებდა ფანჯრის მიღმა ჩმარგალიტის მიმოფანტული მარცვლებისებრ მოშხაპუნე წვიმას. თვალები მიელულა, კუთავდა, კრუსუნებდა. მან ჩაიკრუტუნა, მთავარია, რომ წვიმს. ხოლო ჩენ წუოციენ-მა ვერ გაარკვია მისი უაზრო სიტყვები. რაო, რა თქვი? მძივიო? სუნგლიენ-მა უკმეხად თქვა, ჰო, მძივი, მე მინდა ყველაზე საუკეთესო მძივის ერთი ასხმა. ჩენ წუოციენ-მა თქვა, რა არის ისეთი, მე რომ არ მოგცე? მაგრამ არასგზით და არაფერი იმათ არ უთხრა. სუნგლიენ-ი უცებ მთელი ტანით შეტრიალდა. მყისიერად წამოჯდა. იმათ? რას წარმოადგენენ ის სამნი ჩემთვის? მიმიფურთხებია! ჩენ წუოციენ-მა თქვა, რასაკვირველია, ვერც ერთი იმათგანი შენ ვერ შეგედრება. თუმცკი შეამჩნია, სუნგლიენ-ს ძალზე რომ შეეცვალა გამომეტყველება. სუნგლიენ-მა ხელი ჰკრა, მოიშორა ჩენ წუოციენ-ი, სწრაფად ჩაიცვა პერანგი, ფანჯარასთან მივიდა. ჩენ წუოციენ-მა თქვა, რა მოხდა? სუნგლიენ-ი შემოუბრუნდა, ნაწყენმა თქვა, განწყობა აღარ მაქვს, ვისი ბრალია შენ რომ გამახსენე ისინი?

ჩენ წუოციენ-ი და სუნგლიენ-ი ერთად დგანან ფანჯარასთან და გასცქერიან გულის გამანვრილებელი

წვიმით დაღვრილი არემარეს. ასეთ დროს გეგონებოდათ მთელი სამყარო სველი, ნესტიანი, უსაზღვროდ მოსაწყენი იყო. ბაღში ადამიანიშვილი არ ჭაჭანებდა, ფოთლები ლაპლაპებდა ხასხასა სიმწანით, ისინიც გრილ, ფუჭ ამაოებას ასხივებდნენ. იქ, შორს, თალარზე გლიცინიებს ნიავმა ჩამოუქროლა. შეარხია რტოები, ადამიანის სხეულს რომ ჩამოჰგავდნენ. სუნგლიენ-ს გაახსენდა ჭა და მის ირგვლივ ატეხილი მითქმა-მოთქმა. სუნგლიენ-მა თქვა, ეს რაღაცეები, აი ის, ბაღში რომაა, ცოტა არ იყოს ეშმაკისეულიაო. ჩენ წუოციენ-მა თქვა, რატომ უნდა იყოს ეშმაკისეული? სუნგლიენ-მა მოკუმული ტუჩები იქეთ გაიშვირა, აი ის, ჭა. ჩენ წუოციენ-მა თქვა, სულ ორად-ორმა დაიხრჩო იმ ჭაში თავი, იმ ბედოვლათებმა, იმათ. სუნგლიენ-ი ჰკითხავს, ვინ იყვნენ? ჩენ წუოციენ-მა თქვა, ასეა თუ ისე, შენ ისინი არ გეცნობებოდა, ოჯახის უფროსი თაობის ორი ქალი იყო. სუნგლიენ-მა თქვა, ხარჭები იქნებოდნენ, უეჭველია! ჩენ წუოციენ-ს მყისვე შეეშალა სახე, ეს ვინ გითხრა? სუნგლიენ-მა სიცილითა თქვა, არავისაც არ უთქვამს, მე თვითონ ვნახე, მე მივედი ჭასთან, ის-ის იყო შიგ ჩავიხედე და რას ვხედავ, წყლის ზედაპირზე ორი ქალი ტივტივებს. ერთი მე მგავს, და მეორეც მე მგავს. ჩენ წუოციენ-მა თქვა, სისულელეებს ნუ რომავ, იქ მეტად ნულარ ნახვალ. სუნგლიენ-მა ხელი ხელს შემოჰკრა, თქვა, ეს არ მოხდება, მე ჯერ არ შევკითხვივარ იმ სულელებს, ჭაში რატომ ჩაიგდეს თავი? ჩენ წუოციენ-მა თქვა, არც არის საჭირო. რასაკვირველია, ბინძურ საქმეების გარეშე ეს არ მოხდებოდა. სუნგლიენ-ი დიდხანსა დუმდა. მერე, უეცრივ, ერთადერთი წინადადება წარმოთქვა, უცნაური არაა, ამ ეზო-კარში ამდენი ჭა რომაა. ეტყობა, თვითმკვლელებისათვისა თხრიდნენ. ჩენ წუოციენ-მა ერთბაშად ორივე ხელი შემოხვია, გულში ჩაიკრა. რაც მეტსა ყბედობ, მით უფრო შორდები სიმართლეს. მორჩი, გეყოს ამ სისულელეებზე ფიქრი. ამ სიტყვებით სუნგლიენ-ის ხელს ხელი ჩასჭიდა, მოუჭირა, იმ ადგილს მოაკიდებინა. მან თქვა, აი ახლა კი უკვე მზადაა, მიდი! შენს ლოგინში სულიც რომ დავლიო, მაინც გავიხარებ, ბედნიერებას ვენევი.

ბაღში შემოდგომის თქეში ხუოდა, ფანჯრის აქეთ კი წყვილი ერთმანეთს მისდგომოდა, სცხოვრებდნენ, ხოლო ამ ყოველივეს სიკვდილის სუნი სდიოდა. სუნგლიენ-ის თვალწინ იდგა სასთუმალზე ღრმა კაეშანით მოცული, იდუმალ მიმწუხრში ჩაფლული მოიისფრო-შინდისფერი წვრილ-წვრილი რამდენიმე ქრიზანთემა, მკრთალი წითელი შუქ-ჩრდილით ლიცლიცებდნენ. სუნგლიენ-ს მოესმა, თითქოს კარსუკან რაღაც გაფაჩუნდა. მან ხელი დასტაცა სუნამოს პატარა შუშას, პირველივე საგანს, რაც ხელში მოხვდა, კარისაკენ მოისროლა. ჩენ წუოციენ-მა თქვა, რა იყო, ისევე რა გემართება? სუნგლიენ-მა თქვა, ის გვითვალთვალავს. ჩენ წუოციენ-მა თქვა, ვინ გვითვალთვალავს? სუნგლიენ-მა თქვა, იენერ-ი. ჩენ წუოციენ-მა გადაიხარხარა. რა არის აქ ისეთი, სათვალთვალო? თანაც იქედან ხომ არაფერი მოჩანს. სუნგლიენ-მა უჩვეულო სიმკაცრით მიუგო, ნუ იცავ. რა გინდ შორსაც არ უნდა იყოს, მისი მყრალი სუნი ცხვირში მაინცა მკრავს ხოლმე.

მოსალამოვებულები. ადამიანთა გუნდი ბაღში წრეზე ისხდა. უსმენდნენ ფეიპუ თუ როგორ უკრავდა სიაოს²⁴. ფეიპუ-ს ვეროპული კოსტუმი აბრეშუმის შარვალ-პერანგით²⁵ შეეცვალა. ეს კიდევ უფრო ამძაფრებდა მის რომანტიკულსა და მომხიბლავ გარეგნობას. ფეიპუ-ს ხელში ეპყრა სიაო. იჯდა ხალხს შორის, გარს რომ შემორტყმოდნენ. უმეტესობა მისი მეგობრები იყვნენ, სავაჭრო საქმიანობასთან დაკავშირებულნი. ამ დროს, ჩენ-ების ოჯახის წევრებისა და მსახურთა მთელი ყურადღება ამ გუნდისაკენ იყო მიმართული. მსახურნი შორიახლოს, მცირე სახლების ზღურბლზე იდგნენ, იქედან აკვირდებოდნენ და მათ შესახებ ერთიმეორეს ჩუმი ხმით ემასლაათებოდნენ. დანარჩენებს, ვინც შინ დარჩენილიყო, ასევე შეეძლოთ გაეგონათ სიაო-ს ხმა, წყლის ნაკადისავით მათს ფანჯრებში ნელი-ნელ რომ მიედინებოდა. არავის ძალედვა გვერდი ექცია ფეიპუ-ს სიაო-ს ჰანგისათვის.

სუნგლიენ-ს გულის სიღრმემდე აღელვებდა ფეიპუ-ს სიაოს ხმა. ხანხან ცრემლიც ერეოდა და თვალთაგან ღვარად გადმოსქდებოდა. მას ისე ძალიან ენადა ამ მამაკაცთა შორის ჩამომჯდარიყო, ფეიპუ-ს სიახლოვეს. ფეიპუ, სიაოთი ხელში, აგონებდა უნუფერსიტეტის ერთ სტუდენტს, განმარტოებით რომ იჯდა და ცინს²⁶ უკრავდა. მას სტუდენტის სახე აღარ ახსოვდა. იმ ყმანვილისადმი არავითარი იდუმალი გრძნობა არასოდეს გააჩნდა, მაგრამ, ვინაიდან სუნგლიენ-ის ბუნება იმგვარი იყო, ყოველგვარი მშვენიერება იოლად რომ ხვდებოდა მის გულს, იმ სტუდენტმაც, რომ იტყვიან, შემოდგომის მონაბერი ქარი წყლის ზედაპირს რომ ამღვრევს და ათრთოლებს, სულში იმგვარი კვალი დაუტოვა. სუნგლიენ-ი ყოყმანობდა, ვერ გადაეწყვიტა, მისულები თუ არა. მერე მოწნული სავარძელი ზღურბლზე გაიტანა, დაჯდა, სმენად იქცა. ფეიპუ-ს სიაოს ჰანგს მიაპყრო ყური. მაღლე მუსიკა მიჩუმდა. კაცებმა, იქეთა მხარეს, საუბარი გააბეს. სუნგლიენ-მა მყისვე მოიწყინა. გაიფიქრა, რა მოსაბეზრებელია ეს მუსიკა, შენ მე მომატყუებ, მე შენ გაგაცურებ. ადამიანები, როგორც კი მასლაათს გააბამენ, მაშინვე ცრუდ, ფარისევლებად გარდაიქცევიან. ასე და ამგვარად ადგა, შინ შებრუნდა. უეცრად გაახსენდა, რომ თავის სკივრში გრძელი სიაო ჰქონდა, მამამისის ნაქონი, ნამემკვიდრალი რელიქვია. სუნგლიენ-მა გახსნა თავისი მოწნული სკივრი. დიდი ხანიც იქნებოდა რაც ნივთები არ გამზუვენებულებიყო, ყველაფერს ობის სუნი მოჰკიდებოდა. კარგა ხნის მივიწყებული სტუდენტური დროის ტანისამოსი, ლაზათიანად დაკეცილი, დასტა-დასტად იყო ჩალაგებული, ისევე, როგორც მისთვის უკვე ჩარაზულ-და-ლუქული წარსული ცხოვრების დღეები. მის მესხიერებაში ნაწყვეტ-ნაწყვეტად აღდგა, წვეთ-წვეთ ჩამოიღვენთა სევდაც და იმავდროულად ილუზიებიც. სუნგლიენ-მა გასწი-გამოსწია ტანისამოსი. სიაო არა ჩანდა. მას ცხადად ახსოვდა, სახლიდან წამოსვლისას სიაო ძირში, სკივრის ფსკერზე რომ ჩადო. ეს როგორ მოხდა,

რომ აღარაა?! იენერ, იენერ, აქ მოდი! სუნგლიენ-მა შუშაბანდში გასძახა. გამოჩნდა იენერ-ი, თქვა, მეოთხე ქალბატონო, ბატონიშვილის სიაო-ს რატომ არ უსმენთ? ? სუნგლიენ-მა თქვა, შენ ახლე ხელი ჩემ სკივრს? იენერ-მა თქვა, ახლახანს არ მიბრძანეთ დამელაგებინა სკივრი? მე ხომ მთელი ტანისამოსი წესიერად დავკეცე, ჩავალაგე? სუნგლიენ-მა თქვა, ერთი სიაო არსად გინახავს? სიაო? თქვა იენერ-მა. არ მინახავს. სიაო-ს ხომ მხოლოდ მამაკაცები უკრავენ! სუნგლიენ-მა თვალი დაასო. სახეზე ბრაზიანმა სიცილიმა გადაურბინა. იენერ, ესე იგი შენ მოიპარე ჩემი სიაო! იენერ-მა თქვა, მეოთხე ქალბატონო, ცილსა მწამებთ. რაში მჭირდებოდა ეგ თქვენი სიაო-ს მოპარვა? სუნგლიენ-მა თქვა, ვინ უწყის, რა ეშმაკისეული აზრები გიტრიალებს მაგ შენ გოგრაში. დილიდან დაღამებამდე ათასგვარ ეშმაკურ ფიქრებს დაატარებ, თანაც თავს მაჩვენებ, თითქოსდა აქ არაფერ შუაში ხარ. იენერ-მა თქვა, მეოთხე ქალბატონო, ტყუილუბრალოდ მდებთ ბრალს, წაბრძანდით, ბატონსა ჰკითხეთ, ბატონიშვილს, მეორე, მესამე ქალბატონებსა ჰკითხეთ, ერთი სპილენძის ხურდა ფული მაინც ბატონებისათვის თუ ოდესმე მომიპარავს. სუნგლიენ-მა ყური აღარ ათხოვა. მხოლოდ ამრეზით შეხედა. მერე სირბილ-სირბილით შევარდა გვერდზე მიშენებულ პატარა ოთახში. ფეხით შედგა იენერ-ის ნაირნაირი ჯიშის ხის ფიცრებისგან შეჭედნილ სკივრზე, თქვა, სიტყვაზე აგრე მაგარი რომ ხარ, აბა, მიდი, გახსენი! იენერ-ი სუნგლიენ-ის ფეხს ჩააფრინდა, ეჯაჯგურება, ეხვეწება, მეოთხე ქალბატონო, ნუ ქელავთ ჩემ სკივრს, მე ნამდვილად არ ამიღია თქვენი სიაო. სუნგლიენ-მა რომ დაინახა როგორ შეშინდა იენერ-ი, კიდევ უფრო განუმტკიცდა საკუთარი იჭვის მართებულობა. ხელი დასტაცა ოთახის კუთხეში მიყუდებულ ცულს, თან ამბობს, დაეჩეხავ, ვნახოთ ერთი შიგ რა გაქვს. იქ თუ არაფერი იქნა, ხვალვე აგინაზღაურებ, ახალ სკივრს გიყიდი. კბილი კბილს დააჭირა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა სკივრს ჩასცხო ცული. იენერ-ის სკივრი მყისვე დაიშალა. ტანისამოსი, სპილენძის ხურდა ფული, წვრილ-წვრილი სათამაშოები იატაკზე მიიფანტ-მოიფანტა. სუნგლიენ-მა სათითაოდ დაბერტყა ძონძმანძი. სიაო არსად იყო. უცბათ ხელში მოხვდა თეთრი ქსოვილის პატარა ბოხჩა. გაშალა, ხედავს, შიგ ნაჭრის პატარა თოჯინაა გამოხვეული. გულისპირზე, იქ, სადაც ადამიანის გული უნდა იყოს, ჩარჭობლია სამი წმინდა ნემსი. სუნგლიენ-ს თავდაპირველად ეს სასაცილოდ ეჩენა, მაგრამ მალევე დაინახა, რომ თოჯინა თითქო სახით მას ჰგავდა, საკმაოდაც ჰგავდა. კიდევ მეტად დააკვირდა. ხედავს, ძლივს აჩნია ტუშით დაწერილი სიტყვა – სუნგლიენ-ი. ელვისებურად ენით უთქმელმა ტკივილმა განმსჭვალა, სახეზე მიტკლის ფერი დაედო. იენერ-ი, იქვე, კედელს მიყრდნობილი, შიშით სავსე თვალებით შესჩერებოდა. სუნგლიენ-მა უეცრად დაიკივლა, ეცა, ეძგერა იენერ-ს, თმაში ჩააფრინდა, თავი კედელს არტყემევინა, თვალები ცრემლით ავსებოდა, ყვიროდა, ღრიალებდა, მე შენ გიჩვენებ სასიკვდილო ჯადოთი შეკვრა როგორ უნდა! მე შენ გიჩვენებ სასიკვდილოდ გათვალვა როგორ უნდა! იენერ-ი, ღონეგამოცლილი, წინააღმდეგობას ვერ უწევდა, თავის დასაღწევი ძალა არა ჰყოფნიდა, ისლა დარჩენოდა დამბლადაცემულივით იქვე ჩაკეცილიყო. დრო და დრო ამოიზღუქუნებდა. სუნგლიენ-ი ბოლოს და ბოლოს მოიქანცა, ძლივსლა სუნთქავდა. უეცრად თავში გაუელვა, იენერ-ი ხომ უნიგნურია, წერა-კითხვა არ იცის. მაშ, თოჯინას მისი სახელი ვინ წაანერა? ამ კითხვამ კიდევ უფრო გააგულისა, გულზე მძიმე ლოდად დაეცა. მაშინ აიღო და ჩაცუცქდა, იენერ-ს ცრემლი მოსწმინდა, ხმა შეიცვალა, ალერსით ეუბნება, ნუ სტირი, რაც იყო, იყო, არ შეგიძლებ. ასე მეტად ნულარ მოიქცევი, მორჩა და გათავდა, მაგრამ ის მაინც უნდა მითხრა, ჩემი სახელი ვინ წაგინერა? იენერ-ი ჯერაც ჩუმი ხმითა მოთქვამს. უარის ნიშნად თავს აქნევს, იმეორებს, არ გეტყვი, არ შემიძლია თქმა. სუნგლიენ-მა თქვა, ნუ გეშინია, არც მე გავიტან ამ ამბავს გარეთ, ოღონდ მითხარი და არ დავუშვებ შენ რამე დაგიშავდეს. იენერ-ი ისევ და ისევ იქნევს თავს. სუნგლიენ-ი კარნახობს – ეს იუიყუ-ა? იენერ-ი თავს აქნევს. მაშ, რალა თქმა უნდა, მეომ ანია, ხომ? იენერ-ი კვლავინდებურად იქნევს თავს. სუნგლიენ-მა ცივი ჰაერის ყლუბი ჩაისუნთქა. ხმა აუკანკალდა. ნამდვილად ჭოოიუნ-ია? იენერ-ს თავი მეტად აღარ გაუქნევია. სასონარკვეთილი გაშეშებულიყო. სუნგლიენ-ი ზეზე წამოდგა, ზეცას ახედა, ერთადერთი წინადადება წარმოთქვა: სახით იცნობდე ადამიანს, არ ნიშნავს შეიცნო გული მისი, ამას უკვე დიდი ხანია მივხვდი!

ჩენ წუოციენ-მა შეამჩნია სუნგლიენ-ს თვალები რომ ჩასწითლებოდა და დასიებოდა. დივანზე იჯდა, განმარტოებული, გახვევებული. ხელით დამჭკნარ ქრიზანთემასა სრესდა. ჩენ წუოციენმა თქვა, ახლახანს გიტირია? სუნგლიენ-მა თქვა, არა, რას ამბობ, შენ ისე კარგად მეპყრობი, რა მაქვს სატირალი? ჩენ წუოციენ-ი ჩაფიქრდა, თქვა, თუკი მოწყენილობას შეუნუხებხარ, შემიძლია ბალში გაგასეირნო. შეიძლებოდა ქალაქშიც გაგვევლო, მიგვერთმია ღამის იესიაო²⁷. სუნგლიენ-მა კიდევ რამდენჯემე თითუბით გასრისა ყვავილი და უცაბედად ფანჯრიდან მოისროლა. ცივი ხმით შეეკითხა, რა უყავი ჩემი სიაო? ჩენ წუოციენ-ი მოულოდნელობისაგან შეცბა, წამით შეყოყმანდა, თქვა, გრძობებში გაორებისა შემემინდა, ავიღე და გადავმალე. სუნგლიენ-ის ტურებს დამცინავი, ცივი ღიმილის ჩრდილმა გადაურბინა. ჩემი გული აქაა სრულად, რომელ გაორებაზე მელაპარაკები? ჩენ წუოციენ-მა დაბნეულად, ნირწამხდარმა თქვა, მამ მითხარი, ვინ გისაჩუქრა ეგ სიაო? სუნგლიენ-მა ზანტი ხმითა თქვა, სასიყვარულო საჩუქარი არაა. მემკვიდრეობით მერგო, მამაჩემისაგან გადმომეცა მემკვიდრეობით. ჩენ წუოციენ-მა ცოტა არ იყოს უხერხულობა იგრძნო, თქვა, ტყუილუბრალოდ შემპარვია იჭვი. მეგონა ვინმე სტუდენტმა გისაჩუქრა. სუნგლიენ-მა ხელები გაშალა, თქვა, ჩქარა დამიბრუნე! ჩემ ნივთებს მე თვითონვე მოვუვლი. ჩენ წუოციენ-ი კიდევ უფრო დაიბნა, დაირცხვინა, ხელებს იფშენეტს. ძან ცუდია, უკვე ვუბრძანე დაენვათ. ჩენ წუოციენ-ს არ გაუგონია, დაძრა თუ არა სიტყვა

სუნგლიენ-მა. ოთახში ნელნელა ჩამობნელდა. მან ნათურა ჩართო. დაინახა სუნგლიენ-ს მთლად წასვლოდა ფერი. თოვლივით თეთრი ფერი დასდებოდა. ცრემლი უხმოდ ჩამოედინებოდა ღანვებზე.

ეს ღამე ორივესათვის განსაკუთრებული ღამე იყო. სუნგლიენ-ი კრავსა ჰგავდა. ორივე ხელი საკუთარ მხრებზე შემოეჭდო და ჩენ წუოციენ-ისაგან რაც შეიძლება შორს ეჭირა თავი. ჩენ წუოციენ-მა ალერსით მოუთათუნა ხელი. არავითარი გამოძახილი არ მოჰყოლია. იგი ხან ჩართავდა შუქს, ხან გამოთიშავდა, მაგრამ თვალწინ სუნგლიენ-ის სულ ერთი და იგივე უგრძობი სახე ედგა. ქალაღდის თეთრ ფურცელსა ჰგავდა. ჩენ წუოციენ-მა თქვა, ეს უკვე მეტისმეტია. ისლა დამრჩენია შენ წინაშე დავიჩოქო და პატიება შემოგთხოვო. სუნგლიენ-მა ჯერ იყურა, მერე თქვა, რალაც ცუდად ვარ. ჩენ წუოციენ-მა თქვა, ყველაზე უფრო ის მეჯავრება, ხასიათს რომ მიკერავენ. სუნგლიენ-მა ზურგი შეაქცია, თქვა, ჭუოიუნ-თან წადი! ის ყველას უღიმის. ჩენ წუოციენ-ი სანოლიდან ჩამოხტა, ჩაცმა დაინყო, თქვა, მამ წავიდე? წავალ! საბედნიეროდ კიდევ სამი ცოლი მყავს.

*** **

მეორე დღეს, როცა ჭუოიუნ-ი სუნგლიენ-ის ადგილსამყოფელში მივიდა, სუნგლიენ-ი ჯერაც ლოგინში იწვა. სუნგლიენ-მა თვალის მოჰკრა, ფარდა რომ გადასწია, მასთან შესვლას რომ აპირებს. კანკალმა აიტანა. თავი მოიმძინარა, წევს თვალდახუჭული. ხოლო ჭუოიუნ-ი სანოლის ნაპირზე ჩამოუჯდა, ხელი გაინოდა, სუნგლიენ-ის შუბლს შეეხო, თქვა, ცხელი არაა. ალბათ ავად კი არ გამხდარა, ნაწყენია, გაბუტული! სუნგლიენ-მა თვალმოჭუტულმა გამოხედა, გაუღიმა. ოჰ, მოხვედი?! ჭუოიუნ-მა ხელი მოჰკიდა, თქვა, ადექი ჩქარა. ასე თუ იწვები და იწვები, ავადმყოფობის გარეშე, რაიმე ჭირს გამოჩეკავ, კრუხის წინილებსავით. სუნგლიენ-მა თქვა, აი, ავდგები და რა? ჭუოიუნ-მა თქვა, თმა შეგიჭრია. აი, მეც მინდა სტუდენტური ვარცხნილობა მქონდეს, ეგებ ცოტა გახალისდე.

ჭუოიუნ-ი ზის მრგვალ უზურგო სკამზე, ელოდება სუნგლიენ-ი თმას რომ შეაჭრის. სუნგლიენ-მა ხელი დაავლო ერთ ძველ კაბას, შემოახვია. მერე სავარცხლით ნელ-ნელა დაუნყო ჭუოიუნ-ს თმის ჩამოვარცხნა. სუნგლიენ-მა თქვა, თუ არაფერი გამომივიდა, უხეიროდ თუ შეგაჭრი, არაფერი დამაბრალო. შენ ისეთი მშვენიერი თმა გაქვს, ნამდვილად დასანანია მაკრატელი შეეხოს. მაჟრჟოლებს კიდევაც. ჭუოიუნ-მა თქვა, თუ არ გამოვა, მაინც არა უშავს რა. ჩემ ასაკში რალა დროისაა მინდოდეს ღამაში ვიყო. სუნგლიენ-ი ისევ და ისევ უვარცხნის თმას. ქვემოდან ზევით აუვარცხნის, ზემოდან ქვემოთ ჩამოუგებს. მერე თქვა, მამ ვინყებ შეჭრას. ჭუოიუნ-მა თქვა, მიდი, შემაჭერი, რად შეშინებულხარ? სუნგლიენ-მა თქვა, მთავარი ისაა, ხელი ნაჩვევი რომ არა მაქვს. მეშინია უცაბედად არ დაგჭრა. ესა თქვა და დაინყო შეჭრა. ჭუოიუნ-ის მშვენიერი, კუპრივით შავი, ხშირი, ფაფუკი დალალი დალალს მისდევს, იატაკზე ცვივა. თან ახლავს ფოლადის ტკაცავ-ტკუცის ხმა, მაკრატლის პირი რომ გამოსცემს. ჭუოიუნ-მა თქვა, რა მარდი ხარ, რა მკვირცხლი, ხომ კი? სუნგლიენ-მა თქვა, ნუ მაქებ, შემაქებენ თუ არა, მაშინვე ხელი ამიკანკალდება. სიტყვა ჯერაც არ დაესრულებინა, რომ გაისმა გულგანმგმირავი კივილი. ჭუოიუნ-ს ყური გაჭროდა, გასეროდა.

წივილ-კივილი ისეთი ატყდა, იმათაც გაიგონეს, ბაღში ვინც იყო. მეიმ ანის სახლიდანაც მოქანდა მთელი ჯალაბი. გავიგოთ ერთი რა მოხდაო. თვალწინ დაუდგათ სურათი – ჭუოიუნ-ს მარჯვენა ყურზე ხელი აუფარებია, ტკივილისაგან ცივი ოფლი ასხამს. სუნგლიენ-ი, მაკრატლით ხელში დგას, ფერწასული. ხის იატაკზე მიმოფანტულა კუპრივით შავი თმის რამდენიმე დალალი. რა დაგემართა, ჰკითხავს ჭუოიუნ-ი, თვალთაგან ცრემლი ღვარად მოედინება. სიტყვა არც დაასრულა, ყურზე ხელაფარებული ბაღში გავარდა. სუნგლიენ-ს ფეხი დაუდგამს თმების გროვაზე, დგას ქანდაკებასავით გაქვავებული. მაკრატელი ხელიდან გაუვარდა. თავისთვის ჩაილაპარაკა, ხელები მიკანკალეს, ავად ვარ. მერე ყველა გაყარა, სერის მაცურებელი მსახურნი ოთახიდან გააძევა. აქ რა ჯანდაბა გინდათ? რად არ იჩქარით ექიმი მოუყვანოთ მეორე ქალბატონსაო.

მეიმ ანი, ვაჟიშვილს, ფეილან-ს ხელჩაკიდებული, კვლავაც ოთახში დგას. მოღიმარი სახით შესცქერის სუნგლიენ-ს. სუნგლიენ-ი თვალს არიდებს. ხელი დაავლო ლერწმის რტოებისაგან შეკონილ ცოცხს, თმების მოგვას მიჰყო ხელი. მეიმ ანი იცინის, რაც ძალი და ღონე აქვს ხარხარებს. სუნგლიენ-ი ჰკითხავს, რა იყო, რა გაცინებს? მეიშან-მა თვალის ჩაუკრა, თქვა, მე თუკი ვინმე შევიძულე, ისეთი სიძულვილით აღვინთები, მეც შევეძლებ ყური წავაჭრა, მთლადაც წავაცალო, სულ ერთი ბენოც არ შევარჩინო. სუნგლიენ-ი მოიღუშა, თქვა, ამით რის თქმა გინდა? ნუთუ გგონია განზრახ ჩავიდინე? მეიშან-მა კვლავ ეშმაკურად ჩაიხითხითა, თქვა, მარტო ზეცამ უწყის!

სუნგლიენ-მა აღარ მიაქცია ყურადღება მეიშან-ს. წავიდა, დაწვა, თავზე საბანი წაიფარა, ესმოდა რა გამმაგებით უბაგუნებდა გული. არ უწყოდა, მაკრატლით რომ დაჭრა, ამის გამო გულში უნდა მოინანოს ცოდვა? უდევს კია ბრალი? ერთი რამ კი მტკიცედ იცოდა, რაც უნდა მომხდარიყო, ყველას უნდა ერწმუნა, მას ეს განზრახ არ ჩაუდენია. ამ დროს საბანქვემ ჩაესმა მეიმ ანის ხმა, მას მიმართავდა, ჭუოიუნ-ი სახითაა კეთილშობილი, გულით კი - ღრიანკალი. ასე უბრალო, მიამიტი ნუ გეგონება. მეიშან-მა კიდევ ისიცა თქვა, მე კი ვიცი, მისი მეტოქე რომ არ ვარ, შენ კი, იქნებ მოგიხერხდეს მასთან გამკლავება. ამას, პირველი დანახვისთანავე, მაშინვე მივხვდი. სუნგლიენ-ი საბანქვემ გატოკდა. სულგანაბული უგდებდა ყურს, მეიშან-

მა თუ როგორ მოხსნა პირი თავის არღანს და გული როგორ გადაუშალა. მეიშანმა თქვა, გინდა გაიგო, მე და იმან შვილები როგორ გავაჩინეთ? და მეიშან-მა უამბო, თვითონ და ჭუოიუნ-ი თითქმის ერთდროულად რომ დაფხმდომდნენ. სამი თვე რომ შეგვისრულდა, ამბობს მეიშ ანი, მან ბრძანა, ჩემთვის მომზადებულ სამკურნალო სითხეში სანამლავი ჩაემატებინათ, მუცლის მოსაშლელი ზანგი. კიდევ კარგი, ბედი მაქვს ღონიერი. ნაყოფი არ მომწყდა. ჩვენ თითქმის ერთდროულად უნდა მოგვემშობიარებინა. ის ოცნებობდა თვითონ გაეჩინა პირველს, ჩემამდე. ზღაპრულად დიდი ფული დახარჯა, რომ მშობიარობის დასაჩქარებელი საზღვარგარეთული ნემსები გაეკეთებინათ. ჰოდა, გაუსქდა კიდევ სამო. ისევ ჩემმა იღბალმა იმარჯვა, მე გავაჩინე პირველმა, ჩემი ფეილ ანი პირველი დაიბადა. თანაც ბიჭი გავაჩინე, იმან კი, როგორც იტყვიან, ბამბუკის კალათით წყალი ზიდა, ვერაფერი მოიგო. მარტოდმარტო იუიჟუნ-ი გააჩინა. იაფფასიანი რამ საქონელი, გოგო. თან ჩემ ფეილან-ზე სამი საათის დაგვიანებით.

შემოდგომის სიცივეები დაიჭირა. ქალებმა თბილ-თბილი ტანისამოსი ჩაიცვეს. ხეებს დილიდან საღამომდე სცვიოდა ფოთოლი, მიწას ეფინებოდა. ბაღმა ყვითელი სამოსი მოირგო. რამდენიმე მსახური ქალი, ჩაცუცქული, გამხმარ ფოთლებსა სწვავდა. ირგვლივ დამწვრის სუნი ტრიალებდა. ბრახ, სუნგლიენ-ის ფანჯარა ბრახუნით გაფრიალდა. მსახურმა ქალებმა დაინახეს სუნგლიენ-ის ანთლებული სახე. ფანჯრის რაფას გამეტებით ურახუნებდა ხის სავარცხელს, ხელში რომ ეჭირა. ვინ დაგავალათ ფოთლების დაწვა? მშვენიერი ფოთლები ასე აგისრჩოლებიათ. რა საშინელი სუნი დადგა. მსახურმა ქალებმა საჩქაროდ მიჰყვეს ხელი კალათებისა და ცოცხების შეგროვებას. ერთმა მათგანმა, უფრო გაბედულმა, თქვა, ამდენი ფოთოლია, მაშ რა უნდა უყოს კაცმა, თუ კი არ დაწვა? სუნგლიენ-მა სავარცხელი გაუქანა, ზედ მოახვედრა, თან უყვირის, არ შეიძლება! დაწვა არ შეიძლება, ესე იგი, არ შეიძლება! მერე კი ისევ, ბრახ, მიკეტა ფანჯარა.

მეოთხე ქალბატონი სულ უფრო და უფრო ამკარად ავლენს თავის ხასიათს, ასე უთხრეს იუიჟუნ-ს მსახურმა ქალებმა. ფოთლების დაწვის უფლებას არ გვაძლევსო. მისი ხასიათი, რაც დრო გადის, მით უარესდება. იუიჟუნ-მ დატუქსა მსახურები, ენას ნუ იქავებთ, თქვენი საქმე არ არის. ხოლო გულში ბრახი ერევა, უნინ ბაღში ფოთლებს წელიწადში რამდენჯერმე სწვავდნენ, ნუთუ ვილაც სუნგლიენ-ი უნდა მობრძანებულიყო იმისათვის, ჩვენ ადათ-წესებზე ხელი რომ აგველო? მსახური ქალები გვერდიგვერდ დგანან, სმენაზედ გაჭიმულები, მორჩილად ხელებდაშვებულნი, თქვეს, ესე იგი ფოთლები აღარ უნდა დაწვანთ? იუიჟუნ-მ თქვა, მერე და ვინა თქვა არ დაწვანთო? ნადით, კეთილინებეთ ნადით, დაწვით. იმას ყურადღებას ნუ მიაქცევთ.

მსახური ქალები გაემართნენ დასაწვავად. სუნგლიენ-ს ამჯერად თავი აღარ გამოუდვია. როცა იქ აღარავინა ჩანდა, ფოთლები მთლად რომ ჩაიფერფლა, სუნგლიენ-ი გამოვიდა სამხრეთ მცირე სახლიდან. მას ჯერაც საზაფხულო ქვედაკაბა ეცვა. მსახურმა ქალებმა წაილაპარაკეს, ნეტავ არა სცივა? ქარი ასე ძლიერ უბერავსო. სუნგლიენ-ი იდგა მინავლებული ცეცხლის პირას, გამოციებული სახით ჩასცქეროდა ჩამწვარ ფოთლებს. უყურა, უყურა, მერე გაეშურა შუა ეზოში, სადილად. სუნგლიენ-ის ქვედაკაბის კალთებს ქარი აფრიალებდა, თეთრ ფარვანასა ჰგავდა.

სუნგლიენ-ი მაგიდას მიუჯდა. უყურებს როგორ შეექცევიან სადილს. ქუაი'ძ-ისათვის ხელი არც დაუკარებია. სახე ჰქონდა გამოციებული, მოღუშული. მხრებზე მაგრა შემოეჭდო ხელები. შეუვალი იყო. იმდღით ჩენ წუოციენ-ი შინ არ იყო. სახლში სწორედ ასეთ დროს ხდებოდა ხოლმე არეულობა. ფეიპუ-მ, ბოლოს თქვა, ოჰ, რატომ არაფერს არა სჭამ? სუნგლიენ-მა თქვა, რომ მაძლარი იყო. ფეიპუ-მ თქვა, უკვე სჭამე? სუნგლიენ-მა ჩუმად ჩაილაპარაკა, მაძლარი ვარ საზიზლარი კვამლით, საშინელი სუნით. ფეიპუ დაიბნა, ვერ მიუხვდა თუ რას ამბობდა. დაბნეულმა თავის დედას გადახედა. იუიჟუნ-ს მყისვე შეეცვალა სახე. მიუბრუნდა ფეიპუ-ს, თქვა, ისადილე, სხვისა საქმეში ნუ ერევი. მერე მზერა სუნგლიენ-ს დაასო. საკმაოდ მაღალი ხმითა თქვა, მეოთხე ქალბატონო, ესეაა მინდოდა შენგან შემეტყო, როგორ უნდა მოვიქცეთ, თუკი მინაზე ამდენი ფოთოლია ჩამოცვენილი? სუნგლიენ-მა თქვა, არ ვიცი, რა უფლება მაქვს შინაურ საქმეებში ჩავერიო? იუიჟუნ-მ თქვა, წლითი წლობამდე, ყოველი შემოდგომით, აუცილებელია ფოთლები დაიწვას, არავითარი სიძნელე უნინ არ ყოფილა. ეს როგორ მოხდა, მარტო შენა ხარ ყველა სხვაზე ნაზი, ყველაზე ძვირფასი? ერთი ბენო კვამლის სუნი დატრიალდა, მერე და რა მოხდა ასეთი. სუნგლიენ-მა თქვა, ფოთლები თავისთავად ჩაღებდა, რა საჭიროა მათი დაწვა? ეს ხომ ფოთოლია და არა ადამიანი. იუიჟუნ-მ თქვა, ამით რისი თქმა გინდა? გაუგებარია! ისევ სუნგლიენ-მა თქვა, არაფრის თქმა არ მინდა. უბრალოდ ჩემთვის ცოტა არ იყოს გაუგებარია, რატომაა საჭირო მთელი ფოთლები დასაწვავად უკანა ეზოში მოგროვდეს. ვის მოეწონება ასეთი სუნი. თავთავიანთ ეზოებში დაწვან. აი ამის მოთმენა იუიჟუნ-მ უკვე ვეღარ შეძლო. ბრახ, ქუაი'ძ-ი მაგიდას დაანარცხა. ნეტავ ერთი სარკეში ჩაგახედა, სუნგლიენ, რას წარმოადგენ ჩენ-ის ოჯახში? ნეტავ რა ჩიტი ბრძანდები? გეგონება ვინმემ გაგაუბედურაო. სუნგლიენ-ი ზეზე წამოდგა. მისი ამაყი მზერა იუიჟუნ-ს ცვილივით ჩაყვითლებულ პირისახეს დაესო. მართალი ბრძანდებით, რას წარმოვადგენ? ჩუმად, თითქოს თავისთვისაო, ჩაილაპარაკა, მოლიმარი სახით შეტრიალდა. როცა სახით ისევ იქ მსხდომთაკენ შემობრუნდა, თვალები ცრემლით ავსებოდა. თქვა, ზეცამ კი უწყის, თქვენ ვინლა ბრძანდებით, რა ჩიტებიცა ხართ!

ნაშუადღევს სუნგლიენ-ი განმარტოებული შინ გამოკეტილიყო. მაშინაც კი, იენერ-მა ჩაი რომ მიუტანა, კარი არ გაუღია. ფანჯარასთან რომ იჯდა, სუნგლიენ-მა შენიშნა, ტუალეტის მაგიდაზე, დიდ ლარნაკში მსხვილ-მსხვილი გიორგინები ჩამოჭკნარიყო, ჩაშავებულიყო. თაიგული ლარნაკიდან ამოიღო, უნ-

დოდა ყვაველები გადაყრა, მაგრამ არ იცოდა სად გადაეყრა. ფანჯარა ჩაკეტილი იყო, გამოღება კი არ სურდა. დიდი თაიგული გულში ჩაეკრა და ოთახში წინ და უკან მიდმოდიოდა. ბოლოს და ბოლოს გამოალო დიდი კარადის კარი და თაიგული იქ შეინახა. გარეთ ისევ შემოდგომის სუსხიანი ქარი ამოვარდა. თითქოს მიმწუხრს მოაქროლებდა, ჩალამებულ ბალს ნელინელ ბნელი ეფინებოდა. უეცრად კარზე კაკუნი გაისმა. მან გაიფიქრა, ისევ იენერ-ია, ჩაი მომიტანაო. კარს ხელის გული მიარტყა, გული ნუ გამინყალე, არ მინდაო ჩაი. კარს უკან მდგომმა თქვა, მე ვარ, ფეიპუ.

სუნგლიენ-ი ვერასგზით ვერ წარმოიდგენდა ფეიპუ თუ მივიდოდა. გამოალო კარი, კარს მიეყრდნო. რატომ მოხვედი? ჭფეიპუ-ს თმა ქარს გაენუნა, ახლა ხელით კეფაზე თმას ისწორებდა. მორიდებით გაუღიმა. თქვა, ასე თქვეს ავად არისო. მოსანახულებლად მოვედი. სუნგლიენ-მა ჩაიფრუტუნა, ვინაა ავად? თუკი სიკვდილი მიწერია, ავდგები და მოვეკვები, ავადმყოფობა საშინელებაა, ეს ხომ ტანჯვაა. ფეიპუ პირდაპირ დივანისაკენ გაემართა. დაჯდა, თვალი მიმოავლო მის ოთახს. უეცრად თქვა, მე კი მეგონა ამ ოთახში ბევრი წიგნები იქნებოდა. სუნგლიენ-მა ხელები გაასავსავა, თქვა, არც ერთი. წიგნები ახლა ჩემთვის სრულიად უსარგებლო რამაა. სუნგლიენ-ი, ჯერაც ფეხმდგომელა, ამბობს, რაო, შენც ჭკუის დასარიგებლად მოხვედი? ფეიპუ-მ უარის ნიშნად თავი გაიქნია, თქვა, რა ბრძანებაა? ამ საქმეებმა თავი ამატკია. სუნგლიენ-მა თქა, ესე იგი მოსულხარ შესარიგებლად, როგორც შუამავალი? მე ისეთი ადამიანი ვარ, თუკი გამლანძღვენ, ესე იგი დამიმსახურებია. ფეიპუ ცოტა ხანს დუმდა. მერე თქვა, დედაჩემს, სიმართლე რომ ითქვას, გულში ბოროტება არ უდევს. ბუნებითაა კერპი და ჯიუტი, მტკიცე ხასიათისაა. მასთან ბრძოლა არ გიღირს. სუნგლიენ-ი ოთახში ბოლთასა სცემს. უცბათ გადაიკისკისა. სინამდვილეში მე თვითონაც არ მინდოდა უფროს ქალბატონთან უსიამოვნება. მართლაც არ ვიცი რა დამემართა. სასაცილოდ გეჩვენები? ფეიპუ-მ ამჯერადაც გაიქნია თავი, ჩაახველა, ნელა, დინჯადა თქვა, ყველა ადამიანი ერთნაირია, თვითონაც არ უწყინან რატომ ებადებათ სიამე, ბრაზი, ნაღველი, სიხარული. საიდან მოდის ეს ყოველი.

მათი საუბარი ბუნებრივად სიო-ს შეეხო. ისე, სიო მეცა მქონდა, დასანანი, დამეკარგა, თქვა სუნგლიენ-მა. ესე იგი შენცა გცოდნია სიო-ს დაკვრა, ჰკითხავს იგი, აშკარად გახარებული. სუნგლიენ-მა თქვა, მე არ ვიცი, სწავლა ვერ მოვასწარი, დამეკარგა. ფეიპუ-მ თქვა, ერთ მეგობარს გაგაცნობ, გასწავლის, გინდა? მე სწორედ იმან მასწავლა. სუნგლიენ-მა გაიცინა, შეყოყმანდა. ამ დროს შემოვიდა იენერ-ი, ლანგრით ხელში. ორ ფიალაში უნაბისა და ფიჩხა-სოკოს (საქართველოში ირმის რქებს ეძახიან) ტკბილი ნახარში წვნიანი იყო. ჯერ ფეიპუ-ს მიართვა. სუნგლიენმა თქვა, ერთი დამიხედე ამ იახუნ-ს, როგორ გემსახურება. არც კია საჭირო უბრძანო, თვითონ გაგიმზადა ტკბილეული, გამსპინძლობს. იენერ-ი წამოწითლდა. წინ დაუდგა მეორე ფიალა და ტყვიასავით კარში გავარდა. სუნგლიენ-მა თქვა, იენერ, არ ნახვიდე! უფროს ბატონიშვილს სურს რაღაც გითხრას. ამას რომ ამბობდა, სუნგლიენ-მა პირზე ხელი აიფარა, ჯერ გაიღიმა, მერე კი გულიანად გაიცინა. ფეიპუ-მაც გაიცინა. ვერცხლის კოვზით ფიალაში ტკბილეულს მოურია, თან თქვა, მეტისმეტად მკაცრად ექცევი. სუნგლიენ-მა თქვა, რაო, ხომ არ გგონია დიდად მორიდებულია ეს იახუ ანი, ეს გომბიო ესა. ისე არ მოხდება, მე ვინმე მენვიოს, ხოლო მან ჩუმჩუმად კარს ყური არ მოაღოს, მალულად, უჩუმრად. ვინ უწყის გულში რაები უტრიალებს. ფეიპუ-მ ალლო აულო, სუნგლიენ-ის მტრულ დამოკიდებულებას. საჩქაროდ შეცვალა თემა. თქვა, ბავშვობიდან მიყვარს ტკბილეული. ასეთი, უნაბის წვნიანის დაგვარიც და სხვანაირიც. უხერხულია ხოლმე, მეგობრები ერთთავად მეუბნებიან, ასეთი ტკბილეული მარტო ქალებს უყვართო. სუნგლიენ-ს ჯერაც პირქუში გამომეტყველება შემორჩენოდა. თავს იქცევდა ფრჩხილების გაპრიალებით. ფრჩხილები ჰქონდა ვინრო და გრძელი, ზედ ეცხო წვენი წითელ ბალზამინის ყვაველისა²⁸, ამიტომაც წითელ ქიცვს მიუგავდა. ფეიპუ-მ თქვა, ჰეი, ყურს მიგდებ თუ არა? სუნგლიენ-მა თქვა, გისმენ, შენ თქვი, რომ ქალებს უყვართ ტკბილეული, ხოლო მამაკაცებს – მარილიანი. ფეიპუ-მ გაიცინა, თავი გაიქნია, ადგა, გამოეთხოვა. ნასვლისას თქვა, საინტერესო ადამიანი ყოფილხარ, შენი გული კი ვერ ამოვიცანი. სუნგლიენ-მა მიუგო, შენც ასეთივე ხარ, ვერც მე ამოვიცანი შენი გული.

*** ** *

მეთორმეტე თვის შვიდ რიცხვში ჩენ-ების სახლ-კარის ალაყაფთან დიდი წითელი ფარნები გამოჰკიდეს. ამ დღეს ჩენ წუოციენ-ი თავის ორმოცდაათი წლისთავსა ზეიმობდა. ჩენ-ების ოჯახის ბაღში დილაუთენია მოედინებოდა მოსალოცად მოსული ნათესაობა და მეგობრები. რიგი თოკსავით გაჭიმულიყო. საქსოვ დაზგაზე მაქოსავით შეუჩერებლად მირბი-მორბოდა სტუმართა წყება. ჩენ წუოციენ-ი ფეიპუ-ს ნაჩუქარ შავ ფრაკში გამოწყობილიყო და სასტუმრო ოთახში სტუმრებს იღებდა. იუიჟუ, ჭუოიუნ-ი, მეიმ ანი, სუნგლიენ-ი და ბავშვები გარს ეხვეოდენ, სტუმრებს ზრდილად და ლიქნით ესაუბრებოდნენ. მხიარულება მწვერვალს მიწვეწული რომ იყო, ხმაურსა და აურზაურში, უეცრად რაღაც დაბრახუნდა. ყველამ იქეთ მიიხედა. ხედავენ, ლარნაკი, სიმაღლით ტანმაღალ მამაკაცს რომ უსწორდებოდა, წაქცეულა, ნამსხვრევეები გრუხუნით გაფანტულა იატაკზე.

თურმე ცელქი, მოუსვენარი ფეილ ანი და იუიჟუ-ი დაჭერობანას თამაშობდენ, გადააპირქვავეს ლარნაკი. ორივე ბავშვი გაშეშდა, ერთმანეთს მიაშტერდნენ. დაბნეულიყვნენ, ხვდებოდნენ ძალზე დამნაშავენი რომ იყვნენ. ფეილ ანი პირველი მოეგო გონს, თითქო გამოფხიზლდაო. იჟუნ-ისაკენ გაიშვირა თითი, ყვირის, აი,

ეგ დაეჯახა, მე არაფერ შუაში არა ვარ! იყუნ-მა კი თითი მის ცხვირს მიუშვირა, ისიცა ყვირის, შენ მომდევი, შენ ნააქციე! ჩენ წუოციენ-მა ფერი დაკარგა, სახეზე მძვინვარება გამოეხატა, მაგრამ იმდენი სტუმარი რომ შეკრებილიყო, რისხვა მოთოკა. იუიყუ მიუახლოვდა, მართალია ჩუმი ხმით, მაგრამ კარგა მკაფიოდ და ყველას გასაგონად ჩაილაპარაკა, ოჰ, თქვე ნაბიჭვრებო, ნაბიჭვრებო! ფეილ ანი და იუიყუ-ი გარეთ გაათრია, სათითაოდ მისცხო, თან ბუტბუტებს, ავის მომასწავებელია! ცუდი ნიშანია! ფეილან-ს მუჯლუგუნი უთავაზა, გასწი აქედან, მოშორდი აქაურობას, შორს ჩემგან! ფეილ ანი მინაზე გაგორდა. გორაობს, ყურისწამლებად ღრიალებს. ხმა აქვს მკვიანა, ღონიერი. სასტუმრო ოთახში გვარიანად ისმოდა. მეიმ ანი გარეთ გაიჭრა. ბიჭი გულში ჩაიკრა. იუიყუ-ს თვალები გადაუბრიალა, თქვა, კარგა დაგიბეგვავს, გვარიანად მიგიბეგვავს. უკვე კაი ხანია თვალში გეჩხირება, ეკალივით გესობა. მიდი, სცემე, ნუ დაინდობ. იუიყუ-მ თქვა, რაო, ეს რას ნიშნავს?! ბავშვი დამნაშავეა. განა მარტო ვერ აღზარდე, ახლა იცავ კიდევაც? მეიმ ანი ბიჭს იუიყუ-საკენ უბიძგებს, ამბობს, ჰოდა, ძალიან კარგი, შენ მოგაბარებ, მიდი, აღზარდე, სცემე, ცემით მოკალი, სული შენი გაიხარებს. ამ დროს ჭუოიუნ-ი და სუნგლიენ-იც მოქანდნენ. ჭუოიუნ-მა წამოათრია იუიყუ-ი. კეფაში უთაქა. ეუბნება, ჰოი, ჩემო გოგონა-ქალბატონო, რა ხდება, რა დავიდარაბაში გამხვიე. ბოლოს და ბოლოს თქვი, ვინ გატეხა ლარნაკი? იუიყუ-ი მოთქვამს, მე არა, მე არა, აკი ვამბობ, მე არ გამიტეხია, ფეილ ანი დაეჯახა და გადააბრუნა მაგიდა. ჭუოიუნ-მა თქვა, აღარ გაბედო ღრიალი. თუკი შენ არ გაგიტეხავს, მამ რაღასა სტირი?! დღეს ბატონის საბედნიერო დღეა, ცრემლის ღვრა უბედურებას მოიტანს. მეიმან-მა მზაკვრულად ჩაიცინა, იქვე დგას და ამბობს, მესამე ქალიშვილი ჯერ კიდევ პატარაა, როგორ ცრუობს, თვალს არცკი ახამხამებს. მე იქვე ვიდექი, კარგადაც დავინახე. შენ მოგიხვდა მკლავი, ლარნაკი წაიქცა. ოთხივე ქალი გაშეშდა, უცბათ ჩაუვრდათ ენა. მარტო ფეილ ანი ღრიალებდა გულისწამლებად. სუნგლიენ-ი შორიახლოს იდგა, მთელ ამ ამბავს აკვირდებოდა, თქვა: არ ღირს ასე, ეს ხომ მხოლოდ და მხოლოდ ლარნაკია, გატყდა და გატყდა! ასეთი რა მოხდა? დიდი ამბავი! იუიყუ-მ თვალები დაუბრიალა, ადვილი სათქმელია, საქმე განა მხოლოდ ერთ ლარნაკშია? ბატონს ყველაფერში სიკეთის ნიშანი სურს დაინახოს. მაგრამ რა ვუყოთ, თქვენ, ყველანი. უგულონი უჯიგროები ხართ. ჩენ-ების ჩინებული ოჯახი, ადრე თუ გვიან, თქვენ ჩაგივარდებათ ხელში, მთელს ქონებას გაანიავებთ. სუნგლიენ-მა თქვა, ეე, რაო, ისევ ჩემი ბრალია? ჩათვალეთ, რომ სისულელე ვთქვი. სინამდვილეში კი რაში მესაქმება მთელი ეს თქვენი კინკლაობა? ამ სიტყვებით სუნგლიენ-მა ზურგი შეაქცია, გაშორდა უსიამო ადგილს. უკანა ბაღში გავიდა. გზად შემოხვდა ფეიპუ, მეგობართან ერთად. ფეიპუ-მ ჰკითხა, რატომ გამოხვედი? სუნგლიენ-მა ხელი საფეთქელზე მიიღო, თქვა, თავი ამკვივდა, ხმაურიანი მხიარულება ჩემზე ცუდად მოქმედებს. აი, თავიც ამტკივდა.

სუნგლიენ-ი არა ცრუობდა. თავი მართლაც სტკიოდა, მოსწყურებოდა კიდევ. ყველა სურა კი გამოცლილი დახვდა. ენერ-ი სასტუმრო ოთახში ალაგებ-დალაგებაში ეხმარებოდა. საშუალება მისცემოდა უშუალო მოვალეობისათვის თავი აერიდებინა. სუნგლიენ-ი გაჯავრდა, თქვა, ეგ წვრილფეხა მდაბიო, ეგ გომბიო! თვითონვე დადგა წყალი ასადულებლად. მას შემდეგ, რაც ჩენ-ების ოჯახში ფეხი შემოდგა, ეს პირველი შემთხვევა იყო დიასახლისობა რომ კეთილინება. ასეთ საქმიანობაში მუდამ მოიჩლუნგებდა. სამზარეულოში ცოტა ხანს დაჰყო. ისევ უკანა აივანს მიაშურა. იქ სრულ სიჩუმეს დაესადგურებინა. ყველა სამხიარულოდ იყო წასული. ირგვლივ ჩამოვარდნილი მდუმარება და მოწყენილობა სუნგლიენ-ის სულში წვეთ-წვეთ იღვენთებოდა. მისი ყურადღება ისევ ჩამოქცნარი გლიცინიებით გარსშემოხვეულმა თალარმა მიიზიდა. მოეჩვენა, თითქოს თალარი ქარს ეჩურჩულებოდა. ხოლო ის ჭა, თავისი იდუმალებით ისევ ვერაგულად იზიდავდა, იხმობდა და აჯადოებდა მას. სუნგლიენ-მა ხელები გულს მიიკონა, მოეჩვენა, თითქოს გამეფებულ სიცარიელეში გაისმოდა რაღაც იდუმალი ხმა, რომელსაც შესწევდა უნარი ამოეხსნა საიდუმლოება.

სუნგლიენ-ი ჭისაკენ გაემათა, მისი სხეული უჩვეულოდ მსუბუქი შეიქნა. თითქოს სიზმრად მინაზე მისრიალებდა. ჭიდან ჩამპალ მცენარეთა სუნი იფრქვეოდა. სუნგლიენ-ი დაიხარა, აილო გლიცინიის ფოთოლი, ყურადღებით დააცქერდა. მერე ჭაში ჩააგო. იგი ხედავდა ფოთოლი ჭის ზედაპირის სილურჯეში ოქრომჭედლის ნაკეთობას რომ მიემსგავსა. ხედავდა, ფოთოლმა თუ როგორ სანახევროდ გადაფარა მისი სახის ანარეკლი. იმ ადგილს დაეფინა, სადაც მისი თვალები იყო. სუნგლიენ-მა გარს შემოუარა ჭის მრგვალ გალავანს, მაგრამ ვერსად მიაკვლია ისეთ ადგილს, საკუთარი ანარეკლი უკეთესად რომ დაენახა. ეს უცნაურად ეჩვენა. მხოლოდ და მხოლოდ გლიცინიის ერთი ციდა ფოთოლი, ეს რარიგ ხდება, შუადღისას, მზის სხივი, ათინათები, ნელინელ მიმოცურავენ ჭაში, წყლის ზედაპირზე მოკაშკაშე თეთრ ლაქებად გარდაისახებიან. სუნგლიენ-ი უცბათ საზარელმა ზმანებამ შეიპყრო – ეჩვენა, რომ ხედავს ხელს. ეს ხელი თვალზე ეფარება. მას წამდვილად ელანდებოდა სველი ხელი, წყალი რომ ჩამოსწურწურებდა. ფერმკრთალ ხელს სწორედ გლიცინიის ის ფოთოლი ეპყრა. ჭის თვალჩაუნვდენ, უძირო სიღრმიდან ხელი ამოიზიდა, მისკენ მოინვეს, თვალე-ბზე ეფარება, მზერას უბნელებს. გულგახეთქილმა სუნგლიენ-მა შიშით წამოიყვირა: ხელი. ხელი. მას სურდა საჩქაროდ შემობრუნებულიყო, გაქცეულიყო, მაგრამ რაღაც იჭერდა, ჭის გარშემო გალავანს ატმანსებდა და ძალ-ღონეს აცლიდა. ნება მას არ ემორჩილებოდა. სუნგლიენ-ს ელანდებოდა, რომ თავად იყო გლიცინიის ჩამოცვენილი ყვავილი, ქარით ატაცებული და ახლა, ღონემიხილი, ჭის გალავანს ჩამოყრდნობილი, თვალ-ჩამტერებით ჩასცქეროდა უძირო უფსკრულს. კვლავ შეიგრძნო თავბრუსხვევა, თითქოს ჭიდან ხმა შემოესმა. ეს შორიდან მომავალი ხმა ძლივ-ძლივ აღწევდა მის ყურთასმენას: სუნგლიენ, ჩამოდი. სუნგლიენ, ჩამოდი.

როდესაც ჭუოიუნ-ი სუნგლიენ-ის მოსანახულებლად მივიდა, სუნგლიენ-ი ეულად იჯდა დერეფნის ზღურბლზე, ხელში აეყვანა მეიმ ანის სპარსული ჯიშის კატა. ჭუოიუნ-მა თქვა, აქ რატომ ხარ? სადღესასწაულო სუფრა უკვე გაშლილია. სუნგლიენ-მა თქვა: გამმაგებით მესხმის თავბრუ. არ მინდა იქ წამოსვლა, არ წამოვალ. ჭუოიუნ-მა თქვა, ეს როგორ შეიძლება? ავადაც რომ იყო, მაინც უნდა წამოხვიდე. ეს ხომ ზრდილობის საქმეა. ბატონმა რამდენჯერმე დაბეჯითებით მოითხოვა შენც რომ მიიღო მონაწილეობა. სუნგლიენ-მა თქვა, ნამდვილად არ მინდა წამოსვლა, თავს ისე ცუდად ვგრძნობ, ლამისაა მოვკვდე. მომეცით საშუალება აქ დავრჩე, გონს მოვიდე. ჭუოიუნ-მა გაიცინა, თქვა, იუიჟუ-ზე ხარ ნაწყენი, არა? არა, თქვა სუნგლიენ-მა. რომ მეწყინოს იმის ძალაც კი არ გამაჩნია. სახეზე მოუთმენლობა დაეტყო. მოზეზრდა ამდენი ახსნა-განმარტებები. ძირს დაანარცხა კატა, ხელში რომ ჰყავდა აყვანილი. თქვა, მხოლოდდამხოლოდ ძილი მინდა. ცოტა მაინც წავიძინო. ჭუოიუნ-მა, ისევე ღიმილითა თქვა, მამ წადი, დაიძინე, მე გავბრუნდები, ბატონს მოვასხენებ, მეტი არაფერი.

იმ ღამით სუნგლიენ-ი ძილბურანში იყო, აბოდებდა, ესიზმრებოდა ჭა, გლიცინიის ის ფოთოლი, ჭაში რომ ჩავარდნილიყო. ცივი ოფლი ასხამდა. ვინ უწყის, ეს ჭა რა არის? ან კიდეც ის გლიცინიის ფოთოლი? ან თავად სუნგლიენ-ი ვინლა? მერე ზანტად წამოდგა, თმის ვარცხნა წამოიწყო. ხედავდა თავის სახეს სარკეში და მიაჩნდა, რომ თვითონაა ის ფოთოლი, დამჭენარი, უსიცოცხლო. მას კი, მისივე სარკიდან უმზერდა უცნობი ქალი. მას არ მოეწონა ეს ქალი. სუნგლიენ-მა ღრმად ამოიოხრა. ამავდროულად გაახსენდა ჩენ წუოციენ-ი და დაბადების დღე. გულში სინანული შეეპარა, ინანიებდა, თავს იდანაშაულებდა. ფიქრობდა, რად გავხდი ასე ჭირვეული, აღარავითარი სულგრძელობა არ გამაჩნია. მას ესმოდა, რომ ცხოვრებაში ეს ყველაფერი არაფერს სასიკეთოს არ მოუტანდა. ნაჩქარევად გამოალო კარადა. გამოიღო მკრთალი ნაცისფერი წმინდა მატყლით ნაქსოვი გრძელი შარფი, რომელსაც დიდი ხანია სადღეობო საჩუქრად უმზადებდა ჩენ წუოციენ-ს.

სალამოს წვეულებას ესწრებოდა მხოლოდ ჩენ-ის ოჯახობა, მხოლოდ შინაურები. სუნგლიენ-ი სასადილო ოთახში რომ შევიდა დაინახა, ყველა უკვე სუფრას შემოსხდომოდა, მას არ დალოდებოდნენ, საზეიმო კერძი ისე მოერთმიათ. ამ ფიქრით იგი მიუახლოვდა თავის ადგილს. მოპირდაპირე მხრიდან ფეიპუ მიესალმა, თქვა, კარგად ხარ უკვე? სუნგლიენ-მა თავი დაუქნია, თვალი ჩენ წუოციენ-ისაკენ გააპარა, თუ როგორი იყო მისი გამომეტყველება, მისი სახე კი გამოციებულიყო, მოღუშული იჯდა, რკინის ფიცარსავით. გაუგებარი იყო, ამის გამო თუ რატომ შეუტოკდა გული. მან აიღო შარფი, მიუტანა, თან თქვა, აი, ბატონო, ეს ჩემი უბადრუკი საჩუქარი. ჩენ ძოუცენ-მა ჩაიბურტყუნა, იქ დადგო, გვერდზე მრგვალი ტაბლა რომ იდგა, იქეთ მიუთითა. სუნგლიენ-ი, შარფით ხელში, ოჯახის სხვა წევრთა საჩუქრებს ხედავს. ერთი ოქროს ბეჭედი, ერთიც მელიის ქურქი, შვეიცარული მაჯის საათების წყვილი. ეს ყველაფერი, სათითაოდ, ატლასის, აბრეშუმის წითელი ბაფთებითაა შეფუთული. სუნგლიენ-ს გული კიდეც ერთხელ შეუტოკდა, სირცხვილისაგან ლოყებზე აღმური იგრძნო. როცა კვლავ დაჯდა, გვერდიდან მოესმა იუიჟუ-ს ხმა, რომელმაც თქვა, ზუსტად რომ სადღეობო საჩუქარია, როგორ არ უნდა იცოდეს კაცმა, წითელი ბაფთით შეფუთვა რომაა საჭირო? სუნგლიენ-მა თავი მოაჩვენა, ვითომც არა მშენოდა რა, თუმცა იუიჟუ-ს შარის მოდება საშინლად ეჩვენა. იმ დღით, მართლაც, გაურკვეველი განწყობა დაუფლებოდა, ძალა არ შესწევდა რამეზე ყურადღება მოეკრიბა. მას ესმოდა, რომ გააჯავრა ჩენ ძოუცენ-ი და სწორედ ეს არ ენადა მას სრულიად. სუნგლიენ-ი მთელი მონდომებითა ფიქრობდა, როგორ გამოესწორებინა ვითარება, რა ექნა, რა ელონა. ძალიან უნდოდა ყველასთვის ეჩვენებინა, თუ რა გამორჩეული იყო ადგილი ბატონთან მას რომ ეკავა. უანაზღად ეშმაკურად გაუღიმა ჩენ წუოციენ-ს. თქვა, ბატონო, დღეს თქვენი საბედნიერო დღეა, მე, მართალია, დიდი დანაზოგი არ გამაჩნია, ბეჭდებისა და ქურქების ჩუქება არ შემიძლია, მაგრამ, ჩემს მოკრძალებულ ძღვენს კიდეც ერთ რამეს დავუმატებ. ამ სიტყვებით სუნგლიენ-ი წამოდგა, მიუახლოვდა მას, ყელზე მოხვია ხელი და ლოყაზე აკოცა, გაიმეორა კიდეც. სუფრაზე ყველას ენა ჩაუვარდა, გაირინდნენ. ყველა ჩენ წუოციენ-ს მიაჩერდა. ჩენ წუოციენ-ი გვარიანად წამოწითლდა, ბოლოს და ბოლოს ხელით ჩამოიშორა სუნგლიენ-ი, მკაცრად თქვა, თუ შეიძლება, სხვების თანდასწრებით ცოტა თავმოყვარე იყავ.

ჩენ წუოციენ-ისათვის ასეთი სიტყვები სავსებით ბუნებრივი იყო, მაგრამ სუნგლიენ-ისათვის იყო ეს სრულიად მოულოდნელი, ადგილზე გაშეშებული, დაბნეული, დანისლული თვალებით შესცქეროდა ჩენ წუოციენ-ს. მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ გაიაზრა, რომ რალაც საშინელება მოხდა. სახეზე ხელები აიფარა, რათა დაემალა თვალთაგან გადმომსკდარი მდულარე ცრემლი. იქაურობას გაშორდა ჩუმად, ეს ხმა აბრეშუმის ქსოვილის გაფხრენასა ჰგავდა, თან ბუტბუტებდა, ისევე რალაც ჩავიძინე, ისევე შეეცდი?

მსახურებმაც კი, იქვე რომ იდგნენ, საზეიმო სუფრასთან ატეხილი ქარიშხლის მოწმენი რომ შეიქნენ, ალლო აუღეს ვითარებას, მიხვდნენ, ეს დღე ჩენ-ის ოჯახის სახლში სუნგლიენ-ის ცხოვრებაში დიდი გარდატეხის ნიშანი რომ იყო. ღამით, ალაყაფთან წითელი ფარნების ჩამოსახსნელად მიმავალ ორ მოახლე ქალთაგან ერთ-ერთმა თქვა, ხვდები თუ არა, ამ ღამით ბატონი ვისთან მივა? მეორე ჩაფიქრდა, თქვა, ვერა, ვერ ვხვდები, ასეთ ამბავში ყველაფერი მის გუნება-განწყობაზე დამოკიდებული, ვინ რა უწყის, ვის შეუძლია მიხვედრა?

ორი ქალი, ერთმანეთის საპირისპიროდ სხედან, ეს მეიშ ანი და სუნგლიენ-ია. მეიშ ანი ფერუმარილით გულმოდგინედაა შეღებილი, წარბები გაუშავებია, ტუჩებზე წაუსვამს „მზეთუნახავის“ საფირმო ნიშნიანი პომადა, მუხლებზე უდევს უძვირფასესი ქურქი. სუნგლიენ-ი ზანტად, თითქოს ესესაა გამოიღვიძაო, სიგარეტით ხელში, თვალმინაბული, ნელ-ნელა ეწევა. უცნაური ის იყო, რომ არც ერთი ხმას არ იღებდა, მხოლოდ კედლის საათის ნიკნიკი გაისმოდა. სუნგლიენ-საც და მეიშან-საც, ორთავეს, თავთავიანთი განცდა ჰქონდა გულში. ერთიმეორის პირდაპირ მდგომ ხეებისავით, თითოეულს საკუთარი გულისნადები აწუხებდა, ისტორიას ახსოვს, ხშირია ასეთი შემთხვევა.

მეიშან-მა თქვა, შევნიშნე, ეს ორი დღეა ძალზე წაგიხდა გუნება, ის ხომ არ მოგივიდა?

სუნგლიენ-მა თქვა, ამას რა საერთო აქვს? მე ეს არეულად მაქვს ხოლმე. ზუსტი დრო არც კი ვიცი, ვერ გაიგებ ან როდის მომივა, ან როდის შემინწყდება.

მეიშან-მა თქვა, ჭკვიანი ქალი კი ხარ, მაგრამ ასეთ საკითხებში სულელი ყოფილხარ. ამ თვეში მოგსვლია? ფეხმძიმედ ხომ არ ხარ?

სუნგლიენ-მა თქვა, არა, არა, ეს როგორ იქნება?

მეიშან-მა თქვა, თუ ვიმსჯელებთ, უკვე დროა. ჩენ წუოციენ-ი ამ საქმეებში მოხერხებულია. ღამ-ღამობით ქვეშ რამე ამოიდე, ამალღებულზე რომ იწვე, მართალს გეუბნები, არ გატყუებ.

სუნგლიენ-მა თქვა, მეიშან, რა უსირცხვილო ვინმე ხარ, ასეთი რამის სათქმელად ენა როგორ გიბრუნდება?

მეიშან-მა თქვა, საქმე ასეა და რაღას იპრანჭები და მალავ, თუკი ჩენ-ების ოჯახს კიდევ ერთ პირს არ შემატებ, წინ მწარე დღეები დაგელოდება. ჩვენ ძმაზე ეს ამბავი ერთნაირად ვრცელდება.

სუნგლიენ-მა თქვა, ჩენ წუოციენ-ი ეს დღეები ჩემთან საერთოდ აღარ შემოდის, როგორც ენებოს, ჩემთვის სულერთია.

მეიშან-მა თქვა, შენ ამისათვის ჯერ არ მომნიფებულხარ, მე კი არა, მე პირდაპირ ვეუბნები, თუკი ნაკლებ, ვიდრე ყოველ ხუთ დღეში ერთხელ ჩემთან არ მოხვალ, იცოდე, საწყვილოს ვისმე ვიშოვი. მე არ შემიძლია ცოცხალი ქმრის პატრონს, ქვრივისავით ვიცხოვრო. ჩემთან ყველაზე მეტად ადგება ჯაფა, ჩემი კიდევაც ეშინია, კიდევაც ვშუღვარ, კიდევაც ვუნდივარ, მე კი მისი არ მეშინია.

სუნგლიენ-მა თქვა, რაებსა როშავ, რა მოსაწყენია, ასეა თუ ისე, მე გულგრილი ვარ, ჩემთვის სულერთია ყველაფერი. ერთად ერთი რაც ვერა და ვერ გამირკვევია ისაა, თუ რას წარმოადგენს ქალი. ძაღლის ლეკვია თუ კატა, ოქროს თევზია თუ თავკი, ყველაფესა ჰგავს, გარდა ადამიანისა.

მეიშან-მა თქვა, არაა საჭირო ერთთავად თავს იდანაშაულებდე. ნუ შიშობ, ჩენ წუოციენ-მა შენ ახლა კი მოგიშორა, მაგრამ მაინც დაგიბრუნდება. შენ ჩვენს შორის ყველაზე ახალგაზრდა ხარ, მიმზიდველი, განათლებულიც. შენ თუ მიგატოვია, რა, იუიჟუ-სა და ჭუოიუნ-ის ხელში თუ ჩარჩა, რა სულელი იქნება. წელი ისე გასქელებულ- ჩასუქებით კასრებსა ჰგვანან. შენ ყველას თანდასწრებით აკოცე, მერედა რა მოხდა ასეთი?

სუნგლიენ-მა თქვა, რას ამბობ, რა საძაგელი ვინმე ხარ. მე ამას კი არ ვდარდობ, ჩემს თავზე ვამბობ.

მეიშან-მა თქვა, ნულარ იფიქრებ ამებზე, არც ისე საშინლადაა ყველაფერი. ის მუდამ ცოტა არ იყოს ფარისეულობს, თვალთმაქცობს, თავს პატიოსნად აჩვენებს. ლოგინში კი ლოყაზე აკოცო კი არადა, იქ, იმ ადგილს რომ ეამბორო, მხოლოდ გაიხარებს.

სუნგლიენ-მა თქვა, ნეტავკი ენას ჩაიგდებდე, საზიზღრობაა.

მეიშან-მა თქვა, მამ მოდი, ერთად წავიდეთ თეატრში „ვარდი“. ჩენგ იენციუ²⁹ ჩამოსულა საგასტროლოდ. მიდის „ცრემლები მიუვალ მთებში“³⁰, რაო, არ გინდა გაერთო?

სუნგლიენ-მა თქვა, არ წამოვალ, შინიდან გასვლა არ მინდა. ნაღველი ნაღველია, რომ გავერთო კიდევ, რა, ამით რა შეიცვლება?

მეიშან-მა თქვა, ნუთუ ჩემი ხათრით მაინც არ შეგიძლია წამოხვიდე? აი ამდენი ხანია და ამდენს გემუსაიფები.

სუნგლიენ-მა თქვა, შენთვის რა ხეირია ჩემთან ერთად საზოგადოებაში გამოჩენა. მიდი, ჩენ წუოციენ-სა სთხოვე გამოგყვეს, თუკი არ სცალია, აი იმ ექიმს მიმათე, მორჩა და გათავდა.

მეიშ ანი გამტერდა, წამით გაშეშდა, მერე უცბათ სახე შეეცვალა. მეიშან-მა ხელი დასტაცა ქურქსა და შარფს, ზეზე წამოიჭრა, მიუახლოვდა სუნგლიენ-ს, დაჟინებული მზერა დაასო, ხელი აუქნია და პირიდან გააგდებინა სიგარეტი. იატაკზე ფეხით გასრისა. ბრაზმორეულმა მეიშან-მა უხეშად თქვა, ეს სახუმრო საქმე არ გახლავს, თუკი ამისთანა სისულელების როშვას მოჰყვები ვინმესთან, იცოდე, ტუჩებს დაგაგლიჯავ, ცხირ-პირს დაგაჭრი. მე თქვენი არ მეშინია, მე არავის არ მეშინია, თუკი ვინმე ჩემს დალუპვას მოისურვებს, არ გაუვა!

ფეიბუ-მ მართლაც მიიყვანა თავისი მეგობარი სუნგლიენ-თან გასაცნობად. თქვა, ეს მისთვის სიაოს დაკვრის სასწავლებლად მოწვეული მასწავლებელი რომ იყო. სუნგლიენ-ი რატომღაც ისე საშინლად დაიბნა, აღარც კი იცოდა სად წაელო ხელები, ფეხები. მან ხომ იმთავითვე იუარა სწავლაზე საუბარიც კი, როგორც რაღაც სრულიად შეუძლებელი რამ. სუნგლიენ-ის მზერა მასწავლებელზე შეჩერდა. თეთრი პირისახისა იყო, თმა მოკლედ ჰქონდა შეკრეჭილი. ახალგაზრდა მამაკაცი იყო, თან ჩამოჰგავდა სტუდენტს, თან არა. მიხრა-მოხრა, ქცევა, ცოტა არ იყოს შებოჭილი და მოკრძალებული ჰქონდა. თავი წარუდგინა, თავისი სახელი თქვა. თურმე მესამე ბატონიშვილი ბრძანდებოდა ადგილობრივი აბრეშუმის მილიონერი მენარმისა, სხვგვარად იყო კუ. სუნგლიენ-მა ფანჯრიდანვე დაინახა, როცა უახლოვდებოდნენ, ხელიხელჩაკიდებულები რომ მოდიოდნენ. სუნგლიენ-მა გაიფიქრა კიდევ, ეს წყვილი, მამაკაცები არიან, ხოლო ხელიხელჩაკიდებულები კი დაიარებიანო. გაკვირვებულს ახალი და უცნაური, უჩვეულო განცდა დაეუფლა.

სუნგლიენ-მა კეკლუცად მოპრუნა ტურჩები, ღიმილითა თქვა, ნახე ერთი, როგორი მეგობრები ხართ, ჯერ არსად მინახავს ორი ზრდასრული მამაკაცი ხელიხელჩაკიდებული დაიარებოდეს. ფეიბუ-მ ცოტა არ იყოს უხერხულობა იგრძნო, თქვა, ბავშვობიდანვე ვიცნობთ ერთმანეთს, ერთ სკოლაშიც ვსწავლობდით. სუნგლიენ-მა გადახედა აჭარხლებულ ბატონიშვილ კუ-ს. გულში გაივლო, ეს მასწავლებელი, დიდად საინტერესო ვინმეა. მამაკაცი აგრე იოლად წითლდებოდეს, ეს რაღა მამაკაცია. სუნგლიენ-მა თქვა, აი უკვე საკმაოდ ზრდასრული შევიქენი, ხოლო ჯერ არც ერთი მეგობარი, არც ძმაცა და არც დაქალი არ შემძინია. ფეიბუ-მ თქვა, არცაა გასაკვირი, შენ ასე ეული და ამაყი ხარ, ასე ადვილად ვერ შემოგბედავენ. სუნგლიენ-მა თქვა, ტყულია, არც ეული გახლავარ და არც ამაყი. სიამაყისათვის საჭიროა მცირეოდენი კაპიტალის პატრონი მაინც იყო, ხომ ასეა? მე კი არავითარი კაპიტალი არ გამაჩნია.

ფეიბუ-მ შავი აბრეშუმის შალითადან ამოიღო სიაო, თქვა, ეს შენ, საჩუქრად. უნინ ბატონიშვილმა კუ-მ მე მისაჩუქრა, მე კი ვსესხულობ ყვავილებს, რათა მივართვა ბუდას³¹. სუნგლიენ-მა აიღო სიაო, გადახედა ბატონიშვილ კუ-ს, მან თავი დახარა და გაიღიმა. სუნგლიენ-მა ტურჩები შეახო სიაო-ს, ჩაჰბერა, გაისმა გაურკვეველი ბგერა. თქვა, უნიჭო ვარ, ვშიშობ ვერასოდეს ვისწავლი დაკვრას. ბატონიშვილმა კუ-მ თქვა, ეს ძალიან ადვილია, სიაო იოლი საკრავია. მთავარია მონდომება. თუკი გულმოდგინედ შეუდგები საქმეს, შეუძლებელია ვერ ისწავლო. სუნგლიენ-მა თქვა, მეშინია სწორედ რომ ეს გულმოდგინება არ გამაჩნია. ისეთი ადამიანი ვარ, გულს ვერ ვუდებ, ქვიშასავით მებნევა, ვერც აკრეფს კაცი. ბატონიშვილი კუ კვლავ იღიმის, ნუ, მამ ძნელი იქნება. მე შემძლია მხოლოდ პატივი მივავო თქვენს სიაოს, თქვენს გულს კი ვერ შევხები. ფეიბუ ჩამოჯდა, ჯერ სუნგლიენ-ს შეხედა, მერე მზერა კუ-ზე გადაიტანა. მის თვალებში ალერსის ნაპერწკალი გაკრთა, მას რომ სჩვეოდა.

სიაოს შვიდი ნასვრეტი აქვს, თითოეული მათგანი გამორჩეულად მისთვის დამახასიათებელ ბგერას გამოსცემს. როცა ბგერები ერთმანეთს მოსდევს, ვითარცა ძაფზე ასხმული მძივი, გაისმის გასაოცრად მოხდენილი, ლამაზი და ამავდროულად ნაღვლიანი, კაემნიანი ჰანგი. აი მუსიკოსიც, სიაოს დამკვრელი, ამ გრძობათა მატარებელი უნდა იყოს. ბატონიშვილმა კუ-მ თავდაჭერით და შემპარავი ხმით წარმოსთქვა ეს სიტყვები, თან დასძინა, თქვენ გებადებათ ამგვარი გრძობები? ამას სუნგლიენ-სა ჰკითხავდა. სუნგლიენ-ი დაფიქრდა, თქვა, ვშიშობ, რომ მხოლოდ ეს უკანასკნელი. ბატონიშვილმა კუ-მ თქვა, ეს მაინც თუ გაქვთ, არც ეს იქნება ურიგო. კაემანი ხომ ცალკე წყობაა, ერთ-ერთი განწყობაა. ყველაზე უარესია – სიცარიელე. საშინელებაა, როცა სულია გამოფიტული, როცა გულში არაფერი ძევს. აი, ასეთ შემთხვევაში დაკვრა შეუძლებელია. სუნგლიენ-მა თქვა, ჯერ თქვენ თვითონ ხომ არ დაგვიკრავდით, ბატონიშვილო? მეც მასმინეთ რა იფარვის სიაოში. ბატონიშვილს უარი სრულიადაც არ უფიქრია. ტურჩებზე ირიბულად მიიკრა სიაო და დაინყო დაკვრა. სუნგლიენ-ს ჩაესმა სიაოდან წამოსული მსუბუქი, უმშვენიერესი ჰანგი, ხან კაემნიანი ჩივილი, ხან ნაღვლიან-ელეგიური, გულში ჩამწვდომი ჩურჩულის მსგავსი. ფეიბუ იჯდა დივანზე, თვალმინაბული, თქვა, ეს „შემოდგომის ნაღველია“³².

სწორედ ამ დროს ფანჯარაზე დააკაკუნა იუიჟუ-ს იახუნ-მა ფუძი-მ. იახუნ ფუძი მკვიანა ხმით უძახდა ფეიბუ-ს: უფროსო ბატონიშვილო, ქალბატონი გეძახით, სასტუმრო ოთახში სტუმრები მობრძანდნენ-ო. ფეიბუ-მ თქვა, ვინ არიან? ფუძი-მ თქვა, მე არ ვიცი, ქალბატონმა გიბრძანათ სასწრაფოდ მოვიდესო. ფეიბუ-მ წარბები შეჭმუნა, თქვა, სტუმრები მოვიდნენ აქ. ფუძი ისევ აკაკუნებს ფანჯარაზე, ყვირის, ქალბატონი მოითხოვს დაუყოვნებლივ მიხვიდეთ, თუ არ მიხვალთ, მე მომკლავენ. ფეიბუ-მ ჩუმად შეიგინა, რა საზიზღრობაა. იძულებული შეიქნა ამდგარიყო. ისევ შეიგინა, ეშმაკმა უწყის ვინ სტუმრები არიან? ბატონიშვილმა კუ-მ, ჯერ კიდევ სიაო-თი ხელში, შეხედა ფეიბუ-ს, ყოყმანითა ჰკითხა, მამ ვამეცადინო თუ არა? ფეიბუ-მ ხელი ჩაიქნია, თქვა, იმეცადინეთ, ასწავლე, შენ აქ დარჩი, მე წავალ, ვნახავ ერთი რაშია საქმე.

სუნგლიენ-ი და ბატონიშვილი კუ ორნი დარჩნენ. დროის რაღაც მანძილზე სიტყვები ვერ გამოეძებნათ. უეცრივ სუნგლიენ-მა გაიღიმა, თქვა, ცრუპენტელა! ბატონიშვილმა კუი - ლამის შემინებულმა თქვა, ვისზე თქვი, ცრუპენტელააო? სუნგლიენ-მა, თითქოს გამოფხიზლდაო, თქვა, შენ არა, შენ ვერ გაიგებ. ბატონიშვილმა კუ-მ თავი უხერხულად იგრძნო, აღარ იცოდა დამჯდარიყო თუ ისევ ფეხდგომელა დარჩენილიყო.

სუნგლიენ-მა კვლავ შეამჩნია, როგორ წამოწილდა იგი. გულში გაეცინა. ბატონიშვილი, ეგოდენ სახელოვანი ოჯახისშვილი, ეგოდენ მოკრძალებულია, ეგოდენ მგრძობიარეა. ეს შეიძლება მის ღირსებებს მიეთვალოს. ასეა თუ ისე, ეს კარგი თვისებებია. სუნგლიენ-მა თანაგრძობით მიაპყრო თვალი ბატონიშვილ კუ-ს. თქვა, დაუკარი, განაგრძე, ნაწარმოები ჯერ ხომ არ დამთავრებულა. ბატონიშვილი კუ თავჩაქინდრული, სიაო-თი ხელში, დასცქერის სიაო-ს. აიღო შავი შალითა. შიგ ჩადო საკრავი, ჩუმი ხმით წარმოსთქვა, განწყობა აღარ მაქვს, გამიარა. ჩათვალეთ, რომ ნაწარმოები დასრულდა. კარგი მუსიცირება ყველაზე მეტად განწყობილების ნახდენას უფრო ხის, ხომ გამიგე? რაკი ფეიპუ ნავიდა, სიაო-ს კარგად დაკვრა უკვე ველარ გამოვა.

*** **

ბატონიშვილი კუ მალევე ადგა, გამოეთხოვა და ნავიდა. სუნგლიენ-მა ბალამდე მიაცილა. სული მისადმი მადლიერებით აღვსებოდა, მაგრამ გამომჟღავნება ამისა უხერხული იქნებოდა. იგი მხოლოდ შედგა, მუხლი მოხარა, თქვა, ათი ათას სიკეთეს გისურვებთ, თან მდაბლად დაუკრა თავი. ბატონიშვილი კუ შეეკითხა, სამეცადინოდ კიდევ როდის მოვიდე? სუნგლიენ-მა თავი გაიქნია, თქვა, არ ვიციო. ბატონიშვილი კუ ჩაფიქრდა, თქვა, ვნახოთ რას იტყვის ფეიპუ, თან დასძინა, ფეიპუ ძალიან კარგადაა თქვენდამი განწყობილი, მეგობრებს შორის სშირად გაქებთ. სუნგლიენ-მა ამოიხარა, თქვა, რაში მარგია მისი კარგი დამოკიდებულება? სულერთია ამქვეყნად იმედი არავისი უნდა მქონდეს.

სუნგლიენ-ი ის-ის იყო ოთახში დაბრუნდა, რომ ჭუოიუნ-ი ხმაურით, რომ იტყვიან ქარსა და ცეცხლსავით შეიჭრა მასთან, თქვა, ფეიპუ-მ უფროს ქალბატონთან იჩხუბა. სუნგლიენ-ი ამ ამბავმა გააოგნა, მაგრამ მალევე ჩაიციხა, ცივად, დამცინავად თქვა, ასეც ვიცოდი. ჭუოიუნ-მა თქვა, ნადი, შეარიგე. სუნგლიენ-მა თქვა, მე ვინა ვარ, იქ რომ მივიდე? ოჯახია, დედა-შვილი არიან, რაგინდ იჩხუბონ, რა ჩემი საქმეა? ჭუოიუნ-მა თქვა, ნუთუ არ გესმის, ჩხუბი შენს გამო რომ მოხდა? სუნგლიენ-მა თქვა, ეჰ, ეს კიდევ უფრო უცნაურია. მე მათ მიმართ, რომ იტყვიან, ჭის წყალი მდინარის წყალს არასოდეს შეერევა. ამ ამბავში მე რად გამხვივს? ჭუოიუნ-მა აღმაცერად და მზაკვრულად გადახედა სუნგლიენ-ს, თავს ნუ იკატუნებ, მშვენივრად იცი რატომაც იჩხუბეს. სუნგლიენ-მა უნებურად ხმას აუწია, ნაუკვილა, მე რა ვიცი? მე მარტო ის ვიცი, რომ ვერ აუტანია მე თუ კარგად ვარ. ვინა ვგონივარ? ნუთუ მის ვაჟიშვილთან რაიმე საქმეს დავიჭერ? ამ სიტყვებზე სუნგლიენ-ს თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა. რა მოსაბეზრებელია, რა სიმდაბლეა, თქვა მან. საქმე გამოლევიათ? საზიზღრობაა! კიდევ გაიმეორა, რა სიმდაბლეა! ჭუოიუნ-ი მზესუმზირას აკნანუნებდა, ჩენჩო, მუჭაში რომ დაეგროვებინა, იქვე, იენერ-ს მიაჩეჩა. ჭუოიუნ-მა სიცილით ხელი ნაჰკრა სუნგლიენ-ს. შენც ერთი, ნუ ბრაზობ, ნელგამართული დგახარ და ნურც გეშინია, ჩრდილი რომ გაგიმრუდდეს, უდანაშაულოს არ ეშინია, ეშმაკმა რომ მიუკაკუნოს³³, რატომ შეგეშინდა? სუნგლიენ-მა თქვა, შენ ყური რომ გიგდოს კაცმა, ეგონება მართლაც შემეშინდა. შენ მოგონს მათი შერიგება, მამ ნადი, შეარიგე, მე მეზარება. ჭუოიუნ-მა თქვა, კაი მაგარი ვინმე ხარ, გული ქვისა გაქვს, მე ეს უკვე გამოცვადე. სუნგლიენ-მა თქვა, ჩემს გამო მეტისმეტად ირჯები, არ ვარ ამის ღირსი, გული გადაუშალოს, უჩვენოს, არავის ძალუძს, ვინც დაუნდობარია, გულქვაა, თვითონვე უკეთ იცის.

მეორე დღეს სუნგლიენ-ს ბაღში შემოხვდა ფეიპუ. ფეიპუ ერთობ დაბნეული ჩანდა, ნამძინარევი სახით მოდიოდა, გზადაგზა ხელში სანთებელას ათამაშებდა. თავი მოაჩვენა, თითქოს ვერ დაინახა სუნგლიენ-ი. სუნგლიენ-მა კი განზრახ ხმამაღლა დაუძახა, შეაჩერა. სუნგლიენ-ი, ვითომც არაფერი მომხდარაო, გამოელაპარაკა. ჰკითხავს, გუშინ სტუმრად ვინ იყო მოსული, ბოროტებმა სიაოს მეცადინეობა ჩამიშალეს. ფეიპუ-მ რალაცნაარად მწარედ ჩაიციხა, ნუ თვალთმაქცობო თქვა, დღეს მთელი ჯალაბობა ერთმანეთში ჩემი და უფროსი ქალბატონის ჩხუბის ამბავზე ლაყბობს. სუნგლიენ-ი კვლავ, რაო, რატომ იჩხუბეთ? ფეიპუ-მ თავი გაიქნია, ზედიზედ ანათო სანთებელა, შეუბერა, ჩააქრო, ხელახლა ანათო, გულგრილად მიმოიხედა, თქვა, შინ დიდი ხნით დაყოვნება მოსაბეზრებელია, უცხო მხარეს მიინდა გავემგზავრო, ვიხეტიალო. ოჯახისგან მოშორებით ყოფნა კარგია, თავისუფლებაა, სილაღეა. სუნგლიენ-მა თქვა, მიგიხვდი, საერთოდ გეშინია მისი. ფეიპუ-მ თქვა, მისი კი არ მეშინია, მეშინია დავიდარაბის, მეშინია ქალების, ქალები მართლაც საშიშარნი არიან. სუნგლიენ-მა თქვა, რაო, ქალებისა გეშინია? მამ ჩემი რალატომ არ გეშინია? ფეიპუ-მ თქვა, ცოტა არ იყოს შენიც მეშინია, თუმც ნაკლებად, შენ მათ არ ჰგავხარ, არ ხარ იმათნაირი, ამიტომაც მომწონს შენთან შემოვლა.

შემდგომში სუნგლიენ-ი იხსენებდა ფეიპუ-ს ამ სიტყვებს, ანაზდად, ანგარიშმიუცემლად რომ წარმოთქვა – შენ იმათნაირი არ ხარ – და ყოველ ჯერზე ეჩვენებოდა, რომ ფეიპუ-მ უსაჩუქრა ის მცირედი ნუგემი, რაც კი შეეძლო და ეს იყო ხოლმე ვითარცა ზამთრის მზე, რომელიც არის კიდევაც და არც არის, თუმცკი ასხივებს ციციქნა სითბოს.

*** **

მერე და მერე ფეიპუ იშვიათადლა თუ შეივლიდა სუნგლიენ-ის ბინაში. იმხანად მისი სავაჭრო საქმეები თითქოს არ იყო აწყობილი. მოწყენილი და უკმაყოფილო გამომეტყველება ჰქონდა მუდამ. სუნგლიენ-ი მას მხოლოდ სადილობისას თუ ნახავდა ხოლმე. ასეთ შემთხვევებში თვალწინ წარმოუდგებოდა მიემ ანისა და

ექიმის მაგიდის ქვეშ შეტმასნული ფეხები და ისიც, ნებაუნებურად, მაგიდის ქვეშ თავის ფეხებს ჩახედავდა ხოლმე, თან ფიქრობდა, მიუწვდებოდა თუ არა ფეხი. ასეთი ფიქრებისას მის გულში შიშისა და მღელვარების ქარიშხალი ბობოქრობდა.

მოდგა დღე, როცა ფეიპუ მოულოდნლად ეწვია, დგას, ხელებს იფშენეტს, მზერა გამტერებია, საკუთარ ტერფებს დაშტერებია. სუნგლიენ-ი ატყობს, დუმილს არ იქნა, ვერ არღვევს, გაიცინა, თქვა, რა წამალსა მალავ ხულუში³⁴, რას გაჩუმებულხარ? ფეიპუ-მ თქვა, შორს მივემგზავრები. სუნგლიენ-მა თქვა, შენ ხომ ისედაც ხშირად მოგზაურობ სავაჭრო საქმეების გამო? ფეიპუ-მ თქვა, ამჯერად იუენ'ნანში³⁵ მივემგზავრები. იქ თამბაქოს გამო ერთი საქმე უნდა გავჩარხო. სუნგლიენ-მა თქვა, მერედა რა მოხდა ასეთი, მთავარია თრიაქით არ იყოს ვაჭრობა, სხვა დანარჩენი – მისაღებია. ფეიპუ-მ თქვა, გუშინ ერთმა მაღალი წოდების ბერმა მიმკითხავა, თქვა – ამჯერად ბოროტებაა მეტი, სიკეთე ნაკლებადააო. ისე, საერთოდ, არასოდეს მწამდა ამგვარ სისულელეების, მაგრამ ახლა, ცოცხალი არ იყოს დავიჯერე. სუნგლიენ-მა თქვა, თუკი ასეა, თუკი დაგიჯერებია, ნუ წახვალ. გამიგონია, იქაურობა ავაზაკებითაა სავსე, ადამიანსაც სჭამენო. ფეიპუ-მ თქვა, არ შემიძლია არ წავიდე, ჯერ ერთი, მსურს გამგზავრება, მეორე კიდეც ისაა, რომ შემოსავალი გვჭირდება, თუკი ჩენ-ების ოჯახში საქმე გამუდმებით ისე წავა, ახლა როგორცაა, მეტსა ხარჯავენ, ვიდრე შემოსავალია, მალე ვისხდებით და ვჭამთ იმ მთაზე, რომელიც ჩვენ თავად გავაპარტახეთ³⁶. ბატონი ახლა ცოცხალი არ იყოს მოგვიბერდა, სისულელეებს სწადის. თუ არა მე, მამ ვინლა უნდა მართოს ოჯახი? სუნგლიენ-მა თქვა, მართალს ამბობ, გონივრულია, მამ ადექ და გაემგზავრე, ზრდასრული მამაკაცი დღენიადაგ შინ იჯდეს, სახლში ბუდობდეს, წესი არ არის. ფეიპუ-მ თითებით თმა აიშალა, იყურა, მერე ანაზხად წარმოთქვა, თუკი წავალ და აღარ დავბრუნდები, შენ დამიტირებ? სუნგლიენ-მა საჩქაროდ პირზე ხელი ააფარა, თავს ნუ დაინწყევლიო. ფეიპუ-მ ხელი სტაცა, მისი ხელისგული გადააბრუნ-გადმოაბრუნა, დააკვირდა, თქვა, ნეტავ რატომ არაფერი გამეგება ხელზე ხაზებისა? რატომ ვერაფერსა ვხედავ, შესაძლოა, მყარი ბედი გაქვს, ეს ჩემს თვალთაგან დაფარულია. სუნგლიენ-მა წაართვა ხელი, თქვა, ნუ ცელქობ, უცებ იენერ-მა რომ დაგვინახოს, ისევე ააჭარტალებს ენას. ხოლო ფეიპუ-მ თქვა, ერთი გაბედოს, ენას ამოვავლიჯავ წვნიანი კერძისათვის.

სუნგლიენ-მა დერეფანში ფეიპუ-ს უთხრა: ბაი, ბაი. დაინახა, ბატონიშვილი კუ ბაღში წრეებს რომ უფლის. სუნგლიენ-ი ფეიპუ-ს შეეკითხა, ეზოში რატომაა? ფეიპუ-მ სიცილით მიუგო, ქალების იმასაც ეშინია, ჩემსავით. მერე დასძინა, ეგეც ჩემთან ერთად მოემგზავრება იუენნან-ში. სუნგლიენ-მა ტუჩები აპრუნა, თქვა, კარგ ცოლ-ქმრულ წყვილსა კი ჰგევახართ, თქვენ, ორნი, განუყრელი ხართ რაღა, როგორც გინახავს სხეული და ჩრდილი მისი. ხოლო ფეიპუ-მ თქვა, თითქო ეჭვიანობ, თუკი იუენ'ნანში გამგზავრებას მოისურვებ, შენც თან წავიყვანდი, წამოხვალ თუ არა? სუნგლიენ-მა თქვა, მე კი მენდომებოდა, მაგრამ ასეთი რამ ხომ არ გამოვა. ფეიპუ-მ თქვა, რატომაც არ გამოვა? სუნგლიენ-მა მიჰკრა ხელი, თქვა, თავს ნუ ისულელებ, მშვენივრადაც იცი რატომაც არ გამოვა. წადი, ჩქარა მოშორდი აქაურობას. სუნგლიენ-ი მზერით მანამ მიაცილებდა მიმავალ ფეიპუ-სა და ბატონიშვილ კუ-ს, ვიდრე ბაღის მთვარის ალყაფი არ გაიარეს და თვალს მიეფარნენ. იგი თავადვე ვერ გარკვეულიყო თუ როგორი გრძნობა დაუფლებოდა ამ გამოთხოვებისას, ზიზღისა თუ მსუბუქი ნალველის. ერთი რამ კი სავსებით ნათლად და გარკვევით ესმოდა, როგორც კი ფეიპუ წავა, ჩენ-ების ოჯახში იგი კიდეც უფრო ეული, მარტოსული შეიქნება.

ჩენ წუოციენ-ი ოთახში როცა შევიდა, სუნგლიენ-ს ის-ის იყო მოწვევა წამოეწყო. რომ შებრუნდა და დაინახა იგი, სიგარეტი მაშინვე ჩააქრო. მას ახსოვდა ჩენ წუოციენ-ის ნათქვამი, ვერ ვიტან ქალები რომ ეწვიანო. ჩენ წუოციენ-მა მოიხადა ქუდი, გაიხადა ქურთუკი, ელოდა, სუნგლიენ-ი საკიდზე რომ ჩამოჰკიდებდა. სუნგლიენ-ი გაუბედავად მიუახლოვდა, თქვა, ბატონო, დიდი ხანია არ მოსულხართ. ჩენ წუოციენ-მა თქვა, შენ რა, მოწვევა დაგინწყია? ქალი, როგორც კი მოწვევას დაინწყებს, მაშინვე ჰკარგავს ქალურ გემოს. სუნგლიენ-მა ლაზათიანად ჩამოჰკიდა მისი ტანისამოსი, ქუდი კი თვითონ ჩამოიფხატა და სიცილ-ხუმრობითა თქვა: აი ასე, ქალურ სულ მცირე გემოს დავკარგავ, მართლა? ჩენ წუოციენ-მა ქუდი თავიდან მოგლიჯა და თვითონ დაჰკიდა საკიდზე, თან თქვა, ცელქობ მეტისმეტად. ცელქობას როცა იწყებ, აჭარბებ, გასაკვირი არაა, ოჯახობა რომ გკიცხავს. სუნგლიენ-მა საჩქაროდ შეანწყვეტინა სიტყვა: რაო, რას ამბობენ? ჩემზე ვინ რას ამბობს? ბოლოს და ბოლოს ვილაცხევი ამბობენ, თუ შენ თვითონ ამბობ? მე სრულიადაც არ მეშინია თუკი ვილაცხა რაღაცას ამბობს, მიმიფურთხებია, მაგრამ, თუკი ამას ბატონი ამბობს და თუკი შენ ვერ ვიტან, მაშინ ისლა დამრჩენია, მოვკვდე, ასე აჯობებს. ჩენ წუოციენ-მა წარბები შეჭმუხნა, თქვა, კარგი, კარგი, ყველანი ერთნაირები ხართ, ერთი ბენო რამ და მაშინვე სიკვდილზე ალაპარაკდებით, კაცი იფიქრებს, რა მძიმეა თქვენთვის ეს ყოველდღიურობა, რა აუტანელი. ყველაზე მეტად ასეთ ტონს ვერ ვიტან. სუნგლიენ-ი მიუახლოვდა, მხრებზე შემოხვია ხელი, არწევს, ამბობს, რაკი არ მოგწონს, მეტად აღარ ვისაუბრებ სიკვდილზე. ისე, სიმართლე რომ ითქვას, ყველა ჯანმრთელია, ყველაფერი რიგზეა, რა საჭიროა ამისთანა საუბარი. მაგრამ ისე, სიტყვამ მოიტანა, ნალველმა. ჩენ წუოციენ-მა ხელი მოხვია, მუხლებზე დაისვა, თქვა, მოინწყინე, ნალვლობდი, ეს ყველაფერი იმ დღით მომხდარის გამოა? მაშინ მთავარი ის იყო, რომ საზიზღარ გუნებაზე ვიყავი, იმ დღეს, დილიდან დაღამებამდე, სულ აფორიაქებული ვიყავი, არ კი ვიცი რატომ. იქნებ იმიტომ, ყველა მამაკაცი, ვისაც ორმოცდაათი შეუსრულდება, გახარებული არ იქნება. სუნგლიენ-მა კი თქვა, იმ დღეს გულისხმობ? მე უკვე გადამაგინწყდა. ჩენ წუოციენ-მა გაიცინა, ნელზე უჩქმიტა, თქვა, რომელი დღე?

მეც დავივინყე.

სულ რამდენიმე დღე არ გასულიყო, რაც ერთად არ ყოფილან, სუნგლიენ-მა კი უცბათვე იგრძნო, ჩენ წუოციენ-ის სხეული მისთვის რაღაც უცხო რომ შეიქნა, თანაც ქაფურის სუნი ასდიოდა. იგი ხვდებოდა, რომ ეს დღეები მან იუიჟუ-ს სასუფეველში გაატარა. მხოლოდ იმას უყვარდა ქაფურის ზეთის წაცხება. სუნგლიენ-მა გაინოდა ხელი, მისწვდა სანოლთან სუნამოს და ცოტ-ცოტა მიაპკურა ჯერ ჩენ წუოციენ-ს, მერე თითონაც მიიპკურა. ჩენ წუოციენ-მა თქვა, ეს ყველაფერი სად გისწავლია. სუნგლიენ-მა თქვა, არ დავუშვებ, შენ სხეულს იმათი სუნი რომ ასდიოდეს. ჩენ წუოციენ-მა ნიხლი ჰკრა საბანს, თქვა, გვარიანად ძალაუფლებისმოყვარე ბრძანდები. სუნგლიენ-მა მხოლოდ ისა თქვა, მე კი ვინდომებდი ძალაუფლებისმოყვარე ვყოფლიყავ, მაგრამ სადა მაქვს ამის უფლება. მერე უცბათ შეეკითხა, ფეიპუ იუენ'ნანში რატომ წავიდა? ჩენ წუოციენ-მა თქვა, ასე თქვა, თამბაქოთი სავაჭროდაო, როგორც ენებოს, მე ნება დავრთე. სუნგლიენ-ი კვლავ: ის და ბატონიშვილი კუ აგრერიგ რად მეგობრობენ? ჩენ წუოციენ-მა გაიცინა, პასუხად თქვა, უცნაური აქ რა არის, ხდება ხოლმე მამაკაცებს შორის, შენ ამას ვერ გაიგებ. სუნგლიენ-მა უხმოდ ამოიოხრა, შეეხო ჩენ წუოციენ-ის ტანს, სიმჭლევე რომ მორეოდა. უეცრად გონებაში რაღაც იდუმალი აზრი შეეპარა, აზრი, რომ არ გამოითქმოდა. ფიქრად გაივლო, ფეიპუ ნეტავ ლოგინში როგორი იქნებოდა?

ქალს, რომელსაც უკვე განცდილი ჰქონდა სექსის გრძნობა, სუნგლიენ-ს, ერთი განსაკუთრებული შემთხვევა ვერასგზით ვერ დავიწყნოდა. ჩენ წუოციენ-ი ოფლად იღვრებოდა, ხოლო მთელი მისი ჯაფა ამოიყო, მას არაფერი შეეძლო. სუნგლიენ-მა გუმანით იგრძნო მის თვალებში გამკრთალი დაბნეულობა და შიში. რა იყო ეს? ქალს ჩაესმოდა, მის ხმას სულ უფრო და უფრო თუ როგორ ეცლებოდა ძალა, უფრო და უფრო გაუბედავი რომ ხდებოდა. სუნგლიენ-ის თითები, წყლის ნაკადი როგორც მოედინება, ისე უალერსებდა მის სხეულს. იგი გრძნობდა, რომ ტანი დაძაბულების აფეთქების შემდეგ მის თითებქვეშ თითქო მოეშვა, მოდუნდა და განემორა მას, სულ უფრო და უფრო დაცილდა. იგი მიხვდა, რომ ჩენ წუოციენ-ის სხეულმა ძლიერი განცდა გადაიტანა. ხოლო ქალის გულში უცნაური გრძნობა დაიბადა. თავადაც ვერ მიხვედრილიყო, რა იყო ეს, სევდა, ბუნდოვანი სიხარული, თუ გაურკვევლობა. სრულიად დაბნეულიყო. მან ხელი შეახო ჩენ წუოციენ-ის სახეს, მიუალერსა, თქვა, შენ ძალიან დაღალულხარ, ჯობია დაიძინო. ჩენ წუოციენ-მა უარის ნიშნად თავი გაიქნია, თქვა, არა, არა, არ მჯერა. სუნგლიენ-მა თქვა, მამ რა ვქნათ? ჩენ წუოციენ-ი ცოტას შეეყოყმანდა, მერე თქვა, არის ერთი ხერხი, ოღონდ არ ვიცი, შენ გაბედავ თუ არა? სუნგლიენ-მა თქვა, შენ თუ გაგისარდებ, მიზეზი, მე რომ უარი ვთქვა, არ არსებობს. ჩენ წუოციენ-ი ლოყით მის ლოყას მიეკრა, ნაზად ჰკბენდა მისი ყურის ბიბილოს, მერე რაღაც ჩასჩურჩულა. სუნგლიენ-მა სიტყვები ვერ გაარჩია, მან გაუმეორა. სუნგლიენ-მა ამჯერად გაიგო, ვერაფერი თქვა, მის სახეს სირცხვილის აღმურმა გადაუარა, მთლად აილანდა. იგი შებრუნდა, ბნელ წერტილს მიაჩერდა, ანაზდად აღმოხდა, ხო, მაგრამ, მე ხომ ძუკნას დავემგვანები? ჩენ წუოციენ-მა თქვა, მე სრულიადაც არ გატან ძალას, თუკი არ გინდა, ჩათვალე, რომ არაა საჭირო. სუნგლიენ-ი არ პასუხობს, მთლად მოიკუნტა, კატასავით ჩაეხვია. მერე ჩენ წუოციენ-ს ჩაესმა ჩუმი ქვითინი. ჩენ წუოციენ-მა თქვა, არ გინდა, ესე იგი არ გსურს, ტირილი რაღა საჭიროა. მისთვის მოულოდნელი იყო, რომ სუნგლიენ-ი უფრო და უფრო უმატებდა ტირილს, საბანში თავჩარგული განაგრძობდა ზლუქუნს. ჩენ წუოციენ-მა უგდო, უგდო ყური, თქვა, თუკი ღრიალს გააგრძელებ, ნავალ. სუნგლიენ-ი კვლავინდებურად მოთქვამს. ჩენ წუოციენ-მა საბანი გადაიძრო, სანოლიდან ჩამოხტა, ჩაცმა დაიწყო, თან თქვა, არსად შემხვედრია ასეთი დედაკაცი, ჯერ იყო და გაბოზდი, მერე კი გინდა შენს ქალწულებრივ სინმინდეს ძეგლი ავუგო?

ჩენ წუოციენ-მა სახელო მოიქნია, წავიდა³⁹. სუნგლიენ-ი სანოლში ნამოჯდა, კიდევ დიდხანს შესტიროდა ჩამოზნელებულ ოთახს. მერე შენიშნა, ფანჯარას ჩამოფარებული ფარდიდან თუ როგორ შემოიპარა მთვარის შუქი, იატაკს თუ როგორ დაეფინა და ცივ, ნათელ ლაქად გარდაისახა. მას თითქოს თვითონვე ჩაესმოდა საკუთარი ტირილის ხმა, ჯერ კიდევ მის ყურებთან რომ ლივლივებდა, არა წყდებოდა. ბაღში კი სამარისებური სიჩუმე დასადგურებელიყო. ანაზდად გაახსენდა ჩენ წუოციენ-ის ნათქვამი, წასვლისას რომ წამოისროლა, მთელი სხეულით აცახცახდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა დასცხო ხელი საბანს და წყვდიადს შეჰყვირა, ვინაა ბოზი, თქვენ ყველანი თავად ხართ ბოზები.

ის ზამთარი ჩენ-ების სამფლობელოში არ იყო ჩვეულებრივი. ამას სხვადასხვა ნიშნები ასაჩინობდა. ოთხივე ცოლი ჩენ წუოციენ-ისა, შემთხვევით როგორც კი შეხვდებოდნენ ერთმანეთს, მაშინვე იწყებდნენ საუბარს ჩენ წუოციენ-ის რაღაც გაორებული, დაბნეული გამომეტყველების თაობაზე. მართალია, ამ საკითხზე ერთმენეთში დიდად არ გულლიაობდნენ, მაგრამ გულის სიღრმეში თითოეულს კარგად ესმოდა საქმის ვითარება. ეშმაკს უბედურება ჩაეთესლა. ჩენ წუოციენ-ი ღამეს გამუდმებით ჭუოიუნ-ის სასუფეველში ათევდა. ამის გამო ჭუოიუნ-ი საუცხოოდ გამოიყურებოდა, დანარჩენი სამი ქალბატონი კი მის დანახვისას სრულიადაც არ ფარავდა შურსა და ეჭვიანობას. მათი მზერა თავისთავად მეტყველებდა – ჭუოიუნ, ესე იგი შენ ბატონს ღამლამობით კარგა გვარიანად ემსახურები!

ხანდახან, დილაობით მიეშ ანი „გლიცინიების თალარში, თეატრალურ სამოსნამოსხმული, ძველ სიზმრებს იმეორებდა³⁷. თავისი თეატრალური ცხოვრებიდან. მისი თითოეული მოძრაობა, თითოეული ნამღერი ფრაზა, მიყვანილ იყო სრულყოფამდე. ბაღში ყველას შეეძლო დაენახა მის შიუეისიუ-ს უგრძეს თეთრ სახ-

ელოებს რარიგ აფრიალებდა ქარი. ხოლო სხეული მეიმ ანისა ცეკვისას, არამქვეყნიური ხიბლით მიმოიძროდა.

მეოთხე ჟამის ჩამოჰკრა დრომ,³⁸

დრომ სახმილავისა.

წყალუხვ მდინარეზე სიჩუმე ჩამონვა.

სხეული ჩრდილსა სცემს, ჩრდილი კი სხეულს.

მეტად და მეტად დამრია ნალველმა ხელი,

ფიქრსა ვფიქრობ, ჭეშმარიტად მოკლეა ლამაზმანის სიცოცხლე.

მე, საბრალო, რახანია სირცხვილის ცრემლმორეული ვცოცხლობ,

დამცირებული, შერცხვენილი ვარ,

მარტოოდენ როსკიპის სახელი დავიმსახურე,

ახლა ცხოვრებას ჩემსას აღარც წინ აქვს გზა, არც უკან

დაბრუნება უნერია.

ის აჯობებდა, მტაცებელ თევზის სტომაქში მეპოვა თავშესაფარი,

იქ განმელია დარჩენილი დღეები ჩემი,

ჰოი, ტუ-ს ოჯახის მეთაე ქალიშვილო,

იემშის სხეული შენი დაიმსხვრა, სურნელი მისი

განიფანტა და განიმქვრა,

და სიკვდილიც მიიღე ლალად და წრფელად.

სუნგლიენ-ი სულგანაბული უსმენდა სიმღერას, მოხიბლულიყო. იგი მიუახლოვდა მეიშან-ს, ხელი მოჰკიდა მისი უგრძესი კაბის კალთას, თქვა, ნულარ იმღერ, სიმღერა თუკი განაგრძე, იცოდე, სული ჩემი სხეულს ჩემსას მიატოვებს, ამოფრთხილდება. რას იმღეროდი? მეიშან-მა ასწია სახელო, სქლად წასმული ფერუმარილი ჩამოინმინდა, ქვის მაგიდაზე ჩამოჯდა, სული მოითქვა. სუნგლიენ-მა მიანოდა აბრეშუმის ცხვირსახოცი, თქვა, შეხედე, თეთრ-ნითელ ლაქებს მთლად აუჭრელებია შენი სახე, ნამდვილი კუი³⁹ შეიქენი. მეიშან-მა თქვა, მერედა რა მოხდა, ადამიანსა და კუი-ს შორის განსხვავება მხოლოდ და მხოლოდ ჰაერის ერთი ყლუპია, მყიფეა ეს სხვაობა, ადამიანი იგივე კუი-ა და კუი იგივე ადამიანია. სუნგლიენ-მა თქვა, შენ რასაც იმღერდი, ის რა იყო? გული მთლად ნალველით ამევსო. მეიშან-მა თქვა, „მეთაე ქალწული ტუ“ იყო, ვიდრე დასიდან წამოვიდოდი, უკანასკნელ წარმოდგენაში სწორედ ამ როლსა ვთამაშობდი. მეთაე ტუ თავს რომ იკლავს, მანამდე ამასა მღერის, ამიტომაცაა, სულის შემძვრელი. სუნგლიენ-მა თქვა, როდისმე ამ ნაწყვეტს დამასწავლი? მეიშან-მა მზერა სტყორცნა, თქვა, შენც იტყვი რალა, რაო, სიკვდილი ხომ არ დაგიპირებია? თავის მოკვლას რომ გადაწყვეტ, აი მაშინ დაგასწავლი. სუნგლიენ-მა ხმა გაკმინდა, სიტყვას არ სძრავს, მზერა მიეყინა მეიმ ანის ფერუმარილით აჭრელებულ სახეს, და აი იმ წუთას იგრძნო, რომ უკვე აღარ ძულდა მეიმ ანი, ყოველ შემთხვევაში იმ წუთას არა სძულდა. მაგრამ მეიშან-ს შეეძლო ერთად დაეკოდა ადამიანი. სუნგლიენ-ს ღრმადა სწამდა და სჯეროდა, რომ მეიშან-ს, იუიჟუ-ს და მათთან ერთად მასაც, ერთი საერთო მეტოქე ჰყავდათ, ეს იყო ჭუოიუნ-ი. სუნგლიენ-მა, მართალია, ეს იცოდა, მაგრამ თავს ისე როგორ დაიმცირებდა, ეს ელიარებინა. იგი მიუახლოვდა ჭას, შიგ ჩაიხედა, უეცრად გაიცინა, თქვა, კუი, აქ კუი-ები ბრძანდებიან, შენ იცი თუ არა, აქ ვინაა დამხრჩვალი? მეიმ ანი კვლავინდებურად გაუნძრევლადა ზის ქვის მაგიდაზე, თქვა, განა ვინ შეიძლება იყოს? ერთი – შენ ხარ, მეორე – მე. სუნგლიენ-მა თქვა, მეიშან, ერთთავად აგრე ხუმრობ, თმა ყალყზე მიდგება. მეიმ ანი ილიმის, რაო, შეგეშინდა? შენ ხომ სხვებს მამაკაცებს არა ჰპარავ, რად უნდა გეშინოდეს, ვინც იპარავს, იმათი ბოლო ჭაშია, ჩენ-ების ოჯახში უკვე რამდენიმე თაობას ასეთი ბედი უნერი. სუნგლიენ-ი უნებურად საჩქაროდ ერთი ნაბიჯით მოშორდა ჭას, თქვა, რა საშინელებაა, რაო, ხელსა ჰკრავენ? მეიშან-მა გრძელი სახელო მოიქნია, წამოდგა, თქვა, შენ მე მეკითხები, მე კი ვილასა ვკითხო, წადი, თავად შეეკითხე იმ კუი-ებს, მორჩა და გათავდა. მეიმ ანი მიუახლოვდა ჭას, მანაც ჩაიხედა შიგ, მერე მკაფიოდ, თეატრალურად, დამარცვლით წარმოთქვა:

ჰოი, უდანაშაულოდ დალუპული კუი, მისმინე.

ისინი საუბრობდნენ აქეთურ იქითურზე, შემთხვევით სიტყვა ჩენ წუოციენ-ზეც ჩამოვარდა, მის საიდუმლო უძღურებაზე. მეიშან-მა თქვა, ლამპარი რაგინდ კარგი იყოს, ოდესმე ზეთი გამოელევა, უბედურება ისაა, დასამატებლად რომ აღარაფერი გააჩნია. ამ ეზო-კარში მეტისმეტად მოჭარბებულია ინ-ის მიძიმე სული⁴⁰. ინ-ი აღშობს და ჯაბნის იანგ-ს, ზეცამ ასე ბრძანა, ასეთია ბედი. აი, რა მაგარი რამეა. ბატონმა ჩენ წუოციენ-მა კი დაიკავა საპირფარეშო, ვერ კი ჯვამს. ჩვენ კი ტყუილუბრალოდ ვიტანჯებით, ყოველლამ ცარიელ ლოგინსა ვყარაულობთ. ილაპარაკეს, ილაპარაკეს და სიტყვა ისევ ჭუოიუნ-ს მიადგა. მეიშან-მა კბილებში გინება გამოსცრა. ეგ გომბიო, ეგა! ერთი დამიხედე, ბატონთან როგორ ერთობა, რაებსა სჩადის, მზადაა უკანალი ულოკოს, გეგონება ტკბილი და სურნელოვანი რამე იყოს, ასე ჰგონია ყველაფერი შეუძლია, ამოაგდოს ქარი, ტალღები ააგოროს, ის კი არ იცის, რომ ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, ვუჩვენებთ სერს. ისეთ დღეს დავაყრით, საშველად დედ-მამას უძახდეს.

სუნგლიენ-ს უკვე აღარ შეეძლო მისი ტარტარის მოსმენა, გულს ველარ უდებდა. ისედაც, მიტოვებულ

ჭასთან რომ იდგა, ვერ განთავისუფლებულიყო სიზმრისეული ზმანებებისა და მოჩვენებებისაგან. ჭის სიღრმიდან წყლის დგაფუნთან ერთად ლაპარაკის ყრუ ხმაც მოესმოდა, გარდაცვლილ სულთა საუბრის ხმა, მას ნამდვილად ესმოდა ჭიდან ამოსული სიღამის ცივი სუნი, შთანთქავდა მის სხეულსაც და სულსაც. მეშინია. სუნგლიენ-მა დაიყვირა, შეტრიალდა, მოსწყდა ადგილს და გაიქცა. ესმოდა მეიშან-მა რომ მიაძახა, შენ, ეი, რა დაგემართა, თუ აპირებ დამაბეზლო, იცოდე, შენი არ მეშინია, მე არაფერი მითქვამს.

*** **

იმ დღეს იუენ-ი სკოლიდან შინ მარტო დაბუნდა. ჭუოიუნ-ი ხელად მიხვდა, რალაცაში იქნებოდა საქმე, ჰკითხავს, იუენ-ი სადღა? იუენ-მა ზურგჩანთა იატაკზე დააგდო, თქვა, დაჭრეს, საავადმყოფოშია. ჭუოიუნ-ს ამბის დანვრისგან გამოკითხვა არც დაუნდია, ხელად ორი მამაკაცი მსახური გაიყოლა, საავადმყოფოში გაქანდა. როცა დაბრუნდნენ, სავახშმო სუფრა უკვე გაშლილი იყო. იუენ-ს თავი ბინტით ჰქონდა შეხვეული, ჭუოიუნ-მა ხელში ატატებული მიიყვანა სუფრასთან. მოვახშმეებმა ქუაი'ძი⁴¹ უმალ მაგიდაზე დადეს, იუენ-თან შემოგროვდნენ, ჭრილობის სანახავად. საერთოდ, ჩენ წუოციენ-ი შეილებს შორის ყვლაზე მეტად იუენ-ს ანებებდა, ახლაც გოგონა მუხლებზე დაისვა, ჰკითხავს, მითხარი, ვინა გცემო, ხვალვე ტყავს გავაძრობო. იუენ-მა მტირალი სახით ერთი ბიჭი დაასახელა. ჩენ წუოციენ-მა გაცოფებულმა თქვა, ვისი ოჯახის შვილია ეგ ბიჭი? როგორ გაუბედავს ჩემ გოგონაზე ხელის აღმართვა. ჭუოიუნ-ი იქვე დგას, ცრემლს ინმენდს, თქვა, მაგას რას ეკითხები, ბავშვს რა შეუძლია გითხრას? ხვალ წავალ, იმ ბიჭს მოვნახავ, ყველფერს დანვრისგან გამოკითხავ, ვინ იყო ის უსინდისო, ვინ იყო ის მხეცზე უარსი, ასე რომ მოექცა უმწეო ბავშვს? იუიუ-მ წარბები შეჭმუნა, თქვა, მიირთვით, მიირთვით, ბავშვებმა სკოლაში იჩხუბეს, ასეთი რამ ხშირად ხდება, რაკი ჭრილობა სახიფათო ადგილას არაა, ერთი ორი დღე უნამლებენ და მოუშუშდება. ჭუოიუნ-მა თქვა, უფროსო ქალბატონო, მეტისმეტად ხომ არ აიოლებთ მომხდარ ამბავს, კინალამ არ დაბრმავდა ეს პატარა, ნაზი ბავშვი, ამის მოთმენა განა შეიძლება? მით უფრო, რომ მე ბიჭს კი არ ვადაწამაულეებ, უფროსები არიან შესაჩვენებელი, ისინი აქებებენ, ესე რომ არ იყოს, მტერი, შურისმაძიებელი ხომ არ იყო, ის ბიჭი? ჯერ იყო და ხეს ამოეფარა, მერე კი უცბათ, უჩუმრად, მივარდა და იუენ-ს თავში ჩასცხო ჯოხი. მეიშ ანი ამ დროს იმით იყო გართული, რომ ქათმის წვნიანს კოვზითა ხვრეპდა, ჰოდა, თითქო უცაბედად, ანგარიშმიუცემლად თქვა, მეორე ქალბატონი ეჭვიანი ქალია, ბავშვებს ჩხუბი მოსვლიათ, ამას რა დიდი სჯაბაასი სჭირდება? არცა ღირს საქმის ისე გართულება, ყველამ მოსვენება რომ დაკარგოს. ჭუოიუნ-მა ცივად გამოსცრა, საღელვე ჯერ კიდევ წინაა, წყენას ასე იოლად ჩავყლაპავ? პირიქით, სიმართლეს, უეჭველად ისე წარმოვაჩენ, წყალი რომ დაიშრიტება და ქვა რომ გამოჩნდება⁴².

ყველასთვის მოლოდინლად, მეორე დღეს, შუადღისას, ყველანი სადილად მაგიდას რომ შემოსხდომოდნენ, შემოვარდა ჭუოიუნ-ი, ხელი ჩაეველო და მოათრევედა ბიჭუნას, ატირებულ, ჩასუქებულ ბიჭუნას ცხვირიდან სქელ-სქელი ცინგლები ჩამოსწურწურებდა. ჭუოიუნ-მა ყურში რალაც უჩურჩულა. ბიჭუნამ მაგიდას შემოუარა, ყველას სათითაოდ სახეში ჩახედა, უცბათ თითი მეიშან-ს მიაშვირა, თქვა, აი ამან მომცა ერთი იუენ-ი. მეიშან-მა თვალეში ზეცაში ალაპყრო, სკამი უკან დახია, ბიჭუნას საყელოში სწვდა, ყვირის, რაო, რა თქვი? ვითომ რისთვის მოგცემდი ერთ იუენს? ბიჭი, რაც ძალი და ღონე აქვს, ცდილობს თავი დაიხსნას, ყვირის, შენ მომეცი ერთი იუენი, ჩენ იუენ-ი და ჩენ იუენ-ი მიბეგვეო. თხლამ, მეიშან-მა ბიჭს ლოყაში გაულანუნა, ნუ ამყრალდი, საერთოდ არ გიცნობ, შე ძაღლის შვილო, ვინ გაიძულა შარში გამხვიო? ამ დროს ჭუოიუნ-ი მათ გაშველებას შეეცადა, პირს ყალბი ღიმილი გადაიფინა, თქვა, კმარა, ჩათვალეთ, რომ ბიჭიკო შეცდა, ამოცნობისას შეეშალა, მე კი გულზე მომეშვა, ჰოდა კაი, გვეყოფა, კმარა. ამ სიტყვებით მან ბიჭი სასადილო ოთახიდან კინისკვრით გააგდო.

მეიშან-ს სახე მოეღრიცა, კოვზი მაგიდაზე დაანარცხა, თქვა, უნამუსოვ! თავის მხრივ არც ჭუოიუნ-ი ჩამორჩა, უნამუსო ვინცაა თვითონვე იცის, ხომ არა გგონია სხვისა უნამუსო საქმეებს მე გამოვბერყავ კარში. ჩენ წუოციენ-ს ამ ლანძღვა-გინების ატანა მეტად აღარ შეეძლო, დაიღრიალა, ვისაც ჭამა არა ნებავს, გაეთრიოს აქედან, მორჩა, გაეთრიეთ აქედან!

მთელ ამ ამბავში სუნგლიენ-ი სრულიად არ ჩარეულა. რომ იტყვიან ბრძოლის ველიდან მოშორებით იდგა. მას, ვითარცა ფხიზელ დამკვირვებელს, სიტყვაც არ დაუძრავს. სინამდვილეში კი იმთავითვე მიხვდა, მთელი ეს ამბავი მეიშ ანის ჩანყობილი რომ იყო. გუმანიტა გრძნობდა, იმგვარი ხასიათისა და ყოფაქცევის ქალები, მეიშ ანი რომ იყო, სიყვარულიცა და სიძულვილიც გიჟური, გახელებული სჩვევიათ, სამიშარნი რომ არიან. იგი ფიქრობდა, ეს ყველაფერი არა მხოლოდ სისასტიკე, არამედ სასაცილოც კი იყო, თან უგუნურებაც. ის კი უკვირდა და უცნაურად ესახებოდა, რომ მიუხედავად ყველაფრისა, გულის სიღრმეში, მაინც მეიშ ანის მხარე ეჭირა. ქალებს შესწევთ უნარი ადამიანები საფუძვლიანად შეისწავლონ, ადამიანები, მაგრამ არა საკუთარი თავი.

*** **

სუნგლიენ-ს ისევ მოუვიდა, უნინ არასოდეს ასე ძალიან არ უღელვია და არ შეწუხებულა, როგორც ახლა. მუქი წითელი ფერის სისხლის ეს პატარა ლაქა მისთვის ელდა იყო, დაუნდობარი ელდა. როდესაც

ქვეშ ქალაღდის სველი საფენი⁴³ დაინახა, მაშინვე ნათლად შეიგრძნო, რომ მოსალოდნელი ორსულობა თუკი საპნის ბუშტად გადაიქცეოდა, ან გრძნობათა გაგრძელების გამო, ან ჩენ წუოციენ-ის უძღურების მიზეზით, ეს სინამდვილე მას ობოლ, ჩამოცვენილ ფოთლად გადააქცევს. განა ჩენ-ების სამფლობელოს ცხოვრებისეულ ჩაგუბებულ ტბორში სამარადისოდ არ იტივიტივებს, არსად რომ არ გააჩნდება თავის მისადრეკი?

სუნგლიენ-მა შენიშნა, რომ სულ უფრო და უფრო სენტიმენტური ხდებოდა, თვალს წარამარა ცრემლი ერეოდა. დრო და დრო ჩამოდენილი მწარე ცრემლი საკინძეს უღტობდა. ერთხელ, ფესხადგილში რომ შევიდა, დასვრილი საფენის გადასაგდებად, შემთხვევით ლამის ქოთანში დამპალი საფენის ნაგლეჯს წააწყდა. უნებურად შეიგინა – მურტალი! იენერ-ი ვერა და ვერ შეჩვეოდა სიახლეს, უნიტაზით სარგებლობას, წყლის ჩამოშვება მუდამ ავინყდებოდა. სუნგლიენ-მა ის-ის იყო წყლის ჩამოშვება გაიფიქრა, რომ რალაც უჩვეულო ექვისა და წინათგრძნობის კარნახით უცნაურმა აზრმა გაუელვა, მოძებნა იატაკის ჯაგრისი, ზიზლით ცხვირზე თითები ნაიჭირა და ქალაღდის საფენი გაჩიჩქნა. სუნგლიენ-მა გაჭყლიტა ქალაღდის კოშტი. დაინახა წყლით გაჟებული პანანინა ქალის ფიტული. ფიტული, მართალია, მთლად ჩამპალიყო, მაგრამ მაინც ნათლად იკვეთებოდა ქალის ფიგურა, შავი საღებავით მოხატული. სუნგლიენ-ი მიხვდა, ეს ისევე იგი იყო დახატული. იენერ-მა ახლა ავი თვალის, ჯადოს ახალ, სხვა ხერხს მიმართა, ჩუმრუმად ისევე ჯადოს უკეთებს, მისი გათვალვა სურს. სუნგლიენ-მა გაიფიქრა, იენერ-ი ცის მანანასავით ელოდება ჩემს სიკვდილს, იმიტომაც ჩამადგო უნიტაზში. სუნგლიენ-ი კანკალმა აიტანა, მთელი ტანით უმონყალოდ ცახცახებდა. აღარც ჭუჭყი და სიბინძურე შეზიზლებია, ამოიღო დამპალი ქალაღდის კოშტი. კიდევ უფრო ნათლად დაინახა საშინელი გამოსახულება. ქალაღდის კოშტი ხელში დაიჭირა თუ არა, მყისვე მთელმა სისხლმა თავში აასხა, ცეცხლივით აენთო, აგიზგიზდა. მომუჭა ქალაღდის კოშტი და იენერ-ის სოროში შევარდა. იენერ-ი საწოლზე ჩამომჯდარიყო, მთვლემარე თავს აკანტურებდა. იენერ-მა თქვა, ქალბატონო, რაო, რა მოხდა? სუნგლიენ-მა პირდაპირ სახეში სთხლიშა კოშტი. იენერ-მა წამოიყვირა, რა იყო, რა არის? ვიდრე რამეს მიხვდებოდა, თვალი ჰკიდა თუ არა კოშტს, სახეზე მიტკლისფერი დაედო, შემინებულმა წაილულლულა, მე არ მომიხმარია. სუნგლიენ-ი, სიბრაზისაგან სუნთქვაშეკრული, სიტყვას არ ძრავს, თვალბეგადმოკარკლული იენერ-ს მისჩრები, მერე სიბრაზე სასონარკვეთილებამ შეცვალა. იენერ-ი საწოლის კუთხეში მიიყუჭა, თვალის გასწორებას ვერ უბედავს, თქვა, თამაშ-თამაშისას დავხატე. არა, შენ არა! სუნგლიენ-მა თქვა, თქვი, ვინ დავასწავლა ეს შავბნელი საქმეები? გინდა მავნო, მომკლა გინდა, რატომ? შენ თვითონ გსურს ქალბატონი შეიქნე? იენერ-ი შიშით კრინტს ვერ ძრავს, ხელი დასტაცა ქალაღდის კოლტს, უნდა რომ ფანჯრიდან მოისროლოს. სუნგლიენ-ი არაადამიანური ხმით ღრიალებს, არ გაბედო გადაგდება! იენერ-ი მისკენ შებრუნდა, ცდილობს თავი იმართლოს, ეს ბინძური რამეა, რატომ არ გადავადგო, რისთვის დავიტოვოთ? სუნგლიენ-მა გულზე ხელები დაიკრიფა, ოთახში ბოლთასა სცემს, საათის ქანქარასავით აქეთ-იქეთ აწყდება. სწორედაც საჭიროა დავიტოვოთ. ორად ორი გზა დაგრჩენია. ერთი, ნათელია – ბატონს უნდა ვუჩვენო ეს სიბინძურე. ყველას უნდა ვუჩვენო და მეტი აღარ მემსახურო. განა ამას ქვია რომ მემსახურები? შენ ხომ მკვლეელი ხარ. მეორე გზა პირადად გადასაწყვეტია. იენერ-ი შიშნაჭამი ჰკითხავს, პირადულად რას ნიშნავს? თქვენ რაც არ უნდა მოითხოვოთ ჩემგან, მე ყველაფერზე თანახმა ვარ, ოღონდ ნუ გამაგებთ. სუნგლიენ-მა ვერაგი ღიმილით, შემპარავი ხმით თქვა, ესე იგი შევთანხმდით, შენ ეს უნდა გადაყლაპო. იენერ-ი შეკრთა, ქალბატონო, რა თქვით? სუნგლიენ-ი შეტრიალდა. ფანჯარას მიაპყრო მზერა, მკაფიოდ, ხმამაღლა, დამარცვლით წარმოთქვა, შენ ამას შეჭამ. იენერ-მა იგრძნო, რომ მთელი მისი არსება მოითენთა, მოეშვა, იმავ წუთს ჩაცუცქდა, სახეზე ხელები აიფარა, ტირილი მორთო, თქვა, ჯობია მომკლათ. სუნგლიენ-მა თქვა, არც ძალა მაქვს და არც სურვილი გამაჩნია შენი სიკვდილით ხელი დავისვარო. და ნურც შენ დამდე ბრალს ამ სისასტიკეში, ამას ჰქვია საკუთარივე ხელით მოისპო თავი⁴⁴, ეს ძველთაძველ წიგნში სწერია, შეცდომა გამორიცხულია. იენერ-ს ისლა დარჩენოდა ჩაცუცქული კუთხეში მიყუყულიყო, მოთქვამდა. სუნგლიენ-მა თქვა, ეხლა რა, წმინდანობა მოგინდა, არ შეჭამ? მამ, გაეთრიე აქედან, აკრიფე შენი ავლადიდება და მოუსვი. იენერ-ი კიდევ დიდხანსა ტიროდა, მერე უცბათ შეწყვიტა მოთქმა, ცრემლი მოიწმინდა, ზღუქუნ-ზღუქუნითა თქვა, შევჭამ, რაკი უნდა შევჭამო, მამ შევჭამ. მერე ხელი დაავლო ქალაღდის დამპალ კოლტს, პირში ჩაიტენა. გაისმა გულისრევის ამაზრზენი ხმა, თითქოს ადამიანს გულსა გლეჯდნენ, გულვიძღს უფლეთდნენ. სუნგლიენ-ი გულცივად შესცქეროდა ამ ყველაფერს, ხოლო შურისგების გრძნობას კი სრულიად არ განიცდიდა. თავადაც შეამცივნა, გულზიდვაც დაენყო. აღმოხდა, მურტალო გომბიო. ზიზლით შეხედა იენერ-ს და დატოვა მისი სორო.

იენერ-ი მეორე დღესვე ავად გახდა, უბრალოდ შეუძლოდ კი არა, მძიმედ ავადმყოფი შეიქნა. მოვიდა ექიმი, თქვა, ტიფი სჭირსო. სუნგლიენ-მა ეს რომ შეიტყო, თითქოს რალაც ბლაგვეი ლითონის საგანი გულზე დაესო, მერე დაენყო ჩუმი მკვნესარე ტკივილი. გაუგებარი იყო, თუ როგორ გასცდა ეს ამბავი მისი სასუფეველის კედლებს. მოსამსახურეთა შორის ატყდა ერთი მითქმა-მოთქმა, ყველნი სუნგლიენ-ს ადანაშაულებდნენ, მან აიძულა იენერ-ი საფენის კოლტი შეეჭამაო. ამ ამბის გამო ყველა ამბობდა, მეოთხე ქალბატონს გარეგნულად არაფერი ემჩნევა, ვერაგობით კი ყველაზე საშიში ყოფილაო, ნამდვილი კუდიანი დედაბერი, ზედგამოჭრილი ავსულიაო. იმასაც ამბობდნენ, იენერ-ის სიცოცხლე ბენვზე ჰკიდაო.

ჩენ წუოციენ-მა განკარგულება გასცა იენერ-ი საჯარო საავადმყოფოში მოეთავსებინათ. მოურავს დაავალა კიდევ, სამკურნალოდ ყველა ღონე იხმარონო, ხარჯს არ დაგიდევთო, ფულს ნუ დაზოგავო, მე გა-

დავიხდით, საჭირო არაა ხალხმა უბედური მსახურებისადმი გულგრილობაში ბრალი დაგვდონო, ამ მიზეზითა გვლანძღონო. იენერ-ი საკაცით რომ გაჰყავდათ, სუნგლიენ-ი თავისი ოთახის ფანჯრიდან, ფარდას ამოფარებული უცქერდა, დაინახა საკაცზე დასვენებული იენერ-ი, სულსა ლაფავდა. თმა გასცვენოდა, გვარიანად გაქაჩლებულიყო. ეს ყველაფერი გულშემზარავი სანახავი იყო. სუნგლიენ-მა იგრძნო, თითქოს იენერ-ის მიმქრალმა მზერამ ფანჯარას ჩამოფარებული ფარდა განმსჭვალა და მის გულს ღრმად დაესო. შემდეგ ჩენ წუოციენ-ი სუნგლიენ-ის სასუფეველში მივიდა, ხედავს, იგი ფანჯარასთან განაბულა, დუმს. ჩენ წუოციენ-მა თქვა, მეტისმეტად ვერაგულად მოიქეცი, ეს ჩენ-ების ოჯახის სირცხვილია, მთელს საგვარეულოს სახელი გაუტყხე. სუნგლიენ-მა თქვა, ჯერ მან გამიკეთა ჯადო და თან ყოველ ცისმარე დღეს მწყევლიდა. ჩენ ძუცენ-ი გაჯავრდა, შენ დიასახლისი ხარ, შენ ქალბატონი ხარ, ის კი მონაა, როგორ გაუყადრე, როგორ გაუტოლე თავი, ამ ამბავს მისი თვალთ რთვად შეხედე? სუნგლიენ-ს ენა ჩაუვარდა, ცოტა ხანს დუმდა, მერე უღონოდ ჩაილაპარაკა, მე სულაც არ მინდოდა მას ჭირი რამ შეჰყროდა, თვითონ დაიტყხა თავზე უბედურება, განა შეიძლება მარტო მე მადანაშაულებდეთ? ჩენ წუოციენ-მა, მოთმინებადაკარგულმა, ხელი ჩაიქნია, თქვა, გაჩუმდი, ყველანი ერთნაირები ბრძანდებით, ზეცამ დაგვიფაროს თქვენი წყრომისაგან. ახლა მეც, თვალს მოგკრავთ თუ არა, მაშინვე თავის ტკივილი ამივარდება. ჯობდა ჩემთვის ზედმეტი ხლაფორთი და თავსატეხი არ გაგეჩინა. ამ სიტყვებით ჩენ წუოციენ-მა გადააღაჯა ზღურბლს, წავიდა, მაგრამ მანამდე მოასწრო ყური მოეკრა სუნგლიენ-ის მწუხარე ხმისათვის, ოჰ, ზეცავ, ან როგორღა ვიცხოვრო? ჩენ წუოციენ-მა მიუგო, იცხოვრე, როგორც გინებოს, ოღონდ მონებს ნულარ დააძალებ ფეხსადგილის ქალაღდი ყლაპონ.

*** **

ერთი, გაღიად წოდებული, ბებერი მოსამსახურე სუნგ-ი, სუნგლიენ-ს ადგილსამყოფელში მოახლედ მიჰგვარეს. სუნგლიენ-ს უამბო, ათი წლის ასაკით დაწყებული დღემდე, თითქმის მთელი სიცოცხლე, ჩენ-ების სამფლობელოში ვმსახურობო. რომ ფეიპუ-საც მან მოუარა, უფროსი ქალიშვილიც, ახლა სხვა ქალაქში რომ სწავლობს, ისიც ჩემი გამოზრდილიაო. სუნგლიენ-ი მიხვდა, თავისი დამსახურებით თავს რომ ინონებდა, ტრაბახობდა. გაღანყვიტა გახუმრებოდა, უთხრა, ისე გამოდის, ლამისაა ბატონი ჩენ-იც შენ გამოზარდეო. გაღია სუნგ-მა ხუმრობას ვერ გაუგო, გაიცინა, თქვა, არა, რა თქმა უნდა, არა. მაგრამ ჩემი თვალთ კი მინახავს, შემსწრე ვიყავ ოთხივე ქალბატონზე ქორწინებისა. ცოლად იუიყუ, უფროსი ქალბატონი რომ მოიყვანა, მას ის-ის იყო ცხრამეტი შესრულებოდა, მკერდზე ეკიდა უზარმაზარი ხალასი ოქროს გულქანდი⁴⁵, თეფისოდენა იყო. ნახევარ გირვანქაზე ნაკლებს არ აინონიდა თითოეული. როცა ჭუოიუნ-ს ირთავდა, მეორე ქალბატონს, გულქანდი უფრო პატარა ზომის, ოღონდ ისიც ხალასი ოქროს ფირფიტით შენაცვლა. მეიშან-ზე, მესამე ქალბატონზე ქორწინებისას, თითოეულს რამდენიმე ბეჭედი ეკეთა თითებზე. აი, თქვენი ჯერი რომ მოვიდა, მაშინ არაფრისგან არაფერი იყო. ჩენ-ების ოჯახს დღითიდღე უარესი და უარესი დღე ადგება. სუნგლიენ-მა თქვა, თუკი ჩენ-ების ოჯახს სულ უარესი და უარესი დღე უდგება, მამ შენ რაღას ინყვეტ წელს მათი მომსახურებით? გაღია სუნგ-მა ამოიხრა, თქვა, აქაურობას, ამათ მსახურებას შევეჩვიე, სამშობლოში, ჩემ ოჯახში რომ დავბრუნდე, უსაქმოდ ყოფნას არ ვარ დაჩვეული. სუნგლიენ-მა პირს ხელი აიფარა, ჩაიცინა, თანაც თქვა, თუკი თქვენ, გაღია სუნგ, სიმართლესა ბრძანებთ, ესე იგი, ამქვეყნად მართლაც არსებობს მონური ბედი. სუნგ-მა თქვა, განა შეიძლება ეს ტყუილი იყოს, ადამიანი იბადება თუ არა, მაშინვე თან დაჰყვება ბედი, არის ბედი კეთილშობილიც, არის მდიდარიც და არის მონურიც. გინდ დაიჯერე, გინდ არა, სულ ერთია. აი მე, დღე და ღამ თქვენ გემსახურებით, ერთ მშვენიერ დღეს ცა რომ ჩამოიქცეს, ან კიდევ, დედამინა შეიძრას, თუკი ამავებს გადაფურჩით, მე ისევ თქვენ მოგემსახურებით, შეუძლებელია ისე მოხდეს, თქვენ მე რომ დამიდგეთ მოახლედ.

გაღია სუნგ-ი ერთი ხეპრე, რეგვენი, ყბედი დედაკაცი იყო. სუნგლიენ-ს ეგონა, თავს მომაბეზრებსო, მაგრამ გრძელსა და საშინლად მოსაწყენ უამრავ საღამოებში, ლამფის ქვეშ მდუმარედ რომ იჯდა, მოუნდებოდა ხოლმე ვინმესთან დალაპარაკება, ორიოდ სიტყვის თქმა მაინც. ასეთ შემთხვევებში სუნგლიენ-ი თავის ოთახში მოუხმობდა ხოლმე გაღია სუნგ-ს და ეტყოდა, მოდი, ვისაუბროთო. ქალბატონისა და მოახლის საუბრის თემა წვრილმანა, უშინაარსო, ფუჭი იყო. სუნგლიენ-ს მალევე ბეზრდებოდა. გაღია სუნგ-ის ჩიფჩიფა ყბედობის სმენისას მას აზრი გაუბრბოდა, მეტად შორს გაექცეოდა ხოლმე, შორეულსა და უცნაურ ადგილებში მიმოუხეტებოდა. სიმართლე რომ ითქვას, ყურს აღარც კი უდებდა, ხედავდა კია, რომ ქალი ჩამჭკნარჩაყვითლებულ ტურებს აცმაცუნებდა, თითქო ჭიყვლები იკლაკნებიანო. სასაცილო იყო საღამოობით დროის ამ ხერხით მოკვლა, მაგრამ სუნგლიენ-ი ხშირად ჰკითხავდა საკუთარ თავს, აბა, მამ სხვა როგორღა?

ერთხელაც, სიტყვა ჩამოვარდა ჭაში რომ ჩახოცილიყვენ იმ ქალებზე. გაღია სუნგ-მა თქვა, აი ის, ბოლო, ასე ორმოციოდე წლის წინაა ჩამხრჩვალა, ის ბატონის პაპის პაპის ყველაზე უმცროსი ცოლი იყო, თითქმის ნახევარ წელიწადს ვემსახურებოდი. სუნგლიენ-მა თქვა, როგორ მოკვდა? გაღია სუნგ-მა საიდუმლოდ მოჭუტა თვალეზი, თქვა, სხვა აბა რა ამბავი იქნებოდა, თუ არა მამაკაცებსა და ქალებს შორის საქმეები? მაგრამ, რომ იტყვიან, შინაური ნაგავი კარში არ უნდა გაბღერტო, თუ არა და ბატონი გამინყრება. სუნგლიენ-მა თქვა, გამოდის, მე უცხო, გარეშე ვარ, არა? კეთილი, ნურაფერს მომიყვები, წადი, დაიძნე. გაღია სუნგ-ი სუნგლიენ-ის გამომეტყველებას ჩაამტერდა, ლაქუცი თ შეჰლიმა, თქვა, ქალბატონო, ნუთუ

მართლა გინდათ შეიტყოთ ეს ბინძური ამბები? სუნგლიენ-მა მიუგო, თუკი მომიყვები, ყურს დაგიგდებ, ამაში ცუდი რა არის? გადია სუნგ-მა ხმას დაუნია, ჩურჩულითა თქვა, ერთი ტოუფუ-ს⁴⁶ ვაჭარი! აბა, ერთი წარმოიდგინე, ტოუფუ-ს ვაჭარი ჰყავდა საყვარლად. სუნგლიენ-მა გულგრილად თქვა, ტოუფუ-ს ვაჭარს თავი როგორ გაუყადრა? გადია სუნგ-მა თქვა, ის გლეხუჭა იმით იყო განთქმული, კარგ ტოუფუ-ს ამზადებდა. მზარეულმა შეუთვალა, ტოუფუ მომიტანე ხოლმეო. აი ასე შეხვდნენ ერთმანეთს, ერთავენი ახალგაზრდები იყვნენ, სისხლი უდღულდათ, ერთმანეთს თვალი ჩაუპაჭუნეს, წარბები აუპრინეს, ჰოდა, დატრიალდა კიდევ ამბავი, კვანტი კვანტს გამოედო, საქმე გაიჩარხა. სუნგლიენ-მა თქვა, ხელი პირველმა რომელმა გამოჰკრა? გადია სუნგ-მა ეშმაკურად გაიცინა, თქვა, ეს მარტო კუი-მ უწყის, ვინ იცის, ჯერ როგორ იყო და ჯერ რა იყო, ან კიდევ მერე როგორ და რა მოხდა. მამაკაცი ქალსა სდებდა ბრალს, ქალი კიდევ მამაკაცს ადანაშაულებდა. სუნგლიენ-ი კვლავ ჰკითხავს, ის როგორღა შეიტყვეს, მას რომ ეძლეოდა? გადია სუნგ-მა თქვა, ჯაშუშები! მოხუცი ბატონი უკვე პაპა გამხდარიყო, ამიტომაც მოთვალთვალეებს, ჯაშუშებსა ქირაობდა. იმ ხარჭამ თქვა, თავი მტკივა, წავალ ექიმთანაო. მოხუცმა ბატონმა ბრძანა, ექიმს აქ მოუხმეო. ქალი წინაღმდეგი წავიდა. ჰოდა, ბატონს ეჭვი შეეპარა, ჯაშუში დაადევნა. რა თქმა უნდა, ქალის ბრალი იყო, ცუდად ტყუოდა, ტოუფუ-ს ვაჭართან წავიდა. დაღამებამდე იქედან არ გამოსულა. ჯაშუში ჯერ მოერიდა, არ დავაფრთხილო. მერე ძლიერ მოშივდა, აიღო და კარს წიხლი ჰკრა, თან ყვირის, თქვენ ეი, არა გმიათ, მე მომშივდაო. გადია სუნგ-ს ამის თხრობისას სიცილი აუტყდა, იცინის, ჰა-ჰა-ჰა, სიცილითა კვდება. სუნგლიენ-ი ხედავს, გადია სიცილითა აქეთ-იქეთ აწყდება, მუცელი ხელით უჭირავს. სუნგლიენ-ს კი არც ელიმება, ზის ზურგგამართული, გაჭიმულა. ერთი კი თქვა, საზიზღრობააო. სუნგლიენ-მა სიგარეტს მოუკიდა, რამდენჯერმე ღრმა ნაფაზი დაარტყა. ანაზად წარმოთქვა, ესე იგი, მამაკაცებზე ნადირობდა და ამიტომ თავი ჭაში ჩაიხრჩო? გადია სუნგ-ის სახეზე კვლავ საიდუმლო გამომეტყველება გამოიხატა, ჩუმი ხმითა თქვა, ვინ უწყის, ეს მარტო ეშმაკმა, მარტო კუი-მ უწყის, ასეა იყო, თუ ისე, ჭაში ჩაკვდა.

სუნგლიენ-ს მთელი ამ ამბების გამო ლამლამობით გაუგებარი შიში დასჩემდა, სიბნელეში, უშუქოდ დაძინებისა ეშინოდა. სინათლეს თუ გამოთიშავდა, უკუნი სიბნელე აფრთხობდა. გეგონებათ, ცხადად ხედავდა რომ გლიცინითა თალაროდან ვიღაცა იმ ჭიდან სკუპსკუპით მისი ფანჯრისაკენ მოხტოდა. ეჩვენებოდა, რომ ფანჯრიდან მისკენ რწევით მოინევიდა ფერმკრთალი, წყლის ანარეკლით ალიცილიცებული, სველი, ნოტიო ხელები.

მიტოვებული ჭის თაობაზე ათასგვარი ზღაპრისა და მონაჩმახის გამო სუნგლიენ-ის შიშის შესახებ არავის არაფერი გაეგონა, ხოლო ის ამბავი, რომ მას განათებულ ოთახში ეძინა, შეიტყო იუიჟუ-მ. იუიჟუ-მ ერთხელ და ორჯერ როდი გაუმეორა სუნგლიენ-ს, ლამით შუქი თუ არ გამოთიშე, ოჯახი, რაგინდ შეძლებულიც იყოს, მაინც გაღატაკდებაო. სუნგლიენ-ი მის სიტყვებს ყურშიც არ უშვებდა, აინუშში არ აგდებდა. მალე აღმოაჩინა, რომ საშინლად მობეზრდა ქალების ენის ჭარტალით ატეხილი აუტანელი ომი. არც თავს იმართლებდა და არც ის უნდოდა პირველს აეტეხა აურზაური. არ სურდა ყურადღება მიექცია საქმეებისათვის, რომ იტყვიან ქათმის ბუმბულად და ნივრის ფურცლადაც რომ არ ღირდა. ამგვარი სისულელები არ აინტერესებდა. რაზე ფიქრობდა, თავადაც ვერ გარკვეულიყო. აზრი და ფიქრი მისი ხან იქვე, ახლო-მახლო, ხან კი შორეთში მიმოუხეტებოდა. მოკლებული იყო ყოველგვარ ლოგიკას. ეს ფიქრები და აზრები არც მოსაყოლი იყო, არც იყო ვინმე, ვისთვისაც გაზიარება ღირდა. იგი ფიქრობდა, თუკი მოსაყოლი არაფერია, მამ, საერთოდ, დუმილი ჯობს.

*** **

კარს იყო მომდგარი ახალი წელი, ჩენ-ების სამფლობელოში ყველანი, დიდ-პატარიანად, დიასახლისით დაწყებული, მსახურებით დამთავრებული, საქმიანობდნენ. სახლათორთო ბლომად იყო. კლავდნენ ღორებს, ძროხებს. იმარაგებდნენ საახალწლო სუფრის სანოვავებს. ფანჯრებს გადაღმა აურზაური იდგა. სუნგლიენ-ს, თავის ოთახში მარტოდმარტო რომ გამოკეტილიყო, უცებ, რატომღაც გაახსენდა თავისი დაბადების დღე. ამ დღესა და ჩენ წუოციენ-ის დაბადების დღეს შორის სხვაობა სულ ხუთად ხუთი დღე იყო. მეთორმეტე თვის მეთორმეტე დღეს უკვე ჩაევლო. ეს რომ გაახსენდა, გული ჩასწყდა, წყენა მოერია, ეჭვებმა დარია ხელი. ამოიღო ფული. გადია სუნგ-ს დაავალა, წადი, ცოტაოდენი წნილეული და სიჩუანური არაყი იყიდეო. გადია სუნგ-მა ჰკითხა, რა მოხდა, ქალბატონს დღეს რა დაემართაო. სუნგლიენ-მა თქვა, რა შენი საქმეა, მინდა სიმთვრალის გემო შევიტყო. მერე სადღაც მიაგნო პატარა სირჩას. მაგიდაზე დადგა, ჩამოჯდა, სირჩას მიამტერდა. მოეჩვენა, ოცი წლის წინათ, პანანინა, მდედრობითი სქესის ახლადშობილი ჩვილი ხელში აყევანა მისთვის უცხო დედას. მომდევნო ოცმა წელიწადმა მის ხსოვნაში ბუნდოვნად გაიქროლა. არც მკვეთრი კვალი დაუტოვებია, არც ნათელი. ხოლო მამის ხელი, სისხლიან წყალში ჩაშვებული, კარგად ახსოვდა. მაშინ მას ეჩვენებოდა, რომ ეს ხელი ჯერაც ლამობდა ამოყვინთვას, რომ სურდა მისთვის თავზე ხელი გადაესვა, მიაღერებოდა. სუნგლიენ-მა თვალეები დახუჭა. თვალწინ სიცარიელე, არაფერი იყო. ერთად-ერთი, რაც ნათლად ესმოდა, იყო ის, რომ დღეს მისი დაბადების დღე იყო. დიად, დაბადების დღე. მან ხელი დასტაცა სირჩას, ფსკერს ჩახედა. ფსკერზე ნალექის მოყავისფრო ლაქა ჩარჩენილიყო. სუნგლიენ-მა თავისთვის ხმამაღლა

თქვა, მეთორმეტე თვის მეთორმეტე დღე. ასე ადვილად დასამახსოვრებელი რიცხვებია. რარიგად შემეძლო დამეინყნოდა? მის გარდა მთელს დედამიწის ზურგზე არავინ იცოდა ეს მეთორმეტე თვის მეთორმეტე დღე სუნგლიენ-ის დაბადების დღე რომ იყო. მის გარდა არავინ არსებობდა, ვინც საზეიმოდ აღნიშნავდა მისი დაბადების დღეს.

გადია სუნგ-ი წავიდა, დიდხანს აღარ დაბრუნებულა. მერე მოიტანა სოიოში დამარილებული კუჭმაჭი. მაგიდაზე დაანყო. სუნგლიენ-მა თქვა, ეს ყველაფერი რისთვის გიყიდა, რაღაც ჭუჭყისფერი რამეა, ვინ შეჭამს? გადია სუნგ-ი გაკვირვებული უცქერის, მერე ანაზღად თქვა, იენერ-ი მოკვდა, მოკვდა საავადმყოფოში. სუნგლიენ-ს გული შეუტოკდა, მაგრამ თავი შეიკავა, ჰკითხა, როდის მოკვდა? გადია სუნგ-მა თქვა, არ ვიცი, ყური მოვკარი, სიკვდილის წინ თქვენ გიძახდათო, სახელით მოგმართავდათო. სუნგლიენ-ს ფერი წაუვიდა, მეძახდა? ჩემ სახელს ამბობდა? რატომ, განა მე მოვკალი? გადია სუნგ-მა თქვა, ნუ მინყრებით, მე კი არა, სხვები ამბობდნენ, გავიგონე, ავიღე და თქვენ მოგიყვით. სიცოცხლე და სიკვდილი ბედზეა დამოკიდებული, ბედს ზეცა გვიგზავნის, თქვენი ბრალი, ქალბატონო, აქ არ არის. სუნგლიენ-ი კვლავ ჰკითხავს, ცხედარი ახლა სადაა? გადია სუნგ-მა თქვა, მისმა ოჯახმა სოფელში წაასვენა, მთელი ოჯახი ტიროდა, მოთქვამდა, ცოდვანი არიან. სუნგლიენ-მა ბოთლი გახსნა, ჩასუნა, გულგრილადა თქვა, არც ღირს ტირილი, ცხოვრობდა და იტანჯებოდა, ამას სიკვდილი ჯობია. სიკვდილი სიცოცხლეზე უკეთესია.

ჩენ-ების ოჯახში ყველანი ამჩნევდნენ, სუნგლიენ-ი რომ შეიცვალა, უთქმელი, გულჩათხრობილი შეიქნა. ვარაუდობდნენ, რომ მისი ამ გუნება-განწყობის მიზეზი ის იყო, რომ ბატონი ჩენ წუოციენ-ის გრძნობები მისადმი გაგრილებულიყო.

სუნგლიენ-ი მარტოდმარტო ზის. ნელნელა წრუპავს არაყს. შემოესმა ნაბიჯების ხმა. თითქო მოეზმანაო. მერე მოეჩვენა, რომ ეს ფეხის ხმა ეცნობოდა. აი იმ წუთს, კარზე ფარდამ გაიშრიალა. ოთახში შემოვიდა შავით მოსილი ადამიანი. სუნგლიენ-ი შებრუნდა და დიდხანს შეჰყურებდა მას. მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ იცნო, თურმე უფროსი ბატონიშვილი ფეიპუ ბრძანდებოდა. სუნგლიენ-მა სუფრის კუთხე სწრაფად გადააფარა ყველაფერს, მაგიდაზე რაც ენყო, არაყს, კერძულს, რათა ფეიპუ-ს არ დაენახა, მაგრამ ფეიპუ-მ მაინც მოასწრო თვალი მოეკრა. შესძახა, თურმე მაგრადა ყლორწავს! სუნგლიენ-მა ჰკითხა, რატომ დაბრუნებულხარ? ფეიპუ-მ თქვა, რაკი არ მოვკვდი, ადრე თუ გვიან ხომ უნდა დავბრუნებულყავი შინ. ერთმანეთს დიდი ხანია არ შეხვედროდნენ. ფეიპუ ძალზე შეცვლილიყო. სახე გარუჯოდა. უფრო წარმოსადეგი გამხდარიყო, სიდარბასლე შემატებოდა, მოლონივრებულიყო კიდეც. სახით კი მოქანცული, დაღლილი სჩანდა. სუნგლიენ-მა შეამჩნია, თვალის უბეები ჩაშავებოდა, გუგაზე რამდენიმე სისხლძარღვი ჩასისხლიანებოდა. ახლა იგი პირწავარდნილი მამამისი იყო, მამის ზუსტი ასლი. ჩენ წუოციენ-საც ზუსტად ასეთივე ნაკვთები ჰქონდა.

რა დაგემართა, სმა დაგინყია? ღვინოში გინდა ჩაახშო სევდა-ნალველი?

რა მოხდა, განა შესაძლებელია ღვინოთ ჩაახშო ნალველი? ჩემს თავს თვითონვე ვულოცავ დაბადების დღეს, დღეგრძელობას ვუსურვებ.

შენი დაბადების დღეა? რამდენისა შესრულდი?

რა მნიშვნელობა აქვს. ერთ დღეს ცოცხალი ხარ, ესე იგი ცხოვრობ. შენც ხომ არ დაღვედი ერთ სირჩას მაინც? დღეგრძელობა მისურვე.

მეც დავლევ ერთ სირჩას, გისურვებ მიატანო ოთხმოცდაცხრამეტს.

სისულელეა. სრულიადაც არ მსურს ასე დიდხანს ვიცოცხლო. ასეთი პირმოთნე სიტყვები ბატონს უთხარი.

მამ რამდენ ხანს ისურვებდი ცხოვრებას?

გარემოებას გააჩნია. სიცოცხლე რომ მომბეზრდება, სიკვდილის დროც დამიდგება. ეს მარტივი რამაა. მამ მე კიდეც ერთ სირჩას დავლევ. რაც შეიძლება დიდი ხნის სიცოცხლეს გისურვებ. თუკი შენ მოკვდები, ამ სახლში ადამიანიშვილი აღარ დარჩება, ვისთანაც საუბარი შემეძლება.

ორივენი ნელ-ნელა წრუპავდნენ სასმელს, თამბაქოთი ვაჭრობის საქმეებზე გადავიდნენ. ფეიპუ-მ დამცინავი ღიმილით, ხუმრობითა თქვა, ქათამიც გაფრინდა, კვერცხებიც დაიმსხვრა, რომელი ვაჭარი მე ვარ. მოგება კი არა, რამდენიმე ათასი წავაგე კიდეც. თუმცა ეს მოგზაურობა გვარიანად მხიარული გამოდგა, გულიანად გავერთეთ. სუნგლიენ-მა თქვა, ერთობ კარგადა ცხოვრობ, განა შენი ცხოვრება მოღრუბლული, მოსაწყენია სადმე? ფეიპუ-მ კვლავ თქვა, ოღონდ ბატონს ნურაფერს ეტყვი. დამინყებს ჭკუის სწავლებას, როგორც ყოველთვის. სუნგლიენ-მა თქვა, მე, საერთოდ, მეზარება თქვენ შინაურ საქმეებში ჩარევა, მით უფრო ახლა. ახლა მე მისთვის მხოლოდ და მხოლოდ ჩვარი ვარ, ზედაც არ მიყურებს. მამ როგორღა დავუნყებ შენ შესახებ საუბარს, ამბების მიყოლ-მოყოლას?

სუნგლიენ-ი ნასვამი იყო, აღარ შესწევდა უნარი უწინდებურად მშვიდად ელაპარაკა, მისი საუბარი უფრო და უფრო აჭრელდა ფეიპუ-სადმი გრძნობებზე მინიშნებით. ფეიპუ ამას ხვდებოდა, გულის სიღრმეში ეს გადაკრული სიტყვები სიამოვნებდა კიდეც და სულში ათასობით მშვენიერ ყვავილად ეფურჩქნებოდა. მის სახეს აღმური ასდიოდა, წამოჭარხლებულიყო. ფეიპუ-მ ქამრიდან შეიხსნა პატარა ხეპაო⁴⁷, რომელზეც ამოქარგული იყო ხასხასა ფერის ორნამენტი – დრაკონი და ფასკუნჯი⁴⁸. ხეპაო სუნგლიენ-ს გაუნოდა. თქვა, იუნ-ნანიდან ჩამოვიტანე. გჩუქნი, როგორც სადღეობო საჩუქარს! სუნგლიენ-მა თვალი შეავლო პატარა

ხებაო-ს, გაიცინა, თქვა, მუდამ ისე იყო, ქალები სჩუქნიდნენ ხებაო-ს საყვარელ მამაკაცებს, სად თქმულა, სად გაგონილა პირიქით მოხდეს? ფეიპუ-მ ცოტა არ იყოს დაიმორცხვა, უცებ ხელიდან გამოსტაცა ხებაო, თქვა, თუ არ გინდა, დამიბრუნე, საერთოდაც, ნაჩუქარი ნივთია. სუნგლიენ-მა თქვა, ყოჩაღ, თვალთმაქცო და მატყუარავ, სიყვარულის ნიშნად შენთვის ნაჩუქარი ნივთით გინდა ჩემი გული მოიგო? ეგრე არაო, არ მივიღებ, თუკი ავიღებ განა ამით ხელს არ გავისვრი? ფეიპუ-მ კვლავ ქამარზე შეიბნია ხებაო, ხუმრობით თქვა, სრულიადაც არ ვაპირებდი ჩუქებას, გაგეხუმრე, გაგათამაშე. სუნგლიენ-ი მოიღუშა, თქვა, შევეჩვიე იმას, ყველანი რომ მატყუებენ, შენც მომატყუე, ჩემით თავს ირთობ. ფეიპუ-მ თავი ჩაჰქინდრა, სუნგლიენ-ისაკენ თვალს აპარებს, მის გამომეტყველებას აკვირდება, დუმს. უეცრად სუნგლიენ-მა ჰკითხა, ხებაო ვინ გისაჩუქრა? ფეიპუ-მ იგრძნო მუხლები რომ აუკანკალდა, თქვა, ნუ შემეკითხები.

ორივე დუმს, გარინდებულან. სასმელსა წრუპავენ ნელ-ნელა, სუნგლიენ-ი თითებით აქეთ-იქეთ ატრიალებს, ათამაშებს სირჩას. შეჰყურებს მის პირისპირ მჯომარე ფეიპუ-ს. ის ზის თავდახრილი, გრუზა თმა ხშირად აჰქოჩრია, ფოლადისებური, მკვრივი ყელ-კისერი ამყად და მყარად აზის მხარ-ბეჭზე. მუქი, მოცისფრო სისხლ-ძარღვები იდუმალად, ფაქიზად უთრთიან. სუნგლიენ-ის გულში იპარება ნოტიო, უცნობი, გაუგებარი ვნება, ნიავ-ქარის მონაბერივით ელამუნება, მთელს სხეულს უმსჭვალავს, სუნთქვა ეკვრის. ცნობიერებაში კი კვლავინდებურად იპარება ის უწინდელი შთაბეჭდილება, მანიანგ-ის მაგიდის ქვეშ მიემ ანისა და ექიმის ფეხებმა რომ დაბადა. ეს სურათი წამდაუნუმ თვალწინ წამოუტივტივდებოდა ხოლმე. სუნგლიენ-მა უნებურად საკუთარ ფეხებს დახედა. ეს გრძელი, ლამაზად ჩამონაკვთული, აშხვართული, უმშვენიერესი ფეხები, გორაკიდან ჩამოშლილი ქვიშასავით მიცურავდნენ, მგზნებარედ, ვნებიანად, ნებაუნებურად უახლოვდებოდნენ მიზანს – იმის ტერფებს, იმის მუხლებს, იმის ბარძაყებს. ახლა იგი უკვე მკაფიოდ, ამკარადა გრძნობდა ამ ყველაფერს. სუნგლიენ-ს თვალთ დაუბნელდა, ტურებს უღონოდ, გაუცნობიერებლად ამოძრავებდა, ბაგე გაპოზდა. ფეიპუ იჯდა, არ გატოკებულა. სუნგლიენ-მა თვალები დახუჭა, იგრძნო ჰაერში მოლიცლიცე სულისშემზუთველი, ლამის ხელშესახები ბგერა. იქნებ ეს ხმა მისი სხეულის სიღრმიდან იშვა. ფეიპუ-მ, როგორც იქნა, ასწია თავი. მზერა სუნგლიენ-ის თვალზე შეაჩერა. მისი თვალები ვნების საშინელ ძალას ასხივებდა. ვითარცა აბობოქრებული, ზეატყორცნილი ყოვლისწამლევავი ტალღები. მისი სხეული, განსაკუთრებით კი ფეხები, უწინდებურ მდგომარეობაში გარინდულიყვნენ. ფეიპუ არ განძრეულა. ქალმა კვლავ დახუჭა თვალები, ყური მიუგდო ორ მძიმე, მაგრამ ურთიერთდაპირისპირებულ სუნთქვას. ერთი იყო ტლანქი, მძიმე, მეორე – მისუბუქი, ნელი, ჩუმი. ორივე სუნთქვა ერთმეორეში ირეოდა. ქალმა ფეხები უფრო მტკიცედ შეატყუა, გაინაბა, გარინდდა. ელოდა აი ახლა, აი ახლა რალაც უცნობი, უცხო, ჯერ არგანცდილი რამ მოხდებოდა. თვალის დახამხამებაში თითქოს წლებმა ჩაიქროლა. ფეიპუ-მ თავისკენ კიდევ უფრო მიიზიდა საკუთარი მუხლები. მერე სავარძელში გადაწვა, საზურგეს მიეყრდნო. თითქოს დაამაცხესო, ძალ-ლონე გამოაცალესო, დაანარცხესო. ხრინწიანი ხმით წარმოთქვა – არ ეგების. სუნგლიენ-ი უცბათ მოეგო გონს, თითქოს გამოიღვიძაო, ფრთხილად თქვა, რა არ ეგების? ფეიპუ-მ ნელა გულს მიიკონა ორივე ხელის გული, ნიშნად პატიებისა, თქვა, არ შეიძლება, მეშინია. ამას რომ ამბობდა, სახე წამიერად დაეღრიჯა. გრიმასამ გადაურბინა. მე ქალებისა მეშინია. ქალები ვერაგები არიან. სუნგლიენ-მა თქვა, ჩემთვის გაუგებარია შენი სიტყვები. ფეიპუ-მ სახეზე ხელი გადაისვა, თქვა, სუნგლიენ, მე შენ მომწონხარ, არ გატყუებ. სუნგლიენ-მა თქვა, მოგწონვარ და ასე კი მეპყრობი. ფეიპუ ლამისა ატირდეს, თავი გაიქნია, ქალის მზერას თვალს არიდებს. თქვა, მე უკვე ველარ შევიცვლები. ზეცა მსჯის მთელი ჩემი ოჯახის ცოდვათა გამო. ყველა მამაკაცი მექალთანე იყო. ახლა, ჩემი ჯერი როცა დადგა, მე ქალების მოშიში შევიქენი. ადრეულ ბავშვობიდანვე მეშინოდა ქალებისა, განსაკუთრებული შიში კი ჩემი შინაური ქალებისა მაქვს. ერთად-ერთი, ვისიც არ მეშინია, შენა ხარ, მაგრამ არ შემიძლია, არ შემიძლია, გესმის შენ? სუნგლიენ-ს უკვე კარგა ხანია ღვარად ჩამოედინებოდა ცრემლი, მან ზურგი შეაქცია ფეიპუ-ს, ჩუმი ხმითა თქვა, მესმის, მეტად ნულარაფერს ამისხსნი, ახლა უკვე სრულიად აღარ გადანაშაულებ, ნამდვილად, ერთი ბენო ბრალს არ გებ.

სუნგლიენ-ს სიმთვრალე საბოლოოდ მხოლოდ მას მერე მოერია, ფეიპუ რომ წავიდა. ღვინოს მისი პირისახე აენითლებინა, სხვაგვარი, სიმთვრალის სინითლე მორეოდა. თავის ოთახში ცეკვავდა, ხელ-ფეხს იქნევდა, ხან ბორძიკობდა, ხან ხელებით, გეგონება ჰაერს ებლაუჭებოდა. გადია სუნგ-ს ვერაფერი ელონა. აღარ უწყოდა რა ღონე ეხმარა. ბატონ ჩენ წუოციენ-ს დაუძახა. ჩენ წუოციენ-ი მივიდა, ოთახში შევიდა თუ არა, ხელი ჩაავლო სუნგლიენ-ს. მაშინვე ეცა ღვინის სუნი. ქალი უაზროდ როკავდა. ჩენ წუოციენ-მა გადია სუნგ-სა ჰკითხა, როგორ, როდის დაუნყია დაღევა? გადია სუნგ-მა თქვა, აბა მე რა ვიცი, განა გულს მე გადამიშლის? ჩენ წუოციენ-მა გადია სუნგ-ი იუიჟუ-სთან გაგზავნა, წადი, სთხოვე, ნაბახუსევის პოხმელიე-ს წამალი მოუტანეო. სუნგლიენ-ი აყვირდა, არ გაბედო, არ გაბედო იმ ბებერ კუდიანს არაფერი უამბო. ჩენ ძოუცენ-მა ზიზლითა ჰკრა ხელი, სანოლზე მიაგდო, თქვა, შეხე, ერთი შეხედე შენ შემოიღე სახეს, ხალხის დაცინვისა მაინც არ გეშინია. სუნგლიენ-ი ზეზე წამოხტა, ჩენ წუოციენ-ს კისერზე ჩამოეკიდა, თქვა, ბატონო, ამლამ ჩემთან დარჩი, გვედრები, არავის ვუყვარვარ, არავის ვებრალეები, ბატონო, თქვენ მაინც შემობრალეთ! ჩენ წუოციენ-ი გრძნობს, ბრძოლა უშედეგოა, თქვა, რას ჰგეხნარ, ვინ გაბედავს შეგიყვაროს, შეგიბრალოს? შენ შეყვარებას ისა სჯობია ძუქნა ვინმე გიყვარდეს.

იუიჟუ-მ როგორც კი შეიტყო, სუნგლიენ-ი დამთვრალაო, მყისვე მოქანდა. იუიჟუ-მ ჯერ რამდენჯერმე

ამითოფო⁴⁹ წარსტევა, მხოლოდ ამის შემდეგ შევიდა ოთახში. ჩენ წუოციენ-ს ჩამოაცილა კისერზე ჩამოკიდებული სუნგლიენ-ი. ჩენ წუოციენ-ს ჰკითხა, წამალი შეეკავა? ჩენ წუოციენ-მა თავი დაუქნია. იუიჟუ დაანვა, შეეცადა სუნგლიენ-ისათვის პირში ძალით ჩაესხა წამალი, მაგრამ სუნგლიენ-მა ისეთი ძალითა ჰკრა ხელი, რომ იუიჟუ კინალამ იატაკზე დაეხეთქა. იუიჟუ-მ დაიღრიალა, თქვენ, ეი, გაინძერით, ამ გიჟს უჩვენეთ სერი. ჩენ წუოციენ-ი და გადია სუნგ-იც ეცნენ, რაც ძალი და ღონე აქვთ აკავებენ სუნგლიენ-ს ვიდრე იუიჟუ წამალს პირში ჩაასხავს. სუნგლიენ-ი იფურთხება. იუიჟუ-ს პირდაპირ სახეში შეაფურთხა წამალი. იუიჟუ-მ თქვა, ბატონო, რა არის, რა ხდება, ამ ქალს ვერ ერევი? ეს გადარეული მთლად ხელიდან წასულა. ჩენ წუოციენ-მა წელზე შემოარტყა ხელები, სუნგლიენ-ი იმავე წამს მთლად მოეშვა, მოითენთა, მოიმჩვარა, კისერზე ჩამოეკიდა, ბუტბუტებს, ბატონო, ნუ წახვალ, დღეს რაც კი უნდა მომთხოვო, შეგისრულე, თუ გინდა, გაგლოკავ, მზადა ვარ გელერსო, მზადა ვარ როგორც გენებოს, ისე მოვიქცე, ოღონ კი ნუ წახვალ. ჩენ წუოციენ-ი სიბრაზისა და სირცხვილით სიტყვებს ვერ პოულობს, იუიჟუ-მ ველარ მოითმინა, გავემებულე ეცა, სილა გაანწა. შე უსირცხვილო, შე უწამუსოვ, აი სადამდე მიგიყვანა ბატონის განებვირება!

ვიდრე სამხრეთ პატარა სახლში ვნებები ბობოქრობდა, ბალიდან მსახურები მოცვივდნენ, ცნობის-მოყვარედ აჭყეტენ თვალებს. ჩენ წუოციენ-მა და გადია სუნგ-მა კარები ჩაკეტეს, ოთახში არავის უშვებენ. იუიჟუ-მ თქვა, რაკი ასე შეირცხვინე თავი, რაკი საბოლოოდ თავს ლაფი დაისხი, რაო, გემინია არ დაგინახონ ამ დღეში რომ ჩავარდნილხარ? ვნახოთ, ხვალ როგორ შეხედავს ხალხს თვალებში? ჩენ წუოციენ-მა თქვა, საქმეში ნუ ერეები, ვხედავ, შენც გარგებდა ნაბახუსევის წამალი გადაგეყლურწა. გადია სუნგ-ი იცინის, სახეზე ხელი აუფარებია, სიცილისგან თავს ძლივს იკავებს. შუშაბანდში გავიდა, უდარაჯოს ადგილსამყოფელში არავინ რომ არ შევიდეს. ხედავს, გარეთ უამრავ ხალხს მოუყრია თავი, კისრები წაუგრძელებიათ, ცნობის-მოყვარედ იჭყიტებიან ფანჯარაში. გადია სუნგ-მა თვალის მოჰკრა ბატონიშვილ ფეიპუ-ს, შარვლის ჯიბეში ხელებჩანყობილი აქეთკენ წელა რომ მოდიოდა. გადია სუნგ-მა ის-ის იყო გაიფიქრა, როგორ მოვიქცე, შინ შემოვუშვა თუ არაო, რომ იგი შეტრიალდა და უკან გაბრუნდა.

*** **

პირველი თოვლი მოვიდა. მონყენილი, გარინდებული ზამთრის ბალი შეიმოსა ქათქათა თოვლით, ბაჭი-ის ბენვს რომ ჰგავდა. ხეთა რტოები, შენობათა სახურავები ოქრომჭედლის ნაკეთობის მსგავსად ფაქიზად, დახვეწილად, გამჭვირვალე მაქმანსავით გამოიყურებოდა. მზეზე ბრწყინავდა და ციმციმებდა ყველაფერი. ჩენ-ის ოჯახის მცირეწლოვან ბავშვებს დილაუთენია ბაღში თამაში გაემართათ, თოვლის პაპას აკეთებდნენ, გუნდაობდნენ, სუნგლიენ-ის ფანჯრებზე დაჭერობანას თამაშობდნენ. სუნგლიენ-ს მოესმა კიდეცა ფეილანი რომ ნაიქცა და ჭყვიტინა ხმით ტირილი გააბა. კიდეც იყო თვალისმომჭრელი სხივები, თეთრად მოელვარე, ფანჯრებზე არეკილი. კიდეც იყო გაუთავებელი ნიკნიკი კედლის საათისა. ამ ყველაფერს სუნგლიენ-ი ცხადადა გრძნობდა, მაგრამ ამასთანავე ეჩვენებოდა, რომ იგი უკვე ზეცაში ნამყოფი იყო. თავადაც არა სჯეროდა, რომ ჯერაც ცოცხალია და, როგორც ყოველთვის, როგორც ყოველ დღე, ისეც და ისეც, ერთი უღიმამოდ დღე უნდა გადაიტანოს.

ღამით დაესიზმრა მკვდარი იენერ-ი. მკვდარი იენერ-ი ერთი გაქაჩლებული ქალი იყო. სუნგლიენ-ი ნათლად ხედავდა იენერ-ი გარედან თუ როგორ აწვებოდა მის ფანჯარას. წევს სუნგლიენ-ი და ფიქრობს, აი ახლა, სულ მალე შემოაღებს ფანჯარას და ელის მის უღმობელ შურისძიებას. სრულიად უშიშრად და მშვიდად წევს. იენერ-ი უხმაუროდ, ჩუმად შევიდა. თავზე წაკრული ჰქონდა ვარცხნილობის სამაგრი ბადე, თმა კინკრისოზე მრგვლად გამოენასკვა, ვარცხნილობა ჰქონდა ზუსტად ისეთი, ქალბატონი ციენ-ი რომ ატარებდა. სუნგლიენ-მა თქვა, ვარცხნილობის სამაგრი ბადე სად იყიდე? იენერ-მა თქვა, სადა და იენვან-თან⁵⁰. იქ ყველაფერი იშოვება. სუნგლიენ-მა დაინახა, იენერ-მა ვარცხნილობას თუ როგორ გამოარიდა ერთი გრძელზე გრძელი თმის სარჭი და მას პირდაპირ მკერდში უგმირა. მან მკვეთრად იგრძნო ჩხვლეტა, ტკივილი. მერე დაინყო გაშმაგებული ფრენა. თვალჩაუნვდენ უკუნეთში გადაეშვა. ჩავარდა. მიხვდა, რომ მოკვდა. დანამდვილებითაა მკვდარი და აღარც კი ახსოვს, თუ როდის მომკვდარა. მოეჩვენა, რომ ათეულმა წლებმა ჩაიარა.

სუნგლიენ-ი სანოლში წამოჯდა, ხალათი წამოისხა. არ სჯერა, რომ მისი სიკვდილი მხოლოდ და მხოლოდ სიზმარია. ხედავს, რომ ფარჩის საბნის ზედაპირზე მართლაცაა ჩარჭობილი თმის სარჭი. ხელში აიღო, ხელის გულზე ცივზე ცივი სარჭი იღო. მაგრამ ეს ხომ სრული სინამდვილე იყო, ცხადი. არავითარი სიზმარი. გამოდის, მე კი კვლავ აღვმდგარვარ, ფიქრობს იგი, მაშ იენერ-ი რაღა იქნა?

სუნგლიენ-მა აღმოაჩინა, რომ ფანჯარა, ისევე, როგორც სიზმარში, სანახევროდაა გამოღებული, შემონაბერი ცივი ჰაერი სუფთაა და გამჭვირვალე. ხოლო სუნგლიენ-ი გრძნობს ფანჯარაზე შემორჩენილ იენერ-ის გვამის სუნს. მოვიდა თოვლი, სამყარო დაფარა. ნახევარი სამყარო ადამიანებს დაუტოვა, ნახევარი კი თვალუნვდენი დარჩა. ეს ნახევარი, ნელა, უჩუმრად, აღიგავა პირისაგან მინისა, ფიქრობს სუნგლიენ-ი. ესეც თუ სიკვდილივით სანახევროა, არც მე მოვმკვდარვარ სრულად, ბოლომდე? რატომ? – ფიქრობდა იგი. რატომ მოვკვდი სანახევროდ? რად შეწყდა ეს სიკვდილი? უცნაურია ეს ყველაფერი. ის მეორე ნახევარი რაღა იქნა?

მეიშ ანი ჩრდილო მცირე სახლიდან გამოვიდა. წავის შავი ქურქი ეცვა. თოვლზე მიაბიჯებდა. ისე მოხდენილად, ისე მედიდურად მიდიოდა, თვალს ვერ მოსწყევტდა კაცი. თითქო მის ბრწყინალებას შესწევდა უნარი მთელი გარემო შეეცვალა. მეიშ ანი სუნგლიენ-ის ფანჯარასთან მივიდა, თქვა, შე ლოთო, სიმთვრალემ გაგიარა? სუნგლიენ-მა თქვა, სადმე მიდიხარ? თოვლი ასე ღრმაა. მეიშან-მა ფანჯარას ხელის გული მიუტყაპუნა, თქვა, მერე და რა, თოვლია, რა მოხდა, რაა საშიში? მთავარია – სიხარული. თუ მხიარულად ხარ, ზეციდან ხანჯალიც რომ დაგეცეს, მაინც წახვალ. მეიშან-მა წელის რხევით, ისე, მხოლოდ მას რომ სჩვეოდა, გაიარა. სუნგლიენ-მა არც კი იცოდა რატომ და რისთვის, მაგრამ მიაძახა, ფრთხილად იყავ! მეიშან-მა ლამაზი თავი სუნგლიენ-ისაკენ შემოაბრუნა და მომხიბლავად გაუღიმა. ამან სუნგლიენ-ზე დაუფიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა. მართლაც, ეს იყო უკანასკნელი შემთხვევა, როცა სუნგლიენ-მა მეიშ ანის მომხიბლავი ღიმილი დაინახა.

მეიშ ანი დღის მეორე ნახევარში შინ მოიყვანა ორმა ზორბა, ჯანიანმა მსახურმა მამაკაცმა. ჭუოიუნ-ი უკან მოსდევდა, საზამთროს თესლის კნაწუნით. საქმე უბრალოდ მომხდარიყო. მეიშ ანი და ექიმი ერთ-ერთ სასტუმროში, ჭუოიუნ-მა ლოგინში გამოიჭირა. ჭუოიუნ-მა მთელი მისი ტანისამოსი სასტუმროს ნომრის ფანჯრიდან გარეთ გადმოისროლა, თან უყვიროდა, შე მყრალო ზოზო, ახლა როგორღა წამიხვალ ხელიდან?

იმ დღით სუნგლიენ-ი მოწმე შეიქინა მეიშ ანის შინიდან წასვლისა და მისი დაბრუნებისა. მეიშ ანი პირველად და მეორედ სრულიად სხვადასხვა მეიშ ანი იყო. მეიშ ანი ჩრდილოეთ მცირე სახლისაკენ წაათრიეს. მეიშან-ს თმა გასწენოდა, ყალყზე დასდგომოდა, თვალეები გადმოჰკარკლოდა, იმათა ლანძღავდა, ვინც მიათრევდა. უყვიროდა და ლანძღავდა ჭუოიუნ-ს: ცოცხალი თუ გადავრჩი, დაგჭრი, დაგაქუცმაცებ. თუკი მოვკვდები გულს ამოგაგლეჯავ და ძაღლებს მივუგდებ. ჭუოიუნ-ი სიტყვას არ ძრავს, საზამთროს თესლს აკნაწუნებს. ფეილან-ს უჭირავს მეიშ ანის ცალი ფეხსაცმელი, სირბილით მისდევს უკან, ყვირის, ფეხსაცმელი, აი, ფეხსაცმელი გასძვრა. ასე მთელი გზა ყვირილ-ყვირილითა სდია. სუნგლიენ-ს არ დაუნახავს ჩენ წუოციენ-ი. ჩენ წუოციენ-ი მარტოდ მარტო მოგვიანებით შევიდა ჩრდილოეთ მცირე სახლში. იმ დროისათვის ჩრდილოეთ მცირე სახლი უკვე შიგნიდან იყო ჩარაზული.

სუნგლიენ-ს იმისათვის არა სცხელოდა, წასულიყო და ცნობისმოყვარეობით ეცქირა მეზობლად, მეიშ ანის მხარეს თუ რა ხდებოდა. ჯერ იყო და გაუგონრად მიძიმე წინაგრძნობა შემოაწვა. მერე ფხიზლად აყურადებდა თუ რამ ამბავი მოვიდოდა მეიშ ანის სახლიდან. ძალიან უნდოდა შეეტყო, თუ როგორ დასჯიდა ჩენ წუოციენ-ი მეიშან-ს. ხოლო მეზობლად სრულ სიჩუმეს დაესადგურებინა. ერთი მამაკაცი მსახური პატარა სახლის კარსა დარაჯობდა. ხელში აქანავებდა გასაღებების აცმას. ხან ჩაკეტავდა, ხან გახსნიდა შესასვლელ კარს. ბოლოს და ბოლოს ჩენ წუოციენ-იც გამოვიდა, შედგა. თვალი მიმოავლო დათოვლილ ბარს, მერე ხელი ჩაიქინა და აღმოსავლეთ პატარა სახლისაკენ გასწია.

რა დიდთოვლობაა, ხომ ნათქვამია, დიდთოვლობა უხვი მოსავლის საწინდარი⁵¹, თქვა ჩენ წუოციენ-მა. ჩენ წუოციენ-ს სახე გაცილებით უფრო მშვიდი ჰქონდა, ვიდრე წარმოსადგენი იყო. სუნგლიენ-ს ასე ეჩვენა, მის ქცევაში რაღაც შვებაც კი გამოსჭვიოდა. სუნგლიენ-ი, სანოლის ზურგს ჩამოყრდნობილი, წრფელი შიშით ჩენ წუოციენ-ს თვალეებში შესცქეროდა. ამ თვალეებში ამოიკითხა მანამდე უცხო, უცნობი, ცივი გამომეტყველება. ამ გამომეტყველების ანარეკლმა ყინვასავით დაუარა, დაზაფრა. საშინელმა შიშმა, მღელვარებამ შეიპყრო. სუნგლიენ-მა თქვა, თქვენ ყველანი რას უპირებთ მეიშან-ს? ჩენ წუოციენ-მა ამოიღო სპილოს ძვლის კბილის საჩიჩქნი ჩხირი, კბილებში გაიტარ-გამოიტარა, თქვა, ჩვენ განა რა შეგვიძლია? მან თავად მშვენივრად იცის რა და როგორ. სუნგლიენ-მა თქვა, თქვენ ყველამ ამ ერთხელ ერთი შანსი მიეცით. ჩენ წუოციენ-მა ჩაიციინა, რაც მოსახდენია, მოხდება.

სუნგლიენ-ს მთელ ღამეს წუთით არ მოუხუჭავს თვალი, გული ისე აფორიაქებოდა, ისე აწენოდა, როგორც სელის ძაფის გორგალი, ვერც თავს რომ ვერ მოუძებნი და ვერც ამოახვევ. განუწყვეტილად აყურადებდა კედლის გადაღმა თუ რა ხდებოდა. გულში კი ერთად-ერთი დარდი უტრიალებდა. საკუთარ თავზე, საკუთარ უბედურებაზე ფიქრი აკვიატებოდა. ყველაფერი ისევე გამოცარიელებულიყო, როგორც ფანჯრის მიღმა თეთრად გადაპენტილი არემარე. ყველაფერი იყო სანახევროდ გაურკვეველი, სანახევროდ ნამდვილი. ეს მეორე ნახევარი გაუგებარ ზმანებებში დანთქმულიყო. შუალამისას უცებ სუნგლიენ-მა საზარელი სიცხადით გაიგონა მეიშ ანის სიმღერა. პეკინური ოპერის არიასა მღეროდა. ჯერ იყო და არ დაიჯერა, ეს სინამდვილე რომ იყო. მერე მთლად რომ განაბა სული, დარწმუნდა – ეს მეიშ ანის ხმა იყო.

ოხვრა აღმომხდება, უბადლო ღამაზმანთა მარად ნაადრევი სიკვდილის გამო⁵²,
ქორწინებას მათსას მიწყევ ალმოსავლეთისაკენ მიაქანებენ წყალუხვ მდინარეთა ზვირთები.

ამაოდ მოელიან უსტარს, თუნდ მცირეს, მოღალატე მეუღლეთაგან.

გინდაც ყვავილებს აპკურე ცრემლი, თუნდაც მთვარეს შეაბრალე თავი,

ნაღველი ვერა და ვერ დააშრობს ცრემლით დალტობილ

სასთუმალს,

და ვერც წვიმით ნაბანი საფეხურები სახლისა ვერ გამოშრება.

სარკმელს მიღმა წვიმის წვეთებს შეუსვენებლივ გააქვთ წკაპუნნი,

მთის გადაღმა – კვლავ უშველებელი მთაგრეხილია,
ნეტავ როდის დაბრუნდება იგი ბეჭდიანი დაშნით აღჭურვილი,
აი მაშინ კი აღარ იქნება საჭირო მომაკვდინებელ ობლობაზე ფიქრი...
მაგრამ ვაი, რომ პასუხს მოსვლა არ უნერია,
არ არსებობს ასო-ბგერა, რომ წარმოვთქვა „ჰუი ვენ“⁵³.

მხოლოდ და მხოლოდ ბალიში დამრჩენია, სიყვარულის ნიშნებით მიმოქარგული,
ვშიშობ, ძილს თავს ვერ მივცემ უშენოდ ამ ეულსა და გათოშილ ლოგინში.

მთელი ღამე ბაღში უცნაური, უჩვეულოდ დაძაბული ვითარება სუფევდა. სუნგლიენ-ი ლოგინში ბორ-
გავდა, თვლემას უფრთხობდა ფეილ ანის ტირილი და ყვირილი. თითქოსდა ვილაცამ ხელში აყვანილი ჩრდი-
ლო მცირე სახლიდან გამოიყვანა. სუნგლიენ-ს ანაზღადა ეჩვენა, ვერასგზით რომ ვერ გაეხსენებინა და მეხ-
სიერებაში ვერ აღედგინა მეიშ ანის სახე. თვალწინ ედგა მხოლოდ და მხოლოდ მეიშ ანისა და ექიმის ოთხი
ფეხი, მანთან-გის სათამაშო მაგიდის ქვეშ, ფეხები ერთმანეთს უცნაურად რომ გადაჭდობოდა, შინაგანი
მზერის წინაშე ეს ფეხები ქანქარასავით ქანაობდა. ფეხები ქალაღდისა იყო, ისე თხელი, ისე სიფრიფანა,
რომ ქარი აფრიალებდა. რა საშინელება! სუნგლიენ-ი თავის თავს ელაპარაკებოდა. მოესმა მამლის პირველი
ყვილი, ეზო-კარის გადაღმა რომ გაისმა. მერე კვლავ სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. სუნგლიენ-ს თავში
გაუელვა, ისევ მოვკვდები, ისევ მოვა იენერ-ი, ისევ შემოაღებს ფანჯარას, ფანჯრის ჩარჩოს ხელსა ჰკრავს.

სუნგლიენ-ი ძილბურანში გახვეულიყო. გაურკვეველი იყო, ეძინა თუ ფხიზლობდა. უკვე გამთენიისას
იგი შეანუხა უთავბოლო ნაბიჯების ხმამ. ეს არ იყო ერთი ადამიანისა. სუნგლიენ-ი მიხვდა, ნაბიჯების ხმა
ჩრდილო მცირე სახლიდან გლიცინიათა თალარისაკენ მიდიოდა. ფარდის ჭუჭრუტანიდან დაინახა სიბნელეში
მოძრავი ადამიანის რამდენიმე ჩრდილი. რამდენიმე კაცს გლიცინიათა თალარისაკენ მიჰქონდა ადამიანი.
სუნგლიენ-ი გუმანით მიხვდა, ეს იყო მეიშ ანი. მეიშ ანი უხმოდ იბრძოდა, ცდილობდა ხელიდან დასხლ-
ტომოდა. სჩანს, პირში ჩვარი ჰქონდა ჩაჩრილი, ხმა არ ისმოდა. სუნგლიენ-ი შეეცადა წარმოედგინა, თუ
რას უზამდნენ ისინი. სიბნელეში ჯგუფი ჭასთან მივიდა, კიდევ ცოტა ხანს ჭის ირგვლივ იჯაჯგურეს და
სუნგლიენ-ი შეზარა ყრუ ხმამ, რომელმაც, როგორც მას ეჩვენა, ამოხეთქა ჭიდან. მარგალტისებრ თეთრი
შხეფები ამოიფრქვა და მალლა, მალლა აიჭრა. ეს იყო ადამიანი, რომელიც ჭაში ჩააგდეს. ეს იყო მეიშ ანი,
რომელიც ჭაში ჩააგდეს.

სიჩუმე ასე ორიოდ წუთს გაგრძელდა. სუნგლიენ-ს გულის სიღრმიდან აღმოხდა გავემებული ღრიალი,
ისეთი არაადამიანური ხმა, ცასა და დედამიწას რომ შეძრავდა. ჩენ წუოციენ-ი მის ოთახში რომ შევარდა,
სუნგლიენ-ი ფეხშველა იდგა იატაკზე, რაც ძალი და ღონე ჰქონდა განენილ თმას იგლეჯდა. სუნგლიენ-ი
გიჟსავით გაჰყვიროდა, არა ჩერდებოდა. ხოლო თვალები ამღვრეოდა, უსიცოცხლოდ გაშტერებოდა. სახეზე
მთლად დაჰკარგოდა ფერი, ქალაღდის თეთრ ფურცელსა ჰგავდა. ჩენ წუოციენ-ი შეეშველა, სანოლთან
მიიყვანა. მან მკვეთრად შეიგრძნო, ეს სუნგლიენ-ის უკანასკნელი დღე რომ იყო. ეს აღარ იყო უწინდელი
სტუდენტი ქალიშვილი. ჩენ წუოციენ-მა ძალით დაანვინა სანოლზე, თქვა, რა იყო, რა დაინახე? ბოლოს
და ბოლოს, რა დაინახე? სუნგლიენ-მა ერთადერთი სიტყვა წარმოსთქვა – მკვლელებო. მკვლელებო. ჩენ
წუოციენ-მა თქვა, რა სისულელესა რომავ. რა იყო, რა დაინახე? შენ არაფერი დაგინახავს. შენ უბრალოდ
გაგიჟდი.

მეორე დღეს ჩენ-ების სამფლობელოს კარ-მიდამოში დილიდანვე ორი ამბის ხმა გავარდა. ყველანი,
შენშით⁵⁴, კეთილშობილი ქალბატონებითა და ქალიშვილებით დაწყებული და ასი გვარის⁵⁵ ადამიანებით დამ-
თავრებული, ჩენ-ების ოჯახის საქმეს განიხილავდნენ, ჭორაობდნენ, მესამე ქალბატონმა მეიშან-მა სახელის
გატეხვა ვერ აიტანა, ჭაში გადაიგდო თავი. მეოთხე ქალბატონი სუნგლიენ-ი ჭკუიდან შეიშალაო. ხალხს
ჩვეულებრივი, საყოველთაოდ ცნობილი საზომი ჰქონდა – მეიშ ანის თვითმკვლელობა ბუნებრივი რამაა,
მოძალადე მამაკაცებიც და გარყვნილი ქალებიც სასჯელს იმსახურებენ, ვერ ეწევიან კეთილ სიკვდილს.
ხოლო ჯანმრთელი, გაფურჩქნული და წყნარი მეოთხე ქალბატონი სუნგლიენ-ი, როგორღა მოხდა, ჭკუიდან
რომ შეშლილა? ხოლო ვინც კარგად იყო ჩახედული ჩენ-ების ოჯახის შინაურ საქმეებში, ამბობდნენ, ჩვეუ-
ლებრივი ამბავია, აკი ნათქვამია, კურდღელი კვდება, მელა ცრემლად იღვრებაო⁵⁶.

*** ** *

მომდევნო წლის გაზაფხულზე ბატონმა ჩენ წუოციენ-მა მეხუთე ცოლი მოიყვანა. ვენჭუ ერქვა. ვენჭუ-
მ ჩენ-ების კარ-მიდამოში პირველად ფეხი როგორც კი შედგა, მაშინვე დაინახა ქალი, გლიცინიათა თალარში
ეულად, გახვეებული რომ იჯდა. ხანდახან ჭას გარშემო უვლიდა და ჭას ესაუბრებოდა. ვენჭუ-ს იგი მოხ-
დენილი ეჩვენა. გარეგნულად სრულიად არა ჰგავდა მდაბიოს, ლაზათიანი იყო. არც შეშლილსა ჰგავდა.
ვილაცას, იქვე ვინც იდგა, ჰკითხა: ვინ არის? მავანისაგან პასუხად მიიღო: ეს უწინდელი მეოთხე ქალბატო-
ნია, გონებაარეულია. ვენჭუ-მ თქვა, რა უცნაური ქალია, ჭას ესაუბრება? მავანმა გაუმეორა სუნგლიენ-ის
ნათქვამი: არ ჩავხტები. მე არ ჩავხტები, მე არ ჩავხტები ჭაში.

სუნგლიენ-ი ამბობდა, ჭაში თავს არ ჩავიგდებ.

განმარტვები:

1. მთვარის ალაყაფი – მომრგვალებული, არასტანდარტული ფორმის, ევროპულისგან განსხვავებული, ალაყაფის კარები. ეზო-კარის ნაგებობებს ერთმანეთისაგან მიჯნავდნენ. ჩინური საცხოვრებელი ბინები გაერთიანებული იყო ერთ ეზოში და ოჯახის შეძლების შესაბამისად შედგებოდა რამდენიმე სახლისგან. სახლებს შორის პატარ-პატარა ეზო-ბალები იყო, ხოლო მთლიან ეზო-კარს გარს ერტყა ლობე, რომელშიც დატანებული იყო ასეთი მთვარის ალაყაფი. თანამედროვე არქიტექტურაში მთვარის ალაყაფი თითქმის აღარ გამოიყენება, ან გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ძველებური, ეროვნული კლასიკური ფორმების იმიტაცია სურთ

2. პეიფინგ-ი – ქ. პეკინის ძველი სახელწოდება. 1911 წლის

რევოლუციის შემდეგ 1949 წლამდე პეკინს ეწოდებოდა პეიფინგ-ი

3. თმა მოკლედ ჰქონდა შეკვეცილი – მოკლედ შეჭრილი თმით მწერალი მიანიშნებს, რომ სუნგლიენ-ი ახალი დროის ქალიშვილი იყო. ჩინელ ქალიშვილებს უწინ გრძელი ნაწნავები ჰქონდათ, გათხოვების შემდეგ კი სოციალური მდგომარეობის შესაბამის, სხდასხვაგვარ, მაღალ ვარცხნილობას, გრძელ თმას ხმარობდნენ

4. ქალაღდის ფიგურა – ძველ ჩინეთში დაკრძალვის ცერემონიაში შედიოდა ქალაღდის სხვადასხვა საგნების ადამიანის, ცხენის, ჯამ-ჭურჭლის, ფულის და სხვ.) დანვა. რაოდენობა და ნაკეთობის ხარისხი დამოკიდებული იყო მიცვალებულის ოჯახის მატერიალურ შეძლებაზე

5. პატარა დოლი – პატარა, წელში გამოყვანილი დოლი

6. იახუ ანი – მონა-მოახლე ქალი. 1911 წელს აიკრძალა, მაგრამ 1949 წლის რევოლუციამდე, არალე-გალურად ყიდდნენ და ყიდულობდნენ მონებს

7. კარტოფილს დაანონის – სრული წონის შესავსებად დაანონიან ხოლმე, კარტოფილი კი დამპალია. ანუ თვალთმაქცობას, ფარისევლობას ნიშნავს

8. ქალაქები ძალუძს მოსრას – გამოთქმა მოდის ლეგენდებიდან, სადაც აღწერილია ქალები, რომელთა გამოც ერთმანეთს ებრძოდნენ ხელმწიფეები, იყო ლალატი, შურისძიება, მტრობა და ა.შ.

9. ყვითელი წყარო – ძველი წარმოდგენით გარდაცვლილთა სულები საიქიოში, მიწის ქვეშ ყვითელ წყაროსთან იყრიან თავს

10. ნინ-ი – ჩინური წონის ერთეული = 1/2 კგ

11. ჩინური სახლი, ეზო-კარი, ძირითადად მართკუთხა ფორმით განლაგებული ნაგებობებისაგან შედგებოდა. მათ შუა განთავსებული იყო ეზო. დიდსა და მცირე სახლებს შორისაც იყო ეზო-ბალები. აქ საუბარია იმ ეზოზე, სახლებს, ნაგებობებს შორის რომ იყო განთავსებული

12. უმცროსი დედაკაცი – ჟარგონზე ხარჭასა ნიშნავს

13. „სახე არცა მქონია“ – უსახური, სახე წაეშალა და ამგვარი გამოთქმები ჩინურად გულისხმობს უსინდისობას, სიმდაბლეს, უსირცხვილობას. ამ შემთხვევაში „სახე არცა მქონია“ ერთსა და იმავე დროს გულისხმობს იმას, რომ მდაბიოდ დაიბადა და უკეთესი რომ იყოს ოცნებასაც ვერ გაბედავს, თავის დამცირებასაც გულისხმობს და ამავდროულად ქალბატონის სიძულვილსაც, შეურაცხყოფასაც 14. ჩუნგანგ-ი, – მეცხრე თვის მეცხრე დღე, ანუ იგივე ორმაგი ცხრიანის დღესასწაული. ტრადიციული, ამჟამად მოხუცებლთა დღესასწაულად წოდებული დღე, როცა ულოცავენ მოხუცებს, შლიან სუფრას, მიირთმევენ ტკბილეულს, სვამენ ქრიზანთემის ღვინოს, ერთმანეთს სჩუქნიან ქრიზანთემებს, ქოთნებში და თაიგულებად შეკრულს. ეწყობა ქრიზანთემების გამოფენა-გაყიდვები. თავისი მნიშვნელობით ამ დღესასწაულს დანარჩენ ტრადიციულ დღესასწაულთა შორის უჭირავს V ადგილი: I – გაზაფხულის, ანუ მთვარის კალენდრით ახალი წლის; II – მეხუთე თვის მეხუთე დღე. ძვ. წ-ის III ს. დიდი პოეტის ციუ იუენ-ის ხსოვნისა და ავადმყოფობის განდევნის; III – მერვე თვის მეხუთმეტე დღე – მთვარისა და მოსავლის; IV – მეოთხე თვის მეოთხე-მეხუთე დღე – მიცვალებულთა ხსოვნის დღე

15. ფუ – ბედნიერება, ლუ – სამსახურში დანიშნულება, კარიერა. შოუ – დღეგრძელობა, სი – სიხარული

16. სიეჭუა – კიბორჩხალას კლანჭები. ქრიზანთემის ჯიშის სახელწოდება

17. პოეტ იუი-ს პერიფრაზი: „ყვავილი, ყვავილი არაა, ნისლი – ნისლი, ღამით მიმოვალს, დილით განქარდება“

18. მოძიუ – შავი ქრიზანთემის ჯიშის სახელწოდება

19. შიუეისიუ – ჩინური ოპერის კოსტუმის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი, უსათოდ თეთრი ფერის აბრეშუმის დეკორატიული უგრძესი სახელოებიდან ჩამოფენილი ქსოვილი. ეს სახელოები გამოიყენება საცეკვაო პირობითი მოძრაობების, გარკვეულ ფსიქოლოგიურ განწყობის გამოსახატავად. სცენური თამაშის განუყოფელი ნაწილია.

20. რვა თაობის წინაპრები – ე. ი. უკლებლივ ყველა წინაპარი.

21. მანიაგ-ი – უძველესი ჩინური აზარტული თამაში. ასამდე მოგრძო ფორმის ფირფიტებია.. თამაშობს ოთხი მოთამაშე. ოთხკუთხი მაგიდის გარშემო. ფირფიტები, პატრონის შეძლების შესაბამისად, სხვადასხვა მასალისაა, სპილოს ძვლის, ბამბუკის და ა.შ. ერთობ რთული თამაშია

22. ხ'ლე – მანიაგ-ის თამაშის დროს შეძახილები. მშვიდობა, ანუ გნებდები; ნიმო – კარტს ვილებ

23. სანპინენ-ი, შენიოუ-ს მალამო – ჩინური ტრადიციული მედიცინის საშუალებები, მხოლოდ მამაკაცის ექსკლუზიური გაძლიერებისათვის განკუთვნილი
24. სიאו – უძველესი ჩინური ჩასაბერი საკრავი. ფლეიტის მსგავსი. ევროპულსა და რუსულ ენებზე თარგმნისას ფლეიტადაც იხსენიებენ
25. შარვალ-პერანგი – მხედველობაშია ჩინური ეროვნული ტანსაცმელი
26. ცინ-ი – უძველესი ჩინური გამოსაკრავი სიმებიანი საკრავი
27. ღამის იესიო – ტრადიციული სპეციფიკური კერძი, განკუთვნილი მხოლოდ ღამით საჭმელად.
28. ნითელი ბალსამინი – ამ ყვავილის წვენი უძველესი დროიდან XXს. დამდეგამდე იღებავდნენ ფრ-ჩხილებს. სოფლებში ახლაც ხმარობენ. ნითელია, მონითალო-ნარიჯისფერი
29. ჩენგ იენციუ – პეკინური ოპერის მსახიობი მამაკაცი, ქალების პარტიების შემსრულებელი და ანის ამპლუაში. თავისი სახელითა და პოპულარობით მხოლოდ ლეგენდარულ მეი ლანფან-ს ჩამოუვარდებოდა
30. „ცრემლები მიუვალ მთებში“ – შუა საუკუნოვანი ტრადიციული პიესა, რომელიც XXს. სცენაზეც იდგმებოდა და დღესაც იდგმება
31. „მე კი ვსესხულობ ყვავილებს...“ – გავრცელებული გამოთქმაა ნაჩუქარი ნივთის შემდგომ სხვისათვის ჩუქებისას რომ ამბობენ. ზოგჯერ ეს გამოთქმა მოსწრებულ სიტყვასაც გულისხმობს
32. „შემოდგომის ნალველი“ – შუა საუკუნის მუსიკალური პიესა
33. „გამართული დგახარ... ჩრდილი რომ გაგიმრუდდეს...“ – ანდაზები, რაც ნიშნავს, თუკი არაფერი დაგიშავებია, ნურც ნურაფრისა გეშინია იგივე, რაც ქურდს ქუდი ეწვის
34. რა წამალსა მალავ ხულუში – რას მიმალავ. ჩინურ ტრადიციულ მედიცინაში უძველესი დროით დაწყებული თხიერ წამალს და ბალახეულსაც ინახავდნენ გამომშრალ ყელიან გოგრაში, რომელსაც ჰქვია ხულუ. სიტყვის თამაში გამოდის, რას მალავ მაგ გოგრაში, ანუ რა ფიქრებსა ფარავ მაგ შენს თავში
35. იუენ ანი – პროვინცია სამხრეთ-დასავლეთ ჩინეთში. მუდამ მიჩნეული იყო ქვეყნის შორეულ და ამასთანავე სახიფათო კუთხედ. ცხოვრობს მრავალი ნაციონალური უმცირესობა, ჭრელი მოსახლეობაა. იუენ ნანში მოჰყავთ საუკეთესო თამბაქო
36. „მთა, რომელიც ჩვენ თავად გავაპარტახეთ“ – ანდაზა
37. ძველ სიზმრებს იმეორებდა – ეს გამოთქმა უწინდელი ოინების აბეზარ გამეორებას ნიშნავს
38. სახელო მოიქნია, წავიდა – უძველესი დროიდან მრისხანების გამომხატველი ჟესტია
38. დრო მეოთხე ჟამისა, სახმილავისა – ჩინეთში უძველესი დროიდან დრო საღამოს 22 საათიდან დილის 5 საათამდე იყოფოდა 5 მონაკვეთად, სახმილავებად. მოდარაჯენი, ანუ მხმილავები დაიარებოდნენ ქუჩებში და ჩაქურჩის ბრახუნით მოსახლეობას ატყობინებდნენ დროს. ამავდროულად ეს იყო დარაჯების სამორიგო დროის შენაცვლების ნიშანი
39. კუი – ემმაკი, გარდაცვლილი ადამიანის სული. ძველი წარმოდგენით ან ძალდატანებითი სიკვდილის შემთხვევაში, ან ბოროტი ადამიანი, სიკვდილის შემდეგ გარდაიქმნებოდა კუი-დ, ბოროტ სულად, ემ-მაკეულად
40. ინ-ის მძიმე სული – ინ-ი და ი ანი, ინ - მთვარე, ქალური სანყისი, ჩრდილოვანი მხარე, ჩრდილოეთი. ი ანი – მზე, მამაკაცური სანყისი, სამხრეთი, მზიანი მხარე, სითბო, სიხარული
41. ქუაი'დ – წყვილი ჩხირი, რითაც ჩინელები კერძს მიირთმევენ
42. „ქვა რომ გამოჩნდება წყლის დაშრეტის შემდეგ“ – ანდაზა, გამოთქმა, სიმართლის, სინამდვილის, ჭეშმარიტების წარმოჩენას ნიშნავს
43. ქალადის საფენი – მას აქეთ, რაც ჩინელებმა გამოიგონეს ქალადი, ისინი მენსტრუაციისათვის ამზადებდნენ და მოიხმარდნენ სპეციალური საშრობი ქალადის საფენებს. თანამედროვე ჰიგიენური საფენებისა თუ პამპერსების მსგავსს. ამ შემთხვევაშიც ასეთი ქალადის საფენი იგულისხმება
44. „საკუთარი თავის დაპყრობის ხერხი“ – ანდაზა, გამოთქმა უძველესი ტრაქტატიდან
45. ოქროს გულქანდი – ქორწინებისას ოჯახები ნეფე-პატარძალს გულზე ჰკიდებდნენ ოქროს ან იემ-მის ფირფიტებს, რომელთა წონა, ზომა, მხატვრული ხარისხი ოჯახის ნივთიერ შეძლებაზე იყო დამოკიდებული. სხვა შემთხვევაში ამ ნივთებს აბრეშუმისგან ნეკეთი ნითელი ყვავილები სცვლიდა
46. ტოუფუ – ტრადიციულ ჩინური სოიოთი დამზადებული ყველი
47. ხეზო – პატარა ქისა. უძველესი დროით დაწყებული ხავერდის, აბრეშუმის ხეზო ქამარზე ეკიდათ, ფულის, სურნელოვანი ბალახის, თამბაქოს, ცხვირსახოცისა და სხვა წვრილმანებისათვის. ხეზო იყო საყოველღეო და საზეიმოც, ქალის ხელით ნაქარგი, საქმროს, ქმრისადმი სიყვარულის ნიშნად. ეს იყო ინტიმურობის სიმბოლო. ჩინურ ლიტერატურაში ხშირად მოიხსენიება
48. დრაკონი და ფასკუნჯი – დრაკონი იმპერატორის, მამაკაცის სიმბოლო, ფასკუნჯი – დედოფლის, ქალი სიმბოლო
49. ამითოფო – ბუდისტური ლოცვა, დაახლოებით ქრისტიანული უფალო შეგვიწყალების მნიშვნელობის
50. იენგ ანი – ზეცის მკვიდრი სული, რომელიც ცოდვილთა სულების, სიკვდილისა და საიქიოს სამს-

ჯავროს საქმეებს განაგებს

51. დიდთოვლობა უხვი მოსავლის სანინდარიო – ანდაზა

52. „ლამაზმანები უბედურნი იბადებიან“ – ნაწყვეტია უძველესი ჩინური ლეგენდისა. ცოლი, ზღვის პირას დგას, ორსულია. ქმრის დაბრუნებას ვერ ეღიროსა, ზღვის პირად კლდედ გადაიქცა

53. ჰუი ვენ – ეს იეროგლიფები დაბრუნებას, წარსულს, იყო-ს ნიშნავს

54. შენში – მაღალი საზოგადოების წარმომადგენელი, არისტოკრატი, სწავლული, ინტელიგენტი

55. ასი გვარის ადამიანები – უბრალო, რიგითი, მდაბიო ხალხი, ჩვეულებრივი ადამიანები

56. კურდღელი კვდება, მელა ცრემლად იღვრებაო – ანდაზა

სუ ტუნგ-ი დაიბადა 1963 წელს. ცნობილია ისტორიული რეტროსპექტივებით. 2009 წელს დაჯილდოვდა პრიზით The Men Asian Literary Prize.

თარგმნელები ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი და რუსუდან ქუთათელაძე



შეშლილის დღიური

狂人日记

ძმებთან, რომელთა სახელებსაც განგებ არ ვახსენებ, სკოლაში სწავლისას ვმეგობრობდი. მრავალწლიანი განშორების გამო მათ შესახებ აღარაფერი ვიცოდი. ამას წინათ შემთხვევით გავიგე, რომ ერთ-ერთი ძმა მძიმედ დაავადდა. გადავწყვიტე სამშობლოში დაბრუნებისას გზად მათთან შემეველო, ავადმყოფის მოსანახულებლად. შინ მხოლოდ ერთი ძმა დამხვდა და მიაშო უმცროსი ძმის ავადმყოფობის შესახებ.

„თქვენ ამაოდ დაშვრით და შორი გზა გამოიარეთ. ის უკვე დიდი ხანია გამოჯანმრთელდა და სხვაგან გაემგზავრა სამსახურის დასაწყებად“. მან სიცილით გამომიტანა ორ რვეულად აკინძული ავადმყოფის დღიური და თქვა, რომ ის თანახმაა ძველ მეგობრებს ძმის ავადმყოფობის წვრილმანები გაუმხილოს. დღიური წამოვიღე. შინ რომ დავბრუნდი, ჩანაწერების გაცნობის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ავადმყოფი „დევენის მანით“ იყო შეპყრობილი. მისი ნაწერი აბდა-უბდა იყო, აზრის ლოგიკური მიმდევრობა – დარღვეული. ბევრი სისულელე ეწერა. თვე და რიცხვიც არეული იყო. მხოლოდ სხვადასხვა მელნის ფერითა და ხელწერით შეიძლება გაგერჩია, რომ დღიური ერთ ჯერზე არ იყო დაწერილი. ნაწერიდან ის ფრაგმენტები ამოვკრიბე, რომელთა შორის მეტ-ნაკლები კავშირი იყო, რათა წარმედგინა ექიმებისთვის. შეცდომები არ ჩამისწორებია, მხოლოდ ადამიანთა სახელები შევცვალე, თუმცა ამას დიდი მნიშვნელობა არც აქვს, რამდენადაც ყველგან ერთი და იმავე სოფლის მცხოვრებნია ნახსენები და მათ თითქმის არავინ იცნობს. რაც შეეხება დღიურის სათაურს, ის უშუალოდ ავტორმა შეარჩია გამოჯანმრთელების შემდეგ და ვერ შევცვლიდი.

მეშვიდე წელი, მეოთხე თვე, დღე მეორე.

I

დღეს საღამოს მთვარე საოცრად ანათებს.

უკვე ოცდაათ წელზე მეტია, რაც ის არ მინახავს. დღეს რომ ვნახე, უჩვეულოდ მხიარულ გუნებაზე დავდექი. ეხლავა მივხვდი, ის ოცდაათი წელი მთლიანად ბნელით ყოფილა მოცული. თუმცა მაინც ფრთხილად უნდა ვიყო, აბა ასე რისთვის მიმზერს ჭაო-ს ეზოს ძაღლი? მართლაც რომ მაქვს შიშის მიზეზი.

II

დღეს საერთოდ არ ანათებდა მთვარე. ვიცი, რომ ეს ავისმომასწავებელია. დილით ფრთხილად გავედი გარეთ. ჭაო კუივენ-ი უცნაურად მიმზერდა: თითქოს ჩემი ეშინოდა, თითქოს ჩემი დალუპვა სურდა, თან შვიდი-რვა კაცი ერთმანეთს ჩემზე ეჩურჩულებოდა, პირი მოელოთ და ჩემზე იცინოდნენ. თავით ფეხებამდე გამაჟრჟოლა. მივხვდი, ყველაფერი უკვე მოფიქრებული ჰქონდათ.

მე კი არ მეშინია, მუდამ ჩემს გზას მივუყვები. წინ პატარა ბავშვები შეგროვილან. ისინიც ჩემზე ლაპარაკობენ, ჭაო კუივენ-ის მსგავსი გამოხედვა აქვთ, სახეებიც მასავით პირქუში. ნეტავ რა უნდა დამეშავებინა ამ ბავშვებისთვის, ან მისთვის. თავი ვერ შევიკავე და გავძახე: „მიპასუხეთ!“ მათ მაშინვე მოკურცხლეს.

ვერ გამიგია, რა დავუშავე ჭაო კუივენ-ს და ქუჩაში მყოფ ხალხს. მხოლოდ ერთხელ, ოცი წლის წინ, ბატონ კუძიუ-ს წლიური წყალმომარაგების ძველი ჟურნალი ფეხქვეშ მოვიგდე. ბატონი კუძიუ ძალიან უკმაყოფილო დარჩა. მართალია, ჭაო კუივენ-ი მას არ იცნობს, მაგრამ ეს ამბავი უთუოდ გაგონილი ექნება და ახლა ამ უსამართლობას ებრძვის და ქუჩაში მყოფებსაც ჩემ წინააღმდეგ აქეზებს. მაგრამ ბავშვები? იმ დროს ისინი ჯერ დაბადებულიც არ იყვნენ. დღეს რატომ მომმტერებიან უცნაურად, თითქოს ჩემი ეშინიათ, თითქოს რაღაცას მერჩიან. ეს მაშინებს, მაოცებს და გულსა მტკენს.

გასაგებია. მათ ეს მშობლებმა ჩაუნერგეს!

III

ღამე თვალი სულ ვერ მოვხუჭე. ნებისმიერი საკითხის გასაგებად საჭიროა მისი ძირისძირამდე შესწავლა.

ეს ის ხალხია, რომელთაც მაზრის უფროსი კისერზე ხუნდებს ადებდა, რომელთაც მემამულეები ცხვირ-პირში ურტყამდნენ, მოხელები ცოლებს ართმევდნენ, მათ შორის ისეთებიც არიან, რომელთა მშობ-

ლებსაც მევალები სულსა ხდიდნენ; მაშინაც კი არ ყოფილა მათი მზერა გუშინდელივით შიშითა და მრისხანებით აღსავსე.

ყველაზე უცნაური მაინც გუშინ ქუჩაში მყოფი ერთი ქალი იყო. ის თავის შვილს ურტყამდა და უყვიროდა: „დამაცადე! ერთი-ორი თუ არ გიკბინე, ისე ვერ დავწყნარდები!“ ის მე მომჩერებოდა. სახტად დავრჩი და ჩემი გაოცება ველარ დავფარე. ბრბო მაშინვე ახარხარდა. ჩენგ ლაოიუ წინ გამოიჭრა და სახლისკენ წამატარია.

სახლში რომ შევედით, ოჯახის წევრები ისე იქცეოდნენ, თითქოს არც კი მიცნობდნენ; მათი გამომეტყველებაც სხვებისას ჰგავდა. კაბინეტში შევედი და კარიც ჩაირაზა. იქ ქათამივით გამომამწყვდიეს. რაც მეტს ვუკვირდები, მით უფრო ვერა გამიგია რა ამ საქმისა.

რამდენიმე დღის წინ ლანნიცუნ-იდან მოიჯარე გვესტუმრა და მოუსავლიანობა გვაუნყა. მერე ჩემს უფროს ძმას მოუთხრო ერთი ავაზაკის შესახებ, რომელიც თანასოფლელებმა მიასიკვდილეს. რამდენიმემ მას გულ-ღვიძლი ამოაცალა და შემწვარი მიირთვა, ვითომ ეს მათ სიმამაცეს შემატებდა. მე სიტყვა შევანწყვეტინე. მოიჯარემ და ჩემმა ძმამ რამდენჯერმე გამომხედეს. დღესლა მივხვდი, თუ რას ნიშნავდა მათი გამომხედვა – იმ ქუჩაში მყოფი ხალხისას ჰგავდა სულ.

რომ გამახსენდა, თავით ფეხებამდე გამაცია.

მათ შეუძლიათ ადამიანები შეჭამონ, ესე იგი, მათ შორის, მეც.

გაიხსენეთ იმ ქალის სიტყვები – „ერთი-ორი უნდა გიკბინო“, ის პირქუში და ახარხარებული ბრბო, მანამდე კიდევ მოიჯარის ნაამბობი. ეს ყველაფერი უდავო მინიშნებებია.

მის სიტყვებში შხამი დავლანდე, მათ სიცილში კი – მოელვარე დანები. ქათქათა და ბასრი კბილები მართლაც რომ კაციჭამიებივით დაუკრეჭიათ.

რაც შემეხება მე, ბოროტმოქმედი არა ვარ, მაგრამ, რაც კუ-ს ოჯახის სააღრიცხვო წიგნი ფეხით გავთელე, უკვე გამიჭირდება ამის დამტკიცება. მათ თითქოს რაღაც ჩაიფიქრეს, მაგრამ მე ვერ მივმხვდარვარ. თანაც საკმარისია ვინმეზე განაწყენდნენ, რომ მაშინვე ბოროტმოქმედად შერაცხავენ. ჯერ კიდევ მახსოვს, როგორ ჩამძახოდა ჩემი ძმა: ადამიანი, რაგინდ კარგი არ უნდა იყოს, თუ მას გზაზე გადაელობები, აუცილებლად წინააღმდეგობას გაგიწევს; თუ დამნაშავეს აპატიებ, იტყვის, რომ შენ ყოჩალი, განათლებული და ყველასგან გამორჩეული ადამიანი ხარ. მე რას მივუხვდებოდი მათ ჩანაფიქრს; მით უმეტეს, როცა ეს კაციჭამიობას ეხებოდა.

ნებისმიერი საკითხის გასაგებად საჭიროა მისი ძირისძირამდე შესწავლა. ძველ დროს ხშირად ჭამდნენ ადამიანებს. ეს მეც მახსოვს, თუმცა არც ისე ნათლად. ავიღე და გადავშალე ისტორიის წიგნი, მაგრამ წიგნში ქრონოლოგია დარღვეული იყო, ყოველ გვერდზე ოკრო-ბოკროდ ეწერა სიტყვა „გულისხმიერება“. მე მაინც ვერ მოვხუჭე თვალი. თითქმის მთელი ღამე წიგნს ჩავკირკიტებდი და, ბოლოს, სტრიქონებს შორის ამოვიკითხე სიტყვა, რომლითაც მთელი წიგნი იყო სავსე: „კაციჭამიობა“.

წიგნი სავსე იყო ამ სიტყვით. მეიჯარეც ამ სიტყვას გაიძახოდა. ყველანი სიცილითა და უცნაური თვალებით მომმტერებოდნენ.

მეც ხომ ადამიანი ვარ, ესე იგი, ჩემი შეჭმაც სურთ!

IV

დილით ის იყო ჩემთვის წყნარად ჩამოვჯექი, რომ ჩენ ლაოიუ შემოვიდა, ბოსტნეულისა და მოხარშული თევზისგან შემდგარი საუზმე მომიტანა. თევზის გამოთეთრებული, გაშეშებული თვალები, მისი დაფრენილი პირი ზუსტად იმ ხალხისას მაგონებდა კაციჭამიობაზე რომ ფიქრობდნენ. მე რამდენიმე ლუკმა გავლეჭე: ისეთი სრიალა, ვერ გაარჩევდი, თევზი იყო თუ ადამიანი. მაშინვე ამოვარწყე.

ვთქვი: „ლაოიუ, გადაეცი ძმას, რომ საშინლად მოწყენილი ვარ. ბაღში გასეირნება მსურს“. გლაოიუ-მ უპასუხოდ დამტოვა და გავიდა. შემდეგ მალე დაბრუნდა და კარები გამიღო.

მე კი ადგილიდან არ დავძრულვარ და ვაკვირდებოდი, თუ რას მიპირებდნენ. ვიცი, მათ ხელიდან ვერ დავუხსლტები. რა თქმა უნდა! ძმა ნელ-ნელა მიახლოვდებოდა, თან ვილაც მოხუცს მოუძღვებოდა. მოხუცის თვალები მუქარით იყო სავსე. ეშინოდა, რომ მე ამას შევამჩნევდი, ამიტომ თავჩალუნული, სათვალის კუთხიდან ირიბად მათვალეირებდა. ძმამ მკითხა: „დღეს შენ, როგორც ჩანს, თავს სრულიად კარგად გრძნობ“. ვუპასუხე: „დიახ“. ძმამ განაგრძო: „დღეს შენს გასასინჯად ექიმი ხე მოვიწვიე“. „კარგი!“ – ვუპასუხე მე, მაგრამ სინამდვილეში განა არ ვიცოდი, რომ ეს მოხუცი გადაცმული ჯალათი იყო! ეჭვგარეშეა, პულისის გასინჯვას მოიმიზეზებს, რათა დაადგინოს, რამდენად მსუქანი და ნოყიერი საკბილო ვარ და ამ სამსახურისთვის მასაც უწილადებენ ერთ ნაჭერს. თუმცა არ მეშინია. მე არ ვჭამ ხალხს, მაგრამ მაინც მათზე მამაცი ვარ. მე მას ორივე მომუშტული ხელი გავუწოდე და ვაკვირდებოდი, თუ როდის შეუდგებოდა საქმეს. მოხუცი ჩამიჯდა, თვალები მოწკურა, პულისს დიდხანს სინჯავდა, დიდხანს ფიქრობდა, შემდეგ კი გადმოგვხედა თავისი სატანისებრი თვალებით და თქვა: „ნურაფერზე ნუ იფიქრებს. რამდენიმე დღე სრულ სიმშვიდეში ამყოფეთ და ყველაფერი კარგად იქნება.“

„ნურაფერზე ნუ იფიქრებს, სრულ სიმშვიდეში ამყოფეთ!“ გასაგებია: შემინახონ, სანამ ქონი კარგად არ მომედება, მაშინ მათ უფრო მეტი ლუკმა შეხვდებათ. მაგრამ რა არის ჩემში ისეთი, რომ ყველაფერი „კარგად იქნება“? ეს ხალხი ეშმაკივით გაქნილები არიან. მათ სურთ ადამიანის შეჭმა და თანაც იგონებენ ხრიკებს, თუ როგორ მოახერხონ ეს ფარულად. პირდაპირი მოქმედებისა ეშინიათ, მგონი სიცილით გამგუდავენ! თავი ვერ შევიკავე და გადავიხარხარე: ძალიან კმაყოფილი ვარ. მე ვიცი, რომ ჩემს სიცილში გაბედულება და პირდაპირობაა. ჩემი გაბედულებითა და პირდაპირობით მოწესხულ მოხუცსა და ძმას სახე შეეცვალათ. მაგრამ რაც უფრო მხნედ ვიყავი, მით უფრო მეტად სურდათ ჩემი შეჭმა. ჩემი მხნეობა მათთვის გადამდები აღმოჩნდა. მოხუცი გავიდა ოთახიდან და კარიდან ცოტა მოშორებით ჩუმად უთხრა ჩემს ძმას: „მოდით, სასწრაფოდ შევჭამოთ!“ ეს აღმოჩენა თითქოს მოულოდნელი, თუმცა სრულიად ლოგიკური იყო. შეთქმულთა შორის, რომლებიც ჩემს შეჭმას აპირებენ, ჩემი ძმაც ურევია!

ჩემი ძმა – კაციჭამია!

მე კი – კაციჭამიას ძმა!

ისინი მე შემჭამენ და მე მაინც კაციჭამიას ძმად დავრჩები!

V

ბოლო რამდენიმე დღეა ცოტა არ იყოს ხელი ავიღე ჩემს პირვანდელ ვარაუდებზე. დავუშვით, მოხუცი არ არის გადაცმული ჯალათი, არამედ ნამდვილი ექიმია. ის მაინც კაციჭამიაა. მათი მეცნიერების ფუძემდებელი ლი შჭენ-ი „რალაც ჩინური მედიცინის“ მაგვარი სახელწოდების წიგნში გარკვევით წერს, რომ შეიძლება იჭამოს ადამიანის შემწვარი ხორცი. ნუთუ ამის შემდეგ მოხუცს შეუძლია ამტკიცოს, რომ კაციჭამია არ არის?

რაც შეეხება ჩემ ღვიძლ ძმას, არცთუ უსაფუძვლოა მისადმი ჩემი ეჭვებიც. როდესაც ის ძველი ტექსტების შესახებ მიყვებოდა, თავადვე ამბობდა, რომ „შეიძლება ერთმანეთის შვილების შეჭმა“. მახსოვს ერთხელ, შემთხვევით, ერთ არამზადაზე ჩამოვარდა სიტყვა და ძმამ თქვა, რომ ხალხს არა მარტო უნდა მოეკლათ ის, არამედ უნდა შეეჭამათ და მის ტყავზე დაეძინათ“. მე მაშინ ჯერ კიდევ პატარა ვიყავი და შიშისაგან მთელი დღე გული ამოვარდნაზე მქონდა. გუშინნინ ჩვენთან მოიჯარე მოვიდა ლანნიცუნ-იდან და გვიამბო ადამიანის გულ-ღვიძლის შემჭმელებზე. ჩემს ძმას ეს სულაც არ გაკვირვებია და განუწყვეტილად თავს უქნევდა. ნათელია, რომ მისი განწყობა ისეთივე სასტიკია, როგორც წარსულში. თუკი შესაძლებელია ერთმანეთის შვილების შეჭმა, მაშინ ყველაფერი სხვაც შესაძლებელია, მათ შორის, ნებისმიერი ადამიანის შეჭმა. უნინ მისგან სულ მესმოდა სამართლიანობის შესახებ მსჯელობა და ამას შეცდომაში შევყავდი. ახლა უკვე ვიცი, რომ, როდესაც ის სამართლიანობაზე ლაპარაკობს, ამ დროს ტუჩის კუთხეები ადამიანის ქონით აქვს მოსვრილი, გული კი კაციჭამიაობაზე ფიქრით აქვს სავსე.

VI

უკუნი სიბნელეა, არ ვიცი, დღეა თუ ღამე. ჭაოს ეზოს ძალღი ისევ აყეფდა. ლომივით მრისხანე... კურდღელივით მშიშარა... მელიასავით ცბიერი...

VII

მე მესმის მათი მეთოდისა, პირდაპირ მოკვლა არ სურთ და ვერც გაბედავენ, უბედურების ეშინიათ. ამიტომ ყველანი ერთმანეთს შეეკვრნენ, ყველგან გააბეს ქსელები, რათა მე თავად გავბმულიყავი მათში. რამდენიმე დღის წინ ქუჩაში მყოფი გოგო-ბიჭების სახეებსა და ამ დღეებში ჩემი ძმის საქციელზე დაკვირვებით ყველაფერი ადვილად მისახვედრი ხდება. უმჯობესია შევიხსნა ქამარი, სახურავის ბოძზე გადავკიდო, მერე მჭიდროდ მოვიჭირო და თავი ჩამოვიხრჩო. მათ მკვლელის სახელიც აცდებთ და საკუთარ გულისწაღილსაც აისრულებენ. ბუნებრივია, სიამოვნებისგან ყველა ახარხარდება. თუმცა კი, ასე შიშისა და დარდისგან მკვდარი ნაკლებ ფერ-ხორციანი ვიქნები, ამაზეც თანახმანი იქნებიან.

ისინი მხოლოდ ლემიჭამიები არიან! მახსოვს, რომელიღაცა წიგნში ამოვიკითხე. არსებობს რაღაც „აფთარი“, მზერაც და შესახედაობაც საშინელი რომ აქვს. ხშირად ლემით იკვებება. ყველაზე მოზრდილ ძვალსაც კი ლეჭვი-ლეჭვით აქუცმაცებს და ისე ყლაპავს. გაფიქრებაც კი შიშს მგვრის. აფთარი მგლის ოჯახს ეკუთვნის, მგელი – ძალღთა ოჯახს. გუშინნინ ჭაოს-ეზოს ძალღმა რამდენჯერმე შემომიღრინა და მივხვდი, რომ ისიც ჩემი მტერი იყო. ისიც დიდი ხანია მათ შეეკრა. მიწაში თვალწარგული მოხუცი როგორ მოახერხებდა ჩემგან სიმართლის დამალვას.

ყველაზე საბრალო ჩემი ძმაა. ისიც ადამიანია, როგორ არ უნდა ეშინოდეს. თანაც მათ შეუამხანაგდა ჩემს შესაჭმელად? ნუთუ ეს დიდი ხნის ჩვევაა, რომელსაც დანაშაულად არ მიიჩნევენ, ან, იქნებ, სინდისზე ხელი აიღეს და სრული შეგნებით განზრახ სჩადიან დანაშაულს?

მე ვგმობ ყველა კაციჭამიას, მათ შორის, პირველ რიგში, ჩემს ძმას. ასეთი ხალხის გამოსწორებაც მისით უნდა დავინყო.

VIII

სინამდვილეში ეს ჭეშმარიტება დღესდღეობით მათთვისაც უკვე გასაგები უნდა იყოს...

უეცრად ერთი კაცი მოვიდა, 20 წლისა თუ იქნებოდა. სახე კარგად ვერ გავარჩიე. სახეზე ღიმილი ეფინა. თავი დამიქნია. მისი სიცილი რალაც არაბუნებრივი იყო. მაშინვე ვკითხე: „კაცის შეჭმა გამართლებული საქციელია?“ მან სიცილითვე მიპასუხა: „თუ მოუსავლიანობა არ არის, რა საჭიროა კაცის შეჭმა.“ მე უმაღლეს მივხვდი, რომ ისიც ერთ-ერთი მათგანი იყო, ისიც სიამოვნებით მიირთმევედა ადამიანის ხორცს. გამბედაობა გამიასმაგდა და ისევ ვკითხე.

„ესე იგი გამართლებული საქციელია?“

„რა შეკითხვაა. გცოდნია რა შენც . . . ხუმრობა. . . . დღეს კარგი ამინდია.“

ამინდი მართლაც კარგია, მთვარეც კარგად ანათებს. მაგრამ მე მაინც უნდა ვიკითხო „გამართლებული საქციელია?“

ის მოიღუშა და დაბნეულად მიპასუხა – „არა . . .“

„არაა გამართლებული საქციელი? მაშინ რატომღა ჭამენ?!“

„ეს არ მოხდებოდა“

„არ მოხდებოდა? განნიცუნ-ში ნამდვილად შეჭამეს ადამიანი, წიგნშიც წერია. ეს დღესავით ნათელია!“

მას მაშინვე შეეცვალა სახე, ფოლადის ფერი დაედო. დამაშტერდა და მითხრა: „შეიძლება ასეც არის, განა ოდითგანვე ასე არ იყო . . .“

„რადგან ოდითგანვე ასე იყო, ესე იგი გამართლებული საქციელია?“

„შენთან ამის განხილვას არ ვაპირებ. საერთოდ ამაზე არ უნდა საუბრობდე. თუ ისაუბრებ, შენვე ნააგებ!“

მე შევხტი, თვალები დავაჭყციტე. ის კაცი კი გაქრა. მთელ ტანზე ოფლი დადგა. ის ჩემს ძმაზე ბევრად უფრო ახალგაზრდა ჩანდა და ჩემთვის მოულოდნელად ისიც მათს მარაქაში გარეუღიყო. უთუოდ მშობლებმა ჩაუნერგეს. ვშიშობ, უკვე შვილსაც ასწავლა. ამიტომ თითისტოლა ბავშვებიც კი გაბოროტებით შემომცქერიან.

IX

კაცის შეჭმა სურთ, თან ეშინიათ, რომ თავად არ შეიქნენ სხვისი ლუკმა. ყველანი ერთმანეთს ეჭვითა და გამჭოლი მზერით აკვირდებიან.

კარგი იქნებოდა, ეს აზრი რომ არ აეკვიატებინათ. მშვიდად იმუშავებდნენ, ივლიდნენ, შეჭამდნენ და დაიძინებდნენ. ამისთვის მხოლოდ კარის ზღურბლს უნდა გადააბიჯონ, მხოლოდ ერთი წამია საჭირო. მაგრამ ისინი – მამა-შვილი, და-ძმა, ცოლ-ქმარი, მეგობრები, მონაფე-მასწავლებელი, მტერ-მოყვარე და ერთ-მანეთისთვის უცხო სხვა ხალხი, ყველა გაერთიანდა, ერთმანეთს აქეზებენ, ერთმანეთს წინ ელობებიან და სიკვდილის შიშითაც კი ზღურბლს მიღმა ბიჯსაც არ წადგამენ.

X

გამთენიისას წავედი უფროსი ძმის მოსაძებნად. ის დერეფნიდან გამავალი კარის წინ იდგა და ცას შეჰყურებდა. მაშინვე უკნიდან მივუახლოვდი, კარში ჩავდექი და ფრიად დინჯად და თავაზიანად მივმართე:

– „ძმაო, რალაც მინდა გითხრა.“

– „ბარემ მითხარი,“ - მან ნაჩქარევად მოაბრუნა სახე და თავი დამიქნია.

– „სულ რამდენიმე სიტყვას გეტყვოდი, მაგრამ სათქმელს თავს ვერ ვუყრი. ძმაო, თავდაპირველად, ალბათ, ყველა ველურ ადამიანს მიურთმევია ცოტაოდენი ადამიანის ხორცი. მოგვიანებით ისინი სხვადასხვა მრწამსს ეზიარნენ, ამიტომ ზოგნი უკვე აღარ ჭამდნენ ადამიანის ხორცს, საკუთარი სრულყოფილებისკენ სწრაფვა დაიწყეს, შეიცვალნენ და იქცნენ ნამდვილ ადამიანებად. მართალია, ზოგი ისევ კაციჭამიად დარჩა, ამიტომ მწერების მსგავსად ზოგი თევზად იქცა, ზოგი – ფრინველად, ზოგი – მაიმუნად. ასე გრძელდებოდა, სანამ ადამიანებად იქცეოდნენ. ზოგი კი უკეთესობისკენ არ მიიღვტოდა და დღევანდლამდე მწერებად დარჩნენ. კაციჭამიებს თუ შევადარებთ მათ, ვინც არ ჭამს კაცის ხორცს, რომელი მათგანია სამარცხვინო. ვშიშობ, მწერებიც კი არ არიან ისე დაკნინებული მაიმუნებთან შედარებით, როგორც კაციჭამიები არაკაცი-ჭამიებთან შედარებით.“

„ი-მ თავისი ვაჟი მოხარშა და მიჰგვარა ძიე-სა და ჭოუ-ს შესაჭმელად. ეს ოდითგანვე ასე იყო. ვინ მოთვლის რამდენმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, რაც ფან კუ-მ ზეცა და ხმელეთი გაჰყო ი-ას ვაჟამდე; ი-ას

ვაჟიდან სუ სილინ-ამდე; სუ სილინ-იდან კიდეც ლანწიცუნ-ში ავაზაკის შეჭმამდე.

მათ ჩემი შეჭმა სურთ. შენ ერთი, რა თქმა უნდა, ვერას გახდები. და მაინც, რატომ შეუერთდი იმ გუნდს. კაციჭამიებისგან კარგს არაფერს უნდა ელოდე. ისინი მე შემჭამენ, მერე შენც მოგიბრუნდებიან და სხვა თანაგუნდელებსაც შეჭამენ. მაგრამ საკმარისია ერთი ნაბიჯის გადადგმა, ყველაფრის დაუყოვნებლივ შეცვლა და ადამიანთა შორის მშვიდობა დამყარდება. მიუხედავად იმისა, რომ ოდითგანვე ასე იყო, ჩვენ ხომ შეგვიძლია დღეს განსაკუთრებით ვესწრაფოთ სრულყოფილებას. თქვი, რომ ასე არ შეიძლება! ძმაო, მე მჯერა, რომ შენ შეგიძლია ამის თქმა, გუშინნინ ხომ უთხარი მოიჯარეს, რომ არ შეიძლება იჯარის შემცირება.“

ის თავიდან მხოლოდ ცივად იღიმებოდა. უცბად მზერა გაუპირქუშდა. როგორც კი მათს ბნელ საქმეებს შევეხე, სახე ერთთავად მოელუშა. ჭიშკარს გარეთ ხალხი შეგროვილიყო. ჭან კუივენ-იც თავისი ძალით მათ შორის იყო. კისერნაგრძელებულები იდგნენ და მთელი გულისყური აქეთ ჰქონდათ. ზოგს სახე არ უჩანდა, თითქოს ნაჭრით ჰქონდათ შებურული. ზოგი კი ძველებურად პირქუში სახით პირმოკუმული იცინოდა. კარგად ვიცნობ მათ, ყველანი, როგორც ერთი, კაციჭამიები არიან. მაგრამ ისიც ვიცი, რომ ყველა განსხვავებულად ფიქრობს. ერთნი ფიქრობდნენ, რომ საჭიროა კაცის შეჭმა, რადგან ეს ოდითგანვე ასე იყო; სხვებს მიაჩნიათ, რომ დაუშვებელია, მაგრამ ძველებურად აგრძელებენ კაციჭამიობას, თან ეშინიათ, ვინმემ რომ არ ამხილოს. ამიტომ, რაც ჩემს ნათქვამს მოკრეს ყური, უფრო აღშფოთდნენ, თუმცა, მოკუმულ პირზე კვლავ ცივი ღიმილი დათამაშებდათ.

ამ დროს უფროსი ძმა უეცრად განრისხდა და მათ ხმამაღლა მოთხოვა გზის გათავისუფლება.

„ყველანი გარეთ გადიეთ! გიჟი რა საყურებელია!“

ამასობაში მე მათ კიდეც ერთ ეშმაკობას ჩავხვდი. მათ არათუ არ სურთ გამოსწორება, არამედ ყველაფერი წინასწარ ჰქონდათ მომზადებული. მათ წინასწარ მომარგეს მომდევნო გიჟის ნიღაბი. მომავალში თუ შემჭამენ, არაფერი დაშავდება. ვშიშობ, ზოგს ეს ამალელებლადაც მოეჩვენება. იმ ბოროტმოქმედის შეჭმის დროსაც, რომელზეც მოიჯარემ გვიამბო, უთუოდ ეს ხერხი გამოიყენეს. ეს მათთვის ჩვეული, ძველისძველი ხრიკია.

ჩენ ლაოუ-ც ბრაზმორეული შემოვიდა. როგორც არ უნდა დამადუმონ, მე მაინც პირში მივახლი ამ ხალხს:

– „თქვენ შეგიძლიათ შეიცვალოთ, გულწრფელად შეიცვალოთ! უნდა შეიგნოთ, რომ მომავალში ამქვეყნად აღარ დაუშვებენ კაციჭამიების არსებობას.“

– „თუ არ გამოსწორდებით, თავადაც სხვისი ლუკმა შეიქნებით. ბევრნიც რომ იყოთ, მაინც გაგანადგურებენ ნამდვილი ადამიანები ისე, როგორც მონადირეებმა ამოხოცეს მგლები! ისე, როგორც მწერები გადაშენდნენ!“

ის ხალხი ჩენ ლაოუ-მ კინწისკვრით გაყარა. უფროსი ძმა სადღაც გაქრა. ჩენ ლაოუ ოთახში ჩემს შეყვანას ცდილობდა. ოთახში უკუნი სიბნელე იყო. სვეტებმა და თალებმა ჩემს თავს ზემოთ რწევა დაიწყეს. ცოტა ხანს ირწეოდნენ, მერე უეცრად გადიდდნენ და ზედ დამაცვივდნენ.

ძალიან მძიმე იყო, ძვრა ვერ ვუყავი. მათ ჩემი სიკვდილი სურდათ. მივხვდი, რომ მათი სიმძიმე მოჩვენებითი იყო, მაშინვე თავი დავაღწიე. ოფლად დავიღვარე, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა:

– „თქვენ დაუყოვნებლივ უნდა შეიცვალოთ, გულწრფელად უნდა შეიცვალოთ! უნდა შეიგნოთ, რომ მომავალში კაციჭამიებს აღარ გააჭაჭანებენ . . .“

XI

არც მზე ჩანს, კარიც არ იღება. ყოველ დღე მხოლოდ ორჯერადი კვება.

ხელში საჭმლის ჩხირებს ვაწვალე და ჩემი ძმა მახსენდება. ვიცი, უმცროსი დის დალუპვაშიც მისი ხელი ურევია. იმ დროს ჩემი და ხუთი წლისა იყო, საყვარელი, საბრალო შესახედაობის. სულ თვალწინ მიდგას. დედა განუწყვეტლივ ტიროდა, ჩემი ძმა კი არწმუნებდა დედას, რომ არ ეტირა. ალბათ იმიტომ, რომ თვითონ შეჭამა, დედის ტირილი კი სინდისს უქენჯნიდა, თუკი, რასაკვირველია, კიდეც შერჩა სინდისის გრძობა.

არ ვიცი, დედამ იცოდა თუ არა, რომ და უფროსმა ძმამ შეჭამა.

შეიძლება დედამ ეს იცოდა, მაგრამ ტირილის დროს არ უხსენებია. შეიძლება მიაჩნდა კიდეც, რომ ასე იყო საჭირო.

მახსენდება ერთხელ, ასე ოთხი-ხუთი წლის ვიქნებოდი, სახლის წინ ვიჯექი და სიგრილით ვტკბებოდი, როცა უფროსმა ძმამ მითხრა: დედა ან მამა თუ ცუდად გახდება, შვილმა უნდა ამოიჭრას ხორცი, მოხარშოს და ავადმყოფს მიართვას. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნები კარგი ადამიანიო. დედას არ უთქვამს, რომ ასე არ შეიძლება. თუ ერთი ნაჭრის შეჭმა შეიძლება, ესე იგი მთლიანად ადამიანის შეჭმაც, ბუნებრივია, შეიძლება. მაგრამ მისი იმდღევანდელი ტირილი რომ მახსენდება, ეხლაც კი გული მიკვდება. მართლაც დაუჯერებელი ამბავია!

XII

მეტი ფიქრის თავი აღარა მაქვს.

დღესლა მივხვდი, რომ იქ ვცხოვრობ, სადაც ოთხი ათასზე მეტი წელია განუწყვეტლივ მიირთმევენ ადამიანის ხორცს. უმცროსი და იმ დროს დაიღუპა, როდესაც ოჯახის საქმეებს ძმა უძღვებოდა. გამორიცხული არაა, რომ მან დის ხორცი სადილში შეაპარა და ჩუმად გვაჭამა.

გამორიცხული არაა, რომ მე უნებლიედ ვჭამე უმცროსი დის ხორცის რამდენიმე ნაჭერი, ახლა კი ჩემი ჯერიც დადგა . . .

მე, რომელსაც უკვე ოთხი ათასი წელია, რაც კაციჭამია მქვია, აქამდე არ ვიცოდი, მაგრამ ახლა მივხვდი, რა ძნელია ჭეშმარიტი ადამიანის პოვნა!

XIII

ნეტავ, კიდევ თუ არიან ბავშვები, რომლებსაც ადამიანის ხორცი არ უგემიათ?

გადაარჩინეთ ბავშვები . . .

1918 წლის აპრილი

ლუ სიუნ-ი (1881-1036) მწერალი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე. XX საუკუნის I ნახევრის ჩინური ლიტერატურის მეტრი.

მთარგმნელი ელისო ელისაშვილი



ჩინელთა მოძღვრებანი

中国人的宗教

ეს ჩემი მცირე ნაწერი, ასე ვთქვათ, პანია სამშვენიისი, ან თავშესაქცევი, უცხოელთათვის დაინერა, ამდენად, ძალზე ზერელეა. მე ვფიქრობ, რომ ამგვარ ნაწარმოებებში ყველაფერი მარტივად, ნათლად და გასაგებად უნდა იყოს გადმოცემული, ისე, როგორც ეს სასკოლო სახელმძღვანელოებშია ხოლმე.

გარეგნულად, ერთი შეხედვით, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ჩინელებს რელიგია, სარწმუნოება საერთოდ არ გააჩნიათ. ინტელიგენცია, განსწავლული, განათლებული ჩინელები დიდი ხანია რაც ათეისტები გახლავან. ბუდიზმმა, ცხადია, მძლავრი ზეგავლენა მოახდინა ჩინურ ოდინდელ ფილოსოფიურ მსოფლხედვაზე, მაგრამ ეს სულ სხვა საკითხია. ბუდიზმს თითქმის არავითარი კვალი არ დაუჩნევია რიგითს ჩინელებზე, ვინაიდან ჩინური ლიტერატურა მთლიანად, თავით ბოლომდე, იჭენეულია, ურწმუნოა და აღსავსეა დიადი კაემნით. ხალისი და სილალე მარტოოდენ ნივთიერ წვრილმანებში თუ სჭვივის ხოლმე. ესაა მიზეზი, რომ რომანებში – „ტყემლის რტო ოქროს ლარნაკში“ და „სიზმარი წითელ სასახლეში“ უამრავი ფურცელია გაჯერებული სუფრის რჩეული, გასაოცარი, ძვირფასი კერძების ჩამონათვალთა და აღწერილობით. ეს წვრილმანები საინტერესოა და მათი კითხვაც გიტაცებთ, მაგრამ რაიმე განსაკუთრებულ მიზანს არ ემსახურება. უბრალოდ, საამოა და ესთეტიკური. ძირითადი, მთავარი ლაიტმოტივი კი მარადჟამ ტრაგიკული გახლავთ. ყველაფერი, რაც კი ადამიანის სიცოცხლეს, ცხოვრებას შეეხება, ყოფიერების სიცარიელეზე, მის ფუჭ არსსა და ამაოებაზე გვითითებს.

ჩინელებზე მთელ მსოფლიოში ასეთი წარმოდგენა შექმნილი – ჩინელებს დედამიწაზე მცხოვრები დანარჩენი ხალხებისგან ის განასხვავებს, რომ მათთვის საწუთრო, ამქვეყნიური ცხოვრება არის ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო. ამავდროულად, უცხოელთათვის ეს შთაბეჭდილება ყოველ ჯერზე ახალია, აღმოჩენის-მაგვარი რამ. თუმცა აქვე მთავრდება. უფრო წინ მათი ჭფიქრი თუ ფანტაზია, უბრალოდ, ველარც კი მიიწევს. თითოეულ ჩინელს, იმის შემყურეს, თუ როგორ ცვივა მდინარი წყლის ნაკადში ყვავილთა ფურცლები, ან კიდევ გაზაფხულის ნიავს შუბლმიშვერილს, მთვარის მომზირალს, ძალუძს ცრემლი აფრქვიოს, ან ღრმა ოხვრა აღმოხდეს, სულითა და გულით შეიგრძნოს წუთისოფლის წამიერება, სწრაფწარმავლობა. და ამით ყველაფერი ამოიწურება, ფიქრს მეტად აღარ ატანენ ძალას, აღარ უღრმავდებიან საკითხს. ჩინელთა აზრით, სიკვდილი გარდაუვალი რამაა, თუმცაღა, ამ მიზეზით გულს სრულიადაც არ იტეხენ, ცხოვრების გემოს არ კარგავენ, სასონარკვეთას არ ეძლევიან, ცხოვრების ფსკერზე არ ეცემიან, არ ხარბობენ, სხვის უბედურებაზე ხელს არ ითბობენ, სხვისას არ იხვეჭენ, არ ირყვენებიან. ევროპელთათვის ასეთი ქცევა ლოგიკურიც იქნებოდა. აი, მაგალითად, ალორძინების ხანაში, როგორც კი მოისპო „მარადიული სიცოცხლის“ რწმენა, მყისვე თავი მისცეს იგავმიწუნვდომელ თავშექცევა-გასართობებს, ან კიდევ საპირისპიროდ – ბოროტებას მიეძალნენ. და ეს ყველაფერი ფრიად მჩქეფარედ მიმდინარეობდა.

ჩინელებს, ვინც განათლებულია, წიგნიერია, მიაჩნიათ, რომ ადამიანი უბრალოდ წლიდან წლამდე ცხოვრობს, არსაით მიისწრაფვის, ბოლოს, სიცოცხლის დასრულების შემდეგ კი, არსად აღმოჩნდება; მთელი თაობები არ მიისწრაფვიან რაიმესკენ, არ მიელტვიან არავითარ საბოლოო მიზანს. თუკი ეს მართლაც ასეა, მამ რალაა ცხოვრების აზრი, რა ყოფილა დანიშნულება სიცოცხლისა? ასეთი კითხვა ჩინელთათვის განსჯის საგანი სრულიადაც არ არის, ვინაიდან სიცოცხლე, ასეა თუ ისე, არსებობს, თავისთავად არსებობს, მყოფობს. რარიგ განვკარგავთ ჩვენ ჩვენს ცხოვრებას, ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. რასაკვირველია, ყველას სურს ცხოვრება საამური იყოს, იყოს შესაძლებლობა სიცოცხლით ტკობისა. და ყველამ კარგად უწყის, რომ ამის მიღწევა მხოლოდ და მხოლოდ ადათ-წესების დაცვის მეოხებითაა შესაძლებელი. ამასთანავე, ჩინელები ძალზე ფრთხილად, საკუთარი თავისთვის სიცარიელის პანანკინტელა ნაწილს უსათუოდ ინარჩუნებენ – ეს არ ნიშნავს ჯანყსა და ამბობს, ან კიდევ იდუმალების აუხსნელი, თეთრი, ნისლისებრი საფარით შეპურვას. ეს იგივეა, უფსკრულის პირს მიჭენებულ ცხენს დროულად რომ ამოსდო ლაგამი. ეს იგივეა, რაც ჩინურ ფერწერაში დამკვიდრებული ცარიელი, შეუქცებელი ადგილის დატოვების მკაცრი მოთხოვნა. სიცარიელისთვის გვერდის ავლა, უბრალოდ, შეუძლებელია, რამეთუ მის გარეშე ნახატის შინაგანი წონასწორობა ირღვევა. ხელოვნებაშიც და ცხოვრებაშიც ყველაზე ძნელი ისაა, მიხვდე, თუ როდის უნდა შეჩერდე, რა უნდა იკმარო. ყველაზე ძვირფასი, რაც ჩინელთათვის საამაყოა, ეს ისაა, რომ აქვთ თვითკმარი, ზღვარდადებული მშვენიერების ესთეტიკა.

მდაბიო ფენას, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი სრულიად არ აინტერესებს. მათი არსებობა თითქოსდა უკმარი ჟანგბადის სივრცეში მიედინება. მდაბიოთა მოძღვრება ურიცხვი პატარ-პატარა ცრურწმენების

ნამსხვრევ-ნამცვრევთა ნაზავია, ისეთების, მაგალითად, როგორებიცაა ჰოროსკოპი, სულები და ლანდი-მორჩენებები, მელა-მაქციები, მარხვები. მაღალი საზოგადოებისა და მდაბიო ფენის, სწავლულებისა და მუშა-გლეხობის, მსოფლმხედველობას ურთიერთშეხების ერთი წერტილი აქვთ – ესაა წინაპართა პატივისცემა, წინაპართა კულტი. თუმცა ინტელიგენციისათვის ეს მხოლოდ და მხოლოდ სულიერი ცხოვრების არსია. ისინი პატივს მიაგებენ როგორც ცოცხალ, ისე გარდაცვლილ წინაპრებს, იცავენ სიბრძნის, თუმცა ღირსებასა და ცხოვრების წინაპრების მიმართაც განსაკუთრებული პატივისცემით არიან განმსჭვალული. ამასთანავე, საგულისხმოა, რომ წინაპართა პატივისცემის ცნებას რელიგიასთან არაფერი აქვს საერთო, ოდნავი სიხლოვეც კი არ გააჩნია.

ჩინელთა სანუკვარი სურვილი

როგორც კი ხელს მიჰყოფთ ჩინეთის სიღრმისეულ შესწავლას, უმაღვე აღმოაჩინებთ, რომ ყველა ჩინელს, მის აზროვნება-ქმედებას, ზურგს უკან ერთი და იგივე რელიგიური ფონი აქვს. სწავლულნი და მდაბიონი, განათლებულნი და უნივერსიტეტის სტუდენტები მხოლოდ ერთი ნიშნით განსხვავდებიან ერთიმეორისაგან: ნასწავლი ხალხი მცირედმორწმუნეა, მაგრამ ამას არ აღიარებს; ტეტიები აღიარებენ, მაგრამ დიდად არ სწამთ. სულის ამგვარ მიუხედავებელ მდგომარეობას თავისი სარჩული, ერთგვარი საფენელი აქვს. ეს ბუდიზმი და ტაო-იზმი გახლავთ. ამავე დროს, ეს ორივე მოძღვრება აღრეულია ნეოტაო-იზმის უთვალავ სულებთან, სინე-იზმთან, ისტორიულ პირებთან, ცრურწმენებთან, რომელნიც უკვე ათასწლეულებია რაც ჩინელთა გონებაში ჩაჭედდნენ-ჩაკირულან. ყველაფერ ამის შედეგად ჩინელთა ცნობიერება ჭეშმარიტ, პირველქმნილ ბუდიზმს ფრიად დაშორებულია. დაბალი ფენის წარმომადგენელთა რწმენას აქვს საკუთარი სტრუქტურა. ეს სტრუქტურა წერილ-წერილი ნამსხვრევებისა და ათასგვარი დანაშრევებისგანაა შედგენილი. მისი დაბეჯითებული, გამონვლილვითი შესწავლა ჯერ ვერაფერ შეძლო. ვფიქრობ, ეს იმიტომ ხდება, რომ სტრუქტურა ზედმინევენი ნაცნობია. თუკი დაბალ ფენაში ღრმად ფესვგადგმული ცრურწმენები ჩინური მსოფლალქმის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია, მაშ, ნუთუ შეიძლება ამას ცრურწმენა ეწოდოს?

ამასთანავე, განა შეიძლება ამგვარი მსოფლალქმა სარწმუნოებად, მრწამსად მივიჩნიოთ? რაც უფრო მეტი დაჟინებით ჩაეკითხებით ჩინელ გლეხს, მხვინელ-მთესველს, მით უფრო ნაკლები სიმტკიცით გიპასუხებს იგი ამგვარ შეკითხვაზე. უკიდურეს შემთხვევაში, შეიძლება თქვას: „გარდაცვლილთა სულები, ალბათ, მაინც არსებობენ, ხომ კი? მაგრამ მე მათთვის თვალის არასოდეს მომიკრავს.“ ახლა რაც შეეხება განათლებულ, განსწავლულ ხალხს. ისინი საკვირველი სიმტკიცით გიპასუხებენ: „ასეთი სისულელებებისა არ მჯერა.“ სიმართლე რომ ვთქვა, ისინი მართლაც არ ცრუობენ, მაგრამ მათი აზროვნება და მათი ქმედება უკვე დიდი ხანია, თუმცა ფარულად, მაგრამ თანდათან სულ უფრო მეტად იძენს რელიგიური ფონის შეფერვლობას. მათი აზრით, დაჯერებად არ ღირს, მაგრამ სურვილი ყველაფერი ამის რწმუნებისა მაინც არა და არ ქრება. სარწმუნოება ხომ სანახევროდ სურვილი და მოთხოვნილებაა. მოდით, ვნახოთ, როგორია ჩინელთა სურვილი.

ჯოჯოხეთი ჩინურად

ჩინელებს სწამთ ტაო-ური სამოთხე და ბუდისტური ჯოჯოხეთი ან, თუ გნებავთ, ქვესკნელი, საიქიო. ჩგარდაცვალების შემდეგ ყველა სული იქ მოხვდება, რათა განვლოს სამსჯავრო. მაგრამ ეს ჩინური ჯოჯოხეთი სრულიადაც არ ჰგავს ქრისტიანულ ჯოჯოხეთს, სადაც, როგორც წესი, ცოდვილნი, ბოროტმოსურნე და ბოროტმოქმედი სულები ცეცხლის ალში იდაგებიან. ჩვენებურ, ჩინურ ჯოჯოხეთში უფრო „ხალკათობაა“. ჩინური ჯოჯოხეთი, ასე ვთქვათ, „გამჭოლ ქარს“, განიავებს, ანუ სულის მოთქმის შესაძლებლობას იძლევა. ინ-ის სამყაროში, თავისთავად ცხადია, მარადი მიმწუხრი მკვიდრობს, მუდმივად ბინდ-ბუნდი სუფევს, თუმცაღა, ისეც ხდება, რომ ეს სამყარო ზესკნელის ქალაქებსაც ჩამოჰგავს. ქალაქებში კი, მოგეხსენებათ, სტუმარიც ბევრია, მიმსვლელ-მომსვლელიც, მოგზაურიც. მათ, ანუ სტუმარ-მოგზაურებს, ფრიად იზიდავს ჯოჯოხეთი, საპყრობილე, ჩინური გაგებით, ქვესკნელის მეთვრამეტე სართულზე რომაა განთავსებული. გვამი, სული როგორც კი აღმოხდება, მისგან ხუენ-ი როგორც კი ამოფრინდება, ხეტილის შემდეგ საიქიოში ამოყოფს თავს. იქ, ქვესკნელში კი, უეჭველად თავის გარდაცვლილ ნათესავ-მეგობარ-ამხანაგებს გადაეყრება. ისინი კი ისევე, როგორც გამყოლი მოგზაურებს, მოახილვინებს, მიათვალე-მოათვალეებინებს სულეთს, მიატარ-მოატარებს იქაურობას. ასეთი რამ ჩვეულებრივი ამბავია. თუ როგორი შესახედაობისანი არიან კუი, გარდაცვლილთა სულები, ამის თაობაზე ათასგვარი ვარაუდი არსებობს. მათ შორის ყველაზე უფრო აკადემიური თეორიის არსი ასეთია – სული მხოლოდ და მხოლოდ ჰაერის ერთი ყლუპია. იგი, მართალია, არ განიფანტ-განიბნევა, მაგრამ მაინც ჰაერია. ამ თეორიის თანახმად რუხ-მონაცრისფრო, ფერ-მკრთალი სული ჰგავს სიფრიფანა ქალაქად ამოჭრილ კონტურს, ნელ სიოსაც რომ ვერ უძლებს, სულ უფრო და უფრო თხელდება, და, ბოლოს, უჩინარდება. ამიტომაცაა, რომ ახალთახალი კუი უფრო დიდია, ძველი კი – უფრო პატარა. მაგრამ მასობრივი აზროვნება უმეტეს შემთხვევაში მკაფიო, ფოტოგრაფიულად ზუსტი მსგავსებისკენაა მიდრეკილი. ასე რომ, ჩვეულებრივი კუი მათ წარმოდგენაში ცოცხალ ადამიანთა

სახეების იდენტიფიკაცია.

საიქიოში პოლიციელები ისევე დასდევნენ და იჭერენ გარდაცვლილთა სულებს, როგორც ამას ყველა დროის პოლიციელები სჩადიან. უზენაეს სასამართლოში ტახტზე დაბრძანებულია უზენაესი მსაჯული მინ ვანგ-ი. მის თითოეულ ხელქვეითს განსწავლული და მოხერხებული მოხელეების სულთა რიგებიდან ირჩევენ. სულებს, რომლებმაც ეს ცხოვრება კეთილად განვლეს და ქველმოქმედებასაც ენოდნენ, მალევე ათავისუფლებენ და ისინიც ოქროს კიბის საფეხურებით ზეცაში ადიან. ბოროტსა და ბოროტმოქმედთა სულებს კი მათი დანაშაულის სიმძიმისა და თავისებურების გათვალისწინებით სხვადასხვაგვარი სასჯელი მოეწიება. აი, მექრთამეებს, მაგალითად, გალღობილ სპილენძს ასმევენ, თანაც უღვევი რაოდენობით.

...

ჩანასახში მოხვედრა

რიგითი, ჩვეულებრივი ადამიანები თავდაპირველად ჩანასახში უნდა მოხვდნენ, ხოლო შემდეგ კი ამ ჩანასახის სახით განაგრძონ სიცოცხლე. აი, ამ სიცოცხლეში გაუმართლებს, იღბალი გაუღიმებს თუ არა, მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ იქცეოდა ადამიანი წინარე ცხოვრებაში. კარგი ადამიანები მდიდარ ოჯახებში დაიბადებიან. თუკი ადამიანი კარგია, მაგრამ არცთუ უნაკლო, მაშინ იგი დაიბადება მდიდარი ოჯახის ქალიშვილად, რამეთუ ქალის ხვედრი მამაკაცისაზე უფრო მძიმეცაა და მწარეც. თუკი ადამიანი უწინდელ ცხოვრებაში უზნეო და უვარგისი იყო, მაშინ იგი ან მსახურად, ან კიდევ მდაბიოთა ოჯახის პირმოდ მოველინება ქვეყნიერებას. შესაძლოა სრულიად მდაბალ არსებად – ცხოველადაც კი დაიბადოს. ამრიგად, ყასაბი, საყასბოში რომ ხოცავს პირუტყვს, დაიბადება ღორად, ხოლო მევალე, რომელსაც ვალი არ გაუსტუმრებია – სახედრად, ცხენად, ან კიდევ ხარად მოველინება ამ წუთისოფელს და სწორედ იმას დაუდგება მსახურად და ხელის ბიჭად, ვისი ვალიც წინარე ცხოვრებაში ემართა.

მანამ, ვიდრე სული ხორცს განეყოფება, კუი-მ უნდა შესვას მიხუნგ თანგ-ი, სასმელი, რათა ყველაფერი, რაც კი წინამავალ ცხოვრებას შეეხებოდა, დაივიწყოს. ამის შემდეგ სულს მიერეკებიან უზარმაზარი, დაკბილული ბორბლისაკენ. სული შიშით აქეთ-იქით აცეცებს თვალს, ხან ზევით იმზირება, ხან ქვემოთ ჩაიხედავს, ამასობაში კი ერთ-ერთი წვრილფეხა ზედამხედველი მუჯღუგუნს კრავს მას და იგი უცებ, პირდაპირ მენას, ბებია-ქალს ჩაუვარდება ხელში. ცხოვრების ჩარხის ტრიალის, წრებრუნვის ამგვარი ხატება თითქმის ყველა აღმოსავლურ რწმენაში დამკვიდრებულია, მაგრამ არსად არაა იგი წარმოჩენილი ისე მკაფიოდ, იმგვარი ცხოვრებისეული სიმართლით, როგორც ეს ჩინურშია. აბა, ერთი წარმოდგენით ბავშვები, რომლებიც საჯდომზე მოლურჯო, მუქი ლაქით იბადებიან, მიჩნეულნი არიან მხდალებად, რადგან დაბადებისას შიშით იყვნენ შეპყრობილნი და არაფრისდიდებით არ სურდათ უზარმაზარი ბორბლიდან ჩამოხტომა, ხოლო ზედამხედველი იძულებული იყოჰ პანლური ამოეკრა და ასე ჩამოეგდო ბორბლიდან. იმქვეყნიდან ამქვეყნად, ზეციდან დედამინაზე ამიტომ იბადებიან „დალილავებულ-დალაქულნი“. ამ შვილებს დედები საჯდომზე აღწერსით უთათუნებენ და თან საყვედურობენ: „ოჰ, ჩემო კარგო, რატომ არ გინდოდა ამქვეყნად მოველინება?“

უსიამოვნებანი მართლმსაჯულების კანონ-წესებთან

დანაშაულის გამო სასჯელი გარდაუვალია. ყველანი ქვესკნელში, ჯოჯოხეთში განვისჯებით და სასჯელი, შესაძლოა, როგორც მომავალ, ისე ამჟამინდელ ცხოვრებაშიც გვენიოს. შვილი, რომელიც მშობლებს უკადრისად ეპყრობა, ასევე შობს შვილს, მშობელს პატივს რომ არ მიაგებს. ქალბატონს, რომელიც თავის მოახლე-გოგოს თავში ურტყამს და სცემს, ზურგზე მუნუკები გამოაყრის. ისეც ხდება, რომ შურისძიება და სასჯელი ამსოფლადაც გარდაგხვდება და ჯოჯოხეთშიც გვეწევა. ასე მაგალითად, იყო ერთი კაცი, ვინც ჯოჯოხეთი მოინახულა და იქ ნახა, თუ როგორ უმოწყალოდ სცემდა ვიღაც მამაკაცი ერთ მის ნაცნობ ქალბატონს. ამ კაცს ეგონა, რომ ქალბატონი უკვე გარდაცვლილი ბრძანდებოდა, მაგრამ ამქვეყნად რომ მობრუნდა, აღმოაჩინა, ეს ქალბატონი, თურმე, ნუ იტყვი და, ცოცხალი ყოფილა, მხოლოდ ზურგი მთლად წელულებით დაფარვოდა.

სულების დაჭერა და მათი გასამართლება ყოველთვის როდია კანონიერი. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა მავანი მავანს მოკლავს, მაშინ სამართლებრივი ქმედებები შეიძლება აღარც ამოქმედდეს და დაზარალებულს ნება დაერთოს, რათა თავად იზრუნოს ბოროტმოქმედის შეპყრობაზე. ასეთ შემთხვევაში კუი ხუნ-ი შეაღწევს დამნაშავის გვამში და დამნაშავეც დაზარალებულის ხმით ალაპარაკდება, თავად გაამხელს თავისი დანაშაულის საიდუმლოებას, მერე კი, უმეტესწილად, სიცოცხლეს თვითმკვლელობით დაასრულებს. კიდევ უფრო იოლი საშუალებაც არსებობს. ეს მეხის დაცემაა. მაგრამ ასეთი სიკვდილით უფრო ხშირად უმძიმესი დანაშაულის ჩამდენნი ისჯებიან, ანუ ისინი, ვინც საზარელი, ენით უთქმელი დანაშაული ჩადინა. მეხის სული მოავლენს ელვას და იგი განა მარტო კლავს დამნაშავეს, მის ზურგზე წარწერებსაც ტოვებს, მის ცოდვებს აღწერს. ასე განსაჯეთ, გამოცემული, დაბეჭდილიც კი იყო „ლეი ვენ“-ი, – ამგვარ წყევლა-კრულვათა კრებული.

იმის გამო, რომ ადამიანურ კანონებს ურყევი სიზუსტე არ გააჩნია, მათი ახსნა-განმარტება, ვისაც

როგორ მოესურვება, ვისაც როგორ მოეპრიანება, ისე შეუძლია. მიზეზ-საბაბი რამდენიც გნებავთ, იმდენი გამოიძენება. ამიტომაცაა, რომ კაცი ვერასოდეს მიაკვლევს ინკუო პაოინ-ის შეცდომას. დოგმა-კანონების თანახმად ძალიან ადვილია დაამტკიცო, რომ დანაშაული ჩადენილია, მაგრამ, ამასთანავე, ვერასგზით ვერც იმას დაამტკიცებ, დანაშაული რომ არ არსებობს.

ჩინური საიქიო სრულიადაც არ გახლავთ იდუმალი და მისტიკურობით მოცული რამ. მისი ახსნა-განმარტება ძალიან ადვილიც კია. ყველა წეს-კანონი განვითარებული ჩინური ცივილიზაციის კანონების ტოლფარდია, მათ ემთხვევა. ეს სწორედ იმიტომ ხდება, რომ იმქვეყნიური კანონები თავის საფუძველშივე სავსებით ადამიანურია და არა ღვთაებრივი. ამიტომაცაა, რომ გარდაცვლილთა საუფლოში შეცდომები ისევეა მოსალოდნელი, როგორც დედამინაზე, ამქვეყნიურ ცხოვრებაში. გარდაცვლილის სულმა, ვიდრე საიქიოში მოხდება, აუცილებლად ადგილობრივ ტაძარში, ჩენგ ხუანგ მიაო-ში (ჩენგ ხუანგ-ზე დამატებითი ცნობები იხ. სტატიაში „რელიგია“. მთარმგმ.) უნდა განვლოს წინასწარი სასამართლო. ჩენგ ხუანგ მიაო ის ადგილია, სადაც იმქვეყნიური სასამართლო იმართება, ჩენგ ხუანგ-ები კი, ჩვეულებრივ, ამქვეყნიური დიდი მოხელეები, მაღალი თანამდებობის პირები ბრძანდებიან. მაგალითად, რომანში – „სიზმარი წითელ სასახლეში“, ლინ ტაიიუი-ს მამამ, ლინ ჟუხაი-მ, გარდაცვალების შემდეგ ჩენგ ხუანგ-ობა დაიმსახურა. ყველა ჩენგ ხუანგ-ს, რასაკვირველია, აქვს შესაძლებლობა ქრთამი აიღოს. ჟუზენაესი სასამართლო კი, ჯოჯოხეთში რომაა განთავსებული, შედარებით უფრო სამართლიანი და პირუთვნელია. თუმცა, განაჩენთა ჩანაწერებში შეცდომები ხშირ-ხშირად მოსდით. ქვესკნელის მოხელეები თავიანთ ანგარიშში მალ-მალე ცდებიან ხოლმე. აი, ისევე მაგალითი. ვთქვათ, ადამიანს ჯერ კიდევ არ მიუღწევია დათქმული ასაკისთვის, ის კი სასიკვდილოდაა გამოჭერილი, კვდება. რალა თქმა უნდა, ისეთი შემთხვევებიც არის, როცა სული თავგადაკლული იბრძვის და ათასგვარი ჭირ-ვარამით, დიდი ვაი-ვაგლახითა და უამრავი საბუთის მოშველიებით მოახერხებს, რომ „ისესხოს სხეული, რათა დაიბრუნოს სული“. ეს იმიტომ ხდება, რომ მისი ყოფილი თავი და ტანი, მთელი სხეული, იმ ზომამდეა დასახიჩრებული, სულს ველარსად შეუღწევია, ამის საშუალება მოსპობილია.

აგრერიგ რატომ აღელვებთ ჩინელებს კუბო?

რაკი სიკვდილის შემდგომ ხელახალი ჩასახვა შესაძლებელი ყოფილა, ისიც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩინელების სულს – ლი ხუნ-ს, სხეულისგან სრული დამოუკიდებლობა აქვს მინიჭებული. ესე იგი, სხეული გარსია, გარსი კი ოდენ დროებითი ნავსაყუდელი, ხანმოკლე თავშესაფარია სულისა. ამ თვალსაზრისით ჩინური თეიზმი განსხვავებულია ეგვიპტური თეიზმისგან. ჩინელები გვამს, ცხედარს, მნიშვნელობას დიდად არ ანიჭებენ. მაგრამ უცნაური ისაა, თუ რატომ უთმობენ ჩინელები ესოდენ დიდ ყურადღებას კუბოს, სასახლეს? რაგინდ დიდ სიძნელესა და დავიდარბასთანაც არ უნდა იყოს დაკავშირებული, ჩინელები თავიანთ მიცვალებულების ცხედრებს უცხო მიწა-წყალზე არამც და არამც არ მიატოვებენ, უეჭველად წაასვენებენ სამშობლოში, რათა საკუთარ მამულს, წინაპართა სასაფლაოს მიაბარონ. ჩინელები კუბოს საცხოვრებელ ბინაზე ნაკლებ როდი აფასებენ. ჩასასვენებლისათვის გამოიყენება ხის საუკეთესო ჯიშები. რაც უფრო მძიმე იქნება საკუბოვე მასალა, მით უკეთესი. ხის მასალის წონისა და მისი სიმძიმის გამო ბინიდან კუბოს ოთხით დანყებული სამოცდაოთხი, ზოგ შემთხვევაში მეტი, მამაკაცი გამოსვენებდა ხოლმე. თუკი იქ, სადაც მიცვალებული ასვენია, საუბედუროდ, ხანძარი გაჩნდა, ოჯახი სასწრაფოდ გათხრის ორმოს, რათა დროებით ჩაფლას კუბო და მხოლოდ ამის შემდეგ უშველიან ხოლმე საკუთარ თავს. ჩვეულებრივ, ცდილობენ საფლავისთვის თბილი და მშრალი ადგილი შეარჩიონ. თუკი ისე მოხდა, რომ ვაჟები და შვილიშვილები კუბოში სინესტეს, გამჭოლ ქარსა და მწერებს, ჭია-ლუას შენიშნავენ, ისინი უმალ სასონარკვეთილებას მიეცემიან. ამრიგად, ჭენგშიუეი-ს მეცნიერება სულ უფრო და უფრო რთულდება და სიღრმისეული ხდება. ამ მეცნიერების კვლევის ძირითადი საკითხი ხომ ისაა, რომ საფლავთა მდგომარეობა შეისწავლოს, ვინაიდან ადგილმდებარეობა საფლავისა პირდაპირ და უშუალოდ მოქმედებს შთამომავალთა ბედ-ილბაღზე.

გადაჭარბებული მზრუნველობა გარდაცვლილ წინაპართა ცხედარზე შეიძლება იმით აიხსნას, რომ ჩინეთში მშობლებისადმი შვილების გრძნობები თანდათან არანორმალურ სახეს იძენს, აკომპლექსებს ადამიანს. ჩინელთა ტრადიციის არსი, ასე ვთქვათ, ფილოსოფია, იმასაც გულისხმობს, რომ მშობელთა თავყანისცემის სულისკვეთება ყველაზე დიადი გრძნობაა, იგი ადამიანის მთელ ტემპერამენტს შთანთქავს, იგი ერთადერთი მისაღები განცდაა. მშობელთა მიმართ პატივისცემა-თაყვანისცემის გრძნობის უზომო განვითარებამ და ამით სხვა გრძნობების დათრგუნვამ განაპირობა საზოგადოების ფსიქიკური მდგომარეობის წონასწორობის რღვევა. სანიშუო ვაჟიშვილი კაციჭამიის სიფიცხით საკუთარი საჯდომიდანაც კი ჩამოიჭრის ხორცის ნაჭერს, რათა წვნიანი კერძი მოუშზადოს ავადმყოფ მშობელს. ამგვარი საქციელი მხოლოდ და მხოლოდ გაგიჟებულმა, გონდაკარგულმა შეყვარებულებმა თუ შეიძლება ჩაიდინონ. ნათქვამიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საიქიოში გარდასული მშობლების იმქვეყნიურ კეთილდღეობაზე ჩინელი შვილების ზრუნვა სრულ ისტერიად იქცევა. და ეს ხომ სავსებით ლოგიკური შედეგია.

საკუთარი თავისთვის კუბოს შეკვეთა სრულიადაც არ გახლავთ თავკერძობის, საკუთარი თავის სიყვარულის ნიშანი. ეს პრაქტიკული წინდახედულების მაჩვენებელია. ჩინელებისთვის, ვინც მინათმოქმედთა

საზოგადოებას განეკუთვნებიან, ყველაფრის მომარაგება, ათასგვარი ნივთების, ბარგი-ბარხანისა და ნაირ-გვარი ნიკო-მაკოს დაგროვება სრულიად ბუნებრივი ჩვევაა. მდიდარ ჩინელს, უპირატესად, ახასიათებენ ასეთი სიტყვებით: „მას ბელელში ბრინჯის მარაგი უღებია“. უწინ, მეტ-ნაკლები კეთილდღეობის ხანაში, მიცვალებულის სამოსს, კუბოს, ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო ნივთებთან ერთად წინასწარ იძენდნენ, წინდანინ იმარაგებდნენ. ხომ დადგებოდა დღე, როცა ეს ყველაფერი საჭირო, მოსახმარი შეიქნებოდა.

წინაპართა ნივთიერი კეთილდღეობისთვის მიზანდასახული ზრუნვა, გადაჭარბებული ფიქრი, დიდად უაზრო და ამო არც გახლავთ, რადგანაც სული, რომელიც ჯერაც არ გარდასახულა, ვინძლო უსასრულო დროის მანძილზე შეყოვნდეს. წარმოიდგინეთ, ერთხანობას კამათიც კი იყო გაჩაღებული ამ გარდამავალ დროს, თუ სად იმყოფება სული, საფლავსა თუ ფირფიტაზე, სადაც წინაპართა სახელება ჩამოთვლილ-ჩამონერილი. ჩინური რელიგია აბრეშუმის ძაფის აბურდულ გორგალს მოგვაცოცხლებს. თაური წვერის მიკვლევა, წვერების შეერთება და ძაფის ამოხვევა კი ზოგჯერ შეიძლება მოხერხდეს კიდევ. ასე მაგალითად, ბედისწერის გარკვეულობის ცნება თითქოსდა ეწინააღმდეგება ცნებას – „სიკეთე სიკეთის წილ“. მაგრამ უკანასკნელ წამს შეიძლება გამოჩნდეს გამოსავალი და ორი წინააღმდეგობრივი საწყისი თანხმიერი შეიქნას. მოხუცს, რომელსაც ბედისწერამ უშვილობა დაანათლა, თავისი გულმოდგინების შედეგად დაუგროვდება უამრავი ზნეობრივი საქციელი. ამის გამო რიგით მეორე ცოლი მას ტყუპებს გაუჩენს; მომაკვდავი მოულოდნელად შეიძლება მოსულიერდეს და მისმა სიცოცხლემ კიდევ ათსა და ოც წელსაც გასტანოს. გონება-ჩლუნგმა მონაფემ სახელმწიფო მოხელის თანამდებობის მოსაპოვებელ გამოცდაზე მოულოდნელად შესაძლოა გამსვლელი ქულა მიიღოს.

კეთილი და ბოროტი სიკვდილი

ჩინელებს სიკვდილის თაობაზე განსხვავებული შეხედულება აქვთ. ერთია, მაგალითად, „სიცოცხლის პატიოსნად დასრულება“. თუკი სიკვდილი მხოლოდ ხანდაზმულობის, სიბერის შედეგია, ხოლო ადამიანი მთავარ საძინებელ ოთახში მიიცვალა, ეს იმის მაჩვენებელია, რომ იგი ოჯახის უფროსი ყოფილა. მას შესატყვისი პატივითაც დაკრძალავენ და შემკვიდრებებიც დაიტვირთებენ. მართალია, ჩინელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ იმას, თუ როგორ კვდება ადამიანი, მაგრამ, ამასთანავე, ამ საკითხს ფრიად ზერელედაც უყურებენ. კუბოს ფიცარზე შეიძლება ამოტვიფრული იყოს ისტორიული სცენა, თანაც საკმაოდ თეატრალიზებული, სახალისო და მიმზიდველი, ვთქვათ, პიესა „ლიუი პუ ლამაზმან ტიპოჩან-ს ეარშიყება“, ხოლო მიცვალებულის გასვენებისას სამგლოვიარო მუსიკის ნაცვლად მედოლეთა და მესაყირეთა დიდი ორკესტრი რაც ძალი და ღონე აქვს უკრავდეს კლასიკური ოპერის „სუ სან, ნუ ტირი“-ს ნაწყვეტს.

ჩინელები არ ამბობენ – „მოკვდა“, ისინი ამბობენ – „გაუჩინარდა, ვითარცა ზეცის მკვიდრი“, ან კიდევ „დასავლეთში გაუჩინარდა“ (ეს ნიშნავს, რომ ადამიანი შაკიაშუნის სამშობლოში გაემურა, ბედს ეწია). ჩვენში კუბოს უწოდებენ დღეგრძელობის ჭურჭელს. თუკი კუბოს მხიარული სურათებიც ამშვენებს, მაშინ ყოველგვარი ჭირ-ვარამი და სიკვდილიც ადვილი მოგვეჩვენება, იოლადაც შევეგუებით და არც არაფრად ჩავადებთ. ამავედროულად, ბოროტი სიკვდილი ჩინელებს მაინც შიშის ზარსა სცემს. ეს იმიტომ, რომ ამგვარი სიკვდილით დახოცილებს ხელმეორე დაბადების, ხელახალი გარდაქმნის შესაძლებლობა ესპობათ. ისინი უნდა დაელოდონ თავისნაირსავე ბედკრულს, რათა მისი სხეული თავისი სხეულის სანაცვლოდ ჩაიგდონ ხელში. ამიტომაც, რომ ასეთი გარდაცვლილის სული ყოველ ღონეს ხმარობს, ათასგვარ ხრიკს დაედებს და ყველანაირად ცდილობს შეაცდინოს ვინმე, რათა მან თავი მოიკლას, გულ-ხელი თავისი ნებით დაიკრიფოს. თუკი ვინმე ცუდ გუნება-განწყობაზეა, ან კიდევ სასონარკვეთას შეუპყრია, გარდაცვლილის სული გაშმაგებით იწყებს ამ ხელსაყრელი შემთხვევის თავის სასიკეთოდ გამოყენებას. იმ შემთხვევაში, თუ გარდაცვლილი ადამიანი თავის ჩამოხრჩობის შედეგადაა მკვდარი, იგი მსხვერპლის ცხვირწინ თოკს ჩამოაკონწიანებს და ზედ ლამაზ გვირგვინსაც მიამაგრებს. მერე თავის მსხვერპლს მიიტყუებს, რათა ყულფში გააყოფინოს თავი და როგორც კი მსხვერპლი ამის გააკეთებას შეეცდება, იმწამსვე, მყისვე, თოკს გამონასკვავს. მოულოდნელი სიკვდილიც ასევეა. თუკი სადმე ერთხელ მაინც მოხდა შეჯახება, ავარია, იქ, უეჭველად, გამეორდება კიდევ. კაოციაო-ში რომაა საცურაო აუზი, საყოველთაოდაა ცნობილი, რომ იქ ყოველწლიურად მეორდება საკუთარი ნებით დახრჩობის შემთხვევები. ჩანს, გარდაცვლილთა სულები ობობას, ან მტაცებელი ცხოველის მსგავსად, თავიანთი უღმობელი ინსტიქტებით მოქმედებენ.

არაადამიანი მატყუარები

სულეთს, სულების სამყაროს, ჩინელები ცოცხალ, მდაბალ არსებებთან აიგივებენ. ასეთები გახლავან: მელა-მაქციები, ეშმაკეული მცენარეების, ეშმაკეული, ჯადოსნური ყვავილების სულები. ყველა ეს, ამ ჯურის ყველა არსება, ადამიანზე უფრო დაბალ საფეხურზე იმყოფება, მაგრამ არაფრის დიდებით არ სურს დაემორჩილოს ადამიანს, არამც და არამც არ ნებას თავი მდაბიო არსებად მიიჩნიოს. მათი ყველაზე სანუკვარი სურვილია, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, სახეობათა განვითარების საფეხურებს გადაახტნენ და საკუთარი

თავის სრულყოფის გზით ადამიანის შესაძლებლობები ხელთ მოიგდონ, დაეუფლონ, დაეპატრონონ, ვინაიდან ადამიანური ყოფიერება ყველაზე სრულყოფილია, ხოლო თავად ადამიანი, სულდგმულ არსებათა შორის ყველაზე სრულქმნილი ფორმა გახლავთ ყოფიერებისა. მდბალი წარმოშობის არსებები თავიანთი ბრიყველი და მწირი ცხოვრებით უკმაყოფილონი გახლავან. იმისთვის, რათა ადამიანური სამშენიველი ოდნავ მაინც შეითვისონ, მზად არიან ყველანაირი ხერხით, ნებისმიერი ხიფათის გადალახვის გზით, ხელში ჩაიგდონ სამშენიველი, სულიერება. ამის საშუალებას კი მხოლოდ პარვა, ტაცება, ქურდობა იძლევა. ხანდახან ეს არსებანი მზეთუნახავებად გადაიქცევიან და მამაკაცებს ჯერ მიიზიდავენ, ხოლო შემდეგ კი ძალ-ღონეს გამოაცლიან, მათს მამაკაცურ ენერჯიას თავად შეისრუტავენ, შთანთქავენ, გაითავისებენ.

ადამიანთა და ავსულთა, ეშმაკეულ-ჯადოქართა სამყარო ერთიან სივრცესა და დროშია განფენილი. ამ ყოველივეს ერთი და იგივე დრო-ჟამი, ერთიანი სივრცე აქვს. აი, ამიტომაა კოსმოსში სივნიროვე, გაჭედლილობა. ეს საზიზღარი არსებები რას არ ჩაადიან, რას არ კადრულობენ, რათა ადამიანთა ვერაგობას გადააჭარბონ. თავიანთი ბნელი ზრახვების განსახორციელებლად ისინი დაეძებენ იმგვარ არსებებს, ვისაც ადვილად დაიპყრობენ, ვისაც იოლად დაიმორჩილებენ, ხელმოცარულებს, აღნაგობით, ტანადობითა და ზნეობრივად სუსტებს, უნდილებს, დონდლოებს, გამორჩეულად კი ზნედაცემულებს. მაგრამ, თუკი პატიოსანსა და პირდაპირს, უშუალოსა და გულთა ადამიანებს წაანყდებიან, ისეთებს, ვისაც მაღალი თანამდებობები უჭირავთ, ვინც ბედნიერი და წარმატებული არიან და, რაც უმთავრესია, თუკი მათ ზნეობრივი სიმტკიცეც ახასიათებთ, მაშინ ეს ბოროტი არსებები მყისვე უკან იხევენ. ადამიანები საშინელი წნეხის ქვეშ ცხოვრობენ. ეს არის ზენოლა საზოგადოებრივი ცხოვრებისა, და, ამასთანავე, ათასი ჯურის სულების ზენოლა. ზენოლა გულისხმობს იმას, რომ სულები დღენიდაგ, დღისითა თუ ღამით, უთვალთვალეებენ ადამიანს, წუთითაც არ აცილებენ თვალს, ჩასაფრებულნი არიან. ამავდროულად, ძლიერსა და მოაზროვნე ადამიანს შესწევს უნარი არ შეუშინდეს ამ მაქციებსა და ლანდ-მოჩვენებებს. ისინი ხომ ოდენ უნებისყოფო, სუსტ, თავკერძა და გულჩათხრობილ ადამიანს იჯაბნებენ, ანუ იმათ, ვინც თვითგანვითარებისა და თვითსრულყოფის საქმეში ერთობ მოიკოჭლებს, პასიურია. თვალუნვდენი ზღვა არსებობს ზღაპრებისა და მოთხრობებისა იმის თაობაზე, თუ რარიგ შესაბრალისად ემუდარებიან გარდაცვლილი ქმრები თავიანთ ცოცხლად დარჩენილ ცოლებს, რათა ისინი ხელახლა არ გათხოვდნენ, ხელმეორედ არ დაქორწინდნენ. ეს გარდაცვლილი ქმრები საპატარძლოს საქორწილო ტახტრევანთან ღაპა-ღუპით ღვრიან ცრემლს, ან კიდევ ახლადდაქორწინებულთა საძინებელ ოთახში მთელ ღამეს მოთქვამენ და ზღუქუნებენ, მაგრამ ამით უკვე ველარაფრის შეცვლა ველარ ძალუძთ. ამავე დროს, ზეცის მკვიდრთა ცხოვრება, მართალია, სრულქმნილი და მშვენიერია, მაგრამ მაინც ჩამოუვარდება მიწიერ ცხოვრებას. ეს ზეციური ცხოვრება ხომ ფრიად და ფრიად ერთფეროვანი, შეზღუდული და მოსაწყენია.

ზეცა ტაო-ელთა გაგებით

მართალია, ტაო-ელთა მოძღვრება მოგვითხრობს ნეფრიტით ნაგებ კომპებსა და იასპის მრავალსართულიან სასახლეებზე, ძვირფასი ქვებით ნაკეთ სამოთხის ყვავილებსა და მობიბინე ზურმუხტის ბალახზე, მაგრამ შეგრძნება ხელშეუხები, ცარიელი სივრცისა, ანუ ქუნ პაი-სა, მაინც არსებობს. ეს შეგრძნება უახლოვდება ტაო-ელთა დოგმას – „უ ვეი“-ს, ანუ არქმედებას, უმოქმედობას. აი, სწორედ ეს გახლავთ ტაო-ელთა გაგებით სამოთხეზე ერთადერთი მკრთალი მინიშნება. ზემოხსენებული და სხვა მსგავსი სურათები დაფუძნებულია ჩვენი მამულის უძველეს, ისტორიულ ტრადიციაზე, ისეთზე, როგორცაა, ვთქვათ, იასპის ღვთაება (იუი ხუანგ-ი), უშუალოდ რომ განაგებს ზეცის მკვიდრთა ურიცხვ სასახლეებს, გაშუალებულად კი ცოცხალ ადამიანებსაც. ესე იგი, ერთსა და იმავე დროს განაგებს ამქვეყნიურ ცხოვრებასაც და საიქიოსაც. იასპის ღვთაება მბრძანებელია დასავლური ბოდისატვასი, ყულაი-სა და კუანინ-ისა, იისფერი ბამბუკის ჭაღის ბინადარი რომაა და სხვა დანარჩენი ღმერთებისაც. იგი მათი ფეოდალია, მათი მმართველ-გამგებელია. თუკი მიწიერ, ამქვეყნიურ სამყაროში გარდაიცვლება უმანკო და ნიჭით ცხებული ქალწული, მას შეიძლება იასპის სასახლეში სეფექალის თანამდებობა ებოძოს. მაგრამ, თუკი ამ ნორჩ ქალღმერთს შემთხვევით გაუტყდა ლარნაკი, ან კიდევ შეუყვარდა ვინმე, ან უგუნურად იცინა, ან გაეარშიყა ვინმეს, კიდევ მეტი, თუკი მას სიძვისას წაასწრეს, მაშინ იასპის ღვთაება მას, უეჭველად, სასჯელის ნიშნად ამაოების, ანუ ამქვეყნიურ ცხოვრებაში დააბრუნებს. ეს ამბავი ხალხური თქმულებების ძვირფას მასაზრდოებელ მასალას წარმოშობს, მაგრამ სამოთხის მოსაწყენ მყუდროებასა და ნეტარებაში მოულოდნელად შეიჭრებიან ხოლმე მეამბოხენიც და სამოთხის სიამტკბილურ სიმშვიდეს არღვევენ, უჩვეულო ხალისის სძენენ ზეციური ყოფის ერთფეროვანსა და უღიმღამო მდინარებას.

ზეციური ხელისუფლება შრომა-საქმიანობას ფრიად მკაცრად ანაწილებს. მას ჰყავს სული-სამოქალაქო მოხელეები, ისინი, ვინც დედამიწაზე ცოდნა-განათლებას, მშვიდობიან ცხოვრებასა და სხვა ამგვარ საკითხებს მეთვალყურეობენ. და, ამასთანავე, ჰყავს სული-მეომრებიც, სული-სიმდიდრისა და სული-დღეგრძელობისა. ყოველ ქალაქს დედამიწაზე საკუთარი ზეციური ჩენგ ხუანგ-ი განაგებს. თითოეულ სოფელსაც თავისი ადგილის დედა, ადგილობრივი სული-წმინდა ჰყავს. ყველა ოჯახის ჭიშკარზე ორი მფარველი სული

უნდა იყოს გამოსახული. ამას გარდა, არსებობს კერიის სულიც. თითოეულ ტბასა თუ წყაროსაც საკუთარი მეფე-დრაკონი მფარველობს. და კიდევ არსებობენ ზეცის უმაქნისი, მუქთახორა ბინადარნიც.

ღმერთების უგულბელყოფა

სამოთხე, ზესკნელი, მართალია, უსაზღვროდ ვრცელია, უკიდევანოა, მაგრამ ქვესკნელთან, მიწისქვეშეთთან შედარებით იგი ერთობ უფერული და მკრთალია, მოკლებულია გარკვეულობასა და სიცხადეს. ეს, შესაძლოა, იმიტომ ხდება, რომ ხალხს ვერა და ვერ ვერ შეუქმნია წარმოდგენა მისთვის უცხო და უცნობი სამოთხის სიკეთეზე. თავად სამოთხეც არ გახლავთ ადამიანთან დიდ სიამტკბილობაში. ჩინელები, შეიძლება ითქვას, სავსებით უგულბელყოფენ კიდევ სამოთხეს, შეუძლიათ ერთობ თვითნებურად, თუმცა, თავშეკავებულად მოექცნენ მას, ნებაზე ირწმუნებენ, ნებაზე უარყოფენ. ჩინელების ფანტაზია ჭეშმარიტად მდგრადი, მყარია და, ამავდროულად, ყოველგვარი განსაცდელისადმი შემგუებული. სამაგალითოდ ავიღოთ ასეთი შემთხვევა. რადიოთი გადაიცემა შოსინგ-ური ოპერა, შეყვარებული წყვილი ნაზად ჟღერტულებს. ვაჟი მღერის: „ჩემო ანგელოზო, დაიკო!“ ქალი მიუგებს: „საყვარელო ძამიკო, ლიან!“ და ვიდრე ორკესტრში მევიოლინე თავის საკრავს – ცინს აანყობს, დიქტორი იუწყება: „ყურადღება, ყურადღება! აან ანის ქუჩაზე, ცჰოული-ს შესახვევის 13 ნომერში, მესამე სართულზე, ბინაში ელოდებიან ნამალს, დუსტს, მწერების მუსრის გასაველებად, დაუყოვნებლივ მიანოდეთ!“ და თუმცა განცხადება ასეთი შინაარსისაა, თეატრალურ-სენტიმენტური ატმოსფერო სრულიადაც არ ირღვევა. მსგავს ვითარებას ყოველ ნაბიჯზე შეიძლება ნაანყდეთ კლასიკურ თეატრშიც.

იმდენად, რამდენადაც ჩინელები დიდად მგრძნობიარე და მღელვარე სულისანი არ გახლავან, ჩინური რელიგიაც იოლად ეგუება ათასგვარ უგულბელყოფას. როგორც გენებოთ, ისე დაამცირეთ, თუნდაც ლანძღეთ რელიგია. „იასპის ღმერთი“, მაგალითად, ყოფა-ცხოვრებაში ცოლის აღმნიშვნელი ნაცვალსახელია. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ცოლი ძალაუფლების მოყვარე, ანჩხლი და კაპასია. რელიგიისადმი მოკრძალებულსა და სახუმარო დამოკიდებულებას მკვეთრი ზღვარი როდი მიჯნავს. უთვალავ ღმერთებსა და სულებს შორის იგულისხმება დედათადედა ვანგ მუ, ზეცის დედა-ბატონი, დედა-თავადი. ჩინური უძველესი მითი გვიამბობს, რომ ვანგ მუ გონჯია, მახინჯია. საუკუნეთა განმავლობაში მითმა სახე იცვალა და ვანგ მუ დიდებულ, მზეთუნახავ, ხანდაზმულ ბანოვანად იქცა. კიდევ არსებობს დედილო მა (ან იგივე მა კუ). იგი ერთ-ერთია ტაო-ს რელიგიის რვა სიენჟენ-ს შორის. ეს ორი ქალბატონი – ვანგ მუ და მა კუ ხშირად მონანილეობენ ზეციურ წვეულებათა ცერემონიალში როგორც სამშვენისები, სამკაულები, მოსართავები. თუმცა, ისინი არ გახლავან საკულტო თაყვანისცემისა და სარწმუნოების საგნები. ამასთანავე, ჩინელები სრულიადაც არ არიან წინააღმდეგი, რათა ეს ქალბატონები მათი ერთადერთი სათაყვანო ღვთაების – ბოდისატვას, კუანინ-ის გვერდიგვერდ დააბრძანონ, მას გაუტოლ-გაუთანაბრონ. აი, უცხოელები, მაგალითად, ხომ არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებენ, რომ თოვლის პაპა, ან სანტა კლაუსი აგრერიგად გაუშინაურდეს მათს სათაყვანო ღმერთს.

სულის ხსნა ყველაზე დაბალ დონზე

სულის ხსნა, მისი გადარჩენა, ყველას თავისებურად ესმის. ადამიანს, რომელიც ამქვეყნიური ყველა საზრუნავით, სიამტკბილობითა და მისი უამრავი სახესხვაობით კმაყოფილია, სრულებითაც არ სწადია „გადარჩენილთა“ შორის აღმოჩნდეს. თუკი ადამიანს ამქვეყნიურ ცხოვრებაში არ ჩაუდენია ისეთი საქციელი, გონიერების საზღვრებს რომ სცილდება, მამ არც მოხდება იმგვარი დანაშაული, რის გამოც ხელახალ ცხოვრებაში უფრო მაღალ საფეხურზე ასვლა რომ ვერ შეძლოს.

ზოგი ჩინელი, რაკი ხედავს, რომ არსებულ სინამდვილეში აუარება ცოდვა-მადლი ტრიალებს, იმედოვნებს და ესწრაფვის, ცდილობს, რომ გარემო ასატანი შეიქმნას. ამ მიზნით იგი უმეტესწილად მიილტვის, რათა ბუდისტური ცხოვრების წესს მოერგოს. ეს იმას ნიშნავს, რომ ცხოვრება მდუმარებასა, მარტოობასა და უმოქმედობაში უნდა განლიოს. ჩინელები ორ ჯგუფად შეიძლება დაიყონ. უფრო მშვიდი, უმოქმედო მორწმუნენი – პენსიაზე გასული მოხელები, ხანდაზმული მანდილოსნები, ქვრივი ქალბატონები, ცოლები, რომელთაც ვერასდიდებით ვერ მოიგეს მეუღლეთა გულები. ისინი განმარტოვდებიან ხოლმე მცირე სენაკებში და იწყებენ გადაწერას სუტრებისა, რომელთა შინაარსი არც ესმით და არც სურთ რომ გაიგონ. იმის გამო, რომ ეს ადამიანები სრულიად განემორჩენ საზოგადოებასა და გარე სამყაროს, ამიტომ აღარც ცოდვის ჩადენის პირობა აღარ გააჩნიათ. ამგვარი ვითარება ფრიად პასიური სიკეთის პირობებს ქმნის. ასეთი სიკეთე კი ადამიანს იმის საშუალებას აძლევს შემდგომ ცხოვრებაში, ხელმეორედ მოსვლისას, რომ გაიუმჯობესონ არსებობა და საერო სიამტკბილობითაც უფრო ხელგამლით, უხვად ისარგებლონ. ამქვეყნიური ცხოვრებისგან სრული განრიდება თითქმის შეუძლებელია, ამიტომ ბევრის დათმობაა საქრო. მაგალითისთვის ავიღოთ მარხვა. მარხვა განა მხოლოდ ამცირებს ცოდვის ჩადენის შესაძლებლობას, აქაოდა ცოცხალ არსებათა დახოცვის აუცილებლობას განარიდება ადამიანს, არამედ იმის პირობასაც უქმნის, უკიდურესი ზომები

მიიღოს, ანუ არ შეეცეს ცეცხლზე მომზადებულ საკვებს. ამას ხომ დიდი ღირებულება აქვს. მთელი წლის მანძილზე მხოლოდ ხილით თუ გაიტან თავს, ბოლოს და ბოლოს თმა და ბალანი მთლად გაგიჭაღარავდება, თავადაც მაიმუნ-სიენ-ად იქცევი და სკუმ-სკუმით გაეცლები ამ ქვეყანას. მაგრამ მომარხულე ჩინელებს ისე ძალიან ენატრებათ ხორციელი, რომ გამოიგონეს „სამარხო ქათამი“, „სამარხო ლორი“ და კიდევ უკეთესი მიგნება – „ჭრელი მარხვა“, რომელიც ნებას იძლევა მხოლოდ და მხოლოდ თვის პირველსა და მეთხუთმეტე დღეს, ან კიდევ ბუდას დაბადების დღეს იმარხულონ. მორწმუნე ჩინელისთვის ბერად აღკვეცა და მერე კი კვლავ საერო ცხოვრებაში დაბრუნება იგივეა, რაც ცალი ფეხით ერისკაცობაში, მეორეთი კი სასულიერო ცხოვრებაში დგომა, ასე ვთქვათ, საერო და სასულიერო ცხოვრებათა შორის მიმოდიოდე. ეს იმიტომ ხდება, რომ ჩინელი კაცი მტკიცედაა დარწმუნებული, ქვესკნელის მოხელე ფრიად პატიოსანია და იგი ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების თითოეულ ნაბიჯს გულმოდგინედ, ბეჯითად აღწერს.

სანუთროს გადარჩენის გატანვარჯიშებისათვის ღვნა

ახლა გადავხედოთ საკითხს, მოქმედ ჩინელ ახალგაზრდობას რომ შეეხება. ესენი თავდაპირველად საერო ცხოვრებას მიეღობიან ხოლმე. ასე ვთქვათ, ხალხის წიაღში გადიან, ხალხში გაერევიან, რათა ცოდნას დაენაფონ და ძალაუფლება მოიპოვონ. ხოლო შემდეგ, თუკი კვლავ სასულიერო ცხოვრებას მიჰყოფენ ხელს, შეძენილ ცოდნა-გამოცდილებას უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად მოიმარჯვებენ, იბრძობებენ, რათა დაიცვან ხალხი, გადააკეთონ საზოგადოება, გააუმჯობესონ იგი. ასეთი ადამიანები საათობით სხედან მშვიდ, აღუშფოთველ მდგომარეობაში, სულში, გულსა და გონებაში კი ფიქრისა თუ აზრის ნატამალსაც არ აჭაჭანებენ. განთიადზე, ან შუალამისას, ისინი იწყებენ სუნთქვით ვარჯიშს, ანუ ჩაისუნთქავენ მზისა და მთვარის ძალას და ამით ეხმარებიან საკუთარ თავს, საკუთარ თავში ზეკაცობის მიღწევას ღამობენ, დიადი ეთერის სუნთქვას ივითარებენ. ჩინელებისთვის ვარჯიში, მართლაც, მისტიკური ტაო-ს შეფერილობას იძენს და დაკავშირებულია იანგ ცი-სა და ლიენ ცი-სთან. მოკრივის ტექნიკა და განდევილის სული, მწირის სამშვინველი, სრულიად მშვიდობიანად თანაარსებობენ ერთსა და იმავე პიროვნებაში.

ამრიგად, ჩინელი კაცი მთელი ცხოვრების მანძილზე მუშტი-კრივით იკაფავს გზას ზეციური სამოთხისაკენ. ჩინური სათავგადასავლო ლიტერატურის ძირითადი აზრიც სწორედ ეს გახლავთ. ჩინეთში ისევე უხვად იპოვება ამბები სკაუტ-რაინდებზე, როგორც ეს დასავლურ ლიტერატურაშია მოცემული. ასეთი რომანების მკითხველი კი არა მარტო მოსწავლე-ახალგაზრდობა, შეგირდები არიან, არამედ უფრო მოზრდილებიც, მონიფული, ზრდასრული ადამიანებიც. ჩინურ რომანებში აბრაგები მანამ, ვიდრე ზეცის ნების აღსასრულებლად წამოიწყებენ ბრძოლას, გადაიხვეწებიან ხოლმე მთაში იმისთვის, რათა ფარიკაობა, მუშტი-კრივის ილეთები შეისწავლონ და, საერთოდ, ქვეყნის ადათ-წესებს დაეუფლონ. ადამიანური ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად თავდაპირველად ამქვეყნიურ ცხოვრებას უნდა განერიდო, მას უნდა გაეცალო, განშორდე. ეს აუცილებელი პირობაა. ამგვარი შეხედულება ღრმად აქვს ჩაჭედილი ტვინში იმ ადამიანებსაც კი, ვინც საგმირო-სათავგადასავლო რომანებს სრულებითაც არ კითხულობს.

უსარგებლო, უმაქნისი სამოთხე

რეალური ცხოვრების მხოლოდ და მხოლოდ რეფორმირება ზოგიერთათვის სრულიადაც არაა საკმარისი. მათ მაღალ დონეზე გადასვლა, მაღალ საფეხურზე ასვლა სწადიათ. ასეთ შემთხვევაში ადამიანთა უმეტესობა თანახმაა გახდეს სიენ-ი, მაგრამ თითქმის არ მოიპოვება მსურველი, რომ წმინდანი, სული, ან ღვთაება, ანუ შენ-ი გახდეს. რატომ? რატომ და იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, ზეცაში შენ-ი რომ გენოდოს, ამქვეყნიურ ცხოვრებაში დიდი მიღწევებისა და დამსახურების პატრონი უნდა ბრძანდებოდეს. ეს კი ერთობ სადავიდარაბო რამ გახლავთ. მეორეც ერთი, იქვეყნადაც დიდი მოხელეობა გეკისრება. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა იმსახურო, პასუხისმგებლობაც ამ მაღალი თანამდებობის შესატყვისი დაგეკისრება. ჰკარგა და უცოდველ მოხელეს, ქრთამს არამც და არამც რომ არ იკადრებს, საიქიოში თავისთავად ენიჭება წმინდანის, ანუ შენ-ის წოდება. ეს ღვთაება იმასაც დაიმსახურებს ხოლმე, რომ ხალხი მას საკუთარ ტაძარსაც აუგებს. და ეს მისი ერთადერთი უპირატესობა გახლავთ. ტაძრის აგების პატივი გამორჩეულად ერთგულ ცოლებსა და უბინო ქალწულებსაც შეიძლება ერგოთ წილად, მაგრამ, აი, ეს მითხარით, გეთაყვა, ისურვებს კი მრევლი მას შესანიერი მხართვის, ან კიდევ ტაძარი შეუკეთოს? ეს საქმე იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად მოახერხებენ ეს შენ-ები მინდვრად უხვი მოსავალი უზრუნველყონ. მოახერხებენ თუ არა დროულად მოაგლინონ წვიმა. და საერთოდ, მათი კეთილდღეობა იმის ანაბარაა შთენილი, თუ რაოდენ საკმარის პასუხისმგებლობით მოეკიდებიან ისინი ხალხის თხოვნა-მუდარისა და ვედრების აღსრულებას.

სიენჟენ-ები, ტაო-ს მოძღვრებაში რომ აქვთ დასაბამი, გაცილებით უფრო ლაღი და თავისუფალნი, შეუბოჭავი და თამამნი არიან. მათი შურთ, უფრორე კი მათ შენატრიან. სიენჟენ-ები ცხოვრობენ მინგ შინების ცხოვრების წესით. ასეთი ცხოვრება ძალზე მსგავსია იმ ცხოვრებისა, ლინ იუითანგ-ი რომ გვიქადაგებს. იმისთვის, რომ სიენჟენ-ის წოდება დაიმსახურო, სავალდებულოა სულ ცოტა, ნახევარი საუკუნე მაინც

მისდით სრულყოფის მტანჯველ ყოფას, ანუ იმ ყაიდის ცხოვრებით იცხოვრო, ინდუისტები რომ ეწვეიან, მაგრამ არამც და არამც ინდოელებისთვის დამახასიათებელი თვითდამცირება და საკუთარი ცოდვილი სულის გვემა არ უნდა გაიმეორო. თუმცა არიან მავანნი, ათასგვარი ფანდებით რომ ცდილობენ სიენჟენ-ობის ხელში ჩაგდებას. ამისათვის დღეგრძელობის ალქიმიურ აბებსაც ყლაპავენ. შეიძლება, აგრეთვე, ზეციური ხელისუფლების შემწეობით ტაო-ს ხალათი მოირგო, ან კიდევ ბუდისტური კვართით შეიმოსო, ამოირჩიო სიბრძნის ნიჭით ცხებული ადამიანი, ორი-სამი სიტყვის ზემოქმედებით მას სიბრძნის თვალი აუხილო და შემდეგ ორივენი თვალს მიეფაროთ, სივრცეში გაუჩინარდეთ, გაქრეთ. გაივლის ასე ორმოცდაათიოდე წელი და უეცრად ვინმე ნაცნობს შეიძლება სადმე გადაეყაროთ კიდევ, მას კი, დახე, წვერში ჭალარაც გამორევიან.

არის შემთხვევები, როცა მავანს ზეციური სიენჟენ-ების რიგებში გაანეწიანებენ, მაგრამ ეს, უმეტესწილად, სრულიად მოულოდნელად ხდება. უბრალოდ, გაუმართლებს ხოლმე, მორჩა და გათავდა! სიენ-ი შეიძლება გახდეს სულიც, მელა-მაქციაც. მაგრამ ეს მაშინ მოხდება, თუკი, რასაკვირველია, მავანი გულმოდგინედ შეისწავლის თეიზმს, ანუ ტაო-ს რელიგიას. ზოგჯერ ეს მელა-მაქციები ისეთი დაბეჯითებით ესწრაფვიან სრულყოფას, რომ საკუთარი სუნთქვა შეუძლიათ მანათობელ ბირთვად აქციონ. და თუკი ღამე მთვარიანია და თუკი მელა-მაქციას მიერ გატყორცნილ ბირთვს ადამიანი ჩაისუნთქავს, მაშინ იგი თუნა-ს ნიჭით დაჯილდოვდება. მაგრამ, ერთიც ვნახოთ, ბირთვი მავანმა ხელშიც ჩაიგდო და გადაყლაპა კიდევ, მამ ჩათვალეთ, რომ მელა-მაქციას მთელი შრომა-გარჯა წყალში ჩაეყარა. ცხოველებმაც, თუკი მარადიული სიცოცხლე სწადიათ, ჯერ უნდა განვლონ გარდაქმნათა გრძელი ჯაჭვის ერთი რგოლი, ადამიანურ ცხოვრებას რომ ნიშნავს. ამიტომაც ცხოველებს გაცილებით უფრო შორი გზა რომ აქვთ გასავლელი და ამას დროც მეტი უნდა მოახმარონ, ვიდრე ეს ადამიანებს ევალებათ. და მერე კი, ღმერთმა უწყის, რარიგად მოახერხებენ იმ ყოველივეს შენარჩუნებას, რაც გარდაქმნათა უგრძეს გზაზე ჭაპან-წყვეტითა და ვაი-ვაგლახით მოიპოვეს.

სიენ-ების ცხოვრებას საესებით მყარი გარანტია აქვს. მათი ცხოვრება აღსავსეა სრულიად თანაზომიერი სიამტკბილით. აი, ვთქვათ, ჭადრაკის თამაშით, ღვინის სმით, ზეცასა და დედამიწაზე მოგზაურობით. ასეთ დროსტარებაში კლავენ სიენ-ები მშვიდსა და უდრტვიწველ მარად მედინ დროს. სიენ-ების ცხოვრება დრო-ჟამის სხვა განზომილებაში მიედინება. დედამიწაზე მათი ერთი დღის სიცოცხლე ზეცაში 1000 წელიწადს უტოლდება. ეს, თვალის ერთი შევლებით, თითქოს კარგს ვერაფერს უნდა ნიშნავდეს. ეს კია, სიენ-ების ნერვები უფრო გახევებულ-გახეშებულა, ვიდრე ჩვენი.

სიენ-ებს არ მისცემიათ ბედნიერება ჰქონდეთ სექსი და არც ოჯახური კერის სითბო-სიხარულისა არაფერი უწყიან. ხალხმა მათთვის რალაც უცნაური, ამფიბიისებური, ასე ვთქვათ, წყალმინიერი არსება გამოიგონა, ე.წ. მინიერი სიენ-ი-ტისიენ-ი. ამ უცნაურ არსებებს, გარდა იმისა, რომ მარადიული სიცოცხლე აქვთ ნაბოძები, დაბერებთაც არ ბერდებიან. შეიძლება ითქვას, მდიდარი მემამულეების ცხოვრებით ცხოვრობენ. ისინი ბინადრობენ კლდოვან ხეობებში, მთის მწვერვალებსა და მიუვალ კუნძულებზე. ეს მუსულმანური სამოთხის მაგვარი რამაა, სადაც მოახლეობად შავთვალწარბა მზეთუნახავები უდგანან. მაგრამ ეს ამბავი ხალხში საყოველთაო პოპულარობით როდი სარგებლობს. არის შემთხვევები, როდესაც, მინიერი სიენ-ები ადამიანებს გადაეყრებიან ხოლმე. აბა, მაშინ ნახეთ, რარიგ გაიხარებენ, რამეთუ ადამიანებზე თავიანთ უპირატესობას შეიგრძნობენ. ცნობილ თქმულებას გავისხენებ: ერთმა ტი სიენ-მა ერთი მამაკაცი თავის სიძედ შერაცხა. ნება დართო თავის ნავში ჩამჯდარიყო და ტუნგთინგ-ის ტბაზე გაესეირნ-გამოესეირნა. სეირნობისას სიძეკაცს ძველი მეგობარი შემოხვდა. მიიპატიჟა ნავში, აქეიფა, ღვინო ასვა, გაუმასპინძლდა, ძვირფასეულობით, თვალ-მარგალიტით უხვად დაასაჩუქრა და გააცილა. სტუმარი ნავიდან რომ გადადიოდა, ქალთა ორკესტრის მუსიკა ჩაესმა. დაფდაფის ცემას საყვირის ნაზი ხმა ენაცვლებოდა. უეცრად, გეგონებთ ფარდა ჩამოეშვაო, სქლად ჩამონვა ნისლი და თვალის დახამხამებაში, მყისიერად, ყველაფერი გაუჩინარდა, გაქრა.

სიენჟენ-ები აურაცხელი თვალ-მარგალიტის მეპატრონენი გახლავან, იმდენის, რამდენსაც მოისურვებენ. ეს, რალა თქმა უნდა, ფრიად საამურია, მაგრამ ფუქსავატურსა და უდარდელ ცხოვრებაში სიენჟენ-ები ვერ ეუფლებიან ადამიანებთან ურთიერთობის უნარს, ძალზე ძნელი, მძიმე და მტკივნეული პროცესი რომაა. უნდა ითქვას, რომ, ვინაიდან ჩინელები ადამიანთა შორის ურთიერთობის ნიჭით უხვად არიან დაჯილდოვებულნი, არასოდეს ინდომებენ ნებაყოფლობით შეელიონ მას. ჩინელები სიენჟენ-თა ცხოვრებისადმი ამიტომაც გახლავან ერთობ გულგრილნი. მოსახლეობის ნახევარს სწადია სიენჟენ-ობა, მეორე ნახევარს კი სძაგს და ეზიზღება კიდევ.

ამ მიზეზით ედემის ბალი, სამოთხე, ჩინელისათვის სინამდვილეში სრულიად უმაქნისი რამაა. უმეტესობა ჯოჯოხეთზეც კია ყაბულს. თუკი სრულიად მიუტევებელი დანაშაული არ უმძიმებს კისერს, თუკი მხოლოდ და მხოლოდ შეცდომილია, მაშინ ადამიანს შეუძლია გარდასახვათა გრძელი ჯაჭვის იმედი იქონიოს. დაახლოებით ისეთივე ცხოვრებით იცხოვროს, როგორ ცხოვრებასაც დედამიწაზე ეწეოდა. წინამავალი ცხოვრების კარმაც გაისრულოს და, იმავდროულად, ახალი კარმის ნერგიც დარგოს, ან დაივიწყოს უწინდელი წყენა, ან კიდევ, თუ ინებებს, ახალ-ახალი წყენებით დაიტვირთოს თავი. მოკლედ რომ მოვჭრა, ადამიანი უნდა გაერკვეს მიზეზ-შედეგობრიობის ნაზავ-ნაერთში, ისე მჭიდროდ რომაა ერთიმეორესთან შეკავშირებული, გეგონება ბამბუკის წკნელებით ნაქსოვი ჭილოფიაო. თვალი დიდხანს თუ დაადგი, თუკი

დაამტერდი, თვალი აგიჭრელდება, თავბრუ დაგესხმის. ჩინელებს მოსწონთ მოყოლა არა სამოთხისეული ამბებისა, არამედ ცხოვრებისეული ნამდვილი თავგადასავლებისა. და რაკი მოსწონთ და უყვართ, მაგრამაც ჩაბლაუჭებულან ამ ჩვეულებას, ხელიდან არამც და აარამც არ უშვებენ. ეს მათ ახასიათებთ! კინოფილმი „მარადიული სურნელება“ გადამუშავებულია პეკინურ ოპერად, რომანი „შემოდგომის ყვავილები“ გადაკეთებულია სასაუბრო დრამად, შაოსინგ-ურ ოპერად, ჩინური ფანდურით თანხლებულ მოთხრობად, მუსიკალურ სპექტაკლად. ერთი და იგივე მაყურებელი პატიოსნად, გულმოდგინედ უყურებს და უყურებს ერთი და იმავეს. ჩინური მუსიკა „გედი ქვიშაზე“, ან კიდევ „შემოდგომა ხ ანის სასახლეში“, მარად და მარად ერთი და იგივე შინაარსი, ყოველგვარ აღმაფრენას მოკლებული, გადაღეჭილის გაუთავებელი გამეორებაა. დასრულდა? ეს იმას ნიშნავს, რომ დაიწყება თავიდან. ბოლოს მიაღწია? ესე იგი, კვლავ თავიდან მოგვითხრობენ. თავი და თავი ისაა, რომ მხოლოდ სათაურები იცვლება, მხოლოდ სათაურებია ახალ-ახალი.

ჩინელთა უვარგის-უმაქნისობა

პირველი მქადაგებლები, ვინც XVII ს-ში რომიდან ჩინეთს ეწვივნენ, განცვიფრებული დარჩნენ ცისქვეშეთის იმპერიაში დამკვიდრებული ზნეობრივ-ეთიკური ნორმების მაღალი ხარისხით. რელიგიის უქონლობის პირობებში ზნეობრიობისა და თვითშეგნების ამგვარი დონე და ყოვლისმომცველობა პირდაპირ გასაკვირია, ფიქრობდნენ ისინი და თავს იმტვრევდნენ ამ გამოცანაზე, გამოცანაზე, რომელიც დასავლეთისთვის მარადიული შეიქნა. მაგრამ პირვანდელი ეიფორია, პირველი სიყვარულისდაგვარად სწრაფად გაიფანტა, ბრწყინვალეობა ნელინელ დაიბინდა. ჩინეთისკენ დაძრული უსასრულო ქარავნები დასავლელი მოვაჭრეებისა, კომერსანტებისა, მალევე დარწმუნდნენ, რომ ჩინელები მარტოოდენ წვრილმანა, ვაჭრუკანა, კურკანონია და, ამას დამატებული, ძვალ-რბილში გამჯდარი მატყუარებიც არიან. მაგრამ მართალია კი ის, რასაც თვალის ერთი შევლებით დაინახავს კაცი?

ჩინელები ქირქილით იტყვიან ხოლმე: „ეს რა წამხდარი, რა ხელიდან წასული ბავშვია“, რაც იმას ნიშნავს, რომ ჭკუა-გონებას, საზრიანობას უქებენ. სინამდვილეში კი სხვას გულისხმობენ, სახელდობრ: „იყო პატიოსანი და დამყოლი, ეს იგივეა, რომ უმაქნისი, უნდლი იყო“. ამავდროულად, ჩინელს შიშის ზარსა სცემს ფიქრი იმისა, შვილი ემშაკი, გაიძვერა და მოხერხებული არ გამოუვიდეს. ასეთ ბავშვებს ადვილად აცთუნებს გარემოცვა, რასაც ათასგვარი უსიამოვნება და უბედურება მოსდევს ხოლმე. ბრიყვს ბრიყვის ბედნიერება ერგება წილად. კიდევ უფრო უკეთესია, თუკი ბრიყვი არ ხარ, მაგრამ თავს ბრიყვად მოაჩვენებ. ამქვეყნად ყველა ადამიანი, განურჩევლად ეროვნებისა, ფრიად დიდ ყურადღებას აქცევს იმას, თუ რა არ ყოფნის მას, რა აკლია. ამბობენ, ძველი აღთქმის დროებაში იუდეველნი უკვე რელიგიურად მონიფული ერი გახლდათ. ეს იმან განაპირობა, რომ ბუნებით სექსუალურად ფრიად გარყვნილები ბრძანდებოდნენ. ჩანს, ჩინელები მცირედენზეც ყაბულს არიან ხოლმე, სურთ ცოტ-ცოტა მიითვისონ და ამიტომაცაა ასეთი გამონათქვამი რომ დამკვიდრდა: „თავშეკავება სარგებლის წილ“, მაგრამ პირიქით კი გამოდის, სიჩლუნგეა წახალისებული.

ჩინელები სრულებითაც არ არიან ფარისევლები. მათ ჭეშმარიტად სწამთ სიკეთის მოძღვრების სიძლიერისა და ის ყველაფერი, რაც საზოგადოებრივს ეწინააღმდეგება, ანდა ეგოისტური და თავკერძულია, რაც თანდაყოლილი და ინსტიქტურია, ჩინელი უარყოფს. ეს კი ქმნის იმგვარ ვითარებას, რომ ჩინელები მკვეთრად მიჯნავენ ერთიმეორისგან ადამიანის თანდაყოლილ ინსტიქტებსა და ზნეობრივი აღზრდის ნორმებს. საერთო ჯამში კი ეს ფრიად შედეგიანია, ვინაიდან არავის სურს არანორმალურად მიიჩნიონ, შერეკილად შერაცხონ.

მაგრამ, თუკი ადამიანს ადამიანურობის მოთხოვნათა მეტისმეტად მაღალ ნორმებს წაუყენებთ, ეს ცხოვრებას ფრიად და ფრიად სასლავფორტოს ხდის. ესაა მიზეზი, ჩინელები დღენიადაც რომ ბუზღუნებენ: „რარიგ ძნელია იყო ადამიანი!“ „იყო“ – ეს სიტყვა ჩინურად გულისხმობს გახდეს, შეიქმნა, იქმნა, მიბაძო, ითამაშო. ჭეშმარიტად, არაა იოლი საქმე.

ასეთი გულმოდგინების შედეგი ისაა, რომ ჩინელები, ბოლოს და ბოლოს, იმგვარ ერად ჩამოყალიბდნენ, რომ ზნეობრიობის თვალსაზრისით უფრო განვითარებულნი გახლავან, ვიდრე დასავლელები. ისე კი, იცოდეთ, ჩინელი დედამიწის ზურგზე ყველაზე უვარგისი მოქალაქეა, მაგრამ ამ მიზეზით ჩინელების დამუნათებაც მთლად სამართლიანი არ იქნებოდა. მათ ხომ არასოდეს უცხოვრიათ ნამდვილი სამოქალაქო ცხოვრებით. სამოქალაქო ცხოვრების ერთი ბენო გამოცდილებაც არ გააჩნიათ. ოჯახში, მეგობრულ წრეში, სადაც კი გენებოთ, ჩინელი ყველაზე მზრუნველი, ყველაზე ყურადღებიანი, ყველაზე თავგანწირული ადამიანია. სრულიად უმნიშვნელო მოვლენასაც კი მორალის სასწორზე წონის. ძალზე ცოტანი მეგულებიან, ვინც იმ ასაკს აღწევს, უხუცესი რომ იყოს და ხანდაზმულობამ უფლება მიანიჭოს აკეთოს ის, რაც სურს და ნებავს.

რაკი აღზრდის ასეთი წესი უშორეს ათასწლეულებშია ღრმად ფესვგადგმული, ფრიად საძნელოა განასხვავო, რა არის აღზრდის შედეგად მოპოვებულ-შეძენილი და რა ჩინელთა ჭეშმარიტი ბუნება, რა არის თანდაყოლილი. ზაფხულობით, როცა ტრაქომის ინფექცია მძლავრად შემოგვიტევეს ხოლმე, თავში აზრდაც არავის მოუვა გაჭირვებულთათვის შეგროვილი ფული ჩაიჯიბოს. იმავდროულად, ბოდისატვას ქვის ძველთაძველ ქანდაკებებს თავებს აყრევიან იმისთვის, უცხოელებს რომ მიჰყიდონ. აი, ამ საქციელს კი არავინ

კიცხავს, არავინ არაფრად აგდებს. ნერა-კითხვის უცოდინარი, ბნელი ბრბოსთვის ზნეობის განყენებული ცნებები უფრო დიდი ძალაა, ვიდრე კერპების თაყვანისცემა. მსგავსი რამ კი ამქვეყნად ფრიად განსაკუთრებული მოვლენაა.

კონფუციის მოძღვრებამ მნიგნობარ ხალხს, ვინც მეტისმეტად არ უღრმავდება ზნეობის საკითხებს, ყველაფერი გაუადვილა, მაგრამ ბრბო, გაუნათლებელი ხალხი, არა და არ ესწრაფვის სამყაროს უკიდევანობა შეიმეცნოს, კოსმოსურ იდუმალებათა ჭუჭრუტანაში შეიჭყიტოს. ამრიგად, ადგილობრივ და უცხოეთიდან შემოღწეული თქმულებების ნამცვრევ-ნამსხვრევებმა, როგორც კი სისტემური სახე შეიძინეს, მაშინვე გასულდგმულდნენ. კონფუციის მოძღვრებამ ადამიანის წარმოსახვის ყველაზე ღრმა კუნჭულებში შეაღწია. ამან კონფუციის სარწმუნოებას, მართალია, მწყობრი რელიგიის სახე არ მიანიჭა, მაგრამ მაინც მეტი სიმყარე და სისხლხორცეულობა, სიცხადე, გარკვეულობა და ელფეროვნება შესძინა. ზებუნებრივი, იმქვეყნიური სამყარო ჩინელი კაცისთვის ერთობ მკრთალი, უფერული და, ამასთან, მწირია. ამადაცაა, რომ ზეციურთან შედარებით ადამიანური იმქვეყნიური ცხოვრება უფრო მრავალფეროვნად და დამაკმაყოფილებლადაც ესახება.

უცხო რელიგიები ჩინეთში

კათოლიკური ღმერთი, ღვთისმშობელი, იესო ქრისტე – მათი სისხლისმიერი თუ ხორცეული ურთიერთკავშირი და ზემოქმედების ძალა ჩინელებისათვის ადვილგასაგებია, ძალდაუტანებლად უღებენ ალლოს. წმინდა მარიამი გამორჩეულადაა შემოსილი შორეული ქვეყნის მომხიბლავი შარავანდედით. მას უფრო მეტი ძალაც კი აქვს მიმზიდველობისა, ვიდრე სხვა დანარჩენ წმინდანებს. ღვთისმშობლის ოქროსფერი თმა ჩინელებს აცბუნებს და უნებლიედ ერთგვარ ჯებირსაც კი აღმართავს მათსა და ზეციურ დედოფალს შორის. თუმცა, ამასთანავე, ჩინეთში გავრცელებულია საშობაო მისალოცი ღია ბარათები, რომლებზეც წმინდა მარიამი ჩინურ ძველებურ სამოსშია გამოწყობილი, ლეჩაქიც ჩინური ახურავს. თუმცაღა, ეს დიდი ვერაფერი სიკეთეა, შედეგი ნამდვილად არაა დამაკმაყოფილებელი. წმინდა სამების გარდა ხომ უამრავი სხვა დიდპატარა წმინდანიც არსებობს. თითოეულ მათგანს ჩინელი კაცისათვის აგრერიგ ძნელად დასამახსოვრებელი სახელიც ჰქვია, თან ისტორიული ვითარება, თავისებურება და წმინდა საქმეთა გრძელი ნუსხაც ახლავს. მიდი და წმინდანების ერთი გუნდი წმინდანთა მეორე გუნდით შეცვალე. ეს ხომ სადავიდარაბოა! გაცილებით უფრო ადვილი არაა წმინდანების ერთი წყება რაღაც მოუხელთებელ-მისტიკურით, ანდა სულაც ერთი სულით ჩაანაცვლო?! ამ მიზეზითაა ქრისტიანობამ კათოლიციზმის სახით ჩინეთში ერთობ საუცხოო ორგანიზაციები რომ შექმნა, თუმცა მაინც ვერა და ვერ იმარჯვებს პროტესტანტიზმზე.

პროტესტანტულ ღმერთსა და მორწმუნეებს შორის უშუალო, პირდაპირი ურთიერთობაა დამყარებული. ამასთანავე, ეს ურთიერთობა სიყვარულს ეფუძნება. ჩინელი ღმერთები კი მარადჟამ მკაცრი, ოფიციალური გახლავან. სიყვარულის გრძნობაზე აქ კრინტიც არ იძვრის. ვთქვათ, წინარე ცხოვრებაში შესცოდე, დანაშაული გაქვს ჩადენილი, ამ ცხოვრებაში კი ამის აზრზეც არა ხარ, წარმოდგენითაც კი არ წარმოგიდგენია. ჩინელი ღმერთები არას დაგიდევენ, პასუხისმგებლობის დაკისრება გარდაუვალა. არის შემთხვევები, ზეციური სასჯელი, ბოროტ ხუმრობას რომ წააგავს, გვარიანად დამცინავიც შეიძლება იყოს. მაგალითისათვის გამოდგება ცნობილი ამბავი „შვიდი სიძისა“. ერთ-ერთ სიძეკაცს დაესიზმრა, რომ შვიდივე ქვისლი ერთი წითელი თოკით იყო შებოჭილი. იფიქრა, სიზმარი ავის მომასწავებელიაო. თვალს მოჰკრავდა თუ არა ქვისლებს, გაეცლებოდა, საჩქაროდ დაიმალებოდა ხოლმე. ერთხელაც, ვნახოთ, ნათესაობამ საქეიფოდ, ღვინის სასმელად ყველას ერთად მოუყარა თავი. თან კარი ჩაირაზა. ოთახში, სადაც ქეიფი გამართულიყო, ხანძარი გაჩნდა და შვიდივე სიძე ერთიანად ამოიბუგა. თურმე ნუ იტყვი, სიზმარი ზეციური სულის მიერ საგანგებოდ, მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის იყო მოვლინებული, რომ სიძე მთელ ამ სადავიდარაბო ამბავში გახვეულიყო.

თანამედროვე ჩინური კინოფილმები და ლიტერატურა, თუკი გამიზნული აქვს აშკარა სიკეთე, ჭეშმარიტი სათნოება წარმოადგინოს, უეჭველად ქრისტიან მქადაგებლებსა და მისიონერებს მოიხმობს ხოლმე. ჩანს, ქრისტიანობამ მაინც მოახდინა გარკვეული ზეგავლენა ჩინელების ყოფა-ცხოვრების ყაიდაზე. ასეთი ფილმებისა თუ ლიტერატურულ თხზულებათა მონაწილე სანიმუშო ჩინელებს სახეზე ნეტარი ღმერთი დათამაშებთ, ლაღად ერთობიან, ევროპულ, სულ ცოტა, ორი წლით მოდას ჩამორჩენილ ტანისამოსში არიან გამოწყობილნი, ცოლს მეუღლეს კი არა, დედა-მასწავლებელს უწოდებენ, ცოლები შალის ძაფების დიდრონ გორგალს ახვევენ, შვილები კი ფორტეპიანოს მისხდომიან და გულმოდგინედ უკრავენ „ათას-ერთ რჩეულ სიმღერას“. მწერალმა ქალებმა უმაღ აიტაცეს მწუხრის ზარისა და მუხლმოდრეკილი მლოცველის ღირსიკული მშვენიერება. მოდური ყურნალები წარამარა აქვეყნებენ მოთხრობებს, რომელთა მთავარი მოქმედი პირი, ქალბატონი, მეუღლის ხსოვნის პატივსაცემად დიდ თანხას სწირავს უპატრონო ბავშვთა თავშესაფარს. ამ ზღაპრებს ინტერესით კითხულობენ, რამეთუ ამგვარი ლიტერატურა ინტელექტუალური და განათლებული ცოლისა და დედის სულიერ აღმაფრენას გამოხატავს.

მისიონერული სკოლის მოსწავლეები სწორედ იმ ასაკისანი არიან, როცა ადამიანი ადვილად ექცევა გავლენის ქვეშ. ისინი დისციპლინას, ზეიმსა და სიჭაბუკეს ბუნებრივად უთავსებენ საეკლესიო წეს-ჩვეულებებს, საგალობლებსა და მესებს და, მართალია, ეს ჩინელები ქრისტიანული წესით არასოდეს ინათლებიან,

მაგრამ მაინც შემწყნარებლურ დამოკიდებულებას უცხო რელიგიისადმი მონიფულ ასაკშიც ინარჩუნებენ. ჩინელ ახალგაზრდა რევოლუციონერებს სძულთ საკუთარი რელიგია და მშობლიური მოძღვრებანი, ქრისტიანული სარწმუნოების წინააღმდეგ კი არასოდეს ილაშქრებენ. ეს იმის გამოა, რომ ჩინეთში ამ რელიგიის შემოტანას საავადმყოფოებისა და ქიმიური ცდების ჩასატარებელი კაბინეტ-ლაბორატორიების დაარსება მოსდევდა ხოლმე.

ფილმში, „კაცობრიობის ზღვაში ბედნიერი ცურვა“ ნაჩვენებია ცოლ-ქმრული წყვილი. ვიდრე ქმარი ბირჟაზე ძალ-ღონესა და ფულს ფლანგავს, ცოლი ხალხს ემსახურება როგორც ექიმი. თავისუფალ დროს კი ეს ქალბატონი იმას ახარჯავს, რომ ბავშვების გარემოცვაში, ერთ პატარა მღვიმეში, ხალხით ატარებს ქიმიურ ცდებს. ეს ერთადერთი ჩინური ფილმია, სადაც ცოლი უსაზღვროდ სათნოა და ქველი. სხენებული ზნეობრივი სიკეთე ეკრანზე ოც წუთზე მეტ ხანს გრძელდება. სხვა დანარჩენ ფილმებში, ჩვეულებრივ, სათნოება და სიკეთე წამიერად თუ გაიღვებს ხოლმე, გაკვრით, თანაც ნაჩვენებია მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რათა ბოროტებას დაუპირისპირდეს, ბოროტება გაამუქოს, გაბუქოს და ამ გზით უფრო მეტად გამოკვეთოს კიდეც იგი.

უძველეს ჩინეთში სიკეთე და სათნოება განუყრელადაა დაკავშირებული ადამიანთა შორის ურთიერთობასთან. კონფუციური უზენაესი სახელმწიფოებრივი ოცნება იყო საკმარისი პური და საზოგადოებრივი ცხოვრების მყარი მდგომარეობა. ამას ემატებოდა ზრუნვა იმაზე, რათა ადამიანთა შორის ნათესაურ-მეგობრული გრძნობები მარად და მარად განვითარებულიყო, ადამიანურ ურთიერთობაში ჰარმონიული ნონასწორობა დამყარებულიყო. თანამედროვე ჩინელებმა კი უეცრად შეიმეცნეს, რომ ოჯახი ფეოდალური ჩაგვრის გადმონაშთია, მამასადამე, ცოდვია. მამა – ემპაკი, ბოროტი სული, მონარქი-ფეოდალია, ხოლო დედა – კეთილი, ტუტუცი დედაკაცი. მოდის მოყვარული ცოლი – ქმრის გასართობი თოჯინაა, ხოლო სოფლელი ტეტია ცოლი – რალაც სამსხვერპლო კრავის მსგავსი არსება. ადამიანთა შორის ურთიერთობის ყველა სახეობაზე მძლავრმა იერიშმა შედეგად ის მოიტანა, რომ ჩინელები ისევე აწრიალებულ-აფორიაქებული, იჭვნიული და უნდონი შეიქმნენ, როგორებიც დასავლელები ბრძანდებიან. ეს მეტისმეტად მტკივნეული და სამძიმოა ჩინელისათვის, ვინაიდან მას ადამიანურ ურთიერთობათა გარდა სხვა მრწამსი არ გააჩნია.

ძნელია ჩინელის დადანაშაულება იმაში, სიკეთე-სათნოების აღწერა აგრერიგ რომ გასჭირვებია. ყველა ამბავი, მოთხრობა და კინოფილმი იმით ბოლოვდება, რომ ნაწარმოებთა გმირები, მამაკაცებიცა და ქალებიც, თავს დააღწევენ ხოლმე შეცდომა-გაუგებრობას და ლაჟვარდოვანი ნათლისკენ მიილტვიან. და ყველაფერი ამით მთავრდება! რაგინდ უმოწყალოდ არ უნდა ლანძღონ კრიტიკოსებმა, რაგინდ დაუნდობლადაც არ უნდა გაანადგურონ, მხატვრულ ნაწარმოებთა ამგვარი დასასრული გარდაუვალია.

იმდენად, რამდენადაც ცხოვრება იოლი საქმე არ გახლავთ, ახლა ესწრაფვიან მიზანი თავიანთი ცხოვრების მიღმა ეძებონ. შარშან, გაზეთში „სიახლენი“ („სინვენპაო“) მოწინავე პროტესტანტთა ასეთი უბადრუკი მოწოდება გაისმა: თუკი ქრისტიანობას მოიმარჯვებთ როგორც იარაღს, იქნებ ამ რწმენას, ბარემ, ცხოვრების მიზანსაც დაესესხოთ, ესეც ივარგებს, ესეც გამოდგება.

მაგრამ ქრისტიანობის გავრცელებას ჩინეთში თავისი გაუთვალისწინებელი ხარვეზებიც ახლავს. ქრისტიანები თავიანთ ღმერთს უმადლიან, რომ მან კაცობრიობას შვიდ დღეში (ან იქნებ ევოლუციის მილიარდობით წლის განმავლობაში) შეუქმნა სამყარო. ჩინელებს კი მიაჩნიათ, რომ ქვეყნიერება ფანკუ-ს ნახელავია, თუმცა, ამას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ. ჩინელები თავიანთი წინაპრების ხუთ თაობას ცნობენ. უფრო ადრინდელ თაობებს კი წინაპრების მოსახსენიებელ ქელებებშიც კი აღარ მიაგებენ პატივს. ეს იმიტომ ხდება, რომ ჩინელები, მართალია, დანვრილებით და, შეიძლება ითქვას, ჩაკირკიტებითაც კი არკვევენ ნათესაურ კავშირებს, კრძალვითა და პატივისცემით ეპყრობიან ნათესაურ ურთიერთობებს, დაბეჯითებით შეისწავლიან ოჯახურ გენეოლოგიურ ხესა და ამგვარ ჩანაწერებს, მაგრამ არაფრად აგდებენ სიცოცხლის ჩასახვისა თუ დასაბამიერი არსებობის საკითხს. ჩინელის უპირველესი მოვალეობაა მშობლების, დედ-მამის სიყვარული. ხოლო უფრო ადრინდელი წინაპრების მიმართ დამოკიდებულება ამგვარია – წინაპარი, რაც უფრო შორეულია, სიყვარულიც მით უფრო წყალწყალაა.

ნასწავლ ჩინელებს მიაჩნიათ, რომ დარვინი ჭეშმარიტად მართალია. ასე იმიტომ ფიქრობენ, რომ „ამ მეცნიერს ევროპელი სწავლულები, ევროპული სამეცნიერო წრეები უჭერენ მხარს.“ მაგრამ, ერთიც ვნახოთ, ისეთი ახალი თეორია გამოჩნდეს, დარვინი შემცდარად გამოაცხადოს, ჩინელებიც იმნამსვე, ყოველგვარი დანაწების გარეშე, ხელს აიღებენ თავიანთ შეხედულებაზე. რატომ? რატომდა იმიტომ, რომ ჩინელს არასოდეს არ მიაჩნდა თავის წინაპრად მაიმუნი. ადამიანი ხომ ქვეყნიერების გარიჟრაჟზე დაიბადა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა სამყარო ის-ის იყო იქმნებოდა, ხოლო ხუანგ ტი ერთპიროვნულად განაგებდა ქვეყნიერებას, ზუსტად ისე, როგორც ძლიერნი ამა ქვეყნისანი გემართავენ ჩვენ ახლა. განსხვავება ისაა მხოლოდ, რომ ხალხი იმხანად უფრო ცივილიზებული იყო, ვიდრე ჩვენ ვბრძანდებით ახლა. საქმე ისაა, რომ ჩინელები კაცობრიობის ისტორიას განიხილავენ, როგორც თანმიმდევრულსა და თანაზომიერ რეგრესს და არამც და არამც პროგრესს. ისტორიული პროცესები, მათი თვალსაზრისით, წინსვლა კი არა, უკუსვლაა. სწორედ ამიტომაა წმინდანთა შეფასების მომენტი მჭიდროდ გადაჭდობილი დროის ფაქტორთან – რაც უფრო უხნესია წმინდანი და მოძღვარი, მით უფრო მყარია მისი ადგილი ჩინელთა გულსა და გონებაში.

და რაკი სიცოცხლის წარმოშობის, დაბადების საკითხი ჩინელს ნაკლებად აინტერესებს, საშინელი სამსჯავროს დღეც მას ვერაფრით ვერ წარმოუდგენია. შუასაუკუნოვან ევროპაში საშინელი სამსჯავროს ფანტასტიკურ სურათებს ფრიად მკაფიო, გასაგები და ცხოვრებისეული სახე ჰქონდა მინიჭებული. ვფიქრობ, ეს იმით იყო გაპირობებული, რომ რომის იმპერია განადგურდა, მოისპო. კაცობრიობამ საშინელი სულიერი დარტყმები განიცადა. ათასი წლის შემდეგ კვლავ მოელოდნენ სამყაროს უკანასკნელი დღის, საშინელი სამსჯავროს, განკითხვის დღის დადგომას. ჩინეთის სახელმწიფოს თავისი განვითარების მანძილზე არასოდეს განუცდია ამგვარი ყოვლისმომცველი ნგრევა-განადგურება. იქნებ ამიტომ ხდება, რომ ჩინელთა წარმოდგენაში ისტორიულ ბედ-იღბალს საფეხურებრივ-მუხლობრივი იერსახე აქვს. აი, ვთქვათ, ბამბუკის ხის მუხლის-დაგვარი, ერთი მუხლიდან მეორემდე – მშვიდობა და აყვავებაა, მეორე ვადას უბედურება და განადგურება მოაქვს და ასე დაუსრულებლად.

ჩინურ რელიგიაში ადამიანის განსჯა-შეფასება მისი ქცევის და არა რწმენის შესაბამისად ხდება. ამის გამო ნასწავლ, განათლებულ ადამიანებს არასდროს არაფრის არ სწამდათ, არც ჯილდო ყოფილა მიმზიდველ-მაცთუნებელი. მორწმუნენიც ამ საკითხში დიდად უმოქმედონი გახლავან. მათი სურვილი, ძირითადად, იმით იფარგლება, სასჯელს როგორმე გადაურჩნენ, რამენაირად დასჯას დააღწიონ თავი. ეს არის და ეს. ჩინელი, ტრადიციულად, იმას ნატრობს, რამენაირად მოვალეობას დაუძვრეს, აირიდოს პასუხისმგებლობა. ქრისტიანულმა სარწმუნოებამ ისინი მოულოდნელად დაასაჩუქრა ისეთი ცნებით, როგორცაა „განტყვევის ვაცი.“ ეს „ვაცი“ ხომ თავს იღებს ხოლმე ყოველგვარ პასუხისმგებლობას და სასჯელსაც თავადვე კისრულობს. შენ ისლა გვევლება, რწმენა გქონდეს – მორჩა და გათავდა. ამრიგად, ჩინელები, ვაჭრობას რომ არიან ჩვეულები, ერთობ ააღელვა და გაახარა კიდეც ამ მოულოდნელმა ხელსაყრელმა შესაძლებლობამ.

მაგრამ ჩინელი კაცისათვის ქრისტიანულ სარწმუნოებაში ყველაზე დიდი დაბრკოლება ის გახლავთ, რომ დახატული სამოთხე სრულებითაც არ ჰგავს იმას, რაც ჩინელ კაცს ესაჭიროება. ქრისტიანული სამოთხე უფრო ძველმოდური წარმოდგენით ოქროს ქნარის გაუთავებელი დაკვრა, საგალობელთა გალობა და ჰიმნების აღვლენაა. ამას კიდეც არა უშავს. უფრო ახლებური სამოთხე რალაც სპორტული მოედნის მსგავსი სივრცეა, სადაც ყველა იმითაა დაკავებული, რომ ცდილობს რალაც ძნელად წარმოსადგენსა და მისტიკურ ადგილას მოხვდეს. იქ კი თავი გამოიჩინოს, საკუთარი უნარ-ჩვევები წარმოაჩინოს. თვითკმაყოფილი და კონსერვატი ჩინელისათვის, ვისაც სამყაროს ცენტრად ადამიანი მიაჩნია, ასეთი სამოთხე სრულიად მიუღებელია. რაც შეეხება ცნებას, რომ ადამიანის სიცოცხლე სხვა არა არის რა, თუ არა „მე“-ს უკიდევანო მდინარის ზედაპირზე მოგდებული ქაფის პანანინა ბუშტუკი, სამოთხის ამგვარი უფერული, ფერმკრთალი, უმნიშვნელო ხატება ჩინელისთვის ასევე ვერაფერი შთამაგონებელი რამაა. ქრისტიანული სარწმუნოება ჩინელისთვის იმდენად მცირე მანუგემებელია, რომ მშობლიური თქმულებები, ძველი და ახლანდელი მისიონერების ძლიერი გავლენის მიუხედავად, მაინც საკმაოდ მყარ პოზიციას ინარჩუნებენ და სულიერი წინააღმდეგობის მძლავრი ძალაც შესწევთ. ამასთანავე ისიც სათქმელია, რომ ჩინელებს არასოდეს აგრესიულად არ მოუგერიებიათ უცხო რელიგია. ჩინურ მოძღვრებებს არასოდეს ჰქონია ფულადი მხარდაჭერა, არ გააჩნდა და არც ახლა გააჩნია პროპაგანდისტული ლიტერატურა და არც ლამაზი დეკორაცია ამშვენებს. მის წიაღში ერთი წიგნიც არ მოიპოვება ბიბლიის მსგავსი. ჩინეთში უმნიშვნელოზე უმნიშვნელოა იმ ადამიანთა რიცხვი, ბუდისტური სუტრების წაკითხვის უნარი რომ შესწევთ. ეს ხომ იმას ნიშნავს, მოძღვრება საერთოდ არ გაგაჩნდეს. და მაინც, ჩინური მოძღვრებანი ურყევი, მყარზე მყარია.

ჩინელთა მოუხელთებელი გული

და ყოველივე თქმულის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, არსებობს თუ არა ჩინური რელიგია? თუკი ეს რელიგიაა, მამასადამე, უნდა არსებობდეს მტკიცე, ურყევი რწმენაც. ყურადღება მიაქციეთ: დაბალი ფენის წარმომადგენელები მორწმუნენი არიან იმიტომ, რომ მიაჩნიათ – ასე უფრო საკეთილდღეო და საიმედოა, რამეთუ, თუ აღმოჩნდა კიდეც, რომ ეს ყველაფერი შეთხზულ-გამოგონილი და მტკნარი სიცრუეა, ეს დიდად სახიფათო არაა. ურწმუნოებმა კი, არის საშიშროება, ჯოჯოხეთში ამოყონ თავი. ამ გარემოებითვე შეიძლება აიხსნას ჩინელების ფრიად გულგრილი და მშვიდი დამოკიდებულება სხვა ხალხების რელიგიათა მიმართ. განსაკუთრებული საბაბის გარეშე თუ აწყენინე ქრისტიან კაცს, ვაითუ, შემთხვევით, ქრისტიანულ ჯოჯოხეთში ამოჰყო თავი, შენს გარეშემო კი ერთი მახლობელი ადამიანიც არ ჭაჭანებდეს, მამინ ხომ უეჭველად დაზარალდები.

მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, რარიგ ბუნდოვანიც არ უნდა ჩანდეს საქმე, რელიგია არ ითმენს მიკიბულ-მოკიბულ პასუხს, საკითხის გადაჭრას გინდ ასე და გინდ ისე. რელიგია მოითხოვს გადამჭრელ, პირდაპირ პასუხს: ან ჰო, ან არა.

ვთქვათ, ადამიანმა დაკარგა ყველა და ყველაფერი. მან მხოლოდ შინაგანი სულიერი ძალების იმედით უნდა განაგრძოს არსებობა, მხოლოდ ეს დაეხმარება, რათა მხნეობა მოიკრიბოს, დანარჩენს კი მომავალი უჩვენებს. ჩინეთში ასეთი რამ იშვიათობაა. ჩინელებს სწამთ და სჯერათ მცნებისა: „ოფლითა შენითა მოიპოვე პური შენი, იშრომე, რაც ძალი და ღონე გაქვს, თანდათან სულ უფრო და უფრო აღმაღლდები.“

მაგრამ დაცემულნი, თუკი დაეცნენ, დაცემულებმა, წარწყმედილებმა, საეჭვოა წამოდგომა შეძლონდა. იქნებ ამიტომაცაა, რომ ჩინურ გაზეთებში დღენიადაგ იმეორებენ ედისონისა თუ ფრანკლინის სიტყვებს: „მარცხი დედაა გამარჯვებისა“.

მართალია, ჩინელი აღიარებს, რომ დამარცხდა, მაგრამ იგი დარწმუნებულია, რომ მართალი იყო და მიზანიც საუკეთესო ამოძრავებდა. ასეთ შემთხვევაში იგი ამბობს – გამარჯვებისთვის ხელსაყრელი დრო არ ყოფილაო. ჩინელმა კარგად უწყის – ზეცა არასოდეს არაა დამარცხებულის მხარეს. „ზეცა“ ჩინელი სწავლული ფენის წარმოდგენით ემთხვევა თანამედროვე გაგებით „ბუნებას“, რომელიც დიადია, თავისთავადი, საკუთარი გზით მავალი. მას არაფერი აქვს საერთო ქრისტიანულ კეთილ ღმერთთან. ამაში დაბალი ფენის რელიგიამ ზეცის შესახებ განსაზღვრული საზოგადოების წარმოდგენის ზეგავლენა განიცადა: ნებისმიერი დანაშაული უნდა დაისაჯოს, იმიტომ, რომ ნებისმიერი დანაშაული ბუნებრიობას ეწინააღმდეგება, მისი განვითარების დამაბრკოლებელია, ხოლო ცალკეული კეთილშობილური ქმედებები აუცილებელი როდია წახალისდეს.

მართალია ნათქვამია „ზეცა არასოდეს ბოლომდე არ განირავს ადამიანს“, მაგრამ, როცა ჩინელი მართლაც აღმოჩნდება უკიდურეს გაჭირვებაში, მათხოვრად იქცევა, გამოსავალი ხომ თითქმის არ არსებობს. მაშ, რაღა ეხმარება, სულს რაღა უმაგრებს სასოწარკვეთილ ჩინელს? თავისი საწარმოება მას მხოლოდ და მხოლოდ განუმარტავს: „წარსული ცხოვრების ცოდვებმა გინია“, მორჩა და გათავდა! ნუთუ სხვა აღარავითარი შვევა არ არსებობს?

ლატაკი არ გახლავთ ადამიანი. კონფუციანელთა ადამიანური წრე მეტისმეტად ვიწროა, ძალზე შეზღუდული. ამ მოძღვრებაში ადამიანის სტატუსი განისაზღვრება მათ შორის არსებულ ურთიერთობათა გათვალისწინებით, მაგრამ ეს ურთიერთობანი შემოფარგლულია ხუთი ურთიერთდამოკიდებულებით. უღარიბესი მოსახლეობა კონფუციის მოძღვრებას არ მიმართავს, რამეთუ ამ მოძღვრებაში იმთავითვეა განსაზღვრული – თუკი ჯიბეში ფული არ გიჩხრიალებს ან, თუკი ერთი გოჯი მინა მაინც არ გაგაჩნია, რათა ოჯახი დააპურო და ამ გზით მიესადაგო საზოგადოებრივი წყობის წესებსა და მოთხოვნებს, მაშ, საზოგადოების წევრობის ღირსი არც ყოფილხარ. ღარიბ-ლატაკი, მათხოვარი და უპოვარი ოჯახს ვერ შეინახავს. ცარიელ-ტარიელა, ულუკმაპურო კაცს მხოლოდ ისლა დარჩენია, იმათხოვროს, იჩივლოს, ივიშიშოს, იგლახაკოს, რაც ზნეობას აზარალებს. ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ უმწეო, ლატაკი, უქონელი ფენა კონფუციის მოძღვრების მიღმა დატოვებს, გარიყვს.

მაგრამ ღარიბი კაცი და სავსებით უპოვარი ერთი და იგივე ხომ არ არის. ადამიანთა ეს კატეგორია დედამიანის ზურგზე ყველაზე მორწმუნეა, ვინაიდან იმედოვნებს, რომ მოთმინებისათვის მერმისი დააჯილდოებს. ჩინელი უპოვარი შეჭირვებულიცაა, საზრუნავიც – თავსაყარი, იმედიც – დაშრეტილი, აკრძალვაც – ათასგვარი, ხოლო პასუხისმგებლობა კი ზომამდე მეტი აკისრია. მით უფრო მძიმედ განიცდის ეს ბეჩავი სულებისა და წმინდანების, მათი აუარებელი ნაირსახეობის, ათასნაირი ჯურის ეშმაკეულისა და მაქციის გამუდმებულ, ჩასაფრებულ, დადარაჯებულ თვალთვალს.

არც მომაკვდავი, სულთმობრძავი კაცი გახლავთ ადამიანი. ტკივილი, პირადი სამყაროს გამძაფრებული აღქმა მას იძულებულს ხდის განერიდოს ხალხს. მისთვის თანაგრძნობა და თანაღმობა ცოტას ნიშნავს, იქნებ, საერთოდაც არ კმარა. ჩინეთში ძალზე მწირადაა შესწავლილი სამარის პირას მისული ადამიანის გრძობა-განცდები. მხატვრულ ლიტერატურაში მხოლოდ და მხოლოდ სასიკვდილოდ გადადებული კაცის გარემომცველი ადამიანების, მახლობელ-ნათესავთა გრძობა-ფიქრებია აღწერილი. ამიტომ ხდება, რომ ასეთი შინაარსის ეპიზოდები გროტესკით, ზოგჯერ იუმორითაა შეფერილი, კიდევ მეტი – დამცინავიც კია ხოლმე. მაგალითისათვის გავიხსენებ ეშმაკეულს, იმქვეყნიურ პოლიციელ უ-ჩანგს. ეს არის უხამსი, საზიზღარი ხუმარა, თეთრ სამოსში გამოწყობილი, თავზე მალაღი, წვეტიანი ჩაჩი აქვს ჩამოფხატული, ჩაჩს კი ამშვენებს წარწერა: „სიმდიდრე, ქონება მომეზღვება“.

ჩინელებს ნაკლებად აინტერესებთ სიცოცხლის ნივთიერი არსი. და თუ დაინტერესდნენ კიდევ, ამაზე ფიქრსაც კი გაურბიან, დიდად ვერც ბედავენ. საქმე ისაა, რომ მიაჩნიათ, რეალური ცხოვრებისგან მეტისმეტი დაშორება ხიფათის მომტანია, ათასგვარ ეშმაკეულსა და უწმინდურს ხელენიფება ფიქრის ჭუჭრუტანში შემოგიძვრეს, გიჯობს საბაბი არ მისცე. აი, ასეთ ვიწრო სივრცეზეა მიპყრობილი ჩინელის დაყინებული მზერა. ნითელი ფარნის შუქი რელიგიის ასეთ სივრცეს ეცემა ოდენ. იმას, რაც ჩინელის თვალწინაა გადაშლილი, იმას, რასაც იგი ნათლად, მკაფიოდ ხედავს და, ამდენად, გასაგებიცაა და სასიამოვნოც. და ამის გარდა, რჩება მხოლოდ გაურკვეველი, ბუნდოვანი, ყოველგან და მარად დამკვიდრებული კაეშანი. გარშემო ყველგან სიცარიელე სუფევს, სიცარიელესა და ამაოებას მოუცავს ყოველივე. როგორც იენ ს'ნიაო ბრძანებს: „დაიბანე ხელი, დაიმშვენე ფრჩხილი, შეიმოსე ფეხი, რათა ზილო და ზილო ტალახი“.

მთარგმნელებისგან

ჩინური ლიტერატურის კლასიკოსის, XX ს. სახელმწიფო მწერლის, ჭანგ აილინ-ის ნაწარმოები ქართველ მკითხველს პირველად ხვდება. ამდენად, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ თარგმანისთვის დაგვერთო

მწერალი ქალის შესახებ მცირეოდენი ცნობები.

ჭანგ აილინ-ი დაიბადა 1920 წ. 30 სექტემბერს ქ. შანხაიში. აილინ-ი მწერლის ფსევდონიმია. მისი ნამდვილი სახელია ჭანგ ინ-ი. მომავალი მწერალი აღიზარდა კონფუციელთა ტრადიციულ ოჯახში. მისმა განათლებულმა და მაღალინტელიგენტურმა მშობლებმა ჩინეთსა და უცხოეთში მიიღეს განათლება. ჭანგ აილინ-ი ქ. შანხაისა და ქ. ჰონკონგის ქრისტიანულ სასწავლებლებში სწავლობდა, თუმცა, ქრისტიანობა არ მიუღია. შემდეგ სწავლა ჰონკონგის უნივერსიტეტში განაგრძო. მწერლობისა და მხატვრობის ნიჭი ადრეულ ასაკში გამოამჟღავნა. სამწერლო ასპარეზზე ჯერ კიდევ 9-10 წლის ასაკში გამოვიდა. ამ ადრეული, პირველივე ნაბიჯებით მიიპყრო საზოგადოების ყურადღება და დიდი მოწონებაც დაიმსახურა. ბეჭდვაც საკმაოდ ადრე დაიწყო. ყველაზე ადრეულმა ნოველამ „ოქროს კლიტე“, რომელიც 1943 წ. გამოქვეყნდა, საყოველთაო აღიარება მოუტანა და იმიერდან წარმატება არ მოჰკლებია.

თავისი დროის მწერლებისგან ჭანგ აილინ-ი განირჩევა ფართო თვალსაწიერითა და შემოქმედებითი ინტერესების მრავალმხრივობით, მშობლიური ჩინური ენის, ლიტერატურის, თეატრისა და დრამატურგიის ღრმა ცოდნით. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ გაითქვა სახელი მონოგრაფიებით შუა საუკუნეების ჩინური ლიტერატურის შესახებ. მისი მონოგრაფია, რომელზეც შეიდ წელს იმუშავა, მიეძღვნა ჩინური ლიტერატურის უდიდესი მნიშვნელობის მქონე რომანს – „სიზმარი წითელ სასახლეში“. ამ ნაშრომმა მას ერთ-ერთი ყველაზე კომპეტენტური ავტორის სახელი მოუხვეჭა. ასევე ფართო ინტერესის საგანი გახდა მისი გამოკვლევები შუასაუკუნოვანი ჩინური რომანების შესახებ, რომელთა შორის გამოსაყოფია „მოგზაურობა დასავლეთში“.

ჭანგ აილინ-ი 23 წლის ასაკში გათხოვდა ფრიად განათლებულ ადამიანზე, ფილოლოგ ჰუ ლანჩენგ-ზე, რომელსაც უმაღლესი ცოდნა ევროპულ უნივერსიტეტებში ჰქონდა მიღებული. მეუღლეზე 15-16 წლით უმცროსი იყო. ეს ქორწინება უიღბლო აღმოჩნდა. მეუღლეთა პოლიტიკურ შეხედულებებში სხვაობამ თანდათან სულ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო და 1945 წ. ცოლ-ქმარი საბოლოოდ დაშორდა ერთმანეთს.

1952 წ. ჭანგ აილინ-ი გაემგზავრა აშშ-ს, სადაც 1955 წ. ხელმეორედ დაქორწინდა. ინგლისურ-საქსონური წარმომავლობის ამერიკელი მეუღლე განათლებული, ინტელიგენტი ადამიანი, გატაცებული იყო ჩინური კულტურით, გამორჩეულად ჩინური თეატრით. სწორედ ამ გარემოებამ დააახლოვა კიდევ მომავალი მეუღლეები. ჭანგ აილინ-ის მეუღლე თავადაც ეწეოდა ლიტერატურულ საქმიანობას, იყო დრამატურგი, ბერტოლდ ბრეხტის ერთ-ერთი პირველი ამერიკელი თავყვანისმცემელი და პროპაგანდისტი. მეუღლეები აშშ-ში დამკვიდრდნენ.

უცხოეთში ჭანგ აილინ-მა აქტიური შემოქმედებითი მოღვაწეობა გააჩაღა. ჩინურთან ერთად ინგლისურადაც უჭრიდა კალამი და მალე ორენოვანი მწერლის სახელი დაიმკვიდრა.

მწერალს გამოქვეყნებული აქვს ათეული რომანი, ასეულობით ესსეი. მათ შორის განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვეს რომანებმა: „ნახევარი სიცოცხლის კარმა“, „სიყვარული, რომელიც ქალაქებს ანგრევს“, „ოქროს გულქანდის ჩანაწერი“, „წითელი ვარდი და თეთრი ვარდი“. მწერალი ქალის მრავალრიცხოვანი რომანებისა და მოთხრობების ძირითადი თემა სიყვარული, ქალსა და მამაკაცს შორის ურთიერთობა, ცხოვრებისეული თავგადასავალია. ლექციებს კითხულობდა სინოლოგიაში, იყო კინოკრიტიკოსი და თავადაც წერდა კინოსცენარებს. მთელი სიცოცხლის მანძილზე არ შეუწყვეტია მშობლიური ლიტერატურის სიღრმისეული შესწავლა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მას ადრევე ჰქონდა დაწყებული. ამდენად, არც მისი მეცნიერული ნაყოფიერებაა გასაკვირი. მისი აქტიური ინტერესის საგანი იყო ჩინური ოპერა („პეკინური ოპერა“). აქვეა აღსანიშნავი ჭანგ აილინ-ის ლიტერატურულ ინტერესთა ფართო წრეც, რომელიც მშობლიური ჩინურის გარდა ევროპულსა და რუსულ ლიტერატურასაც მოიცავდა.

ჭანგ აილინ-ს უმაღლის 30-40-იანი წლების ჩინელი ახალგაზრდობა დასავლური მხატვრობის გაცნობას. თავად მას გამორჩევით ყვარებია სეზანი. მანვე გააცნო ჩინეთს აისედორა დუნკანის შემოქმედება. შესწავლილი ჰქონდა აშშ-ს ბიბლიოთეკებში დაცული ჩინური პენცენ-ები და უფრო გვიანდელი დროის რომანთა ხელნაწერები.

ჭანგ აილინ-ის ყურადღება მოდის სფეროსაც შეეხო, მაგრამ იგი არ შემოფარგლულა მხოლოდ და მხოლოდ თანამედროვე სამოსის საკითხებით, აშუქებდა, აგრეთვე, ეთნიკურ პრობლემებს, სხვადასხვა რასათა ტრადიციების, ნეს-ჩვეულებებისა და მათ შორის მსგავსება-განსხვავების საკითხებსაც.

ჭანგ აილინ-ი არცთუ ურიგო მხატვარია. მისი ნახატების გმირები, უმეტესწილად, მისივე ნაწარმოებების პერსონაჟები არიან. გატაცებული იყო მოდელირებითა და ინტერიერის პროექტებით. როგორც სამშობლოში, ისე აშშ-ში მას იცნობდნენ, როგორც ფაქიზი გემოვნების ადამიანს, რაც არა მხოლოდ შემოქმედებაში, მხატვრობასა და პროექტებში, არამედ მის ჩაცმა-დახურვის სტილსა და მანერაშიც ვლინდებოდა. თანამედროვენი ჭანგ აილინ-ის ბინის მოწყობილობის, ავეჯისა და სხვა ყოფითი აქსესუარების შერჩევისას მისი პატრონის დახვეწილ გემოვნებასაც აღნიშნავდნენ.

გარკვეული დროის მანძილზე მწერლის შემოქმედება განიხილებოდა როგორც „ქალური“, „მემჩანური“, „ქალურ-წერილობურუაზიული“. სიცოცხლის ბოლოსკენ კი, გარდაცვალებამდე 10-15 წლით ადრე, ჭანგ აილინ-ი XX ს. ჩინური ლიტერატურის კლასიკოსად აღიარეს.

ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლა. მისი ნაცნობ-მეგობრების გადმოცემით უალრესად თავმდაბალი და მოკრძალებული ადამიანი გახლათ. ეს სახელგანთქმული ქალბატონი არასოდეს ესწრაფვოდა საზოგადო მოღვაწის სახელის მოხვეჭას, პოლიტიკოსობას, ბომონდის „ლომობას“, თუმცა ეს ყოველივე მისთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა. არასოდეს გაჩენია სურვილი შემკულიყო XX ს. კლასიკოსის ტიტულით, რაც სავსებით დამსახურებული ჰქონდა. მორიდება, მოკრძალება, თავმდაბლობა მისი ცხოვრების მთავარი მახასიათებელი იყო. ყოფაში, ჩაცმა-დახურვასა და თავისი საცხოვრისის მოწყობაში ფაქიზი გემოვნების მქონე, არასოდეს გაჰკიდებია ძვირფას, ძვირადღირებულ ნივთებს. სულიერებას, სულიერ სიმდიდრეს კი მარად ესწრაფვოდა. მეგობართა ვინრო წრე ჰყავდა შემოკრებილი.

გარდაიცვალა უჩუმრად, მარტოდმარტო, ხალიჩაზე მყუდროდ მოკალათებული, თბილ შალში გამოხვეული, წიგნით ხელში. ეს მოხდა 1995 წ. 8 სექტემბერს.

ჭანგ აილინ-ის გარდაცვალებით XX ს. ჩინური ლიტერატურის მატრიანეში გადაიფურცლა კიდევ ერთი თავფურცელი, გადაიფურცლა მაშინ, როცა ჩინეთი, როგორც არასოდეს მანამდე, მიმართული იყო დასავლეთისაკენ. ამიტომ, ვფიქრობთ, მწერლის ფიქრები ჩინური რელიგიის თაობაზე საინტერესო უნდა იყოს იმ უცხოელთათვის, ვინც, საზოგადოდ, დაინტერესებული არიან ჩინური კულტურით, რელიგიით, ისტორიითა და განსაკუთრებით საკითხით – „არსებობს თუ არა ჩინური რელიგია?“.

ჭანგ აილინ-ის ესეი „არსებობს თუ არა ჩინური რელიგია?“ არც თეორიული ნაშრომი და არც მეცნიერული გამოკვლევა. ნაწერი გამსჭვალულია იუმორითა და თვითკრიტიკული განცდით. ამასთანავე, ვფიქრობთ, ჩინეთთან დაკავშირებულ საინტერესო ინფორმაციასაც უხვად შეიცავს.

მწერალი ესეის დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ მისი „პანია სამშენისი“ განკუთვნილია უცხოელთათვის. ნაწერში ამკარად იგრძნობა მწერლის პირადი ცხოვრებისეული გამოცდილება, თანამემამულეებთან ურთიერთობით შეძენილი ცოდნა და, ამასთანავე, უცხოელებთან კონტაქტის შედეგიც. ეს ყველაფერი კვალს ტოვებს ნაწერზე. ამდენად, ესეი არ უნდა მივიჩნიოთ საყოველთაოდ ცნობილ, ერთხმად აღიარებულ ჭეშმარიტებად, თუმცა, სიმართლის წილი მასში, რალა თქმა უნდა, ძვეს და ამკარადაც შეინიშნება.

ჭანგ აილინ-მა საკუთარი ნაწერი ინგლისურად თვითონვე თარგმნა და სიცოცხლეშივე გამოაქვეყნა. ჩინელი ავტორის ნაწარმოებმა ინგლისურენოვანი მკითხველის დიდი ინტერესი გამოიწვია.

დასასრულ გავიმეორებთ, ჭანგ აილინ-ი ჩინურიდან ქართულად პირველად ითარგმნა. ვიმედოვნებთ, რომ მწერლის ესეი ისევე დაინტერესებს ქართველ მკითხველს, როგორც გაიტაცა ათასობით ამერიკელი და ევროპელი მკითხველი.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ე ბ ი

კეკუ – დამკვიდრდა საზოგადო სახელის სახით. აქ საუბარია შუა საუკუნეების ჭკუისდამრიგებლურ ლიტერატურაზე, რომელიც სუნგ-ის ეპოქაში (X-XII ს.ს.) ნეოკონფუციურ მოძღვრებას ემყარებოდა. ეს მოძღვრება აკანონებდა წინაპართა პატივისცემის გამოხატვის ფორმებსა და საშუალებებს. მშობელთა პატივისცემის გამოხატვის ერთ-ერთი ამბავი მოგვითხრობს, თუ როგორ ჩამოიჭრა ვაჟიშვილმა თავისი ბარდაყიდან ხორცის ნაჭერი, რათა ავადმყოფი მშობელი სიკვდილისგან გადაერჩინა, საკუთარი ხორცისგან მომზადებული წვნიანი კერძი მიერთმია მისთვის, როგორც ეს ექიმმა ურჩია. მშობელთა პატივისცემის ზღვარგადასული გამოვლენის ეს ამბავი ძველ ჩინეთში ფართოდ იყო ცნობილი.

ჭენ ჭუ ფაი – ფირფიტები, რომლებზეც გარდაცვლილთა გვარ-სახელება ჩამოთვლილი. ამ ფირფიტებს წინაპართა სულის მოსახსენიებელ ცერემონიაზე პატივს მიაგებდნენ. სახელ-გვარების, ჰოროსკოპების, თანამდებობებისა და ცხოვრების უმთავრეს მოვლენათა ჩამონათვალის ფირფიტები ინახებოდა თითოეულ ოჯახში. ჭფირფიტები განკუთვნილი იყო ორივე სქესის წარმომადგენლთათვის. მათ, ტრადიციული ცერემონიის შესაბამისად სულის მოსახსენიებელ პანაშვიდსაც უხდიდნენ. ეს ტრადიცია აიკრძალა 1911 წ., ესე იგი ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ, თუმცა მივარდნილ რაიონებში 1950-იან წლებამდე შენარჩუნებული იყო. ამჟამად ეს ტრადიცია სავსებით გამქრალია. ჭფირფიტები კი შემონახულია მხოლოდ მუზეუმებსა და ტაძრებში, იქაც იშვიათობაა. იეროგლიფური წარწერებიანი ფირფიტები უძველესი ჩინეთის ყოფა-ცხოვრების მართლაც რომ საგულისხმო შემადგენელი ნაწილი იყო. ოჯახებში, ბინებში მათ საპატიო ადგილი ჰქონდა მიჩნეული. ფირფიტები არანაკლებ 5-6 თაობის ჩამონათვალს იტევდა, მაგრამ უფრო მეტიც არ ყოფილა იშვიათობა. ასე მაგალითად, კონფუციის საგვარეულო 80 თაობას მოითვლის, ხოლო ფირფიტაზე 40 000 სახელი მაინცაა მითითებული. რა თქმა უნდა, ასეთი უხნესი ფირფიტები ახლა აღარც არსებობს, რადგან ისინი ძირითადად ხის, ხან კი სპილოს ძვლის მასალისგან მზადდებოდა და ათასგვარი სტიქიური უბედურების, ომების, შემოსევა-დარბევებისა თუ სხვა მიზეზთა შედეგად განადგურდა. და მაინც, შთამომავლობის ჩამონათვალის უძველესი ფირფიტები, ცალკეულ ოჯახებში ან, როგორც ითქვა, მუზეუმების საცავებსა და ტაძრებშია შემონახული.

ლიუი პუ, ტიაოჩ ანი, სუ ს ანი – ისტორიული პიროვნებები, რომელთა ცხოვრების ეპიზოდები ვრცლად აისახა უძველესი ნოველებისა და მოთხრობების, დრამებისა და ოპერების კლასიკურ სიუჟეტურ ქა-

რგაში, ასევე პეკინური ოპერის ჟანრშიც. ლიუი პუ ცხოვრობდა ხ ანის დინასტიის ეპოქაში, გამოირჩეოდა გაბედულებითა და სიმამაცით, იყო კეთილშობილი წარმოშობის, სახელგანთქმული მხედართმთავარი. მას შეუყვარდა ვანგ იუნ-ის ხარჭა, ლამაზი და ნიჭიერი ქალი, ტიაოჩ ანი. ვანგ იუნ-ი იძულებული შეიქნა დაეთმო თავისი ხარჭა ლიუი პუ-სთვის, რომელმაც ტიაოჩ ანი ცოლად შეირთო. შემდეგ მოხდა ისე, რომ უზურპატორსა და ჰეგემონ ტუნგ ჭუო-ს ასევე გულში ჩაუვარდა ტიაოჩ ანი. ვანგ იუნ-მა აიღო და ტიაოჩ ანი აჩუქა ტუნგ ჭუო-ს. ამით დაიწყო განხეთქილება ლიუი პო-სა და ტუნგ ჭუო-ს შორის. ვანგ იუნ-მა, ვინც ხ ანის დინასტიის ერთგული მოხელე იყო, ეს საქციელი ბოროტი წინასწარგანზრახვით, უზურპატორის საწინააღმდეგოდ ჩაიდინა. საბოლოოდ ლიუი პუ-მ ტუნგ ჭუო მოკლა. ამ შინაარსის ერთ-ერთი ვარიანტი საფუძვლად უდევს პიესას, რომლის დედააზრია შეყვარებული მამაკაცის განცდათა დაცინვა. სუ ს ანი, ასევე ისტორიული პიროვნებაა, იგი უსამართლობის მსხვერპლია. ამ ქალიშვილის თავგადასავალი იწყება ჩაუდენელი დანაშაულის გამო მისი გადასახლებით შორეთში. ეს პიესაც ათასგვარი ვარიანტის სახითაა გავრცელებული. ერთ-ერთია პეკინური ოპერა „სუ ს ანის ტირილი“, საიდანაც ძალზე ცნობილია არია „სუ სან, ნუ ტირი!“ ამ არიის ტრაგიკომიკური შინაარსი სრულიად არ შეესაბამება დაკრძალვის ცერემონიას. სწორედ ამიტომაც, რომ, როგორც აბსურდულობის ნიშანი, მწერალს მოჰყავს ეს მაგალითი.

კაო ციაო – ადგილი, უბანი, რაიონი ქ. შანხაიში.

შაოსინური ოპერა – პროვინცია ჭ'ძი ანის ქალაქ შაოსინ-ის საოპერო ჟანრი. აქ საუბარია ჭეძიან-ურ ოპერაზე „ლი ანისა და ჭუ-ს სიყვარულის ამბავი“.

ლინ იუიტანგ-ი – მწერალი, ლინგვისტი, XX ს. დასაწყისის ბურჟუაზიულ-რეფორმატორული მიმართულების ტიპური წარმომადგენელი.

ძაფის გორგალს ახვევენ – აქ იგულისხმება XIX–XX ს.ს. მიჯნაზე ჩინეთში შემოსული ჩხირებით ქსოვა, რაც მანამდე ჩინური ყოფისთვის უცნობი იყო. მიანიშნებს ჩინური წვრილბურჟუაზიული საზოგადოების ევროპეიზაციასა და ამერიკანიზაციაზე, დასავლური ფემინისტური მოძრაობისა და დემოკრატიული იდეების ახლად დამკვიდრებული, მოდაში ახლადშემოსულ ევროპული ცხოვრების ყაიდის იდეალისტურ წარმოდგენებზე, რაზეც ავტორი სარკაზმითა და იუმორით საუბრობს.

იენ ნ'ძიაო – XX ს. დამდეგის მწერალი.

ჭენგ ცინ-ი (მოძველებული) გულისხმობს შემდეგს: I. ბუნებრივ სიკვდილს და არა სიკვდილს დასჯის მიზნით, ან სხვისი ხელით მოკვდინებას. II. გარდაცვლილი დასაფლავებამდე იმყოფება „კანონიერ საძინებელში“, „კანონიერი პატრონის ოთახში“, ანუ იქ, სადაც მას მინიჭებული აქვს ყოფნის სრული უფლება და სადაც მას შთამომავლები, მემკვიდრეები, სათანადო პატივისა და ყურადღებას მიაგებენ.

მთარგმნელები ლიუ-ყანდარელი კუანგვენი, რუსუდან ქუთათელაძე



ბებოს ვარსკვლავი

奶奶的星星

ვეხუტები ბებოს, ვუზივარ კალთაში, განგმირულად ვლრიალებ, ფეხებს ვიქნევ და დროდადრო რაც ძალა და ღონე მაქვს ვჭიმავ; ეს ჩემი პირველი შთაბეჭდილებებია. აღარც კი მახსოვს ამ გულშემზარავი და ტრაგიკული მომენტის მიზეზი. ჩემს პირდაპირ ფანჯრის გარეთა კედელში ჩამოფხავებულია და კირის თეთრი ლაქა მოხუცი კაცის სახეს მივამსგავსე. ბებო მიხუტებს და სიყვარულით ხელს მიცაცუნებს, თან მიჩურჩილებს „იუ-იუ“, რაც მეტს მეფერება, გული მით უფრო მიჩუყდება.

მისმინე – უეცრად მითხრა – მისმინე, გესმის? ...

მე ყური მივუგდე, გავჩუმდი და მართალაც გავიგონე მშვენიერი ხმა, რომელიც თითქოს ჰაერში დაფრინავდა. ნელ-ნელა ეს სიამოვნება ბებოს მკერდზე მშვიდ ძილში გადაიზარდა. მე ბებოამ გამზარდა. ხშირად ეუბნებოდნენ ჩემს თანასწორებს:

ისინი ვინც ბებოს გაზრდილები არიან, არასოდეს ივინყებენ ბებოს.

ამ დროს უკვე თითქმის საზრიანი ვიყავი, ბებოს ფეხებს ავეკრობოდი და მოსაუბრეებს ბოროტად ვაშტერდებოდი, თან ვფიქრობდი: „ერთი შეხედე რა საძაგელია“, ანუ ბავშვის ენით: „ნუთუ, ეს შენი პირიდან უნდა გავიგოვო?!“

ბებოც იმ დროს სიცილით მაგრა ჩამიხუტებდა, თითქოს დღევანდელიობითაც კმაყოფილი იყო და ამბობდა:

აბა ამ დროს მე რას მოვესწრებო!

რა დროს? – ვეკითხებოდი მე და მთელი გულით ვიციხოდ. თუმცა, ყოველთვის მეგონა, რომ სინამდვილეში ბებო სულ სხვანაირად ფიქრობდა.

ხშირად ვფიქრობდი, რა საჩუქარი მეყიდა ბებოსათვის ფულს რომ ვიშოვნე. მამაჩემი უფროსი ვაჟი იყო და როცა რამეს აჩუქებდა, ან მისი ძმები უყიდნენ საჩუქარს, ბებო ამბობდა:

არ იყო საჭირო ასეთი ხარჯი.

ბებოს ზურგი და წელი აწუხებდა, დღის ბოლოს საწოლზე წვებოდა, მეც ფეხების ბაკუნით გადავურბენდი ზურგზე და ამგვარად ვზელდი. მეც ძალიან მომწონდა და ბებოც მეუბნებოდა:

პანანუნა ფეხუნები, პანანინა ფეხუნები, იფ-იფ რა კარგია.

მე რა თქმა უნდა მალე მბეზრდებოდა ეს შრომა, ძალიან გრძელი მეჩვენებოდა მისი წელი. თან ვკითხულობდი:

არ გეყოფა?

ერთი ორჯერაც გადამირბინე – მპასუხობდა.

მე დიდი ნაბიჯებით ვცდილობდი მომეთავებინა:

მორჩა? მორჩა?

სასწრაფოთ ჩამოვხტებოდი იატაკზე და გზადაგზა ფეხზე ვიცმევდი... მერე ვეკითხებოდი:

რომ გავიზრდები, მერეც უნდა ვირბინო შენ ზურგზე?

რას ამბობ, ხომ გადამთელავ.

მერე ისევ ვკითხავდი:

რატომ არ გინდა იმ დროს დაელოდო?

მოხუცი ვარ და მალე მოვკვდები.

მოკვდები და რა?

რა და ძალიანაც, რომ მოგინდეს ველარ მიპოვნი.

აი იქ კი ვჩუმიდებოდი და ვეხუტებოდი. ნუთისოფელი ერთ-ერთ შემზარავ შთაბეჭდილებას მიმზადებდა.

ერთ ზამთარს, ტკბილი ძილის მერე გამეღვიძა, ბებო არ ჩანდა. მე ფანჯარას ავეკარი და ხმამალა ვეძახდი. გარეთ ქარი ხმაურობდა.

ბებო ბებიდას სანახავად წავიდა.

მე არ დავიჯერე, იქ ხომ ყოველთვის ერთად დავდიოდით... მთელი დღე ვტიროდი. ეს ამბავი ჩემებს არასოდეს დავინწყებიათ. არავინ იცის რა აზრები მანუხებდა, რას ვფიქრობდი. როდესაც ბებოს ჩემი შეშინება უნდოდა უთქვამს:

არ დამიჯერებ და მოვკვდები.

ერთი ზაფხულის ღამეს ცა ვარსკვლავებით გაივსო. ბებოს ზღაპრები ჩვეულებრივ ზღაპრებს არ ჰგავდა, ყვებოდა, რომ როდესაც ვინმე კვდებოდა, ცაზე ახალი ვარსკვლავი ჩნდებოდა:

ადამიანი კვდება და ვარსკვლავი ჩნდება.
ეს ვინ არის? რატომ ვარსკვლავი? რატომ?
ხალხს, რომ გზა უკეთ გაუნათონ.

ერთხელაც ეზოში ვისხედით, ჟასმინი ყვაოდა, ყვავილები პატარა საყვირებს მივამსგავსე, ვუბერავდი და ვცდილობდი ხმა გამომეშვა. ბებო ბანანის ფოთლისაგან დაწნილ მარაოს ინიავენდა და თან კოლოს აფრთხობდა. გრილი ნიავი, ლურჯ ცაზე ბრჭყვიალა ვარსკვლავები – სამუდამოთ დარჩა ჩემს მესსიერებაში. უამრავი წელი გავიდა ბებოს გარდაცვალებიდან, მაგრამ მე ის სულ მახსოვს. ბავშვივით ვუცქერ ზაფხულის მოჭედილ ცას და ვეძებ ბებიას ვარსკვლავს... ნელ-ნელა მახსენდება მისი მოყოლილი მითები და ვრწმუნდები, რომ გარდაცვალების ვარსკვლავები მგზავრებს უნათებენ. იქნებ ის დიდი ვარსკვლავია ბებიასი ან იქნებ სულაც ჩირაღდანი ან ჩამოღვენილი სანთელი...

ბებიას პატარა ფეხები ჰქონდა. როცა ფეხს იბანდა, ცდილობდა სხვას არ დაენახა. მე კი ბებიას „ჩრდილს“ ვერაფრით მიშორებდა.

რას მომაშტერდი! წადი ეხლა და დედას ეთამაშე!

მე კი ჩაცუცქულს მისი ტაშტის წინ, წასვლა არაფრით არ მინდოდა. ეს ფეხები მართლაც სიმახინჯე იყო, გეგონებოდა ცერა თითი პირდაპირ ქუსლზე ება.

გტკივა? – ვეკითხებოდი მე.

უკვე დიდი ხანია აღარ მტკივა, მაგრამ თუ მივარტყი რამეს ამტკივდება.

ყოველთვის მინდოდა შევხებოდი მის ფეხებს, მაგრამ მეშინოდა არ ტკენოდა. მხოლოდ თითით წყალს მოვურევდი ხოლმე.

ეს რა სატანჯველია, ხედავ? – მე კი თანაგრძნობით თავს ვუქნევდი. – ამიტომ როგორც კი დაგიძახებ, მაშინვე უნდა მოხვიდე, მე ვერ გდევ შენ. გესმის?

მე შიშით ვუცქერდი ფეხებს, თავს ვუქნევდი და ვუქნევდი. დედა სხვა ოთახში ძლივს იკავებდა სიცილს, მომიახლოვდა და გამიყვანა. ბებო კი ბუძლუნს აგრძელებდა:

დედაშენი კარგ დროს დაიბადა და თქვენც სულ ყველანი.

ლამე ბებოს გვერდით მეძინა. ხელში გრძელი ტილოს სახვევი მეჭირა და მთელი ძალით ვექაჩებოდი. ფეხები ამ ტილოში ჰქონდა გახვეული. თან იმ ბოროტ არსებაზე ვფიქრობდი, რომელიც „ფიფქიაში“ კაუჭა ცხვირით და ცისფერი სახით წარმომედგინა.

დედაშენი ალქაჯია! – ვეუბნებოდი და მის ნიკაპს მთელი ძალით თავით ვესობოდი, მას ეცინებოდა, მერე ოხრვით მეუბნებოდა:

დედაჩემს ეგონა, ჩემთვის კარგს აკეთებდა.

ტრაკი ქვა! – წამოვიძახე. სხვა დროს ამ სიტყვებისათვის გამიბრაზდებოდა, ახლა კი ყურადღებაც კი არ მიაქცია.

ჩემი გვარი ში არ არის! ჩემი გვარი ფინგ-ია! – ვყვიროდი მე.

ფინგ-ი ბებიას ქალიშვილობის გვარი იყო. ჩემი მშობლები კი მეორე ოთახში იცინოდნენ. მე კი არ მესმოდა ეს სიცილი ნაძალადევი რატომ იყო და არა გულიანი როგორც ყოველთვის.

ში მამასახლისების ოჯახი იყო, დედაჩემს ეგონა ფუფუნებაში და განცხრომაში მაცხოვრებდნენ ბედნიერად... – ბუზლუნებდა ბებო. თანაც ბედნიერებას „ფუ“ ,1 მესამე ტონში ამბობდა.

რა იყო ასეთი ცუდი შიების ოჯახში? რატომ ასეთი ზიზღით, ვფიქრობდი მე და თან თავს ვირწმუნებდი, რომ ში არ ვიყავი.

მთვარე ფანჯარას ანათებდა, მრავალი პატარ-პატარა ოთხკუთხედა ჩარჩოებით. მშვენიერი ვაშლის ხის ჩრდილი კი ამ ჩარჩოს ევლებოდა. ქუჩიდან მოხეტიალე ვაჭრების განელილი და ძნელად გასარჩევი ხმა ისმოდა, ვერ გაიგებდი რას ყიდდნენ. ბებოს თვალცი არ დაუხამხამებია, დაძაბული იყო. ნეტა რაზე ფიქრობს? ბებო!

რაო? დაიძინე! – ბებომ ხელი გამომიწოდა. მის ხელთან ერთად ძილი კი განსაკუთრებით ტკბილი იყო.

ბებოს ჩემთვის მოუყვლია, რომ ბავშობაში მასაც ჩვეულებრივი ფეხები ჰქონდა, დახტოდა და ცეკვავდა კიდეც. მე კი მესიზმრებოდა, რომ ორივე ფეხით რეზინის თოკს კარგად ახტებოდა და თან ოძახდა: „ოპა, ოპას“, ისე როგორც ჩვენი მეზობლის გოგო ხუიფან-ი აკეთებს თავის ორი უზარმაზარი ფეხით.

ხუიფან-ი ძალიან ლამაზი იყო. ამას, რომ მივხვდი, ძალიან პატარა ვიყავი. როცა რეზინას ახტებოდა, მე ჩაცუცქული ვიჯექი და ვუყურებდი. თუ კი მეოთხე ბავშვი დააკლდებოდათ, ხუიფან-ი რეზინის დასაჭერად მეძახდა. სულ ვოცნებობდი, რომ ის მეოთხე ბავშვი ყოველთვის მე ვყოფილიყავი. ხუიფან-ი არც კი ილიმებოდა. როგორც კი თამაშს აწყობდა, დედამისი ეძახდა; ან ბოსტნეული უნდა გაერეცხა, ან ცომი უნდა მოეზილა, ან თავისი დაძმის ტანსაცმელი გაერეცხა. უხმოდ დაახვევდა თავის რეზინას და მიდიოდა საქმის გასაკეთებლად. ბებო სულ აქებდა, მაგრამ მაშინაც კი არაფერს იმჩნევდა და ხმასაც არ იღებდა.

ამ ოჯახის ყველაზე უმცროსი შვილი მერვე ჰადი ჩემი ტოლი იყო. ყველა ერთმანეთზე თითო წლით უმცროსი იყო. სახლის სამხრეთ ნაწილი ეჭირათ, ჩვენ კი დასავლეთ ოთახები.

შუა ეზოში აგურებით გამოყოფილ ოთხ კვადრატში მსხლის და სამი მშვენიერი ვაშლის ხე ერგა.

გაზაფხულზე მთელი ეზო ყვავილების ფანტელებში იფლობოდა; ფურცლების დაცვენისას კი მთელი ეზო მოფენილი იყო. ხეების ქვეშ ფასმინი, გიორგინები, ჩინური ცირცელი, ინდური კანა იყო დარგული. ყველა უვლიდა ამ ყვავილებს. ეს ყვავილები ძალიან მაღლები მერყენებოდა. მე და ჰაძი დაეძვრებოდით და სალამობით დამალობანას ვთამაშობდით, ჩავიცუცქებოდით ბუჩქის უკან და ვკნაოდით კნუტებივით. ეს როგორც სჩანს საუკეთესო გასართობი იყო. მერე ბებო შეგვეკრებდა ხოლმე და გამოცანებს გვეუბნებოდა:

მუქი ლურჯი დაფა, მუქი ლურჯი დაფა, დაფაზე კი ...
ვარსკვლავები, ვარსკვლავები!

სულ რამოდენიმე გამოცანა იცოდა. ჰაძ-ის მალევე ბებრდებოდა, გარბოდა ხოლმე ქალაღის „ტყვიების“ მოსაძებნად. მე კი ისევ ყვავილებში ვიმალებოდი.

თვალში არ მოირტყათ! – გვიყვიროდა ბებო კარიდან.

არა, ჩვენ კატას ვეძებთ! – პასუხობდა ჰაძი.

ეზოში ერთი მსუქანა კატა გადმოდიოდა და ჩვენი წარმოსახვით გვემტერებოდა.

ნუ აფეთქებთ, არ ავნოთ რამე, რას ერჩით, ერთი ჩვეულებრივი კატაა!

ჩვენ კი არაფერი გვესმოდა. ყვირილით ვსდევდით ერთი ეზოდან მეორეში, კატა კი სახურავზე მალევე ქრებოდა.

ჰაძი თამაშების ნიჭიერი გამომგონებელიც იყო, ყოველთვის მიგებდა მინის ბურთებს და ნახევარზე მეტი ჯიბეში უჩხრიალებდა. მართალია დიდი არაფერი ბურთები იყო, ძირითადად კაკალი, ინდური კანაი ან წყლის ბუშტუკები ,2 გვექონდა... მას ბადის დანა შეეძლო და ერთ მუჭა კალიებს იჭერდა, მერე თითებს შორის ორ-ორს ათავსებდა. ქალაქის კედელთანაც ბედავდა გასვლას, რომ იქ კალიები დაეჭირა, ხან კი სახურავზე ადიოდა და ხიდან „სამოთხის ვაშლებს“ ჰკრეფდა. ბებო კი ამ დროს უყვიროდა:

ჰაძ-ი, ჰაძ-ი, მერვეე! როდის ველირსები შენს დაოკებას? არ გადმოვარდე, წელი არ იტკინო.

ჰაძის ჩვენთან სტუმრობაც მოსწონდა, ოღონდ ისე, რომ დედამის არ გაეგო. ბებო ყოველთვის ტკბილეულით უმასპინძლებოდა. ორ-ორ, სამ-სამ კანფეტს ან ნამცხვარს ტოლად გვიყოფდა. მის ოჯახს უჭირდა და იშვიათად ჰქონდათ სასუსნავი. დედამისი სულ იმას სჩიოდა: „რამდენიც არ უნდა გვექონდეს, ჩვენი მშვიერი მგელუკები ყველაფერს სანსლავენ, არასოდეს არაფერი ყოფნითო“. მე და ჰაძ-ი კი მუცლებზე ბებიას ლოგინზე ვინექით და გემრიელად ვწუნნიდით კანფეტებს, თან კანფეტების წითელი და ლურჯი გამჭვირვალე ქალაღებით ხან მზეს, ხან ხეებს, ხან ხუიფან-ის გაფენილ სარეცხს ვუჭერდით. ხმამაღლა ვხარხარებდით ბედნიერები და გახარებულები. ხუიფან-ი კი დაჭიმული და მკაცრი სახის გამომეტყველებით ეუბნებოდა ჰაძ-ის:

ჰაძ-ი, ნუ ცელქობ!

არ ცელქობს, სახურავზე კი არ ზის! – ბებო ეუბნებოდა. მას ამ ბავშვებიდან ჰაძ-ი ყველაზე უფრო მოსწონდა – ჰაძი წესიერი და ერთგულია!

დანყებით სკოლაში მე და ჰაძ-ი კლასელები ვიყავით. პიონერები, რომ უნდა გავმხდარიყავით, ოჯახმა თეთრი პერანგი ვერ შეუკერა და ვერც უყიდა. მე ორი მქონდა და ბებომ ერთი აჩუქა. სიხარულისაგან სახე ყუმამივით გაუნთილდა, იმ დილას ბებომ სკოლაში ორივეს კექსი და ორ-ორი მოხარული კვერცხი გაგვატანა, ჰაძი-ს დედამ კი ორივეს თავისი ხელით აპლიკაციით შეკერილი ცხვირსახოცი გვარჩუქა. დღედაღამე აპლიკაციებს კერავდა, რომ ამ დიდი ოჯახისათვის რალაც შეემატებინა.

მერე ბებიამაც დაიწყო აპლიკაციების გაკეთება, მას ჰაძ-ის დედამ რეკომენდაცია გაუწია. თავიდან ფეხს ითრევდა, არ ეჯერა, რომ ბებოს მართლაც უნდოდა. ბებო კი არ ეშვებოდა:

ჰაძ-ის დედავ, ისევ არ დაელაპარაკეთ მათ?

თქვენ რა მართლა გინდათ ეს სამუშაო? – მას ზურგზე ყოველთვის შალის და აბრეშუმის ძაფები ჰქონდა გადაკიდებული. – რას ამბობთ? რისთვის? თქვენი ვაჟიც და რძალიც ორივე მუშაობს, თვეში არანაკლებ ასად ან ათასად, სულ ოთხნი ხართ, რა საჭიროა ამდენი წვალება?

იმისათვის, რომ ფული არ გვყოფნის. – თავს იმართლებდა ბებო.

მას მართლაც არ უჭირდა, მაგრამ რალაცა გეგმები ჰქონდა, მე კი რა თქმა უნდა ვერაფერს ვხვდებოდი.

ბავშობაში დღე და ღამე ბებოსთან ერთად ვიყავი. დედა ძალიან შორს მუშაობდა, ზამთარში უკუნეთ სიბნელეში ბრუნდებოდა. მამა სადამოობით კითხულობდა და შრიალით ფურცლავდა გაზეთებს. ბებო ღუმელთან ხუნტუნებს,3 კრავდა, რომ დედასათვის წვნიანი დაეხვედრებინა. მე კი მას მხოლოდ საქმეს უმატებდი. ცომისაგან პატარა „ლავაშებს“ ვძერწავდი და ღუმელში ვაკრავდი. როცა „პური“ ვარდებოდა, იმას ნიშნავდა, რომ მზად იყო. მე კი თავიდან ფეხებამდე ფქვილში ვიყავი.

ნუ შვები! აფუჭებ ფქვილს. – მიუბნებოდა ბებო, მფერთხავდა და სახელოებს მიწევდა.

მამინ წრუნუნა გამიკეთე.

ბებო აბრტყელებდა ცომს, ძერწავდა ეგრედ წოდებულ „წრუნუნას“, პელმენის მსგავსს ორი ყურით. თუმცა მაინც და მაინც არ ჰგავდა თავგს, მე კატას ვითხოვდი – ეხლა კატა! – კატაც ორი ყურით კეთდებოდა და უფრო მიმსგავსებული იყო.

ეხლა ჩამოცომდება ყველაფერი და ვიტყვი, რომ ხელს მიშლიდი.

თუ შეიძლება სთქვი, რომ მე გავაკეთე.

შენ თუ უკვე ეს ისწავლე, დედაშენი კმაყოფილებისაგან დადნება! – ხარხარებდა ბებო.

მე კი ბებოს ვაჯავრებდი: „უფ – თქვენ კარგ დროს მოესწარით, დედაშენი დადნება!“ ბებო ამას მართლაც ხშირად იმეორებდა. მას თეთრი შურით შურდა დედაჩემის. შურდა მისი დიდი ფეხების; შურდა განათლებული, რომ იყო და სამსახურში, რომ დადიოდა. ხანდახან დედას რამოდენიმე თანამშრომელი გვესტუმრებოდა, ლაპარაკობდნენ, სამსახურის ამბების არჩევდნენ. მე არაფერი მესმოდა, ბებოს ვუცქერდი და ძილი მერეოდა. ვფიქრობ ბებოსაც მაინც და მაინც არ ესმოდა, მაგრამ მოსწონდა მოსმენა – ყურებდაცქვეტილი იჯდა შორს კუთხეში და კრინტს არ ძრავდა, როცა ხმამაღლა იცინოდნენ, ბებოს გაუგებარი ღიმილი გადაჰკრავდა. დედა ეტყოდა: „დე! მოდით პილმენი გავაკეთოთ!“ ბებო დაფეთებოდა, შემცბარი გაიქცეოდა ცეცხლის შესამონმებლად, რომელიც ცოტაც და ჩაქრებოდა. ყურს უგდებდა მათ და დანარჩენი ყველაფერი ავინყდებოდა. ნავიდოდნენ სტუმრები და ბებოც მოწყენილი ამბობდა:

ჭურჭელი დარეცხეთ და ცეცხლსაც მიხედეთ, მე დავიღე!

დედა დანოლას სთავაზობდა, მაგრამ არ თანხმდებოდა და გაშეშებული იჯდა. მე კი თავიდან ვინყებდა: „თქვენ კარგ დროს მოესწარით!“ დედ-მამა გაისუსებოდა, მხოლოდ მე ვბედავდი ლაპარაკს.

შეხედე დედაშენს, მშვენიერი დიდ ტერფი აქვს. კულტურულია და სამსახურშიც ბევრი მეგობარი ჰყავს. იმხიარულე და იყავი! მე კი სკოლაშიც არ მივლია, ერთი ბიძაშვილი მყავდა...

ვიცი, ვიცი. – ვანყვეტინებდი მე. – ბიძაშვილი გყავდათ, სკოლაში დადიოდა, სახლიდან გაიპარა, მნიშვნელოვანი საქმეებით იყო დაკავებული...

მერე და ეს ხომ მართალია? – იკითხა ბებომ ბავშვივით.

მერე და ეს ბიძაშვილიც სასადილოში დადის? – ვიკითხე მე, დედამ და მამამ გადაიხარხარეს. ბებო კი ნახდა თითქოს.

ექვსი-შვიდი წლის ასაკში უკვე საზიზღარი ხარ! – ეს იყო ერთადერთი, რასაც გაბრაზებული ბებო ჩემთვის იმეტებდა.

არ ვიცი რატომ, მაგრამ სასადილო შურის ობიექტი იყო. პატივსაცემ ადამიანზე საუბარს ხშირად ამ წინადადებით ამთავრებდა: „... და ისინი სასადილოში სადილობდნენ.“

დადგა 1958 წელი და ყველა ქუჩაზე სასადილო გაიხსნა. ბებომ უამრავი ჭამ-ჭურჭელი აჩუქა მათ, სიამოვნებით მიდიოდა დილა ადრიანად, გახსნას ელოდებოდა. როცა მშობლები მუშაობდნენ, სადილის დროს მე სკოლიდან იქ მიბარებდა.

ერთი ულუფა პომიდვრის წვნიანი, ერთი... – ხაზგასმით და არაბუნებრივად წარმოსთქვამდა „ერთი ულუფას“.

ამ დროს თვითონაც კრთებოდა, მაგრამ თავი მაინც ამაყად ეჭირა. როცა ვიხსენებ, ისე მგონია, რომ თავი იმ ქალად წარმოედგინა, რომელიც მუშაობდა საზოგადოებასთან ურთიერთობას. მას ხომ სახლის გარდა არსად არ უმუშავია.

როცა დაწყებითი სკოლის მეორე კლასში ვსწავლობდი, თითქმის ყოველ საღამოს ბებოს მიტინგზე უწევდა წასვლა. მე იქ მისვლას მიკრძალავდა.

ეს ხომ თეატრი არ არის?! – გაღიზიანებული ამბობდა.

თეატრში კი ბევრ ძველებურ პიესას ვესწრებოდი. აპლიკაციების ფულს, რომ აიღებდა ვინმეს პატივება; ჰაძის დედას, თავის დას ან ჩვენი ეზოდან ვინმე მოხუცს. მე რა თქმა უნდა მისი „ჩრდილი“ ვიყავი. ოღონდ კალთაში არ მისვამდა, ჩემს სკამზე ვიჯექი. ბებოს არ ესმოდა რა ხდებოდა და ერთ „მოხუც ქალბატონს“ სთხოვა აეხსნა მისთვის. ამ ქალბატონს თითქოს ესმოდა ეს პიესები, მაგრამ მგონი უფრო ცნობილი ვარსკვლავების თაყვანისმცემელი იყო, ყვებოდა მეი ლანფაი-ზე, ციან მათსან-ზე, იუნ შახაი-ზე, ჩან ციუნ-ზე...

მე ვიჯექი სავარძელში და მეძინა. სინამდვილეში 15 წუთიანი ანტრაქტების გამო დავდიოდი, ვსვამდი მეი-ს უგემრიელეს ტკბილ კომპოტს. მთელი მონდომებით ვცდილობდი დამერწმუნებინა ყველა, რომ წყურვილი მკლავდა და ორ ბოთლს ვსვამდი.

ბებო სინანულით ამბობდა, რომ ახალგაზრდობაში არანაირი ოპერა არ ენახა. მგონი იმ დაკარგული დროის და ცოდნის ანაზღაურებას ცდილობდა. შევამჩნიე, რომ რამოდენიმე ასაკოვანი ქალბატონი და მოხუცი კაცი საკმაოდ კარგად ერკვეოდნენ თეატრში. ბებოს ჩამორჩენა არ სსურდა. ერთხელ კი ბებომაც და ჩვენი ეზოს მოხუცმა ქალბატონმაც ყველაფერი კარგად გაიგეს. ოღონდ ეს ოპერა კი არა, ფილმი „ჩუფუ“ (ვედრება) იყო, დასრულების შემდეგ ორივე ტიროდა.

მამინ ხომ მართლაც ასე იყო. – ამბობდა ბებო.

ორივეს თვალეები ჩაუწითლდა, მე ჩუმად მივყვებოდი უკან. ამ ფილმში საშინელი ის კი არ იყო, რომ ნებაყოფლობით გასწირა კარის ზღურბლი,⁴ და გახარებული ბრუნდებოდა... ბებოს ძალიან უყვარდა „ჩუფუს“ მოყოლა, თანაც „ფუ-ს“ არასწორედ წარმოსთქვამდა. მეორედ კი ამ ფილმის ნახვა კატეგორიულად არ უნდოდა.

ერთ საღამოს ბებომ გამოსასვლელი ტანისამოსი გადაიცვა. მიტინგზე უნდა წასულიყო, გაშეშებული

იჯდა მაგიდასთან. დედამ დამიძახა და ბებოს უთხრა:

დღეს თქვენთან ერთად წამოვიდეს, დაბნელებმა, მაგრამ ბიჭუნასთვის საშიში არ არის. მე გამეხარდა.

სკოლაში? მე ხელს მოვკიდებ! გზა კარგად ვიცი – როგორც ჩემი ხუთი თითი! ჩუ, რას ჰყვირი!

დედამ სილა გამანნა. ასეთი სერიოზული არ მენახა. მე ჰაძ-ისთან გავიქეცი. ჩვენი ოცნება იყო სკოლის ეზოში სალამოს მოხვედრა. ჰაძ-ის აზრით იქ უამრავი კალია უნდა ყოფილიყო, სკოლა ოდესღაც დიდი ტაძარი იყო და რამოდენიმე ეზო ჰქონდა. ერთ-ერთში უზარმაზარი ბებერი ნაძვი იდგა. ძველ კედლებზე ბალახი ამოსულიყო, ჯერ არ ბნელოდა. ჭრიჭინოებლები ტოტებზე ერთად ჭრიჭინებდნენ. ბებო უკანა ეზოში მიტინგზე შევიდა, ჩვენ კი გაგვაფრთხილა, რომ წინა ეზოში გვეთამაშა. ეს ჩვენ გეგმებს გადასარევიად ემთხვეოდა. ყველაფერი საინტერესო ამ წინა ეზოს უკავშირდებოდა, დღისით უფროსი კლასელებით იყო სავსე. ახლა ორძელიც და ქვიშაც თავისფალი იყო ჩვენთვის.

ჰაძ-ი, დედა გააფრთხილე, აქ რომ ხარ? – ვიკითხე.

გავაფრთხილე. – ღიმილით მიპასუხა.

მას ხომ არავის გააფრთხილება არ სჭირდებოდა. ხშირად შუალამემდე ქუჩებში თამაშობდა. მე კი სულ მშურდა მისი თავისუფლების.

ბოძზე ვცოცავდით, მე ჰაძივით არ გამომდიოდა. მერე შეძახილით „დავინყეთ!“ ძელზე გადაქნევით ვეჭიდებოდით ერთმანეთს. რამოდენიმე შერკინების მერე მე ვილეოდი და რა თქმა უნდა ჰაძი მიჭერდა. ჰაძი ჯანმრთელი იყო, კარგად დარბოდა, მასთან ერთად არავისი მეშინოდა – ჩხუბითაც კარგად ჩხუბობდა.

სკოლაში ჰაძის წარმატებები სრულიად ჩვეულებრივი იყო. ამაში თავის დას ხუიფანს არა ჰგავდა. ხუიფანი მონადინებული და წარმატებული მოსწავლე იყო, პიონერთა უმაღლეს კომიტეტშიც კი აირჩიეს. მეც იოლად გამომდიოდა სწავლა, მათემატიკის შეჯიბრში კი ჰაძი მიგებდა. მას უბრალოდ დრო ენანებოდა სწავლისათვის, დავალებებსაც არ ასრულებდა. მშობლიურ ენაში ძლივს იღებდა გამსვლელ 60 ქულას. დანყებითი კლასების მერე, მე ცნობილ ელიტარულ სკოლაში ჩავაბარე. ჰაძიმ კი მესამეხარისხოვანში. ეხლა ვხვდები, რომ ჩემზე ნიჭიერი იყო, ჩემი ფრიადისნობა კი ბებოს დამსახურება იყო, თანაც მშობლები მეხმარებოდნენ მეცადინეობაში, ჰაძის კი ვინ დაეხმარებოდა? სალამოს სახლის საქმით თუ არ იყო დაკავებული, ქუჩაში თამაშდა. ხუიფენ-ი კი ამ ოჯახში გამოირჩეოდა. უხმოდ და მოთმინებით მუშაობდა და სწავლობდა. დედამისი თვლიდა, რომ ბევრ შუქს სწავდა. ხუიფანი გამთენიას დგებოდა და ეზოში სკოლაში წასასვლელად ემზადებოდა. 1965 წელს უნივერსიტეტში ჩააბარა, უკვე სათვალეს ხმარობდა, მაგრამ უფრო ლამაზი და დელიკატურიყო, ეტყობოდა, რომ უფრო განსწავლული გამხდარიყო. მე ჰაძის მშურდა ასეთი და, რომ ჰყავდა. მას კი სულაც არ აღეღვებდა ეს და სულ დასცინოდა „ოთხთვალას“ ეძახდა, ხუიფანი კი ყურადღებას არ აქცევდა, არც სხვებს აქცევდა ყურადღებას. დროთა განმავლობაში ჰაძი მის მიმართ გაცივდა.

მზე ჩავიდა „ჭრი-ჭრი, ჭრი“. თითქოს ცა ჩამოხნეოდა. მართლაც ამ დროს უამრავი ჭრიჭინობელას ხმა აღმოსავლეთიდან თუ დასავლეთიდან მოდიოდა. ვეძებდით კედლის ძირში და ერთ ადგილას ხმას გავყევით. ჰაძიმ აგურების ბზარზე მოშარდა და იქიდან კალია გამოხტა. კარგად სჩანდა მთვრის შუქზე. ჰაძ-იმ უცებ დაიჭირა, შეხედა და გაუშვა.

ამას მოკუმული პირი ჰქვია, ესეთები პირს არ აღებენ და არ ჭრიჭინებენ. – სთქვა ჰაძ-იმ.

ძებნა განვაგრძეთ და ქვასთან დავინახეთ კალია. ჰაძ-იმ ჩუმად მანიშნა: „ჩუმადო“. ჩავიცუცქეთ, ჩუმად მოთმინებით ვუცქერდით, ამოსუნთქვისაც გვეშინოდა. ჭრიჭინობელაც აჭრიჭინდა და ჰაძ-ის გაელიმა.

უფ, შარდი აღარ მაქვს.

მე მაქვს. – ვუპასუხე.

ჩუ-ჩუმად! აი აქ დაუმიზნე.

როგორც იქნა ერთგვარიანი დავიჭირეთ. ჰაძიმ ჯიბიდან ქალაღი ამოიღო, დაახვია და შიგ ჩასვა.

მთვარე ბრწყინავდა. შუქი ბებერი ნაძვის მუქ ტოტებში აღწევდა. მინაზე მუქი და ბაცი ჩრდილები ეცემოდა ლაქებივით, ჩვენ მარტოკები ვიყავით უზარმაზარ ეზოში. ჩვენი საკლასო ოთახები ტაძრის დარბაზები იყო. ჩაბნელებული ცოტა შიშის მომგვრელად გამოიყურებოდა. ცაზე ვარსკვლავებიც გამოჩნდა. მე ძალაუნებურად ბებო გამახსენდა. ჰაძი ნადირობდა და მუხლებზე ხოხვით მიჰყვებოდა კედელს, უკანა აებზიკა, თავი კი ბალახში ჩაერგა.

უკანა ეზოშიც მოვძებნოთ. – ვუთხარი მე.

სამხრეთისაკენ ოთახში შუქი დავინახე. ჩუმ-ჩუმად გავხობდი ქვის კიბეზე. ხელით ფანჯრის ჩარჩოს მოვეჭიდე, შევიჭყიტე და მერხებთან მიმჯდარი მოხუცები დავინახე. ბებო ბოლო მერხზე იჯდა, ხელები მუხლებზე დაედო პირველკლასელივით. ხელი დავუქნიე, მაგრამ ვერ დამინახა. ყურადღებით ვუსმენდი, სასაცილო იყო. ბებო სულ ამბობდა: „ბავშობაში დანყებით სკოლაში, რომ მივეყვანეო, ბევრი მეცოდინებოდა და შეიძლება რევოლუციაშიც მიმელო მონაწილეობაო.“ და ისევ თავის ბიძაშვილის ამბებს მოჰყვებოდა – მისი სკოლა, ცოდნა, ფხეები, სახლიდან გაქცევა, საქმეები... მე კი მეცინებოდა – ნეტა როგორ გაიქცეოდა სახლიდან, ალბად ტერფებს მაგრად ადგავდა?

კათედრასთან კი ვილაც საუბრობდა. გვერდგვერდ ვილაცვლაცეები უსხდნენ, ერთი ქალი სულ მდულარეს უმატებდა ჩაიში.

ბებოს ბიძაშვილი სულ ერთხელ ვნახე. ერთსართულიან დაწესებულებაში. ბებოს ჩემი ხელი მაგრად ეჭირა და გრძელ დერეფანში მივდიოდით, ხან იქით ვიკითხავდით, ხან აქეთ. მერე გვითხრეს – დაელოდეთო. ბევრი სავარძელი და ტახტი იდგა, ბებო კი არ მსვავდა და თითონაც იდგა. დიდხანს ველოდეთ, მერე ვილაც ქალი მოვიდა და ბებომ მითხრა მიესალმე ბებოდასო...

დარბაზში კათედრასთან მდგომი კი გაუთავებლად საუბრობდა და საუბრობდა.

შ'თიემენგ-ი (1951 - 2010) . 1972 წელს დაბრუნდა გადასახლებიდან ორივე ფეხნართმეული. 1982, 1983 წლებში მიიღო ნაციონალური პრემია ნომინაციაში „მცირე პროზა“. 2002 წელს- პრიზი საუკეთესო ნაწარმოებისათვის.

თარგმანი ნატალი მაისურაძისა

ლუ ჩანგცინგ-ი

路长青

მაჩვი

鼠

ჩემი ოჯახი მოვლენების ასეთ განვითარებას ვერც კი წარმოიდგენდა. რწმენით შეეყურებით მომავალს, მაგრამ გაჭირვებას დასასრული არ უჩანდა. ადვილი არ იყო მოგვეპოვებინა თუნდაც ცოტაოდენი სორგოს ფხვნილი ან ტკბილი, გამომშრალი კარტოფილის ფირფიტები. შიმშილობის ამ სამინელ პერიოდში ვიყავი 6 წლის ბავშვი, რომელსაც განვითარებისთვის განსაკუთრებული კვება ესაჭიროებოდა. შედეგად დამიავადა კუჭი. თუკი, ჩემი კვების რაციონი არ შეიცვლებოდა კუჭი საერთოდ ვეღარ შეძლებდა საკვების გადაამუშავებას. ჯანმრთელობის მდგომარეობა თანდათან მიუარესდებოდა, ლუკმის გადაყლაპვას ვეღარ ვახერხებდი. ნახევარ თვეში ძალიან დაესუსტდი. სოფლის ექიმმა თქვა, რომ ვიტამინების ნაკლებობა მჭირდა და ასევე, დაავადებული ვიყავი ანორექსიით. მირჩია, მიმელო ისეთი საკვები, რომელიც შეიცავდა სიცოცხლისათვის აუცილებელ ნივთიერებებს. ყველაზე სასარგებლო იყო ხორცი. სხვაგვარად ძნელი ქნებოდა ჩემთვის სიცოცხლის შენარჩუნება. დედაჩემი ტიროდა „ჩვენ 50 გრამი ფქვილიც კი არა გვაქვს და სად უნდა ვიპოვნო ასეთი საკვები პროდუქტი?“

ერთ ღამეს დამესიზმრა. ვიყავი ქალაქის დიდ რესტორანში, სადაც მაგიდაზე იდო ცხელი ხორცის ნაჭერი. მზარეული ცალი ხელით დიდ ქვაბს ურევდა, ხოლო მეორით ხორცის ნაჭერს კეპავდა, ამავე დროს, ამალელებული განწყობის შესაქმნელად საკუთარ ბენდს მეტი მხიარულებისაკენ მოუწოდებდა. სიზმარში უეცრად წამოვიყვირე: „ხორცი! ხორცი!“ და გამომეღვიძა კიდეც. გულის ფანცქალით ავდექი. გავაღვიძე დედა და ვუთხარი: „დედა, მე მინდა ხორცი, თუნდაც ეს იყოს ჩემი უკანასკნელი სადილი სიკვდილამდე.“ ჩემმა სიტყვებმა დედა გააოცა და დაბნეულმა და სასონარკვეთილმა მითხრა: „შვილო, როგორ შეგიძლია სიკვდილზე იფიქრო?!“ შემდეგ დაფიქრდა და უცებ, თითქოს გამოსავალი იპოვაო, იმედიანი თვალებით შემომხედა, ცრემლები მოინმინდა და აღელვებულმა, ხმისკანკალით მითხრა ცინგწ, გახსოვს მაჩვის ხვრელები ჩვენ ხიხია-ს საოჯახო მამულში. ჩაგიყვან და გაჩვენებ.

მაჩვი ორი წლის წინ ვნახე. სოფელი შემოდგომის მოსავალს იღებდა. ძალიან ღამაში საღამო იყო. მშობლებთან ერთად მოსავლის ასაღებად მეც ვიყავი ყანაში, მოულოდნელად შევნიშნეთ ცხოველი, რომელიც მორბოდა პატარა მთის საპირისპირო მხარეს. იგი წააგავდა მოკლეფეხებთან, ჭრელ ძალს, მაგრამ უფრო მსუქანი იყო. დედამ მითხრა: „ოდესმე გინახავს ასეთი ცხოველი? ეს მაჩვია. დიდი ხანია აქ ცხოვრობს“. მამამ ამოიღო იარაღი და მზად იყო სროლისთვის. დედამ უთხრა: „ეს ჩვენი ძველი მეზობელია, გაუშვი, საკვები

საკმარისად გვაქვს“. ამ ამბიდან ერთი წლის შემდეგ მამა ავადმყოფობით გარდაიცვალა. მარჯი კი მოსავლის აღებისას კიდევ ორჯერ ვნახე. ჰორჯერვე მე და დედას იარაღი არ გვქონდა. თითქოს ეს იცოდნო, მარჯი მშვიდად გამოვიდა სოროდან, მოშარდა, შემდეგ აიღო სიმინდი, შეჭამა და გაიქცა. დედამ ღიმილით თქვა: „შეხედე, რა სულელი მარჯია. რათა შეინარჩუნოს თავისი სოროს სისუფთავე ტოვებს მას, გარეთ ჭამს და სხვაგან შარდავს.“ ეს ამბავი გამახსენდა რადგან დედა, რომელიც უკეთილესი ადამიანი იყო, რომელიც წინილსაც ვერ დაკლავდა, ახლა მზად იყო მოეკლა მარჯი თავისი ერთადერთი შვილის გადასარჩენად.

მეორე დღეს დედამ წამოიღო ქატიოთი და იარაღებით სავსე კალათა. დედას ხელჩაკიდებული მიყვავდი მარჯის სოროსკენ. დამწუხრებულმა, უიმედოდ ვკითხე დედას: „ახლა ადამიანებსაც კი არ შეუძლიათ საკვების მოპოვება და მოხუცი მარჯი არ მოკვდებოდა შიმშილით?“ დედამ მიპასუხა: „შესაძლოა, მაგრამ ჩვენ უნდა ვცადოთ. თუ დავიჭერთ მარჯს შენ არ უნდა იტირო. ახლა კი იფიქრე, რომ სათამაშოდ წამოგიყვანე.“

მარჯების ბუნებრივი ჩვევაა გამოიზამთრონ. ყოველი ნოემბრის თვეს სოროში ატარებენ. ხალხი ხშირად იყენებს ცრუ კვამლს, რათა გამოიტყუონ სოროდან და დაიჭირონ. დედამ დადო ქატიოს ყუთი მარჯის სოროსთან და ცეცხლი დაანთო. კვამლი პირდაპირ სოროსაკენ მიდიოდა. ველოდებოდით მარჯის გამოსვლას. ის მართლაც გამოვიდა სოროდან და ქატიოთი სავსე კალათა თავის სოროში შეიტანა. უეცრად რალაც გასკდა და ხმაური გაისმა. დედამ აღელვებულმა უთხრა საკუთარ თავს: „წარმატებული დღეა. ჩემი შვილი, შეჭამს ხორცს და შეიძლება გადარჩეს“. მოულოდნელად, მოხუცი მარჯი გამობტა სოროდან, დედას წინ შეჩერდა და საშინელი ხმით მორთო ღრიალი. ცოცხალი შემდეგ, ჩემსკენ გამოიქცა, ჩემს შარვალს დაუნყო კბენა, შემდეგ კი, მიწაზე დამაგდო. ტირილის დანყების მეშინოდა. დედა იდგა მარჯების სოროდან რამდენიმე მეტრის მოშორებით. უცებ დავინახე როგორ გამოვიდა 5 პატარა მარჯი სოროდან. დედამ გაკვირვებულმა თქვა: „ღმერთო ჩემო, როდის გააჩინა შვილები ამ მოხუცმა მარჯმა?“ მის თვალეში იყო პანიკა და ცოცხალდენი სიამაყე.

ერთ საღამოს, რამდენიმე დღის შემდეგ დედამ დაინახა მოძრავი რალაც, ფანჯარასთან. გაალო კარი და შენიშნა მოხუცი მარჯი. დედამ ყურადღება მიაქცია მას. უცებ მიხვდა, რომ მარჯს შიოდა. მიუხედავად შიშისა, საკუთარი სიცოცხლე ჩაეგდო საფრთხეში, მან მოგვმართა დახმარების თხოვნით. ბოლო წლები ხალხი შიმშილის ზღვარზე იდგა. არც მოხუცი მარჯისთვის იყო მარტივი 5 შვილთან ერთად თავის გატანა, გადარჩენა! დედამ მის მიმართ თანაგრძნობა გამოიჩინა, პური გამოუტანა და ძირს დადო. მარჯი ყოყმანობდა. ნელნელა მიუახლოვდა პურს, დედას შეხედა, დარწმუნდა, საფრთხე რომ არ ემუქრებოდა. დასტაცა პურს პირი და გაიქცა. ამის შემდეგ, მარჯი ჩვენს სახლს შეეჩვია და ეზოშიც კი ხშირად მოდიოდა. მაგრამ უფრო დაბერებული ჩანდა. ლასლასით დადიოდა. დედამ თქვა: „რა ცუდი დროა, რატომ გააჩინა მარჯმა 5 შვილი?!“ ჯერ კიდევ წ წლის ბავშვს, სასაცილოდ მეჩვენებოდა დედას სიტყვები.

ერთი თვის შემდეგ საკვები კიდევ მეტად დაცოცავდა. მე სიკვდილს ვებრძოდი. დილით გავიგონე კარებზე ძლიერი დარტყმის ხმა. დედამ კარი გაალო და დაინახა მოხუცი მარჯი. დედამ უკან დაიხია, შორიდან დააკვირდა მარჯს, რომელიც გაუნძრევლად იწვა. ის მკვდარი იყო. მის გარშემო ყველაფერი სისხლით იყო მოსვრილი. „რა მოხდა სინამდვილეში?“ დედა იდგა უზომოდ შენუხებული. ჩვენი მეზობელი ბაბუა ვანგი მოვიდა და თქვა: „მარჯები გრძნობენ სიკვდილის მოახლოვებას. ირჩევენ მშვიდ და სუფთა ადგილს სასიკვდილოდ“. მოხუცმა გვიამბო, რომ ცხოვრების გზაზე ბევრი რამ უნახავს და ბევრი რამეს მოსწრებია, მაგრამ არასოდეს ენახა მარჯი, რომელიც საკუთარ თავს სხვას უძღვნის. დედამ თითქოს ვერ გაიგო, ან გაიგო კიდევ მისი ნათქვამი. აიყვანა, დაახლოებით, 15 კგ წონის მარჯი და თქვა: „შენ განზრახ მარტყი სახლის კარს თავი, რომ მომკვდარიყავი? მოგვიძღვენი თავი იმისათვის, რომ სამაგიერო გადაგვხადა?“ დედა ტიროდა. მეორე დღეს ბიძაჩემმა გაატყავა მარჯი და ხორცი მოგვიტანა. ნახევარი ჩვენს ოჯახს დაუტოვა. მე და ჩემმა მეზობელმა შევჭამეთ მოხუცი მარჯის ხორცი, ხოლო დედამ თავი აარიდა.

მეორე წელს ჩვენ შესანიშნავი მოსავალი მივიღეთ. დედამ აიღო საუკეთესო პურის მარცვლის კონა, ჩადო მარჯის ტყავში და თქვა: „ნება მომეცი შენი კეთილი და მშვიდი სული შევავსო საუკეთესო საკვებით.“

ეს სევდიანი ამბავი წლების მანძილზე ჩემს გულში იყო. ეს შემთხვევა გახდა საწინდარი იმისა, რომ მეცხოვრა სიკეთით, თანაგრძნობითა და სიყვარულით. დამაფიქრებელია, თუკი რწმენას, სიყვარულსა და თანადგომას გამოხატავ, შეიძლება ცხოველიც კი ამაღლდეს შეგნების დონეზე და შეიცვალოს. ეს უნდა გააკეთოს პიროვნებამ, რომელსაც განვითარებულ ადამიანს უწოდებენ.

მთარგმნელი მანანა კუპატაძე

შეხვედრა

再会

ფანჯრის რაფასთან მჯდომი მოხუცი მეზღვაური, სულ მცირე ხნის წინ მოგზაურობიდან დაბრუნდა. ის და ქალბატონი სიუ ბავშვობის მეგობრები არიან და თუმცა მრავალი წელია რაც ერთმანეთს დაშორდნენ, ყოველი შეხვედრისას თითქოს ავინყდებათ უკან მოტოვებული დრო. ისინი სწორედ ახლაც გარდასულ წლებზე საუბრობენ.

„ძმაო ვეი მინგ, შენ ოცი წლის იყავი ზღვაში როცა გახვედი, ხომ? „მან თითებზე გადაითვალა რაღაც და სხვისთვის შეუმჩნეველი, ბინდგადაკრული თვალებით შეხედა თავის მეგობარს და უთხრა: „ორმოცდახუთი წელი თითებზე ჩამოთვლილივით გაქრა!“

მოხუცმა მეზღვაურმა წვერზე რამდენჯერმე ჩამოისვა ხელი და თვითკმაყოფილმა თქვა: „ნამდვილა!... გახსოვს გამგზავრების დღეს შენს სახლთან დასამშვიდობებლად რომ მოვედი, შენ სწორედ ამ დროს პატარა შეველს აპურებდი, მე შენს უკან, ახლად ჩაყვავილებული მუშმალის ხეს ამოვეფარე, ერთად მცემდა ყვავილებისა და შენი თმის სურნელი. მაშინ ძნელი იყო და არც ვიცოდი როგორ გამომეხატა განშორების სევდა, შენ კი მხოლოდ თავდახრილი შეველს ეფერებოდი. მე მგონი იმ დროს შენ ბევრს ვერაფერს მეტყობდი შენ მოულოდნელად მკითხე: „რამდენ ხანს უნდა ვუცადო ჩვენს ხელმეორე შეხვედრას?“ მე დინჯად გიპასუხე: არც ისე დიდი ხანი....“

მოხუცმა ქალბატონმა სიტყვა ჩამოართვა: „მეც ნათლად მახსოვს ის მომენტი შენ რომ ეგ ფრაზა მითხარი, მე გიპასუხე „მე და შენ ალბათ მხოლოდ მაშინ შეხვდებით, შავი მელანი სულ რომ გათეთრდება. შენი წასვლის დღეს რომ შავი მელანივით თმა გქონდა, ზღვის წყალმა ეხლა მართლაც სულ გაათეთრა!“

მოხუცმა მეზღვაურმა თავზე გადაისვა ხელი: – „მართლაც რომ ასე ასრულდა! სამწუხაროა რომ ძმა ფანგ-ს ვეღარ ვნახავ რამდენი წელია რაც გარდაიცვალა?“

„ეჰ, დიდი ხანია! ხომ ხედავ მე უკვე ოთხი შვილიშვილი მყავს „მოხუცი ქალბატონი რომ საუბრობდა, თან ფანჯრების მიღმა ფანჩატურში მოთამაშე ბავშვებს უტყქერდა და ყველაზე მაღალზე მიუთითა, „ნახე, ტინგ ერი უკვე თორმეტი წლისაა, ის რომ ერთი თვის გახდა, ბაბუამისი სწორედ მაშინ გარდაიცვალა.“

მათი საუბრის დროს, მოახლე გოგომ ხამანკების ღვეზელი მოართვათ. ქალბატონმა ხელით მიუთითა ძმა ვეი მინგ-ს: „მე კარგად მახსოვს შენი გემოვნება და სპეციალურად შენთვის დავამზადე.“

„გახსოვს ბავშვობაში დედაშენმა მოგვიმზადა ასეთი ცხობილები. შენ ერთი აიღე, შეჭამე და არ მოგეწონა, შიგ ცოტა ხამანკებიაო. შიგთავსი ჩემსაში მეტი იყო და ერთი ამბავი ატეხე, გინდოდა ჩემთვის ცხობილა ნაგერთმია. მაშინ, დედაშენმა თქვა ერთი ფრაზა, რაც ხშირად მახსენდება: „კარგი შვილო, გეყოფა. შიგთავსი ერთად ირევა. დამზადებისას ვის აქვს მაგისი დრო, იგი გულდასმით გაანაწილოს?! რა თქმა უნდა გარდაუვალია, რომ ზოგში მეტი შიგთავსი მოხვდეს, ზოგში ნაკლები, მთავარია ცხობილა გემრიელი იყოს. შენ რაც გერგო თავდაპირველადვე შენთვის ხომ არ იყო დამზადებული, მაგრამ შენ ის უკვე ამოირჩიე და შეჭამე, ასე რომ შენ უკვე დანაყრდი და მეტი აღარ უნდა მოითხოვო.“ „ძმაო ვეიმინგ, ამ ნათქვამმა ძალიან ამაღელვა, ეს ჩვენს მდგომარეობას შეეფერება: შესაძლებლობები ერთმანეთის მიყოლებით გვეძლევა, ზოგი ადამიანი კარგ არჩევანს აკეთებს, ზოგი ცუდს, მაგრამ არჩევანის გაკეთების შემდეგ, ვეღარაფერს შეცვლი. ეს საბოლოო შანსია.“

მოხუცმა მეზღვაურმა აიღო ცხობილა, ჭამას შეუდგა და წყნარად თქვა: „მართალია! მე მთელი ცხოვრება ზღვაში გავატარე, ძალიან მარტივი ცხოვრებით ვიცხოვრე, არა შენსავით მძიმედ და რთულად, თუმცა როგორც მაშინ, ცხობილა ჭამისა არ იყოს, მხოლოდ დავნაყრდი და მორჩა.

მიუხედავად იმისა რომ, ჩემს „ცხოვრების ცხობილაში“ შიგთავსი მეტია, შეიძლება ცოტა მეტად გემრიელიც არის, მაგრამ მეც მხოლოდ დამანაყრა, როგორც შენ.

წარსულზე საუბარი ძალიან სასიამოვნოა. მათ თითქოს სურთ ბავშვობის დროინდელი ამბები კიდევ ერთხელ გაიხსენონ, მაგრამ გარეთ მყოფი ბავშვები ახმაურდნენ, მოხუცი ქალბატონი დროებით გავიდა მათ დასამშვიდებლად; მარტო დარჩენილი მეზღვაური კი წყნარად ზის და თავის ცხობილას დინჯად მიირთმევს.

სიუ ტიშან-ი (1893-1941) – 1920 წელს დაამთავრა პეკინის უნივერსიტეტის ჩინური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. 1921 წელს თანამოაზრეებთან ერთად აარსებს ყოველთვიურ ბიულეტენს ლიტერატურის კვლევის საკითხებისათვის. 1923 წელს მიემგზავრება აშშ-ში, კოლუმბიის უნივერსიტეტში სწავლას იწყებს ფილოსოფიისა და რელიგიის ფაკულტეტზე. შინ დაბრუნებული კვლევას აგრძელებს ლიტერატურისა და რელიგიის საკითხებზე.

მთარგმნელი თინათინ შიშინაშვილი

ცის ბინადართა მთვრალის სტილის დასაბამი

八仙醉拳

მას რასაც ჩინეთში უხსოვარი დროიდან „ცის ბინადართა მთვრალ კრივს“ უწოდებენ, ანუ მარტივად „ნიოუ ციუან“-ი (მთვრალი მუშტი), საინტერესო ფოლკლორული საწყისით გამოირჩევა. ამ სტილის კრივში შედის ისეთი ნაირსახეობანი, რომელნიც საინტერესოა როგორც სანახაობრივად, ასევე ნაკლებად ცნობილი ვარჯიშების მეთოდითაც.

როგორც ფოლკლორიდანაა ცნობილი „ცის მთვრალ ბინადართა კრივი“ იყოფა ხუთ ნაირსახეობად ანუ „სიმთვრალედ“, რა თქმა უნდა ეს უცნაურად ჟღერს, მაგრამ ვინაიდან ამ სახის კრივი იშვიათი და ნაკლებად ცნობილი იყო, ხალხში მას უკავშირებდნენ ხან მისტიკას, ხანაც ფანტაზიას. სინამდვილეში ხუთი სახის „სიმთვრალე“ წარმოადგენს ოთხი სახის იარაღის ფლობის, გამოყენებისა და მატ გარეშე ვარჯიშთა კომპლექსს. ამ კომპლექსში შედის: „ნიოუ ციუან“-ი - მთვრალი მუშტი“; „ნიოუ ტაო - მთვრალი ხმალი“; „ნიოუ ნიანგ-ი - მთვრალი დაშნა“; „ნიოუ ტიენ-ი - მთვრალი შუბი“; „ნიოუ ქუნგ-ი - მთვრალი ჯოხი“. მართალია ამ სახეობის იარაღები სხვა სტილებშიც გვხვდება, მაგრამ ვინაიდან „ცის მთვრალ ბინადართა კრივი“ თავისი განსაკუთრებულობით გამოირჩევა, ზემოდ ჩამოთვლილი იარაღების ფლობაც განსაკუთრებული მანერით ხდება.

აი რას მოგვითხრობს ლეგენდა ამ სტილის წარმოშობის შესახებ. უძველეს დროში, თანამედროვე პროვინცია შანგტუნგ-ში, ზღვისპირა ქალაქ პუნლაი-სთან ახლოს, იქ სადაც მითოლოგიის მიხედვით რვა ცის ბინადარმა-„სიენშენ“-მა ზღვა გადალახა „მარადიული ცხოვრების მთების“ მიმართულებით, ერთ-ერთ ზღვისპირა პატარა სოფელში ცხოვრობდა ახალგაზრდა კაცი. ბავშვობიდან იგი ტანად ჯმუხი, ხოლო ხასიათით - თანატოლებისაგან განსაკუთრებული სიჯიუტით გამოირჩეული. ამიტომაც მას სოფელელებმა მეტსახელად „ნიუე ნიუ“ ანუ ჯიუტი ხარი შეარქვეს. ჯიუტი ხარი არ მარტო ჯიუტი, არამედ ძალზე ცნობისმოყვარეც იყო. როგორც კი წამოიზარდა მონაფედ დაუდგა ერთ საბრძოლო ხელოვნების (უშუ კუნგფუ) ოსტატს და დაიწყო საბრძოლო ხელოვნება „უ ი“-ს შესწავლა. რადგან ვარჯიშშიც ისეთივე სიჯიუტე გამოიჩინა და გამუდმებით სრულყოფდა ილეთებს, წარმატებამაც არ დააყოვნა. მიუხედავად იმისა, რომ დაუღალავმა ვარჯიშმა ფიზიკურადაც გააძლიერა, ორთაბრძოლებში უფროსი მონაფის დამარცხებას მაინც ვერ ახერხებდა.

ერთხელ პაპანაქება სიცხეში „ჯიუტმა ხარმა“ საჩრდილობლად და მოსასვენებლად ტყეს მიაშურა. ჩამოჯდა ერთ ხის ძირას, ჩრდილში და დაიწყო იმაზე ფიქრი თუ რატომ ვერ ახერხებდა მისი ჯგუფის უფროსი მონაფის დამარცხებას. უცებ შემოესმა ადამიანის მსგავსი მაიმუნების უსიამოვნო შეძახილები. მან კარგად იცოდა მაიმუნების შეძახილების მნიშვნელობა და ამიტომაც მზერა იქით მიაპყრო სადაც სავარაუდოდ მაიმუნები უნდა ყოფილიყვნენ. უცებ მან დაინახა, რომ ორი მაიმუნი ერთმანეთს სამკვდრო სასიცოცხლოდ ნაჰკიდებოდა. ერთი ტანად აშკარად დიდი იყო და შესაბამისად ღონივრადაც გამოიყურებოდა, ხოლო მეორე შედარებით მომცრო ტანისა და გამხდარი იყო. „მძიმეონოსანმა“ გადმოკარკლა თავისი ნახევრად მხეცის თვალები, დაძაბა ზედა ყბის ტუჩი და გამოაჩინა თავისი ღოჯები. ეს მათი შესტების ენაზე მეტოქის გაფრთხილებას ნიშნავდა. მეორემ, რომელიც უფრო ავადმყოფს წააგავდა, თითქოს ღრმა ძილიდან ახლად გამოღვიძებულმა, ბარბაცით დაიხია უკან მაგრამ მოულოდნელად სწრაფი ნახტომით მივარდა მეტოქეს, ერთი ხელით სწვდა, ხოლო მეორით ზედიზედ რამდენჯერმე ჩასცხო თავში და ბოლოს დაეყრდნო რა ხელებით ტოტს ტყუპი ფეხიც ისე სწრაფად მიაყარა, რომ „მძიმეონოსანმა“ თავი ვერ შეიმარა და ტოტიდან მიწაზე ზღართან მიიღო. დამარცხებულმა ძლივს აითრია წელი, ერთი გადატრიალდა მიწაზე და გაქცევით უშველა თავს.

ხის ტოტზე დარჩენილი „ავადმყოფი“ თითქოს გამოცოცხლდა, აღარ ბარბაცებდა, გამარჯვებულის პოზა მიიღო, ტანი ამაყად დაიბერტყა და ტოტიდან ტოტზე ხტუნვა-ხტუნვით ტყეში მიიშალა.

მაიმუნების ამ ორთაბრძოლამ „ჯიუტ ხარზე“ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა და დააფიქრა. მიხვდა, რომ „ავადმყოფმა“ თავისი მოქმედებით მეტოქის ყურადღება მოაღუნა, ამით ისარგებლა და მოულოდნელი შეტევით დაამარცხა.

„ჯიუტი ხარი“ ადგილიდან წამოიჭრა და მასწავლებელს მიაშურა რათა გაეზიარებინა თავისი მიგნება. ამ ამბიდან ორი კვირის შემდეგ უშუ კუნგფუ-ს ოსტატის უხუცესმა მასწავლებელმა ჯგუფს აუწყა, რომ იგეგმებოდა საბრძოლო ხელოვნების ოსტატების წინაშე საჩვენებელი გამოსვლა.

აი დადგა ეს დღეც. საზეიმო ვითარება სუფევდა. იყო ხმაური. თავი მოიყარა მრავალმა სტუმარმა და უშუ კუნგფუ-ს ოსტატმა. მოვიდნენ ოსტატები შინწუნ-იდან, ფანჭ ან-ის მონასრტის მოძღვარიც კი ჩამოვიდა. დაიწყო გამოსვლა. დადგა დროც როდესაც „ჯიუტ ხარს“ და მისი თანაჯგუფელებს უნდა უნდა ეჩვენებინათ თავისი განაფულობა.

ყველასათვის მოულოდნელი აღმოჩნდა, როდესაც ნახეს „ჯიუტი ხარი“ როგორი უცნაური, კოჭლობის

მსგავსი მოძრაობით გამობარბაცდა ფიცარნაგზე. ზოგი ღიმილს ვერ მალავდა, ზოგმაც გაიფიქრა იქნებ შეუძლოდ ან მთვრალია? „ჯიუტი ხარის“ ასეთმა სიარულმა მისი მოწინააღმდეგეც, ჯგუფის უფროსი მონაფეც გააოცა, მაგრამ ორთაბრძოლა დაიწყო და ამ უცნაური საქციელის განსჯის დროც აღარ იყო, მითუმეტეს, რომ „ჯიუტი ხარი“ მისთვის საკმაოდ ნაცნობი მოწინააღმდეგე იყო. ორთაბრძოლის პირველივე წუთიდან, ყველამ დაინახა, რომ იგი განსაკუთრებული სახის გადაადგილებით და ილეთებით იცავდა თავს და უტევდა მეტოქეს. გადაიხრებოდა მარცხნივ, მოძრაობდა მარჯვნივ, ხოლო დარტყმებს მოულოდნელი და უცნაური ტრაექტორიით აყენებდა დაბნეულ მოწინააღმდეგეს. ამრიგად „ჯიუტმა ხარმა“ აშკარად დაჯაბნა დაუმარცხებელი მეტოქე.

როგორც კი დასრულდა საჩვენებელი გამოსვლა, ყველა თანაჯგუფელმა უმაღლესად მიაშურა „ჯიუტ ხარს“ რათა გაერკვიათ თუ როგორ მოახერხა გამარჯვება და რა სტილის „მუშტს“ იყენებდა ორთაბრძოლაში. მასწავლებელმა კი, რომელიც აღშფოთებული და განრისხებული იყო მკაცრად უთხრა: „რას გავს ეს, ორთაბრძოლისას მასხარაობა?! ნებისმიერ საბრძოლო ხელოვნების სტილს აქვს თავისი უმკაცრესი წესები. ვინ მოგცა იმის უფლება, რომ შენი გამოგონილი ილეთები გამოიყენო? ეს ხომ სკოლის შეურაცყოფა და დამცირებაა!“ ოსტატის უხუცესმა მასწავლებელმა კი აუღელვებლად დაამატა: „ასეთი საქციელი სკოლიდან მოკვეთით ისჯება!“

იმ დღიდან „ჯიუტი ხარი“ თავისი საქციელისათვის სკოლიდან გაირიცხა. ეს მისთვის საშინელი დარტყმა აღმოჩნდა. იგი ძალზე განიცდიდა და ვერ გაეგო რატომ უნდა გაემეორა მონაფეც ზედმინევენიტ ზუსტად მასწავლებლის ყველა მოძრაობა. თუ „ავადმყოფის კრივი“ სუსტს დაეხმარება გამარჯვებაში, რატომ არ შეიძლება მას მომავალი ჰქონდეს.

ბოლოს „ჯიუტმა ხარმა“ თავის გულში მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო. „დაბრუნებაზე ხვეწნას არ დავიწყებ. დაე გააგრძელონ ვარჯიში, როგორც ვარჯიშობდნენ, მე კი ჩემებურად გავაგრძელებ“. ამის შემდეგ „ჯიუტმა ხარმა“ გადწყვიტა სოფლის ბოლოს გაეხსნა დუქანი სახელით „დავამარცხოთ რვა მთვრალი ცის ბინადარი“. ასეთი უცნაური სახელის მქონე დუქანი, ხალხში ერთდროულად გავრცობასა და თანაც ინტერესს იწვევდა. დუქანში შემოიღეს უცნაური წესები. სასმელი უნდა დაეღიათ არა ჭიქებით, არამედ მხოლოდ ფიალებით. თვითონ „ჯიუტი ხარი“ კი ჩაიხუტებდა დიდ და მძიმე კერამიკულ ჭურჭელს-“თან-ს“ (თიხის დიდი ჩაფი 16-20 ლიტრი). და პირდაპირ იქიდან სვავდა. სხვა დუქანებიდან განსხვავებით, „ჯიუტი ხარის“ დავალებითა და მიმტანების წვრთნის მიზნით, მათ კერძები და სასმელი ხონჩებით უნდა ეტარებინათ ფეხებით ანუ თავდაყირა, ხოლო ხელებით კი უნდა გადაადგილებულიყვნენ. ასეთი უცნაური სახის მომსახურების ამბვი სწრაფად მოედო მთელ მხარეს. ჩქარა დუქანს სახელი გაუვარდა და დაიწყო ცნობისმოყვარე ხალხმა სხვა მხარეებიდანაც სტუმრობა. ამრიგად დუქანს სულ მალე მუშტარი ბუზივით დაეხვია.

ერთხელ სისხამ დილით, ის იყო დუქანი გაიხსნა, რომ დუქანში შორი გზით მომავალი რვა უცნაურად ჩაცმული უცნობი შემოვიდა. ამ უცხო სტუმართა შორის იყო გამხდარი და მსუქანი, მოხუციც და ახალგაზრდაც, ქალი და ერთი მათგანი ცალფეხაც კი. უცნაურმა სტუმრებმა „ჯიუტი ხარი“ ძალზე გააკვირვა და გადაწყვიტა თვითონ მომსახურებოდა მათ. სტუმრებმა მოხერხებულად მოიკალათეს და მოითხოვეს თითო ფიალა კერძი და თითოეულისათვის თითო ჩაფი სასმელი. ამ შეკვეთამ „ჯიუტი ხარი“ უფრო გააოცა, ვინაიდან ვერაფრით ვერ წარმოედგინა, თუ როგორ შეძლებდა ერთი ადამიანი ამდენი სასმელის დაღვევას. უცნაურმა სტუმრებმა მთელი დღე-ღამის განმავლობაში, მეორე დილაამდე სვეს. საღამოს პირს „ჯიუტმა ხარმა“ შეიხედა საკუჭნაოში და გაცხებულმა აღმოაჩინა, რომ არც ერთ ჭურჭელში წვეთი სასმელი აღარ დარჩენილიყო. უცნაური სტუმრები კი ისე დამთვრალიყვნენ, რომ ზოგს მაგიდაზე ჩამოსძინებოდა და ზოგსაც - მაგიდის ქვეშ. მხოლოდ ერთ გაბურძენულ წვერიანს ჯერ კიდევ შეეძლო ლაპარაკი. მან ხელის ქნევით მოიხმო „ჯიუტი ხარი“ და ლულულით უთხრა: „შენ პატრონს უთხარი გამომშვიდობების წინ კიდევ ერთხელ მოგვართვას საჭმელ-სასმელი.“ აქ უკვე „ჯიუტმა ხარმა“ ველარ მოითმინა და მიახალა: „ჯერ იმ სასმელის გასამრჯელო არ გადაგიხდიათ რაც დალიეთ და კიდევ სასმელს ითხოვთ? აბა ახლავე გამისტუმრეთ დანახარჯი!“ ერთმა სტუმარმა, რომელსაც მაგიდაზე ჩამოსძინებოდა, თავი წამოწია და ისე, რომ თვალიც კი არ გაუხელია, სლოკინით ამოილულულა: „სასმელის გამყიდველო (სირაჯო), სხვა დროს გადაგიხდით.“ ასეთმა პასუხმა „ჯიუტი ხარი“ უფრო გააცხარა და სახელოების აკაპინებით მიაძახა: „ესე იგი არ იხდით. მაშინ ვნახოთ ვისი აჯობებს!“ და საჩუბრად მოემზადა. ამ დროს სკამიდან ძლივს წამოდგა ერთი ტანწერ-წეტი და პირმშვენიერი ქალი, რომელმაც მშვიდად მიუგო: „მე ყველაზე ნაკლები მაქვს დალეული, ამიტომ თუ ჩხუბი გსურს ჩემით დაიწყე.“ „ჯიუტმა ხარმა“ ღიმილი ვერ შეიკავა და უპასუხა: „არასდროს მიჩხუბია ქალებთან და არც შენთან ვაპირებ!“ „კარგი.“ დაუდასტურა ქალმა, „მაშინ თითოეულ ჩვენგანს ეჩხუბე და თუ ჩვენგან ერთს მაინც აჯობებს, ათჯერ მეტს გადაგიხდით ვიდრე ჩვენი დანახარჯია!“ კარგი! სიცილით შესძახა „ჯიუტმა ხარმა“: „მაშინ მოემზადეთ ათჯერ მეტი ვერცხლის გადასახდელო!“ და საბრძოლო დგომა მიიღო. უცნაურ სტუმართაგან პირველივე მეტოქემ გააოცა „ჯიუტი ხარი“. გადაადგილებოდა ბარბაცით, მაგრამ თითქოს იატაკს ფეხს არ აკარებს, დარტყმა მოულოდნელი და ელვისებური ჰქონდა, „ჯიუტი ხარი“ ხვდებოდა, რომ მისი მეტოქე რალაც არაბუნებრივ საბრძოლო ხელოვნებას ფლობდა, მაგრამ ცდილობდა თავი დაეცვა. მეტოქე მოძრაობაში გადასწვდა ერთ ხელით მაგიდაზე მდგარ ფიალას, ფიალიანი ხელის ერთი

ტალღისებური მოძრაობით შეუჩერებლად იქვე მდებარე ჭურჭლიდან ამოიღო სასმელი ისე, რომ ტანის მიხვრა-მოხვრით „ჯიუტ ხარს“ ვერ დაენახა, ფიალა ელვისებური სისწრაფით პირთან მიუტანა, ერთდროულად ადღეგრძელა და პირში ჩაასხა. სასმელმა „ჯიუტ ხარს“ ერთი წამით სუნთქვა შეუკრა, ამით ისარგებლა მეტოქემ და „ჯიუტი ხარი“ სარმით და მხრის ერთდროული დარტყმით დასცა იატაკზე. მეტოქე კი თითქოს არაფერი მოხდა აუჩქარებლად და ბარბაცით გავიდა დუქნიდან. შემდეგი თეთრწვერა მოხუცი იყო, რომელიც სკამიდან ძლივს წამოდგა ფეხებს მიათრევდა და თან ენის ბორძიკით ეუბნებოდა: “ჩემი რიგია, იცოდე მეჩქარება და ნულარ გავაჭიანურებთ. სწრაფად მოვრჩით.” მისმა თავდაჯერებულმა ტონმა ძალზე გააბრაზა იატაკიდან ახალწამოდგარი „ჯიუტი ხარი“ და გულში გაიფიქრა: „უყურე ამ ბებრუხანას, არ მინდა, მაგრამ შემომაკვდება... „და ფეხის ძლიერი დარტყმით შეუტია. დარტყმამ მოხუცი მხოლოდ შეატორტმანა. იგი ჯერ უკან ნაბარბაცდა, შემდეგ გვერდზე გადაიხარა, უცებ წინ ისკუპა, ერთი ხელით თითქოს ჭიქა უჭირავს, კაუჭივით კისერზე შემოაჭდო, მეორე ხელით მაჯაზე ჩაეჭიდა და მოგვერდი უყო. „ჯიუტი ხარი“ ჯერ არ იყო დაცემული, რომ მოხუცმა ვარდნაშივე იდაყვი უთავაზა მკერდში და ზევიდან დაეცა. მოხუცი ზევიდან მოხერხებულად იწვა და თან კმაყოფილი ამბობდა: “რა მშვენიერი სავარძელია!” სანამ „ჯიუტი ხარი“ იატაკზე ეგდო, მოხუცი მსუბუქად წამოდგა, ტანსაცმელი დაიბერტყა და დუქნის კარიდან გაუჩინარდა. დანარჩენმა ხუთმა გაღეშილმა უცნაურმა სტუმარმაც აშკარად დაჯაბნა დუქნის მეპატრონე და ერთმანეთის მიყოლებით დატოვა დუქანი. ბოლოს, მხოლოდ ქალი დარჩა. იგი ისეთი ლამაზი და მოხდენილი იყო, რომ „ჯიუტ ხარს“ მასთან შებრძოლებაც კი არ გაუფლია გულში, მაგრამ ქალმა დალია რა ბოლო ყლუპი, წამოხტა სკამიდან და შესძახა: “აბა დამიდექი!” „ჯიუტი ხარი“ იძულებული იყო წინააღმდეგობა გაენია, თანაც გულში ფიქრობდა: “რაც მოგივა შენ თავს დააბრალებ. სხვების ნაცვლად შენ მაიც დაგსჯი!” ქალმა მოხდენილი მოძრაობით სწრაფად აუარა გვერდი იქვე ნაქცეულ სკამს, ერთი ნახტომით მიუახლოვდა, მაჯებში ხელი ჩაჭიდა და ერთდროულად იდაყვი ყელზე მიაბჯინა, შეტრიალდა გვერდით და თეძო ისე მაგრად გაჰკრა, რომ „ჯიუტი ხარი“ ჯერ მაგიდაზე შეაგდო, ხოლო შემდეგ უმაღლ დაითრია მაგიდიდან და კისრით დაანარცხა იატაკზე. „ჯიუტ ხარს“ თვალებიდან ნაპერწკლები გასცვივდა. ქალმა კი დაცინვით უთხრა: “რა სუსტი ყოფილხარ, შენი დამარცხება უფრო ადვილი ყოფილა ვიდრე ფინჯნის გატეხა! „ამ სიტყვებთან ერთად ისიც წარწარით გავიდა დუქნიდან. შერცხვენილი და კისერგაშეშებული „ჯიუტი ხარი“ დუქნიდან გარეთ გამოვარდა, რათა ბრძოლა გაეგრძელებინა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. სტუმრების კვალიც კი გამქრალიყო. დუქანში ამ ამბის მომსწრე სტუმარი თუ მომსახურე სიცილს ვერ იკავებდა.

„ჯიუტი ხარი“ გაოგნებული იდგა და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. უცებ სადღაცოდან ხმა მოისმა: „სირაჯო ნულარ გაგვაცილებ, საჭირო არ არის!“ ჯერ გარშემო მიმოიხედა, მაგრამ არავინ ჩანდა. ბოლოს ზევით აიხედა და რას ხედავს, ლამაზი ტანსაცმლის კალთებისა და გრძელი სახელოების ფრიალით, მისი უცნაური სტუმრები ზევით ღრუბლებისაკენ მიფრინავდნენ. დიდხანს უყურებდა გაშტერებული „ჯიუტი ხარი“ ამ სანახაობას, სანამ მოჯამაგირეთა ხმამ არ გამოაფხიზლა. „ბატონო! საოცრებაა! ყველა ჩაფი საესეა საუკეთესო ხარისხის სასმელით!“ როგორც კი დაინახა საუკეთესო სასმელით სავსე ჭურჭლებით გადაჭედილი ეზო, „ჯიუტმა ხარმა“ შუბლზე იტკიცა ხელი და წამოძახა: “რა სულელი ვარ! როგორ ვერ მივხვდი! ეს ხომ ცის რვა ბინადარი (სიენყენი) იყო!” „რვა სიენყენი!“ აიტაცა დუქნის ყველა სტუმარმა და მომსახურემ. „როგორ ვერ ვიცანით. პირველი იყო-ჭან კუოლაო, ქალი კი-დეიდა ხე სიენკუ . . .“ „ჯიუტი ხარი“ კი კმაყოფილი ამბობდა: “ეხლა გავიგე! ისინი მიხვდნენ და გაიგეს ჩემი „ავადმყოფური კრივის“ შესახებ და ჩამობრძანდნენ, რათა გადმოეცათ ჩემთვის ახალი ცოდნა – ილეთები. ამიერიდან ეს კრივი „მთვრალი კრივი“-ს სახელწოდებით გავრცელდება. დიახ ისინი ჩემი მასწავლებლები არიან! „ასეა!“ ყვიროდა ყველა მოსამსახურე. „ვერავინ და ვერასდროს ვერ დაამარცხებდა მთვრალ ცის ბინადართ!“

მას შემდეგ „ჯიუტი ხარი“ ყოველ დღე ცდილობდა მეხსიერებაში აღედგინა სიენყენებთან ბრძოლის ყველა დეტალი. თანდათან ყველაფერი გაიხსენა. მისმა მიზანდასახულობამ და რუდუნებამ უკვალოდ არ ჩაიარა. მისმა ილეთებმა ბევრი ოსტატის ყურადღება მიიპყრო. შედეგად ამ კრივმა შორს გაითქვა სახელი, ხოლო ილეთებს სახელები დღემდე შემორჩა: „ჭან კუოლაო სპილოს ძვლის სავარძელზე ზის“; „ლიუ ტუნპინი ბარბაცით მიდის“; „დეიდა ხე სიენკუ მაგრად სვავს“; „ბიძია ცაო-ს ფიალა და ქუაი'ძ წაართვეს“; „ჭუნლი თვითონ ისხავს და თავის წარმოთქმულ სადღეგრძელოს სვავს“; „ლი-რკინის ყავარჯენი ქვის მაგიდას აბრუნებს“; „ლან ცაიხე-გადაპრანჭული ახალგაზრდა აგდებს სასმისს.“; „ჭან სინ'ძ-იმ ლამპარი შეცვალა“.

დროთა განმავლობაში „მთვრალი კრივი“ უფრო აღმატებული აღმოჩნდა ვიდრე „ავადმყოფური კრივი“. თანდათანობით პუნლი-ში არ დარჩა არც ერთი ოსტატი, რომელიც არ დამარცხებულიყო ორთაბრძოლაში „ჯიუტ ხართან“. ბოლოს მისი თანაჯგუფელებიც და მასწავლებელიც მოვიდნენ მასთან თავდახრით, რათა მისგან ესწავლათ. იგი ყველა მსურველს ასწავლიდა. შორიდან მოსულ მსურველებს კი ბინით და საჭმლითაც კი უზრუნველყოფდა.

მთარგმნელები: ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი, მალხაზ უთურაშვილი

შაოლინ-ის ბერი ხუი ქე

少林慧可佛僧求法记

მთელ ჩინეთშია გავრცელებული თქმულება შაოლინ-ის მონასტრის (ხენან-ის პროვინციის სოუშან-ის მთებში) ბუდისტ ბერზე. მინგ-ის დინასტიის პერიოდში, იმპერატორ სიაომინ-ის მმართველობისას, სოუშან-ის მთებში, უჭი ლინგ-ის (ხუთითა მწვერვალი) მწვერვალზე, ერთ უკაცურ მაღალმთიან სოფელში, ცხოვრობდა ერთი პატარა ბიჭი სახელად ტი კუანგ-ი, ძლიერ გამხდარი და სუსტი. მუდმივად ავადობდა, რის გამოც მშობლები საგონებელში იყვნენ ჩავარდნილნი. ოცი წლის რომ მოიყარა წყლის მოტანაც კი არ შეეძლო, ხოლო ოცდახუთი წლის ასაკში ნებისმიერი სამუშაოს შესრულების შემდეგ ქანცგამოცლამდე იღლებოდა. მისი ოჯახი იმდენად ღარიბი და უსახსრო იყო, რომ ექიმთან მისვლისა და წამლის შექმნაც კი არ შეეძლო. ერთხელ მეზობლებმა ურჩიეს გაეგზავნათ იგი „თეთრი ცხენის“ („პაი მა-ს““) მონასტერში, რათა ბერად აღკვეცილიყო და შენიშულობით ერჩინა თავი, ხოლო ლოცვებითა და ვარჯიშით ჯანმრთელობაც აღედგინა. ტი კუანგ-მა ყურად იღო მშობელთა რჩევა და დაუყოვნებლივ მიაშურა „პაი მა-ს““. მონასტერში ყველა-სათვის ნათელი იყო: ახალგაზრდა, რომელსაც ავადმყოფური შეხედულება ჰქონდა გაუჭირდებოდა ბერული წესით ცხოვრება და მისი მორჩილად აყვანის სურვილიც არავის გასჩენია. მხოლოდ ერთმა ბუდისტმა ბერმა ხე შან-მა ურჩია: „უმჯობესია შაოლინ-ის მონასტერში („შაო ლინ-ს“) ნახვიდე. ამბობენ ინდოელი ბერი ტამო ჩამოსულა. „უ შუშან“-ის მთების ერთ-ერთ ტყიან ხეობაშია ჩამალული ის მონასტერი. ტამო ბერებს არა მარტო სუტრებს უკითხავს, არამედ გასაჯანსაღებელ ვარჯიშებსაც ასწავლის. თუ შეეცდები მისი მონაფე გახდე, მაშინ ეზიარები არა მარტო ლოცვების, არამედ ვარჯიშების სიკეთესაც. უკეთეს მოძღვარს ვერც კი ისურვებ!“

სხვა რა გზა ჰქონდა დაადგა ტი კუანგ-ი შაოლინ-ის გზას. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბოლოს მი-ადგა იმ გამოქვაბულს, სადაც დღე და ღამე, ტამო ჩან-ის პოზაში (ჩან ბუდიზმი) მჯდომი, გამოქვაბულის კედლისაკენ მზერამიპყრობილი ჭვრეტდა თავის სულსა და გულს, რამდენიმე თვის განმავლობაში. ტი კუანგ-ი უყურებდა ბერის სამოსელში გახვეულ, ნირვანის მდგომარეობაში მყოფ ტამო-ს ზურგს, გამოქვა-ბულის ნახევრად ბნელ სიღრმეში. ბოლოს გამოვიდა ბერი, რომლის სახე გაცისკროვნებულიყო, იგი დაახ-ლოებით რვა ჩი-ს (1ჩი=1/3 მ.) სიმაღლის, მოგრძო სახის, ოდნავ აპრეხილი წვეტიანი ნიკაპით, მოშვეებული წვერ-ულვაშით, მხრებამდე გაშლილი თმებით, გაბრწყინებული თვალებით, ყურის ბიბილოებში საყურეების ნაცვლად დიდი რგოლებით, ფეხშიშველი და აკაპინებული შარვლის ტოტებით. გამოქვაბულიდან გამოსვ-ლისას გარშემო ვერავის ამჩნევდა. ტამო ხელებს გაჭიმავდა, მუხლებში მოიხრებოდა, სხეულს მარჯვნივ და მარცხნივ დაატრიალებდა, ლომივით დაიგრგვინებდა და ისევ ქვაბულში შედიოდა. ტამო-ს ამ ვარჯიშებს ტი კუანგ-ი ყურადღებით აკვირდებოდა. ერთხელაც გამოქვაბულში დაბრუნებისას ტამო ხის ტახტზე დაჯდა. ტი კუანგ-ს, ტამოს ტახტადან ადგომის მოლოდინში, ტამომ უთხრა: „შენ თუ ტახტიდან გადმომათრევ, მხოლოდ მაშინ აგიყვან მორჩილად!“

ტი კუანგ-მა მოიკრიფა მთელი თავისი ძალღონე. ორივე ხელით ჩაეჭიდა ბერს მკლავებში და შეეცადა მისი დაძვრა, მაგრამ იოტის ოდენადაც ძვრა ვერ უყო ადგილიდან. ბოლოს, ქანცგამოლეული მიწაზე დაჯდა და ხელი ჩაიქნია. ტამომ კი უპასუხა: „მე უძლურს მორჩილად არ ავიყვან. ნადი სახლში, ივარჯიშე ისე, რო-გორც მე ვვარჯიშობდი, როცა ჯანის სიმრთელეს შეიძენ, მხოლოდ მაშინ შესძლებ ტახტიდან ჩემს გადმოთ-რევას, გახდები ჩემი მორჩილი და გადმოგეცემა ჩემი ცოდნაც. ჯერჯერობით კი ნადი!“

ტი კუანგ-ი დაბრუნდა სახლში. მეორე დღიდან დაიწყო ვარჯიში. რიყრაჟიდან სალამოს ბინდ-ბუნდამდე თანმიმდევრულმა და მონდომებულმა ვარჯიშმა თავისი შედეგი გამოიღო. წელიწადიც არ იყო გასული, რომ მისმა სხეულმა, როგორც ჩინეთში ამბობენ: „ვეფხვის ხერხემალი, დათვის წელი და ზარის ხმა შეიძინა.“ ტი კუანგ-ს სახე გაუვარდისფრდა, სხეულზე კუნთები გამოეკვეთა, ბოლოს მან შეიძინა მრავალი საჭირო ჩვევა და უნარი. დაამუშავა ვარჯიშების თავისი ვარიანტები, რომელიც დღესაც პოპულარულია შაოლინ-ის კუნგ ფუ-ში, მისი გართიმული აფორიზმები ახლაც იხმარება სხვადასხვა მოძრაობათა ათვისებისას, ზოგიც გარკვეული მოძრაობის დასახელებადაც იქცა, ზოგიც სიმღერის სახითაც შემორჩა, მაგალითად: „ჩაისუნთქე და შეეგებე“, „გადაკოტრიალდი და იმოძრავე“, „დაარტყი მუშტით, მაგრამ მუშტის ფორმა დაფარე“. ერთ წლის თავზე ტი კუანგ-მა გადაწყვიტა კვლავ წასულიყო ტამო-სთან.

ამჯერად ტამო ტახტაზე იჯდა. მისალმების შემდეგ მან კვლავ უბრძანა გადმოთრევა ტახტადან. ტი კუანგ-ი ბერს ერთი ხელით ჩაეჭიდა წინამხარში, ხოლო მეორე ხელის გულით, „ჰვი“ შეძახილთან ერთად ისე მძლავრად დაჰკრა ტახტს, რომ ტამო წამოინია ტახტიდან იმავდროულად გადმოთრია ტი კუანგ-მა ბერი

და თვითონ წამონვა. დაინახა რა ტამო-მ ტახტზე წამონოლილი ტი კუანგ-ი გაბრაზებულმა გაიფიქრა: აი კადნიერება! მოიქნია მუშტი და სანამ ტი კუანგ-ს მოხვდებოდა მან მიწაზე მოასწრო გადმოგორება, ტამო-ს მუშტმა კი ტახტი ნაფოტებად აქცია. ტამო-მ ხელი გაუნოდა ტი კუანგ-ს და წამოაყენა ისე, რომ არაფერი უთქვამს, მხოლოდ მეგობრულად დაუქნია თავი. ამ დროს რამდენიმე ყვავი ერთმანეთს ეჩხუბებოდა და ჩხავილით იკლებდა იქაურობას. ტამო-მ ყვავებზე მიუთითა და თან დააყოლა: „გააგდე ისინი!“

ტი კუანგ-ი სწრაფად გაემართა იმ ხეებისაკენ სადაც ყვავებს ალიაქოთი აეტყხათ. ერთი ომახიანი შეძახილით ყვავები სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ. როგორც კი ტი კუანგ-ი და ტამო გამოქვაბულში შევიდნენ, ყვავები განახლებულული ძალით უფრო ხმამაღალი ჩხავილით დაერივნენ ერთმანეთს. ტამო-მ გადახედა ტი კუანგ-ს და გამოქვაბულიდან აუჩქარებლად გამოვიდა. თავისი ტირიფის ტოტებივით გრძელი მკლავების წრიული მოძრაობით ისეთი ქარბორბალა დაატრიალა, რომ მსხლის ტოტებიც კი შეირხა. დამფრთხალმა ყვავებმა თავს უშველეს და კარგა ხანს აღარც გამოჩენილან. ტი კუანგ-მა თავი დაუხარა მოძღვარს და ის იყო უნდოდა გამოეთქვა თავისი აღფრთოვანება, რომ ტამო-მ მოღუშული სახით უთხრა: „ნადი ისწავლე და ივარჯიშე. მუშტი ქარის სისწრაფით უნდა მოძრაობდეს, ფეხი კი - როგორც გაფრენილი დრაკონი. ამის მიღწევა არც ისე ადვილია. როცა ყოველივე ამას მიაღწევ მხოლოდ მაშინ მოდი!“ ტი კუანგ-ი ხმის ამოუღებლად და მორჩილად გამობრუნდა.

იმ დღიდან დაიწყო იმ ვარჯიშების შესრულება, რომლის დროსაც მუშტის დარტყმას ქარი უნდა მოჰყოლოდა. ერთი წელი მოუნდა, რათა ესწავლა ილეთი „წუნ, მიაო, იაო“-განზე გახტომა, წამოხტომა; მან დაამუშავა მრავალი ილეთი რათა შეეგრძნო „ქარის ქროლვა“, „დრაკონის სისწრაფე“, „ურჩხულის ღრიალი“. ყველა ამ ილეთს ტი კუანგ-მა შესაბამისი სახელი შეარქვა. როგორც კი დარწმუნდა, რომ მზად იყო კვლავ მიაშურა გამოქვაბულს. სამწუხაროდ ტამო იქ არ დაუხვდა. იგი იმ დროსათვის შაოლინ-ის მონასტერში გადასახლებულიყო. სხვა რა გზა ჰქონდა, მივიდა მონასტერში, ეახლა ტამო-ს, თაყვანი სცა და აუწყა, რომ მზად იყო გამოცდისათვის. ამ დროს მონასტერში ორი ბელურა შემოფრინდა და ჟივჯივით საკურთხეველზე ჩამოჯდა. ტამო-მ ის იყო ხელის აქნევა დააპირა რათა დაეფრთხო ისინი, მაგრამ ტი კუანგ-მა დაასწრო და გამოიყენა თავისი ილეთი „წუნ, მიაო, იაო“ და ორივე ჭივჭავი მის ხელის გულზე აღმოჩნდა. ტამო-მ ორჯერ დაუკრა თავი, ეზოში მდგარ უძველეს ფიჭვზე მიუთითა და ღიმილით უთხრა: „ნადი დადექი იქ და დაელოდე ბედის ბრძანებას.“ ტი კუანგ-იც დადგა ფიჭვის ქვეშ და დაიწყო ლოდინი. ზამთრის პირი იყო და შესაბამისად ამინდიც ძალზე ცივი იდგა. ცა მოღუშულიყო. თოვლს კი ბრინჯის მარცვლების მსგავსად ჰყრიდა. ტი კუანგ-ი დიდხანს იდგა, მის გარშემო ყველაფერი თოვლით დაიფარა. იგი გრძობდა, რომ ხელ-ფეხი ეყინებოდა, მაგრამ ტამო არ გამოდიოდა. ტი კუანგ-მა გადამწყვიდა, რომ არ გაყინულიყო ევარჯიშა. ასე გავიდა ერთი დღე, მაგრამ ტამო მაინც არ ჩანდა. მეორე დღე - თოვლი ტი კუანგ-ს უკვე მუხლებამდე სწვდებოდა და ისიც აგრძელებდა ვარჯიშს. ტამო მაინც არ ჩანდა. დადგა მესამე დღეც თოვლის საფარი სულ მატულობდა, მხოლოდ იმ ფიჭვის გარშემო, სადაც ტი კუანგ-ი მოძრაობდა მიწა შავად იყურებოდა. უცებ ფიჭვს გაყინული ტოტი მოსტყდა და პირდაპირ თავზე დაეცა. ტი კუანგ-მა ვერ მოითმინა და ტკივილისაგან გამწარებულმა სანამ ტოტი მიწაზე დაეცემოდა ფეხით მონასტრის ღია კარისაკენ გასტყორცნა. თოვლიანი და გაყინული ტოტი ზრიალით მოხვდა ერთ-ერთ სვეტს და ყინულების ნამსხვრევები გარშემო მიმოფანტა. ტი კუანგ-ი მიხვდა, რომ ცუდად მოიქცა და მოძღვარს მოერიდა.

ხმაურზე მონასტრიდან ტამო გამოვიდა, დაინახა, რომ თოვლს ყველაფერი დაეფარა, მხოლოდ ფიჭვის გარშემო ჩანდა მიწა, სადაც ტი კუანგ-ი ვარჯიშობდა. მიხვდა მოძღვარი, რო ვარჯიშს მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა შეეძინა. ტამო შებრუნდა მონასტრში და იქიდან მოწინებით გამოიტანა ბერის სამოსი-კაშა, სამჯერ დაუკრა თავი ტი კუანგ-ს და უთხრა: „გინყალობებ სუტრის სახელს - ჰუი ქ'-ს, იქნები შაოლინ-ის მეორე წინაპარი.“

ამჟამად შაოლინ-ის მონასტრის ტერიტორიაზე დგას ფანჩატური რომელსაც სახელად „თოვლში მდგარი ფანჩატური“ („ლი სიუე თინგ“) ეწოდება, სადაც ბერებს გარკვეულ დღეებში მიაქვთ შესანიერი. დღესაც მონასტრის მოძღვარნი ახალგაზრდა ბერებს ჰუი ქ'-ს გმირობაზე მოუთხრობენ. მისი სახელი მსოფლიოში ყველა ბუდისტისათვისაა ცნობილი და არ მხოლოდ მათთვის, არამედ აღმოსავლური ორთაბრძოლების ყველა მიმდევრისათვისაც. სახელი ტი კუანგ-ი თითქმის აღარავის ახსოვს, სამაგიეროდ იცნობენ შაოლინ-ის მეორე წინაპრს ჰუი ქ'-ს.

ლეგენდა ავადმყოფ და გამხდარ, მაგრამ მიზანდასახულ ბიჭზე, მაგალითია არამარტო ბერებისათვის, არამედ ყველა ახალგაზრდისათვის.

ჰუი ქ' როგორც ტამო, ყოველთვის იცოცხლებს ხალხის ხსოვნაში.

გადმოცემის თანახმად შაოლინ-ის მონასტერი აიგო 495 ახ.წ. ინდოელი ბერი ბატო-ს ხელმძღვანელობით იმპერატორ სიაო ვენ-ის მიერ. რადგანაც მონასტერი შაო შე-ს მთის ძირას უღრანი ტყით დაფარულ ხეობაში მდებარეობდა, მას შაო ლინ-ი უწოდეს. („ლინ“ ჩინურად ტყეს ნიშნავს, ხოლო „შაო“-მცირეს). ბატო, რომელიც ორთოდოქსური ბუდისტური მიმდინარეობის ხინაიან-ის წარმომადგენელი იყო, დიდ ყურადღებას

ფორმას უფრო უთმობდა, ვიდრე ბუდის სწავლების არსს (სულს). ლეგენდის თანახმად, მონასტრის დაარსებიდან 30 წლის შემდეგ შაოლინ-ში ჩამოვიდა სხვა ინდოელი ბერი-ბოდხიდხარმა. იგი სექტა მახანა-სი წარმომადგენელი იყო, რომელიც გამოეყო ხინაიანა-ს. გარკვეული მოსაზრების გამო თავიდან ბოდხიდხარმა დასახლდა მონასტრის უკან მდებარე ერთ-ერთ გამოქვაბულში. იქ იგი ცხრა წლის განმავლობაში იდგა სახით გამოქვაბულის კლდიანი კედლისკენ, რომლის დროსაც დაამუშავა ჩან-ის (იაპონურად ძენ) სწავლება. ბოდხიდხარმა იმთავითვე მიხვდა, რომ მისი სწავლების გასავრცელებლად საჭირო იყო მისი ერთგული მიმდევრებისათვის დადლილობის დაძლევის ვარჯიშების შესწავლა. გააერთიანა რა ნებისყოფის გამომუშავების სავარჯიშო მეთოდები ზოგიერთ ფიზიკურ ვარჯიშებთან შეჯერებით, რომელსაც ადგილობრივი გლეხები იყენებდნენ, მან დაამუშავა ვარჯიშთა კომპლექსი „გულისა და გონების ძალები.“

მინანერი: 1985 წელს, ლანჭოუ-ში, გამომცემლობამ „კანსუ ჟენმინ ჩუპან-მა“ გამოსცა წიგნი „კუნგ-ფუ-ს ოსტატების არაჩვეულებრივი თავგადასავლები“. წიგნი შეადგინა მწერალ-ეთნოგრაფ ისტორიკოსმა ჭოუ შიციუნ-მა. წიგნში თავმოყრილ რამდენიმე ავტორთა შორის გახლავთ კუნგ-ფუ-თი გატაცებული მწერალ-ეთნოგრაფი ვანგ ხუნგნიუნ-ი. ზემოთ წარმოდგენილი ორი მოთხრობა სწორედ მის კალამს ეკუთვნის.

მთარგმნელები: ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი, ლაშა უთურაშვილი

ვანგ მენგ-ი

王蒙

ტბა

湖

მიყვარს ტბა. ტბა – დედამიწის თვალია. ტბა - მდინარია, მოძრავია, ღრმაა, როგორც ადამიანთა გრძნობები. ეს პატარა საოცრებაა, რომელმაც ადამიანებს ჯერ კიდევ არ ნაართვა სიცოცხლე. დიდი, დიდი ხნის უნინ, როცა ჯერ კიდევ პატარა ბიჭი ვიყავი, როგორც კი თვალს მოვკრავდი, თაი'იეს-ის ტბას, პეკინში პეიხაი-ს პარკის შუაგულში რომაა, იმავე წამს თვალები მიფართოვდებოდა, გამიბრწყინდებოდა. იმ შორეულ, ლატაკსა და ყოველწამიერად შიშით დათრგუნულ დროს, თაი იე-ს ტბა ჩემთვის მოულოდნელი აღმოჩენა იყო. იგი ჩემს სულს ნაზსა და სითბოთი სავსე სიხარულს უქადდა. იგი ისე წმინდად, ისე უმანკოდ და გამჭვირვალედ მესახებოდა, როგორც მხოლოდ ბავშვური ოცნება შეიძლება იყოს.

მე ხშირად განა მხოლოდ ვგრძნობ, არამედ მტკიცედ მჯერა კიდევაც, ადამიანებსა და დედამიწას შორის იღუმალი, თუმც კი მიუხელოებელი ერთიანობა არსებობს. ეს, არსებითად, ურთიერთგაგების პირობას გვიქმნის. მთები მძიმე და არსებითი, მნიშვნელოვანი არიან, ისევე, როგორც ადამიანთა სიამაყე, როგორც საკუთარ საქციელზე პასუხისმგებლობა. ზღვა – გარშემოუნერელი, თვალუნდენია, ამოუნურავია, ისევე, როგორც ადამიანთა ფიქრი და აზრი; უდაბნო – ნწულია წინააღმდეგობრივისა და ერთიანის, იმედებისა და ამავედროულად იმედგაცრუებისა. ძალა მისი მოთმინებით, ხანგრძლივად და ჯიუტად მოლოდინის უნარშია; მდინარეები კი – ჩვენი ძიება, გუმანია. ეს ჩვენი შეზღუდული, თუმცკი ძვირფასი თავისუფლებაა . . .

მაშინ ზღვა ჯერ კიდევ არ მენახა. პეკინის საზაფხულო სასახლის პარკში იხეიუან-ის ტბა უზარმაზარი, წყლის ბობოქარი სტიქია მეგონა. ამ პარკში ყოველი გასეირნებისას ზურმუხტისფერი და უძირო, მომწვანო წყალი ჩემს ბავშვურ მზერას იზიდავდა, მიიჯაჭვავდა. და მე, მართალია, უხმოდ, მაგრამ გულის სიღრმისად გავყვიროდი იმ საოცარი და სულსშემძვრელი სხვაობის გამო, ჩემსა და ამ წყლის სამყაროს შორის რომ სუფევდა. რატომღაც სწორედ იქ შევიცანი, რაოდენ პატარა ვიყავ იმ მოციმციმე, მოლაპლაპე სტიქიასთან შედარებით.

დიალ, ტბები ლამაზია. თითოეული ტბა თავისთავადაა მშვენიერი. ეს კიდევ იმით მძაფრდება, რომ მათ იოლად შესწევთ უნარი ითამაშონ ჩვენი გრძნობა-განწყობით, სხვადასხვანაირად განგვანყონ. ტბები არსებობს იმისათვის, რათა არ გამოშრეს დედამიწა, რათა ადამიანებმა შეძლონ ოდნავ მაინც გადააყოლონ

გული, ზურგი გამართონ მძიმე შრომა-გარჯისა და ჩაგვრა-ვაების შემდეგ, რათა შეაბრკოლონ და შებო-
ჭონ აგრესიულად შემოტეული ზღები, მათი სტიქიური ძალა და ამავედროულად, ადამიანის თვალმა იხილოს
მთვარე წყლის მთრთოლვარე, სარკისებურ ზედაპირზე რომ ირეკლება. ნუთუ არასოდეს გიხილავთ ტბაში
ჩაძირული მთვარე?! და თუკი გიხილავთ, ნუთუ არ მოუცვიხართ ამ ჯადოსნური შეხვედრით შობილ შმაგ
სტიქიურ სიხარულს?! ოჰ, ნამდვილად მჯერა, ტბა იმისათვის არსებობს, რომ არა მხოლოდ ცვარ-ნამი აპკუ-
როს ჩვენს ზაგეს, არამედ ჩვენი სულიც დააღტოს, სული, რომელშიც ცეცხლი გიზგიზებს და წყალს ითხოვს.
და ეს წყურვილი ადამიანს, შესაძლოა, სიცოცხლის ფასადაც უღირდეს.

პეკინის სამხრეთით აღმართულა ს'შან-ის მთა. ულამაზესია იქაური არე-მარე. მაგრამ რარიგ აკლია
მას ტბა. ხოლო პეკინის სიანგ შან-ის მთებს, „სურნელოვანი“ რომ ეწოდება, წყლის ორი „ფიალა“ ამშვენებს.
მათ „შუან ცინგ-ი“ ჰქვია. კამკამა წყლის წყვილი წყალსატევი რაოდენ დიდ სიხარულს ანიჭებს ბალებს
სიანგ შან-ის პარკში სეირნობისას! და მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ბავშვები ამ ფიალებს ტბას კი არა,
„სათვალეს“ უძახიან. გაგიჟებით მიყვარდა ეს „სათვალე“. მათი დანახვისას ღიმილს ვერ ვიკავებდი, არ შე-
მძლო ფართო ღიმილი არ გადმომფენოდა სახეზე. ძალა არ შემენევდა ყველასათვის გულლიად არ შემეღიმა.

მრავალი წლის შემდეგ, სინძიანგ-ის პროვინციაში რომ გახლდით, მხოლოდ მაშინღა მივხვდი ტბები
დიადიც რომ შეიძლება იყოს.

დიდებული მთის, თიენ შ ანის სიღრმეში, ურუმჩისა და ილი-ს ქალაქებს შორის, სულის შემძვრელი
განცდა დამეუფლა, როდესაც საყოველთაოდ სახელგანთქმულსა და დიად მალაღმთიან ტბას – სალიმუ-ს
შევხვდი. და არ მხოლოდ მაშინ, ეს სულის შემძვრელი განცდა მუუფლებოდა ყოველი შეხვედრისას. ჰოი,
რა ფართოა, რაოდენ ღრმაა, რაოდენ დიადი იგი. არ უჩანს საზღვარი, ნაპირი. აუნერელია მისი სიღრმე,
ძვირფას საფირონის მსგავსი, გეგონებათ ინდიგოს საღებავით შეუღებავთ, თუმცა ეს ფერი ბუნების ძალით
მინიჭებია! ტბის ზევით, თავბრუდამხვევ სიმაღლეზე, მთის მწვერვალისაკენ სპირალისებურად იხვევა და
მიიკლაკნება გზატკეცილი. მანქანები, ან კიდევ ქარავანი საქონლისა, დაზვეპილი პირუტყვისა, მოძრაობს
ამ სერპანტინზე, ვინ ზეით-ზეით, ვინ თავქვე ეშურება, ეზიდებიან გზაზე ათას რამეს, ხე-ტყეს, ცემენტს,
რკინეულობას, სანოვაგეს, გარეშემო კი შემორავგია ბებერი უნაძვი და მარად თოვლიან-ყინულოვანი მთის
მწვერვალები. ხოლო საკმარისია ქვევით ჩაიხედო, დაინახავ ჯადოსნურ ლურჯ სარკეს. სიტყვები არ გყოფ-
ნის მის აღსაწერად. მხოლოდ აღმოგხდება – დიადი, დიადი ტბა! აქ მარად ქარი ქრის, საკმაოდ ძლიერი, იგი
აცოცხლებს არე-მარეს არარეალურ სურათად რომ წარმოდგება. აი აქ განვიცადე ზეიმურად ამაღლებული
გრძნობა, გრძნობა ლალი თავისუფლებისა, გრძნობა საკუთარი ძალმოსილებისა, მანამდე უცხო რომ იყო
ჩემთვის. აი, ასეთ დროს არ შემეძლო ჩემი სულის სიღრმისად, მთელი ჩემი არსებით, არ განმეცადა გრძნობა
მადლიერებისა და არ მიმელოცა ჩემი თავისათვის, ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, რომ დავაღწიე თავი
გრანტიტა და ასფალტით შებოჭილ ქალაქს, ყბადაღებულ საცხოვრებელ რაიონს, მეექვსე შესახვევს, სა-
დაც ადამიანები იბადებიან და კვდებიან და ბინას, გალიას რომ ჰგავს. ჩემს თვალწინ გადაიშალა ველური,
მკაცრი, ყოველგვარ სენტიმენტობას მოკლეული ბუნების სამყარო, იმდენად თვალწარმტაცია, რომ სიტყვები
არ კმარა, რათა აღწერო ეს ძალმოსილება და მშვენიერება. და რომ არ ვითვალთმაქცო, ვიტყვი, იდუმალა
იგი, ჯადოსნურ ხიბლსაა მიახლოებული.

თიენ შან-ის სამხრეთ ფერდობის სიახლოვეს გაშენებულია ხალხით დასახლებული უძველესი ქალაქები
იენში და კურლე. სწორედ მათ შორის მდებარეობს დიადი სალიმუ-ს ტბა. დღემდე იშვიათად თუ სტუმ-
რობდნენ მას. ასე გგონია, არ აქვს მას კიდე-განი. სალიმუ-ს ორი მესამედი წყალმცენარეების საუკუნოვან
გაუვალ შამბნარს დაუფარავს. მე მომიხერხდა მოტორიანი ნავით ერთი-ორჯერ გზა გამეკვლია მათ შორის,
მაგრამ ვერცერთხელ ვერ შევძელი ტბის ნაპირები დამენახა, იმდენად ვრცელი, ფართო, დიადი და იდუმა-
ლია ეს ტბა. ჩემთვის უამბნიათ ერთი შემთხვევის ამბავი: ერთ-ერთ უცხო ქვეყანაში ჩინეთის პეიზაჟური
ფოტო-გამოფენა მოუწყვიათ. ამ ტბის ფოტოს შემხედვარე ერთი ჩვენი მეგობრული სახელმწიფოს პრე-
მიერ მინისტრს წამოუძახია: „ჩემთვის კი უთქვამთ, სინძიან-ის პროვინცია ზღვის ნაპირას არ მდებარეობ-
სო?!“ გარკვეულწილ მართალიც ბრძანდებოდა: ეს უზარმაზარი ტბა ოდესღაც ნამდვილად ზღვა ყოფილა.
ხმელეთიდან უკანდახეული ზღვა, სჩანს, ტბად გადაიქცა, ვითარცა მცირედი შვება სინძიან-თან სამარადი-
სოდ განშორებული სტიქიისა.

მე მომცემია შესაძლებლობა ევროპა მომენახულებინა, ალპების მთები; ჩიკაგოს ჩრდილოეთ მთებშიც
მომიგზაურია; მექსიკაც მოვიარე. ყველგან, მალაღმთიანი ტბების წინაშე თავს ვგრძნობდი, როგორც მომ-
ლოცველი. მთები ყოველ ჯერზე მხიბლავდნენ, მწუხსავდნენ, როგორც უძველესი გამონათქვამი იუნყება:
„უკან დაბრუნებას რომ დაგვაინყებს.“ მათთან განშორებისას გამუდმებით ოხვრა აღმომხდებოდა და სინ-
ანული მომეძალეობდა, რადგანაც მეტად ხანმოკლე იყო ხოლმე ჩვენი შეხვედრა. ფრიად შემჭიდროვებულია
მოგზაურობის გრაფიკი. ყოველ ჯერზე მზად ვიყავი მუხლებზე დავცემულიყავი უზენაესი ბუნების წინაშე,

მადლიერება აღმეკლინა ღმერთებისათვის, ვინც ამ ტბებთან შეხვედრის კარმით დამასაჩუქრა. მაგრამ მიჰყრობდა გრძნობა სინანულისა, რადგან ამ უძვირფასესი კარმით სრულად დატკობა არ ძალმიძდა.

ხოლო ჩინეთის სამხრეთით, მდინარე ჭუნიანგ-ის უბეში, (ევროპელებმა მარგალიტის მდინარე რომ შეარქვეს), ჭუნია-ს რაიონში, არის ტბა, სამხრეთ ჩინეთის ზღვას რომ უტევეს. ამ ტბას პაითანგ-ი ჰქვია. საკმაოდ გვიან გავიცანი იგი. მხოლოდ და მხოლოდ 1993 წელს, ივლისის თვეში. ტბა ღრმად ჩამებეჭდა ხსოვნაში. არასოდეს ამომეშლება მეხსიერებიდან. ამ ტბის პირად სრულიად სხვა განწყობა გეუფლება, სხვა პეიზაჟი, სხვა სტიქიაა. მერწმუნეთ, ტბა თბილია, მოალერსე, მყუდრო, აღვსილია წადილით ხალხს ემსახუროს თავისი სამხრეთული იდილით, სუბტროპიკული პეიზაჟის ფუფუნების სილამაზით. პაითანგ-ის ტბა, თითქოსდა შეგნებულაა გამზადებული მთელი თავისი უმდიდრესი წიაღისეული ხალხს მიუძღვნას. იგი იმდენად გულუხვია თავისი უნიკალური სტუმართმოყვარეობით, რომ ადამიანისათვის ბოძებულ ძვირფას ძღვნად გვესახება. ეს უხვი ნაკადი სიკეთისა მოედინება და გარდაისახება იდეალურ ფენგშუი-დ. ფენგშუი-უი-ს მცოდნენი ამტკიცებენ კიდევაც, რომ ტბის ადგილმდებარეობა, ტბის მოხაზულობა და პეიზაჟი სიმბოლოა გაღებული კარიბჭისა. უხვმოსავლიან, მდიდარ ადგილად მიიჩნევენ. განა ასეც არ არის?! ტყუილად როდია აქ შექმნილი „ჰოლიდეი-უიკენდის დაბა“. ტურისტები არა მარტო ჩინეთის ყველა კუთხიდან, არამედ მთელი მსოფლიოდან ჩამოდიან აქ დასასვენებლად, ეზიარებიან ტბის ფუფუნებას. ჭუნიანგ-ის უბემ, ფენგშუი-უი-ს წყალობით, ჩინეთში პირველმა ფართოდ გაუღო კარი მთელ მსოფლიოს. მან პირველმა მიიღო კეთილდღეობისა და სიმდიდრის ნაკადი და პაითანგ-ის ტბა მას აქეთ ცივილური შეიქნა, მყუდრო, ადამიანური, სტუმართმოყვარე. და მდიდარი ბუნება ჩაეფლო ფუფუნებაში, ადამიანის ხელითა და მონდომებით რომ შეიქმნა. 1993 წელს მეც მომეცა საშუალება ამ ცივილურ სამოთხეში დამეყო ცოტაოდენი დრო. პაითანგ-ის ტბაზე თავს ნებიერად გრძნობ. შენ გიპყრობს და გესაღბუნება სიმყუდროვე, სიმშვიდე და სრული ნეტარება. საამურია შეგნება იმისა, რომ, თურმე, არც ისე ძნელი ყოფილა მოიპოვო კეთილდღეობა, წყნარი ცხოვრება. ამისათვის საჭიროა მარტოდენ საყოველთაო სურვილი, მონდომება და კეთილი ნება. ძალისხმევა უნდა მოახმარო არა ნგრევა-განადგურებას, არამედ შექმნას, შენებას. ეს მოხდება მაშინ, როდესაც ადამიანები ცოტაოდენ ადამიანურები შეიქნებიან, ცოტაოდენ კაცთმოყვარენი და ურთიერთმიმტევებელნი, თანაღმობით განმსჭვალულნი. მოკლედ რომ მოვჭრა, ცოტაოდენ კეთილები და უშუალონი. თუკი გექნებათ კარგი და კეთილი განზრახვები, შეძლებთ თქვენს ირგვლივ დაინახოთ სამყაროსეული მშვენიერი ჰარმონია. უმთავრესად კი უკუაგდოთ ბოლმა და საძაგელი ჩევეა ყველაფერს უმზიროთ მგლური თვალებით!

2009წ.

მწერალი ვან მენგ-ი დაიბადა 1934წ. თანამედროვე ცნობილი მწერალია. „კულტურული რევოლუციის“ დროს 20 წლით გადასახლებული იყო. მომდევნო წლებში ფართოდ გაითქვა სახელი როგორც მწერალმა, პუბლიცისტმა, ჩინურ ლიტერატურაში ახალი მიმართულების მეთავემ. იყო მრავალი ორგანიზაციის, მათ შორის განახლებული მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, ჩინეთის კულტურის მინისტრი, ლიტერატურული კონკურსების ჟიურის წევრი, უცხოეთში დელეგირებულ ჩინეთის მოღვაწეთა წარმომადგენელი. ბევრჯერ იყო პრემირებული საუკეთესო რომანების, ნოველების, ესეებისათვის. ამჟამადაც აქტიურ მოღვაწეობას ეწევა, სწერს და მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების მიერ დაფასებული იყო, არასოდეს ყოფილა ტენდენციური. მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელია უშუალობა, ლირიზმი, მაღალი სულიერება.

მთარგმნელები ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი და რუსუდან ქუთათელაძე

ჩინელი ჩინელთა შესახებ

中国人漫谈中国人

ჩინელებს თუ იცნობთ?

პირველი ჰობი და მოთხოვნილება მათი – მუშაობაა. ჩემი აზრით, რამდენადაც შემიძლია ვიმსჯელო, დედამიწის ზურგზე ერთი ერიც კი არ მოიძიება, ვინც აგრერიგ შეპყრობილია მუშაობით. ჩინურ დამწერლობაში იეროგლიფი (ნან) „მამაკაცი“ იწერება, როგორც „მინდორი და ძალა“. ხოლო მინდორი და ძალა უკვე ჩინურ პიკტოგრაფიულ ხანაშიც კი არსებობდა. ესე იგი მამაკაცი ნიშნავს „ძალას, რომელიც მინდვრად მუშაობს“. ჩინური იეროგლიფი „ქალი“ (ფუ) იწერება, როგორც „ქალი, რომელსაც ხელში უჭირავს ცოცხი“. ჩინური იეროგლიფი ოჯახი (ნია) ნიშნავს „ჭერქვეშ მცხოვრები გოჭების ნაყარს“. ეს, რა თქმა უნდა, იმას როდი ნიშნავს, ბინაში ადამიანები რომ არ ცხოვრობენ, მაგრამ, ეს ნიშნავს იმას, რომ თუკი სახლში, თავისთავად ცხადია, ცხოვრობენ ნაგულისხმევი ადამიანები და თან ღორებიც, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ შეიძლება ჯალაბი ოჯახად იყოს მიჩნეული. ერთი სიტყვით, ჩინელი აიძულო არ იმუშაოს, ეს მისთვის სიკვდილის ტოლფასია.

ჩინელებს ყველაზე მეტად უყვართ მინა. მაგრამ თავს არ ზოგავენ მუშაობაში, რათა მოიხვეჭონ ფული.

სადაც არ უნდა ცხოვრობდნენ ჩინელები, ისინი ჩვეულების ინერციით რაღაცას რგავენ, სთესვენ, უვლიან მცენარეებს. სულელიც კი ცოტა როდია, ვინც უდაბნოში გარბის, კომპოსტოს მოსაშენებლად. მეტად უცნაურია, მაგრამ ადგილობრივი ნიადაგი, როგორც კი შეიტყობს, რომ ეს ჩინელები არიან, მაშინათვე ფრიად მორჩილი და დამყოლი ხდება. სრულიად კარგავს უცხო, უჩვეულო ჯიშებისადმი წინააღმდეგობის ხალისს!

თუკი ჩინელი გამდიდრდა, წუთითაც არ დაფიქრდება, როგორ და რანაირად დახარჯოს ფული. იგი ფულს დაუტოვებს ვაჟიშვილს, ხოლო ვაჟიშვილი ასევე ვერ შეძლებს ფულს რაიმე გამოყენება გამოუნახოს, შვილიშვილს დაუტოვებს და ასე შემდეგ.

ტრადიციული, და არა ახლადგამომცხვარი ჩინელები, საშველს არ მოგცემენ, რათა იცხოვრო შენი, პირადი, ინტიმური ცხოვრებით. ქალიშვილს დაურიდებლად, უაპელაციოდ გამოჰკითხავენ ასაკს. მავანს ჩაეძიებთან კიდევაც, რად და რატომ განშორდი ტურფა მერისაო. მაგრამ ტრადიციულ ჩინურ საზოგადოებას მისდგამს ერთი თვისება, მოდით, დავარქვათ ამას ეფექტი ან სარგებელი – მას არ ესაჭიროება ფსიქოლოგი. თითოეულს, ასე თუ ისე, მოსდგამს უნარი მოთმინებით უსმინოს ინტიმურ ჩივილს. ჩინელების აზრით, თუკი ვისმე აქვს „სხვისთვის გაუმხლებელი საიდუმლო“, იგი, უეჭველია, უვარგისი, უბრალოდ ცუდი ადამიანია.

ტრადიციული ჩინელი მეტად მორიდებული, მოკრძალებულია. ჩინელები თავიანთ ქმნილებებს უწოდებენ „ჭუო წუო“, ანუ „სულელურ, უმაქნის ქმნილებას“. ისინი გირჩევენ მიიღო ნახატი „პუ ციან“, იმისათვის, რათა შეავსო კედელი, საკერებელი დაადო, არც მეტი არც ნაკლები. თავიანთ ვაჟზე რომ მიგითითებენ, იტყვიან წუნ ძე, რაც სიტყვასიტყვით „ძაღლის შვილს“, ან კიდევ „მამაძაღლსა“ ნიშნავს. თავიანთ სახლს უწოდებენ „სან შე“, ანუ „გაყინულ ქოხმასს“. თუკი გაიგონებთ, ჩინელმა თქვაო: „ოჰ, ამისადმი არ გამაჩნია ნიჭი (ვო ი უ სო ჩან), ვიმედოვნებ თქვენსგან ვისნავლოო“, ნურავითარ შემთხვევაში ნუ შეიქმნით ილუზიას, რომ იგი გონებაჩლუნგია, ან კიდევ არ სჯერა საკუთარი ძალებისა. ამას იმიტომ გეუბნებათ, რომ ამ შემთხვევაში, მას მხოლოდ და მხოლოდ სურს გაგაგებინოთ თუ რაოდენ ზრდილი მეტყველების პატრონი ბრძანდება. თუკი ჩინელმა სადილად შინ მიგიწვიათ, მორცხვი გამომეტყველებით გამოგიცხადებთ: „რაოდენ უხერხულად ვგრძნობ თავს, რომ ვერ შევძელი ღირსეული ნადიმი დამეხვედრებინა!“ მშვიდად ბრძანდებოდეთ, იცოდეთ, საუცხოო სუფრა გელოდებათ, გურმანისათვის სანატრელი კერძეულის გრძელი წყებით.

ჩინელებთან ურთიერთობისას აჯობებს ასევე „მორიდებულ-მოკრძალებული“ იყოთ. ყველაფერი მათ მიანდეთ და თანაც ყველაფერზე „ეკამათეთ“. ანუ, ეკამათეთ ქების გამოხატულებით. აი, მაგალითად, ასე. თუკი იგი გეტყვით „ჩემი ინგლისური ისე ცუდია, ისე ცუდი, არაფრად ვარგა.“ თქვენ გმართებთ მიუგოთ: „ოჰ, რას ბრძანებთ! ძაან მაგარია. ლამის ინგლისელისავით საუბრობთ, არა თუ მათზე უარესად!“

რალა თქმა უნდა, ნუ იფიქრებთ, ყოველივე ამის გამო ისინი მოკლებულნი ბრძანდებოდნენ სიამაყეს.

საზოგადოდ ჩინელები თავდაჭერილნი არიან. იშვიათად თუ წარმოთქვამენ „ოჰ! ოჰ!“ და იშვიათად თუ გამოხატავენ გაკვირვებას. აკი ნათქვამია, მათ სახეზე გულგრილი, მალული გამომეტყველებაა აღბეჭდილი. ანუ სახის ნაკვთების მოძრაობა აშშ-ს ადამიანების 1/10, ხოლო ევროპელების 1/3 ნაწილს უდრის. აი, მაგალითად, ასაფეთქებელ ნივთიერებას თუკი მოკრავენ თვალს ფრიად თავშეკავებით წარმოთქვამენ: „ეს ხომ თითქმის იგივეა, რაც ჩვენებური საახალწლო მამხალა. თითქმის იგივეა“. კომპიუტერის დანახვისას ბრძანებენ: „ჩვენ ათასი წლის უწინ უკვე გვქონდა საანგარიშე.“ როცა ამერიკელებმა დიდი გაჭირვებით წინ

გადადგეს ნაბიჯი და მთვარეზე გაისეირნ-გამოისეირნეს, ჩინელები ბრძანებდნენ: „ჩანგ ე უკვე დიდი ხანია, რაც მთვარეზე ნამყოფია.“ (კომენტ: ჩანგ ე)

ამქვეყნად ცოტა პოლიტიკოსი გამოინახება, ვინც თავს არ დაზოგავს, რათა რაიმე გამართლება არ გამოუნახოს თავისი სახელმწიფოს მიერ წამოწყებულ ავანტიურებს. ჩინელები კი ბრძანებენ: „ეს პედიატრიული დაავადებაა!“ „ეს თითქმის იგივეა, რაც ჭან კუო, მეომარ სახელმწიფოთა ხანა. ეს ჩვენში უკვე დიდი, დიდი ხნის უნინ ხდებოდა.“ (კომენტ: ჭან კუო). აი ასე მსჯელობენ ჩინელები. რა გაენწყობა, ტყულიად როდი გამოვიარეთ 5000 წლოვანი ისტორია. ყველაფერი, რაც კაცობრიობაში შეიძლება მოხდეს, ან მოხდა კიდეც, ჩინეთში უკვე იყო!

სადაც არ უნდა გადასახლონ ჩინელები, მათი თავისებურებები არ იცვლება. ჰონკონგში თუ აღმომჩნდებიან, თოვლივით ქათქათა თანამედროვე ლუმელზე უეჭველად წამოჭიმული ექნებათ ჩაშავებულ-გამურული ღრმა ტაფა, ან კიდეც მოჭიქული ქვაბუკა. ჩინელები, რაც კი ძალი და ღონე აქვთ, ცდილობენ ამ გზით მაინც შეინარჩუნონ ჩინეთი. სინგაპურში, ყველაზე ხალხმრავალსა და თანამედროვე ცენტრებში, უსათუოდ შეხვდებით მოულოდნელად აღმოცენებულ ტრადიციულ ჩინურ აფთიაქს. ეს ჩინელები, როცა დაავადებები უკვე მთლად დაღრეკავენ და იმედები სავსებით გადაენურებათ, მხოლოდ და მხოლოდ დასამშვიდებლად, წმინდა წყლის გრძნობათა დასაამებლად, ჩინური სამკურნალო ელექსირებისა და ბალახეულის მოთხოვნილებას განიცდიან.

მალაიზიაში ათასობით ხუაციაო ცხოვრობს (კომენტ: ხუა ციაო). წარამარა ხმას აღიმალლებენ ხოლმე, გინდა თუ არა ჩინურ ენაზე სწავლა-განათლება გვჭირდებაო. თუმცა სინგაპურში უკვე არსებობს ეგრეთ წოდებული სამხრეთ ზღვების უნივერსიტეტი. თავის დროზე, რაგინდ აბსურდულადაც არ უნდა გვეჩვენოს, მაგრამ ამ უნივერსიტეტისათვის თანხები სწორედ ხუა ციაო-ებმა შეაგროვეს. იმ ხუა ციაო-ებმა, ვინც წერაკითხვის უცოდინარი იყო. ერთი იეროგლიფის ამოკითხვაც კი არ შეეძლო არც ერთ მათგანს ...

იყო ერთი უძველესი დროის ჩინელი ფილოსოფოსი, ვინც სიკვდილის წინ მოიხმო თავისი შეგირდი და უთხრა: „მოდი, ერთი ნახე, რა მექნა ჩემი კბილები?“ და დააბჩინა უკბილო პირი.

– აღარაფერი არაა! სჩანს, ყველა კბილი დაგცვევნიათ, მიუგო შეგირდმა.

– აბა, მაშ ჩემი ენა?

– ჯერაც თავის ადგილასაა.

აი მაშინ, შეგირდს თავში გაუელვა – რბილი და ამტანი მუდამ უფრო გამძლე და უტყუარია, ვიდრე მკვრივი და ძლიერი. იგი ბევრად უფრო მეტად ესადაგება ცხოვრებას.

ჩინეთში ვერ ნახავთ ადამიანს, ვისაც არ ესმოდეს აქსიომის: „რბილით დაიპყარ მაგარი და ძლიერი.“ (კომენტ).

ხოლო თუკი თქვენ ჩინური ბრძოლის, თაინი ციუან-ის სახეობას მისდევთ, ღრმად შეიმეცნებდით კიდე-ვაც და გაიგებდით, სხვაგვარად უცხოელთათვის ეს ჭეშმარიტება მარად ბუნდოვანი იქნება.

სანგ ქე – თანამედროვე ცნობილი მწერალი, ესსეისტი, იუმორისტი, მრავალი მოთხრობის, ესსეის, ნარკვევისა და სცენარის ავტორი.

მთარგმნელები ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი და რუსუდან ქუთათელაძე



ლამაზი სიცრუე

善意谎话

თავი I

როდესაც ჩემმა უფროსმა ძმამ იგი ცოლად მოიყვანა მე მხოლოდ 13 წლის ვიყავი და დაჟინებით ვუარობდი მისთვის რძლის დაძახებას. როგორც ჩემი მოგონებებიდან ვიხსენებ ახლა, მე ვფიქრობდი, რომ და რძალზე უფრო ახლო ადამიანი უნდა ყოფილიყო და რადგანაც მე თავად და არ მყავდა, ვამჯობინე მისთვის და მეწოდებინა. დედა ცდილობდა დავეძალეზინე, რათა სხვანაირად დამეძახა მისთვის, მაგრამ ის დამშვიდებით ეუბნებოდა დედას, რომ თუ მე მინდოდა მისთვის და დამეძახა დაე ასეც ყოფილიყო, იგი ჩემი და იქნებოდა, მაგრამ მე მაშინ არ წარმომედგინა, რომ უბრალოდ ნათქვამი სიტყვები ასე ამიხდებოდა და ის მართლაც გახდებოდა ჩემი ნამდვილი და.

მე მათ შესახებ მსმენოდა, რომ მათი სიყვარულის ისტორია დაიწყო ჩემი ძმის ჯარში წასვლიდან მოკლე დროში, რამაც მათი ოჯახები მაშინვე დააკავშირა ერთმანეთს და ამით გამოიწვია დიდი შფოთი და უკმაყოფილება.

თურმე იმ დღეს როცა ჩემი და დაბადებულა, მამამისი საგზაო შემთხვევის შედეგად დაღუპულა. ჩინეთში კი არსებული ცრუ რწმენის მიხედვით ითლებოდა, რომ თუ ახალგაზრდა ადამიანს მშობლები ან ახლობლები ადრე ეღუპებოდა, მას ძალიან მძიმე ბედ-იღბალი ჰქონდა და სწორედ ამის გამო დედა მათი ქორწინების სასტიკი წინააღმდეგი იყო. მას არ უნდოდა რომ ჩემს ძმას ასეთი მძიმე ბედ-იღბალი გაეზარებინა. იმ დროს, ჩემი და მუშაობდა ერთ-ერთ არასახელმწიფო სკოლაში მასწავლებლად. არასახელმწიფო სკოლა იმ დროს ითვლებოდა ნაკლებ პრესტიჟულ დაწესებულებად, რადგანაც იქ მომუშავე მასწავლებლებს, სახელმწიფოსგან ხელფასის გარდა სხვა ნახალისება არ გააჩნდათ. სწორედ ესეც გახდა დედის უკმაყოფილების ერთ-ერთი მიზეზიც. თავის მხრივ ჩემი დის ოჯახიც უკმაყოფილო იყო იმით, რომ ჩემი ძმა ერთი ჩვეულებრივი ჯარისკაცი იყო. ისინი ფიქრობდნენ რომ მათი ქალიშვილი ბევრად უფრო მეტს იმსახურებდა და ის უნდა გაყოლოდა ცოლად სხვა უფრო წარჩინებული თანამდებობის მქონე პირს. ასე და ამრიგად, მათი ქორწინების საქმე 3 წელიწადს გაიჭიმა და მხოლოდ ამის შემდეგ დაგვირგვინდა წარმატებით. ჩემმა ძმამ მალევე ჩააბარა სამხედრო სკოლაში, და კი ძველებურად არასახელმწიფო სკოლაში მუშაობდა.

დედა მაინც ცრუმორწმუნე ქალი იყო და ქორწინებიდან მალევე რძალი ძველ, პაპისა და ბებულის მიერ დატოვებულ სახლში გაგზავნა საცხოვრებლად. და უხმოდ იტანდა მარტოობას, არც კი ცდილობდა წინააღმდეგობის გაწევას, მთელი დღეები მხოლოდ იჯდა და მწარედ ქვითინებდა. მე მის ასეთ მდგომარეობას რომ ვუყურებდი გული მიკვდებოდა და მის შეგულიანებას ვცდილობდი: „დაო, ნუ წუხარ ასე, საღამოს მე მოვალ და შენთან ერთად ვიქნები“.

საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ, სახლიდან მოშორებით ვიყავი და ამიტომ დილით ძალიან ადრე მიწვევა ადგომა. ყოველ ჯერზე და მალევიძებდა. გაღვიძებისთანავე საუზმესაც მახვედრებდა და თავდაც ჩემთან ერთად ჭამდა. მაგრამ თავისთვის მხოლოდ ხორბლის ცხობილებს იღებდა, მე კი – კვერცხს მთავაზობდა, თან გულთბილად მეუბნებოდა: „შენ იზრდები ახლა და ამიტომ უკეთ უნდა იკვებო“. არადა მე ვიცოდი, რომ ის ორსულად იყო, მაგრამ ისე გამოიყურებოდა, როგორც ფოთოლი უწყლოდ, დამჭკნარი და უსიცოცხლო. შეგეშინებოდა ადამიანს. მე ვერ ვარწმუნებდი, რომ უკეთ მიეხედა საკუთარი თავისთვის, პირიქით კვლავ განსაკუთრებული მოპყრობით ვიყავი განებივრებული.

არ ვიცი რა მიზეზით, მაგრამ დას მუცელი მოეშალა და ამავე წელს მყარი ჯანმრთელობის მქონე მამა, უცაბედად ავად გახდა. ნახევარი წელი გამუდმებით მკურნალობდა ხან ერთგან, ხანაც მეორეგან, მაგრამ შედეგი ვერ გამოიღო და იგი გარდაიცვალა. მუცლის მოშლა და მამის გარდაცვალება დედამ მიაწერა მის მძიმე ბედ-იღბალს და გამუდმებით უხსენებდა მას ამას. ის კი არაფერს არ ამბობდა, ძალიან დამფრთხალი და შეშინებული ჩანდა, განსაკუთრებით დედის თანდასწრებით. მართლაც გული მოგიკვდებოდათ მის დანახვაზე.

თავი II

მამის გარდაცვალების ამბავი ცის დამხობას ჰგავდა. იმისთვის რომ მამის მკურნალობის ხარჯები გაგვესტუმრებინა, დიდი ვალეები ავიღეთ. ამასთანავე, ომცროსი ძმა ოჯახდებოდა, ჩვენ კი მზითვეიც კი არ გვქონდა მისთვის. ამ ყველაფრის გამო ჩვენი ოჯახი ძალიან სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა. თანაც ხმები დადიოდა, რომ გოგოს მხარე უკმაყოფილო იყო ჩვენი ოჯახის ეკონომიური მდგომარეობით და ქორ-

წინებაზე უარის თქმას გეგმავდნენ. ამის გამო დედა მთელ დღეებს ნერვიულობაში ატარებდა.

ერთ საღამოს მთელი ოჯახი შევიკრიბეთ, რათა მოგვეთათბირებინა მომავალი გეგმები. დედამ მიხმო და მითხრა: „სოფლის გოგონებიდან მხოლოდ რამდენიმე თუ ახერხებს სკოლაში სწავლის დამთავრებას. ადრე თუ გვიან შენც მოგიწევს სკოლასთან გამომშვიდობება და ჯობია ეს ეხლავე მოხდეს...“ დედა ამას რომ მეუბნებოდა, ჩემი ძმები თავჩახრილები იდგნენ და ხმას ვერ იღებდნენ. მაშინ კი ჩემი და გამომესარჩლა და თქვა: „ჩემმა პატარა დაიკომ ეხლა არ უნდა მიატოვოს სწავლა. მე კიდევ მაქვს დარჩენილი რაღაც დანაზოგი და ეს საკმარისი იქნება დაიკოს სწავლისთვის და მზითვისთვისაც“. ამას რომ ამბობდა მისი ხმა სუსტად და გაუბედავად ჟღერდა. დედას ამის გაგონებაზე ცრემლები ჩამოედვარა ლოყებზე, მე კი გულში ვფიქრობდი: „ჩემი სულელი და“.

მეორე რძალმა ჩვენს ოჯახში მოსვლისთანავე განაცხადა: „სანამ ჩვენ ყველანი ერთ სახლში ვცხოვრობთ უნდა გავანანილოთ მთელი ქონება, ამ საქმეს თავს ვერ ავარიდებთო“ და დაიწყო მთელი ქონების გაყოფა-განაწილება. დედამ არსებული ვალები ორ ძმას შორის თანაბრად გადაანაწილა, მეორე რძალმა კი ამის გაგონებაზე დიდი აყალ-მაყალი მოაწყო და მეუღლეს გამწარებით უთხრა: „შენ მე შემპირდი რომ ჩვენ ვიცხოვრებდით ახალ სახლში და არც ვალები დაგვეკისრებოდა. თუ შენ დღეს საკუთარ თავზე აიღებ ერთ ფენ-საც კი, მე მაშინვე გაგეყრებიო!“ ამის გაგონებაზე დედა სიბრაზისგან მთელი ტანით ააკანკალა, ადგილს ვეღარ პოულობდა და მხოლოდ ამის თქმა მოახერხა: „ნუ ჩხუბობთ! მე ვიცხოვრებ ძველ სახლში და ფასის ანაზღაურებაც არაა საჭიროო“.

მე მაშინვე მივარდი ჩემს დასთან, შემეშინდა ასეთ აღელვებულ მდგომარეობაში რამე არ ეთქვა და პირზე ავაფარე ხელი, მან კი მითხრა: „მე განა დედის გაბრაზების მეშინია, ჩვენ რძალ-მუღი სამარადისოდ ახლობლები ვიქნებით და არ ღირს ყველაფერზე ასე დაწვრილმანებაო.“

საბოლოოდ მთელი ოჯახური ავლა-დიდება დანაწილდა და დაიყო. დამ კი ვალის დიდი ნაწილი თავად გაისტუმრა. ამ პერიოდში დედა ავად გახდა. მე ვიცოდი, რომ მისი ავადმყოფობის მიზეზი მე ვიყავი. მან მოითხოვა რომ ჩემი ძმები გაფორმებულიყვნენ ჩემს ოფიციალურ მეურვეებად, იქამდე სანამ მე შევძლებდი დამოუკიდებლად ცხოვრებას. ასეთმა პირობამ, რა თქმა უნდა, ჩემი მეორე რძლის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია: „მანინც როდემდე უნდა მოვუაროთ ჩვენ?! მთელი ცხოვრება ასე ხომ არ იქნება? მე მხოლოდ მოხუცებს ვუვლი და არა ახალგაზრდებს!“

ეს რომ გავიგონე გაბრაზებით წამოვიჭერი ფეხზე და ჩემს რძალს ვუთხარი: „რძალო, შენ ნუ ნაღვლობ, თუ ისეთი დღე დამიდგა, რომ საქმელიც კი მენატრებოდეს, თქვენ მანინც არ შეგანუხებთ“. ეს რომ ვთქვი დედამ ერთი სახეში გამილაწუნა და საყვედურით მითხრა: „ასე ბრიყვულად როგორ ლაპარაკობ, რაც არ უნდა იყოს შენი ძმის ცოლია და მასთან ასე ლაპარაკი არ შეიძლებაო“.

თავი III

ამ ამბიდან ნახევარ წელიწადში დედა ინფაქტით გარდაიცვალა. რომ მახსენდება რაოდენ სავალალო მდგომარეობაში იყო გული სევდით მევსება და მენურება. მან ტურმე გარდაცვალებამდე დიდი ხნით ადრე იცოდა თავისი ჯანმრთელობის სავალალო მდგომარეობის შესახებ და ამიტომაც ნაუყენა ვაჟებსა და რძლებს ასეთი მოთხოვნა.

მე იმ წელს 20 წლის გავხდი. უმაღლესში ჩაბარებამდე ნახევარი წელიც კი არ მქონდა დარჩენილი, როდესაც, მასწავლებელთა სევედიანი მზერისა და თანაკლასელების სინანული მიუხედავად, გადაწყვიტე შემეკრა ბარგი და დავბრუნებულიყავი სახლში. როდესაც დამ დამინახა გაკვირვებისგან გაშრა და ხმას ვერ იღებდა. გონს რომ მოეგო მაშინვე დასვა ნ თვის პატარა, რომელიც ხელში ეჭირა და მკითხა: „დაიკო, რამე მოხდა?“ მე კი თვალებზე ცრემლმორეულმა ვუთხარი, რომ სამუშაოდ წასვლა მინდოდა. მან მისაყვედურა: „ასე თვითნებურად როგორ მიიღე ასეთი გადაწყვეტილება? დედა აღარ გყავს, მაგრამ მე ხომ შენს გვერდით ვარ. ათი წლის სწავლას როგორ ყრი წყალში და ასე იოლად როგორ ნებდებიო“. მე კი დარცხვენით ვუპასუხე: „დაო აღარ მინდა შენთვის მძიმე ტვირთი ვიყო. ახლა უკვე პატარა შვილიც გყავს, ხელფასიც ძალიან პატარა გაქვს, უნივერსიტეტის გადასახადი კი საკმაოდ მაღალია...“ მან აქ გამაწყვეტინა და მითხრა: „ჩვენ ერთი ოჯახი ვართ და მე ყოველთვის ვიზრუნებ შენზე“. მეორე დღეს კი უკან დამაბრუნა სკოლაში.

დიდი ხანი არ გასულა და მე სამხრეთის ერთ-ერთი მთავარი უნივერსიტეტიდან ჩაბარების დასტური მომივიდა. ძალიან გამიხარდა, მაგრამ როდესაც სწავლის ღირებულება „5500 იუენი“ ნავიკითხე, ძალზედ შევცბი და გულის ფანცქალით გაუფგზავნი ჩემს დას ეს ცნობა. მან კი თურმე უკვე იცოდა და თითქოს რამე მოეგოს სიხარულისგან დახტოდა.

უნივერსიტეტში გამგზავრებამდე დამ მშობლების საფლავზე წამიყვანა პატივის მისაგებად, როგორც კი მივედით იგი დამნაშავე ბავშვივით დაემხო საფლავზე და გულამოსკენილი ატირდა. მე კი ვერ მივხვდი მაშინ თუ რა ხდებოდა. მან დიდხანს იტირა ასე, მერე კი წამოდგა, ცრემლები მოინმინდა და თითქოს არაფერი მომხდარიყოს წყნარად მითხრა: „წავედით“.

თავი IV

უნივერსიტეტში სწავლის 4 წლის განმავლობაში მე ერთხელაც არ დავბრუნებულვარ სამშობლო მხარეში. მხოლოდ გზის ხარჯები აღემატებოდა 1000 იუენ-ს. სწორედ ეს იყო ჩემი სამშობლო მხარეში დაბრუნების დამაბრკოლებელი მიზეზი. ჩემი უფროსი ძმა ხანდახან ფოსტით კი მიგზავნიდა ფულს, მაგრამ მხოლოდ ჩემი და მწერდა წერილებს და მიყვებოდა ოჯახში მომხდარ ყოველ პატარა ცვლილებაზე: ბავშვი გაიზარდა, ძველი სახლი შეკეთდა, ის კი თავად სახელმწიფო მასწავლებლის თანამდებობაზე გადაეყვანათ. წერილის თავში და ბოლოში კი სულ მიუთითებდა: „სწავლის გადასახადი უკვე შევავროვე, ასე რომ არ ინერვიულო და მხოლოდ სამსახურზე ნუ იფიქრებ. სწავლა ყველაზე მნიშვნელოვანია, ერთი შესაფერისი ყმანვილიც აირჩიე...“

სწავლის დამთავრების შემდეგ მე საკმაოდ კარგი სამსახური ვიპოვე. რაც ძალიან მიხაროდა, რადგანაც ახლა ბოლოს და ბოლოს მეც შემეძლო მომეწყო მისთვის სიურპრიზი. როდესაც სახლისკენ მივემართებოდი, გულდასმით ვცდილობდი წარმომედგინა მომწვანო-მონაცრისფრო აგურითა და კრამიტით განწყობილი ახალი სახლი. მაგრამ რომ მივედი დავინახე ძველი, გასაცოდავებული კარ-მიდამო. კარი ვილაც უცხო კაცმა გამიღო, უცებ შევცბი და ეჭვი შემეპარა, ნუთუ სახლი შემეშალათო, მაგრამ უცებ დავინახე ჩემი 4 წლის უნახავი და. მე მაშინვე დავაგდე რაც კი ხელთ მეკავა და, მივარდი მას და მაგრად ჩავეხუტე. ცოტა ხნის მერე იმ კაცზე მივუთითე და ვკითხე: „ის...ის ვინ არის?“

იგი კარგა ხანს სდუმდა, მერე კი მითხრა: „ჩემი მეუღლე“. მე კი გაკვირვებით ვკითხე:

– „დაო ჩემი ძმა?“

– „ჩვენ დიდი ხანია დავშორდით“

– „დაშორდით?“

– „ბავშვი 1 წლის რომ შესრულდა ჩვენ გავაფორმეთ საბუთები. მე არ მივეცი მას უფლება რომ შენთვის ეთქვა ეს ამბავი. თავად კი აქ დავსახლდი“

შენი სწავლის საფასურს კი უმეტესად შენი ძმის მიერ მოცემული ალიმენტიდან ვიხდიდი.“

მე უცებ გამახსენდა თუ როგორ დაეცა და ჩემი მშობლების საფლაგზე და გულამოსკვნილი ქვითინებდა. ახლალა მივხვდი თუ როდენ ტანჯვასა და სევდას იტევდა მისი გული.

„მე თვითონ შევთავაზე შენს ძმას“ განაგრძობდა იგი, „მან ერთი გოგო დააორსულა და თუ მე არ გამშორდებოდა, ის გოგო ჩივილით ემუქრებოდა. მეც დავნებდი მათ. ესაა ჩემი ბედი, მე ვემორჩილები მას...“

იმ საღამოს ჩვენ ძალიან მეგობრულად ვიყავით. მე ვკითხე კიდე რას მიმალავდა, ვკითხე სამსახურზე. სიმართლე იყო ის თუ არა, რომ ის ახლა სახელმწიფო სკოლაში მუშაობდა. მან კი ხმა არ გამცა, მხოლოდ იცინოდა. მე კვლავ ვკითხე მას: „დაო ის კაცი გიყვარს?“ მან კი უცებ შეწყვიტა სიცილი, შეჩერდა ცოტა ხნით და მითხრა, რომ ის მას კარგად ექცეოდა. მაშინ მე კვლავ ვკითხე: „გძულს? გძულს ის ოჯახი, რომელმაც ამდენი ტანჯვა მოგაყენა და ამდენი უბედურება მოგიტანა?“ მან კი თავი გააქნია და მითხრა: „ამდენი ხანია ჩვენ ერთმანეთს ვიცნობთ, ვურთიერთობთ. ამ ოჯახის სიტბო და სიყვარული უკვე ძვალსა და რბილში მაქვს გამჯდარი და მხოლოდ იმიტომ რომ ჩემი და შენი ძმის ურთიერთობა შეიცვალა, მე ვერ დავშორდები შენ. თანაც შენ მე ყოველთვის ისე მექცეოდი მე, როგორც საკუთარ დას და ამ ყველაფრის მერე სხვანაირად როგორ მოვიქცეოდი!“

უცაბედად მე ვიგრძენი, რომ იგი შეეხო ჩემი სულის უღრმეს სიმებს. ლამფის შუქზე მე მას დიდხანს ვაშტერდებოდი. ტანით ჩია, სუსტ ადამიანს, რომელსაც უკვე წლები შეჰპარვოდა; ადამიანს, რომელსაც წლების განმავლობაში სიყვარულისა გამო უწევდა ტყუილის თქმა; რომელიც გულთბილად ზრუნავდა ჩემზე. მიქარვებდა დარდებს და ყოველთვის გულწრფელობითა და გულუხვობით მასაჩუქრებდა.

მე მას მაგრად მოვხვე ხელები მხრებზე და ჩავეხუტე. ამ 4 წლის განმავლობაში მისი ყოველი სიკეთით გაჟღენთილი სიცრუე ჩემს გულში ყველაზე ლამაზ სევდათ გადაიქცა. მე ვიცე, რომც არაფერი მეზადოს მე ამ ქვეყნად, მე მარად მექნება მისი სიყვარული. მე იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ რომც ამ ქვეყნიურმა ყველაფერმა მიატოვოს იგი, ის მაინც არასდროს იქნება მარტო, მე მუდამ მის გვერდით ვიქნები და დავიცავ მას.

იუე წინყენ-ი თანამედროვე მწერალია. წერს მოკლე მოთხრობებს. ძირითადად ეხება გენდერული თანასწორობის თემას, ქალთა ხვედრს.

მთარგმნელი ნინო ნადარეიშვილი

დედობრივი მზერა

母爱

- ა -

პატარაობიდან 17 წელი ბებიასთან ვიზრდებოდი უდედოდ. ალბათ 7 წლის ვიქნებოდი, როცა დედა ინგლისში გაემგზავრა უმაღლესი განათლების მისაღებად, ათ წელზე მეტი ხნის შემდეგ ჰონგ-კონგში დაბრუნდა. ბებია მანამდე გარდაიცვალა, მე და ჩემი უფროსი ძმა ერთმანეთის იმედად და ერთად საცხოვრებლად დაგვტოვა.

ერთი წლის რომ ვიყავი მშობლები ერთმანეთს გასცილდნენ. ჩემთან და ჩემს ძმასთან ერთად დედა კუანჭოუ-დან სიანძიან-ში გადასახლდა, ბებიას ჩვენთვის რომ მოეხედა, თვითონ კი სხვა ქალაქში ცხოვრობდა და მუშაობდა, რათა ჩვენ შევენახეთ.

იმ დროს დედას იშვიათად ვხედავდი, ასე კვირაში ერთხელ სადმე რესტორანში თუ ვისადილებდით ხოლმე, ან ჩაბნელებულ კინოში მულტიფილმებს ვუყურებდით. სულ პატარაობისას საოცრად მიჯაჭვული ვიყავი დედაზე, იგი ყველა იმ კინოვარსკვლაზე უფრო ლამაზი მეგონა, რომლებიც იმ ფილმებში თამაშობდნენ კუანგტუნგ-ურ ენაზე რომ გადიოდა. თუმცა საქციელით ამაყი და უკარება იყო, არასოდეს გვეხვეოდა და გვკოცნიდა, არ ჰგავდა იმ დედებს რომლებსაც ჩვეულებრივ ვხვდებოდით. რაც უფრო მეტად იყო იგი ასეთი, მით უფრო მეტად მიჩნდებოდა იმის სურვილი, რომ ჩამხუტებოდა და ლოყები დაეკოცნა ჩემთვის.

ერთ მშვენიერ დღეს ბებია გამოგვიცხადა რომ დედა თხოვდება, მისი გულისსწორი ის ბატონი ლი-ა, ჩვენთან ხშირად რომ სტუმრობს. ყოველ ჯერზე იგი მოდიოდა ძვირფასი, თავლია სარბოლო მანქანით და მივყავდით ხოლმე მე და ჩემი უფროსი ძმა ნიენშა-ში, კინოთეატრ ლიეკუნგ – „სიხარულის სასახლეში“. მას ლამაზი თითქოს ჰაეროვანი მანერები და ელეგანტური გარეგნობა ჰქონდა. ადამიანებთან ურთიერთობისას კეთილგანწყობას ამჟღავნებდა. მეზობლები ერთსულოვნად მიიჩნევდნენ, რომ იგი არაჩვეულებრივად ალზრდილი, ყველას შურდა დედის ბედნიერების და ბებიაც მათ კვალად იმეორებდა: „ბატონი ლი მდიდარი ოჯახიდანაა, თანაც კეთილშობილი გვარისაა, მრავალრიცხოვანი, ნაირ-ნაირი ნათესაობა ჰყავს, მათთან ცხოვრება და შეგუება დედათქვენს გაუჭირდება! ოფიციალურად ველარ იქნება დედათქვენი, დეიდა დაუძახეთ!“ სათქმელად ადვილი იყო, მაგრამ ჩემი უმნიშვარი ტვინი ვერაფრით იგებდა, რატომ უნდა გადაქცეულიყო დედა დეიდად? ოღონდ ერთი რამ კი ნათელი იყო, მასთან ჩახუტებისა და ალერსის შანსი კიდევ უფრო ეფემერული ხდებოდა. კიდევ უფრო მეტად მენატრებოდა და მიყვარდა. ხოლო როცა ვხედავდი ხოლმე, თუ როგრი სინაზით მიყურებდა, ვრწმუნდებოდი, რომ დედაჩემი სწორედ იგია!

გათხოვების შემდეგ ჩვენი ურთიერთობა უფრო მეტად თავშეკავებული გახდა. დედის სახლში ყოველი სტუმრობისას, ის სულ უფრო და უფრო ჩქარობდა და შინაური საუბრებისთვის დრო თითქმის აღარ რჩებოდა. ბებია გამუდმებით უფულობას უჩიოდა. დედა ილუმებოდა, მისი თვალები გაღიზიანებას გამოხატავდა. ო, რატომაა იგი ასე გაღიზიანებული? სად დაიკარგა მისი თვალები, რომლებიც იყვნენ, როგორც იტყვიან, შემოდგომის წყალივით გამჭვივალე. სად არიან მისი ნამიანი თვალები? ნუთუ გათხოვება მართლაც ასე მძიმე აღმოჩნდა მისთვის? ბებია ამბობდა, რომ დედამ მშვენიერი თვალების წყალობით დედამთილის სიყვარული მოიპოვა, მაგრამ იმისთვის რომ გახდეს მდიდარი და დიდგვაროვანი ოჯახის რძალი, განა საკმარისია მხოლოდ მომწუსხველი თვალები? მაგრამ მე ვფიქრობდი რომ იგი დალხენილად ცხოვრობდა.

ქორწილიდან ერთი წლის შემდეგ, დედა ქმართან ერთად სასწავლებლად გაემგზავრა ინგლისში. ჩვენ ყველანი მივედით პორტში, სადაც საოკეანო ორთქლის გემები იდგნენ. უმეტესობა ნათესავებისა ტიროდა, მხოლოდ დედამ გაძლო უცრემლოდ, მისი თვალების გამომეტყველება შეუპოვარი და მტკიცე იყო, როგორც აქვთ ხოლმე გადაწყვეტილება მიღებულ და დიდი იმედის მქონე ადამიანებს. იგრძნობოდა, რომ იგი იმ ფრინველივითაა, რომელიც ფრთებს აქნევს შორეული ფრენის წინ და რომელიც არაფრის დიდებით აღარ მოისურვებს დიდებულთა თუ სამეფო დარბაზებში ცხოვრებას. ამის გამო ედგა თვალებში ასეთი მტკიცე სიხარული. გასაგები იყო რატომაც არ იტირა დედამ განშორებისას.

ათ წელზე მეტი გავიდა, ჩვენს სახლში მოხუცები გარდაიცვალნენ, მხოლოდ მამინ დაბრუნდნენ დედა და მამა ჰონგ-კონგში დიდი ხნით საცხოვრებლად. იმ დღეს მე და ჩემი უფროსი ძმა საოცრად კარგ, მხიარულ გუნებაზე დავხვდით დედას ჩვენს სახლში, მე სამზარეულოში გავედი და სადილი ჩემი ხელით მოვამზადე, რათა როგორც ტრადიციულად ამბობენ – ნამგზავრს დავხვედროდი და გზის მტვერი ჩამომეფერთხა. მაგიდასთან ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაზე ვსაუბრობდით, ვისხენებდით ჩემი და ჩემი ძმის ბავშვურ ოიენებს, ამას რომ ისმენდა, დედა თავს ხრიდა და ჩუმდებოდა, თუმცა დრო და დრო სიამოვნებით უცქერდა ჩემს

სახეზე ყვავილივით გაშლილ ღიმილს. თითქოს უეცრად, თვალი აეხილა და თქვა: „რას ვიფიქრებდი თუ ბატის ჭუკი გედად გადაიქცეოდა, ცოტა ხნის წინ აეროპორტში თითქმის ვერც კი გიცანით თქვენ!“ თუმცა ეს სიტყვები სავსე იყო დედობრივი სიყვარულით, ვგრძნობდი რომ ის რალაცნაირად დიდხანს და ეჭვიანად მიყურებდა, რის გამოც ძალაუნებურად თავს უხერხულად ვგრძნობდი, დავიმორცხე.

ზეციურმა ბედმა არ ინება, რომ დედასა და ქალიშვილს მუდმივი სიახლოვის კარმა ჰქონოდათ. ნახევარი წელი ერთად, ერთმანეთის ფერებაში გავატარეთ. სამაგიეროდ ამას მოჰყვა თორმეტწლიანი განშორება, რომლის დროსაც ერთმანეთს იშვიათად ვხვდავდით – მხოლოდ ზაფხულის არდადეგებზე, მშობლებთან ჰონგ-კონგში დაბრუნებისას.

მაშინ იყო კიდევ სამი შემოდგომა, როცა დედა საჩუქრებით სავსე დიდი და პატარა ფუთებით ჩემი და ჩემი ძმის მოსანახულებლად ჩამოდიოდა ჩიკაგოში. მისი სტუმრობა, როგორც იტყვიან, „ადგილიდან ფეხმოუცვლელი“ იყო, რადგან გვინდოდა მისი გასასეირნებლად გაყვანა, თვითონ კი არაფრისდიდებით მოგვყვებოდა, გადაწყვეტილი ჰქონდა, ყოველ საღამოს ჩვენთვის ვახშამი მოემზადებინა. ასეთი ორი კვირის განმავლობაში დედაშვილის ურთიერთობა არ უმჯობესდებოდა, პირიქით კიდევ უფრო ვშორდებოდით ერთმანეთს. მის ყოველ ჩამოსვლამდე ვგეგმავდი, როგორ გულკეთილად და კარგად მოვექცეოდი მას, მაგრამ როცა მიემგზავრებოდა, ყოველ ჯერზე დანაშაულის გრძნობა მტანჯავდა.

ერთხელაც დადგა დღე, როცა უეცრად ტელეფონის ზარი გაისმა, დედამ დარეკა, იგი ყვიროდა, რომ მამინაცვალს უნდა გაყროდა. იმ დროს მამინაცვალი ვაჭრობით იყო დასაქმებული ინდონეზიაში, დედამ მოსანახულებლად ჩააკითხა და მისი საიდუმლო აღმოაჩინა – როგორც იტყვიან „ოქროს გალიაში მზეთუნახავის ჭირვეულობაა დამალულია.“ მამინაცვალი მიხვდა, რომ დაშავა და დედას პატიებას ემუდარებოდა, მაგრამ დედამ ყური არ ათხოვა და გადაწყვიტა თავისი ორი შვილისთვის შეეჩვილა, ჩვენთვის. არცერთი არ დავეთანხმეთ მის განზრახვას გაჰყროდა ქმარს, ხოლო მე მხოლოდ ერთი კითხვა დავუსვი: „დე, შენ განქორწინდები და მერე ისევ გათხოვდები?“ მან მიპასუხა არაო, მაგრამ განქორწინების ამბავი თავისთავად აორთქლდა და გაქრა. თუმცა მას შემდეგ მის გამჭვირვალე წყალივით ნათელ თვალებში გაჩნდა ახალი გამომეტყველება, თითქოს დუმფარები ცურავდნენ წყლის ზედაპირზე. ვფიქრობ, რომ ეს უნდობლობის გამომეტყველება იყო, მიხვედრის გამომეტყველება, სიხარულ მოკლებულივით გამოიყურებოდა.

მე კი ჰონგ-კონგში დაბრუნების შემდეგ გადავიტანე ოჯახური ტრაგედია და მარცხი განვიცადე ქორწინებაში, გავხდი სევდიანი და გულჩათხრობილი. მეშინოდა, რომ მშობლები ჩემს გამო ღელავდნენ, და უსიამოვნო თუ სასიხარულო ამბებს, ყველაფერს ერთად ჩემ თავს მივანერდი, ამიტომაც მათ მხოლოდ ახალ წელს ვხვდებოდი ხოლმე. ამის გამო დედასთან ურთიერთობა ისეთი გახდა, თითქოს ჩვენ შორის მაღალი კედელი ჩადგა, ერთმანეთის შემყურე ოთხი თვალი ყინულის თხელი ფენით იყო დაცობილი ერთმანეთს. მაგრამ არც ერთ ჩვენგანს არ ეყო სულიერი მხურვალეობა, საიმისოდ რომ გაედნო იგი. და ასე საკმაოდ ბევრმა წელმა ჩაიარა.

1997 წელს ივნისში სერიოზულმა დეპრესიამ მომიცია, დედამ თავისთან სახლში წამიყვანა, რათა ჩემი მოვლა გაადვილებოდა. მაშინ ჩემი მდგომარეობა საშინელი იყო, დღისით უმიზეზოდ ვტიროდი და ვჩიოდი, ღამით თვალს ვერ ვხუჭავდი, ხშირად მთელ ღამეს უძილოდ ვატარებდი. ამ დროს ჩვენ უფრო ხშირად ვსაუბრობდით, ვუამბობდი ჩემი ოთხგზის უიღბლო თვითმკვლელობის პროცესის შესახებ, როცა მისმენდა, დედას იერი ეცვლებოდა, იგი ტირილით მეუბნებოდა: „ჩემო შვილო, ეს ყველაფერი რატომ უფრო ადრე არ მომიყვები? ჩემო საბრალო, ასეთი უბედურების წინაშე რატომ იდექი მარტო!“ ასეთ მომენტებში ვღუმდებოდით ხოლმე ერთმანეთის პირისპირ, დედაჩემის ცრემლებით სავსე თვალებში, სინდისის ქენჯნა დავინახე. თუმცა მისი თვალების გამომეტყველება ხომ, როგორც სარკეში, ჩემი თვალების ანარეკლი იყო. ჩვენ ორივეს გვანვა სულიერი ტკივილი, სინდისის ქენჯნა.

ორი წლის შემდეგ უოფანს გავყევი ცოლად. სწორედ იგი იქცა ხიდად ჩემსა და დედაჩემს შორის. დედა, ხედავდა რა, რომ გამომიჩნდა ადამიანი, რომელზე დაყრდნობაც შეიძლებოდა, მიხვდა, რომ ჩემ გამო შფოთვა აღარ იყო საჭირო, მას თვითგვემა შეუმსუბუქდა და მის თვალებს თბილი გამომეტყველება დაუბრუნდა.

წელს ძვლის კიბო დედას მეოთხე სტადიაში გადაუვიდა, მე ორჯერ მომეცა იმის საშუალება, რომ მისთვის მომეწყო და მის გვერდით ვყოფილიყავი. საქმეებზე საუბრისას, დედა მთხოვდა მისთვის ახალგაზრდობის ქარაფშუტული შეცდომები მეპატიებინა, რომ ჩემს მოსავლელად ვერ მოიცალა, რამაც ფსიქიკა დამიზიანა. მას შემდეგ რაც ორჯერ გადავუშალეთ გული ერთმანეთს, შინაგანი უთანხმოება და ურთიერთ მიტევების უკმარისობა, ჩვენი ცრემლებით ჩამოირეცხა. თვალს ვადევნებდი, დედაჩემის მართალია ბინდაგადაკრული, მაგრამ გამჭვირვალე და სუფთა მზერა როგორ ხდებოდა სრულად და უმნიშვნელოდ გასხვივსნებულს. იმდენად იმოქმედა ამან ჩემზე, რომ უნებლიეთ აღმომხდა: „დედა! არადა როგორ მიყვარხარ, მართლა!“ მხოლოდ და მხოლოდ ერთი ფრაზა და ჩვენს გულებს შორის წლების განმავლობაში გაჩენილი კვანძები, თავისთავად გაიხსნა, ხოლო სინდისის ქენჯნა ორივეს უკვალოდ გაგვიქრა.

იუიინ-ს მოულოდნელად ეწვია შთაგონება და დედაზე თხზულება დაწერა. დედამისს კიბო აქვს, ვშიშობ, დიდხანს ვერ იცოცხლებს, წარმომიდგენია ქალიშვილის მდგომარეობა. როცა მისი თხზულება წავიკითხე, მე, მისი ქმარი, შეძრული დავრჩი. გული მეტკინა, ეს ტკივილი მთლად დედამისთან არ იყო დაკავშირებული, გული მეტკინა, რადგან ამან იუიინ-ის დეპრესიის მორიგი რეციდივი გამახსენა. ის დედამისის საქალაქთა-შორისო ზარმა გამოიწვია. დედამ თქვა რომ მკერდის კიბო უკვე ძვალზე გადავიდა. ეს რომ გაიგო, იუიინ-ს მთელი ღამე არ ეძინა. ერთი კვირაც არ გასულა რომ დეპრესია განმეორდა, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ არაფერი ვიცოდი. ვიფიქრე, ჩვენ ასეთი ბედნიერი ახალშეუღლებულები ვართ, როგორ უნდა დაგვტყდომოდა თავს დეპრესია?!

ეს ორი წლის წინ იყო. მას შემდეგ ფხიზლად ვიყავი, როგორც კი რომელიმე ღამით უძილობა შეიპყრობდა, მე უკვე უარესად მეძინა. ნუხელ მას, ოთხს რომ გადასცდა უკვე ეღვიძა, ლოგინში წრიალებდა და ვერაფრით იძინებდა. თუმცა სწორედ მაშინ ღრმად მეძინა, სადღაც გულის სიღრმეში ვგრძნობდი: იუიინ-ს კვლავ დედაზე ფიქრები შემოაწვია! და მე? მე თურმე ასეთ დროს არ ვიცი რა ვქნა. არ ვიცი რა ვქნა, როგორ დავიყოლიო, რომ არ იდარდოს გარდაცვლილ დედაზე, ცას ვერავინ გამოეკერება. როგორ უნდა დაარწმუნო ადამიანი, რომ ფსიქიკურ განცდებთან დისტანცია დაიჭიროს, ეს რომ მოქმედებდეს, ფსიქოლოგიური იმუნიტეტი დიდი ხნის გაჩენილი იქნებოდა. თუმცა რა თქმა უნდა, რამდენიც არ უნდა ვიფიქრო, ყველაფერი ფუჭია. კარგია, რომ მამაშენი უფლის. ის ოპტიმისტი და გონიერი ადამიანია, და ამას ისე უყურებს როგორც ბედისწერას. დედაშენიც დანებდა ბედს და არ ებღუჭება სიცოცხლეს. როცა რამდენიმე დღის წინ მოსანახულებლად ვიყავით, მან ხომ ანდერძიც კი დატოვა – გადმოგცა პასპორტითა და ფოტოებით სავსე პაკეტი, თითქოს ამბობდა: „ამჯერად სამოგზაუროდ ძალიან შორს მივემგზავრები, მაგრამ აღარც პასპორტები და აღარც პირადობის მოწმობებია საჭირო.“

მიუხედავად იმისა რომ გვერდიდან ვუყურებდი, არ შემიძლო გულგრილი დავრჩენილიყავი. თავს უმწეოდ ვგრძნობდი, ვიცოდი რა, რომ ვერაფერს ვუშველიდი, იმის გარდა რომ ერთგული ძაღლის კუდი გავმხდარიყავი და იუიინ-ს ავტორღიალებოდი. ამასობაში იგი, მისთვის უჩვეულოდ კუანგტუნგ-ურ დიალექტზე მიესალმა დედას, ეკითხებოდა თავს როგორ გრძნობდა, და ამის მერე აღარ უსაუბრიათ. ერთადერთი რაც შეეძლო, სასტუმრო ოთახში მჯდარიყო და გაზეთები ეკითხა, ან თვალდახუჭულს დაესვენა, ერთხელ მძიმე ძილითაც ჩაეძინა.

იმ დღეს სადილის შემდეგ სიზმარი ვნახე. დამესიზმრა დედაჩემი, რომელიც შარშან მარტში გარდაიცვალა და რომელიც აქამდე არასოდეს დამსიზმრებია. ხოლო რვა წლის წინ გარდაცვლილ მამას, პირიქით, რატომღაც ხშირად ვხედავდი, თანაც ერთსა და იმავე სიზმარში: მამა საზღვარგარეთაა, არ გვაქცევს ყურადღებას არც დედას და არც მე, მაგრამ მე მის მოსანახულებლად მივემგზავრები, იგი მამშვიდებს, ამბობს, რომ ცოცხალია და ჯანმრთელი და რომ მასზე ნერვიულობა არ ღირს. ჩემს სიზმარში მამამ თითქოს და აისრულა ოცნება – დედასთან განშორების შემდეგ, ცხოვრებაში თავის გზას დაადგა. მაგრამ სიზმარი უმეტესად რეალობის მეორე მხარეა. ის სიკვდილამდე ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში დედასთან ერთად ცხოვრობდა, მათი რეჟიმი იყო ურყევი და უცვლელი: ყოველდღე ერთნაირი: ხუთ საათზე იღვიძებდა, ვარჯიშობდა, უახლოეს ფუნდუკში სოიოს რძით საუზმობდა, ბრუნდებოდა სახლში; დედა კი ამ დროს როგორც წესი საწოლიდან დგებოდა, თითქმის ორ საათს ატარებდა სააბაზანოში, მამა ამასობაში სატუმრო ოთახში გაზეთებს კითხულობდა. კითხვას რომ მორჩებოდა, ოთახს ალაგებდა, შემდეგ დედა დღის დიად საქმეზე – მენიუზე ფიქრობდა: რა იქნება სადილად? რა იქნება ვახშამად? ხომ საჭიროა ანონ-დანონოს როგორ შეუხამოს ერთი კერძი მეორეს, მერე იძახებდა მოსამსახურეს, რომელიც ნახევარ დღეს მუშაობდა და ავალებდა მას პროდუქტების საყიდლათ ნასვლას და საქმლის მომომზადებას. ასე მეორდებოდა ყოველ დღე, ეს მათი ცხოვრების წესი იყო.

მამას მარადიული პასუხი ჰქონდა მზად: „სულერთია, რას შევჭამთ.“ ასეთი გულგრილი პასუხი დედას ალიზიანებდა და ეს ხანდახან სიტყვიერ შეხლა-შემოხლას იწვევდა. სიტყვას სიტყვა მოსდევდა, მამა ყოველ სიტყვაზე დედას შარს სდებდა, მაგრამ ვერანაირ სარგებელს და სიხარულს ვერ ნახულობდა, მხოლოდ გამომეტყველება რჩებოდა რაღაცნაირად უსაშველო.

სადილის შემდეგ მამა საწოლ ოთახში იძინებდა. ნახევარი საათით. გაღვიძების შემდეგ ტელევიზორს უყურებდა, ყველაფერს ერჩია სპორტული შეჯიბრი ბურთით თამაშის რომელიმე სახეობაში. დედა თითქოს ჯინაზე, სწორედ ამ დროს აგზავნიდა მას საქმეებზე: „ნადი ერთი ბანკში, გამოიტანე ჩემი ამ თვის პროცენტები, ბარემ ფოსტაშიც შეიარე და წერილი გააგზავნე, მერე. . .“

მამა იცვამდა და დედის ყველა ბრძანებას ემორჩილებოდა. როცა დაბრუნდება და დედას ანგარიშს ჩააბარებს, უკვე ვახშმობის დროა. ორი მოხუცი უხმოდ მიუჯდებოდა მაგიდას, სადაც ყოველთვის ერთი წვნიანი და სამი სხვა კერძი იყო. ხდებოდა, რომ მამას განმეორებით უნდოდა ახალი ამბების მოსმენა, მაშინ ის ფიალით ხელში დივანზე ჯდებოდა. ამასობაში დედა ვახშმობას ამთავრებდა, სამზარეულოს ალაგებდა და ყოველდღიურ პროცედურას შეუდგებოდა ხოლმე, რომელიც იყო რიტუალური განბანვა, ანუ ბანაობა. ამას კვლავ სამი საათი მიჰქონდა, როდესაც იქიდან გამოდიოდა, მამა უკვე გამოტილი იყო, ანუ ღრმად ეძინა.

ასე მისდევდა დღე დღეს, მონყენილობა მონყენილობას, და ეს „შეჩვეული მონყენილობა“ – რუტინა, როგორც დაინყო, ისე გაგრძელდა ათწლეულობით. სახლში რომ ვბრუნდებოდი, ქვეცნობიერში უნებლიედ ჩნდებოდა აზრი – „მამა, რატომ არ განშორდები სახლს? სადმე გაემგზავრე, ჯობს იტალიაში! დედა ხომ ადგილიდან მაინც არ გაინძრევა.“ არ ვიცი თავის დროზე რამდენი ძალ-ლონე დავხარჯე, რათა ამეხსნა მისთვის ემანსიპაციის ცნება და ქალთა უფლებები, მაგრამ აზრი არ ჰქონდა, ის მხოლოდ ღიმილით მპასუხობდა: „შვილო! რას მიედ მოედები? გგონია ახალგაზრდობაში მსგავსი არაფერი მესმოდა? ახლა რაღა დროს ეგაა მითხარი“.

და ასე დედა სულ უფრო სიტყვაძუნნი ხდებოდა, სანამ ერთ მშვენიერ დღეს მამა რეჟიმის მიხედვით სავარჯიშოდ არ გავიდა, შორს არ წასულა, იქვე წაუვიდა გული. ჩგამვლელებმა მეზობლებს შეატყობინეს, მაშინვე საავადმყოფოში წაიყვანეს, გადაარჩინეს, მედლის დანახვისას გაიხუმრა კიდეც, მაგრამ დღის მეორე ნახევარში კვლავ დაკარგა გონება. დიდი დრო არ გასულა, რომ ის ამ ქვეყნიდან წავიდა.

შემატყობინეს და თაივ ანის ქალაქ თაიპეი-ს პირველივე ავიარეისით იმავე ღამით იქ გამოვცხადდი. გავიგონე დედაჩემის ფრაზა: „მამაშენი ჩემზე ადრე წავიდა!“ მას ძალიან სუსტი ხმა ჰქონდა, მაგრამ ცრემლი არ ჩამოვარდნია. დასაფლავების შემდეგ კი, დედა ყოველდღე ცრემლად იღვრებოდა, თუმცა დაჟინებით ითხოვდა, რომ საცხოვრებლად შეერთებულ შტატებში გადავსულიყავით. ამან უმცროსი და აიძულა იგი ამერიკაში გადაეყვანა. არ ვიცი რამდენი ძალ-ლონე შეაღია მის მოვლას. ასე გაგრძელდა შვიდი-რვა წელი, სანამ დედა არ გარდაიცვალა.

როცა ვიხსენებ, რაღაცნაირი დაბნეულობა მეუფლება – ნუთუ ადამიანის ცხოვრება სულ ესაა, და მეტი არაფერი? ახლა კი იუი-ინის დედის ჯერია. ცხადია, „განსაზღვრული ვადის“ პირისპირ, ადრე თუ გვიან, ყოველი ადამიანი დადგება, მაგრამ ამ „განსაზღვრულ ვადამდე“ რა ხდება? ნუთუ მთელი ცხოვრება მონყენილობა და სიმშრალეა, და არცერთი მისხალი სიახლე?

ამბობენ, რომ ფრანგმა ფილოსოფოსმა მიშელ ფუკომ თავისი ცისფერი პერიოდის პარტნიორს სიკვდილის წინ უთხრა: „თურმე, სიკვდილი სულ ესაა – თეთი ლაქა და არავითარი აზრი.“

ესეც შეიძლება მხოლოდ ჭორია ან გამონაგონი, მე ხომ არ შევსწრებივარ, საიდან უნდა ვიცოდე?

და ახლა იუი ინ-ი მშობლის სიკვდილის პირისპირ იდგა, მე რაღაც უნდა მელონა, მაგრამ ტვინში აზრად მხოლოდ „უსარგებლობა-ზედმეტობა“ მიტრიალებდა. სიზმარშიც კი, როგორც სიცოცხლეში, დედაჩემი მდუმარედ იჯდა, როგორც ოდესღაც მამასთან, ჩემთვის სიტყვა არ უთქვამს. სიზმრის შემდეგ მივხვდი: როგორც ჩანს, დიდი ხნის წინ ქვეცნობიერად ისე დავრთგუნე დედაზე მოგონებები, სანამ დამბლა არ დაეცათ გრძნობებსა და მოგონებებს. ჩემს სიზმარში იგი გამოჩნდა, რათა შემატყობინოს, რომ ისევ არსებობს, და რომ ეს მე ვიცოდე – არა მხოლოდ დროისა და სივრცის სხვა განზომილებაში.

მე და იუი ინ-ი კიდეც ერთხელ გამოველაპარაკეთ მნოლიარე დედას და დავემშვიდობეთ, იმ ფიქრით რომ იქნებოდა შემდეგი ჯერიც, მაგრამ მე ვიცოდი, რომ იუი ინ-ი გულის სიღრმეში ანგარიშობდა და ხვდებოდა რომ შემდეგი ჯერის შანსი სულ უფრო და უფრო მცირე იყო. მომავალ კვირას დედა საავადმყოფოში უნდა დაწოლილიყო, თანაც ატიპიური პნეუმონიის ეპიდემიის დროს საავადმყოფოში ავადმყოფი ჯობია არ მოინახულო.

იუი ინ-ს მოვეხვიე და ყურში მსუბუქად ჩავჩურჩულე: „ნუ იტანჯები, ჩვენ კარგად ვიცხოვრებთ, დედაშენს ხომ უკვე აღარ აქვს შენზე სანერვიულო, ასე არაა?“

ლი იუიინგ-ი დაიბადა 1930 წელს. 1964 წელს დაამთავრა პეკინის უნივერსიტეტი ჩინური ენისა და ლიტერატურის განხრით. 1997 წლიდან მწერალთა კავშირის წევრია.

მთარგმნელი ქეთი ფუტურიძე

სხვა ქალაქი

另一座城

1

მანქანა პარკის შესასვლელთან გაჩერდა, იქიდან აპაო გადმოვიდა, მაგრამ ნაცვლად იმისა რომ შესასვლელისკენ გადადგა ნაბიჯი, „park 97“-სკენ, მიბრუნდა და საპირისპირო მიმართულებით გაემართა, და მალევე თვალი მოკრა ქუჩაში ასვეტილ რეკლამას: „დაბა კარი“ (*1)

ეს პიტერის, პიტის რესტორანია, აქედან ასიოდე მეტრში. თუ ჩვეულებრივი გამვლელი ხარ, მაშინ ხომ არც დაგაინტერესებს ქუჩაში აყუდებული სარეკლამო დაფა? რაღა ეგ, და რაღა გზის პირას მდგარი ჭადარი, ჩაკარგული სხვა ჭადრების სიმრავლეში.

ამიტომაც, რომ როცა უნდა რომ გზა მიახლოვდეს მეგობრებს ამ თავის „საუფლოში“, ის ჯერ „park 97“-ს ახსენებს. საერთოდ ხომ ასე გეჩვენია, როცა საქმე გვაქვს არქიტექტურასთან, რომლის გავლენა ამა თუ იმ საგზაო მაჩვენებლის სტილს ატყვია; შეიძლება ითქვას, რომ პიტერისათვის ეს შანხაის ორიენტირია.

„ეგ სახელი პირდაპირ თვალში გეცემა მისამართების ინგლისურ ცნობარში, აქ ყველამ იცის!“

„ყველამ იცის!“ - ყურს რეკლამასავით გხვდება.

აპაო მორჩილად დაეთანხმა ყურმილში ნათქვამს, მაგრამ პიტერს თითქოს არც კი უგრძენია ნამდვილი ვითარება, მაინც გადაწყვიტა, ფაქსით გადაეგზავნა მისთვის ბარების ცნობარის Pub - ის (შანხაის გზამკვლევი) პირველი გვერდი.

ამ გვერდმა კიდევ უფრო დააბნია აპაო, ზედ ვერაფერს გაარკვევდი, სტამბის საღებავის ბრალი იყო თუ კიდევ რაღაცის, ყველაფერი შავად ჩანდა, ხოლო „ცნობარმა“ ხომ საერთოდ აურია ტვინი; ბოლოს და ბოლოს, ერთ რაღაც სანყალ ბარზეა ლაპარაკი, სხვაზე ხომ არაფერზე? მით უფრო საკვირველია, თავს რატომ იწონებს ამ ბარით? კუთხე არ დარჩენილა ქვეყანაზე, მას რომ არ ენახა, არც ერთ სანახაობას უყურადრებოდ არ დატოვებდა, ბრძოლის ყველა სახეობას ესწრებოდა – ეხლა კიდევ აცხადებს, „ყველამ იცისო!“

ეხლა ვეღარც კი იხსენებს, ახალგაზრდობაში რამდენი დაუხარჯავს იაფ სასმელზე, ამერიკის დასავლეთ შტატში რომ ცხოვრობდა. იქაური უკაცური ველები, წელიწადში ექვსი თვე რომ თოვლით არის დაფარული, ვერანაირად ვერ შეგიხურებს ფანტაზიას, ამას მხოლოდ სპირტით თუ მოახერხებ.

შაბათ-კვირას, როგორც წესი, ბარები გადატენილი იყო ხოლმე უნივერსიტეტის სტუდენტებით. ბარების დახურვის შემდეგ, ღამის ორი საათიდან ქუჩებს ავსებდა შემთვრალი ახალგაზრდების ნაკადი – სიყმაწვილის ნეტარი ხანის ნაკადი, ბნელსა და შმაგ სიხალისეს რომ შავად განეუღინთა. მერე ანაზღად მათში ვინმე უცებ ითავებდა მეთაურობას და აიყოლიებდა მის ირგვლივ შემოჯარულებს, კიდევ უფრო ჩაბნელებული კუთხე-კუნჭულებისკენ გაიყოლიებდა, სადაც კიდევ უფრო სუსტი იყო განათება, ხოლო სასმელი კიდევ უფრო მაგარი იყო.

ასეთი თავაშვებული ღამეების დამავირგვინებელ მეორე ნაწილში დრო და დრო აპაო-ც მონანილობდა, და მერეღა მხოლოდ, როცა გამოფხიზლდებოდა, იმის ფიქრს მიეცემოდა, „მაინც სად არის, რა ჯურღმულებშია ჩამალული ყველა ეს თავსაყუდელი, მერე ბინდ-ბუნდში რომ ყველაფერს გაგიშლის და დაგანახებს?“

მერეღა გაიგო აპაო-მ, რომ ის ციციქნა ქალაქი, სადაც მაშინ ცხოვრობდა, მთელს შეერთებულ შტატებში იყო ცნობილი თავისი ბარების სიმრავლით, ეს კი ნიშნავდა რომ ისეთ ადგილას უცხოვრია, სადაც ძალზე მაღალი იყო ურვისა და სევდის მაჩვენებელი.

ის პერიოდი უნდა იგულოს თავისი „შმაგი სინორჩის ხანადა“. ღვინო რომ მიიყვანდა გარკვეულ კონდიციამდე, მოიშორებდა ხოლმე სამკაულებს, გაიღელავდა პერანგს, თავს მერცხალზე უფრო მსუბუქად გრძნობდა და რაკი შეგნება ალკოჰოლით ჰქონდა დაბინდებული და ამიტომ ჯიქურ, ხალისით უპირისპირდებოდა ყოველ აკრძალვას. ამის შემდეგ კი დაუცხრებოდა სიმთვრალით გამოწვეული ატაცება, მოეშვებოდა და კვლავ მზად იყო შედგომოდა „კარგი, ბეჯითი“ სტუდენტის ცხოვრებას.

ქორწინების ათმა წელმა მოგონებდად გადაუქცია ის ბარები, და რომ არა პიტერის სერიოზული ტონი, როცა იწყებდა ხოლმე საუბარს ამ თავის ბარზე, მესხიერებიდან მთლიანად ამოუვარდებოდა ის ყველაფერი, რაც შეადგენდა მის ცხოვრებას შორ სამყაროში.

ან თავში აზრად მოუვიდოდა, რომ ასეთი დამამახსოვრებელი სახელის მატარებელი ეს რაღაც წერტილი, უცებ გადიქცეოდა მისი სიცოცხლის Sign და მის ცხოვრების შემობრუნებას აღნიშნავდა.

ის დღე, როცა პირველად იგი დალანდა, იმ ნიშნად იქცა, რომელიც ერთგვარად აფრთხილებდა და ალაღინის ლამპარის არ იყოს, ახსენებდა: „უკან ნუ მიიხედავ! მიბრუნდები, და გაქვავება არ აგცდება!“

*

სინგაპურში დაფუძნებულმა ფირმამ ლუნგ-ი აქეთ, შანხაიში გაამწესა საქმის გასაშლელად, და რაკი მანამდე აპაო-ც აქ არასოდეს ყოფილა, ამიტომ ქმართან ერთად ჩამოვიდა, რომ საცხოვრებელი ბინა შეერჩიათ.

შანხაიში საქმის გაშლით, აპაო ქმარზე უფრო მეტად იყო დაინტერესებული; თავისი სიტყვა ინტერნეტშიც თქვა - Hot Topic - ით, რომელშიც აისახებოდა ქალაქის ცხოვრების ბოლო წლების პერიოდიები; ნაწილობრივ, თანამშრომლების მონაყოლმაც იმოქმედა, და კიდევ იმან, რომ შანხაი დედამისის ქალაქი იყო, დედა კი დიდი ხანია აღარა ჰყავდა.

ერთადერთი ნაცნობი ამ ქალაქში ეს მამისტოლა კაცი იყო, ქმართან ერთად რომ დაპატიჟა სასაუბროდ თავის პანია რესტორანში.

ჰო, ნამდვილად შაბათი იყო... შანხაისათვის ჩვეული მოღრუბლული ციდან, მაგრამ მზე ცოტა ხნით მინც ატანდა ძალანართმეულ სხივებს ღრუბლების საბანში და შუქი თვალებს არ ჭრიდა.

აპაო-ს ხელში ეკავა პიტერის ხელით დახატული რუკა, ფაქსით რომ გამოუგზავნა, სადაც მუქად და მკაფიოდ იყო გამოყოფილი ორი პუნქტი: ერთს „პარკ 97“ ეწერა, მეორეს „დაბა კარი“. ეს პუნქტები მრგვალად იყო შემოხაზული და დიდრონ მრგვალ თვალებს მიჰგავდა, რომლებიც თითქოს თავად უცქერდნენ ნახაზს მიჩერებულ აპაო-ს. იმ პუნქტების ირგვლივ, ზევით თუ ქვევით, დაფენილი იყო შავი კლაკნილი საზეზის ქსელი – ის ქუჩაბანდები, რომლებიც ავსებდნენ შანხაის დასავლეთ ნაწილს. ყველა ეს ქუჩა უცხო იყო აპაო-სათვის. ისინი ერთი-მეორის შემაერთებელ და შემავსებელ მდინარეებს ჰგავდნენ, რომელთა სიღრმეს არვინ უწყვიდა; ამოუწურავი იყო ის ხიფათი თუ საიდუმლო, რაც მათში იმალებოდა, ისევე როგორც ვერვინ იტყოდა, რამდენ ფარულ დინებას და მორევს მოასწავებდა ამ კლაკნილების აბურდული გორგალი.

იმ თვალებისმაგვარმა რგოლებმა ისე იმოქმედეს აპაო-ზე, რომ მერეც, როდესაც მარტო მიჰყვებოდა ამ მოკლე ქუჩას, თავის თავს სულ ეკითხებოდა გაკვირვებული, „კი მაგრამ, როგორ?“. მსხვილი „მრგვალი თვალები“ არ ასვენებდნენ, თითქმის ყოველ წამს წინ ეხატებოდნენ და შესცქეროდნენ.

პიტერის რესტორნის პოვნა არ გასჭირვებიათ, რადგან მანქანა დააყენეს თუ არა პარკის შესასვლელთან, აპაო-მ და მისმა ქმარმაც, ლუნგ-მა, მაშინვე დაინახეს „პარკ 97“-ის აბრა. რესტორან პარკის გვერდით შესასვლელთან იდგა, ჩუმ და წყნარ კუთხეში, ერთი შეხედვით ვერავინ მიხვდებოდა, რომ აქ იმალება ურბანიზირებული მეგაპოლისის ესოდენ მოდური დანესებულება.

რესტორნის წარწერიანი დაფა პარკის პირას ისე უბრალოდ გამოიყურებოდა, თითქოს უგულისყუროდ დაეკიდათ. არც კი ეგონა ორივეს, თუ ასე დახვდებოდა, მისი რეკლამა უფრო თავმოშონე და მყვირალა წარმოედგინათ, რადგან მიაჩნდათ რომ ეს ღამეული სამყოფელი ვერ აჩვენებდა თავის ზღაპრულ სიტუარფეს, რის გასაცემად იყო იგი ღამით მონოდებული, ვინაიდან გალავანის სიდიდე ჩაგრაგდა, ახშობდა და არ გასცემდა არანაირ ბგერას, არც ფერს – დაბნელებას ელოდა, სინათლის ანთებას.

იმ წამს აპაო ვერ წარმოიდგენდა, რომ ოდესმე ეს ადგილი გადიქცეოდა მისი უტკბესი მოგონებების ალაგად, და რომ იდგება ასე კარის წინ და კაშკაშა ნათებით დაბრმავებული, თვალებს ხელის გულით მოიჩრდილავს...

შუადღე ახლოვდებოდა, პარკისკენ მიმავალ გზაზე თითქმის არავინ არ ჩანდა. პარკს პატარა მოასფალტებული ქუჩა ადგებოდა, სიგრძით კილომეტრიც არ იქნებოდა, მაგრამ ყურადღებას იქცევდა იქ აღმართული ბიზანტიური სტილის მრგვალგუმბათიანი მართლმადიდებლური ეკლესია, რაც მნახველს ახსენებდა ოქტომბრის რევოლუციით დამფრთხალ და გამოქცეულ ძველ რუსულ არისტოკრატას. ზოგი მათგანი, კონტინენტი რომ გადმოლახეს, ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში აღმოჩნდნენ; ბევრნი ვერ გაჩერდნენ, გზას განაგრძეს და მერე ნელ-ნელა „დაილექნენ“ შანხაის კონცესიების ტერიტორიაზე, და იქ სცადეს თავისი ბედი.

ამ ქუჩაჩას ოდესღაც კონეი ერქვა, ფრანგი პოეტის საპატივსაცემოდ, და საფრანგეთის კონცესიაში ეკავა ცენტრალური ადგილი, ქუჩის გადაღმა კი, ერთ ციციქნა ქუჩას რომ გადაკვეთდი (ადრე რომ სიაფეი ლუ ერქვა, მერე კი ხუახაილუ დაარქვეს), ჟოფერის პროსპექტი დაგხვდებოდა – ვრცელი, გაშლილი, თავის დროზე რომ ხალხს იზიდავდა დაუცხრომელი პულისით და ფუფუნებით. ძველადგადმოხვენილ რუსებს ამ პროსპექტზე რამდენიმე მაღაზია გაეხსნათ – საიუველირო, საათების; საპარიკმახეროც ჰქონდათ გახსნილი, ოღონდ მას შემდეგ იმდენმა წყალმა ჩაიარა რომ... ყოფა ხომ ვერ პოულობს თავის ადგილს ისტორიაში, ჰოდა მოგონებათა მოწმედ ეკლესიაღა დარჩა.

თავის დროზე, მეოცე საუკუნის ოციან წლებში, ეს ეკლესია რუსეთიდან გამოქცეულმა ემიგრანტმა არქიტექტორმა დააპროექტა, ალონმა, და დაარქვა ეკლესიას „სენ ლუის“. კიდევ ორმოცმა წელმა რომ განვლო, ჩინეთი გადიქცა მორიგი დიდი რევოლუციის ასპარეზად და არეულობა კიდევ ათ წელს გაგრძელდა. (*2) პროცესი ხანგრძლივი და ანტიხალხური აღმოჩნდა, ეკლესიის გუმბათი მოხსნეს, ფანჯრებში ჩაყენებული თუჯის ჩარჩოების მინის ვიტრაჟები ჩალენეს და გაანდგურეს, ხოლო ღამაზ მოხატულ შორენკეცებზე საბნად იდო ჭუჭყი და მტვერი. ერთ დროს წყნარი სავანე გაივსო ყურისმოჭრელი ხმების ნარევით: ლითონის საგნების ჭახანი ირეოდა წამოძახილების, ყვირილის და ლანძღვა-გინების ხმებში, რადგან შენობა რალაც ქა-

რხნის ხელში გადავიდა; თუმც ეკლესიას ამან კიდევ უშველა, რაკი ბევრი სხვა შენობა საერთოდ ზედმეტად ჩათვალეს და სულ ერთიანად დაანგრიეს.

რევოლუცია რომ დასრულდა, ერთხანს ყველაფერი თითქოს დამშვიდდა, მაგრამ ჯერი დადგა ახალი გრიგალის – ამჯერად რეფორმამ იძალა ეკონომიკაში, ნივთებ-საგანთა ზეობის ხანა დადგა; მისი დადგომა ქვეყანას ამცნეს და გამოხატეს ჰერმეტიკულმა პაკეტებმა, რომლებშიც საკვები პროდუქტები იყო „დაგმანული“ და რომლებიც გაცხელებისას, დინამიკით ფეთქდებოდნენ - „ჭააჰ!“, ნაფლეთებად აქცევდნენ პაკეტს და ამ გრიალის ხმა ყველგან აღწევდა... დღეს კი ეს ქარხნადქცეული ეკლესია რესტორნად გადაკეთბინათ, ძალზე ძვირი ფრანგული კერძებით, ალბათ საგანგებოდ ასე გაიზარეს, როგორც ამ უბნის ადრინდელი გაფრანგების ხანის გამოძახილი. ადრე რომ ერის სირცხვილად იყო მიჩნეული ეს ამბავი, ეხლა მოდურ ყოფას გამოხატავდა.

მეორე მხრივ, აპაო-სნაირ შემთხვევით გამვლელებზე, ან უცხოელებზე, ეს ამბავი არანაირი გავლენას არ ახდენდა.

იმ წამს ის მხარ და მხარ მიჰყვებოდა ლუნგ-ს, მათი მზერა წამით ერთმანეთს ჯერ ეკლესიასთან გადაეკვთა, მერე შეჩერდა ჯერ კიდევ ხშირ სიმწვანეზე, რომელშიც ჩაფლულნი იყვნენ კოტეჯები ქუჩის ორსავე მხარეს. ბაღებში ჩაკარგული, და წითელი კრამიტით გადახურული ეს თეთრი შენობები დღეს უმეტესად სახელმწიფო დაწესებულებებისათვის იყვნენ გადაცემულნი და მათ შემხედვარეს, უმალ ისინი ახსენდებოდა, ვისაც ბედმა არგუნა, გადაეტანათ ეპოქის თანმდევი გრიგალი და სიმძიმე – მსგავსად ქალწულ სიუნიანისა, (*3) დაუსრულებელი წარსულს რომ მისტირის, გარდაუვალი დასასრულის შეგნებით განმსჭვალული.

არადა, სწორედ დროების და ჟამიანობის ამ ქარიშხალმა დალი დაასვა აქაურობას გულსაკლავ სევდის. ამის შეგრძნება იყო, რომ აპაო უცებ შეცბა, რაკი იგრძნო რომ დაეუფლა აქამდე უცნობი გრძნობა. სიყმანვილის ხანა ხომ ლუნგ-თან ერთად გაატარა შეერთებული შტატების ჩრდილოეთში, სადაც ყველაფერი მკაფიო იყო, მარტივი და სივრცეში გაშლილი.

პიტერის რესტორანი ს'ნ ანისა და კაოლ ანის ქუჩების გადაკვეთაზე იყო, და ვინრო და მოკლე სინანის ქუჩა ამ გრძელ მაგისტრალთან ერთად ჯვრის ფორმას ქმნიდა.

კაოლან-თან შედარებით, ს'ნ ანი კიდევ უფრო სტოვებს კლასიკური ფრანგული ქუჩის შთაბეჭდილებას. გადმოცემით, ოდესღაც ამგვარ სახლებში იმალებოდნენ დრაკონები და ვეფხვები – თუმც, მას აქეთ კაი ნახევარმა საუკუნემ განვლო. აქაურ მაცხოვრებლებში ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეებიც შეგხვდებოდით, სახელმწიფო კომერსანტები, სახელგანთქმული მსახიობები, ცნობილი ვარსკვლავებიც. ჩრდილოეთის მხარეს, ერთ კოტეჯში ისეთი ბოსები ცხოვრობდნენ, რომელთა შესახებ მონაცემებს დიდი ინტერესით გაეცნობი ისტორიული დარგის წიგნებში. მსგავსი შენობები და ბაღები ერთი მეორეს გაყოლებით ჩამსკრივებულან, თუმც ნახევარსაუკუნოვან დუმილში ისინი იმათ დამსგავსებიან, ვინც რევოლუციების შემდეგ, მოგონილი გვარები ააფარა საკუთარ დინასტიურ სახლებს, და ასე ჩაიმალა და გაითქვიფა უბრალო ხალხში და მასაში, მოქალაქეებში, რომლებსაც თავში აზრადაც კი არ მოსვლია მათი არსებობა – და რომელთა შორის ისეთი შემთხვევითი გამვლელებიც იყვნენ, როგორც აპაო და ლუნგ-ი; ცხოვრების გზაზე დამდგარნი, არ უწყიან არათუ მომხდარს, რაც წინ უსწრებს არსებულს – არამედ იმასაც, რომ ამ გზაზე გავლით ისინო საკუთარ ბედს შეცვლიან და სულ სხვა ექნებათ მომავალში ბედი სავალი.

ქუჩის ორივე მხარეს ჩამსკრივებული ბებერი ჭადრები თითქმის ფარავდნენ ცასაც და ბაღებში ჩაკარგულ, ევეროპული ყაიდის დაბალ შენობებს. ხეებს ხომ მოსდევთ ძალი-უნარი განსაკუთრები?! კიდევ ამიტომ, წუთით მაინც აქრობდნენ და ანიეტრალბდნენ ქუჩის ხმაურს და ქალაქის ყაყანს.

სინანის ქუჩის გაყოლებით აღმართული ფრანგული ჭადრების (*4) რიგი მეორე ქუჩაზეც არა წყდებოდა და პარკს ერწყმოდა. იქ ეს ხეები, დიდრონი, ვეება, კიდევ უფრო გაფარჩხულიყვნენ და თავის ირგვლივ, უზარმაზარ მრგვალი ჩრდილების ლაქებსა ქმნიდნენ – თითქოს აფენდნენ ფართოდ გაშლილ მწვანე კოინდარს კონტრასტისათვის.

ასეთი ხედი ეპასუხება ხალხის წარმოდგენას ქალაქის პარკზე. ხეებს გარშემო წრეებად ეკრათ მწვანედ შეღებილი სკამები, შორიახლო გამართულ გრძელ მერხებზე, თვალს მოხვდებოდა აქა-იქ სილუეტი ვინმე ხნიერისე ხალხსაც თვალს მოკრავდი; დაღლილ ბებერ ფრინველებს გავდნენ, დასასვენებლად ტოტებს ჩამომხდარს; მართალია, შეუხედავნი, მაგრამ მაინც მშვიდნი ჩანდნენ და – საფიქრალი არ ეტყობოდათ.

აქ სხვა დროსაც ყოფილა, მაგრამ უფრო ღამით, როდესაც პარკი უფრო სცენას მიჰგავდა, სადაც უეცრად გამორთეს შუქი და ყველაფერი სიშავემ შთანთქა და ღამის ბნელმა დაისადგურა.

იმის თქმაც შეიძლება, რომ განსხვავებული განათება, ხელოვნური ნათების წყარო და ხალხის ხმები – ქმნიან სამყაროს, უცხო სამყაროს რომელშიც ქრება ყველა დღიური. უკვე რამდენჯერ მოუწია აპაო-ს ჩავლა „პარკ 97“-თან, მაგრამ ყოველთვის გზად, სხვაგან მიმავალს; კიდევ ამიტომ გადაავინწყდა არსებობა ამ დიდი პარკის, და ეს „დაღლილი ფრინველები“, მათი ხილვა გულზედ რომ მოხვდა, თურმე ესენიც ქცეულიყვნენ მოგონებად, შორ მოგონებად.

თუმცა ეხლა, ამ წამს, სულით და გულით ცდილობდა ეგრძნო ქვეყანა ესე, სრულად ახალი, როდესაც ქმართან, მხარდამხარ, ერთად აღმოჩნდა პარკის ვრცელ შესასვლელთან.

შემოდგომა სწვევოდა შანხაის. ნიავს მშრალ ტალღად მოსდევდა ნედლი, სუფთა სიგრილე, რომელშიც უმალ ამოიცნობა თიხნარის სუნი, ხეხილ-მცენარეთ უცხო სურნელი. მამ თურმე ქარსაც შეძლებია, მიგატანიოს გულთან ქალაქი – ან ჩაურაზოს შენი გულისკენ მომავალი გზა.

სინგაპურში გატარებულმა ათმა წელმა ვერ შეაჩვია იქაურ ქარებს, თან რომ მოჰქონდათ სინოტივე ცხელ-წებოვანი; იმ ქარს არ სდევდა შვება-შეგნება სიმსუბუქისა. იქაურობას, ტროპიკებში, ქარებს თან მოაქვთ რაღაც სიმძიმის შეგრძნება, შემოგარულის უცნაურ სურნელის სულ უცხო გარსში – და ჭარბობს რაღაც სუნელებით გაჟღენთილ ყველის არომატი, გეგონება რომ სამზადის კარი გაულია ყველა ჯურის ხალხს, თუმც საბოლოოდ ყველაფერს ახშობს ისევე ინდური კერძების სუნი.

პირველად კუჭი გამცნობს ამ შთაბეჭდილებას, რამეთუ სუნს ეს 32 გრადუსიანი სიცხე ამწვავებს, წელიწადი თორმეტი თვე რომ არა და არ ცხრება, იქ მყოფს სისავეს გრძნობას უმძაფრებს, ხან მადას უფუჭებს, თან ლლის და თენთავს, თითქოს შორს მიმავალ ავტობუსით მგზავრობს, მაგრამ სუნისთვის თავი ვეღარ დაუღწევია.

მერე ის დღეც დადგა, რომ მოისპო სუნი, აორთქლდა, გაქრა, ცას განიფანტა. აპაო-ს კუჭი დაუცხრა და დაუშოშმინდა, არც მას და მის ქმარს აღარასოდეს უხსენებიათ ის რაღაც სუნი: ან ვეღარ გრძნობდა, ან იქნებ სულაც დაემორჩილა იმ ვითარებას, რაც არსებობამ უკარნახა იმ გარემოში.

ტროპიკებში, კუნძულებზე ცხოვრება მხოლოდ ქმრის ხათრით აიტანა, მაგრამ ეხლა, პარკის შესასვლელთან მასთან ერთად რომ იდგა, უცებ ახედა დაკვირვებით, გამოსდო ხელკავი, თითქოს უნდოდა კიდევ ერთხელ აღენიშნა ფაქტორი მათი ამქვეყნად არსებობისა.

„ათი წლის გათხოვილი ქალი რომ კვლავაც იყოს შეყვარებული საკუთარ ქმარში – ამაში არის რაღაც არაჯანმრთელი, ავადმყოფური!“ – უყვარდა ხოლმე ამის გამეორება ჭუჭი-ს, მის უფროს მეგობარს სტუდენტობის ხანიდან.

„დახსაც რომ მტკივნეულია, ავადმყოფური“. აპაო-ს თავად აფიქრებს მისი სიყვარულის „ჭარბი სისრულე“. ეს თავისი სიყვარული მას მუქ თბილ სქელ პლედს აგონებს, რომელიც გარს აკრავს, მთლიანად ფარავს, ხასიათის და შეფასებათა კრიტერიუმის ჩათვლით. ამის გამო თავს ისე გრძნობდა, თითქოს ამ ერთიან ბუნდოვან და თბილ ატმოსფეროში იყო ჩაფლული და როდესაც წუთიერი აღელვება ეუფლებოდა, მაშინ უფრო მეტი მონდომებით იფუთნებოდა და იძირებოდა ამ პლედის ნეტარებაში.

ამჟამად კი, ამ წუთს, როდესაც აპაო და ლუნგ-ი იდგნენ პარკის შესასვლელთან, ორივე იმდენად ერთიანნი იყვნენ და ისე ავსებდნენ და ამდიდრებდნენ ერთმანეთს, რომ მათ მომლოდინე და წინ გაშლილ მომავალს არ უნდა მოკლებოდა თავისი წონა და მნიშვნელობა. ნეტავ, დროს თუ აქვს თავის შრეები? განა ის, რომ დრო შეიძლება ხანმოკლე და ბრმა იყოს, ანდა ხანგრძლივი და ნათელი – განა ეს არ მეტყველებს მის მნიშვნელობაზე?

როდესაც შემდეგ იხსენებდნენ პარკის წინ გატარებულ იმ წუთებს, ორივეს ისეთი სიმშვიდე და სინაზე ეუფლებოდა, ისე სუნთქავდნენ ამ ჰაერით, ისეთ ნეტარებას ჰგვრიდა ის სისუფთავე და დახვეწილობა, აგრერიგად რომ მიჰგავდა სივრცეს, ისეთ ცინცხალს რომ სინამდვილე მისი ლამის ზმანებად აღიქმებოდა: რეალურობა მისი თვალწინ, ბეტონის კედლიდან, მწვანედ შეღებილ რკინის ბადიდან ლალად გაშლილი – თითქოს ლამობდა თავის ფილტვებით შთაენთქა სიმწვანე ქუჩის ფოთლების, ან იქნებ სულაც მთელი ქალაქის.

2

პიტერმა როგორც მიუთითა, ისე მოიქცნენ: ორივე, აპაო-ც და ლუნგ-იც გადმოვიდნენ ტაქსიდან, პირით პარკისკენ, შემდეგ შემობრუნდნენ 180 გრადუსით და მათ თვალწინ აღმოჩნდა აბრა „დაბა კარისა“, რომელიც სხვა გამოკიდებულ აბრებთან ერთად, რეკლამის ერთიან კედელსა ქმნიდა გაოლანის და სინანის ქუჩის კუთხეში.

ხით და აგურით აგებული შენობების რიგს აგვირგვინებდა ესპანური წითელი კრამიტის სახურავები. ფანჯრების თუჯის ჩარჩოებს შორის რომაული ტიპის გრეხილი სვეტები იყო ჩართული, მაგრამ ღია ყვითელი ფერის საღებავის წუნებით დაფარული ცემენტის კედლები ძალიან მყვირალა ჩანდნენ; თვალშისაცემი იყო ასეთი უგემოვნება. ამის მიუხედავად, ლამის საუკუნოვანი შენობების სართულები მაინც ინარჩუნებდნენ მათი აგების დროინდელ, დახვეწილი არქიტექტურული ექსპერიმენტის კვალს. და როდესაც მათ ზედაპირს გადაუარეს უმსგავსოების ტალღებმა, არეულობის წლებს რომ თანსდევდნენ – ამან უფრო მეტი ეშხი შემატა მათი სტილის მიმზიდველობას.

აპაო-მ ნიდაყვი ამოჰკრა ქმარს, „ამას ხომ არ იფიქრებდი, არა? რომ ჩვენი Uncle Peter ამ თავის რესტორანს ასეთ ღირსეულ ადგილზე გახსნიდა. ეხლა რა ვქნათ?“

აპო ნამით შეჩერდა და საკუთარ ჩაცმულობას დახედა: ჯინსები - CK ეცვა, ჯინსის ქსოვილის ზედატანი, ფეხზე სპორტული ფეხსაცმელი.

„რა იყო, რამ დაგფიქრა?“ შეეკითხა ლუნგ-ი.

აპო-ს ჩაეცინა, ნახა რომ ქმარმა მისი შეკითხვა სერიოზულად მიიღო: „როგორ გგონია, რაც ეხლა ეს მაცვია, ცოტა გიჟურად ხომ არ გამოჩნდება ასეთ ადგილას?“

„მერე, საერთოდ რას იცვამ ხოლმე?“ – ლუნგ-ი თავისივე ფრაზამ დააბნია.

„ოოო, საერთოდ რას ვიცვამ ხოლმე, აღარ გახსოვს?“

ვერ გაეგო, სასაცილო იყო ეს მისი სიტყვები, თუ პირიქით, სატირლად ჰქონდა საქმე; ბოლოს და ბოლოს, რა საჭიროა, რომ მის ქმარს ახსოვდეს, როცა თვითონაც უჭირს გახსენება.

ზედმეტი იყო სტილზე ოცნება ამ თავისი მოკლე ვარცხნილობით, ჩვეულებრივი სადალაქო ქსელის ნაყოფით. ეს ჯინსის კოსტიუმი, რაც ეხლა ეცვა, ქუჩაში, დახლზე გამოყრილ იაფ საქონელს უფრო ჰგავდა და ელეგანტურობას არა მატებდა, მაგრამ აპო-მ ეს ეხლაღა იგრძნო და გვარიანად შერცხვა წუთი-წუთზე მოსალოდნელი შეხვედრის წინ.

„ის ხომ მაღალი რანგის სტუმრებით აპირებს ჩვენს დახვედრას.“

„მამ შენმა Uncle Peter-მა შეიძლება ჩათვალოს, რომ მასთან შესახვედრად სხვანაირად უნდა ჩაგეცვა?“

ლუნგმა თვალი ისე, ყასიდად შეავლო, რომ იტყვიან „უცქერის და ვერა ხედავსო“.

აპო-მ კი თვალი გაადევნა თავმომწონედ მომავალ გოგონებს, ყველანი საგულდაგულად, მოდურად იყვნენ გამოწყობილნი. „მაშინ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ საკმაოდ უბრალოდ ეჭირა თავი, თქვა რომ ეს მისი პატარა რესტორანი ისეთივეა, როგორც სხვა ჩვეულებრივი კაფეები ნებისმიერ უბანში“.

კაფეს ხსენებაზე, აპო-ს სინგაპურში გავრცელებული მსგავსი კაფეები წარმოუდგა, და მოგონებამ გაახარა და ააღელვა: „იქნებ სულაც ჰალსტუკით და კოსტუმში გამოწყობილი მიგვიღებს?“

ეხლა ისევ გაკრა ნიდაყვი ლუნგ-ს, ტონიც ეშმაკური ჰქონდა. საერთოდ, არასოდეს უცდია გაპრანჭული და ნებიერი ტონით ლაპარაკი, და აგერ უკვე ათი წელიწადი შესრულდა მათი ქორწინების შემდეგ, მაგრამ კვლავაც შერჩენოდა ახალგაზრდა სტუდენტის გარეგნობა.

კვლავ გადახედა თავის ქმარს, მოკლესახელოიან მაისურში გამოწყობილს; ჯინსები და სპორტული ფეხსაცმელი უფრო მატებდნენ ელეგანტურ იერს.

„ეგ არაფერი, მთავარია, რომ მოხვედი და ესეც საკმარისია, პიტერს სწორედ შენი ნახვა გაუხარდება“.

ეამაყებოდა, ასეთი ქმარი რომ ჰყავდა, თუმცა გულში კიდევ ეცინებოდა საკუთარ თავზე. ასე დაუსრულებლივ ქება და ცაში აყვანა, და ნეტარება იმ კაცით, ვინც მუდამ გვერდით ჰყავდა – ამისი უკვე სცხვენოდა კიდევ თავის მეგობართან, ჭუტი-სთან; ხოლო ისიც რომ მოეთხოვა, „მოდი, და ჩემი აღტაცება გაიზიარეო“, – ამაზე ხომ ფიქრიც ზედმეტი იყო.

„მე შენს ადგილას არ ვიქნებოდი ასე დარწმუნებული, რომ მოვენონები!“

როგორც ყოველთვის, ლუნგ-ის პასუხი ძველმოდურად ჟღერდა, აწონდაწონილი იყო და სერიოზული.

აპო-ს ხელი ჩაეკიდნა ქმრისათვის და ასე სიცილით მიჰყავდა რესტორნისაკენ, თითქოს იმ სცენას იმეორებდა, ძველად საქმრო რომ ნათესაობაში მიჰყავდათ გასაცნობად.

ამასობაში ლუნგ-მა ფრთხილად გაითავისუფლა ხელი.

ქმართან პიტერი ხშირად უხსენებია, მაგრამ დღემდე ლუნგ-ს შემთხვევა არა ჰქონია რომ შეხვედროდა და გაეცნო. პიტერი აპო-ს მამის მეგობარი იყო, პატივისცემის ნიშნად აპო კიდევ მუდამ „ძია“-თი მიმართვდა, Uncle Peter. ახალგაზრდობაში პიტერი ბედის საძიებლად შეერთებულ შტატებში წასულიყო, ორმოცდახუთის რომ შეიქნა, სინგაპურში დაბრუნდა, ორმოცდაათისა – შანხაიში გადმობარგადა, სავაჭრო საქმეს მიჰყო ხელი და ცოტა ხანში რესტორანი გახსნა, ხოლო წამყვან „პროფილად“ სამხრეთ-აღმოსავლური კერძები და სამზარეულო დანერგა.

იმის შეგნებამ, რომ ამ ვეება შიშისმომგვრელ მეგაპოლოსში ეგულება ასეთი ახლობელი, შინაური და უფროსი ასაკის მფარველი, თან კიდევ საკუთარი რესტორნით, საყოველთაოდ დაფასებულ ასეთ მდიდარ უბანში, ამის შეგნებამ აავსო კმაყოფილების და ღირსების გრძნობით და აპო-მ შვებით ამოისუნთქა.

„მართალი გითხრა, მომწონს რომ პიტერმა სწორედ აქ გახსნა თავისი რესტორანი, ამ უბანში!“ ამ სიტყვებზე ისევ შეჩერდა და გარშემო მიმოიხედა: „მანაც, როგორ განსხვავდება აქაურობა იმ ქალაქისგან, რაც მე ოდესღაც წარმომედგინა!“

აპო-მ ღრმად ჩაისუნთქა. წუთიც არ გასულა, რაც ტაქსით გამოიარეს მაღალ ესტაკადაზე, საიდანაც გარემო ხედს ფარავდნენ ორივე მხარეს აყუდებული მაღალი მრავალსართულიანი შენობები, მაგრამ ესტაკიდიდან გადმოუხვიეს თუ არა, უცებ აღმოჩნდნენ გამვლელთა ნაკადში; ქუჩის ორივე მხარეს ჩაყოლებით გრძელდებოდა მაღაზიების რიგი, ოღონდ ერთი-ორჯერ ქუჩის ხაზს წყვეტდა შესახვევი. მათი ჩარევა ქუჩის ორომტრიალში ისეთი მოულოდნელი იყო და კონტრასტული, თითქოს იქ სავანე ყოფილიყოს, უხმო და იდუმალი, რომელიც ინახავდა ენით გამოუთქმელ საიდუმლოებას ყოფიერების.

აპო-ს არც კი ეგონა, რომ ნოსტალგიას შეეძლო მოძალეობა მის სულს და სხეულს ესოდენ სქელ საფარველად.

დედამისი ჯერ ათი წლის არც კი იყო, როცა ბებიასთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა ერთ პატარა დაბაში, გუანდუნის პროვინციაში, რადგან ასე მაინც უფრო ახლოს ყოფილიყო თავის ქმართან, რომელიც ამასობაში უკვე ჰონკონგში გადაბარგებულყო. რაც კი ოდესმე სმენია შანხაიზე, ყველაფერი დედის და ბებამისის მონაყოლებიდან ჩარჩენოდა მეხსიერებაში.

ქალაქის ეს მშვიდი და იდუმალი უბანი სულ არა ჰგავდა დედის მონაყოლს. დედისეული შანხაი ხმაურინი იყო, ხალხით გადატენილი ქალაქი, „ურბანიზირებული“ კატეგორიით რომ მოიხსენიება, რომელშიც ცხოვრება დულს და გადმოდის, ხოლო ქუჩებს ორივე მხრიდან წამდაუნუმ ერთიან მოსახვევები, მჭიდროდ დასახლებული უბნები, „ნუნტან“-ად რომ იწოდებიან, სადაც ვინრო ბინებში ჩაჭედულია ოჯახების რამდენიმე თაობა. იმ სახლებში ალაყაფის კარი მუდამ ღია იყო, ნუნტანები კი უფრო სასტუმროს საერთო ჰოლებს გავდა, სადაც არ ქრებოდა სუნი ნავთის, გაზის, ცეცხლზე შედგმული სადილების, საერთო საპირფარეოში ჩასაცლელად გამზადებული დაუცლელი ღამის ქოთნების, კვამლის და ბოლის; ამ ატმოსფეროს ემატებოდა გაუთავებელი მსჯელობა ბაგუაზე, რვაკუთხედით რომ ცდილობდნენ ბედის ამოცნობას. ეს ყველაფერი ოჯახთა ზრდასა და მზარდ დოვლათზე მეტყველებდა, ხმაურის მიუხედავად ოჯახები უჩხუბრად ცხოვრობდნენ, მეგობრულ-მეზობლურად, ერთმანეთს არაფერს არ უმაღავდნენ, შიშით კი მხოლოდ იმისი ემინოდით და იმას ფრთხილდნენ, ზედმეტად რომ არ ეხმაურათ. ასეთ სივინროვეში ადამიანები ერთმანეთს ეკვროდნენ, მაგრამ ეს შიში სხვა იყო და არ ჰგავდა იმ შიშს, რომელიც მარტოობით და სიჩუმით არის ნაკარნახევი.

მაინც, საიდან გრძნობის ასეთი მოძალეობა, ასე ძალიან რომ წააგავს ნოსტალგიას?

„თუკი ასე ძალიან მოგწონს, მამ გამმოვიდეთ და აქ დავსახლდეთ“.

ლუნგ-ის ამ სიტყვებმა გააკვირვა აპაო; ასე, „ერთის ნახვით შეყვარება“ სულ არა ჰგავდა მის ჩვეულ ქცევას და მანერას.

ლუნგ-მა კი გააგრძელა: „ეს „დაბა კარი“ რამ დაანერინა, სულ არ უხდება ამ ევროპეიზირებულ უბანს“, და სარეკლამო აბრაზე მიუთითა, „სადაც არ გაიხედავ, აქ ყველგან მხოლოდ ძველი ევროპული ყაიდის შენობებია და არქიტექტურა“.

„მერე, აწყენს რომ ცოტაოდენი სამხრეთის ზღვების არომატიც რომ შეუჩიო? უფრო იგრძნობ ეგ-ზოტიკას. აქაურებს ხომ სწორედ სამხრეთის ზღვების ხსენებისას, უმალ უჩნდებათ უცხოეთის და უცხოის შეგრძნება.“

ლუნგ-ი დაფიქრდა, თითქოს დააკვირდა მათი ურთიერთობის ამ შრეს, და მერელა, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დაუკრა თავი. მისი გარეგნობა აგრეთვე არ ერწყმოდა ჰარმონიულად მის ხასიათსა და ბუნებას; მაღალ-მაღალი, სასიამოვნო იერის კაცი იყო, თან სიტყვაძუნნი, და მის სახეზე ვერ ამოიცნობდი ვერც გაბრაზებას და ვერც სიხარულს.

„დაბა კარ-იში“ რომ შევიდნენ, ცარიელი მაგიდა აღარ ჩანდა, თუმცა დარბაზში მაინც სიჩუმე სუფევდა და ეს სინყნარე დიდი კონტრასტი იყო იმ ხმაურთან გარემოსთან, რაც აპაო-ს მერე, შემდეგ ელოდა, როცა საღამოყამს მოუნია შებიჯება ამავე დარბაზში. ამ წუთას კი პიტერი კვლავაც იმ კეთილ Uncle-ად ეგულეობდა, რომლის სახე არ იშლებოდა მის მეხსიერებაში.

„იცო, ასეთ კოპნია ყმანვილებს ეხლა უკვე იშვიათად ვხედავ.“

„მამ, კოპნია!“ – პიტერი პირველად შეხვდა ლუნგ-ს, და ასეთნაირად შეაფასა.

„კი მაგრამ, არ გეშინია, ასეთ სუფთა ყმანვილი რომ ჩამოგყავს შანხაიში?“

პიტერის მორიგი გახუმრება ორივეს ყურთმიღმა დარჩა, ცოლიც და ქმარიც ინტერესით ათვალიერებდნენ დარბაზს.

რესტორნის საერთო სახე და ატმოსფერო მართლაც შეესაბამებოდა სამხრეთის ზღვების გარემოს: იქაურობა სიმწვანეში იყო ჩაფლული; ზურმუხტისფერი ტროპიკული ჯუჯა ხეები - ბონსაი* ქმნიდნენ მესერის მაგვარ შირმას და დიდ დარბაზს აცალკევებდნენ სხვადასხვა მყუდრო კუთხეებისგან. მართალია, მუქი ხის მაგიდები არ იყო ნამდვილი ინდონეზიური წითელი ხისაგან გამოთლილი, მაგრამ მსგავსება ძალიან დიდი იყო; გარდა ამისა, ისინი კარგად ეხამებოდნენ კედელზე გამოკიდულ შოკოლადისფერ სხვადასხვა საგნებს და არტეფაქტებს. ოფიციატები მამაკაცები იყვნენ, მათი კამკაშა, ნათელი ფერის სამოსი, შალუნ, ყველას თვალს იპყრობდა, ისევე როგორც ფირფიცარისაგან გამოთლილი ფეხსამოსი.

ერთი სიტყვით, იქ მყოფთ უცილობლად უჩნდებოდათ ტროპიკების შეგრძნება, ყოველ შემთხვევაში პიტერი ცდილობდა შეექმნა ის ატმოსფერო, როგორც ხალხის ნარმოდგენით, უნდა სუფევდეს ტროპიკებში.

ლუნგ-მა ამოიოხრა, „ეჰ, ამ შალუნმა ჩემი მხარე გამახსენა, სადაც ბავშვობა გავატარე, სინგაპური მომანატრა“.

„კი მაგრამ, ეხლა არ ჩამოხვედი იქიდან?“

„დღევანდელი სინგაპური ჩემთვის იგივეა, რაც ნებისმიერი ქალაქი დასავლეთში“ – და უარყოფის ნიშნად თავი რამდენჯერმე გააქნია.

ლუნგ-ი ათისა იყო, როცა დედამ შერთებული შტატების ჩრდილოეთში წაიყვანა, დაბრუნებით კი მაშინ დაბრუნდა, როდესაც ოცდახუთი შეუსრულდა, და სამშობლო სადღაც ღრმად ჰქონდა ჩაფლული მესხიერებაში.

სახე სამშობლოსი ყველას აქვს ალბეჭდილი მესხიერებაში. აპაო-ს სევდანარევი გრძნობა გაუჩნდა, რადგან თვითონ აღარაფერი დარჩენოდა მასსოვრობაში ციციქნა ქალაქზე გუანდუნის პროვინციაში; ოთხისა იყო, როდესაც მშობლებმა ჰონკონგი არჩიეს საცხოვრებლად, ხოლო სანამ ხუთმეტის გახდებოდა, ოჯახმა კიდევ ხუთჯერ გამოიცვალა საცხოვრებელი: ჯერ ტორონტოში გადავიდნენ, კანადაში, მერე ნიუ-იორკში, შემდეგ სან ფრანცისკოში, ბოლოს კი სადღაც, შუა-დასავლეთის შტატებში მოიკიდეს ფეხი.

მამამისმა მეგობრებთან ერთად რესტორანი გახსნა სან ფრანცისკოში. მერე გაკოტრდა და ისევ ჰონკონგში დაბრუნდა, მაგრამ დედა უარზე იყო, რადგან უნდოდა რომ ქალიშვილს ამერიკაში ესწავლა, ამიტომ დარჩა ამერიკაში. ასე დაშორდნენ მშობლები ერთმანეთს. აპაო როცა სკოლას ამთავრებდა, დედა მაშინ გარდაეცვალა ინფარქტით. მარტოდ დარჩენილი გოგონა იქვე, დასავლეთში, ნათესავებს შეეკედლა და არც მოშორებია მათ, თუმცა ფსიქოლოგიურად მაინც ვერ ჰგუობდა გარემოს და მაშინ დაწერილ თავისი პირველი ლექსი ასე დაასათაურა: „დაღლილი ტალღები“.

იმ დღის საუზმემ საოცარი სიამოვნება განაცდევინა აპაო-საც და მის ქმარსაც: მაგიდა განწყობილი იყო თეთრი ფაიფურის ევროპული სერვიზით, და კერძებს ხომ ბოლო არ უჩანდა! ეგზოტიკური კერძების ცხელი და მწვანე მადიანი სურნელი სხვადასხვანაირად აფერადებულ სუფრაზე, ოქროსფრად შემწვარი შაშხი, აირ-ლუმელში შემწვარი ძხვები შავი პილპილით, სოკოთი და ბეკონით „გაჯერებული“ კვერცხის რულეტი, ყველნარევი პიურე, ერთი რბილი გუნდა ნაღების კარაქი, რომელსაც ერთვოდა ოქროსფრად შებრანული ნივრიანი პურის ნაჭრები! შავი ყავა დიდრონი კერამიკული ფინჯნებით მიართვეს, თავბრუს ჰგვრიდა მისი ცხელი და ყოვლისმომცველი არომატი; ამასობაში, მადას უკვე ფართოდ გაეღო თავისი კარი და სუყველაფერს წარმართავდა კუჭის სანყოფიში, რომელიც ვერ ითმენდა შეფერხებას და დაგვიანებას.

დიდი ხნის წინათ მივიწყებულმა ასეთმა საუზმემ, ადრე რომ მიღებული იყო შტატების ჩრდილოეთში, თავგზა აუბნია ცოლ-ქმარს, კვლავ განაცდევინა დღეები მათი ურთიერთსიყვარულისა, შეხვედრები კვირაობით, როდესაც თერთმეტამდე ეძინათ, მერე ერთად მიადგებოდნენ მდინარის ნაპირს, იქ რესტორანი „ელსადგური“ ეგულებოდათ და იქ გემრიელად დანყრდებოდნენ ხოლმე ნამდვილი ამერიკული საუზმით, Branch-ით.

მაშ, ნუთუ მართლა ამ საუზმემ დაუბრუნა ორივეს იმ ხანის და ცხოვრების ილუზია?

თავისუფალი მომენტი რომ გაუჩნდა, პიტერი მაშინვე მივიდა მათთან. ჩაფსკვნილი, ცოტა ჩასუქებულიც კი ჩანდა, ნაკვთებიც თითქოს მომრგვალო ჰქონდა; ამ სიმრგვალის შეგნებას კიდევ უფრო აძლიერებდნენ სათვალის მრგვალი მინები, რომლებიც სახეს მხიარულ და ხალისიან გამომეტყველებას მატებდნენ. ერთი სიტყვით, პირნავარდნილი ბოსი იყო რესტორნის, როგორც ის საერთოდ ხალხს წარმოუდგენია.

პიტერს ეხლა „POLO“ კოსტიუმი ეცვა, პერანგი ჰქონდა მომწვანო პასტელისფერი, შარვალს მონაცრისფრო დაჰკრავდა, უფრო რძიანი ყავის ფერის იყო, და სულ სხვა კაცი ჩანდა, შედარებით იმ Uncle Peter-თან, როგორც აპაო-ს ახსოვდა, შორტებით და მაისურით.

„ოო, Uncle, პირდაპირ საცოლოე კაცივით ხარ გამოპრანჭული, „გიოლ-ფრენდი“ ხომ არ გაიჩინე?“

პიტერმა გადინახარა, ოღონდ ისე რომ ცხოვრებაში ბევრის მნახველი თვალები ლუნგ-ზე ჰქონდა მიპყრობილი.

„შანხაი ფუფუნებისა და ცოდვის ქალაქია, თქვენ კი ორივე ამერიკის შუა დასავლეთის ნაშიერები ხართ. პიტერმა ეს გუანდუნის დიალექტზე უთხრა, კანტონის ენაზე (*5), რომელიც ლუნგ-ს არ ესმოდა.

„ჩვენ კი ერთის ნახვით შევიყვარეთ.“ აპაო-მ ინგლისურად უპასუხა, ლუნგ-მაც რამდენჯერმე თავი დაუკრა, თანხმობის ნიშნად.

პიტერმა კვალ გადინახარა, და თან თვალი მოავლო რესტორნის დარბაზს, ეტყობა ეამაყებოდა ხალხით სავსე მაგიდების სურათი. ახალგაზრდები თითქმის არ ჩანდნენ, სუფრებთან მსხდომნი უფრო ჭირში გამონრთობილი კატეგორია იყო, ჯერ კიდევ ჭარმაგი თაობა ჩანდა, სიბერემდე კიდევ ბევრი რამ აცილებდა; ისინი პატარა ჯგუფებად უსხდნენ მაგიდებს – ზოგი სამ-სამი, ზოგი ოთხ-ოთხი ან ხუთ-ხუთი. ნუთუ ეს ერჩივნათ, რომ კვირადღეც ოჯახში არ გაეტარებინათ, თავისიანებთან, შინაურულად? ან იქნებ სულაც უცხოელები არიან, ოჯახს მოშორებულნი, და უფრთხიან მარტოდ ყოფნას უცხო ქალაქში? ასეთი ადამიანები ხომ პირიქით, იმას ლამობენ რომ მასში იყვნენ, ხალხში გაითქვიფნენ?

პიტერი, ცოტა არ იყოს დაფანტული ჩანდა, რადგან ყურადღება უნდა ყველა სტუმრისათვის მიექცია და ამიტომ არც ერთ სტუმარს და არც ერთ მაგიდას არ სტოვებდა უყურადღებოდ, აპაო-ს კი კვლავ გუანდუნის ენაზე მიმართა: „რაკი შენ ქმარს კარგი სამსახური აქვს და თანამდებობა, აქ გადმოდი, ერთად იყავით, ოჯახის დაყოფა წესი არ არის.“

თქვა ესა და მაშინვე გაქრა, აპაო-მ შეატყო რომ რაღაც თითქოს მოაკლდა, ან დაკარგა ამ კაცმა, რადგან აქაური, შანხაის პიტერი აღარ იყო მისი ძველი და საკუთარი Uncle Peter; უფრო სწორედ, ის ცდილობდა ერთგული ყოფილიყო თავისი ახალი ამპლუასი, როგორც რესტორნის ბოსის, აპაო-ს კი ისე შეხვდა,

როგორც თავის ერთ-ერთ ნაცნობ კლიენტს, და მაგიდის პირას შეჩერებული, ისეთი თემა წამოიწყო, რასაც ცოტა ხანს წასაუბრება ეყოფოდა, თითქოს სულაც არ განიცდიდა და არ აწუხებდა მათი დღევანდელი ცხოვრება, და არც კი იცლიდა საიმისოდ, რომ წარსული გაეხსენა.

აპაო-მ თავი მოაბრუნა და ლუნგ-ს შეხედა თუ არა, გაელიმა: ქმარი მთლიანად, მთელი თავისი არსით საქმლით იყო დაკებული; დასცქეროდა თეფშს და ისეთივე სერიოზული იყო, როგორც ნებისმიერი საქმის შესრულებისას, დინჯად ლეჭავდა, ყურადღებით, როგორც საერთოდ სჩვეოდა – საქმელი იქნებოდა ეს, კითხვა, მუშაობა, თუნდაც სექსი. ბოლოს და ბოლოს, ტყუილად ხომ არ ითვლებოდა უმაღლესი კატეგორიის სპეციალისტად გამოთვლის პროცესში. მისი პროფესია ითხოვდა გამოცდების პერიოდულ ჩაბარებას უნივერსიტეტის დასრულების შემდეგაც, და ისიც სულ ამით იყო დაკავებული. უმაღლესი კატეგორიის თანამდებობა გამომთვლელის პროფესიაში, დიპლომის გარდა კიდევ ითხოვდა გამუდმებულ გადამზადება-გამოცდებს, და ამის გამო არასოდეს ჰქონდა იმის საშუალება რომ თავისუფალი დრო გამოენახა, დამჯდარიყო ასე სუფრასთან მეგობრებთან ერთად, ემასლაათა, თუნდაც ასე, მათ გვერდით მსხდომნი რომ ატარებდნენ დროს.

ჰო, ასეა, ჰან-ჩინელების შვილები, თითქმის ყველანი ცდილობენ თავი შეჰყონ საუკეთესო სასწავლებლებში, ბეჯითად სწავლობენ, ბევრს კითხულობენ, არასოდეს არა აქვთ დრო უსაქმურობისათვის ან გასართობად, და თავში აზრად არ მოსდით რომ პროფესიად ის აირჩიონ, რაც დააინტერესებთ; ნაცვლად ამისა, ძალიან ადრე ქორწინდებიან, ლუნგ-ისა არ იყოს – მიიღო თუ არა სამეცნიერო ხარისხი, ცოლი მაშინვე ითხოვა, რადგან თვით ცხოვრება მისთვის მიზანსაც განასახიერებს და მოვალეობასაც.

და იმ წამს აპაო-მ, სრულიად მოულოდენლად შეიგნო რომ ძალიან ეცოდებოდა.

იმ დღეს აპირებდა, რესტორნის შემდეგ პარკში გასეირნებას, სადმე დაჯდომას და დასვენებას მაგრამ ქუჩაში გასვლისთანავე, ორივეს ყურადღება უფრო საერთო სურათმა მიიპყრო.

შემოდგომის მზე არ წვავდა, ცხოველი იყო და ნათელი. გრილი ნიავი ამრიალებდა გროვებად მოხვეტილ ჩამოცვენილ ფოთლებს ქუჩის გასწვრივ, ორივე მხარეს ჩამწკრივებული დაბალ-დაბალი სახლების წინ. ფოთლებს კიდევებზე უკვე სიყვითლე შეჰპარვოდათ, მომცრო კოტეჯებიც დაძველებულები ჩანდნენ.

სადილის დროც დასრულდა, მაგრამ გამვლელები მაინც თითო-ოროლა თუ ჩანდა, და ისინიც დროდადრო, ხან გამოუხვევდნენ ქუჩაში გვერდზე ქუჩაბანდებიდან – ნუნტანებიდან, ხან პირიქით, იქ ჩაუხვევდნენ, მათ სიღრმეში. ეს ნუნტანები წყნარი და იდუმალები ჩანდნენ, თითქოს განაბულიყვნენ. ამ ქალაქს მოსდევდა განსაკუთრებული აურა, და ამ კუთხის თუ უბნის იერი ისეთი იყო, რომ აპაო-ს გულისცემა ერღვეოდა, უჩქარდებოდა, თუმცა არ ჰქონდა რაიმე მიზეზი ასაღელვებლად.

„ორი წელიწადი მაცალე!“ – უცებ წარმოსთქვა ლუნგ-მა და აპაო თითქოს შეხტა კიდევ მოულოდნელობისაგან, მაგრამ წამსვე გაიბადრა, რადგან მიხვდა რომ ქმარი განწყვეტილ თემას დაუბრუნდა.

„ავანყობ თუ არა ფირმის საქმეებს, ყველას აქ გადმოგიყვანთ, და ცხოვრებითაც, აქ სადმე შორიხლო ვიცხოვრებთ.“ ლუნგ-ს პირისახეზე ღიმილი დასთამაშებდა: „რა გინდა, ყველაფერი აქვე გვექნება, ამერიკაც და სინგაპურიც, თავისი ლანჩით, და თევზის თავებით კარიში!“

აპაო-მ არ დააყოვნა, თავი რამდენჯერმე დაუკრა, მაგრამ მოზღვავებული გრძნობები სიტყვით არ გამოუხატავს. ბავშვობაში ხშირად უხდებოდა ადგილის გამოცვლა, ოჯახი ხან სად ცხოვრობდა და ხან სად, მაგრამ როცა წამოიზარდა, მშობლები გამოდნენ, მერე დედა გარდაიცვალა. როდესაც მამამისმა მეორედ იქორწინა და დედინაცვლად მისივე ტოლი ქალიშვილი გამოეცხადა, თან მალე უმცროსი ძამიკოც მოაყოლა, აპაო-მ თავი ობლად იგრძნო, და აღარა ჰქონდა არც საკუთარი სახლის გრძნობა, აღარც ოჯახის.

მისი ცხოვრების ადრეული წლების გამოცდილებამ მერყევი გახადა, არც კი იყო დარწმუნებული, სად ერჩინა ცხოვრება.

ვერც სინგაპურს ვერ შეეჩვია და ვერც ის იგულა თავის ქალაქად, რადგან იქ დღენიადაც ნესტი და სიცხეა, ტენიანობა და ჩახუთულობა წელიწადის ოთხივე დროს არ იკლებს, და სწორედ ამან ჩამოუყალიბა მარტოობის და სულიერი სიცივის შეგრძნება. მაგრამ თვითონ კარგად ესმოდა, რომ ასეთი რამ მის პესიმიზმზე და პასიურობაზე მეტყველებდა, და სწორედ ამიტომ ამას არასოდეს არ აღიარებდა ქმართან.

„კეთილი, შევთანხმდით, და დღეის შემდეგ ერთად ვისწრაფვით ამ მიზნისაკენ!“

„არ გადაუხვევთ!“ – აჰყვა აპაო და ხუმრობით აღმართა მტკიცედ შეკრული მუშტი.

ლუნგმა მხარზე ხელი მოხვია ცოლს და ძალაგამოცლილივით, სამასხარაოდ ჩამოეკიდა; აპაო-მ ამითვე უბასუხა და ასე, ერთი-მეორეზე ჩანწულებივით განაგრძეს გზა, როგორც სჩვეოდათ სტუდენტობისას, თუმც, მართლაც ასე იყო და დამამთავრებელ კლასებში დაწყებულმა მეგობრობამ საერთოდ განსხვავებული გახადა მათი ქორწინება, უფრო მეგობართა ურთიერთობას დაამსგავსა.

ქორწინების სწორედ ეს ნიშანთვისება იყო, რაც ჭკუტი-მ აქცია თავისი მსჯელობის თემად: „გრძნობა ერთ წამში ორთქლდება, გინდ კაცი იყოს, გინდა ქალი, სულერთია; ნამდვილი წყვილი, იქნებ სწორედ იმათ ეთქმის, ვინც თქვენნაირად, მეგობრულად ექცევა ერთმანეთს, და მათი კავშირი მეგობრების ურთიერთობას

უფრო მიჰგავს, ბოიფრენდების და გიოლფრენდების კავშირს, ერთ უნივერსიტეტში რომ სწავლობენ.“

ამ საკითხზე აპაო-ს არ ჰქონდა ჩამოყალიბებული რაიმე აზრი.

ცხოვრებაში მხოლოდ ერთი მამაკაცი იცოდა, ლუნგ-ი მისი პირველი სიყვარული იყო, მასვე გაჰყვა ცოლად და ამიტომ არ შეეძლო შეედარებინა სხვა ვინმესთან ანდა სხვა განცდასთან. „ცეცხლად აბრიალებული სიყვარული“ გადაჭარბებულ ვნებად მიაჩნდა, მით უფრო რომ თვითონ უფრო „სულიერების“ სჯეროდა და „სულიერი კავშირის“; სხვა რომ არ იყოს, ამერიკის დასავლეთ მხარეს, სადაც გაიზარდა და დაქალდა, რელიგიური ატმოსფერო სუფევდა, და მართალია, აპაო არ ყოფილა საეკლესიო მრევლის აქტიური მონაწილე, მაგრამ პურიტანული კულტურის და გარემოს გავლენას უქმად არ ჩაუვლია, და იქიდან მოყოლებული, ის განიმსჭვალა მორწმუნეთა პატიოსანი და სულიერებით სავსე ცხოვრების წესით, მორალით და პრინციპებით.

აპაო ტკბებობდა ქმართან ურთიერთობით, ეს ურთიერთობა კი ასლი იყო იმ ურთიერთობისა, რაც ჩამოუყალიბდა ამხანაგებთან ჯერ კიდევ კოლეჯში სწავლის პერიოდიდან, და თავი ბედნიერად მიაჩნდა, რაკი ელირსა თავის რჩეულს, ვისაც თვალი დაადგა ჯერ ლამის ბავშვობის ხანიდან. მათი ქორწინების ათწლიანმა მონაკვეთმა ისე მსუბუქად და ღიად ჩაიარა, რომ გახსენებისას, თვალში არა ხინჯი არა ხვდებოდა, და არც არაფერი სასაყვედურო. და იმ წამს, თითქოს ნაცნობ, სინამდვილეში კი უცხო ქალაქში და უცნობ ქუჩაზე, რომელიც ასეთი შინაურული ეჩვენა, აპაო კიდევ ერთხელ განიმსჭვალა მადლიერებით იმ წყაროს მიმართ, რაც ზეცამ ასე მონყალედ არგუნა, და ახდენილ ნატვრად უქცია ლუნგ-თან ქორწინება

ნამუადღევს, მზემ უფრო დაათბო იქაურობა, და პარკისკენ დაიძრა მთელი წყება ახალგაზრდა მშობლების, რომლებიც წინ მიაგორებდნენ პატარების ეტლებს. მათ დანახვაზე, აპაო-ს თავისი შვილები გაახსენდა, რვა წლის ვაჟი, იუ ანიუან, მამამისის ასლი და გამეორება, სულ მუდამ დაფიქრებული და გულჩათხრობილი, და სამი წლის გოგონა, ოჯახის სიცოცხლე და სიხარული, ჩიტუნასავით ცოცხალი და დაუდგარი, ხელის გულზე მოგორავე მარგალიტივით. მათ გახსენებაზე, უნებურად წარმოსთქვა: „Perfect“! სხვას რას ინატრებ!“

და წარმოსთქვა თუ არა, გულისცემა ისე გაუხშირდა, თითქოს საძრახისი რამ ჩაედინოს ამ სიტყვის ხმამალლა წარმოთქმით, და ანგარიშშიუცემლად, კიდევ უფრო მაგრად მოხვია ქმარს მხარზე ხელი. მერე არაერთხელ გახსენებია ეს წუთი, როდესაც დასცდა ეს სიტყვა ერფეცტ, და გულისცემა აჩქარებული, ამ სიტყვას რომ თან მოჰყვა; და ისიც, როგორ ჩაავლო ქმარს მხარში ხელი, თითქოს ცდილობდა რომ ხელიდან არ გაეშვა ბედით ნარგუნი ბედნიერება, რომელიც შეიძლება წამში გამქრალიყო.

3

წელიწადი გასულიყო, რაც ლუნგ-ი შანხაიში ცხოვრობდა.

ერთხელ აპაო-ს უცებ პიტერი შეეხმინა. დაურეკა და პირდაპირ ახალა, „მე როგორც ვიცი, ლუნგ-ის ფირმამ უკვე დახურა აქ თავისი ოფისი, ყოველ შემთხვევაში, სამი თვით მაინც გაიწვია შტატი! არა მგონია, კარგად მოუბრუნდეს აქ მარტოდ ყოფნა.“

ერთი-ორჯერ ჩაიცინა, მოკლედ, უცნაურ ხმაზე, აპაო-ს ნაძალადევიც კი ეჩვენა ეს სიცილი: „შანხაი ცთუნებითაა სავსე, შენი ქმარი კი მიაბიტი ვინმეა, ძნელი არ არის მისი გაბრიყვება! ისევე ჯობია, ჩამოხვიდე და წაიყვანო აქედან.“

სიტყვა დაასრულა თუ არა, დაკიდა ყურმილი.

აპაო-ს ყურმილი არ დაუკიდია, მოეჩვენა რომ გული სადღაც უფსკრულში მიექანებოდა, თან ისე სწრაფად, რომ ძალა გამოეღია, მაგრამ გული უცებ შეყოვნდა, გაიყინა, და შემდეგ საბოლოოდ ჩააღწია ძირს.

ტელეფონმა კვლავ დარეკა.

„აპაო, ერთხელ მაინც უნდა გამოჩნდე, გესმის?“ ამჯერად პიტერის ხმა უფრო კატეგორიულად ჟღერდა: „ლუნი უეჭველად უნდა დაიბრუნო, თორემ მამაშენს რომ შევხვდები, რა ვუთხრა, თავი რით გავიმართლო?“

„კი მაგრამ, რა სჭირს ეხლა ლუნგ-ს, რას აკეთებს?“

„ტელეფონით ამას ვერ გაგაგებინებ. შენ, ჯობია, დაჯავშნო ბილეთი, მაცნობე რეისი და დაგხვდები“. ისე სწრაფად დაუკიდა მილი, რომ ჩანდა, არ უნდოდა მიეცა საშუალება, რომ აპაო-ს კიდევ რამე ეკითხა.

აპაო-მ დადო ყურმილი და სანოლ ოთახში დაბრუნდა. სცადა, გაეგრძელებინა ციგუნის საგანგებო ვარჯიში ფეხმძიმობის უზრუნველსაყოფად; ხელები მაღლა ასწია, კვლავ დაუშვა, რადგან მკლავები ბამბისა ეჩვენა, თითქოს ძარღვები გამოეცალათ, და საერთოდ, მთელ სხეულში ასეთი შეგრძნება დაეუფლა, უცებ მოეშვა, დაძაბუნდა, სანოლზე პირაღმა გაიშოტა და თვალები ჭერს მიაპყრო.

მეხუთე თვის ორსულობა ჰქონდა, მესამე პირმშოს ელოდა. ფაქტიურად, ლუნგ-ის ფირმის საქმეებიც ამდენი ხანია, რაც აიწუნა და ლუნგ-ი უკვე მესამე თვეა, რაც იღებდა ადრინდელი ხელფასის ნახევარს.

საქმე ის არ იყო, რომ ოჯახს გაუუარესდა ცხოვრების ეკონომიკური მხარე, არამედ ის რომ ლუნგ-ი სულიერადაც რაღაცნაირად შორდებოდა, ტელეფონითაც უფრო და უფრო იშვიათად რეკავდა.

რანაირად შეიძლება, რომ ცოლს არ ჰქონდეს წარმოდგენა ქმრის მდგომარეობაზე?

ბოლოს და ბოლოს, ხომ უყვარდათ ერთმანეთი, და ამიტომ დაკარგვა სიყვარულისა განსაკუთრებით

მტკივნეულია, მაგრამ ქვეცნობიერადად აპაო უკვე გრძნობდა რაღაც მომხდარს, თუმცა გონება მისი არ იკარებდა ამგვარ ვითარებას, მეტიც: ლუნგ-ი თავად აბათილებდა ამ ვარაუდს, რამეთუ მესამე ბავშვის ჩასახვა, თავისთავად უკვე არგუმენტად ეგულებოდა.

ახალი დაწყებული იყო წელიწადი, ჩინური კალენდარით დგებოდა ახალი წელი (6*), როდესაც ლუნგ-ი შვებულებით ჩამოვიდა.

სინგაპურში, წელიწადი-თორმეტი თვე ოცდათორმეტი გრადუსია და აქაურებისათვის მაისური და შორტი ჩაცმულობის მისაღები ფორმაა; და ასეთ სიცხეში ქალაქი ჩინურ ახალ წელს ზეიმობს, და წარმოიდგინეთ, დღესასწაულის ფერადოვნება ტოლს არ დაუდებს „ჯუნგოს“, მისი სამშობლოს ზეიმს. ჩინელები, ანუ ჰან, ქმნიანაყველაზე მრავალრიცხოვან ეროვნულ დიასპორას სინგაპურში; გასაგებია, რატომ: გარედან არასოდეს არ განიცდიდნენ რაიმე მუქარას ან ზენოლას, ამიტომ მთლიანად შეინარჩუნეს ხალხური წესჩვეულებები, და ეს ძველი ჩინური ტრადიცია უმნიშვნელოდ გაგრძელდა ამ უცხო და მომცრო კუნძულზე.

ერთი თვე აკლდა ახალი წლის დადგომას ძველი სტილით; პირველ სართულზე, არქიტექტორთა ერთიანი ჯგუფის მიერ (7)* შექმნილი უნივერსალური მაღაზია და სუპერმარკეტი მთლიანად წითელ ფერში იყო ჩაფლული. ტემპერამენტის და ვნების თვალსაზრისით, არანაირი სახვავობა არ იყო ჩინურ საახალწლო წითელსა და რევოლუციური პერიოდის წითელ ფერს შორის, მაგრამ მაღლა გამოკიდებული ამ ორივე იდეალის და მიზნის სიმბოლო უკიდურესად განსხვავდებოდა ერთი-მეორისაგან.

ყვითელი სექტორის საერთო დარბაზის ჭერქვეშ, გვერდ-გვერდზე ჰკიდია უამრავი ხასხასა წითელი ფერის პარკი, სწორედ ისეთი, რაშიც ახვევენ ფულს და სავაჭრო მოგებას, და რომელშიც ტრადიციულად, საახალწლო საჩუქრებს ახვევენ ბავშვებისათვის, „ია-სუის“ წესის (8)* აღსანიშნავად. ახალი წლის პირზე ზოგი ხილი განსაკუთრებით ფასობს; ასე, მაგალითად, „გრეიფრუტი“ აღმასვლას მოასწავებს კარიერაში, საზოგადოების მაღალ წრეში მოხვედრას, რაკი „მანდარინი“ ჟღერადობით „ილბალის“ აღმნიშვნელ სიტყვას მიჰგავს, კიდევ ამიტომ ჰკიდებენ მაღაზიების და კომპანიების შესასვლელებთან.

იმ პარკების და ხილის გარდა, რაც ჭერქვეშ ეკიდა, რაც კი რამ იყო სასუსნავი და ნუგბარი ყველაფერი საზეიმო, ალისფერ ფუთებად იყო შეკრულ-გახვეული და წყობა-წყობად, გროვებად ელაგა დარბაზის შუაგულში მდგარ ვეება მაგიდაზე. აპაო ჭკუას ჰკარგავდა ასეთ სანახაობაზე, ამ თვალუწვდენელ სინთლის ზეიმზე ირგვლივ, გარშემო.

ასეთნაირ ვითარებაში, აპაო-ს ხშირად აგონდებოდა მანჰეტენთან მიყუყული, ნიუ იორკის ჩაინა-ტაუნი. იმხანად, აღმოსავლეთ სანაპიროზე, პორტუგალიის დედოფლის სახელის მატარებელ მხარეს, ჯერ არ მიეღწია თანამედროვე მასშტაბამდე, და ჩინური ახალი წლის დღეებში, ჩინელების საცხოვრებელ უბანში ტევა არ იყო. დედა მაშინ ხელჩაკიდებულს ატარებდა ხოლმე ტაუნში, მაღაზიას არა სტოვებდა ისე რომ შიგ არ შესულიყო და ყოველთვის ერთი და იგივე მეორდებოდა: ის მაღლა ასწევდა შავად შეღებილ და პინცეტით გახშირებულ წვრილ წარბებს და ერთი ფრაზას იმეორებდა: „ოოო, ოოო, თავი ისევ ჩინეთში მგონია!“

ასე, წლიდან წლამდე, ყოველ ახალ წელს, დედა აღმოჩნდებოდა თუ არა ასეთ ადგილას, წითელ ფერზე ელეთ-მელეთი ემართებოდა, თითქოს საერთოდ პირველად ენახოს.

ის ახალი წლები, რომელთა შეხვედრა აპაო-ს სინგაპურში ერგო, დროს არ აძლევდნენ დედის მოსანატრებლად, სახლის საქმე არასოდეს ილეოდა: ბინის დალაგება, ახალ-ახალი რაღაცეების ყიდვა.. ამას ემატებოდნენ ბავშვები, რომლებიც ბორკილებივით ბოჭავდნენ და არ აძლევდნენ საშუალებას რომ წუთით მანც თავი დაეღწია მათი ტყვეობისაგან, რამდენჯერმე ისიც კი მოუწია, რომ ზურგზე აკიდებული ბავშვით ევლო მაღაზიებში და დუქნებში – და ამას კიდევ აუტანელი სიცხე და ოფლი ემატებოდა, საშველი არ იყო.

აქაურ ჰანის ეროვნების ჩინელებს წესად ჰქონდათ ღამით სეირნობა ძველებური ახალ წლის წინა ღამეს, ნიუ ჩე შუი რიტუალის შესაბამისად (*8) [ნიუჩე – ურემია ხარებშემული“ შუი – წყალს ნიშნავს, ხოლო ნიუჩე შუი – წყლის მატარებელ ურემს ნიშნავს; შეიძლება დაეშუვათ, რომ სინგაპურში ეს ტრადიცია ძველად ჩამოყალიბდა, როდესაც ქალაქს აკლდა სასმელი წყალი და ქალაქს ასე ამარაგებდნენ, მსგავსი ურემებით ჩაატარებდნენ ხოლმე ქუჩაში].

ამის შემდეგ, გუნებაზე მოსული ხალხი ხალისიანად მიემართებოდა გუანჯინის ტაძარში (*9). ყველა ლამობდა რომ სხვისათვის დაესწრო სარიტუალო სიან სანთლის ანთება, ამიტომ იმ სცენებს უფრო „ჯიკაობა“ უხდებოდა სახელად, ვიდრე „საზეიმო სეირნობა“. სხვისთვის რომ დაესწროთ, ცოლქმარი ამ დიდ ფიზიკურ გამოცდას გადიოდნენ: ერთს რომ ბიჭი ჰყავდა ხელში აყვანილი, იუენიუენი ამ დროს კისერზე აჯდა მეორეს. ამას კიდევ ემატებოდა ყურადღება ლუნგ-ის ხნიერი დედის მიმართ; ვინაიდან მას სიარული უჭირდა, ან ლუნგ-ს, ან აპაო-ს აუცილებლად ხელი უნდა შეეშველებინა მისთვის, რომ სადმე ფეხი არ წაეკრა და არაფერი დამართვოდა.

ასე მიჰყვებოდნენ ხოლმე ისინი ხალხის ნაკადს, მოედანს ისე გადაკვეთდნენ რომ არც კი ჩანდნენ ზღვა ხალხში. ყველას წესად ჰქონდა, რომ ოჯახის ნევრს ხელი არ უნდა გაეშვა მეორისათვის. თავიდან, ასე ხელჩაკიდებულნი, „ერთის“ ამსახველ იეროგლიფის ჰან-ელთა კალიგრაფიულ „-ფორმას ქმნიდნენ, მაგრამ

ხალხი მატულობდა, სხეული სხეულს ეკვროდა, აწვებოდა, და ეს იეროგლიფი თანდათანობით იცვლებოდა და არაბული რიცხობრივი სისტემის „1“-ანად იქცეოდა ხოლმე, და უკვე ხელი ხელს კი არ იყო ჩაკიდებული, არამედ უკან მიმავალი – წინ ჩამდგარის საყელოში იყო ჩაფრენილი. ამ კოლონის თავში ლუნგ-ი იდგა ხოლმე, აპაო კი ბოლოში იყო მოქცეული. ორივე ხელი წინ ჰქონდა განვდილი, თითქოს ორმხრივ დაცულ ღობესა ქმნიდა შვილების და დედამთილის დასაცავად და ასე, საყელოში ჩაღვლებული ხელებით, თითქოს „მატარებლობანას“ თამაშობდა და ამსგავსებდა კიდეც ორთქლმავლის ქმენას: „ჰუნ-ლუნ-ლუნ, ჰუნ-ლუნ-ლუნ!“. ბავშვებიც უმალ აჰყვებოდნენ ხოლმე ნაზი და წკრიალა ხმებით: „ჰუნ-ლუნ-ლუნ, ჰუნ-ლუნ-ლუნ!“ მათი ხმა ბევრს გულზე ხვდებოდა, და ბევრი აჰყვებოდა კიდეც ამ თამაშს, და პირისახე გაოფლილები, ხალისიანად, გულით იცინოდნენ. ლუნგ-ი ყველაფერში აჰყვებოდა – ხან ცდილობდა რამენაირად დაწინაურებულიყო, ხან უკან იხედებოდა, „ოჯახი როგორ მომდევსო“, და ამ დროს აპაო-ს მზერას მომღიმარი თვალებით პასუხობდა.

მთელი წელიწადი გასულიყო და მგონი მხოლოდ ეხლა, ამ წუთას აკიაფდა მათ თვალებში შუქი და ნათელი, რომელსაც ეტყო მათი ერთობის ნიშანი, ჩანდა რომ საერთო იყო, საზიარო, და ურთიერთისთვის გაჩენილი.

რაც არ უნდა იყოს, აქ, სინგაპურში განცდილი ჩინური საახალწლო ზეიმი გახდა ყველაზე უფრო სასიხარულო მოვლენა აპაო-ს ცხოვრებაში და ცოტათი გაუქარწყლა ის დაბნეულობა, რაც მოეძალა დედის გარდაცვალების შემდეგ; ასე შეიგნო, რას ნიშნავს, სიხარული სხვას გაუზიარო და მასთან ერთად რომ ათრიო ტვირთი „მარტივ ცხოვრების“; ამიტომ ოცნებად ექცა, რომ ასეთი სიმშვიდე კიდეც მრავალ წელს გაგრძელებულიყო.

მაგრამ ამ ახალ წელს, აპაო-მ პირველად იგრძნო ეჭვი, დარდი და ყოყმანი, და პირველად მოხდა, რომ მათი ოჯახი ერთად არ ადგა ამ გზას გუანინის ტაძრისკენ, ადრე ხომ ამას ვერც კი წარმოიდგენდა.

შანხაიდან ლუნგ-ი სწორედ ახალ წლის წინა ღამეს ჩამოვიდა. უკვე ათის ნახევარი იყო, როცა ლუნგ-ის თვითმფრინავი შანხაიში დაეშვა. მერე, როცა ამას იხსენებდა, აპაო-მ გაიფიქრა, რომ ლუნგ-მა განგებ დაიგვიანა, რომ თავიდან აერიდა ჭყლეტა ამდენ ხალხში, თავის ოჯახიანად.

კარგი, ვერ მოხერხდა ეს რიტუალური გასეირნება ნიუშეჩუის ქუჩაზე, მაგრამ ხომ შეიძლებოდა ოჯახის ტრადიცია იმით დაეცვათ, რომ დამსხდარიყვნენ და ერთად მიერთმიათ სარიტუალო ვახშამი დღესასწაულის წინა ღამეს. სწორედ ამ მომენტიდან გადაწყვიტა აპაო-მ დაეთმო, თუმც კი ცდილობდა რომ ოდნავ მაინც დაეცვა „ოპორტუნისტული“ პოზიცია ოჯახის შენების საქმეში.

ლუნგ-მა რომ ფეხი შემოედგა სახლში, საზეიმო სუფრა უკვე გაშლილი დახვდა და მაგიდას დიდი ხანია ამშვენებდა ფუძენის პროვინციის მთავარი საახალწლო კერძი – ფოთაოძიან, ანუ „ბუდა ღობეს გადაეკლო“, როგორც მას ფუძენის პროვინციიდან ჩამოსულები უწოდებდნენ, და რომელსაც ლუნგ-ის დედა მშვენივრად ამზადებდა, რადგან ისიც იქაური იყო.

იმ კერძის მომზადებას მთელი დღე უნდებოდნენ. რალა არ იყო ამისთვის საჭირო: ბალონი და ზღვის ქორორას გამომშრალი კუნთი, ზვიგენის ფარფლები, ტრეპანგები და ბევრი სხვა ძვირი კომპონენტი. ქვ-აბის ფსკერზე ნარჩევი დედალი უნდა მოეთავსებინათ, საგანგებოდ ბალახზე და მწვანილზე გამოზრდილი, მერე ამატებდნენ თეთრ სოკოს, ბამბუკის ყლორტებს. ყველაფერ ამას შრეებად აწყობდნენ ერთი-მეორეზე, სწორედ ისე როგორც დაყოფილია შრეებად ადამიანთა საზოგადოება; უბრალო მასა ფსკერს ავსებდა, ზედა ფენები კი მაღლა ლაგდებოდნენ, რჩეულთა ადგილზე. ამის მომზადებას დიდი ყურადღება სჭირდებოდა, დიდ რამეს ნიშნავდა შრეების დალაგება და გამოყვანა, თან ეს მასალა ძალიან დიდხანს დაბალ ცეცხლზე უნდა მდგარიყო, მერე უნდა მოეტაფათ, შემდეგ მოეშუშათ, შემდეგ კვლავ მეორედებოდა იგივე ეტაპები, და ასე მთელი დღე გრძელდებოდა.

ყოველთვის, როცა კი უნევდა ლუნგ-ს ამ კერძის გასინჯვა, სულ უკვირდა, „ან ვინ მოიგონა, ან რამ გააჩინა ამქვეყნად ასეთი გემრიელი რამ?! მსგავსი ხომ არსად არ არსებობს, შეუძლებელია!“

მით უფრო გასაკვირი იყო ეს აპაო-სთვის! მათი ქორწინების შემდეგ, სინგაპურში რომ გადასახლდნენ, პირველსავე საახალწლო ღამეს ელირსა ამის გასინჯვა, დედამთილმა რომ საკუთარი ხელით დაამზადა.

„ნამდვილად, გრძნეული სენიუსთვის არის მოგონილი ასეთი კერძიო!“ (10*) უკეთ რომ გამოეხატა გულთნათქვამი, ბავშვის ენისთვის დამახასიათებელი სიტყვა იხმარა.

პატარა რომ იყო, უჭირდათ, მაგრამ სადაც არ უნდო ყოფილიყვნენ, ჰონკონგში თუ ნიუ იორკში, საღმობით დედას ის მაინც გაჰყავდა სასეირნოდ. გასაოცარი სანახავი იყო დიდი ქალაქების ვიტრინები. გოგომ აღარ იცოდა, მზერა რისთვის მიეპყრო, თითქოს ზღაპრული სამყაროს სურათებს უცქერდა თვალებში სურვილი ეტყობოდა, ნატვრა ამ სილამაზისა, დედა კი უხსნიდა, რომ ეს ყველაფერი ფერიებისთვის არის გამზადებული, სენიუსისთვის, „ჩვენ ისიც ვიკმაროთ, რომ გავისეირნებთ, თვალს წყალს დავალევივინებთ და გულსაც გავიხარებთ“.

იმდენი ეჩიჩინა დედა ამას, ბოლოს დაიჯერა რომ თუკი რამ არის ამქვეყნად ლამაზი, ეს მხოლოდ სენიუსს კუთვნილებაა. მართალია, მაღე მიხვდა, რომ ეს ყველაფერი ზღაპარი იყო გამონაგონი, მაგრამ მაინც, ყოველთვის, როცა დაინახავდა ლამაზ ნივთს, ალტაცებული იტყოდა: „ზუსტად ისეთია, როგორც ფერიებს

ეკადრებათ!“

თავის დროზე, ეს რომ პირველად თქვა, ქმარს გაეცინა, დედამთილიც აჰყვა, თან ეტყობოდა, რომ ძალზე ეამა ამის გაგება.

მერე კი ლი სიუფენგ-მა შვილს უთხრა: „ეს ის ქალია, ვისაც ესმის, რომ უნდა დააფასო, რასაც ფლობ და რაც გაქვს“.

აპაო მზარეულის შვილი იყო, კიდეც მასხარაობდა, რომ ჯიშით მოსდევდა „გურმანის გენები“; არათუ ეხალისებოდა საჭმლის მზადება, პირის გემოც ჰქონდა და იცოდა, რას ნიშნავს „გემოს ჩატანება“. ამიტომ ისწავლა ამ კერძის საიდუმლო, პირობაც კი მისცა საკუთარ თავს, რომ დაუფლებოდა ამ ხელოვნებას, რათა საახალწლო სუფრაზე ქმრის მონონება და შექება დაემსახურებინა.

სამსუხაროდ, სწორედ იმ ხანს, როცა ტანი აიყარა, დედამისს მაშინ მხოლოდ ერთი რამ ანუხებდა, რომ ქალიშვილისათვის აუცილებლად მიეცა სათანადო განათლება და ესწავლებინა საჭირო მანერები – და სამზარეულოს საერთოდ არ აკარებდა; კიდეც ამიტომ, როდესაც მოუწია ცხოვრების სცენაზე გამოსვლა – ყოფის სცენაზე, სამზარეულოდ რომ მოიხსენიება, აპაო მხოლოდ იმისთვის აღმოჩნდა მზად, რომ უხეიროდ თავი დაეკრა, როგორც ეს მოეკითხება მესამეხარისხოვან სცენის მოყვარულთ.

მეორე მხრივ, რა დიდი საქმეა სუფის მოხარშვა, როდესაც ყველაფერი გაქვს საიმისოდ, ცეცხლიც იმ დონეზეა დაყენებული, როგორც კერძის მომზადებას სჭირდება, ასე რომ მაინც და მაინც ვერ დაშორდება საჭირო რეცეპტს, მისი როლისთვის განკუთვნილ „სამღერი ნოტების“ პარტიას.

აქამდე, როცა ეს დღესასწაული ახლოვდებოდა, იმ კერძის დამზადება დედამთილის კისერზე იყო, აპაო უფრო ბავშვების მოვლით იყო დაკავებული, მაგრამ ნელს ყველაფერი შეიცვალა და გულში რაღაც იმედი ჩაესახა.

და რომ ასნია ის ვეება ქვაბი, ნელი ცეცხლისთვის გამზადებულ საგანგებო კერამიკულ ჭურჭელში ჩასმული, თან იმ სიმძიმე იყო რომ ხელ-ფეხი უთრთოდა, ცალკე კიდეც სახეს უწვავდა ორთქლის სიმზურვალე – ისეთი შეგრძნება დაეუფლა, რომ ხელთ ეპყრა სათუთი იმედი. დიდის ამბით დადგა საზეიმო სუფრის შუაგულს, და თუ მანამდე სუფრას ისედაც არ აკლდა არც ფერი და არც სილამაზე, და არც ზღაპრული სურნელი, ჭურჭელმა მაინც რაღაც განსაკუთრებული წონა და რიხი შემატა ამ სურათს – ისეთი ღირსება, როგორსაც ანიჭებს მყარი საძირკველი არქიტექტურულ ნაგებობას.

სუფრის თავში ლი სიუფენგ-ი იჯდა, როგორც ოჯახის უფროსს შეეფერებოდა, ლუნგ-ი – მეუღლის გვერდით, თუმცა აპაო-ს დასაჯდომად არ ეცალა, ვერ ისვენებდა, ფაციფუცობდა, ყველას სათითაოდ უსხამდა წვეს, მერე ჩხირებით ცდილობდა დაენანილებინა ნუგბარი და იშვიათი ნაჭრები – გარეგნულად მათ ბუნებრივი სახე არ გაჰქრობოდათ (11*), მაგრამ გემოთი ძნელი იყო ზღვის აბალონის და ტრეპანგების ამოცნობა ჩახარშულ და ნებოვან ნაჭრებში. ამ ნაჭრებს ყველას სათითაოდ ულუფებდა უნაწილებდა ფიალებში და მერე ჩამჩით ამატებდა წვნიანს.

ამ საქმიანობას დიდი დრო მიჰქონდა; ცოლის შემყურემ, ლუნგ-მა დაამთქნარა, მერე მეორედ, და ამან ისე გააღიზიანა აპაო, რომ უცებ გვერდზე გადადო ჩამჩა და დედამთილს მიმართა: „დედა, რაღაც ნელა ვირჯები, არა? თქვენ ხომ არ მიხედავდით ამ საქმეს?“

მაგრამ ლი სიუფენგ-მა იუარა: „საჩქარო არაფერია, პირიქით, მიხარია კიდეც რომ გიყურებ, როგორ ტრიალებ“; თან თვალი ჩაუკრა ლუნგ-ს მაგრამ პასუხად შვილის ისეთი გაუგებარ მზერა დახვდა, რომ ყველა მიხვდა, სადღაც სხვაგან უტრიალებდა მას ფიქრი.

მამის კალთაში, ანან-ს უკვე თვალეები ებლიტებოდა, წვნიანს პირი არ დააკარა, ეძინებოდა და ამიტომ ბებია - სიუფენგ-მა ხელში აიყვანა და წაიყვანა დასაძინებლად.

„დღეს ორმაგი ულუფა გერგება, ანანისიც შენი წილია“, შესცინა ქმარს ანანომ.

ლუნგ-ს ხმა არ ამოუღია, ისე აიღო ხელში ფიალა, და აპაო რომ საქებარ სიტყვას ელოდა, ის წვნიანიდან მაღლა ასულ ოხშივარს უბერავდა, მერე მოხვრიბა, ერთხელ, მეორედ..

რაკი ქება და მოწონება არ აღირსეს, აპაო თვითონ შეეკეთხა, „ვარგაო?“

„აბა რა! როგორ შეიძლება რომ აბალონის წვნიანი არ მოგეწონოს, ან მოგებზრდეს“.

არანაირი აღტაცება არ იგრძნობოდა, უფრო „საკვების მოხმარების“ ჩვეულებრივი, ბუნებრივი სურათი იყო.

ლი სიუფენგ-მა ჯერ თითქოს კოპები შეიკრა, მაგრამ მერე გაცინვა ამჯობინა, კიდეც უნდოდა რაიმე დაემატებინა, მაგრამ რძალმა დაასწრო, ღიმილით სიტყვა გაანყვეტინა და ლუნგ-ს მიმართა: „ჯერ ეგ დაამთავრე, მე კიდეც მოვხარშავ, სანამ აქ იქნები, ეს ორი კვირა, ყოველდღე ამას გაჭმევ“.

„ორი კვირა აქ ვერ დავრჩები, ხუთში წასვლა მიწევს“ – ლუნგ-მა უპასუხა, თან არ დააყოვნა და საქმიანად პირში მიაბრძანა ჩხირით ამოღებული გემრიელი ნაჭერი.

„ო...“ – წამოიძახა გაოგნებულმა აპაო-მ, თუმცა პასუხად სიტყვა ვერ იპოვა.

„კი მაგრამ, რა გაჩქარებს?“ ჩაერია დედა, ხმაზე ეტყობოდა, რომ ეწყინა, თუმც თავს იკავებდა: „ყველა

ჩინელი ახალი წლის აღსანიშნავად ემზადება, აკი ამბობენ რომ ორკვირიანი შვებულება ყველას ეკუთვნი-
სო?”.

„ეს ჩინურ სანარმოებს ეხება, უცხოური კომპანიები საკუთარი Schedule - თი მუშაობენ, პასუხისას
ლუნგ-მა კი გაიღიმა, მაგრამ თითქოს უფრო ფილას უღიმოდა, აშკარად ჩანდა რომ გაურბოდა მეუღლის
თვალებს, რადგან იცოდა რომ მისი განბილებული და განხიბლული გამომეტყველება უფრო გააღიზიანებდა.

„დღეს საახალწლო ღამეა, ჰოდა არაა საჭირო მსჯელობა კომპანიის საქმიანობაზე“.

თითქოს რაღაცა დაენარცხა და გასკდა, და ამ ხმაურის გამოძახილმა გულს ჩააღწია, სახეებსაც დაე-
ტყო, ატმოსფერო უმალ დაიძაბა.

ან იქნებ სულაც ეს უმიზეზო ეჭვიანობის გამო იყო და აპაო-ს ეჩვენა ეს ყველაფერი.

მათი ვაჟი, იანიუანი თითქოს უჯდა სუფრას, მაგრამ გულისყური მობილურისკენ ეჭირა; თამაშით
ისე იყო გართული, რომ საჭმელი თუ სასმელი, ყველაფერი მისთვის მხოლოდ პაუზა იყო, რომ თამაში გაე-
გრძელებინა – დღეს მაინც, როდესაც უფროსები, ყველა თავის საფიქრალს მისცემოდა და სივრცე შეექმნა
გასართობად; კიდევ ამიტომ, ათივე თითს ისე ამოძრავებდა ამ სათამაშო აპარატზე, თითქოს პიანინოს კლა-
ვიატურა ყოფილიყოს. მერე უცებ შეიგნო სუფრასთან გამეფებული დუმილი და თავი ასწია.

„ხმას რატომ არავინ არ იღებს?“ – დედას მიმართა შეკითხვით, რადგან მამა იმდენი ხანი არ ენახა,
რომ ცოტა არ იყოს, გადაეჩვია.

„მამიკო ეს-ესაა ჩამოვიდა, შენ კი არ გესმის რომ იმას უნდა დაელაპარაკო, თორემ ასე შეიძლება რო-
ბოტად იქცე“. აპაო-მ თან უსაყვედურა, მაგრამ თან შეეცოდა რომ ბავშვი გაიმეტა სასაყვედუროდ; თუმც
ბიჭუნას ეს არ უგრძენია, კვლავ მიშტერებოდა ხელში ჩაბლუჯულ სათამაშოს.

ლუნგ-მა გადახედა და თავზე ხელი მოუთათუნა: „დედას უნდა მხარში ამოუდგე, დაიკოს მოვლაში
უნდა დაეხმარო“, თან რატომღაც ამოიოხრა ამ სიტყვებზე.

„არ მიყვარს ეს ჩემი დაიკო“, წამოიძახა წკრიალა ხმით და მისმა სიტყვებმა დააბნია უფროსები.

„კი მაგრამ, რატომ?“ – მამამისმა ღიმილი ვერ შეიკავა.

„ქალები საერთოდ ჭირვეულები არიან“ – ხმამ და სიტყვებმა გაახალისა უფროსები და სიცილი ვერ
შეიკავეს.

ბავშვს ესამოვნა ასეთი რეაქცია და გათამამებულმა, მამას მიმართა: „მამინ ისე გააკეთე, რომ დე-
დაიკომ პატარა ძმა გამიჩინოს“.

ამჯერად უფროსები ერთად ახარხარდნენ სხვადასხვა ხმაზე.

ამრიგად, ახალ წლის წინა ღამეს, მათი ჩუმი პირში უცებ გადიქცა მთავარ მოქმედ პირად და წარმარ-
თა უფროსთა განწყობა; ეხლა ყველა ალერსიანი ღიმილით შესცქეროდა – ოღონდ ცხადია არ ესმოდა,
რაოდენ სჭირდებოდათ უფროსებს მისი ასეთი ხელშეწყობა, რომ საახალწლო ვახშამზე შექმნილიყო უდარდ-
ელობი ილუზია.

ახალ წლის დილა რომ გათენდა, აპაო უჩუმრად ადგა და სანამ ყველას ეძინა, იბანავა, ცივი წყალი
მოსვა და ჩქარი ნაბიჯით გაემართა ბოდისატვა კუანინ-ის ტაძარში.

დედამთილისგან იცოდა, რომ „თუ დილაადრიან, უზმოზე საკმეველს დაანთებ...“

უთენია იყო, რომ გაეღვიძა, უძილობა უფრო ნაშუალამევს ანუხებდა ხოლმე. ამ დროს ქმარი უკვე შუა
ძილში იყო, თან ხვრინავდა – ასე ემართებოდა ხოლმე გადაღლილობისაგან. აპაო-ს არც კი უნდოდა ეფიქრა,
რამ დაქანცა ასე მისი ქმარი, ანდა რატომ ეჩქარებოდა ისევ წასვლა; ვერ ფიქრობდა, შიგნით ყველაფერი
თითქოს რაღაცას შეეხოჭა, თან თითქოს რაღაც გორგალი ეგულებოდა მკერდში, აბურდული სელის ძაფის
გორგალი, რომელსაც ვერანაირად ვერ გახსნიდა და ვერ დაშლიდა.

მაგრამ განა ემორჩილება განწყობა გონებას? ალელვებულს და გულნატკენს ძილი არ ეკარებოდა და
ერთად ერთი სურვილი ჰქონდა – მისულიყო „კუანინ თან“-ის ტაძარში და დაენთო სიან-წმინდა სანთელი,
თავისი თავის და თავის ოჯახის სახელზე.

კუანინ თან იყო ძალზე უბრალო სუფთა ტაძარი, თვით კუანინ-ის ქანდაკება ეულად აღმართულიყო
დარბაზის სიღრმეში. იქაურობა ცარიელი იყო, უკაცური. მკვრივი, ტროპიკული ჯიშის ხის გაპრიალებული
იატაკი მარმარისებრ ლაპლაპებდა. იმ ხალხის ტალღა უკვე დამცხრალიყო, ვინც სისხამ დილით ეშურება
დაანთოს სანთელი; იქ მყოფ მომლოცველებს ეტყობოდათ, რომ უჩუმრად ცდილობდნენ სიარულს, სუნთქვას
იკავებდნენ და ერთმანეთს არ ანუხებდნენ, და ყველაფერს დაკვირვებით და წყნრად ასრულებდნენ.

ტაძრის შესასვლელთან აპაო-მ ლამპარი იყიდა სახლში წასაღებად, დაანთო სი ანი (სანთელი) და ფეხ-
შიშველი ფეხი შედგა ტაძრის ქათქათა იატაკზე, სადაც მტვრის ნასახი არ იყო და განწყობაც უმალ დაუმშ-
ვიდდა, დანყნარდა.

მსუბუქი ნაბიჯით მიუხლოვდა ქალღმერთის ქანდაკებას და დაიჩოქა. თითქმის არაფერი გაეგებოდა
ბუდიზმის, მაგრამ მუხლი მაინც მოიდრიკა, ახსოვდა, „სატკივარი ნუ გაგიჩნდება, თორემ შეველას ვინც
მოგხვდება, იმასა სთხოვო“. გრძნობდა, რომ ცხოვრების გზაზე წინ ცვლილებები ელოდა, და გული ისე

უცემდა, ლამის ამოვარდნაზე ჰქონდა; საკუთარ თავს ველარ ენდობოდა, რაღაც ძლიერ და სანდო ძალას ეძებდა, რომ გამაგრებულიყო.

ტაძრიდან გამოსულს, უცნაური გრძობა დაეუფლა დაქანცულობის, ადამიანს ასე ემართება ხოლმე როდესაც რაიმე დიდ და მნიშვნელოვან საქმეს შეასრულებს. იქვე კაფეში შევიდა და ერთი ფინჯანი ყავა - კაოპეიური მოითხოვა,, სინგაპურის ყაიდაზე მოხარშული, და ერთი ულუფა ინდური ბლინები.

საერთოდ ის იშვიათად საუზმობდა სხვაგან, მით უმეტეს, ახალ წელს. მაგრამ ეხლა შიში დაეუფლა ქმართან პირისპირ შეხვედრის; სულ ერთმა საღამომ განვლო მათი ურთიერთობის, და მიხვდა რომ ქმარი რაღაცნაირად ერიდებოდა, უცხოვდა, შორს იყო მისგან.

რომ ისაუზმა, ჩაჯდა მანქანაში და ბაზრისკენ გაემართა, მაგრამ პარკინგს რომ მიადგა, თავის თავს შეეკითხა, „აქ რისთვის მოვედი?“ – დედამთილს ხომ უკვე ყველაფერი ჰქონდა მომზადებული, რაც საახალწლოდ მიღებულია? აკი შეთანხმდნენ, რომ როგორც ჩინელთა წესია, ამ დღეებში არაფერი არ უნდა ეკეთებინათ, თორემ მთელ წელიწადს მძიმე შრომა არ ასცდებოდათ. მექანიკურად, ინერციით მიაბიჯებდა ზღვის პროდუქტების დახლისკენ, სადაც თვალში ეცა დიდ კასრში მოხტუნავე ცოცხალი თევზები, და გაახსენდა რომ ლუნგ-ს ყველაზე ძალიან უყვარდა კარის საკმაზით მომზადებული თევზის თავები, ამიტომ გადაწყვიტა, ეს ინდური კერძი დაემატებინა ჩინური საახალწლო სუფრისათვის.

თევზის გასაყიდ დახლზე აპაო-მ ერთი ცოცხალი თევზი შეარჩია და „ანგე!“ – „ძიაკაცოდ“ მიმართა გამყიდველს სინგაპურელთა დიალექტზე და ამორჩეული თევზი გაუნოდა. კაცმა თევზი იქვე გამოშიგნა და გაუსუფთავა, და აპაო-მ მაშინვე წარმოიდგინა, როგორ დატრიალდებოდა სამზარეულოში და მერე ქმარს მიაართმევდა კარიში მოხარშულ ამ თევზის თავს.

„ვინ იცის, ძნელია ვარაუდი! იქნება სულაც უკანასკნელი ახალი წელია, რომელსაც ლუნგ-თან ერთად ვხვდები“.

და ასე, მთვარის კალენდრის პირველ დღეს, დილის ათ საათზე, თევზის გასაყიდ დახლის წინ იდგა და აფრთხილებდა საკუთარ თავს, რომ მძიმე მომავალს ვერ გაექცეოდა.

იმ დღესვე, ოღონდ ნაშუადღევს, ლუნგ-მა ხელი ჩაჰკიდა თავის ბავშვებს და ქუჩაში გაასეირნა. აპაო-მ დედამთილიც დაიყოლია რომ იმათ გაჰყოლოდა, რადგან თვითონ ერჩივნა მარტოდ დარჩენილიყო სამზარეულოში.

„ნუ იჩქარებთ, სანამ ვახშმის დრო არ დადგება, ნუ მოხვალთ, მე კი თევზს დაგახვედრებთ!“ – სიტყვით ქმარს კი მიმართა, მაგრამ მზერა ბავშვებზე და ლი სიუფენზე ჰქონდა მიპყრობილი.

„მერე, განა შეიძლება დღევანდელ დღეს რაიმეს მომზადება?“

ლუნის რეაქცია გულგრილი იყო, მეტიც – ცოტა გაღიზიანებაც იგრძნობოდა, მაგრამ მაინც მოახერხა გრძნობის მოთოკვა.

„თუ ასე მოგენატრათ კარიში მოხარშული თევზი, გეთქვათ და წაგიყვანდით ინდურ რესტორანში!“ – თან თვალეები ბავშვებს მიაპყრო.

დედამისმა საყვედურით შეხედა შვილს: „გაგიგონია, ჩინურ ახალ წელს ინდურ რესტორანს ეწვიო?“

„ექვსისთვის აქ იყავით!“ – მიაძახა ბოლოს აპაო-მ.

დედამთილმა ისე გაუღიმა, აპაო-მ შეატყო რომ რაღაცას ხვდებოდა, იმდენად აშკარად ჩანდა ყველაფერი. ეს კიდევ უფრო აბნევდა აპაო-ს, და ამიტომ შეეკითხა საკუთარ თავს, „განა არა სჯობს, განგებამ გადასძლიოს კაცის ვარაუდს?“ – და ამას მეორე შეკითხვაც მიაყოლა, „ძალიან ხომ არ ვიჩქარეო?“

ჩამოვარდნილ სიჩუმეში, სამზარეულოში მარტოდმარტო დარჩენილმა აპაო-მ, უცებ იგრძნო კერძის მომზადების უპირატესობა ასეთ გარემოში, შედეგი უმალ თვალწინ იყო, თუმც კი მოცულობით ვერ დაიკვებინდა, მაგრამ სამაგიეროდ, სულიერ განცდებს დროებით მაინც ეშველათ, გულზე მოეშვა.

სამზარეულო გაუღენთილი იყო კარის სურნელით, მას თან ამოჰყვა მოგონებები, რომლებიც ღრუბლად შეიკრნენ ადუღებული ქვაბიდან ამოსროლილ ორთქლში.

შეერთებული შტატების ჩრდილო-დასავლეთით, პანია ქალაქში, სადაც ჩინური მარკეტის არსებობა რომ არც გაეგოთ, აპაო-მ მოახერხა და ერთი სამხრეთკორეელის დუქანში გაყინული თევზი იყიდა. უსიამოვნო სუნის მიუხედავად, მოახერხა და ორი კერძი მოამზადა, ორ ულუფად გაჰყო: ერთი ნაწილი ჯერ მარინადაში მოათავსა, მერე აირლუმელში დაბრანა; ხოლო მეორე, თავიანთი ნაჭერი - ის ინდური წესით, კარიში დაამზადა.

იმ სამხრეთკორეულ დუქანში კიდევ სხვა აღმოსავლური პროდუქტებიც იმოვებოდა, მაგრამ პატარა ფართობის გამო ყველაფერი არ ეტეოდა, და ვერც დაეტეოდა, მაგრამ თვალს განსაკუთრებით ხვდებოდა სიმწირე არომატული სანელებლების. ამის მიუხედავად, სახლიდან ასე შორს გადახვენილი აპაო მაინც ახერხებდა აღმოსავლური კერძების მომზადებას იქ, უცხო მხარეს.

იმ ხანიდან მოყოლებული, კარგად ახსოვდა, როგორ უნდა მოემზადებინა თევზის თავები: ჯერ სიმინდის ზეთზე უნდა შეენვა, სანამ ოქროსფრად არ აღაპლაპდებოდნენ, მერე უნდა ჩაელაგებინა ეს ნაჭრები

მდულარ ბულიონში, და ნახევარი საათი კიდევ იქ უნდა ეხარშა, სანამ ის წვენი ყველას თვალწინ არ გათეთრდებოდა, რძისფერი არ გახდებოდა. აპაო-ს თავი ეგონა მეშვიდე ცაზე, ჩიტვივით დაქროდა აქეთ-იქით, რომ სათანადოდ მოემზადებინა სუნელი: შემწვარი მექსიკური ცხარე ნიორი, ყველი, პომიდორი, იაპონური სოიოს საკმაზი; საამისოდ გამოდგებოდა აგრეთვე იაპონური სოიოს სოუსი, ხოლო სანამ მორჩებოდა ხარშვას, შუაზე გაჭრილი ლიმონი უნდა ჩაენურა ქვაბში, და შემდეგ კიდევ დაემატებინა თეთრი დანაყილი პილ-პილი და ჩინური ქინძი.

ასე დამზადებული თევზის თავები გახდა მათი პირველი ერთად გატარებული საახალწლო ღამის მთავარი კერძი, რომელსაც წინ უძღვოდა მათიონეზიანი სალათი, და კიდევ შოუსი - ბრინჯით, ზღვის კომბოსტოთი და ნიგვზით დამზადებული.

ლუნგ-მა დაუსხა მისი მოტანილი თეთრი ღვინო, ბოკალი მიუჯახუნა და თვალეში ჩააცქერდა:

„მადლობელი ვარ, რომ ასეთი მშვენიერი, ჩვენური ახალი წელი გამიმართა!“

მისთვის თუ ეს იყო მშვენიერი, აპაო-სთვის მისი მადლიერება უფრო ფასობდა.

დღეს კი, პირველში, სუფრაზე რომ დადგა ინდური სამზარეულოს ეს შედევი, რომელსაც კიდევ ინდური სანელებელი და ქოქოსის ჯემიც დაამატა! ამას ვერ შეედრებოდა მისი ოსტატობის წინა ტრიუმფი – ვერც სისქით, ვერც სიციხარით, ვერც სურნელით და ვერც გემოთი, მაგრამ ესაა აღარაფერს არ ჰქონდა აზრი, რადგან ლუნგ-ს ენაზე თითქოს ხავსი მოჰკიდებოდა, გემოს ვერ არჩევდა და კი არ მიირთმევდა, არამედ ისე, უბრალოდ ჭამდა, თითქოს რიგით ვითარებაში მოუწია რაღაც დღიური ულუფის მონელება.

„რა უცნაურია, ჩინეთსა და სინგაპურს შორის თითქოს არ არის დროის სხვაობა, მე კი რატომღაც თავს ისე ვგრძნობ, თითქოს ეგ მოქმედებდეს!“

ნათქვამით ვითომ საკუთარ თავს გაჰკრა და წინა დღის გადამეტებული ძილი დააბრალა დიდი ხნის დაღლას და უძილობას. ესაა რომ ამას კიდევ ორი ჭიქა ღვინოც დაემატა, ლუნგ-მა, ძილმორეულივით, მაგიდაზე დადგა ფიალა და საჭმლის ჩხირები.

„მიდი მერე, წადი და დაიძინე, თუ გეძინება“.

აპაო-მ სცადა გაეზიარებინა მისი დაღლილობის განცდა, მაგრამ იქვე შეამჩნია უკმაყოფილების ნიშანი დედამთილის სახეზე, მერე სამივემ ერთად ახედა კედლის საათს და აღმოჩნდა რომ ჯერ ცხრის ნახევარი იყო.

„სამი დღე კიდევ დამრჩა“, მალულად გულში ითვლიდა დარჩენილ დღეებს, თან ბრაზობდა რომ დრო ასე სწრაფად გადიოდა და ცოტაც და მისი გამგზავრების დღე დადგებოდა, მაგრამ ვერა და ვერ გამონახა მოსახერხებელი მომენტი, რომ პირისპირ დალაპარაკებოდა.

მეოთხე დღე ღამდებოდა ახალი წლისა, ისინი კი კვლავ ადრე დაწვენი დასაძინებლად. ხვალე უნდა წასულიყო. აპაო-მ იცოდა, რომ ნაადრევი გამგზავრება ქმარს სამუშაოს გამო მოუწია, მაგრამ ვერა და ვერ იშორებდა შიშსა და შეგრძნებას, რომ აღარასოდეს დაბრუნდებოდა. ღამე უეცრად გამოეღვიძა, და ეს უეცრობა სწორედ იმ შიშმა გამოიწვია. ცრემლები ღაპაღუპით სდიოდნენ, მაგრამ უხმოდ ტიროდა, სუნთქვასაც კი იკავებდა, და ამის გამო ცხვირიდანაც წყალივით სდიოდა. აპაო-მ ფრთხილად გასწია ხელი გვერდით ტუმბაზე დადებულ ცხვირსახოცისკენ, რომ მოულოდნელად მოესმა ლუნგ-ის ხმა, „რა იყო, ჯერ არა გძინავს?“

ხმა მკვეთრი იყო, თან წყნარი, სიცივე იგრძნობოდა ტონში. მის მსგავსად, ლუნგ-საც არ სძინებია!

ცალკე, წყნით გულმოკლულმა, ცალკე – იმიტომ რომ საკუთარი თავი ეცოდებოდა, აპაო ქმართან ახლოს მიიწია, ცალი ხელით მოეხვია და სახე მკერდში ჩაურგო.

ლუნგ-ი, ერთი პირობა თითქოს აპირებდა ამის არიდებას, მაგრამ ეს მხოლოდ ერთ წამს გაგრძელდა, უმალ გონს მოეგო და მოეხვია ცოლს.

მაგრამ ეს მხოლოდ მისი წამიერი სურვილი იყო, დამალულიყო.

აპაო-ს რაღაც სიცივემ დაუარა მთელს სხეულში, ზუსტად ისევე როგორც მისი ჩამოსვლის წინა ღამეს. როდესაც ცოლი მოეხვია, სურვილი გაუჩნდა რომ მოეშორებინა, და ხანგრძლივი განშორების შემდეგ პირველი ღამე არ დასრულდა სქესობრივი აქტით მათ შორის; საერთოდ, ამდენმა დღემ ისე განვლო, რომ სხეულის კონტაქტი მათ შორის არ მომხდარა.

ეს იმას ნიშნავდა, რომ ცვლილება უკვე მოხდა, ეს აღარ იყო მისი შეუცნობელი შეგრძნება, ეს იყო რეალობა, ხოლო აპაო-ს არ სურდა ამ რეალობის აღიარება. იმ წამს გონებით შორს იყო, ძალიან შორს, შეურაცხყოფილი თავმოყვარეობა კარნახობდა რომ მოეშორებინა თავისი მკლავები და თავი ისევ თავის ბალიშზე დაედო, მაგრამ ამჯერად ლუნგ-მა იაქტიურა და თვითონ მოეხვია და მკერდზე მიიკრა.

სანამ აპაო გაერკვეოდა ამ ცვლილებაში, ლუნგ-ი მთელი ტანით დაანვა.

აქ უკვე აღარ იყო ფიქრის ადგილი, მათი სხეულები შეერთდნენ და ლუნგ-ი ყურში ჩასჩურჩულებდა:

„იანიუ ანი ხომ ძამიკოს ითხოვს, ჰოდა გაუწინოთ პატარა ძამიკო“.

როცა ლუნგ-ი ისევ გვერდზე მიუწვა, უცებ ამოიხრა და ოხვრას თან დააყოლა: „თორემ ასე ანანი მოიწყენს“.

„ან ანი თუ მოინყენს, მე რა – დალხენილი ვიქნები?“ – ეს გაიფიქრა და სუნთქვა თითქოს გაეგუდა, მაგრამ მაინც მოახერხა პასუხი: „ანანს მეც ვყევარ და ძმაც“.

„კი მაგრამ, ასაკით სხვაობა მათ შორის დიდია, კიდეც ამიტომ არ გამოსდით ერთად თამაში.“ ლუნგ-მა ისე უპასუხა, თითქოს ძალიან სერიოზულ პრობლემას განიხილავდა – „ანანს მაინც უფრო დაიკოსთან მოუნდება თამაში“.

„ბოლოს და ბოლოს, გამაგებინე, ვინ უნდა გავაჩინო, ბიჭი თუ გოგო?“ – გაუცინა აპაო-მ, თან უნდოდა რომ ხმის ტონიც შეეფარდებინა ლუნგ-ის განწყობისათვის.

„ოღონდ ყველაფერი კარგად იყოს, დაიკოს გავუჩინებ და ან ანი გაიხარებს!“ – საკმარისი იყო ანანის-ს ხსენება და ლუნგ-ი უმალ მზად იყო გადმოეფრქვია მთელი თავისი სიყვარული ბავშვისადმი. „ძმას გავუჩინებ, და იუანიუანი დანყნარდება, თან კიდეც ორი ვაჟკაცის გამჩენი ოჯახი ბედნიერი და წარმატებული ითვლება და წმინდა სანთლის ალი უქმად არ ჩაინვება!“

ამას რომ ამბობდა, იგრძნობოდა რომ საკუთარ თავსაც ირონიულად გადაჰკრა, მერე გვერდი იცვალა, ზურგით მიუბრუნდა და ასე, ზურგით მიმართა: „ჰოო, ორი ყმანვილის მამას ალბათ განსაკუთრებით ეამაყება მემკვიდრე, არა?“

ეს იყო მომენტი, როდესაც ირონია დაცინვად იქცა. ლუნგ-ი ზურგზე გადმობრუნდა, ხელები თვაქვემ ამოიღო და ფართოდ გახელილი თვალები ჭერს მიაპყრო.

მთვარის კაშკაშა ნათელში მკვეთრად გამოიკვეთა მისი მკვეთრი და მკაცრი პროფილი, მამისეული კეხიანი ცხვირი, მაგრამ წარბებს შორის განოლილი სევდის აჩრდილი კვლავაც იქ იყო, არასოდეს არ შორდებოდა. ლუნგ-მა ღრმად ჩაისუნთქა, რომ დაეფარა შეკავებული ამოოხვრა და შიგვე, სხეულშივე გამოემწყვდია. შემდეგ ცოლისკენ მიბრუნდა, თავით ხელზე დაეყრდნო და აპაო-ს მიაჩერდა.

„კიდეც ერთი რომ გააჩინო, რასაკვირველია, საქმეც და საზრუნავიც მოგემატება, დაილღები, მაგრამ უფრო ხალისიანიც ხომ იქნები“ – მერე ოდნავ დააყოვნა დაასრულა, „მე რომ გვერდით არ გეყოლები“.

„მერე, შენი ამპლუა ვის ერგება?“

აპაო იღიმებოდა, მაგრამ ცრემლებს ვერ იკავებდა, ღანვებს უსველებდნენ და ამიტომ ხელი აიფარა, არ უნდოდა მათი გამოჩენა.

„ეხლა დრო დადგა ასეთი, ჩვენ ხომ ცოლ-ქმარი ვართ, წინ კიდეც – აუ, რამდენი დროა“.

ლუნგ-მა თავი ისევ ბალიშს ანდო და ამოიოხრა, ოღონდ ეს ოხვრა ისე გაეწელა რომ თვითონაც დაფრთხა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

„როგორც არ უნდა იყოს, ოჯახს ხომ მაინც დავუბრუნდები, ეგ დღეც დადგება....“

ჩაიბურტყუნა, და ასე ბურტყუნში ჩაეძინა.

ასე დასრულდა მათი ახალწლის ღამე, იმის ამოოხვრით.

4

დედამთილმა-ლი სიუფენგ-მა ბავშვი რომ მოიყვანა, ესმოდა. მერე, იუანიუანიც რომ დაბრუნდა სკოლიდან, ეგეც ესმოდა ბავშვები ახმაურდნენ, ბებია ხმადაბლა ამოშმინებდა..

ხუთი შესრულდა.. მერე ექვსი, შვიდი... თვალს გაახელდა თუ არა, მხოლოდ იმას ხედავდა რომ ისარმა კიდეც ერთი წრე დაასრულა, ხოლო დასავლეთის მხრიდან, საითაც გადიოდა მისი ოთახის ჟალუზებიანი ფანჯრები, ოქროსფრად მოელვარე მზის სხივები ზღაპრულ ნათელში აფლობდნენ მის სამყოფელს.

ოდნავ მოხუჭული ქუთუთოებით უცქერდა კედელზე დაკიდებულ ფოტოგრაფიებს. სურათები სხვადასხვა დროს იყო გადაღებული, მაგრამ მაინც მეტყველებდნენ შეკრული და ერთიანი ოჯახის ბედნიერ და უზრუნველყოფილ ცხოვრებაზე. თვალები რომ გაახილა, ჩარჩოებიდან მოცქირალი ყოველი სახე კიდეც უფრო მკვეთრად, ჯიქურ უსწორებდა თვალს, და სხვადასხვა დროს დაჭერილი მათი გამომეტყველება მაინც ერთი იყო, არ იცვლებოდა. ასე იყვნენ, ეგ და თავისი ქმარი, მერე მათ დედამთილიც დაემატათ, შემდეგ იუანიუანი, და ბოლოს, ესეც, ნაბოლარა ანან – ისიც გახდა მათი ერთობის წევრი.

ყოველ სურათზე, თუნდაც სხვადასხვა დროს გადაღებულზე, ის მუდამ მოცინარი იყო, ლუნგ-ს სულ ერთთავად წარბები ჰქონდა შეკრული, იმ სურათზეც კი, ზღვის პირას, ჰავაის კუნძულებზე თაფლობის თვეს რომ გადაიღეს: ქვიშაზე იყვნენ მოკალათებულები, მათ თავს ზემოთ აზიდული ქოქოსის პალმები ცას ფრავდნენ, ზურგს უკან კი ზღვა გაშლილიყო. ლუნგ-ს ხშირად უთქვამს, რომ ის იყო ყველაზე უფრო ნებიერი პერიოდი მისი ცხოვრების, მაგრამ წარბები მაინც შეკრული ჰქონდა იმ სურათზეც.

„რა ვქნა, ასეთი დავიბადე!“ – იცოდა ხოლმე თქმა, თვითკრიტიკის ნიშნად.

თუმცა, არც აპაო-ს ღიმილზე არ ითქმოდა, რომ ლამაზია ან უხდება. იქნებ, ვერა და ვერ ისწავლა ობიექტივთან ურთიერთობის დამყარება, ისე გაღიმება, როგორც სხვებმა იციან, სურათს რომ იღებენ; ამიტომ ტუჩების კუთხე უძრავი, გაყინული რჩებოდა, ისე რომ გაღიმებას ვერც კი იწყებდა, თითქოს დამალვის და გაქცევის სურვილი სძლებდა, რადგან არ ენერათ დაჯერება საკუთარი სიხარულისა, მაშინაც კი, როდესაც პატარძლის ბაგეს ამშვენებდნენ.

მეორე მხრივ, ეხლავა მხოლოდ გაუჩნდა ბზარი მათი ოჯახის ერთიან დისკოს (*13). კვლავ და კვლავ აკვირდება ამ ფოტოებს აპაო, და ეჭვით და უნდობლად უცქერის იქ აღბეჭდილ ლიმილს.

ყველაზე უფრო ცხელი ხანი იყო დღისა. დასავლეთისკენ დაძრული და ჩასასვენად გამზადებული მზე ცეცხლოვან აღმურს აფრქვევდა, მერე კი უცებ ქრებოდა, თითქოს ფარანი ჩააქრესო; ამას რალაც წამი ჰყოფნიდა, მერე კი ცაც და მინაც ბნელს იფარებდა სუდარად.

იმ საღამოს აპაო საერთოდ არ ამდგარა ლოგინიდან.

ყველაფერმა – ბავშვების დაპურებამ, ბანაობამ, ბიჭის საშინაო დავალებამ, ქალიშვილის ვარჯიშმა როიალზე – ყველაფერმა ამან აპაო-ს გარეშე ჩაიარა, ეს მისი პირველი საოჯახო გაფიცვა იყო.

მერელა უკვე, გვიანდამ, როდესაც ორივე ბავშვს ეძინა, დედამთილმა ფრთხილად დააკაკუნა მის კარზე და ფეხაკრეფით შევიდა მასთან ოთახში. აპაო ამ დროს ფართოდ გახელილი თვალებით ჭერს იყო მიშტერებული. დედამთილი საწოლთან ჩამოჯდა და შუბლი გაუსინჯა.

„არა, ავად არა ვარ,“ – ხელი ოდნავ გააქნია, არ უნდოდა რომ დედამთილის ოდნავ სველი ხელი რომ შეხებოდა, თან ცდილობდა, რომ თვალი აერიდებინა.

„ჩემზე ნუ სწუხხართ, ცოტა ხანს მარტო მინდა დავრჩე“, – ისე უპასუხა, რომ თვალები არ გაუხელია, „უბრალოდ, მინდა ცოტა დავისვენო“.

ამდენი ხნის მანძილზე, აპაო-მ პირველად მისცა თავს გაჯიუტების უფლება.

„ლუნგ-მა დაგირეკა?“

აპაო-მ ისე ამოიოხრა, რომ თვალი არ გაუხელია.

„რა იყო, მოხდა რამე?“

პასუხი არ ყოფილა.

„ლუნგ-მა ვინმე გაიჩინა?“ – დედამთილის ხმაში სიმკაცრემ იმატა.

„თითქმის, ასეა“ – თვალი გაახილა და გაუღიმა დედამთილს, რომელმაც უცებ ჩაჰკიდა მკლავში ხელი. აპაო-ს ხმას კვლავ დაუბრუნდა მორჩილი ტონი: „პიტერმა დამირეკა, მარწმუნებდა რომ „ლუნი უნდა წამომეყვანა“ – „კომპანიის საქმე აქ არაფერ შუაშია! შანხაიში ის ამის გამო არ ყოვნდება“.

„ლუნგ-ი წამოსაყვანია“, დაბეჯითებით გაიმეორა ლიმ.

აპაო-მ ისლა მოახერხა, რომ მწარედ ჩაიღიმა.

„ამხელა კაცი, მე როგორ უნდა წამოვიყვანო? დედა, ამაზე რომ ვფიქრობ, ძალა მერთმევა. თვითონ თუ არ დაბრუნდა, იმის აქ წამოყვანა, რა, გამოსავალია?“ ეს თქვა და ლოგინში წამოჯდა: „მე უკვე რამდენი ხანია, ამის მეშინოდა, სულ ის მიტრიალებდა თავში, „ხომ არ მლაღატობს მეთქი? განა ამას ვერა ვხვდებოდი? უბრალოდ, მეშინოდა რომ მეღიარებინა“, შემდეგ ნერვიულად ჩაიცინა და დაამატა: „სულ იმას ვეკითხები ჩემს თავს, სად შევცდი?“

„მერე და, სად შევცდი?“ – სიტყვის დამთავრება არ აცალა დედამთილმა.

„არა, არ შევმცდარვარ, იმიტომ რომ გული ბოლმით მაქვს სავსე, ბოლმით და სიძულვილით. თან ვგრძნობ, რომ საშიში ვარ, მე ხომ ის ასე ძალიან მიყვარს, ისე მიყვარას რომ სხვას, არც ერთ სხვა კაცს საერთოდ არ ვუყურებ, არ ვამჩნევ! ეხლა კი მხოლოდ სიძულვილს განვიცდი, ისე მძულს...“

არ იცოდა, როგორ გამოეხატა ეს გრძნობა, მხოლოდ იმას გრძნობდა რომ გაბოროტებისაგან სხეულიც კი დაეძაბა. დედამთილისთვის ეს აღარ უხსენებია, რადგან თავადაც დააფრთხო ამის განცდამ.

„ასეთი რამ მეც განმიცდია, ბოლმაც და სიძულვილიც!“ – წყნარად გამოეპასუხა ლი სიუფენგ-ი, „და ბოლმის გამო სისულელეც ბევრი ჩამიდენია!“

აპაო გააოცა მის ნათქვამმა.

„ჩემზე რას იტყვი, შეიძლება მეც ჩავდივარ რალაც სისულელეს? კი, სამი შვილის დედა ვარ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ამის გარდა ხომ არაფერს არ წარმოვადგენ?“ – შეეკითხა დედამთილს.

ლი სიუფენგ-მა თავი გააქნია უარის ნიშნად, მაგრამ აპაო-ს ეს აღარ დაუნახავს, ისევ დანვა და თვალები ჭერს მიაპყრო.

ყოველთვის, როცა თავს ლუნგ-ს ადარებდა, საკუთარ თავს მუდამ ერთი საფეხურით დაბლა ხედავდა; სულ ის აწუხებდა, რომ „ქვევიდან ზევით“ უყურებდა და ეგონა რომ ვერასოდეს ეღიარებდა მისი გატოლება.

„კი მაგრამ, ასე რატომ გგონია?“ – მისი დაქალი, ჭუტი სულ ამას საყვედურობდა, და ვერ იტანდა მის ასეთ გადაჭარბებულ თავმდაბლობას: „აბა, იმაზე რალას იტყვი, რომ შეგიყვარა და ცოლობა გთხოვა?“

მაგრამ, იქნება ლუნგ-ი სულაც შეზღუდული იყო არჩევანში იქ, შეერთებულ შტატებში? აპაო-ს მაინც სჯეროდა, რომ არ იყო ლუნგ-ის შესაფერისი, ხოლო მათი ქორწინება? – მერე რა, ხომ ხდება ხოლმე ასე, როცა აგვიანებენ, ან გამოტოვებენ უკეთეს შანსს, და მერე კი უარესზე არიან ყაბულს. ამიტომ ქორწინების შემდეგაც მიუწვდომელად მიაჩნდა ლუნგ-ი.

ოცნებად ქცეული ეს გრძნობა აწვალებდა, დღისით და ღამით არ შორდებოდა, და როდესაც აუცხადდა და დაისაკუთრა, უცებ შიში მოერია, ვაითუ დაკარგოვო!

მინც, რატომ უჭირდა მის დაქალს ამის გაგება? იქნებ იმიტომ, რომ ჭუტი-ს ყვითელი კანის, და შავი, ყორნისფერი თმის მიუხედავად, ის მინც ამერიკელი იყო, და გრძნობაზე წარმოდგენა პირდაპირი და მარტივი ჰქონდა: ან გიყვარს, ან არა, და უკანდახევა, ან შეგუება რალაც სანახევრო შანსთან – ამას გამოირიცხავდა... (*14)

ათი წლის იყო აპაო, როცა ამერიკაში ჩაიყვანეს, სამი წლის შემდეგ შესანიშნავი, უხინჯო ინგლისურით ლაპარაკობდა, თუმც კლასში თავს მინც შებოჭილად გრძნობდა ბავშვებთან. ოცის რომ გახდა, ჭუტი გაიცნო უნივერსიტეტში და მალე ღვიძლი დებივით დაახლოვდნენ.

მისი გავლენით, აპაო-ს არ უცდია თმის შეღებვა, ისე მოუშვა რომ მხრებზე სცემდა. დაფლეთილ-დაგლეჯილი ჯინსით დადიოდა და ღრმად ამოჭრილ მაისურს ატარებდა, რომ მკერდის სილამაზე ეჩვენებინა; ესეც ჭუტი-ს გავლენა იყო, მაგრამ გულის სიღრმეში, ძვალ-რბილში ჰქონდა სხვა ბუნება ჰქონდა გამჯდარი (*15), ასე რომ ორი ერის გენეტიკასთან ჰქონდა საქმე; ასე ემართება მცენარეს, ორ განსხვავებულ ნიადაგში რომ დარგავენ, და აპაო ჩრდილოეთში გადარგული სამხრეთული მანდარინი აღმოჩნდა.

ეს სხვაობა განსაკუთრებით მაშინ გამოჩნდა, როდესაც ისევ შეხვდნენ, როდესაც ოცდაათი წელი შეუსრულდა; ხასიათის ძირითადი თვისებები მცენარეს უფრო მკაფიოდ გამოეხატება, როდესაც ტოტებს მოისხამს და კვირტს ამოიყრის.

ამ ასაკში აპაო უკვე Auntie-ს დაემგვანა, როგორც ეძახიან სინგაპურში შუახნის ქალებს, რომლებსაც ტანი უკვე დონდლო გაუხდა, მოშვებული, სხეულის ფორმაზე ხომ საერთოდ არაფერი ითქმის.

ორი მშობივრობის შემდეგ აპაო-მ ნონაში მოიმატა, „წელის რადიუსი გაუდიდდა“. იქაური „დეიდების“ წესით იცვამდა, ფორმასავით მუდამ ეცვა ერთნაირი შორტები და ჭრელი პერანგი. ამ ტიპის ტანსაცმელს პერიოდულად გამოყრიდნენ ხოლმე ბაზრის დახლებზე. თმასაც უბნის საპარიკმახეროში იკრეჭდა, რომელიც გახსნილი იყო სტანდარტული კორპუსების რაიონში. დილით რომ იბანავებდა, თმის გასაშრობად ფენს არც კი ხმარობდა, ასევე მიდიოდა ბაზარში სველი თმით; აღარც ის ანუხებდა და არ სწყინდა, რომ „დეიდით“ მიმართავდნენ; თუკი მის ქმარს ეს ყურს არ ხვდებოდა, თვითონ რალად უნდა ედარდა.

ერთხელ ჭუტი იაპონიაში გააგზავნეს მივლინებით, მან კი ორი დღე მოაკლო თავის სამუშაო გრაფიკს, რათა სინგაპურში სტუმრებოდა. ფეხი დადგა თუ არა ლომის მფარველობის ქვემყოფი ქალაქის (*16) მინაზე, მაშინვე დაურეკა მეგობარს, და შეხვედრა დაუნიშნა ცნობილი ლაიფოშის LONG ბარში.

მათი შეხვედრა წივილით დაიწყო, ისე ეცნენ და ჩაეხუტნენ ერთმანეთს, თითქოს ახალგაზრდობის ხანის ედემში ამოყვეს თავი.

აპაო მაშინვე გააოცა უცნაურმა შრიალმა, ყოველ გადადგმულ ნაბიჯზე რომ ესმოდა, და მერეღა მი-აქცია ყურადღება, რომ ბარის იატაკი არახისის კანის ნაფცქვენებით იყო დაფარული, და გაიკვირვა, „ასეთი რამ როგორ დაუშვეს უმაღლესი კატეგორიის ბარში?“

მერე ორივე შესკუპდა მაღალ სკამებზე ბარის დახლთან.

ჭუტი-მ აღმაცერად გადახედა დაქალს, თავით ფეხებამდე შეათვალიერა და საყვედურნარევი ხმით შეეკითხა, „რა იყო, მართლა არ იცი, რომ არახისის ნაფცქვენის ეს შარიშური არის ამ ბარის უნიკალური სტილი?! თავის დროზე, ჯუნგლებში გაშლილი ფერმების პატრონები, თავიანთი დიდრონი ყელიანი ბუტებით რომ დააბოტებდნენ გამხმარ ფოთლებში, ეტყობა, ის ეამაყებოდათ და როცა გამდიდრდნენ ამ ბარის საფირმო ნიშნად აქციეს ის შრიალი!“ – ეს კი აუხსნა, მაგრამ ეტყობოდა, რომ გულზე მოხვდა აპაო-ს ასეთი „კონტექსტიდან ამოვარდნა“; ადრე ხომ ბარი არ იყო, ერთად რომ არ დაეჭაშნკათ.

აპაო-მ უცებ შეიგნო თავისი უმეცრობა, თითქოს ეხლა გამოეღვიძა ხანგრძლივი ძილის შემდეგ, და წამოიძახა, „აი თურმე რა ყოფილა! მართალი ხარ, ძველად ხომ საერთოდ მიღებული იყო, რომ თუ რამ სახელის პრეტენზია ჰქონდა რესტორანს, საკუთარი ტრადიციის შექმნა მართებდა, საკუთარი სახე და ტონი უნდა შეექმნა, რომ არ ქცეულიყო რიგით ტავერნად!“

ეხლა უფრო იგრძნო თავისი უსუსურობა, დაქალის ემანსიპაციის ფონზე.

„ამ რესტორანთან იმდენი რამაა დაკავშირებული, რომ ერთი წიგნი დაინერება. მართლაც, მშვენიერია და მისი შარმი რომ არა, განა მოემი აქ ექვსჯერ შემოივლიდა?“

„არც ეგ არ გამოგია, და შენ საიდან გაიგე ეს ამბავი?“ – აპაო-ს ხმაზე ისევ დაეტყო რომ ეწყინა თავისი ჩამორჩენილობა! მაშინაც კი, როდესაც გატაცებული იყო მოემის პროზით, არც მაშინ მოსვლია თავში აზრად რომ დაბაიოსთან დაეკავშირებინა მისი მოთხრობების სერია სამხრეთ ოკეანიაზე, იმ მხარესთან, სადაც თვითონ ცხოვრობდა.

„ეგ კი არა, მაღლა სართულზე ამათ ერთი ციცქნა მუზეუმი აქვთ გახსნილი, სადაც აუარება ფოტო-ბია გამოფენილი ყველა ცნობილი პიროვნებისა, ვინც კი ოდესმე სწვევია აქაურობას. თურმე, ჩაპლინიც ყოფილა..“

„ოო, ჩა-პლი-ნიი..“

სახეზე აღმური მოედო. კოლონიალურ ეპოქაში, ლაიფოში იყო ყველაზე აღიარებული რესტორანი სინგაპურში, და ძველი სახელი კვლავაც იზიდავდა ბლომად ტურისტებს. თვითონაც სტუმრობდა ხოლმე აქაურობას. როდესაც ოჯახს ვინმე სტუმარი ჩამოუვიდოდა საიდანმე, აქ მოჰყავდათ ხან სადილად, ხან ყავის

დასაღვევად – ოღონდ ცხადია, როგორც ეს მეორეხარისხოვან კლიენტურას შეეფერება.

საქმეც ეს იყო, რომ იცოდა იმ მუზეუმის არსებობა მაღლა სართულზე. ისიც იცოდა რომ იქ ინახებოდა ჩანაწერები ცნობილი ხალხის ვიზიტებზე, მათი არჩეული ღვინოების ჩამონათვალიც – მაგრამ ვერა და ავერ გამონახა დრო, რომ თუნდა ერთხელ, წუთით მაინც მოენახულა იქაურობა.

„კარგი, მესმის რომ დედა ხარ და არა გაქვს უფლება რომ დრო დახარჯო ათას სხვადასხვა რამეზე, მაგრამ ხომ არავის აუკრძალია, დაგეხმო ყურები და შენს თავში არაფერი შეგეშვა, რაც შენს კარს მიღმა ხდება?“

ჭუტი ალბათ აპირებდა გამოეყენებინა ჩენიუი, ხალხური გამოთქმა, „ორივ ყურში არ ჩაგწვდება, რაც რომ ფანჯრის მიღმა ხდება“, მაგრამ სრულად ის ვერც ერთ ჩენიუის ვერასოდეს იმასხოვრებდა, და ეს მისი მანერა, ნახევარი ანდაზების წამოსროლა, აპაო-ს ძალიან უყვარდა; თუმცა, ამჯერად არც გაუცინია, არც გაუღიმიო, რადგან შეატყო მეგობარს, რომ გულზე ხვდებოდა მისი ასეთი „ჩამორჩენა“.

უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, როცა ჯერ კიდევ აკლდათ ასაკი რომ „ალკოჰოლის მისაღებ სრულწლოვანად“ ჩათვალათ, ისინი კანონს არღვევდნენ, ყიდულობდნენ სრულწლოვანობის ცნობას რომ ბარში შეეშვათ. ცოტა ხანში აპაო უკვე გონზე არ იყო, ისე თვრებოდა. მერე ორივემ დაიფიცა, რომ 21-ის რომ გახდებოდნენ, დასვენების დღეებს ასე უაზროდ აღარ დახარჯავდნენ სმაზე და დათრობაზე.

„კარგი!“ ეხლა მესმის რომ უფრო ხშირად მომიწევს ჩამოგაკითხო და სახლიდან გამოგათრიო!“ ჭუტი-მ იჩქარა, დაემშვიდებინა მეგობარი, რაკი შეატყო რომ აპაო-მ თავად განიცადა საკუთარი „უკანსვლა“, „წუთუ ცოლობამ და დედობამ, თავი დააკარგვინა, საცოდავს?!“

მეორე მხრივ, ჭუტი ვერც იმას იტყოდა, რომ აპაო-ს არ მოსწონს საკუთარი ამპლუა; განა რა იყო ცუდი ამაში? თვითონაც შერცხვა – ბოლოს და ბოლოს, ქვეყანაზე ვერ მოსთვლი, იმდენი ქალია, წარმოდგენა რომ არა აქვთ მოდაზე, მაგრამ მაინც კმაყოფილი და ბედნიერები არიან თავისი ყოფით.

ეს გაიფიქრა, მაგრამ არ იგრძნო, რომ აპაო-მ სიცოცხლეში პირველად შეხედა ეჭვით თავის ცოლობას და დედობის როლს.

აპაო-ს ძალიან მწარედ მოხვდა ის სხვაობა, რაც ეხლა მას ჭუტი-სგან განასხვავებდა. თითქოს ღირსიც არ იყო, რომ მასთან ასე ჩაცმული მჯდარიყო ბართან: ჭუტი-ს მოკლე, ბიუსტჰალტერის ტიპის მაისური და ჯინსი ეცვა, აპაო-ს კი მოდიდან გასული პერანგი და ჩვეულებრივი ქვედატანი; ყველაზე სასაცილო კი ის იყო, რომ ეს მისი ჩაცმულობა იყო მისი ერთადერთი სამოსი, საგანგებო შემთხვევისათვის განკუთვნილი, რომელიც შეარჩია და „უძღვნა“ ლაიფუმის რესტორანს. შედეგად კი ის მოყვა, რომ მთელს რესტორანში მხოლოდ ის გამოიყურებოდა როგორც პროვინციელი ტურისტისტი, რომელმაც გადაწყვიტა, რომ აქაურობა მოენახულებინა.

„აქ თითქმის არც მყავს მეგობრები“, აპაო-ს ნაღველი შემოაწვა, ჭუტი-ს ჩამოსვლამ თავისი ქნა, აგრძნობინა საკუთარი ცხოვრების სიმძიმე.

„კი მაგრამ, ლუნგ-ი ხომ გყავს! ხანდახან მაინც ხომ შეგიძლია რომ შენც რაღაცნაირად გაერთო?“ ნათქვამი დამაჯერებლად ჟღერდა, და უფრო რეალურად, ვიდრე თვითონ ლუნგ-ი მეუღლის როლში.

წინათ რომ მოხიბლა, ლუნგ-ის მიუკარებლობამ განაპირობა მისი ერთგვარი მიმზიდველობა, მაგრამ მანძილი რაც მათ აშორებდა, თითქოს არასდროს შემცირებულა, იმის მიუხედავად რომ ათი წელიწადი გავიდა, რაც მათ იქორწინეს.

„უნივერსიტეტში რომ ჩააბარა, არავის არა ხვდებოდა, მისი თანაკურსელი გოგოები, ვინც კი იყო გადარეული და აქტიური – ვერც იმათ ვერ მოუხერხეს ვერაფერი, თითქოს რაღაც გალავინი ერტყა გარშემო. დედამისი რომ არა, რომელმაც გააბა ჩვენს შორის ურთიერთობის ძაფი, ალბათ არც არაფერი არ მოხდებოდა“.

ამას ნელა, აუჩქარებლად ჰყვებოდა, თანდათანობით იძირებოდა განვლილ დღეების რიტმში, თითქოს უნდოდა თვალი გაეხილა და უკეთ დაენახა მისგან მიმავალი ახლობელი კაცი.

პიტერი მაშინ ავტომანქანების სადგომისკენ ექაჩებოდა. რაკი ერთ-ერთი ბოსი იყო რესტორნის, ამიტომ თავიც და გულიც სავე ჰქონდა ათასგვარი საფიქრალით და საზრუნავით. რაღა არ სჭირდებოდა, სადღა არ მართებდა გავლა, ბევრ ადგილას ყოფნა, რაღაცის მონახულება, საქმე ხომ თავისას ითხოვდა. დიდი ხანია აჩნდა ბეჭედი კონტინენტებზე მოხეტიალის; კიდევ ამიტომ, სადაც არ უნდა მოხვედრილიყო, რომელ საზოგადოებაშიც არ უნდა ამოეყო თავი, უმალ, ერთის ნახვით ამოიცნობდა ადამიანთა ურთიერთობის უნაზეს ნიუანსებს, ლექსში რომ ითქმის:

„მათ სიმსუბუქეს, თითქოს უხილავს, თვალს თუ შეავლებ,

ოდეს წყლის სარკეს შეეხება ნემსიყლაპია“.

მუდამ ჩქარობდა, და არაფრის დიდებით არ სურდა ძალიან ღრმად ჩასწვდომოდა სხვათა გულის ნადებს. მაგრამ ამის მიუხედავად, აპაო-ს სიტყვებმა შეაჩერეს. მან თავი გააქნია, მოუტრიალდა და მიაჩერდა. სახეზე გაოგნების მსგავსი რაღაც გამოეხატა, თითქოს უცნაურ კითხვის წინაშე აღმოჩნდა. ბოლოს ვერ მოითმინა და მიახალა:

„აი, რა გითხრა? არ შეიძლება ასეთი გულუბრყვილობა, უკვე აჭარბებ! იქამდე, რომ სისულელის ზღ-

ვარზე ხარ!“ – და მაშინვე პირზე ხელი მიიტყუა: „კარგი, კარგი, მაპატიე! უბრალოდ, შენი უნცლესი ძალიან განიცდის შენს ამბავს, და ისე არა ვთქვი, როგორც საჭიროა.“

თან ამოიოხრა, ერთხელ, მერე კიდევ, წარბები შეიკრა, ეტყობა უნდოდა თავიდან მოემორებინა ეს არასასურველი მისსია, მაგრამ იმასაც გრძნობდა, რომ ძალიან შესტოპა და ამიტომ უჭირდა დაწყებული აზრის დასრულება.

„არა, თქვი, Uncle, თქვი, რასაც ამბობ!“ – აპაო-ს თან უნდოდა, თან ეშინოდა მისი სათქმელის მოსმენა.

„არა, არის რალაცა, რაც თვითონ უნდა გითხრას, ასე ჯობია“ – ეს ისე მტკიცედ გამოაცხადა, თითქოს სიტყვა კი არა, ლურსმანი ჩააჭყდა. მერე ისევ ჩაავლო ხელი აპაო-ს და გზა განაგრძო; აპაო მიხვდა რომ მეტს ვერაფერს ვერ დააცდენდა.

„ბოლოს და ბოლოს, სამი შვილი ერთად გაგიჩენიათ! სასწრაფოდ დააბრუნე, სანამ დროა!“

ეს რომ უთხრა, უკვე დიდი სასტუმროს ჰოლში ისხდნენ, რომელშიც აპირებდა გადმოსვლას აპაო. დრო და დრო, მათთან მოდიოდნენ ციპაოში გამოწყობილი მშვენიერი ტანწერნეტა ქალიშვილები (18*) [ციპაო ენოდება ორივე მხრიდან გაჭრილ გრძელ, ერთბორტიან კაბა-ხალათს, მაღალი და დახურული საყელოთი, რომელსაც „ჩინურ ეროვნულ სამოსს“ უწოდებენ, თუმცა ის არასოდეს არ ყოფილა ჩინური, ანუ ჰანელ-თა ტანსაცმელი. მისი შემოსვლა ჩინურ კულტურაში დაიწყო ცინგ-თა დინასტიიდან. ის მომთაბარე მანჭურული ტომებიდან მომდინარეობს, იქაური წარმოშობისაა და ძალით იყო თავს მოხვეული (ისევე როგორც მამაკაცთა ნაწნავები) იმ დინასტიის მიერ, რომელიც მართავდა ჩინეთს 300 წლის მანძილზე. ჩინელებმა მას ციპაო უწოდეს, ანუ „სადროშე ხალათი“, ვინაიდან მანჭურთა ტომები სადროშოებად იყოფოდა, კლანებად, რომლებიც მომთაბარეობასთან ერატდ, კიდევ მიწებსაც იპყრობდნენ. 300 წლიანი მმართველობის შემდეგ, ამ კოსტუმმა ფეხი მოიკიდა ჩინურ კულტურაში და დღემდე გავრცელებული, ოღონდ ძირითადად მას მაინც ქალები ატარებენ და ეროვნულ ტანსაცმლად ითვლება, რომლის ფასონს დასავლეთშიც იყენებენ. ნამდვილი, ძირძველი ჩინური ტანსაცმელი, ანუ ჰანტა კოსტუმი, რომელსაც ატარებდნენ თან, სუნგ და მინგ დინასტიების პერიოდში – დროში ჩაიკარგა, თუმცა დრო და დრო მას აჩვენებენ სცენაზე, კინოში, და აგრეთვე იაპონიაში, სადაც მას ეროვნულ კოსტუმად აცხადებენ], და ისე უვსებდნენ ჩაის ფიალებში, რომ პირზე ღიმილს არ იშორებდნენ.

ორივე წუთით მიაჩერდა ერთ-ერთ გოგონას, მერე აპაო-მ თავი გააქნია თავისი ფიქრის საპასუხოდ, და თვალი მოავლო დარბაზს; ეხლალა შეამჩნია ქალიშვილების სიმრავლე, რომლებიც ჰოლში აქეთ-იქით ისე დასრიალებდნენ, როგორც მისაქსელი სართავ დაზგაზე, ყველა მათგანს ერთი-მეორეზე უკეთესი სახე და სხეული ჰქონდა – და კიდევ ასაკი ახალგაზრდული.

„ბოლო არ უჩანს ამ სასტუმროში ლამაზმანთ ქროლვას“ (19*- ჩენიუის ნასესხები გამოთქმა) – ხუმრობით მოიჩივლა აპაო-მ.

პიტერმა პასუხი არ დააყოვნა: „ამ სასტუმროში კი არა, საერთოდ, ყველგან, ასეთია შანხაი ლამით“.

ცოლს ის დიდი ხნის წინ გაშორდა, და მისი ენერჯის და უცნაური აფორიაქების შემხედვარე, აპაო ეხლალა მიხვდა ამის მიზეზს.

„ქალების დეფიციტი აქ გამორიცხულია, განსაკუთრებით ნორჩი გოგონების, ერთიმეორეზე ლამაზის და ეშხიანის. ამათ კარგად იციან, რომ ვერაფერს დაუნუნებ, და კარგად ესმით, რა ღირს ბაზარზე მათი ეშხი და სილამაზე.“

პიტერმა თავი გააქნია და დაამატა: „როდის გითხარი, გახსოვს? რომ აქაური სამყარო მაცდურია, ბოლო არ უჩანს ათასგვარ ცთუნებას! ამიტომ ლუნგ-ს კი ნუ ადანაშაულებ! ჯობია, ოჯახზე იფიქრო, ოჯახი გადაარჩინო და ეგ შენი ქმარი დროზე დაიბრუნო.“

მაგრამ ყველა მისმა შეგონებამ უქმად ჩაირა და აპაო-ს შეგნებამდე არ დადიოდა არც მისი ნათქვამი, და არც ბოლომდე გამოუთქმელი მინიშნება. – მით უმეტეს რომ პიტერს არ უხსენებია არანაირი კონკრეტული ფაქტი. თუმცა, ამას აღარც ჰქონდა რაიმე მნიშვნელობა, რადგან აპაო თვითონ შიშობდა რალაც დამატებითი და ხელმოსაჭიდი საბუთის ან დეტალის გაგებას.

„გინდაც იყოს რაიმე სათქმელი! მერე რა, დიდი ამბავი! ღირს კი ამდენად ეს რალაც ადიულტერი?“ – ეს გაიფიქრა და გულში ნაძალადევად გაეცინა.

არც ის ეჯერებოდა, რომ ლუნგ-ს რალაც ნილაბი დასჭირდა, რათა სახეშეცვლილი მისცემოდა უკანონო თავაშვებულობას! და საერთოდ, რისთვის იყო ეს საჭირო?

ძველი დრო გაიხსენა, როდესაც შაბათ საღამოს სტუდენტები იკლებდნენ იქაურობას, სვამდნენ და ყირაზე გადადიოდნენ, ლუნგ-ს კი ვარჯიში ერჩივნა ტრენაჟორებზე სპორტდარბაზში. თავის ქცევას აპაო-ს ასე უხსნოდა: „ეს არის ერთადერთი დრო ჩემს განრიგში, რომ რიგიანად ვივარჯიშო, ვიცურავო, სიმძიმეები ავნიო, თორემ რასაც საერთოდ ვაკეთებ, იმას ვარჯიში არც ეთქმის! იგივეა, რომ ეცადო წყალი საცერში დააგუბო!“ ლუნგ-ი უხსნიდა სხვადასხვა ვარჯიშის სპეციფიკას, ზოგი დაკავშირებული იყო ჟანგბადის ქარბ მოხმარებასთან, ზოგი პირიქით. ათასგვარ მსგავს ნიუანსებზე ელაპარაკებოდა, მაგრამ აპაო-ს მაშინ

არაფერი ესმოდა და არც აინტერესებდა.

ასე რომ, გარეგნულად ერთი შეხედვით კარგად აღზრდილი და მორიდებული ჰუმანიტარი, უცებ აღმოჩნდა მკვრივი მუსკულატურის პატრონი; თუმცა, აპაო-მ ეს მოგვიანებით აღმოაჩინა, როდესაც დაიწყო შეხვედრები, და ამ აღმოჩენამ კიდევ უფრო გაზარდა მისი ალატაცება. მაშინ მის ტოლ გოგოებს მიაჩნდათ, რომ რაც უფრო დაკუნთულია მამაკაცი, მით უფრო მიმზიდველია სექსუალურად.

„ლუნი არ არის ის კაცი, ვინც დინებას მიჰყვება და ვინც იხრება ბედის ყოველ ნამობერვაზე! თუკი რამ მან ჩაიდინა, ამას თავისი ლოგიკა ექნება, და თუ დამიჯდა და რიგიანად დამელაპარაკა, მე არ შევბოჟავ და სრულ თავისუფლებას მივცემ!“

დიდი ხნის შემდეგ, თავადაც გაუკვირდა, „როგორ მოვახერხე გონივრული და რაციონალური ფრაზის თქმამ?“ – თითქოს არასდროს დაჰკარგოვდეს განსჯის უნარი, თუკი შევადარებთ მის შემდგომ ქცევას და საქციელს!

„ქალს არაფრად არგებს ფოლადისებრი სიმტკიცე. ოჯახის დაშლა თუ არდაშლა ცოლზეა დამოკიდებული! თუ ქალს გამორჩა რაიმე მომენტი, მაშინ ოჯახს ბედი არ უწერია – ჩვენთვის გამოზომილ დროის მონაკვეთზე!“

„რაო?“ – პიტერის ამ სიტყვებმა გააოგნეს აპაო: „ჩვენთვის გამოზომილ დროის მონაკვეთზე..“ კი, ასეც იყო, დრო და დრო, როგორ არა, უყვარდათ ერთმანეთი; „ხანდახან“ – უფრო ითქმის ამაზე. ლუნგ-ის დროის უმეტესობა მივლინებებზე იხარჯებოდა. მეორე მხრივ, ხომ ამბობენ, „ცოტა ხნით დაშორება თაფლობის თვეს გერჩივნოსო!“ – ეგაა, რომ თავად ეს არასოდეს უგრძნია. პირიქით, ლუნგ-ი როცა ბრუნდებოდა მორიგი მივლინებიდან, ერიდებოდა კიდევ, „უცხოობა“, და რამდენიმე დღე სჭირდებოდა მათი ურთიერთობის აღდგენას, დაახლოებას.

მართალი რომ ვთქვათ, თვითონ იყო ხოლმე ამ „დაახლოების“ ინიციატორი, თითქოს მას უფრო მეტი ჰქონდა სექსუალური ურთიერთობის მოთხოვნილება. თან, საკუთარ თავს რომ აკვირდებოდა, ის უკვე უახლოვდებოდა სექსუალური პასიურობის მდგომარეობას – და თუ შედარებაზე წავიდა საქმე, ლუნგ-ი მაზე ორჯერ უფრო პასიური იყო. მაგრამ ამის მიუხედავად, ის კვლავაც რჩებოდა მის ერთადერთ მამაკაცად და აპაო-ს არავინ ეგულებოდა შესადარებლად.

ამერიკაში ცხოვრებას არაფერი შეუცვლია, რადგან ის მხარე იყო გაჟღენთილი მკაცრი პურიტანული ატმოსფეროთი, ხოლო დედამისი იყო თავით ფეხებამდე განსახიერება იყო ჩინელი ქალისა. სკოლის დასრულების პერიოდში აპაო გულჩათხრობილი გახდა, ახლო მეგობრები ფაქტიურად, არც ჰყოლია, ხოლო თუ საუბარი სექსზე ჩამოვარდებოდა, ასეთ თემაზე მსჯელობას კარგა ხანს თავს არიდებდა, და მერეღა უკვე უნივერსიტეტში სწავლის დროს ჩაერთვებოდა ხოლმე; მაშინ იყო რომ ჭუტი-ს დაუმეგობრდა და დაეცყო კიდევ მისი გავლენა.

ეხლა კი ველარ გაიხსენა, როგორი ურთიერთობა აეწყო მათ შორის, როდესაც ლუნგ-ს მისთხოვდა. ჭუტი-ს ისიც უთხრა, რომ ლუნგ-ს იშვიათად ეძლევა დრო დასასვენებლად, და გინდაც გამოჩნდეს ასეთი მონაკვეთი, მას ურჩევნია ტელევიზორს მიუჯდეს და რაიმე სპორტულ გადაცემას უყუროს.

ამაზე მეგობარმა უპასუხა, რომ „ეგ არაფერია, მამაჩემიც ასე იქცეოდაო“, მაგრამ საქმე ის იყო, რომ დასაძინებლად ისინი ერთდროულად არ მიდიოდნენ, რადგან ლუნგ-ს ერჩივნა ლამის დილაამდე ეცქირა გადაცემისათვის, აპაო-ს ამ დროს კი ტკბილად ეძინა. აპაო-ს უფრო შაბათ-კვირის იმედი ჰქონდა – თვითონაც, თითქოს აჰყვებოდა ხოლმე და საკუთარ თავს ნებას მისცემდა გვიან დაძინებისა, მაგრამ ასეთ დღეებში ლუნგ-ი არჩევდა „ვარსკვლავთ ომების“ სერიების ცქერას – გაქირავების პუნქტიდან გამოტანილი დისკებით – გათენებამდე ამით ირთობდა თავს და ღამეს ამაზე ხარჯავდა.

ასე ჩავლილი ღამის შემდეგ აპაო-ს გუნება უფუჭდებოდა, მაგრამ ბავშვებს გადაყოლილს, იმდენი საქმე ანვა კისერზე, რომ დაქანცულს მაინც ეძინებოდა, ხოლო ძილთან ერთად ყველა განცდა იქარწყლებოდა; ამიტომ მიაჩნდა, რომ არ ღირდა ასეთი არარსებითი, თანაც ინტიმური თემის განხილვა ჭუტი-სთან ერთად.

თავის მხრივ, მისი მეგობარიც გრძნობდა, რომ აპაო თითქოს აპირებდა რალაცის თქმას, მაგრამ ვერ გაებედა, ამიტომ თვითონაც თავს იკავებდა უხერხული შეკითხვებისგან.

ამ ორი დღის განმავლობაში, რაც მათ ერთად გაატარეს სინგაპურში, აპაო-მ საერთოდ არ შორდებოდა, მიწებულვივით იყო. ძველი დრო გაიხსენეს, უნივერსიტეტის პერიოდი. მართლაც, მათი მეგობრობა თითქოს მარადიული ჩანდა. ხშირად უფიქრია, რომ მათი პარტნიორობა საერთო სქესმა განამტკიცა. თავისი თავი მუდამ მიაჩნდა ჭუტი-ს უერთგულეს მოტრფიალედ. სტუდენტობისას ძლივს ასწრებდა, არ ჩამორჩენოდა მუდამ წინ მიმავალ, მოდურ ჭუტი-ს, რომელიც ყოველთვის იყო გარშემორტყმული მოტრფიალეთა ჯარით; აპაო კი ყოველთვის ჩამორჩებოდა გემოვნების Sense - ში..

რასაკვირველია, თვითონ ესმოდა, რომ მისი ასეთი მონადინება შიშით იყო ნაკარნახევი – რომ არ ჩამორჩენოდა ტოლებს და ეტრიალა მათსავე ორბიტაზე, და არ დარჩენილიყო უცნაურ მარტოსულად.

ასე რომ, ჭუტი არ იყო მხოლოდ მეგობარი, არამედ ის განასახიერებდა იმ მუდმივ სიმბოლოს და სიმალლის ნიშანს, რისკენაც აპაო მისწრაფოდა სულით და გულით; ხოლო როდესაც თავს ნებას მისცემდა და ოდნავ მაინც მოეშვებოდა, უცებ „დაბლა“ ეცემოდა, მერე ისევ მოიკრებდა ძალას, გაქანდებოდა და ცდი-

ლობდა კვლავ მაღლა ამხტარიყო, ისევ იმ დონისთვის რომ მიეღწია.

ჭუჭი-ს წასვლის შემდეგ, აპაო შეუდგა თავის გარეგნობაზე და იერზე ზრუნვას. ჯერ იმით დაინყო, რომ სატრენაყო დარბაზის წლიური აბონემენტი იყიდა, თან ერთი სული ჰქონდა, „ნეტა მალე დამანახა სიხარული ჭუჭი-ს თვალებში, როცა ჩამოვა და შეცვლილს მნახავსო.“

უცნაური ის იყო, რომ საკუთარ შეცვლილ გარეგნობას რომ წარმოიდგენდა, ამას აფასებდა არა ლუნგ-ის თვალით, არამედ ისე როგორც ამას ჭუჭი შეაფასებდა.

ისიც იყო უცნაური, რომ ცოლიც და ქმარიც ველარ იცლიდნენ ერთმანეთისთვის, რომ ერთი-მეორეს დაკვირვებოდნენ: ლუნგ-ი ოჯახის შენახვით იყო დაკავებული, აპაო კი ყოველდღიური საქმეებით, ათასგვარი წვრილმანით.

მის გონებას არაფრით არ შორდებოდა ერთი სცენა: ოჯახი სადილს აპირებს, მაგრამ ამ დროს ლუნგ-ი უსიტყვოდ მისჩერებია უფროს ბიჭს, რომელიც ხმას არ იღებს, მაგრამ ხელ-ფეხს სულ ერთთავად ამოძრავებს, არაფრით არ აჩერებს, ხოლო აპაო და დედამთილი რიგრიგობით ხელში იყვანენ ანანს, რომელიც ჭირვეულობს და არაფრის დიდებით არ უნდა რომ ეტლში ჩააწვინონ – თან ისე ტირის რომ სულმთლად სველია და მისი ცრემლები, დორბლი და ოფლი მარტო იმას კი არა, ორივე ქალს ასველებენ, აპაო-ს და ლის კაბები ლამის გასაწურია.

სინამდვილეში ისეთი ცხოვრებდნენ, რომ აზრი არ ჰქონდა ლამაზი კაბის ჩაცმას. თვეებმა, წლებმა ისე უსახუროდ და უღიმღამოდ ჩაიარეს, რომ არც ერთს არანაირი ხალისი არ უგრძენია – ცოლიც და ქმარიც ერთ გაბმულ ომში იყვნენ ჩართულნი ბავშვებთან, და ეს მათი ბრძოლა საკუთარ პირმშობებთან უფრო იმას ჰგავდა, ხალხი რომ მინდვრის მავნე მწერებს ებრძვის... და ასე მხარდამხარ იბრძოდნენ, ერთ სამიზნეზე კონცენტრირებულები, ოღონდ ისე რომ ერთმანეთს თვალს არ უსწორებდნენ.

ამასობაში ჭუჭი ხან გამოჩნდებოდა, ხან ისევ გაქრებოდა გაზაფხულის ნიავსავით, რომ სჩვევია უცებ ყველას გამოფხიზლება და გახალისება, და მერე კი მხოლოდ მოგონებადღა დარჩება. შეიძლება ითქვას, რომ ჭუჭი აპაო-ს მეორე სიცოცხლეს განასახიერებდა, და მის წასვლასთან ერთად ქრებოდა ყველაფერი, რის მიღწევასაც ლამობდა აპაო.

ბავშვებს კი ხან რა ემართებოდათ, ხან რას შეეყრებოდნენ! უმცროსს რომ ჩუტყვავილა აღმოაჩნდა, აპაო იძულებული იყო, საერთოდ გამოერიცხა სპორტდარბაზში ვარჯიში, აბონემენტი გვერდზე გადადო და მერე საერთოდ გადავიწყა.

ცხოვრების წინანდელ რეჟიმზე და რიტმზე გადასვლა არ გასჭირვებია; მოსამსახურე ქალებთან შედარებით დიასახლისი გაცილებით უფრო მეტადაა Full Time-ით დაკავებული და ამიტომ არც იმის დრო არ დარჩენია, რომ ბევრი ეწუხა იძულებით ცვლილებაზე.

5

შანხაიში როცა გაფრინდა, იმ დღით დედამთილმა აჩივმა, მაინც და მაინც მე გაგიყვან მანქანით აეროპორტში, ოღონდ თან შვილიშვილიც აეკიდა, პატარა ბებიაშის არაფრით არ შორდებოდა.

ლი სიუფენგ-მა იმდენი უჩიჩინა, რომ აპაო-მ დაუჯერა და ლუნგ-მა რომ დარეკა, მესამე დღეს გადანყვიტა და გაფრინდა. პირველი დღის რეაქციამ გაუარა, გული რომ მისდიოდა და არ იცოდა, რა ექნა. მერე დანყნარდა, მოთოკა განცდები, კარგად აწონ-დაწონა ვითარება და სცადა ცივი გონებით განესაჯა ის პრობლემები, რომელთა წინაშე შეიძლება აღმოჩენილიყო.

ამას წინ უძღვოდა მისი ორდღიანი აპატია და სრული უმოქმედობა; არაფრის თავი არა ჰქონდა, სანოლში იყო გაშოტილი, თითქოს გაფიცვა გამოეცხადოს ათწლიანი ქორწინების, ცოლობის, დიასახლისობის და დედობის შემდეგ! ისე რომ, შანხაის ბილეთიც კი დედამთილმა დაუკვეთა, ვერც ეს შეძლო.

მისი ქორწინების პერიოდმა მშვიდად და წყნარადა ჩაიარა, არანაირი კრიზისი ურთიერთობაში მას არ განუცდია, ხოლო თუ რაიმე კრიტიკული მომენტი დგებოდა, ისევ დედამთილის იმედი ჰქონდა, რომელიც განასახიერებდა ქალთა უფროს თაობას; ლი სიუფენი იყო ოჯახის დედაბურჯი, და ასევე დარჩებოდა, რაიმე მარცხი რომ დამუქრებოდა ლუნგ-ს და აპაო-ს.

„მე ის მაშინებს, ვაითუ არ მოინდომოს ჩემი ნახვა?..“

როდესაც შეხედა თვითმფრინავის ბილეთს, უცებ გაახსენდა დედამთილის მოყოლილი ერთი ამბავი: „როცა გავიგე, რომ ჩემმა ქმარმა საყვარელი გაიჩინა, თავისი მაღაზიის თანამშრომელი, იმდენი ვქენი რომ იმ სახლსაც მივაკვლიე, სადაც ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ. ავდექი და მივედი, დავჯექი იმ შენობის ჰოლში და 24 საათი ფეხი არ მომიცვლია. ამ ჩემი შვილის მამამ მაინც არ მაღირსა შეხვედრა, არ ჩამოვიდა რომ კანონიერ ცოლს დალაპარაკებოდა. ის მერე მხოლოდ ერთხელდა ვნახე, სასამართლოში, როცა ვიყრებოდით, მეტი აღარც მინახავს.“

ამ სცენას რომ წარმოიდგენდა, აპაო-ს ელეთმელეთი ემართებოდა, თავზარდამცემ სურათად აღიქვამდა და ისე ამინებდა, რომ შანხაიში ჩასვლაზე ფიქრიც აღარ უნდოდა.

და კვლავ: „ვაი, და არ მოინდომა ჩემთან შეხვედრა, მერე რალა ვქნა?“

ოდნავ გამობერილ მუცლზე ხელი მოისვა და უსუსური მზერა მიაპყრო დედამთილს. იმ წუთას ყველაზე მეტად უნდოდა, სადმე დამალულიყო – ბავშვობაც კი გაახსენდა, რამეს რომ დააშავებდა, უფროსებმა არ დამსაჯონო, ტანსაცმლის კარადაში შეძვრებოდა ხოლმე.

„კი მაგრამ, ბიძაშენმა სადაც ამდენი ქნა, დაგირეკა და გაგაფრთხილა, ალბათ იმასაც მოახერხებს, რომ ერთმანეთს შეგახვედროს.. აბა, რა გითხრა? მე მაინც მგონია, რომ ლუნგ-ს რაღაცნაირად, ცოტა ხნით გონება წაერთვა. ამას არ უნდა ბევრი ლაპარაკი და მსჯელობა: შენ უნდა აიძულო რომ დაბრუნდეს, და მჯერა რომ ასეც მოხდება!“

და მართლაც, წინაპართა წესია: მშობელი მუდამ დაგეხმარება გაჭირებაში – ლი სიუფენგ-მა გადამ-წყვეტ მომენტში გამოიჩინა სიმტკიცე და აპაო-ს მოეხსნა დაძაბულობა.

„არა, მე ის ვიცი, რომ არას გზით არ მიგატოვებს, დარწმუნებული ვარ!“ – დედამთილი რიხით და დაჯერებით ლაპარაკობდა.

„ლუნგ-ი მამამისს არა ჰგავს, შვილები ძალიან უყვარს!“ – ეს რომ თქვა, გვერდზე მიუჯდა რძალს, მხარში ხელი ჩაავლო და იმ წუთას რძალ-დედამთილი ერთი უბედურებით გაერთიანებულ მეგობრებად იქცნენ, რომელთა წინაშე საერთო ამოცანა იდგა გადასაწყვეტად.

„წურაფერს ნუ იდარდებ, შენ უკვე გადასცდი იმ პერიოდს, რომელიც საშიშია ნაყოფისათვის, ასე რომ ნურც ფრენა ნუ გადარდებს. ლუნგ-ი რომ დაგინახავს ასე ღიპგადმოგდებულს, წამითაც არ დაფიქრდება, რა საქმეც არ უნდა ჰქონდეს, უმალ მიაგდებს და გამოგედევნება“.

ეს სიტყვები იყო რომ ძალა შთაბერეს აპაო-ს და წამოაგდეს საწოლიდან.

„მხოლოდ ერთი რამ უნდა გახსოვდეს: არაფერი საბედისწერო რამ არ მომხდარა, ჩათვალე რომ ეგ ყველაფერი წვრილმანია; მაგრამ თუ შეატყე, რომ კიდევ აქვს ჭკუა არეული, არ დაუნყო ბუზბუნნი, ადექი და წამოდი სახლში!“

აეროპორტისკენ მიმავალ გზაზე, მანქანის საჭე მტკიცედ ეკავა, გზას თვალს არ ამორებდა და ყოველ სიტყვას მკაფიოდ და კატეგორიულად წარმოთქვამდა, თითქოს სიტყვა კი არა, ფოლადის ლურსმანი იყო და იმის ჩაჭედებას ცდილობდა; ადრე ასეთი ტონით და ასეთ ხმაზე არ უცდია ჭკუის დარიგება.

„ანან-საც უნდა თვითმფრინავი და შანხაი! არ დამინყოთ „არაო!“ – ხმა მიანვდინა უკან, საბავშვო სავარძელში მჯდარმა ბავშვმა, რომელმაც წამსვე გადაიღო ბებიამისის მეტყველების მანერა.

ქალებმა ერთმანეთს გადახედეს და ახარხარდნენ. გოგომ რომ შეატყო ასეთი მხიარული რეაქცია, თვითონაც აკისკისდა და უფროსთა სიცილს კიდევ ხელის ტყავუნნი ააყოლა სკამზე, ასე გაეპასუხა სიცილის რიტმსა და ხალისს. თითქოს გულსაც ეშველა, აპაო-ს ძალა მოემატა და თუკი მანამდე თავი რაღაც ნაჭუჭში ეგონა გამოკეტილი, ეხლა თვალწინ მოსალოდნელი ნათელის სხივიც აუკიაფდა.

„იმას ვერ ვიტყვი, რომ ლუნგ-ის საქმეებში ჩახედული ვარ, რაც ვიცი, ისიც ჭორად გამიგია და ყურ-მოკრულია. ის ჩემთან იზვიათად ჩნდება. როცა მოდის, ყოველთვის ვილატეებთან ერთად, კაცებიც ურევინა და ქალებიც, ასე რომ ფაქტია, რომ გამირბის..“

„და მაინც, რას ამბობენ მის შესახებ?“

„შენ ხომ იცი, უმიზეზოდ არაფერი ხდება და ისე, უცეცხლოდ, კვამლი არასოდეს გაჩნდება.“ ჩვეულები-სამებრ, პიტერი თავს არიდებდა პირდაპირ პასუხს, მაგრამ მერე უცებ მოკლედ მოჭრა: „ერთი სიტყვით, გაიგე რომ მისი აქ მარტოდ ყოფნა არ შე-ი-ძლება! ა-რა! გესმის?!“

ისე დამარცვლა სიტყვები, თითქოს წესის დარღვევის გამო გაცეცხლებული მსაჯი ყოფილიყოს სტა-დიონზე, რომელიც გააცოფა მოთამაშის თავხედობამ.

„მეტსაც გეტყვი: რომ არაფერი არ მომხდარიყო, აი ეგ იქნებოდა უცნაური! შანხაის ჯერ კიდევ ასი წლის წინ შეარქვეს „ავანტიურისტების სამოთხე“ (*17) პიტერი წუთით დაფიქრდა, მერე თავი გააქნია და ისე გაეღიმა, თითქოს გაცილებით უარესის ეჭვი გაიაზრა.

„ისე, მე მაინც ვფიქრობ რომ ქალაქი არ შეცვლილა! ავანტიურა მარტო ოქროს შოვნაზე ხომ არ ითქ-მის? აქ შეიძლება ისეთ რამეს მიჰყო ხელი, რასაც შინ, შენიანებში ვერ გაბედავ! კიდევ ამიტომ უცხოელები არჩევენ აქ გადამალონ, ან თავის სახელი დამალონ?! რატომაც არა!“

„სახელის დამალვა რა მოსატანია?“ - აპაო-ს გაუჭირდა ამის გაგება.

„რა და ის, რომ როცა უცხო ქალაქში ამოჰყოფ თავს, სადაც არავინ არ გიცნობს, ჩათვალე რომ უსახ-ელო კაცი ხარ და აღარ გჭირდება წამდაუნუმ უკან მიხედვა, ვინმე ხომ არ გითვალთვალეს!“

პიტერმა სახეზე შეატყო დაბნეულობა და ამოიოხრა. მერე ნელა, თითქოს ვილაც ბრიყვ ლაოვანის (*18) ელაპარაკებოდეს, აუხსნა: „გაიგე, რომ შანხაიში უამრავი ცდუნებაა! აქ ფული ისე ფრიალებს, ოქრო ისე ბრწყინავს! – ვერ დაიჯერებ, რომ კომუნისტები ჯერაც განაგებენ ამ ტერიტორიას და ეს მათი საუფლოა“.

აპაო უცებ მოტრიალდა და თვალი გაუსწორა, ეტყობოდა რომ ბოლო ფრაზამ კიდევ უფრო დააფრთხო.

„რასაკვირველია, მე მყარად ვდგევარ ფეხზე! რესტორანი გავხსენი, ის მუდამ ღიაა, შემოსავალიც

მაქვს, თან ოჯახიც არა მყავს სარჩენი – ამიტომ ტვირთად ეგ ამბავი არ მანეხს, და არავის წინაშე არა ვარ ვალდებული რომ ანგარიში ჩავაბარო!“ პიტერმა კვლავ აიჩქრა მხრები, აშკარად ცდილობდა რომ ნათქვამი ობიექტურად ყოფილიყო აღქმული.

აპაო ხმა ამოიღო: „რაც თავი მახსოვს, ლუნგ-ი მუდამ კონსერვატორული ბუნების იყო“, თითქოს ნელ-ნელა დადიოდა მის შეგნებამდე, საით მიჰყავდა საუბარი პიტეს.

„მე და ის ხომ ერთად ვსწავლობდით სკოლაში, და არასოდეს მინახავს, რომ ოდესმე გოგოებისთვის დაეწყო დევნა...“

მის დასახვედრად აეროპორტში გამოსულმა პიტერმა დრო აღარ დაკარგა და იქვე, ფუდუნგის აეროპორტის დარბაზში, ყოველგვარი მიკითხვ-მოკითხვის გარეშე, პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

მათ ირგვლივ ხალხი ირეოდა, მთელი ეს სივრცე რაღაც მოუსვენარი ჩანდა, ჩამოსული, დამხვედური, ყველა ვილაცის ძებნაში იყო, აპაო-ს თვალწინ კი მაინც არ იფანტებოდა რაღაც ნისლი, რომელიც ფარავდა რეალობას, თითქოს ღობედ შემოგაროდა მისთვის ამ შეუცნობელ ქალაქს, და ერთადერთი რამ, რაც მისთვის ახლო იყო, ნაცნობი და მკაფიოდ გამოკვეთილი – ძველი, სიყმაწვილის ხანის ლუნგ-ი იყო, სკოლის დერეფანში რომ მოაბიჯებდა.

მაშინდელი ლუნგ-ი მშვიდი იყო, ძალიან ლამაზი, და თან ძაალიან შორი, ყველა გოგონას ოცნება, და ეს მისი სახე არა და არ უფერულდებოდა მის მახსოვრობაში.

პიტერმა მსუბუქად დაჰკრა ხელზე ხელი, და თითქოს საკუთარ თავს მიმართავს, ჩუმად ჩაილაპარაკა: „შეიძლება, გაუთავებელიც ეცადო და ეძებო? როდემდე? სხეულზე არსებობს რამდენიმე აკრძალული ადგილი, რომელთა ჩართვა ექსპერიმენტში აკრძალულია, ისეთივე ტაბუა, როგორც ნარკოტიკი – საკმარისია ერთხელ მოსინჯო, და მორჩა, დაღუპულია შენი საქმე, ველარ დააღწევ თავს!“

„რა თქვით? რა უნდა სცადო?...“ – აპაო ვერ გარკვეულიყო ნათქვამში.

„არა, ვერ გამიგე,“ – პიტერმა უკან დაიხია, „მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ შანსი მაინც უნდა მისცე ამ შენს ქმარს, რომ გამოსწორდეს. ვიცი, რომ ლუნგ-ი ნესიერი კაცია და მოტყუებით ჩაითრიეს რაღაც წუმბემი! შენთან რომ სამი შვილი გააჩინა, ეს ხომ ამტკიცებს რომ უნდა რომ იცხოვროს ნორმალური ადამიანური ცხოვრებით!“

„აბა რა! პარალელურად რომ საყვარლობანას წამოიწყებ, ამაზე უფრო ნორმალური რა არსებობს?!“ – წარბი არ გაუშლია, მაგრამ სიცილი მაინც დააყოლა ამ სიტყვებს, თან გულში ისიც დაამატა: „ცხადია, ნორმალურია – მაგრამ ამას რომ შენი ქმარი მოგინებოს, მაშინ უკვე ჭირს ამის ატანა“.

ამის მიუხედავად მაინც გამოაცხადა: „დღეიდან მმართველს ვისწავლო სინამდვილის აღიარება!“ – პიტერის გამომეტყველება რომ დაინახა, დაამატა: „უნდა ვალიარო, რომ ჩემს ქმარს – ცალკე, ვილაცა უყვარს!“ ეს ფრაზა ნაძალადევი სიცილით დაასრულა.

„რაკი ასეა... ამას რა სჯობია!“ – პიტერი ენის ბორძიკით გამოეპასუხა, ყურს ცუდად მოხვდა აპაო-ს ძალდატენებითი ტონი, მაგრამ მაინც არჩია, აჰყოლოდა მის განწყობას და ხალისიანად დაამატა:

„კი, მართლაც ასეა. დღესდღეობით ფაქტია, რომ საზოგადოება ველარ აღიქვამს, არეულად აღიქვამს დაოს! გაიხედ-გამოიხედე, ლამის ყველაფერი ყირაზე დადგა! შენ თუ გინახავს ფილმი, „უღელტეხილის კუთხვინილი მწვერვალი“? (*19) იქაც ასეა! და ეს ფილმი მხოლოდ ჰომოსექსუალისტებს კი არ მოსწონთ, დიასახლისებიც კი ღაპაღუბით ღვრიან ცრემლებს იმის სიუჟეტზე! წარმოგიდგენია, ფანებად იქცნენ და კომპიუტერული ქსელიც კი ჩამოაყალიბეს! ეს სურათი თარგად იგულებს, რომ საკუთარ გრძნობები და კონფლიქტები შეაფასონ და გაარჩიონ! – ოღონდ მე ის ვერ გამიგია, მათ თვითონ სად ეგულებათ თავინთი გრძნობების წყარო და სათავე?... ჰა-ჰა-ჰა!“

აპაო-ს დაბნეულ გამომეტყველების შემხედვარემ, თავი გააქნია: „ჩანს, დაგიბერდა Uncle Peter! ტვინიც დაბერდა და აღარაფერი გამეგება. როცა ვხედავ ერთმანეთში ჩანსულ-ჩახვეულ კაცის სხეულებს, მბურძგლავს, ჟრუანტელი მივლის! კი ბატონო, მესმის მათი, მეცოდებიან! და რა მერე? განა მივცემდი ჩემს შვილს უფლებას, რომ ამ გზას გაჰყოლოდა?“

აპაო მექანიკურად თავს უკრავდა, გონებით მთლიანად ლუნგ-ზე იყო კონცენტრირებული, რანაირად შეეძლო ეხლა ეფიქრა იმ რაღაც ფილმზე?

„გაიგე, რომ ლუნგ-ი ეხლა ხაფანგშია გაბმული! როგორც არ უნდა შეხედო, რანაირი კუთხითაც არ მიუდგები ამ ამბავს – ის ასე აიხსნება, როგორც ხალხშია ნათქვამი: „ბედის ეშმაკეული გზის მონაკვეთია!““. გაიგე, რომ ეხლა ის არ მოისმენს არანაირ დაყოლიებას და შეგონებას, და მხოლოდ შენ ძალგის გადაარჩინო!“

ბოლო სიტყვებმა უცებ შეაშინეს.

„როგორ, რანაირად შემიძლია გადავარჩინო?“ თავს რომ ამას ეკითხებოდა, თან ყურადღებით აკვირდებოდა თავისსავე გონებაში და გულში დატრიალებულ ქაოსს. მექანიკურად თავს უკრავდა პიტერის ნათქვამს, არ უნდოდა ბიძამისს ჰგონებოდა, რომ მისი რჩევის უმადურია: „არა, ძია, როგორა არა, მართალი ხარ, აუცილებლად უნდა ვეცადო, მოვაშორო აქაურობას!“

როცა ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს, პიტერი ძველებურად კატეგორიული იყო და მოკლედ მოუჭრა: „არანაირი „ვცადო“, და „თუ“ – გესმის?! ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ ის უნდა აქაურობას მო-ა-მო-რო!“

მზის კალენდარის მიხედვით, ივლისის უკანასკნელი დღე იდგა და ნაშუადღევს, როცა შანხაიში დაიწყო ყვითელი მეი-ს, ტყის ქლიავის (ანუ ტყემლის) (*20) სეზონი. ასეთ დროს წვიმა იცის, სულ სცრის. დრო და დრო მზეც გამოიჭყიტება ხოლმე ცოტა ხნით, მერე ისევ განვიმდება და მზისა, და წვიმის და სიცხის ამდენ მონაცვლეობაში, იქაურობა ისე დაიხუთება ხოლმე, თითქოს შანხაი კი არა, სინგაპური იყოს. აპაო-მ ტაქსი დაიქირავა პიტერის რესტორანამდე, მაგრამ მთელი გზა ნამდაუნუმ ჩერდებოდნენ, ისე იყო მოძრაობა გადაჭედული, და ისევ იგრძნო, როგორ ჩქარობდა ქმართან შეხვედრას.

რამდენჯერმე დაურეკა პიტერს, მოიბოდიშა დაგვიანება, ის ამშვიდებდა, „ნუ ლელავ, ჯერ არ გამოჩენილაო“.

„როგორ თუ, „არ გამოჩენილა?“ იქნებ, არც აპირებს მისვლას, და საერთოდ, შეხვედრას? ამ ეჭვის წარმოთქმაც კი აშინებდა. მობილური ტელეფონით ხელში მისჩერებოდა საცობს გზაჯვარედინზე და სულში ცეცხლი უტრიალებდა.

როგორც იქნა, მოძრაობაც აღდგა და მათი ტაქსიც ნელა ჩაერთო მოძრაობის ნაკადში, დრო და დრო მძღოლის გინება ესმოდა მოძრაობის შეფერხებაზე.

აპაო ვერც ამ მოძრაობამ ვერ დაამშვიდა, ნამდაუნუმ გარეთ ჰყოფდა თავს და ნანობდა, „ნეტავ, უფრო ადრე გამოვსულიყავი, ვაითუ ავცდე ლუნგ-ს გზაში!“

მობილურმა რომ დარეკა, ჩანთაში დაუნყო ფაციფუციტო ძებნა, ვერ იპოვა, გაბრაზდა, ყველაფერი სავარძელზე მოაპირქვა და მაშინლა ნახა საგნების გროვაში.

„ჯერ არ გისადილია?“ – ყურზე მიიდო თუ არ ტელეფონი, ჩაესმა პიტერის ხმა. მას თითქოს თავის რესტორანში ეგრძნო მის ლელვა და ამიტომ დაურეკა, რათა გაესხენებინა მისთვის რომ არსებობს კაცი, ვინც მასზე ზრუნავს და ფიქრობს. „საფრმო კერძი გაგიზადე, შემწვარი ფილე, სუფი თევზის ტეფტელით და სახამებლის ვერმიშელით,“ და სიცილით დაამატა: „რამდენი აქ მესტუმრა ის შენი ქმარი, მხოლოდ ამ კერძებს უკვთავდა“.

„ჩემი კუჭიც გამოგეხმაურა, გესმის?“ აპაო-მ ნაძალადევად გაიცინა, რომ დაეფასებინა პიტერის ზრუნვა; ბოლოს და ბოლოს, ვის უყვარს მოლუშული და ცხვირჩამოშვებული ხალხი?

დილას აქეთ არაფერი ეჭამა, ერთი ჭიქა რძე დალია მხოლოდ, და კიდევ ხილის წვენი დააყოლა – ისიც იმისთვის, რომ მუცელში მჯდომ ბავშვთან პირნათლად ყოფილიყო.

გზაჯვარედინს რომ გასცდნენ, გზა ნელნელა განთავისუფლდა, მძღოლმა დააჭირა ფეხი პედალს. პიტერის რესტორანს რომ მიუახლოვდნენ, გული ისევ აუჩქროლდა, „ვაითუ ლუნგ-ი არ გამოჩნდესო?“

იმ წუთს უკვე იმას ოცნებობდა, „ნეტავი გზა ისევ გაინელოსო!“ წარმოიდგინა, რომ მოუწევდა მაგიდასთან მარტოდმარტო ჯდომა, ლუნგ-ი კი არა და არ გამოჩნდება.

კარგა ხანი გამობდა, სანამ შეიგნო რომ პიტერის ამ ზარის შემდეგ დასჩემდა უარესის მოლოდინი. მეორე მხრივ, საქმე ისე ვითარდებოდა, რომ არც კი ეგონა, რომ უკვე ამდენ რამეს გაარკვევდა.

ეხლა, ნაშუადღევს, დარბაზი ცარიელი და ბნელი ჩანდა, თითქოს სულ სხვა სამყაროს ეკუთვნოდა, სულ არა ჰგავდა იმ მზიან შაბათ-დღის რესტორანს, როდესაც დარბაზში ტევა არ იყო და სულ სხვა სამყაროს სურათი იქმნებოდა.

დარბაზის კართან წუთით შეჩერდა, თვალი რომ შეჩვეოდა დარბაზის სიბნელეს, და ძლივს გაარჩია მისკენ მომავალი ქმრის ფიგურა, რომელიც მოახლოებისას სულ უფრო მკაფიო და გამოკვეთილი ჩანდა – თითქოს ეკრანზე ეყურებინოს, როგორ უმჯობესდება ფოკუსი, და ბუნდოვან მოჩვენებად აღქმული პერსონაჟი თვალნათლივ იძინს სიმკვეთრეს და კონკრეტულობას. მერე კიდევ ბევრჯერ ეზმანა სიზმრებში ეს ბუნდოვანი ჩრდილი.

მაგრამ ამჯერად არაფერი იყო საეჭვო, ეს უკვე ცხოვრება იყო და კადრიც სავსებით რეალური აღმოჩნდა.

ლუნგ-ი მიუხლოვდა და აპაო-საც გული საგულეს დაუბრუნდა, მაგრამ როცა გარკვევით დაინახა მისი სახე, ცხოვრებაში პირველად აღიქვა უცნობად, უცხოად.

ლუნგ-ს თმა მოეშვა, ისე იყო გარუჯული, სიშავედ უფრო ითქმოდა მისი პირისახე, წარბები თითქოს კიდევ უფრო გახშირებოდა. თვალები უპეებში ჩავარდნილი ეჩვენა, და ნაცნობი ნაოჭი წარბებშორის უფრო გადიდებული და გაღრმავებული ჩანდა; ისეთი თვალმისაცემი იყო რომ განსაზღვრავდა მთელს მის იერს, მისი გამომეტყველების წამყვან ტონალობად იყო ქცეული.

ეს იერი თითქოს ისეთ პიროვნებას ეკუთვნოდა, რომლის ცხოვრების წესი მომთაბარისას ჰგავდა, ანდა იმ კაცის, ვისაც დიდი ხანი მოუწია ჯუნგლებში ხეტიალი, და მისი ველური, მოუთვინიერებელი ძალა უფრო მეტად ზრდიდა მის სექსუალურ მიმზიდველობას.

ადრე აპაო-ს ერჩივნა წარმოედგინა ქმარი როგორც „კარგად აღზრდილი და კულტურული“, ანდა „ვაჟკაცურად ლამაზი“. მაშინ ამ წარმოდგენას ის არასოდეს არ ამატებდა სექსუალურ, სქესობრივ მიმზიდველობას, რომელსაც ის შეცდომით უკავშირებდა განვითარებულ მუსკულატურას.

თვალი მიიქცია კიდევ ლუნგ-ის პერანგმა, დაჭმუჭნული ფაქტურის ქსოვილი იყო, ხოლო ჯინსი ისეთი შემოტმასნული და ვინრო ეცვა, რომ მისი კუნთები, რომლითაც ლუნგ-ი მუდამ ამაცობდა, ეხლა თითქოს ამოხტომას ლამობდნენ ტანსაცმლიდან.

ეს მიმზიდველი გარეგნობის მამაკაცი სრული ასლი იყო ლუნგ-ის, ოღონდ მანც უცხო. გული ისევ აუფრთხილდა ამ ეგრეთ წოდებულ ლუნგ-ის დანახვაზე, და დაბნეულობა და აღელვება რომ დაემალა, გაუცინა და ასე მიმართა: „რა იყო, Honey, რა მოხდა, ვერა გცნობ! თითქოს დახვეწილ „თეთრსაყელოინთა კატეგორიიდან“ ერთ ლამეში, გადახვედი ვილაც დეკადენტ მხატვრების კატეგორიაში!“

წინ გადადგა ნაბიჯი და მოეხვია, მაგრამ ორივეს ესმოდა, რომ ეს სვეენა გარეგნული იყო, არც ერთის სხეული სხეულები ამაში არ მონაწილეობდა, კვლავ დაშორებულნი იყვნენ.

ლი სიუფენგ-ი მართალი იყო: ლუნგ-მა შეავლო თუ არა თვალი ცოლის გამობერილ მუცელს, მზერაში უცებ სითბოც გაუჩნდა და სინაზეც.

„წარმომიდგენია, როგორ გიჭირს ბავშვის ტარება! მერე, რას დადიხარ აქეთ-იქით, რატომ ვერ ისვენებ?“ – მსუბუქად და ტაქტიანად უსაყვედურა.

ამასობაში პიტერი ჩაერია და მიიპატიჟა უკვე განყოფილ სუფრასთან. ლუნგ-მა წელზე მოხვია ხელი და გვერდით ისევ ისე ფრთხილად მიაბიჯებდა, როგორც მისი წინა ორი ფეხმძიმობის დროს, მაშინაც ასე მზრუნველობით ექცეოდა.

იმ წუთას შემწვარი ნანადირევის ფილე მოართვეს; იქაურობას მოედო სინგაპურის სადილიანი დახლების ცხელი და ყოვლისგამჭოლი სურნელი, ლუნგ-მა გაიღიმა და ქათქათა თეთრი კბილები გამოანათა გარუჯულ პირისახეზე.

აპაო-ს თვალი არ მოუშორებია მისი სახიდან, თან მოხერხებულად აიტაცა ჩხირებით ფილეს ნაჭერი და ფაიფურის თეფშზე დაუდო, შემდეგ გაუღიმა და ასეთივე ღიმილი ერგო პასუხად.

პიტერი მათ მიუჯდა. ჩიბუხს აბოლებდა, ოღონდ პირი ისე ჰქონდა გაღებულ, რომ ვერ გაიგებდი, იღიმება თუ არა; ჩვეულებრივი იერისგან განსხვავებით, მისი მუდამ მოცინარე თვალები ეხლა არ იცინოდნენ, თანაც ჩიბუხის ბოლი უფრო ფარავდა მათ გამომეტყველებას.

სადილის შემდეგ რომ ყავის დრო დადგა, პიტერი ადგა და თავის კაბინეტისკენ გაემშურა.

საუბარი ვერა და ვერ აენყო. მართალია, ღიმილს პირიდან არც ერთი და არც მეორე არაფრით არ იშორებდა, მაგრამ უფრო საქმიან შეხვედრაში მონაწილე მხარეებს ჰგავდნენ, რომლებიც ცდილობენ არ დაკარგონ საკუთარი პოზიცია.

აპაო-ს უცებ სხვანაირად წარმოუდგა თავი ჩამოსვლა, რომ ქმარი დაეყოლიებინა ოჯახში დასაბრუნებლად; თითქოს ვილაც უცხოს, აქამდე უნახავ პიროვნებას, მესამე პირს გამოუცხადა ბრძოლა, რათა შეენარჩუნებინა უფლება საკუთარ ქმარზე. მაგრამ ეხლა, როცა უცქერდა ესოდენ შეცვლილ, თუმც ძველებურად მშვიდ ქმარს, იგრძნო რომ სუსტი იყო მისი პოზიცია, და აქამდე დაგროვილი უამრავი სიტყვა და ფრაზა ისე დაიფანტა, თითქოს სიტყვები კი არა, ჯარისკაცები ყოფილიყვნენ და დაფრთხნენ მოსალოდნელი შეტაკების წინ. დაფიქრდა და მიხვდა, რომ ძალა გაუქრა, გამოეცალა და სიცარიელე გაუჯდა გულში.

სანამ ის ასე ყოყმანობდა, ლუნგ-ი წამოდგა, გაიმართა და წამოაყენა, მერე წელზე ხელი მოხვია და ის იყო დააპირა გასასვლელამდე მიეცილებინა, რომ ბედად ამ დროს ისევ პიტერი გამოჩნდა და ლუნგ-ს უთხრა: „ტაქსის მე გამოვუძახებ, შენ აპაო მიიყვანე სასტუმროში, დასვენება სჭირდება, ფეხმძიმესთვის დალლა არ შეიძლება!“ აპაო-სკენ რომ მიბრუნდა, თვალის ჩაკვრა მოასწრო: „ხვალე გადით სადმე, გაისეირნეთ, ოღონდ მეტი არ მოგივიდეთ, ხომ გახსოვთ, შინ კიდევ ორი ბავშვი გელოდებათ!“

შემდეგი ფრაზით მან უკვე ლუნგ-ს მიმართა: „სინგაპურში რომ ჩახვალ, ნუ იჩქარებ აქ დაბრუნებას! ხომ ხედავ, კონტინენტზე ჩინეთი სულ ერთთავად ცვლის თავის პოლიტიკას და მარტო შენი ფირმა არ გაჭყლეტილა ასეთ არეულობაში! ისევ ჯობია, დაიცადო, სანამ მესამე პირმშო გაგიჩნდებათ!“

მაგრამ ლუნგ-ს არ მიუცილებია ცოლი სასტუმრომდე, რადგან ტაქსიში ჩასხდნენ თუ არა, მისმა მობილურმა დარეკა და რომ შეხედა ნომერს, შეეტყო რომ არ უნდოდა აპაო-ს წინ გაება საუბარი. ამიტომ სთხოვა, უჩემოდ წადი სასტუმროშიო, და იმავე წამს, თითქოს ცხელი ჰაერის ნაკადი უცებ აუვარდა თავში და აპაო-მ ჯიქურ მიმართა: „ლუნგ, შუალამემდე დაგიცდი. თორმეტზე თუ არ დაბრუნდები, საერთოდ ნულარ მოხვალ, მე კი ხვალვე დავბრუნდები სინგაპურში“.

თორმეტს ხუთმეტი აკლდა, როცა ლუნგ-ი გამოჩნდა და უთხრა, „მოგყვები სინგაპურში“.

„არა, მე ამ ოჯახში არ მიწერია ცხოვრება! მგონი, ყველაფერი იმით დასრულდება, რომ ავიყვან ამ ჩემს ქალიშვილს ხელში და გადავეშვები ამ აივნიდან!“

ლუნგ-ი ამას რომ ამბობდა, აივანზე აპაო-სთან ერთად იდგა, მათი მხრები ერთმანეთს ეხებოდნენ.

ოცსართულიანი კორპუსში მდებარე მათ ბინას გრძელი და ვიწრო მოცემენტებული აივანი გასდევდა, მათ შორის ოთხი წლის ციცქნა გამხდარი ანანი იდგა, მუხლებამდე წვდებოდა ორივეს, პანია სახე ბეტონის მოაჯირის რიკულებსთვის მიეზვინა და ზევით, ცისკენ ინტერესით იცქირებოდა.

დრო და დრო იქ თვითმფრინავი გამოჩნდებოდა, ვეება უცნაური საგანი, თითქოს უცხოპლანეტელთა სამყოფი დედამიწის თავზე და ირიბად ისე გადაჰკვეთავდა ცის ტატნობს გრიალ-ხმაურში, რომ ყურთასმენა აღარ იყო, ბავშვი კი წამით დამფრთხალ გამომეტყველებას იღებდა, და უმაღვე გადადიოდა ალტაცებულ ჭყვივლზე.

მათი ბინა აეროპორტის ასაფრენ ბილიკის მახლობლად იყო და თავიდან ეს ნაკლად მიაჩნდათ, მაგრამ მერე, ბავშვები რომ გაუჩნდათ, მიხვდნენ რომ უპირატესობა ყოფილა, რადგან ბავშვებს ართობდა და ახალისებდა უზარმაზარი მფრინავი მონსტრების ცქერა, შეეძლოთ გაუთავებლივ ეცქირათ თვითმფრინავებისათვის, თითქოს ეს ეხმარებოდა დამტკბარიყვენენ იმ სიხარულით, რაც თანსდევს ყოფიერების მოულოდნელ შეგრძნებას.

მაგრამ ეხლა, ამ წამს აპაო-ს რაღაცამ ისევ სიზმარში გადაუძახა და ისე დააშინა ამ ძილის თანმდევა განცდამ, რომ მისგან თავი რომ დაეღწია, მზად იყო ფეხზე ეჩქმიტა, რომ ტკივილს მაინც გამოეყვანა ამ მდგომარეობიდან.

მაგრამ პირველივე იმპულსით, შვილი ხელში აეტაცა და ისე სწრაფად და მტკივნეულად ჩაავლო ხელი გოგონას რომ შეშინებული ბავშვი ატირდა, აივანზე კი მათ ლი სიუფენი დაემატა.

ბებია ჩაიმუხლა, ხელები გაშალა და ბავშვს დაუძახა, „ანან, მოდი ჩემო კარგო, დედას ნუ აწუხებ!“

მკლავების სითბო სანატრელი გაუხდა, აპაო არც კი დაფიქრდებოდა, ისე მიეცემოდა მკლავების სითბოს.

„არა, მე და დედა! ასე მიწა!“

როდესაც ბებია ბავშვი ხელში აიტაცა და ოთახში შებრუნდა, ან ანი მაინც გაიზნიქა მთელი სხეულით დედისკენ და ხელგანვდილმა წამოიკივლა, „დედასთან მიწააა!“

აპაო-მ ბავშვი ჩამოართვა დედამთილს და გულში ჩაიკრა, მთელი არსებით შეიგრძნო ციცქნა სხეულის სითბო და სიხლოვე.

იმ წუთას აპაო ძუ ვეფხვს დაემგვანა საფრთხის წინაშე, რომელიც მთელი სხეულით დაიძაბა, რომ დაუპირისპირდეს სერიოზულ მუქარას და საამისოდ გაამზადა ეშვებიც, ბრჭყალებიც... ისიც კი მოეჩვენა, რომ სუნი ეცა დაღვრილი სისხლის, მაგრამ ეს განცდა წამით გაგრძელდა, და ამას მალევე შეენაცვლა გონიც და განსჯაც – და მაშინლა შეამჩნია რომ მთელი ტანით თრთოდა.

„ფრთხილად, შენი მუცელი ნუ გავიწყდება!“ შეახსენა დედამთილმა და კვლავ ჩამოართვა ბავშვი. აპაო უკვე მეშვიდე თვეზე იყო, სხეული დაუმახინჯდა, „რაღაც ფაშვიან უშნო არსებას ვგეგარო“, ასე ფიქრობდა, მუცელი იმხელა ეჩვენებოდა, ჩიოდა, „თვალსაწიერს მიფარავსო“; თან ისე დამძიმდა რომ ნაბიჯის გადადგმა ეზარებოდა და ნატრობდა, „ოღონდ რამე ხედ მაქცია და სადაც ვდეგევარ, იქვე გავიდეგა ფესვებიო!“.

მის გარდა მხოლოდ დედამთილს თუ ესმოდა, რაოდენ ბოჭავს სხეული ფეხმძიმე ქალს. „ეხლა ანანი იბანავებს!...“ – წამიღერა ლი სიუფენგ-მა და ბავშვიანად გაუჩინარდა.

აივანი უცებ დაცარიელდა.

აპაო-მ თავი მოაბრუნა, ასე ეგონა, რომ ქმარიც გაქრა.

ლუნგ-ი აივნის ბოლოს მდგარიყო, ისე შორს, რომ მიუნვდომელი ჩანდა, „თითქოს ორივენი სხვადასხვა განზომილებაში ვიყოთ“, გაიფიქრა აპაო-მ, „რასაც ეხლა ვხედავ, ეს მისი ანარეკლია, მაგრამ შეხებით ვერ შეეხები“.

კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ კრიალა ცის ფონზე ლამაზად აღბეჭდილი მისი მშვენიერი ანარეკლი თვალს ეკალივით ხვდებოდა და თავზარდამცემი შიშის ტალღას იწვევდა, იმის შეგნებას რომ ველარასოდეს მიეკარება.

„ლუნგ! ლუნგ-!“ დაუძახა და დაიძრა მისკენ. ისე ეძახდა, როგორც ეს ხდება კომმარად ქცეულ სიზმარში, როდესაც მისძახი გზასაცდენილ და განწირულ აჩრდილს.

„შენ გესმის, რა სთქვი ეხლა, რა სიტყვა დაგცდა?“ – თვალეში მუდარა ეხატებოდა.

„როგორ არ მესმის. საქმეც ესაა, რომ შენ არ გინდა გაიგო“ – თავი ოდნავ მოაბრუნა, ნათქვამი ლამის ზურგსუკან ესროლა, თითქოს მშვიდად, მაგრამ ამ ტონს უფრო „ცივი“ ეთქმოდა. აპაო-ს უნდოდა დაენახა ამ სიტყვების თანმდევი გამომეტყველება, ლუნგ-მა კი დაამატა: „მე მხოლოდ მიწადა ჩემი შიში გამომეხატა, რომ კარგად გაგეგო!“

„კი მაგრამ, რა უნდა გავიგო, რა ვერ გამიგია?“ – უცებ გაუქრა მოთმინება, ხმა აუკანკალდა, ვერ იტანდა ამ თავის სისუსტეს, მაგრამ თავი ვერ შეიკავა.

„შენ ხომ არ შეგიძლია რომ ჩამკეტო, აქ ჩაკეტილშია ჩემი სხეული, გესმის?! გული კი კარგა ხანია გამშორდა, გაფრინდა!“ – ამ სიტყვებს ისევ მოჰყვა მისი ოდნავი შემობრუნება. თვალები ისევ ზევით ჰქონდა აპყრობილი, სადაც ცაში იფანტებოდა თვითმფრინავისგან დარჩენილი ძაფივით თეთრი კვალი. ცა ეხლა განსაკუთრებით კრიალა ჩანდა, თითქოს წუთის უკან არ შეებლალა მისი ლაჟვარდი რალაც ვეება მფრინავ მონსტრს.

„არა, შევიძლები! უკვე შევიშალე, ჭკუაზე არა ვარ, ეხლა გადავეშვები აქედან!“ ლუნგ-მა ხელი ასწია და ღონივრად მოიქნია, თითქოს თვითონაც რალაც ისროლა ქვევით, აპაო-მ კი განაგრძო: „იცი რომ ერთხელ დავაპირე, ანანი ხელში ამეყვანა და გადავმხტარიყავი აქედან!..“

მერე მივარდა ქმარს და პირზე ხელი მიაფარა, მაგრამ ეს ხომ მისი პირი იყო, მის ბაგეს მოსწყდა ეს სიტყვები, და შეშინდა რომ აკივლდებოდა, მაგრამ წუთითაც არ იფიცებდა, რომ ორში ერთს მაინც უნდა ჰქონოდა გონიერება, და ამიტომ ხელი მოაშორა ლუნგ-ის პირს და თითქოს დამშვიდებით წარმოსთქვა: „ეს სახლი ჩვენია, მე შენ არ ჩამიკეტისხარ; მარტო იმის იმედით ვიყავი, რომ შენ ძველებურად აქ იქნებოდი, შენს საკუთარ ოჯახში.“

„შენთვის ოჯახია, ჩემთვის კი გალია.“ – სიტყვა დაამთავრა და ამოიოხრა. ცოლისკენ რომ მიბრუნდა, თითქოს იზიარებდა მის განცდას, მაგრამ ეს უფრო იმ კაცის გამომეტყველება იყო, ვინც შემთხვევით გვერდით აღმოჩნდა და გასაჭირში მყოფი თანამომძე დაინახა. აპაო-ს უცებ ღვარად წამოუვიდა ცრემლი.

„თუ გინდა რომ გადამარჩინო, ნუ მაჩერებ, გამიშვი.“ – ეს სიტყვები ენის ბორძიკით წარმოსთქვა.

„ლუნგ, მითხარი, რა უნდა ვქნა, როგორ მოვიქცე რომ მართალი ვიყო?“

ფეხებმა უცებ უმტყუნეს, აუტანელ ტვირთად ქცეული მისი სხეული მოეშვა და ისლა მოასწრო, რომ ხელი ჩაველო აივნის მოაჯირისთვის. შუბლზე ოფლმა დაასხა.

„რა მოგდის, ცუდად ხარ?“ – ლუნგ-ი მიუახლოვდა და ხელი შეაშველა, აპაო თითქმის მთელი სხეულით მიენდო და მოეშვა მის მკლავებში, მაგრამ იგრძნო რომ ქმარი მთელი თავის არსით უძალიანდებოდა ამ შეგრძნებას.

„მოიცა, დავჯდები, ასე მირჩვენია,“ აპაო წელში გასწორდა, გაიშალა, ხელიც კი ჰკრა ქმარს მსუბუქად მკერდში, მოიშორა და ფეხი გადადგა თუ არა, იგრძნო რომ ყოველ ნაბიჯთან ერთად უმტკიცდებოდა ნებისყოფა, იმის მიუხედავად რომ ცხენივით უწევდა მუცლის თრევა; თვითონაც გაუკვირდა, არ ელოდა რომ მშვიდი და მყარი ნაბიჯით მოახერხებდა თავის ოთახში შესვლას. ჯერ დივანთან მდგარ სკამზე ჩამოჯდა, რომ დაღლილი ფეხებისთვის მიეცა დასასვენებელი და გასაშლელი სივრცე.

„ლუნგ, ეხლა მითხარი, ისეთი რა უნდა ვქნა, რომ აქ ყოფნის ხალისი გაგიჩნდეს, ა?“ – კვლავ სცადა მასთან საუბარი.

„აქ ვერაფერი გამახალისებს!“ – ლუნგ-ი დივანზე გვერდით ჩამოუჯდა. მის მუდამ სევდიან თვალებში მოულოდნელად გამოანათა ახალმა აღგზნებულმა ბრწყინვალებამ.

„შენ არაფერი არ შეგშლია! „შეცდომა“ მე უფრო მეხება! რომ იცოდე, როგორ ვცდილობდი, როგორ ვეცადე, განა არა? – მაგრამ აზრი არა აქვს, სულ ტყუილად! აქ, ისევ უკან ვერ დავბრუნდები!“ ეხლა ლუნგ-ის ჯერი დადგა, რომ აეხსნა, გაეგებინებინა თავისი საწუხარი, მაგრამ მკაცრი ტონი არ შეუცვლია.

ამ ფრაზის შემდეგ აპაო-მ თავი იგრძნო რალაც ღრმა ორმოში. თვალებზე ხელი აიფარა და ისე ამოღერლა: „ჩემზე რამე არის კიდევ დამოკიდებული?“

„კი მაგრამ, ხომ იცი, რაც უნდა გააკეთო, ესე არ არის?“ ლუნგ-ს ხმაში აგრესია დაეტყო და რალაც-ნაირად გამოაცოცხლა მისი მეტყველება, დაუბრუნა ბოლო დროს გამქრალი სიცოცხლე – შედარებით იმ მონყენილობასთან, რასაც ის თავით ფეხებამდე განასახიერებდა უკანასკნელი ორი თვის მანძილზე.

„უბრალოდ, გამიშვი, ჩემზე ნულარ ზრუნავ!“ – სიტყვები ნათქვამს კი არა, ღრენას უფრო ჰგავდა.

მხრებში ორივე ხელით ისე ღონივრად ჩააფრინდა, თითქოს უნდოდა მალლა აეტაცა აპაო-ს მოშვებული სხეული.

„ეს ოჯახი აკლდამად გადამექცა, გესმის! ცოცხალი კი ვარ, მაგრამ მკვდარს უფრო ვგვევარ, აქ მე კი არა, გვამი დადის!“ ყოველი სიტყვა აპაო-ს ხანჯლად ესობოდა გულში.

უცებ მისი ხელები, მაგრად რომ ჰქონდა მხრებში ჩავლებული, წყალნალეზულის და განწირულის ხელებად მოეჩვენა, სიკვდილის ზღვარზე ხავსს რომ ეჭიდება.

ლუნგ-ის ამ განწირულობამ აპაო-ს სულის ტკივილიც კი გადაფარა.

ეხლა უკვე მართლა შეშინდა და წამოელულულა: „კი მაგრამ... აკი მითხარი რომ... განყვიტე ურთიერთობა... იმ, იმ ქალთან..“

„რა სთქვი? ვინ „იმ ქალთან“?! – აფეთქებას უფრო ჰგავდა მისი რეაქცია.

აპაო გაოცდა. უცქერდა და თან გრძნობდა, რომ ტვინი საერთოდ გაუქრა, თავში რალაც ბურუსი ჩაუდგა. მერე ნელა განაგრძო: „კი მაგრამ... შენ ხომ... იმ ქალის... აი, შენი „გიოლოფრენდის“ გამო... ნახვედი შანხაიში? არა?“ მისი სიტყვები შეკითხვას უფრო ჰგავდა, ვიდრე დაკითხვას. და მაშინვე შეატყო როგორ შეეცვალა ქმარს გამომეტყველება – პირის კუთხეები ოდნავ გაენელა, და ამ ღიმილში იუმორზე მეტად, სარკაზმი უფრო იგრძნობოდა.

„ერთი მითხარი, როდის მოგახსენე, რომ გიოლფრენდი გავიჩინე?“ – და სახეზე რაღაც ზიზლის მაგვარი გამოეხატა.

„მაშინ რატომ ჩქარობ შანხაიში წასვლას?“ აპაო-ს გულში კვლავ იმედმა გაიღვიძა და ხმაში ალერსი უფრო ისმოდა, ვიდრე სიმკაცრე.

ლუნგ-ს ხმა არ გაუცია. იჯდა ასე, მისჩერებოდა ნაღვლიანი თვალებით, მაგრამ ხმა რომ ამოიღო, სიტყვებში აღარ იგრძნობოდა ის ცხოველი, ფეთქებადი ძალა, რითაც სავასე იყო ერთი წუთის წინ. „მოდი, ნუ მკითხავ. მეც სულ ამას ვეკითხები ჩემს თავს, რატომ, რატომ? მარტო იმას გთხოვ, ცოტა ხანს მაცალე, რომ გავერკვე, რა მჭირს“.

„კი მაგრამ, ცოლი ვარ შენი და მაქვს უფლება რომ ვიცოდე ამის მიზეზი!“ აპაო გააკვირვა საკუთარი ხმის ასეთმა უჩვეულო, გამჭოლმა ტონალობამ.

„ნუ, ნუ მანვები!“ ლუნგ-ი გაჯიუტდა – „უნდა გესმოდეს, რომ ურთიერთ მიმართ ჩვენ თავისუფლები ვართ, ქორწინება ხომ ციხის საკანი არ არის“.

„კი, აბა რა! ვინ სულიერი ჩაჯდება საკანში თავისი ნებით?“

ამჯერად აპაო-ს სიცილი ცივად და გამკილაზად გაისმა – რას იზამ, ასეც ხდება, აკი ამბობენ, „ხან ერთი, ხან მეორე“. თავის დროზე, როდესაც ხელს აწერდნენ ქორწინების საბუთზე, ორივე ამას თავის ნებით აკეთებდა, რადგან ოცნებად ჰქონდათ ხელში აელოთ დამატკიცებელი საბუთი მათი მარადიული კავშირის და სიკვდილამდე ერთად ყოფნისა – თუნდაც ეს კავშირი მერე ბორკილად წარმოიდგინო!. თუმცა ეხლა სხვა დრო დადგა, როცა ვერ ეგუები დადებულ ბორკილს, და რაკი ასეა, ციხესთან შედარებაც გამართლებულია, რატომაც არა!“

„ოჰ, კარგი, რა! მაგებზე ნუ გადახვალ, შეემვი ამ გაცვეთილ კლიშეებს!“ ეს კი წარმოსთქვა, მაგრამ საკუთარი ხმა არ ჩასწვდა ყურში და სახეზე ეხლა ცივმა ოფლმა დაასხა.

როდესაც მის გაფითრებას კიდევ უცხო მორუხო, მკვდარი ფერი დაემატა, ლუნგ-ი შეშინდა და აბაზანაში გავარდა პირსახოცის გამოსატანად.

„მოიცა... რა იყო, ცუდად ხარ?... აბა, მინეჩი აქ! ჩქარა!“ თვითონ ჩაიკუნტა, რომ ხელში აეყვანა და რბილ ტახტზე დაენვინა.

„არაფერია, ნუ გეშინია. შენ გადი, თავს ნუ ინუხებ.“ ლუნგ-ის ამ აღვლევამ პირიქით, უფრო გააღვიძინა. ამიტომ სცადა თავი გაენთავისუფლებინა, მოიშორა მისი ხელები და სცადა წამოდგომა, რომ რამენაირად თვითონ მიეთრია საკუთარი თავი საძიებელ ოთახამდე, მაგრამ ის ტახტი რომელზეც იყო მიგდებული თავისი ვეება უფორმო სხეულით, იმდენად რბილი აღმოჩნდა რომ დასაყრდნობად მის საზურგეს წაეპოტინა, რათა ნელნელა ასე აღედგინა წონასწორობა, მაგრამ ორსულობა თავისას შვრებოდა, და ამკარად იგრძნო რომ ძალა და ღონე არ ემორჩილებოდა.

იფიქრა, „ესლა მაკლდა ამ ამბავში, კიდევ ჩემი უსუსურობა რომ დამმატებოდა!“ – ერთი-ორად გაუმწვავდა წყენა და გაბრაზება. „რატომ მაინც და მაინც ეხლა, ასეთ დღეში რომ ვარ და როცა ყველაზე მეტად მჭირდება შენი ხელი და მხარში ამოდგომა – სწორედ ეხლა დამეტაკა ეს ჭირი და უბედურება!“

ლუნგ-ზე მიბჯენილ მხერაში დაუნდობლობა იხატებოდა. იმ წამს შეიგრძნო, რომ ყველაზე მწარე ტკივილს ამ ქვეყნად მხოლოდ ყველაზე ძვირფას და საყვარელ ადამიანი თუ მოგაყენებს.

ამ აღმოჩენას თან სდევდა ოფლის და ცრემლის ღვარი.

ის იყო, ლუნგ-მა დააპირა პირსაწმენდით სახე მოეწმინდა, რომ აპაო-მ ხელიდან გამოგლიჯა და კუთხეში მოისროლა.

ლუნგ-ი უსიტყვოდ დასწვდა და ისევ აბაზანაში გაიტანა, იქიდან ისევ გამოიტანა სხვა მშრალი პირსაწმენდი და წინ დაუდო, ჩაის დასალევად განკუთვნილ პანია მაგიდაზე.

ამჯერად აპაო-მ დასწვდა პირსაწმენდს და შიგ ჩარგო თავი. მერე გაიფიქრა: „ეს ერთი რაღაცა ჩვარია, არადა შემეშველა, შუაში ჩადგა და ამეფარა, მომაშორა გარე სამყარო...“

საკმაოდ დიდხანს იყო ასე უძრავად.

მთელ ამ ხანს ლუნგ-ი არ გაჩერებულა, სულ ტრიალებდა, რაღაც მიჰქონდა, მოჰქონდა, პირი არ გაუჩერებია, რაღაცას ბურტყუნებდა. მართალია, აპაო-ს სახე ყურებიანად ჰქონდა ჩარგული ფაფუკ ქსოვილში, მაგრამ სიტყვა არ გამორჩენია, ყველაფერი ესმოდა:

„განა არ ვცდილობდი? მთელი ეს თვეები – მეტი რას ვაკეთებდი ამ ხნის მანძილზე? ნერვები დამანყდა, ისე მინდოდა რომ ძველი დრო დაბრუნებულიყო, მაგრამ რა? არაფერი შემრჩა, მხოლოდ ტანჯვა და წვალება!“

„ვერა, აპაო-ა, ვერა! თავს ვერ მოვიტყუებ! და არც მინდა, რომ მოვიტყუო! და ისიც არ მინდა, რომ შენ გატყუო! ვერ დავბრუნდები, ვერა.“

აპაო-მ გაიფიქრა: „კი მაგრამ, ეხლა აქ არა ზის, აქვე, ტახტზე?“- რა „ვერ დავბრუნდებიზე“ მელაპარაკება?“

თითქოს მისი ფიქრის პასუხად, მოესმა ლუნგ-ის სიტყვები:

„შინ კი ვარ, და სულ აქ ვზივარ, მაგრამ ვიცი რომ ძალიან შორსა ვარ!“

„რალა ეხლა, რატომ მაინც და მაინც ეხლა იგრძენი?!“ დაიყვირა და საკუთარმა ხმამ ლამის გული გაუპო. ისე გამწარდა, რომ თავი ველარ შეიკავა და ცრემლების ნაკადს აპაო-ს გაბმული კივილი მოჰყვა.

„ორად ორი თველა დარჩა მესამე ბავშვის გაჩენამდე, და შენ ეხლა გამიბი ლაპარაკი გაყრაზე! რალა ფასი აქვს შენს ფიცს სიყვარულზე?!..“

ფართოდ გახელილი თვალები ცხრემლებით ჰქონდა სავსე, როდესაც დააყოლა: „მესამედ რალად დამ-აორსულე? ისე მექცევი, თითქოს ქუჩის ქალი ვიყო!“ ეს რომ წარმოსთქვა, კიდევ უფრო გამწარდა, თითქოს თავიდან შეეცოდა საკუთარი თავი და ახლიდან იგრძნო მიყენებული გულისტკენა.

„ქუჩის ქალი“ რომ იყვირა, მაშინვე პირზე იტაკა ხელი, რადგან ქვეცნობიერის სიღრმეში მიმალულმა გონებამ მაინც უკარნახა რომ უნდა ახსოვდეს ოჯახის დანარჩენი წევრები, ბავშვები, დედამთილი.

მეორე მხრივ, იმ წუთს თავს უკვე აღარ აკუთვნიდა ოჯახს.

თავი ხელში აიყვანა, ცრემლიც შეიშრო, მხოლოდ თვალები დარჩა იგივე – ველური ნადირის თვალები, რომელიც კამარისათვის ემზადება.

ლუნგ-მა აცალა, სანამ გადაუვლიდა ნივილის და მოთქმის ტალღა, და გამოუცხადა: „მერე, ეგ საიდან მოიტანე, რომ შენთან გაყრას ვაპირებ?“ აპაო-ს სახეზე გამომეტყველება „გაოგნებაც“ კი არ იყო, უცქერდა იმის იმედით, რომ ჩასწვდებოდა ასეთი აბსურდის აზრს და მნიშვნელობას.

„მე დამნაშავე ვარ შენს წინაშე, აპაო. შენი ვალიდან ვერასოდეს ამოვალ.“ – ესა სთქვა და გაჩუმდა.

„სწორედ ესაა, რასაც შენი მშობელი დედა ვერ იტანს: ყველაფერი რომ ია და ვარდით იწყება, დასა-რული კი ბინძური მოსდევს. ბოლოს ყველაფერი უნდა მიატოვო მამაშენივით, და... ერთი სიტყვით, იგივე ამბავია.“

თუმცა, ეს ფიქრი არ გაუხმოვანებია. „ბოლოს და ბოლოს, რაკი უშვებ და არ იჭერ, რალა აზრი აქვს კიდევ რალაცის თქმას? ანდა რას გარგებს, სიტყვა რომ მოუგო?“

7

აპაო გრძნობდა, რომ ყველაფერი, რის წინაშეც იგი აღმოჩნდა, ეს სინამდვილე სრული აბსურდი იყო, და მას არ ჰქონდა არანაირი რეალური ცხოვრებისეული საყრდენი და ნიადაგი: დაბრუნებული ქმარი კვლავ უკან მიდის, რადგან მისეული „ფორმულით“ – ნასვლა მართებს, იმისათვის რომ ისევ დაუბრუნდეს. გულით უნდოდა ქალს ამის დაჯერება, მაგრამ ვერ ახერხებდა. ერთი სურვილი ჰქონდა, „ნეტავი ეს ყველაფერი ცუდი სიზმარი იყოს, ლამის კოშმარი!“ – მაგრამ ესმოდა რომ ეს გაცილებით უფრო რეალური იყო, ვიდრე ნებისმიერი სხვა რეალობა.

იმ ღამეს ესიზმრა, რომ კვლავ აღმოჩნდა თავის სიყმანვილის ხანაში და ამერიკაში იყო, ოღონდ ტროპიკულ სამოსში გამოწყობილი: მაისური, შორტები, ფეხზე კარგად მორგებული ქოშები – და ყველაზე უცნაური ის იყო, რომ ასე ჩაცმული აღმოჩნდა ქვეყნის კიდზე, ირგვლივ ყველაფერი ყინულს დაეფარა, ხოლო ტანი კი რალაც მინის პანია გამჭვირვალე შენობაში ჰქონდა მომწყვდეული.

სიცოცხლე ვერა გრძნობდა, მაგრამ გონებაში ჩაუფჯდა ყინვად აღქმული სამყარო, და ამის გამო გათოში-ლი სხეულით გრძნობდა, რომ არსებობა ფუჭია, უაზრო, და განწირული – და ამ შეგრძნებას მოსდევდა გაც-ილებით უფრო მწვავე განცდა მზარდი მუქარის, რომ ავი რამ არის მოსალოდნელი, სრულად მომსვრელი, რის წარმოდგენა არ შეეძლო საღ განსჯას, გონებას.

ცოტაც, და ალბათ ქარვის უძრავი სივრცე-სამყაროს შიგნით მოქცეულ ფარვანად გადიქცეოდა, გან-წირულად სამარადისო უძრაობაზე, და ამ სამყაროს გამჭვირვალე კედლების მასა – სხვა არა იყო, რაც ქსელი ობობის; არა იმედი არ კიაფობდა თავის დაღწევის, ქარვის ოქრო კი უძრავი დროის კამეად ქედდა, სულთმობრძავ მწერთა იმედდარეტილ დამშვიდობებას.

დიდი ხანია, რაც თეთრ ფერებად გაცხადებული ეს კოშმარი აღარ სტუმრობდა სიზმრებში, ღამით. თავიდან მსგავსი მაშინ ეზმანა, როცა პირველად გადმოსახლდა ამ ტროპიკულ კუნძულზე, სადაც სიცხე და ნესტი არა თავდება, და ადამიანს ისე უწევდა იმათთან ბრძოლა, როგორც ყინვასთან ანდა ყინულთან, თუმც არ იცოდა რა უნდა მოემოქმოდა.

არ უნდოდა ეფიქრა, რომ დეპრესია მოეძალა, არ ეჯერებოდა, რომ ნოსტალგიამ გამოიწვია ასეთი განცდა და იმას ემსხვერპლა, ის აწვალებდა, ის უგზავნიდა და თავს ახვევდა მრუშე სურათებს, დღისით თუ ღამით.

გათხოვებიდან ერთი წლის შემდეგ შეეჩვია უცხო, უცნაურ სუნსა და სურნელს, რითაც ქალაქი იყო გა-ჟღენთილი. იმ დროს უკვე ნაყიდი ჰქონდათ ახალი და გარემონტებული სამოთახიანი ბინა და ბავშვების შე-მატების და ოჯახის გაზრდის ლოდინში იყვნენ, თუმც მაშინ არ იყო ფეხმძიმედ, რატომღაც დაერღვა ციკლი.

ეს ამბავი აწუხებდა, უფრო სწორედ ის აწუხებდა, რომ ეს ლუნგ-ს აღელვებდა და არ ასვენებდა. მაშინ მის ქმარს ხშირად უთქვამს, რომ ოცნებად ისეთი ოჯახი ჰქონდა, სადაც პატარები ცელქობენ და მუხლებ-გარშემო ტრიალებენ.

აპაო-ს მაშინ ლუნგ-ზეც ეცინებოდა, და საკუთარ თავზეც; ამით თითქოს ადასტურებდნენ იმ გავლენას, რაც მათზე იქონია მათი წარმოშობის მხარემ და ადგილმა, ვინაიდან ამერიკის ჩრდილო-დასავლეთი ამ კატეგორიას აყალიბებდა: „ნაადრევი ქორწილი, დიდი ოჯახი, აუარება მემკვიდრეები, და ლოზუნგი: „ოჯახი – უპირველეს ყოვლისა“.

ცოტა ხნის მერე აპაო-მ აღმოაჩინა, რომ მთავარ ყურადღებას ლუნგ-ი სამსახურს და კარიერას აქცევდა, და შტატებიდან ახალჩამოსულს, რომელიდაც ამერიკულმა კომპანიამ სამუშაო შესთავაზა სინგაპურში მდებარე კომპანიის წარმომადგენლობაში. ამის შემდეგ ლუნგ-ს ხშირად უწევდა მივლინებით ფრენა შტატებში.

ლუნგ-ს ეს არასოდეს არ ღლიდა და არ აწუხებდა. პირიქით, მივლინებას ის პრივილეგიად აღიქვამდა, ტკბებოდა კიდევ ამით. ყოველ მის გამგზავრებას წინ უძღვოდა რიტუალად ქცეული ბარგის ჩალაგება. ამკარად ეტყობოდა, როგორ სიამოვნებდა თავის ნივთების მომზადება და ჩალაგება. მგზავრობისათვის მან საგანგებოდ შეარჩია მსუბუქი ჩემოდანი, რომელშიც ის პედანტურად იცავდა წესრიგს, ყოველ ნივთსა თუ საგანს თავისი ადგილი ჰქონდა, საპარსიდან დაწყებული, წინდებით დამათავრებული, და ჩალაგებული ჩემოდნის შემხედვარე, კაცი იტყოდა, რომ ყოველი ნივთი „თავს მშვენივრად და მყუდროდ გრძნობს“ იმ მიჩენილ ადგილას.

აპაო-ს თვალში მართლაც ასე იყო და ქმრის ჩემოდანი, უბრალოდ, მსუბუქი კი არ იყო, არამედ „მყუდრო“. რასაკირველია, „მყუდრო“ უფრო მისი ფსიქიკური მდგომარეობის ანარეკლი იყო, მაგრამ ესმოდა რომ ეჭვიანობდა, ვინაიდან თვითონ არასოდეს გაჰყოლია მეუღლეს, და თანმხლების როლი ჩემოდანს ერგო.

ცხადია, აწუხებდა ასეთი ვითარება. კი, როგორც იქნა, ბოლო მოელო მის არამყარ მდგომარეობას და საკუთარი კერა ეღირსა, მაგრამ ის უფრო სწყინდა რომ თავისი მშვენიერი ბინის ყარაულად გადიქცა. და სწორედ ეს დასჩემდა უძილობა და ღამის სიმყუდროვეში მარტო მწოლარეს, არ სტოვებდა ერთი შეგვრძნება, რომ რალაც დიდი, ხელშეუვლები, ფუყე და ცარიელი ხვრელი იწოვს მას და შიგ ითქვიფება.

ბავშვი დროზე ადრე გაუჩნდა, ქმარი შინ არ იყო, ეს უკვე წესად იქცა მისი სამუშაოს გამო. აპაო-ს ესმოდა, რომ ასეთი მდგომარეობა დროებითია და გაივლის; საყვედურობდა თავის თავს და ახსენებდა რომ პირიქით, სანამ ამისი დრო აქვს, კიდევ უნდა დატკბეს და ისიამოვნოს უსაქმურობის ხანმოკლე ნეტარებით – მაგრამ ვერ ახერხებდა. მისი ნოსტალგია გრიპს უფრო ჰგავდა, უცებ მოერეოდა ხოლმე, მოულოდნელად და ალოგიკურად. ექიმ-ფსიქოლოგს, ვისაც მან მოუყვა თავის სიყმანვილის ხანის თანმდევ შებოჭილობაზე და სევდიან განწყობაზე, აპაო-მ ისიც აუხსნა რომ მისი ქმარი სწორედ ის არის, ვისზეც ფარულად ოცნებობდა და ვინც ასე უყვარდა, და ამიტომ სრულიად გაუგებარია, რატომაა ასე, რომ ახალდაქორწინებული ქალი თავს არა გრძნობს ბედნიერად?

ექიმმა აუხსნა, რომ დიდი ხნის დაგროვილ დარდსა და საფიქრალს, ასე უცებ, „ერთი გადაფურთხებით“ თავს ვერ დააღწევ და ვერ მოიშორებ; და საერთოდ, ცხოვრებაში, უცებ, თავისით არაფერი არ ქრება, პირიქით: სწორედ სიცოცხლის ტემპის შენელებაში, ფსიქიკის დაძაბვაში და მიზან-ფაქტორის გაქრობაში „ავლენს თავს ისტორია, როდესაც მსგავსს ამოატივტივებს ზედაპირზე – რათა შემდეგ მოავლინოს ხელის-შემშლელად...“ ეს უშლის ხელს ბედნიერებას, და საერთოდ, არც ერთი სენი არ არის შემთხვევითი, რადგან მასშიც არის გამჯდარი მისი ევოლუციის და განვითარების ისტორია.

შემდეგ ექიმმა გამოუცხადა, ქმარს შემახვედრეო.

აპაო-ს არაფერი უთქვამს ამის შესახებ ლუნგ-ისთვის. ის მაშინ ამერიკაში იყო, დასავლეთ სანაპიროზე. დროის სხვაობა დიდი იყო, რომც დაერეკა, გაღვიძებული ჯერ არც იქნებოდა, ან უკვე სამსახურში მიმავალი იქნებოდა. თუნდაც დაერეკა, არ გაუბამდა აღსარებას, ამოუცნობი სევდა რომ მოერია, არ უნდოდა რომ უცებ, ცამონმენდილზე რალაც ჩრდილი შეპარულიყო მათი ცხოვრების მშვენიერ პერიოდში, ახალდაქორწინებულებს რომ ასე ანებვირებს. ბოლოს და ბოლოს, ქმრად ხომ ის იშოვა, ვინც მისი სიყრმის ოცნება იყო? ჰოდა, იხაროს ბედით და სევდა და ნალველი არ გაიკაროს...

დეპრესია რომ სჭირდა, არ აღიარა, განყვიტა ექიმთან კავშირი, მაგრამ ასეთი ვითარება დიდხანს ვერ გასტანდა, და როდესაც კვლავ გაუჩნდა საჭიროება, გაეზიარებინა გულისნადები, ისევ მიადგა ექიმს. სადაც ცხოვრობდა, ის ქალაქი მისთვის სტერილური იყო, აქ არ ჰყავდა არც ამხანაგი, არც მეგობარი – არავინ არ ჰყავდა, არანაირი სოციალური ფესვები არ ჰქონდა გადგმული. გადანყვიტა, დაწყებით სკოლაში დაეწყო მუშაობა ინგლისურის მასწავლებლად, მაგრამ სამუშაო საათობრივი იყო, მხოლოდ დროებით სცვლიდა ვილაცას.

უნივერსიტეტის ბოლო ორ კურსზე ინგლისური ლიტერატურა აირჩია ძირითად მიმართულებად. მისი ჯგუფი და პროფესორი დიდ დროს უთმობდნენ ომის შემდგომი ამერიკული დრამატურგიის საკითხებს, და აგრეთვე ქალი-ავტორის ცნების თანამედროვე განსაზღვრას. მაშინ აპირებდა ბოლომდე გაჰყოლოდა ამ გზას, დოქტორის ხარისხის მისაღებად; ძალიან უნდოდა დაჰგვანებოდა იმ ახალგაომცხვარ გრძელთმიან პროფესორ-გოგონას, რომელიც აუდიტორიაში ლექციების კონსპექტების ფურცლებით კი არ შემოდიოდა, არამედ ყავით მუყაოს ჭიქაში და ხელში ეკავა პიესები, რომლებმაც დიდი დავა და აჟიოტაჟი გამოიწვიეს!

განა ეს არა სჯობდა? – ურთიერთობა უკვე ჩამოყალიბებულ, მოზრდილ სტუდენტებთან, ვისაც უკვე ეძლევა ალკოჰოლის ყიდვის უფლება, და ვისთანაც შეიძლება მსჯელობა იმ თემებზე რაც მათ ასე აინტერესებთ და ანუხებთ, რომ ერთად გაეხსნათ ადამიანთა ურთიერთობის ფარული ნიუანსები, რასაც ისინი ცალკე, მარტოდ ცდილობდნენ აესახათ საკუთარ ლიტერატურულ ცდებში; განა ეს არა სჯობდა, საბავშვო ბაღის ასაკის ლაპებისათვის ინგლისური გრამატიკის წესების ახსნას?

რასაკვირველია, არასოდეს არ უნანია რომ გათხოვდა და დაკარგა შანსი რომ მიეღო სამეცნიერო ხარისხი; თვითონ არ იყო, რომ არც კი დაუშვა გათხოვების სამომავლოდ გადადება და გადაეშვა ქორწინების სიხარულში? ლუნგ-თან ყოფნა და შეერთება ხომ თვითონ არჩია!

და ასე განაგრძო ცხოვრება, ხან მიადგებოდა ფსიქოლოგს, ხან ისევ ივინყებდა, და იყო ასე, არც იქით, არც აქეთ, და კვლავ გაიხსენა თავის ლექსები, რომელთა წერა თითქმის საერთოდ შეწყვიტა მას შემდეგ, რაც ლუნგ-თან გააბა ურთიერთობა. პოეზია მისთვის ტკივილგამაყუჩებელ ფუნქციას ასრულებდა; კიდევ ამიტომ, მისი ყრმობის მძიმე და რთულ პერიოდში ორი რვეული გაავსო ლექსებით.

მიგდებამ და მივინყებამ მიაბრუნეს ის ჩვეულებრივი, რიგითი ქალების უბრალო და უპრეტენზიო შესაძლებლობებთან და უნართან – და ამის შეგნებას მოჰყვა ისეთი რეაქცია, თითქოს რაღაცამ ჩართვის კლავიშა აამოქმედა.

მუცელში მზარდმა ნაყოფმა მთლიანად შეავსო, გაუქრა ძველი სულიერი სიცარიელი, თუმც მანაც ვერ ახერხებდა ეგრძნო ის ზღვარი, საიდანაც იწყებოდა ცნება „ბედნიერების“. მაშინ იყო რომ დედამთილი მათთან გადმოსახლდა, და ამ თავის ნაბიჯს ხუმრობით უწოდა „ფრონტის ზურგის სამსახური“. თავის დროზე, ჯერ იყო და ქალიშვილს დაეხმარა ორი ბავშვის აღზრდაში, ეხლა კი ვაჟთან გადმოვიდა დასახმარებლად.

ლი სიუფენგ-ი რძალს დაეხმარა ფიზიკურადაც და მორალურადაც. გარდა ამისა, თვით ოჯახის შემადგენლობის თვალსაზრისით, მისი ყოფნა ხელს უწყობდა ოჯახის სტრუქტურის ერთგვარ მთლიანობას, რადგან საოჯახო საქმიანობის წარმართვაში სოლიდური ასაკის პიროვნება ეხმარებოდა, თუმც მერე აღმოჩნდა რომ არც ამას არ ჰქონია გადამწყვეტი მნიშვნელობა.

მის გარშემო ალბათ კაცი არ მოიძებნებოდა, რომ გაეზიარებინა მისი ლოზუნგი, „დედამთილთან ერთად ცხოვრების სიამოვნება“; ჭუტი ხომ თავისთავად – მას არც უცდია რამენაირად შეერბილებინა სათქმელი და პირდაპირ მიახალა: „შენ ნამდვილად გაქვს მიდრეკილება თავის მოტყუებისკენ! ამიტომ მიგაჩნია რომ ვალდებული ხარ მიიღო მეუღლის დედა..“

„ჩვენ კი არ მიგვიღია, ის ჩვენთან გადმოვიდა რომ დაგვეხმაროს ბავშვის მოვლაში“ – სიტყვა შეუსწორა მეგობარს აპაო-მ.

„ბავშვის მოსავლელად ძიაც არსებობს და ვერ გამიგია, რატომ არ გინდათ დაიქირავოთ?“ – არა ცხრებოდა ჭუტი, „როდესაც ორი თაობა ერთ ჭერქვეშ ცხოვრობს, მათ შორის აუცილებლად ჩამოვარდება უსიამოვნება, და ცოტა ხანში ყველაფერი აირ-დაირევა. თუ რამ არსებობს თქვენს შორის ურთიერთსიმპათია, სულ მალე გაქრება და გაიქარწყლება“.

„შენ ვერ გაგიგია, რომ ის მე მართლა მჭირდება, რადგან დედამთილობის გარდა, ის მეგობრობასაც მიწევს...“

„ზოგო, გაიგე რომ, შენ შენი ოჯახი გაბარია! ეს შენი და შენი ქმრის ოჯახია, გყავს ლუნგ-ი და ის იკმარე, გესმის?“

„მერე, წელიწადი თორმეტი თვე რომ სულ მივლინებებშია, მე რა ვქნა?“

„მაშინ უთხარი, სამსახური გამოიცვალოს“.

„მერე, ეს ასე ადვილი გგონია? და ნუ გავინყვებ, რომ კარგად უხდინა“.

ამაზე ჭუტი-მ ვერაფერი უპასუხა. თვითონაც მუშაობდა და კარგად ესმოდა, რომ კარგხელფასიანი სამსახური თავზე საყრელი არ არის.

თუმც აპაო-მ არ გაუმხილა დაქალს, რომ ლუნგ-ს სულ არა თრგუნავს გარე-გარე სიარული მივლინებებში და კიდევ ხუმრობს, რომ ბავშვობიდან მოყოლებული, გული სულ სამოგზაუროდ უწევდა.

აპაო-მ დაუჯერა, რადგან ხედავდა, რომ მივლინებიდან დაბრუნებისას ოდნავ დანალვლიანებული ჩანდა, თითქოს თავისუფლება სულისთვის ჩაებარებინოს და – იქ, სადღაც სხვაგან დაეტოვებინოს.

არადა, ქმარი სამაგალითო იყო. ქალაქიდან გასულს, არასოდეს დავინყვებია შინ დარეკვა, ყოველდღე მოიკითხავდა ხოლმე; ისე არ დაბრუნდებოდა, რომ საჩუქრები არ ჩამოეტანა. სახლშიც ძალიან ყურადღებიანი იყო, სამსახურიდან მოსული, ხშირად არ აცლიდა ხოლმე საოჯახო საქმის კეთებას. ბაზარში ერთად დადიოდნენ, სადილს ერთად ამზადებდნენ ხოლმე სამზარეულოში, ნავახშმევს აუცილებლად გავიდოდნენ ხოლმე გარეთ, ძილის წინ გასეირნება წესად ჰქონდათ.

ამ „ძილისპირული მოციონის“ დროს, აპაო მხარზე ეკვროდა, ასე უყვარდა მასთან სიარული; სიყვარულის აქტივიც, ორივე ხელით ეხვეოდა ტანზე, მაგრამ არასოდეს გაჰქრობია იმის შეგრძნება რომ ასე, ხელეგში მომწყვდეულს, მანაც ვერ ფლობდა სრულად და გრძნობდა რომ ლუნგ-ს ყოველ წამს შეეძლო ნისლივით გაქრობა.

არასოდეს არ ჰქონდა რეალური შეგრძნება იმისა, რომ აი, ხელთა ჰყავს! მკლავებში მოგდებული, ეხ-

ვევა!

მას ვერაფერი შეაკავებდა – ვერც მათი სახლი, ვერც ბინა, ოჯახი, სამზარეულო, სასადილო მაგიდა, საწოლი, და სულაც ქალი მასთან ლოგინში მწოლარე! ვერაფერი შეაკავებდა, რადგან ყოველ წუთს მზად იყო ასაფრენად, და ის ფრთები, რომლებიც ნებისმიერ წამს აიტაცებდნენ და შესძლებდა განრიდებოდა აქაურობას და გამქრალიყო – ის ფრთები მუდამ თან ჰქონდა.

ამის შეგნება აწუხებდა, სცხვენოდა კიდეც, მაგრამ ვის ძალუძს ამაში გარკვევა, როდესაც მას თავად უჭირდა გაეგო ამის თავი და ბოლო. ამიტომ, დედამთილის გადმოსვლა აღმოჩნდა ის სინამდვილე და ის კონკრეტული ფაქტი, რისი ნდობა შეიძლებოდა, როგორც ხელმოსაჭიდი და რეალური მოვლენის.

ბავშვის გაჩენამ და ლი სიუფენგ-ის გადმობარებამ ის ხაზი გაავლო, საიდანაც აპაო-მ დაიწყო ათვლა ახალი ცხოვრების თანმდევ ამბების.

ლოგინიდან ადგომა და ბავშვების ორომტრიალში ჩართვა ერთი იყო: ჯერ ძუძუს აწოვებდა, მერე სარეცხს იწყებდა, მერე აბანავებდა, შემდეგ ასეირნებდა, შემდეგ ისევ აძინებდა. არც ის ავიწყდებოდა, რომ რამე ესწავლა დედამთილისგან, რომელიც სამზარეულოში ტრიალებდა და საუზმე, სადილი, ვახშამი – სულ იმის კისერზე იყო. როცა დარწმუნდებოდა, რომ ბავშვს ტკბილად ეძინა, მხოლოდ მაშინ იცლიდა თავისთვის რომ ებანავა, ზოგჯერ იმის დროც რჩებოდა, რომ სადმე მიყუყულიყო და წაეძინა, და საერთოდ, აიძულა საკუთარო ფიზიოლოგია აჩქარებული ტემპით ემუშავა, რათა ხელი არ შეეშალა მთავრისთვის, საოჯახო საქმეებისთვის.

ბირველ ორსულობას მალე მეორეც მოჰყვა. მთელი დღე ოფლში იყო გაღვარული, ისე იქანცებოდა, რომ ბანაობის თავიც არ ჰქონდა, ერთხელ გადაივლებდა შხაპს და ამით თავდებოდა მისი პირის ფარეში – მაშინვე წელში მოღრეცილი, მიუჯდებოდა ბავშვის საწოლს და მკვდარივით ჩაეძინებოდა. ქმარი რომ ბრუნდებოდა სამსახურიდან ან მივლინებიდან, იმის თავიც არ ჰქონდა რომ ერთი-ორი სიტყვა ეთქვა; ზოგჯერ უარესიც მომხდარა, როდესაც შუა საუბარში, სიტყვა გაუნწყვეტია და ასე ზეზეურად ჩასძინებია.

ცხოვრებაში არ განუცდია ასეთი მძიმე, ტლანქი, უხეში შრომის პერიოდი.

ეხლა ეტყობა, უბედურების მაუნყებელი ზარების მსგავსად, ისევ ემზადებოდა შემოტევისთვის მისი ეშმაკეული თეთრი სიზმრების ჯარი. ძალიან უჭირდა თავის დაღწევა მათი გამომფიტავი სამყაროდან, სადაც ძალა უაზროდ ეცლებოდა მათთან ბრძოლაში; ჩაძინებისთანავე, ეს მისი ბრძოლა მარცხზე იყო განწირული. ლოგინში უძილო გდებდა იყო ქვეული ლამის მეორე ნახევარი, გარიჟრაჟამდე ძველ მოგონებებს გაუთავებლივ ატრიალებდა თავის გონებას, რომ ასე მაინც შეხიდეოდა ქმარს თუ ნაქმარალს.

ჯერ კიდეც მაშინ, ამერიკის ჩრდილო-დასავლეთს, როცა დასრულდა თოვლის ქარბუქი და გაუთენდათ დასვენების დღე, ფანჯრების მიღმა საბანი დახვდათ ქათქათა თოვლის, ადრე ამდგართა ნაფხურები მოყინულიყო, თერმომეტრი კი ოცი გრადუსით ჩასცილებოდა ნულოვან ნიშანს... მაგრამ ბინაში ლამის ცხელოდა, და ისე იყვნენ როგორც სჩვევოდათ შანხაიში გვიან გაზაფხულს, როცა ორივე, ცოლიც და ქმარიც თხელ-თხელ ზენარქვეშ, წამოსხდებოდნენ თავიანთ საწოლს, მისურებში და ძალზე გავდნენ ცოტა ხნის წინათ დაქორწინებულთ, ვისაც ერჩივნათ საათობით ემუშაიფათ, რადგან მოსწონდათ ძვირადღირებულ დროის დახარჯვა ასე, უსაქმოდ.

დაძინების წინ ძალიან უყვარდათ საუბრის გაბმა. ფართოდ გახელილ თვალებით ლაპარაკობდნენ ყველაფერზე რაც მათ გარშემო ტრიალებდა, ამის გარეშე ვერ ისვენებდნენ. იმ ხანად ისინი შორი-შორს ცხოვრობდნენ, ორი საათი მაინც უნდოდა მანქანით მგზავრობას, ერთმანეთი რომ ენახათ, და ამას თვეში ორჯერ თუ ახერხებდნენ – თუმცა ზამთარში კიდეც უფრო უჭირდათ ხშირი შეხვედრა და გაუთავები ქარები და თოვლიანი ქარბუქი აუტანელს ხდიდა მათ დაშორებას.

ის საუბრები ეხმარებოდნენ ზამთრის თვეების სევდის დაძლევას, ანეიტრალდნენ დაძაბულობას, რაც რომ თან სდევდა უერთმანეთოდ გატარებული დღეების დათვლას. უდიდესი სულიერი სიახლოვე ჩამოყალიბდა მათ შორის, ისეთი რომ ფიზიკურ შერწყმას შეეძლებოდა, მაგრამ აღმოჩნდა რომ სულიერი ერთობის სურვილი ორივეში უფრო სჭარბობდა ფიზიკურს, სხეულთა ურთიერთ მიზიდულობას – იმდენად, რომ გარკვეული კუთხით რომ განეხილათ ეს ამბავი, აღმოაჩენდნენ რომ საუბრის მოთხოვნილება გადასწონდა სიყვარულის ფიზიკურ ფორმას.

აპაო იქამდე მივიდა, რომ სადისერტაციო ნაშრომით წვებოდა ლოგინში და საწოლში წამომჯდარი განიხილავდა ენის საკითხებს, ასე რომ მისი ჩამოუყალიბებელი მსჯელობა მხოლოდ მის ქმარზე, ერთადერთ ერთგულ მსმენელზე იყო გათვლილი.

თავის მხრივ, ლუნგ-ი სწავლობდა მეტად მოსაწყენ საგანს, რომელსაც შეარქვეს „სტატისტიკური ბიოლოგია“, და რომელსაც ძირითადად აზიური წარმოშობის სტუდენტები სწავლობდნენ, რადგან ამ პროფესიით მეტი შანსი ჰქონდათ სამსახურის შოვნისა.

აპაო ძალიან ემადლებოდა ქმარს, რომ მსმენელად დაუდგა თხრობის მისეულ თეორიას – მომთმენ, და თანაც ერთადერთ მსმენელად. „თხრობის ფორმა და მანერა სტილის განაპირობებს, და ამ თეორიიდან გამომდინარე, ვრწმუნდებით რომ შინაარსზე უფრო მნიშვნელოვანი ელემენტი მეთოდია, ასე რომ „როგორ ვწეროთ“ იმ საკითხზე უფრო მნიშვნელოვანია, რასაც გულისხმობს კითხვა „რა ვწეროთ“; მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ შინაარსი განაპირობებს თხრობის ფორმას, და ამ თვალსაზრისით ჩვენ იმ დილემის წინაშე აღმოვჩნდებით, რომელსაც იცნობენ როგორც, „რა უფრო ადრე გაჩნდა, კვერცხი თუ ქათამი?“

გამოიყენა თუ არა ეს შედარება, მაშინვე თავბრუ დაეხვა, რადგან არ ეგულებოდა სათანადო არგუმენტი, რაიმე მყარი და დამაჯერებელი თეორია; არადა, სწორედ თეორიას ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა ასეთ საკითხში... როდესაც კონკრეტულ მასალას უბრუნდებოდა, ანუ ფიცჯერალდის და ფოლკნერის საკითხს, ისინი ისე ძლიერ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, როგორც ნიუ იორკი და სამხრეთის რომელიმე შტატის ციციქა ქალაქი, და ეს სინამდვილე ნებისმიერ თეორიას გადაფარავდა... სინამდვილე ისიც იყო, რომ თანაბრად აფასებდა ორივე დიდოსტატს, და გეტსბის ბედის გახსენებაზე ყოველთვის გული ეწურებოდა. იმის მიუხედავად რომ ფიცჯერალდისეული თხრობის სტილი ძველებურ თარგმნი ჯდებოდა, ფოლკნერის მანერა მას გადაჭარბებულად აქტიური მიაჩნდა, თან შმაგი და კამკამა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი პროზით გაოგნებული იყო და თავბრუს ჰგვრიდა მისი მშვენიერება...

„მაშ, ამით რის თქმას ვაპირებდი?“ - ამ შეკითხვით მიაჩერდებოდა ხოლმე ქმარს, რომელსაც წამით არ შეუმცირებია ყურადღება, მის ყოველ სიტყვას უსმენდა და უღიმოდა. მის გამოხედვაში ისიც ჩანდა რომ ეამაყებოდა და სიამოვნებას ჰგვრიდა ეს პროცესი; ასეთი რამ დილექტანტებს სჩვევიათ, როდესაც ცდილობენ ჩასწვდნენ მათთვის უცნობი სფეროს სრულიად უცხო წიაღს.

ის გადიხარა ცოლისკენ, აკოცა და აპაო-ს უმაღლესად გააფრთხილა ვნების ტალღამ – ქმარს ჩაეხუტა, გადასდო თავის სურვილის სიმბურვალე და ერთმანეთში ჩაიხლართა მათი ვნება და სხეულები.

უცნაურია, მაგრამ სიყვარულის ასეთი აქტის შემდეგ, აპაო-ს შეეძლო ამდგარიყო და რაღაც მიემატა რვეულში თავისი ჩანაწერებისათვის, შეეძლო განეხილა იმ ორი მწერლის განმასხვავებელი ნიშნები, როგორ შეესატყვისებოდა მათი წერის მანერა სათქმელს და შინაარსს, და ამოეცნო იმ ეპოქის ლიტერატურულ ღირებულებების განმასხვავებელი ნიშნები...

ლუნგ-ისთვის ხშირად უთქვამს, რომ მათი საუიკენდო შეხვედრები ის ძრავა იყო, რომელიც წინ ეწეოდა მის სამეცნიერო კვლევას, და როდესაც ჩათავდა თავისი მჭერმეტყველების ფირფიტას, აშკარად ამჩნევდა მის თვალეში გაღვიძებულ სიამოვნებას, რადგან ლუნგ-ი მის ინტელექტს სექსუალურად მიმზიდველ თვისებად აღიქვამდა.

რა დასაჯერი იყო ის, რომ თვითონაც იყო ის „ნიგნის ჭია“, რომლებიც ასე ხშირად უნახავს – ბრინჯის მჭამელი ჭიები. მათსავით რბილი და მოუქნელი სხეულით, ისიც ნელა მოძრაობდა იმ უზარმაზარ საკვების შესანახ საკუჭნაოში, რაღაც ის აღიქვამდა ინგლისურენოვან მწერლობას, და იმ ჭიის მსგავსად, ისიც ძლებოდა ამ საკუჭნაოში დახვავებული საჭმლით – მარტო იმიტომ, რომ დაეკმაყოფილებინა თავისი სიხარბე და განეხორციელებინა ოცნება სამეცნიერო ხარისხის მისაღებად.

აპაო-ს მართლაც უყვარდა ინგლისურენოვანი ლიტერატურა.

მაშინ მას მტკიცედ სჯეროდა, რომ ყველაფერი, რასაც მან მიაღწია, ეს ყველაფერი ლუნგ-ის დამსახურება იყო, ლუნგ-მა შექმნა ის, მან გამოძერწა.

იმ ბედნიერ და ნეტარ საღამოებით, ლუნგ-ი ერთი-ორი საათით ნაიძინებდა ხოლმე მის მკლავებში, სასიყვარულო თამაშის „ტიამებს“ შორის, აპაო კი ამ დროს გადევნებოდა ტკბილ მოგონებებში, თითქოს ჩქარობდა მოეყოლა ვიღაც მსმენელისათვის თავის კარგი და ცუდიც, ბედი კი ამ დროს დაფნის გვირგვინს უმზადებდა.

მაშინ იყო რომ დედამისი უცებ ინფარქტით გარდაიცვალა, როცა უკვე high school-ში ამოჰყო თავი. მაშინ მამამისს უკვე დაეხურა თავისი რესტორანი დასავლეთში და შინ დაბრუნდა, ჰონკონგში. ამიტომ, აპაო-ს მოვლა-პატრონობა დედის ნათესავებმა ითავეს და მეურვეებად დაუდგნენ.

ის წელიწადი ჯოჯოხეთში ყოფნად გადაექცა. დედის დაკარგვით გამოწვეული ტკივილით სავსე, მზიანი კალიფორნიიდან, რაღაც პატარა ქალაქში გადაბარგდა, რომელსაც ყველა მხრიდან თოვლი აკრავდა.

ერთხელაც, კვირადღე იყო, გათენდა, გარეთ ყველაფერი მოთეთრო-მორუხო იყო. ქარბუქის მოლოდინში იყო სუყველა, აპაო-მ კი სცადა მაჯებზე ვენები გადაეჭრა.

სამართების პირი გასალესი ყოფილა, ამიტომ შეშინდა, აბაზანის ნიჟარაში ჩააგდო სამართებელი და გადარჩა, და სულ ცოტა ხანში „კაი ჩაპუტკუნებულ“ გოგონად გადაიქცა.

მაშინ სთხოვა სკოლაში, რომ ერთი სემესტრით გაეთავისუფლებინათ დასწრებისაგან, თვითონ კი გამოიკეტა თავის კუთხეში და 24 საათი ატრიალებდა კინოს არხებს ტელევიზიაში – სანამ შემოფოთებულმა ნათესავებმა მამამისს არ მოუხმეს ჰონკონგიდან და თან არ გააყოლეს.

მამამისმა ოთახი დაუქირავა და ექვსი თვე ერთად ცხოვროდნენ.

როდესაც სკოლაში მოუწია დაბრუნება, პირველსავე დღეს თვალი მოკრა დერეფანში აზიური გარეგნობის ყმაწვილს, რომლის კუნაპეტივით შავი თვალები სევდიანიც იყო და დამცინავიც. ასეთმა გამოხედვამ

მისი გული უმალ დაიმონა და გაუჩინა არათუ სურვილი, არამედ წყურვილი მასთან სიახლოვისა. ეს რომ შეიგნო, გაოცდა, რადგან აღარ ეგონა რომ გრძნობაგამოფიტულ გულში უცებ ასეთი წყურვილი დაისადგურებდა.

მერე გაიგო რომ მეთერთმეტე კლასელი იყო, მაგრამ მათ გაცნობას ბედი არ ეწერა, რადგან ის ბიჭი უცებ გაქრა. მერე კი ჭორად გაიგო, რომ აღმოსავლეთ სანაპიროზე, ბოსტონში გადასახლდა, და ისიც უთხრეს, რომ მისი ასეთი გაქრობა და გადასახლება დაკავშირებული იყო სასიყვარულო ამბავთან, სავარაუდოდ, ვილაც ქალბატონთან.

აპაო მიხვდა, რომ ასეთ პატარა დაბაში გადმოსახლება უკვე ნიშნავდა, რომ ლუნგ-ის სასიყვარულო ისტორია მარცხით დამთავრდა. ასე თუ ისე, მისი კვლავ გამოჩენის შემდეგ, მათ კიდევ ნელინადი და სამი თვე მოუწიათ სწავლა ერთ სკოლაში, და ეს ხუთმეტი თვე დაუვინყარი გახდა აპაო-სთვის.

ლუნგ-ის ამ მზერამ, თან სევდიანმა, თან დამცინავმა, გამოაფხიზლა აპაო, შინაგანად ამოდრავა. მან უცებ გადანყვიტა, რომ ყველაფერს იღონებდა, რომ წონა დაეკლო, ევარჯიშა და ისეთი სხეული გამოეძერწა თავისი ტანიდან, რომ... ერთს ნატრობდა: ერთ მშვენიერ დღეს, წინ როგორ ჩაუვლიდა გამარჯვებული ღიმილით, და დაინახავდა მის სახეს და გამომეტყველებას. თუმცა, ამას რომ ნატრობდა, ჯერ არაფერი იცოდა იმ ბიჭის შესახებ.

აპაო-ს დაეწყო განსაკუთრებული პერიოდი. დღე არ გავიდოდა, რომ გაკვეთილების შემდეგ სპორტ-დარბაზში არ შესულიყო; უმკაცრესი დიეტა დაიწესა, პირს თითქმის არ აკარებდა ხორცს და რძის ნაწარმს, საერთოდ დაივიწყა კარტოფილი და ჩიპსები, და თუ ვინმეს არა სჯეროდა ბანალური გამონათქვამების, ცოტა ხანში მან დაამტკიცა სიმართლე ძველი ლექსის სტრიქონის, რომ „სიყვარული ქვეყანას შეცვლის“.

აპაო-ს ცხოვრება შეჯიბრად ექცა, ხოლო მეტოქედ ამ შეჯიბრში დრო დაიგულა, რადგან მიზნად ერთადერთი რამ დაისახა: სასურველი ფიზიკური ფორმისთვის მანამ მიეღწია, სანამ ის ყმანვილი სკოლას დაამთავრებდა.

ეტყობა, არ გახსენებია წინაპართაგან თქმული: „ზეცას მოჰკითხე მოულოდნელი ღრუბელი, ქარი!“.

როცა გაუთავებელივით ოფლს ღვრიდა ვარჯიშში, დროსთან გამალეული შეჯიბრზე ფიქრით, საკუთარმა სხეულმა უმტყუნა და უღალატა; ტახიკარდია დასჩემდა, ხელის კანკალი. წონის დაკლებამ გამოიწვია ცვლილება ფარისებრ ჯირკვალში, ნივთიერებათა ცვლაც დაერღვა; იქამდე მივიდა, რომ რამდენიმეჯერ ღამით ეგონა, მორჩა, გათავდა, დასრულდა ცხოვრება...

ღამით ჩააბიჯებდა ხოლმე მისივე ფანტაზიით დაგებულ ხაფანგში: წაარმოიდგენდა, რომ ის დღე გათენდა, როდესაც პირისპირ დარჩა იმ ბიჭთან, ის ხელს გამოუწვდის, აპაო-ც გაოგნებული ჩაეხუტება და ბედნიერებისაგან სული ეხუთება, გული მისდის და კვდება, რადგან ვერც გული ვერ უძლებს ბედნიერების ტალღას...

ეს ფაქტიურა ილუსტრაცია იყო მისივე მოგონილი ზღაპრის, და თვითონაც ვერ გაეგო, თექვსმეტი წლის ასაკში რატომ იყო ასეთი გულუბრყვილო? გათენდებოდა, გაიხსენებდა ღამით ნაფიქრალს და შერცხვებოდა თავის ინფანტილობის...

მისი აგიტაციის პერიოდი თანდათანობით გადაიზარდა უფრო სიღრმისეულ განწყობაში, და ლოცვისას, ღმერთს სთხოვდა, რომ სინამდვილედ ექცია მისი ოცნება.

და როდესაც დასვენების დროს, დაბლა სართულზე გაბედა გავლა, სადაც აქამდე არა ჩნდებოდა, ვინაიდან ჯერ კიდევ ჰქონდა დასაძლევნი ბევრი ეტაპი თავის იერის დასახვეწად და ამიტომ ერიდებოდა ლუნგ-თან შეხვედრას – ეხლა გაბედა! სკოლის დერეფანში მტკიცედ მიაბიჯებდა, გარშემო კი ირეოდა კლასებიდან გამოცვნილი ათასი მონაფე, და უცებ იგრძნო რომ კარი უნდა გაღებულიყო მის ზღაპარში.

ეს დღე დადგა ზამთრის არდადეგების შემდეგ. აპაო ახალი დაბრუნებული იყო ჰონკონგიდან, სადაც გაიარა ტრადიციული ჩინური მედიცინის სამკურნალო კურსი, უყურადღებოდ არც პლიაჟი დაუტოვებია ზამთრის მზის კაშკაშა ნათელით – და ამერიკის ცივ შტატში დაბრუნებულს, კვლავ შერჩენოდა სიცხოვლე გულუბნე სამხრეთის, გარუჯულს ისე, თითქოს მზე მის გუგებსაც მოკიდებოდა და დაამატა მეტი სიმავე; კიდევ იფიქრა, იქნებ ოცნებამ, დარდმა გამიმძაფრეს თვალთა სიმავე?

ვინც მას იცნობდა, ყველა ამჩნევდა ასეთ ცვლილებას ქცევაშიც, მანერებშიც – თუმცა არ იცოდნენ, რად დაუჯდა ეს ცვლილება; მხოლოდ ხედავდნენ, რომ აპაო მაინც „სულ სხვა“ ჩანდა ნორჩი, ღამაზი, ხალისიანი გოგონების გარემოცვაში – სხვანაირი, და არავის მსგავსი.

და ეხლა, სკოლის გრძელ დერეფანში, დასვენების და მონაფეების ორომტრიალში, უცებ იგრძნო რომ ჰაერი აკლდა: დერეფნის ბოლოს თვალი მოჰკრა მისკენ მომავალ მაღალ სილუეტს. უმაღლე სუნთქვა გაუჩერდა, თვალთ დაუბნელდა, კედელს მიეყრდნო, ფეხმა უმტყუნა და ასე, ნელა ჩამოსრიალდა და გაიშობა იატაკზე, თუმცა გონების დაკარგვის ბოლო მომენტში, მონაფეები თავებს შორის რომ დაჰყურებდნენ, მისი სახის დანახვაც მოასწრო.

გონს რომ მოვიდა, უკვე საავადმყოფოს პალატაში იყო, და ნაცნობი სახე ვერავისი ნახა, გარდა რამდენიმე შორეული ნათესავისა, რომელთაც აცნობეს მისი ამბავი. მეორე დღეს კი მოაკითხა შუახნის ჩინელმა ქალმა, და უთხრა, რომ მისი სკოლელის დედაა; მის შვილს და აპაო-ს საერთო Counselor ჰყოლიათ, ვინც მას აცნობა ბავშვის მდგომარეობა, და აგერ, მოაკითხა და ქათმის ბულიონიც მოუტანა.

აპაო-მ გამოართვა ფიალა. სხვისი დედის ხელიდან აღებულ საჭმელს მადიანად ხვრეპდა, და თან ტიროდა, ცალკე მადლიერებით, და ცალკე ბულიონის სიმხურვალის გამო.

ჭამას რომ მორჩა, აქამდე უნახავმა სხვის დედამ, ფიალა ჩამოართვა და მშრალი პირსახოცი მიანოდა.

„რა ჰქვია თქვენს შვილს?“ ზრდილობის გამო მაინც მართებდა შეკითხვა. მის სკოლაში ორი ათასამდე მონაფე სწავლობდა, მაგრამ ჩინური წარმოშობის, სულ ათიოდე თუ აღმოჩნდებოდა.

„ჩენ ჰაილუნგ!“

ასეთნაირად, დერეფანში გულის წასვლამ ხელი შეუწყო მათ გაცნობას, უფრო სწორედ, ლუნგ-ის დედის გაცნობას, ეს კი უვერტიურა აღმოჩნდა ლუნგ-ის გაცნობის.

სწორედ მაშინ ლუნგ-ი დაკავებული იყო უმაღლესში ჩასაბარებელი საბუთების შეგროვებით. აპაო-ს დედამისი მოინახულებდა ხოლმე, ლუნგ-ი კი საერთოდ არ უნახავს.

როცა გამოკეთდა და სკოლაშიც გამოჩნდა, კვლავაც გაგრძელდა ასეთი ვითარება. ლუნგ-ი სულ ერთ-თავად უმაღლესში ჩასაბარებელი გამოცდებით იყო დაკავებული, თითო-ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, ეს-აღმებოდნენ, მაგრამ ამის იქით საქმე არ წასულა.

არასოდეს მიუცია თავისთვის უფლება, რომ ლუნგ-ისთვის მიენიშნებინა თავის გრძნობაზე. პირიქით, ცოტა შორსაც კი ეჭრა თავი, თითქოს უნდოდა დაეცვა რაღაც „ურთიერთობის დისტანცია“. როდესაც დაუფიქრდა ამის მიზეზს, მიხვდა რომ გულის სიღრმეში კვლავაც რჩებოდა მსუქან აზიატ გოგოდ. თუმცა, როგორც არ ეცადა, რომ გულის კუნჭულში მიეჩინა ბინა თავისი გრძნობისთვის, მიეჭმუჭნა და იქ ჩაენახა. სული მისი ზღვასავით იყო, მოქცევას – უკუქცევა მოსდევდა, არასოდეს არ იყო მშვიდად.

ლექსების წერა დაიწყო.

როცა უმღერი სიყვარულს, თან ნორჩი გულის „სანტიმენტებით“, ამას ყოველთვის თან სდევს ათას-გვარი ცხოვრებისეული განცდა. აპაო გახდა ინგლისურის მასწავლებლის უსაყვარლესი მონაფე და მის ლექსებს ხშირად კითხულობდნენ სკოლის პოეზიის მოყვარულთა კლუბში.

აპაო-ს ნეტარებას ჰგვრიდა თავისი წარმატება თანამოაზრეთა პატარა საზოგადოებაში. სრულიად მოულოდნელად, მისი ცალმხრივი და უნაყოფო სიყვარული მისი პოეზიის წყაროდ გადიქცა, ოღონდ მის ლექსებს არაფერი ჰქონდათ საერთო მის ცხოვრებასთან.

ერთ შაბათს ლუნგ-ის დედამ ის შინ დაპატიჟა სავახშმოდ. იმ ხანად ლუნგ-ს მოსდიოდა წერილები სხვადასხვა უნივერსიტეტიდან, მათ შორის კოლუმბიის უნივერსიტეტიდან, და აგრეთვე საკუთარი შტატის უნივერსიტეტიდან, რომელიც სრულ სტიპენდიას ჰპირდებოდა, მაშინ როდესაც კოლუმბიის უნივერსიტეტი, მხოლოდ ნაწილობრივს გადახდას დებდა პირობად. ამიტომ დედა-შვილი ცდილობდა გარკვეულიყო, რომელი არჩევანი აჯობებდა, და ეს თემა გახდა სუფრაზე მსჯელობის საგანი.

დრო კიდევ ითმენდა. ლუნგ-მა კი დაიჩემა, „კოლუმბიაო“, მაგრამ ისიც ესმოდა, რომ საქმე უფრო დიდ ხარჯებს ეხებოდა. ის თავს ირწმუნებდა, რომ ბანკიდან აღებული სესხით თავს გაართმევდა ამ ვითარებას, სესხსაც თანდათანობით დააბრუნებდა, მაგრამ დედამისი სხვა აზრის იყო, ვერ ეგუებოდა ამერიკელთა მანერას, მარტივად მიუდგნენ საკითხს და გეგმა და იმედი ბანკზე დაამყარონ. ამიტომ, ლი სიუფენგ-ს, აღმოსავლური ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, მიაჩნდა რომ ვალი და სესხი არაა სანდო.

თავის ქმარს ეს ქალბატონი გამოჰრდა, როდესაც ლუნგ-ი ჯერ კიდევ ათი წლის ბავშვი იყო. განქორწინების შემდეგ ის ამერიკაში გადმოსახლდა უფროს ქალიშვილთან და ლუნგ-თან ერთად. ორმოცს იყო გადაცილებული, როდესაც წარმატებით ჩააბარა გამოცდა, რათა მიეღო სამედიცინო დის სერტიფიკატი, და ამის წყალობით გადაიტანა მთელი სიმძიმე, რომელიც შეიძლება დაანვეს მარტოხელა ქალს უცხო ქვეყანაში, თან ორი ბავშვის პატრონს. ლუნგ-ის არჩევანი არ მიაჩნდა გონივრულად, მაგრამ ისიც სთქვა რომ ვალდებულა ანგარიში გაუწიოს შვილის არჩევანს, და იქვე, აპაო-ს თანდასწრებით გამოაცხადა, რომ უკვე მოახერხა დაეგროვებინა საკმარისი თანხა, რომ დახმარებოდა სწავლის ხარჯებში.

აპაო-ს ესმოდა და იზიარებდა ლუნგ-ის დაჩემებას, „ნიუ იორკში მიწაო“, მაგრამ სტუმარი იყო და არ ეკუთვნოდა ჩარევა საოჯახო საკითხების განხილვაში; ამიტომ არ გაუმხელია თავისი არგუმენტი, რომ ჩინური წამოშობის სტრუქტურისათვის აქ სწავლას, „ულტრა-თეთრკანიანთა“ შტატში, ისევ აჯობებდა აღმოსავლეთი სანაპიროზე გადაბარება, სადაც აზიატები არა გრძნობენ თავს ეულად და გარიყულად; სხვა რომ არა ვთქვათ, თუკი ხეტიალი გინევს ამქვეყნად, ისევ ჯობია აირჩიო ფართო დიპაზონის და მეტი შესაძლებლობის მხარე და ასპარეზი.

და ისიც ესმოდა, რომ ლუნგ-ის სწრაფვა, გამორებოდა იქაურობას, გრძნობითაც აიხსნებოდა – ეტყობოდა, რომ ჯერაც ვერ დაეძლია ღრმად ჩამჯდარი სიყვარული. ამის შეგნებამ სულიერად კიდევ უფრო

დაახლოვა ლუნგ-თან, რაკი ორივე გახდა გაუზიარებული სიყვარულის მსხვერპლი – ერთი ეგ იყო, რომ არა ჰქონიათ შემთხვევა ეს ამბავი ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ...

სუფრასთან საუბარში კი აპაო მაინც ჩაერთო და ტაქტიანად შეახსენა ლი სიუფენგ-ს, რომ სესხის აღება სინამდვილეში ძალზე სასურველი ინვესტიცია იყო ლუნგ-ის სამომავლო კარიერისათვის, ვინაიდან კოლუმბიის უნივერსიტეტის დიპლომი ბევრ კარს გაუღებდა.

სკოლის დერეფანში რომ შეეჩეხა ლუნგ-ს რამდენიმე დღის შემდეგ, იგივე გაუმეორა, რომ ერთ სკოლაში სწავლა ბევრ რამეს ნიშნავს, და ის მუდამ დაუჭერს მხარს ყველა მის სურვილს, არც კი იკითხავს მიზეზს და არჩევანის დასაბუთებას, და საერთოდ, წარმატებას უსურვებს ყველაფერში, მისი ოცნების და იდეალების აღსრულებაში.

გულში ფიქრობდა, რომ „კაცს თუ რაიმე იდეალი არ ეგულება, ეს იმას ნიშნავს რომ მოკლებულია ინდივიდუალობის ნათელს“. ასე რომ, ლუნგ-ი რჩებოდა მისი პოეტური შთაგონების წყაროდ, თუმც ისევ და ისევ მისი ფანტაზიის სფეროში და წარმოსახვაში.

ლი სიუფენგ-ი ბოლოს დასთანხმდა შვილს და სუფრასთან რომ ისხდნენ, კიდევ გამოაცხადა: „ჩემი ვაჟის ჩაბარების დღიდან უნივერსიტეტში, დასრულდა ჩემი როლი, როგორც მონაფე-შვილზე მზრუნავი დედის“, და ამიტომ გადაწყვიტა სახლის გაყიდვა და ისევ სინგაპურში დაბრუნება საცხოვრებლად.

ამავე დროს, გულს კიდევ იმით იკეთებდა, რომ ის ეხლა თავისი ქალიშვილის უფრო სჭირდებოდა, რომელიც მალე ბავშვს გააჩენდა, და იმის შეგნება, რომ კვლავაც ვინმესთვის არის საჭირო ძალას მატებდა.

აპაო-მ განიცადა ლი სიუფენგ-ის გამგზავრება, რომლისგანაც იგრძნო ის დედობრივი ზრუნვა, რაც მოაკლდა დედის გარდაცვალების შემდეგ, მაგრამ თავს იმშვიდებდა ძველი ნათქვამით, „ამქვეყნად ნადიმს დასასრული მუდამ მოუწევს!“.

იმ ხანად „ნითელი კოშკის სიზმარს“ კითხულობდა ინგლისურ ენაზე, და თარგმანშიც შემონახული იყო ის ნიუანსები, რომ სრულად განეცადა სიყვარული, ქორწინების და ბედის კავშირი ცთომილთა მოძრაობასთან; ეს ყველაფერი სევდის ნალექად რჩებოდა გულში, და კიდევ უფრო ამდიდრებდა მის პოეტურ Sensitive.

იმ დღიდან დაწყებული, რაც დაშორდა ლი სიუფენგ-ს, აპაო-მ ყურადღება სწავლაზე გადაიტანა, მაგრამ ოცნება, რომ ოდესმე აღმოსავლეთ სანაპიროზე აღმოჩნდებოდა და ლუნგ-ს შეხვდებოდა – ეს ოცნება არ შორდებოდა, და კვლავ რჩებოდა განყენებულის სფეროს თემად, რადგან ახსენებდა გამოფიტულ ცხოვრებას და ნათქვამს, რომ „რაც ცხოვრებაში საერთოდ ხდება, უმეტესწილად იძულებითია“.

ორმა წელმა ისე განვლო, რომ აპაო-ს გაუქრა კავშირი ამ ოჯახთან. ამასობაში ერთი აყლაცყუდა ჭორ-ფლიანი მოტრფიალე გაიჩინა, თეთრკანიანი გამხდარი კალათბურთელი, სახელად ჩაკ-ი. აპაო-ზე უმცროს იყო ერთი წლით, სპორტში წარმატება არა ჰქონია, უფრო სათადარიგოთა სკამზე უწევდა ჯდომა და ამხანაგების სამასხარაოდ იყო ქცეული. „მარცხიანის“ დამლა შუბლზე ეკერა, მაგრამ აპაო-ც „მარცხიანად“ თვლიდა თავის თავს და მის მსგავსად, მუდამ ცდილობდა უკანა პლანზე გადასვლას, დამალვას – იმდენად რომ სასადილოშიც რაღაც კუნჭულს აირჩევდნენ ხოლმე და იქ, მოფარებულში ისხდნენ და საუბრობდნენ. აპაო-ს ეს ურთიერთობა მოსწონდა, რადგან კმაყოფილების გრძნობა უჩნდებოდა.

ის იყო, მათი ურთიერთობა აენყო და უფრო დაახლოვდნენ, რომ ჩაკ-ის მამა უვადო კონტრაქტით მიიწვიეს კალიფორნიაში ლექციების წასაკითხად, და გამგზავრების წინ ჩაკ-მა აპაო-ს სასიყვარულო ლექსი მიართვა. ეს ლექსი ერთად ერთი აღმოჩნდა, რაც ოდესმე მისთვის უძღვნიად, და მათ შორის გაიბა მიმონერა და ამ წერილებით ორივემ ააგო თავისებური რომანტიკული ურთიერთობა, მით უმეტეს რომ განშორება ამას ხელს უწყობდა. მალე აპაო-მ დაიჯერა, რომ ასეთი ფორმა გაცილებით უფრო დახვეწილი იყო, რადგან დისტანციით გამოწვეული დაშორება ამდიდრებდა მის ფანტაზიას და უამრავ თემას აძლევდა ლექსების სანერად – ოღონდ ჩაკ-ი მაინც არ აღიქმებოდა მისი ოცნების „პრინცად“.

მათ მიწერ-მოწერას ბოლო მოელო, როდესაც უნივერსიტეტში ჩაბარების საკითხი დადგა, და მანამდე ლუნგ-ის მიერ საგულდაგულოდ გავლილი ყველა ეტაპი, ეხლა აპაო-ს უნდა გაეგო და გაემეორებინა.

მომავალი წამდვილად არ იყო ფანტაზიის და ილუზიის სფერო, მობეზრდა აგრეთვე უსაგნო, აბსტრაქტული ლირიკა, და მალე ჩაკ-მა მოგონებების სფეროში გადაინაცვლა.

აპაო-მ განცხადება წარადგინა კოლუმბიის უნივერსიტეტში, რადგან ქვეცნობიერად იმედი ჰქონდა რომ ლუნგ-ს იქ ნახავდა. თან ესმოდა რომ ცალმხრივმა სიყვარულმა გავლენა იქონია მთელ მის ცხოვრებაზე და წარუშლელი კვალი დატოვა მის სულში.

თავიდან თითქოს ბუნებრივად ეჩვენა ლიტერატურის ფაკულტეტის არჩევა, მაგრამ ყველა დეტალი რომ ანონ-დანონა, ფინანსების და სტატისტიკის განყოფილება არჩია და იქ ჩააბარა, მიუხედავად იმისა, რომ

არანაირ მიდრეკილებას არა გრძნობდა ამ სფეროსადმი.

როდესაც დაასრულა თავისი საგამოცდო განცხადებების გაგზავნა-გამოგზავნა, დრო გამონახა და ჩაენერა ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში; თითქოს გრძნობდა, რომ წყვეტდა კავშირს ინგლისურენოვან მწერლობასთან და წიგნებში ჩაეფლო და წიგნის კითხვაში აღამებდა. უფრო კლასიკას კითხულობდა, რომ აენახლავრებინა იძულებითი დაშორება მწერლობის საკითხებს, თითქოს ამით შეეძლო ცვლილება შეეტანა თავის კარმაში.

მაშინ იყო რომ სადღაც შორს, წიგნების კარადებთან თვალი მოკრა ლუნგ-ს. ისეთი გულისცემა აუვარდა, რომ მგონი ლუნგ-მაც კი იგრძნო ამხელა მანძილზე – თავი ასწია და დააკვირდა ნაცნობ ფიგურას. აპაო-მ ინსტინქტურად გაშალა მკლავები და გაქანდა მისკენ და ერთმანეთს გადაეხვივნენ...

ბაკალავრეატს რომ ამთავრებდა, სამსახურის შოვნის საკითხი ისე გართულდა, რომ ლუნგ-მა არჩია გაეგრძელებინა სწავლა დოქტორის ნოდების მისაღებად, და ამ პროცესში სამშობლოში აღმოაჩინა სამსახური, თან ისეთი ხელფასით, რომელზეც არც კი უოცნებია.

ამერიკიდან გამგზავრების წინ, ცოლობა სთხოვა აპაო-ს, რომელიც მაშინ ამთავრებდა ბაკალავრეატს და არჩევანის წინაშე იდგა, სამსახური დაენყო თუ სამაგისტრო კურსი ერჩია. ლუნგ-მა უთხრა, „ცოლად გამომყევი, სინგაპურში ვიცხოვრებთ, ქალბატონი იქნები, სახლი გეპარება, ბლომად ბავშვებს გავაჩენთ, საქმის მეტი რა გექნება“.

8

ლუნგ-ი უნდა გამგზავრებულიყო სამ კვირაში და ეს დღეები თითქმის არც უძინია, იმდენს მუშაობდა. იმას ჰგავდა, გზარეული ახალგაზრდა რომ უცებ მიაგნებს თავისი ცხოვრების მიზანს და მთელი არსებით გადაეშვება ახალ საქმიანობაში, საამისოდ რომ არ იშურებს ძალას და ღონეს.

ლუნგ-მა იმით დაიწყო, რომ წესრიგში მოიყვანა ის ბინა, რომელსაც ადრე აქირავებდნენ. ბინა სინგაპურის ძველ უბანში იყო, რომელიც ქალაქის ძველ ცენტრს ეკუთვნოდა და სათანადო რემონტის შემდეგ, ბინას ფასი ემატებოდა. მაგრამ საქმე მაინც გართულდა, ლუნგ-ი ვერ იცლიდა რომ ოცდაოთხი საათი იმ ბინის მოწესრიგებისათვის დაეთმო, ვინაიდან ამ დროს საქმე ცუდად წაუვიდა მის კომპანიას შანხაიში; აპაო-საც, ახალმა ამპლუამ დედის როლში, ხელი შეუშალა რომ საქმისათვის მიეხედა.

ლუნგ-ის მოქმედება აკვირვებდა ცოლს: მან უცებ ძველი ყაიდის ბუნება გამოაჩინა, გაიძახოდა რომ ქალი ვალდებულია ბლომად ბავშვები გააჩინოს, და ასეთი კონსერვატიული წყობის პიროვნებამ უცებ შეცვალა თავისი პოლიტიკა და ხან რას ასკდებოდა და ხან რას! – თითქოს ფარვანა ყოფილიყოს, დასაღუპავად რომ ალისკენ მიიწევს; აპაო-ს განსაკუთრებით ის აოცებდა, რომ ლუნგ-ი ისეთ წამოწყებებში და ისეთ ურთიერთობებში ჰყოფდა თავს, რაშიც ხამად იყო და რაზედაც საერთოდ არა ჰქონდა არანაირი წარმოდგენა, თუმც ამას არასოდეს არ აღიარებდა.

ამ ვითარებიდან აპაო-მ მხოლოდ ის გაიაზრა, რომ მხოლოდ ვნებას შეუძლია გამოიწვიოს მიზიდულობის ასეთი ძლიერი, ჯოჯოხეთური ძალა. ეს ძალა ღრმად ჩამალულ მაგმას ემსგავსება, რომელიც საბოლოო ჯამში ფეთქდება, თავს დააღწევს თავის ჩაკეტილობას და ლავასებრ გადმოიღვრება, რათა ამცნოს თავს დამტყდარი უბედურება.

ესლა, როცა შანხაიში წასვლა დადგა დღის წესრიგში, თავისთავად გაჩნდა კრიზისისა და საბედისწერო მომენტის შეგრძნება; ცხადია, საქმე იქამდე არ მისულა, რომ ანდერძი დაენერა ან მემორანდუმი გამოეცხო, მაგრამ ფაქტია, რომ მისი დაბრუნება შანხაიში იმას უდრიდა, რომ ჩამხტარიყო მდულარე მორევში, ან აბრიალებულ ალში შევარდნილიყო. ამ ამბის ტრაგიზმი იმან განაპირობა, რომ ლუნგ-ი ვერ წარმართავდა თავის მომავალს, რაც მას წინ ელოდა.

ბინის რემონტს კი იმიტომ ჩქარობდა, „ვავითუ სამსახურში რამე ვერ აენყოს, მაშინ ამის ქირა მაინც გექნება გარანტირებული, მშვირები რომ არ დარჩეთ!“ აპაო სწორედ ამ სიტყვებმა აღაშფოთეს, რადგან შეატყო რომ ქმარი არ განიცდიდა სინდისის ქენჯნას, არ სცხვენოდა თავისი გეგმის, რომელიც მხოლოდ საკუთარ დაუინებაზე აანყო.

სამი კვირის განმავლობაში სახლში შუალამ ბრუნდებოდა, დასვრილი, დაღლილ-დაქანცული ბაზრებში და საწყობებში სირბილით, და ისე გამოიყურებოდა, თითქოს მოღური რეალიტი-შოუს მონაწილე იყო, ხალხი ცდილობს თავი გადაირჩინოს ველურ, უკაცურ ადგილებში.

მისი ასეთი შრომა და ძალისხმევა აპაო-ს მხოლოდ აკვირვებდა, და იმასაც ფიქრობდა, „რაკი ასე დაკარგა სინდისი, იქნებ აჯობებს რომ საერთოდ დავშორდე? ხომ უთქვამს ძველ ხალხს, რომ „როცა მოკვდები, მერე იწყებ ცხოვრებას“?

ლუნგ-მა აღარ გადადო არც ფინანსური მხარე. ბანკში შენახული თანხის მეტი ნაწილი აპაო-ს სათანაბრო ნიგნაკზე გადაიტანა, რათა მომავალში ცოლს გაადვილებოდა თანხის გამოტანა, მაგრამ აპაო-ს მაინც გულზე ცუდად მოხვდა ეს საქციელი, რადგან მსგავსება იგრძნო განქორწინების აქტის თანმდევ განწყობასთან; მეორე მხრივ, შანხაიში ქმარს ხომ სწორედ იმიტომ უშვებდა, რომ არ გაყრილიყვნენ?

ლუნგ-ის გამგზავრების წინა დღე იყო, შაბათი, და გადანწყვიტეს, ყველას ერთად ესადილა აპაო-ს საყვარელ ტაილანდურ რესტორანში, მით უმეტეს რომ ბავშვებს მშობლებივით უყვარდათ იქაური ცხარე და მჟავე კერძები, ყველთან ერთად ქოქოსის წვენი გამოყვანილი კარი, რასაც უწოდებდნენ „ზამთრისკუნფუსუს“.

მათი ბავშვები იმდენად იყვნენ გამინაურებული ამ რესტორნის გარემოსთან რომ იქ მისვლა ლამის შინ მისვლა ეგონათ. განსაკუთრებით ან ანი ხარობდა, მაშინვე წაეტანა მაგიდაზე დანყობილ ნამცხვრების არჩევანის ცვილის მულიაჟს. ამის დანახვაზე ლუნგ-ს წარბებ შორის ჩაკეცილი ნაოჭიც კი გაეშალა.

ერთად ტკებოდნენ ამ სურათით, ბავშვმა რომ პირველად სცადა თვითონ, თავისი ხელით ეჭამა სუფი, თუმცა სანამ კოვზს პირთან მიიტანდა, ნახევარი გზაზე დაექცა, მაგრამ უფროსებმა მაინც ტაშით დააჯილდოვეს მისი ინიციატივა, და ყველაზე მეტად ლუნგ-ი ხარობდა. ბედად, უფროსი ძმა არ ეჭვიანობდა სიყვარულის ასეთ ჭარბ გამოვლენას პატარა დაიკოსადმი, იუანიუ ანი რალაცნაირად გამოიცვალა, თითქოს „უცებ“ გაიზარდა, და მესამეკლასელმა, ცხრა წლის ბიჭუნამ, რომელიც აქამდე პირს არ აჩერებდა, ხმის ამოღებას არავის აცლიდა, ეხლა შეიგნო მამის წასვლა, და გადაიქცა სიტყვაძუნს, ლამის მდუმარე ბავშვად, რომლის ყურადღება სულ ერთ თავად მობილურის ეკრანზე და კლავიშებზე იყო გადატანილი, და არანაირად არ მონანილებოდა დანარჩენების მსიარულებაში.

აპაო-მ მზერა ქმარზე გადაიტანა და სიყვარულით სავსე მისი ღიმილი, როგორც ის შესცქეროდა ანანს, ისეთი ბუნებრივი და გულწრფელი იყო, რომ აპაო-ს ძველი დრო გაახსენა, როდესაც ერთად უსხდნენ ხოლმე სუფრას და მას ეგონა რომ ასეთი სიმყუდროვე და ბედნიერება არასოდეს დაირღვეოდა.

ეხლა კი, ამ სუფრასთან, უფრო თვითონ ცდილობდა ხოლმე გაღიმებას, მაგრამ მის ღიმილში მაინც იგრძნობოდა რალაც სიმწარე, თითქოს თვითგვემის შედეგი.

რომც არ სდომებოდა, მის წარმოსახვაში პარალელები და მოგონებები თავისით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, და ისიც გაახსენდა, ლუნგ-ი რომ დაიბრუნა, მაშინაც ამ რესტორანში აღნიშნეს ოჯახის გამთლიანება. მაშინ ლუნგ-ი გადაყოლილი იყო ყველაზე, ხან თევზზე გადაუღებდა დედას რაიმე ნაჭერს, ხან კოვზს თავისი ხელით პირთან მიუტანდა აპაო-ს, სახეზე კი არ უქრებოდა ჩადენილი დანაშაულით გამონეწული მორიდებული ღიმილი, ხოლო შინ რომ მივიდნენ, გამოუცხადა, რომ რაც შანხაიში მოხდა, ეს ყველაფერი სისულელეა და აპაო-ს თვალში კვლავ დაიბრუნებს ღირსეული ქმრის სახეს.

ლუნგ-ის თვითმფრინავი სისხამ დილას უნდა გაფრენილიყო. გაცილება უნდოდა, მაგრამ დედამთილი ჩაერია, „ამხელა მუცლით გზაზე ჭანჭყარი არაფერს გარგებსო!“ მერე კი უცებ შეცვალა სიტყვა და პირიქით, გამოუცხადა, „აქ სულ ხმაურია და რია-რია, ერთმანეთს ვერც კი დალაპარაკებინხართ, ამიტომ ისევ სჯობს, გაჰყვე და გზაზე მოახერხებთ საუბარს“. ამ ტონმა მიახვედრა აპაო, რომ დედამთილის თვალს არაფერი გამორჩენოდა, და არა სჯეროდა საბაბად მოგონილი იმ ზღაპრის, რომ „ლუნგ-ს შანხაიში რალაც საქმეები აქვს მისახედი“. ამიტომ შვილს ასე დაემშვიდობა: „დროულად მიხედე ყველაფერს და დროულად დაბრუნდი. შენს ზევით დასუსტებული ხნიერი ხალხია, შენს ქვევით კი პატარა ბალები, და ოჯახის გარეთ ვერ იქნები დამშვიდებული“. ცხოვრებამ გამოანართო და ბევრი რამ ასწავლა ლი სიუფენგ-ს, როცა უნდოდა თავსაც მოიკატუნებდა და ყრუ-მუნჯსაც ითამაშებდა.

ტაქსი მიქროდა ტრასაზე, ისინი ერთმანეთს მიკვროდნენ მაგრამ სიჩუმეს ინარჩუნებდნენ. სივნიროვეში დუმილის ატმოსფერო უფრო ამძიმებდა განწყობას და ყველაფერი „ქუნგპაი-ს“ ახსენებდა და ამიტომ უჭირდა ხმის ამოღება

ფიქრობდა, „ნუთუ ამ მომავალ ბავშვზე ზრუნვამ ისე დამცა, რომ მზადა ვარ, ჩავაბარო ქმარი მის ეშმაკეულ გატაცებას შანხაიში? ნუთუ საერთოდ დავკარგე ღირსების გრძნობა?.. რა მჭირს, პატრიარქალურმა აღმოსავლურმა შეგნებამ მძლია, „ქმრის დიდებაზე?“ თუ მხოლოდ ლაქუცით უნდა შემეძლოს დავიბრუნო მისი კეთილგანწყობა?!“

უკვე ეჩვენებოდა, რომ ისინი ფრონტის ხაზის საპირისპირო მხარეს აღმოჩნდნენ, თან უკვე ოკუპაციის ეტაპიც არის დაწყებული. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის დასავლეთში აღიზარდა და ტვინიც იქაურ ყაიდზე აენყო, მაინც უჭირდა სხვანაირად მოქცევა, თავისი რომ გაეტანა, რადგან შეჩვეული იყო თავის თავზე იმ აზრს, რომ სუსტია; თანაც, როგორ უნდა გაეშვა ხელიდან ის ერთადერთი კაცი, რომელიც რაც თავი ახსოვს, სულ უყვარდა?! თუმცა ეხლა ის უფრო ისეთ ჯოხს აგონებდა, რომელსაც არ ენდობი, ვერ დაეყრდნობი!... როგორ უნდა ანდოს ეს თავისი დამძიმებული თავი თუ სხეული?

აპაო-ს გული ერთს ამბობდა, გონება მეორეს; ასეთი გაორება მის არსში აღიბეჭდა, სადაც აღმოსავლეთი და დასავლეთი ერთმანეთს გადახლართვოდა, მაგრამ მან მაინც ის გზა აირჩია, რომელიც უშუალოდ „იმ წუთას“ უშველიდა; ეს უფრო ადვილი ეჩვენა – თუმცა, რა თქმა უნდა, შედეგი კიდევ მის მოთმენაზე იყო დამოკიდებული.

ლუნგ-ი ხმას არ იღებდა, მთლიანად მანქანაზე იყო კონცენტრირებული, აპაო პერიოდულად გახედავ-

და ხოლმე, თან კიდევ საკუთარ თავს ტუქსავდა, „ეხლა, როცა ნუთი-ნუთზე უნდა დაშორდნენ, ახლა რისი იმედი ჰქონდა, ისეთი რა უნდა ეთქვა ლუნგ-ს?“

„ოღონდ არ მითხრა, რომ რალაც უკვე გაქვს მოფიქრებული!“ – სცადა გახუმრება, მაგრამ ლუნგ-ი სიჩუმეს მაინც არ არღვევდა.

„ვერ ვიტან, როცა ასე ხარ გაჩუმებული!...“ – არც კი ელოდა, უცებ ამდენ ბრაზს თუ ამოაფრქვევდა, და ტუჩზე იკბინა.

„რამ გამაბრიყვა ასე, რომ დავთანხმდი და „იმ ქალთან“ ვუშვებ?“ და რაკი „იმ ქალის“ ხსენებაზე ლუნგ-ის რეაქცია ყოველთვის მძაფრი იყო, ამიტომ აპაო მით უფრო დარწმუნდა „იმ ქალის“ არსებობაში.

„მას შემდეგ რაც ორი თვე ოჯახში გაატარა, და კიდევ იქით მიუწევს გული, ნუთუ შეიძლება რომ კვლავ დამიბრუნდეს? სადაა აქ ლოგიკა? არა, იმათი მესმის, ვინც რალაცის გამორჩენის იმედით, ჭკუაზე არ არის – მაგრამ მე?! განა შეიძლება ასე გამოჩერდებოდეს და გრძნობას აყოლა? ვაითუ მოვკვდი? სამუდამოდ მიმატოვა და მოვკვდი?“ – პასუხად მხოლოდ გული ფეთქავდა გამალებით.

„არა, რა დროს სიკვდილია! ორი, ორი კი არა, სამი ბავშვი მბარია, იმათ ხომ ვჭირდები?!. ყველაფერი უნდა ვიღონო, რომ ოჯახი სამუდამოდ არ დაიშალოს.“ – ისე იყო გატაცებული თავის დამშვიდებით, რომ ბოლო სიტყვები ხმამაღლა წარმოსთქვა.

ლუნგ-ი შეცბა და მანქანა იქვე, გზის პირას მიაყენა.

„შემიძლია დავრჩე!“ ლუნგ-ი გამწარებული გამომეტყველებით მიაჩერდა აპაო-ს, სახეზე მკვდრის ფერი ელო; ამ ორი თვის გამავლობაში მგონი პირველად გაუსწორა თვალი.

„განა არ მესმის რომ უსინდისოდ ვიქცევი!“ ამ სიტყვების გაგონებაზე, აპაო-ს თითქოს მათრახი გადაუჭირეს.

„მე არასოდეს არ მიმაჩნდა, რომ უსინდისო ხარ!“ აპაო-მ ტუჩზე იკბინა, რომ ცრემლები შეეკავა. „თავს შეურაცხყოფას ნუ აყენებ. ასე რომ ყოფილიყო, შენთან არც ვიქნებოდი!“

„მაშინ მითხარი, რა გინდა ჩემგან?“ – ძლივს გასაგონი ხმით ჰკითხა, და აპაო-ს სახეზე გაოცება რომ შეატყო, კითხვა ინგლისურად გაუმეორა.

ცოლმა მხრები აიჩეჩა, რაც უსიტყვოდ ნიშნავდა, „შენ უკეთ მოგეხსენება“.

„მე ვგულისხმობ, ეხლა, ამ ნუთას... სად ვარ ვალდებული რომ წავიდე?“ – ეს მისი პასუხი უფრო დანაკარგით გამწარებულის პასუხს ჰგავდა, ვიდრე დანანებას და მობოდიშებას.

განხიბლული კაცის ტონით ნათქვამი სიტყვები გულზე მოხვდა და აპაო-მ არ დააყოვნა პასუხი: „ნადი, გაფრინდი. არც ისე მდიდრები ვართ, რომ საერთაშორისო რეისზე ალებული ბილეთის ფული გავანიავოთ.“ – მერე საათს დახედა, ყელში მომდგარი ოხვრა დაძლია და ჩუმად დაამატა: „მაპატიე. გადანყვეტილი მქონდა, აღარ მესაყვედურა და არ ვიცე, რა დამემართა!..“

„ეგ არაფერი, რაც შენ სულგრძელობა გამოიჩინე, ისიც საკმარისია.“ ლუნგ-მა დაქოქა მანქანა და კვლავ შოსეზე გადავიდა, ცალი ხელი მხარზე მოხვია ცოლს.

აპაო-მ მხრიდან მოიშორა მისი მკლავი. როდესაც ლუნგ-ი მიილტვოდა ხოლმე მისკენ, რომ უფრო ინტენსიურად ეგრძნო მათი სიახლოვე, აპაო მთელი თავისი არსით ეწინააღმდეგებოდა ამას. ეხლა კი ცივად და ცინიკურად ჩაეცინა: „ყველაზე მეტად, იცი ეხლა რას ვინატრებდი?“

ლუნგ-ი მიაჩერდა, მაგრამ მალევე მიაბრუნა სახე, თითქოს ვერ მოზომა და ხელით დასწვდა ცხელ კარტოფილს.

„ნეტავი ერთხელ მაინც გადამაქცია ნათრევ, უვარგის ქალად!“

თვითონ გაოცდა ასეთ დაუფარავ პასუხზე, ლუნგ-ი კი ისე გაოგნდა რომ პირლია მისჩერებოდა.

„მაგრამ ეხლა, ეჰ!“ სარკასტულად დაიხედა უზომოდ გასიებული სხეულზე და დაამატა, „სადღაა სამაგი-სო რესურსი და კაპიტალი!“ მერე ჩამონია საქარე მინის თავზე დამაგრებული, მზის შუქის მოსაჩრდილებელ ფირფიტა და საკუთარ სახეს დააკვირდა შიგ ჩასმულ სარკეში: თვალები, ცხვირი, ქუთუთოები, მთელი სახე ისე ჰქონდა შეშუპებული რომ საკუთარ თავს ვერ ცნობდა, ნაკვეთებს დაჰკარგვოდად ჩვეული მოხაზულობა, ხოლო ცხვირი ის ულაპლაპებდა, ჩანდა რომ კანის დაჭიმულობამ ზღვარს მიაღწია.

როგორ შეიძლება ასეთნაირად დამახინჯება? რამდენი ხანია, თავს ასე არ დაჰკვირვებია და ისეთი ზიზღი გაუჩნდა საკუთარი თავის მიმართ, რომ გულში მიმართა თავის ანარეკლს, „ასეთ ქალს რომელი ქმარი გაუჩერდება?“

„გულთან ძალიან ახლოს ნუ მიიტან, მოძულეებულ ცოლს ხომ აქვს უფლება რომ წაინუნუნოს...“ ჩუმად, ჩამქრალი ხმით წარმოსთქვა აპაო-მ და დაამატა: „ეს შენი დაჩემება წასვლაზე, აზრტული თამაშითაა – ან დაბრუნდები, ან წახვალ და აღარც არასდროს გამოჩნდები“.

ეს წარმოსთქვა და შეშინდა, რადგან ადრეც ზოჯერ შეუმჩნევია: უცებ, ანგარომშიუცემლად წამოსრო-ლილი სიტყვა, მერე წინასწარმეტყველებად ქცეულა. ამიტომ გაჩერდა, ქვეცნობიერად ელოდა, რომ ლუნგ-ი იუარებდა, მაგრამ მას ხმა არ ამოუღია, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ შენიშნა: „რაც არ უნდა მოხდეს, მაინც

იმედი მაქვს რომ ერთმანეთის მტრებად არ გადავიქცევით“.

მანქანის საჭის ზემოთ მოსრიალე გზას თვალს არ აშორებდა, მაგრამ ორივე თვალიდან ცრემლი გადმოუგორდა. აპაო-მ ხელი ხელზე გადაუსვა. ლუნგ-მა ცალი ხელი საჭეს მოაშორა და ხელში ჩაავლო. მთელი დარჩენილი გზა ასე იმგზავრეს, მანქანა ცალი ხელით მიჰყავდა და მეორე ხელი აპაო-სთვის არ მოუშორებია.

9

„ეხლა ძალიან დაკავებული ვარ, ძალიან, მე თვითონ დაგირეკავ როცა მოვიცლი, შენ ნუ მირეკავ!“ ლუნგ-მა სხაპასხუპით მიაყარა, ეტყობოდა ერთი სული ჰქონდა რომ მილი დაეკიდა.

დილა იყო და აპაო-მ იფიქრა, იქნებ სამსახურში ეჩქარება, უდრო-უდროოდ დავურეკე და ამიტომ ჰქონდა ასეთი ტონი, „მაგრამ ნუთუ ერთი ნუთიც მაინც არ ჰქონდა რომ რამე ეთქვა?“ და მიხვდა, რომ ლუნგ-ი მარტო არ იქნებოდა, ვილაცასთან ერთად იყო და ამიტომ უმაღლე უფრო მტკიცე ხმით უპასუხა, „კარგი, კარგი, არ დაგაყოვნებ, ვხედავ რომ არა გცალია, აღარ დაგირეკავ“.

აპაო-მ დააგდო ყურმილი და ხმამ შეახტუნა ჩაძინებული ჩვილი, აღარც გახსენებია რომ ბავშვი იქვე ეწვა სიცხიანი, წინა დღით ექიმთან დასჭირდა მიყვანა.

ეხლა თვითონაც მიწვა ორადგილიან საწოლში. ლუნგ-ის არყოფნის გამო საწოლი უზარმაზარი ჩანდა. ცრემლი ჯერ კენჭად დაგორდა ლოყაზე, ერთი ნუთის მერე კი სახე ბალიშში ჩარგო, ტიროდა, გმინავდა და ეს ხმა უკვე გალიაში გამომწყვდეული ნადირის ყმუილს უფრო ჰგავდა.

დიდი ხანია, რაც აღარ უტირია, რადგან ვერ იცლიდა საამისოდ – დედამთილთან ერთად სამი ბავშვის მოვლით იყო დაკავებული, გარდა ამისა, ორივემ გადაწყვიტა მეორე სპეციალობის მიღება და სალამოს სკოლაში უწევდათ სიარული კვირაში ორჯერ, და სად იყო იმის დრო, რომ ცრემლის საღვრელად გამოეყო?! ალბათ, ამ გზით უმაგრებდა სულს და გულს ზენაარსი.

ქალის საფიქრალს კიდევ ახალი სადარდებელი დაემატა, ჩვილის სიცხე. მართალია, ორი ბავშვის გამოცდილება უკვე ჰქონდა, მაგრამ მაინც ლელავდა, და უცებ მიხვდა რომ თვითონ გააცია ბავშვი, როდესაც წინადღით კონდიციონერს უმატა და მონაბერ სიგრილეში ჩაეძინა – თუმც მერე ბავშვის ხველამ გამოაღვიძა.

ისიც აფიქრებდა, რომ ტენიანი სიცხით გამოწვეული უძილობა შეიძლება კლიმაქსის მანიშნებელი იყო, მართალია, ოცდათექვსმეტი წლის ქალისთვის ასეთი რამ ნაადრევია, მაგრამ... ექიმს რომ მიმართა, „ნაადრევიც არსებობს და ფსიქოლოგთან მიდიტო!“ ასე რომ, კვლავ ფსიქოლოგის მონახულება ურჩიეს! არადა, ისეთ დღეში ჰქონდა ნერვები, რომ მარტო ამ რჩევის გაგონებაზე შეიძლება ისტერიკა დამართვოდა.

გრძნობდა, რომ დააშავა, და ბავშვის ავადმყოფობა მისი ბრალი იყო, და ეხლა უკვე ის აშინებდა, „თუ ასე მიჭირს ჩემი თავის კონტროლი, ხომ შეიძლება კვლავაც გავიმეორე რაიმე სისულელე?“ ამიტომ დაურეკა ქმარს, რომ რაღაცნაირად გული გადაეყოლებინა მასთან საუბრით: ეგონა რომ მისი ინფორმირებით, სადარდებელიც თითქოს შეუსუსტდებოდა, აღარ იქნებოდა ასეთი „ინტენსიური“ – რა იცოდა, რომ საფიქრალის გაზიარება ასე დასრულდებოდა!

რაც უფრო გადიოდა დრო, ლუნგ-ი მით უფრო იშვიათად რეკავდა. როცა აპაო ურეკავდა, ის რაღაცას იმიზეზებდა, რომ ან „ზარი ვერ გაიგო, ან ტელეფონი ჰქონდა გათიშული“. ხანდახან ისიც ყოფილა, ტელეფონში ხმაური და მუსიკის ხმა ესმოდა, ამიტომ ამჯერად გადაწყვიტა დილით დაერეკა, რომ თავისი ზარით ლუნგ-ი რესტორანში არ შეენუხებინა.

უკვე ექვსი თვე იყო გასული მისი გამგზავრების დღიდან, და ამ ხნის მანძილზე სულ ხუთი დღით იყო ჩამოსული, აპაო-ს მშობიარობის დღეებში; თან მისი ჩამოსვლა ცოლის მონახულებას კი არ ისახავდა მიზნად, არამედ მხოლოდ ბავშვის ნახვას, როგორც ჩინეთში იტყვიან „თავის ნაყოფის“ ნახვას. ასე რომ, ლუნგ-ი ამ შემთხვევაში უფრო ჩინური ტრადიციის მიმდევარი იყო, იმის მიუხედავად რომ ამდენი წელიწადი ამერიკაში გაატარა; კიდევ ამიტომ ვერ განიმსჭვალა დასავლური ღირებულებებით – თუნდაც სხვისი მიწების მითვისების სურვილის თვალსაზრისით, და ინარჩუნებდა ეროვნულ ხასიათს; ეს თვისება იმაშიც კი გამოჩნდა, რომ განქორწინების წინააღმდეგი იყო, რადგან იმ კატასტროფის ვითარებაში, რომელშიც მათი ოჯახი აღმოჩნდა, ლუნგ-ს არასოდეს უცდია თავის არიდება თავისი ვალდებულებებისაგან შეილების მიმართ.

დილით განწყობა სრულ უიმედობად ექცა, და ვერც ის შველოდა, როცა იხსენებდა ქმრის მიცემულ ფიცს, რომ „ჩვენი ცოლ-ქმრობა სიყმაწვილიდან დაიწყო, მე არასოდეს არ მიგატოვებ, და ამიტომ გთხოვ, მადროვო.“

ლუნგ-ისთვის ამის თქმა ნიშნავდა რომ სიტყვას არ გადავიდოდა, მაგრამ რას ნიშნავდა ეს სიტყვები აპაო-სათვის? ცოლის მიტოვება არ იყო მთავარი საკითხი; აპაო-ს ის აინტერესებდა, ლუნგ-ი თუ კვლავ აპირებდა ასეთი ვითარების შენარჩუნებას.

აპაო თავს ირწმუნებდა, რომ ესეც უნდა ეთმინა, ისევე და ისევე ბავშვების გამო. მაგრამ გულში მეორე პასუხიც ჰქონდა გამზადებული: „მშობლების ერთად ყოფნა თავისთავად არ განაპირობებს ბავშვების ბედნიერებას, რადგან თუ ცოლ-ქმარს არ უყვარს ერთმანეთი, პატარებისთვის ეს უარესი მაგალითია.“

„ადამიანთა მოდგმას ასე მოსდევს ათა-პაპიდან: ყველას ელის რაღაც გამოცდა, ერთი თუ არა, მეორე;

და თუ განგებამ მხოლოდ დედა გამოიმეტა, ეგ უნდა იკმაროთ!“ – ასე დასჩურჩულებდა ხოლმე ბავშვებს, როცა ტუბილად ეძინათ, თან საკუთარ თავსაც აჩვევდა ამ აზრს.

ასე რომ, აქამდე არ ღირსებია ოდნავი მინიშნებაც კი ლუნგ-ი დაბრუნებაზე. აპაო-ს ყოველ ზარზე იგივე მეორდებოდა: „მადროვეო“, და არავითარ შემთხვევაში არ უხსნიდა ასეთი ქცევის მიზეზს.

ეხლაც, როცა ირგვლივ ყველას ეძინა და ის იყო, აპირებდა, „ცრემლით გული მოვიოხო“, რომ ტელეფონმა დარეკა.

„ნუ მინყენ, ეს ნუთია ავდექი, ეხლა მოხსენება მაქვს დასაწერი და აეხლავე უნდა დავასრულო, ამიტომ დიდხანს ვერ დაგელაპარაკები, არ მინდა ძალიან მოვშორდე დასაწერ თემას და დამერღვას აზრების წყობა“.

აპაო ხმას არ იღებდა. ან რა უნდა ეთქვა, როცა ლუნგ-მა დაასწრო და გასამართლებელი საბაბიც მოახსენა. „ამაზეც დიდი მადლობა, რომ „შემეხიდა“, ძალიან რომ არა მწყენოდა კარგად ესმოდა, რომ სამსახურში მიმავალმა დაურეკა, მაგრამ საპასუხო სიტყვა თავში არ მოსდიოდა; ამასობაში ცხვირი გაეგუდა, ცრემლები წასკდა! ცალკე ცრემლები, ცალკე ცხვირიდან უცებ ღვარად წამოსული სითხე – რა დღეში იყო! ქალაქის ცხვირსახოცით ებრძოდა ამ ღვარს, თან ხმას არ იღებდა, რომ ლუნგ-ს არ გაეგო მისი სისუსტის მომენტი.

„აპაო, გესმის ჩემი ხმა?“

აპაო უკვე სამზარეულოში იყო, მობილური ზედ მიიკრა რომ ხმა ჩაეხმო. ონკანი გახსნა და სველი ცხვირპირი მოიბანა.

„ეხლა, რა... უკეთ ხარ?“ – შეკითხვაში შენუხება და ზრუნვაც იგრძნობოდა.

„არა, არაფერია, ცოტა გავცივიდი“ – დაუფიქრებლად, რაც პირზე მოადგა, ის უთხრა.

„ააა...“

ჯერ გააგრძელა, მერე კი თემა პატარებზე გადაიტანა: „ისინი როგორ არიან?“

„ნუხელ BB-ს სიცხე ჰქონდა“

„ოოო...“ – კვლავ გააგრძელა ლუნგ-მა და მიიმედ ამოიოხრა.

„ეხლა სად არის?“

„აქაა, ჩემთან“

„ხმა რომ არ ისმის? სძინავს?“

ზრუნვის თვისება იგივე შერჩენოდა; ბავშვებზე ზრუნვაში რომ დახმარებოდა, აპაო-ზე ბედნიერი ქალი არ იქნებოდა!

„კი, სძინავს. გუშინ გავწვალდით, ხან კლინიკაში, ხან სახლში! ეხლა აღარ აქვს, სიცხე დაუცხრა“

ლუნგ-მა შვებით ამოისუნთქა.

„მერე... შენ ალბათ ძალიან იღლები...“

ჩანდა, როგორ უჭირდა დამამშვიდებელი სიტყვის მოძებნა.

„თუ მოვრჩით სალაპარაკოს, ვთიშავ ტელეფონს.“

„არა! აპაო!“ იყვირა ლუნგ-მა.

აპაო გაგრძელებას ელოდა.

მანძილზე მეტად, მათ გამყოფ კედლად ეხლა დუმილი გაქვავებული აღმართულიყო.

„კარგი, თავს ძალას ნულარ ატან, ხომ ხედავ, რას გავს ჩვენი საუბარი – ერთი – ალთას, მეორე – ბალთას!“ დააყოლა დედამთილისაგან გაგონილი გამოთქმა.

ლუნგ-ი ნუთით გაჩუმდა, თითქოს ვერ გაეგო, ცოლი რას გულისხმობდა, მერე დასძინა:

„რასაც შენ აკეთებ, ბავშვებს რომ უვლი – ცხოვრებაში ვერ ამოვალ შენი ვალიდან!“

„მე დედა ვარ, და ეს ჩემი ვალია; შენ თუ ვერ ახერხებ შეასრულო, რაც მამას ევალება, მე ხომ ვახერხებ მათ მოვლა-პატრონობას!“ მის მკაფიოდ ნათქვამში ძალაც ისმოდა, და ისიც რომ არ აპირებდა გაუთავებელი მის ლოდინს.

პაუზის შემდეგ ლუნგ-მა უპასუხა: „ნუ მანვები“.

„რას მეუბნები? ოდესმე ყოფილა, რომ მე შენ განვებოდი? რაც ეს ამბავი დაიწყო, სულ გითმენდი, სულ იმას ველოდი, რომ დადგება დღე და დაბრუნდები, შენს დაპირებას შეასრულებ, ან სულაც იმ შენს ქალბატონთან ერთად მობრძანდები და გამომიცხადებ, რომ განქორწინება გინდა, რადგან სხვაზე უნდა იქორწინო!“ – თვითონაც გრძნობდა, რა ბრაზი და ბოღმა ისმოდა მის ხმაში; მაშინვე ინანა, იმდენად უცხო იყო მისი ბუნებისათვის ასეთი გრძნობა – და ცხოვრებამ კი რად აქცია!..

„შენ რომ გიზის წარმოდგენაში, მე აღარა ვარ ის ქალი, არა ვარ მორჩილი წმინდანი! ამ ბოლო დროს ვუფიქრებდი ჩემს არსებობას, და მინდა იცოდე, რასაც ვაპირებ: მე უკან ვიხევ!“

ამის თქმა მხოლოდ ინგლისურად მოახერხა, თითქოს ენამაც უფრო გაუადვილა ამის გამოთქმა.

კვლავ ჩამოვარდა სიჩუმე, კვლავ აღიმართა მათ შორის დუმილის კედელი.

„კარგი, თუ არაფერი გაქვს სათქმელი, დაკვიდებ მილს“

„ნუ, აპაო, ნუ!...“ – და მის წამოძახილს მოჰყვა ლუნგ-ის ქვითინი. აპაო-ს აქამდე ის არასოდეს ენახა მტირალი, არც არასოდეს გაეგონა მისგან ეს ბგერა! ეხლა კი ბავშვივით ღრიალებდა მანქანაში, რომელიც სადღაც საცობში იყო გაჩხერილი. და მერეღა მიხვდა, იმ ხმაურის ფონს, რაც ყურში ჩაესმოდა: მანქანების კლაქსონები, პოლიციის მანქანების სირენები, ყველაფერი ერთმანეთში არეულიყო და დრო და დრო იფარებოდა ბებერი პენსიონერის ხმით, რომელიც ცდილობდა რალაცნაირად მოძრაობის რეგულაციას და მეგაფონში ჩასძახოდა ფეხით მოსიარულეებს – ისინი კი, შანხაელთა მანერის შესაბამისად, არად აგდებდნენ შუქნიშანის წითელ ფერს.

... და ასეთ, ჭეშმარიტად მეგაპოლისის საკადრის ხმაურში, სიყვარულის ხაფანგში მოხვედრილი სამი შვილის მამა, ტიროდა და არ იცოდა, რა გზით დაეღწია თავი ამნაირ მდგომარეობიდან.

„რაკი დათმობა არჩიე, მაშინ ბოლომდე დარჩი კეთილი, მე კი დამაცადე! და გახსოვდეს, არას გზით არ დავუშვებ ამ ოჯახის დაშლას!“ – ამის თქმა მაინც მოახერხა – „არას გზით!“

„ღმერთის არ გემინია?“ გაიფიქრა აპაო-მ: „ღმერთმა იცის, რისი წყალობით შერჩა ამ ოჯახს რალაცა სახე; ღმერთმა ქნას, და მართლაც შეასრულოს თავის პირობა“ – თუმცა ქალისთვის ეს ცხოვრება უკვე ისეთ არსებობად იქცა, როგორზეც იტყვიან, „ამ დღემ განვლო, და ხვალისა – ხვალემ იკითხოს“. და ნუთუ მართლა, შეიძლება უკან დაიხიო და მიაღწიო მეორეხარისხოვან მიზანს?

ცხოვრების ბორბალი თავისას მიერეკება, მიდის და მიგორავს. საათს შეხედე, კედელზე რომ ჰკიდია: როგორ გარბის დრო, როგორ ტრიალებს, და ნუთუბი დაუნდობელნი იმ ზარს რეკავენ, რომ გაგაღვიძონ და მოგინოდონ – ფრთხილად იყავი!

საათის ისარმა ცხრა აჩვენა, უკვე ერთი საათი გასულიყო მას შემდეგ რაც შეწყდა საუბარი.

აპაო ცდილობდა აღარ ეფიქრა თავის განცდაზე, რომ დედამთილს მოსვლისთანავე არ შეეცყო, რომ რალაც მოხდა.

ამიტომ ადგა, შხაპი გადაივლო, ფენით თმა შეიმშრალა, დასიებულ ქუთუთოებზე კრემი წაისვა, ფერადი მაისური ჩაიცვა – ერთი სიტყვით, ეცადა, გაექრო მომხდარის კვალი.

მართალია, რამდენიმეჯერ ისევ მოეძალა ტირილის სურვილი, მაგრამ არ გასჭირვებია მისი დათრგუნვა.

ლი სიუნფენგ-მა რომ შემოდგა ფეხი ბინაში, რძალი ჩაკუნტული დახვდა კაფელის იატაკზე და ვედროში ჩასხმულ თეთრს სარეცხ ხსნარში ამოვლებული ჩვრით, გამალებულად ხეხდა უკვე ისედაც სუფთა იატაკს, თითქოს უნდოდა რომ დანა-ჩანგალივით ებრწყინა და ელაპლაპა.

კონდიციონერი თუ არ იყო ოთახში ჩართული, იმ ტროპიკულ სიცხეში ოდნავი მოძრაობაც კი ოფლის ღვარად იქცეოდა და ამიტომ აპაო თმიან-მაისურიანად, სულ მთლად სველი, გასანური იყო – მაგრამ ერჩია, რომ ეკონომია გაენია და კონდიციონერი ისევ ღამე ჩაერთო, რომ ძილი შეძლებოდათ, ასეთი ყაირათიანობა კი დედამთილისაგან ისწავლა.

კონდიციონერს დილაადრიან თიშავდა, მზის ამოსვლისას. გაღებულ ფანჯრებს ფარდებს აფარებდა, და ოთახში შემოსულ სიცხის მიუხედავად, მაინც ახალისებდა სუფთა ჰაერის შეგრძნება.

ლი-მ რომ დაინახა ლოყაანითლებული და ოფლში გახვითქული რძალი, ელდა ეცა: „რა გჭირს, რა მოხდა, იტირე?“

აპაო ამ მომენტისთვის უკვე შინაგანად მობილიზებული იყო და ცუდად ყოფნა იუარა:

„დედა, ერთსა გთხოვთ, ცოტა ხანს საძინებელში შედით, პატარას ჯერ კიდევ სძინავს, ასე რომ დრო მაქვს, აქაურობას მივხედო, თქვენ ნუ სწუხხართ!“

ლი-მ ერთი პირობა სცადა დახმარებოდა: „ცოტაოდენი ფიზიკური დატვირთვა არც მე არ მანყენსო,“ მაგრამ აპაო-მ ზრდილობიანად გვერდზე გასწია.

„ლუნგ-მა დარეკა?“ – შეეკითხა დედამთილი, და თან გამორდა, რომ აპაო-ს ჰგონებოდა, რომ ვერ შეამჩნია მისი ნამტირალევი თვალები.

„გაგებით კი გავაგებინე, მაგრამ ჩქარობდა, სამსახურში აგვიანდებოდა და ლაი-ლაის თავი არა ჰქონდა“.

ისე ელაპარაკებოდა, თითქოს არაფერი მომხდარიყო; ამ დღეებში ირწმუნა, რომ ცხოვრება თეატრია, ოჯახი სცენაა, თვითონ კიდევ ცდილობს კარგად ითამაშოს დადებითი ქალი-პერსონაჟის როლი.

„კი მაგრამ, რალა დარჩა, ცოტაც და ძველი ახალი ნელი დადგება, საგაზაფხულო ზეიმის დღეები, და რას ფიქრობს, შინ არ ჩამოვა?“

„ვაი, რა დრო გასულა! ნუთუ უკვე ერთი წელია, რაც...?“

ამ თარიღის გახსენებაზე თითქოს რალაცამ გულში უჩხვლიტა. შარშან ამ დროს დაორსულდა, აგერ უკვე წელიწადიც გავიდა მას შემდეგ, მოგონებები კი ისეა ჩაფლული მეხსიერების ბურუსში, თითქოს მეტი დრო გასულიყოს.

შარშანდელის შემდეგ განცდილმა ცვლილებების პოლუსებმა, თითქოს ერთმანეთს დაუპირისპირეს დრო და სივრცე.

მაშინ, თავიდან თითქოს ერიდებოდა, მერე გულში ჩაიკრა, და როცა აპაო იხსენებდა იმ ღამის ამბებს, დარწმუნდა, რომ მაშინ მათი იმპულსური სიახლოვე მისმა ტემპერამენტმა კი არ განაპირობა, არამედ უბრალოდ, ლუნგ-ი საკუთარ თავს ებრძოდა.

ასე რომ მაშინ, სიყვარულის აქტის სიცხოველე უფრო თავგანწირვით იყო ნაკარნახევი, როდესაც ადამიანი მზადაა შეფრინდეს ფანტაზიით დახატულ მირაჟში.

მეორე დღეს ლუნგ-ი წავიდა და აპაო-ს გულში დარჩა სიცარიელის და მარტოსულის შეგრძნება, დამცირებასთან ერთად არეული, თითქოს ეს ყველაფერი მის დასაცინად მოხდა.

დედამთილმა რომ შეახსენა ის დღეები, გული აუჩქროლდა, არც იცოდა, რა ეთქვა, ქალი კი პასუხს ელოდა.

„კი, როგორ არა“ – აპაო-ს თავი ჩაელუნა და მოკუნტული ისე ხეხდა გაპრიალებულ იატაკს, თითქოს ვერც ამჩნევდა მის სისუფთავეს და პასუხს გზადაგზა იგონებდა: „ასე სთქვა, რომ ჯერ არ გადაუნყვეტია“.

„ვფიქრობ, ამჯერად როცა ჩამოვა, შინ კი არ შევხვდეთ ახალ წელს! არ სჯობია, იახტით გავისიერნოთ?! არაფერი გაქვს საფიქრალი, არაფერი არ განუხებს, მთელი ეს დრო ერთად იქნებით! იახტის ფული ნუ გაფიქრებს, ეგ ჩემზეა!“

ლი რაღაცას აკეთებდა სამზარეულოში და თან სიცილნარევი ხმით უხსნიდა: „ჩათვალე, რომ დაუგეგმავ თანხას წავანყდით. დიდი ხნის წინათ რაღაც აქციები ვიყიდე და ეხლა თურმე მალლა ავარდა მათი ფასი, ამიტომ ვთხოვე ნაცნობ მაკლერს დახმარება და ოქროს წვიმად დამიბრუნდა ეს ყველაფერი.“

თავჩაღუნულმა აპაო-მ ეხლა სიცილი აურია ზღუქუნის ხმაში, თან მალი-მალ ოფლს იწმენდა.

„ნუთუ მართლა? მართლა, ზღაპარია!“ – და დედამთილის ხალისი რომ უპასუხოდ არ დაეტოვებინა, გაუცინა და განახლებული ენერგიით განაგრძო იატაკის ხეხვა.

„აბა რა, თან ახალი წელია, თან იახტაზე ხარ, ამას რამე სჯობს? თითქოს ყველა დღესასწაულს ერთად ვზეიმობთ!“ – და სიცილით რომ ახედა სამზარეულოს კარში ჩამდგარ მომღიმარ დედამთილს, დარწმუნდა რომ ორივენი მშვენიერი მსახიობები იყვნენ და პირნათლად ასრულებდნენ თავ-თავის როლს.

- 10 -

კიდევ სამი თვე გავიდა, პატარა BB უკვე ექვსი თვის გახდა, განვლილი დღეები ძველებურად დამქანცავი იყო.

უკვე ორი თვე შესრულდა, რაც ლუნგ-ისგან არაფერი სმენია, და უკვირდა, რადგან ერთი პერიოდი იყო, დღე არ გავიდოდა, რომ არ დაერეკა. საუბრის თემა ყოველთვის ბავშვები იყო, დრო და დრო ოჯახის რაღაც ამბებს იკითხავდა, მაგრამ მაინც იგრძნობოდა რომ ასეთი უსაგნო საუბარი მხოლოდ უვერტიურა იყო სულ სხვა თემისა. ლუნგ-ი ჰგავდა ფსიქიურად დაავადებულ პერსონაჟს, ვინც მსმენელს ეძებს და აპაო-ს მოერგო ეს როლი, რომ მისი ჩივილი და წუნწინა ესმინა.

ფაქტი ის იყო, რომ თავლობის თვიდან მოყოლებული, მათი ურთიერთობა გულის გადაშლაზე იყო აგებული, მაგრამ მათ დაშორებამ და ფიზიკური კავშირის გაქრობამ თანდათანაობით აღადგინა მათი სულიერი კავშირი, და ლუნგ-ს კვლავ გაუჩნდა სურვილი, მოეჩივლა და გული გადაეშალა.

ამგვარ მის განცდას აპაო-მ ხალხური გამოთქმა მიუსადაგა: „კენესა ისმის, და ტკივილი – არა“.

ეხლა იმით იყო უკმაყოფილო, რომ განიხიბლა შანხაიში მისი ეხლანდელი სამსახურის შედეგით: კომპანია ამერიკული იყო, ხელფასი პატარა, თან უმეტეს ნაწილს აპაო-ს უგზავნიდა, და „ყველაფერი მოზეზრდა – რომ 9-დან 5-მდე სამსახურში უნდა ერჭოს, რომ ოჯახის ტვირთი ყელში ამოუვიდა, რომ რაც ვვალეობა – ზედ აკიდებულ ბარგად გადაექცა...“

„მერე, ეგენი ვის ეხალისება?“ იწყინა აპაო-მ – „თუ არ მერჩივნოს 9-დან 5-მდე ოფისში ჯდომა! ის კი არა, ორმაგ სამუშაოსაც შევასრულებდი!“.

ამას რომ ფიქრობდა, ხელი პირთან ჰქონდა მიტანილი, „მართლა არ წამომცდესო“.

საერთოდ დაინესა, რომ „არ უნდა შეედავო, თუ გინდა რომ გაგრძელდეს საუბარი.“

სულ განიცდიდა იმ აბსურდს, რაშიც თავი ჩაიგდო: „როგორ უნდა იყოს ქმრის ერთად-ერთი მშველელი და ნუგეში ცოლი – რომელიც ქმარმა თითქმის საერთოდ მიატოვა?“

დრო და დრო კი ეჩვენებოდა, „ეს ვითარება ხომ არ ნიშნავს, რომ შინაგან ბრძოლას განიცდის, და დაბრუნება სურს?“

ამას ის აზრი მოსდევდა, რომ „მეგობრად უფრო ვივარგებდი, ვიდრე მის ცოლადო!“ მაგრამ თავს ხომ ვერ მოიტყუებდა, და მათ ცოლ-ქმრულ ურთიერთობას ვერ გადაიყვანდა მეგობრულის წესებზე.

მეორე მხრივ, ლუნგ-ის რეგულარული ზარები სწორედ რომ ცვლიდნენ და ახლებურ ყაიდაზე „აღაგებდნენ“ მათ კავშირს.

აპაო-ს ეხამუშებოდა ასეთი ცვლილება, მაგრამ მის ძალას აღემატებოდა რაიმეს შეცვლა, ვინაიდან ამ სტადიას ისინი წელა, თანდათანობით მიაღდგნენ, თანმიმდევრულად, მძიმედ – თან თითქოს „თავისთავად“!

ამ მდგომარეობას სხვა შედეგიც მოსდევდა: მოთმინებადალეულს, ფსიქიკური დარღვევის და აშლილობის ზღვარზე მისულს, რძე უშრებოდა, ბიბის კი ხელოვნური საკვები წყენდა, იმუნიტეტი ეკარგებოდა და ავად ხდებოდა... – აქ კი აპაო საერთოდ კარგავდა ჭკუას და გონებას!

და მაშინ იწყებოდა მისი სატელეფონო სტიქია: ადიდებული წყალი რომ მოვარდებოდა და წალეკავს იქაურობას გაზაფხულზე, ისე იღვრებოდა მის პირიდან ნაკადი და ზღვარი სიტყვების, მისი გრძნობების და განცდების სიღრმიდან ამოფრქვეული, და ვერაფერი აკავებდა მათი რისხვიან გამონათებას მრუმე გაშმაგების ტალღებში; თვითონაც არ ესმოდა, რას გაიძახოდა, არათუ აძლევდა ლუნგ-ს საშუალებას, სიტყვა რომ ჩაერთო.

ხმას აუნევდა, ლუნგ-იც აჰყვებოდა, აპაო კვილზე გადადიოდა, ლუნგ-ი – ყვირილზე, მერე ხმა უწყებოდათ, ლამის ხავილზე გადადიოდნენ, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ დაასწრებდა ტელეფონის დახეთქებას და საუბრის შეწყვეტას, თუმცა აპაო მაინც ჯობნიდა ამაში, რადგან მას უფრო მეტი დაუგროვდა – ტკივილიც, და სასაყვედუროც.

ჩინურმა ახალმა წელმაც ჩაიარა, BB ჯერ სამის არ გამხდარიყო.

ლუნგ-ნი არ აპირებდა ჩამოსვლას, მიუხედავად იმისა რომ დედამისს ისეთი თანხა ერგო აქციების გაყიდვიდან, რომ მთელი ოჯახი მოახერხებდა მშვენიერი საახალწლო არდადეგებით აღენიშნათ მისი ოჯახში ჩამოსვლა; სინამდვილეში, ლი სიუფენგ-ს უფრო რძლისა და შვილის დაკავშირება უნდოდა, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ მისი სურვილი იყო.

ახალ წლის წინა ღამით აპაო-მ დაურეკა და უთხრა, რომ რაკი ის ვერაფრით ვერ ახერხებს ითავოს ქმრისა და მამის ვალდებულება, განცხადების შეტანას აპირებს განქორწინებაზე, მერე კი დაამატა: „მოკლე ტკივილი სჯობია განელილ ტანჯვას“.

ლუნგ-ი მილს არა კიდებდა, აპაო-მ დაასწრო.

მეორე დღეს კარი გაიღო და ლუნგ-ი გამოეცხადა ქალებს.

ცოლს პაემანი დაუთქვა კაფეში. ამჯერად ისევ მეგობრობის რეჟიმი არჩიეს, აპაო-ს კი გადანყვეტილი ჰქონდა, „გაფუშვებო“.

„თექვსმეტის ვიყავი, როდესაც ერთი ვინმე შევიყვარე, ამიტომ ბოლო კლასებში სწავლა ნათელის და ბნელის, სიხარული და დარდის მონაცვლეობად მექცა“.

ლუნგ-მაც, როგორც იქნა, აღირსა და თავისი პირველი სიყვარულის ამბავი გაანდო.

ეს თემა სრულიად ახალი იყო, არასოდეს არ ყოფილა ადრე ნახსენები. იმდენად შორეული და ღრმა კვალი იყო გულში ნაჩხვლეტის, რომ გახსენებაზე, ლუნგ-ს სხეულზე თრთოლვამ გადაურბინა და ეს თრთოლვა აპაო-საც გადაედო.

აპაო არ განძრეულა. წელგამართული, უხმოდ ელოდა მომდევნო ამბავს, იმდენ ხანს ელოდა ამას, რომ ბოლო ხანს საერთოდ გადაავიწყდა თავის სურვილი.

„ეს მხოლოდ ჩემი გრძნობა იყო, უპასუხო, მაგრამ გახსენებაზე უმაღლ ავფორიაქები ხოლმე, საერთოდ ვვარდები რეალობიდან“.

ალარ განუვრცია თხრობა, ფაქტიურად აპაო თემის „კართან“ მიიყვანა – შემდეგ კი სურათი აორთქლდა, გაიფანტა.

და მაინც გულზე მოხვდა ლუნგ-ის ნათქვამი, ეს მათ საერთო დრამად ჩანდა, ან უფრო სწორედ, თანამგზავთა უბედურებად, რადგან არც ლუნგ-მა არაფერი არ იცოდა იმ უიმედო სიყვარულის შესახებ, რასაც თექვსმეტი წლის აპაო განიცდიდა მის მიმართ.

„მერწმუნე, აპაო, ეხლაც ამ დღეში ვარ, და მზად, საერთოდ ჩავინვა, თავი დავინვა“.

წამით შეჩერდა და ტუჩზე იკბინა, თითქოს გარეთ არ უშვებდა გულში აბრიალებულ ხანძარს, და მის შემყურეს, აპაო-ს უხერხულობის გრძნობა გაუჩნდა.

ლუნგ-მა არც კი აცალა, გარკვეულიყო თავის გრძნობაში, და გააგრძელა: „შეიძლება, უღირსიც მიყვარს, მაგრამ იმის გარდა, ამქვეყნად არავინ მეგულება რომ გულში ამინთოს ძველებური სურვილი და ლტოლვა.“

აპაო-ს გული შეეკუმშა: „კი მაგრამ, ქორწინებამდე, ხომ მეუბნებოდი, რომ გიყვარვარ...“ – წყალწაღებულივით გაისმა მისი სიტყვა, ხავსს რომ ეჭიდება.

„შენ.. მიყვარდი...“

პირველივე „შენ“ რალაცნაირად, მიმქრალეზულად, თითქოს უხმოდ გაისმა; ასე იტყვიან ხოლმე, როდესაც არ არიან დარწმუნებულნი სათქმელის რეალობაში, და ეს აღიარება უფრო ქალაღდის ფულის დამთვლელ აპარატს ჰგავდა, ერთს რომ გამოაგდებს, მაგრამ მეორეზე გაიჭედება და ხელით გინევს გამოსწიო, გამოათრიო... სწორედ ასე სცადა აპაო-მ პასუხი დაეცდინა.

„მაშ ეხლა ალარ გიყვარვარ?“ – წარმოსთქვა თუ არა, თავს საღანძღავი სიტყვების კორიანტელი დაატეხა ასეთ სიბრყველზე.

„იცოცხლე, რაც დრო გადის, მით უფრო მკაფიოდ ვარჩევ გრძნობათა ნიუანსებს. გრძნობები ხომ განსხვავდებიან. მე შენ მიმართ ის გრძნობა მაქვს, რომ ჩემთვის უახლოესი, უძვირფასესი ადამიანი ხარ. შენ ჩემთვის და ხარ, დაზე მეტი, ჩემი ოჯახი ხარ, რომელიც გავიჩინე დაღვინებულმა, მაგრამ ჩემშია რალაც ნაწილი, რომელიც მკარნახობს: გყავს ოჯახი თუ არა, ეს არ ეხება გრძნობას – მე მჭირდება, მწყურია სანავი, ტემპერამენტი, წვის შეგრძნება...“

ეს ყველაფერი ინგლისურად წარმოსთქვა. ჩინურად ძალიან პათეტურად, თეატრალურად გაიჟღერებდა, მაგრამ ინგლისურად არათუ ბუნებრივად გაისმა, არამედ პოეტურადაც, რომანტიულად. აპაო-ს კვლავ მოეძალა მისი განცდის გაზიარების სურვილი.

„კი მაგრამ, ლუნგ-, ყველაფერი ხომ თავიდან იწყება? მითხარი, მე რა შემიძლია რომ შენთვის გავაკეთო?“

სინამდვილეში, სხვა რამის თქმას აპირებდა: „რაც კი მქონდა ცეცხლი სიყვარულისა, სრულად მოგეცი, მაგრამ საპასუხოდ არაფერი მერგო...“ – მაგრამ ისიც დაინდო და საკუთარი თავიც.

„შენ ისედაც ბევრი რამ მომეცი, ძალიან ბევრი რამ! იცი, რა მადლიერი ვარ შენი?“

„რა აზრი აქვს ამაზე ლაპარაკს?“ – და განცდამ ისე გაუფსო გული, ამოსუნთქვას დააყოლა ამოძახილი: „მე სიყვარული მინდა და არა მადლიერება!“

ამის გაგონება და ლუნგ-ის გაჩუმება ერთი იყო. თავი ჩაღუნა და წარმოსთქვა: „ასეთ დეტალებზე არ მიფიქრია“, მაგრამ პაუზის შემდეგ დაამატა: „თუ მართლა გიყვარვარ, მაშინ უნდა მაპატიო და დამელოდო.“

აა, მაშ კიდევ სასაყვედურო ყოფილა, რატომ უფრო მეტად არ უყვარს? მაგრამ აპაო უკვე გამოცარიელებული იყო ყოველივე გრძნობისგან, დაჩუტული ბუშტივით იყო...

„მართო ერთი რამ მინდა რომ იცოდე“, განაგრძო ლუნგ-მა: „რაც არ უნდა იყოს, იცოდე, რომ შენზე ახლობელი მე არავინ მეგულება და ნურასოდეს ნუ მიმატოვებ, ნურასოდეს!“

წასვლის წინ რომ დაუტოვა ბარათი, იქაც ეს სიტყვები ეწერა.

ეს ანდერძს უფრო ჰგავდა და ანდერძივით ძნელი იყო მისი დარღვევა.

რასაკვირველია, დედამთილს ამას ყველაფერს ვერ ეტყოდა, სხვა თუ არაფერი, დედ-შვილთან ჰქონდა საქმე და დედას როგორ მოსთხოვდა, რომ დამოკიდებულება შეეცვალა საკუთარი ვაჟის მიმართ?

გარდა ამისა, ცრუმორწმუნეც იყო და ემინოდა, ყველაფერი რომ გავახშირებო, ვაითუ მართლაც ამიხდეს, რისაც მეშინიაო.

მაგრამ ერთხელ დედამთილმა, თითქოს ყური მოეკრა მისი და ლუნგ-ის დიალოგისთვის, უთხრა: „მე თუ მკითხავ, ისევ გირჩევნია ისე უყურო, როგორც ნაქმარალს, ოღონდ ამჟამინდელ მეგობარს; აზრი არა აქვს რალაც იმედი გქონდეს. პირიქით, შეგიძლია სხვა გზა ეძებო.“

აპაო-ს დაკვირვებული მზერა რომ დახვდა, დაამატა: „ბოლოს და ბოლოს, მამამისსაც უნდოდა დაბრუნება, მაგრამ როცა ვმორდებოდით, ისეთი უგულო, ღრძო და ბოროტი სიტყვები დავახვავე, რომ სამუდამოდ დაუუკეტე კარი“.

აპაო-ს ესმოდა ლი-ს გულისნადების, მაგრამ ვერ წარმოედგინა, რანაირად ჩათვალა ქმარი – ნაქმარალად, ანდა როგორ აღექვა მეგობრად? ანდა რას გულისხმობს „უგულო, ღრძო და ბოროტი“? თავი არ ჰქონდა განსჯის და ანალიზის, აბსოლუტურად გზააბნეული აღმოჩნდა ბედის ამ ყოველდღიურ შემოტევაში.

ორი დღის შემდეგ, ლუნგ-ი ისევ წავიდა, ოღონდ ამჯერად აპაო-ს აღარ უცდია მისი გაცილება. შანხაიში ჩასულმა, დაურეკა, მაგრამ ისევ ატყდა ძველი დავა და გაბრაზებულმა, ყურმილი დააგდო...

მაგრამ რა აზრი ჰქონდა მილის დაგდებას? საკმარისი იყო რამდენიმე დღეს ისე ჩაეველო რომ ლუნგ-ს არ დაერეკა, ათასი რამე მოსდიოდა თავში, „იქნება, რა სჭირს, ვაითუ რამე დაეცა, ან იტკინა რამე?..“

ერთ საუბრისას, ლუნგ-მა გამოუცხადა: „შენ ხომ უკვე გატკინე გული, და არ მინდა კიდევ ვინმეს იგივე დავმართო.“

ამ სიტყვამ იყო რომ გააცეცხლა: „როგორ თუ „კიდევ ვინმეს“?! ან ვინ მიგდია ეგ „ვინმე“, თუ ჩემი გულის ტკენა შეიძლება, იმისი კი – არა?! რატომ ვითომ? მე რა, კანის ნაცვლად, ტყავი მაკვრია ხორცზე, ის კიდევ სათუთი და ნაზია?!“

ლუნგ-ის პასუხი არ ისმოდა, მან კი დაფიცებასავით წარმოსთქვა: „მესმის ყველაფერი, ისევ ჯობია მოგმორდე, ასე მაინც ველარ მავნებ!“

ლუნგ-ს ხმა არ გაუცია, და ამის შემდეგ აღარც დაურეკავს.

აპაო-ს მაინც არ ეგონა, რომ ასე უცებ ადგებოდა და მართლა დაიკარგებოდა...

აღარ ესმოდა მისი დაჟინებული უარი, უბრალოდ, გაქრა.

ნუთუ მართლა, გაქრა და აღარ გამოჩნდება?

იმის გაფიქრებაც კი აშინებდა, რომ „წავალს“ თუ იტყოდა, მართლა ადგებოდა და წავიდოდა! სამი

წლის შეყვარებულობის პერიოდი, ათი წლის ქორწინება, რომ არაფერი თქვას მანამდე ნაცნობობის პერიოდზე – და ყველაფერი ასე ადვილად დათმო!

მის სიჯიუტეს გრძნობდა და ეს აცოფებდა აპაო-ს.

საკუთარი თავი ეზიზღებოდა იმ შეცდომების გამო, რასაც წამდაუნუმ იმეორებდა, თავი მათხოვარს მიამგვანა, რომელმაც იცის რომ არაფერს მიაშავებენ, მაგრამ მაინც დგას და იხვეწება.

თავი შესძულდა, რომ სიყვარულის გამო დათმო საკუთარი თავის პატივისცემა.

„მაპატიე, იქნებ საერთოდ გამოვტუტუციდი, მაგრამ მაინც გამაგებინე, ჩვენ შორის ეხლა რა ურთიერთობა ჩამოყალიბდა?“

„იმედს ვიტოვებ, რომ ჩვენ შორის კავშირი იურიდიულად ძალაშია, სანამ არ გაგიჩნდება შანსი, რომ მეორედ გათხოვდე.“

„ეგ შანსი არ მექნება, არც შნო მაქვს სამაგისო და არც მარიფათი. რაც თავი მახსოვს, სულ...“

„სიყვარულის“ ხსენება უნდოდა, მაგრამ გადაიფიქრა, ამას მერე მოაყოლებდა „ერთადერთ მამაკაცს“ – ეს არ უნდოდა და ამიტომ გაჩუმდა.

„რაკი ასეა, მაშ რაღად ჩქარობ განქორწინებას? მე სულ არ მინდა ბავშვები უმამოდ დავტოვო!“

„შენ მე გადამრევი! მაშ გამოდის, რომ მე მინდა ბავშვებს მამა წავართვა? ვის არ უნდა ოჯახში დაბრუნება, მე თუ შენ?“ აპაო გამწარდა. ეჩვენებოდა რომ ვიღაც თუ რაღაც უბიძგებდა სადღაც ჭაობში, მყრალ ჭაობში მოშხამული მწვანე წყლით, საიდანაც თვითონაც აიკრავდა იმ სიმწვანის და ლპობის ფერსაც და ყროლსაც, თვითონაც იქცეოდა მწვანე ეშმაკეულად, რომლის ამონასუნთქიც ბოროტია და ავი.

ისეთი სურათი წარმოუდგა, რომ თავი შეზიზღდა.

რაკი ლუნგ-ი არ პასუხობდა, ოდნავ დაწყნარდა და დაამატა: „გინდ გავშორდეთ, შენ ხომ მაინც მათი მამა რჩები? მე შევძლებ ისე გავზარდო, რომ შენი პატივისცემა გულში ჩაგუნერგო.“

ლუნგ-ს ხმაზე დაეცყო რომ სუნთქვა შეეკრა: „იცოდე, რაც არ უნდა მოხდეს, ბოლოს მაინც დაგიბრუნდები.“

აპაო-ს ისევ მოუწია ბრაზით ჩაცინება: „მაშ, „ბოლოს“, არა? და ეხლა? ეხლა რას მირჩევ, ქვად გადავიქცე? თუ იმ კლდედ, „ქმრის დაბრუნების იმედი“ რომ დაარქვებს? კი, როცა იქნება, ის დღეც დადგება და დაბრუნდები, მაგრამ მე ხომ მკვდარი დაგხვდები, ყოველ შემთხვევაში, შინაგანად, სულიერად მკვდარი ვიქნები, ცოცხალ ლეშად გადვიქცევი, რომელიც მხოლოდ მოძრაობს და დადის. რაღა საჭიროა ასე დაბრუნება?“

„იცი, ჩათვალე, რომ თავისუფალი ხარ. მე იმის თქმა მინდა, რომ ეხლა თავისუფალი ხარ, ჩათვალე რომ უკვე გავშორდით და შეგიძლია შენს ბედს ენო!“

„და თუ ვიპოვე, სად გამოვყო საშენო ადგილი?!“ – კვლავ ჩაეცინა.

„შენ თუ ენიე შენს ბედს, იცოდე, მე ტვირთად არ დაგანვები, თან მეც გულზე მომეშვება.“

აპაო დაიბნა, „რას ამბობს, უკვე საკუთარ თავს ეწინააღმდეგება?“

„აპაო, გახსოვდეს რაც გითხარ – შენ არაფერი არ გაკავებს, თავისუფალი ხარ.“

„მე? მე ვარ თავისუფალი, სამ-შვილ-აკიდებული?“

რა ადვილად მოაგვარა ყველაფერი!..

დანანების გრძნობა მოანვა, თან ბევრი რამის – რომ არ აცალა, რომ მოაკლო სივრცე, რომ კატეგორიული იყო და მოუთმენელი, რომ არ მისცა შანსი აეხსნა თავისი მდგომარეობა. გრძნობდა, რომ თვითონ გადაკეცა გზა მასთან სულიერი და ფიზიკური სიახლოვისა; ამავე დროს ჩანდა, რომ ლუნგ-ს რაღაცა ბოჭავდა, აზრი არ ჰქონდა ამაში მის დადანაშაულებას. ფიქრობდა, იქნებ არსებობს სხვა პასუხი?

ასე, ხმამაღლებლივ ყლაპოს ყველა მისი პირობა?

განა ერთად არ გაიზარდნენ, ერთ სამყაროსა და სივრცეში, სადაც ქადაგებენ პიროვნებათა თანასწორობას და თანაბარუფლებიანობას?

ამიტომ, თავში გაჰკრა აზრმა, იქნება სულაც ღირდეს „იმ ქალის“ საკითხზე მსჯელობა, თუკი ამ ფასად შეიძლება გზარეულის უკან დაბრუნება – მაგრამ გაფიქრებისთანავე, ყელში ისე მოანვა გუნდად წყენა და გულისტკივილი, რომ ვერა და ველარ დამშვიდდა.

ერთხელაც, დრო უკვე შუალამეს იყო მიტანებული, ძილი არ ეკარებოდა და ადგა და გაბედა პიტერთან დარეკვა.

„კარგა ხანია მისგან არაფერი მსმენია... და მეშინია, რამე ხომ არ დაემართა... ხომ გესმის ჩემი მდგომარეობა, ძნელია ამ ყველაფრის ატანა. კიდევ ვიფიქრე, მანდ ხომ არ ჩამოვიდე მეთქი?“ – სათქმელი თქვა თუ არა, უცბად გაუქრა ყოყმანის გრძნობა, მასთან დარეკვას რომ აფერხებდა.

„ააა!“ ეტყობა არ ელოდა საქმის ასე შემობრუნებას: „მართალი გითხრა, ჩემთან კარგა ხანია რაც არ გამოჩენილა.“

„მერე... როგორ გგონია, ქალაქში არ არის?“ - აპაო ეხლა ამ ახალმა ვარაუდმა დააფრთხო.

„არა, აქ არის, სხვა სად უნდა იყოს?“ – პიტერმა სცადა დაემშვიდებინა, „აკი გითხარი, აქ იშვიათად ჩნდება, მაგრამ მითხრეს, რომ რამდენჯერმე „Park 97“ გამოჩენილა; ხომ იცი, არის კიდევ ადგილები, სადაც ისინი უფრო ხშირად შეივლიან ხოლმე“.

„ვინ „ისინი“?“

„ვინა, და ვისთანაც ეგ ტრიალებს, მეტი ვინ?“ – ხმაზე დაეცყო, რომ აპაო-ს შეკითხვას თვით აპაო გამოჰყავდა მეტად არასახარბიელოდ, და ამ ფრაზის შემდეგ დადუმდა.

„კი მაგრამ, როგორია ის პიროვნება, გარეგნობით მაინც? შეგიძლია აღმინერო?“

პიტერი იმდენ ხანს არ იღებდა ხმას, რომ აპაო-მ იფიქრა, კავშირი განწყდაო და აყვირდა: „აააა! გესმის ჩემი ხმა?“

„აპაო, უნდა გესმოდეს, რომ არის რაღაცა, რისი ცოდნა არ არის საჭირო, და რაც ნაკლები იცი, მით უფრო ნაკლებად იქნები გულნატკენი.“

დაყვავებით უხსნიდა პიტერი, თითქოს მშვიდ და დალაგებულ საუბარს აგრძელებდა რაღაც ძველი ყაიდის „კარგად აღზრდილთა“ საზოგადოებაში.

აპაო-მ მოიწინა და გაჩუმდა, მაგრამ ეხლა პიტერი ალაპარაკდა, „გაიგე, რომ არა აქვს მნიშვნელობა, ვინ არის, ან როგორია ის პიროვნება. მთავარი ის არის, რომ გადანყვიტო, რა გელით ორივეს, და თუ საჭიროა, განყვიტო მასთან კავშირი; ასე არაფერი არ უნდა განელო, არა ღირს ზედმეტად ნერვების გლეჯა!“ აპაო-ს არ ეცალა საპასუხოდ, რადგან თავში უცებ გაუნათდა პიტერის ნახსენები „Park 97“!

რაღაცას იხსენებდა, თან ვერ იხსენებდა, სულ ერთმანეთში ირეოდა სხვადასხვა სურათები და ფიქრები.

პიტერი კი ამასობაში აგრძელებდა: „გაიგე, რომ ზოგი რამ ხდება არა იმიტომ, რომ შენ შეგეშალა რამე, ან დაშავე – ანდა იმას, მეორე მხარეს შეეშალა! არა, ეს ბედის ბრალია! ბედი რომ ჩაერევა ცხოვრებაში, ასე გემართება.“ მაგრამ აპაო არც კი ცდილობდა, ყური დაეგდო, რადგან მთელი ყურადღება ამ აკვიატებული საძებრისკენ ჰქონდა მიმართული – უნდოდა გარკვევით დაენახა ამ სახელის, „Park 97“-ის კავშირი სულ უფრო მიმქრალ და მინავლებულ ნიშანთან – ჯერაც რომ ამოუცნობი რჩებოდა...

პიტერი კი თავისას განაგრძობდა: „დამიჯერე, აპაო, შენი აქ ჩამოსვლა არაა საჭირო. ვთქვათ და იპოვი, შეხვდები – რა მერე, რას იზამ? ის ხომ უკვე სხვა კაცია, და ის კაცი შენ არ გეკუთვნის!“ – ტონი ისევ გაუღიზიანდა. აპაო-ს კი გაუკვირდა, რომ პიტერმა პოზიცია შეიცვალა – ადრე ხომ თვითონ არწმუნებდა, ჩადი, ჩააკითხე შანხაიშიო!

„ისიც გახსოვდეს, აპაო, რომ სასიკეთო ჩანაფიქრი შეიძლება სასიკეთოდ არ დასრულდეს. ბოლოს და ბოლოს, ბიძა ვარ შენი და არ შემოიძლია ასე გულხელდაკრეფილმა ვუცქირო შენს გამუდმებულ მარცხს და დანანებას!“

„კი მაგრამ, მარცხს რატომ მაბრალებ?“ – პიტერის სიტყვები ენიშნა და ცუდად ჩაესმა ყურში.

„იმიტომ რომ შენ ენერგია გეხარჯება, კიდევ ფულიც და დროც! მერე, პასუხად რა გერგო, ა?“

აპაო-მ წარმოიდგინა, როგორ აქნევდა თავს ბიძამისი ამ სიტყვებთან ერთად: „დამიჯერე, არაფრად არაა საჭირო შენი აქ ეხლა ჩამოსვლა! თან, შეიძლება ის უკვე ჰონკონგშია წასული.“

„რას ამბობ? ჰონკონგში ხომ მამაჩემი ცხოვრობს!“ – წამოიძახა აპაო-მ, რადგან ამ სიახლემ გამოაცხვლა.

„მერე, ეგ რა შუაშია? რა, მამაშენს ეტყვი, დამიჭირე, გაკოჭე და სინგაპურში გადმომიგზავნეო?“

„არა, ჰო, მართალი ხარ,“ – უფრო ზრდილობის გამო დაეთანხმა, „ჩვენი ქორწილის შემდეგ მამაჩემი ჩამოვიდა და მოგვინახულა, მერე აღარც უნახავთ ერთმანეთი. და გინდაც შეხვდნენ, ვერც იცნობს, ლუნგ-ი ძალიან შეიცვალა, ყოველ შემთხვევაში, ვინც მას იშვიათად ხედავს, ის ვერც იცნობს.“ – „მამაჩემმა რომ გაიგოს ეს ყველაფერი, ყურით მომიტრეფს!“ – ამით თითქოს თავს ირწმუნებდა, მაგრამ ესმოდა, რომ სისულელეა.

თავი ისე გაიქნია, თითქოს ამით საფიქრალს მოიშორებდა და თავიდან ამოიყრიდა შემანჯერებელ ფაქტებს და აზრებს.

ამასობაში პიტერმა ისიც უთხრა, რომ „ისინი ერთად რაღაც საქმეებს ატრიალებენ, და ამიტომ არის იქ წასული.“

„კი მაგრამ, სად ლუნგ-ი და სად ბიზნესი? ეგ ალბათ უფრო საბაბად უნდა რომ იმასთან ერთად იყოს!“

„ჩათვალე, რომ ეგრეა.“

„იქნება ის კიდევ ატყუებს და რაღაცნაირად ფულსაც პარავს?“

„ამაში, ჩემზე უკეთ შენ უნდა გაერკვე! რა იყო, ლუნგ-ი არ გიგზავნის სახარჯავ ფულს?“

„არა, კი, როგორ არა. გარდა იმ მოკლე პერიოდისა, უმუშევარი რომ იყო.“ და უფრო შერბილებული ტონით დამატა: „რომ იცოდე, ჩვენ შორის არასოდეს არ ჩამოვარდნილა არანაირი უსიამოვნება..! არც ფულის გამო, არც სხვა რამ საოჯახო საქმეების გამო, გიმეორებ – არანაირი!“ ტონი ისეთი დამაჯერებელი ჰქონდა, თითქოს საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებას აცხადებდა.

„მაშინ... აღარ ყოფილა საშველი და ეგ არის!“ – მტკიცედ წარმოთქმულმა პიტერის სიტყვებმა ხანჯალივით განუგმირეს გული.

„გარდა ამისა, ვიცი რომ არც სულელია, არც თავხედი, და შენი ფასიც კარგად მოეხსენება, და ისიც რომ შენი ოჯახი ბევრზე უფრო მტკიცედ დგას ფეხზე... გოგო, ნუთუ არ გესმის, რომ აქ არ არის რაღაც ბანალური ხანმოკლე გატაცება?!“ – დადუმდა, თან ისეთი ტონით იყო ეს ნათქვამი, რომ გამორიცხავდა ამ თემის გაგრძელებას. აპაო არც აპირებდა, რადგან მის სიტყვებზე ხელ-ფეხი გაეყინა, თავში ტვინის მაგიერ თითქოს ყინულის ლოდი ჩაეგდოთ და ქვეცნობიერად უკეთ იგრძნო, რას ნიშნავდა პიტერის სიტყვები, გაც-ილებით უკეთ შეიგნო, ვიდრე საერთოდ, როცა სიტყვების ჩვეულებრივ მნიშვნელობას სჯერდებოდა.

„აპაო, რაც ჩემს გარშემო ოჯახური უსიამოვნება მინახავს ჩემს მეგობრებში, ყოველთვის შერიგებას მოვუწოდებდი და არა დაშორებას, რადგან ძველი ხალხის ნათქვამისა არ იყოს, „ნაძალადევი მშვიდობა გერ-ჩიუნოს თავაშვებულ ბრძოლას და ომს!“. მაგრამ თქვენ რომ გიყურებთ, თქვენთან სულ სხვანაირადაა საქმე, და ამიტომ კიდევ გიზიარებ ჩემს აზრს, რადგან ვერ ამიტანია, რომ გატყუებენ, და ვერც ის ამიტანია, რომ თავს იტყუებ. ხომ გახსოვს ძველი ლექსი:

„მწვანედ შემოსილ მთის იქით მთაა,

კოშკის გადაღმა ნაგებობა დგას,

უცხო ბალახის ტკბილი სურნელი სად არ შეგხვდება?“

შენ ხომ ჯერ ახალგაზრდა ხარ და თუ მოინდომე, არ გაგიჭირდება ახალი მენყვილეს ნახვა.“

აპაო ატირდა: „არანაირი მენყვილე არ მინდა, მე ხომ სამი შვილის დედა ვარ!“

პიტერი დადუმდა და ამ ორ ტელეფონს შორის სულიერი კავშირი დამძიმდა.

მაგრამ სიჩუმე ისევ პიტერმა დაარღვია: „ჰოდა, სწორედ მაგ სამი შვილის გამო ვალდებული ხარ თავს გაუფრთხილდე! ამიტომ გეუბნები, ამოიგდე თავიდან აქ ჩამოსვლა! რას მოიგებ, ან რას მიიღებ სანაცვლოდ? – არაფერს, გარდა დამატებით ახალი ჭრილობისა.“

დილით კვლავ დარეკა: „არ დაგიმაღავ, აპაო, შენი საფიქრალი გადამედო და არ დამაძინა. ბოლოს და ბოლოს, ჩემს თვალწინ არ გაიზარდე? ახლა ხომ გიყურებ, თითქოს რაღაც ორმოში ხარ ჩავარდნილი და გაუთავებელივ ნვალობ და იტანჯები. ერთი რამ უნდა გაიგო: თავიდან ამოიგდე ყველა ილუზია, და შეიგნე – ლუნგ-ი ის აღარ არის, შეიცვალა, სხვა არის, და არაფრად არ გიღირს ეს ყველაფერი!“

რომ არ უღირს, ეს ესმოდა, მაგრამ მისი გულისცემა ვერ ენყობოდა განსჯის ლოგიკის ნაბიჯებს.

იმავე საღამოს, რომ გაიარა საბავშვო ბაღში ან ანის წამოსაყვანად, და ჩაუარა კომბინირებულ ბინა-სახლების წყებას, ჩამავალი მზე კი ამ დროს უამრავ მწვანე მოლს ანათებდა, კვლავ ამერიკა გაახსენდა, ოღონდ იქ მსგავსი სიმწვანე მხოლოდ ივლისში იყო, და ამიტომ იგრძნო, რომ აქაური გარემო, მზე, სიმწვანე – მაინც ვერ გაუქრობს ნოსტალგიას ამერიკის იმ მხარეზე, და ვერც იმ სიცარელეს შეავსებს, რაც მის სულში ლუნგ-მა გააჩინა. თვალწინ ედგა ის პატარა ქალაქი ამერიკაში, სადაც გაიზარდა, სადაც მზე გვიან საღამოს ჩადიოდა...

ქარმა დაუბერა და სახეზე თითქოს ტენიანი ქალღივი გადეთარებინოთ, ისეთი შეგრძნება დაუტოვა აქაურმა ტროპიკულმა ქარმა, ბლანტმა და მძიმემ.

გონება თავისით რაღაცას იხსენებდა, და თვალწინ ამოუტივტივა პარკის ტიპური პეიზაჟი: კოპნია მოასფალტებული ვიწრო ხეივანი, ორივე მხარეს აღმართული მაღალი ხშირტოტება ხეები, პარკში გაფანტული ბილიკები; პარკის სიღრმეში, ფართო ზურმუხტისფერ მოლზე საგანგებო კომპოზიციით, ჯგუფ-ჯგუფად დარგული ასვეტილი ხეები.

ასე იდგა შემოდგომის სიგრილით გაჟღენთილ მშვენიერ კლასიკურ პარკში, და იქვე ჩრდილში მიმალუ-ლიყო რაღაც შენობა, ღამის ცხოვრებისათვის განკუთვნილი, და – კი, როგორ არა! – გაახსენდა, ეს ხომ კაბარე „park 97“-ის ბარი იყო!...

მაშინვე გაჩერდა, არ უნდოდა სიარულში გაქარწყლოდა მეხსიერებაში გამომკრთალი რაღაც სურათი და მსუბუქი, წამიერი წინათგრძნობა, რომელიც უჩნდებოდა ამ პარკში ფეხის შედგმისთანავე; ამიტომ ჩამო-ჯდა სკამზე, მოძალებული სისუსტის ტალღამ თავისი სიტყვა თქვა.

საბავშვო ბაღში მისვლა დაავიანდა, მისი ბავშვილა დარჩენილიყო წასაყვანი და აღმზრდელმა უსაყ-ვედურა კიდევ, „ბავშვი ნერვიულობსო“. ანან-მა დედის დანახვაზე ატეხა ტირილი, აღარ მოგყვებო, და ამ ვითარებაში უცებ თვალი მოკრა დედამთილს, ისიც მოიჩქაროდა.

აპაო ეხლა ლი-ს მიეგება, „რა იყო, დედა, BB-ს რამე ხომ არ დაემართა?“

„არა, იმას არაფერი, მაგრამ შენ ისე დაიგვიანე რომ...“

„BB სადაა ეხლა?“

„აკი გითხარი, დაწყნარდი, სძინავს, უფროსს დავუტოვე მისახედად...“

ამასობაში, მიუახლოვდა თუ არა, დედამთილმა კიდევ შეატყო სახეზე, რომ რაღაც მიზეზის გამო შეავიანდა და შეეკითხა: „რა მოხდა, ამდენ ხანს სად იყავი?“

აქ უკვე ან ანი ჩაერია, ტაში შემოჰკრა და ბებიისკენ გაიწია, ამიყვანეო.

აპაო-ს ეხლა ყველაფერი აღიზიანებდა, ამიტომ ცოტა ამრეზილად გასცა პასუხი: „სად უნდა ვყოფილი-

ყავი? ცოტა ხანს იქ დაჯექი, შეისვენე!“ – და მინდვრისაკენ გაიხედა.

„და მეც, მეც, მეც მინდა დაჯდე!“ – გააბა ახალი მოთხოვნა ბავშვმა, მაგრამ ზედ არავინ უყურებდა.

„მართლაც, ნეტა რისთვის ავლელდი ასე?“ – თითქოს სცენიდან ჰქონდა ეს სათქმელი, ისეთი ტონით იკითხა ლი-მ.

თავს სულ ირწმუნებდა, რომ არა ღირს ჭუტი-ს გაუმხილოს თავისი ამბავი. მაგრამ როცა უკვე ყველას ეძინა, იწვა ასე სიჩუმეში და ანგარიშობდა, „ნეტავი, ეხლა რა დროა ამერიკაში... უკვე შუადღეა, ჭუტი-ს გვიან კი ეღვიძება, მაგრამ ეხლა ფეხზე უკვე იქნება“. ტელეფონს არ იღებდა. იქნება სულაც სხვაგანაა, არ არის ამერიკაში? მართლაც, ხშირად ხდებოდა, რომ უცებ ქვეყნის მეორე ბოლოში აღმოჩნდებოდა.

ჭუტი-სათვის ცხოვრება ნიშნავდა დაუსრულებელ მოგზაურობას, რომელსაც პერიოდულად ენაცვლე-ბოდა მხიარული საღამო და დროსტარება. აპაო კი თავს კვლავ გრძნობდა ჭუტი-ს ძველ „კომპანიონად“, ვისთანაც იყოფდა ოთახს საერთო საცხოვრებელში, და ვისაც ფართოდ გახელილი თვალებით მიაშტერდებოდა ხოლმე, როდესაც ის აბაზანიდან გამოდიოდა, ჭარბი კოსმეტიკისგან სახეშეცვლილი. აპაო მერე თავის წიგნს და მეცადინეობას უბრუნდებოდა... მერე მთქნარება აუვარდებოდა, და ერთი სული ჰქონდა, ჭუტი მალე დაბრუნებულიყო რომ დაეძინა.

ცხადია, ცოტა შურდა კიდევ ჭუტი-ს, მაგრამ მაინც ჭარბობდა უზომო მადლიერება, რადგან ჭუტი-ს თავის ბედის ვარსკვლავთან აიგივებდა. სხვა თუ არაფერი, განა ჭუტი არ იყო, რომ ლუნგ-ს შეახვედრა?

იმ წელს ლუნგ-მა თავიდან თითქოს იქვე მდებარე უნივერსიტეტი შეარჩია, რომელიც სრულ დაფინანსებას ჰპირდებოდა, მაგრამ როდესაც უკვე დედაც დაიყოლია, უცებ შეცვალა გადამწყვეტილება, და როგორც ეს სჩვევიათ აღმოსავლეთის პირმშობებს, რეალობას დაემორჩილა. უნდა ისიც ითქვას, რომ დედამისის ცხოვრებისეულმა სიძნელეებმა კვალი დაატყეს ლუნგ-საც, თუმცა ძირეული – მშობლების პატივისცემა კარგად გაუფჯდა. საბოლოო ჯამში, რომელიღაც მათგანს ფეხი მტკიცედ არ ეკიდა ნიადაგზე, და შეეძლო წინაპართა ლელვაც ეგრძნო, ვინც გადმოსახლდა ახალ კონტინენტზე, და ვინც არჩევანში Money-ს ა Fun-ის შორის, უპირატესობას მუდამ Fun-ის აძლევდა.

ფაქტია, რომ ლუნგ-თან ისევ შეხვედრამ აპაო-ს ბედიც შეცვალა, და მან ჩააბარა იმ შტატის უნივერსიტეტში.

და როგორც იქნა, ამდენი ხნის შემდეგ კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. დიდი იმედი ამ შეხვედრამ არ გაუჩინა, რადგან უნივერსიტეტის გოგონების იმ კატეგორიას ეკუთვნოდა, ვისაც მაინც და მაინც დიდ ყურადღებას არ აქცევენ. ალბათ ის, რომ აირჩია ლიტერატურის განხრა, ესეც ლუნგ-თან იყო დაკავშირებული, რადგან არ უნდოდა საკუთარი ნიჭის მიჩქმალვა. გარდა ამისა, ლუნგ-ის ყურადღების მიპყრობა მაინც არ იყო ადვილი, მხოლოდ ნონის დაგდებათი ამას ვერ მიაღწევდა.

მაშინ იყო, რომ დაუმეგობრდა ერთი კურსით მასზე უფროს ჭუტი-ს.

ჭუტი გამოიყურებოდა, როგორც ამერიკული ბუნება-ხასიათის განსახიერება, მოუსვენარი, სულ ერთ-თავად რაღაც სასიყვარული ამბებში გაბმული. აპაო-მ ლამის გააღმერთა ეს თავისი მეგობარი, და თან საკუთარ უნიათობას ჩიოდა: „ეჭყობა, ჩემი ბედი მონაზონობაა, რამდენი ბიჭიც შემხედავს, ყველა უცბად წესიერების და მორიდების განსახიერებად იქცევა!“

„ეგ შენს გამომეტყველებას უმადლე,“ ეხუმრებოდა ჭუტი, „ემინიათ, რამეში არ ჩაიჭრნენ!“

„კი მაგრამ, მე ხომ ყოველთვის კეთილგანწყობით ვექცევი?“

„საქმე ისაა, რომ ზედმეტად სერიოზული ხარ!“

„არა, მე სულ ვუღიმი და ვუღიმი!“

„მარტო ღიმილში არაა საქმე. მათ ის აზრი უჩნდებათ, რომ თუკი დაინწყებენ შენთან შეხვედრას, მაშინ თავიდანვე დაევალებათ შენზე დაქორწინება!“

ამ სარკასტულ შენიშვნაში სიმართლე უფრო მეტი იყო, ვიდრე დაცინვა...

ამის შემდეგ აპყვა ჭუტი-ს და შაბათ-კვირა ისე არ გავიდა, რომ სადმე ბარში არ დაეღია, ხოლო ბარი რომ იხურებოდა, მთელი კომპანია მიადგებოდა ვინმეს ლამის „Party“-ზე, სასმელს უკვე ადვილად ყიდულობდნენ, აღარ სჭირდებოდათ სრულწლოვანების დამადასტურებელი საბუთის წარდგენა.

მათზე გასასაღებელი ღვინო არ ვარგოდა, უმალვე თავში აუვარდებოდა ხოლმე, მაგრამ მას სწორედ დათრობის შეგრძნება მოსწონდა. მაშინ არაფერი უშლიდა ხელს ვინმე სტუდენტთან ეკოცნავა ღვინის საწყობის ბნელ კუნჭულში, მაგრამ როდესაც ერთმა უბეში ჩაუყო ხელი და სხეულზე დაუნყო ფათური, აპაო-მ ვერც კი მოზომა, ისეთი ძალით ჰკრა ხელი და მოიშორა ის ყმანვილი; მერე კი საკუთარ თავს ეკითხებოდა, „რატომ მიჭირს რომ სექსი თამაშად აღვიქვა?“

„ისე, ფაქტია, რომ ფრთხილად უნდა იყო, ძალიან ადვილად არ უნდა აპყვე და სანამ დაუნვები, წინდაწინ უნდა გაიმზადო ორსულობის საწინააღმდეგო კონუსები, თუკი სანოლში მოგიწევს წოლა.“ ჭუტი-ს არ ეზარებოდა, პირიქით, სიამოვნებით იკისრა კონსულტანტის როლი სექსის საკითხში: „და გახსოვდეს, ბიჭი არ უნდა გადაინვას, ნამეტანს ნუ დაძაბავ, პირიქით, რბილი უნდა იყო, მოშვებული – და მაშინ ის თვითონ

მოგადგება, ვისაც მოსწონხარ.“

ასე, სწავლასა და პაემანებზე სირბილს შორის დარჩენილ მონაკვეთებში, ჭუტი თავდაუზოგავად ავითარებდა და ასწავლიდა აპაო-ს. ბუნებით კეთილი იყო, ყურადღებიანი და დაუზარელი, და ამიტომ, ვერ ეგუებოდა იმ აზრს, რომ ახალგაზრდობის ამ მშვენიერ დღეებს აპაო უაზროდ ფლანგავს კარჩაკეტილობაში, და ძვირფას დროს მხოლოდ სწავლაზე ხარჯავს; ჭუტი-სთვის რომ ეკითხათ, სიამოვნებით გახსნიდა დახმარების კურსებს...

მაგრამ არ იცოდა, რომ აპაო-ს ურთიერთობა მარტივი მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანდა, სინამდვილეში გაცილებით უფრო რთული იყო.

სირთულეს ის ინვევდა, რომ იქვე ახლოს მყოფ ადამიანის სიყვარულს არ ჰქონდა არანაირი გამოსავალი, არც გზა და არც პასუხი. აპაო სულ იმას ოცნებობდა, რომ სადმე გადაჰყროდა, და თან ეშინოდა ამ მომენტის. რომც შეხვედროდნენ სადმე ერთმანეთს, მათი ურთიერთობის მაქსიმუმი იყო მისალმება: „ჰაი!“ იტყოდა ორივე და ამით სრულდებოდა მათი კავშირი, ანდა გაულიმებდნენ ერთი-მეორეს და მორჩა. მერე კი უკვე, მოგვიანებით ამ შეხვედრას ისე იხსენებდა, თითქოს ნამთვრალევეს ენახოს, და სულ საკუთარ თავს აკრიტიკებდა – ჩაცმულობას, ტონს, ვარცხნილობას... ბუნებრივია, რომ ამის გამო ვერც წყნარდებოდა, ვერც მშვიდდებოდა.

სინამდვილეში, აპაო-ს არც დაუხარჯავს დიდი დრო თავის სიყვარულზე, რადგან უჭირდა შეჩვევა უნივერსიტეტში სწავლის რიტმთან, განრიგთან, სასწავლო პროგრამასთან. თავის ფაქულტეტზე დიდი დრო მიჰქონდა სათანადო ლიტერატურის წაკითხვას და ბევრ დროს ართმევდა ბიბლიოთეკაში მეცადინეობა. იმ დროს ლუნგ-იც იყო დაკავებული, დოქტორანტურაში ჩასაბარებლად ემზადებოდა, ასე რომ სწავლის პირველი წელი მართლაც, მხოლოდ და მხოლოდ სწავლას დაეთმო.

ერთხელაც, როცა ზამთარმა უკან დაიხია და გაზაფხულის სუნი ტრიალებდა ჰაერში, აპაო და ჭუტი მი-აბიჯებდნენ უნივერსიტეტის ეზოში. ნაშუადღევი იყო, ციდან მეჩხერად ცვიოდნენ ფიფქები, მზეც ანათებდა და მანქანის სადგომთან მისულებმა, აპაო-მ უცებ ლუნგ-ს მოჰკრა თვალი, ის-ის იყო მოსულიყო და მანქანას აყენებდა სადგომზე.

რაკი ლექციაზე ეჩქარებოდა, აპაო მოკლე სალმით, თავის დაქნევით შემოიფარგლა.

„ეგ ვინ არის? არასოდეს არ გიხსენებია...“

„ერთ სკოლაში ვსწავლობდით.“

ჭუტი-მ ეტყობა ვერ აიტანა ამ დეტალის არცოდნა და ლექციის შემდეგ, აპაო კაფეტერიაში შეიპატიჟა და შეუტია: „აჰა, ამდენ ხანს ამას მიმაღავდი? ასეთ ზღაპრულ ბიჭს იცნობ და რა, ვერ ახერხებ მასთან შეხვედრას? თუ ჩუმ-ჩუმად ხვდები?“

ჭუტი ლამაზი იყო, და ლამაზებს საერთოდ ასე სჩვევიათ, ცხოვრებას ასე უყურებენ, რომ რაც ქვეყანაზე კარგი კაცია, ყველას უნდა დაასონ კბილი!

„არა, ეგ არაა საჩემო ჩამოსხმა.“

„რა, ე.ი. არ მოგნონს? თუ ინუნებ?!“

„რა სჭირს მაგას ჩემი დასაწინი? პირიქით, „მე არა ვარ საიმისო“. ამოხვრით აუხსნა აპაო-მ.

„ეგ რა სიტყვაა, რომ „საშენო ჩამოსხმის“ არაა? ან როდის იყო, რომ დალევას ერიდებოდი?“

„არა, ხომ არსებობს ასეთი გამოთქმა?“ თან გაეცინა ჭუტი-ს ნათქვამზე, რადგან ამ ჩინური გარეგნობის ამერიკელთან საუბარმა გაახსენა ჩინური გამოთქმა, «ქათმის და იხვის გასაუბრება».

ჭუტი არ ეშვებოდა და თვალბეჭდით მისჩერებოდა: „მთავარი რამ გამაგებინე – შენ თუ მოგნონს?“

„ც... ცხადია“, როგორც იქნა ამოლერდა, თან თვალზე ცრემლი აუკიაფდა.

ჭუტი-ს როგორც იქნა, გონება გაუნათდა: „აჰა, მესმის: შეყვარებული ხარ და ამიტომ არ გინდა სხვას არავის შეხვედ.“

„არა, ვინმეს სადმე რომ დავეპატიჟე, და თუ ურიგო ყმაწვილი არ არის, იქნებ კიდეც წავყოლოდი.“

„სულ დამაბნევი: ეგ გიყვარს – და მზადა ხარ სხვასთან გაერთო?“

ისეთი რა არის ამ მარტივ ამოცანაში, რომ ჭუტი-ს ჭკუის პატრონი ვერ გარკვეულა?

„ნუთუ არ გესმის? მე რომ მომწონს, ეს ხომ არ ნიშნავს რომ იმასაც მოვწონვარ? როგორ გგონია, ვინმე რომ სდომებოდა, რა, ჩემზე უკეთესის ნახვა გაუჭირდებოდა? მე არც იმდენად დამიკარგავს ჭკუა, რომ ეს არ მესმოდეს! მოკლედ, ეგ არის ჩემი ოცნება, მიუწვდომელი ვარსკვლავი – და მოვრჩეთ ამაზე მსჯელობას.“

„რაკი ვარსკვლავად გესახება შენი ოცნების, აიღე და მოწყვიტე იმ შენი ოცნების ციდან! სხვა რომ არაფერი ვთქვა, მას აუცილებლად უნდა გაუხსნა შენი გრძნობა და დამოკიდებულება!“

აპაო-მ დიდხანს აქნია თავი: „ა-რა! მე გადავწყვიტე არაფერი არ გავხსნა; ყველა ოცნებას „მოწყვეტით“ ვერ აიცხადებ! თუ გიფიქრია, რამდენი სილამაზეა გულში ჩამარხული ოცნებით ტკბობაში!“

ჭუტი-მ ეტყობა ხელი ჩაიქნია, რომ რამეს გააგებინებდა; მხრები აიჩეჩა და სანამ რამეს დაამატებდა, აპაო-მ დაასწრო: „თან ისიც გაითვალისწინე, რომ დიდი ხანია შეყვარებულია!“

„ააა...“ – ჭუტი-ს ხომ ეს უშუალოდ არ ეხებოდა, მაგრამ მაინც დაწყდა გული.

„მაგრამ ისიც გავიგე, რომ უპასუხოდ რჩება მისი სიყვარული, ის ქალი მას არ ეკუთვნის.“

„მაშასადამე, ეგ წინაღობა მოხსნილია და შეგიძლია საქმეს შეუდგე, ინიციატივა გამოიჩინო!“ – ჭუტი ნამსვე გამოცოცხლდა და გახალისდა, მაგრამ აპაო არ აპყვავა. „იცოდე, თუ არ დაუწყებ დევნას, მაშინ მე ავეკიდები!“ – სიცილით დაემუქრა ჭუტი, მაგრამ პასუხად მხოლოდ უსიტყვო მზერა მიიღო.

მოგვიანებით, როდესაც ჭუტი მაგისტრატურაში სასწავლებლად უკვე სხვა შტატში გადავიდა, იქიდან იმეილი გამოუგზავნა: „მგონი ჩვენ ვიქნებით გულში ჩაბუდებულ ტკივილს! და მივხვდი, რომ არსი სიყვარულისა ტკივილია. რასაც შენ განიცდიდი და განიცდი – ეგაა სიყვარული! ჩემს განცდებზე და გრძნობებზე სიყვარული არ ითქმის, და არც ერთი ჩემი სასიყვარულო ამბავი არ იყო სიყვარული.“

„ეგ არაფერი, არ ღირს ამაზე ფიქრი; ადრეც ხომ ვთქვით, რომ „საჩემო ჩამოსხმა არაა“ – მაგრამ მაშინ ჭუტი-მ ეს ხუმრობად ჩასთვალა.“

„აი, ვინ არის საჩემო ჩამოსხმა“ – მიუთითა ჭუტი-მ ჩამავალ სტუდენტთა წყებაზე: „ვინმე ქერა, ოქროსთმინი, მწვანეთვალეა, ანდა ყორანივით შავი თმა უნდა ჰქონდეს, შავზე-შავი, ჩაშავებული – ოღონდ კბილების გარდა!“ – ისე გემრიელად ხარხარებდა, რომ ბიჭები მისკენ იხედებოდნენ, მაგრამ აპაო არ აპყვავდა.

„რას მეტყვი?“

„არაფერს. ვფიქრობ...“ – ჭუტი-მ დააყოვნა, თითქოს საპასუხო სიტყვებს ეძებდა: „ადრე რომ ახსენე კანის ფერი: არა მგონია, შენ იმ კატეგორიის იყო, თავს რომ იზღუდავენ კანის ფერით.“

„სწორედ რომ ვარ, ამ შემთხვევაში.“

„ეს რატომ?“

„მშობლების გამო.“

აპაო-ს ვერ წარმოედგინა, რომ ჩინელთა შორის ისეთებიც მოიძებნებოდა, ვინც წინ აღუდგებოდა ქალიშვილთა სურვილს, სწორედ თავისიანს, ჩინელს რომ გაჰყოლოდა.“

„ასეთი მშობლები მიღებთ კი მიიღებენ ჩინელ სიძეს, თუნდაც სხვა ვინმეს, აზიური წარმომავლობის, მაგრამ მათი კონტაქტი სიძესთან ამით ამოიწურება. მე კი მათ პოზიციას ვერ ვურიგდები, რადგან ბუნებით მემამბოხე ვარ; თან ძველ ჩინურ სიბრძნეს მივდევი, „ზოგჯერ 'დაოს' პირუკუ უნდა მიჰყვე“ – და ნათქვამში დაეყრდნო „ფან“-სიტყვის ორმაგ მნიშვნელობას – როგორც 'პირიქით', ასევე 'დაბრუნებას'.

ჭუტი-მ თუთიყუშით სცადა გაემეორებინა აპაო-ს ჩინურად ნათქვამი, თავისი საშინელი და თან სიმპატიური და სასაცილო აქცენტით: „ფანცი დაო ერსინგ ჰი...“ აპაო-ს ჩინურის მუდამ საშინლად შურდა, იმასაც ძალიან აფასებდა, რამდენი რამ იცოდა აპაო-მ ჩენიუის შესახებ და მიაჩნდა თავისი მეგობარი საოცრად განათლებულად.

ამავე დროს, აპაო-ს თვალში სწორედ ჭუტი იყო განსახიერება სილამაზის და გონების, მიუხედავად თავისი ასაკის; გარდა ამისა, ოცდაერთი წლის ჭუტი მის თვალში განსახიერებდა კიდევ დამოუკიდებლობას და მემამბოხეობას – ამ სიტყვის კარგი გაგებით. ამას რომ ფიქრობდა, ისიც ესმოდა, რომ ყოველგვარ ამბოხს მხოლოდ მშობლების და საზოგადოების ნებური შვილი თუ გაბედავს!

„ასე რომ, გირჩევ იბრძოლო შენივე ბედნიერებისათვის.“ – უაღრესად თანამედროვე იერის მატარებელი ჭუტი-საგან ეს სიტყვები კიდევ უფრო დინამიურად და ბუნტარულად აღიქმებოდა.

აპაო-მ თავი დაუკრა.

„მორჩა, მე შენ აღარ გელოდები, შენს მაგიერ უკვე მოვიფიქრე, რაც უნდა მოიმოქმედო: ჯერ რაღაც შემთხვევა უნდა მოიგონო“ – ეტყობოდა, რომ აპაო-ს განცდა თვითონაც განიცადა, და რამდენიმე დღეში კაფეში შეათრია.

ჭუტი ვერ იტანდა აპაო-ს მანერას, პაკეტებში დაფასობულ ჩაის რომ სვამდა და ამიტომ მისთვის მოკკა დაუკვეთა, თვითონ კი უფრო მაგარი ყავა შეირჩია.

«ჯერ ერთი, შენ საოცრად გემრიელ კერძებს ამზადებ და ამიტომ ეცადე, რომ გაასინჯო. დედაჩემი მეუბნებოდა, «კუჭი გაანებვირე და სიყვარულიც თან მოჰყვებაო» - მით უმეტეს, თუკი საქმე ჩინელს ეხება.»

« როდის აქეთ დაიწყე დედიკოს დარიგებით ცხოვრება, ჩემო ლამაზო?»

„საქმეც ესაა, რომ შენგან განსხვავებით, ჩინელი კაცების არაფერი გამეგება. ამიტომაც გამოვიყენე დედიკოს გამოცდილება და ამიტომ გამოვტყუე ეს შეგონება.“

„მაშ, დავალებული ვყოფილვარ დედაშენთან. ის კი ალბათ იმას ნატრობს, რომ ეგ რეცეპტი შენთვის გამოიყენო; გამოდის, რომ ტყუილად დაგიმედეხია...“

„დიდი ამბავი! მაგის მეტს რას ვაკეთებ, ყოველ დღე – ხან რაში მოვატყუებ, ხან რაში განიხილვება! ეგ არაფერი, ნათქვამია, „არც მევალე იღრინება, არც ნახირი ღვივისო!“ – ეს ანდაზა ისე წარმოსთქვა ჩინურად, რომ აპაო-მ სიცილი ვერ შეიკავა, და საერთოდ, სულ ეცინებოდა, ჭუტი რომ მოინდომებდა სადღაც ყურმოკრული ჩინური გამოთქმის გამეორებას.

„ნახირი ღმუისო“, გესმის? 'ღვივის' კი არა, 'ღმუისო'“.

„აბა, სად მოვალ შენი ჩინურის დონემდე!“ ჭუტი-ს ყოველთვის აკვირვებდა აპაო-ს ცოდნა, არც კი

უშვებდა რომ ქვეყანაზე შეიძლება ვინმეს უკეთ სცოდნოდა ჩინური; არადა, დედა რამდენს ჩასჩინებდა, „მიხედე, ჩინურს, მიხედეო!“

„დიდი ამბავი! რა განსხვავებაა, გინდ „ღვივის“ გითქვამს, გინდ „ღმუის“!

„ოოო, სწორედ რომ არის, თან ძალიან დიდი!“ – გაეცინა აპაო-ს, ჭუტი-მ კი მივიწყებული ბავშვობის ხანა გაიხსენა: „დედაჩემმა იცოდა ხოლმე ხშირად ამის თქმა. მაშინ მამაჩემმა იზარალა თავის რესტორნის საქმეზე, დედას დასჭირდა ვალის აღება, სხვანაირად ვერ გამოვძვრებოდით იმ გაჭირვებიდან, მოკლედ, მძიმე პერიოდი იყო...“

კედლის კალენდარზე ჭუტი-ს აღნიშნული ჰქონდა ყველა ჩინური ტრადიციული დღესასწაული, და ნახეს რომ გაზაფხული დადგომის დღესასწაულია დარჩენილი, ძველი ახალი წელი.

„მოდი, იცი, საახალწლო სუფრა გავშალოთ, ერთი-ორი კიდევ ვინმე დავპატიჟოთ... სამი კაცი, მეტი არა.“

აპაო დაეთანხმა, თუმცა გულის სიღრმეში არა ჰქონდა დიდი წარმატების იმედი, რადგან ასეთი ეშხიანი დაქალი ყველას ყურადღებას მიიქცევდა და მისთვის არავინ მოიცლიდა. ჭუტი-მ ფიქრის დამთავრება არ აცალა, თითქოს ამოეკითხოს მის გონებაში გაჩენილი აზრი და დაამატა: „იცოდე, მე მხოლოდ დამხმარე ვიქნები, შენ კი შეფ-მზარეული, ამიტომ ნება მომეცი რომ იმ საღამოსთვის ერთი არა-ჩინელიც მოვიყვანო – ჩემს ოქროსთმიან ბოიფრენდზე გეუბნები!“

იმ წუთიდან მისი უფროსი მეგობარი მის სამუდამო თანამოაზრედ იქცა. როგორც უყვარდათ ხოლმე თქმა მოხეტიალე ოინბაზებს და კუნგ-ფუს ოსტატებს, „მარადიული ერთგულების დასამტკიცებლად, მზად ვარ ორთავ ფერდში ჩავიცე ხანჯალი.“

იმ საღამოს ჭუტი-ს თან მოჰყვა მისი ბოიფრენდი, და შეყვარებულთა კიდევ ერთი წყვილი. ამიტომ ყველაფერი ისე გამოჩნდა, თითქოს აპაო და ლუნგ-ი ცალკე წყვილს წარმოადგენდნენ. ლუნგ-ს გაუხარდა, რომ აქ, ჩრდილო-დასავლეთის შტატებში, თეთრი რასის მოჭარბებულ გარემოში მიეცა შესაძლებლობა რომ მშობლიურ დღესასწაულს თავისიანებთან შეხვედროდა, შინაურულად, მამა-პაპურად.

ერთი სიტყვით, ყველაფერი კარგად აენყო და კარგად ჩაიარა.

„რაც დედაჩემი წავიდა აქედან, მგონი იმის შემდეგ ასე გემრიელად არ მიჭამია!“ – გამოაცხადა.

„მოსალოცი ყოფილხარ. მერე, რას უყურებ, დროულად ჩაავლე იმას ხელი, ვისაც შეუძლია ასე დაგაწყოს!“ გაეხუმრა ჭუტი, მაგრამ იმდენად ღიად იყო ნათქვამი, რომ აპაო-მ სამზარეულოში არჩია შემალვა.

იმ საღამოს სუფრაზე ორი ცხელი კერძი გამოიტანა, თან გაითვალისწინა რომ ლუნგ-ის დედა სინგაპურიდან იყო, მაგრამ ამერიკაში დიდხანს იცხოვრა, და ამიტომ კერძებში შესაბამისი კორექტივი შეიტანა და ძირძველი ჩინური გემო გაახალისა ახლებური მოდიფიკაციით. მერე ეს წესად ექცა, რომ ქმრის გული მოეგო ასეთი ნიუანსების გათვალისწინებით. კიდევ ამიტომ, შეყვარებულთა წყვილი, რომელიც ახლახანს იყო ჩამოსული ჩინეთიდან და მაინც და მაინც ვერ ეგუებოდა ადგილობრივ კერძებს, ისინი ამბობდნენ რომ ამერიკულ კერძში ჭარბად იგრძნობა კარაქის და საქონლის ხორცის გემო. ახალჩამოსულების ამიტომ, მათი გემოვნებაც რომ გაითვალისწინა, სწორედ ამიტომ თადარიგი დაიჭირა, ადრევე შეირბინა კორეელთა დუქანში, მათგან იყიდა ჩინურად დამზადებული კვერცხის ბლინები, და ქათმის ბულიონთან ერთად მოამზადა ნამდვილი ჩინური კერძი. ერთი სიტყვით, ვინც კი იქ იყო, ყველა კმაყოფილი დარჩა ასეთი ვახშმის.

ასე რომ, ჭუტი-ს დადგომულმა სპექტაკლმა ისე ჩაიარა, როგორც ავტორს ჰქონდა გათვლილი.

ვახშმის შემდეგ, ჭუტი-მ ატეხა ერთი ამბავი, „გინდა თუ არა, შენი ლექსები უნდა წავიკითხოვო“, და აპაო-მ ნაუკითხა ადრე დაწერილი, სენტიმენტალური, ცრემლისმომგვრელი სევდიანი პატარა ბალადა, და დამთავრებისთანავე, ყველამ ტაშისცემით დააჯილდოვა; განსაკუთრებით ჭუტი ცდილობდა, ლამის ყურთასმენა წაიღო იმის ტაშმა, და ბოლოს დაავკირგვინა: „ოოო, მე რომ კაცი ვყოფილიყავი, მარტო ამ ლექსის გამო შეგიყვარებდი!“

ამ ფრაზაზე აპაო-ს ისე შერცხვა, არ იცოდა, სად შემძვრალიყო, გამოთქმაც კი გაახსენდა, „ნეტავი მინა გასკდეს და თან ჩამიტანოსო!“.

ყველანი რომ დაწყნარდნენ და დაშოშმინდნენ, ლუნგ-მა ამოიღო ხმა: „ეს არ ვიცოდი, რომ ბოლო კლასებში შეყვარებული იყო!“

„რატომაც არა, თეთრ ამერიკელებს ძალიანაც მოსწონთ აღმოსავლელი გოგოები!“ – აპაო-ს ისევ შერცხვა, გადაჭარბებულად ეჩვენა ჭუტი-ს შემოტევაც და სიტყვებიც; ანდაზისა არა იყოს, „გოგრის გამყიდველი პირს არ აჩერებდა, „ეს რა მქონიაო!“

აპაო განითლდა, მაგრამ სიტყვა მაინც შეუბრუნა: „ეს შენ უფრო გეხება, ვიდრე მე!“, რაზეც ჭუტი-მ არ დააყოვნა პასუხი: „კარგი, კარგი, თავს ნუ იკატუნებ! მაშინ ის თეთრი ამერიკელი ვინ იყო, ბარათებს რომ გიგზავნიდა? ლექსებსაც რომ გწერდა? რა, ჩაკ-ი არ გახსოვს?“ აპაო-მ აღარ იცოდა, რა ექნა, ჩაკ-ი მისი საიდუმლო იყო, ჭუტი-მ კი ასე გამოაფრიალა მისი სახელი, თან თვალი ჩაუკრა.

„ოოო...“ გაგარძელა ლუნგ-მა, „აპაო-ს ეს არასოდეს უხსენებია!“, და სხვა თვალით გადახედა

მასპინძელს. ამჯერად მის მზერაში აღარ დარჩენილიყო ნასახი ადრინდელი გამოხედვის, როდესაც იტყვიან, „უყურებს და ვერ ხედავსო.“

ორი კვირის თავს, კიდევ რაღაც საზეიმო დღე დაემთხვა. განსაკუთრებით ისეთი არაფერი, დედა რომ ცოცხალი იყო, მაშინაც კი ამ დღეს საგანგებოდ არ აღნიშნავდნენ.

მაგრამ რაკი ჭუჭი-ს ეს დღეც ჰქონდა კალენდარში გამოყოფილი, ამიტომ ისევ ატყდა, „მოდით, ისევ ერთად აღვნიშნოთ, წინანდელივით!“ – თან უკვე გაემზადებინა კიდევ სალამოს სცენარი და განრიგი.

„ჩინელებისთვის ფარნების ზეიმსაც ხომ ახალი წლის მნიშვნელობა აქვს, არა?“

აპაო-ს კი ასე მიმართა: „ხომ გესმის, რომ შანსს გაძლევ სათანადოდ წარმოაჩინო შენი თავი; თან მეც მერგება გემრიელი ლუკმა!“

როდესაც ლუნგ-ს ინტერნეტით გაუგზავნეს დაპატიუების ტექსტი, სიამოვნებით მისცა თანხმობა.

მაგრამ იმ დღეს ჩინელ შეყვარებულთა წყვილი არ მოვიდა, ჭუჭი-მაც ძალიან არ განელა თავისი სტუმრობა, მალე დაავლო ხელი თავის ბოიფრენდს, თვალი ჩაუკრა აპაო-ს და მარტო დატოვა ლუნგ-თან.

„იუენსიო-ს“ მზადება ხანგრძლივი და ფრთხილი საქმეა, ამიტომ ორივეს საკმაოდ დრო ჰქონდა საბაასოდ. მერე ლუნგ-მა, შუა საუბარში უცებ მიმართა: „იმ ჩაკ-თან კიდევ გაქვს მინერ-მონერა?“ ისინი სამზარეულოში იდგნენ, ქურასთან, ონკანიდან წყალი ხმაურით მოჩხრიალებდა: „ჰუა, ჰუა...“

„რამდენი ხანია, რაც განყდა კავშირი. მან მხოლოდ ერთი წელი ისწავლა, მერე დასავლეთ სანაპიროზე გაემგზავრა. ერთი წელი თითქოს გვექონდა რაღაც მინერ-მონერა, მერე აზრი აღარა ჰქონდა და შევწყვიტეთ.“

სთქვა თუ არა ეს, მაშინვე ლუნგ-ის თვალებში შეამჩნია ფარული სევდის რაღაც აჩრდილი. ღმერთო! ლუნგ-მა გადადგა მისკენ ნაბიჯი და მოეხვია... აპაო-ს ცრემლი ჩაუდგა თვალებში, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს.

„რაო, აპაო, კიდევ გენატრება?“ ლუნგ-ი ეხლა ონკანს უტრიალებდა, რომ დაეკეტა და წყლის ხმაური გაექრო.

აპაო-მ რის ვაივავლახით მოახერხა ცრემლების შეკავება, რომ არ ატირებულიყო, და უპასუხა: „ჩვენი სიახლოვე თვითოეულის უბედობამ განაპირობა“.

„უბედობამ?“

„ჰო, სხვა რა დავარქვა?“ – და აპაო ინგლისურზე გადავიდა, ჩათვალა რომ ეს ენა უფრო უხდებოდა თემას: „ორივენი რაღაცნაირად საცოდავად ვიყავით გათქვეფილნი დანარჩენებში, სკოლის ეზოში ვბოდილობდით... სისუსტე და ხელმოცარულობა შუბლზე გვეწერა... მეც და იმასაც ძალიან მძიმე ყრმობა გვერგო, ყოველ შემთხვევაში, სულიერად ასე ვიყავით...“

ლუნგ-ი ხმას არ იღებდა.

„იქნებ, ჩემზეც შეიძლება ამის თქმა, რომ ხელმოცარული ვიყავი?!“

თითქოს კიდევ აპირებდა სიტყვის გაგრძელებას, მაგრამ თვალები ჩაუქრა, აპაო-მ კი არ დააყოვნა შეკითხვა: „მე მგონია, შენ იმ კატეგორიას ეკუთვნი, ვინც ბევრ რამეს დათმობს და გაიღებს სიყვარულისთვის!“

პასუხად ეცნაურა მისი თვალების ნამიერი გამონათება.

ამიტომ ჩაიბურტყუნა: „ვინც მზადაა მიზანს რაიმე შესწიროს, ის ნდობის ღირსია!“ – თქვა, და გახსნა ონკანი და შეუდგა ჭურჭლის რეცხვას.

აეხლა რომ გაახსენდა მაშინდელი ნათქვამი, აპაო-ს გაეპასუხა: „რა ადვილად ისვრი სიტყვებს! აკი გაგინირია და დაგინყვლია შენივე თავი!“

იმ საუბრით პირველად „სულიერად შეეხნენ“ ერთი-მეორეს.

და იმ გულის გადაშლას უნდა უმადლოდეს, რაც თავის ნაქებ კერძს დამართა – უყურადღებოდ დატოვებული იუენსიო-ს ნაცვლად ფაფა მოიხარშა, თუმც ეს არც ერთს არა სწყენია.

არადა, იუენსიო ხომ ერთობას და კავშირს განასახიერებს! წრე ხომ ოჯახის ერთობის სიმბოლოა, ხოლო სფერო კი ერთიანობის! – შემდეგომ ამას რომ იხსენებდა, აპაო მაინც ნანობდა, რომ კერძში ჩაყრილი იუენსიო-ს ბურთულები ისე არ უნდა ჩაეხარშა, რომ საჭირო და ჩაფიქრებული ფორმა არ დაეკარგათ. „აფსუს!“ – ძალიან ნანობდა...

სანანებელი ისიც გაუხდა, რომ ტკპილ დესერტს რომ მიუსხდნენ, ის ამბავი თავისით გაიქარწყლა მესხიერებიდან, და მერელა, რამდენიმე წელი რომ იყო გასული, მაშინ გაიხსენა ის მომენტი, მაგრამ უკვე გვიან იყო.

გაზაფხულის საზეიმო დღეები რომ დასრულდა, აპაო-მ მთელი ყურადღება გადაიტანა კულინარული ოსტატობის დახვეწაზე.

ხშირად უმასპინძლებოდა ლუნგ-ს, რომელიც დედამისის დამზადებულ კერძებს ჩვეული, მაინც და

მინც ვერ ეპუებოდა მარტო ცხოვრებას და აქა-იქ ჭამას.

მაგრამ, ის-ის იყო მოახერხეს ერთად რამდენჯერმე სადილი, რომ ლუნგ-მა დაასრულა კიდეც საუნი-ვერსიტეტო კურსი, დოქტორანტურის სტიპენდიაც დაენიშნა; სწავლა მანქანით ორი საათის სავალზე უწევდა, მეზობელ შტატის უნივერსიტეტში.

მისი წასვლის დღე რომ მოახლოვდა, აპაო-მ გამოსათხოვარი ვახშამი გამართა. ამისათვის წინდანი დაიჭირა თადარიგი, ქათმის საყიდლად, საგანგებოდ გაემგზავრა შორიანლო მდებარე ერთ გერმანულ ფერ-მაზე, რადგან ახალდაკლული ქათმის ბულონი ერჩივნა; იაპონური მდინარის კობრი შეწვა, მოამზადა სუში, რადგან განსხვავებით ბევრი ჩინელისაგან, ლუნგ-ი იაპონურ სამზარეულოს აღმერთებდა.

დასაღვევად გამზადებული ჰქონდა რამდენიმე ბოთლი ლუდი, ისიც წინდანი ჩააცია მაცივარში – მაშინ ის-ის იყო მიღწია იმ ასაკს, რომ ნება ეძლეოდა ეყიდა ალკოჰოლური სასმელი.

ლუნგ-თან განშორებას შეგნებით მიუდგა, მთელი თავისი ნებისყოფის და თავდაჭერის მობილიზება დასჭირდა, რომ დაეფარა მასთან განშორებით მიღებული ტკივილი, და გარდა ამისა, არც ჰქონდა იმედი, რომ მათ ურთიერთობას ენერა რაიმე განვითარება. „რაც იქნება, იქნება“ – იფიქრა, „განშორებას ხომ ვერ გაექცევი“.

იმ დღეს გაამწარა, ცალკე ხახვმა, ცალკე ნიორმა და წინაკამ, აღარ იცოდა, ცრემლი რატომ სდიოდა, იმათი ჭრისგან და მზადებისგან, თუ განშორებაზე ფიქრისაგან... ლუნგ-ის მოსვლისთვის ყველაფერი მოესწრო, თვითონაც მოასწრო ბანაობა, მაისურის გამოცვლა, თვალბეგარშემო, ქუთუთოებზე ჩრდილი გადაატარა. თვალეტი დამშრალი ჰქონდა, რადგან სატირალი ახლა გულში გადააგზავნა. ბინდებოდა, და განწყობაც შესაბამისი დაეუფლა, იმ წუთას სჯეროდა, რომ სამუდამოდ ენერა მარტოობა.

ვახშმისას, შავი ღვინის მეორე ბოკალი რომ დასცალა, ლუნგ-ი უცებ მოეშვა, და მარტონი რომ დარჩენენ, კიდეც გაუზიზღა რომ ღვინის დიდი მოყვარული არ იყო, თან დღისით უკვე მოუწია ლუდის დაღვევა საერთო სახცოვრებელში.

აპაო-ს მოუხდა საჭესთან დაჯდომა ლუნგ-ი რომ შინ მიეყვანა. მანქანა რომ გააჩერა, „უხერხულია, ბარემ სახლამდე მივიყვანო“, და ერთი წუთით. ზრდილობის გულისთვის, ბინაში შეაბიჯა. სწორედ იმ წუთმა გადაწყვიტა ბევრი რამ მის ცხოვრებაში.

შინ აღარ წასულა, ერთად ჩანვინენ მის ლოგინში. განშორებაზე ფიქრმა თავისი ქნა, აპაო-მ ვერ მოითმინა და მთელი სხეულით მიეკრა, ისინი შეერწყნენ ერთმანეთს და იმ ღამით ლუნგ-მა აღმოაჩინა რომ პირველი მამაკაცი იყო აპაო-ს ცხოვრებაში.

თუკი რამის სცხვენოდა აპაო-ს, მხოლოდ იმის რომ ოცი წლის ქალი ბავშვით უმანკო იყო, მაგრამ ამაზე დიდხანს არ უფიქრია, რადგან მთლიანად მოიცვა უსაზღვრო ბედნიერების გრძობამ, ვერ იჯერებდა რომ მის პირველ ხორციელ სიყვარულს აღსრულება სწორედ ლუნგ-თან ენერა. ნეტარებამ იმდენად მოიცვა, რომ ისიც კი იფიქრა, „სულ რომ გაქრეს და არასოდეს შემეხშიანოს, მინც კმაყოფილი იქნება.“

მეორე დღეს მობილურ ტელეფონზე გზავნილი მიიღო ლუნგ-ისგან, „არ მეგონე თუ ასეთი სუფთა და უმანკო იქნებოდი! საერთოდ არ მეგონა, რომ უნივერსიტეტში ასეთი ვინმე შეიძლება დაიარებოდეს – და სწორედ ამიტომ არ ვაპირებს გადავიმალო, და მზად ვარ ვალიარო ჩემი მოვალეობა, რომ...“

აპაო ცოტა არ იყოს, განიხიბლა მისი ასეთი ძველი ყაიდის მობოდიშებით და პოზიციით, „ობის სუნი ასდის ასეთ ტექსტსო“ – თავის თავს გაუზიარა, თვითონ კი, ცხადია, რაიმე რომანტიულის მოსმენა ან წაკითხვა ერჩივნა.

„არანაირ ვალდებულებას შენგან არც ველი, და არც ვითხოვ! ერთსა გთხოვ მხოლოდ, რომ მოვალეობის გამო ნუ დამიდგები ბოიფრენდად“ – ეს რომ მისწერა, თვითონაც გაუკვირდა, რადგან ასეთ პასუხს ის ჭუტი-სგან უფრო ელოდა, ვიდრე თავის თავისგან.

მერე ანგარიშმიუცემლად, დაამატა: „აღმოსავლეთიდან გადმოხვენილი, ორი ეული სული ამერიკაში – განა რა გვიშლის, ერთად რომ ვიყოთ?“

იმ ზაფხულს ისევ გაუჩნდა ლექსების წერის სურვილი. ერთი ლექსი ასე იწყებოდა: „მგონი, გაილო სამოთხის კარი...“

ერთხანს გაუჭირდა ჭუტი-სთან დაკავშირება და ეწყინა, რადგან ბევრი ჰქონდა სალაპარაკო, მაგრამ მეორე დღეს ჭუტი-მ დარეკა, სწორედ მაშინ როდესაც ბავშვები სკოლაში იყვნენ, ლი კი ბაზარში.

სრულიად მოულოდნელად, ჭუტი შანხაიში აღმოჩნდა. იქ ჩასვალს შარშანაც აპირებდა, ასეთი მოდა საერთოდ გავრცელებული იყო ამერიკელთა შორის – ჭუტი-ც აპირებდა სახლის ყიდვას და იქ დასახლებას, რადგან მიაჩნდა რომ შანხაი დინამიური ქალაქია, მომავალიც დიდი აქვს და რატომაც არა? – თვითონაც ხომ შეეძლო აქ ბედი ეცადა?

აკი ამიტომ გამოაცხადა: „ძლივს არ მეღირსა საჩემო ქალაქიო!“

მეორე მხრივ, მისი ენერგია და მობილურობა ყოველთვის აღემატებოდა ნორმალურს, და ამიტომ მონაცვლე გუნებით უფრო ხელმძღვანელობდა თავის არჩევანსა და ნაბიჯებში; უმალ ავიწყდებოდა გუშინდელი

გეგმები და გადანყვეტილება; მაგრამ ჭუტი – ჭუტი არ იქნებოდა, რომ რაიმე ენატრა თუ არა, იქვე არ მი-
ელნია იმისთვის და არ განეხორციელებინა.

„ეს უნდა იყოს კიდეც იმის მიზეზი, რომ მუდამ ხალისიანია, ძლიერი და უიმედობა და მკლავების
ჩამოყრა არა სჩვევია“ – ფიქრობდა აპაო და მერე აღიარა კიდეც თავისთვის, რომ მთელი მისი ეხლანდელი
საფიქრალ-საზრუნავი ჭუტი-ს რომ დამართვოდა, წუთით არ მოითმენდა, ვეჭილს მიმართავდა და ქმარს
გამორდებოდა...

ჭუტი-მ სხაპა-სხუპით მიაყარა, რომ ერთი წელი დასჭირდა სახლის შერჩევას, რომ ამაში მისი მეგო-
ბრის ამხანაგის ნაცნობი დაეხმარა, რომ... ერთი სიტყვით, იმან ურჩია, რომ შანხაიში გადავიდეს საცხოვრე-
ბლად და გახსნას ამერიკული რესტორანი.

„შენ მართალი იყავი, მეც დავრწმუნდი რომ მომგებიანი საქმეა, იქ ხომ წესად აქვთ, რომ თითქმის
ყველა მოლაპარაკება სუფრასთან უნდა ჩატარდეს! კიდეც ამიტომ ვიფიქრე, რომ ასეთი რამ საშენო საქმე
უფროა!“

აპაო დაიბნა, მაგრამ თავი იმით დაიმშვიდა, რომ ჭუტი-ს საერთოდ სჩვევია რაღაც მოგონილ ვარაუდებ-
ში ფრენა, და რაც პირზე მოადგება, ყველაფრის გამოცხადება – და ამიტომ პასუხიც არ აღირსა.

„რა იყო, გოგო, განა გეხუმრები?!“

„შენ შენი ამბავი გამაგებინე, რას აკეთებ? უკვე მიატოვე სამსახური და ეხლა შანხაიში ხარ?!“

„შენ, ჯობია დამიჯერო, რომ საერთოდ სახლის ყიდვა თავისთავად უკვე არის ინვესტიცია. ეხლა
მიზეზი გამიჩნდა, რომ აქ ხშირ-ხშირად ჩამოვიდე – მით უფრო რომ შენც მოგიწევს აქ ჩამოსვლა! მერე,
ცუდია? – ჩამოხვალ, და საფიქრალი არ გექნება სახლი და გასაჩერებელი ადგილი!“

ჭეშმარიტად, რომ ოპტიმისტის ოცნებაც ვარდისფერია!

დარდი შემოაწვია ისევ შანხაის გახსენებაზე, თითქოს რაღაც ჩაუწყდა შიგნით, გულში ჩხვლეტაც კი
იგრძნო. აღარ უნდოდა ლაპარაკის გაგრძელება, მაგრამ ჭუტი რის ჭუტი იქნებოდა, რომ ასე ადვილად დაე-
ნებებინა თავი! არ მოეშვა, დაუნყო გამოკითხვა, მაგრამ აპაო-მ მაინც მოახერხა არ გაეშალა ეს თემა, მიუხე-
დავად იმისა რომ ჭუტი არა ცხრებოდა: „კი მაგრამ, სინგაპურში ჩამოსულს, რატომ მიეცი ისევ უფლება რომ
ნასულყო?“

„იმიტომ რომ, მითხრა, ვერ ვიტან აქაურ უძრავობას და სიმშვიდეს, და საერთოდ, სინგაპურის სტერი-
ლურ ჰიგიენასო“.

„მაშ, შანხაიში უპოვია მისთვის მისაღები სტილი ცხოვრების“ – ჭუტი-ს სიცილში აპაო-ს რაღაც ისეთი
მოესმა, თითქოს ლუნგ-ს ეთანხმებო. „რატომაც არა, იქნება ყოველ ჩვენგანს მართლაც სადმე ეგულება
მისთვის მისაღები ქალაქი?“

აპაო-მ ვერაფერი მოიგონა საპასუხოდ.

„მაშინ ადექი და გაჰყევი შენც შანხაიში! ბოლოს და ბოლოს, რა გაგიხდა ეს სინგაპური, ასე ძალიან
მოგწონს?“ – ვერა და ვერ შეეჩვია ჭუტი-ს მანერას, ჯიქურ, მიკიბ-მოკიბვის გარეშე, პირდაპირ დასმულ
კითხვებს, ჭუტი-მ კი განაგრძო: „მართალიც არის! სინგაპური ისეა განკრიალებული და გალოკილი, ქალაქი
მკვდარი გგონია, თითქოს მანდ საერთოდ არ იყოს ცხოვრება! კი ბატონო, ერთი, ორი, სამი დღე შეიძლება
ცხოვრება, მაგრამ ერთი კვირა კი უკვე ნამეტანი ჩანს! შენ მანდ ათი წლით ხომ არ დასახლდი?..“

„ჭუტი, შენ მთავარი რამ ვერ გაგიგია: როგორ გგონია, იმას უნდა რომ მეც გადავსახლდე შანხაიში?!“

„ეგ სულაც არ არის პრობლემა! ბოლოს და ბოლოს, ცოლ-ქმარი ხართ და ერთად გმართებთ ცხოვრება;
თორემ ის რომ იქ იყოს, შენ კი მანდ, ბავშვებიანად – ეგ არაფერს არა ჰგავს!“

„ჭუტი, გაიგე რომ ის იქ დაბრუნდა, რათა ის თავისი სიყვარული დაიბრუნოს, რასაც არაფერი არა აქვს
საერთო ჩვენს ცოლმქრობასთან – მე კიდეც ეხლა იქ შვილებიანად გამოვეცხადო?!“ – აპაო-ს ხმაში წყენის
ტონი გაისმა.

„მით უმეტეს, რაკი ასეა! სწორედ რომ უნდა ჩახვიდე, რადგან ოჯახი გაცილებით უფრო მტკიცეადაა
შეკრული, ვიდრე რაღაც გვერდითი ინტრიგა!“

აპაო მერამდენედ გააოცა ჭუტი-ს ლოგიკამ, თან დაეცყო, რომ სცადა ჭუტი-ს თვალთ გაეაზრებინა ეს
სიტყვები, უკვე ნელნელა „ინელებდა“ კიდეც მის ნათქვამს, თუმც პასუხით მაინც თავის ხაზს აგრძელებდა:

„კი, ეგ მესმის; მეტს რას ვაკეთებდით და ვცდილობდით - მეც და ჩემი დედამთილიც? ოღონდ კი
შინ დაგვებრუნებინა, რომ გასცლოდა იმ თავის წრეს და იმ პიროვნებას...“ – ამოიხრა და დაამატა: „ამას
როგორ წარმოვიდგენდით, რომ ოჯახის გარემოში სული შეეხუთებოდა? იცი, რომ გამომიცხადა, 'აქედან
გადავხტები და თავს მოვიკლავო'?“

„მაშ, აქამდე მივიდა საქმე?“ – ჭუტი ამას არ ელოდა, „თუმც, ერთ რამეს მაინც გეტყვი: კაცი რომ
შანხაიში დიდხანს იცხოვრებს, მერე სინგაპურს ვერ შეეჩვევა!“

„მაშ, კაცმა ვიღაც ქალის გულისთვის ოჯახი უნდა მიაგდოს?.. სხვა თუ აფრაფერი, სინგაპური ხომ
მისი მშობლიური ქალაქია!“ – და რაც მეტს ლაპარაკობდა, მით უფრო ღიზიანდებოდა და უცებ აფეთქდა:
„შანხაი იმიტომ მოსწონს, რომ იქ არავინ იცნობს, თავს ანონიმად გრძნობს, და რაც მოესურვება, იმას იზამს
და გააკეთებს!“

აპაო-მ ვერ შეიტყო, რომ ლამის სიტყვა-სიტყვით გაიმეორა პიტერის ადრე ნათქვამი, სწორედ ის აზრი რომელიც მაშინ აბსურდად მოეჩვენა.

სიტუაცია იმით გამეორდა, რომ რაც აპაო-მ მაშინ ჰკითხა პიტერს, ეხლა ჭუტი-მ დაუსვა იგივე შეკითხვა: „რაში სჭირდება ანონიმურობა?“

„აქამდე მეც არ მეჯერებოდა, მაგრამ მეუბნებიან რომ დღე და ღამე იმ პიროვნებასთან არის, აჩრდილივით თან დაჰყვება“ – უპასუხა, თან გაღიზიანდა, რომ უახლოესი დაქალი ხანდახან მაინც უფრო ლუნგ-ის მხარეს იხრებოდა.

„ერთი გამაგებინა, ისეთი რა ქალია ის ვილაცა, რომ ლუნგ-ი აიძულა, აჩრდილივით თან სდიოს? მით უმეტეს რომ, მე როგორც მახსოვს, ლუნგ-ზე ვერ იტყოდი რომ „განსაკუთრებით სექსუალურია!“

„აჰა, მაშ შენც შეგიმჩნევია!“ – აპაო-ს ჩაეცინა, რადგან მუდამ ეჩვენებოდა, რომ ამ მხრივ ლუნგ-ი მის მიმართ არ იჩენდა დიდ ვნებას, და არც იყო დარწმუნებული, რამდენად ღრმად უყვარდა ლუნგ-ს – ანდა, საერთოდ, თუ შეეძლო ღრმად სიყვარული? ამიტომ შეეკითხა ჭუტი-ს, საერთოდ თუ შეიძლება გაიგოს ადამიანმა, რამდენად უყვართ, რამდენად სურთ მისი ფლობა და დაპატრონება.

„მე როგორ გითხრა?“ – გაეცინა ჭუტი-ს, „მართლა ცივია სექსუალურად, თუ მხოლოდ სტოკებს ასეთ შთაბეჭდილებას?“

„მე როგორ გითხრა? შესადარებლად ხომ არავინ მეგულებს?“

აპაო-ს პასუხზე ოხვრა აღმოხდა: „ჰოო, მახსოვს, შენ ხომ მითხარი, რომ თქვენი სიყვარულის ღამემი ორი უმანკო და გამოუცდელი შეახვედრა ერთმანეთს; ნუთუ მართლა?“

კარგა ხანს არც ერთი არ იღებდა ხმას. მერე დუმილი ისევ ჭუტი-მ დაარღვია: „გონი, მივხვდი. არც იმას ჰქონია შესაძლებლობა შენი ვინმესთან შედარებისა, ჰოდა ეს თავისი „ნესი“ სწორედ იმიტომ დაარღვია, რომ აენაზღაურებინა საკუთარი გამოცდილების უქონლობა! და მერნმუნე, არა ღირს ყველაფერს ასე სერიოზულად შეხედო!“

აპაო კვლავ დადუმდა; აღარ იცოდა, სად არის ის გამყოფი ხაზი, რომელიც ერთმანეთისგან ანაცალკევებს „სერიოზულ მიდგომას“ – „არასერიოზულისაგან“... ჭუტი-ს არც აქ უღალატია თავის უნარისათვის, მისი ფიქრების ამოცნობაში და ჩვეული, ლამის აგდებული ტონით დაამატა: „მოკლედ, იცი რას გეტყვი? მე შენს ადგილას, ასე ადვილად არ გავუშვებდი, და სადაც წავიდოდა, იქ გავყვებოდი; დედაჩემის თქმისა არ იყოს, „ეგ ცხენი შენ გეკუთვნის და ამიტომ ალვირი ხელიდან არ უნდა გაუშვა“ – ოღონდ იუმორი უკეთ რომ გადმოეცა, დედის სიტყვები ინგლისურად გადაუთარგმნა.

აპაო აჰყვა ხუმრობაში: „ამ ცხენმა უკვე დიდი ხანია აინყვიტა, რალა დროს ალვირის მომარჯვება“ – თან იცინოდა, თან ფიქრობდა, „მაინც, რანაირია ეს ჩემი დაქალი, ყოველთვის როგორ ახერხებს ისეთი განწყობა ჩამოაგდოს, როგორც მას უნდა!“

სცადა თუ არა სინამდვილეს დაბრუნებოდა, იგივე კითხვები დაუდგა თვალწინ: „სამი შვილი, თან მესამე ძუძუთა ბავშვი, კიდევ დედამთილი – აქ დაბადებული და აქ გაზრდილი, სისხლი და ხორცი ჩინური დიასპორისა სინგაპურში! ჰოდა, ადექი ეხლა და სამოცდაათი წლის ქალი გადაიყვანე სხვა ქალაქში საცხოვრებლად!“

ჭუტი არ თმობდა თავის პოზიციას: „რატომაც არა? რამდენსაც გინდა, იმდენ მაგალითს დაგისახელებ, როცა პენსიაზე გასული მშობლები შვილებთან ჩადიან ამერიკაში, რომ დაეხმარონ ბავშვების გაზრდაში!“

„კი მაგრამ, შენ თვითონ არა თქვი, რომ „ჩინეთიდან – ამერიკაშიო?“

„ამით რისი თქმა გინდა, რომ ჩინეთიდან წასვლა უფრო ადვილია?“ – ჭუტი თავის „უფროს დაქალის“ რიხს არ იშლის და კვლავ შეუტია: „იქნება გგონია, რომ ამერიკაში უკეთესი პირობები ელით? ან ცხოვრება უფრო ადვილი? აი, გეტყობა, რომ საერთოდ არ იცი, რას ნიშნავს შანხაი!“

თავიანთი მეგობრობის მანძილზე, ხშირად ჰქონიათ ერთმანეთში ამაზე უფრო დაძაბული და გაცხარებული დავა, მაგრამ ჭუტი-ს არასოდეს არ მიუმართავს ასეთი შეურიგებელი და კატეგორილი ტონით: „ნადი, ვისაც გინდა, ჰკითხე! რალა შორს მივდივართ, მამაშენს ჰკითხე, სად ურჩევნია ცხოვრება? ცხადია, საკუთარი ქვეყანა ურჩევნიათ, მით უმეტეს რომ შანხაი იქცა თანამედროვე და მოდურ ქალაქად...“

რაო? თანამედროვე და მოდურიო? აპაო კი სწორედ ეხლა გაუბრბოდა ყოველივეს, რაც „თანამედროვედ და მოდურად“ აღიქმებოდა! ქვეყანა მისთვის ეხლა ყალბი და ყურმოთრეული სატყუარებით იყო სავსე და ხმა აღარ ამოუღია.

შუალამე უკვე გადაცილებული იყო, როდესაც ტელეფონმა დარეკა. დაავინყდა, რომ საკუთარ თავს სიტყვა მისცა, მილს აღარ ავიღებო და მობილური ყურთან მიიტანა; მაგრამ აღმოჩნდა, რომ ვილაცას ნომერი შეეშალა.

ამის მიუხედავად, მაინც გაახსენდა ყველაფერი და ოდნავ მივიწყებული ჭრილობა კვლავ გაუღიზიანდა და ველარ დაეძინა. დალევის სურვილი გაუჩნდა; გაახსენდა ახალგაზრდობაში, ამერიკაში რომ სვამდა, მა-

გრამ იმ გარემოში ამას ამართლებდა ფსიქოლოგიური განტვირთვის სურვილით, და სწორედ ამ სურვილმა შეახსენა ესეა თავი!

დედამთილს და ბავშვებს უკვე ეძინათ, თერთმეტი ხდებოდა; ორზე უნდა ბავშვისთვის ეჭმია – ძუძუთა ბავშვის საკვები, ამერიკულ რძის ფხვნილი, 150 გრამი უნდა გაემზადებინა, თან იმედი ჰქონდა რომ დედამთილი ადგებოდა და თვითონ მოუვლიდა, მერე კი ისევ, ოთხი-ხუთი საათი ძილის იმედი ჰქონდა; თავს ნებას კიდევ იმიტომ აძლევდა, რომ ხელოვნურ საკვებზე გადაყვანის შემდეგ, ძუძუს აღარ აწოვებდა და ამიტომ შეეძლო დაეღია, რაც უნდოდა და საერთოდ, ცოტა ხნით მაინც ხელი ჩაექნია ყველაფერზე.

ფეხის ცერებზე შეიპარა სასტუმრო ოთახში და კარადაში ჩასმული პატარა ბარის კარი გამოაღო, სადაც აგერ უკვე ორ წელიწადზე მეტია, ხელუხლებლად ედგა ერთი ბოთლი რუსული არაყი, რომელიც ლუნგ-მა ევროპაში მივლინების შემდეგ სუვენირად ჩამოუტანა. იმ ბოთლის დანახვაზე სულ ეღიმებოდა, და ესეა ცხელად გაეღიმა, რადგან ისეთი ქმარი, ვინც ცოლს ასეთ სასმელს ჩამოუტანდა, ბევრი არ ეგულებოდა.

სამზარეულოში გავიდა და ზედა თაროდან აიღო არყის დასალევი სიფრიფანა პატარა კოხტა სასმისი, და რაკი ვერ ნახა მაცივარში მინერალური წყალი, ლიმონათი დაამატა და სასტუმროსა და სამზარეულოს შორის გამართულ ბარის დახლთან დაყენებულ მაღალ სკამზე შესკუპდა.

ჭუჭი-ს დღეს ოცდაერთი შეუსრულდა, ბუნებრივია რომ გონებით მაინც უნდა დაელოცა და დაეღია მისი სადრეგრძელო.

უნივერსიტეტში რომ მოხვდა, მაშინდა გაიგო ნამდვილი სწავლა და მეცადინეობა რას ნიშნავდა! სკოლის ბოლო კლასებში სწავლა ამას ვერ შეედრებოდა, ხოლო საშუალო და საწყის კლასებში სწავლა ხომ საერთოდ თამაშს უფრო ჰგავდა. უმაღლესში ყველა თავს იკლავს სწავლით, რადგან კარგად ესმით რომ მათი მომავალი ამაზეა დამოკიდებული. სიყვარული და შეყვარებულზე ფიქრი ცოტა ხნით მაინც მოგაცდენდა სულ ერთთავად სწავლაზე ფიქრისგან; ეს რომ არა“ ცხოვრება საერთოდ განდეგილის ცხოვრებას დაემგვანებოდა. მაშინ იყო, რომ რალაცნაირად მაინც რომ მოეხსნა დაძაბულობა და ჰქონოდა საშუალება შეხვედროდა და დალაპარაკებოდა, ვინც ამხანაგებად ეგულებოდა, უნივერსიტეტში დაარსებულ ჯგუფში შევიდა, სადაც ასწავლიდნენ უმუშე იაპონურ ნაირსახეობას; მისი სახელი ყურს ესალბუნებოდა და ესალისებოდა, კუნგ-ფუს მსგავსი, ამ ტიპიური აღმოსავლური ხელოვნების დაუფლება.

დასავლეთში მოდად იქცა „ორიენტი“ და „აღმოსავლური“, აპო-სთვის კი ამას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ფიქრობდა, უმუ-ს წყალობით დაეძლია ღრმად ჩამარხული სექსუალური ინსტიქტი.

მის ჯგუფში ძირითადად თეთრკანიანი ახალგაზრდები იყვნენ, ოღონდ ბიჭები სჭარბობდნენ. შემდეგ გაერკვა, რომ ნევრთა შორის, „ცალუღელა“ ტიპაჟი სჭარბობდა, ან ბიჭები იყვნენ, ვყავდათ „გიოლფრენდები“, ანდა გოგოები, „ბოიფრენდების“ გარეშე. მთლიანობაში, მათი ჯგუფი აერთიანებდა რალაცნაირ პირებს, მიუსაფარ ახალგაზრდებს, რომელთა შორის თავი უკეთ იგრძნო, რაკილა ყოფნის სურვილი ყველას ჰქონდა, ასე რომ კვირაში ორჯერ ვარჯიშზე შეხვედრის გარდა, კიდევ ცდილობდნენ ხოლმე თავშეყრას, რომ სადმე გაეცლოთ და ერთად დაეღიათ. ხუთშაბათი უყვარდათ, რადგან ხუთშაბათობით ყველა სასმელზე ფასი იკლებდა და სწორედ ამიტომ ეს დღე დათქვეს მთელ ჯგუფის შეხვედრის და დროსტარების დღედ. ჯგუფში რომ ჩარიცხეს, აპო-ს ცოტა აკლდა ოცდაერთამდე და ამიტომ ბარებში ჯერ არ უშვებდნენ, ხოლო როცა შეუსრულდა ასაკი, ეს დღე მთელმა ჯგუფმა თავის დღედ აღიარა. იმ საღამოს სამი ბარი ზედიზედ გამოიცვალეს: ჯერ ლუდით დაიწყეს, როცა ვერ იგრძნეს ალკოჰოლის გავლენა, ვისკიზე გადავიდნენ, შემდეგ უკვე არაყზე, რომელმაც მოუხსნა აპო-ს დაძაბულობა და ერთგვარი თავისუფლების შეგრძნება შემატა, რის გამოც მეგობრებმა „მის არაყი“ შეარქვეს.

მაშინ იმდენი იცინა, სკამზე ველარ გაჩერდა და იატაკზე განვა. დაბადების დღისთვის გამოზრანჭულს, ქარი ქოლგასავით ზე იტაცებდა წითელ ქვედატანს და მისმა ჯგუფელებმა ასე, მხარზე შესმული ატარეს და მიაბრძანეს საერთო საცხოვრებლამდე.

მათი ჯგუფი ისე მიაბიჯებდა ქალაქის ცენტრში, თითქოს საფესტივალო მზადება ყოფილიყო, ანდა მათ წინ გაშლილ სამყაროში აპირებდნენ შებიჯებას. ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს რალაც მობეზრებული ნაპირიდან ვეება ზღაპრულ იახტაზე გადაფრენილიყო, მის ღვინომოკიდებულ მზერაში დაჰქანაობდნენ ქუჩის ფარნები, ის კი მიქანაობდა და მიცურავდა ზორბა ტალღებზე, შორს, უფრო შორს... თავის ძმაბიჭების მხრებზე შემჯდარი, თავს ისე გრძნობდა, როგორც ნებას მიშვებული თევზი და კიდევ გაილაღა ზღვის სიღრმეში. [ეს დეტალი უშუალოდ უკავშირდება ფანშენის ტრადიციას და ბუდისტურ რწმენას, რომლის თანახმად მორწმუნეთ მართებთ რალაც განსაკუთრებულ დღეებში კვლავ ბუნებაში გაუშვან მოშინაურებული ან ნაყიდი გარეული ცხოველები და არსებები, რათა შესრულონ ბუდიზმის კოდექსი – არ დაჩაგრონ ცოცხალი არსება. ჩინეთში დღესაც არსებობს ეს ტრადიცია, თუმცა გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან, მისი მიმდევრები აშკარად შემცირდნენ]

იმ ამბის გახსენებაზე, ყველა ხალისობდა და მხიარულობდა. იმ დღიდან მოყოლებული, აპო არაყს სვამდა, მისი ზორბა ძმაბიჭები მხარზეშემსმულს დაატარებდნენ და „მის არაყს“ კიდევ ახალი სახელები დაამატეს – „არყის დედოფალი“ და Happy Hour.

ფეხმძიმობის შემდეგ აპო-თითქმის საერთოდ აღარ გაჰკარებია სასმელს, მაგრამ ლუნგ-მა, რაკი იცო-

და მისი ახალგაზრდობის ამ მოგონების შესახებ, მოინდომა მისი ამგვარი სუვენირით გახარება.

ერთხელ ლუნგ-მა უსაყვედურა კიდეც, „რაც ჩვენ დავინყეთ შეხვედრა, შენ საერთოდ აღარ სვამ და ცდილობ რომ სასმელი არ მოგეკიდოს. გამოდის, რომ მე დავთორგუნე შენი ბუნების ეგ ნაწილი? მე კი პირიქით, მინდა რომ სახე შეინარჩუნო და იხალისო.“

„რომელ სახეზე მელაპარაკები?“ – კი ჰკითხა სიცილით, მაგრამ იცოდა რომ ის სახე ეკუთვნოდა იმ ძველ მსუქან და გულჩათხრობილ გოგოს, რომლიც სწორედ იმიტომ სვამდა, რომ არაფერი ჰქონდა გულის გასახარი და სპირტით იქმნიდა ამ ილუზიას.

მერე გაიხსენა, ერთხელ ვარჯიში რომ მოამთავრა, იაპონური წესის თანახმად დაემშვიდობა მასწავლებელს და ჯგუფელებს, და დარბაზიდან გავიდა თუ არა, ლუნგ-ს მოკრა თვალი, ჩოგნით მიემართებოდა ჩოგბურთის სათამაშოდ და ხელი დაუქნია. პასუხის ნაცვლად, ლუნგ-მა თავი აქეთ-იქით მიაბრუნა, ვის ესალმებო.

ერთხელაც, საცურაო აუზიდან რომ გამოვიდნენ, ჭუტი-მ შეაქო ლუნგ-ი, სპორტული ფორმა უხდებო, „ფორმაშიაო“ – ასე გამოთქვა, აპაო-მ კი დანანებით გაიფიქრა, რომ ლუნგ-ს გინდ ეცვას ფორმა, გინდ არა, მაინც „ფორმაშია“, მასზე კი მხოლოდ მაშინ ითქმის, როდესაც ძიუდოს ფორმაშია გამოწყობილი.

ეხლა კი, იწვა იატაკზე, როგორც ადრე, ახალგაზრდობაში და ძილს ანდო თავი.

თვალი რომ გაახილა, შუადღე იყო. რამდენიმე წამს მისი გონება ისევ ათი წლის წინანდელ სამყაროში ტრიალებდა, პატარძლობის დღეებში და ხელი რომ გასწია, ლუნგ-ს რომ შეხებოდა, გვერდით არავინ დახვდა. ეუცნაურა და შიში მოერიო, მიხვდა რომ იატაკზე გაშლილ ჭილობზე იწვა.

დიდხანს არ დასცალდა ცურვა მოგონებებში, სინამდვილემ ამცნო თავისი რეალობა შუათანას ტიტინით, სამზარეულოში გახსნილი ონკანით და აბაზანიდან მოღწეული შხაპის ხმაურით, სადაც მისი დედამთილი უმცროსს აბანავებდა – ჩვეულებრივი, ყოფითი ხმაურის ფონი, რაც ბუნებრივი იყო ყველა სინგაპურელთა ოჯახში. რის ვაი-ვაგლახით მოახერხა წამოდგომა, მისანსაღდა თავის საწოლთან, თავის ტკივილის აბი ჩაყლაპა, წყალი დააყოლა და ისევ ძილს მისცა თავი.

წუხელ ღამემდე კიდეც ფიქრობდა, რომ „განელილი სატკივარი მოკლეზე უარესია“, როგორც ძველები იტყოდნენ, სწრაფი სიკვდილის უპირატესობაზე – ხანგრძლივ ტანჯვა-წამებასთან შედარებით; ეხლა კი თავს ეკითხებოდა, მართლა თუ მტკიცედ გადაწყვიტა განქორწინება და მართლა თუ გადაწყვიტა ბოლო მოუღოს თავის წამებას.

და ამ კითხვას, მეორე აზრი მოჰყვა, რომ ვერაფრით ვერ შეეღეოდა თუნდაც ასეთი თანაცხოვრების ფორმას, რომ სამუდამოდ გაენწყვიტა მაკავშირებელი ძაფი; ამის გაფიქრება და სინდისის ქენჯნა ერთი იყო: „წუთუ არ ძალუქს მსხვერპლი გაიღოს საყვარელი კაცის გულისთვის?“ – ამის გაფიქრება – და წამსვე მიხვდა, რომ თვითონ აღმართა მორიგი წინაღობა გადაწყვეტილების მისაღებად, კიდეც წამიც, და საერთოდ ჩაუქრა ბრაზის და განრისხების ცეცხლი.

უცებ წამოხტა, ჩანთაში საპარიჰაროდ ჩაყარა რამდენიმე თავისი კაბა თუ სხვა ჩასაცმელი, აბაზანაში წყალი გადაივლო, ისევ გამოვარდა, ყველაფერი ზურგჩანთაში ჩაჩურთა და სახლიდან გავარდა. წუთიც არ იყო გასული, რომ უკან დაბრუნდა, კიდეც რამდენიმე კაბა დაამატა კარადიდან, ერთხანს გაირინდა, დაფიქრდა, „კიდეც რაღაც დამჭირდებაო“, მაგრამ ვერ მოახერხა კონცენტრაცია, რადგან თავში მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა: „ეხლავე, დაუყოვნებლივ ქმარს უნდა შევხვდე!...“

სასტუმრო ოთახში შევიდა თუ არა, ლი შეეკითხა, „ასე დილა-უთენია საით გაგინევია მაგ შენი ზურგჩანთით?...“ საერთოდ არ უხსენებია მისი წუხანდელი დათრობის მიზეზი, რადგან მიაჩნდა რომ ტანჯვა და წვალბა ბუნებრივი ნაწილია ოჯახური ცხოვრების, ამიტომ გუნებას აღარ იმძიმებდა ასეთი საფიქრალით...

თუმცა, კითხვა მაინც შეაპარა, „რის ყიდვას აპირებ, ასე ჩანთიანად რომ გაგინევიაო, და ანან-ს რა ვუყო, ვინ წამოიყვანს ბალიდან, შენ თუ მე?“

აქ კი დაფიქრდა: „მართლაც, ანან-ს რას უზამს?“ – მაგრამ სანამ რამეს მოიფიქრებდა საპასუხოდ, ისევ ლი-მ დაასწრო – „ეგ წუ გადარდებს, მისი აღმზრდელი ხომ მეზობლად ცხოვრობს? ჰოდა რა მოხდა, ერთხელ რომ შევანუხო და ვთხოვო, თვითონ მოგვიყვანოს ბავშვი, ბალი რომ დაიხურება!“

აპაო-მ თავად ირწმუნა, რომ დროა, ამ თავის თამაშში ქმართან, ბოლო, ყველაფრის გადამწყვეტი „კარტით“ უნდა ეთამაშა, და ამიტომ მიადგა პირველსავე ტურისტულ ბიუროს და გადანახული ბილეთებიდან ის შეარჩია, რომელსაც ყველაზე ადრე უწევდა გაფრენა. ამის შემდეგ საბავშვო ბაღში შეირბინა, გამოიძახა აღმზრდელი და სთხოვა, „ეხლავე, თუ შეიძლება, ბავშვი მომიყვანეთო“ ანან-ს ამ დროს ეძინა. აპაო-მ იქვე შეთხზა მიზეზი, რომ დედამთილი სხვებითაა დაკავებული, თვითონ იძულებულია სასწრაფოდ გაფრინდეს შანხაიში ქმართან...“ ქალი დააკვირდა და შეეკითხა, „ბავშვის მამას რამე ხომ არ შეემთხვა?“ აპაო-მ მხოლოდ თავი დაუკრა, პასუხის თავი არ ჰქონდა, ცრემლებს ძლივს იკავებდა.

ამასობაში ანან-საც გამოეღვიძა, წამოჯდა და ატიტინდა, თან თითქოს დასახმარებლად მისულ აღმზრდელს კი არა, არამედ მის ზურგს უკან მდგარ დედას ეუბნებოდა: „მე უკვე ვისწავლე ფეხსაცმლის ჩაცმა!“

– მაგრამ როდესაც აღმზრდელმა მარცხენა ფეხიდან გააძრო უკვე ჩაცმული მარცხენა სანდალი, ბავშვი აღრიალდა. აპაო-მ მაშინვე ხელში აიტაცა და უმაღლე გაჰკრა თავში აზრი, „ესეც რომ თან წავიყვანო, რა მოხდება? მით უმეტეს, რომ ბილეთი არა სჭირდება!“

აღარ დააყოვნა და დედამთილს დაურეკა. ლი-მ უპასუხა, „კი, რატომაც არა? მით უმეტეს, რომ მზე და მთვარე ამოსდიოდა მასზე, და იქნებ ესლა მაინც ნამუსზე ააგდო!“ – ბოლო დროს შვილის სახელს საერთოდ არ ახსენებდა, „ის, მან, მას...“

„მერე, გეგულება იქ გსაჩერებელი ადგილი?“

„ეგ ნუ გაფიქრებთ! ბოლოს და ბოლოს, ამხელა ქალაქში სასტუმროს ვერ ვნახავ, თუ რა!“ – ასე კი უპასუხა, მაგრამ ლაპარაკს მორჩა თუ არა, მაშინვე ჭუტი-ს დაურეკა ამერიკაში.

„მე... მორჩა, აღარ შემოძლია კიდეც რალაცის ლოდინი! მორჩა, შანხაიში მივდივარ!“

„ან აქამდე რას ელოდებოდი?!“

მაგრამ ჭუტი-ს დაჯერებულმა ტონმა რატომღაც მისი განწყობა შეასუსტა, და აპაო-მ ასე უპასუხა: „მაგრამ მეშინია, რომ არ მოისურვოს ჩემი ნახვა.“

„მერე, დაგავიწყდა ჩინური ნათქვამი, „კაცმა საქმეს მიხედოს, ხოლო დანარჩენს ზეცა გადანყვეტს, გაუმართლოს თუ არა.“ – აპაო-ს გაუკვირდა, „როდის აქეთ ირწმუნა ბედის ამ გადამთიელმა, „ვითომ ჩინელ-მა?“ ჭუტი-მ კი დაამატა: „შენ – შენი ქენი, ეცადე, და არაფერზე უკან არ დაიხიო! არ გამოვა, და რას იზამ? ესე იგი მაღლა ზეცაში არ სდომებიათ და დაწყნარდები!“

მაშინ აპაო შეეკითხა, „ნუთუ ბედისწერაა ჩარეული?“ ამაზე ჭუტი-მ ასეთი პასუხი გასცა: „იცი, არა-სოდეს არა მწამდა არც ბედის, არც კარმის, მაგრამ შენი ამბავი ისე მომხვდა გულზე რომ უკვე ჩემს თავს ვგრძნობ გამწარებულად, თითქოს მეც გავხდი შენი ამბის მსხვერპლი – და მაშინ ვიფიქრე, „ეტყობა, ბუნების ხელში ვართ, მის ჭკუაზე ვტრიალებთ...“ – აქ შეჩერდა, დაელოდა აპაო-ს პასუხს, მაგრამ დაქალმა რომ აღარ აღირსა, დაასრულა: „ასე რომ, ეცადე. მე შენთვის ვილოცებ.“

აპაო-მ თავი უხერხულად იგრძნო, მერე გაბედა და, „ჭუტი...“ – მაგრამ სიტყვა ველარ გააგრძელა, მოერიდა მისი ბინა ეთხოვა, და დაემშვიდობა. რამდენიმე წუთში ჭუტი-მ კვლავ დაურეკა: „ყური მიგდე: ჩემი ბინა მანდ უპატრონოდ არ არის, ჩემი მეგობარი აკითხავს ხოლმე იქაურობას, ჩინელი გოგოა, ყუდე ჰქვია. ეს ნუთია დავურეკე და ვთხოვე რომ შენ ჩაგაბაროს გასაღები, ჰოდა იყავი იქ და იცხოვრე რამდენიც გინდა!“

„ჭუტი, ჭუტი...“ – მადლიერების ცრემლმომდგარმა ჩაიბუტბუტა აპაო-მ, მერე კი დაძლია ეს წამიერი სისუსტე და ისიც უთხრა, რომ დროებით ძიძა დაიქირავა, დედამთილს რომ ცოტა მაინც შეეშველოს, მით უმეტეს რომ ბოლო წუთს მაინც გადაიფიქრა ან ანის თან წაყვანა ამხელა გზაზე.

„აბა რა!“ – კვერი დაუკრა ჭუტი-მ, „ამ სიშორეს, ამხელა მანძილზე – არც ბავშვს არ არგებს!...“

13

შესასვლელთან შეჩერებული, ფიქრობდა, არ ეჯერებოდა რომ ისეც ის ნაცნობი რესტორანი იყო, პიტერს რომ ეკუთვნოდა, „დაბა კარი“. ჭერქვეშ ნისლად ჩამონოლილიყო სიგარეტის კვამლი და ბოლის ქულებში აქა-იქ ჩნდებოდნენ ვილაციების თავები. ეს ქმნიდა რალაც აბსტრაქტული სურათის შთაბეჭდილებას, მოძრავი ფერის ლაქებ-ხაზებით, ხოლო ყველაფერს აგვირგვინებდა მუხიკით და ყაყანით გაჟღერებული ხმაური.

ცხრა ხდებოდა, სავსე იყო იქაურობა. სავახშმოდ შესულთა რაოდენობა უფრო ჭარბობდა, ბართან ნაკლებად იყვნენ დასალევად შესულნი და ესლა მიხვდა, რა კარგად მოიქცა, რომ ბავშვი თან არ წამოიყვანა.

ლამაზი ოფიციანტი გოგონა მიუახლოვდა და გაუძღვა ცალკე საბანკეტო დარბაზში, სადაც ძველებურ ჩინურ მრგვალ მაგიდას ათამდე სტუმარი უსხდა. როდესაც პიტერი წამოდგა და მიეგება, ყველამ ახალშემოსულს მიაპყრო თვალი. საერთო ყურადღებამ ცოტა დააბნია, თან ინტერიერი ისეთი მდიდრული იყო, რომ აპაო უნებურად განითლდა, თუმც მის ადგილას, ვინმე სხვა რომ ყოფილიყო, იგივე დაემართებოდა.

„ოოო, აპაო!“ – ადგომისთანავე, მისალმებასებრ წამოიძახა პიტერმა და კანტონურ დიალექტზე განაგრძო: „სიტყვა და საქმე ერთი გქონია, არც კი გელოდი ასე მაღე! აქ მოდი, რომ გაგაცნო და წარგადგინო. იცი, ამათში ბევრი იცნობდა მამაშენს.“ და დანარჩენებს მიუბრუნდა: „იცნობდეთ, ჩემი უახლოესი მეგობრის ქალიშვილია, აპაო!“ – პიტერის ტონი, ჟესტი, მანერა და თვით სიტყვები, როგორც ის იქ მყოფთ წარუდგინა იმდენად ძველებურად ჟღერდა, ისეთი იშვიათი და მივინყებელი იყო, რომ აპაო-ს ძალაუნებურად მამა გაახსენდა, რომელსაც ასეთივე მანერა ჰქონდა მამართვის, და ქცევის ასეთივე სკოლა ჰქონდა გავლილი.

„რომ დაფიქრდე, რამდენმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, რა დრო გავიდა! მართლაც რომ დრო თავისთვის მიდის და მიერეკება, ჩვენ არ გვინევს ანგარიშს! ამ ქალბატონს პირველად რომ შევხვდი, ერთი ციდა იყო, ციცქნა, პატარა – ესლა კი ნახეთ, სამი შვილის დედაა, მოვლილი აქვს ამერიკა და სინგაპური!“ – ბოლო სიტყვებში შურნარევი აღტაცებაც კი გაისმა.

მერე სათითაოდ გააცნო ჯერ მამაკაცები, შემდეგ მათი თანმხლები ქალები, რომლებსაც ის მოიხსენიებდა ერთი სახელით – სიაო შეი, ანუ „დაქალი“: „ბატონ ლინ-ის დაქალი... მინისტრ ჩენ-ის დაქალი...“ – ყველა ამ 50-60 წლის მამაკაცს თან ახლდა დაახლოებით ოცი წლის გოგონა, რომელსაც უფრო მათი შვი-

ლობა უხდებოდა, ვიდრე „დაქალობა“...

ნარდგენა-გაცნობა პიტერმა სიცილით დაამთავრა, „ღვიძლი დები რომ არ არიან, ხომ მიხვდი!“

ამაზე ერთმა, რომელსაც სასმელი უკვე მოეკიდა, წამოიძახა: „მერე, შენი დაქალის გაცნობას არ აპირებ?“

ყველა მიბრუნდა გოგოსკენ, რომელიც დიდი-დიდი, ოცდახუთის თუ იქნებოდა – თეთრი პირისახის, ნახშირით შავი, წვრილად ამოქნილი წარბებით და უცნაურად მომღიმარი, ისე რომ ტუჩები შეკრული რჩებოდა.

კაცების ხუმრობა არც ერთს არ აბნევდა; უკანასკნელად გაცნობილი დაქალი, კარგად აღზრდილი ბავშვივით წამოდგა, ფიალა ჩაით შეავსო და სანამ დაჯდებოდა, თითებით ალერსით მელოტ თავზე „გადაურბინა“ პიტერს. აპაო-ს ამ სურათზე თითქოს ჟრუანტელმა დაუარა სხეულში, თითქოს ფიზიკურად შეიგრძნო და შეეზიზღა პიტერის დაქალის შეხება მოხუცი მამაკაცის მელოტ თავზე – და სურვილი გაუჩნდა, მოშორებოდა იქაურობას, მიმალულიყო, მაგრამ აღარ შეიძლებოდა...

სანამ დაჯდებოდა, მოუბოდიშა, „მაპატიე, ნცლე, რომ განუხებ!“ – გულში ეტირებოდა, რომ ეს კაცი, რომელიც ოცდაათ წელზე მეტია უყვარდა, უცებ ასე უცხოვად აღიქვა, და კვლავ იგრძნო თავისი სიმარტოვე, რომ არავინ არ ეგულებოდა მთელ ქვეყანაზე!

„ერთი წუთით მაინც თუ მოიცლი, რომ დაგელაპარაკო, ა?“

„კი მაგრამ, სად გეჩქარება? ჯერ დაჯექი, შეჭამე რამე! რაკი მოხვედი ჩემთან, ხომ იცი რომ სახლში მოხვედი, შინა ხარ! ოღონდ მითხარი, სად გაჩერდი?“ – ელაპარაკებოდა, და თან პაკეტში დაფასოებული მწვანე ჩაი დაუყენა, თუმცა აპაო-მ მაინც მინერალური წყალი არჩია.

მერე აუხსნა ჭუჭი-ს ბინის ამბავი.

პიტერს, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა: «ოოო, მთლად უკეთესი! ეხლა დავწყნარდი.» სუფრასთან უხერხული სიჩუმე რომ იგრძნო, აპაო-მ სცადა გახუმრება: «მართალია, შენგან ცოტა შორსაა ფუთუნგ-ი, ახალი რაიონია და ორი საათი მოვუნდი შენამდე მოღწევას!»

„ეს რა მითხარი? რის ორი საათი, რას ლაპარაკობ? ეტყობა ტაქსისტს სოფლელი ტეტია ეგონე და განგებ გატარა რომ მეტი აელო! ჰქონდა კი ჩართული ტაქსომეტრი? ჩეკი თუ მოგცა?“

ამ მოყრილი კითხვების კორიანტელში აპაო დარწმუნდა, რომ პიტერი კარგად იყო გარკვეული შანხაის ყველა ნიუანსში და გაეხუმრა, «კარგი, კარგი, გავიგე! რესტორნის დირექტორობის გარდა შეგიძლია დამატებითი სამუშაო იშოვო და გიდად იმუშავო ქალაქში».

„მე უკვე დიდი ხანია, გიდად ვმუშაობ, უღონდ უხელფასოდ! კიდევ ხალხს ვაჭმევ – და ხომ ხედავ, ზარალში ვარ.»

„ეგ რას ნიშნავს, დახურავ ამ რესტორანს?“

„არა, ჯერ არ ვაპირებ. ბოლოს და ბოლოს, ამის შემოსავლის იმედზე ხომ არა ვარ? უბრალოდ, მეხალისება ეს საქმიანობა, ეს სალონი, მეგობრები მსტუმრობენ! რომ იცოდე, შანხაისნაირ ქალაქს ქვეყანაზე ვერ ნახავ, რაც კი ნაღებია საზოგადოების, ყველა აქ მოდის! თან წინაპრებიდან ასე მოგვდევსოდე, რომ თუკი რამ გარიგებაა ან მოლაპარაკება – ყველაფერი სუფრასთან ხდება; ასე რომ, რესტორანი მხოლოდ სიმდიდრისკენ გამკვლევი გზაა... ანდა სად გაგიგია, ისე გამდიდრდე რომ პიარი არ დაგჭირდეს?!“

„მერე, შენ ხომ არ აღმოაჩინე რაიმე ახალი გზა?“

„სწორედ ამ პროცესში ვარ,“ ამაყად მიუგო პიტერმა, მაგრამ აპაო-ს ეჭვით თავის გაქნევაზე, დაამატა: „მიტომაც ვეძებ, რომ ჯერ არა მაქვს ნაპოვნი.“ აპაო-ს მოერიდა ასეთი შედავება და გადაწყვიტა, გავჩუმდებო, მაგრამ მეორეს მხრივ, თვითონაც ეხამუშა პიტერის ასეთი აუღელვებელი, თითქმის გულგრილი დამოკიდებულება მის ჩასვლაზე; „ისეთი რა ნახა ჩემს საქციელში? რა, ცოლმა რომ ქმარს ძებნა დაუნყოს, რა არის ამაში დასაძრახისი? ან იმაში რას ხედავს, რომ დაკარგულს ვეძებ და მინდა დავიბრუნო?“

პიტერმაც არჩია თემის გამოცვლა და პატარაზე ჰკითხა, „ასეთი ციციქნა როგორ დატოვე, უდელოდ როგორ იქნება?“

აპაო-ს გაახსენდა მასთან შარშანდელი საუბარი, როცა სრულიად საპირისპიროს ქადაგებდა – „რას დამჯდარხარ მანდ, სინგაპურში, ჩქარა ჩამოდი შანხაიშიო!“ აპაო-ს ვერ გაეგო ასეთი ცვლილების მიზეზი.

„თან, სამი ბავშვის პატრონი! ისინი რა უყავი, ვის დაუტოვე? შენი დედამთილი მარტო რისი მომვლელია?“

„მარტო არ არის, მე დროებით ძიძა დავიქირავე...“

„ააა,“ გააგრძელა პიტერმა, მერე კი უცებ გაღიზიანებული ტონით გამოაცხადა: „კაი ხანია აქ არ გამოჩენილა; ალბათ იმიტომ, რომ არ უნდა მისი ამბები ჩაგიკაკლო!..“

მის ხმაში დაცინვა იგრძნობოდა, და აპაო-ს ეს არ ესიამოვნა.

ერთი-ორი წუთი ელოდა ქალის რეაქციას, და უხერხული სიჩუმე რომ დაერღვია, რამდენჯერმე ჩაახველა.

„ჰო, Uncle, შენი ამბავი არც კი მიკითხავს, როგორა ხარ, როგორაა ჯანმრთელობის საქმე?“ – მაგრამ ამ კითხვამაც გააღიზიან პიტერი.

„აპაო, დაიხსომე: ბაეშვები უდედოდ არ უნდა დატოვო, არაფერს გარგებს ასეთი თავნებობა, რომ ასე, როცა მოგინდება, უცებ ადგე და სადღაც გაფრინდე!...“

„კი მაგრამ, მე მანბრალეზ თავნებობას? მე-ე?!“ – ყელში ბოღმა მოანვა: „თავნებობაზე თუ ნავედა, ვინაა თავნება?! კაცი ადგა და გაქრა უცებ, უჩინმაჩინვით! მთელი თავისი ოჯახი მიაგდო! ყველა მე ამკიდა, ჩემს კისერზე დატოვა!...“

კვლავ სირუმე ჩამოვარდა.

აპაო მიხვდა, რომ ეხლა სულ სხვას, უდანაშაულო პირს დაანთხია საკუთარი ბოღმა, მაგრამ მაინც განაგრძო: „აბა, რას გავს ეს ყველაფერი? ოჯახზე ფიქრი და ზრუნვა სულ ჩემს კისერზეა, და ეხლა ვინმემ კიდევ რამე უნდა მომთხოვოს?!“

„რას ამბობ? შენ ვისგან ელი სამართალს, გესმის?“ პიტერმა ისე გაიცინა, რომ შენმუხნული წარბები არ გაუშლია: „შენმა ქმარმა ეშმაკს მიჰყიდა სული, გესმის? მას რომ შეეძლოს რამის მოსმენა და შეგნება, საქმე აქამდე მივიდოდა?“

აპაო-ს ისე გასჭოლა გულში, რომ მკერდზე იტაკა ხელი, ტკივილი აუტანელი იყო, მაგრამ მაინც ამოღერდა: „მაპატიე, განა არ ვიცე, რამდენს მენმარები; მესმის, ყველაფერი მესმის და შენ ხომ არაფერში გადანაშაულებ! ჩემი ბრალია, თავბრუ მეხვევა, ჭკუაზე არა ვარ...“

„ვიცი, ვიცი, განა არ მესმის“ – პიტერმა ისე ალაღად უპასუხა, რომ აპაო-ს ცრემლები წასკდა, მაგრამ მაშინვე ხელის ზურგით შეინმინდა ღანვებიც, შუბლიც და ნაძალადევადა გაუღიმა: „სხვა გზა არა გაქვს, რაკი ჩემი საყვარელი Uncle ხარ!...“ – და დაამშვიდა, „მორჩა, გულზე მომეშვა უკვე.“

„მაშინ, იცი რას გეტყვი? ეხლა ნადი, დალაგდი, მოეწყე, დაისვენე; იმ შენი ქმრის საქმეს ფაციფუცი არ უშველის.“

„კი, კი, მე დილით გამოგივლი,“ მაშინვე კვერი დაუკრა აპაო-მ, „და აღარ მინდა რომ კიდევ დაგაყოვნო – შენც შენს საქმეებს მიხედე! რომ იცოდე, შეგხედე თუ არა, გულზე მომეშვა!“ – გული მოუქონა და აჩქარდა: „კარგი, ნავედი, და ხვალ, სანამ სახლიდან გამოვალ, დაგირეკავ.“

„მოიცა, გოგო, სად გეჩქარება, ჯერ დაჯექი, მიირთვი რამე! ჩემთან მოსული, მშიერი გაგიშვა?“ – მაგრამ აპაო-მ აღარ ისურვა რომ ესარგებლა ამ მიპატიჟები, „ბაი-ბაი!“ დაემშვიდობა ამერიკულ ყაიდაზე, ხელი დაუქნია და გავიდა.

იმ ღამეს ორივე კმაყოფილი დარჩა ამ მოულოდნელი ვიზიტით, აპაო-ც და პიტერიც. აპაო გააოცა პიტერის რესტორნის მცირე დარბაზის გარემომ, ინტერიერის გემოვნებამ და საერთოდ, იქაურობის აურამ. ამ ყველაფერმა ხელი შეუწყო, უკეთ წარმოედგინა ლუნგ-ის მორალური დაცემის ვითარება. ის ატმოსფერო, რაც აპაო-მ იქ ნახა და იგრძნო, მან მიამსგავსა ჭაობს – გარეგნულად წარმტაც, ღამაზე, მაგრამ სახიფათო და ჩამთრევე ჭაობს, რომელშიც ლუნგ-ი უკვე ჩაძირული იყო და რამდენიც არ უნდა ებრძოლა ეხლა და ექნია ხელ-ფეხი, აღარაფერი ეშველებოდა.

აკი ამიტომ გაიოცა მერე ლუნგ-მა, როცა გაიგო მისი ვიზიტის ამბავი იმ მცირე დარბაზში, რომელიც მხოლოდ საგანგებო, განსაკუთრებული სტუმრებისთვის იყო განკუთვნილი.

„ვინ იცის,“ აპაო ეხლა ამ ფიქრმა შეანუხა, „იქნებ ის ადგილები, სადაც ლუნგ-ი სტუმრობს, ამაზე უფრო აუტანელია?!“

ღამე ძილი დიდხანს არ ეკარებოდა, სულ ტრიალებდა, ფიქრობდა, „პიტერსაც კი ბოლომდე ვერ ვენდობი, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს ამ უცხო ქალაქში, სხვა ვინ მიშველის ლუნგ-ის მოძებნას?“

„ესე იგი, შევთანხმდით – დღეს შვიდის ნახევარზე გელოდები, ჩემი ხელით დამზადებულ რამდენიმე კერძს გაგასინჯებ! მერე კი დაგტოვებ, რადგან რვა საათის შემდეგ ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი, უკვე სტუმრების მოსვლის დროა. ერთად ვივახშმით, თან ვილაპარაკებთ, ყველაფერს გავარჩევთ.“ – მილი აიღო თუ არა უძინარი ღამის შემდეგ, ნახევრად ბურანში ჩაესმა პიტერის სიტყვები.

რომ გამოერკვა, დაუფიქრებლად ესროლა: „Uncle, მითხარი, ლუნგ-მა ის ქალი შენს რესტორანში გაიცნო?“ – ვერ ურიგდებოდა იმ აზრს, რომ პიტერი იმათაც ისე იღებდა და მასპინძლობდა, როგორც მანამდე მას და ლუნგ-ს; მეორეს მხრივ, ისიც ესმოდა, რომ რესტორნის პატრონი ვერ ეტყვის მისულს, „ნუ შემოხვალო“.

პიტერმა დაუგვიანა პასუხი: „განა დიდი მნიშვნელობა აქვს, სად შეხვდა და სად გაიცნო?“

ეხლა აპაო-ს ჯერი დადგა გაჩუმებისა. ხმა რომ ამოიღო, თვითონაც მიხვდა, რომ მისი ტონი უტაქტოდ გაისმა, დაკითხვას უფრო ჰგავდა, მაგრამ შეკითხვა მაინც დაასრულა: „კიდევ დაჰყავს შენთან ის გოგო?“

„ათასში ერთხელ. თითქმის, აღარ.“

„Uncle, მე სხვა გზა არა მაქვს, მარტო შენ თუ მიშველი!“ კვლავ წასკდა ცრემლები და გამწარებული ხელს მაგრად უჭერდა ტელეფონს, ნესიერად არც კი უსმენდა პიტერის პასუხს: „აპაო, ყური მიგდე! აუცილებლად დაგირეკავ, ოღონდ ჯერ მაცალე, რომ ვიპოვო – და მერე შეგახვედრებ.“

სხვა გზა არც ჰქონდა, უნდა დალოდებოდა.

ბოლო დროს ხშირად ახსენებოდა, ლიტერატურის ლექციაზე რომ არჩევდნენ ბეკეტის პიესას, „გოდოს მოლოდინში“. როდესაც მას დაევალა გაეანალიზებინა ეს დრამა, ეგონა რომ საშინელება ელოდა, ვერ გასწვდებოდა ამოცანას, რადგან მისი ცხოვრებისეული გამოცდილება ვერაფრით ვერ დაეხმარებოდა, საკმარისი არ იყო რომ მართებულად შეეფასებინა პიესის ტექსტი; ეხლა კი უცებ იგრძნო, რომ ძალიან ახლოს იყო იმედდაკარგული პერსონაჟების განცდასთან, გაიგო, რას ნიშნავდა ილუზიებით თავის მოტყუება, რასაც მოსდევს სრული განხიზღვა და ხელის ჩაქნევა.

ის დღე ისე გაატარა, როგორც ჭიანჭველამ ცხელ ტაფაზე.

სადილის დრო იყო, როდესაც ზარი გაისმა. ვილაც ახალგაზრდა ბიჭი იყო, იქაური, გაეცნო.

„ჭუნ-ი მქვია, ოღონდ უფრო 'სიანო ჭუნ-ს – პანია ჭუნ-ს' მეძახიანო.“

შინ მიიპატიჟა, სადილად, მაგრამ აპაო-მ იუარა – და გაოცდა, როდესაც ცოტა ხანში თავზე დაადგა სასტუმროში, საჭმლის სატარებელი კოლოფების ასხმით. ძალიან დაიბნა, ინგლისურად რაღაც ჩაიბურთყუნა, ბოდიშები და მადლობა უხადა შენუხებისთვის. ბედად, სიანო ჭუნ-იც არ აღმოჩნდა ენაგატლექილი, სადილი მაგიდაზე დაუღაგა და დაემშვიდობა; ტაქტის გრძნობა ნამდვილად გააჩნდა და აღარ უცდია ვიზიტის თავს მოხვევა, თუმცა ეტყობოდა, რომ მასთან საუბარი ერჩივნა.

დიდი კოლოფი შიგნით დაყოფილი იყო ალუმინის სიფრიფანა კედლებით, და ყოველ ასეთ სექციაში ცალკე კერძი იყო: შემწვარი ხამანსკები წვრილად დაკეპილ საქონლის ხორცის ნაჭრებით, სოიოს ყველი, ს'ჩუანგ-ის წესით, ცხარედ შექმავული, რომელიც ცნობილი იყო „მა-ბეოს ამოყვანილის“ სახელით. ცივ კერძად სიანო ჭუნ-ს კიტრი მოერთმია, ზედ მოსხმული მოტკბო ნივრიან-ძმრიანი სანებელით. ცხადია, ნერწყვი მოუვიდა ამის დანახვაზე, მით უფრო რომ მეორე საუზმის დროც გამოტოვა; თან გაუკვირდა, „შანხაში რა დახვეწილი მომსახურება ჰქონიათ უბრალო ბისტროშიო“ – ვერ მიხვდა, რომ საგანგებოდ მისთვის იყო მომზადებული. ჩხირებით სწრაფად მოურია ცხელი ბრინჯი და მაშინვე ორთქლთან ერთად ცხვირში ეცა კერძის მადისმომგვრელი სურნელი.

იქვე გაახსენდა, რომ გათხოვებამდე ძალიან არ უყვარდა მარტოდ სადილი და როცა უნევდა, დაჯდომასაც კი გაურბოდა, ფეხდგომელა უგემურად ჭამდა, გზადაგზა პირში იყრიდა რაც მოხვდებოდა. ეხლაც ის შეგრძნება დაუბრუნდა, მით უფრო რომ თვალზე მომდგარი ცრემლი აუგემურებდა ასეთ ტრაპეზას; ჭამის დროს გემოს უმწარებდა ფიქრები ეხლანდელ მარტოობაზე, იმაზე რომ წლები შეაღია ოჯახის შენებას, და აღმოჩნდა რომ მთელი ეს ხანი თურმე თხელ მყიფე ყინულზე დააბიჯებდა.

როცა დაღამდა, და რაკი პიტერმა ზარი არ აღირსა, ნამტირალევი და თვალედასიებული, ისევ თვითონ გასწია მასთან, რესტორანში.

პიკის საათი იყო და ტაქსით მგზავრობას აზრი არ ჰქონდა, საცობში გაჩხერა გარანტირებული იყო, ამიტომ მეტრო არჩია, პირველად გაბედა ზღვა ხალხში გარევა, რაც შანხაისთვის ჩვეულებრივი რამ იყო. მეტრო მით უფრო ერჩივნა, რადგან ფუთუნგ-ის სანაპიროზე მდებარე ჭუტი-ს ბინიდან მისვლა – ქალაქის დასავლეთ ნაწილში მდებარე ძველ ევროპულ უბნამდე, ნიშნავდა ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში მგზავრობას. ამიტომ დრო რომ მოეგო, ქალაქის ცენტრში №1 ავტობუსის გაჩერებას დაუნყო ძებნა, ხელში ქალაქია რუკა ჰქონდა მომარჯვებული. ხალხის ტალღა ხან სად მიაგდებდა, ხან სად მიაჭყლეტდა, გულის ფრიალმა შეაწუხა, თავბრუ დაეხვა.

და უცებ ზედ ყურთან მოესმა მშვენიერი გამართული ინგლისურით თქმული: „Are you okay?“ – ხმას ტონზე შეატყო დახვეწილი კულტურა, და დაინახა გვერდით მდგომი ოქროსფერთმიანი ახალგაზრდა კაცი.

„შენ პაო არა ხარ?!“ – მოესმა ისევ მისი ხმა და მიუბრუნდა, რადგან ამერიკის გარდა, სხვაგან არსად ასე არ ამოკლებდნენ მის სახელს.

„ღმერთო ჩემო! პაო!“ – იყვირა მამაკაცმა და სანამ აპაო გონს მოვიდოდა, აღტაცებულმა ჩასძახა: „ვერ მიცანი? ჩაკ-ი ვარ, ჩაკ-ი!“ ასე ყვიროდა და არ ჩერდებოდა. აპაო-მ ორივე ხელი მხრებზე დაანყო, თითქოს უკან დასწია, მოიშორასავით, რომ ასე, მანძილზე უკეთ გაერჩია მისი სახე, მოძრავი სახეების დაუსრულებელ ტალღაში. ჩაკ-მა მკლავები გაშალა, გულში რომ ჩაეკრა და არ ჩუმდებოდა, „ღმერთო, ღმერთო, ეს შენა ხარ, პაო!...“

ეხლა აპაო-ც აჰყვა მის ყვირილს: „მაღალო ღმერთო, ეს რა ხდება?!... ეს როგორ?! საიდან, შენ საიდან, როგორ, ჩაკ?!...“

მის წინ იდგა მამაკაცი, რომელსაც ვერც ცნობდა – მაღალი, ახოვანი, დაკაცებული ჩაკი, ოდნავ წონამომატებული, მაგრამ ეტყობოდა ძალაც და სიმკვრივეც; თან კოსტიუმი ეცვა, სტუდენტობისას რომ საერთოდ ვერ ეპუებოდა და არასოდეს არ ჩაუცვამს – ეხლა კი მუქ ლურჯ კოსტიუმში იყო გამოწყობილი და ნითელზოლიანი ლურჯი ჰალსტუხი ეკეთა. „როგორ დაკაცებულა!“ – ფიქრობდა გაოცებული და ვერც იჯერებდა, თავი სიზმარში ეგონა. „ნეტავი, ვინ არის ეხლა? რას აკეთებს? კლერკია, და ცხრიდან ხუთამდე ოფისში უნევს ჯდომას? ჩინოვნიკია?... ისევ თუ სწერს ლექსებს?“ ხალხის ნაკადი არ აძლევდა მათ გაჩერების საშუალებას, ამიტომ შეერწყნენ და მიჰყვებოდნენ იმ ტალღას. ჩაკს ღონივრად ჩაველო მისთვის მხრებზე ხელი და როგორც იქნა კედელთან შეაჩერა.

აპაო განუწყვეტლივ ერთსა და იმავეს იმეორებდა: „ვერა, ვერ ვიჯერებ, მეშინია რომ დავიჯერო – ნუთუ შენა ხარ, ჩემო კარგო?!“ ჩაკი უცინოდა და აპაო-ს გული გაუთბა ძველი ღიმილის დანახვაზე ნაცნობ დაჭორფლილ სახეზე, მეტს ველარ არჩევდა, რადგან ცრემლებმა აუვსეს თვალები.

ორივე კედელს მიკვროდა ვეება კინორეკლამის ქვეშ, მათ წინ კი არა ცხრებოდა ჩამავალთა ტალღა. თითქოს მათი ყრმობა განმეორდა, როდესაც მორიდებულად იდგნენ სადღაც კოლეჯის ეზოს კუთხეში მიჩქმალულები, უფროს კურსელებისგან დაჩაგრულები. ესლა კი მათ ზევიდან, „ტროას“ აფიშიდან, ბედაურზე ამხედრებული, ოქროსთმიანი ბრედ პიტი დაჰყურებდა, და მის ზურგსუკან კავალერისტების ჯარი მოაგვლევებდა ცხენებს...

აპაო-ს უცებ ჩაკ-ის ატირებული თანაგუნდელები მოაგონდა, როდესაც წაგების შემდეგ გასახდელში შეჯგუფულებს მათი მაგობარი გოგოები ამშვიდებდნენ, ხოლო ჩაკ-ი, რომელსაც არასოდეს ათამაშებდნენ და სულ სათადარიგოთა სკამზე ჯდომა ეწერა, – ის ვერც კი ბედავდა თანაგუნდელებში გარეკას; აპაო-მ მაშინ იგრძნო მისი უხერხულობა და გვერდით დაუდგა დერეფანში, და ასე იდგნენ ერთად, სანამ მოთამაშებმა არ დატოვეს იქაურობა თავიანთი გოგოების თანხლებით.

მაშინ მათთვის არავის არ მიუქცევია ყურადღება, მაგრამ ამით არ დაბნეულან, ხელჩაკიდებულნი, თავდახრილნი, მორიდებულად იდგნენ დერეფანში, და სხვათა ფონზე, საკუთარი უბადრუკობის შეგრძნებამ კიდევ უფრო განუმტკიცა ორივეს სინამდვილის, ურთიერთმხარდაჭერისა და სიახლოვის შეგნება.

აპაო-მ უკვე სული მოითქვა, გაოცებამ გადუარა, გამოერკვა და სხაპასხუპით მიაყარა: „ჩაკ, გამაგებინე, აქ რა გინდა, რატომ ხარ, რა გესაქმება შანხაიში?“

„რატომ, და კომპანიამ გამომგზავნა, რაღაც პროექტი გექვს აქ დასანერგი, უკვე ექვსი თვეა, რაც აქ ვარ.“ ბევრი არ ულაპარაკია, უფრო აპაო-ს ამბები აინტერესებდა.

„და შენ, შენც აქ არჩივ დაბრუნება? ოჰ, სულ ამერია, აღარც მახსოვდა რომ აქაური არა ხარ! იცი, აქ რომ ჩამოვედი, პირველ ხანებში ყველა გოგოს შენ გამგვანებდი, ყველგან შენ მეჩვენებოდი!“

ჩაკ-ის ცისფერი თვალები თითქოს ძველი დროდან შესცქეროდნენ და მის ამ მზერამ კვლავ აატირა, მაგრამ მაშინვე აიყვანა თავი ხელში და ხუმრობაში გადაიტანა: „რამხელა გაზრდილხარ, ა?“

„არ დაიჯერებ, მაგრამ ერთ წელიწადში, კოლეჯის ბოლო კურსზე უცებ ავიყარე ტანი, რაღაც ნუთიერი აქსელერაცია იყო! ინსტიტუტში უკვე გოლიათად შევაბიჯე“ - სიცილით უთხრა და მაშინვე დაამატა: „ესლა სად მიდიხარ, გინდა ერთად ვივასშმოთ?“

თითქოს მის საპასუხოდ, აპაო-ს მობილურმა დარეკა.

„ალო, აპაო-! ჩქარა წამოდი, მგონი ლუნგ-ი აპირებს აქ მოსვლას!“ - ელექტრომუხტებში გატარებული ხმა მაინც ინარჩუნებდა პიტერის ალელვების კვალს.

აპაო-ს უმაღლვე ეცვალა სახე და ისე მიმართა, „ჩაკ, მაპატიე, ესლა სასწრაფო საქმე მაქვს!“ – და დამშვიდობებისას, დაამატა: „დავურეკოთ ერთმანეთს!“

„მითხარი, სად ცხოვრობ, აქაური მისამართი მითხარი!“ – ჯიბიდან უკვე ამოეღო კალამი, სავიზიტო ბარათიც ამოაყოლა, და სწრაფად მიანერა თავისი მობილურის ნომერი.

აპაო ცოტა დაიბნა – „გუშინ ჩამოვედი და ამხანაგთან ვარ გაჩერებული“ – მართლა არ ახსოვდა ზეპირად არც მისამართი და არც ტელეფონის ნომერი, და დაპირდა: „არაფერია, მე თვითონ დაგირეკავ და დაგიკავშირებ!“

ჩაკ-მა ხელი ჩაავლო და ასე ხელჩაკიდებული მიიყვანა №1 ავტობუსის გაჩერებამდე.

ავტობუსში ტევა არ იყო, თუმც არც მის გარეთ იყო სიმშვიდე, ყველა ერთი-ერთმანეთს აწყდებოდა, ყყლეტდა, ჩაგრავდა; აპაო არ იყო ამას ჩვეული, მაგრამ რაღაცნაირად მაინც შეებრძოლა ამ ტალღას, თავისი გაიტანა, ხალხს თავი შეატანინა ავტობუსში და სალონის ბოლოს, კუთხეში მიჭყლეტილი აღმოჩნდა. ცრემლებს ძლივს იკავებდა, სუნთქვას ვერ ახერხებდა, მაგრამ დანყნარდა, მთავარია რომ არ დაიგვიანებდა!...

გარედან ესმოდა ჩაკ-ის ყვირილი:

„აპაო! გეხვენები, დამირეკე! აუცილებლად, გესმის?!“

ჭყლეტა და წვალება შიგ ავტობუსშიც არ დამცხრალა, თავი რომ შეემაგრებინა, ხან რას ჩაავლებდა ხელს და ხან რას, ზევიდან ჩამოკიდებულ სახელურებს ვერა სწვდებოდა, ეს ყველაფერი ცუდი სიზმარივით იყო... ბოლოს მიხვდა, რომ ასეთ ვითარებაში ნერვები საერთოდ უნდა გათიშოს და უსულო კერპივით გაირინდა, მხოლოდ ის ახსოვდა, რომ უნდა მოასწროს, არ უნდა დაიგვიანოს.

როდესაც ჩასვლისას დასჭირდა ტალღის გატარება ბილეთის გასაცემ ავტომატში, მხარზე გადაკიდებულ ჩანთას წაეპოტინა, მაგრამ მხარზე არაფერი ეკიდა, „Nothing!“ საკუთარ თავს მიმართა გაოგნებულმა, ჩანთა გამქრალიყო.

იდგა ასე გაოგნებული, სანამ მგზავრთა ტალღამ გარეთ არ გაიტანა.

14

პიტერის კაბინეტში იჯდა და თვალს ადევნებდა პიტერის საქმიანობას. ის ხან სად რეკავდა, ხან სად, ვილაციებს ეძებდა, საელჩოსაც დაუკავშირდა, პოლოციასაც, რადგან ჩანთაში მისი პასპორტიც იყო,

რომელშიც ის უცხოეთის მოქალაქედ ირიცხებოდა.

შაბათ საღამოს რაღას იზამდნენ? – საელჩო ორშაბათამდე მანც დაკეტილი იქნებოდა; ნუგეშად მხოლოდ ის იყო, რომ პიტერს ჰქონდა იმის პრივილეგია, ნებისმიერ დროს დაკავშირებოდა საელჩოს ნებისმიერ თანამშრომელს: მის რესტორანს ყველანი სინგაპურის „მონატეხად“ ალიქვამდნენ, და ამიტომ შანხაიში არ იყო არც ერთი სინგაპურელი, პიტერს რომ არ სცნობებოდა.

როდესაც აპაო-მ რის ვაივაგლახით მიიღწია რესტორანს, უთხრეს, „ლუნგ-მა ეს-ესაა რაც დასტოვა აქაურობაო!...“ – და მოახსენეს: „არაფერი დაუკვეთია, ცოტა ხანს იჯდა, მერე ადგა და წავიდაო“.

აპაო-მ ვერ მოითმინა და სცადა დაეზუსტებინა, „ის თავის მეგობარი გოგო თან ახლდა?“

პიტერმა თავი გააქნია: „აკი გითხარი, ის სულ ერთთავად მეგობრების კამპანიით მოდის, ქალებიც არიან და კაცებიც“.

„ის ქალები ვინ არიან, მისი მეგობრები?“

„ორი ქალია ხოლმე, კაცები კი სამნი არიან, ლუნგ-ის ჩათვლით“ – უცებ გაღიზიანებულმა დაამატა: „თვითონ უკეთ იციან, ვინ – ვინ არის, და ვისთვის რა არის!...“

„კი მაგრამ, ასე უცებ რატომ გავარდა, შენ უთხარი რომ მოსვლას ვაპირებ?“

„შენ რა გგონია, პირდაპირ ასე მივახლიდი?! უხერხულია. მე ჯერ ვუთხარი, რომ სერიოზული საქმე მაქვს სალაპარაკო, და უკეთესი იქნება, თუ იმ თავის მეგობრების გარეშე შემხვდება. ის კიდევ ადგა, და სხვებიანად, დასტოვა აქაურობა, არაფერი არ უჭამიათ.“ გახსენებაზე, პიტერი ისევ გაღიზიანდა და თავი გააქნია, „სირცხვილია, რას გავს მისი საქციელი, საერთოდ დაკარგა თავი!“

მერე წარბშექმუნული, აპაო-ს მიაჩერდა, თითქოს მისი ბრალი ყოფილიყო: „ეგ არ მეყო! შენ ხომ მობილურიც დაკარგე, მე კიდევ ვრეკავ და ვრეკავ შენთან! მინდა მეთქვა რომ... რომ არ გეჩქარა, რადგან უკვე წასული იყო...“

„რომ დაგერეკა, ამაზე უარესად ვიქნებოდი...“ აპაო ჩამოჯდა, თითქოს ძალაგამოლეული, და განაგრძო: „ჩინეთში, რომ იტყვიან, „ჭირი ცალკე არ დადის, სხვასაც გამოიყოლებსო“ – მეც ასე დამემართა; როცა ვნახე, რომ ჩანთა გაქრა, მივხვდი რომ წინ კიდევ რაღაც მქონდა, უფრო უარესი...“ – მაგრამ ეს რომ სთქვა, თითქოს დამშვიდდა, პიტერმა კი საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა:

„ბავშვების რა ისმის? დედამთილი თავს ართმევს ყველაფერს?“

„მეზობლის ქალი აიყვანა დამხმარედ, ძალიან გამოადგა“ – და გაიხსენა დედამთილთან ტელეფონით საუბარი, როდესაც ლი-მ მკაფიოდ განუცხადა: „ნურაფრის დარდი ნუ გექნება, ყველაფერს მივხედავ – ოღონდ კი ლუნგ-ი ჩამოიყვანო!“

„კი მაგრამ, სულ პატარა? ის როგორ ძლებს უდედოდ?“

„კიდევ ამიტომ ვფიქრობდი, იქნება ყველა აქ გადმოიყვანა!“ – სთქვა და კინაღამ ენა ჩაუვარდა გოცებისგან, თვალგაშტერებული მიაჩერდა თუ მიაყურა სივრცეს, თითქოს უნდოდა გაეგო, „ვინ თქვაო?“ არ ეჯერებოდა რომ თვითონ წარმოსთქვა.

და იმავე ნუთს გონებით შეაფასა ნათქვამი და მიხვდა მის ლოგიკას: რატომაც არა? ჯერ ეს მხოლოდ ვარაუდი იყო, მაგრამ თუ გაჩნდა საჭიროება, ესეც მოხერხდება.

პიტერმა ამჯერად დაიბრუნა თავისი ძველი, კეთილი და მოსიყვარულე „ძიის“ როლი და სცადა მისი დაშოშმინება:

„არა, ასე ხელალებით და იმპულსურად არ ივარგებს. ნუ გავინდება, რომ ეხლა შენ დედა-ბოძი ხარ ოჯახის, შენ იცავ ოჯახს, რომ თავზე არ დაგექცეს ათასი დავიდარაბა და ამიტომ ცივი გონებით გმართებს იმოქმედო – გახსოვდეს, რომ პატარების პატრონი ხარ.“

აპაო-მ ჩაი დაისხა, პიტერსაც დაუსხა, მერე ახლოს მიუჯდა, ისეთი ნდობა იგრძნო გულში, როგორც მხოლოდ მამის მიმართ შეიძლება რომ ჰქონოდა – თითქოს მისი სისხლი და ხორცი იყო, მიუხედავად იმისა, რომ გუშინ საღამოს შინაგანად ასე მკვახედ განერიდა.

„მე ხომ არა ვარ მათსავით ძირძველი სინგაპურელი? ამიტომ სულ არა ვარ ვალდებული, მთელი ცხოვრება იქ გავატარო. თან, თუკი ლუნგ-ი გაყრას გადაწყვეტს, იქ საერთოდ რა მაცხოვრებს?“

„მერე, დედამთილი რომ დაგავინყდა? როგორ გგონია, ის დათანხმდება მშობლიური კუთხის მიტოვებას?“

„ადრე, როგორც გითხარი, ლი სულ იმას მეუბნებოდა, რომ მხოლოდ შვილის გამო დათანხმდა ამერიკაში ცხოვრებას; ასე ამბობდა, რომ იმას კი არა აქვს მნიშვნელობა, სადა ცხოვრობ, არამედ იმას რომ ოჯახთან ერთად უნდა იცხოვრო, და ოჯახის წევრები ერთად იყვნენ. თვითონ ხომ ქმარი ადრე დაკარგა, გაშორდნენ, და ამიტომ ოჯახს ყველაფერზე მაღლა აყენებს.“

„შენ რა გგონია, შანხაიში თუ გადმოსახლდი, ოჯახში დაგიბრუნდება?“

პასუხად აპაო-მ თვალგაწითლებული მზერა შეაგება: „კი, მაქვს ამის იმედი! თუკი მანც მოინდომებს დაშორებას – აქ რომ ვიქნებით, იმას მანც შესძლებს რომ ბავშვები მოინახულოს. გარდა ამისა, ჩემი თუ არა, დედაჩემის მშობლიური ქალაქი მანც არის.“

დედა რომ ახსენა, გაიფიქრა, რა ბედნიერებაა, რომ მამა მანც ჰყავს ცოცხალი; თუმც, მისი მეორე

ქორწინების შემდეგ, მასთან კავშირი ისეთი არარეალური ჩანდა, როგორც ქუჩაში ჩამავალ უცხო ხალხთან... და ჩაიბუტბუტა: „თუ იმანაც სამუდამოდ მიმატოვა... მაშინ ვიცი, რომ დედაჩემის სული დამიდგება მფარველად, მჯერა, ასე იქნება...“

პიტერმა მხარზე დაადო ხელი: „იცი, აპაო, ქალაქის გამოცვლა და სხვაგან გადაბარგება დიდი საქმეა, ყველაფერი უნდა წინდანინ გაიხზო და მოიფიქრო! ყოველი კუთხიდან, ყოველი დეტალი! გარდა ამისა, მთავარი ხომ შედეგია, და ის თუ მაინც არ დაგიბრუნდა, მარტო რას იზამ, ამ შენი სამი ბავშვით?“ და დაამატა: „ისიც გაითვალისწინე, რომ შენი უფროსი ბიჭი ეხლა ხომ დანყებით სკოლას ამთავრებს და საშუალო სკოლაში უნდა განაგრძოს სწავლა. – და ამ ასაკში, უკვე მოზარდისათვის, ქალაქის გამოცვლა დიდ რამეს ნიშნავს, ბევრ სირთულეს მოასწავებს! და ბოლოს, კიდევ ერთი სერიოზული მომენცია, ე-ნის მო-მენ-ცია!..“ – დამარცვლა პიტერმა. აპაო სულ მთლად დაიბნა, აღარ იცოდა რა ეთქვა.

პიტერმა ჩიბუხს მოუკიდა. სამოც წელს მიტანებულმა კაცმა ჩიბუხის მოწვევა ეხლა დაინყო, შანხაიში. მისი კაბინეტის თაროს ამშვენებდა საკოლექციო ჩიბუხების გრძელი რიგი. აპაო აკვირდებოდა მის სახეს და ფიქრობდა: „რაც უფრო ასაკში შედის ეს კაცი, მით უფრო მეტად ცდილობს, მოდას არ ჩამორჩეს. ჭალარა კარგად შეეპარა, მაგრამ მაინც ბიჭურად იცვამს. არა, კეკლუცობის ზღვარს არ გადადის, მაგრამ აშკარად მოსწონს რაღაც ატრიბუტიკამ თავი რომ გამოაჩინოს; ეს ჩიბუხიც იმ კონტექსტში აქვს ნაგულისხმევი, თან უხდება მეგაპოლისის ურბანისტულ აურას, და თან ძველი შანხაის ნოსტალგიასაც პასუხობს.“

პიტერი ამასობაში აგრძელებდა თავის არგუმენტების ჩამონათვალს: „მე თუ მკითხავ, ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი. ჯერ შენ დედამთილს დაელაპარაკე, მოუსმინე, რას გეტყვის. მეორე მხრივ, ბავშვებზე იმას გეტყვი, რომ ისინი ადვილად ახერხებენ შეგუებას, რაც უფრო ადრე ასაკში იცვლიან გარემოს, მით უფრო უადვილდებათ! მერე... კიდევ ის, რომ შანხაი ეხლა ინტერნაციონალური ქალაქია, აქაა სკოლები უცხოელთა შვილებისთვისაც, სხვადასხვა გლობალური პროგრამებია შემოტანილი და დანერგილი, თუმცა კი ძვირი ჯდება ეს ყველაფერი, ძალიან ძვირი!“ პიტერმა ჩიბუხი გადადო და ასე განაგრძო დამშვიდების და გაფრთხილების ერთიანი მონოლოგი, ამჯერად უკვე ეკონომიკურ სიძნელეზე გაამახვილა ყურადღება.

მის არგუმენტებს აპაო უსმენდა ყოველგვარი ანალიზის გარეშე, რომ ბოლომდე ჩასწვდომოდა მის სიტყვებს; ისედაც ბევრი რამ უწყვეტად უტრიალებდა თავში და არ ასვენებდა. ამიტომ მარტო იმას დაპირდა, რომ არ იჩქარებდა გადაწყვეტილების მიღებას, მიიხედ-მოიხედავდა, გაერკვეოდა ვითარებაში, მოიცდიდა.

პიტერის პრაქტიციზმი მაინც აფრთხობდა... ჯიბეში ედო მისი მოცემული ფული. რაკი ჩანთასთან ერთად ფულიც დაკარგა, პიტერმ მისცა რაღაც თანხა, მაგრამ აპაო-მ გადანყვიტა ეს ფული არ დაეხარჯა ტაქსით ძვირ მგზავრობაზე და ავტობუსი და მეტრო არჩია... მაგრამ მგზავრობის ასეთი გახანგრძლივება მხოლოდ ეკონომიის გამო არ არჩია; უფრო იმიტომ რომ გული არ მიუწევდა შესულიყო მეგობრის ცარიელ, ჯერ არნაცხოვრებ, აუთვისებელ ბინაში და იქ ასე მარტოდ ყოფილიყო! მარტობის და უსუსურობის განცდა ისედაც არ აკლდა, ამიტომ ფეხს ითრევდა, და განზრახ გაიგრძელა გზა სახლამდე...

მაშინ მოაგონდა ჩაკ-ის არსებობა, თან ვახშმის დროც იყო, უკვე მოშვიდა და კარგი იქნებოდა, ერთად სადმე სავახშმოდ დამსხდარიყვნენ და ესაუბრათ – და ეხლა მიხვდა, რომ დაკარგულ ჩანთას თან გაჰყვა ჩაკ-ის მოცემული კოორდინატები!

15

მზის შუქმა გააღვიძა, ფარდის აფარება დავინწყებოდა ფართო ფანჯარაზე.

ბინა ოცდამეექვსე სართულზე იყო და შენობის ფასადი სამხრეთ-დასავლეთ მხარეს გასცქერდა. ჭუტი-სგან ახსოვდა, რომ შანხაიში საუკეთესო შენობები სამხრეთ-დასავლეთის მხარეს გაჰყურებენ, და ბინებსაც ასე არჩევენ. ეს იმის გამო, რომ ქალაქი ტენიანია, ქარი კი უფრო სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან უბერავს, ამიტომ იქით მხარეს გამავალი ბინები და ფანჯრები ძალიან სველდება. გარდა ამისა, შანხაიში ძალიან ფასობს მაღლა სართულებზე მდებარე ბინები, რადგან ამინდი იქ უფრო ხშირად ღრუბლიანია, და ამიტომ ხალხი სწორედ სამხრეთ-დასავლეთ მხარეს გამავალ ბინებს ეშურება, თან მაღლა მდებარე ბინებს, რომ წინ არაფერი ეფარებოდეს, და ასეთნაირად მზის ნათელიც დაიგულოს. ასე იქცევა ყველა მყიდველი: უბანი, მხარე, და სართული. ეს ყველაფერი ჭუტი-მ შეიგნო ბინის ძებნის პერიოდში, კიდევ სხვა, სხვადასხვანაირ ხრიკებთან და ეშმაკობასთან ერთად, ეს აპაო-საც გაუზიარა, თან არნმუნებდა, რომ „სულ მაქვს იმის შეგრძნება, რომ შენც იქ გადმოსახლდებიო...“

კი, ჭუტი-ს მონოლოგებმაც თავისი ქნეს, და გავლენა იქონიეს მისი დაქალის ფიქრებზე. თუმცა, აპაო მაინც არა ჩქარობდა გამოეცხადებინა თავისი გადაწყვეტილება, და როდესაც სატელეფონო კავშირის ორივე ბოლოს ჩამოეკიდნენ, აპაო-მ კიდევ სამერეოდ გადადო თავისი „ჰო“ თუ „არა“ პასუხი იქ დასახლებაზე, და მახვილი ლუნგ-ის „არგამოჩენაზე“ გადაიტანა. ამჯერად ჭუტი-მ დაარიგა, „აცალეო“, ხოლო იმისათვის რომ შორიდან მაინც რაღაცნაირად შეემსუბუქებინა აპაო-ს მარტობა, შესთავაზე, „სიაო ჟუნ-ს ვეტყვი, რომ ხშირად გამოგიაროს ხოლმე და სადმე გაგიყვანოს, დაგათვალიერებინოს, მანდ რაც სანახავია: „რატომაც არა? პასპორტი არ გაქვს, შაბათ-კვირა მაინც საქმე არაფერი გაქვს და შეგიძლია სასეირნოდ რომ მოიცალო. გინდა, ეხლავე დაუწერეკავ? ის არ დაგზარდება, ცოტა ხანს სიამოვნებით გაგიწევს კამპანიას! მით უმეტეს

რომ მისი ცოლი სულ მივლინებებში დაიარება, შინ ნაკლებადაა; ეს ბიჭი კი მოწყენილია უსაქმოდ...”

აპაო არც კი დაფიქრებულა, უმაღლე იუარა: „უი, არა, ყველაფერს გაფიცებ, მაგას ნუ იზამ!...”

„კარგი, როგორც შენ იტყვი, ისე იყოს...” – აღარ შეედავა ჭუტი და ურჩია: „ეხლა წადი, ერთი აბი ჩაყლაპე რომ კარგად დაგეძინოს, და ნურაფერზე იდარდებ, ხვალე კი. The sun also rises“ – დაასრულა ჭუტი-მ საუბარი ჰემინგუეის ერთი რომანის სათაურით.

.....

დილით თავს ნება აღარ მისცა დიდხან ეგორავა ლოგინში, ადგა, ყავა მოიხარშა, სენდვიჩები გაიმზადა, როგორც წესი და რიგია. საერთოდ, მას შეეძლო არ ესადილა, არც ევანშმა, მაგრამ ადგომისას რომ არ ესაუზმა, ეს გამორიცხული იყო. როდესაც ადრე ჭუტი-სთან ერთად ცხოვრობდა, ის სულ საყვედურობდა, „თავს რატომ იტვირთავ ბევრი ვალდებულებებით? ამით ხომ იბოჭებიო?“ მაგრამ აპაო თავის პოზიციას არ ცვლიდა; არც ჭუტი – და ამის მიუხედავად, აგერ უკვე ათი წელი გავიდა და ისინი მაინც ინარჩუნებდნენ თავის პრინციპებს და მჭიდრო მეგობრობას.

საუზმობდა, თან თავს ეკითხებოდა: „ქვეყანაზე რამდენი გაუთხოვარი ქალი არსებობს, და მე ისეთი რა მჭირს, რომ ასე განვიცდი ჩემს მდგომარეობას?“

სანამ სახლიდან გავიდოდა, სიანო ჟუნ-მა დაურეკა და შეთანხმდნენ რომ შვიდ საათზე შეხვდებოდნენ სასტუმროს ჰოლში, პირველ სართულზე. აპაო-ს მაინც და მაინც არ უხაროდა ყმანვილის ასეთი ზრუნვა, მაგრამ ეუცნაურა, რომ ამ საუბარმა გუნებაზე დააყენა.

უნდოდა ლი-სთან დარეკვა, მაგრამ გადაიფიქრა, პირველი კვირადღე დგებოდა, რომ ბავშვებს დედის გარეშე უწევდათ ყოფნა. მერე, განა აუცილებელია რომ ყველა დედამ თავის ბავშვებთან გაატაროს შაბათ-კვირა? ხომ არის კიდევ გამონაკლისის მაგალითები?

ძალიან უნდოდა ვინმეს დალაპარაკებოდა, გული გადაეშალა, რადგან თავს გრძნობდა გალიაში გამომწყვდეული და მარტოობით გადარეული ნადირივით... ამიტომ დაურეკა დედამთილს:

„რა ამბებია მანდ, პატარას კუჭისტიკივილი ხომ არ აწუხებს? ან ანი გიჯერებთ? ისევ ტირის, საბავშვო ბაღში წაყვანისას? ჰო, იუანიუ ანი ხომ ძალიან წელია, ისე ზანტად საუზმობს, რომ სკოლის ავტობუსზე იგვიანებს, არ ვიცი, რა ეშველება!.. ძალიან გაგანვალეს? ძალიან? ძიძამ თუ ივარგა, გეხმარებათ?“ – ისე მიაყარა კითხვები, რომ ლი-მ პასუხის გაცემა ვერ მოახერხა, და მერელა, როცა აპაო გაჩუმდა, ანგარიში ჩააბარა:

„შენ ნურაფერი ნუ გაღელვებს. ყველაფერი რიგზეა, შენს არყოფნაში უფროსები მგონი უფრო დამოუკიდებლები გახდნენ. პატარას ბანაობა მოსწონს...” – ლი სიუფენგ-ს არც ეხლა უღალატია მეტყველების მუდმივი მანერისათვის – აუჩქარებლად, დინჯად, მშვიდად ელაპარაკებოდა, და ხმაში ისევ ის კეთილგანწყობა ჟღერდა, რომელიც წლების წინ ბევრ სწულს და ავადმყოფს გამოჯანმრთელების იმედს უმაგრებდა.

პატარას ამბებს რომ უყვებოდა, აპაო-ს ისევ ცრემლი მოადგა, და ამ დროს დედამთილმა ისე, თითქოს სასხვათაშორისოდ, ჰკითხა: „შენსკენ რა ამბებია? ლუნგ-ი ხომ არ გინახავს?“

„პიტერი მიწყობს მასთან შეხვედრას“ – ის აღარ უხსენებია, რომ ლუნგ-მა გაიგო მისი ჩამოსვლა და თავი აარიდა შეხვედრას... შემდეგ დაამატა: „რას იზამ, ასეთი პერიოდისგან არავინ არის დაცული?! მაგრამ არა უშავს, ღმერთმა ქნას, ესეც ჩაივლის...”

ასაკთან ერთად, განწყობას სიმყარე ემატება, და ადამიანი სხვასაც გადასცემს ამ უნარს, შეინარჩუნო სიმტკიცე გრძნობის და განწყობის.

აპაო დამშვიდდა, მოეშვა, ლი-მ კი განაგრძო: „ისე, ძალიან ნუ იჩქარებ ლუნგ-თან შეხვედრას. იცხოვრე მანდ შენთვის წყნარად; მანამდე იქნებ პიტერმაც მოახერხოს მისი ნახვა, ჭკუაზე მოიყვანოს. მერე შეხვდებით, და ღმერთმა ქნას, ყველაფერი დალაგდება.“

აპაო გაჩუმდა, რადგან გულში არ იყო ამაში დარწმუნებული.

ლი სიუფენგ-მა ისევ დაიწყო ჩვეული წყნარი და მშვიდი ტონით: „როდესაც ლუნგ-მა ერთდროულად ორი მიპატიჟება მიიღო ორი უნივერსიტეტიდან, შაბათი დღე იყო, მახსოვს, და სადილად დაგპატიჟე. სუფრა-სთან ლუნგ-ი გაჯიუტდა, მაინც და მაინც კოლუმბიის უნივერსიტეტი მინდაო. მაშინ შენც შეგეკითხე, რას ურჩევდი, და შენ თქვი რომ მის ადგილას უფრო მაღალი ხარისხის და სახელის უნივერსიტეტს ამჯობინებდი. ის კი არა, მეც დამიყოლიე თანხმობაზე, რომ სესხი ამელო და ხელი შემწყობო მისთვის. თუმცა თვალებში გატყობდი, რომ არ გინდოდა მასთან განშორება. მაშინ უკვე ეჭვი არ მეპარებოდა, რომ გიყვარდა, მაგრამ ვიგრძენი, რომ შენ ისეთი ქალი ხარ, ვისაც შეუძლია მსხვერპლი გაიღოს საყვარელი ადამიანისათვის. ძალიან გამიხარდა, რომ ასეთი პიროვნების სიყვარული დაიმსახურა, მაგრამ ვხედავდი, რომ ბრმაა, ვერაფერს ვერ ხედავდა... მაშინ ვიფიქრე რომ ქორწინება – კარმაა, ბედი, და თუ, არსებობს თქვენს შორის კარმა, მაშინ საბოლოო ჯამში შეხვდებით და შეერთდებით. მე რა შემიძლია, აპაო, მხოლოდ ვილოცო! გამიგე?“

ლი გაჩუმდა და პასუხს დაელოდა, მერე ამოიხარა და დაამატა: „იმ საღამოს შემდეგ, კიდევ სამი წელი

გავიდა თქვენს ქორწინებამდე!... რას ვიფიქრედი, რომ ყველაფერი მერე ასე აენწყობოდა!...”

უკვე ვაით ანისკენ გადასახვევს იყო მიღწეული, როდესაც ჩამავალმა ტაქსიმ ნითელი ნათურა აუნთო, „თავისუფალი ვარო“, და აპაო ჩაჯდა მანქანაში... მძლოლი შეეკითხა, საით წავიდეთო, და აპაო-მ, რაც თავში მოუვიდა, პირდაპირ მიახალა, „სადმე ახლოს, მეტრომდე!“ – და თავი დაიმშვიდა, „დანარჩენს მერე გადავწყვეტო“.

ცენტრალურ მოედანზე ჩამოვიდა, ბრმად მიჰყვა ხალხის ნაკადს და მეტროს №1 ხაზთან აღმოჩნდა.

პიტერთან მოხვდა სწორედ იმ დროს, როდესაც სავახშმოდ შემოსულ კლიენტების ტალღა მაქსიმუმს აღწევს. ორადგილიანი თავისუფალი მაგიდა აირჩია, პიტერს განზრახ არ მიაკითხა.

თევზის ტეფტელები დაუკვეთა, ერთი ულუფა რალაც ტკბილეული და კიდევ ითხოვა ძალიან ძვირი ჩაი, „ფუერ“ – რომელიც სინამდვილეში ჩვეულებრივი მწვანე ჩაი იყო, და კიდევ რალაც ჟურნალი მოატანინა – ვითომ წასაკითხად, ოღონდ სინამდვილეში, სახე რომ დაეფარა.

იმდენი მოახერხა, რომ ეს ვახშამი დაღამებამდე, რვიდან ათამდე ასე იყო სკამს მიწებებული; თუმცა მთელი ეს ხანი ვერ ისვენებდა, თითქოს სკამზე კი არა, ნემსებზე მჯდარიყო, რადგან იცოდა, რომ ამ ტიპის რესტორანში თავხედი ოფიციანტი თავს არ იტყუებს, უმაღვე ამოიცნობს უფულო კლიენტს და არ დააცლის იქ დიდხანს ჯდომას.

ვახშამის დრომ ჩაიარა, უკვე ღვინის დაჭაშნიკების დრო მომდგარიყო და სტუმრები ბარისკენ მიიკრიფებოდნენ. აპაო-ს წარმოდგენით, შაბათ საღამოს იქაურობა უფრო ხალხსავსე უნდა ყოფილიყო. ამ დარბაზში პიტერი იშვიათად ჩნდებოდა, ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც პირადი სტუმრები ჰყავდა მისაღები ან გასაცლილებელი. მთელ ამ სურათს აპაო თავისი „საფარიდან“ აკვირდებოდა, სახეზე აფარებული ჟურნალის კიდიდან.

„უი, აპაო, შენა ხარ?“ – როგორც იქნა, შეამჩნია ის პიტერმა: „ხომ არა გგონია, რომ დავბერდი და მხედველობა დამაკლდა? დიდი ხანია თვალი მოგკარო; ჩემთან რატომ არ შემოხვედი?“ – პიტერი უცინოდა, აპაო-ს არ უცდია თავის მართლება.

მაგიდასთან მიჯდა და ოფიციანტს უთხრა, ჩაიდან მდულარეთი შეეცხო.

აპაო-მ შენიშნა, „ისე, რომ იცოდე, საერთოდ არა ვსვამ ჩინურ ჩაის, არ მიყვარს; ეს ისე, საერთო სურათი რომ არ დაგირღვიო.“ პიტერი კარგად ვერ მიხვდა მის ნათქვამს და აპაო-მ აუხსნა: „არ გესმის? მერიდება ყოველ მოსვლაზე შენი შენუხება, რამდენი აქ მოვედი, იმდენი ფული არ გადამხდევინე, მცხვენია, თითქოს ვიღაც ის ვიყო...“

„რას ამბობ, შენ რა, „ვიღაცა“ ხარ? მამაშენის და ჩემი ურთიერთობა შენთვის არაფერს არ ნიშნავს?!“

„თან არც სხვაგან არ მინდოდა შესვლა,“ – განაგრძო აპაო-მ თავისი დამოკიდებულების ახსნა, „ეს ადგილი უკვე ჩემს კუთხედ დავიგულე, თითქოს სახლი გავიჩინე შენხაიში.“

„ეხლა ხომ აქ ხარ, ჰოდა ნუ ცმუკავ, ნურსად ნუ იჩქარებ, შენი Uncle მალე მოიცლის და ცოტა ხანში მოვალ და დაგიჯდება.“

ეს თვისება პიტერს არასოდეს არ ღალატობდა, ყოველთვის ახერხებდა დაწყნარებას და დამშვიდებას, თუნდაც მისი სიტყვები არ სცდებოდნენ „ფორმალური ზრდილობის“ ფარგლებს.

აპაო-მ თავისი იქ ყოფნის ასეთი ნებართვის და „ლეგალიზაციის“ შემდეგ, ჟურნალი გვერდზე გადადო და დაუფარავად მოატარა მზერა დარბაზს. ჩამოწოლილ ღამეს მოჰყვა სტუმრების ახალი კატეგორია, ახალგაზრდა შანხაელთა ჯგუფები, გამოპრანჭული გოგოებით. იქვე, აპაო-ს გვერდით მაგიდას ულამაზესი გოგონა მიუჯდა, იმდენად ეშხიანი და გამოპრანჭული, თითქოს უნდოდა დაეჯახნა პიტერის რესტორნის ინტერიერი. აპაო-მ ყვავილს მიახმავდა, გაფურჩქვნილ ყვავილს, რომლის სურნელი უფრო ამძაფრებს მის ყვავილობას.

ძალაუნებურად, აპაო-მ კვლავ იგრძნო იმ შიშის მოძალება, რომელიც უჩნდება ხოლმე ადამიანს მისთვის უჩვეულო გარემოში და საზოგადოებაში მოხვედრისას; კვლავ შემოანვა საკუთარი „უადგილობის“ გრძნობა იმ გარემოში, რადგან ხედავდა რომ არ ერწყმოდა საერთო სურათს, დისჰარმონია შეჰქონდა იქ ყოფნით.

მაშინვე დაუნყო თავის თავს დატუქსვა, საყვედურობდა, „როგორ ვერ ხვდები, რომ რაკი ამდენ ხანს აღარ გამოჩნდა, აზრი არა აქვს კიდევ მის ლოდინს!“ მაგრამ არ განძრეულა, თითქოს სხეული არ დაემორჩილა მის გონებას და უხერხულობის განცდის მიუხედავად, ადგილიდან არ იძვროდა...

როდესაც თვითონ ცდილობდა გაეაზრებინა საკუთარი შეგრძნება და განცდა, ამ დროს უეცრად ატყდა რალაც ხმაური, შეძახილები და შუა დარბაზში შეამჩნია ორი კაცი და კიდევ ვიღაცეები, ერთმანეთს აწყდებოდნენ. ნამიცი არ გასულიყო, რომ არეულობას ბოლო მოუღო პიტერის გამოჩენამ, რომლის გამომეტყველებამ გააოცა აპაო, ის არასოდეს ენახა ასე გაავებული და გაცეცხლებული... ერთი კაცი სადღაც გვერდზე მიათრევდა ვიღაც ქალს, მეორეს – პირიქით, ქალი ეწეოდა გასასვლელისკენ და თვალს რომ მოეფარნენ, აპაო-ს თვალები უცებ გაუდიდდა გაოცებისაგან, რადგან იმ გარეთ გაყვანილ კაცში უცებ ლუნგი-

მოეჩვენასავით!

ძალაუნებურად წამოინია და მიაჩერდა შორს მდგომს: კი, ლუნგ-ი უნდა ყოფილიყო, თუმც არც ვარცხნილობით და არც ჩაცმულობით ლუნგ-ს არა ჰგავდა.

ფეხებმა უმტყუნეს, ნაბიჯს ვერ დგამდა. ის წყვილი ისევ დაიძრა გასასვლელისკენ, როდესაც მათ წინ უცებ ვილაცა წამოიშრია, ხელი ჩაავლო ქალს და თავისკენ გასწია, მაშინვე მათ დაცვის თანამშრომელიც დაემატა, რომელმაც მაჯაში ჩაავლო ხელი კაცს და მოხერხებული ილეთით ლამის იატაკზე დასცა ის კაცი. არც იყო გასაკვირი – სუსტი აღნაგობის იყო, ტიპური „ნიგნის ჭია“, რომლის მსგავსებზე ამბობენ, „ხელიდან ქათამიც დაუსხლტება“.

ეს სურათი მთლიანად საგანგებოდ გათამაშებულ სცენას ჰგავდა ამერიკული ტრილერისთვის. აპაო-ს მსგავსი რამ მხოლოდ ეკრანზე თუ ენახა, და ამიტომ გაოგნებული უცქერდა სიუჟეტის განვითარებას...

პიტერი მაშინ მიუახლოვდა, როდესაც აპაო ისევ სკამზე დამჯდარიყო, საზურგეს მიყრდნობილი, ამ სანახაობით გამოფიტული:

„დაინახე არა, ყველაფერი? სირცხვილია! იმ ორმა მამაძაღვმა შანტაჟი მოუწყეს ამ უბედურს! ამ საცოდავმა კი იფიქრა, რომ მისი ვალია, ქალს უშველოს!“

აპაო ისე იყო ნანახით გაოცებული, რომ არც კი ესმოდა პიტერის ნათქვამი.

„კი მაგრამ, ქალმა რომ წაიყვანა ის კაცი – ის განა ლუნგ-ი არ იყო?“

პასუხად პიტერმა უცნაურად, ცივად ჩაიციინა: „რას ამბობ, რის ლუნგ-ი? ნეტავ ის ყოფილიყო, უფრო აჯობებდა!“ – და მერე აპაო-ს ისე შეხედა, ჩანდა რომ ეცოდებოდა: „არადა, იცი, მართალი ხარ! ესხა მივხვდი, რომ მართლა რაღაცით ჰგავს!“

აპაო-მ ისეთი შვება იგრძნო, თითქოს უცებ ერთი ფუთი გვირთი მოეხსნათ მხრებიდან.

16

ქუჩაში იდგა. პიტერის უეცარმა დადუმებამ ისევ გამოიწვია გულისფრიალი, თან – იმის მიუხედავად რომ ის კაცი ლუნგ-ი არ იყო, ნანახმა კვლავ აუფორიაქა გრძნობა და განცდა.

იდგა ასე დაბნეული და იმას ფიქრობდა, „სად წავიდე, საით გავწიო?“

შინ მისვლა ესიკვდილებოდა. ტაქსის მოძიებას ვერაფერი უთხრა გარკვევით, სად უნდოდა. მძლოლმა ჩაყლაპა გაღიზიანება მოცლილი ახალგაზრდა ქალის დაბნეულობაზე, რადგან კარგად იცოდა, სად და რით ავსებდა თავისუფალ დროს შეძლებულთა კატეგორია, და გალანძღვის ნაცვლად, ტაქტიანად ჩაახველა და დაძრა მანქანა.

აპაო-ს წინ ისევ ის პარკი აღმოჩნდა, რომელსაც ლუნგ-თან ერთად პირველად ეწვია შანხაიში ჩამოსვლისას, და გაუნძრევლად მიაჩერდა ძველ ნაცნობ სარეკლამო ფარს: „park 97“. სწორედ ამ ბარში ისხდნენ მაშინ ლუნგ-თან ერთად.

პარკში შემავალ ბილიკზე ბნელოდა, მაგრამ მოუხვია თუ არა, იქაურობა გაჭაჭახებული დახვდა, თითქოს სხვა სამყაროში მოხვდა: ევროპულ ყაიდაზე ნაგებობათა რიგი, მათ არქიტექტურასთან შერწყმული ლამპები, მაღალ ფანჯრებში ჩანდნენ ლამაზად ჩაცმული მოძრავი სილუეტები; მიახლოებისას, ეჩვენა რომ მათი ღიმილი ჰარმონიულად ეპასუხებოდა იმ წკარუნს, რასაც ბოკალები გამოსცემდნენ ჭიქების შეხებისას, და იგრძნობოდა რაღაც უჩვეულო ზღაპრული ატმოსფერო, რომელსაც კიდევ უფრო აძლიერებდა ლამაზი მუსიკის მათრობელი ჰანგები.

თავისი ახალგაზრდობა გაახსენდა, ჭუტი-სთან ერთად რომ დაიარებოდა იმ ბარებში, სადაც სტუდენტებს უშვებდნენ... და რა სხვაობაა ამ გარემოსთან შედარებით!

ხელი ჰკრა თუ არა მინის კარს და შიგ შედგა ფეხი, მაშინვე შეჩერდა ერთი ოფიციანტის გამომეტყველების დანახვაზე, რომელმაც ისე შეათვალა მისი ჩაცმულობა, რომ მიხვდა – მისი მამისური, ბრიჯები და სნიკერები არ შეესაბამებოდა იქაურ გარემოს.

ოფიციანტის ეს მზერა უარად და აკრძალვად მიიღო და ინგლისურად მოიბოდიშა, რომ „პასპორტი დამეკარგაო“ – მაგრამ მისმა ამერიკულმა აქცენტმა უცებ შეცვალა ოფიციანტის დამოკიდებულება, უმაღლვე გაუღიმა – რამაც შინაგანად გააღიზიანა აპაო; ასე თუ ისე, ოფიციანტი წინ გაუძღვა და აპაო აღმოჩნდა ცარიელ ორადგილიან მაგიდასთან.

ოფიციანტმა გამოუცხადა, რომ „ბარში არავინ მოსთხოვს პასპორტს, რადგან ასაკობრივ შეზღუდვას ისედაც იცავენ.“ – თან ეცინებოდა ამაზე, თან თავი ისე იგრძნო, როგორც სხვა ქვეყანაში მოხვედრილ ტურისტს ემართება ხოლმე, როდესაც უჭირს გაერკვეს ვითარებაში. კიდევ ის გაიკვირვა, „ესენი აქ ბარში შესასვლელად, სამეჯლისო ჩაცმულობას ხომ არ ითხოვენო?“ მიხვდა, რომ საერთოდ არ ესმოდა მასზე ახალგაზრდა თაობის ბევრი ჩვევა და მანერა.

მაგიდასთან ჯდომას, ისევ ბართან არჩია შესუბუბა. მიმოიხედა, და პირველი ვისაც დაადგა თვალი, ახალგაზრდა გოგონა იყო შავი ხავერდის კაბაში, ზურგი და დეკოლტე ღრმად ჰქონდა ამოჭრილი და ყურადღებას იპყრობდა მისი საოცრად თეთრი კანი, ისეთი ქათქათა და თხელი, რომ ხელის შეხებას მოერიდებოდი, არ გასკდესო. სიგარა რომ მოემორებინა პატარა, კოხტა ტუჩებიანი პირიდან – მისი პირის და

ნუშისებრი თვალების შემხედვარე იტყოდა, „ძველი ჩინური გრაგნილის ნახატიდან არის გადმოსული!“ ოფიცინტმა თავი ვალდებულად ჩათვალა, რომ კლუბის წევრი წარმოედგინა და უთხრა: „ეს ჩვენი ცნობილი დი-ჯეი არის, მთელ შანხაიში სახელგანთქმული.“

„ვიიინ?“ - გაიკვირვა აპაო-მ.

„მე მასთან მჯდომ ბატონზე მოგახსენებთ, ძალიან ცოცხალი და ხუმარა პიროვნებაა.“

აპაო-მ მზერა იმ გოგონას თანმხლებ კაცზე გადაიტანა: გარუჯული, ელეგანტურად ჩაცმული, მანერები აშკარად კარგი ჰქონდა.

შემდეგი ფრაზა ოფიცინტმა ამოხვრას ამოაყოლა: „იმ გოგოს boyfriend-ია“, და ნათქვამი შანხაის ჟარგონით დააგვირგვინა: „tie kung yi liu! – „მაგარი ტიპია!“

„ოო, ცხადია, კლასიკური წყვილია: ნიჭიერი ახალგაზრდა კაცი და შესანიშნავი ნორჩი ქალიშვილი!“ (*აპაო-მ აქ იუმორით გაითამაშა ძველი მწერლობიდან აღებული პერსონაჟების წყვილი და სიუჟეტური ფუნქცია).

ის იყო აპაო-მ იფიქრა, „არაა საჩემო გარემო და აქაურობას არ შევეფერებო“, რომ ოფიცინტმა მენიუ მთართვა სასმელების ჩამონათვალთ, და აპაო-ს ისლა დარჩა რომ ბარებში გაშინაურებული სტუმრის მსგავსად, ყინულიანი ვისკი დაეკვეთა.

მოსვა და ცოტა ხანში გუნებაზე მოვიდა და დანარჩენებს გაჰყვა საცეკვაო დარბაზში, სადაც უკვე ცეკვავდა რამდენიმე წყვილი. გულში უკვირდა და ეცინებოდა, რომ 'რატომაა, რომ თავს ასე კარგად ვგრძნობ ასეთ სიტუაციაში? მე – ერთგული ცოლი, სამი შვილის დედა?“

დიდი ხანია, არ განუცდია ასეთი თავბრუდამხვევი თავდავიწყება.

17

ტელეფონის ზარმა გააღვიძა. მექანიკურად ხელი მოაფათურა მალვიძარას გამოსათიშად, თან უცებ მიხვდა, რომ თორმეტი ხდებოდა. წამსვე წამოხტა და მაშინლა შეიგნა რომ ჭუტი-ს ბინაშია. ტელეფონში სიაო ჟუნ-ის ხმა გაისმა, „როგორ გიკითხოთო“. – „ნორმალურად!“ - მოკლედ მოუჭრა, რადგან ზარმა მამინვე ჩვეულ საფიქრალში გადაადგო.

„მგონი განუხებ, მაპატიე“ – მოიბოდიშა ყმანვილმა.

„არა, არა, რა შენუხებაა.“

„გუშინ, შვიდი ხდებოდა რომ დაგირეკე, და არავინ არ მიპასუხა“

„აა, შეიძლება, რესტორანში ვიყავი“ – ამ სიტყვებზე ნუხანდელი სურათებიც გაახსენდა და აუხსნა - „ხმაური იყო და ვერ გავიგე. რამე საქმე გაქვს?“

„აა.. ეტყობა, შევცდი... მეგონა, თითქოს დავთქვით რომ ერთად გვევახშმა.“

აპაო გაშტერდა და უცებ შეჰყვირა: „Man!“ – ეს წამოძახილიც მისი სიყმანვილის იმ ხანას ეკუთვნოდა, როდესაც მთელი კამპანია ერთად სვამდა, ერთად თვრებოდა. არადა, ნუხელის ხომ გაახსენდა, რომ ასე მოილაპარაკეს! „ღმერთო, როგორ დამავიწყდა!... კი, როგორ არა, მე დაგპატიე, უნდა სადილი გამეკეთებინა! შვიდ საათზე, ჰო, მახსოვს, პირველ სართულზე, ჰოლში, ჰო, როგორ არა!“

ყველაფერი ცოცხლად გაახსენდა, წამოხტა ლოგინიდან – „ვაიმე, რა სირცხვილია!“ და მილში ჩასძახოდა: „მაპატიე, გთხოვ, მაპატიე!... მე... იცი, ისეთ გარემოში ჩავვარდი, რომ...“ ამაზე მეტი ველარაფრის თქმა ვერ მოახერხა, რადგან ყელი გაუშრა“ ხველება აუვარდა.

მილიდან ისმოდა: „რამე სერიოზული ხომ არ არის, გინდა დაგეხმარო?“

„არა, მადლობთ, მადლობთ... გადამიარა.“ მტკიცე ხმით უპასუხა ყმანვილს.

თავი უსკდებოდა, ისე ტკიოდა, ამიტომ ერთი აბი გადაყლაპა და არც უფიქრია შედეგზე, ისე დაიძინა.

დაქალის მეგობრის ქმართან მხოლოდ ზრდილობის გამო აპირებდა ვახშამს, ამით მაინც რომ მადლობა ეთქვა ხშირი შენუხებისათვის, მაგრამ ვახშამი ოთხ საათს გაუგრძელდა და იმდენ ხანს იჯდა მასთან ერთდ, სანამ რესტორნის დახურვის დრო არ დადგა, და სრული ოთხი საათი ისმენდა იქაური კაცის ათასგვარ ამბავს – და ამის წყალობით მოახერხა დაესვენა თავისი გამუდმებული საფიქრალისგან.

სიაო ჟუნ-ს სამშენებლო ფაკულტეტი ჰქონია დამთავრებული, მუსიკა ჰყვარებია და ეხერხებოდა კომპოზიციების წერა. დრო და დრო სამოყვარულო სპექტაკლებზეც გამოდიოდა და ისე აიყოლია ამ გატაცებამ, რომ თავისუფალი პროფესიის გზა აირჩია, რაც ცუდად მოუტრიალდა – დაკარგა მტკიცე ხელფასის მიღების საშუალება და ოჯახს ვეღარ ინახავდა. ეს ფუნქცია მისმა ცოლმა იტვირთა – ის არ ჩივის და არ ბუზღუნებს, მაგრამ მაინც ამბობს, რომ არ ეთანხმება მისი სამსახურის და საქმიანობის შეცვლას. ისე, ცხადია ბედნიერია, რომ ოჯახში ასეთი ვითარებაა, მაგრამ თან ესირცხვილება ცოლის კისერზე ასე ყოფნა. ამას წინათ კი ხელოვნების რაღაც ზეიმზე, ერთი გოგო გაიცნო, რომელიც მის მსგავსად მოქცეულა: სამედიცინოზე სწავლობდა, მაგრამ არ მოსწონებია ეს პროფესია, რადგან ყოველთვის ოცნებობდა ცეკვის დადგმელად ემუშავა. სიაო ჟუნ-ისა არ იყოს, მასაც მიუგდია სამედიცინო, და მიჰყო ხელი ქორეოგრაფიას. ეჰ, მალევე

დარწმუნებულა, რომ აქედან არაფერი არ გამოვა. ვინაიდან არასოდეს აკლდა მოტრფიალეთა გუნდი, ეხლა ფიქრობს, ვინმეს რომ გაჰყვეს, იქნებ ამით მაინც გადაწყვიტოს თავისი ცხოვრების გზა?

ყველაფერი გასაგები იყო. ისევ ორი მსგავსი პიროვნება, ერთნაირი მიდრეკილება, და მსგავსი ბედი! ამ სურათშიც, ალბათ საერთო კარმა იყო მიზეზი. მაგრამ მათი გასაღველი გზა მოკლეა, რადგან ორივემ განიცადა რაღაც სირთულე, მაგრამ ამასთანავე, ესენი ორივენი გაცილებით უფრო საღად უყურებენ ცხოვრებას.

ერთადერთი რამ, რისი უფლებაც მისცეს თავიანთ თავს, ერთად ყოფნა იყო, ათი დღის განმავლობაში, იცოდნენ რომ არანაირი სხვა პერსპექტივა მათ არა ჰქონდათ. გამოდის, რომ ხელოვნებამ თან მაჭანკლის როლი ითამაშა მათ დაახლოვებაში, და თან გაამასხარავა...

„როდესაც ვმორდებოდით, მთელი ღამე ქალაქში დავეხეტებოდით, ორივე მართლა მძიმედ განვიცდიდით ჩვენს დაშორებას, არც კი გაგვჩენია სექსის სურვილი“ – სიცილით დაასრულა სიაო ჟუნ-მა, და ამ სიცილით უფრო დათრგუნა აპაო-.

„მატარებელში რომ ჩავსვი და გავაცილე, ქალაქში ვერ დავბრუნდი, არაფრის თავი არ მქონდა, ამდენი რამის ერთად ატანა არ შემეძლო! არც ის შემეძლო, რომ შინ ისე დავბუნებულყავი, „ვითომ არაფერი“ და ცოლისთვის თვალეზში შემეხედა. ამიტომ სხვაგან გადავბარგდი, სხვა ქალაქში და ექვსი თვე იქ ვიცხოვრე, ხან რას მივედე, ხან რას მოვედე. საჭმლის ფული რომ მქონოდა, არაფერს არ ვთაკილობდი. ისე რომ ვთქვა, არც არასოდეს არ მინდოდა ცოლთან დაშორება; რატომ? ვიცოდი რომ კარგი ქალია... უბრალოდ, ცალკე ვიყავი, რომ რაღაცნაირად დავმშვიდებულყავი, ბოლო მომელო ამ ფორიაქისთვის.“

აპაო ეხლა პროპორციამ დააფიქრა: „მამ, ათდღიან სიყვარულს ნახევარი წელიწადი დასჭირდა დასაწყნარებლად!“

„და ცოლმა იცის ეს ყველაფერი?“

სიაო ჟუნ-ი ჯერ დაფიქრდა, მერე კი ეს უთხრა: „იცი... ის ჭკვიანი ქალია. სრულად და დეტალებით ეს ამბავი არ იცოდა, და არც არასოდეს ეცოდინება. მთავარია, რომ ამ ამბის არსს ჩასწვდა, არსი გაიგო, და მაცალა, მომცა საიმისო დროც და სივრცეც, რომ მე რაღაცნაირად ეს ყველაფერი თვითონ გადამეწყვიტა და დამელაგებინა...“

აპაო-ს ჟუდე გაახსენდა, ჭუტი-ს მეგობარი – „უჭკვიანესი, უბრწყინვალესი“ – ჭუტი ასე ახასიათებდა, „დამოუკიდებელი, ტიპიური განსახიერება წარმატებული შანხაელი ახალგაზრდა ქალისა, რასაც ჩინეთში „მამალ ქალად“ მოიხსენიებენ. ბევრ სფეროში ისინი საერთოდ, კაცებს ჯობნიან, არათუ მხოლოდ ქმრებს!“ ეს გაახსენდა და ძალაუწებურად ამოიოხრა.

„ეხლა კი, იმედი მაქვს, ეს ყველაფერი დასრულდა, ჩაბარდა წარსულს?“

„ა, კი, როგორ არა, უკვე სამი წელი გავიდა მას შემდეგ.“

აპაო-ს კი თავისა ამბავი აფიქრებდა და მის ნათქვამს თავისას ადარებდა – „ჩემთან ეს რომ მოხდა, მაშინ ბავშვი ჯერ წლისა იყო“.

„აბა! სამი წელი!“ – აჰყვა სიაო ჟუნ-ი, „არც კი მეჯერება, ასე მგონია, ეხლახანს მოხდა ეს ყველაფერი.“

„გენატრება?“

„შენ წარმოიდგინე, იშვიათად. იცი, არ მინდა, რომ გავიხსენო, მერე ვიდარდო, მერე დეპრესიაში ჩავვარდე!.. ეს ყველაფერი დამთრგუნველია, თან შეურაცხმყოფელიც.“

„ოოო...?“

„მართალი გითხრა, არც ერთი – გინდ ერთი, გინდა მეორე, გულზე არ მახატია.“

„მაგრამ ასეთნაირად ხომ ოჯახს დაანგრევ?“

მან პასუხად თავი დაუქნია, „კი, ყველა გათხოვილი ქალი შენსავით ამას იტყვია,“ – და დამცინავი ტონით დაამატა: „საქმეც ისაა, რომ კაცი ქალზე უფრო მეტად გაურბის განქორწინებას.“

აპაო თავს უკრავდა, თან უკვირდა, რამდენი მსგავსება აღმოჩნდა ჩვენს ცხოვრებაში!

„მაგრამ, თუ შენი თქმისა არ იყოს, შენმა ცოლმა არ იცის, ანდა თამაშობს, ვითომ წარმოდგენა არა აქვს ამ ამბავზე – შენ ხომ თვითონ ვერ შესძლებ კვლავ დაიბრუნო ძველი განწყობა და წინანდელი მდგომარეობა? ეგრე არ არის?“

სიაო ჟუნ-მა თავი ისე დაუკრა, თითქოს მადლობას ეუბნებოდა: „საქმეც ესაა, აბა! აკი გითხარი, ვიცი, რომ კარგი ადამიანია, ვიცი რომ არ მინდა ოჯახის მიტოვება, ყველაფერი ვიღონე რომ გადამერჩინა ჩვენი ოჯახი – მაგრამ რაც უფრო უკეთ მექცევა, მით უფრო გული მეყრება ყველაფერზე! მესმის რომ ღირსეულად არ ვიქცევი, მესმის რომ კაცად არ ვვარგვივარ!... წერად გადამექცა მარცხი და წაგება!“

„მერე, რა გგონია, შენ ცოლს განა იგივე აზრები არ აწუხებს? ის ხომ მთელი თავის არსით შენსკენ ილტვის, ყველაფერს გასწირავს შენს გულისთვის, არაფერს არ დაიშურებს! შენ კი სულის კარი ჩაურაზე იმ ქალს, ვინც საკუთარი გული რომ გულია – იმასაც კი შენ მოგართმევს!“

ამ სიტყვებმა სიაო ჟუნ-ი გააკვირვა, თან თითქოს გამოფხიზლა. თუმცა აპაო-ს ეს არ შეუმჩნევია, ისევ თავის ფიქრებში იყო წასული, როდესაც ყმანვილის სიტყვებმა გამოაღვიძეს: „რომ იცოდე, რა ბედნიერებაა, რომ ასე მოვახერხე შენთან საუბარი, გული გადაგიშალე; განა ყველასთან შეძლებ ასე საუბარს?!“

აპაო-მ გაუცინა: „ხედავ, რა ქნა ამ საღამომ: თან თითქოს უცხონი ვართ ერთმანეთისთვის, თან რა

ახლონი აღმოვჩნდით!”

და მაშინლა შეამჩნია, რომ რესტორანი დაცარიელებულიყო, ოფიციანტები და თეთრ სამუშაო ფორმაში გამოწყობილი მზარეულები ერთად ვახშობდნენ, და კიდეც გაუკვირდა, ან აქამდე როგორ არ სთხოვეს, „ვიხურებით, გაბრძანდითო.“ რესტორანი პატარა იყო, ყველა ოფიციანტი – ახალგაზრდა გოგოები, ათ-ათნი უხსდნენ მრგვალ საბანკეტო მაგიდებს. ყველას, როგორ იტყვიან, ჯერ თან სდევდა „მინდვრის სურნელი“, სოფლის იერი, რომელსაც შორიდან სცნობენ ქალაქელები, და ზოგი ხუმრობით, ზოგი კი აგდებით, ხან „სოფლის ნობათად“ მოიხსენიებს, ზოგი კი უკმეხად, მზადაა „ხი-დო!“ მიაძახოს. ესლა მათ შუა მაგიდის შუაგულს ცხელი კერძით საესე დიდ ჯამები ედგათ და აპაო-მ გულით შენატრა მათ ამ განწყობას, რა გულიანად მიირთმევდნენ ამ ვახშამს მძიმე და ალალი შრომით საესე დღის დასრულების შემდეგ...

„ესენი ძირითადად, შორეული სოფლებიდან არიან. ერთი რომ ჩამოაღწევს, მერე მეორეს გამოიყოლებს, და ასე ააგებს თავის ტოლების რიგს! ყური დაუგდე, რა კილოზე ლაპარაკობენ, ყველა ერთი სოფლიდან არიან! ამბობენ, რომ ვინც მათ ქირაობს, თითქმის არაფერს უხდის – მხოლოდ საძინებელით და სამჯერადი კვებით უზრუნველყოფს; ზოგი შეიძლება, სხვებს რომ თვალეები აუხვიოს, რაღაც კურსებს ესწრება... ოც-ოცი გოგოს უწევს ცხოვრება ერთ ოთახში, მაგრამ რა გინდა – მაინც აქეთ მოუწევთ გული! ზოგი მათგანი ფულს ასე დააგროვებს, მერე შინ ბრუნდება და თხოვდება, ესეა ამათი საქმე.“

აპაო-: „მერე რა, შენი მონაყოლი ამბის არ იყო, ასეთი რამ ამერიკაშიც ხდება – თქვენ აქ რომ ბედნიერების ქვეყანა გგონიათ... ეგ მე მკითხე, „Caina taun“-ში ვარ გაზრდილი, მამ...“

მაგრამ ის აღარ უთქვამს, რომ რესტორანი მამამისს ეკუთვნოდა, და ისიც ხშირად ქირაობდა ხოლმე, ხან ვის და ხან ვის! ხან, ჩინელ სტუდენტებს, ვისაც არ ჰქონდა შრომის უფლების დამადასტურებელი ოფიციალური ბარათი, ხან საერთოდ არალეგალურად ჩასულ პირებს. გაახსენდა Caina taun-ის სარდაფივით ბნელი, უმზეო სამზარეულოები, სადაც არაფერს არა აქვს ფასი, არც ადამიანთა უფლებებს, და არც არანირ კარმას! ამერიკაში იმისთანა ადგილებს „მესამე სამყაროს“ უწოდებდნენ, და დედამისმა რა არა ქნა, ოღონდ კი გადაერჩინა შვილი ამ საშინელი მესამე სამყაროსაგან! ისეთი განათლება მისცა, როგორსაც კარგი ოჯახიშვილები იღებდნენ, ასწავლა ცეკვა, როიალზე დაკვრა – მიუხედავად იმისა, რომ არც ცეკვა და არც დაკვრა მაინც და მაინც არ იზიდავდა.

უფროს კლასებში სწავლისას, თვითონაც დაიწყო პერიოდული სამუშაოს ძებნა, ხან სასტუმროში, ხან მალაზიებში, კაფეებში... ერთადერთი, რისი უფლებაც დედამ არ მისცა – ჩინურ რესტორანებში მუშაობა. ეს იმდენად მკაცრად აუკრძალა, რომ დედის გარდაცვალების შემდეგაც, აპაო-ს მისი ეს ტაბუ არასოდეს დაურღვევია.

ასე იყო თუ ისე, იმ Caina taun-ებში, რომლებსაც თვით ჩინელები „თან ყენ ტე-ს“ უწოდებდნენ, ანუ „თან ხალხის სავალს“ – აქაურობასთან შედარებით, სუფრასთან უფრო ხშირად სხდებოდნენ, ღრეობაც კი ხშირი იყო, მაგრამ არსი ერთი რჩებოდა: იქაც და აქაც ეს იყო ბრძოლა გადარჩენისთვის, თან ძალიან მკაცრი ბრძოლა, დაუნდობელი... მაგრამ ეს ბრძოლა სულს არ შეხებია; ასე რომ შრომა სულს არ დააბნელებს და არ გააშავებს.

აპაო-მ ხელი ასწია ოფიციანტის დასაძახებლად, მაგრამ სიამო უწინ-მა დაასწრო და არ აცალა ფულის გადახდა. აპაო-ს ძალიან ეუხერხულა, რადგან ასეთი რამ არსად დამართვია, არც ამერიკაში, არც სინგაპურში და არც ევროპაში; ესლა კი აქ, ჩინეთში აღმოჩნდა, სადაც ქალი ფულს არასოდეს გადაიხდის, თუნდაც თვითონ დაეპატიჟოს სტუმარი. ორივეს სახე – დაბნეული აპაო, და ყმანვილის მტკიცე გამომეტყველება – ერთს მიანიშნებდა: ტრადიციათა სხვაობას... სიამო უწინ-მა იგრძნო მისი დაბნეულობა და ტაქტიანად დაამშვიდა: „კარგი, მაშინ ნებას გაძლევ რომ ოდესმე კიდეც დამპატიჟო.“

„ხვალე!.. ა?“ - წამოიძახა აპაო-მ და თან მიხვდა, რომ ნაჩქარევად გამოუვიდა – თუმც ბუნებრივად; გულზე ხვდებოდა მისი ასეთი სიმარტოვე, თან საკუთარი მდგომარეობა, გაუგებრობის, მონყენის და მიუსაფრობის ნარევი – ეს ყველაფერი დაიტია მისმა წამოძახილმა.

იმ ღამეს ძილი მალე მოერია. მერე კი, ხუთის ნახევარზე რომ გაეღვიძა, ვერა და ვერ დაიძინა, ფიქრები არ ასვენებდნენ. თან სიამო უწინ-ის სიტყვების ამოტივტივდა მეხსიერებაში:

„სადაც გადავიხვეწე, ათასი რამე ვცადა – ქუჩაში სარეკლამო ბუკლეტებს ვარიგებდი, რესტორნებში ნესრიგის დამცველად ვმუშაობდი, მეზარეულედაც მიმუშავია ბარგის გადასაზიდ კომპანიაში...“ ეს რომ გაიგო, გაუკვირდა, რადგან გარეგნულად იქაურ ტიპს განასახიერებდა – სუსტი აღნაგობის იყო, ძვალწვრილი, ვერც კი წარმოიდგინა, მეზარეულედ რამ ამუშავა!.. და უფრო მტკივნეულად იგრძნო და განიცადა ამ ახალი ნაცნობის გულის დარდი და მარტოსულობა...

ფარდები გასწია და ირგვლივ ასვეტილ ცათამბჯენებს მოავლო თვალი. კიდეც კარგი რომ შორს იყვნენ და მზის შუქს არ უხშობდნენ. ჭუჭტი მართალი იყო, „სანამ ვიყიდე ეს ჩემი ბინა, სხვა სახლებმა ისე „აიყარეს ტანი“, როგორც ბამბუკმა იცის წვიმიან ამინდში. მალე ასეთ გარემოში, შენი ოცდამეექვსე სართული – მეორედ მოგეჩვენება“. და მართლაც, ორი საათი რომ გემგზავრა მანქანით, სახლების რიგი არ შეწყდებოდა,

ქალაქმა არ იცოდა ზღვარი არც სიგანეში, არც სიმაღლეში, და კარგი ორიენტაციის გარეშე გაჭირდება იქ ცხოვრება!

კი მაგრამ, რას ნიშნავს ორიენტაცია, თუ არა გონებას? მაშ გამოდის, რომ აქაური ხალხი ყველა გონებით ცხოვრობს? მაშ ის რაღაა, რომ გამხდარი ინტელიგენტი უცებ ტვირთის თრევას გადაწყვეტს და თავს იკლავს შრომით? ამის შემდეგ ლუნგ-ზე გადაერთო, ვაითუ ეხლა იმასაც ასე უნევს, ძალებს არ იზოგავს, მე კიდევ ვერც ვეხმარები და კიდევ ვსაყვედურობ? და თუ ქმრის ტანჯვა და წვალება მას არ ეხება, მაშინ რამდენად გამართლებულია მის გულისთვის ასე განცდა?

თვალნინ დაუდგა ყველაფერი, რისი მომსწრეც გახდა „Park 97“... და თუ ადრე ის სურათი უკურეაქციას იწვევდა მასში, თავისი სიუხეშით, ეხლა თითქოს სხვა აზრი და მნიშვნელობა შეიძინა მის წარმოდგენაში. უცებ ისე მოსწყურდა ლუნგ-ითან შეხვედრა, დალაპარაკება, რაღაცის გაგება... თუმც, თავს არ იტყუებდა იმედით, რომ შინ დააბრუნებდა.

და ჭუტი-ს გამოსამშვიდობელი ფრაზის გახსენებასთან ერთად, თვალეები დახუჭა - The sun also rises...

შუადღე იდგა რომ გაელვიდა, რატომღაც უხაროდა ახალი დღის დადგომა, არ კი იცოდა, რატომ? ორნაირი ურთიერთსაინანაღმდეგო გრძნობა ანუხებდა: თან ლელავდა ახალი პასპორტის მიღებაზე, თან ლუნგ-ზე ფიქრი არ ასვენებდა, მით უმეტეს რომ მისი დაბრუნება სულ უფრო და უფრო ფიქციად ეჩვენებოდა.

პიტერიც გაიხსენა, „აღბათ, როგორ მოვაბეზრე თავი, ყელში ამოუვიდა ჩემი და ლუნგ-ის ამბები! ასე თუ განვაგრძე, მგონი საერთოდ ამომრიცხავს თავის ახლობლების სიიდან და არც ჩემი მისვლა იქნება სასურველი „დაბა კარი-ში“.

ხოლო თუ მოიწყინა და შეანუხა მარტოობამ, ხომ არსებობს კიდევ სიამოვნება, დაელაპარაკება, გაერთობა; ცოტა ხანში დაურეკა კიდევ, ის იყო მადლობა უთხრა წუხანდელ ვახშამზე და სადღესიოდ აპირებდა მის დაძახებას, რომ მან დაასწრო და შეეკითხა: „დარწმუნებული ხარ, რომ დღეს თავსიფალი ხარ და არაფერი არ გამოგიჩნდება რაიმე სხვა საქმე?“ – და შეატყო თუ არა ყოყმანი, პირდაპირ უთხარა: „მოდი, სხვა დროს, კარგი? ხომ არსად გვაგვიანდება?“

ალარფერი დარჩენოდა, რომ „კარგი, მერე იყოს, დაგირეკავო.“

მილი რომ დაკიდა, ინანა, რომ ასე დასრულდა დიალოგი, მაგრამ ალარაფერი გაეწყობოდა.

რომ მოსალამოვდა, ისევ ჩაიცვა სნიკერსები – მართალია, უკვე იცოდა, რომ შანხაის ასეთ ეგზოტიკურ ადგილებში არ იყო მიღებული სპორტულ ფეხსაცმლით გამოჩენა, მაგრამ იმდენად გრძელი გზა ელოდა, რომ ფეხზე სხვა რამ დალიდა.

ეს გზა დამღლეული იყო კიდევ ხალხით გადაჭედული ნაკადით და ასევე სუნით, რასაც ვერ გაექცეოდა. ორშაბათობით შანხაის ტრანსპორტი საერთოდ აუტანელი ხდებოდა. ჭყლეტვა და უჰაერობა წესად იყო ქცეული, ყოველ გაჩერებაზე ომი იწყებოდა ადამიანსა და ტრანსპორტს შორის, ხოლო ვაგონში შესულს, ოთხივე მხრიდან მომდგარი ხალხის მკერდ-ზურგიანი კედელი თუ საკანი გუდავდა.

და სწორედ ამ დროს გაისმა მობილურის ზარი, სიამოვნება-ი ურეკავდა და კიდევ გაბრაზდა საკუთარ უყურადღებობაზე, რადგან კვლავ დაავიწყდა გაეგებინებინა თავისი საბოლოო პასუხი... ცალი ხელით ეკიდა ლითონის ხელჩასაკიდზე და ამიტომ მარტო მოკლე გზავნილის გაგზავნა მოახერხა: „მაღლე გიპასუხებ“.

მეტროდან გამოსულმა, „მგონი, გავუგე, რას გრძნობენ ციხიდან გამოსულები“ – და იქვე გამოაცხობო რაღაც ტყუილი, სიამოვნება-ს რომ დაურეკა: „შენ დამასწარი, ის იყო უნდა დამერეკა, რომ რაღაც საქმე გამიჩნდა და ბოდიშს გიხდი!“

„ეგ არაფერი, ვახშამი არაა მთავარი! შენ როგორა ხარ, მითხარი, შენი ამბავი...“

„ო, მე არა მიშავს, ყველაფერს მოვუვლი!“ – პასუხი მოუჭრა, რადგან მართლა არ უნდოდა მორიგი დასამშვიდებელი ტექსტის მოსმენა. საათს დახედა, თან სწყუროდა, თან შიოდა, ერთი ბოთლი მინერალური წყალი იყიდა და თითქმის გამოცალა – არ ესმოდა, რომ წყურვილის შეგრძნება ნერვიულობამ დამართა.

კვლავ დაეწყო ყოყმანის მეორე ტალღა, შეევლო პიტერთან თუ არა. ლუნგ-ის ნახვის იმედი აღარა ჰქონდა, პიტერს რომ თავს აბეზრებდა თავისი ჩივილით, ეგეც ესმოდა, მაგრამ მაინც განაგრძო გზა. რესტორანს რომ მიადგა, წუთით შეჩერდა, შეათვალიერა შიგ მყოფი ხალხი, მაგრამ ლუნგ-ს რომ ვერავინ მიახლოვდა, უმალ გატრიალდა და ქუჩაში გავიდა. და მაგრამ მაინც ვერ ეგუებოდა იმ აზრს, რომ ამ ვიზიტ-მაც უნაყოფოდ ჩაიარა.

ღამით განათებული შანხაი – ეს არის ზღვა მოკიაფე და მოციმციმე რეკლამებისა, და ყველაზე ხშირი – გურმანებისთვის განკუთვნილი რესტორნების რეკლამებია.

ასე რომ კვლავ შებრუნდა პიტერის რესტორანში, და ის იყო, ოფიციალტმა მიუთითა ცარიელ მაგიდაზე, რომ უცებ თავში გაივლო აზრი: „ეხლა რომ უცებ ლუნგ-ი აქ გაჩნდეს, თან ვინმე უცნობი ქალბატონის თანხლებით – მერე?“ – რაკი არც პიტერი ეგულებოდა იქ, რომ დახმარების და მხარდაჭერის იმედი ჰქონოდა,

ამიტომ მკვეთრად გატრიალდა და გავიდა – ოღონდ შორს არ წასულა – იქვე, რესტორნის პირდაპირ მდებარე პატარა ტავერნაში შევიდა, რადგან „დაბა კარიში“ ნაყნოსმა საჭმლის არომატმა მადა გაუღვიძა.

18

ეს პატარა ტავერნა პიტერის რესტორნის ნახევარიც არ იყო, თუმცა ეტყობოდა, რომ „რესტორნობის“ პრეტენზია ჰქონდა – ბარის დიდი დახლი დაეყენებინათ, ოღონდ ბარის ნორმა და სტანდარტი ამით სრულდებოდა, რადგან იმ დახლთან, „მსმელებთან“ ერთად, კიდევ „მჭამელებიც“ ისხდნენ და დახლზე ჩამოლაგებულ კერძებს შეექცეოდნენ. მაგიდებს კი სამი ახალგაზრდა წყვილი მისჯდომოდა. იქაურობის უპირატესობა კიდევ იმაში იყო, რომ აპაო-ს შეეძლო თვალყური ედევნა ყველაფრისათვის, რაც ხდებოდა პიტერის რესტორანში.

ერთადერთმა ოფიცინანტმა, აგრეთვე სოფლიდან გადმოხვენილთა კატეგორიის გოგონამ, მენიუ მიართვა, მაგრამ აპაო-ს შიგ არ ჩაუხედავს, წუთით არ ამორებდა თვალს თავის „სამზერ ობიექტს“, თითქოს იცოდა რომ ის-ისაა ლუნგ-ი უნდა გამოჩენილიყო.

გოგონამ კი დაზეპირებული ტექსტით მოახსენა: „დღეს ნახევარფასად გვაქვს ყოველდღიური კერძი, რუსული წითელი სუპი, და ლოსუნგ-ი აქაურ ყაიდაზე.“ მათ ამ დროს მიუახლოვდა შუახნის ქალი, მეტყველებაზე შანხაის აქცენტი ეტყობოდა. გარეგნულად ის არ შეეფერებოდა იქაურ გარემოს, არც ჩაცმულობით, და არც თმის ვარცხნილობით – ორივეზე ეტყობოდა, რომ საერთოდ არ ჰქონდა გემოვნების შეგრძნება: შუბლზე თმა არეჩილი ჰქონდა, კეფაზე – შეკრული და გადაჭერილი. შინნაქსოვი ლურჯი ჟაკეტი ეცვა და ფერით სრულიად შეუხამები ყავისფერი შარვალი – ამ უპრეტენზიო ტავერნაშიც კი ისე ჩანდა რომ სამაგისო ადგილი იქ არ იყო.

ქალმა მიიღო დაკვეთა და სამზარეულოსკენ გაემართა. აპაო-ს გაუკვირდა, როცა გაიგო რომ სწორედ ეს ქალი ამ რესტორნის პატრონიც და მზარეულიც. ყველაფერზე ეტყობოდა, რომ რალაცნაირად შებოჭილივით იყო, არ უღიმოდა კლიენტურას, კონტაქტში არ შედიოდა – თუმცა აპაო-ს ეს ხელს აძლევდა, რადგან აქ არ უგრძნობდა თავისი მორიდება და შებოჭილობა, რაც უჩინდებოდა ხოლმე პიტერის რესტორნის „ნაღები ფენის“ საზოგადოებაში, როცა ფიქრობდა, „მომესალმება თუ არა?“

ქალი კარგა ხანს არ გამოჩენილა, მერე გამოუტანა ცხელი ჩაოფ ანი და ბორში და თავი გაიმართლა, „არ ვიცი, რამდენად მოგეწონებათ“.

აპაო-მ რომ პირველი კოვზი გასინჯა, ქალი შავად მოკიაფე თვალებით მისჩერებოდა – სწორედ ისე, როგორც მისი დედამთილი აკეთებდა, როცა ჩქარობდა გაგებას, მოეწონა კერძი, თუ არა“. აპაო-მ ჭამის დროსვე, ლეჭვისას დაამშვიდა, „კარგია, გემრიელიაო!“ და თვალბეჭდში შეხედა, მერე გაკვირვებული მზერა რომ გადაიტანა ძველებურ საანგარიშოზე, იმ ქალმა ასე აუხსნა:

„ეხლა ამას აღარავინ ხმარობს, მე კიდევ მესამე კლასიდან რომ შევეჩვიე ასე ანგარიშს, აღარც მინდა სხვაზე გადასვლა. ბავშვები ხომ ეხლა კალკულატორებს ხმარობენ, მე კი სწორედ თითების შეხების შეგრძნება მომწონს, თითქოს ისინიც მეხმარებიან თვლაში. საერთოდ, ყველაფერი ძველებური მიყვარს, ფუნჯი, ქალაღი... ხელით რომ ეხები, თითქოს გულზე გეფინება, მშვიდდები...“ – და თავის ნათქვამზე თვითონვე გაიცინა.

აპაო-ც აჰყვა, „კი, როგორ არა! მახსოვს, მამაჩემიც ამას ხმარობდა, აუ, როდის იყო! რამდენი ხანი გავიდა!“

„და მამას რაში, რისთვის სჭირდებოდა?“

„იმასაც რესტორანი ჰქონდა გახსნილი.“

„ოოო, მაშ საქმე რესტორნის მეპატრონის გოგოსთან მქონია! ალბათ, დამინუნებ ამ ჩემ კერძებს!“ ქალმა გულწრფელად მოიბოდიშა, განითლდა კიდევ, და აპაო უცბად განენყო მისდამი.

„მეპატრონე სულ ორი-სამი წელი თუ იყო, მაგრამ მანამდე ბევრ ადგილას უმუშავია შეფ-მზარეულად.“

„კიდევ უკეთესი – შეფ-მზარეულის ქალიშვილი ყოფილხარ! ჩვენ კიდევ – აი, როგორ მიგიღეთ!“

„რას ჰქვია, „როგორ“?! მე ძალიანაც მსიამოვნებს აქ ყოფნა, ყველაფერი ძალიან გემრიელია, თითქოს სახლში ვიყო!“

ქალს თვალბეჭდში ახალი გამომეტყველება გაუჩნდა: „რა კარგადა ხარ აღზრდილი!“ – აპაო ბოლომდე ვერ ჩასწვდა „აღზრდილის“ მნიშვნელობას, რადგან „კე ცი“ – 'სტუმარსაც' ნიშნავდა და 'სულსაც', მაგრამ იმას კი მიხვდა, რომ შეაქვს.

„ის მითხარი... მამაშენი რომელ რესტორანში მუშაობდა?“

„შენ არ გეცოდინება, ის ამერიკაში, ნიუ იორკში მუშაობდა, „China town“-ში. ქალი ჩაფიქრდა და მერე ჩაილაპარაკა: „China town, China town... რალაცას მახსენებს, მგონი სადღაც მსმენია... მოიცა, ჩაინა ხომ ჩინეთს ნიშნავს?“ – და კვლავ გაუნათდა შავი თვალები.

აპაო-ს სულ უფრო მოსწონდა ქალის უბრალო ქცევა და მანერა: „ჰო, აბა რა! „ჩინურ ქალაქს“ ნიშნავს, ჩვენებურები მას კიდევ „თანთა სავალს“ უწოდებენ. ამერიკაში ბევრია ასეთი...“

„მადლობთ, ერთი ინგლისური სიტყვა უკვე მასწავლეს! ეხლა ხომ ყველა იმას სწავლობს.“ და რამდენ-

ჯერმე უცნაური აქცენტით გაიმეორა, „China town...“

მერე ისევ დააკვირდა აპაო-ს, თავით ფეხებამდე შეათვალიერა და უცებ ნამოიძახა: „მეც არა ვთქვი, რალაც არა გავს-მეთქი აქაურებს!“

„რაში შემატყე? აქცენტი მეტყობა ფუთუნხუა-ში?“

მაგრამ ქალმა უარის ნიშნად თავი გააქნია: „არა, კილოზე არაფერს ვიტყვი. ჩინეთი, აბა, რამხელაა, და რამდენი კილო არსებობს! იცი, უფრო რალაც ისეთი... ალბათ, მანერები, სხვა სული მოგდევს...“

აპაო არ მოეშვა, „მაინც, რა არის ის 'რალაც ისეთი'?“

„არ ვიცი, ვერ გეტყვი...“ უპასუხა ქალმა და გაჩუმდა.

აპაო-მ იგრძნო, რომ ქალის უბრალო გარეგნობის მიღმა, გონიერება და ინტუიცია იმალებოდა, და ისეთი შეგრძნება გაუჩნდა, რომ მთლიანად გამომყდავნდა მისი საფიქრალი, რისთვის იჯდა აქ, ვის ყარაულობდა? ქმარს?! და „სანამ ეს ქალი უცებ არ მიხვდა ყველაფერს!“ – სალაპარაკო თემა გამოცვალა.

„მე მგონი, ამ შენს ადგილს სახელად „შინაური“ მოუხდება.“

ქალმა გულიანად გაიცინა და თავი დაუკრა. „ძირითადად დღისით ვმუშაობ, სადილად მოდიან ხოლმე; რაც ამ მთავარ ქუჩაზე ბანკებსა ხედავ, ყველა მოხელე აქ მოდის საქმელად, აი ხომ იცი, ისინი – თეთრსაყელოიანებს რომ ეძახიან.“

„მერე, შენ მარტო სწვდები ამდენ საქმეს?!“

„არა, ერთი მზარეული მოდის ხოლმე შუადღისას და მეხმარება; ის მხოლოდ სადილს ამზადებს, რამდენიმე საულუფე ვარიანტს, ჩინურსაც და ევროპულსაც. ჩინურში ბრინჯი შედის და შაშხის ნაჭრები, კიდევ რაიმე ბოსტნეულის კერძი, და კიდევ იანჭოუ-ს წესით შემწვარი ბრინჯი. ევროპულიდან, რაგუს ვაკეთებთ ხოლმე, პომიდვრით, ბრინჯს – კეტჩუპით, ანდა ბრინჯს ქათმით, ინდური წესით, კარისთან. კიდევ იტალიურ სპაგეტის. აქ ხომ იცი, რამდენი უცხოელია ჩამოსული, თან კიდევ ჩვენი ახალგაზრდობა, და კიდევ ის თეთრსაყელოებიანიები! ეგენი ნელნელა გადაჯიშდნენ, პირის გემო დაკარგეს, დასავლური საქმელი ურჩევნიათ.“

აპაო-ს გაეცინა, იგრძნო ძველი ჩინური დამოკიდებულება დასავლეთისადმი, მაგრამ არჩია ისევ გული გაეკეთებინა ქალისთვის და გაამხნევა: „ეგ ნუ გაფიქრებს, მთავარია ყველაფერი საკმარისია. ხომ ამბობენ, „შეცვლა მენიუს კი არა, მჭამელს სჭირდება. დამიჯერე, მთავარია, რამდენიმე კერძი ყოველთვის კარგად იყოს მომზადებული.“

ქალმა უმალ აიტაცა მისი ნათქვამი: „აი, ხედავ, შენც ამას ამბობ! ერთი ამხანაგი მყავს, სანხუან-ში აბარია ქათმის ხორცის სანარმოო კომპანია – ჰოდა, ისიც ზუსტად ამას მეუბნება. თან ეს საქმეც – განა ეს ჩემით დავინყე, იმან დამიყოლია.“ ამის შემდეგ, მაგიდის ქვეშ კალათაში შენახული თეთრი ნაქსოვი ამოიღო და ასე უთხრა: „აი, ესაა ჩემი საქმე – სუფრების დართვა და ქსოვა საჩემო საქმეა, სიამოვნებით გავხსნიდი კიდევ ასეთ კომპანიას, იმიტომ რომ ყაისნალით ქსოვა მუდამ მეხალისება და არა მღლის.“

„მერე, რას უყურებ, ან აქამდე რატომ არ გახსენი?“

„ქმარმა დამმართა კაი ამბავი: ნავიდა ერთხელ სამხრეთით, რაიმე ფულს ვიშოვიო, მაგრამ იქ ვილაც გოგო გაიჩინა, შვილად რომ ეკუთვნოდა, და განქორწინება მომთხოვა. მე კი არ მიყვარს ეს რალაც განქორწინება, იმდენივეა საფიქრალი, რამდენიც რესტორნის გახსნას სჭირდება... მაგრამ რას იზამ! კაცი რომ გვერდით არა გყავს, ხომ თვითონ გინევს იზრუნო ყველაფერზე, ცხოვრებაზე, ძილზე, ჭამაზე... ხედავ, ქალებს როგორ გვჭირდება უფრო ფართო ხედვა რეალობისა, გული, სული – ეს უნდა ფართო გქონდეს, ისევე როგორც ფიქრები... ეს ის სივრცეა და სიფართოვე, რაც ქალს უშველის გადარჩენაში, და როგორც არ უნდა დაგვჩაგრონ, გადარჩენას მაინც ვახერხებთ და მავახერხებთ, არაფრით არა ვართ კაცებზე ნაკლებნი.“

აპაო-ს მოეჩვენა, რომ ეს ქალს ყველაფერს რასაც ამბობდა – მის ამბავს უკავშირებდა; ჯერ კი უქნია თავი და უქნია, მერე კი ველარ შეიკავა ცრემლები, ხელები სახეზე აიფარა და ისე აღრიალდა, რომ ქალმა კარი მიხურა, „დახურულია“ ნარწერიანი ბარათი დაკიდა და კარგა ნახევარი საათი არ მოშორებია აპაო-ს...

მეორე საღამოს აპაო ისევ ამ ქალს მიადგა. ამჯერად სულ სამი კაცი იჯდა. როდესაც „სოფლელმა გოგონამ“ მენიუ მიართვა, ის ქალიც გამოჩნდა და ურჩია გაესინჯა შანხაიური წესით შემწვარი ბრინჯი: „ჩემი რეცეპტია, აქაური კლიენტები სულ ამას უკვეთავენ, ეს საგანგებოდ შენთვის, ჩემი ხელით მოვამზადე.“ ამ კერძს „მუდამ ეს“ სუბი ერქვა, სოკოთი ჰქონდა შეკმაზული.

„საერთოდ,“ – აუხსნა ქალმა, „მე თვითონ ვარჩევ და ჩემი ხელით ვყიდულობ ყველა პროდუქტს – გინდ შაშხი იყოს, გინდ ბრინჯი, და გინდ შებოლილი სოსისი. არანაირად არ უნდა დაუშვა ხარისხის და მარკის შეცვლა, მაშინვე შეატყობ რომ გემო გაუფუჭე...“

აპაო დაუახლოვდა ცაიხუნგ-ს – ასე ერქვა იმ ქალს, და ერთი კვირის განმავლობაში, დღე ისე არ გავიდოდა, რომ იქ არ ევახშმა.

როდესაც დარბაზი იცლებოდა, ცაიხუნგ-ი მაშინ მიუჯდებოდა ხოლმე მაგიდასთან, სულ ერთთავად რალაცას უყვებოდა, მაგრამ არასოდეს არაფერი უკითხავს მისი პირადი ცხოვრების შესახებ. თავის მოსაყვოლი კი არასოდეს ელვოდა. სამოციან წლებში დაბადებულს, ბევრი რამ ახსოვდა, ავიც და კარგიც, რადგან დრო იყო ასეთი რთული. დედამისიც ამ უბანში ცხოვრობდა, და ბავშვობიდანვე მოწმე იყო ათასგვარი სიძნელის და სირთულის, რისი გადატანაც მოუხდათ საკუთარ ზურგზე, მათ მეზობლებსა და უბნელებს; ის ამბები სევდიანიც იყო, და სასაცილოც. მანამდე აპაო-ს თავში აზრად არ მოუვიდოდა, რომ უცებ ასე, უცხო ქალაქში აღმოაჩენდა ადგილს, სადაც ამდენ ამბავს გაიგებდა ჩვეულებრივ მოქალაქეთა ცხოვრების შესახებ, და სადაც ყოველი ამბავი რომანში გამოდგებოდა აღსანიშნავად...

მართალია, ცაიხუნგ-ის ტავერნა გარეგნულად უპრეტენზიო იყო, მაგრამ აქაც დაცული იყო შანხაის მალალი ნორმა და მარკა, და ამიტომ ყავის საფქვავე, მოსახარში და დასაყენებელი აპარატურა და ატრიბუტიკა უმაღლესი ხარისხის იყო. აღმოჩნდა, რომ პატრონს სწორედ ყავის მოხარშვა უფრო ეხალისებოდა, ვიდრე კერძის მომზადება. მან კლიენტურის სიჭრელეც გაითვალისწინა და სხვადასხვა ტიპის კოქტილების დაყენებაც ისწავლა.

ვინაიდან ადგილი უპრეტენზიო იყო, ამიტომ იქაური ახალგაზრდობა ნაკლებად ეტანებოდა, უფრო უცხოელი თუ შეირბენდა დასანაყრებლად, ანდა ვინმე შემთხვევითი გამვლელი, და მით უფრო მოსწონდა აპაო-ს ეს გარემო, ზედმეტ ხმაურს და ყაყანს მოკლებული.

ახალი ნაცნობობის და ახალი გარემოს მიიუხედავად, აპაო-ს არ დავინყებია მთავარი მიზანი – ჩასაფრება და რამენაირად, ლუნგ-ის კვალის მიგნება. ხანდახან ცაიხუნგ-საც დაუჭერია მისი სევდიანი მზერა, ქუჩის გადაღმა მიმართული, მაგრამ არასოდეს უკითხავს მიზეზი.

ერთხელ აპაო-მ გადანყვიტა რჩევა მიეცა ახალი მეგობრისათვის: „ცაიხუნგ, იცი რას გირჩევ? რაც იმ თეფშებს ხმარობ, ნორმატიული სადილისათვის – ადექი და გამოცვალე! დიდი თეთრი ფაიფურის თეფშები იყიდე, ჯობია.“ მერე ინგლისური ნიგნი ამოიღო კულინარიის საკითხებზე და უჩვენა იმ ტიპის ლამაზი თეფშების სურათები. „ფასს ნუ გამოეკიდები, სულ არაა საჭირო, რომ ყველაზე ძვირი ფაიფურის ნაწარმი შეიძინო, მაგრამ ყოველთვის უკეთესი შთაბეჭდილება რჩება, როდესაც თეფშები დიდია, ტევადი, თუნდაც მოუხატავი და სადა თეთრი; მაშინ საჭმელი შუაშია და თეფში კიდეს არ სწვდება. შესახედადაც ჯობია, მადას გიღვიძებს.“

ცაიხუნგ-ს არაფრის გამეორება არ სჭირდებოდა, უმაღლეს სწვდებოდა სათქმელის არსს, ჩაინერდა კიდევ ნათქვამს.

ერთხელაც, სალამოს, აპაო-ს მაშინ დააგვიანდა, ბართან ორი სამხრეთამერიკელი იდგა, ორივე ლამის შოკოლადისფერი. ორივეს უკვე კარგად ჰქონდა ნაყლაპი, ამიტომ მენიუ რომ დაუკვეთეს, „თან ვინმე გოგონაც მოაყოლეო, ერთად შევჭამთ, დავლევთ“. ერთ სიტყვას მეორე მოჰყვა, მერე მესამე, ცაიხუნგ-ი ვერ იგებდა, რას სთხოვდნენ, არადა დაძაბულობა იზრდებოდა, მაგრამ ცაიხუნგ-ი მაინც ვერ ხვდებოდა, მისგან რა უნდოდათ. აპაო სწორედ ამ დროს გამოჩნდა, ჩაერია ამ ამბავში, ინგლისურად გააგებინა, რასაც მანამდე ვერ იგებდნენ და ასე გაისტუმრა გარეთ – და მერეღა მიხვდა ცაიხუნგ-ი, რაში იყო საქმე და გვარიანი გინებაც მიაყოლა შანხაის დიალექტზე - „ხან ნუანი“, რაც „აჯამ კვერცხს“ ნიშნავს და სამხრეთ ამერიკელები კი არა, ვერც ჩინელები ვერაფერს მიხვდებიან, შანხაელების გარდა.

ერთ-ერთი მათგანი მიხვდა, რომ რალაცა აკადრეს და გაიოცა, რა ხდებოდა: „What a fuck?!“ – მაგრამ აპაო-მ უკეთ გააგებინა, ცაიხუნგ-ს გვერდში ამოუდგა, მიაგინა და შუა თითიც უჩვენა. იმათ გაეცინათ, თვალი ჩაუკრეს და შიგ შემობრუნდნენ.

„რას აპირებენ!“ ნამოიძახა ცაიხუნგ-მა.

აპაო ჩაიხარა კუნგ ფუ-ს მზადყოფნის პოზაში და სიცილით მიახვედრა, „მიფრთხილდითო!“

სამხრეთამერიკელებმა ერთმანეთს გადახედეს, მერე ერთად გაითამაშეს „ვაიმე, შემეშინდა!“ სცენა და ხარხარით გარეთ გაცვივდნენ. სიცილში ქალებიც აჰყვნენ და დიდხანს ისმოდა საერთო ხორხოცი, ქუჩიდანაც, ამერიკელებისაგან.

ეს სცენა საკმარისი გამოდგა, რომ მთელი სალამო მას იხსენებდნენ და სიამოვნებით, თავიდან არჩევდნენ; მერე კი ცაიხუნგ-მა შენიშნა: „შენ თურმე რანაირი ყოფილხარ?! თითქოს მორიდებული, წყნარი... თურმე რეები გცოდნია! ისეთი რა ილეთი უჩვენე, რომ ასე დააფრთხე?“

„კუნგ ფუ-ს ილეთია“

„მერე, მასწავლე, რომ მეც ვიცოდე! აღარაფრის შემეშინდება!“ ნამოიძახა ცაიხუნგ-მა, მაგრამ აპაო-მ თავი გააქნია: „კუნგ ფუ რა გგონია? როგორც არ უნდა იცოდე, გულში რაც დევს, იმას ვერ უშველი...“

ცაიხუნგ-ის რესტორანში თავისი მოწონებული ადგილი დაიკავა და კვლავ მიაჩერდა პიტერის რესტორანს. ნეონის მიღების ჩარჩოში ჩასმული სახელი, „დაბა კარი“ ეკრანზე გამოტანილი კინოკადრით აღიქმებოდა, თითქოს ფილმის სათაური ყოფილიყოს. შესასვლელთან ეხლა მალალი, თხელ-თხელი გოგონა

დაეყენებინათ, იმდენად გამხდარი, თითქოს არ ჰქონდა მასა და წონა, მაგრამ ეს უფრო მეტად მიმზიდველს ხდიდა მის სახეს და ფიგურას, და ამიტომ დრო და დრო, ვინმე გამვლელი აუცილებლად დაიძვროდა მისკენ და შემდეგ მის ზურგსუკან უჩინარდებოდა – თითქოს იქ მღვიმე ყოფილიყო გაჭრილი, სინამდვილეში კი კარი იყო ბნელ სამყაროში შემავალი.

აპაო-ს ლელვა ჩვევად ექცა, ისევე როგორც ფიქრი, რომ საერთოდ არ ეღირობოდა ქმრის ნახვა... რამდენიმე დღე არც პიტერისგან სმენია არაფერი.

მოულოდნელად რატომღაც წამოხტა ანგარიშიშეცემლად და კარისკენ გაიქცა.

კონტრასტს ელოდა, მაგრამ მაინც დაეხვა თავბრუ, როდესაც ცაიხუნგ-ის ტავერნის შემდეგ უცებ აღმოჩნდა ამ რესტორნის ბრწყინვალეობაში, სადაც ინტერიერს კიდევ საგანგებოდ ჩაცმული ახალგაზრდობა ემატებოდა, ხოლო სიგარეტის და სიგარის გამონაბოლქვე ჭერქვეშ ზღაპრულ ღრუბლებად დასცურავდა. იქაურ ატმოსფეროში ძლიერი სექსუალური მუხტი იგრძნობოდა, მაგრამ პიტერის რესტორნის მუსიკა, ძველი ყაიდის ჯაზით – მთლად ვერ ჯდება იქაურ ვითარებაში. აპაო-საც უჭირდა იქ ყოფნა, რადგან ჩვეული იყო უფრო მსუბუქს, გრაფიკული ნახატის მსგავს სურათს, და ამიტომ ისევე უკან გაქცევა არჩია...

როგორც ეს ადრეც დამართვია, გვიანლა იყო – რადგან ფეხი შედგა თუ არა, ოფიციალტი უკვე მისკენ მოემართებოდა, და მიუთია კუთხეში მდგარ ცარიელ მყუდრო მაგიდაზე... აპაო-მ დაუკვეთა ბრინჯით შეკმაზული „ჰაინ ანის კუნძულის“ დედალი, და სანამ იმის ყოყმანში იყო – ნავიდე თუ დავრჩეოა, საჭმელიც მოართვეს. ვინაიდან იქ ლუნგ-თან შეხვედრის იმედმა მიიყვანა და კიდევ, პიტერის ნახვის შიშმა, ამიტომ ოფიციალტს სთხოვა, კოლოფში ჩამილაგე წასალეზადო, და სანამ ოფიციალტი თხოვნას შეუსრულებდა, ფული გადაიხადა, ანგარიში გაასწორა და მზად იყო ხელი დაეწყო საჭმლის გასატანი კოლოფისათვის და დაეტოვა იქაურობა

საპირფარეშოსკენ მიმავალ ვინრო დერეფანში შეეჯახა კაცების განყოფილებიდან გამოსულ ვიღაც მამაკაცს. ჯერ უცებ ლუნგ-ს მიახლოვდა, მაგრამ სუსტ განათებაში უკეთ რომ დააკვირდა, გაოცდა:

„ლუნგ?“

„აპაო-?“

აპაო-მ ცრემლები ვერ შეიკავა.

„აქ რა გინდა, აპაო-? აქ რატომ ხარ?“ – ხმაში საყვედური ისმოდა.

მამაკაცთა განყოფილებიდან ვიღაც მაღალ-მაღალი და ელეგანტური მამაკაცი გამოვიდა. აპაო-ს ცრემლები უშლიდნენ მისი სახის გარჩევას და გვერდით შებრუნდა, რომ გაეტარებინა, მაგრამ ის კაცი უცებ შეჩერდა და ლუნგ-ს მიმართა: „Honey?“

„Oh, Honey!!“ - აპაო გაოცდა, რატომ მიმართავდა უცხო კაცი მის ქმარს ასეთნაირად და დააკვირდა. ლამაზი პირისახის იყო, დაახლოებით ოცდაათი წლის იქნებოდა, ოდნავ ტალღოვანი თმა უხდებოდა, თეთრი მისური შემოტანსული ჰქონდა დაკუნთულ ტორსზე.

„Honey?“ – მიუბრუნდა ქმარს, „ვინ არის ეს კაცი?“

ყელი უცებ გაუშრა, თითქოს ცრემლებს ნაელოთ სხეულიდან მთელი სითხე.

ისევე შეხედა უცხოს და დარწმუნდა, რომ საოცრად ლამაზი კაცი იყო, ქალები ასეთნაირებს ნატრობენ – თეთრ ცხენზე ამხედრებულ პრინცს.

მამაკაცმა აგრეთვე შეათვალიერა აპაო და შეეკითხა: „Honey, რატომ ატირებ გოგონას?“ – ხმა ჰქონდა საოცრად ნაზი, ხოლო ლუნგ-ისკენ მიმართულ მზერაში ჩანდა უზომო სითბო და სიყვარული.

აპაო ხან ერთს უცქერდა, ხან მეორეს, და გრძნობდა, რომ ხმის ამოღების თავი არ ჰქონდა, ცოტაც, და გული ნაუვიდოდა და იატაკზე მოადენდა ბრაგვანს.

და იმ წამს მიხვდა ყველაფერს. ჯერ შეტორტმანდა, მერე კი უცნაურად აქანავდა, ხან აქეთ, ხან იქით, თითქოს კედლის საათის ქანქარა ყოფილიყოს, ერთის ემინოდა, არ დავევარდეთ; თან არ ესმოდა, რა ემართება, რას აკეთებს, მიღებული დარტყმა უძლიერესი იყო, რომელზეც იტყვიან, „ნელქვევითა მიყენებული“...

აპაო-მ ლამის სახე სახეზე მიაბჯინა იმ კაცს, და თითი ლუნგ-ისკენ გაიშვირა: „მე მისი ცოლი ვარ!“

თავისი ხმა ვერ იცნო, თუმც აზრი არ ერეოდა.

ლუნგ-ი შეშინებული უცქერდა და ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა.

კვლავ ის კაცი ჩაერთო: „კი მაგრამ, ეს ხომ უკვე დასრულდა, წარსულს ჩაბარდა! ეხლა ჩვენ ვართ ერთად...“ ოდნავ უკან დაიხია, და სიყვარულით სავსე მზერას ლუნგ-ის სახეს არ ამორებდა.

„როგორ ბედავ! ჩვენ გაყრილები კი არა ვართ!...“

აპაო გამწარდა და ისე ჰკრა ხელი მკერდში კაცს, თითქოს ჩაკეტილი კარის განგრევა უნდოდა. ატყდა ერთი რიარია, აპაო-მ გაავებულმა გამოიყენა კუნგ ფუ-ში ნასწავლი დარტყმა „ხელისგული ანაზად“, კაცი შეტორტმანდა, ფეხი გადაუბრუნდა, თავით საპირფარეშოს კარებს მიეჯახა და თან გადაატრიალა ოფიციალტების დასასვენებელი სკამი და მაგიდა... ვინრო დერეფანი უმალ გაივსო, მოცვივდნენ ოფიციალტები და ბარის კლიენტები. ლუნგ-მა სცადა წამოეყენებინა წაქცეული კაცი, მაგრამ აპაო-მ ჩაავლო ხელი და არ გაუშვა, და სანამ ცოლი ქმარს ეჯავჯურებოდა, კაცი წამოდგა, ნელში გასწორდა და ხითხითისა და გამკილავი მზერების ფონზე, განცდით სავსე თვალებით მიაჩერდა „გაკავებულ“ ლუნგ-ს, მერე კი ნელა დაიძრა

გასასვლელისკენ.

„David!“ – დაუძახა ლუნგ-მა, თავი დაიხსნა აპაო-ს მარწუხებისგან და უკან დაედევნა.

„არა! არა! არააა!!!“ მიჰკიოდა აპაო წასულ ქმარს და მისმა ხმამ გაავსო იქაურობა, დარბაზში კი არავის ხმა არ ისმოდა.

„ჩვენ სამი შვილი გვეზრდება!“ – ისე ყვიროდა, თითქოს მთელ ქვეყანას აბრალებდა თავის ამბავს.

ის „დევიდი“ კი უკვე ჰოლში იყო, იქ შედგა, მობრუნდა და ლუნგ-ს ისეთი თვალებით შეხედა, სადაც გაკვირვებაც ჩანდა და საყვედურიც, შემდეგ ისევ კარისკენ დაიძრა და ლუნგ-იც უკან მიჰყვა.

ამან კიდევ უფრო გააოცა აპაო, ის ქმარს გამოეკიდა, ხალხი გაიშალა, გზა გაუხსნეს, მაგრამ როდესაც ჩაავლო ლუნგ-ს მხარში ხელი, ქმარს მისკენ პირიც არ მოუბრუნებია, მიმავალ დევიდს გაჰყურებდა და ისე ცდილობდა თავი გაენთავისუფლებინა ლამის ჩამოკიდებული ცოლისაგან.

ამან აპაო მთლად გადარია და ორივენი უცებ ჭკუანართმეულ, გადარეულთა მებრძოლ ფიგურებს დაემგვანნენ. ის იყო, ლუნგ-მა მოიშორა მისი მკლავები და გვერდზე მიაგდო, რომ გაშმაგებულია აპაო წამსვე წამოხტა და ეხლა უკვე მთლიანად კუნგფუ-ს ათვისებულ პროცესში ჩართულმა, განსაკუთრებული უკუმოძრაობით შეუვარდა წელში, ამოატრიალა და იატაკზე დააგდო.

დაბლა გაშოტილს რომ დახედა, აპაო დაიბნა და ხელი გაუწოდა, რომ დახმარებოდა ადგომაში, მაგრამ მან აუქნია ხელი და თვითონ, „თევზის ნახტომის“ ილეთით ფეხზე დადგა. ბრაზისგან და სირცხვილიგან სულ მთლად ანითლებული, ისევ მიბრუნდა და წავიდა გასასვლელისკენ. აპაო ისევ გაეკიდა გასაჩერებლად, მაგრამ ამჯერად ქმარმა ისე გამოხედა, რომ აპაო ადგილზე დარჩა და არ განძრეულა.

გულში აღუნერელი ტკივილი იგრძნო, თითქოს შიგნით ბობოქრობდა ერთმანეთში არეული ორი ბინძური ნაკადი, სირცხვილისა და წყენის, მერე ამოხეთქეს და თითქოს მის გარშემო დაიწყეს ტრიალი.

ყველაფერი უკვე ჩანყნარდა, ხალხი ნელა დაიშალა, თვითონ კი გრძნობდა, მკერდში როგორ ინევდა მალლა იმ სიბინძურის დონე, სანამ სულ მთლად არ დაფარეს.

ასე ეგონა, რომ დიდი დრო გავიდა, სანამ გამოჩნდა მისი „ძია პიტერ“. მის დანახვაზე, თვითონაც ვერ გაიგო, რას აპირებდა – მუხლმოყრილს უნდა ეთხოვა პატიება, თუ ეთხოვა, „ლუნგ-ის შეჩერებაში დამეხმარეო“ – ყოველ შემთხვევაში, მუხლებმა უმტყუნეს და წამით დაკარგა გონებაც და წონასწორობაც...

მერე წყალი დაალევინეს... ესამოვნა, თითქოს ჩაუქრო გულში მობრიალე ცეცხლი. პიტერმა მისკენ მისწია სკამი, დაჯდა და ცარიელი ჭიქა მაგიდაზე დადგა.

„კი მაგრამ, რა მოგივიდა? იატაკზე რომ დაანარცხე ამხელა კაცი, იმის ძალა აღარ დაგრჩა, ფეხზე რომ დადგე?“

აპაო-ს მზერა დაცლილი იყო ყველაფრისგან, რასაც ადამიანური ჰქვია. რასაც ხედავდა, ყველაფერი ბოროტად და საძულველად ეჩვენებოდა; პიტერიც, მის მშობელ მამას ასე რომ ჰგავდა – თურმე რა მახინჯი ყოფილა! რას გავს, ამ თავის ღიპით, ორსული ქალივით რომ წინ გამოუგდია! ან სამი ღერი თმით რომ ფარავს თავის სიქაჩლეს! ამას რა – ძვირფასი „პოლოს“ სტილის ტანსაცმელი უშველის?! ამით ხომ მახინჯს ხეულს ფარავს!... ეს გაიფიქრა, და წამოდგა...

მაშინვე თვალში მოხვდა საკუთარი თავის ანარეკლი კედლის ვეება სარკეში: რაც დაინახა, ჯოჯოხეთის მამხალას უფრო ჰგავდა – თმაგაჩეჩილი, თვალებდანითლებული. ცალ ფეხზე რაღაც ეხამუშა, ფეხი ასწია და სარკეში გამოჩნდა ფეხსაცმლის ძირზე საიდანდაც აკრული მინიანი ბოსტნეულის ფოთოლი.

ფეხი დადგა და გააქრო სარკეში მისი შემარცხვენელი ეს მსხვილი პლანი – მაგრამ საკუთარ ანარეკლს რას უშველიდა! ახლა საკუთარ თავზე გადაიტანა ის ბოღმა და სიძულვილი, რაც აქამდე სხვებზე ვრცელდებოდა.

„რა ბრიყვი ვარ, აჯამი, იდიოტი!“ – საკუთარ თავს არ ზოგავდა, „ამდენ უაზრო დევნა-ძებნაში – რა დამრჩა ხელში, სირცხვილის და თავსლაფის გარდა!?!...“ თვალები თავისთავად დაეხუჭა, საკუთარ თავს თვალს ვერ უსწორებდა.

ისევ მოესმა თავისი სახელი და თვალი რომ გაახილა, ლამის სახეზე მობჯენილი პიტერის სახე დახვდა, და მაშინვე შერცხვა, „რა უფლება მაქვს, ბოღმა ვატარო ამის მიმართ?! ამდენი ხანი ეს არ მიკიჟინებდა, ჭკუაზე მოდიო?!... მერე? მოუუსმინე, ყურად ვიღე მისი ნათქვამი?!“ ეხლალა მიხვდა, რაში ყოფილა საქმე...

ხმა რომ ამოიღო, თვალები დაცლილი ჰქონდა ყოველგვრი გამომეტყველებისაგან, არც სიხარული, არც წყენა, არც ნდობა და სიყვარული – და ასე დაუმარცვლა: „Uncle, მაპატიე ჩემი სიბრიყვე, შემინდე, თუ შეგიძლია... შტერი ვარ, სულელი!“ ასეთმა რეაქციამ დააბნია ბევრის მომსწრე და მნახველი პიტერი, მაგრამ თავისი განცდა რომ დაეფარა, ჩაიციხა და სიტყვა ბანზე აუგდო: „ჰოო!.. სულ არ მეგონა, თუ ასე იყავი დაუფლებული კუნგ ფუ-ს!“ – აპაო კი მხოლოდ თავს აქნევდა.

„ძალიანაც კარგი, ყოჩაღ! მე შენს ადგილას, სიკვდილის პირას მივიყვანდი, მაგისთანებს მხოლოდ ასე უნდა მოექცე! უნდა იმდენი ურტყა, სანამ არ დაასახიჩრებ, მერე კი მიაგდო და მიატოვო!“

„მე რომ არ მინდოდა მისი მიტოვება!“

პიტერი გაოცდა: „ეს რას ნიშნავს, არც ახლა გინდა?“ – არ ეჯერებოდა მისი განწყობა: „ახლა არ დარწმუნდი ყველაფერში, შენივე თვალთ?“

„არა, მაინც არ მჯერა, არ მეჯერება რომ ეს მართლაც ასეა!..“ – და ორივე ხელი თავში იტაცა.

„რა აზრი აქვს თავის მოტყუებას?“ – პიტერმა ხელი ხელში სტაცა და ლამის ჩასძახა: „თავს ნუ იტყუებ, გესმის!“

„სამი შვილი რომ გავაჩინეთ, რა, ესეც ტყუილია?“

„არა, ეგ მართალია! და ისიც მართალია, რომ ათი წელი ცოლ-ქმარი იყავით!“ – მერე თვალელებში ჩააცქერდა, და თითქოს ძალის ძალით, ჩაუმარცვლა: „სირთულე იმაშია, რომ ის ეხლა არის Gay!“

ამ სიტყვაზე აპაო-ს თრთოლვამ დაუარა მთელ სხეულში... პიტერმა ხმას დაუნია, სხვას რომ არ გაეგო: „რომ იცოდე, იმასაც ამბობენ რომ ჩინეთში ეხლა ლუნგ-ის მსგავს მდგომარეობაში გაცილებით მეტი ხალხია, ვიდრე მთელ მსოფლიოში; ადრე ასეთი რამ ხომ საერთოდ გამორიცხული იყო...“

პრინციპში, პიტერი ამ ამბავს არ თვლიდა რაიმე განსაკუთრებულ ფაქტად და დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა: „მართლაც, ვინ იფიქრებდა, ამერიკიდან ჩამოსული კაცი რომ ჩინეთში ასეთად გადაიქცეოდა... თუ დამიჯერებ, თავს არა ვთვლი სათანადოდ ცივილიზებულად, ვერ ვიტან იმ ფილმს...“

„იმ ფილმს“ ის ხშირად იხსენებდა, და ეხლაც მიხვდა მიზეზს.

იმ წუთს აპაო-მ ვერაფერი უპასუხა, გარდა: „ჩემო Uncle, ჩემო ძვირფასო, რა ვქნა, ეხლა რა ვაკეთო?“

პიტერი უცებ წელში გასწორდა და მკაფიოდ წარმოსთქვა: „აპაო, თუ გიყვარვარ, თუ გინდა რომ ისევე შენი Uncle დავრჩე, ეხლაცე წადი, დაბრუნდი სინგაპურში, დაიქირავე ვეჩილი და გაშორდი.“ აპაო უფრო მისი ტუჩების მოძრაობას აკვირდებოდა, არც კი უცდია ჩასწვდომოდა სიტყვების არსს.

პიტერი კმაყოფილი ჩანდა თავისი დამაგვირგვინებელი ფრაზით, ტაქსი გამოიძახა, „შინ მიგიყვანო“, შესთავაზა, მაგრამ აპაო-მ იუარა; თუმც, მანქანაში რომ ჩაჯდა, უცებ შეშინდა, „სახლში მარტოდ ყოფნას ვერ ავიტანო“, და განანწყენებული მძღოლის ბუზღუნის მიუხედავად, გადმოვიდა ტაქსიდან და კარი მიხურა.

ტავერნის წინ აღმოჩნდა და პატრონი იკითხა.

„ეს წუთია, გავიდა. შენ საძებნად წამოვიდა, შენ ხომ აქ ჩანთა დაგრჩა, საფულე ამოიღე და ისე გახვედი. იმას ეშინოდა, რომ ვერ გაიხსენებდი, რომ ჩანთა აქ გქონდა, და ეს-ესაა გადაირბინა იმ რესტორანში...“ – ნაცნობი სოფლელი გოგონა-ოფიციანტი თითქოს საყვედურობდა.

„წადი, უთხარი რომ აქ ველოდები, საქმე მაქვს.“

„მაშინ შენ მიხედე აქაურობას, ასე დამიბარა, „ფეხი არ გადგა აქედანო“.“

აპაო შევიდა სამზარეულოში. საჭმლის სამზადად გამოყოფილი ლითონის მაგიდა საგულდაგულოდ იყო გარეცხილი და ბზინავდა, შუაში კი იდო ხორცის საჭრელი დიდი, ბასრად გალესილი დანა. თვალეები გაუნათდა, თითქოს ის ნახა, რასაც ეძებდა.

ხელში აიღო და დააკვირდა თავის დამახინჯებულ, თვალეზღასებულ ანარეკლს დანის პირზე და გაიხსენა აუტანელი სინამდვილე: ლუნგ-ი იმ კაცს გამოეკიდა დასაბრუნებლად.

გულში უკვე გრძნობდა, რომ აღარასოდეს დაბრუნდებოდა, და ოდესღაც რეალური, ნამდვილი მეუღლე – უცებ გაქრა, ილუზიად იქცა და ჰაერში გაიფანტა.

ამის უაზრობაზე ორჯერ წამოაყვირა: „Ridiculous! Ridiculous!“ – და ორივე მაჯაზე გაისვა დანა, და გაიხსენა, ეცნო ეს მოძრაობა, მისი რეპეტიცია უკვე გონებაში გაეგლო, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ერთი საცოდავი გოგონა იყო, ვისაც არავინ არ აქცევდა ყურადღებას.

20

აპაო-ს საწოლი კლინიკის დერეფანში იდგა, რადგან შანხაიში საავადმყოფოები უფრო გადატვირთულია, ვიდრე ქალაქის ქუჩები, განსაკუთრებით ასეთი, უპრეტენზიო, მესამეხარისხოვანი საავადმყოფოები. აპაო-ს მსგავსად, ვინც აქ მოულოდნელად, შემთხვევით აღმოჩნდებოდა, მისი ადგილი პალატაში არ იყო და ამიტომ მისაღებშივე ათავსებდნენ. იქ ორი დღე მოუწია ნოლა, და ყველაფერი იქვე ხდებოდა, მისაღებშივე – ჭრილობაც იქ გაუკერეს და სისხლიც იქ გადაუსხეს. მისი აქ მოთავსება ცაიხუნგ-ის დამსახურება იყო, თავი ახლობლად გამოაცხადა და პატრონობაც ითავა.

სისხლის გადასხმის შემდეგ, ანალიზის პასუხი უკეთესი გახდა და ის უკვე დერეფანში გადმოიყვანეს, რომელსაც დროებით იყენებდნენ საზედამხედველო განყოფილებად. მისი საწოლის ირგვლივ ეკიდა აუარება უცნაური მინის ჭურჭელი და ქილები.

ცაიხუნგ-ი გვერდით ეჯდა: „ასე ვუთხარი, რომ ჩემი ნათესავი ხარ, რომ შენც კუანგტუნგ-იდან ხარ; ასე უფრო იაფი ჯდება, თორემ თუ უცხოელად ჩაგთვალეს, იცოცხლე, გაგატყავებენ...“ აპაო გაუთავებელი უხდიდა მადლობას, და ისე იყო დაბნეული, რომ ინგლისურად ელაპარაკებოდა, უცბად დაეჭვდა თავის ჩინური სიტყვების მარაგში, მაგრამ მალევე გაახსენდა, რომ ცაიხუნგ-ს მისი არ ესმოდა, და დაასრულა მადლობის მონოლოგი.

თუმცა, არც ცაიხუნგ-ს აუტიკვია თავი იმის ფიქრით, „რას მეუბნებაო“ – ისედაც ბევრი რამ ჰქონდა მასთან სალაპარაკო და მოსაფიქრებელი.

„კიდევ კარგი, რომ ჩემთან მოხდა ეგ ამბავი! რომ მისულიყავი იმ შენს ბინაში, მაშინ!...“ – თან ხელი გულზე ეკავა, „ჯერაც ვერ მოვედი ჭკუაზეო!“

აპაო-ს ესმოდა, რომ ბევრად იყო დავალებული, მის გამო ქალს ამდენი რამ გადახდა! ჯერ დაკითხვები, მერე ტავერნის დროებით დახურვა! ცაიხუნგ-ი რამდენიმე დღე საერთოდ არ მოშორებია მის სანოლს, და კიდევ ბევრი სხვა რამ!...

მაგრამ ფაქტია, რომ ამ ზარალს და ხარჯებს ჯერ ვერ დაუფარავდა, რადგან ტურისტული ჩეკი ჰქონდა, მის გასანაღდეზად კი პირადად უნდა გამოცხადებულიყო სათანადო ბანკში, რაც ჯერჯერობით გამორიცხული იყო, იმიტომ რომ მას საერთოდ არ უშვებდნენ საავადმყოფოდან...

სიაო ჟუნ-ს და ჭუტი-ს მოკლე გზავნილები გაუგზავნა, თითქოს ჰეპატიტი დაუდგინეს და ინფექციურ განყოფილებაში წევს, სადაც მნახველებს არ უშვებენ; მათ ზარს კი არ პასუხობდა. უფრო მეტად დედამთილი აფიქრებდა და ბავშვები. თან სულელურად თავს იმით იმშვიდებდა, რომ „კარგია, რომ აქა ვარ და შემძლია საერთოდ არ ვახსენო რომ ლუნგ-ს შევეჩეხე, და არც ის რომ ასე უაზროდ ვცადე, თავი მომიკლა...“

ლი-მ მაშინვე გამოუცხადა, „ჩამოვალ, მოგინახულებო.“

„დედა, განა თქვენ არ გაგიჭირდებათ, ბავშვები ხომ ამდენი საფიქრალია!“

„არა, რალაცას მატყუებ!“

„კი მაგრამ, როგორ, რანაირად უნდა მოგატყუოთ? აი, მომისმინეთ,“ – და დაუნყო რალაც მონაცემების კითხვა, „ნაღველი – 30-ზე მეტი, GPT – 400...“ დედამთილი ჩუმად იყო, მერე კი შეახსენა თავი, „კი, გისმენო!“ – მაგრამ ეტყობოდა, რომ ცოტაც, და ატირდებოდა. ამდენი ხნის მანძილზე, რაც ერთად მოუწიათ ცხოვრება, აპაო-ს ერთხელ არ უნახავს მისი ცრემლი, და უცებ ისეთი გრძნობა გაუჩნდა რომ გაიზარდა, ჭკუაში ჩავარდა და თავს უსაყვედურა, რომ ასე უპასუხიმგებლოდ მოექცა დედამთილსაც და ბავშვებსაც...

„დედა, თქვენ ნუ ლელავთ, ექიმები მარნმუნებენ, რომ ეს ავადმყოფობა ადვილი მისახედია: სწრაფად კი შეგეყრება, მაგრამ ასევე სწრაფად გშორდება!“ ტონი სათანადო ჰქონდა, და საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა.

„ფული თუ გყოფნის?“

„მე ხომ ტურისტული ჩეკი მაქვს!“

და აქ უკვე შვებით ამოისუნთქა, რადგან საუბარი ყოფით ამბებზე გადავიდა, ეს კი გაცილებით უფრო მსუბუქი თემა იყო, ვიდრე სულიერი განცდები...

მისი «სნეულება» დასრულდა, თუმცა ექიმები აყოვნებდნენ, ძალიან ნუ იჩქარებ აქედან გასვლასო. არც ჩქარობდა; ისეთი შეგრძნება გაუჩნდა, თითქოს მარტოდ-მარტო ცხოვრობს სადღაც გადაკარგულ კუნძულზე.

ბავშვებს ხშირად იხსენებდა, მათზე ფიქრს მოსდევდა ქმრის სურათი, მის შემდეგ კი ის მამაკაცი, რომლის კუნთები ვერ ეტოდნენ თეთრი მაისურის სივინროვეს.

ასეთ დროს ფიქრებს სადღაც მიჰყავდათ, რალაც სიცარიელეში, ვაკუუმში...

იმ ვაკუუმს საავადმყოფოს ფაციფუცი ავსებდა – ექიმები პალატებს სათითაოდ უვლიდნენ, ექთნებს ნამლები დაჰქონდათ, ყოველ მეორე დღეს ვინმე მიადგებოდა, სისხლი თავიდანაა შესამოწმებელიო, ამას კიდევ ანალიზების ჩაბარება ემატებოდა, და კიდევ ზოგადსაგანმანათლებლო მოხსენებების მოსმენა...

იმ ღამეს სახლში რომ დარეკა, მერე დაავიწყდა რომ გაეთიშა ტელეფონი და უცებ ჭუტი-მ დაურეკა: „ღმერთო, როგორც იქნა, დაგიჭირე!“ – ისე ყვიროდა, თითქოს რალაც მეცნიერული აღმოჩენა მოეხდინა. „შენმა დედამთილმა გამაგებინა შენი ავადმყოფობის ამბავი, მაგრამ ის ვერ გამიგია, ჩემს ზარს რატომ არ პასუხობ? რალაც სხვა რამე ხომ არ მოხდა, მითხარი!“

ტონი თავიდანვე დაჯერებული ჰქონდა, შეკითხვას არ ჰგავდა... ამერიკაში ეხლა თენდებოდა და აპაო-მ სცადა სიტყვა ბანზე აეგდო: „დე შენ რა, ასე ადრე ადექი თუ საერთოდ არ დანოლილხარ?“ აპაო ყოველთვის ერიდებოდა ტელეფონზე საუბარს ხალხის თავშეყრის ადგილებში, და იმის მიუხედავად რომ ინგლისურად ლაპარაკობდნენ, მაინც ხმადაბლა მეტყველებდა.

„მე დრო ამერიკა, ეს-ესაა რაც ჰონკონგიდან დავბრუნდი.“

„აა, შენც იქ იყავი?“

„შენც“ რას ნიშნავს, კიდევ ვინ იყო?“

აპაო-მ მხოლოდ თავი გააქნია, სიტყვას ვერ ამბობდა.

ფანჯრის იქით სიცარიელე იყო, არცერთი ხე. ქარს მოჰქონდა ხმელი ბალახის ბულულები, ქალაქის ნაფლეთები, პეიზაჟი რალაცნაირ, დუნე იყო, უღიმღამო. უთხრეს, რომ იქ თითქოს საავადმყოფოს ახალი კორპუსი უნდა აეშენებინათ; გაუკვირდა, „ისედაც ტევა არ არის შენობების ამ ქალაქში და მაინც არ ჩერდებიან...“ „რამდენს გეძებდი! მინდოდა ჩემი ამბები მეთქვა, დიდი ცვლილებაა ჩემთან! მოვრჩი, დასრულდა ჩემი

ურთიერთობა ალანთან!“

„როგორ! რას ლაპარაკობ?“ აპაო-ს გაუკვირდა. ორივეს ერთდროულად გაუჩნდათ სინანულის გრძობა, გაახსენდათ ერთად გატარებული დღეები, ეპიზოდები, მსგავს სიტუაციას ერთად რომ არჩევდნენ, ნანობდნენ და აანალიზებდნენ...

„თვითონ შემომთავაზა, „ბოლო მოვულოთ ჩვენი ურთიერთობასო“. ის, რომ იცოდე, ზარმაცია, ყოველთვის ურჩევნია რომ ყველაფერი ძველებურად დარჩეს, არაფრის შეცვლა არ უნდა! ეხლა კი – „დავასრულოთო!“ ეტყობა, ვილაცა გაიცნო. არა, ისეთი ზარმაცია, რომ მე მას არ ავირჩევდი..“ – ხმაში არ ეტყობოდა არანაირი დარდი, საერთოდ არ უჭირდა საუბარი, მის ბოლო სიტყვებმა კი დააფიქრეს აპაო-: „მესმის, რომ ჩვენს კარმას ყავლი გაუვიდა, დასრულდა, მაგრამ ვატყობ რომ არ უნდა ინიციატივის ხელში ალება, „...დე, მეორე მხარემ მიიღოს გადაწყვეტილებაო!“ – ეტყობა, ასე ფიქრობს.“

„კი მაგრამ, ერთად ათი წელი არ იცხოვრეთ?“ – წამოიყვირა აპაო-მ, „იგივე ქორწინება არ იყო, რა განსხვავებაა?! და ასე უცებ, ერთი ხელის ალებით გადაწყვიტეთ და მორჩა?! ის – იქით, შენ – აქეთ?“

„არ ვიცი, რა განსხვავებაა, თუ არის კიდევ განსხვავება? მაშინ სხვაობა იმაშია, რომ შეგვიძლია გადავწყვიტოთ რომ დავშორდეთ, და გვაქვს კიდევ ამის თავი! ძალიან მოსახერხებელი ვითარებაა; აკი ამიტომ შევძელით ამდენ ხანს გვერდ-გვერდით ყოფნა.“

„აა... მოსახერხებელია...“ – გაიმეორა აპაო-მ და გაჩუმდა. თავი ჩარგო საავადმყოფოს ზენარში, დეზინფექციის სუნი რომ ასდიოდა. ღამის სიბნელეში აღიარა, რომ თვითონ ასე არასოდეს უფიქრია, „სიყვარულში რა არის „მოსახერხებელი“ და რა – არა? – არასოდეს!..“

„მოსახერხებელზე“ სერიოზულად არც არასოდეს უფიქრია. რამდენად დასაშვებია ადამიანთა ურთიერთობაში ამ სიტყვით ხელმძღვანელობა? რაკი ჭუტი არ ელირსა პასუხს, ამიტომ განაგრძო: ცხადია, რომ ასეთი ურთიერთობა არა არის განზონასნორებული, და ქორწინება არ უშველის ამ ნაკლის ამოვსებას. თან, მე ის ქალი რა ვარ, რომ ვითმინო, თავზე ლაფს როგორ მასხავენ, მით უმეტეს, როდესაც გათხოვილი ვიქნები. ამიტომ ვარჩიე დაშორება.. რა ვიცი, იქნებ სულაც მანდ გადმოვზარგდე, შანხაიში, ჩემს სამსახურს ხომ თავი დავანებე!“

აპაო დაიანგარიშა: „აჰა, კიდევ ერთი დარტყნა, ჯერ საყვარელს დაშორდა, ეხლა სამსახურიც დაკარგა!“

„...ისე რომ ფრინველივით ვარ თავისუფალი!“ – დაასრულა ჭუტი-მ. აპაო-ს ჩაეცინა: „ყველას თავისი წილი ცა დასცქერის თავს ზემოთ! ეტყობა, ჭუტი-ს წილს წვიმაც სცოდნია.“

„ადრე თუ გვიან, მანდ გამოვჩნდები, შენ კი იყავი მანდ შენთვის წყნარად... ნუთუ მართლა არა გაქვს არაფერი ჩემთვის სათქმელი?“ – ჭუტი ისევ იმას დაუბრუნდა, რაც აინტერესებდა. ამჯერად აპაო-მ პასუხი მოკლედ, ცალყბად გასცა: „პიტერის რესტორანში ვნახე... და ისიც, ვისთანაც ეხლა არის...“ აპაო-ს სუნთქვა აუჩქარდა, სათქმელს ველარ აგრძელებდა.

„რას მეუბნები, პირდაპირ ასე შეეფეთე ლუნგ-ს იმ თავის ქალბატონთან?“ – ჭუტი ღამის ხტოდა ცნობისმოყვარეობისგან: „მერე, მითხარი, ახალგაზრდაა, პატარა გოგოა?“ და პასუხი არ აცალა, ისე მიაყარა: „მე მითხრეს რომ შანხაიში ყველაზე დიდი პროცენტია ახალგაზრდა ლამაზი გოგოების, ეშხიანები, თან თავისუფლები! წარმოგიდგენია?“ – და ისევ თემას დაუბრუნდა: „და იმ ქალს შეხვდი, ასე, პირისპირ?“

აპაო ჩუმად იყო.

„აპაო-!“ – აყვირდა ჭუტი-, ეგონა, რომ კავშირი განყდა: „გესმის, ალო!“

მიუხედავად იმისა, რომ პალატა ცარიელი იყო, აპაო-მ მანინც არ იცოდა, როგორ აეხსნა მისთვის ეს ამბავი, და უცებ პირდაპირ მიახალა: „ჭუტი-, კაცთან იყო, გესმის?!“ – ასე თქმა არჩია, არ შეეძლო, „ჭუტი-, იცი, ლუნგ-ი კაცშია შეყვარებული, Gey-ია!“ – უჭირდა ამის თქმა არა მხოლოდ ლუნგ-ის მიმართ, ვინც მთელი თავისი ცხოვრება უყვარდა, არამედ საკუთარი თავის მიმართაც.

ამჯერად პაუზა ჭუტი-ს გაუგრძელდა და უკვე აპაო-ს ჯერი დადგა, ხაზი შეემონებინა: „ალო... ალო!“ ჩასძახა მიღში.

„არა, ეს რა მითხარი... გონს ვერ მოვსულვარ, შოკში ვარ...“ – დასუსტებული ხმით უპასუხა ჭუტი-მ. ერთხანს ორმხრივი დუმილი ჩამოვარდა.

მერე ჭუტი-მ ისე დაიწყო თავის პარტია, თითქოს სცენიდან მიმართავდეს: „როგორ! თქვე-ენ?! ათი წლის ქორწინების სტაჟით, სამი შვილის მშობლები?!“... და დაასრულა: „სამი ციციქნა ბავშვი – განა ეს რეალობა არ არის?“

„როგორ არა,“ კვერი დაუკრა აპაო-მ და ცივად გააგრძელა, „სამი ბავშვი რეალობაა, ხოლო ცოლ-ქმარი – ყალბი! საქმე ისაა, რომ სინამდვილეში არასოდეს არ ვუყვარდი! ცოლი იმიტომ ითხოვა, რომ დედას აღუსრულა და გაუმართლა სურვილი!“

„რას ამბობ... ასე თუ ფიქრობ, ხომ საშინელებაა...“

„აბა რა! საშინელებაა. რა გიკვირს, მთელი ცხოვრება ხელმოცარული ვინმე ვიყავი, და ეს ჩემი ათწლიანი ქორწინებაც ტყუილი ყოფილა.“ აპაო-ს ცრემლები მოადგა და ის იყო, აპირებდა უკვე მოთქმით, ხმამაღლა ატირებას, რომ დერეფანში გაისმა ნაბიჯის ხმა და გაჩუმდა.

„იცი, აპაო, მე ასე არ ვფიქრობ. მას მართლა უყვარდი! მერე კი – მერე კი რაღა არ ხდება ხოლმე,

ამიტომ ყველაფერს ერთმანეთში ნუ აურევ, გესმის!“ – მერე ამოიხრა, და ცოტა ფიქრის შემდეგ, დაამატა: „იცი, ერთად ცხოვრების რაღაც მომენტში ბუნებრივია გარკვეული ცვლილება სექსუალურ ცხოვრებაში; ეს ძალიან მტკივნეულია, მაგრამ ამასთანავე ხშირი რამაა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ის ეხლა ძალიან უბედურად გრძნობს თავს.“

„რას ამბობ, ჭუჭი-!“, წამოიყვირა აპაო-მ: „ვინ? ლუნგ-ია უბედური!? უბედური კი არა, ეხლა იპოვა თავისი სიყვარული!...“

„აპაო, ყური მიგდე: ეხლა იცი რას ვიზამ? ეხლავე ვყიდულობ ბილეთს და მოვფრინავ შენთან, შანხაიში! დამელოდე, გესმის! ფეხი არსად გაადგა!“ – ისეთი ხმა ჰქონდა, თითქოს მეგობრის გადასარჩენად წყალში ხტებოდა.

21

მოსამართლე ქალი იყო, ზანგს ჰგავდა, ისე იყო გარუჯული. სახე კაცისას უფრო უგავდა, ვიდრე ქალისას და პაუგუნგს მიჰგავდა, ჩინურ მითებში ნახსენებ პერსონაჟს, საიქიოში ჩასულ სულელებს რომ განიკითხავს, შემადლებულზე მჯდომი რომ დასცქერის სააქაოდან გარდასულებს. აპაო ისე კარგად ვერ ერკვეოდა ეროვნულ მითოლოგიაში, მაგრამ იმ სახის დანახვაზე, ჟრჟოლამ აიტანა და გული აუფართხალდა.

სინამდვილეში, არანაირ სირთულეს არ შეხვედრია; სასამართლოს გადაწყვეტილება უკვე ფორმალური საქმე იყო, რადგან მოსამზადებელი და საჭირო სამუშაო მის ვექილს უკვე შეესრულებინა.

ლუნგ-თან მისი მოლაპარაკება აგრეთვე ვექილმა იკისრა; აპაო-მ ვექილი დაიქირავა ლუნგ-ის მხრიდანაც, ვინაოდან ლუნგ-ი უკვე აღარც იყო სინგაპურში იყო, ხოლო წვრილმან ფორმალობებს მეტი ვერავინ შეასრულებდა.

ამჯერად სწრაფი განქორწინების მომხრე ორივე იყო, ასე რომ ამ საკითხში ისინი მოწინააღმდეგე მხარეები კი არ იყვნენ, არამედ ერთი მიზნისკენ მიმართული თანამშრომლები, მათი განქორწინება კი ერთიან „პროექტად“ წარმოდგებოდა – ალბათ ისე, როგორც მათი ქორწინების პროექტი. მოლაპარაკების თანახმად, ლუნგ-ი არც უნდა გამოჩენილიყო პროცესზე, მომჩივანი აპაო იყო და ერჩივნა კიდევ, რომ სასამართლოს დარბაზში არ შეხვედროდა.

ჭუჭი-ს აღარ დალოდებია, პირდაპირ წავიდა სინგაპურში.

ერთი თვის შემდეგ ჭრილობები მაჯაზე ისე შეუხორცდა, რომ ნაკანრივითა ჩანდა თეთრ კანზე, მაგრამ აპაო მაინც გრძელსახელოიან პერანგებს ატარებდა.

შინ არ აცნობა თავისი ჩასვლა, სალამოს ჩასულს, იმის იმედი ჰქონდა, რომ ყველას უკვე ეძინებოდა, მაგრამ კარი რომ შეაღო ბინაში და ფეხაკრეფით შევიდა, შუა ოთახში დედამთილი დახვდა.

თითი ტუჩებზე მიიღო, ბავშვებს რომ გაეგოთ დედის ჩამოსვლა, თორემ მერე შუალამემდე ველარ დაძინებდნენ. ლი სიუფენმა სამზარეულოსკენ მიუთითა და ორივე ფეხის ცერებზე, იქით გაემართა. ლიმ მაშინვე გამორთო ელექტროქვაბი და ხუფი რომ მოხადა, სურნელი იქაურობას ბანგავით მოედო: „არ ვიცი, რატომღაც გული მიგრძნობდა, რომ დღეს ან ხვალ ჩამოხვიდოდი, და გოგრის სუფი მოვხარშე ღორის ნეკნებით. ისეთია, რომ ბიბიც კი ვერა ძლება.“

დედამთილი დაფაცურდა, ფილა გადმოიღო, ჩამოუსხა სუფი, ცალკე ბრინჯი გადმოუღო, ოღონდ – უკვე სკოლიდან დაბრუნებულ ბავშვებზე ნაჩვევმა, გააფრთხილა, „ისე არ დაჯდე, ჯერ ხელები გადაიბანეო.“

„დედა, ხომ გახსოვთ, რომ აჯობებს ჩემი ჭურჭელი და კოვზები ცალკე გადავდოთ, ყველაფერი ცალკე უნდა გაირეცხოს.“

„მერე, რატომ? თუ სისხლის სურათი კარგია, რატომ? თუმც, რა ვიცი, იქნებ ასე ჯობდეს, პატარები არიან.“

„და საერთოდ, სანამ ისინი არ წამოიზრდებიან, ჩემი გარიდება ჯობია!“ – ეს კი თქვა, მაგრამ სიტყვებში რაღაც უფრო ღრმა აზრი იმალებოდა.

„ოჰ, მეორედ არა სთქვა ეგ სისულელე!“, ლი სიუფენს ხელიც კი აუთამაშდა, „ამდენი ხანი არც იქნება საჭირო, ცოტა ხანს ყურადღებით იქნები, მერე მორჩა, გათავდება ამით საქმე!“

„რა ვიცი, ხომ არსებობს რეციდივებიც!“ – აპაო-ს ხმაში კვლავ გაჩნდა რაღაც ბოლმის ტონი.

„იცი რას გეტყვი? ზოგი რამ ისეთიც არსებობს, რომ არ ღირს წინდანი, დიდი ხნით ადრე ჩაიფიქრო...“ – შემდეგ სკამზე ხელი დაატყუპუნა, „აქ დამიჯექიო“ და შეახსენა, „ცხოვრება თუ გინდა, ჭამას ვერ გაეცევი!“

ვერ ისვენებდა; ისევ ადგა, მაცივარი გამოაღო და ჩამოუთვალა: „კიდევ გვაქვს მწნილი, მარინადი, ბოსტნეული! ეს ყველაფერი შენ დაგახვედრე.“

აპაო-მ კი კოვზი გვერდზე გადადო და გამოუცხადა, „დედა, მე და ლუნგ-ი უნდა დავშორდეთ ერთმანეთს, სხვა გზა არა გვაქვს!“

ამას რომ ამბობდა, მაშინ ირწმუნა საბოლოოდ, რომ მტკიცედ გადაწყვიტა გაყრა.

სასამართლოს დარბაზში კიდევ რამდენიმე საქმე უნდა გარჩეულიყო, სანამ მისი ჯერი დადგებოდა. განქორწინების პროცესი ძალიან მარტივი გამოდგა. მოსამართლე სვამდა დადგენილ, საჭირო კითხვებს – სახელი, გვარი, ასაკი... მერე – მიზეზი განქორწინების. მხარეს ეძლეოდა ადგილი, თარჯიმანთან ერთად; პირველი რიგი ეთმობოდა მსმენელებს, ადვოკატებს, მათს უკან კი საზოგადოება, რომელსაც ყოველთვის შეეძლო დასწრება საოჯახო პროცესებზე, დარბაზის შორი კუთხიდანაც კი, რაკი გამყოფ კედლად მინა იყო გამოყოფილი და იქაურობა ჩანდა როგორც ვეება ტელევიზორის ეკრანზე.

აპაო-ს გაახსენდა ამერიკაში ნანახი, სატელევიზიო თეატრალური დადგმები და მსგავსი სცენები, ჩხუბით, მოსამართლე თავისი „დამაშოშმინებელი“ ხის ჩაქუჩის რახუნით მაგიდაზე. საღამოობით, როდესაც ყავას სვამდნენ უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში, სადაც ტელევიზორი მხოლოდ მთავარ არხზე იყო ჩართული, გოგოები ხანდახან ამგვარ სპექტაკლებს უყურებდნენ და სიცილით იხოცებოდნენ.

მაგრამ ამ პროცესზე არც ითქმდა „სასამართლო“, რადგან საერთო ატმოსფერო საზეიმოს უფრო მიჰგავდა. ჯერ ერთი, თვალში მოხვდა ლამაზი ახალგაზრდა ქალების და გოგოების სიმრავლე, თან ყველა თეთრი პირისახის იყო, ამკარად კონტინენტალური ჩინეთიდან იყვნენ ჩამოსულები.

უცქერდა მათ და უკვირდა, ესენი რამ გაამრავლა სინგაპურშიო. ყველანი გამოპრანჭულნი იყვნენ, საგანგებოდ შერჩეულ, ძვირფასი მარკის კაბებში და სამოსში. გვერდით ვინც ეჯდა, მის შანელის შავ კოსტიუმს უფრო ალამაზებდა პერანგი, რომლის საყელოს ამშვენებდა ხელით ნაქარგი – თუმც მთლიანობაში, ასეთი ჩაცმულობა ბომონდის საღამოს უფრო შეეფერებოდა, ვიდრე იქაურობას.

საზეიმო განწყობილებას ქმნიდა არა მხოლოდ მათი ჩაცმულობა, არამედ მათი ქათქათა ჩაკინკინებულ კბილებიანი ღიმილი. ყველა ილიმოდა, ზოგი ხალისიანად, ზოგი – არც ისე, მაგრამ საკმარისი იყო რომ მოსამართლეს გამოეცხადებინა ვინმეს განქორწინება, მაშინვე გამოცოცხლდებოდნენ და იწყებოდა კომენტარების, გადალაპარაკების და სიცილის ტალღა, თითქოს მოსამართლეს ვინმეს დაჯილდოვება ან პრემია გამოეცხადა.

აპაო-ს გულზე ხედებოდა მისი უცხოობა ამ გარემოში.

ამასობაში მისი მეზობელი „შანელიც“ გამოიძახეს, რომელმაც განაცხადა, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, ხარპინ-იდან არის ჩამოსული და არ ესმის ინგლისური. ამიტომ თარჯიმანთან ერთად საქმის გარჩევა გაიწვია, „შანელს“ კი ეტყობა, სადღაც ეჩქარებოდა და როდესაც მოსამართლემ ჰკითხა, რამდენი ხანი იყავით ქორწინებაშიო, ქალმა არ დააცალა თარგმანი თარჯიმანს და ინგლისურად წამოიყვირა, „Ten years!“. მოსამართლე გაუბრაზდა, „რაკი ჩინური არჩიეთ საპროცესო ენად, მაშინ კეთილ ინებეთ და ხმას ნუ იღებთ ინგლისურადო!“ – აპაო-ს გაეცინა, იმდენად აბსურდული იყო ეს სცენა და სასამართლოს მსგავსება თეატრთან კიდევ უფრო გამოჩნდა... არანაირი შეგრძნება არ იყო სინამდვილისა...

სასამართლოდან გამოსულს, ხელში ეკავა სასამართლოს გადწყვეტილება და ასე შევიდა ქუჩის მეორე მხარეს მდებარე კაფეში.

სინგაპურში „კაფედ“ იწოდებოდა ნებისმიერი ჯიხური, გინდ შენობაში მდგარიყო და გინდ ქუჩაში. ყველა ის სტანდარტულია, ისევე როგორც სტანდარტულია მომსახურეთა მაღაიური ყავისფერი სამოსი და „ზღარბის“ თმის ვარცხნილობა. მათი საერთო იერი სათავგადასავლო სიუჟეტსაც უხდება და აპაო-ს იქაურობას არა რეალურად მოეჩვენა.

სანამ შევიდოდა, შორიდანვე შეამჩნია, რომ „შანელიც“ იქ იყო და საყოველთაო ყურადღებას იქცევდა – არა მხოლოდ თავის ეფექტური გარეგნობით და სილამაზით, არამედ არაშესაფერისი საგანგებო კაბით, რაც კომიზმის ელემენტს ჰმატებდა საერთო სურათს. თვითონ ქალი არაფერს იმჩნევდა და მშვიდად მოაბიჯებდა. აპაო-ს რომ მიუახლოვდა, როგორც უკვე ნაცნობს გამოელაპარაკა: „ჯერ მაისია, მაგრამ უკვე რა აუტანელი სიცხეა! ვერა და ვერაფრით ვერ შევეჩვიე!“ –და ისეთი ღიმილით დაასრულა ფრაზა, რომელიც მხოლოდ იმ ქალებს სჩვევიათ, ვისაც კარგად მოეხსენება საკუთარი გარეგნობის ეფექტი.

„კი, მაისია, და აქ ეს ყველაზე კარგი თვეა, სინგაპური ხომ ეკვატორზეა.“

„აა,“ დაეთანხმა „შანელი“, „ეხლა გამახსენდა: აქ რომ პირველად ჩამოვედი, მწვადზე დამპატიყეს, სანაპიროზე; ისეთი სიცხე იდგა და ისეთი ჩახუთული ჰაერი იყო რომ გული შემინუხდა, ასე მეგონა, ვკვდებოდი“ – მეტი ეფექტისათვის, ხელის გულიც კი გააქნია სახის წინ, „სასწრაფოთი წამიყვანეს საავადმყოფოში, მაგრამ მანქანაშივე მოვიხედე, უკეთ ვიგრძენი თავი, აქ ხომ ყველგან კონდიციონერია დაყენებული და სუნთქვა შეიძლება!“ მერე თავი გააქნია და გაიცინა, „ამ ათმა წელმა თვალის დახამხამებაში განვლო!“

„ათმა“? გაიკვირვა აპაო-მ, თუმც არაფერი არ იყო გასაკვირი.

„დიახ, სწორედ რომ ათმა!“ თავი დაუქნია და გაუცინა „შანელმა“ – „თუმც აქ დიდხანს ვერ გაეჩერდი, ისევე ჩრდილოეთით გადავედი, პეკინში, მაგრამ იქ – იქაურმა თოვლიანმა ზამთარმა დამთრგუნა და ზამთრო-

ბით აქეთ გამოვრბოდი.“

აპაო-მ შეათვალიერა: „ასეთი ახალგაზრდა ჩანხართ, და უკვე ათი წლის ქორწინება გაქვთ გამოვლილი?“

„სულაც არა ვარ ახალგაზრდა,“ შეეკამათა „შანელი“, „უკვე ოცდათექვსმეტის ვარ.“

აპაო გაოცდა, მასზე ერთი წლით უფროსი აღმოჩნდა და რა ახალგაზრდა ჩანდა!

„ეს კოსმეტიკური ოპერაციის შედეგია.“ ქალმა უცებ გულახდილობა არჩია და თითოთ შეეხო ქუთუთობებს: „თვალბეჭვემ კანის პარკები მოვიშორე, თვალის კუთხეში და უბებში ნაოჭებიც მოვიშორე, „თევზის კუდის ნაოჭს“ რომ უწოდებენ – და მორჩა ამით საქმე!“

აპაო-ს თავში გაუარა: „ჰო, ლამაზი ნუშისებრი თვალები აქვს, რომლებსაც დრო არ დასტყობიათ; თან გულუბრყვილო, თან უდარდელი... ჩვენში ასეთებს ქარაფშუტებად და უგულოებად მიიჩნევენ, „შიგნის გარემო“ ქალებს ეძახიან – „არც გული აქვთ, არც ჯიგარიო!“

საერთო თემა ვერ გამოინახა, აპაო მხოლოდ თავს უკრავდა, მერე სიჩუმე ჩამოვარდა, ქალმა კი უცებ ხმას დაუნია, სხვას რომ არ გაეგო: „მეგობრებმა მთხოვეს, აქ შემოვსულიყავი, რომ აქაურობის მარკა ავნიო! ეს კაფე ერთმა ჯგუფმა გახსნა, ყოფილმა ნარკომანებმა, ნამალს რომ თავი დაანებეს და ამიტომ დაარქვეს ამ კაფეს „გასაყარზე“.

„აა, „გასაყარზე!“ – აპაო-ს უცნაურად მოხვდა ეს სიტყვა გულში, და მერე დაამატა – „კეთილი კაცი ყოფილა ეგ შენი მეგობარი.“

„კაცი კი არა, ქალია, ქრისტიანია. ჯერ არ მიშვებდა განქორწინებას, მაგრამ რომ გაიგო სიმართლე, რაში იყო საქმე, თვითონ მომიძებნა ადვოკატი.“

„რაში იყო საქმე“...? აპაო-ს აღარ უნდოდა კიდევ რაიმე საშინელი სიმართლის გაგება!

ამ დროს დაიჭექა. „შანელი“ მოულოდნელობისაგან შეხტა და ყურებზე ხელები აიფარა. „ნუ გეშინია,“ დაამშვიდა აპაო-მ, „ესლა ჭექა-ქუხილის სეზონია, ამიტომ მალე გადაიღებს. ნურც ეს სახურავი ნუ დაგაფრთხობს – სიფრიფანა კი ჩანს, მაგრამ ზედ მესამრიდია დაყენებული, აქ ამ წესს ყველა იცავს. თან მეტროც ახლოსაა.“ „შანელმა“ კი გამოუცხადა, „მეტროში არასოდეს არ ჩავალ, მე ტაქსით დავდივარ!“ გარეთ გასვლის წინ კი სავიზიტო ბარათი დაუტოვა და უთხრა: „პეკინში როცა ჩამოხვალ, გამომიარე!“ ესლა სასტუმროში ვარ გაჩერებული, „წელიწადის ოთხი დრო“, მაგრამ მალე მივდივარ!“ სასტუმრო ხუთვარსკვლავეანი იყო.

22

წვიმამ არა და არ გადაილო, ხალხი ემატებოდა, კაფე გაივსო. აპაო-ს მოერიდა, რომ მარტო ეკავა მაგიდა და მეტროსკენ გაიქცა, გონებაში კი ისევ იმ ქალთან ეს ხანმოკლე შეხვედრა არ უქრებოდა; წამიერი შეხვედრა რეალობასთან, სულ რამდენიმე წუთი, ერთი საუზმის დროს რომ დაიკავებდა! – მაგრამ ეს უცნობი ქალი არა და არა ქრებოდა მისი მესხიერებიდან. შთაბეჭდილება არ იყო ჩვეულებრივი, თითქოს ესიზმრა რაც ნახა; უცნაურ ელემენტებისგან შედგებოდა: მდიდრული, გემოვნებიანი სამოსი, ხუთვარსკვლავეანი სასტუმრო – და უცებ ეს მოულოდნელი შიში ქუხილის, ყველაფერმა ერთად თან დაფანტული, თან ბოლომდე შეუგნებელი და გაუაზრებელი შთაბეჭდილება დასტოვა მასზე.

ცაიხუნგ-ი გაახსენდა, რომელმაც საავადმყოფოში მოინახულა სანამ გამონერდნენ. აპაო მაშინ თვალს ვერ უსწორებდა და თვალდახუჭული უხდიდა ბოდიშს, რადგან მართლა ერიდებოდა მისი, „მაპატიე, გთხოვ...“

„რა ჰქენი, ამისთვის ჩამოხვედი შანხაში, ასე რომ განამებულებიყავი?!“ – ცრემლნარევი ხმით საყვედურობდა ქალი, თან ცხვირსახოციან ხელს პირზე იფარებდა.

„იცი, რომ რალაცნაირად მომიხდა აქ ყოფნა. სინყნარეა. თან ისაა უცნაური, რომ არაფერზე არ ვლელავ, არც ჩემიანებზე, თუმც ბევრზე მმართველს ფიქრი და ზრუნვა!“ – აპაო-ს ზოლიანი პიყამა ეცვა პატიმარივით, მაგრამ ციხის შეგრძნება არა ჰქონია.

„ბევრზეო, ამბობ?“ – გაიოცა ცაიხუნგ-მა.

„ჰო, შენთვის არც კი მითქვამს, რომ სამი შვილი მყავს, არა?“

„სამიო?!“ – ამოიოხრა ცაიხუნგ-მა და თვალცრემლიანმა, დააყოლა: „მესიზმრება ხოლმე, რომ ბევრი ბავშვი მყავს, ასე ხომ არასოდეს მოინყენ...“ – და როცა ნახა, რომ აპაო ტირილში არ აჰყვა, მოიბოდიშა: „სულ შენი ბრალია, ისე ამიშალე ნერვები, რომ...“ – მერე კი ძალა მოიკრიბა და უსაყვედურა: „მაინც, რა გულქვა ყოფილხარ – სამი შვილის პატრონი, ასეთ სისულელეს როგორ ჩადიოდი?!“ – და კვლავ მოიბოდიშა: „არა, კი არ გადანაშაულებ, მაგრამ... მეცოდები! ქალი ქალისას ხომ უსიტყვოდ გაიგებს!. მაგრამ მეშინია...“

აპაო-მ გაიცინა: „რას იზამ, ქმარი მაინც არ დამიბრუნდება, ვილაცა გაუჩენია. წელიწადზე მეტია, ვიცოდი, მაგრამ ჩემი თვალთ იმ დღეს დავრწმუნდი...“

ცაიხუნგ-ი უსმენდა და მარტო „წ-წ-წ...“-ს გაიძახოდა, მერე კი თქვა: „ისევ ჯობია, არა ნახო და სული არ დაიღუპო. ხომ უთქვამთ, „რასაც თვალი ვერ სწვდება, სუფთა ისაა!“

მერე გაჩუმდნენ, ცაიხუნგ-მა კი ცოტა ხნის შემდეგ ისევ დაარღვია დუმილი: „მე ხომ ვხედავ, შენ ისეთი ქალი ხარ, რომ თვალში სილის ნამცეცეც რომ ჩაგივარდეს, ვერ მოითმენ და ვერ შეეგუები, სიყვარულია

შენთვის მთავარი! მე კი, მე - რა? განა ვთხოვ რომ დამიბრუნდეს? ანდა რისთვის, მაინც არ გამიჩერდება. მთავარია, ფულით დამეხმაროს. მაშ რა ვქნა, ცხოვრება ხომ მიწინაა?!“ – ესა სთქვა და თავი ჩაღუნა, თითქოს შერცხვა ნათქვამის.

„ქალი კი არა, დედაკაცი ვარ, მდაბიო. დამიჯერებ, ჩვენებური დედაკაცები ჩემნაირები არიან და ბევრია ჩვენნაირი. იმის უფლებაც კი არა გვაქვს, - ეხლა სტატუსს რომ უწოდებენ – რომ მეტი ვითხოვოთ! არ მომერიდება და გეტყვი: გაჭირვებულ ცოლქმარს არაფერი გამოუვა, რამდენ საქმესაც არ მოსჭიდონ ხელი!.. წინათ უთქვამთ, რომ უღელში შებმული ცოლქმარი ათრევს და ათრევს იმ თავის უღელს, ათრევს, წუნუნებს და ისევ ათრევს, და ასე მიათრევენ თავის ცხოვრებას! ყველაზე კარგად მაშინ ვცხოვრობდი, როდესაც ფულის საშოვნად სამხრეთს გავემგზავრე. ცოცხალი ვიშოვე თუ ბევრი, ჩემი იყო, ჩემი ხელით ნაშოვნი! ქმარსაც ფულს ვთხოვდი, ბიჭს ხომ უნდა მიეღო განათლება, ჩვენ, ჩინელები ხომ საერთოდ ვაფრენთ განათლებაზე, თუ გაუნათლებელია, მთელი ცხოვრება სამასხარაო იქნება... მე რა? ყველა პირობას ავიტან, ყველგან ვიცხოვრებ; არც ფუფუნება არ მინდა, არც ქმარი – თუკი მოვებზრდი და ახალი გაიჩინა. ადრე რომ სიდუხჭირეში ვცხოვრობდით, შრომისგან, ხედავ –ხელებზე ისეთი კოჭრები დამაჯდა, რომ ვერაფერს ველარა ვგრძნობ!“ – ხელისგულები დაანახა და ორივემ გაიცინა.

აპაო-ს გულზე მოხვდა მისი სიტყვები. იმდენად დიდი აღმოჩნდა ქალის უნარი, სხვა ქალის სატყვივარი გაიზიაროს, რომ მისი საფიქრალი გადაფარა, გულში დაბუდებული ბოღმა გააქარწყლა, თუმც სიცარიელე მაინც დარჩა....

იმ დღეს იხსენებდა მეტროში, და ფიქრებში წასულს, ერთი გაჩერება გამორჩა. სინგაპურის მეტრო შანხაისგან განსხვავებით, არასოდეს არაა გადატვირთული, ფეხზე დგომა არავის უწევს და აპაო-მ თითქოს კიდევ ჩათვლიმა სავარძელში, როდესაც ლი სიუფენგ-ის ზარმა გამოაფხიზლა. „რა ამბავია, რიგზეა ყველაფერი? ჰო, კარგი, მოვდივარ.“ – თავისმა სიმშვიდემ გააკვირვა.

იმ ღამეს, შანხაიდან რომ დაბრუნდა და დედამთილს გამოუცხადა თავისი სურვილი, ქმარს გაყროდა, ლი სიუფენგ-ს არაფერი უკითხავს, არც მერე უთქვამს არაფერი. ამ თემას ორივე ტაბუსავით გაურბოდა, ტაქტიანად თავს არიდებდა. „ღამე მშვიდობის“ ისე უსურვეს ერთმანეთს, თითქოს მართლაც სწორედ სიმშვიდეს გულისხმობდნენ.

ყოველ მის დაბრუნებისას, დედამთილი საგანგებოდ დამზადებული 'ნიენ ტოუფუ-ს' ახვედრებდა – სოიოს ყველისგან დამზადებულ საჭმელს; აპაო-ს უთქვამს კიდევ მისთვის: „ამას რომ გეახლებით, მაშინ კი ნამდვილად ვგრძნობ, რომ შინა ვარ“.

მაგრამ ამ ჩამოსვლაზე ძველი ნათქვამი გაიხსენა, „საგანი საგნობს, მაგრამ მნახველი ის აღარ არის!“ – და ყველაფრის მიუხედავად, არც კი ახსოვდა, ასეთი შინაგანი სიმშვიდე ოდესმე თუ განეცადა...

„დედა, დღეის აქეთ, მაინც მომიზადებთ ამ საჭმელს? ან საერთოდ მოინდომებთ ჩემთან და ბავშვებთან ცხოვრებას?“ – წუხანდელი ნათქვამის გაგრძელება იყო, ოღონდ ამჯერად უფრო დაიძაბა, ხელიც კი ჩაავლო ხელში დედამთილს.

ლი-მ ფრთხილად გაითავისუფლა ხელი, კოვზი და ჩხირები გვერდზე გადადო და უპასუხა: „განა ვერ ვხედავდი, რომ განქორწინება ხელს აძლევდა..“ აპაო-ს ენა ჩაუვარდა, მაგრამ მერე მოძებნა პასუხი და სულ უფრო და უფრო აჩქარებით წარმოთქვა: „ის აღარ დაბრუნდება, შეუძლებელია! ჩვენი კარმა მორჩა, დასრულდა... დედა, ხელს ნუ შეუშლით, ნუ ჩაერევიან! ყველას აქვს უფლება თავის ბედი ეძიოს!... ამის შეგნება ჯერ კიდევ შემრჩენია. ეხლა მხოლოდ ის მინდა გავიგო, თქვენ რას არჩევთ, როგორ ვიცხოვროთ?“

ეს თქვა თუ არა, მიხვდა რომ ბოლომდე სამართლიანად არ მოექცა, რაკი არ უთხრა სრული სიმართლე, მაგრამ... სამართლიანობა – და ასეთ შემთხვევაში? სწორედ ასე შეუძლია გამოხატოს თავისი მადლიერება დედამთილის წინაშე: რომ დაუმალოს სრული სიმართლე!

„ნუთუ ასე გეზიზღება ჰომოსექსუალიზმი?“ – შეეკითხა ჭუტი-. როდესაც მას ლუნგ-ს უხსენებდა, ანდა საერთოდ, კაცებზე ჩამოვარდებოდა საუბარი, აპაო-ს უჭირდა აღმოფოთების დაფარვა, მაგრამ ეხლა მოახერხა ამ გრძნობის მოთოკვა და ასე უპასუხა: „საქმე ზიზღში კი არ არის!...“ ნელ-ნელა უბრუნდებოდა ცივი გონებით განსჯის უნარი: „მე ის მამძიმებს, და თან მფიტავს, რომ თუ ასეთი იყო, რაღად მითხოვა ცოლად? მე რად უნდა დამეხარჯა და გამეფანტა ამდენი გრძობა და განცდა? მარტო იმისთვის გამომიყენა, რომ ოჯახის გასამრავლებელ საგნად ვყოლოდი?! გამოდის რომ ბედმა მატყუარას შემახვედრა, ვილაც ღრძო და გულცივი ვინმესთვის გამიმეტა!“ – მის ხმაში მატყულობდა წყენა და გაბრაზება.

„ეხლა შენ წყენა უფრო გალაპარაკებს! გამოგიყენა იმან, თუ გულით უყვარდი, ეს შენ უფრო უნდა იცოდე! ეგ შენმა გულმა უნდა გიკარნახოს!“

„ეხლა დამუნჯებული ვარ, გესმის? საერთოდ დაკვარე განსჯა და რწმენა ადამიანის!“

ჭუტი-მ სიტყვა ვერ მოძებნა საპასუხო.

აპაო-მ უცებ იგრძნო სინდისის ქენჯნა და წამოიძახა: „ჭუტი-, შენ ამდენი რამე გამიკეთე, განა არ ვხედავ? ალბათ მოვრჩები ამ გაუთავებელ ბუზლუნს და წუნუნს! ასე მგონია, რომ გულში სწორედ ასე აღმიქვამ.“

ჭუტი-მ გადიხარხარა და აპაო წამსვე გამოეპასუხა:

„რომ იცოდე, როგორ მახარებს ეგ შენი სიცილის ხმა!“

ისინი დაემშვიდობნენ ერთმანეთს, მაგრამ ჭუტი-ს შეკითხვა ზიზღზე და ჰომოსექსუალიზმზე – ეს შეკითხვა არ უქრებოდა მახსოვრობიდან... ჭუტი-ს ნათქვამში, „ზიზღი“ რომ ჩაესმა, შინაგანად შეშფოთდა, რადგან ესმოდა რომ როგორც ცივილიზებულ ადამიანს, ასეთი განწყობა უნდა საერთოდ ეხამუშებოდეს და ეთაკილებოდეს, მაგრამ საქმეც ის იყო რომ ძალიან, ძალიან ადრე გატარებულმა ხაზმა მორალში - „ჰოსა“ და „არას“ შორის, ეს ხაზი ახსენებდა, რომ გაიგო თუ არა Honey – ლამაზი, წარმოსადეგი კაცისგან თქმული მისი ქმრის მისამართით, კინაღამ გული აერია, კუჭიდან თითქოს რალაც ბინძური და ამაზრზენი ამოიფრქვა და ყელზე მოადგა...

ახალი ეტაპი დაენყო ცხოვრების, მონანიების...

ერთხელ დედამთილმა ხელი ჩაავლო პერანგის სახელოდან უცებ გამოშიშვლებულ მაჯაში, და თითქოს ემინოდა, წამით ნანახი ზმანებასავით არ გამქრალიყო, სხაპასხუპით მიაყარა: „გამაგებინე, რა მოხდა, რა-შია საქმე?!“ – და ატირდა. აპაო-მ პირსანმენდი გამოუტანა თვალების შესამშრალეზლად, რის შემდეგ ლი-მ მშვიდად გაანდო: „იცი, დიდი ხნის წინათ... ძალიან ვლელავდი, რომ ლუნგ-ი არ გითხოვდა, მაშინ თქვენ გიყვარდათ ერთმანეთი, ერთად იყავით. თავი მეცხრე ცაზე მეგონა, მაგრამ ამქვეყნად არაფერია სრულად, მთლიანად მშვენიერი: მე თუ მიხაროდა ის ამბავი, ეს არაფერს არ ნიშნავს! რა, ამას რაიმე სარგებლობა ან შედეგი მოაქვს? არასოდეს წარმოვიდგენდი, რომ გიღალატებდა.“

აპაო ხმას არ იღებდა.

„ლუნგ-ი უკვე კაცია და მე არ შემიძლია წარვმართო მისი ქცევა და ნაბიჯები, მაგრამ ფაქტიურად ეს ყველაფერი გაცილებით ადრე დაიწყო, თქვესმეტის რომ გახდა, მაშინ. მაშინ უცებ აიღო აკადემიური შვებულება და ბოსტონში წავიდა. მიზეზი არ უთქვამს, და საერთოდ, არ მიჯერებდა...“ ამას რომ ამბობდა თავი ხელებში ჩაერგო, სამზარეულოს მაგიდას იყო მიმჯდარი.

აპაო-ს ესმოდა, რომ მაშინ ყველამ იცოდა რომ სიყვარული იყო მისი წასვლის მიზეზი, მხოლოდ დედამ არ იცოდა ნამდვილი მიზეზი.

„ეს იყო პირველი დარტყმა, რაც მან მომაყენა. იცი, ვხედავდი რომ რალაცას მიჰქარავდა, მაგრამ ძალა არ მქონდა რომ შემეჩერებინა! რომ იცოდე, როგორ განვიცდიდი, არ ვიცოდი, რა წყალში ჩავვარდე! მისი ქცევა უფრო მტკენდა გულს, ვიდრე მამამისის ღალატი.“

ბოლო სიტყვებზე აპაო გამოერკვა, მისი ჭალარის შემხედვარემ უცებ იგრძნო დედამთილის გულისტკივილი და გაიზიარა ეს გრძნობა.

ლიმ ამ დროს ხელი დაადო ნაიარევზე და მარტო ეს თქვა: „მაპატიე, აპაო-!“

„დედა, საბოლოოდ არაფერი გაქვთ. ის უკვე დიდი ხანია ჩამოყალიბებული მამაკაცია, ოცდაათს გადასცილდა, რომელსაც მშვენივრად ესმის რასაც აკეთებს!“ და ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაამატა: „ამაზე ბევრი მიფიქრია... თავი გამისკდა ამაზე ფიქრით... ის ვიცი, რომ რაც მოხდა, ამაში ბრალი არავის მიუძღვის; არც არავის შეცდომა არ არის! არც მისი, არც სხვა არავის... საქმე ის არ არის, ვინაა მართალი და ვინ არა...“ მერე ხმაში სიმტკიცე დაეტყო: „რომ იცოდეთ, ეხლა თითქოს თავიდან დავიბადე, ბევრი რამ მხოლოდ ეხლა შევიგნე!“

„მაშინ, რატომ დაუშვი ეს სისულელე?“

„მერწმუნეთ, ასეთი რამ მეტი აღარ განმეორდება!“

რამდენიმე დღე ამას არჩევდნენ და ამაზე საუბრობდნენ, მაგრამ დღე მათ არ ეკუთვნოდა, რადგან BB გაღვიძებისთანავე იწყებდა ტრიალს, მოძრაობდა, არ ჩერდებოდა, და მის დევნაში ნახევარი დღე გადიოდა. სამზე ან ანი ბრუნდებოდა სკოლიდან და შემოსვლისთანავე, პირს არ გააჩერებდა, ხან რას კითხულობდა და ხან რას. იუანიუ ანი უკვე საშუალო სკოლაში სწავლობდა, ბავშვური ცელქობის ხანა დაუსრულდა და ეხლა მულტპლიკაციით იყო დაკავებული, და ისიც შორს იყო რეალური ცხოვრებისაგან.

ერთხელ აპაო-მ ეს უთხრა: „აპაო, მე ეს ყველაფერი გამოვიარე, შენი კარგად მესმის, მაგრამ დამიჯერე, ეგებ ცოტა კიდევ მოგეცადა...“ რაც არ უნდა ყოფილიყო, დედა იყო და დედად დარჩებოდა! აპაო-მ თავს უფლება მისცა და სარკასტული ღიმილით და ტონით უპასუხა: „კი, როგორ არა, შემიძლია დავუცადო! მაგრამ მთავარი შედეგია! დაველოდები თუ არ დაველოდები, რა განსხვავებაა? შედეგი ხომ იგივეა!“ და მერე დამცინავი ტონით დაამატა: „ეს განქორწინება მის სასარგებლოდ მქონდა გადანწყვეტილი!“

ლი სიუფენმ კი მკაცრად გაანწყვეტინა: „სულ არ იყო საჭირო ფიქრი მის სასარგებლოდ! ეხლა ყველაფერი ოჯახს ეხება და პირველ რიგში, ბავშვებზე გმართებს ფიქრი...“

აპაო-ს ხმა არ გაუცია.

იმ ღამეს ბიბის მუცელი ასტკივდა და ბებიამისს კალთაში ესვა და ამშვიდებდა და აპაო რომ მივიდა ბავშვის ჩამოსართმევად, უცებ უთხრა რძალს: „არ არის საჭირო იცოდე, მე რას ვფიქრობ.“ – მანამდე დანყებულ საუბარს აგრძელებდა: „მესმის რომ ეს საქმე ცოლსა და ქმარს ეხება. ვინც არ უნდა იყოს, ვერასოდეს

გაერკვევა თქვენი ერთად ცხოვრების ურთიერთობაში.“ – თან მახვილი „თქვენზე“ გააკეთა. მერე წამოდგა და ფრაზა დაასრულა: „მაგრამ გახსოვდეს, რომ თუ გამოვრდები, მე შენთან დავრჩები, არ დაგტოვებ.“

მადლიერების ნიშნად უნდოდა ჩახუტებოდა დედამთილს, მაგრამ მის მოძრაობას წინ კედლად დახვდა ლი-ს წინ გამოწვდილი ხელისგულები: მათ შორის უკვე გაჩენილყო ბზარი, რომელსაც ის ვერ გაექცეოდა და თავიდან ვერ აირიდებდა...

ამას მალე მოჰყვა BB-ის ავადმყოფობა, ჩუტყვავილა შეეყარა, მეორე დღეს ანანს გადაედო, ის უარესად იყო, მეტი ყურადღება სჭირდებოდა. ცოტა ხანში უფროსიც ჩანვა და ამ სამი ბავშვის მოვლა-ზრუნვაში, ორივე ქალს გადაავიწყდა თავინთი დარდები და საფიქრალი...

23

მგზავრების ტალღას მიჰყვებოდა და მეტროს ხაზი გამოიცვალა. ოთხი საათი შესრულდა, პიკის საათის დრო იყო, მაგრამ აპაო უკვე შეეჩვია ასეთ გარემოს. ყოველ ასეთ მომენტში, როდესაც ხედავდა ახალი ფილმის, „სისხლისმსმელის“ რეკლამას, რომელმაც შეანაცვლა ძველი, ჩაკთან შეხვედრის დროინდელი, „ტროსკომის“ აფიშა, გული უთბებოდა, ცოცხლად ახსენდებოდა მაშინდელი, და უფრო ადრინდელი შეხვედრები.

ფიქრით, არ უფიქრია, რომ კიდევ მოუწევდა აქ გავლა; რამდენჯერმე მაინც მოუწია იქ გავლა, მაგრამ ჩაკ-ი აღარ შეხვედრია...

მისი განქორწინება ეხლა პიესად წარმოუდგა, რომელიც დასრულდა და ფარდაც დაეშვა. ბავშვების მოვლამ ავადმყოფობის დროს ისე დალაღა, რომ ფეხს ძლივს ადგამდა. ის დრო გაიხსენა, როდესაც ახალი შესახლებულები იყვნენ სინგაპურის ბინაში. ფანჯრის იქით ლამაზი ველი იყო გაშლილი, მაგრამ ტროპიკული მზის დაუნდობელი და შემმუსვრელი სხივები ირგვლივ ყველაფერს სპობდნენ და სწვავდნენ. ფანჯრებს ფარდები დაკიდა და დღენიდაგ სწყევლიდა გაუთავებელი სიცხით, ნესტით და კონდიციონერით შექმნილ ატმოსფეროს, რომელთაგან ვერსად დამალებოდა და ვერსად გაექცეოდა. ზოგჯერ მოუნდებოდა ფეხშველა გაეკლო იმ ზურმუხტისფერ კოინდარზე, მაგრამ არც ამ სურვილს არ ენერა აღსრულება, ვინაიდან იქ არასოდეს არ უთოვია, და მზით გახურებული ეს ლამაზი ბალახი გავარვარებულ მავთულს უფრო ჰგავდა, რომელზეც ემინოდა ფეხი დაედგა... და ასე განვლო ათმა წელმა.

ერთხელ წვიმა ინატრა მზიანში; ლუნგ-ი მაშინ უკვე წასული იყო და უცებ თავში დაჰკრა აზრმა, „კი მაგრამ, აქ საერთოდ რა მინდა, რა მაჩერებს?! სინგაპური ხომ იმის ქალაქია და არა ჩემი! და მან მიატოვა ქალაქი სადაც დაიბადა. ცოლიც მიატოვა, შვილებიც; მამ მე აქ რატომ ვარ, რისთვის? ან საერთოდ, ვინა ვარ?“...

ჭუტი-ს უყვარდა სინგაპურის მაღაზიები, იქაური five o'clock-ის ტრადიცია, მაგრამ არასოდეს შეუწყვეტია ხვენწა-მუდარა, „შანხაში გადმოდი, რა გინდა მაგ ცივილიზებულ ჯურღმულში?! არ გირჩევნია იყო მხიარულ მოდურ ქალაქში?“

ჭუტი-ს პრაქტიციზმმა აქაც იჩინა თავი: „ყური მიგდე: ჩემი ბინა უფასოდ გექნება, ცხოვრება აქ უფრო იაფია, ვიდრე სინგაპურში, რაც გინდა სულო და გულო – ყველაფერია, ხოლო თუ სინგაპურში გააქირავებ ბინას, იმ ფულით აქ შეგიძლია ერთი კოტეჯი იქირავო...“ – მაგრამ აპაო-ს ფიქრიც კი არ უნდოდა ამაზე, „როგორ ვიცხოვრო იმ ქალაქში, სადაც გული ჩამწყდა და მომიკვდაო!“

ჭუტი მაინც არ ნებდებოდა: „რატომ არ გინდა გაიგო, რომ ლუნგ-ის გარდა კიდევ მე გყვარ, კიდევ აი, რა ჰქვია?.. ის ქალი... ცაი? თუ – ჰო, ცაიხუნგ! ისა, მერე კიდევ სიანო ჟუნ-ი, ის ძალიან ზრუნავს შენზე... ხედავ, რამდენი მეგობარი გყავს? განა ეს ცოტა რამაა?“ ერთხელ კი ასე არჩია თავისი შეგონების დასრულება: „მთავარი, იცი რა არის? რომ სინგაპურთან შედარებით, შანხაი გაცილებით უფრო საინტერესო ადგილია.“ აპაო-ს იმ პარიოდში არაფერი არ აინტერესებდა, არც საზოგადოებრივი ცხოვრება, და არც მოდა, მაგრამ ესმოდა, რომ ჭუტი მართალს ეუბნება: „თუ არაფერი არ გაინტერესებს, ისე ძნელია ცხოვრება, სიცოცხლეს კი არა, სიკვდილს დაემგვანება...“ ერთხელ რომ ასეთი აზრი გაუჩნდა, ნელნელა ჭუტი-ს პოზიციისკენ გადაიხარა და მართლაც, მოსაწყენ ქალაქად მოეჩვენა სინგაპური. ამ ფიქრს ის მოჰყვა, რომ თანდათან გაუქრა ძველი ალტაცება სინგაპურის ნესრიგის და სტერილური სისუფთავის მიმართ. ამიტომ, ერთხელ ეს აღიარა კიდევ მეგობართან საუბარში, „ან ადრე როგორ ვერ ვამჩნევდიო?“ - რაზეც ჭუტი-მ უპასუხა: „ეს იმიტომ, ჩემო კარგო, რომ მაშინ ოჯახიც მთლიანი გყავდა, გვერდით საყვარელი მამაკაცი გეგულებოდა, და ამიტომ ვერ ამჩნევდი ქალაქის ნაკლს.“

ერთხელ ცაიხუნგ-მა დაურეკა და მოახსენა, რომ ქალაქში ვიღაც ყურნალისტს შემთხვევით მისი ნაქსოვი შეუმჩნევია და ეხლა თურმე აპირებს წიგნი გამოსცეს ქსოვის ხერხებზე და ტექნიკაზე, და ეხლა ყურნალი სთხოვს მის ნამუშევრებს გამოსაქვეყნებლად! თან აპირებენ, რომ სურათებს კიდევ დაურთონ მისივე ახსნა მისივე მოგონილი სახეების მოსაქსოვად. ეს ცნობა ქალმა მადლობით დაასრულა, „შენ რომ არა, და შენი მოწონება და ქება რომ არა, განა მე მექნებოდა კიდევ ქსოვის ხალისი? და შენი წყალობით, ტავერნაც გადამიჩნა; სხვები კი? ხომ ხედავ, ზოგი იხურება, ზოგი კოტრდება, ჩემი კი, აი – კიდევ ცოცხალია!“

ამის შემდეგ, ვითომ სასხვათაშორისოდ დაამატა: „იცოცხლე, რა უნდა გითხრა? ამ ჩემ ქსოვას დიდი დრო მიაქვს, და ვიფიქრე, შენ მაინც არ მუშაობ და რა იქნება რომ ჩემთან მოხვიდე? მმართველის ადგილზე გამუშავებ, ხელფასი გექნება. ჩვენ ხომ დებივით გავხდით და ერთი-მეორეს დავებმარებით, საერთო საქმე გვექნება. ისეთი რესტორანი იქნება, ბევრს აჯობებს, დამიჯერე!..“

აპაო-ს სიცილი აუვარდა: „დაგავინწყდა, რომ კიდეც დედამთილიც მყავს?“

ცაიხუნგ-ს ტონზე დაეცყო, რომ ხალისი მოაკლდა, „ჰო, მესმის, ძნელია რამე ქნა, როცა ორივე მხრიდან განვებიან – ზევიდან ბებრები, ქვევიდან – წვრილფეხობა“.

აპაო-მ იუარა, „არა, არც ესეა საქმე, პირიქით! სახლში მებმარება. მთავარი, ვიცი, რომ ბავშვების განათლებაა, რომ სკოლას არ ჩამორჩნენ. აი, მე ამერიკაში გავიზარდე და მესმის, რომ ქალაქის გამოცვლა არა არის დიდი სირთულე; იმდენჯერ გამომიცვლია ქალაქი, რომ გარემოს გამოცვლა სულ არ მაშინებს.“ ცაიხუნგ-ს კი არა, თვითონაც გაუკვირდა, როგორ გადაწყვიტა ასე ადვილად ესოდენ მნიშვნელოვანი საქმის პრობლემა!..

ტელეფონის მილი გადადო თუ არა, ისევ ძველი ფიქრი დაუტრიალდა: „კვლავ იმ ქალაქში ვიცხოვრო, სადაც ლუნგ-ი ცხოვრობს?“

სიძულვილის გრძნობა გადაუვიდა, მაგრამ წყენა მაინც ახსენდებოდა, იმის მიუხედავად რომ მის თვალთახედვიდან გამქრალი იყო.

განქორწინების შემდეგ ორი დღე იყო გასული, მესამე დღეს სახლში გამოეცხადა. დედის და ბავშვების სანახავად მოვიდა და დღეც საგანგებოდ შეარჩია, რადგან განქორწინების კონტრაქტში მკაფიოდ იყო აღნიშნული, რომ სახლში მისვლისას ვალდებულია წინდაწინ გააფრთხილოს ოჯახი თავის მისვლაზე, რათა მიუღწეს საშუალება ჰქონდეს თავი აარიდოს მასთან შეხვედრას, თუ ის ამას ისურვებს. ამიტომ ლუნგ-მა თავი აარიდა ახალი წლის წინა ღამით მოსვლას, რაკი იცოდა ოჯახის ერთად ყოფნის წესი.

ამდენი რამ აპაო-ს ესმოდა, ლუნგ-ი ხომ ყოველთვის იყო ძალიან ყურადღებიანი, ბუნებით ასეთი იყო. აპაო-ს არ მოსწონდა აგრეთვე მისი ერთგულება დადგენილი წესის მიმართ... არადა, სანამ ერთად ცხოვრობდნენ, აპაო არ ცდილობდა დეტალებში გარკვევას.

ლუნგ-მა ერთი კვირა გაატარა სახლში. ამასობაში აპაო ჰონკონგში გაფრინდა და მამა მოინახულა, – ეს წასვლის საბაბადაც გამოიყენა დედამთილთან. წასვლა კი იმიტომ გადაწყვიტა, რომ ჯერ ერთი, კონტრაქტში ასე ეწერა, მეორე კი ის იყო, რომ აღარ უნდოდა თავიდან გაღიზიანება და ნერვების აშლა. ლუნგ-ი არც ენახა რესტორანში იმ სცენის მერე, და არც ეხლა უნდოდა იმის ნახვა.

როცა დაბრუნდა, ლუნგ-ი წინა დღის წასული იყო და დედამთილმა უთხრა, „მართალი გითხრა, ლუნგ-ს არ ეგონა, რომ არ დახვდებოდიო.“ – „უი, ნუთუ მართლა?“ – დამცინავად გაიოცა აპაო-მ, „მე კი მგონია, რომ ურჩევნია რომ საერთოდ გავქრე მის თვალსაწიერიდან!“

„მესმის, როგორ გძულს,“ – ლი სიუფენგ-ი თან გამალეებით სანებელს თქვეფდა, «მაგრამ მე ასე მეჩვენა რომ გულში განიცდის... იცი, ის... სინდისი აწუხებს, გრძნობს რომ შენს წინაშე დამნაშავეა...“

პასუხად აპაო-მ აქეთ-იქით გააქნია თავი და უპასუხა: „ასე გადაეცით, რომ არანაირი სინდისის ჩართვა არ არის საჭირო, აქ ბედისწერის ხელია.“

„მე ვაპირებდი კარგა მაგრა გამელანძლა, მაგრამ ბავშვების გამო თავი შევიკავე, მათ ეწყინებოდა...“

აპაო-მ შეაჩერა, „დედა, თქვენ ნუ ჩაერევი, თქვენ ბევრი რამ არ იცით...“ და იქვე ტუჩზე იკბინა, კინაღამ დასცდა სათქმელი, მაგრამ გადაწყვიტა რომ არასოდეს გაუმხელდა დედას მისი შვილის ამბავს.

„ისეთი რა არის, რაც მე არ უნდა ვიცოდე?“ შეედავა დედამთილი, სანებელიც და სამზადიც გვერდზე გადადო და მაგიდას მიუჯდა, «გისმენო», მაგრამ აპაო-ს აღარაფერი უთქვამს და არც ლი-ს აღარ დაუძალეობია.

დაგეგმილ წასვლას აპაო ყურადღებით მიუდგა. თუ წინაზე, ქმრის მოძებნის სურვილმა ბავშვები დედამთილის კისერზე მიაგდებინა, ეხლა მისი წასვლა ასეთივე მტკიცე იყო, ოღონდ იმიტომ რომ ლუნგ-ს არ შეხვედროდა. მამის მონახულება მხოლოდ საბაბი იყო: მას საკუთარი ოჯახი ჰყავდა, სამოცზე მეტის იყო, მაგრამ კვლავ მუშაობდა რომ ცოლი და თავი შეენახა. ქალიშვილი გათხოვილი ჰყავდა, ფეხზე იდგა. მამამისთან ჩამოუყალიბდა სატელეფონო კონტაქტი და დარწმუნდა, რომ ასე ჯობდა; თან ერთმანეთი ძალიან არ სჭირდებოდათ. მამა კი უყვარდა, მაგრამ იმასაც შეეჩვია, რომ ეს სიყვარული «დისტანციური» უნდა ყოფილიყო... ჯერ ისევ ჰონკონგში იყო, როდესაც საკუთარ თავს სიტყვა მისცა, რომ აღარასადაც არ ეცდებოდა ლუნგ-თან შეხვედრას.

ცაიხუნგ-ის ტავერნაში გამოცვალეს განათება, რამდენიმე სურათი ჩამოკიდეს კეთლებზე და იქაურობას და საერთო სტილს ეს უმაღლ დაეცყო.

ოფიციალტად აპაო-მ ამერიკელი გოგონა აიყვანა, მულატი. ბარბარა ამერიკაში ნამუშევარი იყო ბარ-

ში, იცოდა კოქტილების მომზადება და კლიენტურის მომსახურება. შანხაიში თავის ბოიფრენდის ძებნამ მოახვედრა, ვისთანაც განწყვეტილი ჰქონდა კავშირი და საცხოვრებელი ადგილი სჭირდებოდა. ჭუტი-ს სადღაც ბარში შეხვედროდა, საერთო ენა სწრაფად გამონახეს, როგორც სამშობლოსგან შორს მოხვედრილმა ამერიკელებმა. ბარბარას სამსახურიც გაუხარდა და საცხოვრებელი ადგილის შოვნაც; ხელფასი დიდი არ უთხოვია და აპაო-ს ეს ხელს აძლევდა. თავის დროზე, ცაიხუნგ-მა ეს ტავერნა რომ იყიდა, იმ ძველი საცხოვრებელი სახლის მეორე სართულიც შეისყიდა, და რაკი მისი შვილი უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, ავსტრალიაში გაემგზავრა, მის ოთახში ბარბარა შესახლდა.

აპაო-მ დაარწმუნა ცაიხუნგ-ი, ბარბარას აყვანის პრაქტიკულ მხარეში, ვინაიდან შეატყო იქაურებს, რომ ყველაფერ უცხოურს ქედს უხრიან, რაც «ზღვის გაღმა მხარიდან» არის მოსული, და ამიტომ ბარბარას გამოჩენას ტავერნაში თავისთავად უნდა მიეზიდა მეტი სტუმარი.

ცაიხუნგ-ი პრინციპში დაეთანხმა, ოღონდ ის აყოვნებდა რომ ბინას არ ჰქონდა სათანადო პირობები; აპაო-მ დაამშვიდა, «სულ ცოტა რამ საკმარისიაო», მაგრამ ეს «ცოტა რამ» ცაიხუნგ-ს მაინც ებევრა. შპალერი გახუნებული და ალაგ-ალაგ დახეული იყო და იმის ძებნა-შერჩევაში აპაო-მ სამი დღე დაკარგა, და სანამ დაქირავებული მუშები აკრავდნენ შპალერს, აპაო შესაბამისი ტონის და ფერის ფარდებს არჩევდა და საამისოდ ბევრი ადგილის მონახულება დასჭირდა, და ბოლოს დრო დასჭირდა კიდევ ოთახში ჩამოკიდებული ორი სურათის ჩარჩოების შერჩევას – ესენი ბოლოს ანტიკვარიატის საქონელში აღმოაჩინა; სიძვირით, ძალიან დიდი ფული არ დამჯდარა, მაგრამ დრო კი დიდი წაიღო ამ ყველაფერმა.

ეს „საუცხოვო“ რემონტი რომ დასრულდა, ცაიხუნგ-მა დაალო პირი და არ გაჩერებულა, «ეს რა შრომა გცოდნია, არ გამიგია, რომ კაცმა ამდენი ენერჯია შესწიროს ერთ საქმეს, თან ასეთი სიამოვნებით!» აპაო-მ უპასუხა, რომ მუშაობა საერთოდ უყვარდა, რადგან ენერჯიის დახარჯვა სიამოვნებას გვრის, შედეგი კი – ორმაგს. ცაიხუნგ-ს ადრეც ენახა მისი შრომის მანერა, მაგრამ გულში ფიქრობდა, რომ «აქ ასე არვინ მუშაობს, ჩვენებური გლეხი ქალების გარდა, – და კიდევ უცხოეთში ნაცხოვრები ხალხის გარდა.»

ბარბარას ძალიან მოეწონა ოთახი, «ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მანჭეტენზე ვარო» და მართლაც, გარშემო დულდა ხმაურიანი დიდი ქალაქის ცხოვრება, ოთახში კი მყუდროება სუფევდა. სხვაობა ის იყო, რომ იმ თანხით მანჭეტენზე სანოლის ფასს ვერ დაფარავდი...

აპაო მართალი გამოდგა – ბარში ბარბარას გამოჩენამ კიდევ უფრო მიიზიდა მომსვლელები.

აპაო-ს ოჯახი უფრო ახლოს იყო მის სამუშაო ადგილთან, ვიდრე ჭუტი-ს საცხოვრებელი. განახლებულ ტავერნას სახელიც შეუცვალეს და რესტორანი «ცაიხუნგ-ი» დაარქვეს, ანუ «ცისარტყელა». აპაო-ს მხოლოდ ის ეწყინა, რომ დაასრულა თუ არა ახალი ბუდის და სამსახურის მოწყობა, ჭუტი იძულებული გახდა სხვა ქალაქში გადასულიყო, რადგან შანხაიში მდებარე სათავო ოფისმა იქ გაამნესა, ჭუტი-ს კი არ უნდოდა იმ ადგილის დაკარგვა, სადაც სამჯერ მეტს უხდიდნენ, ვიდრე ამერიკაში. ასე გამოვიდა, რომ შანხაის ემხით იქ ჩასულმა, თან რომ მეგობარიც გადაიყვანა, ესლა იძულებული იყო სხვაგან გადაბარგებულიყო, და წუნუნებდა, «პირადი ცხოვრება დაკარგე!». კიდევ კარგი, რომ ალან-ს უკვე მანამდე დავშორდი. ასეც ხდება – სამსახურს შეინარჩუნებ, სამაგიეროდ სიყვარულს დაკარგავ!» – და სიცილით დაამატა, «თურმე ასეც შეიძლება რომ იცხოვრო – არც სექსი გქონდეს, არც სიყვარული, მაგრამ სამაგიეროდ, ცხოვრების შემსუბუქებელი საშუალება გეძლევა, თავისუფალი ცხოვრების, სულიერი თავისუფლების!»

აპაო-მ გაიფიქრა, «რა თქვა? 'შემსუბუქებელი, თავისუფალი'... ნეტავი, რას გულისხმობს?» სექსი კი რამდენი ხანი არა ჰქონია! მაგრამ ჭუტი-ს ხუმრობაზე ხმა არ გაუცია.

ცაიხუნგ-მა რომ დაურეკა, სწორედ იმ დღეს გადაწყვიტა შანხაიში გადასვლა და გაიფიქრა, «რა გაენყობა, მომიწევს ლუნგ-თან ერთ ქალაქში ცხოვრება.» თვითონ მაინც და მაინც არ მოსწონდა, რომ ხშირად ახსენდებოდა ნაქმარალი, ისეთი მრუმე ჩრდილი დასცემოდა მათ ურთიერთობას; მეორეს მხრივ, ლუნგ-ი უკვე მისი ცხოვრების ნაწილი იყო, და არა მხოლოდ ფიქრების თემა და ამას აღარაფერი ეშველებოდა.

«ყოველ შემთხვევაში, ბავშვებს მამა შორს არ ეყოლებათ», და ამ არგუმენტმა განსაკუთრებით დედამთილი გაახარა, აპაო-ს ესმოდა მისი, „დედაა, ბებია – ბუნებრივია“, ასე ამართლებდა შექმნილ ვითარებას. „ასე რომ გადაწყდა, მივდივართ, თუნდაც ბავშვების და დედამთილის გულისთვის“, ეცინებოდა ცხოვრების ასე შემობრუნებაზე.

ადრევე დაგეგმა შანხაიში ცხოვრების საშუალება: თუ გააქირავებდა ორ ბინას სინგაპურში, ეს თანხა ეყოფოდა შანხაიში ბინას, კვებას და ცხოვრებას, ფასებზე წარმოდგენა უკვე ჰქონდა, ჯერ კიდევ მამინ გაიგო, როდესაც ლუნგ-ის საძებრად იყო იქ ჩასული და გეგმავდა, თუ სინგაპურში არ გამომყვება, ბავშვებს აქ გადმოვიყვანო.

ამასობაში ცაიხუნგ-მაც დაურეკა, გული გაუკეთა, ნუ გაშინებს აქ ცხოვრება, აპაო-მ დაუჯერა, მთლიანად ენდობოდა, მას შემდეგ რაც ცაიხუნგ-მა რამდენიმე ათასი იუენ-ის გირაო შეიტანა. მის ზარს, ჭუტი-ს

ზარიც მოჰყვა, ისიც ამხნევებდა, როგორც სჩვევია დიდი ოპტიმიზმით: „რესტორნის გარდა, კიდევ სხვა შემოსავალიც გექნება, აქ დიდია მოთხოვნილება ინგლისურის მცოდნეებზე“.

როდესაც ყველა მოსამზადებელი საქმეები დაასრულა, პიტერი წარმოუდგა თვალნინ და გაახსენდა, რომ მისი რესტორანი სწორედ ცაიხუნგ-ის ტავერნის პირდაპირ იყო, და ცოტა არ იყოს, გულზე გაჰკრა, მაგრამ წარსულს და მომხდარს ეხლა ხომ ველარაფერი ეშველებოდა.

შანხაში გამგზავრება და გადაბარება მხოლოდ ხუთი თვის შემდეგ მოხერხდა, კარგა ხანი დასჭირდა ჯერ ბინის მოძებნას, მერე სკოლაში გადასაყვანი საქმეების მოგვარებას, სემსეტრის დასასრულს უნდა დალოდებოდა.

შუა მზადებაში იყო, როდესაც ცუდი ამბავი აცნობეს, პიტერი ინსულტით დაუნუნენიათ საავადმყოფოში.

შანხაში რომ ჩააღწია, პიტერის რესტორანი აღარ დახვდა, იქ მოდური ტანსაცმლის მაღაზია გაეხსნათ. „აღბათ, ამაზეა ნათქვამი, გეგმის აწყობა კაცის საქმეა, მათი ბედი კი ღმერთისა“.

ცაიხუნგ-ის იმედი გამართლდა, აპაო-ს კარგად მოუბრუნდა შანხაში ჩასვლა, ცხოვრების ხალისი გაუჩნდა, ენერჯის ახალი ტალღა იგრძნო, რაც გამოჩნდა მისი მიდგომის სტილში ყველაფრისადმი. აპაო-მ იმით დაინყო, რომ ტავერნას მიხედა და სამ დღეში სრულიად ახალი იერი შესძინა.

მან დაიქორავა რამდენიმე გლეხი, ქალაქში სამუშაოს საძებნად ჩამოსული და დაასუფთავებინა და დააბარვინა პატარა ბალი რესტორნის წინ, ღობის გაყოლებით მხვიარა ლიანები დაარგვევინა, დადგა დანწუ-ლი სკამები და მაგიდები და რამდენიმე ნაყიდი ჯუჯა ხეებით – ბონსაით, გაალამაზა და მორთო იქაურობა.

რესტორანი პატარა იყო, ხალხი კი მატულობდა და ამიტომ ინგლისურის მცოდნე სტუდენტი დაიქორავეს დაკვეთის დასარიგებლად, მაგრამ თუ ისინიც ვერ სწვდებოდნენ მოზღვავებულ კლიენტურას, აპაო მზად იყო შენაცვლებოდა ნებისმიერ მუშაკს. ასე რომ ცაიხუნგ-ის კისერზე რჩებოდა მხოლოდ თეთრსაყუ-ელოიანების, კლერკების მომსახურება სადილობისას, ოფისებში შესვენების დროს. საღამოობით კი მას ერჩივნა მჯდარიყო მეორე სართულზე და ექსოვა; გარდა ამისა, ბუნებით გონიერი ქალი იყო და ესმოდა რომ თავისი გარეგნობით და საერთო იერით არღვევდა რესტორანში შექმნილ ატმოსფეროს, სადაც იგრძნობოდა აშკარა პრეტენზია მოდაზე და თანამედროვეობაზე. კარგ ამინდში ის მეორე სართულზე, აივანზე გადაინ-აცვლებდა ხოლმე, ქსოვდა და გასცქეროდა კოხტა ბაღში მდგარ რამდენიმე მაგიდას, იქ მსხდომ სტუმრებს. ისე მოსწონდა ეს ხედი, რომ აღარც კი უნდოდა ადგილის დატოვება. ამ მომენტმა კიდევ უფრო განუმტკიცა მადლიერების გრძნობა აპაო-ს მიმართ.

ივნისში ჭუტი ჩამოვიდა, და რაკი არ გაქრობოდა ბარში ღამის გატარების სურვილი, იქ მოჰყავდა თავისი ნაცნობ-მეგობრები და სულ მალე ცაიხუნგ-საც დაუმეგობრდა.

მის საპატივსაცემოდ ცაიხუნგ-მა გადაწყვიტა გაემართა საგანგებო საღამო, და საამისოდ თავის დაბადების დღე შეარჩია, ოღონდ არავისთვის გაუმხელია. ასე რომ კვირა საღამოს სამნი უსხდნენ შანხაის წესით განყოფილ მაგიდას და მშვენიერ დროს ატარებდნენ, ოღონდ ცაიხუნგ-ისთვის არავის მოუტანია საჩუქარი, რადგან არ იცოდნენ შეკრების მიზეზი. სუფრაზე მშვენიერი შავი ღვინო ედგათ, რომლის სმას ჩინელები ნელ-ნელა ეჩვეოდნენ.

აპაო-ს დანარჩენებზე ადრე მოეკიდა ღვინო, მაგრამ სიტყვა არ დასცდენია ლუნგ-ზე, და მის მაგიერ, ჩაკ-ის ამბავი მოუყვა თავისიანებს, და იმით დაასრულა, რომ რამდენჯერმე ინგლისურად გაიმეორა, «იდიოტი ვარ, იდიოტი! როგორ შეიძლებოდა მისი მისამართის დაკარგვა! ნუთუ ველარასოდეს ვერ ვნახავ?!»

მეორე დღეს ჭუტი დარენში მიემგზავრებოდა, და წასვლის წინ ცაიხუნგ-ს რომ დაურეკა მადლობის სათქმელად წუხანდელი საღამოსთვის, უთხრა, «ეტყობა, ჩვენ სამს მაინც რალაცა გავკავშირებს. ძველი ჩინური წარმოდგენით, კავშირი ცაიხუნგ-ს უფრო საქორწინო ეგონა და გაცდა, მაგრამ ჭუტი-მ გონს მოიყვანა, „ეგ ჩვენ არ გვეხება, ლესბოსელები კი არა ვართ“. ცაიხუნგ-ს მოერიდა კიდევ, რომ ყვითელკანიანი „გადამთიელი“ უკეთ აგებინებდა კარმაზე ჩინური წარმოდგენის ნიუანსებს, მაგრამ ხომ მართლაც ასე იყო...

ამის მაგიერ, ჭუტი-ს შეეკითხა აპაო-ს წუხანდელი ნალაპარაკების არსზე, „ნუთუ კიდევ ის თავის ნაქმარალი ენატრებაო“, მაგრამ ჭუტი-მ დაამშვიდა, რომ აპაო მეგობარს გულისხმობდა, ვისი მისამართი ჩანთიანად დაეკარგა.

„მეგობარში რას გულისხმობ“ - იკითხა ცაიხუნგ-მა.

„სკოლას რომ ამთავრებდა, იმ ხანის ბოიფრენდია“.

„შენ-ენ? აქ როგორ გაჩნდი, საიდან“?! ძლივს ამოღერდა, საკუთარ თვალებს არ უჯერებდა და მისი ცისფერი თვალების თბილმა ნაცნობმა გამოხედვამ ცრემლები მოჰგვარა.

„როგორ, შემთხვევით? თუ“?

„პაო, როგორ გგონია, შეიძლება ამქვეყნად ამდენი რამ შემთხვევით ხდებოდეს“? სიცილით უპასუხა ჩაკ-მა. მისი მომღიმარე და იუმორით სავსე თვალები ყოველთვის მოსწონდა, და კვლავ ვერ ეჯერებოდა რომ მისი ყრმობის დროინდელი, აყლაყუდა და გაჩხინკული ყმანვილი ასეთ ბრგე და წარმოსადეგ ვაჟკაცად გადაიქცეოდა, და კვლავ გაუჩნდა ქვეცნობიერი სურვილი, რომ ისევე, ძველებურად მინდობოდა მას.

„ესე იგი, აქ სპეციალურად მოხვედი ჩემს საპოვნელად“?

ჩაკ-ი პასუხად მხოლოდ უცინოდა.

ამ ლაპარაკში მაგიდასთან მიიყვანა და გამოუცხადა, „ეს სადელი ჩემზეა“!

„არავითარ შემთხვევაში“! იუარა ჩაკ-მა, „მე ხომ სწორედ იმისთვის მოვედი რომ შევაქო და რეკლამა გავუწიო ამ შენს სამსახურს“.

აპაო-მ აღარ დაუწყო დავა, რესტორნისათვის საგანგებოდ შექმნილი უნიფორმის ჯიბიდან ამოიღო კალამი და მენიუზე მიუთითა: „აქ დასავლური, ანუ ევროპული კერძების ჩამონათვალია. მართალი გითხრა, მთლად ევროპული ვერ არის, აქაურების ჩვევამ გადაწონა და სანელებლები უფრო მკვეთრად იგრძნობა, ვიდრე ამას ამერიკაში არიან ჩვეულები“.

„პაო, არაჩვეულებრივად გიხდება ეს რესტორნის ფორმაც და საერთოდ, ისე ლაღად გრძნობ თავს! ისე, რასაც მირჩევ, ყველაფერში გენდობი, ჩემო კარგო“!

„ჩემო კარგო“, იუმორით მიმართა, გაზვიადებული სიტყვოს გარეშე და აპაო-ს მოეწონა ეს ტონი, ისევე როგორც დაკაცებული და საკუთარ თავში დაჯერებული პიროვნება, როგორც ეხლა წარმოდგა ჩაკ-ი მის წინაშე.

„მზარეული დღეს გვირჩევს ბიფშტექსს შავი პილპილით, საკაზმად მუხუდო და კარტოფილი აქვს! ბრინჯი – რესტორნის უფასო დანამატია. პირველ კერძად ხამანკები გვაქვს შაშხით, ძალიან გემრიელია, გირჩევ, გვაქვს კიდევ „ოჯახური“, აქაური საფირმო სუპია ნალებით, არ გინდა გასინჯო? მისი რეკლამა გართავს კი გვაქვს გამოტანილი, აბრაზე“!

„ოოო, ძალიან მიმზიდველია ეს ყველაფერი...“ გააგრძელა ჩაკ-მა და ნერწყვი ისე ხმაურით გადაყლაპა, რომ აპაო გააცინა.

ამასობაში ნელნელა მატულობდა შემოსულების რიცხვი და აპაო გატრიალდა დანარჩენების მისახედად.

„არა, მაინც მითხარი, აქ როგორ მომაგნე“?

„აბა თუ გამოიცნობ“? – ეს თქვა თუ არა, აპაო-ს უცებ თვალწინ ჩუტი-ს სახე წარმოუდგა. ჩაკ-მა თავი დაუქნია: „ჰოო, მიხვდი – ჩუტი-მ მიპოვა Facebook-ზე“

აპაო-მ იგრძნო რომ ცოტაც და წამოიტირებდა.

ამაზე კაფეში საუბრობდნენ, და ჩაკ-ს რომ შეხვედროდა, ცაიხუნგ-ს დაეთხოვა და ძველი სატრფო კაფე „Sinbak-ში“ წაიყვანა, რომლის მსგავსი შანხაიში ბევრი იყო, იქ როგორც წესი, ტევა არ იყო და ყველა იქ მყოფს უჩნდებოდა ამერიკის ნოსტალგია.

სალამოს რვა საათი არ არის ყავის დასალევი დრო, ამიტომ აპაო-მ მოითხოვა თავისი საყვარელი „დიდი შოკოლადი“, რაშიც ძალიან უყვარდა ჭიქის პირზე მომდგარი ათქვეფილი ნალები. ჩაკ-მა გაუცინა.

„მასხოვს, ადრე ტკბილს საერთოდ არ ეკარებოდი“!

„შენ კი პირიქით, ჭკუას კარგავდი!“ – გაახსენდა აპაო-ს, როცა დაინახა ჩაკ-ი როგორ ისხამდა ფილაში მწვანე ჩაის და დაემანჭა, „მეცოდებო.“

„განა ეხლა არ მიყვარს, მაგრამ თავი თუ არ შევიკავე, გავსუქდები.“

„უი, მაპატიე! ეგ რომ მცოდნოდა, ამის ჭამას შენს წინ არ დავინწყებდი“!

„ეგ ნუ გაფიქრებს, ამდენი შეგნება კი მაქვს“. – ღიმილით დაამშვიდა ჩაკ-მა.

„ტკბილი, იცი როგორ მიყვარს? – აი, როგორც თვით სიცოცხლე, მაგრამ ამაზე მთავარია წონის დაგდება, გახდომა“.

„რალაც არ მასხოვს, რომ შენ ოდესმე ქონები გეკრას“!

„ჩვენ რომ შევხვდით, მაშინ სწორედ ახალი დამთავრებული მქონდა გახდომის ერთი კურსი. მე ხომ მაშინ ჩემი ადრინდელი სურათებიც გიჩვენე, სიმსუქნის პერიოდის – ნუთუ არ გახსოვს“?

„რალაც არ მასხენდება... უფრო იმიტომ რომ ჩემი ყურადღება მაშინ სხვაზე იყო მიმართული... უფრო პოეზიაზე. ტვინს ვიჭყლეტდი, ოღონდ კი მომეძებნა რაიმე განსაკუთრებული სიტყვა. აი, ეგ მასხოვს; ისიც, რომ ორი სქელი რვეული გავავსე ჩენი ნამოღვაწარით, ახლა რომ წაკითხვა მცხვენია, რალაც სენტიმენტალური აბდაუბდაა,“ სიცილით იხსენებდა ჩაკ-ი.

„ნეტავ, ის წერილები თუ ახსოვს, სადაც სიყვარულს მიხსნიდა? ნუთუ იმ ლირიკის წაკითხვა ეთაკილე-“

ბა? ცოტა არ იყოს, შეეშინდა ამ განვლილი ოცი წლის, რომლის განმავლობაში კაფანდარა ყმანვილი ღირსე-
ბით საესე ჯენტლმენად გადაიქცა.

„ისე, მართალი გითხრა, მეც უკვე იმ ასაკში ვარ, რომ დიეტას უნდა მივდიო, მაგრამ შენი ნახვა გამიხ-
არდა, და გახარებულზე ხომ გინდება რომ მარხვაც და დიეტაც დაარღვიო!“

სიცილში ჩაკ-იც აპყვა და კარგა ხანს იცინეს, მერე კი ჩაკმა თვალეებში შეხედა და სხვა ტონით
შეეკითხა:

„რას მეტყვი, პაო, როგორ ხარ? ყველაფერი რიგზეა?“

აპაო-მ იგრძნო როგორ აილანძა, მაგრამ ისტიბარი არ გაიტეხა და არაფერი დაიმჩნია: „არა მიშავს.
ექვსი თვეა რაც აქ გადმოსახლდი, უკვე გავერკვიე აქაურ ცხოვრებაში და კარგადა ვარ, შევეგუე.“ არ უნ-
დოდა, რომ პირველივე მათი შეხვედრა დაწყებულიყო მისი წუნუნით ოჯახურ რუტინაზე, და მით უმეტეს არ
უნდოდა თავისი ნაქმარალის თემის განხილვა.

„ხედავ, რომ შეიცვალე და რალაცნაირად, უცნაურად მხვდება თვალში ეს ცვლილება.“

„კი მაგრამ, რა გიკვირს, ჩაკ?! ოცი წელი გავიდა მას მერე, გესმის, ოცი წელი! ამდენ ხანს თუ რამე არ
შეიცვალა, აღარ ვიცი, სხვა რა ვთქვა?! უცვლელი მხოლოდ ეშმაკეულია!“ – თქვა და ნაძალადევად გაიცინა.

„არა, მე ჩვენ წინანდელ შეხვედრას ვგულისხმობ, იმას ვადრი შენს დღევანდელ იერს; ცხადია, ორმოც
და სამოც წელს არა ვგულისხმობ!.. მაგრამ ფაქტია, რომ გამჩნევ ცვლილებას; იქნებ, გახდი...“

„მაშ, გამხდარი გეჩვენები? გმადლობ, სწორედ ასეთი კომპლიმენტის მოსმენა მახარებს.“ აპაო-მ შუბ-
ლიდან მოიშორა ჩამოშლილი თმა, მისი ახალი თმისვარცხნილობი შედევი, რითაც ასე ამაყობდა მისი
სტილისტი, ერთ-ერთი საუკეთესო მთელს შანხაიში. თმა სამხრეთამერიკულ ყაიდაზე, წითელ ხის ფერად
ჰქონდა შეღებილი, ვერცხლის საყურეები შესაბამისად ჰქონდა შერჩეული, სიფრიფანა სელის ქსოვილის
ზედა კოფტა მკვრივ სხეულზე მორგებულ თეთრ მაისურაზე ჩაეცვა, და უხდებოდა ვინრო, მუხლებამდე
შარვალი, რომელსაც ველოშარვალს უწოდებდნენ, ფეხზე კი მაღალყელიანი სანდლები ეცვა, თითქმის მუხ-
ლამდე, ოღონდ თითები ღია ჰქონდა..

თავის ძველ ჩაცმულობასთან შედარებით, ჩაკთან რომ ჰქონდა გაბმული მეგობრობა, მაშინდელი სპორ-
ტული მაისურები, კედები – თითქოს ორი სხვადასხვა თაობის ქალი ყოფილიყოს...

ეხლანდელი მისი გარეგნობა და ჩაცმულობა რესტორანმა განაპირობა, ცდილობდა შეენარჩუნებინა და
მიესადაგებინა საკუთარი გარეგნობა იქაური ინტერიერისთვის, არ დაერღვია ჰარმონია; ბოლოს და ბოლოს,
ქალს თუ არა აქვს ეს თვისება, ბევრის იმედი არ უნდა ჰქონდეს... ცაიხუნგ-ისთვის ეს მომენტი მიუწვდომ-
ელი იყო...

„კი მაგრამ, შენ? შენ როგორ ხარ, ვერა და ვერ შეგეკითხე! შენი ოჯახიც აქ არის?“

„ოოო, მე, რომ იცოდე, ისევ მარტო ვარ, კენტად დავიარები! ისე, კი მყავს მეგობარი გოგონა, აქაური
გოგოა, შანხაელი.“

შეკითხვა აპაო-მ კეკლუცი სიმსუბუქით დაუსვა, მაგრამ პასუხმა ცოტა არ იყოს, დაამძიმა.

„იცი, პაო, მე ეტყობა საერთოდ მიზიდავენ აზიატი ქალები.“

„ასე თუ შევხედავთ, იქნებ ესეც რალაც მოდაა. მეც შევამჩნიე, რომ რამდენი ევროპელი ან თეთრკანი-
ანი კაცი გამოჩნდა შანხაიში, მაშინვე მენწყილედ აქაური გოგოები აპყავთ. ო, ჩაკ, რატომ არ სწავლობ
ჩინურს, იცი, სიყვარულის ახსნა როგორ გაგიადვილებს ენის სწავლას!“

„შენ ხომ იცი, რომ შენ იყავი ჩემი პირველი მეგობარი გოგონა! მართალია, ჩვენ მხოლოდ ხელი-ხელ-
ჩაკიდებული დავდიოდით, მაგრამ ამან ჩამოაყალიბა ჩემი ხედვა და გემოვნება.“

აპაო-ს ცოტა შერცხვა და ეცადა იქვე, რბილად შეეცვალა საუბრის თემა, და სიტყვა ეხლა ჭუტი-ზე
ჩამოაგდო.

„მართლაც, ძალიან გულისხმიერია: ერთხელ დამცდა მასთან რომ შენი კოორდინატები დავკარგე, და
ვერ მოისვენა, სანამ არ დამეხმარა.“

„ჰო, ვიცი, ფეისბუქზე დაწერა რამდენიმე თბილი სრიქონი...“

„რას მეუბნები, მართლა?“ – აპაო-მ ტონი ცოტა ქარაფშუტულზე და ოდნავ განრიდებულზე შეცვალა,
ჩაკ-მა მაშინვე უხერხულად იგრძნო თავი და ცოტა ხნის შემდეგ გამოაცხადა: „იცი, ჭუტი-ს ნაირი მეგობარი
რომ გყავს, ეს მართლაც ბედნიერებაა,“ – და მერე ფრთხილად შეაპარა: „შენი შვილების მამა, ისიც აქაა,
შანხაიში?“

აპაო-მ თავი დააქნია, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ჭუტი-ს უკვე ესეც ჰქონდა მისთვის ნათქვამი. ჩაკმა კი
განაგრძო: „შენ უკვე სამი ბავშვი გყავს?“

„კი, ის თავიდანვე აქ იყო, სინგაპურის კომპანიას წარმოადგენდა... შენ ჯობია, ის მითხარი, თან
როტომ არ წამოიყვანე ის შენი მეგობარი გოგო?“

„ის ეხლა იაპონიაშია წასული.“

„რა, ისიც რალაც საერთაშორისო კომპანიაში მუშაობს?“

„ჰო, ისიც, და მეც. იცი, სტატუსით ის ჩემზე მაღლა დგას; ინგლისური, იაპონური – ეს ენები მაღალ
დონეზე იცის. საერთოდ, დავრწმუნდი, რომ აქაური ქალები ძალიან მაგრები არიან ყველაფერში, თანაც

ძალიან ლამაზები!

აპოო სულ თავს უკრავდა, თუმცა გულში მალავდა ექვიანობის გრძნობას. ის დრო გაახსენდა, როდესაც აქ ჩამოვიდა ლუნგ-ის საძებნად და ამდენი ლამაზი ქალის დანახვაზე, უფრო განიცადა საკუთარი გაერეგნობის წამგებინაობა – ხმამაღლა კი ასეთი სარკასტული შენიშვნა ესროლა:

„ქალი კი არა, ცოცხალი იდეალი გყოლია!“

ჩაკ-მა თავი გააქნია, მაგრამ სათქმელი ვერ მონახა.

აპოო-მ თვალეში ჩახედა, მაგრამ ნაცვლად იმისა, რის თქმასაც აპირებდა, უცებ წამოიძახა სულ სხვა რაღაცა: „გინდა, დავლიოთ? დიდი ამბავი, დღეს ცოტა გვიან დაიძინებ!“

თვითონ გაუჩნდა საბაბი რომ დაეღია, „ჩაკ-მა რომც არ მოინდომის, მე მარტო დავლევ“!

მაგრამ ჩაკ-მა ასე უპასუხა: „იცი, აქ ერთი ბარი ვიცი, იქ წაგიყვან – Park 97 – თუ გსმენია ოდესმე, ა?“

ბარის დახლთან მიმჯდარმა, აპოო-მ ჯერ ღვინო გასინჯა, მერე ვისკიზე გადაერთო და ერთ ულუფას მეორე მიაყოლა. ჩაკ-ს გაუკვირდა მისი აღებული ტემპი, „ამათი ძველი კლიენტით იქცევიო“. – ამაზე აპოო-მ მცირე ყოყმანის შემდეგ გაანდო: „შანხაიში პირველად ჩამოვედი თუ არა, პირდაპირ აქ ამოვყავი თავი... და იმის მერე აღარც ვყოფილვარ“.

მესამე რომ გამოცალა და მეოთხე მოითხოვა, ჩაკ-მა ველარ მოითმინა, „შენ რა, აკვნიდან ხომ არ გასწავლეს სმა?! და არა თვრები!“

„მეოთხე კურსზე რომ ვიყავი, იცი რამდენჯერ დავმთრალვარ?“

„რა გჭირდა, გადაირიე?“

„რა მჭირდა და მონყენილობა! მაშინ ყველაფერი მობეზრებული მქონდა!“ – თავის სატკივარს ისე სწრაფად და ადვილად უზიარებდა რომ ჩაკ-ი შეწუხდა.

„ისე ვგრძნობდი, რომ ადრე გათხოვდებოდი“.

„ბოლო კურსზე მყავდა ერთი მეგობარი. უნივერსიტეტი დავამთავრე თუ არა, მაშინვე გავთხოვდი, აღარ მინდოდა მარტოობა, თან მინდოდა ოჯახი მყოლოდა“.

„ხომ აგისრულდა, სამი შვილი გყავს! იცი, მართლა მშურს შენი!“

რაკი პასუხად ის არ ესმოდა, რისი მოსმენა და გაგება სურდა, ამიტომ თავის ფიქრებს მიეცა და ისევ სვამდა; ამიტომ ჩაკ-მა რბილად უსაყვედურა: „ასე ნუ მიეძალე, მალე მოგეკიდება და საუბარი არ გამოგვივა!“

„მართალი ხარ, მეც მინდა გელაპარაკო.“ – ისეთი ღიმილით უპასუხა, რომ ჩაკ-ს ისევ ძველი ბავშვური აპოო გაახსენდა.

„მითხარი, პაო, შენი ამბები, როგორ ცხოვრობ...“

აპოო-მ გაიცინა – „შენს ცხოვრებასთან შედარებით, მოსაწყენია: სარეცხი, ბავშვები, ყოველ დღე ერთი და იგივე, საშინაო დავალებასავითა...“

„კი მაგრამ ეხლა იმათ ვინ უვლის?“

„დედამთილი, და კიდევ ძიძა. აქ ძიძის დაქირავება ძვირი არ არის, და ძალიან გვეხმარება... ჩაკ, შენ ხომ არ აპირებ ცოლის მოყვანას?“ – თემის გამოცვლა საკმაოდ ტლანქად გამოუვიდა.

„როგორ გითხრა?... იცი, ამ ეტაპზე ეს არ შედის ჩემს გეგმებში.“ – ამ სიტყვებზე აპოო-ს გაახსენდა მისი ძველი მანერა, ყველაფრის დაგეგმვა წინდანინ უყვარდა და ამის გამო ხშირად დასცინოდა კიდევ – „არა, ცვლილება მხოლოდ გარეგნულია, დაკაცდა, თორემ ისე – ისევ ის ბიჭია რაც იყო...“

და ამ დროს შემოესმა მისი ხმა, თითქოს შორიდან მოღწეული: „პაო... იმ დღეს შენ სად მიგეჩქარებოდა? მერე მგონი რაღაც დაგეკარგა, არა?... რა დაკარგე?“

აპოო ცალი ხელით ჭიქას ათამაშებდა, მეორეს კი ნიკაპი დააყრდნო და იხსენებდა: „მართალი ხარ, მაშინ ჩანთა დავკარგე და იმაში მედო შენი მოცემული ბარათი და ტელეფონის ნომერი.“

„ააა, ჩანთაზე და საბუთებზე უფრო მნიშვნელოვანი რა უნდა იყოს?“ – და ისე გადახედა, თითქოს უნდოდა რაღაცის გაგება: „მაშინ ძალიან შევწუხდი, ვგრძნობდი, რომ გულდამძიმებული იყავი...“

აპოო ყოველ სიტუაზე თავს უკრავდა, ჩაკ-ს თვალეში ცრემლი მოადგა, აპოო-ს ყელი გაუშრა და ძლივს წარმოსთქვა: „იმ დღეს ისეთი ჭყლეტვა იყო ტრანსპორტში!“ – და მერე მოუყვა მისი ვიზიტის ამბავი პიტერთან. რომ დაასრულა, ჩაკ-მა ისევ ჰკითხა, „მერე?...“

აპოო-მ კი მოკლედ მოუჭრა: „მერე? მერე ყველაფერმა ჩაიარა, გათავდა.“ თქვა და გააჟრჟოლა.

„რა გათავდა, და რამ ჩაიარა? პიტერთან აღარ მიხვედი?“ – და რაკი აპოო ხმას არ იღებდა, თვითონ განაგრძო: „თუ მაინც მიაღექი დახმარებისთვის, მაგრამ იმან ვერ გიპოვა ვერც ჩანთა და ვერც საბუთები?“

„როგორ უნდა ეპოვა? მითხრა კიდევ, რომ შეუძლებელია, მაგრამ არ მეჯერებოდა. ზუსტად ისე მემართება, დედაჩემი რომ ამბობდა: „'იმათი ჯიშისა ხარ, ვინც სანამ მიზანს არ მიაღწევს, უკან არ შემობრუნდება“.“

„კარგი, ნავიდეთ ეხლა, პაო, მე მიგაცილებ“.

„მართლა? გამაცილებ?“ – მის ბავშვურმა ღიმილმა ჩაკ-ს ისევ გაუმწარა გული.

25

ერთხელ, სადილზე, ახალაყვანილ მომტანს წვნიანი ჭიქა გაუწარდა ხელიდან. აპაო-მ ის კლიენტთან გააგზავნა, „იმას მიხედო“, თვითონ კი შეუდგა მინის ნამსხვრევების მოკრეფვას, თან იატაკზე დაღვრილ წვენს წმენდდა, და როდესაც ჩაკუნტული ტილოთი ასუფთავებდა იატაკს თავს ზემოთ მოესმა ნაცნობი ხმა, რომელშიც გაცემა და განცდა იგრძნობოდა: „აპაო-!“ – თავი ასწია და ლუნგ-ი დახვდა ზემოდან მომზირალი.

რესტორნისთვის საგანგებოდ გამოწვეპილი, დაიხარა, რომ დახმარებოდა ფეხზე ადგომაში, მაგრამ აპაო-მ ხელი მსუბუქად აუკრა და თვითონ გასწორდა ნელში, თუმც მანინც შექანდა, შეტორტმანდა და ლუნგ-ის დახმარება მანინც დასჭირდა; ამან გააღიზიანა, ორივე ხელი ზევით ასწია, დისტანციის დაცვის მანიშნებლად. ლუნგ-მა იატაკის სანმენდ ჯოხს და ტილოს შეხედა და გაცეხულმა ამოღერლა: „აქ, შანხაიში – ამისთვის ჩამოხვედი?..“

აპაო-მ კი უცებ მიახალა: „რამდენი ხართ? სამინი? ისადილებთ?“ – თითქოს არ გაეგოს მისი შეკითხვა.

ლუნგ-მა ყური მოიყრუვა, მაგრამ ეხლა მათ ბარბარა მიუხლოვდა და ცარიელ მაგიდაზე მიუთითა. ლუნგ-ის კომპანია ინტერესით ათვალისწინებდა იქაურობას, აპაო-მ კი დაავლო ხელი იატაკის სანმენდ ჯოხს და ტილოს, და მოიბოდიშა, „მაპატიე, საქმეს უნდა მივხედო!“ და გაშორდა; მერე ტილო ჩააგდო ჭუჭყიანი ჩვრებისთვის გამოყოფილ პატარა აუზში და გაბრაზებულმა გახსნა ონკანა, საიდანაც თქეშით წამოვიდა წყალი – „ხუა... ხუა...“ – და ამ დროს შემოესმა ცაიხუნგ-ის ხმა: „აპაო, რა გჭირს, რა გემართება?!“ – აპაო-ს სახეზე ცარცის ფერი ედო.

„რა მოხდა, რა, ცუდი ფერი მადევს?“ – აპაო-მ განზრახ აუღელევებელი ტონით გამოედავა.

ცაიხუნგ-მა უკან დაიხია: „არ ვიცი, იქნებ ნეონის განათების ბრალია? უცებ რომ შეგხედე, მომეჩვენა რომ...“

აპაო-მ განაგრძო დალაგება, თან გადაიკისკისა: „ხედავ, უკვე ისტერიკაც დამენყო!“

ცაიხუნგ-მა არჩია თემა შეეცვალა: „აპაო, ნუთუ ვერაფერს მამჩნევ? ა? თმას ვერაფერს ატყობ?!“ – და ეხლალა მიაქცია აპაო-მ ყურადღება მის მოდურ „რეტრო“ ვარცხნილობას და ცხვირზე მორგებულ სათვალეს.

„ეს შენმა ‘სტილისტმა-დალაქმა’ მირჩია, ,,ასე მოგიხდებაო“, და მანვე მირჩია, ეს სათვალე მეტარებინა!“ – თან ამაყად დაამატა: „იცი, რა ღირს?! უცხოურია! ორი ათასი იუენ-ი დამიჯდა!“

აპაო-ს გაოგნებულ სახეს რომ შეხედა, ცოტა დაცხრა, სათვალე მოიხსნა და მას გაუნოდა: „აბა, შენც მოირგე. ვნახო, შენ თუ გიხდება!“

სათვალეში ჩვეულებრივი მინები აღმოჩნდა ჩასმული. ცაიხუნგ-მა აპაო-ც შეაქო, „ძალიან გიხდება, შენც უნდა გაყიდინოო!“

აპაო-მ გაიცინა და დაეთანხმა, რომ სტილისტს მართლა კარგი გემოვნება ჰქონია – და გაახსენდა ჭუჭი-სგან ადრე გაგონილი ფრაზა: „თუ გადაწყვიტე ცხოვრება ახლიდან ააწყო, ჯერ თმის ვარცხნილობა უნდა შეცვალო“.

და მართლაც, სწორედ გასულ ზაფხულს შეიცვალა ვარცხნილობა და მოდური „იხვის ბოლო“ არჩია, და მაშინ იყო რომ იქვე, ყურის ძირში, ახალდაქირავებულ ბინის გვერდით, ახალგახსნილი სავარჯიშო დარბაზი აღმოაჩინა, ტრენაჟორებით და სხვადასხვა სავარჯიშო დანადგარებით. ასე რომ მართლაც, საკმარისი იყო რომ ჭუჭი-ს ის სტილისტთან მიეყვანა, მერე დანარჩენი უცებ აეწყო და ცხოვრება მართლაც, თითქოს შეიცვალა. სამთვიანი კურსის შემდეგ ათ კილომდე მოიკლო. ცურვამ, იოგამ და სიმძიმეების აწევამ კვლავ გაუღვიძეს გახდომის ძველი, მივიწყებული სურვილი.

მაგრამ ამ ვითარების ირონია იმაში იყო, რომ მისი ოცნების წყარო, ვინც მაშინ გაუღვიძა და უკარნახა ასეთი სწრაფვა სილამაზისკენ და ჰარმონიისკენ, ეხლა მისი დარდის და ნუხილის წყაროდ გადაქცა.

„გამაგებინე, აპაო, რაშია საქმე? რა განუხებს?“ – ცაიხუნგ-ს არ დაკლებია აპაო-ზე ზრუნვის სურვილი, და აპაო-ც კვლავ ერთგული რჩებოდა თავისი პოლიტიკის – არ ეჩვენებინა სხვისთვის თავისი სადარდებელი, და ამიტომ სიტყვა ისევ მეგობრის თმაზე გადაიტანა:

„არაფერი, რა უნდა მანუხებდეს?.. სტილი კი არა, ,,უსტილესია“!, მაგრამ იმ სიგრძე თმა რომ მოიჭერი, how სად!“

„აა“??

„რა და... ჩინური სიტყვა არ მახსენდება... როგორ გითხრა, არ ვიცი? არ გენანება?“

„მოიცა, რას მეუბნები? თმაზე მეუბნები, თმა რას მატყენს?“

„არა, მე აი ამ ადგილზე გეუბნები, აქ, აქ მტკივა,“ და ხელი გულზე მიიღო, „ჰო, ცოტათი მანინც... კი...“

„არა, არაფერია სანანებელი!“ აპაო-ს გაახსენდა პირველი შთაბეჭდილება“ ცაიხუნგ-ს მაშინ ყორანი-

ვით თმა ლამის კოჭებზე სცემდა, და ნახშირით შავი თვალები აკვირდებოდნენ... აპაო-ს თავისი გრძელი თმა გაახსენდა, და დაენანა, რომ ადრე მოიჭრა ნანნაგები – ლუნგ-ი კი სულ იმას სთხოვდა, „არ მოიჭრა, დაიტოვეო...“

ცაიხუნგი კი თავის მიზეზს უხსნიდა: „სიცხეში შეუძლებელი იყო თმის ატანა, „თითქოს თავზე შალის თბილი პლედი გედოს, ხოლო წვიმის სეზონი რომ დგება, მაშინ თმა ნებოვანი ხდება, ნოტიო... არა, ესე მირჩევნია, უკვე მსუბუქადა ვარ, თან ერთი სანვალელებიც მოვიშორე ამ დილაადრიან.“ – მერე კი დაამატა: „შენ ხომ არა გწყინს, რომ მე თმა შევიჭერი?“

„დიხაც რომ მწყინს!. იცი, ეხლა შენ ვერაფერი და ვერავინ ვერ დაგენევა, ისეთი მაგარი ჩანხარ.“ – ორივეს აუტყდა სიცილი.

„რა იყო, მე ხომ ვცდილობ რამენაირად მაინც შევეფერებოდე აქაურობას!“ – და ცაიხუნგ-მა სამასხ-არაოდ, პანია ბავშვივით დაიმანჭა, მერე კი ტონი სერიოზულზე შეცვალა და დაამატა: „გინდა, გულწრფელად გითხრა? იცი, ისე მაშინებს ერთი რამ – ვაი, და ერთ მშვენიერ დღეს შენ დაკრავ ფეხს და ნახვალ! მაშინ რას ვიზამ?! ამისი მეშინია! მეშინია, რომ არ ჩამოვრჩე ყველაფერს, აქაურობას... ისევ იმ ძველ ტავერნად ხომ არ გადავაქცევ ასე გალამაზებულ აქაურობას, ტეცია-გლეხის შტამპი რომ ედო“?!

„კი მაგრამ, საიდან აიღე, რომ მე უცებ ასე, დავეკრავ ფეხს და გავქრები, ა“? – თან მხრები აჩეჩა, და ცაიხუნგ-ის სახეს რომ შეხედა, სიცილი ვერ შეიკავა და ქალიც იმ წამსვე აჰყვა, თან მოახერხა სიცილში მაინც ეთქვა: „აბა რა ვიცი, რატომ? ვიცი, რომ მაფიქრებს ეს ამბავი!.. ალბათ იმიტომ, რომ გატყობ – შენ მაინც სულ სხვა დონესთვის ხარ გაჩენილი!“

აპაო ისევ დაბრუნდა დარბაზში, იქ არც ლუნგ-ი არ დახვდა, და აღარც მისი მეგობრები. ბარბარასათვის არაფერი უკითხავს, მაგრამ მან თვითონ ჩააბარა ანგარიში: „რატომღაც გადაიფიქრეს დაჯდომა და გავიდნენო“.

აპაო-მ ტანსაცმელი გამოიცვალა და სანამ სახლის გზას დაადგებოდა, გაიფიქრა, „დღეს მაინც რაღაც განსაკუთრებული დღე გამითენდაო!“ თავი განთავისუფლებულად იგრძნო, მაგრამ საქმე ის კი არ იყო, რომ ლუნგ-ს აჯობა და „მოუგო“ შეხვედრა, არამედ ის რომ საკუთარ თავზე გაიმარჯვა! ამიტომ სულ არ უნდოდა შინ წასვლა, მაგრამ არც ის იცოდა, სხვაგან სად წასულიყო.

სარკეში თავის ანარეკლს მიაჩერდა, მერე მსუბუქ make up-ს დასჯერდა, მქრქალი ფერის პომადა, თითქმის შეუმჩნეველი მსუბუქი „ჩრდილის“ თითქმის ჰაეროვანი კონტაქტი ქუთოთოებთან – და ეს საკმარისი იყო, რომ შეეგრძნო განახლების ილუზია. უყვარდა ეს მომენტი, როდესაც ქალი ახერხებს ილუზიის საშუალებით თავი დაჯერებულად იგრძნოს!

ბარბარამ თავით ფეხებამდე შეათვალა თვალით, და რომ შეატყო, „ყოყმანობსო“, ჩაუკრა თავის მულატის ლამაზი თვალი და გაამხნევა: „რატომ დგეხარ, წადი!“

„სად“? – გაიოცა აპაო-მ.

„წადი, გაერთე!“ – თან ხელი დაუქნია ბარბარამ: „ბაი ბაი!“

კიდევ ერთხელ შეათვალა თავი გასახდელში დაყენებულ დიდ, იატაკამდე, სარკეში, დონნა კარანის სელის შარვალი ეცვა, მუხლამდე, პასტელის ფერის, და „banana-ს“ სტილის თეთრი მოკლესახელოიანი მაისური. ეს ტანსაცმელი საკუთარ თავს ახსენებდა, ამერიკაში ყოფნის ხანას, ოღონდ შარვალი ეხლა უკვე შეცვლილი ტიპის ეცვა, არც გრძელი და არც მოკლე...

კოსმეტიკის სუნით გაჟღენთილ შანხაიში მისი ტანსაცმელი არც მთლად ქალური იყო, არც აშკარად მამაკაცის, და სწორედ ასეთი ტიპის ჩაცმულობა პასუხობდა ახალი ტიპის, დამოუკიდებელი ქალის სტერეოტიპს.

ჯერ კიდევ დედისგან ახსოვდა, რომ შანხაიში არსებობს ქუჩაში ხეტიალის ტრადიცია, თან ამ სიტყვაში აქსოვდა რაღაც სიმსუბუქეს და სიხალისეს. აპაო-ს მოსწონდა ეს მანერა, ღამით რამდენჯერმე უკვე გაისეირნა გადაჭედელ ნანწინ როუდზე, ხალხი მისაქსელივით აქეთ-იქით მოძრაობდა და თავთავიანთი პირადი თემებით ხატავენ მშვენიერ სერთო სახეს განცდის და ცხოვრების. ასეთ მომენტში არც კი გინდება შეიარო რომელიმე ბარში, ქუჩის გასწვრივ კი მათი რიგი საერთოდ არ წყდება... მათი ღია კარებიდან მოისმის მუსიკის ხმა, ოღონდ შანხაიში მუსიკა მუდამ წყნარია, და ხალხის ლაპარაკს და სასიყვარულო ჩურჩულს... ისე ერწყმის, რომ იქმნება საერთო „საამო მოჩურჩულე“ ფონი... გარეთ წვიმდა. იქაურები ამ წვიმას „ველურ ქლიავის, მეი-ს“, ანუ ტყემლის წვიმას უწოდებდნენ, ვინაიდან ის ემთხვეოდა მეი-ს აყვავებას. ამ დროს შანხაის ქუჩებს უჩნდებათ განსაკუთრებული ხიბლი, ნისლში ბუნდოვნად მოსჩანს ცათამბჯენების კონტურები, ქუჩაში ირევა ბენზინის, ხალხისა და ნესტის სუნი, რომელსაც დრო და დრო გასჭოლავს მონაქროლი სურნელი სუნამოსი ან პუდრის. უცხო კაცისთვის ასეთი ამინდი ძნელად ასატანია, მაგრამ სინგაპურის ნესტის და სიცხის ათწლიანი გამოცდილების შემდეგ აპაო-ს არაფერი არ ანუხებდა.

ცაიხუნგ-ს ადრე გაფრთხილებული ჰყავდა, „ქოლგა აუცილებლად ატარეო“ მაგრამ აპაო-მ არაფრად ჩააგდო მისი ნათქვამი, ეხლა კი დაფიქრდა, არ უნდოდა რომ წვიმაში ევლო თავისი ქათქათა თეთრი მაისურით, და ინანა რომ დაეზარა ქოლგის ტარება.

ის იყო ქუჩის მეორე მხარეს აპირებდა გადასვლას რომ ვილაცამ დაუძახა:

„აპაო-!“

თავი მიაბრუნა და ასევე გაშეშდა – მის წინ ლუნგ-ი იდგა.

„გავიგე, რომ ამ დროს ათავებ სამუშაოს და აქ გელოდებოდი“ – მიუთითა იქვე სადარბაზოზე.

„აა, რამე საქმე გაქვს?“ - აპაო-მ იმ ტონით მიმართა, როგორც ელაპარაკებოდა ხოლმე კლიენტებს, ზრდილობიანად და დისტანციის დაცვით.

„არა, უბრალოდ მინდა დაგელაპარაკო, ერთი წელია არა გვექონია შემთხვევა, ერთმანეთს დაგელაპარაკებოდით.“

„რამე დაგვრჩა კიდევ გასარჩევი?“

თავის ტონს თავად შეატყო აგრესიულობა. მიბრუნდა და გზა განაგრძო, რომ მალე დაშორებოდა. წვიმამ იმატა და უცებ მის თავს ზემოთ ქოლგა გაიშალა – გვერდით ლუნგ-ი აღმოჩნდა და მხარში ამოუდგა. აპაო-მ გაიფიქრა, „რა წინდახედული ვინმეა, ნამდვილი შანხაელივით ქოლგის თადარიგიც დაუჭერია.“

მთელი გზა, სანამ ხუახაი-ს ქუჩას მიადგებოდნენ, აპაო თავანუელი წინ მიაბიჯებდა, ლუნგ-ი კი ცდილობდა არ ჩამორჩენოდა, ქოლგა სულ მის თავს ზემოთ ეჭირა და საამისოდ უწევდა ათასნაირი მანევრირება, რომ შემხვედრ ნაკადს უკან არ ჩამოეტოვებინა. კაფე „Simbak“-ს რომ გაუსწორდნენ, წვიმა თქეშად გადაიქცა და ლუნგ-მა მოახერხა შეგროვილი ხალხის ლობე გაერღვია და ნაცოლარი კაფეში შეეთრია. იმდენს ცდილობდა, აპაო არ დასველებულიყო, რომ აპაო-ს ოდნავ მოუღბა გული და წინააღმდეგობა აღარ გაუწევია, მით უმეტეს რომ ასეთ წარღვნაში გარეთ სიარული სისულელე იყო...

დახლთან, სალაროსთან – ყველგან ირეოდა ახალგაზრდობა. ლუნგ-მა განაგრძო მტკიცე და ტაქტიანი ცენტურიონის როლი, გზა და გზა ტაქტიანდ არკვევდა, ვის რა გეგმა ჰქონდა: წყნარად მდგარიყო, იმის ლოდინში, წვიმა როდის გადილებდა, თუ დამჯდარიყო და ყავა დაეკვეთა.

აპაო-მ ძალაუნებურად აღიარა, რომ ლუნგ-ს არ დაუკარგავს არც ტაქტი და არც ძველი უნარი თადარიგისა და მიზანდასახულობის. ისიც აღიარა, რომ ამ ქალაქში, სადაც უმეტესობა ცხოვრობს პრინციპით: „სტაცე ხელი, რას უყურებ, დაავლე და არ გაუშვა!“ – კაცისთვის ადვილი არ უნდა ყოფილიყო ადამიანური თვისებების შენარჩუნება, ლუნგ-მა კი შესძლო, იმის მიუხედავად რომ უკვე ათი წელიწადია აქ ცხოვრობს, „აქაური“ გახდა. ეს მით უფრო შთამბეჭდავი იყო, როდესაც ცხოვრების ასეთი წესის გავლენით, ევროპელებიც კი, ერთ-ორ წელიწადში კარგავენ ჩვეულ ტაქტს და ზრდილობას და შესამჩნევად უხემდებიან.

ლუნგ-მა ამასობაში რიგში ჩააყენა ყავის მსურველები, მალლა სართულზე აიყვანა აპაო და პატარა მაგიდასთან დასვა. აპაო-ს ძალაუნებურად გაახსენდა მათი შეხვედრები ამერიკაში, ოლონდ იმ კაფეს „Starbuck“ ერქვა და მიხვდა რომ ეს მისი ანალოგი იყო, რადგან „სინ“ ჩინურად „ვარსკვლავს, Star“-ს ნიშნავს. მაშინ მათ ასე დააკანონეს, რომ აპაო-ს ადგილი უნდა დაეკავებინა, ლუნგ-ს კი ყავა მოჰქონდა. ასეთი წვრილმანები მას კარგა ხანია არ გახსენებია, მაგრამ ეხლა, გახსენებაზე, გაიაზრა რომ მათი ერთად ყოფნის პერიოდი მხოლოდ ამერიკით იფარგლებოდა, რადგან მერე უკვე, სინგაპურში, სადაც კი არ უნდა აღმოჩენილიყვნენ, ყოველთვის მთელი ოჯახის გარემოში იყვნენ, და არასოდეს მხოლოდ ორნი, პირისპირ, სხვების გარეშე... და ეს რომ შეიგნო, დაენანა.

მიიხედ-მოიხედა. ამ კაფეში ადრეც შემოურბენია, მაგრამ მალლა სართულზე არასოდეს ყოფილა. ლუნგ-ს შეაგვიანდა, და როცა დაბრუნდა, თავი გაიმართლა, „ველოდი, სანამ შენთვის დაბალ კოფეინიან ყავას მოხარშავდნენო“. აპაო-მ უპასუხა, რომ დიდი ხანია აღარ სვამს ისეთ ყავას, მაგრამ ის რომ შაქარს ერიდება, არ უთქვამს, არ უნდოდა მისთვის გაეზიარებინა თავისი ახალი ჩვევა.

გვერდი-გვერდ მოუწიათ ჯდომა, პირისპირ ვერ დასხდებოდნენ, საამისო თავისუფალი ადგილი არ იყო. ისხდნენ და გარეთ, მინის კედლის მიღმა თავსხმას შესცქეროდნენ, რომელმაც ბოლო მოუღო სიცხეს და უჰაერობას...

საუბარი ვერ აენყო. მერე ნიავმა წამოუბერა და ცისარტყელას საოცრებამ მიიზიდა ყურადღება, ძვირფას ფერად თვლებად აკიაფებულმა კამარამ მალლა ცაში.

ადრე რომ ენახა, ამას „მანიშნებელ ნიშნად“ აღიქვამდა, მაგრამ ეხლა აკვირდებოდა ამ სურათს და გრძნობდა მხოლოდ სრულ სიმშვიდეს, არანაირ სხვა სენტიმენტალურ გრძნობას, და იფიქრა: „ამ ცისარტყელას შემდეგ ჰაერი უფრო ჩაიხუთება ხოლმე“ – და იქვე შეაფასა თავის ნაფიქრალი: „ჰოოო, პრაქტიკული გავმხდარვარ...“

და გაიფიქრა თუ არა, მაშინვე მოესმა ლუნგ-ის სიტყვები:

„იცო, აპაო, ვერც კი გცნობ, ისე შეიცვალე!“

ერთმანეთს ინგლისურად ელაპარაკებოდნენ. მართალია, სხვადასხვა ქვეყნებში დაიბადნენ, მაგრამ აღზრდა და განათლება ინგლისურად მიიღეს და ძალაუნებურად აღიარებდნენ, რომ ინგლისურია მათი მშობლიური ენა, „დედა ენა“.

„მართლა? დავებრდი“? - პასუხი გამართული ჩინურით გასცა; შანხაიში ჩამოსვლის შემდეგ მისი ჩინური დღითი დღე უკეთესდებოდა და იხვეწებოდა; მაგრამ ეს პასუხი შედეგი იყო მისი ქვეცნობიერი სურვილის, რომ არ შეეშვა ეს უცხო კაცი მათთვის საერთო ადრინდელ ძველ და ინტიმურ სამყაროში!

„არა, მე ასაკი არ მიგულისხმია!“

„კი, მე გაგონილი მაქვს, რომ განქორწინება რაღაც კვალს სტოვებს ქალებზე“.

„უფრო გალამაზდი“.

„ჰო, იმასაც ამბობენ, რომ ქალებს მეორე გაზაფხული ეწყებათ.“ – ეს არ უთქვამს არც დაცინვით, არც ხუმრობით, ისე, უგულოდ ლეჭავდა სიტყვებს.

„იცი, როცა გნახე, როგორ წმენდდი რესტორნის იატაკს, პირდაპირ შევძრწუნდი“!

„დიდი ამბავი! სკოლიდან მოყოლებული, სანამ უნივერსიტეტში შევიდოდი, ათამდე რესტორანში ვარ ნამუშევარი“!

„კი მაგრამ, ეხლა ხომ დედა ხარ... სამი შვილის დედა...“

„ეს უკვე ჩემი პირადი არჩევანია და არაა შენი საქმე!“ – მკვახედ მოუჭრა, მერე მკაცრად ჩახედა თვალებში და დაამატა: „ყველას აქვს უფლება, მასწავლოს, როგორ უნდა გავწიო დედობა, ყველას! – ოღონდ შენ არა!.. საამისოდ... შენ საამისოდ სტატუსი არა გაქვს!“

გრძნობდა, რომ სიტყვების პოვნა უჭირდა, მაგრამ ჯიუტად არ გადადიოდა ინგლისურზე, თითქოს უნდოდა არ დაეთმო ის ზღვარი განსჯის და გონიერების, რომელსაც ასე იცავდა.

ლუნგ-მა გახსნა პორტფელი და იქიდან ამოიღო ჩეკის გასაცემი ნიგნაკი, შემდეგ ჩეკი ამოხია და მაგიდაზე დაუდო.

„იცი, ამ ორი წლის განმავლობაში, ტაილანდში ვიყავი მეგობრებთან ერთად და რაღაც თანხა დამიგროვდა...“

„ჩეკი რად მინდა? ხომ გაქვს ჩემი საბანკო ანგარიში? საოჯახო ბიუჯეტს დედა განაგებს.“

ამ დროს ნიავმა წამოუბერა და ჩეკი კინალამ ააფრიალა, მაგრამ აპაო-მ მოასწრო და თითი დააჭირა. მერე ლუნგ-ისკენ გააცურა. ლუნგ-მა აიღო ჩეკი, ახედა ქალს და უთხრა: „დღეს გიყურებდი, როგორ მუშაობ, და იცი, საკუთარი დანაშაულის გრძნობა გამიჩნდა.“ აპაო-მ შეხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს, მხოლოდ გულში გაიფიქრა, „ჩინურად ამას ვერც გამოვხატავ, უხერხულიც კი არის“. – ამიტომ მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

„თუ ფულს იმიტომ მაძლევ, რომ ვშრომობ, მაშინ შეგიძლია საერთოდ არ მომცე!“ – მაინც უკბინა, მაგრამ ძალიან არა, ყოველ შემთხვევაში, მწარე სარკაზმი არ ყოფილა.

აპაო-ს ყურამდე ადრეც მოაღწია ამბავმა, რომ ლუნგ-ი ტაილანდში გადაბარგდა პარტნიორებიანად, მაგრამ ამის მიზეზი უფრო ის ეგონა, რომ ლუნგ-ი საკუთარ ოჯახს გაურბოდა და ემალებოდა. მაშინ მხოლოდ ერთი რამ აფიქრებდა: „თუ ნახვის სურვილი არა აქვს, რაღა საჭიროა ასეთი დახუჭობანასა თამაში?.. ან ვის ემალება, რას ემალება? დედმისს? ბავშვებს? ნუთუ არც მათი ნახვა არა სურს?“ ასეთი რამ ადრე ლუნგ-ს არ ახასიათებდა, მაგრამ ეხლა ამ ფიქრებს აზრი დაეკარგა და ამიტომ არც აპირებდა ისევ ამის ანალიზს.

ბიჭი უკვე დანყებით სკოლაში სწავლობდა, გოგონა სამი წლის გახდა და საბავშვო ბაღში დაჰყავდათ, და ვინაიდან მშრომელი ხელის დაქირავება შანხაიში ძვირი არა ჯდება, ხოლო აპაო-ს არ უნდოდა დედამთილი გადალლილიყო, ძიძა დაიქირავა, რომელმაც შეუმსუბუქა შრომა.

„შენ ვერ გაიგებ, რომ ეხლა, ამ მდგომარეობაში, ყველაზე უფრო სასიამოვნო სწორედ მუშაობაა!“ – სიტყვები საყვედურით ჟღერდნენ. ლუნგ-ი ქუჩას გასცქეროდა და ისე უპასუხა: „ვიცი, აპაო, რომ ცუდ დღეში ჩაგაგდე, შენც, ბავშვებიც.“ – და დაფიქრებული თავს აქნევდა.

„კარგი ერთი, არც ისე რთულადაა საქმე!.. ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა? დიდი ამბავი, „განქორწინება“!.. რამდენი წყვილი იყრება ყოველ დღე, იცი“?! აპაო-მ სიცხელიც კი სცადა.

ლუნი მოუბრუნდა და დააკვირდა, მაგრამ აპაო-მ პირი აქცია, უფრო სწორედ, თვალებით 'შეაქცია ზურგი'...“ გრძნობდა, რომ მათი პაემანი დასასრულს უახლოვდებოდა, უცებ გაბედა და მიახალა სპონტანურად გაჩენილი შეკითხვა:

„სკოლის ბოლო წლებში, შენ რომ უცებ აღმოსავლეთ შტატში გაიქეცი, ამბოდნენ, გრძნობა იყო ამის მიზეზი; ის პიროვნება რა სქესის იყო? კაცი?“

ლუნგ-მა თვალები არ აარიდა, ისე დაუკრა თავი.

„დედაშენმა იცოდა ეგ ამბავი“?

ლუნგ-ი ხმას არ იღებდა.

„მითხარი, იცის?“ აპაო-მ ეხლა ინგლისურად გაიმეორა შეკითხვა და ხმაში ეტყობოდა მონოლილი გრძნობის ტალღა.

ლუნგ-ი უარის ნიშნად, გაოგნებული აქნევდა თავს.

„მამ, დედისთვის რომ დაგემალა სიმართლე, მე არ დაგენანე, არა?! ჩემი გაუბედურება არჩიე?!“ – მის თვალბრწყინებაში ახლა უზომოდ სიძულვილი ბრიალებდა.

„არა, აპაო, ეს ასე მარტივად არ აიხსნება. შენდამი გრძნობა როგორ არ მქონდა! მაშინ ძალიან ვებრძოდი ჩემს თავს.“

მაგრამ აპაო უკვე ცრემლებს ინმენდდა.. მერე წამოხტა, გაიკვლია გზა ხალხში და ისევ გარეთ გავარდა, სადაც წვიმას ეხლა ჭექა-ქუხილის ხმაც დაემატა...

ლუნგ-ი დაედევნა, რომ ქოლგა მიეცა, მაგრამ ვერ დაენია...

26

როდესაც გადაწყვიტა ჩაკ-ი სავახშმოდ დაეპატიჟა, ტელეფონში მაინც ისმოდა რომ აღელვებული იყო და ჩაკ-მა ყურადღება მიაქცია მის ტონს. ეს მესამე დღეს მოხდა, მას შემდეგ რაც ლუნგ-თან ერთად იყო კაფეში და ამ სამ დღეში სეზონი შეიცვალა, მზე უკვე ისე აჭერდა, როგორც გაზაფხულზე იცოდა..

აპაო-მ სთხოვა ცაიხუნგ-ს, შემენაცვლეო, მაგრამ ქალმა ძველი საბაბი მოიმიზეზა: „ხომ იცი, ხუთ-შაბათობით მომადგებიან ხოლმე ყველანი, ვინც ინგლისურად ლაპარაკობს, და რა ვქნა? ეხლა დავინყო ენის სწავლა?“

მაგრამ აპაო-მ არ დაუთმო: „როგორ არ გესმის, მნიშვნელოვანი შეხვედრა მაქვს დანიშნული ძველ მეგობართან და ძალიან გთხოვ, არ დამალაღატო!“

ამის გაგონებაზე, ცაიხუნგ-მა უცებ შეცვალა ტონი: „რას ამბობ! შენ შენს საქმეს მიხედე, მე ყველაფერს მოვუვლი, თუ რამ ვერ გაუვგე, ჩემს თავს შევაჭმევინებ, ოღონდ შენ გაგიმართლოს!“ ოდნავ დააყოვნა და დაამატა: „რა იყო, კაცი გაიჩინე?“

აპაო-ს სახე შეეცვალა, თავი გააქნია, მაგრამ პასუხად კი უთხრა: „ჯერ არა, მაგრამ მინდა!“

სამშაბათი იყო, რომ დაურეკა და ხუთშაბათზე რომ უთანხმდებოდა, ჩაკ-მა უთხრა რომ ჰონკონგიდან ელაპარაკებოდა, საღამოს უნდა დაბრუნებულყო, მაგრამ კიდევ ერთი მივლინება ელოდა სუჭოუ-ში, და მხოლოდ საღამოს იქნებოდა თავისუფალი.

„ძალიან კარგი! ღმერთი ჩემსკენაა!“ წამოიძახა აპაო-მ ისეთი ტონით, რომ ჩაკ-ი ჩაეძია, „რამე ხომ არ მოხდა? მცხვენია, ამდენი ხანი შენთან არ დამირეკავს, არც ვიცი, როგორა ხარ.“

საღამოს რვა საათზე ჩაკ-ი უკვე რესტორნის შესასვლელთან იდგა. ერთმანეთი ოთხი თვე არ ენახათ. აპაო გაახალგაზრდავებული და გაკობტავებული ეჩვენა – გამხდარი იყო, ლამაზი შავ-თეთრი კოსტიუმი ეცვა, თმა ისევ მოეშვა, გრძელი ჰქონდა. „რალაც საზეიმოდ გამოიყურება“ – თავში გაუელვა ჩაკ-ს, „ნუთუ რალაც საზეიმოდ ამბავია?“

აპაო-მ ის ნაიყვანა გვერდზე ქუჩაში მდებარე იაპონურ რესტორანში. შესასვლელთან, ანთებული ფარნის ქვეშ გოგონა იდგა, მოკრძალებულად ჩაცმული, ეროვნული სადა ნაცრისფერი კაბა ეცვა და ძველი ყაიდის ლითონის შესასვლელი კარის ფონზე მისი ფიგურა განსაკუთრებით მოხდენილად გამოიყურებოდა.

როდესაც ჩაკ-ი შეეკითხა, „რაიმე განსაკუთრებული მიზეზიაო“, აპაო-მ ყური არ ათხოვა.

რესტორნის ვრცელი დარბაზი შუაზე იყო გაყოფილი წყლით სავსე ხელოვნური არხით, ზედ რამდენიმე კოხტა ხიდი იყო გადებული და ბამბუკის ფარდები ყოფდნენ გალერეას ცალკე კაბინებისგან, რაც ინტიმით უზრუნველყოფდა მისულებს. ერთ-ერთ ასეთ კაბინაში ისინიც მოათავსეს.

„ოღონდ იცოდე, მე დავინიშნე პაემანი და ესე იგი, ჩემი სტუმარი ხარ, მე გპატიუებ!“ და როცა ჩაკ-მა სცადა შეკამათება, მენიუთი დაკავებული ხელი ზე აღმართა და გააჩუმა: „ჩაკ! ეს ჩემი სურვილია, მთელი სულით და გულით!“

„პაო...“

„კარგი, გეყოფა! თან რომ იცოდე, რამდენჯერ მინდოდა აქ მომეყვანე რომ გაგესინჯა ნამდვილი იაპონური სამზარეულო“.

ჩაკ-ი მიხვდა, რომ ვეღარ გადაათქმევინებდა, საშუალებაც არ ჰქონდა, რომ სიტყვა ჩაერთო. აპაო კი იხსენებდა: „გახსოვს, სანამ შენ დასავლეთ სანაპიროზე გაემგზავრებოდი, ჩვენმა ჯგუფმა რომ გაცილება მოგინყო? მაშინ კორეულ რესტორანში ვიშოვე იაპონური სუში და პატარა კოლოფით მოგიტანე და შენ ძალიან მოგეწონა! ჰოდა, მაშინ ჩავიფიქრე, რომ თუ კიდევ მოგვინია ოდესმე შეხვედრა, აუცილებლად გაგასინჯებ ნამდვილ იაპონურ კერძებს“.

ჩაკ-ი წამოდგა და გადაეხვია, მერე დაბრუნდა თავის სკამზე და ალერისთ სავსე ცისფერი თვალები მიანათა.

„ასე რომ, ეს ჩემი იდეა-ფიქსი იყო, ჩემი გულწრფელი სურვილი“.

„რომ იცოდე, მართლა ძალიან მომეწონა, თან პირველად გავსინჯე. ჯერ ერთი, პირველად ვიყავი შეყვარებული, მეორე კიდევ ის რომ პირველად ვიგემე იაპონური კერძი. ჩემი მშობლები ხომ ძალიან კონ-“

სერვატორები იყვნენ! წარმოგიდგენია, სან-ფრანცისკოში რომ გადავსახლდით, იქაც კი ფეხი არ შეუდგამთ აღმოსავლურ რესტორანში! არადა, ხომ ამბობენ, რომ ყველაზე კონსერვატორული კულტურა – საჭმელია!“ მერე დაამატა, „ისე, ბევრი არ დაუკარგავთ, რომ არ შედიოდნენ; ნიუ იორკში ჩინურ რესტორნებში ხეი-რიანად ვერაფერს ვერ ამზადებდნენ, ხოლო კორეული, ვიეტნამური ანდა იაპონური ხომ საერთოდ არ იყო!“

აპაო-ს გაახსენდა, რომ თვითონაც იგივე განცდა დაუფულა სან-ფრანცისკოში ყოფნისას. მაგრამ ჩაკ-ი სანინალმდეგო აზრისა იყო: „სწორედ სან-ფრანცისკოში შევიგნე, რა უგემრიელეს კერძებს ამზადებენ ჩინელები და იაპონელები! რესტორნების ინტერიერზე ხომ საერთოდ არ ვლაპარაკობ!... მერეღა უკვე, ჩემი მშობლებიც მიხვდნენ ამას“.

ამჯერად აპაო წამოიღდა და გადაეხვია, და როცა დაჯდა, გულლიად უთხრა: „რაც არ უნდა იყოს, ჩვენ ხომ ლამის ბავშვობიდან ვიყავით შეყვარებულნი, ისღა გვაკლდა რომ ერთად ცხენობანა ან დახუჭობანა გვეთამაშა!“

ასეთმა განცდით სავსე ამოფრქვევამ ჩაკი დააბნია და განითლდა: «არც ვიცი, ბაო, ითქმის კი სიყვარულად ჩვენი ურთიერთობა. თუ გახსოვს, ჩვენ არც გვიკოცნია ერთმანეთისთვის!“

ეხლა აპაო-ს ჯერი დადგა განითლების.

„მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ერთმანეთი არ მოგვწონდა?“

„ცხადია, არათუ მოგვწონდა, გვიყვარდა კიდეც !“

„მერე? ლექსებს თუ არ ჩავთვლი, გული ჩემთვის არასოდეს გადაგიშლია“.

„ვერ გიბედავდი. მაშინ ჩემი თავი არ მომწონდა“. „მეც ასე ვიყავი. უნივერსიტეტში ჩემზე მახინჯი არავინ მეგონა!“

„რაო“?! წამოიყვირა ჩაკ-მა და აპაო-ს გაელიმა.

„მაშ, გამოდის რომ გიყვარდი, მაგრამ იმ გრძნობამ გაგიარა“? – ეს ისე იკითხა, თითქოს საყვარელ კერძებზე მსჯელობდნენ, და არა თავიანთ სიყვარულზე.

ჩაკ-მა ღიმილი მოიშორა სახიდან და სერიოზულად მიმართა: „შენ უკვე სამი შვილის დედა ხარ, მე კი მეგობარი გოგო მყავს“.

„მაგრამ დაქორწინებას ხომ არ გეგმავ?“

„არა, ამჯერად ეს უკვე სერიოზულადაა საქმე, სწორედ რომ ვგეგმავ“.

„ისევ იმ გოგოზე ლაპარაკობ?“

„ა? ო, არა. იმის შემდეგ რამდენი ხანი გავიდა, მე ეხლა სხვა მეგობარი მყავს“.

„მართლა?“ – აპაო-ს გაოცება იმდენად გულწრფელი იყო, რომ თვითონაც ეუხერხულა“.

ჩაკ-მა გაიცინა, თან არც უცდია თავისი ბედნიერების დაფარვა: „იცი, ის აქაური კი არ არის, არამედ იანჭოუ-დანაა. იცი იანჭოუ? არა? იცი, რითია ცნობილი? – რომ იქაური ქალები ყველაზე ლამაზები არიან! ჰოდა, ის შანხაიში გადმოსახლდა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, დარჩა აქ და არის მშვენივრად!“

„ააა, ლამაზიო, ამბობ?“

„ოოო, ძალიან, ძალიან ლამაზია!“ ჩაკ-მა თავი გააქნია, ცდილობდა სახით გამოეხატა თავისი აღტაცება.

„აბა, მაშ გილოცავ!“ – აპაო-მ ჭიქა რომ ასწია, მაშინ შეამჩნია რომ ღვინო არ ესხა. ჩაკ-ი გაბადრული იჯდა, თავის ნათქვამით აღტყინებული.

„სამ თვეში ორ მეგობარს რომ გამოიცვლი, ესე იგი წარმატება გქონია შანხაიში!“

„ალაბათ ამის გამო მომწონს აქ ყოფნა... ხომ იცი, რომ თავდაჯერებული არასოდეს ვყოფილვარ, და ეხლა კი... »

„ჰო, მეც გამიგია, რომ მას აქეთ რაც საზღვრები გაიხსნა, ევროპელები თავს აქ ისე გრძნობენ როგორც სამოთხეში“.

ჩაკ-მა მისი ნათქვამი საყვედურად მოხვდა ყურში და სცადა განემარტა: „არა, არც ისეა, შენ რომ გგონია. თავიდან, კი, დამდევდნენ გოგოები, აქ ხომ თავს თავისუფლად გრძნობენ, მაგრამ ასეთ ურთიერთობას დიდი ხანი არ უწერია. საკმარისია, ერთად იცხოვროთ ცოტა ხანს, და მაშინვე ჩნდება ათასი რამ რაც გაღიზიანებს ან არ გაგკმაყოფილებს.“

„რომელ ათას რამეზე ლაპარაკობ?“

„რა ვიცი, ბევრია, ყველას ხომ არ ჩამოვთვლი. მთავარი არის განსხვავებული წარმოდგენა ღირებულებებზე.“

„მაგალი მართალი ხარ, გეთანხმები – და არც არის გასაკვირი, რადგან აბსოლუტურად განსხვავებულ ისტორიულ ფონთან გაქვს საქმე!... მაშ, შენი სიტყვით, იმ იანჭოუ-ელმა გოგონამ შენი გული ვერ მოინადირა?“

„შენ ვერ გაიგე – ის კი არ დამდევდა, მე დავდევდი მას! აქ მითხრეს, რომ თუ გინდა მართლა წესიერი კარგი გოგონა, უნდა სდიო, ეცადო თავი მოაწონო – და ასეც მოხდა. ის ხომ ჩემი მეორე ნახევარი უნდა იყოს, ხომ იცი, როგორც ამბობენ: ინ და იან!“

„ასე რომ, შენ უკვე დაგეგმე და...“

„ეხლა ვაპირებ ხელი ვთხოვო!“ – ჩაკ-მა ეს გულწრფელად და სერიოზულად წარმოსთქვა. აპაო-მ გა-
დინარხარა, მაგრამ სიცილი ხელოვნური იყო, თეატრის სცენას უფრო შეეფერებოდა.

ამ დროს შემოვიდნენ ოფიციანტები ლანგარით, რომელზეც სხვადასხვა დასახელების საჭმელები ელა-
გა, ბიჭს ლანგარი ეკავა, გოგონას – ერთი ბოთლი ღვინო. აპაო-მ და ჩაკმა შეწყვიტეს საუბარი.

„გილოცავ, ჩაკ!“ – აპაო-მ ჭიქა ასწია, „ისე მიხარია, რომ გულის სწორი იპოვე!“

ჩაკ-მა დაიმორცხვა და მადლობა რამდენჯერმე უთხრა.

აპაო ჩხირებით დასწვდა თევზის უმი ხორცის ნაჭერს, და ჩაანოვა პანია თევზზე დასხმულ მდოგვიან
სოიოს სოუსში...

ჩაკ-ს პირი არ გაუჩერებია, ლეჭავდა და თან აქებდა, „ოი, რა გემრიელია! გადავირევი!... მერე შენ? შენ
რატომ არა სჭამ?“

აპაო-მ გაუცინა: „ესეც მეყოფა სიამოვნებად, რომ გიყურებ, შენ რა გემოს ატან! მე ნუ მიყურებ, შენ
ჭამე, ნუ აყოვნებ, სანამ ყინული იგრძნობა, თორემ როცა გადნება, ისეთი გემრიელი აღარ იქნება. ცხელს
კი ამის შემდეგ მოიტანენ.“

ჩაკ-ი თვითონაც ველარ არკვევდა, ცრემლი რატომ ჩაუდგა თვალებში, მდოგვის ბრალი იყო, თუ სია-
მოვნებამ მოჰგვარა?! აპაო გახალისდა მისი შემყურე, „ხომ ხედავ! რა დარდიც არ უნდა გედოს გულზე, საკ-
მარისია ეს იგემო, უცებ გამოერკვევი! – მდოგვი და პირშუშხა ცერემლებს გადენენ, და ისევ გონს მოხვალ!“

ჩაკ-მა უცებ ჰკითხა: „შენ განიცდი ხოლმე გულზე სიმძიმეს, დეპრესიას?“

„არა, რას ამბობ!“ ისე ნაჩქარევად წამოიძახა, რომ ჩაკ-ი დაეჭვდა. აპაო-მ კიდევ იფიქრა, თვალებში
ხომ არ ამოიკითხა ჩემი ფიქრები? და ვითომ არც არაფერი ყოფილა, უდარდელად წამოიძახა: „მე ხომ ასე
ვიცი, პირს არ ვაჩერებ! შენ კი სერიოზული ხარ, დინჯი.“

„მაპატიე, არ უნდა მეთქვა.“

„რა გჭირს საბოდიშო და საპატიებელი?“ და ჭიქა მიუჯახუნა. „რა კარგია ასე! იცი, რამდენჯერ მი-
ნატრია, რომ ერთად ასე ვისხდებოდით... ჭუჭი-სთან ერთად ვისხედით, და ვიფიქრე, „ნეტავი მის მაგიერ
ჩაკ-ი იყოს მეტი“.. შენი სავიზიტო რომ დამეკარგა, ვიფიქრე, მორჩა, გათავდა, ცხოვრებაში არ მეღირსება
მისი ნახვა..!“

ვითომ ხუმრობდა, მაგრამ ჩაკ-მა უცებ სევდა იგრძნო გულში, და რაკი თვალები სარკეა სულისა, აპაო-
მ ამოიცნო ეს მისი განცდა – და იცნო ის ძველი ყმანვილი, მორიდებული, კაფანდარა და წყნარი.

თერთემტი ხდებოდა, რომ გავიდნენ რესტორნიდან, მომლოდინე ტაქსების რიგი რომ დაინახა, აპაო
დაემშვიდობა და ჩაჯდა ტაქსიში. ჩაკ-ს გასეირნება ერჩივნა. მანქანას ხელი დაუქნია, თავი დაარწმუნა, რომ
არაფერია სანალგლო – რა მოხდა, ერთ ქალაქში ცხოვრობენ, კიდევ შეხვდებიან... მაგრამ მაინც გრძნობდა,
რომ აპაო-ს ველარ უგებდა, არ ესმოდა მისი ნაჩქარევი დაპატიჟების მიზეზი, არ ესმოდა ვახშამი, სადაც
არაფერ მნიშვნელოვანზე არ იყო საუბარი.. და ამიტომ ვერ გრძნობდა სრულ კმაყოფილებას...

გზად ბევრ მომენტს ატრიალებდა თავში, სუფრასთან საუბარს იხსენებდა და იფიქრა, „რამის თქმა
რომ სდომებოდა, ხომ მეტყოდა“?, მე ხომ არ დავუნყებდი, მითხარი, აპაო, ამისხენი! ჩემს მხრიდან უტაქ-
ტობა იქნებოდა!“ მერე ჩამოჯდა სკამზე მარადმწვანე ხის ქვეშ და საათს დახედა. შუალამე იყო. აპაო უკვე
სახლში უნდა ყოფილიყო, ტაქსის ამდენი დრო არ დასჭირდებოდა, და დააჭირა ლილაკს მობილურზე.

აპაო-ს ხმა ძლივს გასაგონად ისმოდა, ჩაკ-მა ჯერ იფიქრა, რომ ოჯახში ყველას სძინავს და ისიც ხომ
არ გავალვძიქო, როდესაც ტელეფონში მანქანების საყვირის ხმა გაისმა.

„აპაო, სახლში არ ნახვედი?!“

„არა, აქ სახლთან დავჯექი, სკვერში ვარ, სკამზე! სახე მიხურს, დავლიე და იმიტომ. ცოტა ხან ვიჯდები
აქ ჰაერზე და მერე წავალ დასაძინებლად.“

„პაო, რატომ გაქვს ასეთი ხმა?“

„როგორი, ‘ასეთი’?“

„რა მოგდის, ტირიხარ?“

„რა მაქვს სატირალი?“ – ეს კი უპასუხა, მაგრამ ხმამ უმტყუნა და ტონი ცრემლნარევი იყო.

„მისამართი მითხარი, ეხლავე ტაქსის დავიჭერ და მოვალ!“

„არა, არა... არ არის საჭირო... შენ ნუ ლელავ, მე ისე... ისე... ხანდახან ხომ ხდება ხოლმე, რომ რალაცა
შემოგანწვება და... იცი რომ... დღეს ჩემი დაბადების დღეა!“

„რაა?!.. რა თქვი?!... და-დაბადების დ-დღე?!“ – აღელვებისგან ენა დაება, „მერე, ვერ მითხარი? საჩუქა-
რს მაინც მოგართმევდი! ეეეჰ, ესე როგორ შეიძლება?!“

„მერე რა, მე ძალიან კმაყოფილი ვარ!.. მთელი საღამო ხომ ერთად ვიყავით...“

ჩაკ-ს თავში გაუელვა, „მამ, ოჯახს რა უყო, ისინი რატომ არ დაესწრნენ?“

„მე ეხლა აღარ ვიხდი დაბადების დღეს, მას შემდეგ რაც ქმარს გავშორდი.“

„ოო, პაო,პაო... მე არც კი ვიცოდი რომ ქმარი აღარ გყავს!“

ჩაკ-ის გაცემა ისე ძლიერად იგრძნობოდა მის ხმაში, რომ აპაო შეცბა, „რაში დამჭირდა ამის თქმავ?“ და უპასუხა, 'რა იყო, აქამდე არ მქონდა ნათქვამი? მაპატიე, მაგრამ აქ რაა დასამალი?.. მაგრამ როცა ძველ მეგობარს ხვდები, არ გინდა რომ უცებ რაღაც უსიამოვნო ამბავი მიახლო და ასმენინო გულისტკივილი და სიმწარე.“

„აბა, სხვას ვის უნდა გაუმხილო გულის სიმწარე, თუ არა ძველ მეგობარს?“

„რა თქვი? მართლა ასე ფიქრობ?“ სიტყვა დაამთავრა თუ არა, მადლიერების ცრემლები წასკდა.

„იცი, შენთვის ეხლა ყველაზე კარგია, თუ გვერდით გეყოლები!“

„ჩაკ, რა კეთილი გული გაქვს ! იცი, დაგინახე თუ არა, ვინანე..“

«რა ინანე?»

«ტუტუცი ვიყავი, ჩემი თავი რაღაც საცოდაობა მეგონა.. »

«მერე ? მე რა, სხვანაირი ვიყავი? მეც ზუსტად ასეთი გრძნობა მქონდა ჩემს მიმართა და სწორედ ამან დაგვაახლოვა ერთმანეთთან!»

«ძალიან ვნანობ, რომ... ჩვენ... ჩვენ უნდა...“

„რა, 'უნდა'?“

„რა, და... უნდა საყვარლები ვყოფილიყავით, ისე გვეცხოვრა, როგორც შეყვარებული წყვილი ცხოვრობს...“

ჩაკ-ი დაიბნა და ძლივს ამოღერდა: „მე როგორიც მაშინ ვიყავი, ეს თავში აზრადაც კი არ გამიტარებია...“

აპაო-მ ჩაიცინა: „არა, ჩაკ, ეს მხოლოდ ჩემი ფანტაზიაა, მე ასე წარმოვიდგინე.. და მაპატიე, თუ უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაყენე...“

„არა, რას ამბობ!“

აპაო-ს ეცინებოდა ჩა-ის ასეთ რეაქციაზე და დაამშვიდა: „არა, შენ ეხლა უკვე გამოცდილი მოთამაშე ხარ სასიყვარულო პარტიებში.“

„არც ისე, შენ რომ გგონია.“

„არა, რატომ, ეს ხომ სავსებით ნორმალურია! მით უფრო აქ, შანხაიში. ბევრს მიაჩნია რომ ეს ქალაქი ყველაზე უფრო ღიაა და თავისუფალი თანამედროვე სასიყვარულო ურთიერთობისათვის. ჰო, და შენთვის არც ის მითქვამს რომ ჩემმა ყოფილმა ქმარმა აქ იპოვა თავისი სიყვარული. და კიდევ ისაა საინტერესო, რომ ის – ამერიკაში კი არა, არც სინგაპურში, არამედ აქ, შანხაიში – გვი გახდა! უფრო სწორედ, ის იყო გვი, მაგრამ მაღავედა, აქ კი აღარ!“

რაკი აღარფერი ისმოდა ენაჩავარდნილი ჩაკ-ისგან, აპაო-მ დაუძახა:

„ჰეი, ჩაკ!“

„ჰო, გისმენ... რა უნდა გითხრა, გაოგნებული ვარ!..“

„შენ გესმის რომ ათი წელია ცოლქმარი ვიყავით! სამი შვილი გავაჩინეთ! და უცებ, ცამონმენდილზე, ერთ მშვენიერ დღეს ის ერთ...“ – აპაო-მ ველარ დაასრულა, სიცილი აუვარდა, ველარ ჩერდებოდა, ჩაკ-ი უკვე ადგილზე ცმუკავდა:

„აპაო, ფეხი არსად გადავა, ნახევარ საათში მანდა ვარ, ტაქსით მოვდივარ! ეხლა ქუჩები თავისუფალია, სწრაფად მოვალ!“

აპაო-ს არ უპასუხია, და ჩაკ-მა განაგრძო: „თუ არ გინდა რომ გამოვიდე, შენ წამოდი. აქ ერთი ღამის სასტუმროა, ირლანდიელია იმის პატრონი და დასალევიც აქვს, ირგვლივ კაფეებია, ბარები..“

„არა, არა, ეგ უკვე ზედმეტი იქნება. აქ ჩემთან კიდევ არც სასტუმროა, არც კაფე და არც ბარი, ღვინო რომ მოგინდეს, ვერ დალევ.“

„მერე, მაგაზე ადვილი რაა, მე გამოგიტან ღვინოს!“

„აი ამიტომ მიყვარხარ, რომ ყველაფერს ხვდები და გესმის!“

„როგორ არ უნდა მესმოდეს, როცა გულში ისევ ჩემ ძველ ახლო მეგობრად მყევხარ!“

„ოღონდ წარსულს ნუღარ მიხსენებ, კარგი?! არ მინდა ისევ მოგონებები, მერე სევდა...“ – უცებ მკვახედ მოუჭრა აპაო-მ.

„მე კი ძალიან, ძალიან ვაფასებ ჩვენს წარსულს, ჩვენს გრძნობას...“

„კი მაგრამ, განა იყო ჩვენს შორის რაიმე გრძნობა?.. ნუ იტყვი მაგას. უბრალოდ, ერთმანეთში ვხედავდით პოეტური აღმაფრენის საგანს. ჩვენ სიყვარული გვჭირდებოდა, და ნაცვლად ამისა რაღაც მესამე ხარისხივან ლექსებს ვთხზავდით! განა ეს სისულელე არ იყო?“

„კარგი ეხლა, კმარა; შენ ჯობია, მისამართი მითხარი.“

„არა, გმადლობ რომ ასე ყურადღებით მექცევი, მაგრამ ჩემთვის უკეთესია თუ არ დავლევ, ბავშვების გამო მაინც აღარ უნდა დავლიო.“

„მაშინ...“

„აი, ხომ დამელაპარაკე ტელეფონით, ეს უკვე ძალიან მესიამოვნა და საკმარისია. ნუ გეშინია, ყველაფერი რიგზეა.“

ჩაკ-ი ადგა და შინისკენ გაემართა, უნდოდა ტელეფონი დაეტენა რომ მთელი ღამე მასთან საუბარში გაეტარებინა. გზა და გზა ტაქსები უჩერებდნენ, მაგრამ მას ფეხით ერჩივნა გავლა.

„წარსულს თუ გადავხედავ, სინანულის გარდა არაფერი მრჩება, სულელი ვარ – ოცდაჩვიდმეტი წლის ქალი გავხდი, სამ შვილს ვზრდი, და აღმოჩნდა რომ... აღმოჩნდა რომ გვერდით ნამდვილი მამაკაცი არა მყოფია და... და ესე იგი, არც მქონია ნამდვილი სიყვარული!“

პაუზა ისევ აპაო-მ დაარღვია:

«ჩაკ, გესმის?»

«კი, კი, გისმენ!...»

აპაო-ს ისევ ჩაეცინა: «შენ ხომ არ გგონია რომ ვხუმრობ? ვინ დამიჯერებს რომ ათი წელი გეისთან ერთად გავატარე? უფრო სწორედ, კაცთან, ვისაც ჰქონია მიდრეკილება ჰომოსექსუალიზმისკენ; ან უფრო სწორედ, ორსქესიან მამაკაცთან, რომელმაც მიმაგდო ვიღაც კაცის გულისთვის... ვინ არის, ბოლოს და ბოლოს, დღემდე ვერ გავარკვიე?!...»

ჩაკ-მა მაინც სცადა რაიმე ლოგიკური ხაზი ამოეცნო ამ ქაოსში და ამდენ თავსდაყრილ ინფორმაციაში: «გამაგებინე, რამდენი ხანია რაც დაშორდით? ახლახანს?»

«არა, დიდი ხანია, ორი წელი, მაგრამ მანამდე ორი წელი არ ვიყავით ერთად“.

„ააა. ნასვამი იყავი, მაგრამ არაფერი არ გითქვამს.“

„არ მინდოდა; ასეთი რამ – იმის მაგივრად რომ მოჰყვე, ჯობია დაივიწყო“.

„მაგაში მართალი ხარ, სწორეა“.

„თან იცი, რა? მეგონა, უკვე წარსულს ჩაბარდა ყველაფერი, დამავიწყდა, მაგრამ გამოჩნდა და – მაინც გული მტკივა...“

ჩაკ-ის ყურში კვლავ და კვლავ ისმოდა, „მტკივა, მტკივა...“

„მაგრამ ეხლა ვიცი, დარწმუნებული ვარ, რომ რამდენიც არ უნდა ვიცოცხლო, იმის ნახვას არასოდეს არ მოვინდომებ!“

„მოიცა, ახლახანს მოგინახულა“?

„ჩვენთან შემოვიდა სასადილოდ, არ იცოდა, იქ თუ ვმუშაობდი; ადრე კი პიტერთან სადილობდა“.

ჩაკ-ი წელწელა ერკვეოდა ახალ ვითარებაში, ახალ სახელებში, მაგრამ დამატებითი შეკითხვის დასმას მაინც ერიდებოდა, აპაო-ს განცდას უფრთხილდებოდა.“

„პიტერის რესტორანი ხომ იქვეა, სწორედ ამიტომ შევხვდი და გავიცანი ცაიხუნგ-ი“ – შეატყო, რომ ჩაკ-ს უფრო აერია თავში ვითარება, მაგრამ მაინც განაგრძო:

„იმ ხანებში მე ჩემი ქმრის ძებნით და დევნით ვიყავი დაკავებული, მაგრამ დღე და ღამე პიტერის რესტორანში ხომ არ ვიჯდებოდი, თავს მოვაბეზრებდი. ამიტომ პირდაპირ, სწორედ ცაიხუნგ-ის ტავერნაში გადავინაცვლე და კარგი მზვერავით, იქ ვიყავი ჩასაფრებული და მინის ვიტრინიდან ვუცქერდი ყველაფერს. წარმოგიდგენია, რეები არ ვიკადრე, არსაკადრისი, მხოლოდ იმისთვის რომ..!“

„იცი, პაო, მეორედ აღარ თქვა შენს თავზე „ვიკადრე, არსაკადრისი! მერე რა, ბოლოს შეხვდი?“

„კი, იმასაც და მის პარტნიორსაც.“

„ორნი იყვნენ? ერთად“?

„ჰოო. ის მისი პარტნიორი ძალიან ელეგანტურია, და ჩემი ქმარი რომ გენახა, ისიც კარგი გარეგნობისაა, და ერთად სავსებით... შესაფერი წყვილი ჩანს!“ შემდეგ აპაო-მ უკვე სიცილით განაგრძო: „იცი, არ მეგონა, რომ გეი შეიძლება ასეთი ათლექტური აღნაგობისა იყოს, განვითარებული მუსკულატურით. თურმე ისინი ძალიან თავმოყვარე კაცებინ არიან, რომლებიც არ იკლებენ ვარჯიშს და ტრენაჟორებს! მაგრამ როდესაც გავიგე, როგორ უთხრა ჩემს ქმარს sweetheat! – ეგ ვერ ავიტანე! მაგრამ წარმოგიდგენია, რომ ეს ჩემი ქმარი თუ ნაქმარალი, მშვენივრად იფერებს ამ საყვარლობის როლს!... მე კი მაშინ კინაღამ ვარწყე ამის გაგონებაზე!“

ამ მომენტში დაამუხრუჭა, ჩათვალა რომ ძალიან აგრესიული ტონი გაუხდა.

„მაგრამ შენი სიძულვილი რამ გაზარდა – იმან, რომ აღმოაჩინე რომ მამათმავალია?“

„მე ვერ მიპატიებია, რომ ქმარმა მომატყუა, დამიმალა თავისი ორიენტაცია, მაშინ როდესაც ვალდებული იყო, ეთქვა ჩემთვის. იცი, მან მე გამომიყენა როგორც ბავშვის გასაჩენი მანქანა, მექანიზმი! აი, ამიტომ მეჯავრება, ვერ ვიტან! მე გამომიყენა, რათა თავი გაემართლებინა დედასთან, მთელ ჩინურ დიასპორასთან, საზოგადოებასთან!...“

„კი მაგრამ, ის ათი წელი რაც ერთად გაატარეთ – ამ პერიოდში თქვენი ურთიერთობა კარგი იყო?“

„აბა რა!“ უცბად წამოიძახა აპაო-მ, მაგრამ იქვე სცადა კორექტივის შეტანა: „ყოველ შემთხვევაში, ერთი შეხედვით ასე სჩანდა, მაგრამ – როგორ გითხრა? მე არა მქონია სხვასთან ცხოვრების გამოცდილება,

და ისი იყო ჩემი პირველი და ერთადერთი კაცი.“

ამას მოჰყვა მისი ისტერიის ზღვარზე მისული სიცილი: „მე ვგრძნობ, რომ იაფად დავუთმე ჩემი ბედნიერება, სიცოცხლე ჩემი! ვისთან ვცხოვრობდი? – „ვითომ-ქმართან“? „ვითომ-კაცთან“?... შენ ამიტომ გეძებდი, მართლა მინდოდა სიყვარული ნამდვილ მამაკაცთან განმეცადა, და გამეგო რას ნიშნავს ნამდვილი სექსი?...მინდოდა...“

სიტყვების დასრულებისას დაიქუხა და ღრუბლებიდან მოღწეულმა გრგვინვამ თითქოს მის სხეულში გადმოინაცვლა, თითქოს თავად ქმნიდა ამ გრგვინვასა და ჭექა-ქუხილს. სინამდვილეში კი მდინარის გაღმა მხარიდან ისმოდა ეს ხმა და რომ დაიჭექა – უკვე აპაო-ს მობილურში გამეორებული, ტელეფონიც ჩაკვდა და გაჩუმდა.

27

ავდარმა და ქუხილმა საერთოდ გააუქმა აპაო-ს ტელეფონი.

შაბათს ჩაკ-ი თავის მეგობარ ქალს – უკვე საქმროს რანგში გაჰყვა იანჭოუ-ში მისი მშობლების გასაცნობად. შუაღამეში ჩაკ-მა რამდენჯერმე სცადა აპაო-ს დაკავშირებოდა, მაგრამ ვერაფერს გახდა. გაუკვირდა, როცა მიხვდა რომ მასთან კავშირის შეუძლებლობამ არ შეაწუხა. პირიქით, თითქოს რაღაც ტვირთი იგრძნო მოშორებული, თუმცა აპაო-ს ბედი მაინც აღელვებდა.

ერთი კვირის თავზე მოახერხა შანხაიში დაბრუნება და რაკი ახსოვდა, რომ ხუთშაბათობით აპაო-ს შეუძლია ადრე წამოვიდეს სამსახურიდან, გამოიცვალა ტანსაცმელი, და ჰალსტუხიანად მოიშორა თავისი ოფისის იერი, ჩაიცვა ჯინსი და მაისური და მიადგა რესტორან „ცაიხუნგ-ს“.

რესტორნის ეზოში, ჭრელი ქოლგების ქვეშ დამსხდარი ხალხი არ ჩქარობდა დაშლას, უმეტესობა ევროპელები იყვნენ. მათ ჯგუფს თვალი გადაავლო და ის იყო, ფეხი უნდა შეედგა რესტორანში, რომ ვილაცამ დაუძახა. მოიხედა და ცაიხუნგ-ი დახვდა, გვერდით კი მაგიდას ჭუტი უჯდა. ისე გაცოცდა, რომ პირი დაალო და ქალებს სიცილი აუვარდათ. 'ჭუტი ვარ, ჭუტი-! ვერ მიცანი?'

„ჭუტი!. უი, რა კარგია, ბედი გვექონია რომ შევხვდით!“

„ბედი კი არა, ვიცოდით რომ მოხვიდოდი.“

„რას მეუბნები? საიდან იცოდით?“ კარგი სანახავი იყო გადმოკარკლული ცისფერი თვალებით. ჭუტი-მ რომ უთარგმნა ცაიხუნგ-ს მისი ნათქვამი, ქალმა მხრები აიჩეჩა და - „მართლა ბალღივით მიამიტი ყოფილაო“.

ერთმა ინგლისური არ იცოდა, მეორემ – ჩინური, მაგრამ ცაიხუნგ-ი მიხვდა, რომ საუბარი აპაო-ს შეეხო, და ამიტომ ადგა და მარტოდ დატოვა, მოიბოდიშა, „ჯობია, აპაო-ს შევენაცვლოო“.. და სანამ ნაბიჯს გადადგამდა, ჭუტი-ს ესროლა, „დღეს ნუ იჩქარებთ წასვლას, ჩემი სტუმრები ხართ – შუალამის საუზმეზე გეპატიჟებით [*ჩინეთის ტროპიკებში სიცხის გამო ჭამას უფრო ღამის სიგრილეში ცდილობენ და აქედან გაჩნდა ეს ტერმინი].“

აპაო გაბადრული გამოვიდა და შორიდანვე დაანახა წითელი ღვინის ბოთლი და მეორე ხელში სამი ბოკალი. ის იყო გახსნა ბოთლი რომ ჩაკ-ი ხელში ეცა და გამოაცხადა, „იცოდე, ამის ფულს მე ვიხდი.“

ჭუტი მაშინვე ჩაერია: „მამ როგორ! ამდენ ქალებში ერთი მამაკაცი ხარ, და ჩინური ნათქვამიც ხომ იცი, „რომელ სოფელშიც შეხვალ, იქაური წესი დაიცავი“, და აქაც შანხაიში, ქალები ფულს არასოდეს იხდიან – ეგ საქმე კაცებისთვის მიუნდვიათ.“

აპაო-მ გაუცინა: „ამ შეგნებით რა გაცხოვრებს ტალიენ-ში, შენი ადგილი აქაა და სხვაგან არსად!“

ჩაკ-ი ხან ერთს შეხედავდა, ხან მეორეს, ჩინური ცხადია არ ესმოდა და მით უფრო მიამიტი და დაბნეული გამომეტყველება ჰქონდა, თავისი დიდრონი ცისფერი თვალებით და შუბლზე ჩამოშლილი ქერა ქორით.

მერელა მიხვდა აპაო, რომ უნდა ჭუტი გაეცნო მისთვის, და სანამ ეტყოდა, ვისთან ზის და ვის ელაპარაკება, ჭუტი-მ დაასწრო, „განა კიდევ გვჭირდება წარდგენა, ისედაც კაი ნაცნობეებით ვლაპარაკობთ“ – თან ამ დროს გამოართვა ღვინით შევსებული გამოწვდილი ბოკალი და ჩაკ-ს თვალი ჩაუკრა. ის თავს მთლად თავისუფლად არ გრძნობდა და ამიტომ მით უფრო ცდილობდა ეხუმრა და სხვები გაერთო.

„მეტად მოხდენილი და ენაკვიმატი მეგობარი გყოლია,“ – კომპლიმენტი აპაო-ს დაუნყო და დაასრულა ღიმილით ჭუტი-ს მისამართით: „სწორედ ასე მყავდით წარმოდგენილი.“

„დიდი მადლობა!“ – ჭუტი-მ აჰყვა მის ტონს და თავისი მადლობა ასევე გამოხატა გადაჭარბებული სიხარულით და შესტიკულაციით; თავს იწონებდა ახალი ვარცხნილობით, ახალ მოდაზე ჰქონდა თმა დახვეული, ფეხზე მაღალქუსლიანი სანდლები ეცვა და „ტროპიკული ღამის“ სტილის კაბა.

აპაო ჯერაც ვერ შეჩვეოდა და უკვირდა, როგორ არ ელეოდა ჭუტი-ს გემოვნება და ენერგია, პირდაპირ ამოუნურავი მარაგი ჰქონდა ორივესი და მოახსენა კიდევ ჩაკ-ს:

„იცი, ჭუტი საერთოდ გაფლენილია ელექტრობით: რამდენი ბიჭი თვალს დაადგამდა, ეგრევე გულაღმა

ეცემოდნენ, ახლოს მიკარებასაც კი ვერ ასწრებდნენ! ცნობილი გოგო იყო!..“

„მაგრამ ისიც გაითვალისწინეთ, რომ ჩემს დღეში ორთა შორის შუაში არ ჩავმდგარვარ! არასოდეს, არც ადრე, და არც ახლა; მესამედ ყოფნა არასოდეს მიკადრებია.“

აპაო-მ არ დააყოვნა მხარდაჭერა: „აბა! რაც ეს მახსოვს, სულ ასე იქცეოდა, როგორც რაინდ-ქალს შეშვენიის!“

მათ შემხედვარეს არ შეიძლება არ გასჩენოდა რაღაც აღტაცებული შურის შეგრძნება და ჩაკ-მაც იგრძნო, რომ შენატროდა მათ ერთგულებას.

ღვინო რომ მოსვეს და შეავსეს, ჭუტი-მ დაქალს გადახედა, თვალი მოჭუტა და შენიშნა: „შენი მონაყო-ლიდან ეს შენი ჩაკ-ი სხვანაირი წარმომედგინა!“

მაგრამ აპაო-მ არ აცალა ფრაზის დასრულება: „ჩემო კარგო, ეს აღარაა „ჩემი ჩაკი“! მას ეხლა მეგობარი ქალი ჰყავს, უფრო სწორედ, საცოლე, ფიანცე!“ – ბოლო სიტყვა განსაკუთრებით, ფრანგულად გამოსთქვა.

ჭუტი ოდნავ დაიბნა, მერე ჩაკ-ს გადახედა, როგორი რეაქცია ექნებოდა ამ ამბის გამოცხადებას, მაგრამ ჩაკ-მა თავი დააქნია, „ეგრეაო,“ და ოდნავ განითლდა. აპაო-მ კი უცებ შესთავაზა, „იქნებ დაურეკო იმ შენს მეგობარ ქალს?... მოსულიყო აქ, ჩვენთან დაჯდებოდა...“

ჩაკ-მა ხელზე საათს დახედა:

„ოოო, ეგ გამორიცხულია, ეხლა შინ არის, სძინავს, და როცა იძინებს, თავზე რომ დაჭექოს, მაინც არ გაელვიძება!“ – და თან მორიდებით, და თან რაღაც საქებარი ტონით აუხსნა: „ის ბუნებით ტოროლაა, ალიონის ჩიტია, ადრე ელვიძება, თან რეჟიმს არაფრით არ დაარღვევს, ჩემსავით კი არ არის!“

„აა, უნაკლო ყოფილა, საოჯახოდაა ზედგამოჭრილი,“ – შენიშნა ჭუტი-მ, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და ჩინურად განაგრძო, „მე თუ მკითხავ, მოსაწყენი ტიპი უნდა იყოს. აქამდე რატომ არ მითხარი, რომ დანიშ-ნულია?“

აპაო-მ ასევე, ჩინურადვე გასცა პასუხი: „როდის უნდა მეთქვა, როცა მეც ახლახანს გავიგე და ვერ მოვასწარი შენთვის მეხარებინა!“

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. სამივე თავ-თავიანთ ფიქრებში წასული ღვინოს წრუპავდა, მერე კი აპაო-მ ისევ ჩინურად დაასრულა თავისი კომენტარი: „რა გასაკვირია რომ ამისნაირ თეთრებს რომანები ჰქონდეთ აქ გაბმული?“

„მე მაინც სხვანაირი მეგონა, გამხდარი, ცოტა ნერვიული! ეს კიდევ კარგ ჩაფსკენილ მოზვერს უფრო ჰგავს! ჩვეულებრივი, ნორმალური ტიპია; უფრო ვიტყვი რომ „ნამეტანი ჩვეულებრივია!“

ჩაკ-მა ველარ აიტანა ამდენ ხანს გაჭიმული ჩინური დიალოგი: „რა ხდება, ამდენს რომ ჭიკჭიკებთ, ჩემზე ჭორობთ?“

აპაო-მ არ დაუმალა ჭუტი-ს აზრი მის შესახებ, და ჩაკ-ი შეიმშუშნა:

„ახალგაზრდობაში ვიყავი ასეთი, სუსტი და გამხდარი. მაგრამ ნერვიული – არა, არ ვყოფილვარ! მართალი გითხრათ, მე სრულიად ჩვეულებრივი, ნორმალური, იქნებ რიგითი ტიპი ვარ, თითქმის მისანყენიც; არა მაქვს არანაირი განსაკუთრებული თვისება, უფრო ოქროს შუალედისკენ ვიხრები!“ ამ ფრაზამ ბოლო მოუღო მათ საუბარს...

ღუმილი ჩამოვარდა, რომელიც დაარღვია ცაიხუნგ-ის მოსვლამ. მან დანაპირები გამოუტანა – „შუალა-მის საუზმე“. ლანგარზე ელაგა სახელგანთქმული შანხაის სალათები, გაზაფხულის ბლინები და ღვინოში დამზადებული ტეფტელი.

მიმოიხედეს და აღმოჩნდა, რომ ყველა გაკრეფილიყო და ესენი მარტონილა დარჩნენ. ცაიხუნგ-ი ყველას აძალეზდა, ყველაფერი გაესინჯათ და გაბრუნდა თავის საქმეზე, მარტოდ დარჩენილები კი ინგლისურზე გადავიდნენ, თუმცა საუბარი ძირითადად ჩინურ სამზარეულოზე იყო. ცაიხუნგის მოტანილი, ოქროსფრად შებრანული ბლინები დაკეპილი ბოსტნეულის შიგთავსით იყო ის უიშვიათესი ჩინური კერძი, რომლის ჭამა ჩხირების გარეშე, ხელითაც შეიძლება, ოღონდ ჯერ უნდა ჩაენოთ ლამბაქზე დასხმულ ძმარში.

ჩაკ-ი მალე მიხვდა რომ აღარ მიეცემოდა საშუალება წინა კვირის საუბარზე დალაპარაკებოდა აპაო-ს, მაგრამ მეორე მხრივ, რაღა დარჩა სალაპარაკო? მათი საუბარი უცებ შეწყდა, როცა დაიჭექა და „მინდოდა“ იყო აპაო-ს უკანასკნელი დაუმთავრებელი სიტყვა – მაგრამ ეხლა სრულიად შეუძლებელი იყო იმ შეწყვეტილი საუბრის გაგრძელება. შემდეგ იფიქრა, „ადრე, ამერიკაში რომ ბედს ისინი ერთმანეთისგან არ დაეშორებინა... ანდა კიდევ იმ მოულოდნელი შეხვედრის შემდეგ, როდესაც მისი ბარათი დაკარგა, იქნებ მათი ბედი სრულიად სხვანაირად აწყობილიყო? მაგრამ ელოდა თუ არა მათ ბედნიერი ცოლქმრობა, თუ მხოლოდ ცოლქმრულ მოვალეობაზე იქნებოდა აგებული?... მისი სინდისი და ღირსება არ აძლევდა უფლებას, რომ არაფრად ჩაეგდო აპაო-ს განცდები...“

მეორე მხრივ, თვითონვე ეკამათებოდა საკუთარ თავს გონებაში, იქნებ ძალიან შორს შევტოპე? ეხლა აპაო მხიარული და ხალისიანი იყო, მის ქცევას და საქციელს ამ წუთს არ ეტყობოდა არანაირი აჩრდილი წინანდელისა, და მაინც მის თვალში აპაო რჩებოდა „ფარდას მოფარებულ ქალად“, რომელიც რაღაცნაირად აფრთხობდა, და ხშირად არ ესმოდა, რა იმალება მისი სიცილის ან ცრემლების უკან!

ჭიქა გამსცალა და წამოდგა, დამშვიდობება დააპირა. აპაო-მ უთხრა, „როდისმე გამოიყვანე შენი

საცოლე, ერთად ვისადილოთ, აქ ყველას გვინდა მისი გაცნობა,“ და ჭუტი-ც დაიმონმა, მერე კი ცაიხუნგ-ის დასაძახებლად გავიდა, რომ ჩაკ-ს შეძლებოდა მადლობის თქმა და დამშვიდობება. ჭუტი-მ იხელთა მომენტი და ჩაკს ხმადაბლა უთხრა: „ეს ქალი რომ არა, რა გვეშველებოდა, აპაო ხომ მან გადაარჩინა!“

„როგორ, „გადაარჩინა“?“

„როგორ და პირდაპირ! აპაო-მ რომ იმხელა დანით გადაიჭრა ვენები, ცაიხუნგ-მა გააქანა კლინიკაში..“

ჩაკ-ს პირი ღიად დარჩა, და მის შემყურეს, ჭუტი-ს ისლა დარჩენოდა შეკითხვოდა, „შენ არც მისი განქორწინების ამბავი არ იცოდი?“

„ეს სულ ეხლახანს...“

„აგე, მოდიან!“ გააფრთხილა ჭუტი-მ, რადგან პირით მათკენ იჯდა.

ჩაკ-მა რის ვაივავლახით, დამახინჯებულად წარმოთქვა რალაც მსგავსი: „მე ძალიან მადლობა შენ!“ და გადაეხვია, მაგრამ ცაიხუნგ-მა თავი გაითავისუფლა და დაბნეულმა სთხოვა აპაო-ს, „ასე უთხარი, რომ ასე ნუ იზამს, არა ვარ ამას ჩვეული... რადგან ვერაფრით ვერ ეგუებოდა სიყვარულის და ალერსის ასეთ გამოხატვას სხვების თვალწინ, მაგრამ ჭუტი-მ დაამშვიდა, რომ „ამათთვის ეს იგივეა, შენ რომ ხელი ჩამოართვა“.

შემდეგ ჩაკ-მა აპაო გულში ჩაიკრა და დასძახა: „აბა, შენ იცი, თავს მიხედე! დაგირეკავ“.

აპაო-მ სიცილით ხელი ჰკრა და მოიშორა, „კარგი ერთი, ისე მემშვიდობები, თითქოს ცხრა მთას იქით მიემგზავრები!“ ჩაკ-მა თავი გაიქნია, ჭუტი-მ კი წარბები შეჭმუხნა.

„გავიგე თუ არა, რომ საცოლე ჰყავს, ვინანე რომ დავპატიჟეთ.“

აპაო წასვლას ჩქარობდა მეტროს დახურვამდე, ჭუტი სახლში წასვლის მაგიერ, ქალაქის დასავლეთ უბანში მიდიოდა, კომპანიის დაქირავებულ სასტუმროში, რაკი აქ მივლინებით იყო ჩამოსული, ასე ერჩივნა. სანამ აპაო-ს დაემშვიდობებოდა, აპაო-ს უთხრა: „დღეს რალაც უცნაურად იქცეოდი, არაბუნებრივად. რა იყო, მოხდა თქვენს შორის კიდევ რამე?“

„მე კი პირიქით, მომეჩვენა რომ რალაცნაირად დაიძაბა, როდესაც გვემშვიდობებოდა! შენ ხომ არ უთხარი რამე? ან იმან ხომ არ გითხრა?“

„რა უნდა მეთქვა, როცა საცოლედ ვილაც იანჭოუ-ელი მემჩანი დაითრია?...“

სი-ძი-კოდ ყოფნ არჩია!...“

აპაო გონებაში გაოცებული იმეორებდა: „მემჩანი დაითრია... სი-ძი-კო...“ – ასეთი სიტყვები არასოდეს სმენია მისგან.

„ჰო, რა გიკვირს? სასიძო რომ სასიმამროს ლაქუცს დაუნყებს, ესე არ იტყვიან?“

„როდის აქეთ ისწავლე ეს ჩინური გამოთქმა? ვისგან? ასე აქ არავინ მეტყველებს!“

„ძალიანაც სცდები, შანხაიში ეს ხშირად მსმენია.“

აპაო-მ თვალი ჩაუკრა და დიდის ამბით ჩაუმარცვლა: „ააა, გა-სა-გე-ბია! შენ აქ ნამდვილად რომანი გააბი აქაურ შან-ხა-ელ ვაჟ-ბა-ტონ-თან! რა, ესე არ არის?!“

„არა, რომანი ამაზე არ ითქმის, არც სასიყვარულო ინტრიგა... ისე, უბრალოდ, ვხვდები...“

„რა განსხვავებაა!“

„სწორედ რომ არის, ჩემო კარგო, და ძალიანაც დიდი! „ვხვდების“ რომ ვამბობ, ვგულისხმობ ურთიერთ სიმპატიას, სიტბოს...“

„კი, კი, კი, ეგ ვიცი!“ – სიცილით აჰყვა აპაო, „...სიყვარული კი სიცხეა, სნეულება, ადრენალინის აფეთქება.“! – მაგრამ უცებ, სიცილშივე, პარალელური აზრი გააუჩნდა: „მე ხომ მაქვს ეხლა უფლება ასე რომ „შევხვდე“? – და წარმოსთქვა კიდევ, და ჭუტი-მ მაშინვე დაარიგა:

„შედი ინტერნეტი: www.match.com, ყოველთვიურად 25 ამერიკული დოლარი დაგიჯდება. მე ჩინურად წერა მიჭირს და ამიტომ ინგლისური ვერსია ვარჩიე.“

„მოიცა, ეგ შენი აქაური ვაჟბატონი ინტერნეტით ამოიჩრჩიე, ა?“

„რა გიკვირს, რატომაც არა? დაგავინყდა, რა დროს ვცხოვრობთ? მსოფლიო ქსელის ხანაა... »

მეტროში შესასვლელი ხუაიხაი-ს ქუჩაზე იყო, ადრე ჟოფერის სახელს ატარებდა. მეტროს თავზე ცნობილ მაღაზია « პარკსონს » ვეება შენობა ეკავა, ისეთი დიდი იყო, რომ იქ შემსვლელს შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს მაღაზიაში კი არ შევიდა, არამედ რალაც მოედანზე აღმოჩნდა, რომელზეც პერიოდულად ესტრადასაც კი აღმართავდნენ ხოლმე და იქ ჯაზბენდები გამოდიან და მუდამ ხალმხმრავლობაა. ამიტომ, ეს ადგილი პოპულარული იყო, მოსახერხებელი იყო შესახვედრად და ეხლაც შიგ ბევრი ირეოდა.

იქვე გვერდით მაკდონალდსის კაფე იყო, სადაც თავისუფალ ადგილს ვერ ნახავდი. კაფეს წინ პატარა სკვერი გაეჭრათ, მისკენ რამდენიმე საფეხური აღიოდა, მარმარილოს ფართო ბორდიურით შემოღობილი. ვინც კი ჩამვლელი გამოჩნდებოდა, ყველა სიამოვნებით ჩამოჯდებოდა ხოლმე ამ ბორდიურზე და კიდევ ჭადრების ქვეშ გამართულ გრძელ სკამებზე.

ეხლა, ათი საათის შემდეგ, ისეთი ჭყლეტა აღარ იყო, მხოლოდ სკამებზე ჩამომსხდარი ხალხი რჩებოდა, ღამის სიოს და სიგრძელს ეშურებოდნენ.

კაფე „starbak-“ რომ ჩაუარეს, აპაო-მ ჭუტი-ს გაანდო: «წარმოგიდგენია, ერთი კვირის წინ აქ ლუნგ-ს შევხვდი და აქ ვისხედით, ყავა დავლიეთ...». ჭუტი-მ გაიოცა, „ასეთ ამბავს რატომ მიმალავდი?“ დაქალმა მხარზე ხელი მოუთათუნა: «როდის უნდა მეთქვა? ქალაქში ეხლა ჩამოხვედი და აკი გეუბნები კიდევ!»

«მოიცა, შენ მიხვედი მასთან?»

«არა, შემთხვევით შევხვდით...» - დაიწყო აპაო-მ და არ გაჩერებულა, მთელი ეპიზოდი ჩამოუკაკლა - «ასე ჰგონებია, რომ რესტორანში მუშაობა გაჭირებამ დამანყებინა და ჩეკი გამომიწერა...»

«მაგარი! პირდაპირ ძველი მელოდრამაა ეკრანზე!»

«კარგი ერთი, ნუ იცი ასე, რის მელოდრამა!»

«თორემ არა! მთელი ეგ თქვენი არეულობა და დავიდარაბა თითქოს ევროპული პოსტომოდერნის პროზაა!» აპაო-მ პასუხად მხოლოდ მხრები აიჩეჩა, ჭუტი-მ კი განაგრძო: «კარგი, მერე? ხომ გეყო ჭკუა, რომ ამპარტავნობის გამო ჩეკზე არ გეთქვა უარი?»

„კი, მაგდენი მესმის; საქმე რომ განქორწინებამდე მივა, მერე წინ უნდა დააყენო პრაქტიკული მიდგომა. მაგრამ ჩეკი კი არ გამოვართვი, მათხოვარი კი არა ვარ! აიღოს და ნება იბოძოს, ალიმენტები ჩარიცხოს ჩემს საბანკო ანგარიშზე, ჩვენ ხომ ამ ფულით ვცხოვრობთ.“

„ისე, აპაო, შენ მართლა მაგარი გახდი! თვალწინ იცვლები! მართალი გითხრა, შენი ახალი სახე მე-ე-ეტად შთამბეჭდავი და პროგრესულია!“

„ეჰ, ერთი იქ გენახე, თავისუფალი მაგიდის ლოდინში გვერდით რომ ვეჯექი, მაშინ ნამდვილად არ იტყოდი, „მაგარიო!“ იცი, საემარისია „სტარბაკის“ ტიპის კაფეში აღმოჩნდე, სადაც არ უნდა იყო, რომელ ქალაქშიც არ უნდა იყო - ყველგან ერთია ყველაფერი, ყავის არომატი, საფქვავე ავტომატების ჩხაკუნი, საათის ჩამორეკვის ხმაც კი: „დოონ!“ - და მაშინვე გახსენდება ადრინდელი სცენები, სიუჟეტები!... ეს ყველაფერი ისე... როგორ გითხრა?... გაფორიაქებს!...“

აპაო ჩამოჯდა, იოგას ფეხმორთხმული პოზა მიიღო. ბოლო ხანებში იოგამ გაიტაცა და სხეული ძალიან მოქნილი გაუხდა. ჭუტი-ს არ მოეწონა მისი ეს პოზა, მაგრამ სიტყვა არ შეანყვეტინა: „სტაციონარზე რომ ვსწავლობდი, ბიბლიოთეკაში ფეხის შედგმას ვერიდებოდი. მერჩივნა ამელო ჩემი კომპიუტერი და „სტარბაკის“ ხალხმრავლობაში დავმჯდარიყავი; ჩემნაირების ადგილი იყო, მარტოსულების, სიყვარული რომ აკლიათ და ენატრებათ, და მხოლოდ სწავლით რომ ავსებენ დროს. არა, იქ შეყვარებულებიც ისხდნენ ხოლმე, და რამდენს შურდა იმათი! ასე რომ, იქ ორი პოლუსის შეხების ნერტილი იყო: ბედნაკლებიც და ბედნიერებიც იქ თავს ერთად იყრიდნენ! ესეც შენი ცხოვრების პოლუსების ფილოსოფია!“

„ასე არ მიფიქრია. ნუთუ ასე სერიოზულად იყო საქმე?“

„რატომ უნდა გეფიქრა? შენ ისე იყავი ხოლმე დაკავებული, ყავისთვის სად გეცალა?!“ - ჭუტი გააკვირვა თავისივე როლმა, როგორც მოთმინებად ქცეული, ყურადებიანი მსმენელის. აპაო კი აგრძელებდა აღსარების ამ ნაწილს: „იქ ერთი მსუქანი გოგონა იყო, ჩვენი კურსელი. ხუთიდან ექვსამდე აუცილებლად უნდა ეყიდა ცივი მოკვა, თავზე ნაღებმოსხმული, უგემრიელესი რამ იყო, ვერ წარმოიდგენ! და კალორიებიც იმდენი ჰქონდა რომ ვერ წარმოიდგენ! ჰოდა, იმის შემხედვარე, მოკვას ავიღებდი? ამიტომ ჩემთვის დაბალკოფეინიან ყავას ვიღებდი და ამას ვჯერდებოდი... სანამ ლუნგ-თან არ დავინყე შეხვედრა.“ იმ პერიოდის გახსენებაზე სახე გაუნათდა, მერე კი დაამატა: „ეხლა რომ ვისხენებ, ჩვენ შორის სექსი ძალიან იშვიათი იყო, კაფეში ჯდომა გვერჩივნა. ეტყობა, არც მე არ მქონდა სექსის დიდი მოთხოვნილება - მაგრამ ეხლა მივხვდი ამის მიზეზს: იმიტომ რომ მასში არ ვგრძნობდი ამის მოთხოვნილებას. და მაშინ იყო რომ დავინყე ნაღებიანი მოკვას სმა, ოღონდ ჩუმჩუმად; თან გასუქების მეშინოდა, წარმოგიდგენია, და თან ვაგრძელებდი?!... რომ იცოდე, შიში მუდამ მქონდა რომ ეს ჩემი უსაზღვრო ბედნიერება რალაცის მაუნყებელი იყო... იმდენად ვტკბებოდი ჩემი განცდით, რომ... არა, ეტყობა წინათგრძნობა მაფრთხილებდა სავარაუდო შემობრუნებას.“

დაასრულა სიტყვა, „მაკდონალდის“ კაფეს შეხედა და შესთავა, „იქნებ ნაყინი გვეჭამო“ და წინ გაუძღვა, ჭუტი კი მისდევდა, აკვირდებოდა მის წინ მიმავალ მეგობარს და თავისთვის ფიქრობდა, შიშნარევად: „ჰო, შეიცვალა! ეხლა სხვანაირია... და მგონი ვკარგავ...“

აპაო-მ ორნაირი ნაყინი გამოიტანა, შოკოლადის და თეთრი, რომლის დანახვაზე, ჭუტი-მ შეაგება: „ოოო, გხსომებია რომ ვანილის მიყვარს!“

„გეგონა, აღარ მახსოვდა? არადა, ათი წელი გავიდა იმის შემდეგ... გახსოვს, მეორე კურსზე ვიყავი, რომ ხოსიულოში დავინყე ვარჯიში, ძველ კრივში, და ფეხზე ნეკი მოვიტეხე, თაბაშირში ჩამიდგეს. მაშინ მანის იყო, ცხელოდა, იქაურობ ყვავილებში იყო ჩაფლული, შენ და შენმა ბოიფრენდმა კი გადაწყვიტეთ ჩინეთში ტურისტად წასვლა და მივადექით ცნობილ ტურისტულ კომპანიას. ეხლაც, როცა ვუყურებ გოგონებს, ნაყინს რომ ენით ტლიკავენ, ჩვენი თავი მახსენდება და რალაცნაირად გულზე მეფინება ეს სურათი.“ ცოტა შეყოვნდა და დაამატა:

„ლუნთან შეხვედრამ შემანჯღრია, ბევრი რამ ამოტივტივდა მეხსიერებაში! სწორედ ამიტომ დავიბარე აქ ჩაკი“.

„მერე, ყველაფერი მოუყევი?“

აპაო-ს არაფერი უთქვამს, მხოლოდ მხრები აიჩეჩა, ჭუტი-მ უთხრა:

„იმათ კი გამოგიცხადა, რომ ცოლს თხოულობს? მე ვფიქრობ...“

„მე ვიცოდი რომ ჰყავდა ის ვილაც ქალი; უბრალოდ, მინდოდა, რომ რაღაცნაირად ეშველა...“

„ეშველა? როგორ?“

„შეიძლება გაგიკვირდეს, მაგრამ მინდოდა სექსი მქონოდა მასთან, მორჩა.“

ჭუტი კიდევ ერთხელ გააკვირვა მისმა სრულიად ახალმა და უჩვეულო სიმშვიდემ.

„ჭუტი-, შენ იქნებ არ გესმის ჩემი მდგომარეობა. იცი, ლუნგ-ს რომ შევხვდი, ხომ ვიცი რომ საერთოდ უნდა ამოვიგდო, მოვისროლო ჩემი ცხოვრებიდან – მაგრამ წარმოიდგინე, რომ მას რომ ვხვდავ, მაინც ვგრძნობ ერთგვარ აღგზნებას.... არა, მაინც ვერ ავიხსენი როგორც საჭიროა... არ ვიცი, სიტყვა ვერ მიპოვ-ნია...“

ჭუტი ფართოდ გახელილი თვალებით მიაჩერდა მეგობარს: „იცი, აპაო, უკვე გეტყობა რომ ის აღარა ხარ, დაასრულე ტინეიჯერობის ხან.“

„რა სისულელეს ამბობ, გესმის? იმ თვეს ორმოცის ვხდები, გესმის ორ-მო-ცის! ვის ახსოვს ტინეიჯერობა?! იმ ასაკს კი ოცი წელია რაც დავემშვიდობე!“

„უი, ნუთუ?!“ – ირონიულად მიუგო ჭუტი-მ, „ასე გგონია? იცი, მე კი სულ სხვას ვფიქრობ... მარტო იმას გეტყვი, რომ ჩემთვის ისევ ის უძვირფასესი ვინმე ხარ, რაც იყავი – ოღონდ ეხლა გაცილებით უფრო საინტერესო ქალად იქეცი!“ ცოტა დააყოვნა, მერე ხელი დაჰკრა მუხლზე და შეეკითხა: „ჩაკთან იმიტომ გადაწყვიტე ღამე გაგეტარებინა, რომ ლუნგ-ი წაგეშალა მახსოვრობიდან?“

„ვერ გეტყვი, არ ვიცი... ის კი ვიცი, რომ სრულფასოვანი მამაკაცი მჭირდება, ერთხელ ხომ მაინც უნდა გაიგო გემო ნამდვილი კაცის, გამოსცადო კაცთან ცხოვრება?“

ჭუტი-მ მხრები აიჩეჩა: „მე ასე ვხვდები, რომ ერთად არ დანოლილხართ?“

„მართალი ხარ, მითხრა რომ მეგობარ ქალს ცოლად თხოულობს და ცხადია, გადავიფიქრე!“

„ბოლოს და ბოლოს, გაიხედ-გამოიხედე, გარშემო ათასი ნამდვილი, მართლა კაცი ტრიალებს! რა გახდა ეგ შენი ჩაკი, რა დაიჩეჩე?!“

„კი მაგრამ, მე ხომ ეს ერთადერთი შანსი მქონდა. თან ჩაკი, იცი რით მანყობს? ის სუფთაა სულით და სხეულით, ჯანმრთელი, ჯანმარტივი კაცია...“

„მანყობს“ რას მიქვია? რა, ღამის გასათევ სასტუმროზეა ლაპარაკი თუ რაზე, არ მესმის?“

„კარგი, კარგი, „მანყობს“ არ უნდა მეთქვა...“

კაფეში შუქი კვლავ ენთო, ისინი ფანჯრებს შესცქეროდნენ, ოღონდ აპაო-ს ოდნავ დაბნეული და მეოც-ნებე გამომეტყველება ჰქონდა სახეზე...

28

ჩვეულებრივი სამუშაო დღე იყო, საღამოს ათი იყო დაახლოებით. „ცაიხუნგის“ რესტორანი დაიხურა. აპაო-მ უკანა გასასვლელიდან დატოვა შენობა და გზაჯვარედისაკენ გაემართა რომ გადაღმა კაფეში შესულიყო, რომელმაც სულ რამდენიმე თვეში გაითქვა სახელი, პოპულარული გახდა და ამიტომ მის შესასვლელთან არასოდეს ილეოდა ცარიელი ტაქსების რიგი.... რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც აქ იყო სინგაპურული სამზარეულოთი ცნობილი რესტორანი „დაბა კარი“. მას შემდეგ რაც რესტორნის პატრონს, პიტერს ინსულტი დაემართა, რესტორანი დაიხურა, შემდეგ ეს ფართი არენდით იქირავა მოდური ტანსაცმლის მაღაზიამ, მაგრამ ერთ წელიწადში ისიც დაიხურა და მაშინ აპაო-მ გადაიფორმა ის არენდით, კაფე-ბარად გადააკეთა, რომელიც ასევე პოპულარული გახდა, ხოლო „ცაიხუნგის“ სახელი კი უკვე ძალიან ბევრისთვის იყო ცნობილი.

თვითონ ცაიხუნგი ქმართან ერთად შარშან ავსტრალიაში გადავიდა საცხოვრებლად. ის კაცი, ვისაც ცოლად გაჰყვა, ხშირად დადიოდა მის რესტორანში, განსაკუთრებით უყვარდა გარეთ ეზოში, ტერასაზე ჯდომა, სუფთა ჰაერზე, ცის ქვეშ. ცაიხუნგი კი, მუდამ აივანზე მჯდომი და ქსოვით გართული, კარგა ხანს ასე ზევიდან აკვირდებოდა და ასეთნაირად, „დისტანციურად“ შეიყვარა. მათი ურთიერთობა უცნაურად განვითარდა, რადგან სულ სამი-ოთხი სიტყვა იცოდა ჩინურად.

როდესაც მეღბურნში მიემგზავრებოდა, აპაო-ს შესთავაზა რომ მას შეესყიდა რესტორანი, მაგრამ აპაო-მ მაინც იმაზე დაიყოლია, რომ შეენარჩუნებინა თავის უფლება უძრავ ქონებაზე:

„შენ ვერ წარმოიდგენ, ამას რა დიდი მნიშვნელობა აქვს, იმიტომ რომ ეს შენი საკუთარი, შენი მშობ-ლიური ქალაქია! შენ ვერასოდეს ვერ შესძლებ შანხაისთან სამუდამოდ გამოთხოვებას!“ – მხოლოდ იმას დასთანხმდა რომ დირექტორად დარჩენილიყო მის კუთვნილ რესტორანში.

აპაო-ს ბარის სწრაფი პოპულარობა ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, თუმცა დამგვემავის გემოვნება უკვე იქიდანაც ჩანდა რომ ბრწყინვალე ინტერიერს და ლამაზ აბრას მოულოდნელად შეუფარდა გემოვნებით შერჩეული კონტრასტული, თითქმის მბჟუტავი განათება, რაც ყველას ყურადღებას იქცევდა ირგვლივ მოჭახჭახე აბრების და რეკლამების კაშკაშში. ცისფერი ნეონის ინგლისური ასოები სეცესიური სტილის შენობის ლამაზ ფასადზე ორ სიტყვას პირდებოდნენ გამვლელებს: „Only Blue“. აპაო ვერ ძლებოდა ამ აბრის ცქერით, ეამაყებოდა, რომ ფერი და არსი ასე ლამაზად შეუფარდა ერთმანეთს, და საერთოდ, ლურჯი და მოცისფრო იყო ის ფერები, რომლებიც განსაზღვრავდნენ მთელ ბარის ინტერიერის გამმას, და არა მხოლოდ ინტერიერის, არამედ მუსიკისაც; იქ არ ისმოდა ხმაურიანი რიტმები და მუსიკა უფრო ხმადაბალი იყო, დაგუდული, ხოლო კლიენტურა – უფრო უცხოელები იყვნენ და კიდევ ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული თანამემამულენი... და ეხლა ამ ხალხში აპაო-ს ყურადღება უცხო ფიგურამ მიიპყრო – კაცი შესასვლელში იდგა და მშვიდად ათვალეერებდა იქაურობას.

„თქვენ... თქვენა ხართ, Uncle Pete?“ – აპაო შორიდან ვერ არჩევდა სახეს და მისკენ გადადგა ნაბიჯი. ისიც დაიძრა ადგილიდან და აპაო შეეკითხა, „ნუთუ ვერ მიცანით, მე ვარ, აპაო-!“

„ჰოო, ხმა ისევ ის გაქვს, არ შეგცვლია!“ ინსულტის შემდეგ მეტყველება შესცვლოდა, და სიტყვების გარჩევა ოდნავ ჭირდა.

„იცი, ხმა რომ არ ამოგელო, ვერც კი გიცნობდი... ისე შეიცვალე!“

„ვიცი, დავბერდი, არა? ჩვენ ხომ აგერ უკვე ოთხი-ხუთი წელია, რაც ერთმანეთი არ გვინახავს, ეს დიდი დროა, განსაკუთრებით, ქალებისათვის!“

იცინოდა და თან ცრემლებს ინმენდდა. პიტე შეცვლილი იყო, დაბერებული, დაჩაჩანაკებული, მოძრაობა უჭირდა.

„რამ დაგაბერა, გოგო? შენ ჯერ არ იცი რა ახალგაზრდა ხარ! ლამაზი ხარ, მეტიც – ელეგანტურიც!“ პიტერმა თავით-ფეხებამდე შეათვალეერა ცხოვრებაში გამოცდილი და ბევრისმნახველი კაცის თვალით; ქალის ამოცნობა კვლავ არ უჭირდა, სიბერემ ამ თვისებას ვერაფერი დააკლო.

„შემოდი, დავსხდეთ, რამე დავლიოთ!“ აპაო-მ ხელკავი გაუყარა და ცოტა მოქაჩა.

პიტერი შეყოყმნა: „არ ვიცი, ღირს კი? აქ ისეთი მოდური ადგილია, რომ...“

„ეგ აღარა თქვა!“ და შიგნით შეიპატიჟა..

კუთხეში დასხდნენ.

ოფიცანტმა სასმელების მენიუ შესთავაზა, პიტერმა ხელი აიქნია, „ინსულტის შემდეგ აღარა ვსვამ!“ გამოაცხადა, აპაო-მ კი ჯინ ტონიკი მოითხოვა, და პიტერი დაამშვიდა, „იქ სპირტი ნაკლებია.“ მოხუცი ხუმრობით გაუძალიანდა, „რა გინდა, ისევ უნდა გამალოთო?“

„მაშინ წვენი იყოს!“

„არა, წვენი ნამეტანი სამარხვოა, ისევ ჯინ ტონიკი ჯობია!“

აპაო-ს თვალნინ თითქოს კვლავ იბრუნებდა ადრინდელ სახეს მისი Uncle Pete, და ნელნელა უქრებოდა აღელვება.

დასაყოლებლად აპაო-მ სამხრეთამერიკული თხილი მოატანინა და წვენი, და მხოლოდ ეხლა შეიგნო პიტერმა რომ ბარი აპაო-ს ეკუთვნის, უშუალოდ ის განაგებს იქაურობას და საუბარი თავისთვად პიტერის ყოფილ რესტორანზე ჩამოვარდა, მერე „ცაიხუნგ-ის“, ბარზე...

პიტერმა აღიარა, რომ სანამ „დაბა კარის“ განაგებდა, ძალიან ბევრს სვამდა, ძილით ცოტა ეძინა, დასვენებას იკლებდა – მაგრამ ამას ისე ამბობდა, რომ არ ეტყობოდა, რომ ნანობს.. აპაო-მ აუხსნა, რომ შანხაიში ჩამოსვლისას გაიგო, რომ მას უკვე გაეყიდა თავისი რესტორანი და სადღაც წასულიყო, მაგრამ ვერავინ ასწავლა პიტერის ადგილმდებარეობა; ერთადერთი, რაც დანამდვილებით გაიგო, ის იყო რომ პიტერი ავადაა.

ეხლა პიტერის ჯერი დადგა კითხვების, მოიკითხა, მერე ეს უთხრა:

„ქმარს რომ გაშორდი, მაშინვე გავიგე და ძალიან გამიხარდა, გულზე მომეშვა, კიდევ ვიფიქრე, რომ „მორჩა, ეშველა მეთქი აპაო-ს!“

აპაო-მ გაიფიქრა, „მეშველა კი?“

პიტერმა ყურადღება ინტერიერზე გადაიტანა და საქებარს გულუხვად არიგებდა: „არა, კი მოაღწია ჩემს ყურამდე რომ ეს ადგილი პოპულარულია, და Blue Note-ის საფირმო ქსელს ეკუთვნის, მაგრამ ასეთი თუ იქნებოდა!“ აპაო-ს რომ შეხედა, ვერ გაიხსენა, ოდესმე თუ ენახა ასე გახარებული და ნასიამოვნები.

„იცი, ეს Blue Note ერთმა კლიენტმა გვიჩნია.“

„ამერიკელმა?“

„კი, ნიუ იორკელია, მაგრამ წარმოშობით ჰონკონგიდან არის, ნიუ იორკის უნივერსიტეტში აქვს დაცული დოქტორის ხარისხი. მან მითხრა, რომ ზუსტად ასეთი დასახელების ბარი იყო მის უნივერსიტეტის ახლოს..“

„კი, ვიცი, ბლიკერ სტრიტზე; იქ გინდ დღე იყოს, გინდ ღამე – კლიენტთა რიგი იქ არ კლებულობს.“

„ვანი, რამდენი ხანი არ მომისმენია თქვენი საუბარი! რა კარგად იცით ყველაფერი!“

„როგორ არ მეცოდინება, როდესაც ორი წელი ჩინური სადილები დამქონდა down town-ში! ხუთი თითი-ვით ვიცი იქაურობა!“

აპო-მ თავი გააქნია, „ააა, მაგრამ ჩემს ამ ბარს ხომ ვერაფრით ვერ შეადრი ნიუ იორკისას?“

„რატომ, Blue ხომ ნახსენებია!“

აპო-ს უცებ მოესმა ის სიმღერა, რომელიც დიდი ხნის წინათ იცოდა, და რაც უფრო გულსაკლავად ეჩვენებოდა სიტყვები, მით უფრო ითავისებდა – ოღონდ მისი მოსმენა მარტოობაში უყვარდა, არა კაფეებში და დანსინგებში.

პიტერმა ეხლა მისი ამბები იკითხა, ბავშვები როგორა ჰყავს, ვინ უვლის.?

აპო-მ მოკლედ მოახსენა დედამთილზეც, ძიძაზეც, რომ პატარა უკვე სკოლის ასაკის გახდა, ხოლო უფროსი უკვე საშუალო სკოლას ამთავრებს.

პიტერმა გაოცებულად ჩაიბურტყუნა, „როგორ გადის დრო, პატარა – სკოლაში!“ მერე ლუნგ-ზე შეეკითხა, „თუ გაქვთ მასთან რაიმე კონტაქტი?“

„მხოლოდ დედამისს და ბავშვებს. ის უფრო ხშირად ტაილანდშია... შენ ჯობია შენი ამბები მითხრა, სადა ხარ ეხლა?“

„იცი, ერთხანს ლოს ანჟელესში ვცხოვრობდი, იქ მიმკურნალეს და რაც კი რამ შელავათი არსებობს მოხუცებისთვის ამერიკაში, ყველაფერი გამოვიყენე, მაგრამ მე მაინც ძალიან შევეჩვიე შანხაის ხმაურს და ჩოჩქოლს! სიჩუმე და სინყნარე უფრო მანუხებს, ვიდრე მამშვიდებს!...“

პიტერი დადუმდა და ეხლა ორივემ მიუგდო ყური ნაცნობ სიმღერას, რომელიც შანხაიში ყოველ ფეხის ნაბიჯზე ისმოდა, მაგრამ ამის მიუხედავად, ყოველ მოსმენაზე წარმოსახვას აღელვებდა და გულს ხვდებოდა:

Do you smile to tempt a lover, Mona Lisa,

Or is this your way to hide a broken heart?

Many dreams have been brought to your doorstep

They just lie there and they die there,

Are you warm, are you real, Mona Lisa?

პიტერი ღიღინით აჰყვა და ჩანდა რომ ასაკს არ ემოქმედა მის იდეალურ სმენაზე – მხოლოდ მოხუცის ბზარნარევი ხმა ღალატობდა და აღარ გავდა მის ძველ რბილ ბარიტონს.

რომ დაასრულა სიმღერა, შენიშნა: „მაინც, რა უცნაურია – ეს სიმღერები როდის იყო მოდაში, ხომ წამოგდგენია! – და დღესაც ყველა თაობის მსმენელს გულს ხვდება მათი მელოდია. ჩემს ახალგაზრდობაში ნატ კინგ კოლი იყო ზენიტში, ნამდვილი ვარსკვლავი იყო ჯაზის!“

მერე გახსენების აღელვება თითქოს ჩაუქრა და სევდიანი ხმით განაგრძო: „ერთხანს, როდესაც ჩაინა ტაუნში რესტორანი მქონდა გახსნილი, იქვე უბანში ერთი მოხუცებული წყვილი ცხოვრობდა და სადილს ყოველთვის შინ მიტანით გვიკვეთავდნენ, მანსარდაში, ვეება სანყობის სახურავქვეშ. მაშინ ყველაფერი იაფი იყო. ქმარი უოლსტრიტზე მსახურობდა, ცოლი კი მოდელიერი იყო, კერავდა, ლექსებს წერდა... ხშირად მართავდა ხოლმე მიღებებს. ძალიან რომანტიული პიროვნება იყო. თვეში ორჯერ-სამჯერ მაინც მიწევდა მათთან სადილების ან ვახშმების მიტანა, ზოგჯერ შუალამის საუზმეც მიმქონდა. ყოველი მისვლა იქ ჩემთვის რალაც თავგადასავალს ნიშნავდა. იმ პერიოდში ქუჩები სულ გადატენილი იყო, ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციებს მართავდნენ, ჰიპები დადიოდნენ ჯგუფად და მღეროდნენ... მათში გზის გაგნება ომში ბრძოლის ტოლფასი იყო, მაშ!.. მივიდოდი მათთან და – წარმოიდგინე, უზარმაზარი სანყობი, სუუულ ცარიელი, გინდ ბურთი ითამაშე, მაგრამ ის სივრცე სავსე იყო – იცი რით? – ბგერებით, ნოტებით! ნატ კინგ კოლის სიმღერებით და ის ბგერები ავსებდნენ...“

„ბგერები ავსებდნენ? – ეხლა ორივე ერთად იცინოდა.

„ეს ჩემი გამოთქმა არაა, ის ქალბატონი ამბობდა ასე. მათი სანყობი უბრალოდ, დიდი კი არ იყო! შიგნით, სიმაღლით, სამ-ოთხ სართულიანი სახლი ჩაეტეოდა! ავეჯი თითქმის არც ჰქონიათ, და ამიტომ თვით სახლი იქცა ერთ სუპერ-აკუსტიკურ დინამიკად და ბგერები ყველა კუთხიდან გიბრუნდებოდნენ. ამ გამოცხილის და ექოს გამო კიდევ იტყოდი რომ „ბგერებმა გაავსეს!“ „თუ გაავსეს, ესე იგი, იღვრებიან, არა?“ – მეკითხებოდა ხოლმე.“

„Uncle, შენ ნამდვილად მოგწონდა, არა?“ და შეატყო კიდევ, რომ პიტერს არ ეხუმრებოდა ამ მოგონებაზე.

პიტერმა ასწია ჭიქა და შესთავაზა, „მოდით, დავლიოთ!“ – და მერეღა შეამჩნია, რომ ჭიქა ცარიელი იყო. მაგრამ შევსება აღარ მოინდომა: „შენ დალიე, მე ჩემი დასალევი რაც მქონდა კარგა ხანია დავლიე! ეხლა ესლა მრჩება, მოგონებები.“

„შენც მოიგონე და გაიხსენე, „მოგონებებით სავსე“ – სცადა მისი გახალისება აპო-მ და ოფიცინტის სთხოვა მინერალური წყალი და ცოტა რამ ხილი მოეტანა, თვითონ კი მივიდა დახლთან რომ ყინულზე დასხმული ვისკი აელო.

როცა დაუბრუნდა მაგიდას, შეეკითხა:

„მერე? მერე რამე მოხდა თქვენს შორის, რა მოჰყვა ამ ამბავს?“

პიტერმა ნელა გააქნია თავი.

„მერე“ არაფერი არ ყოფილა, და ვერც იმას ვერ შეეკითხები. არც არასოდეს გექნება ამის საშუალება, იმიტომ რომ იმან თავი ჩამოიხრჩო... დეპრესია ჰქონდა. გარდაიცვალა.“

პირთან მიტანილი ხელი ჰაერში გაუშეშდა, მაგრამ გარეგნულად მაინც ინარჩუნებდა სიმშვიდეს.

„ეს შენი Uncle, სინამდვილეში, ტლანქი კაცია, სულ არ არის დახვეწილი... ხომ ხედავ, ყველაფერი და-
ვინწყებული მქონია და ნატ კინგ კოლის სიმღერა რომ არა, ეგებ არც გამხსენებოდა. ამ ქვეყნად ყველაფერი
იცვლება. აი, აქ ხომ იყო ჩემი „სათამაშო მოედანი“, - ეხლა შენია!... განა შეიძლება რომ ბედის არ გწამდეს?“

აპაო-მ უხმოდ დაუკრა თავი. პიტერმა ბარის დახლისკენ მიუთითა: „შენ აქ შეეჩვიე სმას? მოგწონს
დალევა?“

„არა. ეხლა მე ჩემი კაფე-რესტორანი მაქვს, მაგრამ საერთოდ არა ვსვამ; დღეს ასეთი უიშვიათესი
შემთხვევაა.“

„შორო. მე კი არასოდეს მინახივხარ რომ სვამდე.“

„ვერც მნახავდით. თქვენ კი არა, არც ლუნგ-ს არ უნახავს...“ – ეს თქვა და თვითონ გაიოცა ეს შეუც-
ნობელი ამონასროლი, „ის რისთვის ვახსენებ?“

„მაშ, გამოდის რომ გათხოვებამდე უკვე კარგა ნაცადი ვინმე ყოფილხარ?“

„არა, ოცდაერთ წლიდან გვექონდა უფლება დაგველია მაგარი სასმელები. მაშინ სტუდენტები ჯგუ-
ფად დავეხეტებოდით ბარებში, მაგრამ ბიჭები სმით ისე არა სვამდნენ, უფრო არევ-დარევა უყვარდათ.
გათხოვების შემდეგ თითქმის აღარ დამიღვია. ერთი-ორი წლის წინ ისევ გამიჩნდა დალევის სურვილი, თან
აუცულებლად უნდა დავმთვრალიყავი.“

მერე დამარტყა თავში, „ვაითუ ბავშვებმა შეამჩნიონ, უკვე დიდები არიან!“ შარშან ჩავუდექი სათავეში
ამ ბარს და იმას აქეთ ნვეთი არ დამიღვია. დღეს კი შენი ნახვის დღეა, ხომ გესმის! იცი როგორ მიხარია,
რომ გხედავ?“

„ეეე, დამნაშავეა შენს წინაშე ეგ შენი Uncle, ვიცი რომ ბრალი მიმიძღვის!“

„არა, რას ამბობ?! ეგ არც კი იფიქრო!“

„რაღა, 'რას ვამბობ'? მაშინ ხომ არ დაგეხმარე..“

„უი, რომ იცოდე, იცი როგორ დამეხმარე, იცი?!“ – და გაუღიმა, „მაგრამ ბევრი რამ ჩვენზე არ არის
დამოკიდებული, ან ვის ძალუძს ბედს კრიჭაში ჩაუდგეს?“... მოდი, დავლიოთ..“

პიტერმა წყალი მოიყუდა, აპაო-მ კი უხერხულად გაჰკრა ხელი ჭიქას და ვისკი მაგიდაზე დაექცა.

პიტერმა ხელსახოცი მიაწოდა.

თენდებოდა, როდესაც თავი ასწია. სახე სველი ჰქონდა, დაღვრილი ვისკით მოსვრილი. პირი მოიწმინ-
და და შეამჩნია რომ ისევ იმ მაგიდას ეჯდა. არც იცოდა, რომ ბარიდან არ იყო გასული. ეხლა აქ უჩვეულო
სიჩუმე სუფევდა, ფანჯრის მიღმა კი ირწნოდა რძისფერი ნისლი. თავბრუ ეხვეოდა. მოსწყურდა, არეული
ნაბიჯით მივიდა დახლთან და მაგიდას რომ დაუბრუნდა, მერეღა შეამჩნია პიტერის დატოვებული ბარათი,
ზედ კალამი იდო. ასოები დიდრონი იყო, ჩანდა რომ დამწერი გულუხვი კაცი იყო და ხელწერაც ასე, მსუბ-
უქად ეხერხებოდა:

ნავედი, აპაო-. იცი, კმაყოფილებით მივდივარ.

ბებერი კაცი ვარ და ავადმყოფი, და აღარ ვეკუთვნი ამ ქალაქს.

დღეს მოვედი მასთან დასამშვიდობებლად.

სულ არ მეგონა რომ შენ დამხვდებოდი. კიდეე კარგი!

აპაო, მთელი არსებით მიხარია, რომ ასე კარგად აიწყე ცხოვრება!

მაგრამ ისიც შეგამჩნიე, რომ ტკივილი ბუდობს შენს გულში

და ვიცი, რომ დრო გიშველის,

გავა ხანი და დარწმუნდები, გულზე რომ მოგეშვება!

აბა, შენ იცი, თავს გაუფრთხილდი! ბავშვები დამიკოცნე.

შენი Uncle-ის დანატოვარი

აპაო-მ ჭიქა ისევ გაივსო და წყალს დაენაფა. ნუხანდელ სასმელივით სვამდა. ლოყაზე ნელა დაგორდა
ცრემლი. წყალს ყლაპავდა, ცრემლი სდიოდა, თითქოს თვალებიდან ეღვრებოდა დალეული წყალი და ასე
იყო, ნელნელა დავიდა მის შეგნებამდე წყლის და ცრემლების ასეთი შენაცვლება, და არ გაჰკვირვებია...

თანგ ინგ - მოიხსენიება თანამედროვე ნარმატიულ მწერალთა შორის.

დაიბადა 1961 წელს შანხაიში. 1982 წელს დაამთავრა შანხაის უნივერსიტეტის ფილოლოგიური

ფაკულტეტი.

დანერვილი აქვს რამდენიმე ვრცელი რომანი, მოთხრობები, კინოსცენარები, ესსეები სხვადასხვა ჟანრში.

ხშირად იბეჭდება; არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მწერალთა კავშირის წევრი, რამდენიმე უმაღლესი ჯილდოს ლაურეატი. ერთ-ერთი ავტორია წამყვან მწერალთა შორის, რომელთაც აერთიანებს საერთო ინტერესი და თემატიკა: ახალგაზრდობის ცხოვრება და ფსიქოლოგია, გენდერულ პრობლემები, გლობალიზაციის და გახსნილობის პერიოდი.

რამდენიმე სხვა ქალმწერალთან ერთად დაიმსახურა კრიტიკოსებისაგან შერქმეული სახელი: „ქალთა ლიტერატურის პლეადა“. ამ კატეგორიის ავტორები ისწრაფიან სპეციფიკურ საკითხებისკენ: ქალის როლი საზოგადოებაში, ოჯახში, პირადი თავისუფლება, სექსუალური ცხოვრება პიროვნულობისა და პირად თავისუფლების საზღვრები.

ამ ჯგუფის გამაერთიანებელი ნიშნებია სტილი, ფსიქოლოგიური ანალიზი, სიყვარული, დედობა... მათ საერთო პლიუსად უნდა აღინიშნოს მათი უნარი, შეინარჩუნონ საკუთარი სტილი და მანერა, რაც ავტორიტეტს მატებს მათ როლს საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში, და ეს მთლიანად შეესატყვისება თანგონის ადგილს ჩინურ ლიტერატურაში.

ეს მოთხრობა დაიბეჭდა 2010 წელს ცნობილ ლიტერატურულ ჟურნალში „შუოუხუო“ ანუ „მოსავალი“ (2010, #5) A literary bimonthly HARVEST index ISSN 0583-1288)

თარგმანი შესრულებული ძალზე უმნიშვნელო შემოკლებებით.

მოქმედი პირები:

აპაო, პაო: ქალიშვილი, ქალი, ცოლი, დედა – მთავარი მოქმედი პირი. დაიბადა ჩინეთში, ბავშვობა და ყრმობა აშშ-ში გაატარა, უმაღლესი განათლება იქ მიიღო, მერე დაბრუნდა ისტორიულ სამშობლოში. სიყვარული, გათხოვება, სამი ბავშვი, განქორწინება.

ლუნგ-ი – მისი მეგობარი, ქმარი, ჰომოსექსუალისტი, სინგაპურელი ჩინელი, გაიზარდა და სწავლობდა აშშ-ში.

ლი სიუფენგ-ი – ლუნგ-ის დედა, აპაო-ს დედამთილი, სინგაპურელი ჩინელი,

პიტერ – აპაო-ს მამის მეგობარი, ეთნიკური ჩინელი სინგაპურიდან, რესტორნის მეპატრონე ამერიკაში, მერე სინგაპურის რესტორნის მეპატრონე შანხაიში.

ჭუტი – აპაო-ს მეგობარი, დედით ჩინელი ამერიკელი.

ჩაკ-ი – აპაო-ს მეგობარი და ყრმობის პერიოდის შეყვარებული, უმაღლესის დამთავრების შეემდეგ ჩინეთში მოღვაწეობს.

ცაიხუნგ-ი – აპაო-ს მეგობარი ქალი, ტავერნის და რესტორნის მეპატრონე შანხაიში; დაბალი სოციალური ფენიდან, საცხოვრებლად გადადის ავსტრალიაში.

მთარგმნელები ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი და კონსტანტინე გოგოლაშვილი



თავსხმა

雷雨

მოქმედი პირნი

კუ ნაინაი	I მოლოზანი (ეკლესიის)
კუ ნაინაი	II მოლოზანი (ეკლესიის)
უმცროსი და	15 წლის
უმცროსი ძმა	12 წლის
ჭოუ ფუიუენ-ი	ქვანახშირის კომპანიის გამგეობის უფროსი, 55 წლის
ჭოუ Fანი	ჭოუ ფუიუენ-ის ცოლი, 35 წლის
ჭოუ ფინგ-ი	ჭოუ ფუიუენ-ის ვაჟი პირველი ცოლისგან, 28 წლის
ჭოუ ჩუნგ-ი	ჭოუ ფუიუენ-ისა და ჭოუ Fანი-ს ვაჟი, 17 წლის
ლუ კუეი	ჭოუ-ს კარ-მიდამოს მსახური, 48 წლის
ლუ შ'ფინგ-ი	ლუ კუეი-ის ცოლი, 47 წლის, ქალთა სკოლის გადია
ლუ ტახაი	შ'ფინგ-ის ვაჟი პირველი ქმრისგან, ქვანახშირის მალაროს მუშა, 27 წლის
ლუ ს'Fენგ-ი	ლუ კუეი-სა და შ'ფინგ-ის ქალიშვილი, 18 წლის, ჭოუ-ს სახლის მსახური
ჭოუ-ს	კარ-მიდამოს მსახურნი – I, II, ... მოხუცი მსახური

დეკორაცია (სურათი)

პროლოგი	ეკლესიის მფლობელობაში არსებული საავადმყოფოს ერთ-ერთი განსაკუთრებული სასტუმრო ოთახი. ზამთრის ერთი დღის მეორე ნახევარი.
I მოქმედება	10 წლის წინ, ზაფხულის ერთი ჩახუთული ადრიანი დილა. ჭოუ-ს რეზიდენციის სასტუმრო ოთახი (ეს პროლოგში აღწერილი სასტუმრო ოთახია, იგივე დეკორაციით)
II მოქმედება	სცენის დეკორაცია უცვლელია. იმავე დღის მეორე ნახევარი.
III მოქმედება	ლუ-ს ოჯახში. ერთი პატარა გვერდითი ოთახი. იმავე დღის საღამო. 10 საათს ოდნავ გადაცილებული დროა.
IV მოქმედება	ჭოუ-ს სახლის სასტუმრო ოთახი. იმავე დღის შუა ღამე. 2 საათი.
ეპილოგი	10 წლის წინანდელ წარსულში დაბრუნება. ზამთრის ერთი დღის მეორე ნახევარი. დეკორაცია პროლოგის დეკორაციის მსგავსია. (პირველიდან მეოთხე აქტის ჩათვლით მოქმედება ერთი დღის განმავლობაში მიმდინარეობს).

პროლოგი

ერთი დიდი სასტუმრო ოთახი. ზამთარი. შუადღის სამი საათი. ეკლესიის მფლობელობაში არსებული საავადმყოფოს ერთ-ერთი განსაკუთრებული სასტუმრო ოთახი.

ოთახის ცენტრალური, ორკარედანი ყავისფერი მძიმე კარი გარეთ გასასვლელია. კარზე ამოკვეთილია ნახევრადვეროპული, ძველი ორნამენტები. კარების წინ ჰკიდია ძველი, მუქი ფერის ფარდა, გაცვეთილი ნახატობით. ერთ ადგილას ორნამენტი ამოჭმულიცაა. მარჯვენა მხარეს – (მხარეები მსახიობების პოზიციის მიხედვით განისაზღვრება) ერთკარედიან კარს ავადმყოფთა პალატაში შეეყავართ. ლაქი კარებზე ჩამოკვენილია. თითბრის სახელურის ბზინვარება ჩამქრალა. კარის ჩარჩო რუხი ფერისაა, გულები კი – ძველმოდური, დასავლური შესამკობლებით. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ სახლის პატრონს უცხოეთში უსწავლია და უკან დაბრუნებული ისევ მდიდარია. კარის წინ ჰკიდია ნახევრადგაცვეთილი, გახუნებული, მუქი იისფერი ხავერდის ფარდა, ჩამოძენილი ქობით, რომელიც ძირს ეთრევა. მარცხენა კარები, ასევე ორკარედიანი – სასადილოს უკავშირდება, სასადილო – შენობის გარეთ გამავალ კიბეს. მარცხენა კარები კიდევ უფრო მდიდრულია, უფრო მუქი და ძველებური ყაიდის, ვიდრე შუა. დროდადრო კარის გაღება მისი სიმძიმის გამო, მავანის შესვლა-გასვლა იატაკის ჭრაჭუნს იწვევს, რაც შემდეგ მოლივლივ ბგერებად იშლება და მრავალჭირგამოვლილ, მდუმარე, კეთილგანწყობილ მოხუცს ემსგავსება. ეს კარები ფარდით შეუმოსავი, ჩამოკვენილი ლაქით, მიმქრალი სანთლის ნალვენთარის დარია. შუა კარის მარჯვენა კარედის გვერდით, კედელში ნიშაა, წმინდანების ფიგურების დასაფანებლად. ნიშა შიგნიდან მრავალნახნაგოვანი ფორმისაა, გარედან კი ნახევარწრის შთაბეჭდილებას ტოვებს. ნიშის სიმაღლის ნახევარზე მეტზე, ნახნაგები ფრანგული წაგრძელებული ვიტრაჟებით გაუმშვენებიათ. თითოეული მათგანი დახვეწილ მაქმანის შთაბეჭდილებას ტოვებს. ნიშის იატაკთან შეხების ადგილი ნახევრად მომრგვალებულია შემალღებული ფიცრის დაფით. მასზე შეიძლება როგორც ნივთების განლაგება, ასევე ჩამოჯდომა. ნიშის წინ ფარდაა ჩამოფარებული, რაც აბრკოლებს ოთახში მზის სხივის შემოჭრას, ამიტომ ოთახი პირქუშ, შეხუთულ სივრცედ ქცეულა. სპექტაკლის დაწყებისას ნიშის ფარდა დახურულია).

კედლები მუქი ყავისფერი, გახუნებულია. ოთახში ყველა ნივთი მდიდრული, მაგრამ დრომოჭმულია. მარჯვენა კედელში (ცოტაოდენ რამპისკენ) დატანებულია კედლის ღუმელი, მოპირკეთებული მართკუთხედის ფორმის მარმარილოებით, ინკრუსტირებული ფერადი ვარსკვლავებით ბრწყინვალე ქვებით. ბუხრის თავზე სიცარიელეა, მხოლოდ ჰკიდია ჯვარცმული ქრისტე. ახლა ბუხარში ცეცხლი ძლიერ, წითელ ალებად იწვის, ოთახის მთელი სივრცე მოუცავს. ოთახში სითბო თუმცა უმნიშვნელოა, მაგრამ სიცოცხლის განცდა გეუფლება. მის ნათებაში ნახევრადმრგვალი ფორმის სავარძელი ჩანს. ბუხრის გვერდით უხეში სადგარია, ქვანახშირითა და წვრილ-წვრილად დაპობილი შემით. მარჯვენა კარის მარცხენა მხარეს ჰკიდია გრანულიზებული გამოსახული სურათი. იქვე, ოთახის კუთხეში ჩაშენებულია 3-4 ჩი-ს (მეტრის მესამედი) სიგრძის ზედაპირი, რომლის მახლობლად დგას პატარა, ერთნახევარი ადამიანის სიმაღლის, ძველებური, მუქი ფერის სანდალოზის ხის ტანსაცმლის კარადა, რომლის კუთხეები გამშვენებულია სპილენძის ფირფიტებით. კარადაზე, სპილენძის ხონჩაზე დგას თერმოსი ადულებული წყლისათვის, ორი თეთრი ფერის ფინჯანი. კარადის წინ აგია მოგრძო ფორმის ფიანდაზი, რომელზედაც კარადის პარალელურად დგას ერთ დროს სადეკორაციოდ გამოსაყენებელი, ძალზე დაბალი, მოგრძო ფორმის სანდალოზის ხის მაგიდა, რომელიც, შესაძლოა, გამშვენებული იყო ფაიფურის ლარნაკებითა თუ ანტიკვარული, ანდა დახვეწილი ფორმის სამშვენისებით. ამჟამად მაგიდა გადავსებულია გაქათქათებული სუფრებით, ზენრებითა და ა.შ. ნივთებით. ეტყობა, თეთრეული სამრეცხაოდან ეს-ესაა გამოიტანეს და ჯერაც არ დაუბინავებიათ. მაგიდასა და კარადას შორის დგას მრგვალი ფორმის ტაბურეტი. ბუხრის მარცხენა მხარეს (ცენტრალური შემოსასვლელის მარჯვენა მხარეს) მართკუთხა ფორმის, წითელი ხის სასადილო მაგიდა, ორი ძველი შანდალით. კედელზე ჰკიდია ზეთის საღებავებით შესრულებული დიდი ნახატი ძველი ოსტატების ყაიდაზე. შუა კარის მარცხენა მხარეს დგას დახვეწილი, სანდალოზის ხისაგან ნაკეთი შემინული კარადა. როგორც სჩანს, შიგნით იყო ანტიკვარული ნივთები, მაგრამ ახლა ცარიელია. კარადის წინ დგას ვინრო, გრძელი სკამი. მარცხენა კუთხესთან ახლოს – მუქი ფერის დივანი. მის წინ – ჩაის მაგიდა, დივანის მარცხნივ ყვითელი ფერის ტორშერი. მის წინ კედელი უკანა კედელთან ქმნის მართკუთხეს. მარცხენა მხარეს კედელში ნიშაა, ამ ნიშაში დგას კიდევ პატარა მაგიდა, მის თავზე კი პატარა ფერწერული ნახატი. ამ მაგიდის სიახლოვეს, ოდნავ მარცხნივ, სასადილოში გამავალი კარია. ოთახის შუაგულში ხალიჩა აფენია. მასზე, ერთმანეთის პირისპირ, ოდნავ დაცერავებით დგას ორი დიდი რბილი სავარძელი. მათ შორის კი – თეთრსუფრაგადაფარებული პატარა, მრგვალი მაგიდა.

[ფარდის გახსნას ახლავს შორიდან ზარების რეკვის ხმა და საგალობლები ორგანის გარეშე, დიდებულია Bach: High Missa, in B Minor, Benedictus qui venit in Nomine Domini. ოთახში სულიერი არ ჭაჭანებს. სიმშვიდეა.]

[გადის დრო. ოთახის ცენტრალური მძიმე (მასიური) კარი ნელ-ნელა იღება, შემოდის | მოლოზანი. მისი ქათქათა, თეთრი თავსაბურავი კათოლიკური მონასტრის მოლოზნების თავსაბურა-

ვის მსგავსია. თავსაბურავის გარეშე მოლოზანი ჰოლანდიელ გლეხის ქალს ემსგავსება. შესამოსელი მუქი ლურჯი, უხეში მაუდის ქსოვილისაა, რომლის ქობა ძირს ეთრევა. მკერდზე ჯვარი ჰკიდია. წელზე გასაღებების დიდი ასხმა აქვს შემორტყმული და სიარულისას ჟღარა-ჟღურს გამოსცემს. მშვიდად მოძრაობს და სახეზეც სიმშვიდე გადაჰფენია. შემოსვლისთანავე კარისკენ ტრიალდება...

- I მოლოზანი: (მომღიმარი სახით) შემობრძანდი. (შემოდის ფერმკრთალი მოხუცი კაცი, შემოსილია ნატიფი, მაგრამ დრომოჭმული ქურქით. კარებშივე იხდის ქუდს. თმაში ჭალარაშერეული, მშვიდი, დარდიანი თვალებით. ნიკაპზე თეთრი მოკლე წვერითა და ნაოჭიანი სახით, ოქროსჩარჩოიან სათვალეს შემოსვლისთანავე იხსნის და ბუდეში დებს. ხელები ოდნავ უკანკალებს, იფშვნიტავს, ორჯერ სუსტად წამოახველებს. გარედან მუსიკის ხმა აღარ ისმის, წყდება.)
- I მოლოზანი (ლიმილით) გარეთ ძალიან ცივა!
- მოხუცი (თავს უქნევს) ჰმ! (მზრუნველობით) – ხო მართლა, როგორ არის?
- I მოლოზანი (თანაგრძნობით) კარგად.
- მოხუცი (უხმოდ მიუთითებს ზედა სართულზე) ის?
- I მოლოზანი (სიბრალებლით) ისევ ისე (ჩუმად ამოიხრებს).
- მოხუცი (მშვიდად) მე ვფიქრობ, ადვილი არაა მისი განკურნვა.
- I მოლოზანი (თავაზიანად) თავდაპირველად ჩამოჯექით, გათბით, შემდეგ მოინახულეთ.
- მოხუცი (თავს გააქნევს) არა, (მიდის მარჯვენა მხარეს პალატის მიმართულებით)
- I მოლოზანი (მიდის პირდაპირ) თქვენ არასწორად მიდიხართ, ეს ოთახი ბებია ლუ-ს პალატაა, თქვენი მეუღლე ზედა სართულზეა.
- მოხუცი (შეჩერდა, დაბნეულია) მე... მე ვიცი (მიუთითებს მარჯვენა მხარის პალატაზე). მე ახლა შემიძლია მისი ნახვა?
- I მოლოზანი: (ალერსიანად) მე არ ვიცი... ბებია ლუ-ს პალატას სხვა მომვლელი ემსახურება, ვფიქრობ, იქნებ პირველად აბრძანდეთ ზედა სართულზე, უკან მობრუნებისას კი ეს მოხუცი ქალბატონი მოინახულოთ.
- მოხუცი (დაბნეული) ჰმ, იყოს ნება თქვენი.
- I მოლოზანი გამომყევით.
(I მოლოზანი მიუძღვის მოხუცს მარცხენა კარისაკენ, სასადილოს გავლით ზედა სართულზე.) (ოთახში მცირე ხნით სიჩუმეა. გარედან ისმის ნაბიჯების ხმა. II მოლოზანს მოჰყავს ორი პატარა ბალლი, შემოდიან. ეს მოლოზანი გაცილებით ახალგაზრდა და მოძრავია, თუმცა მისი ტანისამოსი I მოლოზნის მსგავსია. შემოსული ბავშვები დაძმანი არიან. და – უფროსია, ძმა – უმცროსი. ბალები საზამთროდ, ახალ ტანისამოსში არიან გამოწყობილნი. დაწითლებული ლოყებით, ჩამრგვალებულნი. და 15-ოდე წლისაა, ზურგზე დაგდებული ორი ნაწნავით. ძმას თავზე შალის წითელი ბეწვის ქუდი ახურავს. ორივე მხიარულად, ერთდროულად შემოდიან. და უფრო სერიოზულია, შემოსვლისთანავე წინაურდება.)
- II მოლოზანი (ალერსიანად) შემოდი ძამიკო. (ძამიკო შემოდის, უყურებს დაიკოს, ხელებს იფშვნიტავენ და იორთქლავენ). ქუჩაში ცივა, არა? დაო, შენ ძამიკოსთან აქ დაჯექი, კარგი?
- და (იღიმება თანხმობის ნიშნად) ჰო!
- ძმა (დის ხელი უჭირავს, ჩურჩულით) დაო, სადაა დედა?
- II მოლოზანი დედაშენი ექიმს ერჩენება და მოვა, შენ აქ მოიცადე, გათბი, კარგი?
- და (გაგებით) ძამიკო, მე აქ ვყოფილვარ, დავსხდეთ აქ, ანეკდოტს მოგიყვები. (გაკვირვებით ათვალთვლებს ოთახს.)
- II მოლოზანი (მოფერებით) კეთილი, აქ ისხედით, მაგრამ (მიუახლოვდა, ჩუმად) მშვიდად ისხედით, ნუ იხმაურებთ, ზევით ავადმყოფებია (მიანიშნებს მარჯვენა პალატისაკენ). და–ძმა (ერთად) ორივე საზრიანად უქნევენ თავს.
- ძმა (უცბად, მიმართავს II მოლოზანს) დედაჩემი ახლავე დაბრუნდება?

- II მოლოზანი დიად, ახლავე მოვა. თქვენ აქ ისხედით (ორივე ბაღლი ერთად ზის დაბალ სკამზე. მისჩერებიან II მოლოზანს), ნუ იმოძრავეთ. (აკვირდება მათ) მე წავალ თუ არა, უმალვე დავბრუნდები. (ორივე თავს უქნევს. II მოლოზანი შედის მარჯვენა მხარის პალატაში. ძმა მოულოდნელად დგება და მიმართავს დას).
- ძმა ეს ვინ არის? ასე უცნაურად რატომ აცვია?
- და (გამოცდილივით) მოლოზანია, საავადმყოფოში ავადმყოფებს უვლის. ძამიკო. და-ჯექი.
- ძმა (ყურადღებას არ აქცევს), დაიკო უყურე, უყურე! (ამაყად) შეხედე, როგორი ახალი ხელთათმანები მიყიდა დედამ
- და (ექვისთვალთ) ვხედავ, გთხოვ დაჯდე (ჩასჭიდა ხელი და სვამს, ორივე ჯდება). (II მოლოზანი მარცხენა კარიდან შემოდის, პირდაპირ მარჯვენა კუთხის ტანსაცმლის კარადისაკენ მიდის. ვერ ამჩნევს ოთახში თუ ვინმეა.)
- ძმა (ისევ დგება, დას ჩუმად მიმართავს) დაიკო, კიდე ერთი...
- და (ჩუმად) შუშ, ნუ ლაპარაკობ (ხელს ჰკიდებს და სვამს). I მოლოზანი ალებს ტანსაცმლის კარადას, გრძელი მაგიდიდან იღებს თეთრ ზენრებს, სუფრასა და დანარჩენ თეთრეულს და აწყობს კარადაში. II მოლოზანი შემოდის მარჯვენა მხარეს მდებარე პალატიდან. დაინახავს თუ არა I მოლოზანს, ორივენი თავის დახრით ესალმებიან ერთმანეთს.
II მოლოზანი ეხმარება I მოლოზანს ნივთების დაწყობაში.
- II მოლოზანი (I მოლოზანს, მოკლედ) დაამთავრეთ?
- I მოლოზანი (ვერ გაიგონა) ვინ?
- II მოლოზანი (სწრაფად, გარკვევით, ზევით მიანიშნებს) ზედა სართულზე
- I მოლოზანი (თანაგრძნობით) დამთავრდა, მან ახლა კვლავ ჩაიძინა
- II მოლოზანი (ცნობისმოყვარეობით ეკითხება) არავინ უცემია?
- I მოლოზანი არა, ყველა ხარხარებდა და შუშა ისევ გატეხა
- II მოლოზანი ფუი, ფუი. ესეც კარგია.
- I მოლოზანი (II მოლოზანის მისამართით) ის ახლა სად არის?
- II მოლოზანი შენ ქვედაზე მეკითხები? (ქვედა სართულზე მწოლიარე ავადმყოფზე, მიანიშნებს მარჯვენა პალატაზე). ის ისევეა, უმეტესწილად ტირის, დუმს. მე უკვე ერთი წელია აქ ვარ და მისგან ერთი სიტყვაც არ მსმენია.
- ძმა (დაბალ ხმაზე, მოუთმენლად) დაიკო, მოდი რა, მომიყევი ანეკდოტი
- და (ჩუმად) არა, ძამიკო, ვუსმენ ისინი რას ლაპარაკობენ
- I მოლოზანი (შეცოდებით, შენუხებული) ცოდოა, ის აქ 9 წელია, ერთი წლით ადრე მოვიდა, ვიდრე ზევით მწოლიარე, მაგრამ ვერც ერთი ვერ განიკურნა... (გახარებული) ხო, მართლა, ბატონი ჭოუ მოვიდა, ზედა პალატაშია.
- II მოლოზანი (გაოცებული) როგორ?
- I მოლოზანი: დღეს მთვარის კალენდრით ძველი ახალი წელია, 30 რიცხვი
- II მოლოზანი (გაოცებული) ო, უკვე ოცდაათია, ქვედა სართულის ავადმყოფი ამ ოთახში გამოვა.
- I მოლოზანი როგორ, ისიც გამოვა?
- II მოლოზანი (ჭორაობენ) ყოველი ძველი ახალი წლის მიწურულს, 30 რიცხვში, ქვედა გამოდის ამ ოთახში; დგას ფანჯრის წინ.
- I მოლოზანი რატომ?
- II მოლოზანი ალბათ შვილის დაბრუნების იმედი აქვს. ერთ მშვენიერ საღამოს, 10 წლის უკან, მისი შვილი გაიქცა და აღარც დაბრუნებულა. შესაბრალისია, ქმარიც დაკარგა. (ჩუმად) გავიგე, ბატონი ჭოუ-ს სახლში მსახურობდა. ერთხელ ისე დათვრა, რომ მიიცვალა.
- I მოლოზანი (თითქოს გაიგო) ამიტომაა, რომ ბატონი ჭოუ ყოველთვის, დაბრუნებისთანავე ქალ-ბატონს სტუმრობს და ქვედას ამბავსაც კითხულობს, ვფიქრობ, ბატონი ჭოუ სულ მალე ქვევითაც ჩამოვა და მასაც მოინახულებს.

- II მოლოზანი (რწმენით) დედა ღმრთისმშობელო, დაიფარე. (კარადაში აწყობს გარეცხილ თეთრეულს).
- ძმა (ჩუმად, თხოვნით) დაო, ჩემო დაიკო, რა იქნება, მომიყევი ანეკდოტი ჰა?
- და (მათ საუბარს გატაცებით აყურადებს. უმაღლესი გაიქნია თავი, ნიშნად უარყოფისა, ძალდატანებით, ჩუმად) ძმაო!
- II მოლოზანი (ისევ რაღაც გაახსენდა) უცნაურია. ჭოუ-ს ოჯახს, ასეთი საუკეთესო სახლის მეპატრონეს, რისთვის დასჭირდა საავადმყოფოსათვის მისი მიყიდვა?
- I მოლოზანი (მშვიდად) ბუნდოვანია, ძნელი სათქმელია. მსმენია, რომ ერთხელ ამ სახლში, სამი სული ერთბაშად დახოცილა, ერთი კაცი და ორი ქალი.
- II მოლოზანი (გაკვირვებული) მართლა?!
- I მოლოზანი აბა!
- II მოლოზანი (ბუნებრივად ხვდება) მამ ბატონი ჭოუ დაჟინებით რატომ ითხოვდა ავადმყოფი ცოლის ზედა სართულზე მოთავსებას? რატომ არ გადმოსახლდეს ქვედაზე?
- I მოლოზანი დიახ, უცნაურია, მაგრამ მისი ცოლი ამ სახლში შეიშალა ჭკვიდან, თვითონაც არ დათანხმდებოდა ადგილის შეცვლას
- II მოლოზანი აი თურმე...
- (ძმა უცბად წამოხტა წინააღმდეგობის გრძნობით, ხმამაღლა)
- ძმა დაო, მე არ მომწონს ამის მოსმენა.
- და (დარწმუნებითა და აკრძალვით, ჩუმად) კარგო ძამიკო,
- ძმა (უფრო ხმამაღლა, მბრძანებლური ტონით). არა, დაო, ანეკდოტის მოსმენა მსურს. (მოლოზნები მოტრიალდებიან, ბავშვებს უყურებენ.)
- I მოლოზანი (გაკვირვებული) ვისი ბავშვები არიან? მე რომ შემოვედი თითქოს ვერ შევამჩნიე.
- II მოლოზანი ერთი ქალბატონის, ექიმთან მოვიდა გასასინჯად, მე შემოვიყვანე აქ, მოსაცდელად.
- I მოლოზანი ნუ დატოვებთ, ღმერთმა ნუ ქნას შეეშინდეთ
- II მოლოზანი სხვა ადგილი ვერ ვნახე, გარეთ ყინვაა, საავადმყოფო გადავსებულია.
- I მოლოზანი ვფიქრობ, კარგი იქნება თუ მათ დედას მოძებნი, თორემ, ღმერთმა ნუ ქნას, ზედამ ჩამოიბრძინოს, უცილობლად გვარიანად შეაშინებს!
- II მოლოზანი (მორჩილად) მართალს ბრძანებთ (ბავშვებისკენ ტრიალდება, ბავშვები მას დაჭყეტილი თვალებით მისჩერებიან) დაიკო, ცოტა კიდევ მოითმინეთ, დედათქვენის მოსაყვანად წავალ.
- და (თავაზიანად) კეთილი, გმადლობ! (გადის ოთახის ცენტრალური კარიდან)
- ძმა (დაიმედეებული) დაიკო, დედა მალე მოვა?
- და (კიდევ უფრო გულმოსული) ხო!
- ძმა (გახარებული) დედა მოვა! დავბრუნდებით სახლში (ტაშს უკრავს) დავბრუნდებით საახალწლო ვახშმისათვის
- და ძმაო, აუტანელო, დაჯექი (მუჯღუგუნს ჰკრავს, აიძულებს დაჯდეს).
- I მოლოზანი (კარადის კარებს ხურავს, მიმართავს ბავშვებს) პატარავ, დაჯექ მშვიდად, დაიკოსთან ერთად, ზევით ვარ ასასვლელი (I მოლოზანი მარცხენა კარიდან გადის სცენიდან, სასადილოში)
- ძმა (უცბად, ცნობისმოყვარეობით, დგება) დაო, ის რისთვის წავიდა?
- და (ფიქრობს პასუხი არ გასცეს). ბუნებრივია, წავიდა ზედა ავადმყოფთან, მორჩა და გათავდა.
- ძმა (აჩქარებით). ზევით ვინ არის?
- და (ჩუმად) ერთი გიჟი.
- ძმა (გუმანით ხვდება) გიჟი კაცი?
- და (დარწმუნებული) არა, ქალი, მდიდარი ქალბატონი.
- ძმა (უცბად) ქვევით ვილაა?

და (დარწმუნებული) ისიც გიჟი – (ხვდება, რომ ძმას კითხვები არ ელევა) მეტი აღარ მკითხო.

ძმა (ცნობისმოყვარეობით) დაო, გახსოვს ეს-ეს არის საუბრობდნენ, ამ სახლში ერთბაშად სამი მოკვდაო.

და (გრძნობს თავის სულმოკლეობას) ჰო, კარგი. ძამიკო, მოდი მაინც ჯობია ანექლოტი მოგიყვე! ერთხელ, ერთი მეფე...

ძმა (დაინტერესებული) არა, უმჯობესია მომიყვე ამ სამზე, როგორ მოკვდნენ? ვინ არიან?

და (გამბედაობას კარგავს) მე არ ვიცი.

ძმა (არ სჯერა, საზრიანად) ჰმ! იცი, უბრალოდ არ გინდა მითხრა

და (იძულებით) ნუ მკითხები, ამ ოთახში უნმინდური ბუდობს! (უცბად ზედა სართულიდან მოისმის ნივთების, ჭურჭლის სროლის ხმა, შემდეგ კი ჯაჭვის ულარუნის, ნაბიჯების ხმა და შეშლილი ქალის ხარხარი, უცნაური წამოძახილები)

ძმა (ცოტა შეშინებული) გესმის?!

და (მაგრად ჩააფრინდა ძმას ხელში) ძმაო! (ორივემ მზერა მიაპყრო ქერს). (ხმები მიჩუმდა)

ძმა (დამშვიდებული, გაგებით) დაიკო, ეს აუცილებლად არის ის, რომელიც ზევითაა!

და (შეშინებული) ნავედით!

ძმა (ჯიუტად) არა, ვიდრე არ მომიყვები იმ სამ მკვდარზე, ფეხსაც არ მოვიცვლი.

და ნუ ჭირვეულობ, დედა გაიგებს, გცემს!

ძმა (თითქოს არაფერი მომხდარიყოს) ჰმ, არც ასეა. (იღება ოთახის მარჯვენა კარი, ძლივს შემოდის მოხუცებული, გრძელთმიანი ქალი, მთრთოლავი სხეულით, შეჩერდება, თითქოს სიბრმავის გამო ნელ-ნელა მიიწევს ფანჯრისაკენ, ღრეწოდან ფარდას ჩაშტერებით უყურებს, შემდეგ მძიმე ნაბიჯებით კედლისაკენ მიდის, თითქოს რაღაცას უსმენს. ბავშვები დაძაბულად აკვირდებიან.

ძმა (ჩვეულებრივად) ვინ არის?

და (ჩუმად) შშშ, ის გიჟია.

ძმა (ჩუმად, იდუმალებით) ალბათ ეს არის ქვედა.

და (ხმა ჩაუნყვდა) მე, მე არ ვიცი (დაუძლურებული მოხუცი ნელ-ნელა ვარდება). ძმაო, შეხედე, ვარდება.

ძმა (გულადად) მოდი, დავიჭიროთ!

და არა, არ მიხვიდე!

(მოხუცი უცბად როგორღაც დაიკლაკნა, დაიჩოქა სცენის შუაგულში, მაყურებლისაკენ პროფილით. სცენა თანდათანობით ბნელდება. გუნდის ხმა ისევ შორიდან ისმის)

ძმა (მიათრევს დას წინ, მოხუცს ჩაშტერებით უყურებს) დაო, მითხარი, რა მოხდა ამ ოთახში? რას აკეთებენ ეს გიჟები აქ?

და (შეშინებული) არა, შეეკითხე მას (მიუთითებს მოხუცზე) მან იცის.

ძმა (გამალეული) არა დაო, შენ მომიყევი, როგორ მოკვდა სამი, ვინ არიან ისინი?

და (აჩქარებით) ხომ გითხარი, ჰკითხე მას, მან დანამდვილებით იცის! სცენა სრულიად ჩაბნელდა. ისმის მესისა და ორგანის ხმა. ისმის მაღალი მესის ხმა.) ძმის ხმა (ძალიან გარკვევით) დაიკო, წადი, ჰკითხე მას.

ღის ხმა (ჩუმად) არა, შენ თვითონ ჰკითხე, (ფარდა ეშვება) შენ ჰკითხე! მაღალი მესის ხმა

ფარდა როცა იხსნება, სცენა ჩაბნელებულია. 10 წამში თანდათან ნათდება.

სცენის სახე – მიახლოებით ისეთივეა, როგორც პროლოგში. მაგრამ ყველაფერი გაცილებით მდიდრულია. დილა. 10 წლის წინანდელი სასტუმრო ოთახი.

წიშის წინ ფარდა მჭიდროდაა ჩამოფარებული. შიგნით დგას ლამაზი ყვავილებიანი ქოთანნი. შუა კარი ღიაა. ბადიანი. დახურული. რკინის ბადიანი კარიდან მოჩანს ხეებით დაჩრდილული ბაღი. ისმის ჭრიჭინობელების ჭრიჭინი. ოთახის მარჯვენა მხარეს ტანსაცმლის დიდი კარადა დგას, გადაფარებული ყვითელი საფარებლით და ზედ უამრავი სამშვენისით. მათ შორის თვალში საცემია ერთი ძველი ფოტოსურათი, რომელიც ნატიფ სამშვენისებს შორის უადგილოა. მარჯვენა მხარეს ბუხარზე საათია. კედელზე ზეთის საღებავებით შესრულებული ტილო ჰკიდია. ბუხრის წინ ორი სავარძელია. მარცხენა კედელთან მიდგმულია ანტიკვარული ნივთებით გამოჭედილი შუშის კარადა.. მის წინ პატარა, დაბალი ტაბურეტი. მარცხენა კუთხეში დგას გრძელი დივანი, ზედ 3-4 სქელი ფარჩის ბალიშით. სავარძლის წინ მდგარ პატარა მაგიდაზე მოწვევსათვის და სხვა დანიშნულების ნივთებია. სცენის შუაში ორი პატარა სავარძელია, ოდნავ მარჯვნივ კი – მრგვალი მაგიდა. მაგიდაზე – სიგარის ყუთი და მარაო.

ფანჯრებზე ყველა ფარდა ახალია, ავეჯი ძალიან სუფთა, ლითონის ნივთები ხშირი წმედისაგან ბზინავს. ხალხს აუტანელი სიციხისაგან სული ესუთებათ. ოთახში შეხუთული ჰაერია. გარეთ მზე არ ანათებს, ცა მოღრუბულია, თითქოს მალე თავსხმა უნდა წამოვიდეს.

(ფარდა აიხდება. ს' ფენგ-ი დგას ზურგით მაყურებლისაკენ. შუა კედელთან მიდგმულ გრძელ მაგიდასთან წამლის ნაყენს წურავს. დრო და დრო სახეს პალმის მარაოთი ინიავენს. სახეზე ოფლს იწმენდს. მისი მამა ლუ კუეი პატარა მაგიდაზე დანყობილ ვერცხლის ყალიონს წმედს დიდი გაჭირვებით. ოფლი სახიდან წურ-წურით ჩამოსდის.)

(ს' ფენგ-ი 17-18 წლის თუ იქნება. ლაჟღაჟა ლოყებითა და ჯანმრთელი პირისახით. მოწიფული ქაღალღილია. ხელები მსხვილი და თეთრი. კარგად განვითარებული მკერდი სიარულისას უთამთამებს. შანტუნგური ძველი აბრეშუმის შარვალი და მოძველებული ტილოს ფეხსაცმელი აცვია. მისი სუფთა სხეული მოქნილი, მოძრავი და იმავდროულად მოწესრიგებულია. ჭოუ-ს სახლში ორწლიანი წვრთნის შემდეგ თავდაჯერებულად და თავისუფლად მეტყველებს. საუბარში იგრძნობა თავაზიანობა, თუმცა ძალიან თავდაჭერილია. მისი გრძელწამწამებიანი მოელვარე თვალები მოძრავია და ადვილად შეუძლია დასერიოზულდეს, შუბლშეკრულმა თვალი ადევნოს მოვლენებსა და წარწერაც უყურადღებოდ არ დატოვოს. დიდი პირი, ბუნებრივად წითელი და სქელი ტუჩების მიღმა სიცილისას მოუჩანს სწორი კბილები და ლოყებზე პატარა ღრმულები უჩნდება. მისი სახის ნაკვთებიდან სინრფელე გამოსჭვივის. სახის ფერი მაინცდამაინც თეთრი არ აქვს. ცხელ ამინდში ცხვირის წვერზე ოფლის წვეთები უჩნდება. ყოველთვის ცხვირსახოცით იწმენდს. სიცილი უყვარს. იცის, რომ ლამაზია. ახლა მოღუშულია.)

(მამამისი ლუ კუეი – ორმოცს გადაცილებული, ხმელ-ხმელი კაცია. ყველაზე მეტად მასში ყურადღებას სქელი, გაბურძნეული წარბები და ჩამოსიებული ქუთუთოები იპყრობს. მისი მოღუნებული, დაშვებული ტუჩები და თვალბეჭემ შავი წრეები უკიდურეს ხორციელ გარყვნილებაზე მეტყველებს. იგი ოდნავ მსუქანია, სახე მოღუნებული კუნთების წყალობით უმოძრაოა. მაგრამ პირფერული ღიმილი კი, სხვა მსახურების მსგავსად, უმაღ შეუძლია გადაიკრას. ძალიან ალღოიანი და მიხვედრილია, განსაკუთრებით რიტუალების შესრულებისას მისი ოდნავ მოხრილი ზურგი და ხშირად წარმოთქმული „დიახ, ბატონო“ თითქოს ბატონისადმი სამუდამო მორჩილებას მიანიშნებდეს. გამჭოლი, მუდამ გაუმძღარი თვალები მგელივით იმზირებიან. ძალიან ანგარიშიანია. აცვია მდიდრულად, მაგრამ უსუფთაოდ. ახლაც ხელში ტილო უჭირავს და ნივთებსა წმენდს. ფეხებთან განწმენდილი ნაბლისფერი ტყავის ფეხსაცმელი უწყვია. სახეზე მომდგარ ოფლს თავისივე ხალათის კალთით იწმენდს)

ლუ კუეი (ხვნეშით) ს'ფენგ!

ლუ ს'ფენგ-ი (თითქოს არ ესმის, განაგრძობს წამლის წურვას)

ლუ კუეი ს'ფენგ!

ლუ ს'ფენგ-ი (ცალი თვალთ გადახედავს მამას) ოჰ! როგორ ცხელა! (მიდის მარცხენა კარადასთან, იღებს ბანანის ფოთლის მარაოს, ინიავენს და მარაოს ქნევით ჩაის მაგიდასთან ბრუნდება);

ლუ კუეი (შეხედავს, საქმეს წყვეტს) ს'ფენგ-, არ გესმის?

ლუ ს'ფენგ-ი (გაბეზრებულად, გულცივად) მამა, რა გნებავთ?

ლუ კუეი გაიგონე რაც გითხარი?;

ლუ ს'ფენგ-ი გავიგონე

ლუ კუეი (უკვე დიდი ხანია ქაღალღილი ასე ეპყრობა, ისიც წინააღმდეგობას უწევს) ეს რა

ბავშვია დედაშენი

ლუ ს'ფენგ-ი (თავს აბრუნებს მაყურებლისაკენ) ნუ ყბედობთ! (ინიავენს, ერთს ამოიხრებს.) ისე ცხელა, ალბათ ცოტა ხანში წვიმა წამოვა. (უცბად) ბატონის გამოსასვლელი ფეხსაცმელი კარგად განწმინდეთ?

(მიდის ლუ კუეი-საკენ, იღებს ცალ ფეხსაცმელს, დაცინვით) ეს არის თქვენი განმენდილი? მხოლოდ ერთი-ორი გადაგისვიათ, ხომ იცით ბატონის ხასიათი!

ლუ კუეი (ფეხსაცმელს გამოსტაცებს ხელიდან) ჩემს საქმეებში ნუ ერევი. (ფეხსაცმელს იატაკზე აგდებს.) ს'Fენგ, ყური მიგდე. კიდევ ერთხელ გიმეორებ, ცოტა ხანში დედაშენს რომ ნახავ, არ დაგავიწყდეს ახალი ფეხსაცმლის გამოღება და მისთვის ჩვენება.

ლუ ს'Fენგ-ი (მოუთმენლად) გავიგე.

ლუ კუეი (თვითკმაყოფილი, დაფიქრდება) ერთი ნახოს, სამუშაოს შოვნის საქმეში ვინ უფრო მოხერხებულა, ის, თუ მამაშენი

ლუს'Fენგ-ი (დამცინავად) რა თქმა უნდა, თქვენ!

ლუ კუეი კიდევ არ დაგავიწყდეს უთხრა, რომ აქ, ჭოუ-ს რეზიდენციაში კარგად ჭამ და კარგად სვამ. მხოლოდ დღისით ემსახურები ქალბატონსა და ბატონიშვილებს, საღამოობით კი, როგორც თვითონ დაგიბარა, სახლში მიდიხარ დასაძინებლად

ლუ ს'Fენგ-ი თქმაც არ არის საჭირო, დედა თვითონვე მკითხავს.

ლუ კუეი (კმაყოფილი) კიდევ, კიდევ ფული (ხარბად იცინის). შენც ხომ ბევრი ფული გაქვს.

ლუ ს'Fენგ--ი ფული?

ლუ კუეი ორი წლის ხელფასი, ფეხის ქირა (განზრახ), კიდევ რაღაც წვრილმანები, ისინი ხომ...

ლუ ს'Fენგ-ი (არ სურს მოსმენა) ეს ფული ხომ თქვენ ნელ-ნელა გამომცინცლეთ, ლოთობაში და ბანქოს თამაშში დახარჯეთ

ლუ კუეი (იცინის, თავის მართლების მიზნით) უყურე, ერთი უყურე, შენ ამას? რატომ ცხარდები? მე შენთვის ფული არ გამომირთმევია. მე – რა მინდა გითხრა – (ხმადაბლა) ის – ხომ სულ გაჩეჩებდა სახარჯო ფულს.

ლუ ს'Fენგ-ი ის? ვინ ის?

ლუ კუეი (მაინც ამოთქვამს) უმცროსი ბატონიშვილი.

ლუ ს'Fენგ-ი (განითლდება, ხმას უმატებს და მისკენ მიემართება) ვინ სთქვა, რომ ბატონიშვილი ფულს მაძლევდა? მამა, სიღარი-ბისაგან სულ გაგიჟებულხარ, სისულელეებს ნუ ლაპარაკობ.

ლუ კუეი (დამამცირებელი სიცილით) კარგი, კარგი, კარგი, არ გაძლევდა, არ გაძლევდა. ასე იყოს. ამ ორ წელიწადში ხომ მაინც შეაგროვე ცოტაოდენი ფული (ხარბად), დამშვიდდი, ფული კი არ მინდა. მე მინდა, დედაშენი რომ მოვა, ეს ფული აჩვენო, თვალს წყალი დალევინოს.

ლუ ს'Fენგ-ი ჰმ! დედა თქვენ კი არ გგავთ, ფულის დანახვაზე ყველაფერი რომ გავიწყდებათ (ბრუნდება შუაში მდგარ ჩაის მაგიდასთან და წამლების წურვას აგრძელებს).

ლუ კუეი (ზის გრძელ დივანზე, კმაყოფილი) ასეა თუ ისე, ფული ფულად, მამაშენის გარეშე ჭოუ-ს სახლში მოხვდებოდით? დედაშენისათვის რომ დამეჯერებინა არ მოსულიყავი ასეთი დიდი რეზიდენციის ბატონებთან, ნუთუ ეს ორი წელიწადი ყოველდღე შეჭამდი და დალევდი, ან ამისთანა სიცხეში, აბრეშუმის ტანისამოსი თუ გეცმეოდა?

ლუ ს' Fენგ-ი (თავს ატრიალებს) ჰმ! დედა პირიანი ადამიანია, ნასწავლი, სახელს უფრთხილდება, თავისი ქალიშვილი სხვების საბრძანებლად არ ემეტება.

ლუ კუეი ისევ დედაშენის სისულელეებზე საუბრობ, რომელ თავის დამცირებაზე მელაპარეკები. შენც რა, რა, ოჯახის ქალბატონი ხარ – შენი დედა, ქალიშვილი სხვას რომ მოემსახუროს რა, ღირსებას დაკარგავს?

ლუ ს' Fენგ-ი (გაბრაზებული უყურებს მამას, ზიზღით) ნახეთ, სახე რა გაქონილი გაქვთ. ეს ფეხსაცმელები რიგიანად განმინდეთ!

ლუ კუეი (ღვარძლიანად) დედაშენის კუდაბზიკობა, სახელს უფრთხილდება! ისევ დედაშენის სისულელეები გისწავლია! ერთი ამას დამიხედეთ! ამის დედა, სახელს უფრთხილდება. რვაასი ლის იქით, რომელიღაც ქალთა სკოლაში გაიქცა რომ გადიად იმუშაოს და თვეში რვა იუენი გამოიმუშაოს! ორი წლის განმავლობაში პირველად ბრუნდება სახლში! ამას ჰქვია პირიანი ქალი? ნაკითხი მყავს ეგეც! არა, მისგან არანაირი ხეირი არ იქნება.

ლუ ს' Fენგ-ი (თმენით) დანარჩენი სახლში გავაგრძელოთ, ეს ხომ უცხო ადამიანის – ჭოუ-ს რეზიდენციაა!

ლუ კუეი ოჰო! ჭოუ-ს რეზიდენციაც კი ვერ დამიშლის ჩემს ქალიშვილთან საოჯახო საქმეებზე ვილაპარაკო! გეუბნები, რომ დედაშენი.....

ლუ ს' Fენგ-ი (უცბად) ჯერ მე ვიტყვი. დედამ ძლივს მოახერხა სახლში წამოსვლა, ამჯერად ჩემი ძმისა და ჩემს სანახავად. თუ დედას ისევ აწყენინებ, მაშინ ამ ორი წლის განმავლობაში რაც

გიკეთებიან, ყველაფერს ძმას მოვუყვები.

ლუ კუეი მე... მე, მე, რა მიკეთებია? (ქალიშვილის წინაშე თავს დამცირებულად გრძნობს) ცოტა დავლიე, ცოტა ვითამაშე, ცოტა გავერთე, ეს სამი სიამოვნება რომ არ მოვიკლო ორმოცდა-ათი წლის კაცმა, მისი უნდა მეშინოდეს?

ლუ ს'Fენგ-ი მას უბრალოდ ეზარება თქვენთვის თვალყურის დევნება! მაგრამ ის რომ გაიგოს, ყოველთვის მალაროდან დედისათვის გამოგზავნილი ფულიც რომ ჩუმად დაუხარჯეთ, არ გაპატიებთ!

ლუ კუეი მამ რას იზამს? (ხმამალლა) დედამისი მე ცოლად გამომყვა, ესე იგი, მე ახლა მამა ვარ მისი.

ლუ ს'Fენგ-ი (შეცბუნებული) ცოტა ხმადაბლა, რა გაყვირებთ! ქალბატონი ზევით ნევს და მკურნალობს.

ლუ კუეი (განუწყვეტლივ ბუზღუნით) მე გეტყვი: მას შემდეგ რაც დედაშენი ცოლად შევირთე, შენი ძმისაგან დაუმსახურებელი წყენის მეტი არაფერი მიგრძვინია. დაფიქრდი, რა მოხერხებული კაცი ვარ. ჭოუ-ს რეზიდენციაში რამდენიმე ათეული კაცი ცხოვრობს და ყველა აღიარებს, რომ ასეთი ყოჩაღი ვარ. აქ მოსვლიდან ორ თვეში ქალიშვილს გამოვუძებნე საქმე. თუნდაც შენი ძმა ავიღოთ,... მე რომ არა, შეძლებდა ჭოუ-ს მალაროს მუშა გამხდარიყო? დედაშენს ჰკითხე, გეტყვის. შემი ძმა და დედაშენი ერთობლივად მენიანაღმდეგებოდნენ. ამჯერად დედაშენი თუ თავს მოისანყლებს, მაშინ შენი ძმის თვალწინ წავეჩხუბები და, შესაძლებელია, დავმორდეთ კიდევაც. იმასაც კი არ მივხედავ, ქალიშვილი რომ გამიჩინა და შენი ძმის სახით ნაბიჭვარი თან მოიყოლა.

ლუ ს'Fენგ-ი (მოსმენა არ უნდა) ოჰ!

ლუ კუეი ჰმ, (უფრო გახალისებული იგინება) ვინ იცის ვისი ძაღლისშვილია.

ლუ ს'Fენგ-ი ჩემმა ძმამ ასეთი რა განყენინათ, რაშია თქვენს წინაშე დამნაშავე, ასე რომ ლანძლავთ?

ლუ კუეი რაში არ არის დამნაშავე? ჯარისკაცად მსახურობდა, რიქმას ატარებდა, მანქანის ოსტატად მუშაობდა, სკოლაში დადიოდა. რა გააკეთა კარგად? დიდი ჯახხირით მოვანყე ჭოუ-ს მალაროშისა-მუშაოდ მეიჯარედ, ის კი თავის ათისთავს წაეჩხუბა და სცემა კიდევ!

ლუ ს'Fენგ-ი (ფრთხილად) მე კი გავიგე, რომ ჯერ ჩვენს ბატონს უბრძანებია მალაროს პოლიციელებისათვის ცეცხლი გაეხსნათ, მუშები მხოლოდ ამის შემდეგ ამოქმედდნენ.

ლუ კუეი ასეა თუ ისე, ეს ბავშვი მაინც ტუტუცია. სხვისი პურისმჭამელმა კაცმა სხვასაც საც ყური უნდა უგდოს. ყველაფერი რიგზე იყო. გაიფიცნენ. ახლა კი, ისევე მოხუცმა კაცმა მის მაგივრად ბატონს პატიება უნდა ვთხოვო.

ლუ ს'Fენგ-ი მე მგონი მოგესმათ. ძმამ თქვა, რომ თვითონ უნდა ბატონის ნახვა, თქვენი შემწეობით კი არ მოითხოვს ბატონისაგან პატიებას.

ლუ კუეი (კმაყოფილი) მაგრამ მე ხომ მამამისი ვარ! ხომ უნდა ჩავერიო.

ლუ ს'Fენგ-ი (დამცინავად უყურებს მამას, ამოიოხრებს) კარგი, თქვენ დაისვენეთ, მე ზევით უნდა ავიდე, ქალბატონს წამალი უნდა ავუტანო (ხელში იღებს წამლით შევსებულ ჭიქას და მარცხენა მხარეს მდებარე სასტუმრო ოთახისაკენ მიდის).

ლუ კუეი ცოტა ხანს მოიცადე, კიდევ რაღაც უნდა გითხრა.

ლუ ს'Fენგ-ი (ანყვეტინებს) სადილის დროა, ფუერ-ის ჩაი მზადაა.

ლუ კუეი ეგ მე არ მეხება. უფროსმა მსახურმა უკვე მოამზადა.

ლუ ს'Fენგ-ი (მისგან თავის დაღწევას ცდილობს) ძალიან კარგი, მამ წავედი.

ლუ კუეი (გზას უღობავს) ს'Fენგ, ნუ ჩქარობ, რაღაცაზე უნდა მოგელაპარაკო.

ლუ ს'Fენგ-ი რაზე?

ლუ კუეი გუშინ ხომ ბატონის დაბადების დღე იყო, ბატონიშვილმა ოთხი იუენ-ი მიბოძა.

ლუ ს'Fენგ-ი ძალიან კარგი, (სწრაფად ჩაილაპარაკა) მე რომ უფროსი ბატონიშვილის ადგილას ვიყო მცირედ თანხასაც არ გავიმეტებდი.

ლუ კუეი (თავისთვის იცინის) მართალია! ოთხი იუენ-ი რაში უნდა ეყოს კაცს, ცოტაოდენ ვალებს გაისტუმრებს და მორჩა!

ლუ ს'Fენგ-ი (საზრიანად) მაშინ ჩემს ძმასა სთხოვეთ!

ლუ კუეი ს'Fენგ, ნუ, როდის ყოფილა მამაშენს ფული უსესხია და არ გაუსტუმრებია? შენ ახლა ფული ხელთა გაქვს, რად გიღირს ერთი შვიდი-რვა იუენ-ი მიწილადო, კარგი?

ლუ ს'Fენგ-ი არა მაქვს (შეჩერდება) მართლა ვალი უნდა გაისტუმროთ?

ლუ კუეი მართლა! (იფიცებს) თუ ჩემს ღვიძლ ქალიშვილს მოვატყუო, მე უგვანო თესლი ვიქნები.

ლუ ს'Fენგ-ი ნუ მატყუებ. თუ სიმართლეს მეტყვი რაღაცას მოვიფიქრებ.

ლუ კუეი მართლა?! გულწრფელად რომ გითხრა, ეს ჩემი ბრალი არ არის. ბატონიშვილის მოცემული ფული დიდი ვალის დასაბრუნებლად არ მყოფნიდა, პატარა ვალის დაბრუნებისას კი ცოტა მრჩე-

ბოდა, ამიტომ გადავწყვიტე ერთი-ორი ხელი მეტამამა, იქნებ მომეგო და ყველაფერი გამესტუმრებინა. რა ვიცოდი, რომ იმ დღეს ბედი არ მწყალობდა, დავლიე კიდეც და წავაგე კიდეც. პირიქით, იქით ვისესხე კიდეც ათ იუენ-ზე მეტი.

ლუ ს' ფენგ-ი ეს მართალია?
ლუ კუეი (გულწრფელად) ერთი სიტყვაც არ არის ტყუილი.
ლუ ს' ფენგ-ი (უნდა რომ გააბრაზოს, განგებ) სიმართლეს გეტყვით, ფული არა მაქვს (იღებს წამლიან ჭიქას).

ლუ კუეი (ღელავს) ს' ფენგ-იკო, რანაირი ბავშვი ხარ! შენ ხომ ჩემი ღვიძლი შვილი ხარ!
ლუ ს' ფენგ-ი (დაცინვით) ღვიძლს შვილსაც არ შეუძლია თავი გაიყიდოს და თქვენი ვალები ისტუმროს.

ლუ კუეი (სერიოზულად) შვილო, გაიგე, დედაშენი კი დარდობს შენზე, ხოლო მე შენი ნები-სმიერი წვრილმანი გულთან ახლოს მიმაქვს.

ლუ ს' ფენგ-ი (აზრს მიუხვდება) ამით კიდეც რის თქმას აპირებთ?
ლუ კუეი (ჩერდება, ს' ფენგ-ს უყურებს, უახლოვდება, ნაძალადევად იცინის) გეტყვი რომ, უფროსი ბატონიშვილი ხშირად გახსენებს, მან სთქვა, რომ.. (ნაძალადევად იცინის)

ლუ ს' ფენგ-ი (თავს ველარ იკავებს) უფროსი ბატონიშვილი! უფროსი ბატონიშვილი! სულ მთლად გაგიჟდი! მე წავედი, ქალბატონი ალბათ წუთი-წუთზედამიძახებს.

ლუ კუეი არ ნახვიდე, რალაცას გკითხავ, გუშინწინ უფროსი ბატონიშვილი ვნახე, საკაბე ქსოვილს ყიდულობდა.

ლუ ს' ფენგ-ი (მოღუშული) მერედა რა?
ლუ კუეი (ცივად უმზერს) ჰმ! (თვალდაშტერებით ს' ფენგ-ს ახედ-დახედავს. სიცილით, ფრთხილად იღებს ს' ფენგ-ის ხელს) ბეჭედი გაქვს? ეს მან ხომ არ გაჩუქა?

ლუ ს' ფენგ-ი (ზიზლით) რა ტონით მელაპარაკებით?! გული მერევა.
ლუ კუეი (გაბრაზებული, პირდაპირ, მოურიდებლად) რა საჭიროა თავის მოჩვენება? შენ ხომ ჩემი შვილი ხარ (უეცრად ხარბად ჩაიცინებს). მოსამსახურის ქალიშვილი მიიღებს პატარა საჩუქარს, ან წვრილ ფულს, არც ერთი საჭოჭმანო არაა, რა მოხდა მერე? არა უშავს, ყველაფერი მესმის.

ლუ ს' ფენგ-ი პირდაპირ მითხარით, რამდენი გინდათ.
ლუ კუეი სულ ცოტა, ოცდაათი იუენ-იც მეყოფა.

ლუ ს' ფენგ-ი (გაბოროტებული) მაშ იმ თქვენ უფროს ბატონიშვილს სთხოვეთ. მე წავედი
ლუ კუეი (უხერხულად) შვილო, წუთუ გგონია ისეთი ბრიყვი ვარ, რომ ვერ ვხვდები, შენსა და იმ ნაძირალას შორის რაც ხდება?

ლუ ს' ფენგ-ი (აღშფოთებისაგან თავს ძლივს იკავებს) თქვენ რა მამა ხართ? რომელი მამა ელაპარაკება ასე თავის ქალიშვილს?!

ლუ კუეი (საშინელი გამომეტყველებით) მამა ვარ შენი და შენს საქმეებში უნდა ჩავერიო, გეკითხები, გუშინწინ სალამოს...

ლუ ს' ფენგ-ი გუშინწინ სალამოს?!
ლუ კუეი მე სახლში არ ვიყავი, შენ კი სახლში ღამე დაბრუნდი. სად იყავი?

ლუ ს' ფენგ-ი (აგდებულად) თქვენაირ მამას უფლება არა აქვს მეკითხებოდეს.
ლუ კუეი რა ზრდილობიანი პასუხია! უბრალოდ ვერ ამბობ სად იყავი

ლუ ს' ფენგ-ი როგორ თუ ვერ ვამბობ!
ლუ კუეი რაო?! მაშ მითხარი.

ლუ ს' ფენგ-ი იმ დღეს ქალბატონმა რომ შეიტყო ბატონის დაბრუნება, მისი ტანისამოსის მოწეს-რიგება დამავალა.

ლუ კუეი ჰო? (ხმადაბლა. დაშინების ტონით) კი, მაგრამ ღამე სახლში რომ მოგიყვანა, ის ვინლა იყო? მანქანაზე იჯდა, მთვრალი იყო, სისულელეებს გელაპარაკებოდა. ის ვინლა იყო, ჰა? (კმაყოფილი ილიმის),

ლუ ს' ფენგ-ი (შეშინებული) ის, ის...
ლუ კუეი (გადაიხარხარებს) თქმაც არ არის საჭირო. ის ჩვენი ოჯახის მდიდარი სიძე იყო!

ჰმ! ჩვენს ოროთახიან, ნახევრად დანგრეულ, კრამიტით გადახურულ სახლში, უეცრად მანქანიანი მეგობარი კაცი გვეწვია, ჩემს მოსამსახურე ქალიშვილთან მოვიდა! (მკაცრად) გეკითხები, ვინ იყო? მითხარი.

ლუ ს' ფენგ-ი ის არის ...
(შემოდის ტახაი, ს' ფენგ-ის ძმა, ლუ კუეი-ს გერი. იგი ახოვანი, ტანადი ახალგაზრდაა, სქელი შავი წარბებითა და ოდნავ ჩავარდნილი ლოყებით, ოთკუთხა ნიკაპი და მახვილი მზერა მისი ხასიათის სიჯიუტესა და შეუპოვრობაზე მეტყველებს. მისი თხელი ტუჩები კონტრასტს ქმნის ს' ფენგ-ის სამხრეთული ტემპერამენტით სავსე, სქელ და წითელ ტუჩებთან. ჩვეულებრივ იგი ენის ბორძიკით ლაპარაკობს, თუმცა აღელვების დროს მაშინვე ენამახვილი ხდება. იგი ახლახან დაბრუნდა 600 ლი-თ დაშორებული ქვანახშირის მალაროდან,

სადაც მუშათა ერთ-ერთ გაფიცვას ხელმძღვანელობდა. რამდენიმე თვის დაძაბულმა ცხოვრებამ მას სახე გაუფერმკრთალა. წვერ-ულვაში აწეწილი აქვს. ერთი შეხედვით საოცრად მოქანცულად გამოიყურება და ლუკუეი-ს უფროს ძმად უფრო მიიღებდით, ვიდრე მის გერად. მხოლოდ რიგიანად დაკვირვებისას შეამჩნევდით, რომ მისი მზერა, მისი ხმა, როგორც მისი დისა ახალგაზრდული და მხურვალეა. იგი ამოსაფრქვევად გამზადებული ვულკანის მსგავსად მშფოთვარე ენერგიით არის აღსავსე. ტანთ მუშის ლურჯი ხალათი აცვია, ზეთით დასვრილი ჩალის ქუდი ხელში უკავია, ფეხზე – შავი ტყავის ფეხსაცმელი, რომლის ცალი თასმა დიდი ხანია უგზო-უკლოდ დაუკარგავს. ნირნამხდარია, თავს უცხოვად გრძნობს. გულგრილობა ატყვია სახეზე. მკერდი ნახევრად გაუშიშვლებია. ერთი-ორი ღილი არასწორად აქვს შეკრული. მის უბრალო საუბარში სიცივე იგრძნობა.

ლუ ტახაი Fენგ-იკო
ლუ ს' Fენგ-ი ძმაო!
ლუ კუეი ს' Fენგ, მითხარი! რას დამუნჯებულხარ!
ლუ ს' Fენგ-ი (ძმას შესცქერის) ძმაო!
ლუ კუეი (აგრძელებს) მერე რა, შენი ძმა რომ მოვიდა, მაინც უნდა მითხრა
ლუ ტახაი რა მოხდა?
ლუ კუეი (უყურებს ტახაი-ს, ტრიალდება) შენ ჯერ ნუ ერევი.
ლუ ს' Fენგ-ი ძმაო, არაფერი მნიშვნელოვანი, (ლუ კუეი-ს) კარგი რა მამა...მერე მოვილაპარაკოთ.
ლუ კუეი მერე? (ისევ მიაშტერდება ს' Fენგ-ს) კარგი, ეგრე იყოს (ტახაი-ს, ქედმაღლურად)
რა მოურიდებლად შემოვარდი?
ლუ ტახაი (უშუალოდ) შემოსასვლელში დიდხანს ვიცადე, არავინ მომაქცია ყურადღება და შემოვედი.
ლუ კუეი ტახაი, შენ მაღაროში შავი მუშა ხარ და არ იცი დიდ რეზიდენციაში მოქცევის წესები.
ლუ ს' Fენგ-ი ის ხომ ჭოუ-ს სახლის მსახური არ არის!
ლუ კუეი (ლოგიკურად) მაღაროში ყოფნის დროსაც ხომ ჭოუ-ს ოჯახის პურსა ჭამს.
ლუ ტახაი (ცივად) სად არის?
ლუ კუეი (განგებ) ვინ? ვინ ის?
ლუ ტახაი გამგეობის უფროსი.
ლუ კუეი (დამრიგებლურად) ბატონი ბატონია, რომელი გამგეობის უფროსი! აქ რომ მოდიხარ, ბატონი უნდა დაუძახო.
ლუ ტახაი ნადი და მოახსენე, რომ მაღაროს მუშების წარმომადგენელი მოვიდა.
ლუ კუეი ჩემი აზრით ჯერ სახლში უნდა დაბრუნდე. (მტკიცედ) მაღაროს საქმეებზე კი მამაშენი იზრუნებს, შემდეგ ერთი-ორი დღე დედაშენთან და შენს დასთან ერთად დარჩი. დედაშენი რომ წავა და შენ მაღაროში დაბრუნდები, საქმე ისევ გამოგეძებნება.
ლუ ტახაი შენ გინდა მითხრა, რომ ჩემი გაფიცულებიდან მხოლოდ მე უნდა დამიცვა და მე უკან დავბრუნდები?
ლუ კუეი ამაში არაფერია ცუდი.
ლუ ტახაი (გამოუვალ მდგომარეობიდან) კარგი, ჯერ ჰკითხე, მე კიდევ მაქვს საქმე, მერე დაველაპარაკებ.
ლუ ს'Fენგ-ი (იმედოვნებს, რომ ლუ კუეი წავა) მა, ჯერ ნახე ბატონის სტუმარი თუ წავიდა და მერე შეიყვანე ძმა.
ლუ კუეი (თავს გაიქნევს) ვშიშობ, არ მოინდომებს შენთან შეხვედრას.
ლუ ტახაი (დარწმუნებული) ვალდებულია შეხვდეს, მეც მაღაროს მუშების ერთ-ერთი წარმომადგენელი ვარ, გუშინწინ ჩვენ ვნახეთ საკუთარ ოფისში.
ლუ კუეი (მერყეობს) მაშინ ჯერ ვიკითხავ.
ლუ ს'Fენგ-ი მიდი, ჰკითხე.
(ლუ კუეი კაბინეტის კართან მივა)
ლუ კუეი (შემობრუნდება) ბატონმა თუ მიგვილო უკმეხად არ დაელაპარაკო, გესმის? (მოხდენილი, საქმიანი სვლით შედის კაბინეტში).
ლუ ტახაი (თვალს აყოლებს) ჰმ! დაავინყდა, რომ ისიც ადამიანია.
ლუს'Fენგ-ი (საყვედურით) ძმაო! ნუ ლაპარაკობ ასე, (მცირე შესვენების შემდეგ, ამოიხრებს) რაც არ უნდა იყოს, ის მამაჩვენია.
ლუ ტახაი (უყურებს ს'Fენგ-ს) ის მამაშენია, მე მას ვერ ვიღებ!
ლუ ს'Fენგ-ი (შეშინებული, უყურებს ძმას და კარებისაკენ გარბის) უკეთესია ჩემად ილაპარაკო,

ბატონი გვერდზე ოთახშია!

ლუ ტახაი (ზიზლით, უყურებს ს' ფენგ-ს, ქედმაღლურად) კეთილი, მე მიმაჩნია, რომ ჭოუ-ს ოჯახში სამსახურს თავი უნდა დანებო, დედაც მალე ჩამოვა და სახლში მშვიდობიანად დაბრუნდე.

ლუ ს'ფენგ-ი (უკვირს) რატომ?

ლუ ტახაი (მოკლედ) აქ არ არის შენი ადგილი.

ლუ ს'ფენგ-ი რატომ?

ლუ ტახაი მე... ვერ ვიტან მათ!

ლუ ს'ფენგ-ი ო!

ლუ ტახაი ჭოუ-ს ოჯახის წევრები კარგი ვილაცხეები არ არიან, ამ ორი წლის განმავლობაში მათ მიერ ჩადენილი ბევრი ბოროტება ვნახე. (ნელა), მე... მძულს ისინი.

ლუ ს'ფენგ-ი აა! რა ნახე?

ლუ ტახაი ს'ფენგ-იკო, ნუ უყურებ ამ სახლის დიდებულებს ასე. ეს ყველაფერიმალა რომი ნაწვალები და დახოცილი მუშების წყალობით აქვთ ნაშოვნი!

ლუ ს'ფენგ-ი ხალხი ამბობს, ამ ოთახში უწმინდურები, ეშმაკები ბუდობენო.

ლუ ტახაი (უცებ) ეს-ესაა ერთი ახალგაზრდა კაცი დავინახე, ბაღში ინვა თვალდახუჭული, ფერმიხდილი, თითქოს კვდებაო. გავიგე, ეს კაცი უფროსი ბატონიშვილი ყოფილა, ჩვენი გამგეობის უფროსის ვაჟი. აი შურისგება!

ლუ ს'ფენგ-ი (ბრაზდება) შენ... (უცებ) იცი სხვებს რა კარგად ეპყრობა?

ლუ ტახაი მამამისი სიბოროტეს სჩადის, ხალხს ფულებს სძალავს და როგორ შეიძლება ის კეთილშობილი ადამიანი იყოს!

ლუ ს'ფენგ-ი (უყურებს ტახაი-ს) ორი წელია არ მინახხარ და როგორ შეცვლილხარ!

ლუ ტახაი ეს ორი წელი (ორ ნაბიჯს გადადგამს, ისევ თავს აბრუნებს ს'ფენგ-ისაკენ), მე კი პირიქით მგონია, შენ შეიცვალე!

ლუ ს'ფენგ-ი მე რაღაც ვერ გიგებ. შენ თითქოსდა... უმცროსი ბატონიშვილისავით ლაპარაკობ.

ლუ ტახაი შენ რა, მე მლანძღავ? „ბატონიშვილი“? „ბატონიშვილი“? ჰმ, ქვეყნიერებაზე ყველაზე საძულველი სიტყვებია, ჰმ, ქვეყანაზე არ არის ასეთი სიტყვა!

(ლუ კუეი კაბინეტის მარცხენა მხრიდან გამოდის)

ლი კუეი ტა, შენ რა, გინდა გამლანძლო? ის სტუმარი ძლივს წავიდა, ის-ის იყო უნდა მეთქვა, რომ კიდევ ვილაც მოვიდა. (ტახაი-ს) მოდი, ჯერ ჩავიდეთ მოსამსახურის ოთახში და ცოტა მოვიცადოთ,

ლუ ტახაი მაშ, მე თვითონ შევალ და დაველაპარაკები (კაბინეტში შესავლას ლამობს).

ლუ კუეი (გზას გადაულობავს) რას შვრები?

ლუ ს'ფენგ-ი არა, არა.

ლუ ტახაი კარგი. (ჩაფიქრდება) კარგი, ეგრე იყოს. რატომ უნდა ვაფიქრებინოთ, რომ მუშები უწესოები ვართ!

ლუ კუეი ეს რა ხასიათის კაცი ყოფილხარ! ბატონმა თუ თქვა რომ არ მიგიღებს, ესე იგი, არ მიგიღებს. ჩვენს ოთახში ქვემოთ რომ დაცადო ცოტა. რა დაშავდება? მეც შენთან ერთად წამოვალ, ამ დიდ ეზოში რომ სადმე სხვაგან არ გადაუხვიო (შუა კართან მივა, თავს მოაბრუნებს) ს'ფენგ, შენ დარჩი, მე ახლავე მოვალ, გესმის?

ლუ ს'ფენგ-ი ჰო, ნადი.

(ლუ კუეი და ტახაი ერთად გადიან).

ლუ ს'ფენგ-ი (უხალისოდ ჯდება ტახტზე, შუბლს იხელს, თავისთვის) ღმერთო ჩემო!

(უეცრად ბაღის მხრიდან ახალგაზრდა, მხიარული ხმის შეძახილი მოესმება: „ს'ფენგ!“ ხმა ნელ-ნელა შუა კარს უახლოვდება).

ლუ ს'ფენგ-ი (ცოტა დაბნეულად) ოჰ! უმცროსი ბატონიშვილი!

(კართან ჭოუ ჩუნგ-ის ხმა: ს'ფენგ! ს'ფენგ! სად ხარ? (ს'ფენგ-ი წამოხტება და ტახტის ზურგს უკან დაიმალება).

(შემოდის ჭოუ ჩუნგ-ი, ჭოუ ფუიუენ-ის უმცროსი ვაჟი, ჩვიდმეტი წლის, მომცრო ტანისა და დიდი გულის პატრონი, განუხორციელებელ საქმეებზე მეოცნებე, ცხოვრობს არაჩვეულებრივ სიზმარში. ახლა მისი თვალეები სიხარულისაგან ბრწყინავენ. წითელლოყება. გაოფლიანებულია და იცინის, მარცხენა ილიაში ჩო-განი ამოუჩრია, მარჯვნივ კი – პირსახოცით ოფლს ინმნედს, ჩუმად ეძახის ს'ფენგ-ს.

ჭოუ ჩუნგ-ი ს' ფენგ! (აქეთ-იქით იყურება) ნეტა სად წავიდა (ფეხაკრეფით მიდის სასადილო ოთახის კარებთან, აღებს, ხმადაბლა) ს'ფენგ, გამოდი რა, რაღაც უნდა გითხრა (ისევ ჩუმად მიდის კაბინეტის კართან, უფრო ხმადაბლა) ს'ფენგ, სასიხარულო ამბავი უნდა გითხრა. (შიგნიდან ხმა: მკაცრად. ჩუნგ-იკო ხარ?

ჭოუ ჩუნგ-ი (ფრთხილად) მე ვარ, მამა.

(შიგნიდან ხმა: რა გინდა?

ჭოუ ჩუნგ-ი ს'წენგ-ს ვეძებ.
(ხმა: აქ არ არის. (ბრძანებით) წადი, ჩქარა.
(ჭოუ ჩუნგ-მა უკან დაიხია, იღმანჭება) საკვირველია!
(იმედგაცრუებული, მარჯვენა კარიდან ს'წენგ-ის ძახილით შედის
სასადილო ოთახში. ს'წენგ-ი დაინახავს თუ არა, რომ ჩუნგ-ი გავიდა, შვებით ამოისუნთქებს.
ლუ ს'წენგ-ი წავიდა! (აღელვებული იყურება ბაღში გამავალი კარიდან)
ლუ კუეი (შემოდის შუა კარიდან, მიმართავს ს'წენგ-ს) ვინ გეძახდა?
ლუ ს'წენგ-ი უმცროსი ბატონიშვილი
ლუ კუეი რა უნდოდა?
ლუ ს'წენგ-ი ვინ იცის.
ლუ კუეი (საყვედურით) მერე რატომ არ მიაქციე ყურადღება?
ლუ ს'წენგ-ი თქვენ არ მითხარით (ცრემლს ინმენდს) დამელოდო? თქვით, თუ რამე გაქვთ
სათქმელი.
ლუ კუეი (გასამხნეველად) შენ რა, ტიროდი?
ლუ ს'წენგ-ი არა, არ ვტიროდი.
ლუ კუეი შვილო, რა გატირებს (თეატრალურად) ვინაა დამნაშავე ღარიბები რომ ვართ? ჩვენ
არ ვართ მომთხოვნელები, მიმდავებლები, ვერაფერს გავანყობთ, ცოტა-ცოტა უნდა ავიტანოთ, ყველასათ-
ვის ცნობილია, რომ ჩემი შვილი უმნიკვლოა.
ლუ ს'წენგ-ი (თავს წევს მაღლა) კარგი, დაამთავრეთ, თქვენ პირდაპირ მითხარით რა გსურთ.
ლუ კუეი (დარცხვნილი) იცი, ახლა ქვევით რომ ჩავედი, ის ნაბიჭვრები წინ გადამელობნენ
და ამდენი ხალხის წინაშე ვალის დაბრუნება მომთხოვეს. სულ 20 იუენ-იც კი არ არის, წავხდი.
ლუ ს'წენგ-ი (ფულს ამოიღებს) სულ ეს არის ჩემი ფული, ვაპირებდი დედასათვის მიმეცა
ტანსაცმლის საყიდლად. აჰა, აიღეთ.
ლუ კუეი მერე შენ რომ სახარჯო ფული აღარ გექნება!
ლუ ს'წენგ-ი საკმარისია თქვენი თავაზიანობა.
ლუ კუეი (სიცილით გამოართმევს ფულს, გადაითვლის) სულ რაღაც თორმეტი იუენ-ია?
ლუ ს'წენგ-ი (გულწრფელად) ნაღდი ფული მეტი არა მაქვს.
ლუ კუეი (განზრახ იმიზეზებს ვალებს) მაშ ის მევალებები რითი გავისტუმრო?
ლუ ს'წენგ-ი უთხარით, საღამოს ჩვენთან მოვიდნენ, მოგვიანებით, დედაც იქნება და რამეს
მოვიფიქრებთ. ეს ფული კი თქვენ მოიხმარეთ.
ლუ კუეი (გახარებული) ესე იგი, ეს ფული მამას მიართვი.... კარგი შვილი ხარ! ყოველთვის
ვიცოდი, მამის მიმართ პატივისცემა და სიყვარული რომ გქონდა...
ლუ ს'წენგ-ი (სხვა გზა არა აქვს) ახლა ხომ ნებას დამრთავთ ავიდე (წამლიან ჭიქას იღებს).
ლუ კუეი უყურე ერთი, ვინ გიჭერს! წადი და თან ქალბატონს უთხარი, რომ მის ჯანმრთ-
ელობის მდგომარეობაზე ველავ.
ლუ ს'წენგ-ი კარგი, არ დამავინყდება.
ლუ კუეი (კმაყოფილი) ჰო, ს'წენგ! კიდევ რაღაცას გეტყვი.
ლუ ს'წენგ-ი მერე მითხარით.
ლუ კუეი (სიტყვას გადაუკრავს) თუმცა, ეს შენი პირადი საქმეა (ყალბად იცინის),
ლუ ს'წენგ-ი (თავს დახრის) ეს რაღას ნიშნავს? (წამლიან ჭიქას დადგავს) მაშ კარგი, ყველაფერი
გავარკვიოთ და მერე წავალ.
ლუ კუეი ერთი ამას დამიხედეთ, ისევ გაცხარდა, მალე ქალბატონი გახდება. ეს რა ახირე-
ბული ხასიათი გაქვს!
ლუ ს'წენგ-ი აბა. თქვით!
ლუ კუეი შვილო, ასე ნუ იქცევი. (სერიოზულად) გირჩევ ცოტა ფრთხილად იყო
ლუ ს'წენგ-ი (ამასხარავებს) ფული უკვე აღარ მაქვს და რაღატომ უნდა ვიფრთხილო?
ლუ კუეი ბოლო ორი დღეა ქალბატონი ცუდ გუნებაზეა.
ლუ ს'წენგ-ი მერე მე რა შუაში ვარ?
ლუ კუეი ვშიშობ, შენ რომ გხედავს, ცუდ გუნებაზე სწორედ იმიტომ არის.
ლუ ს'წენგ-ი რატომ?
ლუ კუეი რატომ! ჯერ ერთი იმას შეგახსენებ, რომ ბატონი ქალბატონზე ბევრად უფროსია,
ქალბატონს ბატონი არ უყვარს, ბატონიშვილი კი ჩვენი ქალბატონის ღვიძლი შვილი არ არის, ასაკითაც
თითქმის მისი ტოლია.
ლუ ს'წენგ-ი ეს ხომ ვიცი
ლუ კუეი იცი თუ არა, ამ ოთახში საღამოობით რატომ არავინ არ შემოდის? დღისითაც კი,
როცა ბატონიშვილი მალაროშია, აქაურობა ცარიელია. იცი რატომ?

ლუ ს'ენგ-ი განა იმიტომ არა, რომ შუალამისას აქ ეშმაკები ხმაურობენ? ხან ტირილი, ხან სი-
ცილი და ტანჯვით გარდაცვლილი სულის ხმები ისმის.

ლუ კუეი ჰმ! ეშმაკები? სრული სიმართლეა. ჩუმ-ჩუმად თვალი შემოვიღია.

ლუ ს'ენგ-ი თქვენ გინახავთ? სული?

ლუ კუეი (თავდაჯერებულად) ჰო, უბრალოდ ბედი მწყალობს.

ლუ ს'ენგ-ი როგორ?

ლუ კუეი იმ დროს შენ ჯერ კიდევ აქ არ იყავი. ბატონი მალაროში იყო. ამ დიდ და ბნელ
ეზოში მხოლოდ ქალბატონი და ბატონიშვილები ცხოვრობდნენ. მაშინ აქ უკვე ბუდობდნენ ეშმაკები. უმცრო-
სი ბატონიშვილი პატარაობისას მშიშარა ბავშვი იყო, მიბრძანა მისი ოთხის კარებთან დამეძინა. შემოდგომა
იდგა. შუალამისას. უეცრად უმცროსმა ბატონიშვილმა გამაღვიძა. სასტუმრო ოთახში ისევ ეშმაკები ხმაუ-
რობენო და მკაცრად მიბრძანა წავსულიყავი და მენახა. ბატონიშვილს სახე გაუმწვანდა. მე კი თმები ყალყზე
დამიდგა. მაგრამ მაშინ ახალი მოსული ვიყავი და ბატონიშვილის ბრძანება ხომ უნდა შემესრულებინა?

ლუ ს'ენგ-ი მერე, წახვედით?

ლუ კუეი ერთი-ორი გადაკვარი მხნეობის მოსაკრებად, ლოტოსებიანი გუბურა გადმოვიარე
და ფეხაკრებით მოვედი აი ამ ოთახის დერეფანთან. მოვედი კართან და, მართლაც, ... ალქაჯის ტირილის
ხმა გავიგონე. საშინლად ტიროდა! რაც უფრო მეშინოდა, მით უფრო მინდოდა დამენახა. მაშინ კი მხნეობა
მოვიკირბე და ამ ფანჯრის ჭუჭრუტანიდან შიგ შევიხედე...

ლუ ს'ენგ-ი (გახშირებული სუნთქვით) მერე, რა დაინახეთ?

ლუ კუეი აი აქ, ზუსტად ამ მაგიდაზე, ძლივს ბუჭავდა სანთელი. ბუნდოვნად დავინახე
ორი, შავ სამოსში ჩაცმული ეშმაკი. გვერდი-გვერდ ისხდნენ, ჩემსკენ ზურგით. თითქოს ერთი ქალი იყო
და ერთი კაცი. ის ალქაჯი მამაკაცის მხარს მიყრდნობილი ტიროდა, მამაკაცი კი მხოლოდ თავდახრილი
ოხრავდა.

ლუ ს'ენგ-ი მართლა?

ლუ კუეი აბა რა! მე ხომ გადაკრულში ვიყავი, ამიტომ ფანჯრის ჭუჭრუტანაში ჩუმად ჩავახ-
ველე. თვალის დახამხამებაში მოსცილდნენ ერთმანეთს და ჩემსკენ მოიხედეს. აი მაშინ კი დავინახე ეშ-
მაკები!

ლუ ს'ენგ-ი როგორები იყვნენ?

(ლუ კუეი შეჩერდება, მიმოიხედავს)

ლუ ს'ენგ-ი ვინ იყო?

ლუ კუეი ჯერ ის ალქაჯი დავინახე (თავს მოაბრუნებს, ხმადაბლა), ჩვენი ქალბატონი იყო.

ლუ ს'ენგ-ი ქალბატონი? ის კაცილა?

ლუ კუეი ის, ეშმაკი, არ შეგეშინდეს... ჩვენი ბატონიშვილი, უფროსი.

ლუ ს'ენგ-ი ის ეშმაკი, ისა?

ლუ კუეი დიახ, სწორედ ის და მისი დედინაცვალი იყვნენ ამ ოთახში ჩაბუდებული ეშმაკები!

ლუ ს'ენგ-ი არა მჯერა, ნამდვილად მოგეჩვენებოდათ.

ლუ კუეი არ მომჩვენებია, თავს ნუ იტყუებ, ამიტომ გეუბნები, შვილო, სამყაროს რეალური
თვალთ შეხედე, შეცდომა არ მოგივიდეს. ჭოუ-ს ოჯახში სწორედ ასეთი ამბები ტრიალებს!

ლუ ს'ენგ-ი არა, ეს შეუძლებელია.

ლუ კუეი დაგავიწყდა, რომ ბატონიშვილი ქალბატონზე მხოლოდ ექვსი-შვიდი წლითაა
უმცროსი?

ლუ ს'ენგ-ი (თავს გააქნევს) არ მჯერა, არ ჰგავს!

ლუ კუეი კარგი, გჯერა თუ არ გჯერა, შენი საქმეა. მაინც მინდა გითხრა, რომ ახლა
ქალბატონი შენ არ გწყალობს, იმიტომ, რომ შენ... რომ შენ და...

ლუ ს'ენგ-ი (არ სურს მოისმინოს სიმართლე) ქალბატონს რომ დაენახეთ ნამდვილად არ გაპა-
ტიებდათ.

ლუ კუეი აბა! შიშისაგან ოფლმა დამასხა, არ დაველოდე მათ გამოსვლას და გავიქეცი.

ლუ ს'ენგ-ი კი, მაგრამ, არც უმცროსმა ბატონიშვილმა არაფერი გკითხათ?

ლუ კუეი კი, მკითხა, მე ვუპასუხე, არაფერი მინახავს-მეთქი. ის, რა თქმა უნდა, ძალიან გამ-
ჭრიახი ქალია, ბევრჯერ უნდოდა ჩემი გამოტყუება, მაგრამ სიტყვაც კი ვერ დამაცდევინა. მას შემდეგ ორი
წელი გავიდა. ახლა მათ, ალბათ, ჰგონიათ, რომ იმ საღამოს მართლაც ეშმაკი ახველებდა.

ლუ ს'ენგ-ი (თავისთვის ამბობს) არა, არ მჯერა... (თავისთვის ამბობს) ასეც რომ მომხდარიყო,
ის მეტყოდა.

ლუ კუეი რას მეუბნები, ასეც რომ ყოფილიყო ის გეტყოდა, იფიქრე, ვინ ხარ შენ ასეთი და
ვინ არის ის. შენ შვილი ხარ მოსამსახურის..., ამიტომ შენდამი არ იქნებიან გულლიანი, ჯერ კიდევ დიდგვა-
როვანის ქალიშვილის სიზმარში ხარ, შენ.....

ლუ ს'ენგ-ი (უცებ) კმარა! (ადგება) დედა დღეს ბრუნდება და ძალიან მიხაროდა. არა, ასეთ სი-

ცრუეს რომ ლაპარაკობთ...

ლუ კუეი ერთი უყურე! სიმართლეს გეუბნები და რატომ ბრაზდები? ეჰ, აბა შენა ხარ და... (ამაყად შეავლებს ს'Fენგ-ს თვალს, ჩაის მაგიდასთან მივა, ნაჩვევი ხერხით მოიპარავს რამდენიმე სიგარას და თავის ძველი სიგარის ყუთში ჩაიდებს).

ლუ ს'Fენგ-ი (ცივად უყურებს) ხომ დაამთავრეთ, ახლა წავედი. (წამლიან ჭიქას იღებს და მიდის).

ლუ კუეი არ წახვიდე, ჯერ არ დამიმთავრებია.

ლუ ს'Fენგ-ი კიდე არ დაგიმთავრებიათ?

ლუ კუეი ახლა მთავარ სათქმელზე ვარ.

ლუ ს'Fენგ-ი ბოდიშს გიხდით, არ მინდა მეტის მოსმენა (შეტრიალდება და მიდის)

ლუ კუეი (ხელს ჰკიდებს ხელზე) შენ უნდა მომისმინო.

ლუ ს'Fენგ-ი ხელი გამიშვით, (აღელვებული) ვიყვირებ.

ლუ კუეი რალაცას გეტყვი და შემდეგ ატეხე აურზაური (უახლოვდება და ყურში ჩასჩურჩულებს) მერე დედაშენი მოვა აქ (ხელს უშვებს).

ლუ ს'Fენგ-ი (გამომეტყველება ეცვლება) რაო? დედა როგორც კი მატარებლიდან ჩამოვა, მაშინვე ჭოუ-ს სახლში მოვა?. დედას საერთოდ არ უნდოდა, აქ რომ მემუშავა და აქ რალატომ მოგყავთ? ყოველ საღამოს ხომ მაინც სახლში ვბრუნდები, აქ რისთვის მოგყავთ?!

ლუ კუეი მე კი არა, პატარა ქალბატონო, ჩემო შვილო, ქალბატონმა მიბრძანა მომეყვანა.

ლუ ს'Fენგ-ი ქალბატონმა გიბრძანათ?

ლუ კუეი ჰო, (იდუმალი გამომეტყველებით) საკვირველია, დედაშენი ერთი უთვისტომო ქალია, ქალბატონმა კი მასთან შეხვედრა და საუბარი მოინდომა.

ლუ ს'Fენგ-ი ნუ მიედ-მოედებით, პირდაპირ მითხარით.

ლუ კუეი იცი, ქალბატონი სულ ზედა სართულზე რატომ ზის და არ ჩამოდის? წერს ლექსებს, კალიგრაფიაში ვარჯიშობს და თვალთმაქცობს, ავადმყოფობას იმიზეზებს.

ლუ ს'Fენგ-ი როგორც კი ბატონი სახლში ბრუნდება ქალბატონი სულ ასე იქცევა

ლუ კუეი ამჯერად? რალაც ისე არაა?

ლუ ს'Fენგ-ი აბა როგორ?

ლუ კუეი ვერაფერს ხვდები, ნუთუ ბატონიშვილმა არაფერი გითხრა?

ლუ ს'Fენგ-ი არა, მე მარტო ის ვიცი, რომ ბოლო ნახევარი წელი ბატონიშვილი ქალბატონს იშვიათად ელაპარაკება.

ლუ კუეი ჰა... მართლა? ქალბატონი შენ როგორ გექცევა?

ლუ ს'Fენგ-ი ამ ბოლო დროს გაცილებით უკეთესად.

ლუ კუეი მაშ, ყველაფერი სიმართლეა! გეტყვი, ქალბატონმა იცის. მისი სურვილია აქედან წახვიდე, ამიტომ თვითონ აპირებს დედაშენს უთხრას, რომ გუდა-ნაბადი აიკრა და აქაურობას მოშორდე!

ლუ ს'Fენგ-ი (ხმადაბლა) ჩემი წასვლა უნდა? კი მაგრამ – რატომ?

ლუ კუეი შენ თვითონ იცი რატომაც!

ლუ ს'Fენგ-ი (ხმადაბლა) დედას რატომ იბარებს?

ლუ კუეი თვითონ გაიგებ... კიდეც...

ლუ ს'Fენგ-ი (ხმადაბლა) რატომ უნდა მოვიდეს დედა?

ლუ კუეი ნამდვილად დედას უნდა რომ უთხრას მნიშვნელოვანი ამბავი.

ლუ ს'Fენგ-ი (უცაბედად, მიხვდება) ოჰ, მამა! ჩემი აქაური ამბები დედამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაიგოს (განიცდის და ნანობს, თვალზე ცრემლი მოადგა). მამა, დაფიქრდით, შარშან აქედან რომ მინდოდა წასვლა, დედამ დაგიბარათ ჩემთვის კარგად მოგეხედათ და ამ სახლში არ მოგეყვანეთ, თქვენ კი არ დაუჯერეთ და მაინც მომიყვანეთ. დედამ აქაური ამბები არ იცის. მოგკვდები და ვერ დავუშვებ, რომ რამე გაიგოს (მაგიდაზე დაემხო) ვაიმე, დედა!

ლუ კუეი შვილო, (იცის, რომ ყველაფერი უნდა დამთავრდეს და მოფერებით ეუბნება ახლა ხომ ხედავ, მამას რომ უყვარხარ, მამა შენზე ზრუნავს, ნუ გეშინია! ის ვერაფერს დაგაკლებს, ვერ დაგიტხოვს.

ლუ ს'Fენგ-ი რატომ, ვეზიზღები?

ლუ კუეი ის ვერ გიტანს მაგრამ, მან არ შეიძლება არ იცოდეს, რომ აქ ჯერ არის ერთი ადამიანი, ვისიც მას უნდა ემინოდეს.

ლუ ს'Fენგ-ი ვისი ემინოდეს?

ლუ კუეი ჰმ! ვისი და მამაშენის. დაგავინყდა, ორ ეშმაკზე რომ გიყვებოდი. გუშინ საღამოს ქალბატონს შენს მაგივრად რომ დავეთხოვე, მიბრძანა, დედაშენი რომ მოვიდოდა, მასთან მიმიყვანა. მე ხომ ვიცოდი, ეს ორი დღე რა ხასიათზეც იყო, ამიტომ მივხვდი, რასაც აპირებდა და იმლამინდელ ამბავზე გადაუკარი სიტყვა. გამჭრიახი ქალია და უეჭველად მიხვდებოდა. ჰმ! თუკი თავს მოისულელებს, მაშინ... ჰმ, ახლა ბატონიც სახლშია და ჩვენ შეიძლება უსიამოვნებებს შევამთხვიოთ. კი, ვიცი, ის ძალიან მტკიცე ქალია,

მაგრამ ვინც ჩემს ქალიშვილს აწყენინებს, მას არც მე არ დავინდობ.

ლუ ს'Fენგ-ი მამა (თავს აწევს), სისულელეებს ნუ ლაპარაკობთ!

ლუ კუეი ამ სახლში მოხუცის გარდა თვალში არავინ მომდის. ნუ ინალელებ, მე ხომ გიყვარვარ! გარდა ამისა, შეიძლება მეშლება და ასე სულაც არ არის. ახლახანს, გარეთ რომ ვიყავი, ქალბატონმა მითხრა, რომ სურს დედაშენთან შეხვედრა. იცის დედაშენი წერა-კითხვის მცოდნე რომაა, შეიძლება მაგიტომ.

ლუ ს'Fენგ-ი (უცებ მიაყურადებს) სუ! ნუ ლაპარაკობთ, (მიუთითებს მარცხნივ), გავიგონე, თითქოს ვიღაცამ სასადილო ოთახში დაახველა.

ლუ კუეი (მიაყურადებს) ნუთუ ქალბატონია (სასადილო ოთახის კართან მივა, ჭუჭრუტანიდან შეიხედავს, საჩქაროდ შემობრუნდება), ის ყოფილა, საკვირველია! ქვემოთ ჩამოსულა. ნუ აჩქარდები, არაფერი წამოგცდეს. მე წავედი.

ლუ ს'Fენგ-ი (ცრემლებს შეიმშრალებს) მამა, მეტყობა ცრემლები?

ლუ კუეი ნუ ლელავ, ნუ იმჩნევ, ნურაფერს იტყვი. მე წავედი.

ლუ ს'Fენგ-ი დედაჩემის მოსვლა მაცნობე.

ლუ კუეი კეთილი, დედაშენს რომ შეხვდები, ვითომ არაფერი იცი, ხომ გესმის? (შუა კარებთან მივა, ისევ თავს მოაბრუნებს) არ დაგავინწყდეს ქალბატონს უთხრა, რომ მის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ლუ კუეი ლელავს (ჩქარი ნაბიჯით გადის შუა კარებიდან).

(ს'Fენგ-ი წამლიან ფინჯანს იღებს და სასადილო ოთახისაკენ მიემართება. უეცრად შემოდის ჭოუ Fანი. ერთი შეხედვისთანავე შეატყობთ, რომ გაბედული და ცბიერი ქალია. ფერმკრთალი, მხოლოდ ტუჩები აქვს ოდნავ წითელი. მისი დიდი, ჩამქრალი თვალები და შემალღებული ცხვირი სამიში ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. მისი სახის ნაკვთებიდან, გრძელი და მშვიდი წამწამების ჩრდილქვეშ ჩუმი სევდა გამოისჭვივის. ზოგჯერ, როდესაც ის გულში დაგროვილი მგზნებარებით აენთება, მისი მზერა გულგატეხილი და იმედგაცრუებული ახალგაზრდა ქალის ტანჯვითა და ჩივილით იმსჭვალება. ტუჩის კუთხეები ოდნავ დაშვებული აქვს, რაც დამორჩილებული ქალის თავდაჭერილობაზე მეტყველებს. როდესაც ის ჩუმად ახველებს, თხელ და თოვლივით თეთრ ხელებს, ჯერ მკერდზე მიიკრავს, ამოისუნთქავს და მერე გაბერილ, განითლებულ ლოყებზე ჩამოისვამს. ის ძველი ყაიდის ჩინელი ქალია – სათუთი და ნალელიანი. მშვიდი და დაბრძენებული, პოეზიის მოყვარული. თუმცა გულის სიღრმეში ის უფრო პირველყოფილი, ველური ზნისაა, რაც მის გაბედულებაში, მის შემოღობულ ფიქრებში, გასაოცარი სიმტკიცისა და შეუპოვრობის დროს მოზღვავებულ ენერჯიაში გამოიხატება. მთლიანობაში ის მთის ბროლსა ჰგავს, სულიერ ნუგეშს მამაკაცს რომ მოჰგვრის. მისი ნათელი შუბლი ღრმა წვდომის ნიჭზე მიგვანიშნებს. მხოლოდ თითქოს იმისათვის, რომ საინტერესო საუბრები წარმართოს, მაგრამ გრძნობა რომ მოერევა, უეცრად მხიარულად გაიცინებს; საყვარელი ადამიანის დანახვისას სახეს სიხარული ვარდისფრად შეუფერადებს. ხოლო როდესაც ლოყებზე სიცილისაგან ღრმულები გამოუჩნდება, მხოლოდ მაშინ მიხვდები, რომ ის შეიძლება შეიყვარო, მხოლოდ მაშინ თუ იგრძნობ, რომ ის ქალია, ისეთივე ქალი, როგორც სხვები. თუ შეუყვარდები სამი დღის წამომშობილარი ძალღვივით დასწვდება თავის ყველაზე საყვარელ ძვალს. თუ შესძულდები, ავი ძალღვივით დაგიღრენს. არა, ხშირ შემთხვევაში ჩუმ-ჩუმად უმონყალოდ შეგჭამს. თუმცა გარეგნობით მშვიდი და სევდიანია, როგორც მზის ჩასვლის წინ, შენ ფეხებთან დაცემული შემოდგომის ფოთოლი გრძნობს, რომ მისმა ზაფხულმა უკვე ჩაიარა. დაისია, და, შესაბამისად, მწუხრი დგება. სხივი ქრება და...)

იგი თავით ფეხებამდე თალხითაა შემოსილი. ხალათის კიდეებში ვერცხლის არშიაა ჩასმული. მრგვალი მარაო თითზე ჩამოუკიდია. მისი ოდნავ ჩავარდნილი თვალები ელავს. შემოდის და ს' Fენგ-ს ძალიან ბუნებრივად შესცქერის.)

ლუ ს'Fენგ-ი (გაკვირვებული) ქალბატონო! რატომ ჩამობრძანდით? სწორედ ახლა ვაპირებდი წამლის ამოტანას!

ჭოუ Fანი (ამოოხვრით) ბატონი კაბინეტშია?

ლუ ს'Fენგ-ი დიახ, სტუმარი ჰყავს.

ჭოუ Fანი ვინ?

ლუ ს'Fენგ-ი დიდ ხანი არ არის რაც სახლის მშენებელი ინჟინერი იყო, ახლა კი არ ვიცი ვინ არის. გნებავთ ნახოთ?

ჭოუ Fანიარა. გამდელმა მითხრა, რომ ეს სახლი მიეყიდა ერთ-ერთ კათოლიკური ეკლესიას საავადმყოფოსათვის, ეს ასეა?

ლუ ს'Fენგ-ი დიახ, ბატონმა გვიბრძანა წვრილმანის ალაგება და ავეჯის გატანა.

ჭოუ Fანი ვინ თქვა, რომ უნდა გადავიდეთ?

ლუ ს'Fენგ-ი როგორც კი დაბრუნდა ბატონიშვილი, ჩვენი გადასვლა დააჩქარა.

ჭოუ Fანი (შეჩერდა, უცბად) რატომ არ შემატყობინეს მე?

ლუ ს'Fენგ-ი ბატონიშვილმა გვითხრა, რომ ცუდად გრძნობთ თავს და რომ ხმები და საუბრები შეგანუხებდათ.

ჭოუ ღანი ორი კვირაა ქვემოთ არ ჩამოვსულვარ და ოთახი უკვე სხვანაირად გამოიყურება.
 ლუ ს'ფენგ-ი დიას, ბატონს არ მოსწონდა ოთახის თქვენეული მოწყობა, ამიტომ ზოგიერთი თქვე-
 ნი მოტანილი ავეჯი გაიტანა და თავისებურად განალაგა.
 ჭოუ ღანი (შეხედავს მარჯვნივ მდგომ კარადას) ეს მისი საყვარელი კარადა ისევ შემოუტანია (დაახ-
 ველებს, ჩამოჯდება).
 ლუ ს'ფენგ-ი ქალბატონო, მე მგონი სიცხე გაქვთ, ადით ზევით და დაისვენეთ
 ჭოუ ღანი არა, ზევით ძალიან ცხელა (დაახველებს)
 ლუ ს'ფენგ-ი ბატონმა თქვა, რომ ავად ხართ და დაიბარა ზემოთ იწვეს და დაისვენოსო
 ჭოუ ღანი არ მინდა ლოგინში წოლა. ჰო, მართლა, ბატონი მალაროდან როდის დაბრუნდა?
 ლუ ს'ფენგ-ი გუშინწინ სალამოს გაიგო, რომ მალალი სიცხე გქონდათ და გვიბრძანა არ გაგველ-
 ვიძებინეთ, ამიტომ მე მარტომ დავიძინე ქვევით.
 ჭოუ ღანი დღისითაც არ დამინახავს.
 ლუ ს'ფენგ-ი ჰო, ბოლო ორი დღე ბატონი მალაროს მონილებთან დადის კრების ჩასატარებლად,
 სალამოობით კი ამოდის თქვენს სანახავად, მაგრამ ამ დროს კარი უკვე ჩაკეტილი გაქვთ ხოლმე.
 ჭოუ ღანი (დაბნეულად, უდარდელად) ოჰ, ოჰ! ქვემოთაც როგორი სულის შემხუთველი სიცხეა.
 ლუ ს'ფენგ-ი დიას, ძალიან ცხელა. ცა დილიდანვე შავმა ღრუბელმა დაფარა, ალბათ მალე თქეში
 მოვარდება.
 ჭოუ ღანი უფრო დიდი მარაო მომეცი, თორემ სული მეხუთება.
 (ს'ფენგ-ი იღებს პალმის მარაოს და F'ანი-ს აძლევს. Fანი ს'ფენგ-ს შეხედავს და განზრახ მიაბრუნებს
 თავს.
 ჭოუ ღანი ბოლო ორი დღე უფროსი ბატონიშვილი რატომ არ სჩანს?
 ლუ ს'ფენგ-ი ალბათ ძალიან დაკავებულია
 ჭოუ ღანი გავიგე, ისიც მალაროში მიდის, მართალია?
 ლუ ს'ფენგ-ი არ ვიცი.
 ჭოუ ღანი არ გავიგია?
 ლუ ს'ფენგ-ი არა. თუმცა მისი გადია ორი დღეა დაფუსფუსებს, ტანსაცმელს ულაგებს.
 ჭოუ ღანი მამაშენი რაღას აკეთებს?
 ლუ ს'ფენგ-ი ალბათ წავიდა ბატონისათვის სანდალოზის სურნელოვანი ღეროების საყიდლად. მან
 სთქვა, რომ შენუხებუღია თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობით.
 ჭოუ ღანი ჰო, ჩემზე ძალიან დარდობს (ჩერდება, უეცრად) ჯერ არ ამდგარა?
 ლუ ს'ფენგ-ი ვინ?
 ჭოუ ღანი (არ ეგონა, თუ ს'ფენგ-ი ასე ჰკითხავდა, საჩქაროდ თავს შეიკავებს) ჰო, უფროსი
 ბატონიშვილი.
 ლუ ს'ფენგ-ი არ ვიცი.
 ჭოუ ღანი (ცალი თვალით გადახედავს) ჰოო?
 ლუ ს'ფენგ-ი ბატონიშვილი არ მინახავს
 ჭოუ ღანი გუშინ სალამოს როდის დაბრუნდა?
 ლუ ს'ფენგ-ი (განითლდება) არ ვიცი, მე ყოველ სალამოს შინ ვბრუნდები.
 ჭოუ ღანი (უნებლიედ) ოჰ, შენ ხომ ყოველ სალამოს შინ ბრუნდები! (იგრძნობს, რომ წამოსცდა)
 მერე ბატონს ვინღა უვლის? რატომ უნდა ბრუნდებოდე სალამოობით შინ?
 ლუ ს'ფენგ-ი ქალბატონო, თქვენ თვითონ არ მიბრძანეთ ყოველ სალამოს დაბრუნება?
 ჭოუ ღანი მაშინ ბატონი შინ არ იყო.
 ლუ ს'ფენგ-ი ბატონი ხომ ვეგეტერიანიულ საკვებს მიირთმევს და ლოცვებს კითხულობს. ვშიშობ
 არ მოენონება, ჩვენ თუ ამ დროს მოვემსახურებით. გამიგონია, ბატონიშვილი ქალებს ამრეზილად უყურე-
 ბსო.
 ჭოუ ღანი აჰ! (თვალეზგადმოკარკლეული) ე. ი. უახლოეს დღეებში დაბრუნდება, ბოლოს და
 ბოლოს სად წავა? (ჩუმად) ძნელი სათქმელია
 ლუ ს'ფენგ-ი (ფრთხილად) უფროს ბატონიშვილზე მეკითხებით?
 ჭოუ ღანი (ს'ფენგ-ს მიაშტერდება) ჰო!
 ლუ ს'ფენგ-ი არ გამიგონია (ყოყმანით) ის... ის ყოველთვის ღამის ორ-სამ საათზე ბრუნდება შინ.
 დღეს დილით გავიგონე მამაჩემი ბუზღუნებდა, ბატონიშვილს შუალამისას გაუფლე კარიო.
 ჭოუ ღანი ისევ დათვრა?
 ლუ ს'ფენგ-ი არ ვიცი. (საუბრის თემის შეცვლა სურს) ქალბატონო, წამალი დალიეთ.
 ჭოუ ღანი ვინა სთქვა, რომ წამალი უნდა დავლიო?
 ლუ ს'ფენგ-ი ბატონმა დამიბარა.

ჭოუ ფანი მე ხომ ექიმიც არ გამომიძახებია, ეს წამალი საიდან გაჩნდა?
ლუ ს'ფენგ-ი ბატონმა თქვა, რომ დეპრესიაში ხართ. ახლახანს გაახსენდა თქვენი ძველი რეცეპტი და მიბრძანა ამ რეცეპტის მიხედვით მომეხარშა წამალი.

ჭოუ ფანი მოხარშე თუ არა?
ლუ ს'ფენგ-ი მოვხარშე, თითქმის გაცივდა. (ს'ფენგ-ს ორივე ხელით უჭირავს ჭიქა, უახლოვდება ფანი-ს) დალიეთ.

ჭოუ ფანი (ერთ ყლუპს მოსვამს) რა მწარეა, ვინ მოხარშა? ძალიან უგემურია, ვერ დავლევ, გადაღვარე!
ლუ ს'ფენგ-ი გადავღვარო?
ჭოუ ფანი (უცბად თვალწინ ჭოუ ფუიუენ-ის მკაცრი სახე წარმოუდგება) ჯერ იყოს, იქ დადგი, არა (ზიზღით) მიდი გადაღვარე.

ლუ ს'ფენგ-ი (ყოყმანით) ჰო.
ჭოუ ფანი ამ წლების განმავლობაში საკმარისად მივირთვი ასეთი მწარე წამლები.
ლუ ს'ფენგ-ი (წამლიან ჭიქას იღებს) ცოტა მოითმინეთ და დალიეთ. სწორედ მწარე წამალი მოგა-
რჩენთ.

ჭოუ ფანი (უეცრად, სიძულვილით) ვის სჭირდება შენი რჩევები? გადაღვარე! (თავს დამცირე-
ბულად გრძნობს) ბატონის ჩამოსვლის შემდეგ გავიგონე, გადაიმ სთქვა, გახდაო.

ლუ ს'ფენგ-ი ჰო, ძალიან გახდა და გაშავდა. მაღაროში გაფიცვა ყოფილა, ბატონი ძალიან ლე-
ლავს.

ჭოუ ფანი ცუდ გუნებაზეა?
ლუ ს'ფენგ-ი ბატონი ისევეა, როგორც ყოველთვის, თუ სტუმარი არ ჰყავს, მედიტაციის პოზაში
ლოცვებს კითხულობს და მაშინ, სახლში სიტყვასაც ვერ დააცდენინებ.

ჭოუ ფანი ბატონიშვილებთან არ უსაუბრია?
ლუ ს'ფენგ-ი როგორც კი დაინახა, უფროს ბატონიშვილს მხოლოდ თავი დაუკრა, არაფერი უთქ-
ვამს. უმცროსი ბატონიშვილის სასწავლებლის ამბები კი იკითხა. ჰო, მართლა! დილით უმცროსი ბატონიშ-
ვილი თქვენს ჯანმრთელობის მდგომარეობას კითხულობდა.

ჭოუ ფანი მე ახლა არ მსურს საუბარი, უთხარით, კარგად ვარ. მოგვიანებით ოჯახის ხაზინა-
დარს უთხარით, უმცროს ბატონიშვილს ორმოცი იუენ-ი მისცეს წიგნების საყიდლად.

ლუ ს'ფენგ-ი უმცროს ბატონიშვილს თქვენი ნახვა სურს.
ჭოუ ფანი მაშინ უთხარით, ზედა სართულზე ამოვიდეს. (წამოწითლდება, ორ ნაბიჯს გადად-
გამს) ჰმ, ამ ოთახში როგორი შეხუთული ჰაერია. შიგნით თითქოს ყველაფერი დაობდა და ხალხიც თითქოს
ვირეშმაკობს.

ლუ ს'ფენგ-ი (ჩაფიქრდება) ქალბატონო, მინდა დღეს დაგეთხოვოთ.
ჭოუ ფანი დედაშენი წინ ანიდან ჩამოდის, არა? მამაშენი მეუბნებოდა.
(ბალის მხრიდან ჭოუ ჩუნგ-ის ხმა მოისმება: ს'ფენგ! ს'ფენგ! მოდი, ნახე, უმცროსი ბატონიშვილი გეძა-
ხის.)

(ჭოუ ჩუნგ-ის ხმა: ს'ფენგ!)

ლუ ს'ფენგ-ი აქა ვარ!
(შუა კარიდან ჭოუ ჩუნგ-ი შემოდის, აცვია თეთრი ევროპული ყაიდის კოსტიუმი)

ჭოუ ჩუნგ-ი (შემოსვლისას მხოლოდ ს' ენგ-სა ხედავს) ს' ფენგ, მთელი დილაა დაგეძებ (ფან-ს
დაინახავს) დედა, როგორ, უკვე ჩამოხვედი?
ჭოუ ფანი ჩუნგ-იკო, რა მოგივიდა? სახე მთლად ოფლიანი გაქვს.
ჭოუ ჩუნგ-ი ახლახანს ჩემს სკოლის ამხანაგს ჩოგბურთი ვეთამაშე, (გულთბილად) თქვენთვის
ბევრი რამ მაქვს სათქმელი. თავს უკეთ გრძნობთ ფანი-ს გვერდით ჩამოჯდება) ბოლო ორო დღეა ზემოთ
ამოვდივარ თქვენს სანახავად, მაგრამ კარი სულ ჩაკეტილი მხვდება. რატომ?
ჭოუ ფანი სიმშვიდეში მინდოდა დამესვენა. სახის ფერი როგორი მაქვს? ს'ფენგ, უმცროს ბა-
ტონიშვილს ლიმონათი გამოუტანე, შეხედე, სახე როგორ აწითლებია.
(ს'ფენგ-ი შედის სასადილო ოთახში)

ჭოუ ჩუნგ-ი (სიხარულით) გმადლობ, ერთი შემახედეთ! მე მგონი კარგად გამოიყურებით, არავი-
თარი ავადმყოფობა, ყოველთვის რატომ ამბობენ, რომ ავად ხართ? ზევით დამალულხართ. მამა უკვე სამი
დღეა რაც დაბრუნდა და ჯერაც არ გინახავთ.

ჭოუ ფანი (სევდიანად უყურებს ჭოუ ჩუნგ-ს) გული დამძიმებული მაქვს.
ჭოუ ჩუნგ-ი ო, დე, არ გინდა, მამა თქვენს წინაშე დამნაშავეა, მაგრამ ის ხომ მოხუცია, მე კი
თქვენი მომავალი ვარ, ვიქორწინებ კარგ ადამიანზე. დე, შენ ხომ იცხოვრებ ჩვენთან ერთად? მაშინ ჩვენ
აუცილებლად ყველაფერს ვიღონებთ, რომ მხიარულად იყო.

ჭოუ ფანი (სახეზე ღიმილმა გადაურბინა) მხიარულად? (უცაბედად) ჩუნგ-იკო, ჩვიდმეტი წლისა

ხარ, არა?

ჭოუ ჩუნგ-ი (მოსწონს, როცა დედა ასეთი მოულოდნელობითაა სავე) დედა, თუ ერთხელ კიდევ დაგავინწყდება ჩემი ასაკი, მართლა გაგინყრებით!

ჭოუ Fანი (სიცლით) ჰო, ცუდი დედა გყავს, ხანდახან თავიც კი ავინწყდება ხოლმე (ჩაფიქრდება) ოჰ, თვრამეტი წელი ამ ძველ სახლში, შეხედე, დედა დაბერდა, არა?

ჭოუ ჩუნგ-ი დე, იცი, რომ უნდა გადავიდეთ? ახალ სახლში. მამამ გუშინ მითხრა, რომ ზევ გადავალთ,

ჭოუ Fანი შენ იცი, მამას რატომ უნდა გადასვლა?

ჭოუ ჩუნგ-ი დაფიქრდი, როცა მამა რალაცას აკეთებს, წინასწარ გვეუბნება? მაგრამ ვფიქრობ, ის დაბერდა. ამბობდა, რომ მალაროს საქმეებში არ ჩაერეოდა, ამასთან ერთად ძველი სახლი უიღბლოა. ო, დედა, არ გაგიგონია, ამ სახლში ეშმაკები რომ სახლობენ? ორი წლის წინ, შემოდგომაზე, მე თვითონ გავიგონე რალაც იყო...

ჭოუ Fანი ნულარ გააგრძელებ.

ჭოუ ჩუნგ-ი დე, შენ გჯერა ამ მონაჩმანის?

ჭოუ Fანი მე არ მჯერა, მაგრამ ეს ძველი სახლი საოცრად უცნაურია, თუმცა ძალიან მიყვარს. მაგრამ მე მაინც მჯერა, რომ აქ არის რალაც სულიერება, მე წასვლისათვის რომ მაფერხებს.

ჭოუ ჩუნგ-ი (უცბად, გახარებული) დე!

(ს'Fენგ-ი შემოდის ლიმონათის ბოთლით ხელში)

ლუ ს'Fენგ-ი ინებეთ, ბატონიშვილო.

ჭოუ ჩუნგ-ი (დგება) გმადლობ (ს'Fენგ-ი წითლდება).

(ს'Fენგ-ი ლიმონათს ასხამს)

ჭოუ ჩუნგ-ი კიდევ ერთი ჭიქა მოიტანე ქალბატონისათვის, კარგი?

(ს'Fენგ-ი გადის)

ჭოუ Fანი (თვალჩაცებით უმზერს ს'Fენგ-სა და ჭოუ ჩუნგ-ს) ჩუნგ-იკო, ასეთი თავაზიანობა რა საჭიროა?

ჭოუ ჩუნგ-ი (ლიმონათს მოსვამს) დედა, სწორედ ახლა მინდოდა მეთქვა. ეს იმიტომ, რომ (ს'Fენგ-ი შემოდის) მერე გეტყვით. დედა, მარაო რომ მოგიხატეთ, სად არის?

ჭოუ Fანი შენ რა, დაგავინწყდა, ავად რომ ვიყავი?

ჭოუ ჩუნგ-ი დიახ, დამავინწყდა, მაპატიე, მე, მე... ამ ოთახში ასე რატომ ცხელა?

ჭოუ Fანი ალბათ იმიტომ, რომ ფანჯარაა ჩაკეტილი.

ჭოუ ჩუნგ-ი ნავალ, გამოვალე.

ლუ ს'Fენგ-ი ბატონმა დაიბარა, არ გაალოთო, თქვა, გარეთ უფრო ცხელა, ვიდრე ოთახშიო.

ჭოუ Fანი არა, გააღე. ის ორი წელია რაც ამ ოთახში არ ყოფილა. რა იცის, ამ ოთახში როგორი შეხუთული ჰაერია!

ლუ ს'Fენგ-ი (ნიშის ფარდებს გადასწევს)

ჭოუ ჩუნგ-ი (ხედავს, რომ ს'Fენგ-ი ძლივ-ძლივით სწევს ფანჯრის წინ მდგარ ყვავილის ქოთნებს) ს'Fენგ, თავი დაანებე, მე გავაკეთებ (მივა).

ლუ ს'Fენგ-ი მე თვითონ

ჭოუ ჩუნგ-ი (ჯიუტად) მომეცი, მე გავაკეთებ (ორივენი იღებენ ყვავილის ქოთანს, იატაკზე დადგმისას ს'Fენგ-ს ხელი მოჰყვა. ს'Fენგ-ი ტკივილისაგან შეხტა) აბა როგორ (ხელს ჰკიდებს მის ხელს)

ლუ ს'Fენგ-ი (ხელს აშვებინებს) არაფერია, არაფერი, მეორე ბატონიშვილო.

ჭოუ ჩუნგ-ი არაფერი სერიოზული, მოგიტან ანტისეპტიკურ მწებავ ზოლს.

ჭოუ Fანი ჩუნგ-იკო, არაა საჭირო.

(ს'Fენგ-ისაკენ შეტრიალდება) სამზარეულოში წადი, ნახე ერთი, ბატონს რომელი ბოსტნეულის კერძი მოუმზადეს

(ს'Fენგ-ი შუა კარიდან გადის, ჭოუ ჩუნგ-ი აცილებს თვალებით

ჭოუ Fანი ჩუნგ-იკო! (ჭოუ ჩუნგ-ი მობრუნდება და გახარებული შეჰყურებს) ჩამოჯექი და მომიყევი.

ჭოუ ჩუნგ-ი (იმედიანი და მხიარული გამომეტყველებით უყურებს Fანი-ს) დედიკო, ეს ბოლო ხანია, ძალიან გახარებული ვარ.

ჭოუ Fანი კარგია, თუ შეგიძლია ამ სახლში მხიარულად გრძნობდე თავს.

ჭოუ ჩუნგ-ი დე, არასოდეს მდომებია თქვენთვის რაიმე დამემალა. თქვენ ხომ ჩვეულებრივი დედა არ ხართ, თქვენ ყველაზე გაბედული ხართ, ყველაზე დიდ წარმოსახვის უნარი გაქვთ. ყველაზე მეტად თქვენ თანამიგრძნობთ!

ჭოუ Fანი ჰო.

ჭოუ ჩუნგ-ი დედი, რალაც მინდა გითხრათ, მინდა მოგელაპარაკოთ.

ჭოუ Fანი მომიყევი, რაშია საქმე.
 ჭოუ ჩუნგ-ი დედი. (იდუმალი გამომეტყველებით) ხომ არ დამტუქსავთ?
 ჭოუ Fანი არა, მომიყევი.
 ჭოუ ჩუნგ-ი (სიხარულით) ოჰ, დედი... არა, არ მოგიყვებით.
 ჭოუ Fანი (გაიცინებს) რატომ?
 ჭოუ ჩუნგ-ი მე... მეშინია არ გამიჯავრდეთ. თუ მოგიყვებით, ისევ ძველებურად გეყვარებით?
 ჭოუ Fანი სულელო ბავშვო, დედას მუდამ ეყვარები.
 ჭოუ ჩუნგ-ი (სიცილით) ჩემი კარგი დედა. მართლა ისევ გეყვარებით, არ გამიჯავრდებით?
 ჭოუ Fანი რა საკვირველია, მომიყევი
 ჭოუ ჩუნგ-ი ოღონდ არ დამცინოთ!
 ჭოუ Fანი ჰო, არ დაგცინებ.
 ჭოუ ჩუნგ-ი მართლა?
 ჭოუ Fანი მართლა.
 ჭოუ ჩუნგ-ი დედა, ერთი ადამიანი მომწონს.
 ჭოუ Fანი (მისი ეჭვები მართლდება) ოჰო! (დაჟინებით უყურებს).
 ჭოუ ჩუნგ-ი Fანი-ს დაჟინებულ მზერას თვალს გაუსწორებს) დედა, ისევ ისეთი გამომეტყველე-
 ბა გაქვთ, თითქოს რაღაც დავაშავე.
 ჭოუ Fანი (თავს გაიქნევს) არა, არა, გააგრძელე (უფრო ამალღებული განწყობით) ის გოგონა
 ვინ არის?
 ჭოუ ჩუნგ-ი (დაუოკებელი აღფრთოვანებით) ის მსოფლიოში ყველაზე, ყველაზე... (Fანი-ს
 გადახედავს) ყოველ შემთვევაში ის ჩემთვის ყველაზე მეტად მისაღებია. ბუნებით მიამიტიცა, თანაგრძნობის
 უნარი აქვს, ესმის ცხოვრების მშვენიერება და შრომის სარგებლობა და ყველაზე მთავარი – იგი სხვა ქალ-
 იშვილებივით განებივრებული და განაზებული არ არის.
 ჭოუ Fანი (დაბნეული) კი მაგრამ, შენ ხომ განათლებული ხალხი მოგწონს! ის ნასწავლია?
 ჭოუ ჩუნგ-ი რა თქმა უნდა არა. ეს, შეიძლება ითქვას, მისი ერთადერთი ნაკლია, მაგრამ სულაც
 არ არის მისი ბრალი.
 ჭოუ Fანი (მზერა დაებინდება, ძალაუნებურად აგრძელებს გამოკითხვას) ჩუნგ, ის გოგო... ს'
 Fენგ-ი ხომ არ არის?
 ჭოუ ჩუნგ-ი კი, დედა. დედი, ვიცი ხალხი დამცინებს, მაგრამ, თქვენ უნდა მითანაგრძნოთ.
 ჭოუ Fანი (სახტად დარჩება, თავისთვის ჩაილაპარაკებს) როგორ, ჩემი შვილიც... საკვირვე-
 ლია!
 ჭოუ ჩუნგ-ი (აღელდება) არა ხართ თანახმა? გგონიათ შევცდი?
 ჭოუ Fანი არა, არა, ასეც არ არის. ვშიშობ, მისნაირი გოგონა ვერ გაგაბედნიერებს.
 ჭოუ ჩუნგ-ი არა! ის ჭკვიანია და მგრძნობიარე. გარდა ამისა, ჩემი ესმის.
 ჭოუ Fანი არ გეშინია, რომ მამაშენი გაგიჯავრდება?
 ჭოუ ჩუნგ-ი ეს ჩემი პირადი საქმეა.
 ჭოუ Fანი ხალხმა რომ გაიგოს, ჭორაობას დაიწყებს.
 ჭოუ ჩუნგ-ი სულაც არ მაინტერესებს.
 ჭოუ Fანი ეს უკვე ჩემი შვილის სიტყვებია! მაგრამ მაინც მეშინია, არ შეცდებ... ჯერ ერთი,
 ის მაინც უსწავლელი გომბიოა (მდაბიო). თუ გაიგებს, რომ მოგწონს, რა თქმა უნდა, მიიჩნევს, რომ ბედმა
 გაუღიმა.
 ჭოუ ჩუნგ-ი დედა, ნუთუ გგონიათ, რომ მას საკუთარი პრინციპები არ გააჩნია?
 ჭოუ Fანი ჩუნგ-იკო, შენ ყველა ადამიანი კეთილშობილი გგონია.
 ჭოუ ჩუნგ-ი დედა, ჩემი აზრით ს' Fენგ-ს უსამართლოდ ექცევით. ის ხომ ყველაზე უბინო, სა-
 კუთარი აზრის მქონე გოგონაა. გუშინ ხელი ვთხოვე...
 ჭოუ Fანი (უფრო გაოცდება) რა? ხელი სთხოვე? (სიცილი აუტყდება) შენ მას ხელი სთხოვე?
 ჭოუ ჩუნგ-ი (სერიოზულად, დედის ამგვარი ქცევა არ მოსწონს) ნუ იცინით! მან უარი მითხრა,
 მაგრამ მაინც მიხარია, რადგან ამის შემდეგ ის კიდევ უფრო ამალღდა ჩემს თვალში. მან მითხრა, რომ არ
 სურს ცოლად გამომყვეს.
 ჭოუ Fანი ჰმ!
 ჭოუ ჩუნგ-ი გგონიათ თვალთმაქცობს? არა, მითხრა, რომ სხვა უყვარს.
 ჭოუ Fანი ვინა? გითხრა ვინ?
 ჭოუ ჩუნგ-ი არ მიკითხავს. ყოველ შემთხვევაში, ალბათ, მისი მეზობელი იქნება, ის, ვისაც
 ხშირად ხედავს, მაგრამ სიყვარული სიძნელეების გარეშე არ არსებობს. მე ის მიყვარს, ისიც ნელ-ნელა გამი-
 გებს და შემეყვარებს.
 ჭოუ Fანი (თავს ველარ იკავებს) ჩემი ვაჟი იმ გოგოს არ მოიყვანს ცოლად.

ჭოუ ჩუნგ-ი (ასეთ პასუხს არ მოელოდა) დე, ასე რატომ იწუნებთ? ს' ჩუნგ-ი კარგი გოგონაა, იგი თქვენ თაყვანს გცემთ და პატივისცემით გეპყრობათ.

ჭოუ ჩუნგ-ი ახლა რას აპირებ?

ჭოუ ჩუნგ-ი ყველაფერი მამას უნდა მოვუყვე.

ჭოუ ჩუნგ-ი დაგავინყდა, მამაშენი რა კაცია?

ჭოუ ჩუნგ-ი უთუოდ უნდა ვუთხრა. შეიძლება შემდეგ ს' ჩუნგ-ი ცოლად არც მოვიყვანო. თუ არ დამთანხმდება, მაინც ძველებურად პატივს ვცემ და დავეხმარები. მაგრამ ჯერ-ჯერობით მაინც მსურს, რომ განათლება მიიღოს. იმედია, მამა ნებას დამრთავს ს' ჩუნგ-ს ჩემი სწავლის საფასური გავუყო.

ჭოუ ჩუნგ-ი მართლაც, რომ ბავშვი ხარ!

ჭოუ ჩუნგ-ი (წყენით) არა, დედა, ბავშვი აღარა ვარ.

ჭოუ ჩუნგ-ი მამაშენი ერთი სიტყვით დაამსხვრევს შენს ოცნებებს.

ჭოუ ჩუნგ-ი არ მჯერა. (უხალისოდ) კმარა, ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ. დედა, გუშინ ჩემი ძმა ვნახე. მითხრა, რომ ხვალ მალაროში მიემგზავრება სამუშაოდ და დამაბარა, თქვენთვის მეთქვა, რომ ვერ ამოვა თქვენს სანახავად, ძალიან დაკავებულია. ხომ არ უსაყვედურებთ?

ჭოუ ჩუნგ-ი რატომ უნდა ვუსაყვედურო?

ჭოუ ჩუნგ-ი ვგრძნობ, რომ ჩემს ძმასთან ისეთივე კარგი ურთიერთობა აღარა გაქვთ, როგორც ადრე. დედი, მას ხომ ბავშვობიდანვე დედა არა ჰყავს, ამიტომ, ბუნებრივია, ცოტა უცნაური ხასიათისაა. მე მგონი, დედამისი მგრძნობიარე ადამიანი უნდა ყოფილიყო. ჩემი ძმაც ხომ ძალიან მგრძნობიარეა!

ჭოუ ჩუნგ-ი მამაშენი ახლა შინაა, შენი ძმის დედაზე ნაკლები ილაპარაკე, თორემ ის ისევ მკაცრ სახეს მიიღებს და ყველას ცუდ გუნებაზე დაგვაყენებს.

ჭოუ ჩუნგ-ი მაგრამ ამ ბოლო დროს ჩემი ძმა მართლაც ძალიან უცნაურად იქცევა, ბევრს სვამს, მშფოთვარე ხასიათი გაუხდა, დადის უცხო ეკლესიებში, არ ვიცი იქ რას აკეთებს.

ჭოუ ჩუნგ-ი კიდევ რა ჭირს?

ჭოუ ჩუნგ-ი გუშინნინის წინ დათვრა, მერე ხელი მომკიდა და მითხრა, საკუთარი თავი მძულსო, ზოგჯერ ტირის, ბევრი მელაპარაკა, მაგრამ ვერაფერი გავიგე.

ჭოუ ჩუნგ-ი ოჰო!

ჭოუ ჩუნგ-ი ბოლოს მითხრა, ოდესღაც უყვარდა ერთი ქალი, რომელიც არ უნდა შეჰყვარებოდა!

ჭოუ ჩუნგ-ი (თავისთვის) ოდესღაც?

ჭოუ ჩუნგ-ი ესა თქვა და აქვითინდა, მერე კი თავის ოთახიდან გასვლა მაიძულა.

ჭოუ ჩუნგ-ი მეტი არაფერი უთქვამს?

ჭოუ ჩუნგ-ი არაფერი. ძალიან მარტოსულად გამოიყურება. დედა, ძმაზე ძალიან ვლელავ, ნეტა აქამდე რატომ არ დაქორწინდა?

ჭოუ ჩუნგ-ი (წაილულლულეებს) ვინ იცის... ვინ იცის...

ჭოუ ჩუნგ-ი (გარედან ნაბიჯების ხმას გაიგებს და თავს მოაბრუნებს) ოჰო! ძმა მოსულა.

(ჭოუ ჩუნგ-ი შუა კარს აღებს და შემოდის. ის ოცდარვა-ოცდაცხრა წლისაა, სახე ფერმკრთალი აქვს, უმცროს ძმაზე ოდნავ მაღალია, თხელი სახის ნაკვეთით. მასზე ლამაზიც კი ითქმის, თუმცა ის იმ მამაკაცთა რიცხვს არ მიეკუთვნება, ერთი შეხედვით რომ ამსხვრევენ ქალთა გულელებს. მას შავი განიერი წარბები აქვს, სქელი ყურის ბიბილოები და მსხვილი ხელის მტევნები. ერთი შეხედვით ძალიან უბრალო და მიამიტ პიროვნებად მოგეჩვენებათ, მაგრამ თუკი დიდ ხანს დაჰყოფთ მასთან, მაშინ იგრძნობთ, რომ იგი უხეში ხასიათისა და ისეთი სულაც არ ყოფილა, როგორც გეგონათ. მის ჩამქრალ თვალებში ერთდროულად აღმოაჩენთ ეჭვიანსაცა და მიმდობ ადამიანს. სუსტია, თვითონ არ შეუძლია გადანყვეტილების მიღება. ერთი სიტყვით – წინააღმდეგობრივია. მისი ტუჩის კუთხეები ხშირად დუნედაა ჩამოშვებული. ოდნავი დაღლილობაც კი საკმარისია, რომ მზერა გაუშტერდეს და უსიცოცხლო გამომეტყველება მიიღოს. თითქოს საკუთარი თავის ხელში აყვანა არ შეუძლია და მთელი ცხოვრების მანძილზე ერთი საქმის ბოლომდე მიყვანაც კი არ ძალუძს. მან იცის, რა სენიც სჭირს და ცდილობს გამოსწორდეს, თუმცა, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ წლების წინ ჩადენილ შეცდომას მთელი გულით ინანიებს. ზოგჯერ, ახალი ღელვით ალტყინებისას, მისი გზნება, ჟინი, წყლის მოქცევასავით მოზღვავედება, მოანება და ნალექავს. მისი გონების ნაპერწკალი, მორევში ჩათრეულ პატარა, დამჭკნარ ხის რტოსა ჰგავს. ამგვარად, მის ყოველ შეცდომას, უფრო დიდი შეცდომა მოჰყვება თან. მაგრამ მას მიაჩნია, რომ აქვს წარმოდგენა ზნეობაზე, ემოციურია, ამიტომაც იტანჯება ასე და სძულს საკუთარი თავი. შურს რისკიანი ადამიანებისა, მათი, ვინც ბოროტების ჩადენას ბედავს; მათი, ვისაც შეუძლია ჩვეულებრივი ადამიანის ეგრეთწოდებულ მორალზე დაყრდნობით სამაგალითო მოქალაქის, კეთილშობილი ოჯახისშვილის როლი ითამაშოს. ამიტომაც ის თაყვანს სცემს მამამისს, რომელიც მის წარმოდგენაში უნაკლო ადამიანია, თუ მის სიჯიუტესა და უგულობას არ ჩავთვლით. თუმცა მას ესეც მოსწონს, რადგან თვითონ ეს თვისებები არ გააჩნია. იგი თვლის, რომ სიბოროტე ჩაიდინა და მამამისს უსამართლოდ მოექცა. ამიტომ სურს თავი გადაირჩინოს. მას ახალი ენერგია სჭირდება, სულ ერთია, ეს რა ძალა იქნება,

ოღონდ კი უშველოს, წინააღმდეგობის მორევებიდან ამოათრიოს. მან ს'წინგ-ი იპოვა და აღმოაჩინა, რომ ს'წინგ-ის სხეულში სწორედ „გაზაფხულის“, „ახალგაზრდობის“, „სილამაზის“, „გზნების“ ენერგია სჩქეფს, მას ასე რომ სჭირდება. რა თქმა უნდა, ს'წინგ-ი ცოცხალი არ იყოს უხეშია, მაგრამ ჭოუ ფინგ-ს სწორედ ეს სიუხეში სჭირდება ყველაზე მეტად, რადგან მას ახლა სძულს ზედმეტად სევდიანი ქალები, გაურბის ყოველნაირ დახვეწილ ურთიერთობას, მაგრამ მის გულის სიღრმეში მაინც შეუმჩნეველად ირხევა დაუკმაყოფილებელი გრძნობის სიმი. ზოგჯერ ჰგონია, რომ ს'წინგ-ი ვერ გაუგებს და ვერ ანუგეშებს, მაშინ უფრო უდარდელად ლოთობს, დაუცხრომლად მხიარულობს და უფრო ღრმად ეფლობა მძაფრი შეგრძნებების მორევში. ყველაფერმა ამან, ის, სულდამძიმებულ, მშფოთვარე ხასიათის ადამიანად აქცია.

მას ტანთ მუქი ლურჯი აბრეშუმის ხალათი და ევროპული სტილის შარვალი, ფეხზე კი ლაკის ფეხსაცმელი აცვია. გაუპარსავი და მოუწესრიგებელია. ამოქნარებს.

ჭოუ ჩუნგ-ი გამარჯობა, ძმაო!
ჭოუ ფინგ-ი აქა ხარ?
ჭოუ ფანი (იგრძნო, რომ მას ყურადღება არ მიაქცევს) ფინგ!
ჭოუ ფინგ-ი ოჰო! თქვენ... თქვენც აქა ხართ?
ჭოუ ფანი ახლახანს ჩამოვედი.
ჭოუ ფინგ-ი (თავს მოაბრუნებს და ჭოუ ჩუნგ-ს ჰკითხავს) მამა არსად წასულა?
ჭოუ ჩუნგ-ი არა, გინდა ნახო?
ჭოუ ფინგ-ი მინდა წასვლამდე ერთხელ დაველაპარაკო (კაბინეტისკენ მიემართება)
ჭოუ ჩუნგ-ი არ შეხვიდე.
ჭოუ ფინგ-ი რას აკეთებს?
ჭოუ ჩუნგ-ი მე მგონი. ვილაც კაცს სამსახურეობრივ საქმეზე ესაუბრება. ახლახანს ვნახე, მითხრა მალე გამოვალ და მანდ დამელოდეთო.
ჭოუ ფინგ-ი მაშ ჯერ ჩემს ოთახში წავალ, წერილი მაქვს დასაწერი (წასვლას აპირებს).
ჭოუ ჩუნგ-ი არა ძმაო, დედას ამდენი ხანია არ უნახიხარ, არ გინდა ერთად დავსხდეთ და ვისაუბროთ?
ჭოუ ფანი უყურე ერთი, დაასვენე შენი ძმა, ალბათ მარტო ურჩევნია ყოფნა.
ჭოუ ფინგ-ი (უხალისოდ) ასე არ არის, უბრალოდ, მამა ახალი ჩამოსულია და ვშიშობ, ძალიან დაკავებული იქნებით.
ჭოუ ჩუნგ-ი არ იცი, დედა ავად რომ იყო?
ჭოუ ფანი შენ ძმას ჩემი ავადმყოფობა რატომ უნდა ალელვებდეს?
ჭოუ ჩუნგ-ი დედა!
ჭოუ ფინგ-ი თავს უკეთ გრძნობთ?
ჭოუ ფანი გმადლობ, ახლახანს ჩამოვედი.
ჭოუ ფინგ-ი ჰო, მართლა ხვალ მალაროში ვაპირებ გამგზავრებას.
ჭოუ ფანი ოჰო! (გაჩერდება) ძალიან კარგი, როდის დაბრუნდები? –
ჭოუ ფინგ-ი არ ვიცი, ალბათ ორ-სამ წელიწადში. ოჰ! ამ ოთახში როგორ ცხელა.
ჭოუ ჩუნგ-ი ფანჯარა უკვე გავაღეთ, მე მგონი მალე თავსხმა უნდა წამოვიდეს.
ჭოუ ფანი (გაჩერდება) მალაროში რა უნდა აკეთო?
ჭოუ ჩუნგ-ი დედა, ნუთუ დაგავინცდა, რომ ძმა გეოლოგიას სწავლობდა?
ჭოუ ფანი მერე ეს რა საბაბია, ფინგ!
ჭოუ ფინგ-ი (აიღო გაზეთი, აიფარა) როგორ გითხრათ, ალბათ მეტისმეტად დიდ ხანს ვცხოვრობდი ამ სახლში, ძალიან მომწონდა.
ჭოუ ფანი (იცინის) ვშიშობ, შეგეშინდა.
ჭოუ ფინგ-ი რაო?
ჭოუ ფანი ამ ოთახში ეშმაკები რომ ბუდობენ, დაგავინცდა?
ჭოუ ფინგ-ი არ დამვიწყებია, უბრალოდ აქაურობა ძალიან მომბეზრდა.
ჭოუ ფანი (იცინის) მე რომ შენს ადგილას ვიყო, მეც შემძულდებოდა გარშემომყოფნი, მეც ნავიდოდი ამ დაწყევლილი ადგილიდან.
ჭოუ ჩუნგ-ი დედა, არ მომწონს ასე რომ ლაპარაკობთ.
ჭოუ ფინგ-ი (წაღვლიანად) ყველაზე მეტად ჩემი თავი უნდა მძულდეს. რა უფლება მაქვს სხვებს შევიძულო? (ამოიოხრებს) ძმაო, ჩემს ოთახში დავბრუნდები (წამოდგება)

(კაბინეტის კარი იღება)

ჭოუ ჩუნგ-ი არ ნახვიდე, მე მგონი მამა გამოვიდა.

(ჭოუ ფუიუენ-ის ტანი კარში სანახევროდ მოჩანს)

ჭოუ ფუიუენ-ი ჩემი აზრით, ასე უნდა მოვიქცეთ, არანაირი სიძნელები არ იქნება. ძალიან კარგი, მომავალ შეხვედრამდე, აღარ გაგაცილებთ.

(კარი ფართოდ იღება და შემოდის ჭოუ ფუიუენ-ი. იგი დაახლოებით 50-60 წლის ჭალარა წვერიანი მამაკაცია. ოვალური ფორმის ოქროსჩაჩოიან სათვალეს ხმარობს, ეს მის მკაცრ გამოხედვას ვერ ცვლის. საქმე შემოსავლიანი იშოვა და ოჯახიც ფეხზე დააყენა. მისი მბრძანებლურობა შვილების თვალში ხშირად ზედმეტ სიმკაცრესა და სისასტიკეში გადადის. მას ჯერ კიდევ 20-იანი წლების მოდაზე აცვია – მრგვალ მანდარინის ფორმის ნახატებიანი, ცინგ-ის დინასტიის მოდელის ფარჩის ხალათი და მის ქვეშ აბრეშუმის თოვლივით ქათქათა თეთრი პერანგი. ხალათის საყელოზე ღინკილოები შეხსნილი აქვს და შიშველი ყელი მოუჩანს. სუფთა ტანსაცმელი ტანზე კოხტად, მორგებულად ადგას. იგი ოდნავ მსუქანი და წელში მოხრილია. ჩამოშვებული, დუნე ლოყები, ღრმად ჩამჯდარი, ჩაცვნილი თვალები მაინც უბრწყინავს. მისი სახე მრავალწლიან ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და საზრუნავზე მეტყველებს. განმგმირავ მზერასა და ირონიულ ჩაქირქილებაში ზოგჯერ მისი ძალაუფლება, თვითნებობა და შეუდრეკელობა ჩანს. მის სახეზე უკვე ვეღარ იშოვით ახალგაზრდობისდროინდელ სიგიჟისა და უგუნურობის კვალს, რაც ნაოჭებითაა გადაფარული. მხოლოდ მისი ნახევრად გაჭალარავებული, ნოტიო, უკან გადავარცხნილი თმა ინარჩუნებს ძველებურ ელეგანტურობას. მზის გულზე სახე ვერცხლისფრად უელავს. მდაბიოები ამბობენ: „ეს, დიდგვაროვნების, კეთილშობილების ნიშანია და ამიტომაც აქვს მას სასარგებლო წიაღისეულის ასეთი მდიდარი საბადო. ნიკაპზე ამოსულ ჭალარა წვერს ხშირად პატარა სპილოს ძვლის სავარცხლით ივარცხნის. ცერზე დიდი ქვის რგოლი აქვს ჩამოცმული (განმარტება:: ასეთ რგოლებს ატარებდნენ მშვილდის მოსაზიდად).

(ის ფორმაშია. მიძიმე და ფართო ნაბიჯებით შემოდის)

ჭოუ ჩუნგ-ი და ჭოუ ფინგ-ი (ერთდროულად) მა!

ჭოუ ჩუნგ-ი სტუმარი ნავიდა?

ჭოუ ფუიუენ-ი (თავს დაუქნევს, ჭოუ ფანი-სკენ შემობრუნდება) როგორ, ქვემოთ ჩამოხვედი? უკვე სრულიად გამოჯანმრთელდი?

ჭოუ ფანი მსუბუქდ ვიავადმყოფე. შენ როგორა ხარ?

ჭოუ ფუიუენ-ი არა მიშავს რა. მაინც უნდა ახვიდე და კიდევ დაისვენო. ჩუნგ, როგორი სახის ფერი აქვს დედაშენს?

ჭოუ ჩუნგ-ი დედა ავად არც ყოფილა.

ჭოუ ფუიუენ-ი (არ მოსწონს როდესაც შვილები ასე პასუხობენ) ვინ გითხრა? მე რომ შინ არ ვიყავი, ხშირად კითხულობდი დედაშენის ამბებს? (ჯდება დივანზე)

ჭოუ ფანი (შეშობს კვლავ ჭკუის სწავლებას არ მოჰყვეს) ფუიუენ, თითქოს გამხდარხარ. მალა-როს მუშების გაფიცვის შესახებ რა ისმის?

ჭოუ ფუიუენ-ი გუშინ დილითვე განაახლეს მუშაობა, არანაირი ხელშეშლა არ არის.

ჭოუ ჩუნგ-ი მამა, ლუ ტახაი ისევ გელოდებათ, თქვენი ნახვა სურს.

ჭოუ ფუიუენ-ი ლუ ტახაი ვინლა არის?

ჭოუ ჩუნგ-ი ლუ კუეი-ს ვაჟია. შარშანწინ დაიწყო მუშაობა რეკომენდაციით, ახლა მუშების წარმომადგენელია.

ჭოუ ფუიუენ-ი ოჰ!, ის კაცი? მე მგონი მას რალაც ფარული მიზნები უნდა ჰქონდეს, ქარხნიდან ხომ უკვე დაითხოვეს.

ჭოუ ჩუნგ-ი დაითხოვეს? მამა, ამ კაცს ძალიან სხარტი გონება აქვს, ახლახანს ვესაუბრე. გაფიცული მუშების წარმომადგენელი აუცილებლად სამსახურიდან უნდა დაითხოვონ?

ჭოუ ფუიუენ-ი ახლანდელ ახალგაზრდებს ძალიან მოსწონთ მუშებთან საუბარი, ერთი-ორი უაზრო, თანაგრძნობის სიტყვის თქმა. ეს, როგორც სჩანს, მოდაში შემოვიდა!

ჭოუ ჩუნგ-ი ჩემი აზრით, ეს ხალხი თავისიანებზე ზრუნავს, ჩვენ მათ უნდა თანაფერძნოთ. გარდა ამისა, ჩვენ ასეთ კეთილდღეობაში ვცხოვრობთ, ისინი კი ლუკმა პურისათვის იბრძვიან. ეს უსამართლობაა! აქ მოდა არაფერ შუაშია!

ჭოუ ფუიუენ-ი (თვალებს აბრიალებს) შენ რა იცი, რა არის საზოგადოება! რამდენი წიგნი ნაგიკითხავს საზოგადოებრივი ეკონომიკის შესახებ? მახსოვს, როდესაც გერმანიაში ვსწავლობდი, ჩემი საზოგადოებრივი იდეოლოგია შენს ზერელე და დილეტანტურ აზროვნებასთან შედარებით ბევრად უფრო საფუძვლილ-ანი იყო!

ჭოუ ჩუნგ-ი (დაითრგუნება, მაინც განაგრძობს) მამა, გავიგე მალაროში დაშავებულ მუშებს არანაირი შესანევა არ მიუღიათ!

ჭოუ ფუიუენ-ი (თავს ასწევს) ჩემი აზრით, დღეს ძალიან ბევრს ლაპარაკობ! (ფანი-ს)ბოლო ორი წლის განმავლობაში სულ შენ დაგემსგავსა! (საათს ახედავს) ათ წუთში კიდევ ერთი სტუმარი მოვა. ჰო, რაიმე ხომ არ გინდათ მითხრათ?

ჭოუ ფინგ-ი მამი, სწორედ ახლახანს მინდოდა თქვენი ნახვა.
 ჭოუ ფუიუენ-ი ჰო? რა მოხდა?
 ჭოუ ფინგ-ი ხვალ მალაროში მინდა წავიდე
 ჭოუ ფუიუენ-ი შენ რა, აქური საქმეები, ფირმის საქმეები უკვე მოაგვარე?
 ჭოუ ფინგ-ი თითქმის, მამისთვის მინდოდა მეთხოვა, მოეცა უფრო მნიშვნელოვანი საქმეები, არ მინდა მხოლოდ ზედამხედველობა.
 ჭოუ ფუიუენ-ი (შეჩერდა, უყურებს ფინგ-ს) მძიმე საქმეებს გაუმკლავდები? თუ დაინწყებ, ბოლომდე უნდა მიიყვანო, არ მინდა იჭორაონ ჩემს შვილზე.
 ჭოუ ფინგ-ი ეს ორი წელი ფირმაში ვზივარ, ძალიან კომფორტაბელურად, მინდა პროვინციები მოვინახულო.
 ჭოუ ფუიუენ-ი მომეცი საშუალება ვიფიქრო. შენ შეგიძლია ხვალ წახვიდე მალაროში, იქ ყოფნისას დეპეშით შეგატყობინებ თუ რა აკეთო.
 (ს'წინგ-ი შემოდის ფუერ ჩაით ხელში)
 ჭოუ ჩუნგ-ი (მერყეობს) მამა!
 ჭოუ ფუიუენ-ი (გრძნობს რაღაც ახალი აზრები რომ აქვს) შენ...
 ჭოუ ჩუნგ-ი მე მინდოდა მამაჩემთან...
 ჭოუ Fანი (უეცრად) ს'წინგ, წაილე აქედან.
 ჭოუ ფუიუენ-ი (უეცრად მკაცრი ტონით) დალიე, ამხელა შვილების წინაშე ნუ თვითნებობ.
 ჭოუ Fანი (ხმის კანკალით) არ მინდა.
 ჭოუ ფუიუენ-ი ჩუნგ, წამლიანი ფინჯანი დედაშენს პირთან მიუტანე
 ჭოუ ჩუნგ-ი (უძალიანდება) მამა!
 ჭოუ ფუიუენ-ი (გაბოროტებულ მზერას ესვრის) მიდი!
 (ჭოუ ჩუნგ-ს ისლა დარჩენია დედას წამლიანი ფინჯანი პირთან მიუტანოს)
 ჭოუ ფუიუენ-ი სთხოვე, დალიოს.
 ჭოუ ჩუნგ-ი (წამლიანი ფინჯანი უჭირავს, ხელი უკანკალებს, მამისაკენ შეტრიალდება და ხმა-მალლა მიმართავს) მამა, ასე რატომ იქცევით?
 ჭოუ ფუიუენ-ი რაო, რა სთქვი?
 ჭოუ ფინგ-ი (თავს დახრის, ჩუნგ-ის წინ დადგება და ხმადაბლა მიმართავს) რაც გითხრა, ის გააკეთე, მამის ხასიათი ხომ იცი.
 ჭოუ ჩუნგ-ი (ცრემლების ყლაპვით) დალიეთ, ჩემი ხათრით მაინც მოსვით, ერთი ყლუპი, თორემ მამა არ დამშვიდდება.
 ჭოუ Fანი (მუდარით) სალამოს რომ დავლიო, არ შეიძლება?
 ჭოუ ფუიუენ-ი (მკაცრად) ან, დედამ შვილებზე ყველანაირად უნდა იზრუნოს, შენს ჯანმრთელობას თუ არ უფრთხილდები, შვილებს ხომ მაინც უნდა აჩვენო მორჩილების მაგალითი.
 ჭოუ Fანი (ჯერ ჭოუ ფუიუენ-ს გადახედავს, შემდეგ ჭოუ ფინგ-ს, წამლიან ფინჯანს აიღებს, ცრემლი სდის და უეცრად ისევ დადგამს) არა, ვერ დავლევ!
 ჭოუ ფუიუენ-ი ფინგ, დედაშენი დაარწმუნე, დალიოს.
 ჭოუ ფინგ-ი მამა! მე...
 ჭოუ ფუიუენ-ი მიდი, დაუჩოქე და სთხოვე.
 ჭოუ ფინგ-ი (ჭოუ Fანი-სთან მივა, ხვეწნით მიმართავს ფუიუენ-ს) მამა!
 ჭოუ ფუიუენ-ი (აცრემლებული ჭოუ ფინგ-ი Fანი-ს უყურებს, ჭოუ ჩუნგ-ი ბრაზისაგან ცახცახებს) გიბრძანებ, დაუჩოქო!
 (ჭოუ ფინგ-ი დაჩოქებას აპირებს)
 ჭოუ Fანი (ჭოუ ფინგ-ს უყურებს, სული ეხუთება) დავლევ, ახლავე დავლევ! (ორ ყლუპს მოსვამს, თვალებიდან ცრემლები წასკდება, ჯერ ჭოუ ფუიუენ-ის მკაცრ სახეს შეხედავს, შემდეგ გაჭირვებაში ჩავარდნილ ჭოუ ფინგ-ს, ბოლმა მოაწვება ყელში, ჭიქას აიღებს და ერთბაშად გადაჰკრავს) ოჰ!.. (ტირილით გავარდება სასადილო ოთახის კარებიდან).
 (პაუზა)
 ჭოუ ფუიუენ-ი (მაჯის საათს დახედავს) სამი წუთი კიდევ მაქვს (ჭოუ ჩუნგ-ს მიმართავს) რას მეუბნეოდი?
 ჭოუ ჩუნგ-ი (თავს ასწევს, ნელა) რაო?
 ჭოუ ფუიუენ-ი ხომ მითხარი, სწავლის საფასურის ნაწილი უნდა გამოვყო – მერე?
 ჭოუ ჩუნგ-ი (ხმადაბლა) არა, აღარაფერი მინდა.
 ჭოუ ფუიუენ-ი რაიმე ახალი პრობლემა ხომ არ გაქვს?
 ჭოუ ჩუნგ-ი (ტირილით) არა, არა, დედა მართალი იყო (სასადილო ოთახიდან გარბის).
 ჭოუ ფუიუენ-ი ჩუნგ, საით მიდიხარ?

ჭოუ ჩუნგ-ი ზევით, დედას სანახავად.
ჭოუ ფუიუნენ-ი მერე, ასე უნდა გაიქცე?
ჭოუ ჩუნგ-ი (თავს შეიკავებს, მობრუნდება) დიახ, მამა, ნასვლას ვაპირებ, რამეს ხომ არ დამ-
აბარებთ?
ჭოუ ფუიუნენ-ი ნადი.
(ჭოუ ჩუნგ-ი სასადილო ოთახისაკენ გაემართება)
ჭოუ ფუიუნენ-ი დაბრუნდი.
ჭოუ ჩუნგ-ი დიახ, მამა.
ჭოუ ფუიუნენ-ი დედაშენს უთხარი, რომ გერმანელი, ჩინური გვართი ექიმი მოვიწვიე მის გასასინ-
ჯად.
ჭოუ ჩუნგ-ი ვი, მაგრამ, დედამ ხომ უკვე დალია თქვენი ნამალი?
ჭოუ ფუიუნენ-ი როგორც ვხედავ, დედაშენს ფსიქიური აშლილობა აქვს, ეს კი სერიოზული ავადო-
ბაა (თავს მოაბრუნებს და ჭოუ ფინგ-ს მიმართავს), მე მგონი, შენც ეს უნდა გჭირდეს.
ჭოუ ფინგ-ი მამა, ნავალ, დავისვენებ,
ჭოუ ფუიუნენ-ი არ ნახვიდე, რალაც მინდა გითხრა. (ჭოუ ჩუნგ-ს) უთხარი, რომ ის კაცი გერმანიაში
გავიცანის, ცნობილი ფსიქიატრია, რომ მოვა, აუცილებლად ნახოს, გაიგე?
ჭოუ ჩუნგ-ი გავიგე. (ორ ნაბიჯს გადადგამს) აღარაფერი გსურთ?
ჭოუ ფუიუნენ-ი არა, ნადი.
(ჭოუ ფინგ-ი სასადილო ოთახის კარებიდან გადის.)
ჭოუ ფუიუნენ-ი შებრუნდება ს' Fინგ-ისაკენ) ს' Fინგ, მე მგონი, უკვე გითხარი, რომ თუ საქმე არა
გაქვთ, ამ ოთახში არ უნდა შემოხვიდეთ.
ლუ ს'F ინგ-ი დიახ, ბატონო (ისიც სასადილო ოთახის კარებიდან გადის).
(კაბინეტის კარიდან ლუ კუეი შემოდის.)
ლუ კუეი (ბატონს უყურებს, თითქოს თქმა უჭირს) ბა... ბატონო... სტუ.. სტუმარი
მოვიდა...
ჭოუ ფუიუნენ-ი ჯერ დიდ სასტუმრო ოთახში შეიყვანე.
ლუ კუეი დიახ, ბატონო. (გადის).
ჭოუ ფუიუნენ-ი როგორ, ეს ფანჯარა ვინ გააღო?
ჭოუ ფინგ-ი მე და ჩემმა ძმამ გამოვალეთ.
ჭოუ ფუიუნენ-ი დახურე. (სათვალეს წმენდს) ამ ოთახში მდაბიობებს ნუ შემოუშვებთ. ცოტა ხანში
მოსვენებას ვაპირებ.
ჭოუ ფინგ-ი დიახ!
ჭოუ ფუიუნენ-ი (სათვალეს წმენდს და ოთახში მდგარ ავეჯს უყურებს) ეს შენი ღვიძლი დედის
საცვარელი ნივთებია. სამხრეთის მხარიდან ჩრდილოეთისაკენ გადმოვატანინე. სახლი ბევრჯერ გამოვიცვა-
ლეთ, მაგრამ არცერთი ნივთი არ მსურს დაიკარგოს (სათვალეს იკეთებს და ახველებს). მინდა ამ ოთახში
ყველაფერი ისე იყოს, როგორც ოცდაათი წლის წინათ იყო. ეს თვალს მიხარებს (მაგიდისკენ გადაინაცვ-
ლებს, ფოტოსურათს შეხედავს) დედაშენი ზაფხულში ფანჯრებს არ აღებდა.
ჭოუ ფინგ-ი (ნაძალადევად გაიცინებს) კი, მაგრამ, მამა, რა საჭიროა დედის სულის მოსახსენიე-
ბლად ასე...
ჭოუ ფუიუნენ-ი (უეცრად თავს ასწევს) ვილაცამ მითხრა, რომ შენ რალაც ჩაგიდენია, თავი შეგირ-
ცხვენია.
ჭოუ ფინგ-ი (გაოცდება) რა... რაო?
ჭოუ ფუიუნენ-ი (ჭოუ ფინგ-ს წინ დაუდგება, ხმადაბლა) იცი თუ არა, რომ შენი ახლანდელი
საქციელით მამაშენს არცხვენ? გარდა ამისა – (შეჩერდება) – დედაშენსაც.
ჭოუ ფინგ-ი (დაიბნევა) მამა!
ჭოუ ფუიუნენ-ი (ლმობიერად, ხელს ჰკიდებს) შენ ჩემი უფროსი ვაჟი ხარ, ამიტომ არ მინდოდა ეს
სხვების წინაშე შეთქვა (ოდნავ შეყოვნდება, მკაცრად) გავიგე, ეს ორი წელი, რაც სახლში არ ვიყავი, თურმე
ძალიან უნესოდ იქცეოდი.
ჭოუ ფინგ-ი (უფრო გაოცდება) მამა, ასე არ ყოფილა, არა, არა.
ჭოუ ფუიუნენ-ი თუ რაიმეს გაკეთება გაბედე, პასუხისმგებლობაც უნდა იკისრო.
ჭოუ ფინგ-ი (გაფითრდება) მამა!
ჭოუ ფუიუნენ-ი კომპანიის თანამშრომლებმა მითხრეს, რომ დღედაღამ კაბარეში დაეხეტებოდი,
განსაკუთრებით ბოლო ორი-სამი თვე. სვამდი, თამაშობდი, შინ არ ბრუნდებოდი.
ჭოუ ფინგ-ი (დამშვიდდება) ამას გულისხმობდით...
ჭოუ ფუიუნენ-ი მართალია თუ არა, სიმართლე მითხარი!
ჭოუ ფინგ-ი მართალია, მამა (განითლდება).

ჭოუ ფუიუენ-ი ოცდაათ წელს მიღწეულ კაცს უკვე უნდა ესმოდეს, რას ნიშნავს სიტყვა „თავ-მოყვარეობა“! თუ გახსოვს, ეგ სახელი რატომ გქვია?

ჭოუ ფინგ-ი მახსოვს.

ჭოუ ფუიუენ-ი მაშ, გამიმეორე.

ჭოუ ფინგ-ი დედაჩემს შ'ფინგ-ი ერქვა, სიკვდილის წინ ეს სახელი თვითონ დამარქვა.

ჭოუ ფუიუენ-ი მაშ გთხოვ, შენი ღვიძლი დედის გულისათვის მაინც გამოასწორო შენი ახლანდელი საქციელი.

ჭოუ ფინგ-ი დიახ, მამა. ის დროებითი სიგიჟე იყო.
(კაბინეტის კარიდან ლუ კუეი შემოდის)

ლუ კუეი ბატონო, სტუმარი... დიდი ხანია იცდის.

ჭოუ ფუიუენ-ი კეთილი.
(ლუ კუეი გადის)

ჭოუ ფუიუენ-ი მე მიმაჩნია, რომ ყველაზე ბედნიერი და წესიერი ოჯახი მაქვს. ასევე ჩემი შვილებიც ყველაზე ნორმალური და ჯანმრთელი მემკვიდრეები არიან. არ მინდა ვინმემ ჩემს გამოზრდილ შვილებზე იჭორაოს!

ჭოუ ფინგ-ი დიახ, მამა.

ჭოუ ფუიუენ-ი მსახურო! (თავისთვის) ოჰ, ცოტა არ იყოს დავიღალე.
(ჭოუ ფინგ-ი მამას ტახტზე დაჯდომაში ეხმარება.
(შემოდის ლუ კუეი)

ლუ კუეი დიახ, ბატონო.

ჭოუ ფუიუენ-ი სტუმარი აქეთ შემოიყვანე.

ლუ კუეი დიახ, ბატონო

ჭოუ ფინგ-ი არა, მამა, ცოტა დაგესვენათ.

ჭოუ ფუიუენ-ი არა უშავს, ნუ ერევი (ლუ კუეი-ს) ნადი და შემოიყვანე.

ლუ კუეი დიახ, ბატონო.

(ჭოუ ფუიუენი სიგარას ამოიღებს, ფინგ-ი მოუკიდებს, ჭოუ ფუიუენ-ი წელში გამართული ზის და წელ-წელა აბოლებს)

II მოქმედება

(სადილის შემდეგ, ღრუბლიანი, მოქუფრული ამინდია. შემანუხებელი, ჩახუთული, ნესტიანი ჰაერის ზემოქმედება ადამიანებს ალიზიანებს.)

ჭოუ ფინგ-ი სასადილოდან გამოდის და ბალს გულგრილად გაჰყურებს. კაცის ჭაჭანება არაა. ფეხაკრე-ფით მიდის კაბინეტისაკენ. იქაც არავინაა. უცბად ახსენდება, რომ მამა სხვა ადგილას იღებს სტუმარს. დამშვიდება. მიდის და ფანჯარას აღებს. ბალი სიმწვანით შემოსილა. ისმის უცნაური და ჩუმი სტვენა. ხმა ახლოვდება. ფრთხილად იძახის, ფინგ-იკო! კარის მიღმა ისმის ხმა: „ფინგ, შენ ხარ? ფინგ-ი კეტავს ფანჯარას. ს'ფინგ-ი შუა კარიდან ფეხის წვერებზე მსუბუქად შემოვბის.)

ჭოუ ფინგ-ი (შეტრიალდება, ხმადაბლა, გახარებული) ფინგ-იკო (ხელს ჰკიდებს)

ლუ ს'ფინგ-ი არა, (ხელს კრავს). არა! (აქეთ-იქით იყურება, ყურს უგდებს) შეხედე, ვილაცაა.

ჭოუ ფინგ-ი არავინაა, ენგ, დაჯექი. (დივანისაკენ უბიძგებს, რომ დაჯდეს) (აღელვებული) ბატონი სადაა?

ლუ ს'ფინგ-ი დიდ სასტუმრო ოთახშია, სტუმრებს მასპინძლობს.

ჭოუ ფინგ-ი ჰმ!

ლუ ს'ფინგ-ი ყოველთვის ასე დაფარულად, მალულად, ჩემს დაძახებასაც კი ვერ ბედავ!

ჭოუ ფინგ-ი ამიტომაც უნდა ნავიდე აქედან.

ლუ ს'ფინგ-ი (ჩაფიქრდა). ქალბატონი უსუსურია, დაბრუნებული ბატონი ქალბატონის დანახვამ გააბოროტა.

ჭოუ ფინგ-ი მამა ასეთია, თავისი სიტყვები არასოდეს მიაქვს უკან. მისი სიტყვა კანონია.

ლუ ს'ფინგ-ი (შეშინებული) მე... მე ძალიან მეშინია.

ჭოუ ფინგ-ი რისი გეშინია?

ლუ ს'ფინგ-ი მეშინია, სარისკოა, ბატონი გაიგებს, მაშინ სთქვი, რომ ჩვენს ამბავს მოუყვებო.

ჭოუ ფინგ-ი (უარის ნიშნად თავს აქნევს. გულლიად. ნაღვლიანი განცდით) ეს ჯერ კიდევ

ყველაზე საშინელი არაა.

ლუ ს'ფენგ-ი კიდევ რა?
ჭოუ ფინგ-ი (უცებ) ვერაფერი გაიგონე?
ლუ ს'ფენგ-ი (ჩაეძიება) ვერა
ჭოუ ფინგ-ი ჩემს შესახებ რამე თუ გაგიგია?
ლუ ს'ფენგ-ი რა?
ჭოუ ფინგ-ი ადრეც არაფერი გსმენია?
ლუ ს'ფენგ-ი (არ სურს ამაზე საუბარი) არა. რას ამბობ?
ჭოუ ფინგ-ი არაფერი, არაფერი...
ლუ ს'ფენგ-ი (გულწრფელად) მე მჯერა შენი, მჯერა, რომ არასოდეს მომატყუებ, ეს ჩემთვის საკმარისია. ეს წუთია სთქვი, რომ ხვალ მალაროში მიდიხარ.
ჭოუ ფინგ-ი გუშინ უკვე გითხარი.
ლუ ს'ფენგ-ი (მოურიდებლად) თან რატომ არ მიგყევარ?
ჭოუ ფინგ-ი იმიტომ, რომ ... (იციინის) იმიტომ, რომ არ მინდა შენი წაყვანა. აქ იმისთანა საქ-
მეები ხდება, რომ...
ლუ ს'ფენგ-ი ადრე თუ გვიან, უნდა წამოვიდე, შეიძლება დღესვე გამაგდოს ქალბატონმა.
ჭოუ ფინგ-ი (მოულოდნელად) უნდა გაგაგდოს, რატომ?
ლუ ს'ფენგ-ი ნუ მეკითხები.
ჭოუ ფინგ-ი არა, უნდა ვიცოდე.
ლუ ს'ფენგ-ი ბუნებრივია, იმიტომ. რომ მე არ ვიყავი მართალი, ჩემი სიბრმავით შევცდი, ქალ-
ბატონი. შესაძლოა. ასეც არ ფიქრობდა და ჩემი ვარაუდიც არასწორია. ფინგ! წამიყვანე!
ჭოუ ფინგ-ი არა.
ლუ ს'ფენგ-ი (რბილად) ფინგ, მე კარგად მოგივლი. შენ გჭირდება ასეთი ადამიანი. ტანსაცმელს
მოგიწესრიგებ, საქმელს მოგიშაადებ. ყველაფერს კარგად გავაკეთებ, ოღონდ შენთან მამყოფე.
ჭოუ ფინგ-ი მინდა ასეთი ქალი, ყველგან ჩემთან მყოფობით ვისიამოვნო ცხოვრებით? ნუთუ
ყველა ეს წლები სახლში ასეთი ცხოვრება არ მომბეზრდა?
ლუ ს'ფენგ-ი მე ვიცი, რომ სახლსგარეთ ვერ შეძლებ ცხოვრებას.
ჭოუ ფინგ-ი შენ ვერ ხედავ, რომ ახლა შენი წაყვანა შეუძლებელია? ეს ხომ ბავშვური საუბარია.
ლუ ს'ფენგ-ი წამიყვანე, ტვირთად არ დაგანვები, თუ ჩემს გამო რამეს იტყვის ხალხი, მაშინვე
დაგტოვებ, შენ – ნუ გეშინია.
ჭოუ ფინგ-ი (გალიზიანებული) ს'ფენგ, გგონია, რომ მე ასეთი ეგოისტი ვარ? ნუ იფიქრებ ასე
ჩემზე, ჰმ, მეშინია? რისი უნდა მეშინოდეს! (თავშეუკავებლად) ეს წლები იმდენი რამ... ჰმ, გულმკვდარი ვი-
ყავი, მეზიზღებოდა საკუთარი თავი (მცირე პაუზა). ახლა კი ჩემს გულს სიცოცხლის ნიშან-წყალი დაეტყო,
თავს უფლება მივეცი მიყვარდეს ქალი და ამის გამო სხვების ლანძღვა-გინების მეშინოდეს? დაე, ყველამ
თქვას, ჭოუ-ს ოჯახის უფროს ბატონიშვილს თავისი სახლის მოსამსახურე გოგოს თვალი შეავლო... რისი
უნდა მეშინოდეს, თუკი მომწონს იგი?
ლუ ს'ფენგ-ი (დამანყნარებელი ტონით) ფინგ, ნუ წუხარ, შენ არც ერთი საქციელის გამო არ
გადანაშაულებ (ჩაფიქრდება).
ჭოუ ფინგ-ი (დანყნარდება) ახლა რაზე ფიქრობ?
ლუ ს'ფენგ-ი ვფიქრობ, როცა წახვალ, მე რა მეშველება.
ჭოუ ფინგ-ი დამელოდე.
ლუ ს'ფენგ-ი (მწარედ იღიმება) მაგრამ შენ ერთი ადამიანი დაგავიწყდა.
ჭოუ ფინგ-ი ვინ?
ლუ ს'ფენგ-ი ერთ ნაბიჯსაც არ მადგმევინებს.
ჭოუ ფინგ-ი ოჰო, ის? რაო, ის...
ლუ ს'ფენგ-ი მან მითხრა ის, რასაც მეუბნეოდა ერთი თვის წინ!
ჭოუ ფინგ-ი მან გითხრა, რომ ცოლად შეგიერთავს?
ლუ ს'ფენგ-ი არა, ის მეკითხება, გავყვები თუ არა ცოლად.
ჭოუ ფინგ-ი შენ რა...
ლუ ს'ფენგ-ი მე ჯერ არაფერი ვუპასუხე, მერე კი მაიძულა მეპასუხა, მე ვუთხარი სიმართლე.
ჭოუ ფინგ-ი სიმართლე?
ლუ ს'ფენგ-ი მე სხვა არაფერი მითქვამს, მე მხოლოდ მივანიშნე, რომ სხვა ოჯახს დაპირდნენ
ცოლად ჩემს მითხოვებაზე.
ჭოუ ფინგ-ი სხვა არაფერი გკითხა?
ლუ ს'ფენგ-ი არა, პირიქით, სურვილი აქვს რომ სწავლის საფასური გადამიხადოს და სკოლაში
ვისწავლო.

ჭოუ ფინგ-ი სკოლაში? (იცინის) მართლაც რომ სულელია, მაგრამ ვინ იცის, თუ ყურს დაუგდებ, შეიძლება შეგიყვარდეს კიდევ.

ლუ ს'ფენგ-ი შენ ხომ იცი, რომ არ მიყვარს, ყოველთვის შენთან ყოფნის სურვილი მაქვს.

ჭოუ ფინგ-ი მე უკვე 30 წელს გადავაბიჯებ, შენ კი მხოლოდ 18 წლის გახდი. მე არ ვარ მასზე უკეთესი, ბევრიც შევცოდე. ვინ ხარ იცის? იქნებ მის ლაპარაკს რომ უსმენ, დიდ კმაყოფილებას განიცდი.

ლუ ს'ფენგ-ი ფინგ, სისულელებს ნუ ლაპარაკობ. ახლა გული ძალიან მტკივა, გამოსავალი უნდა გამოვნახო. ის ბავშვია, ყოველთვის ერთი და იგივეს იმეორებს, მას რომ შეგადარო, ნამდვილად არ მომწონს, უფლებას კი არ მაძლევ რომ ავუსხსნა.

ჭოუ ფინგ-ი არ მითქვამს, არ დაელაპარაკო-მეთქი.

ლუ ს'ფენგ-ი მაგრამ, ყოველთვის, როდესაც მასთან ერთად მხედავ, შენი გამომეტყველება...

ჭოუ ფინგ-ი ბუნებრივია, ჩემი გამომეტყველება უკმაყოფილებას მიანიშნებს, როდესაც საყვა-რელ ადამიანს ხშირად სხვასთან ერთად ვხედავ, თუნდაც ჩემს უმცროს ძმასთან...

ლუ ს'ფენგ-ი ხედავ, სადამდე დავეშვით. ბოლოს და ბოლოს მითხარი, ამისხენი, ჩემდამი რა გრძნობა გაქვს?

ჭოუ ფინგ-ი შენს მიმართ რა? (იცინის, ვერ ამბობს. ფიქრობს, რომ ქალები ცოტა ჭკუათხელები არიან, რადგან ეს შეკითხვა სხვა ქალმაც დაუსვა.) გითხრა? აგისხსნა?

ლუ ს'ფენგ-ი (დათრგუნული) ფინგ, ასე ნუ მეპყრობი, კარგი? კარგად იცი, რომ ახლა მთლიანად შენ გეკუთვნი, შენ კი ასე მაბრაზებ?

ჭოუ ფინგ-ი (არ მოეწონა მისი ასეთი ნათქვამი, ამასთანავე ჩათვალა, რომ მაინც და მაინც არ სურს გაუგოს მას) ოჰ! ს'ფენგ (ამოიოხრა), ღმერთო ჩემო!

ლუ ს'ფენგ-ი ფინგ, მამაჩემს მხოლოდ ის შეუძლია, ხალხს ფული გამოართვას. ძმა მამცირებს, მეუბნება, რომ თავმოყვარეობა და მიზანი არ გამაჩნია. დედამ ეს ამბავი რომ გაიგოს შევზიზღდები. შენ თუ არ იქნები, არც მე ვიქნები. შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს, ყველამ ზურგი შემაქციოს. შენ არ უნდა... შენ არ უნდა..... (ქვითინებს).

ჭოუ ფინგ-ი ს'ფენგ, არა, არა, მაცალე, კარგად დავფიქრდე.

ლუ ს'ფენგ-ი დედაჩემს ყველაზე მეტად ვუყვარვარ, არ სურს ამ სახლში მოსამსახურედ ვიმუშავო, ვშიშობ მიხვდება, რომ ეს ტყუილია... მე აქ ვმუშაობ და შენთან... თანაც, თუ ჩემს მიმართ არ ხარ გულწრფელი.. მაშინ მე, მაშინ დედაჩემი ამ დარდს გადაჰყვება. (ტირის) და კიდევ...

ჭოუ ფინგ-ი არა, ფინგ, ასე ეჭვით არ უნდა მიყურო. გეტყვი, რომ დღეს სალამოს ზუსტად ვაპირებდი შენთან მოსვლას.

ლუ ს'ფენგ-ი არა, დღეს დედა ჩამოდის.

ჭოუ ფინგ-ი თუ ასეა, გარეთ შევხვდეთ, კარგი?

ლუ ს'ფენგ-ი არ გამოვა, სალამოს დედასთან აუცილებლად მექნება საუბარი.

ჭოუ ფინგ-ი მაგრამ, დილის მატარებლით რომ უნდა წავიდე.

ლუ ს'ფენგ-ი ნამდვილად არ წამიყვან?

ჭოუ ფინგ-ი ბავშვი ხარ, ეს როგორ გამოვა?

ლუ ს'ფენგ-ი მამ, შენ... შენ მომეცი საშუალება ვიფიქრო.

ჭოუ ფინგ-ი ჯერ-ჯერობით მარტო უნდა წავიდე, შემდეგ რაიმე ხერხს მოვიგონებ, როგორ ავუსხსნა მამაჩემს და შენც წავიყვან.

ლუ ს'ფენგ-ი (შეჰყურებს მას) კარგი, გამოსავალი არის. თუკი სალამოს მოხვალ ჩემთან, დედა და მამა აუცილებლად გარე ოთახში დაიძინებენ, ძმა, როგორც ყოველთვის, სახლში არ იძინებს, ჩემი ოთახი მთელი ღამის განმავლობაში თავისუფალი იქნება.

ჭოუ ფინგ-ი მაშინ ჯერ წინასწარ დავუსტვენ, (უსტვენს) გაიგებ? ეს ნიშნავს იმას, რომ ...

ლუ ს'ფენგ-ი ჰმ, თუ ჩემს ფანჯარაში ნითელი ფარანი იქნება, ეს იმას ნიშნავს, რომ გელოდები, თუ არა, არავითარ შემთხვევაში არ მოხვიდე.

ჭოუ ფინგ-ი არ მოვიდე?

ლუ ს'ფენგ-ი თუ აზრს შევიცვლი, ე. ი. სახლში ბევრი ხალხია.

ჭოუ ფინგ-ი კარგი ,ასე იყოს. თერთმეტ საათზე.

ლუ ს'ფენგ-ი ხო, კარგი, თერთმეტზე.

(ლუ კუეი შემოდის შუა კარებიდან, ხედავს, რომ ჭოუ ფინგ-ი და ლუ ს'ფენგ-ი დგანან, მოულოდ-ნელობისაგან ჩერდება და იღებს ისეთ გამომეტყველებას, თითქოსდა ყველაფერი ესმის და ნაძალადევად იღიმება)

ლუ კუეი ო! (ს'ფენგ-ს) სწორედ ახლა გეძებდი (ჭოუ ფინგ-ს) ბატონიშვილო, უკვე ივანშემეთ?

ლუ ს'ფენგ-ი რატომ მეძებდი?
ლუ კუეი დედაშენი ჩამოვიდა
ლუ ს'ფენგ-ი (გაბადრულმა) დედა ჩამოვიდა? სად არის?
ლუ კუეი კარისკაცის ადგილსამყოფელში, შენს ძმას სწორედ ახლახანს შეხვდა, საუბრობენ.
(ლუ ს'ფენგ-ი გარბის შუა კარებისაკენ)

ჭოუ ფინგ-ი ს'ფენგ, დედას რომ ნახავ, ჩემგან მოკითხვა გადაეცი.

ლუ ს'ფენგ-ი გმადლობ, მოგვიანებით გნახავთ (გადის).
ლუ კუეი უფროსო ბატონიშვილო, თქვენ ხვალ მიემგზავრებით?
ჭოუ ფინგ-ი ჰმ, ხო.
ლუ კუეი ნება მომეცით გაგაცილოთ.
ჭოუ ფინგ-ი არ არის საჭირო, გმადლობ.
ლუ კუეი ბუნებით, თქვენ კეთილი გულის ადამიანი ბრძანდებით, ჩვენზე ზრუნავთ, თქვენ მიემგზავრებით და მეც და თქვენი მონა-მორჩილი ჩემი ქალიშვილი ხშირად გაგისხენებთ.
ჭოუ ფინგ-ი (იციან) ისევ არა გაქვთ ფული?
ლუ კუეი (ემშაკურად იღიმება) ბატონიშვილო, ასე ხუმრობთ? რასაც ვამბობ სიმართლეა, ს'ფენგ-მა იცის, რომ თქვენზე მუდამ კარგს ვლაპარაკობთ.
ჭოუ ფინგ-ი კარგი, საქმე გამოგლევიან.
ლუ კუეი არა, არა, თქვენთან მხოლოდ ნაჭორავება მინდოდა. თქვენ იცით, რომ ლუ ს'ფენგ-ი ს დედა დაბრუნდა, ქალბატონმა უნდა ნახოს.

(Fანი სასტუმრო ოთახში შემოვიდა. ლუ კუეი-მ რომ დაინახა ენა ჩაყლაპა)

ლუ კუეი ქალბატონო, უკვე სრულიად გამოჯანმრთელდით? (Fანი-მ თავი დაუქნია), მე, ლუ კუეი, მუდამ გისხენებთ.

ჭოუ Fანი კარგი, შეგიძლია ნახვიდე.
(ლუ კუეი ქედს იხრის და შუა კარიდან გადის)
ჭოუ Fანი (ჭოუ ფინგ-ს) სად წავიდა?
ჭოუ ფინგ-ი (ვერ მიხვდა) ვინ?
ჭოუ Fანი მამაშენი.
ჭოუ ფინგ-ი საქმე ჰქონდა, სტუმრებს შეხვდა, საქმე ჰქონდა, ცოტა ხანში დაბრუნდება, ჩემი უმცროსი ძმა სადღაა?

ჭოუ Fანი მან მხოლოდ ტირილი იცის. წავიდა.
ჭოუ ფინგ-ი (შეეშინდა, რომ მასთან ერთად მარტოა ოთახში) უნდა წავიდე, ნივთები უნდა ავი-ლო და წავიდე (სასადილოსაკენ მიდის).

ჭოუ Fანი დაბრუნდი (ჭოუ ფინგ-ი შეჩერდა) გთხოვ, ცოტა ხნით დაჯდე.
ჭოუ ფინგ-ი რა საქმე გაქვს?
ჭოუ Fანი (სახემოღუშული) სალაპარაკო მაქვს (ჭოუ ფინგ-ი ბრუნდება, გაჩუმებული დგას).

მისი სახის გამომეტყველებით ხვდება რაღაცას)
ჭოუ ფინგ-ი თითქოს მნიშვნელოვანი საქმე გაქვს ჩემთან.

ჭოუ Fანი ღიახ.
ჭოუ ფინგ-ი თქვი.
ჭოუ Fანი ვიმედოვნებ, გესმის ახლანდელი მდგომარეობა. ეს ერთი დღის საქმე არ არის.
ჭოუ ფინგ-ი (გარშემოვლით) მამა მუდამ ასეთი იყო, რასაც იტყვის, უნდა ასრულდეს.
ჭოუ Fანი მაგრამ თუ სხვები იტყვიან, მე ყური უნდა დაუგდო, რაც ჩემს ბუნებას არ შეეხება.

ჭოუ ფინგ-ი მე მესმის შენი (ნაძალადევიად იცინის), მის ლაპარაკს არ უნდა უგდო ყური და ეგ არის.

ჭოუ Fანი ფინგ, იმედი მაქვს, ისეთივე სამართლიანი და გულახდილი ხარ, როგორც ადრე იყავი, უკეთესი იქნება, თუ თანამედროვე ახალგაზრდების ცინიკურ დამოკიდებულებას არ შეითვისებ, კარგად იცი, შენ რომ არ მყავდე, უბედური ვიქნებოდი.

ჭოუ ფინგ-ი ამიტომ უნდა წავიდე, არ ღირს მეტად შეხვედრა. ჩვენი ყველაზე მეტი სინანული ერთმანეთისათვის ცოდვების შესხენებაა.

ჭოუ Fანი მე არ ვნანობ, რაც მიკეთებია, არ მინანია.
ჭოუ ფინგ-ი (გამოუვალ მდგომარეობაშია) ვფიქრობ, ძალიან გასაგებად გამოვხატე ჩემი დამოკიდებულება შენს მიმართ. ეს დღეები არ მინახიხარ, ვფიქრობ, კარგად გაიგე.

ჭოუ Fანი კარგად მესმის.

ჭოუ ფინგ-ი მამ მე ყველაზე სულელი, გაუგებარი ადამიანი ვყოფილვარ, ვნანობ. ვფიქრობ, რომ ცხოვრებაში ერთი დიდი შეცდომა ჩავიდინე, თავს ვადანაშაულებ, ძმისა და მამაჩემის წინაშე უფრო მეტად.

ჭოუ Fანი (დათრგუნვილი) მაგრამ ყველაზე მეტად დამნაშავე შენ ხარ და ასე ქარაფშუტულად ყველაფერი დაივინყე?

ჭოუ ფინგ-ი კიდევ ვინ არის დამნაშავე?

ჭოუ Fანი ჩემს წინაშე – შენ – მე ის დედინაცვალი ვარ, რომელიც მაცდუნე.

ჭოუ ფინგ-ი (ცოტა შეშინდა) გაგიჟდი?

ჭოუ Fანი შენ ჩემს წინაშე ვალდებული ხარ, შენ კი სიახლის წყურვილით გარბიხარ.

ჭოუ ფინგ-ი ვფიქრობ, ასეთი საუბარი უბრალოდ საშინელებაა, ასეთი გამონათქვამები არ შეეფერება მამაჩემის ღირსეულ ოჯახს.

ჭოუ Fანი (განრისხებული, გაბოროტებული) მამა, მამა, დაანებე მამაშენს თავი. ღირსება? შენც ღირსებაზე ლაპარაკობ? (ცივი ღიმილით) ასეთ ღირსეულ ოჯახში უკვე 18 წელია ცხოვრობ. ჭოუ-ს გვარის ცოდვაც მსმენია. მეც მინახავს და ჩამიდენია. არასოდეს ვყოფილვარ თქვენი ოჯახის წევრი. ჩემს ცოდვებზე მე ვაგებ პასუხს, არ ვგეგვარ თქვენს პაპებს, ბიძებს. თქვენს „კარგ“ მამიკოსთან ერთად ჩუმ-ჩუმად ბევრი ავი საქმე ჩამიდენია. გარედან კი ქველმოქმედია და საზოგადოებაში მნიშვნელოვანი ფიგურა.

ჭოუ ფინგ-ი დიდ ოჯახში, ბუნებრივია, ყველა კარგი ვერ იქნება, მაგრამ ჩვენი შტო, ჩემს გარდა...

ჭოუ Fანი ყველანი ერთნაირები ხართ. მამაშენი, ვითომ, ერთი სათნო ადამიანია, რომელმაც ადრეც, წესიერი ოჯახის გოგონა შეაცდინა.

ჭოუ ფინგ-ი შენ მაინც გაჩუმდი, ეს შენი სალაპარაკო არაა, სისულელებს ნუ რომავ.

ჭოუ Fანი ფინგ, კარგად გაიგე, შენ მამაშენის ნაბიჭვარი ხარ.

ჭოუ ფინგ-ი (განცვიფრებული, დაბნეული) სისულელეა. რითი ამტკიცებ?

ჭოუ Fანი შენს ღირსეულ მამას ჰკითხე, გეთაყვა. 15 წლის წინ როცა დათვრა, მაშინ მამაშენი (მიუთითა მაგიდაზე დადებულ სურათზე). შენ სწორედ იმ ახალგაზრდა გოგონას შვილი ხარ, რომელიც მდინარეში გადახტა და რადგანაც მამაშენს იგი უკვე აღარ უნდოდა, თავი მოიკლა.

ჭოუ ფინგ-ი შენ, შენ, შენ... პირდაპირ... კეთილი (ნაძალადევად იცინის) ყველაფერს ვალიარებ, შენ კი რას აპირებ? რისი თქმა გინდა?

ჭოუ Fანი მამაშენი დამნაშავეა ჩემს წინაშე. მან ისეთივე ხერხით და მოტყუებით მომიყვანა თქვენს ოჯახში. ვერ გავიქეცი, გავაჩინე ჩუნგ-იკო. 10 წელზე მეტი გავიდა და ახლაც ისეთივე დაუნდობელია, ნელ-ნელა ქვის ადამიანად მაქცია. შენ კი გაქცევაზე ხარ. შენ, შენ დამაყენე ასეთ გზაზე. დედა დედას არ გავს და საყვარელი საყვარელს. შენ შემაცდინე.

ჭოუ ფინგ-ი შეგაცდინე? გთხოვ ეს სიტყვა აღარ გაიმეორო, კარგი? იცი რა ვითარებაც იყო მაშინ?

ჭოუ Fანი დაგავინყდა რას ამბობდი იმ ღამეს, როცა ვტიროდი, ვოხრავდი, ამ ოთახში? ამბობდი, რომ ვერ იტან მამაშენს და მისი სიკვდილი გინდა, ამ ცოდვის ჩადენას ნათესავური გრძნობაც ვერ შეუშლის ხელს.

ჭოუ ფინგ-ი გავინყდება, მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, აღტყინებული, ასეთი სისულელე იმიტომ ვთქვი.

ჭოუ Fანი გავინყდება, რომ შენზე სულ რამდენიმე წლით ვარ უფროსი და, რაც არ უნდა იყოს, მაშინ უკვე ვიყავი დედაშენი, იმიტომ, რაც არ უნდა იყოს, ჩემთან ამაზე საუბარი არ შეიძლება.

ჭოუ ფინგ-ი (ამოიოხრებს) საერთოდაც, შენ არ უნდა გათხოვილიყავი ჭოუ-ს ოჯახში, ჭოუ-ს ოჯახში ჰაერი ცოდვებითაა დამძიმებული, ახალგაზრდები სულელები არიან. ვთქვათ, შეცდა, არ შეგიძლია აპატიო?

ჭოუ Fანი (ნაღვლიანად, წარბშეჭმუხვნილი) ეს არ არის პატიება-არპატიების საკითხი. უკვე წყნარად ველოდები სიკვდილს. კაცმა ჯერ გადამარჩინა, ახლა კი ყურადღებასაც აღარ მაქცევს. ამოუსუნთქებლად მოვკვდები. ნელ-ნელა ვლაფავ სულს. მითხარი, როგორ მოვიქცე?

ჭოუ ფინგ-ი მაშინ, მაშინ, მეც არ ვიცი, თვითონ თქვი!

ჭოუ Fანი (დამარცვლით) იმედი მაქვს არ ნახვალ.

ჭოუ ფინგ-ი რაო, რა გინდა?! კამპანია გაგინიო, ასეთ ოჯახში ყოველდღიურად ვიფიქრო წარსულ დანაშაულებზე და ასე ცოცხლად დავლიო სული?

ჭოუ Fანი თუ ასე ფიქრობ, რომ ამ ოჯახში შეუძლიათ ასეთი სიკვდილით დაგსაჯონ, მამ როგორღა მიდიხარ მარტო და აქ მტოვებ?!

ჭოუ ფინგ-ი უფლება არ გაქვს ასე ილაპარაკო, შენ ჩემი უმცროსი ძმის, ჩუნგ-ის დედა ხარ.

ჭოუ Fანი მე არა ვარ, არა ვარ, როცა მე ჩემი ცხოვრება, პატიოსნება შენ შემოგნირე, ყურ-

ადლებას აღარ ვაქცევ, მისი დედა არა ვარ და არც ჭოუ ფუიუენ-ის ცოლი ვარ.

ჭოუ ფინგ-ი ნუ მიგაჩნია, რომ მამაჩემის ცოლი არ ხარ. მე მაინც მიმაჩნია, რომ მამაჩემის შვილი ვარ.

ჭოუ Fანი (ვერ მიუხვდა რას ამბობს, გაოცებულია) ო, შენ მამაშენის შვილი ხარ, ამ თვეებში განსაკუთრებით არ მოდიხარ ჩემს სანახავად, მამაშენის გეშინია?

ჭოუ ფინგ-ი შეიძლება ითქვას, მეშინია კიდევ მისი, ასე იყოს.

ჭოუ Fანი მიდი, წადი მალაროში და მამაშენისაგან გმირობის ნიმუში გადააილე. ადამიანს, რომელსაც უყვარხარ და ესმის შენი, ხელი ჰკრა და არ იზრუნო?

ჭოუ ფინგ-ი ასეთნაირადაც შეიძლება ახსნა.

ჭოუ Fანი (ცივად) ასე ამბობ, ბოლოს და ბოლოს მამაშენის შვილი ხარ (შეშლილივით იცინის) მამაშენის შვილი (შეშლილივით იცინის, უცბად, ცივად, დამშვიდებული) ჰმ, ყველა უვარგისები, ლარები ხართ, ღირსი არ ხარ კაცმა რაიმე შემოგნიროს, მძულს, აქამდე რომ არ გიცნობდი!

ჭოუ ფინგ-ი ახლა ხომ გაიგე! მაპატიე. უკვე კარგად აგიხსენი, ასეთი არაბუნებრივი ურთიერთობა – გულს მირევს, გითხარი, მძულს- მეთქი. ამბობ, რომ ვცდები, ვალიარებ, და მაინც გაიძახი, რომ ასეთი შეცდომა დაუშვი. არც ის შეიძლება, რომ ამაზე პასუხს საერთოდ არ აგებდე. ჩემი აზრით, შენ ყველაზე ჭკვიანი და შეგნებული ქალი ხარ და ამიტომაც ვფიქრობ, რომ ბოლოს და ბოლოს მაპატიებ. მლანძღავ ჩემი საქციელის გამო. გეტყვი და იმედი მაქვს, რომ ეს ჩვენი ბოლო საუბარი იქნება (სასტუმრო ოთახისაკენ მიდის).

ჭოუ Fანი მოიცა (დამძიმებული, ჭოუ ფინგ-ი შეჩერდა) იმედი მაქვს, რაც ახლა გითხარი გაიგე, ეს არაა ჩემი ხვეწნა-მუდარა, ვფიქრობ, გულზე ყურს გამოიბამ, დაფიქრდები. ბევრი, (დამძიმებული), ბევრი გვითქვამს ამ ოთახში. გახსოვს, ერთმა ქალმა ვერ აიტანა ორი თაობის ურთიერთწყენა. უნდა ამის შესახებ რამე მოიფიქრო.

ჭოუ ფინგი უკვე კარგად მოვიფიქრე. ვგონებ იცი, ეს დღეები როგორ ვწუხდი. კარგი, ახლა კი გამიშვი (სასადილო ოთახში შედის).

(Fანი თვალს აყოლებს ჭოუ ფინგ-ს. ცრემლი წასკდა. ველარ ითმენს. მიდის სარკისაკენ, ხედავს როგორი დანაოჭებული და გაფერმკრთალებული სახე აქვს. სარკის წინ ემხოზა და ქვითინებს)

(ლუ კუეი ფეხაკრეფით შუა კარებიდან შემოდის, ხედავს ქალბატონი რომ ტირის)

ლუ კუეი (ხმადაბლა) ქალბატონო!

ჭოუ Fანი (დგება) რისთვის მოხვედი?

ლუ კუეი გადია ლუ კარგა ხანია ჩამოვიდა.

ჭოუ Fანი ვინ? ვინ ჩამოვიდა?

ლუ კუეი ჩემი სახლობა, განა ქალბატონმა არ ბრძანა მისი ჩამოყვანა?

ჭოუ Fანი რატომ ადრე არ მითხარი?

ლუ კუეი (ფარისევლურად იღიმება) ვიფიქრე, (ხმადაბლა) მე კი ვფიქრობდი, მაგრამ, დავინახე ქალბატონი შვილს, უფროს ბატონიშვილს ესაუბრებოდა, ამიტომ ვერ გავბედე შეწუხება.

ჭოუ Fანი ა, შენ ამ წუთს...

ლუ კუეი მე? მე სასტუმრო ოთახში ვემსახურებოდი ბატონის სტუმრებს! (განზრახ, ვითომ ვერ გაიგონა) ქალბატონს სურს რამე მიბრძანოს?

ჭოუ Fანი არაფერი, წადი, გადია ლუ-ს დაუძახე შემოვიდეს.

ლუ კუეი (პირფერულად იცინის) ჩვენ, ოჯახში ყველა მოსამსახურე ვართ, უხეშად ვლაპარაკობთ და არ გაგიკვირდეთ.

ჭოუ Fანი ყველა ადამიანი ერთნაირია. მხოლოდ მისი ნახვა და გასაუბრება მსურს.

ლუ კუეი დიახ. ეს ქალბატონის კეთილი ზნისაა. დიახ, ბატონმა სწორედ ახლა მითხრა, რომ შიშობს დიდი წვიმა წამოვა და ქალბატონსა სთხოვს მისი ძველი სანვიმარი გამოიტანოს, ალბათ ის წასასვლელია.

ჭოუ Fანი ს' Fენგ-მა მოაწესრიგა ბატონის ტანსაცმელი და თვითონვე რომ მიუტანოს არ შეიძლება?

ლუ კუეი მეც ასე ვუთხარი. თქვენ თავს ხომ კარგად არ გრძნობთ, მაგრამ ბატონმა დაიბარა – ქალბატონმა თვითონ მოიტანოსო.

ჭოუ Fანი კარგი, ცოტა ხანში წავუღებ.

ლუ კუეი არა, ბატონმა დაიბარა, რომ მას ახლავე სჭირდება, მგონი უნდა წავიდე.

ჭოუ Fანი ჰმ, კარგი, მამ წავალ. ახლა გადია ლუ-ს დაუძახეთ, შემოვიდეს და ამ ოთახში დამელოდოს.

ლუ კუეი კარგი, ქალბატონო.

[ლუ კუეი გადის. Fანი-ს სახე უფრო მეტად გადაუფითრდა, იგი მთელი ძალით ცდილობს თავისი შინაგანი მდგომარეობა (ნაღველი, გაღიზიანება) დათრგუნოს.)

ჭოუ Fანი (ამოიოხრებს, ფანჯარას გამოაღებს და ღრმად ჩაისუნთქავს. თავისთვის) როგორ დაცხა, დაიხუთა, აქ ცხოვრება შეუძლებელია. ვერ გადავიტან. მე გადავიქცეოდი ვულკანის კრატერად, გადავწვავდი ყველაფერს, თვითონ კი ყინულოვან ხრამში თავს ვიკრავდი და გადავიქცეოდი ფერფლად. შეიძლება ითქვას, რომ ამით საკმარისი იქნებოდა ყველაფერი, ჩემი წარსული დამთავრდა და იმედიც მოკვდა. ჰმ, მე ყველაფრისათვის მზად ვარ. მოზრდანი, ვინც იმედი გამიცრუა, ვიზეც ვეჭვიანობდი, ყველანი მოდით, მე გელოდებით (იყურება სიცარიელეში და თავი უფარდება მკერდზე, გაიხედება და ლუ კუეი ამოდის).

ლუ კუეი ამ დროს ლაქია მოვიდა, თქვა: „ბატონს ეჩქარება“

ჭოუ Fანი (თავი ასწია) კარგი, ჯერ შენ წადი, გადია ჩენგ-ს ვუბრძანებ წაიღოს.

(გამოდის და სცენას სტოვებს Fანი გადის სასადილოს კარებიდან, ლუ კუეი კი შუა კარებიდან. გადია ლუ შ'ფინგ-ი ს' Fენგ-თან ერთად შემოდის. ლუ შ'ფინგი დაახლოებით 47 წლისაა, გაჭაღარავებული და თეთრი ფითქინა სახე აქვს. 38-39 წლისაა ჰგავს. წვრილი, გრძელი წარბების ქვეშ მრგვალი, დიდრონი თვალები ცოტა უძრავია და პირდაპირ ყურებისასაც ეს ჩანს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ახალგაზრდობიდან მოყოლილი ხიბლი მაინც შემორჩენია. ტანზე უბრალო, მოკრძალებული, სუფთა ტანისამოსი აცვია. შორიდან კარგი ოჯახის შვილს ჰგავს. მისი მიხრა-მოხრა მდებარე ქმრის აშკარად საპირისპიროს მეტყველებს.

მატარებლით მგზავრობის გამო, თავი თეთრი პირსახოცით აქვს შეკრული. საუბრისას მოღიმარია, მიუხედავად იმისა, რომ შვილი ორი წელია არ უნახავს, მის მეტყველებაში შეიმჩნევა სამხრეთული კილო, მაგრამ გამომსახველი. მისი კბილები ლამაზად ჩანს კონიკე-ბულია, ღიმილისას ლოყებზე უფრო ღრმა ღრმულეები უჩნდება ვიდრე ს'Fენგ-ს. ისინი ერთმანეთს ჰგვანან. დედას ქალიშვილისათვის ხელი აქვს ჩაკიდებული. ლუ ს'Fენგ-ი პატარა ჩიტივით მოჰყვება დედას)

ლუ ს'Fენგ-ი ქალბატონი?

ლუ კუეი ახლავე ჩამოვა.

ლუ ს'Fენგ-ი დედა, დაბრძანდი (გადია ლუ ჯდება), დაილაღეთ, არა?

ლუ შ'ფინგ-ი არ დავლელივარ.

ლუ ს'Fენგ-ი დედა, დაჯექით ცოტა ხნით, ერთ ჭიქა ყინულიან წყალს მოგიტანთ.

ლუ შ'ფინგ-ი არა, ნუ ნახვალ, არ მცხელა.

ლუ კუეი ს'Fენგ, დედას ერთი ბოთლი ღიმილიანი მოუტანე (ლუ შ'ფინგ-ს მიმართავს) ამ რეზიდენციაში რა გინდა რომ არ არის. მოვიდა რა ზაფხული – ღიმილიანი, წვენები, საზამთროს კომპოტი, ფორთოხალი, ბანანი, ახალი ლიჭ' (განმარტება: ლიჭ' ნითელი ფერის, მრგვალი ფორმის, სამხრეთული ხილია, რომელიც კუანტუნ-ში ხარობს)

ლუ შ'ფინგ-ი არა, ყურს ნუ დაუგდებ მამაშენს. ეს სხვისია. ცოტა ხანს ჩემთან დაჯექი, შემდეგ აქაურ ქალბატონს უნდა ვესაუბრო. ყველა სასმელზე უფრო უკეთესია.

ლუ კუეი ქალბატონი ახლავე ჩამოვა. ყოველთვის ძუნობდი. შეხედე, თავზე თეთრი პირსახოცის მოხსნა უჭირს და მისით უნდა თავის შეკვრა. გენანება მოხსნა.

ლუ შ'ფინგ-ი (სიცილით, კეთილგანწყობით) მართალია, მართალი. (იციინის, ს' Fენგ-ს უყურებს) მატარებელში გადაკიდებული თეთრი პირსახოცის თავიდან მოხსნაც დამავინწყდა (მოხსნას აპირებს).

ლუ ს'Fენგ-ი (ღიმილით) დე, მე მოგხსნით (უახლოვდება. ამ დროს ლუ კუეი მიდის ჩაის მაგიდასთან და სიგარეტებს ქურდულად დებს თავის საპაპიროსეში)

ლუ შ'ფინგ-ი (იხსნის პირსახოცს) შეხედე, სახე ჭუჭყიანი მაქვს. მატარებელში მტვერი იყო. თმებზე შემომხედე, ხალხმა არ დამცინოს.

ლუ ს'Fენგ-ი რა, არა, სულაც არა. ორი წელიწადია არ მინახიხართ, ისევ ისეთი ხართ.

ლუ შ'ფინგ-ი ს' Fენგ, როგორი ცუდი მეხსიერება მაქვს. ამდენი ხანია ვსაუბრობთ და დამავინწყდა შენი საყვარელი ნივთის ჩვენება.

ლუ ს'Fენგ-ი რა?

ლუ შ'ფინგ-ი (იღებს პატარა ფუთას) შეხედე, მოგენონება.

ლუ ს'Fენგ-ი არაა საჭირო, ჯერ ნუ მაჩვენებ, გამოვიცნობ.

ლუ შ'ფინგ-ი კეთილი, გამოიცანი.

ლუ ს'Fენგ-ი ქვის თოჯინა.

ლუ შ'ფინგ-ი (უარყოფის ნიშნად თავს აქნევს) შენ უკვე დიდი ხარ.

ლუ ს'Fენგ-ი პუდრის შემფრქვევი.

ლუ შ'ფინგ-ი (უარყოფს თავის ქნევით) რისთვის გინდა?

ლუ ს'Fენგ-ი მაშ პატარა სანემსეა.

ლუ შ'ფინგ-ი (იციინის) დაახლოებით (სწრაფად ხსნის ფუთას) ო, დე, სათითო! ვერცხლის სათითო! მა, შეხედეთ! (მიანიშნებს).

ლუ კუეი კარგია, კარგი.

ლუ ს'Fენგ-ი რა ლამაზია, ზემოდან ძვირფასი თვლებითაა მოჭედული.

ლუ კუეი რა? (წინ მიიწევს და ათვალეირებს), აბა, მაჩვენე.

ლუ შ'ფინგ-ი ეს მაჩუქა სკოლის დირექტორის მეუღლემ. დირექტორმა დაკარგა მნიშვნელოვანი საფულე, მე კი ვუპოვნე, დავუბრუნე. მის მეუღლეს, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, რაიმეს ჩუქება მოუნდა. სამკაულების დიდი გროვა მაჩვენა, რომ ჩემი ქალიშვილისათვის შემერჩია. მე ეს ავარჩიე. ჩამოგიტანე. თუ მოგეწონა?

ლუ ს'ფენგ-ი ბრწყინვალეა, მე ზუსტად ეს მჭირდება.

ლუ კუეი (უბრუნებს ს'ფენგ-ს სათითეს) კარგი რა, ყველა ქვა ძვირფასი არაა და შენ ფიქრობ. კარგად შეარჩიე?

ლუ შ'ფინგ-ი ფენგ-იკო, ნუ ბედავ მამასთან ასე საუბარს.

ლუ ს'ფენგ-ი (პრეტენზიულად) დე, თქვენ არ იცით, თქვენი არყოფნის დროს მამაჩემი უდიერად მეპყრობა, მაბრაზებს.

ლუ კუეი (ზიზლით მიმართავს ცოლს, როგორც „სოფლელს“) შეხედე საკუთარ თავს, მოვიდა რეზიდენციაში, ვერ ხედავ ხალხი რა ფუფუნებაში ცხოვრობს, შენ კი რაღაც სისულელეებზე ლაპარაკობ, (ეჭვის თვალთ) შეხედეთ თქვენს დაბეჩავებულ გარეგნობას, მოხვედით ცნობილი ოჯახის რეზიდენციაში, ხედავთ ამ სახლის ფუფუნებას, ეს კი სულ ზედმეტია. ს'ფენგ, აჩვენე დედას ამ ორი წლის განმავლობაში შენი შეკერილი ტანისამოსი.

ლუ ს'ფენგ-ი დედას ამით ვერ მოხიბლავ.

ლუ კუეი შენც ხომ გაქვს ცოტაოდენი სამკაულები? გამოიღე, რომ თავს წყალი დააღვივოს. მიხვდეს, დარწმუნდეს, მე ვარ მართალი თუ ქალიშვილის სახლში გამოკეცვაა უფრო სწორი?

ლუ შ'ფინგ-ი (ლუ კუეი-ს) როცა მივემგზავრებოდი, დაგავალე და ამ ორი წლის განმავლობაში ნერილებშიც განუწყვეტილად გწერდი, რომ არ მსურს ჩემი შვილი დიდ რეზიდენციებში ემსახურებოდეს ვინმეს, შენ კი ჯობრზე – (უცხად იგრძნო, რომ ეს არ იყო ოჯახის საქმეებზე სალაპარაკო ადგილი და ისევ ს'ფენგ-ს მიუბრუნდა) შენი ძმა სადაა?

ლუ ს'ფენგ-ი კარისკაცის საყარაულოში.

ლუ კუეი თქვენ არ გელოდებთ. ვიღაც ბატონის სანახავად იცდის. (გადია ლუ-ს მიმართავს) შარშან დავაბარე ნერილით ეცნობებინათ შენთვის, რომ ტახაი-მ მალაროში დაიწყო მუშაობა ოსტატ მოიჯარადედ (მენარდედ) ეს ჩემი ყოველდღიური ძალისხმევის შედეგია.

ლუ ს'ფენგ-ი (ზიზლით) მამა, ჯობს ნახვიდე, ნახო ძმა რას აკეთებს. რაც დრო გადის, ხასიათი უფუჭდება. მეშინია, რომ გული ვერ მოუთმენს ჩვენს ლოდინში და დარაჯებთან, ჭანგ-თან და ლიუ-სთან ატეხავს აყალ-მაყალს.

ლუ კუეი მართლა, ეს ბავშვი ძალიან იღრინება (შუა კარებისაკენ მიდის, თავს შემოაბრუნებს) თქვენ აქ ისხედით, ნუ იხმაურებთ, ქალბატონი ცოტა ხანში ჩამოვა (გადის).

(ლუ კუეი-ს ნასვლის შემდეგ დედამ და ქალიშვილმა იგრძნეს, თითქოს მოთვალთვალე წავიდა და მთელი სულითა და გულით გაიღიმეს)

ლუ შ'ფინგ-ი (ხელს უწოდებს ს'ფენგ-ს) შვილო, მოდი, ერთი კარგად შემოგხედო.

(ლუ ს'ფენგ-ი გადია ლუ-ს წინ მუხლებზე დგება)

ლუ ს'ფენგ-ი დედა, ხომ არ მადანაშაულებთ, რომ არ დაგიჯერეთ და მოვედი ჭოუ-ს რეზიდენციაში სამუშაოდ?

ლუ შ'ფინგ-ი არა, არა, რაკი დაიწყე მუშაობა – იმუშავე, მაგრამ ორი წლის მანძილზე რატომ ერთი სიტყვაც არ გითქვამს აქ რომ მუშაობდი? მატარებლიდან სახლში რომ მოვედი დეიდა ჭანგ-მა მითხრა, რომ ჩემი ქალიშვილი აქაა.

ლუ ს'ფენგ-ი მეშინოდა თქვენი განწყომის, ჩვენ ხომ მდიდრები არ ვართ, ამიტომ ასეთი, როგორიც მე ვარ, უნდა მოვემსახურო. რა არის ამაში ცუდი? ვერ ვბედავდი შენთვის მეთქვა – სინამდვილე, დე...

ლუ შ'ფინგ-ი ფიქრობ, რომ დედას სიღარიბისა ეშინია? შიშობ, რომ სხვები დაგვცინებენ სიღარიბის გამო? არა, შვილო, დედა ემორჩილება ბედისწერას. ყველაფერს კარგად ვამჩნევ, მაგრამ ვშიშობ, რომ შენ ძალიან ახალგაზრდა ხარ, ადვილად შესცდები, დედაშენმა მძიმე ცხოვრება გამოიარა, ბევრი რამ ვნახე, შენ არ გესმის, შენ არ იცი, რომ ამ სამყაროში ხალხის გულები... (ამოიოხრებს) კარგი, ახლა ამაზე საუბარი არაა საჭირო. (დგება) ამ ოჯახის ქალბატონი საკმაოდ უცნაურია, რისთვის სჭირდება ჩემი ნახვა?

ლუ ს'ფენგ-ი დიახ, დიახ, მართალია (შიში იპყრობს, ცდილობს როგორმე მშვიდობიანი საუბარო ნარმართოს) არა, დედა, ამ ქალბატონს არ ჰყავს ბევრი მეგობარი, გაიგო, რომ ნერა-კითხვა იცით და, ალბათ, ამიტომ ისურვა თქვენთან დაახლოება და საუბარი.

ლუ შ'ფინგ-ი ჰმ (არ სჯერა, ეჭვით ათვალეირებს ოთახს, მიანიშნებს სარკიან კარადაზე.) ეს ოთახი დახვეწილი გემოვნებითაა მოწყობილი, მაგრამ ავეჯი ზედმეტად მოძველებულია.

ლუ ს'ფენგ-ი ეს ბატონის ნითელი ხისგან დამზადებული სანერი მაგიდაა, ახლა ის სამშვენიისია, გამიგონია, რომ ეს ოცდაათი წლის წინანდელი ნივთია, რომელიც ბატონს ძალიან უყვარს და ყველგან თან

დაატარებს.

ლუ შ'ფინგ-ი (სარკიან კარადაზე მიანიშნებს) ეს რაღაა?
ლუ ს'ფენგ-ი ესეც ძველი ნივთია, ყოფილი პირველი მეუღლის, უფროსი ბატონიშვილის დედის.
მისი ყველაზე საყვარელი ნივთია. შეხედეთ, რა უშველებელია ძველი ნივთები.
ლუ შ'ფინგ-ი ო, უცნაურია. ფანჯრები რატომაა ჩახურული?
ლუ ს'ფენგ-ი ჩემთვისაც ძალიან უცნაურია, არა? ეს ჩვენი ბატონის უცნაურობებია. ზაფხულში
ფანჯრებს კეტავენ.
ლუ შ'ფინგ-ი (იხსენებს) ფენგ-იკო! ეს ოთახი თითქოს სადღაც მინახავს, მეცნობა.
ლუ ს'ფენგ-ი (გაეცინა) მართლა? ვფიქრობ ისე მოგენატრეთ, რომ სიზმარში მოდიოდით ჩემთან,
აქ.
ლუ შ'ფინგ-ი მართალია, სიზმარს ჰგავს. უცნაურია, ამ ადგილმა გამახსენა ბევრი მოვლენა
(თავს ხრის და ჯდება).
ლუ ს'ფენგ-ი (დაბნეულად) დე, რატომ გაფითრდით ასე? მზემ ხომ არ დაგარტყათ? ერთი ჭიქა
ცივი წყალი ხომ არ მოგიტანოთ?
ლუ შ'ფინგ-ი რა? არ მინდა, ნუ ნახვალ, მზარავს, მგონია, რომ ამ ოთახში ავი სულები ბუდობენ!
ლუ ს'ფენგ-ი დე, რა გემართებათ?
ლუ შ'ფინგ-ი ძალიან მეშინია. 30 წლის წინანდელი მოვლენები მახსენდება, დიდი ხნის დავინყე-
ბული ხალხის სახეები კვლავ ჩემს გულში ტრიალებენ.
ლუ ს'ფენგ-ი მომითათუნე ხელი ხელზე, ცივია, როგორც ყინული, დე, ნუ მაშინებ, მე ხომ მში-
შარა ვარ, დე, დე, იცი, ამ ოთახში მართლა იყო ავი სულები!
ლუ შ'ფინგ-ი შვილო, ნუ გეშინია, არ ვარ ცუდად, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ჩემი სული აქ
ნამყოფია.
ლუ ს'ფენგ-ი დე, სისულელეებს ნუ ამბობ. როგორ შეგეძლო აქ ყოფილიყავი, როცა ესენი მხ-
ოლოდ 20 წლის წინ გადმოვიდნენ ჩრდილოეთში, მაშინ თქვენ ჯერ კიდევ სამხრეთში ცხოვრობდით, არა?
ლუ შ'ფინგ-ი არა, არა, ვყოფილვარ. ეს ავეჯი – ვერ ვიხსენებ, სადღაც მინახავს.
ლუ ს'ფენგ-ი დედა, ასე ნუ უყურებთ, მეშინია.
ლუ შ'ფინგ-ი ნუ გეშინია, შვილო, ნუ გეშინია, ნუ გეშინია (ყოველ ჯერზე ჩუმად, თითქოს მო-
გონებებში იძირება).
ლუ ს'ფენგ-ი შეხედეთ ამ კარადას, ეს არის გარდაცვლილი პირველი ქალბატონის ნივთი.
ლუ შ'ფინგ-ი (ჩუმად, ხმის კანკალით) ფენგ-იკო, მიდი ნახე, მიდი ნახე, კარადის მარჯვენა მხ-
არის მესამე უჯრაში არის თუ არა ბავშვის ფეხსაცმელი, ზედ ამოქარგული ვეფხვებით.
ლუ ს'ფენგ-ი დე, რა გემართებათ, ყველაფერი როგორ გეჩვენებათ.
ლუ შ'ფინგ-ი ჰმ, ფენგ-იკო, მიდი ნახე, მიდი ნახე, მე ცოტა მეშინია, არ შემეძლია დავიძრა, მიდი
შენ!
ლუ ს'ფენგ-ი კეთილი, მივალ.
(მიდის კარადისაკენ, გამოხსნის უჯრას, უყურებს)
ლუ შ'ფინგ-ი (ნაჩქარევად) არის რამე?
ლუ ს'ფენგ-ი არა, დედა.
ლუ შ'ფინგ-ი ნათლად ხედავ?
ლუ ს'ფენგ-ი არა, სიცარიელეა, მხოლოდ ჩაის ჭიქებია.
ლუ შ'ფინგ-ი ეს, ალბათ, სიზმარში ვნახე.
ლუ ს'ფენგ-ი (ეცოდება დედა) მეტად ნუ იტყვი, დე, დამშვიდდი, დე, შენ ვინმემ გაგაჯავრა?
(ცრემლს იწმენდს) ადრე თქვენ არ ყოფილხართ ასეთი არეულ-დარეული გონების. საბრალო დედაჩემი. (ეხ-
ვევა) უკეთესად ხართ?
ლუ შ'ფინგ-ი არც ისე საშინელია, (ეს ფრაზა გაუგებარია. რუსუდანი) ახლა დარაჯებისაგან შე-
ვიტყე, რომ ამ სახლში კიდევ ორი ბატონიშვილია?
ლუ ს'ფენგ-ი დიას დედა, ორივე ძალიან კარგები არიან, ალერსიანები.
ლუ შ'ფინგ-ი (თავის თავს ესაუბრება) არა, ჩემი ქალიშვილი აქ არ უნდა დარჩეს, არ შეიძლება,
არა.
ლუ ს'ფენგ-ი დედა, რაზე ლაპარაკობთ? აქ ყველა, დიდინპატარიანად ყველა კარგად მექცევა.
ამ სახლში ბატონი და ქალბატონი არასოდეს უჯავრდებიან მსახურებს. ორივე ბატონიშვილი კი ძალზე
თავაზიანები არიან. ამ ოჯახში არა მარტო ცოცხლები არიან კეთილგანწყობილნი, არამედ მიცვალებულის
სულებსაც კი მიეწოდებოდათ. ჭოუ-ს ოჯახის წევრები ყველანი ძალიან გულთბილნი არიან.
ლუ შ'ფინგ-ი ჭოუ? ამ ოჯახის გვარი ჭოუ-ა?
ლუ ს'ფენგ-ი დედა, აბა შეხედეთ, ჩამოსვლისთანავე ჭოუ-ს სახლში შემოხვედით და როგორ
დაგავინწყდათ? თქვენ, ნამდვილად, გზაში დაისიცხეთ. წყალს მოგიტანთ, დალიეთ (კარადის წინ ჩაიარა) ახლა

გაჩვენებთ პირველი ქალბატონის სურათს და ცოცხა წყალსაც მოგიტანთ (იღებს სურათს და ზურგსუკნიდან აჩვენებს).

ლუ შ'ფინგ-ი (ფოტოსურათი უჭირავს ხელში, შიშით ხმას ვერ იღებს, უყურებს, ხელები უკანკა-ლებს)

ლუ ს' ფენგ-ი (უკან უდგას) შეხედეთ, ხომ ძალიან ლამაზია, სწორედ ის არის უფროსი ბატონიშვილის დედა, რა ლამაზი ღიმილი აქვს. ისინი ამბობენ რომ ცოცხა მე მგავს, მაგრამ, სამწუხაროდ, დაიღუპა (ეჩვენება, რომ დედა ნაბორძიკდა) ო, დედა რა გჭირთ? რა გჭირთ?

ლუ შ-ფინგ-ი არა, არა. თავბრუ მეხვევა, წყალი მინდა.

ლუ ს' ფენგ-ი (დაბნეული, ხელი მოჰკიდა ხელზე, დაუნყო გარკვეულ წერტილებზე დაჭერა (კომენტარი: ჩინური ტრადიციული მედიცინის თანახმად ადამიანის სხეულზე ბევრი სამკურნალო წერტილია და ძველად, რიგით ჩინელს საჭირო წერტილების გაღიზიანებით შეეძლო პირველადი დახმარების აღმოჩენა) და თავზე ხელის გულით თათუნო. დედი, აქვე წამოწეკით, მე წყალს მოვიტან (სასადილო ოთახისაკენ გარბის).

ლუ შ'ფინგ-ი ო, ღმერთო ჩემო! მე მგონია მოვკვდი, ნეტავ მართლა? ეს სურათი, ეს ავეჯი, როგორ შეიძლება? რა უსაზღვროა სამყარო, როგორ შეიძლება ეს მომხდარიყო. ამ ხნის განმავლობაში რამდენიმე ათეული წელი გავიდა, ჩემს კანში ვიხარშებოდი და ბედისწერამ ისევ ჩემს უბედურ შვილთან დამაბრუნა, მასთან – ეს მისი ოჯახია? რა უსამართლობაა ციდან მოვლენილი. [(ს' ფენგ-ს მოაქვს წყალი, ლუ ცდილობს ცრემლი შეიშროს)

ლუ ს'ფენგ-ი (წყალს აწვდის) დე, დალიეთ, არა, კიდევ რამდენიმე ყლუპი (ლუ სვამს) ცოცხა უკეთ ხართ? რა მოგივიდათ?

ლუ შ'ფინგ-ი დიახ, დიახ. შვილო ახლავე ჩემთან ერთად დაბრუნდი სახლში.

ლუ ს'ფენგ-ი (გაკვირვებული), რა გემართებათ, დედა?

(სასადილოდან ისმის ჭოუ Fანი-ს ხმა, ს' ფენგ!

ლუ შ'ფინგ-ი ვინ გეძახის?

ლუ ს'ფენგ-ი ქალბატონია.

(ჭოუ Fანი-ს ხმა, ს' ფენგ!

ლუ ს'ფენგ-ი მესმის.

(ჭოუ Fანის ხმა, ს' ფენგ, მოდი, ბატონის სანვიმარი სად შეინახე?

ლუ ს'ფენგ-ი ახლავე მოვალ (ხმამაღლა დედას) დამელოდე, ახლავე მოვალ.

ლუ შ'ფინგ-ი კეთილი, წადი.

(ლუ ს'ფენგ-ი გადის. დედა ათვალეერებს იქაურობას, მიდის კარადასთან და ეფერება თავის ყოფილ ავეჯს, თავს ხრის და ჩაფიქრდება. უცბათ ბალიდან ისმის ნაბიჯების ხმა, ელოდება. ლუ კუეი შუა კარიდან შემოდის)

ლუ კუეი ლუ ს'ფენგ-ი სადღაა?

ლუ შ'ფინგ-ი აქაურმა ქალბატონმა დაუძახა და წავიდა.

ლუ კუეი ქალბატონს გადაეცით, ბატონიშვილი თვითონ მოვა სანვიმრის წასაღებად, მას ქალბატონთან კიდევ სხვა საქმე აქვს.

ლუ შ'ფინგ-ი ბატონი ამ ოთახში უნდა მოვიდეს?

ლუ კუეი ხო, ჰმ, ნათლად აუხსენი, რომ ბატონი მოვა და თუ ქალბატონი არ დახვდება, ბერი კიდევ გაბოროტდება.

ლუ შ'ფინგ-ი ქალბატონს შენ აუხსენი!

ლუ კუეი აქ თავიდან ბოლომდე ყველაფერს მე განვკარგავ, ძალიან დაკავებული ვარ, ვერ დავიცდი.

ლუ შ'ფინგ-ი სახლში უნდა დავბრუნდე, ქალბატონის ნახვა არ მინდა.

ლუ კუეი რატომ? ამჯერად ქალბატონმა თვითონ მოინდომა შენი ნახვა, შეიძლება რაიმე მნიშვნელოვან საქმეზე უნდა მოგელაპარაკოს.

ლუ შ'ფინგ-ი ლუ ს'ფენგ-ი ს წაყვანას ვაპირებ, უარი უნდა თქვას ამ სამუშაოზე.

ლუ კუეი რაო? ერთი შეხედე, შენ!

(ჭოუ Fანი სასადილო ოთახიდან შემოდის)

ლუ კუეი ქალბატონო!

ჭოუ Fანი (კარებისაკენ) ს'ფენგ, ჯერ ის ორი ნამოილე, იკითხე, ბატონს რომელი სჭირდება (გადია ლუ-ს) ესაა ლუ ს'ფენგ-ი ს დედა? დიდ ხანს გალოდინეთ.

ლუ კუეი ვალდებულია დაიცადოს, ქალბატონმა შეხვედრის ნება უბოძეთ, ეს უკვე დიდი შელავათია.

(ლუ ს'ფენგ-ი სანვიმრით ხელში სასადილო ოთახში შედის)

ჭოუ Fანი დაბრძანდი, დიდი ხნის ჩამოსული ხარ? (მხოლოდ ახედ-დახედა, არ დამჯდარა)

ლუ შ'ფინგ-ი არც ისე, ქალბატონო.

ლუ ლუ ს'ფენგ-ი ქალბატონო, ეს სამივე საწვიმარი ბატონს მივუტანო?
 ლუ კუეი ბატონი აქედან თვითონ წაიღებს, დაელოდეთ, თქვენთან სალაპარაკო აქვს.
 ჭოუ ზანი გასაგებია (ს'ფენგ-ს) შენ ჯერ სამზარეულოში უთხარი ვახშმისათვის თადარიგი დაიჭირონ.

ლუ ს'ფენგ-ი დიახ, ქალბატონო (ლუ კუეი-ს უყურებს, ჭოუ ზანი-ს უფრო საეჭვოდ და შუა კარებიდან გადის).
 ჭოუ ზანი ლუ კუეი, ბატონს უთხარი, ლუ ს'ფენგ-ი ს დედასთან ვსაუბრობ, შემდეგ მობრძანდეს.

ლუ კუეი დიახ, ქალბატონო (მაგრამ არ მიდის).
 ჭოუ ზანი (ლუ კუეი-ს) საქმე გაქვს რამე?
 ლუ კუეი ქალბატონო, დღეს დილით გერმანელი ექიმის ქეი-ს გამოძახება გვიბრძანა.
 ჭოუ ზანი უმცროსმა ბატონიშვილმა უკვე მითხრა.
 ლუ კუეი ბატონმა ეს წუთია გვიბრძანა, ექიმის მოსვლისთანავე გაესინჯოსო.
 ჭოუ ზანი ვიცი, შენ კი წადი.
 (ლუ კუეი შუა კარიდან გადის)
 ჭოუ ზანი (გადია ლუ-ს) დაბრძანდი, ვისაუბროთ, ნუ გერიდებათ (თვითონ დივანზე ჯდება).
 ლუ შ'ფინგ-ი (გვერდით სკამზე ჯდება) ახლახანს მატარებლიდან ჩამოვედი და გავიგე ჩემი ნახვა გდომებიათ.

ჭოუ ზანი ლუ ს'ფენგ-ი ხშირად გახსენებს, შენზე ამბობს ნასწავლი ქალი ხარ, უნინ კარგი ოჯახი გქონია.

ლუ შ'ფინგ-ი (არ სურს წარსულზე საუბარი) ლუ ს'ფენგ-ი, ეს ბავშვი ნამდვილად სულელია, მოქცევის ბევრი წესი არ იცის, ეს ორი წელი განერვიულათ, ალბათ.
 ჭოუ ზანი არა, ის ძალიან ჭკვიანია, მეც ძალიან მიყვარს. ეს ბავშვი არ უნდა ემსახურებოდეს, უფრო კარგი იქნებოდა, თუ სხვა, შესაფერის საქმეს იშოვის.

ლუ შ'ფინგ-ი დიახ, ქალბატონმა ზედმეტად შეაქო, მე კი სინამდვილეში არ მინდოდა, რომ ემსახურა.
 ჭოუ ზანი ეს ჩემთვის გასაგებია, ვიცი, განათლებული ადამიანი ხარ, როგორც კი დაგინახე, მაშინვე მივხვდი, რომ სათნო ადამიანი იქნებოდი, აღარ დაგაყოვნებ, მიაშვებ შენი მოსვლის მიზეზები.

ლუ შ'ფინგ-ი (ეჭვის თვალით) ხალხი ალბათ ჭორაობს ჩემი ბავშვის საქციელის გამო, არა?
 ჭოუ ზანი (იცინის, განგებ მტკიცედ პასუხობს) არა.
 (ლუ კუეი შუა კარიდან შემოდის)
 ლუ კუეი ქალბატონო!
 ჭოუ ზანი რაშია საქმე?
 ლუ კუეი ექიმი ქეი ეს-ესაა მძლოლმა მოიყვანა, ახლა პატარა სასტუმრო ოთახში გელოდებათ.

ჭოუ ზანი მე სტუმარი მყავს.
 ლუ კუეი სტუმარი? ბატონმა ბრძანა ახლავე მოვიდესო.
 ჭოუ ზანი ვიცი, ჯერ შენ წადი.

(ლუ კუეი გადის)
 ჭოუ ზანი (გადია ლუ-ს) მე ჯერ ჩემი ოჯახის შესახებ გიამბობთ. ქალები ოჯახში ძალიან ცოტანი ვართ.

ლუ შ'ფინგ-ი დიახ.
 ჭოუ ზანი ბატონი, ორი ბატონიშვილი, ჩემსა და ორი ძიძის გარდა ყველა მსახური მამაკაცია.
 ლუ შ'ფინგ-ი დიახ, ქალბატონო, ჩემთვის ნათელია.
 ჭოუ ზანი ლუ ს'ფენგ-ი ძალიან ახალგაზრდაა, მხოლოდ ცხრამეტის. არა?
 ლუ შ'ფინგ-ი არა, თვრამეტისა.
 ჭოუ ზანი მართალია, მახსოვს. მგონი ჩემს ვაჟზე ერთი წლით უფროსია. ასეთი ახალგაზრდა, დახვეწილი გოგო ოჯახის გარეთ მსახურობდეს.

ლუ შ'ფინგ-ი ს'ფენგ-ს რაიმე სამარცხვინო საქციელი ჩაუდენია? გთხოვთ, არ დამიმალეთ.
 ჭოუ ზანი არა, არა (ისევ იცინის) ის ძალიან კარგია, მე თვითონ მყავს ვაჟიშვილი, რომელიც მხოლოდ ჩვიდმეტისაა, ბაღში ალბათ თვალს მოჰკრავდით, ის ჯერ კიდევ უმწიფარი ბიჭია.
 (ლუ კუეი კაბინეტიდან გამოდის)
 ლუ კუეი ბატონი გთხოვთ დააჩქაროთ, ექიმმა რომ გაგსინჯოთ.
 ჭოუ ზანი არ არის ვინმე, ექიმ ქეი-ს თავი რომ შეაქცევინოს?

ლუ კუეი ეს-ესაა ტრესტის დირექტორი ვანგ-ი წავიდა და ბატონი თავად მიხედავს ექიმს.

ლუ შ'ფინგ-ი ქალბატონო, ნაბრძანდით. მე დაგელოდებით, არაუშავსრა.
 ჭოუ Fანი ბატონს გადაეცით, რომ ავად არ ვარ და ექიმის გამოძახებაც არ მჭირდებოდა.
 ლუ კუეი დიახ, ქალბატონო (მაგრამ არ მიდის).
 ჭოუ Fანი (ლუ კუეი-ს უყურებს) რაღას უცდი?
 ლუ კუეი ქალბატონს ველოდები, იქნებ კიდევ რამე უნდა რომ მიბრძანოს.
 ჭოუ Fანი ლუ კუეი (უცებ მოაფიქრდა), იმის შემდეგ, რაც ბატონს მოახსენებ, ელე-
 ქტრიკოსი გამოიძახე, ახლახანს შევიტყე, ბაღში გაშიშვლებული სადენი გდია, სასწრაფოდ შეაკეთოს, ხალხს
 დენმა არ დაარტყას.
 ლუ კუეი დიახ, ქალბატონო.
 (ლუ კუეი შუა კარიდან გადის)
 ჭოუ Fანი (ხედავს გადია ლუ დგება) ნინაი (განმარტება: თავაზიანი მიმართვა ხანდაზმული
 ქალბატონისადმი) ლუ, ბრძანდებოდეთ. ამ ოთახში ჰაერი კიდევ უფრო დაიხუთა (მიდის ფანჯარასთან,
 აღებს და ჯდება) ეს დღეები ჩემი შვილი მაკვირვებს. უცბად მიცხადებს, რომ ლუ ს' Fენგ-ი მოსწონს.
 ლუ შ'ფინგ-ი რაო?
 ჭოუ Fანი მას სურვილი აქვს, რომ სკოლაში შევიდეს, ის კი დაეხმარება სწავლის საფასურის
 გადახდაში.
 ლუ შ'ფინგ-ი ქალბატონო, ეს ხომ ხუმრობაა.
 ჭოუ Fანი ამ ბავშვს კიდევ იმის სურვილი აქვს, რომ ლუ ს' Fენგ-ი ცოლად მოიყვანოს,
 ლუ შ'ფინგ-ი ქალბატონო, ნუ გააგრძელებთ, ყველაფერი ნათელია.
 ჭოუ Fანი (აგრძელებს საუბარს) ჩემს შვილზე უფროსია, ასევე ძალიან ჭკვიანი გოგონაა, მდ-
 გომარეობა ისეთია.
 ლუ შ'ფინგ-ი (არ მოეწონა მისი შეფარული საუბარი) ჩემი ქალიშვილი, მჯერა, რომ მგრძნობი-
 არე და საერთოდ გულახდილი, თავაზიანი გოგონაა, მე თავიდანვე არ მინდოდა, რომ მას დიდ რეზიდენციაში
 ემუშავა, მაგრამ მე მისი მჯერა. ის მხოლოდ ორი წელია რაც მსახურობს და ამ პერიოდში სისულელეებს ვერ
 ჩაიდენდა.
 ჭოუ Fანი გადია ლუ, ვიცი, რომ ლუ ს' Fენგ-ი გაგებულ ბავშვია, მაგრამ ამ ვითარებაში
 ძალიან ადვილია შეცდომების დაშვება.
 ლუ შ'ფინგ-ი (ამოიოხრა) მე რომ აქ მოვდიოდი, არც მიქიფიქრია ამაზე, ისე კი მზად ვიყავი მის
 ნასაყვანად. ახლა კი გთხოვთ ხანგრძლივ შევბუღებაში გაუშვათ.
 ჭოუ Fანი ო, ო, თუ შენ მიგაჩნია, რომ ასე უკეთესია, მეც ვფიქრობ, ასე ურიგო არ უნდა
 იყოს, უფრო მეტიც, კიდევ რომ ყოფილიყო შესაძლებლობა, ჩემი სულელი შვილი კიდევ გამონახავდა ლუ
 ს'Fენგ-ის ნახვის დროს თქვენს ოჯახში.
 ლუ შ'ფინგ-ი თქვენ დამშვიდდით, ძალიან ვწუხვარ, არ უნდა დამეშვა ის, რომ ეს ბავშვი მხ-
 ოლოდ მამამისის ანაბარა დამეტოვებინა. ხვალ უკვე გავეცლები აქაურობას და მას შორს წავიყვან, რომ
 ველარ ნახოს ჭოუ-ს ოჯახის ვერც ერთი წევრი. ქალბატონო, ახლა მსურს ჩემი ქალიშვილი წავიყვანო და
 წავიდე (თავისთვის ჩაილაპარაკა) ჩემი საცოდავი ბავშვი (ტახტზე ჯდება) ოხ, ცის განგებაო!
 ჭოუ Fანი კეთილი, მამ ვთხოვ ბუღალტერიაში ხელფასი დაუანგარიშონ, ხოლო მის პირად
 ნივთებს ვინმეს ხელით გამოვგზავნით. ერთი ჩემოდანი ძველი ტანისამოსი მაქვს, შეგიძლიათ წაიღოთ. მო-
 მავალში გამოგადგებათ.
 ლუ შ'ფინგ-ი (თავისთვის) Fენგ-იკო, ჩემო უბედურო შვილო! (ჯდება დივანზე, ტირის) ო, ცის
 განგებავ!
 ჭოუ Fანი (გადია ლუ-ს წინ დგება) ნუ იტანჯებით, გადია ლუ, თუ ფულთან დაკავშირებით
 რამე დაბრკოლება იქნება, ჩემთან მობრძანდით, აუცილებლად გადავჭრით. წაიყვანეთ. ასეთი აღმზრდელი
 დედისათვის ბავშვის წაყვანა, ბუნებრივია, აქ ყოფნაზე უკეთესი იქნება.
 (ჭოუ ფუიუენ-ი კაბინეტიდან შემოდის)
 ჭოუ ფუიუენ-ი Fანი!
 (Fანი თავს წევს, გადია ლუ დგება, ცდილობს გვერდზე მიიმალოს, სახე ეცვლება, მაგრამ დაკვირვე-
 ბით უყურებს ჭოუ-ს)
 ჭოუ ფუიუენ-ი როგორ, ჯერ არ წასულხარ?
 ჭოუ Fანი (განგებ) სად?
 ჭოუ ფუიუენ-ი ექიმი ქეი ისევ გელოდება, არ იცი?
 ჭოუ Fანი ექიმი ქეი, ვინ არის ექიმი ქეი?
 ჭოუ ფუიუენ-ი წინათ რომ გმკურნალობდათ, ის ექიმა.
 ჭოუ Fანი წამლები საკმარისია ჩემთვის, მე აღარ ვაპირებ მის მიღებას.
 ჭოუ ფუიუენ-ი შენი ავადმყოფობა...
 ჭოუ Fანი მე არ ვარ ავადმყოფი.

ჭოუ ფუიუენ-ი (მოთმინებით) ექიმი ქეი გერმანიაში ჩემი კარგი მეგობარი იყო. გინეკოლოგიაში ბევრი კარგი კვლევა აქვს, შენ ხომ ძლიერი ნევროზი გაქვს.

ჭოუ ფანი ვინ სთქვა, რომ ნევროზი მაქვს, ასე რატომ მწყევლით. მე არა ვარ ავად. გეუბნებით, მე არა ვარ ავად.

ჭოუ ფუიუენ-ი (ცვიად, დაუნდობლად) ხალხის წინაშე ასე ყვირი, სისულელეებს რომავ, უწესოდ იქცევი – ავად ხარ და მიინც უარს აცხადებ და არ გსურს განკურნება. ეს არის ავადმყოფური ნევროზი.

ჭოუ ფანი მე თუ ავად ვარ, მაშინ ექიმიც ვერ მიშველის.

(სასადილოსაკენ მიდის)

ჭოუ ფუიუენ-ი (ხმამალლა ყვირის) შეჩერდი, სად მიდიხარ?

ჭოუ ფანი (არ იმჩნევს) ზევით მივდივარ.

ჭოუ ფუიუენ-ი (ბრძანების კილოთი) უნდა დამემორჩილო.

ჭოუ ფანი (თითქოს არ ესმის, ჩერდება, აგდებულად უყურებს) დაგავიწყდა, თვითონ როგორ ხარ? (ორჯერ ჩაიხითხითა) სასაცილოდ მეჩვენები (სასადილოში გამავალი კარისაკენ გარბის სიცილით და კარს იჯახუნებს).

ჭოუ ფუიუენ-ი მოდით აქ. მსახურებო, აქეთ!

(მსახური შემოდის)

მსახური ბატონო!

ჭოუ ფუიუენ-ი ქალბატონი ახლა ზევითაა. უფროს ბატონიშვილს უთხარით, რომ გაჰყვეს ექიმ ქეი-ს მასთან გასასინჯად.

მსახური დიახ, ბატონო.

ჭოუ ფუიუენ-ი უფროს ბატონიშვილს უთხარი, რომ ნერვები ცუდ მდგომარეობაში აქვს, გამოიჩინოს სიფრთხილე და ზედა სართულის ძიძამ კარგად მოუაროს.

მსახური დიახ, ბატონო,

(მსახური გადის)

ჭოუ ფუიუენ-ი და კიდევ, უფროს ბატონიშვილმა მოახსენოს ექიმ ქეი-ს, რომ ცოტა დავიღალე და მასთან ვერ ვიქნები.

მსახური დიახ, ბატონო.

ჭოუ ფუიუენ-ი (მსახური გადის. უკიდებს სიგარას და მაგიდაზე დადებულ სანვიმარს ათვალიერებს, მიმართავს გადია ლუ-ს) ეს სანვიმარი ქალბატონის ამოღებულია?

ლუ შ'ფინგ-ი (ჭოუ-ს უყურებს) ალბათ.

ჭოუ ფუიუენ-ი (სანვიმრებს იღებს და უყურებს) არა, არა, ეს ყველა ახალი სანვიმრებია. მე ჩემი ძველი სანვიმარი მინდა. მერე უთხარით ქალბატონს.

ლუ შ'ფინგ-ი კეთილი.

ჭოუ ფუიუენ-ი (ხედავს, რომ არ მიდის) არ იცით, რომ ამ სახლში მსახურებს თვითნებურად შემოსვლის უფლება არა აქვთ?

ლუ შ'ფინგ-ი არ ვიცოდი, ბატონო,

ჭოუ ფუიუენ-ი ახალი მსახური ხარ?

ლუ შ'ფინგ-ი არა, ჩემს ქალიშვილთან მოვედი.

ჭოუ ფუიუენ-ი შენი ქალიშვილი?

ლუ შ'ფინგ-ი ლუ ს'ფინგ-ი ა ჩემი ქალიშვილი.

ჭოუ ფუიუენ-ი მაშ, თქვენ ოთახი შეგშლიათ.

ლუ შ'ფინგ-ი ო, ბატონს რამე ხომ არ ნებავს?

ჭოუ ფუიუენ-ი (ფანჯარაზე მიუთითებს) ვინ გითხრათ ფანჯარა გააღეთ?

ლუ შ'ფინგ-ი (ძალიან ბუნებრივად მიდის ფანჯარასთან და ხურავს, ნელ-ნელა შუა კარისაკენ მიდის).

ჭოუ ფუიუენ-ი (ხედავს. ფანჯარას როგორ ხურავს, ძალიან უცნაურად ეჩვენება) შეჩერდი, შენ! (გადია ლუ ჩერდება) რა გვარი ხარ?

ლუ შ'ფინგ-ი ჩემი გვარია ლუ.

ჭოუ ფუიუენ-ი გვარი ლუ. შენი გამოთქმა ჩრდილოურს არ ჰგავს.

ლუ შ'ფინგ-ი მართალია, მე ჩრდილოელი არ ვარ. მე წიანგსუ-დან ვარ.

ჭოუ ფუიუენ-ი თითქმის უსი-ს გამოთქმა გაქვს.

ლუ შ'ფინგ-ი ბავშვობიდან უსი-ში ვიზრდებოდი.

ჭოუ ფუიუენ-ი (დაფიქრდა) უსი? (მოულოდნელად) უსი-ში რა დროს იყავი?

ლუ შ'ფინგ-ი კუან სიუი-ს მმართველობის ოცდამეათე წელს, თითქმის 30-ზე მეტი წელი გავიდა.

ჭოუ ფუიუენ-ი 30 წლის წინ უსი-ში იყავი?

ლუ შ'ფინგ-ი დიახ, ოცდაათზე მეტია, იმ დროს, მახსოვს, ასანთიც კი არ ვიცოდი რა იყო.

ჭოუ ფუიუნენ-ი (დაფიქრდება) 30 წლის წინ. ჰო, ძალიან ადრეა. ვფიქრობ, დაახლოებით ოცის ვი-
 ყავი. იმ დროს ჯერ კიდევ უსი-ში ვიყავი.

ლუ შ'ფინგ-ი ბატონი სადაური ბრძანდება?

ჭოუ ფუიუნენ-ი (ღრმად ამოისუნთქებს) უსი ძალიან კარგი ადგილია.

ლუ შ'ფინგ-ი ჰმ, კარგი ადგილია.

ჭოუ ფუიუნენ-ი 30 წლის წინ უსი-ში იყავი?

ლუ შ'ფინგ-ი დიას, ბატონო.

ჭოუ ფუიუნენ-ი 30 წლის წინ უსი-ში ერთი გახმაურებული ამბავი მოხდა.

ლუ შ'ფინგ-ი ხო?

ჭოუ ფუიუნენ-ი შენ იცი?

ლუ შ'ფინგ-ი შესაძლოა მახსოვდეს. არ ვიცი ბატონო, რომელ ამბავზე საუბრობთ?

ჭოუ ფუიუნენ-ი ჰმ, დიდ ხნის წინანდელი ამბავია, ყველას დაავიწყდა, ახლა რომ ამაზე ლაპარაკი
 დავინყო. არავის ახსოვს.

ლუ შ'ფინგ-ი შეიძლება მახსოვდეს.

ჭოუ ფუიუნენ-ი საკმაოდ ბევრ ადამიანსა ვკითხე, ვინც იმ დროს უსი-ში იმყოფებოდა, ის კი არა,
 ამბის მოსატანადაც კი გავგზავნე, მაგრამ იმდროინდელები კი არ დაბერებულან, არამედ უკვე დახოცილან,
 ნახევარზე მეტ დარჩენილებს კი არ ახსოვთ, ან არ იციან. შესაძლოა შენ იცოდე? 30 წლის წინ უსი-ში იყო
 ერთი ოჯახი, გვარად მეი.

ლუ შ'ფინგ-ი მეი?

ჭოუ ფუიუნენ-ი მეი-ს ოჯახს ერთი ახალგაზრდა ქალბატონი ჰყავდა, გონებამახვილი, ჭკვიანი და
 ძალიან წესიერი. უეცრად, ერთ ღამეს, მან წყალში დაიხრჩო თავი და... იცით ეს ამბავი?

ლუ შ'ფინგ-ი ვერ გეტყვით.

ჭოუ ფუიუნენ-ი ჰმ!

ლუ შ'ფინგ-ი მეც ვიცნობდი ერთ ახალგაზრდა გოგონას, გვარად მეი-ს.

ჭოუ ფუიუნენ-ი ჰმ, ხო, მიდი თქვი, ვნახოთ.

ლუ შ'ფინგ-ი მაგრამ ის, არც ქალბატონი იყო, არც ბრძენი და მით უმეტეს არც ძალიან წესიერი.

ჭოუ ფუიუნენ-ი ალბათ ცდები, თუმცა მაინც გააგრძელე.

ლუ შ'ფინგ-ი ეს ქალი ერთ საღამოს მდინარეში გადახტა, მაგრამ მარტო კი არა, სამი დღის ახალ-
 შობილთან ერთად. მსმენია, რომ მშობიარობამდე ცუდი ყოფაქცევისა ყოფილა.

ჭოუ ფუიუნენ-ი (ტანჯვით) ჰმ!

ლუ შ'ფინგ-ი ის მდაბიო იყო, არც წესიერებას იცავდა დიდად. როგორც ვიცი, იმ დროს ჭოუ-ს
 რეზიდენციაში ახალგაზრდა ბატონიშვილთან ბინძური ურთიერთობის შედეგად გააჩინა ორი ბავშვი. მეორის
 გაჩენიდან მესამე დღეს, ბატონს აღარ მოსდომებია, უფროსი შვილი დაუტოვებია ჭოუ-ს რეზიდენციაში,
 ახალი წლის დამდეგს, 30 რიცხვში, გულშიჩახუტებულ ახალშობილთან ერთად მდინარეში გადამხტარა,

ჭოუ ფუიუნენ-ი (ოფლმა დაასხა) ჰმ!

ლუ შ'ფინგ-ი ის არ იყო ქალბატონი, ის ჭოუ-ს რეზიდენციის ოჯახის გადია მეი იყო, ქალიშვილი
 კი შ'ფინგ-ი.

ჭოუ ფუიუნენ-ი (თავი ასწია) შენ რა გვარისა ხარ?

ლუ შ'ფინგ-ი ლუ, ბატონო.

ჭოუ ფუიუნენ-ი (ამოიოხრებს) შ'ფინგ-ი, შ'ფინგ-ი, მართალია. ასე ამბობენ, ამ გოგოს ცხედარი ერთ
 ღარიბს უნახავს და დაუმარხავს. იქნებ იცი სად არის მისი საფლავი?

ლუ შ'ფინგ-ი რისთვის მეკითხებით სხვისა ამბებს?

ჭოუ ფუიუნენ-ი ეს ადამიანი შორეული ნათესავი იყო.

ლუ შ'ფინგ-ი ნათესავი?

ჭოუ ფუიუნენ-ი ჰმ, ჩვენ გვსურს მისი საფლავის აღდგენა.

ლუ შ'ფინგ-ი გაკეთება აღარ ღირს.

ჭოუ ფუიუნენ-ი როგორ?

ლუ შ'ფინგ-ი ეს ადამიანი ახლა ჯერ კიდევ ცოცხალია.

ჭოუ ფუიუნენ-ი (გაოგნებული) რას ამბობთ?!

ლუ შ'ფინგ-ი ის არ მომკვდარა.

ჭოუ ფუიუნენ-ი ის ჯერაც ცოცხალია? შეუძლებელია. მე ვნახე მისი ტანსაცმელი, მდინარის პირას
 სიკვდილის წინ დაწერილი ბარათით.

ლუ შ'ფინგ-ი ის კეთილმა ხალხმა გადაარჩინა.

ჭოუ ფუიუნენ-ი გადარჩა?

ლუ შ'ფინგ-ი იმის შემდეგ უსი-ს მკვიდრთ აღარ უნახავთ, ფიქრობდნენ, რომ იმ ღამით დაიღუპა.

ჭოუ ფუიუნენ-ი მაგრამ თვითონ ის?

ლუ შ'ფინგ-ი სოფლის გადაღმა ცხოვრობდა.
 ჭოუ ფუიუენ-ი ის პატარა ბავშვი?
 ლუ შ'ფინგ-ი ისიც ცოცხალია.
 ჭოუ ფუიუენ-ი (უეცრად წამოდგა) შენ ვინა ხარ?
 ლუ შ'ფინგ-ი მე ლუ ს'ფინგ-ი ს დედა ვარ, ბატონო.
 ჭოუ ფუიუენ-ი ჰმ!
 ლუ შ'ფინგ-ი ის ახლა დაბერდა, ცოლად ერთ მდაბიო მოსამსახურე კაცს გაჰყვა, ერთი ქალიშ-
 ვილიც გააჩინა, მდგომარეობა არც ისეთი სახარბიელოა.
 ჭოუ ფუიუენ-ი იცი ახლა სად არის?
 ლუ შ'ფინგ-ი რამდენიმე დღის წინ ვნახე!
 ჭოუ ფუიუენ-ი რას ამბობ, ის აქ არის?
 ლუ შ'ფინგ-ი ხო, ზუსტად აქ.
 ჭოუ ფუიუენ-ი ო!
 ლუ შ'ფინგ-ი ბატონო, გსურთ მისი ნახვა?
 ჭოუ ფუიუენ-ი (აღელდა კიდეც) არა, არ არის საჭირო.
 ლუ შ'ფინგ-ი ბედმა უმუხთლა, დაშორდა ჭოუ-ს ოჯახს, ბატონიშვილმა კი ერთი შეძლებული ქა-
 ლიშვილი მოიყვანა ცოლად. მარტოხელამ ბავშვი სოფელს მოაშორა. რას არ აკეთებდა, მონყალეზას თხოუ-
 ლობდა, ტანისამოსს კერავდა, სხვის ბავშვებს უვლიდა და სკოლაშიც ემსახურებოდა სხვებს.
 ჭოუ ფუიუენ-ი რატომ არ დაუბრუნდა ჭოუ-ს ოჯახს?
 ლუ შ'ფინგ-ი ალბათ არ უნდოდა. შვილის გულისათვის მეორედ გათხოვების სურვილი აღარ
 ჰქონდა.
 ჭოუ ფუიუენ-ი ჰმ, კიდეც ორჯერ გათხოვდა
 ლუ შ'ფინგ-ი დიახ, ორივენი მსახურები იყვნენ. არც ერთი არ იყო მისთვის სასურველი... ბატონს
 სურს, რომ დაეხმაროს მას?
 ჭოუ ფუიუენ-ი კარგი, შენ ჯერ ნადი, მომეცი საშუალება მოვიფიქრო.
 ლუ შ'ფინგ-ი ბატონო, აღარაფერია საჭირო? (უყურებს ჭოუ ფუიუენ-ს, კინალამ ცრემლები წასკ-
 და)
 ჭოუ ფუიუენ-ი აა... თუ არ შენუხდებით, უთხარით ს'ფინგ-ს, რომ ქაფურის ხის ყუთიდან ჩემი
 ძველი სანვიმარი ამოიღოს და ბარემ რამდენიმე ძველი პერანგიც ამოარჩიოს.
 ლუ შ'ფინგ-ი ძველი პერანგები?
 ჭოუ ფუიუენ-ი უთხარით, რომ ჩემს ძველ სკივრშია აბრეშუმის პერანგი, უსაყელო.
 ლუ შ'ფინგ-ი ბატონს ასეთი პერანგი ხომ ხუთი ცალი აქვს, რომელი გჭირდებათ?
 ჭოუ ფუიუენ-ი რომელი?
 ლუ შ'ფინგ-ი იქ არის ერთი, რომელსაც მარცხენა ამომწვარ მხარეს აბრეშუმის ძაფით მეი-ს
 ყვავილი ამოუქარგეს. კიდეც გაქვთ ერთი...
 ჭოუ ფუიუენ-ი (გაოცებისგან შეერთა) მეი-ს ყვავილი?
 ლუ შ'ფინგ-ი გვერდზე კიდეც ამოქარგულია ფინგ-ის იეროგლიფი.
 ჭოუ ფუიუენ-ი (ნელ-ნელა დგება) ა.ა..... შენ, შენ ხარ?
 ლუ შ'ფინგ-ი მე, ადრე ბატონს რომ ემსახურებოდა ის მსახური ვარ.
 ჭოუ ფუიუენ-ი ჰმ, შ'ფინგ! (ხმადაბლა) შენ ხარ?
 ლუ შ'ფინგ-ი შენ, უბრალოდ, ვერც იფიქრებდი, რომ შ'ფინგ-ს სახე დაუბერებოდა და შენ ვერც
 კი იცნობდი.
 ჭოუ ფუიუენ-ი (უნებურად) უყურებს ხან კარადაზე მდებარე ფოტოს, ხან გადია ლუ-ს.
 პაუზა (უეცრად, მკაცრად) რისთვის მოხვედი?
 ლუ შ'ფინგ-ი არა, ჩემი სურვილით არ მოვსულვარ.
 ჭოუ ფუიუენ-ი ვინ შთაგაგონა აქ მოსვლა?
 ლუ შ'ფინგ-ი (ჯავრობს) ბედმა, უსამართლო ბედმა მომიყვანა.
 ჭოუ ფუიუენ-ი (ცივად) 30 წლის შემდეგ შენ მაინც აქ მოხვედი.
 ლუ შ'ფინგ-ი (განანწყენებული) მე არ გეძებდი, არ გეძებდი. ვფიქრობდი, უკვე დიდი ხნის მკვდარი
 იქნებოდი. სულ არ ვაპირებდი დღეს აქ მოსვლას. ეს განგებას სურდა, რომ ჩვენ ერთმანეთი გვენახა და
 თანაც შემთხვევით.
 ჭოუ ფუიუენ-ი შეგიძლია დანყნარდე, ახლა მეც და შენც შვილები გვყავს, ისედაც უკვე ხანში
 შევედით, თუ წყენას გრძნობ, არ არის საჭირო ქვითინი.
 ლუ შ'ფინგ-ი ქვითინი? ჰმ, ცრემლები ტირილისგან უკვე დიდი ხანია გამიშრა. მე სიძულვილი
 მამოძრავებს, სინანული, 30 წლის მანძილზე დღენიადაგ გადატანილი ტანჯვა. ალბათ უკვე დაგავინწყდა 30
 წლის წინ რაც ჩაიდინე. ახალი წლის დამდეგს გავაჩინე შენი მეორე ვაჟი, გაჩენიდან მესამე დღეს, იმის გამო.

რომ სასწრაფოდ შეგერთო ის კარგი ოჯახის ქალიშვილი, მაიძულეთ სამი დღის ბავშვით დიდ თოვლში, გავსულიყავი და გავცლოდი ჭოუ-ს სახლ-კარს.

ჭოუ ფუიუნენ-ი რამდენიმე ათეული წლის წინანდელ უსიამოვნო წარსულს რატომ ვიხსენებთ?
 ლუ შ'ფინგ-ი იმიტომ, რომ უფროს ბატონიშვილს ცხოვრების გზა დაეულოცო. ის ახლაც წარმოდგენს საზოგადოების ერთ დიდ პიროვნებას, მაგრამ, მას შემდეგ, რაც ჭოუ-ს სახლიდან გამომაგდეს, მე არ მომკვდარვარ, დედაჩემი კი განცდებისაგან სიკვდილამდე მივიყვანე. თქვენ მაიძულეთ, რომ ჩემი ორი შვილი თქვენს ოჯახში დამეტოვებინა.

ჭოუ ფუიუნენ-ი განა შენი მეორე შვილი უკვე თან არ წაიყვანე?
 ლუ შ'ფინგ-ი თქვენი მოხუცი ქალბატონი ამ ბავშვების ყურებით მალე ფეხებს გაფშეკავს, მხოლოდ ამის შემდეგ დამრთავს მათი წაყვანის ნებას. (თავისთვის ლაპარაკობს) ო, ღმერთო ჩემო, თავი სიზმარში მგონია.

ჭოუ ფუიუნენ-ი ვფიქრობ, უწინდელი ამბების გახსენება აღარ იქნება საჭირო.
 ლუ შ'ფინგ-ი უნდა გავიხსენო. მე 30 წლის სევდას დავატარებ, შენ დაქორწინდი და საცხოვრისი შეიცვალე, მეგონა ველარასდროს ველარ განახავდი. ვინ იცის, იქნებ ჩემი საკუთარი შვილი განგებ მოვიდა ჭოუ-ს სახლში და აკეთებს იმას, რასაც მე ვაკეთებდი.

ჭოუ ფუიუნენ-ი გასაკვირი არ არის, რომ ლუ ს'ფინგ-ი ასე გგავს.
 ლუ შ'ფინგ-ი მე გემსახურებოდი, ახლა ჩემი შვილიც ემსახურება შენს ბატონიშვილებს, ეს ჩემი ხვედრია, ეს ჩემი ხვედრია.

ჭოუ ფუიუნენ-ი დანყნარდი და გული გაიგრილე, რატომ მიგაჩნია, რომ ჩემი გრძნობები ჩაკვდა? დაგავინწყდა, რომ ერთმა კაცმა საშინელი რამ ჩაიდინა? აი, შეხედე, შენი ყველაზე საყვარელი ნივთები ამდენი წლის მანძილზე შევინარჩუნე შენ სამახსოვროდ.
 ლუ შ'ფინგ-ი (თავს ხრის) ჰმ...

ჭოუ ფუიუნენ-ი შენი დაბადების დღე, 18 აპრილი, ყოველ წელს მახსოვს. აქ ყველაფერი კეთდება ისე, როგორც ჭოუ-ს ოჯახისშვილის ღირსეულ მეუღლეს შეეფერება. რაც შეგეხება შენ, ფინგ-ის გაჩენის გამო ავად რომ გახდი და მუდამ ფანჯარას ხურავდი, ეს ყველა ჩვევა შემოვინახე, რომ არ დამეწყებოდი და ჩემი დანაშაული გამექარწყლებინა.
 ლუ შ'ფინგ-ი (ამოიოხრებს) ახლა ჩვენ ორივენი ასაკში შევედით და აღარ არის საჭირო ამ თემებზე საუბარი.

ჭოუ ფუიუნენ-ი მით უკეთესი, მაშ შეგვიძლია ყველაფერი გავუგოთ ერთმანეთს.
 ლუ შ'ფინგ-ი ვფიქრობ, სალაპარაკო აღარაფერი დავგრჩა.

ჭოუ ფუიუნენ-ი სალაპარაკო ძალიან ბევრია. ვხედავ, შენი ხასიათი დიდად არ შეცვლილა. ჩანს, ლუ კუეი არ არის ადვილად მოსახელთებელი ადამიანი.
 ლუ შ'ფინგ-ი ნუ გეშინია, ვერასოდეს გაიგებს.

ჭოუ ფუიუნენ-ი ამ ყველაფერს არა უშავს, კიდევ ერთი რამ მინდა გკითხო. ბავშვი, რომელიც თან წაიყვანე, სად არის?
 ლუ შ'ფინგ-ი ის შენს მალაროში მუშაობს.

ჭოუ ფუიუნენ-ი გეკითხები, ახლა სად არის?
 ლუ შ'ფინგ-ი შემოსასვლელში გელოდება.

ჭოუ ფუიუნენ-ი რა? ლუ ტახაი? ის! ჩემი შვილია?
 ლუ შ'ფინგ-ი მას ფეხზე, შენი მოუფრთხილებლობის გამო ფეხზე ერთი თითი ახლაც აკლია.

ჭოუ ფუიუნენ-ი (კვივად იცინის) ე. ი. ჩემი სისხლი და ხორცი მალაროში გაიფიცა, ჩემს წინააღმდეგ!
 ლუ შ'ფინგ-ი სწორედ ის არის. ახლა ის შენთვის ორი სხვადასხვა ადამიანია.

ჭოუ ფუიუნენ-ი (მშვიდად) ის ხომ მაინც ჩემი შვილია.
 ლუ შ'ფინგ-ი არ გეგონოს, რომ ის ახლა მამად გალიარებს.

ჭოუ ფუიუნენ-ი (უეცრად) კარგი, პირდაპირ მითხარი! რამდენი გჭირდება? ფული?
 ლუ შ'ფინგ-ი რაა?
 ჭოუ ფუიუნენ-ი შენთვის დაიტოვე, სიბერეში გამოგადგება.
 ლუ შ'ფინგ-ი (სიმწრის სიცილით) ჰმ, ისევ მიგაჩნია, რომ მე მოვედი რაიმე განზრახვით, შანტაჟისათვის?

ჭოუ ფუიუნენ-ი კიდევ კარგი. მოდი ამაზე დროებით ნუ ვილაპარაკებთ. მაშ მე ვიტყვი ჩემს აზრს, მომისმინე, ახლა ლუ კუეი უნდა დავითხოვო სამსახურიდან, ლუ ს'ფინგ-იც სახლში უნდა დაბრუნდეს, თუ არა და..

ლუ შ'ფინგ-ი ნუ გეშინია, ფიქრობ რომ ამ ურთიერთობით შანტაჟის მოწყობას ვაპირებ? დანყნარდი, არა, ამას არ ჩავიდენ. ზეგ ს'ფინგ-ს წავიყვან და ჩემს უწინდელ საცხოვრისს დავუბრუნდები. ეს სიზმარია, ამ ადგილსაკენ აღარასოდეს მოვიხედავ.

ჭოუ ფუიუნენ-ი ძალიან კარგი, მაშ გზის ფულსა და სხვა ხარჯებს ჩემს თავზე ვიღებ.

ლუ შ'ფინგ-ი რა?
 ჭოუ ფუიუენ-ი ეს ჩემს გულს ცოტა მაინც დაამშვიდებს.
 ლუ შ'ფინგ-ი შეეენ? (იციინის) 30 წელი სრულიად მარტო გავატარე, ახლა რაღაში მჭირდება შენი ფული.

ჭოუ ფუიუენ-ი კარგი, კარგი, მაშ ახლა რაღა გინდა?
 ლუ შ'ფინგ-ი (შეჩერდა) მე სხვა რამ მინდა.
 ჭოუ ფუიუენ-ი რა? თქვი.
 ლუ შ'ფინგ-ი (თვალები ცრემლით ევსება) მე... მხოლოდ ჩემი შვილის, ფინგ-ის ნახვა მინდა.
 ჭოუ ფუიუენ-ი მისი ნახვა გსურს?
 ლუ შ'ფინგ-ი დიახ, სად არის?
 ჭოუ ფუიუენ-ი ის ახლა ზევითაა დედამისთან, ექიმს ახლავს. დავუძახებ. შეიძლება ჩამოვიდეს შენს სანახავად. მაგრამ (ჩერდება)
 ლუ შ'ფინგ-ი მაგრამ, რა?
 ჭოუ ფუიუენ-ი ის ძალიან გაიზარდა.
 ლუ შ'ფინგ-ი (იხსენებს) ის, ალბათ, უკვე 28 წლისაა? მე მახსოვს, რომ ტახაი-ზე ერთი წლითაა უფროსი.

ჭოუ ფუიუენ-ი (ყოვნდება) ამასთანავე იცის, რომ დედამისი უკვე დიდი ხანია დაიღუპა.
 ლუ შ'ფინგ-ი ჰმ, შენ რას ფიქრობ, ტირილ-ტირილით ვთხოვო, რომ დედა დამიძახოს? ასეთი სულელი არ ვარ. ნუთუ გგონია, არ ვიცი, რომ ასეთმა დედამ შვილი არ უნდა შეარცხვინოს? ვიცი, მისი ადგილი ცხოვრებაში, მისი განათლება. ძნელია აღიარო ასეთი დედა. ამ წლების მანძილზე მეც ვისწავლე რაღაც. მხოლოდ მისი ნახვა მსურს. ბოლოს და ბოლოს ჩემი შვილია. ნუ შეგეშინდება, რისთვის დავუმატო ნაღველი, თვითონაც არ მოისურვებს დედად მალიაროს.

ჭოუ ფუიუენ-ი მაშ ასე გადავწყვიტოთ, მე დავუძახებ ჩამოვიდეს. ნახვის შემდეგ ლუ-ს ოჯახმა სამუდამოდ უნდა დატოვოს ჭოუ-ს ოჯახი.
 ლუ შ'ფინგ-ი კეთილი, იმედი მაქვს სიცოცხლეში ველარასოდეს გნახავ.
 ჭოუ ფუიუენ-ი (ჩეკს იღებს და აწერს ხელს) ეს 5 000 იუენ-ის ჩეკია. შეგიძლია აიღო, ჩაითვალოს, რომ ჩემი დანაშაული ცოტა მაინც შევიმსუბუქე.

ლუ შ'ფინგ-ი (იღებს ჩეკს) გმადლობთ, (ნელა ხევის)
 ჭოუ ფუიუენ-ი შ'ფინგ!
 ლუ შ'ფინგ-ი ამდენი წლის დარდს ფულით ვერ შეამსუბუქებ.
 ჭოუ ფუიუენ-ი მაგრამ, შენ...
 (გარედან ისმის ჩხუბის, ტახაი-ს ხმა, ხელი გამიშვით, უნდა შევიდე, სამი-ოთხი მსახურის ხმა. არ შეიძლება, არ შეიძლება. ბატონს სძინავს).

ჭოუ ფუიუენ-ი (მიდის შუა კართან) შემოდით.
 (მსახურები შუა კარიდან შემოდებიან) ვინ ხმაურობს?
 მსახური მუშა ტახაი, დაჟინებით მოითხოვს თქვენ ნახვას.
 ჭოუ ფუიუენ-ი ჰმ, (უცნაური ხმა აღმოხდა) მაშ დაუძახე, შემოვიდეს, დაიცა, ვინმე ზევით ავიდეს და უფროს ბატონიშვილს სთხოვოს ჩამოვიდეს. რაღაც უნდა ვკითხო.

მსახური დიახ, ბატონო. (მსახური შუა კარიდან გადის)
 ჭოუ ფუიუენ-ი (გადია ლუ-ს) შ'ფინგ, ნუ ჯიუტობ, აილე ფული, თორემ მერე ინანებ. (გადია ლუ უყურებს ჭოუ ფუიუენ-ს და კრინტს არ ძრავს. მსახურები მოათრევენ ტახაი-ს, ტახაი მარცხნივ დგას, სამი-ოთხი მსახური გვერდით)
 ლუ ტახაი (დაინახავს გადია ლუ-ს) დედა, შენ ისევ აქ ხარ?
 ჭოუ ფუიუენ-ი (ახედ-დახედა ტახაი-ს) შენ რა გქვია?
 ლუ ტახაი თავი ნუ მოგაქვს, ვითომ არ იცი ვინცა ვარ.
 ჭოუ ფუიუენ-ი მხოლოდ ის ვიცი, რომ გაფიცული და ყველაზე გააფთრებული მუშა ხარ.
 ლუ ტახაი ზუსტად ასეა, არ ცდებით, ამიტომაც მონინებით გეახლეთ.
 ჭოუ ფუიუენ-ი რა საქმე გაქვს?
 ლუ ტახაი მეპაიეების დირექტორმა ზუსტად იცის რისთვისაც მოვედი.
 ჭოუ ფუიუენ-ი (თავი გაიქნია) არ ვიცი.
 ლუ ტახაი ჩვენ ყველანი მალაროდან მოვედივართ. დღეს დილის 6 საათიდან შემოსასვლელში ვიცდით, მსურს მეპაიეების თავმჯდომარეს ვკითხო, გადაწყდება თუ არა ჩვენი სამუშაო პირობების საკითხი.

ჭოუ ფუიუენ-ი აა, ის სამი წარმომადგენელი სადღაა?
 ლუ ტახაი ისინი სწორედ ახლა შეუერთდნენ პროფკავშირს.
 ჭოუ ფუიუენ-ი აა. არ უთქვამთ იქაური ამბები.
 ლუ ტახაი უთქვამთ თუ არა, ეს თქვენ არ გეხებათ. ხან დათმობებზე მოდიხართ, ხან გვნიხ-

ლავთ, თქვენი აზრი ცვალებადობს, ბოლოს და ბოლოს, რა იქნება?

(სასტუმრო ოთახში შემოდის ჭოუ ფინგ-ი, ხედავს რა ამბავია, უკან გაბრუნება სურს)

ჭოუ ფუიუნენ-ი (უყურებს ჭოუ ფინგ-ს) არ ნახვიდე, შვილო, ფინგ! (გადახედა გადია ლუ-ს, გადია ლუ ხედება, რომ ეს მისი შვილია და ცრემლიანი თვალებით უყურებს).

ჭოუ ფინგ-ი დიახ, მამა.

ჭოუ ფუიუნენ-ი (თითით უჩვენებს ფინგ-ს) შენ აქ იდექი. (ტახაი-ს) გეტყობა, შენ ისეთ ხასიათზე ხარ, მოლაპარაკება არ შეგიძლია.

ლუ ტახაი ჰმ! თქვენი ხრიკები კარგად მომეხსენება, ყველაფერს აჯანჯლებთ, აჭიანურებთ, გინდათ მოისყიდოთ სამარცხვინო უმცირესობა, რასაც ვერ მოახერხებთ, არც კი გრცხვენიათ და დროებით აქ მოგვრეკეთ.

ჭოუ ფუიუნენ-ი ვერ ვიტყვი, რომ შენი აზრები ალოგიკურია.

ლუ ტახაი მაგრამ სრულიად სცდებით, ამჯერად გაფიცვა ერთიანი და ორგანიზებულია. ჩვენი წარმომადგენლები რამის სათხოვნად არ მოვსულვართ, ნების დართვასაც არ ვსაჭიროებთ, ორი თვის განმავლობაში მუდმივი გაფიცვა თქვენს წინაშე დარჩება და ახლაც ვაპირებთ მიიყვანს.

ჭოუ ფუიუნენ-ი გგონია, რომ თქვენი ყველა წარმომადგენელი, წინამძღოლი სანდოა?

ლუ ტახაი ბოლოს და ბოლოს, ფულის მოყვარულთა ხროვაზე ბევრად საიმედო, ვიდრე, თქვენ, ვინც მხოლოდ უცხოურ ფულს აღიარებთ.

ჭოუ ფუიუნენ-ი მამ რაღაცას მოგცემ და გაეცანი (მაგიდიდან იღებს ტელეგრამას და მსახურის ხელით გადასცემს. ამ დროს ჭოუ ჩუნგ-ი ჩუმად შემოდის კაბინეტიდან და შორიხლოდან უსმენს) ეს მალ-როდნ გუშინ მოსული ტელეგრამაა.

ლუ ტახაი (იღებს, კითხულობს) რა? სამუშაოზე გავიდნენ? (დებს ტელეგრამას) ეს შეუძლებელია!

ჭოუ ფუიუნენ-ი გუშინდლიდან მალაროს მუშებმა განაახლეს მუშაობა, ისე, შენ, როგორც წარმომადგენელს, უნდა გცოდნოდა.

ლუ ტახაი (ბრაზდება) როგორ, მალაროში მილიციამ იარაღით 30 მუშა ტყუილად ჩახოცა? (სიცილს იწყებს) ჰმ! ეს ტყუილია, ეს ყალბი ტელეგრამა თქვენი მოტანილია, რათა ნაგვანაშობით, ეს თქვენი მორიგი, მდაბიური, ხულიგური ხრიკია.

ჭოუ ფინგ-ი (ველარ ითმენს) ვინა ხარ? როგორ ბედავ აქ ამ სისულელეების თქმას?!

ჭოუ ფუიუნენ-ი შენი საქმე არ არის! (მიმართავს ტახაი-ს) ასე გჯერა შენთან ერთად მოსული იმ რამდენიმე თანამშრომელისა?

ლუ ტახაი არ არის საჭირო ბევრი ლაპარაკი, ვხვდები შენს ჩანაფიქრს.

ჭოუ ფუიუნენ-ი კარგი, მამ იმ მუშების ხელშეკრულებას გაჩვენებ.

ლუ ტახაი (სიცილით) ბავშვები ხომ არა ვართ, რომ გვატყუებთ. მუშების ხელშეკრულებას ჩვენი ხელმოწერები არა აქვს და ამიტომ უმოქმედოა.

ჭოუ ფუიუნენ-ი ა! (მსახურს) ხელშეკრულება! (მსახური კაბინეტში შედის, მოაქვს ხელშეკრულება და აძლევს) შეხედე, ეს ხომ სამი ადამიანის ხელმოწერაა.

ლუ ტახაი (დახედავს ხელშეკრულებას) რა? (ნელ-ნელა) მათ ხელი მოაწერეს (აძლევს ხელშეკრულებას, ართმევს, სურს ყურადღებით ნაიკითხოს) როგორ არ მითხრეს? თვითონ მოაწერეს? როგორ არ დამიჯერეს?!

ჭოუ ფუიუნენ-ი ასეა, სულელო ბიჭო, როცა გამოცდილება არ გაქვს, სისულელეების როშვა არ ღირს.

ლუ ტახაი ის სამი წარმომადგენელი სადღაა?

ჭოუ ფუიუნენ-ი გუშინ საღამოს მანქანით გაემგზავრა.

ლუ ტახაი (თითქოს სიზმრიდან გამოფხიზლებული) იმ სამმა მომატყუა, არ ჰქონდათ საქმე სახუმაროდ. უბრალოდ აიღეს და გაყიდეს მეშახტეები. ჰმ, თქვე უსირცხვილო მეპაიეების თავმჯდომარეებო, ამჯერადაც თქვენმა ფულმა საქმე გააკეთა.

ჭოუ ფინგ-ი (განრისხებული) შე გაიძვერავ!

ჭოუ ფუიუნენ-ი გიკრძალავ ლაპარაკს (ისევ ტახაი-ს) ლუ ტახაი, ახლა უკვე აღარ გაქვს ჩემთან ლაპარაკის უფლება, მალაროდან უკვე გათავისუფლებული ხარ.

ლუ ტახაი გათავისუფლებული?

ჭოუ ჩუნგ-ი მამა, ეს უსამართლობაა.

ჭოუ ფუიუნენ-ი (ჭოუ ჩუნგ-ს) ჯობს შეწყვიტო ლაპარაკი და გახვიდე! (შეურაცხყოფილი ჭოუ ჩუნგ-ი გადის შუა კარიდან).

ლუ ტახაი კარგი, კარგი (კბილებს აჭერს) ადრეც მივუხვდი შენს ოინებს, მხოლოდ ფულის კეთება შეგიძლია, შეგიძლია უბრძანო მილიციას მოკლას მუშები, და კიდევ...

ჭოუ ფუიუნენ-ი სისულელეებს ნუ როშავ!

ლუ შ'ფინგ-ი (ტახაი-ს წინ მიდის) ნავედით, ნულარ ლაპარაკობ.
 ლუ ტახაი ჰმ, ვიცი, ვინც არის ეს კაცი. ხარპინ-ში ხიდები განზრახ ისე ააშენა, რომ მდინარის
 ჯებრები სახიფათო ყოფილიყო...
 ჭოუ ფუიუენ-ი (ხმას იმაღლებს, მკვახედ) გაეთრე!
 მსახურები (ტახაი მიჰყავთ) ნადი, ნადი!
 ლუ ტახაი ჩგანგებ დაახრჩე ორიათას ორასი ხელქვეითი და თითოეული მუშისაგან 300 იუენ-
 ი გამოქვითე. ეს ისეთი სიმდიდრეა, რომელსაც ღმერთი არ შეგარგებს. დაე, ჭოუ-ს საგვარეულოს სინსილა
 განყდეს! კიდევ...
 ჭოუ ფინგ-ი (თავს ესხმის ტახაი-ს და სახეში მუშტებს უშენს) შე შობელძაღლო! (ტახაი-მ ხელი
 შეუბრუნა, მსახურებმა შეაჩერეს, გაათრეეს) დაარტყით!
 ლუ ტახაი (ჭოუ ფინგ-ს) შენ!
 (მსახურები სცემენ ტახაი-ს, სისხლი სდის)
 ჭოუ ფუიუენ-ი (მკაცრად, გაბრაზებული) ნუ სცემთ მაგ კაცს!
 (მსახურები შეჩერდნენ და ტახაი სასწრაფოდ გაათრეეს)
 ტახაი (თავის დაღწევას ცდილობს) გამიშვით, ავაზაკების ხროვა ხართ!
 ჭოუ ფინგ-ი
 (მსახურებს უბრძანებს) გაათრეეთ! დაარტყით!
 ლუ ტახაი (ფინგ-ს ხმამაღლა) შენ, შენ! (ცდილობს გააგრძელოს ლანძღვა, მსახურები ერთად
 ურტყავენ ტახაი-ს, ტახაი-ს თავიდან სისხლი ჩამოსდის)
 ლუ შ'ფინგ-ი (მოთქმით ტირის, ყვირის, იცავს ტახაი-ს)
 ლუ ტახაი გამიშვით ხელი! ნამდვილი ავაზაკების ხროვაა!
 ლუ შ'ფინგ-ი ავაზაკების ხროვა ხართ! (უახლოვდება ფინგ-ს ქვითინით) შენ ფინგ-ი ხარ არა, რა
 უფლებით, რა უფლებით სცემ ჩემს შვილს.
 ჭოუ ფინგ-ი შენ ვილა ხარ?
 ლუ შ'ფინგ-ი მე, მე შენი... ადამიანს, რომელსაც სცემთ, მე მისი დედა ვარ.
 ლუ ტახაი დედა, ნუ აქცევ ამ ნაგავს ყურადღებას, ფრთხილად, მათ ანკესზე არ წამოეგო.
 ლუ შ'ფინგ-ი (მიაშტერდება ჭოუ ფინგ-ის სახეს, იწყებს ტირილს) ტახაი, ნავედით, ნავედით!
 (ტახაი-ს დაჭრილ თავზე ხელი უჭირავს და ხმამაღლა ტირის)
 (ტახაი-ს მსახურები აწვებიან, გადია ლუ მათ მიჰყვება. სცენაზე მხოლოდ ჭოუ ფუიუენ-ი და ჭოუ
 ფინგ-ია)
 ჭოუ ფინგ-ი (უხერხულად გრძნობს თავს) მამა!
 ჭოუ ფუიუენ-ი ძალიან უხეში ხარ.
 ჭოუ ფინგ-ი ამ კაცმა არ უნდა დაამციროს მამაჩემის სახელი.
 (პაუზა)
 ჭოუ ფუიუენ-ი ექიმმა თუ მოინახულა დედაშენი?
 ჭოუ ფინგ-ი გასინჯა, არაფერი. ჰმ, (ხვნეშით, უცბად) მოდით აქ!
 (მსახური შუა კარიდან შემოდის)
 ჭოუ ფუიუენ-ი ქალბატონს უთხარით, რომ ლუ კუეი-სა და ს'Fენგ-ს ხელფასის ანგარიში გაუს-
 ნორონ, უკვე დავითხოვე.
 მსახური დიას ბატონო.
 ჭოუ ფინგ-ი როგორ? ამ ორმა რაღა დააშავა?
 ჭოუ ფუიუენ-ი შენ არ იცი, ეს მუშა აქ რომ იყო, მისი გვარიც ლუ-ა, არ იცოდი. რომ ლუ ს'Fენგ-ი
 ს უფროსი ძმავა?
 ჭოუ ფინგ-ი (ღელავს) აა, ეს ლუ ს'Fენგ-ი ს უფროსი ძმა იყო? მაგრამ...
 ჭოუ ფუიუენ-ი (მსახურს მიმართავს) ქალბატონს გადაეცით, რომ ბულატერმა ლუ კუეი-სა და
 ს'Fენგ-ს ორი თვის ხელფასი დაუანგარიშოს. დღესვე წავიდნენ. ნადი.
 (მსახური სასტუმრო ოთახიდან გადის)
 ჭოუ ფინგ-ი მამა, ლუ კუეი და ლუ ს'Fენგ-ი ძალიან კარგები და ერთგულები არიან.
 ჭოუ ფუიუენ-ი (მოქნარებით) ძალიან დავიღალე, კაბინეტში შევალ, ცოტას დავისვენებ, უთხარი,
 ერთი მაგარი ფურ-ის ჩაი შემომიტანონ.
 ჭოუ ფინგ-ი კეთილი, მამა.
 ჭოუ ფუიუენ-ი (კაბინეტში შედის)
 ჭოუ ფინგ-ი (ამოიოხრებს) ოხ! (აღელვებული შუა კარიდან გადის, ამ დროს ჭოუ ჩუნგ-ი შუა
 კარიდან შემოდის)
 ჭოუ ჩუნგ-ი (აღელვებული) ძმაო, ლუ ს'Fენგ-ი სად არის?
 ჭოუ ფინგ-ი არ ვიცი.

ჭოუ ჩუნგ-ი მამამ გააგდო ლუ ს'ენგ-ი ?
 ჭოუ ფინგ-ი ხო, და ლუ კუეი-ც.
 ჭოუ ჩუნგ-ი ვთქვათ მისმა ძმამ დაუშავა მამაჩვენს რამე, ჩვენ ხომ უკვე ვცემეთ, ამ გოგონას
 ნყენინება რალა საჭირო იყო?
 ჭოუ ფინგ-ი მამას ჰკითხე...
 ჭოუ ჩუნგ-ი უზნეობაა.
 ჭოუ ფინგ-ი გეთანხმებით.
 ჭოუ ჩუნგ-ი მამა სად არის?
 ჭოუ ფინგ-ი კაბინეტში.

(ჭოუ ჩუნგ-ი შედის კაბინეტში, ჭოუ ფინგ-ი ოთახში ბოლთასა სცემს, ლუ ს'ენგ-ი ცრემლების მშრალეებით შუა კარიდან შემოდის)

ჭოუ ფინგ-ი (სწრაფად მიდის ს'ენგ-თან) ს'ენგ! მაპატიე, ნამდვილად არ ვიცნობდი (ს'ენგ-მა
 ხელი ჩაიქნია. ხმას ვერ იღებს) მაგრამ შენი ძმაც არ უნდა მოქცეულიყო ასე.
 ლუ ს'ენგ-ი საჭირო არ არის ამაზე ლაპარაკი (მიდის სასადილოსაკენ)
 ჭოუ ფინგ-ი რატომ მიდიხარ?
 ლუ ს'ენგ-ი ჩემი ნივთები უნდა ჩავალაგო, ხვალ შენ მიდიხარ, ვშიშობ ველარ გნახავ.
 ჭოუ ფინგ-ი არა, შენ არ უნდა ნახვიდე (წინ გადაელობა)
 ლუ ს'ენგ-ი არა, გამიშვი, შენ არ იცი, ჩვენ უკვე დაგვითხოვეს.
 ჭოუ ფინგ-ი (ჭირვეულობს) ს'ენგ, მე ხომ არ მადანამაულებ?
 ლუ ს'ენგ-ი ვიცი, ადრე თუ გვიან დადგებოდა ეს დღე, მაგრამ დღეს არავითარ შემთხვევაში არ
 უნდა მოხვიდე ჩემთან.
 ჭოუ ფინგ-ი მაგრამ შემდეგ?
 ლუ ს'ენგ-ი მაგაზე მერე ვილაპარაკოთ.
 ჭოუ ფინგ-ი არა, ს'ენგ, უნდა გნახო, დღეს სალამოს აუცილებლად უნდა გნახო, ბევრი რამ
 მაქვს სათქმელი. ს'ენგ, შენ...
 ლუ ს'ენგ-ი რაც არ უნდა მოხდეს, მაინც არ უნდა მოხვიდე.
 ჭოუ ფინგ-ი მაშ ჩემი ნახვისათვის სხვა რამ მოიფიქრე
 ლუ ს'ენგ-ი არ არის სხვა გამოსავალი, ვერ ხვდები რა მდგომარეობაა?
 ჭოუ ფინგ-ი და თუ ასეა, მე აუცილებლად უნდა მოვიდე.
 ლუ ს'ენგ-ი არა, არა, უხამსად ნუ იქცევი, არავითარ შემთხვევაში.
 (ჭოუ ფანი სასადილო ოთახიდან შემოდის)

ლუ ს'ენგ-ი ო, ქალბატონო
 ჭოუ ფანი თქვენ აქ ხართ? (ს'ენგ-ს მიმართავს) დამიცადე ცოტა ხანს. მამაშენი ელექტრიკოსს
 დაუძახებს და ახლავე მოვა. შენი ნივთები შეიძლება მამაშენს მივცე, წაიღოს, ან ვინმეს გამოვატანო. სად
 ცხოვრობთ?

ლუ ს'ენგ-ი ატმის ყვავილების ჩიხის 10 ნომერში.
 ჭოუ ფანი ნუ ნაღვლობ, შეგიძლია ხშირად მოხვიდე ჩემთან. მსახურებს კი ვეტყვი, ნივთები
 ატმის ყვავილების ჩიხის 10 ნომერში მოგიტანონ.
 ლუ ს'ენგ-ი დიახ, ქალბატონო.
 (გადია ლუ-ს ხმა, ს'ენგ! ს'ენგ!)
 დედა, აქ ვარ (დედა შუა კარიდან შემოდის)
 ლუ შ'ფინგ-ი ს'ენგ, მოამზადე შენი ნივთები, უნდა ნავიდეთ, მალე წვიმა წამოვა, ქარი თან-
 დათან ძლიერდება, ქუხს!
 ლუ ს'ენგ-ი დიახ, დედა.
 ლუ შ'ფინგ-ი (ჭოუ ფანი-ს მიმართავს) ქალბატონო, წავედით, ს'ენგ, ქალბატონს მადლობა
 მოახსენე.
 ლუ ს'ენგ-ი (ფანი-ს მოკრძალებულად) ქალბატონო, გმადლობთ (ცრემლით სავსე თვალებით ჭოუ ფინგ-ს უყურებს,
 ფინგ-ი თავს შეატრიალებს)
 (გადია ლუ და ლუ ს'ენგ-ი შუა კარიდან გადიან. ქარი და ჭექა-ქუხილი უფრო მეტად ძლიერდება)
 ჭოუ ფანი ფინგ, ახლა ს'ენგ-ს რაზე ელაპარაკებოდი?
 ჭოუ ფინგ-ი უფლება არ გაქვს მკითხო.
 ჭოუ ფანი ნუ ფიქრობ, რომ ის გაიგებს.

ჭოუ ფინგ-ი კერძოდ, რას გულისხმობ?

ჭოუ ანი

ნულარ მატყუებ, გეკითხები, რა უთხარი, სად აპირებ წასვლას?

ჭოუ ფინგ-ი შენი შეკითხვა არ არის საჭირო, გთხოვ, ცოტა პატივი ეცი საკუთარ თავს.

ჭოუ ანი

ამბობ, დღეს საღამოს წასასვლელად ემზადები, სად მიდიხარ?

ჭოუ ფინგ-ი მე... (უეცრად) მასთან მივდივარ, როგორ მოგწონს?

ჭოუ ანი

(მუქარით) იცი ის ვინ არის და შენ ვინ ხარ?

ჭოუ ფინგ-ი არ ვიცი, მხოლოდ ის ვიცი, რომ ნამდვილად მომწონს და მასაც მოვწონვარ. ჩაივლის ეს დღეები და ვიცი კარგად გაიგებ. თუ გსურს, რომ ყველაფერს ფარდა აეხადოს, რა თქმა უნდა, არ დაგიმალავ.

ჭოუ Fანი შენ, ასეთი საუკეთესო განათლების პატრონმა, ასეთ მდაბიო გოგოსთან, ასეთ მსახურთან?

ჭოუ ფინგ-ი (აფეთქდა) სისულელეს ამბობ, არ გაქვს უფლება თქვა, რომ მსახურია, ის არ გგავს შენ, ის...

ჭოუ Fანი (ცივად იცინის) ფრთხილად, ფრთხილად! იმედგაცრუებული ქალის მოთმინების ფიალას ნუ აავსებ, თორემ არაფერზე უკან არ დაიხვეს.

ჭოუ ფინგ-ი უკვე ყველაფერი გადავწყვიტე.

ჭოუ Fანი კარგი, ნადი, ფრთხილად, ახლა საცაა (ფანჯრიდან იყურება, თავისთვის იძახის) ქარიშხალი ამოვარდება.

ჭოუ ფინგ-ი (თითქოს რაღაც გაუნათდა თავში) ვიცი.

(ჭოუ ფუიუენ-ი კაბინეტიდან შემოდის)

ჭოუ ფუიუენ-ი აქ რას ლაპარაკობ?

ჭოუ ფინგ-ი ახლახან მომხდარ ამბებზე ველაპარაკებოდი დედას.

ჭოუ ფუიუენ-ი ისინი ნავიდნენ?

ჭოუ Fანი ნავიდნენ.

ჭოუ ფუიუენ-ი Fანი, ჩუნგ-იკო ლამის ავატირე. დაუძახე, გამოვიდეს, დაანყნარე.

ჭოუ Fანი (მიდის კაბინეტის კართან) ჩუნგ-იკო, ჩუნგ-იკო! (ვერ იგებს მის პასუხს და შედის).

(გარეთ ძლიერი ქარიშხალი და ჭექა-ქუხილია)

ჭოუ ფუიუენ-ი (მიდის ფანჯარასთან, ქარის ხმაური უჩვეულოდ ძლიერდება, ესმის ყვავილის ქოთნის გადმოვარდნის ხმა) უთხარი მსახურებს, რომ სასწრაფოდ დახურონ დარაბები, ალბათ ქარიშხალი იქნება.

ჭოუ ფინგ-ი დიახ, მამა (შუა კარიდან გადის).

(ჭოუ ფუიუენი დგას ფანჯრის წინ და უყურებს ელვისგან განათებულ ცას)

(ფარდა ეშვება) || მოქმედების დასასრული.

III მოქმედება

სინხუა-ს (ატმის ყვავილის) ჩიხი №10, ლუ კუეი-ს სახლთან.

ლუ-ს სახლის აღწერილობა:

ვაგზლის საათმა ათჯერ ჩამოჰკრა. სინხუა-ს შესახვევის მაცხოვრებელნი, დიდ-პატარიანდ გამოშლილ-ან სასეირნოდ აყროლებული წყალსატევის სანაპიროზე. იქნებ უცხო სახელმწიფოების კონცესიის კვარტალებიდან მონაბერ ლამის ქარს დღის სიციხე და სიბინძურის სუნი გაეფანტა. მართალია, თავსხმამ ეს-ესაა აქაურობას გადაუარა, მაგრამ ზაფხულის აუტანელ სიციხეს არაფერი შეეცყო. ცა დაიფარა ავბედითი, შავი ღრუბლებით. ხალხი კი როგორც ბალახი, თაკარა მზის ქვეშ ნამს მოწყურებულნი, წვიმაზე ოცნებობენ. კიდევ ერთხელ უმნიშვნელოდ მაინც რომ შეუმსუბუქონ აუტანელი სიციხის ზემოქმედება. ამ ხალხისაგან განსხვავებით, წყალსატევეს შეფარებული ბაყაყები ხმამაღლა, მთელი ძალით ყიყინებენ. უვარსკვლავო ცა თავს დამტყდარი ჭექა-ქუხილით დროდადრო თვალისმომჭრელი ელვის შუქით ნათდება და მაშინვე ლამის წყვდიადში იძირება.

გაგრილებული ხალხი თანდათან იფანტება. სიჩუმე ისადგურებს და ღონემიხდილი ჭექა-ქუხილის ხმაც შორდება. ბაყაყებიც, თითქოს შეშინებულნი, აღარ ყიყინებენ, სამაგიეროდ ქარმა წამოუბერა და ტირიფის ფოთლების შრიალიც „შრ“, „შრ“ ... გაისმა. შესახვევის ბოლოში ძალით მოწყენილად ყევს.

სამინელი ლურჯი ელვა გადაუვლის ცას და ჭექა-ქუხილიც ძლიერდება, რის შემდეგაც ისადგურებს უჩვეულო მდუმარება. ზოგჯერ გაისმის ბაყაყისა და უფრო ძლიერი სარაკუნას ხმა. ეს ლამის გუშაგები მოსახლეობას დროს ამცნობენ. უსახლკარო ძაღლების ყეფა მიიღევა მოსალოდნელი თავსხმის გამო.

ეს უკანასკნელი გაელვებაა ფარდის დაშვებამდე.

ის, რაზეც გესაუბრეთ, შეიძლება ვუთვალთვალოთ ხის ფანჯრიდან

ლუ ს'ენგ-ი ს ოთახუკა, რომელიც მოთავსებულია სიღრმეში, ლუ კუეი-ს ორ დანარჩენ ოთახს შორის. ლუ-ს ოჯახმა ივანშმა. თითოეული მათგანი სულიერად აბობოქრებულია. ერთ კუთხეში ლუ კუეი მარტოა, რაღაცას წმენდს. დედა და ქალიშვილი კრინტს არ ძრავენ, დუმან. გადია ლუ გაჩუმებული, თავდახრილი, მაგიდიდან ალაგებს ჭურჭელს, ჭიქებს.

სავარძელში მოკალათებული შემთვრალი ლუ კუეი, მაიმუნის მსგავსი წითელი თვალებით აკვირდება ცოლის მოქმედებას. ნოყიერი ვახშმისა და ღვინისგან ხვნეშის. შიშველ ფეხებს ხან ახლო მდგარ სკამზე შემოაწყობს, ხან კი იატაკზე დაუშვებს, გაჩაჩხავს და იეროგლიფი „კაცის“ ფორმას დაამსგავსებს. (განმარტება: ადამიანის, კაცის აღმნიშვნელი იეროგლიფის ფორმა ასეთია – „人“). ტანთ აცვია თეთრი პერანგი, ოფლით სანახევროდ დასველებული და სხეულზე მიწებებული. ველური ბანანის ფოთლებისაგან დამზადებული მარათი გაუნწყვეტლად იწივებს.

ლუ ს'ენგ-ი დგას მაყურებლისაკენ ზურგით, შუა ფანჯარასთან და მოუსვენრად იყურება ფანჯარაში, ხედავს ჩრდილის მადებარ, მონყენილსა და მოსაუბრე ხალხს.

მის ყურამდე აღწევს ბაყაყების ყიყინი. ის ხან უკან მიბრუნდება და ლუ კუეი-ს აკვირდება, ხან კი ისევ ფანჯარაში იყურება და ყოველ ფაჩუნს აყურადებს. მის გვერდით დაფებითა და ხარისხებით სანოლია გამართული, ზედ გადაფარებული ჭილობითა და თეთრი ქათქათა, დაკეცილი საბნით. იქვეა მრგვალი მარათი და ერთი ბალიში.

ოთახუკა ძალიან პატარაა, როგორც ღარიბების ოჯახებში, ჭერი კი თითქოს გჭყლეთავს, გთრგუნავს. სანოლის თავთან კედელზე ჰკიდია სიგარეტის ფირმის პლაკატი, კედელზე მარცხნივ და მარჯვნივ საახალწლო ნახატებია (განმარტება: ასეთ ნახატებს აკრავენ ან ჰკიდებენ ძველ ახალ წელს, რომელსაც ახლა გაზაფხულის დღესასწაულს უწოდებენ). სურათები ბევრ ადგილას გახეულია, დაძველებული. ერთადერთი სავარძლის გვერდით, რომელზეც ზის ლუ კუეი, დგას პატარა კვადრატული ფორმის მაგიდა. მის თავზე სარკეა სავარცხლითა და ქალისათვის აუცილებელი ყველა ნივთით. როგორც ჩანს, ეს ლუ ს'ენგ-ის მოსაწესრიგებელი კუთხეა. მარცხნივ გრძელი სკამია. ოთახის შუაგულში, მრგვალ მაგიდასთან, ცალკე დგას მრგვალი ფორმის სკამი. მარჯვნივ, ლუ ს'ენგ-ის სანოლის ქვეშ აკურატულადაა დალაგებული ლუ ს'ენგ-ის ორი თუ სამი წყვილი მოდური ფეხსაცმელი. ფეხსაცმლის გვერდზე თეთრქსოვილგადაფარებული ჩემოდანია, ზედ უხეში სამი მოჭიქული ფინჯნითა და ჩაიდნით. მრგვალ მაგიდაზე ნავთის ლამფაა წითელი ქალაღის ლამაზი შუქფარით, კიდევ რამდენიმე წვრილმანი ნივთი, რომელიც ცუდი განათების გამო ძნელი გასარჩევია. ერთის თქმა კი შეიძლება: ეს ქალის საცხოვრებელი ოთახია.

ამ ოთახს აქვს ორი კარი, მარცხნივ – სადაც ხის სანოლია, – ერთი პატარა კარია, წითელი ფარდით დაფარული. გარედან, მარცხენა კართან, საკუჭნაოა, ნახშირის შესანახად, იქვეა ძველი ავეჯის ერთი-ორი ნივთი. ამ საკუჭნაოს ლუ ს'ენგ-ი იყენებდა ტანისამოსის გადასაცმელად. მარჯვნივაა ძველი, უვარგისი ხის კარი, საიდანაც შესასვლელია ლუ-ს ოჯახის ერთ-ერთ ოთახში. ხოლო ლუ კუეი-ს გარე ოთახი ის ოთახია, სადაც დღეს ლამეს გაატარებს ცოლ-ქმარი ლუ. ამ ოთახიდან კარი გადის ბინძურ წყალსატევიან პატარა ჩიხში, რის გამოც ეს უკანასკნელი მუდმივად ნესტიანია. ოთახებს შორის, ხის კარებთან, დგას დაფები სათადარიგო სანოლისათვის

(როდესაც ფარდა აიხდება, ლუ კუეი ოფლში ცურავს. ეს-ესაა დაასრულა თავისი ჯალაბობის ლანძღვა-გინება. ოთახში ატმოსფერო დაძაბულია. სიჩუმე სუფევს. წყალსატევის მხრიდან ისმის სიმღერა და სიგრილის ძებნაში ადამიანების ჩუმი საუბრები. სამივე დუმს. თითოეულის სულში რაღაც ბობოქრობს. მთვრალი, გაოფლილი, ყაყაჩოსფრად აღენილი ლუ კუეი დორბლებსა ყრის, კმაყოფილი, ოჯახში თავკაცობითა და მუქარის უფლებით, მარათს ქნევით რაღაცას მიანიშნებს, სველი კისრიდან ნაგრძელებული თავით, ამღვრეული თვალებით წამდაუნუნ მთვალეირებს ყველასა და ყველაფერს.

(ტახაი წმენდს პისტოლეტს. დადუმებული ორივე ქალი ლუ კუეი-ს ხელახალი ლანძღვა-გინების მოლოდინშია. ამ დროს ოთახში შემოვარდება ვაჭრების ყვირილი და ბაყაყების ყიყინი.

(ლუ ს'ენგ-ი დგას ფანჯარასთან, დროდადრო ოხრავს).

ლუ კუეი (ხველებით) შენი დედა! (იატაკზე იფურთხება და აღგზნებული კითხულობს) იმას თუ ფიქრობთ, რომელიმე თქვენთაგანი ჩემს წინაშე დავალებული რომ ხართ? (ს'ენგ-სა და ტახაი-ს) არ არის საჭირო უნდომლად მოსმენა. რომელი თქვენგანი მოხვედით აქამდე, ჩემი ჯაფისა და ოფლისღვრის გარეშე, ახლა კი აკეთებთ რამეს, მაღლიერების გამოსახატად? (მარცხნივ, ტახაი-ს) სთქვი, (უცბად, მარჯვნივ ს'ენგ-ს) მითხარი, (ცოლს, ლუ შ'ფინგ-ს, გამარჯვებით აშკარად კმაყოფილი), აბა, შენცა თქვი! ესენი ხომ შენი მშვენიერი შვილიკოები არიან! (ფუ, ისევ იფურთხება).

(სიჩუმე. ისმის მხოლოდ ჩინური ვიოლინოს, „ერსუ“-ს ხმა და ქუჩის მომღერლის სიმღერა)

ლუ ტახაი (ს' Fენგ-ს) ეს ვიღაა? თითქმის ლამის თერთმეტის ნახევარია და კიდევ მღერის?
ლუ ს'Fენგ-ი (უხალისოდ) უსინათლო ცოლთან ერთად ყოველ დღე აქ შოულობენ ფულს (მარაო-თი ინიავებს, მსუბუქად ოხრავს)

ლუ კუეი მთელი ცხოვრება ხელს მიშლიან პატარა კაცუნები, თვალნაკრავი ვარ, ამიტომ არ მიმართლებს. ორი წელია ჭოუ-ს ოჯახში დროს ვკლავ, შვილებიც მოვანყე, ახლა შენს გამო (გადია ლუ-ს მიანიშნებს) სამუშაოს ვკარგავ. როგორც კი შინ ბრუნდები, მაშინვე რაღაც ხდება. რა მოხდა რეზიდენციაში, ვერც კი მოვასწარი ელექტრიკოსის გამოძახება, ს'Fენგ-მა სამუშაო დაკარგა, ჩემ მყარ სამუშაოსაც კარგი არაფერი ელოდება. შენი დედა, უშენოდ (გადია ლუ-ს მიანიშნებს) ნუთუ შეიძლებოდა ასე არ გამმართლებოდა? (იფურთხება)

ლუ ტახაი (პისტოლეტს დებს) ჩემი ლანძღვა გინდა? გამლანძღე, დედაჩემს შეურაცხყოფას ნუ აყენებ, მისი განანყენება ადვილია, არა?

ლუ კუეი მე? შენ გაგინებ? შენ ხომ ბატონიშვილი ხარ! შენ მდიდრები პირში გალანძღე. როგორ, მე რა უფლება მაქვს შეგეხო?

ლუ ტახაი ორი სირჩა ღვინის დაღვევაც ვერ მოგისწვრია და უკვე იღრინები დაუსრულებლად. (მოუთმენლად) უკვე პირველის ნახევარია, ნუთუ არ გეყო?

ლუ კუეი მეყო? ჰმ, ყელამდე ბოლმით ვარ სავსე, ცეცხლივით ვგიზგიზებ. მე არ მეყოფა, როცა მამაშენიც იყო მოვლილი, მაძლარი, დროსაც ატარებდა და საკმარისად თამაშობდა კიდევ, რისი მომსწრე არ ყოფილა! მას შემდეგ, რაც დედაშენი ცოლად შევირთე, უბედურების გარდა არაფერი მომხდარა, ოჯახი ვერ გავამთლიანე, სახლი ცარიელია, დღიდან დღემდე...

ლუ ს'Fენგ-ი ეს ხომ შენ თვითონ ქალაღლის თამაშით განიავე!

ლუ ტახაი ნუ ეჩრები, ილაპარაკოს.

ლუ კუეი (ყბღობს, თითქოს ერთადერთი მსხვერპლი იყოს) ხომ ვამბობ, დღითი დღე უარესდება, ყველა მაბრაზებს, თქვენც ასევე. ახლა კი ძალიან კარგია, არც გაბრაზება იქნება. სამუშაო დაკარგული, თქვენთან ერთად შიმშილით სიკვდილის მოლოდინში, აბა დაფიქრდით, შეიძლება, რომ ჩემს წინაშე ვალში არ იყოთ? (უცბად იგრძნო, რომ ფეხები ვერსად დაუნყვია, შეტრიალდება გადია ლუ-სკენ) შ'ფინგ, მომანოდე ის ტაბურეტი, ფეხებს შემოვანყობ.

ლუ ტახაი (მკაცრად უყურებს დედას, რათა არ დაემორჩილოს) დე!

(ამასობაში ერთადერთ სკამს მის ფეხებქვეშ უდგამს. ის მოხერხებულად ზის)

ლუ კუეი (უცქერს ტახაი-ს) ვინაა დამნაშავე? შენ მიაყენე შეურაცხყოფა, შენ ლანძღავდი, ვინ არ გაბრაზდებოდა? და, რასაკვირველია, გამოგვყარეს კიდევაც. ვინ არის დამნაშავე, რომ მამაშენი ვარ. ტახაი, დაფიქრდი, მე მოხუცი ვარ, უნდა შენს გამო შიმშილით ამომძვრეს სული? ვალში ხარ. გეკითხები, ასე უნდა მოვკვდე?

ლუ ტახაი (მეტს ველარ ითმენს, დგება, ხმამაღლა) ჩაძალღდი, ჩაძალღდი! შენ ვინა ხარ?!

ლუ კუეი (შიშმა ცოტა გამოაფხიზლა), შვილებო, თქვენი დედა!

ლუ შ'ფინგ-ი, ს'Fენგ-ი (ერთად) ტახაი!

ლუ კუეი (ხედავს გერის ძლიერსა და ვეებერთელა სხეულს, თანაც ხელში პისტოლეტით, შიშით, მომღიმარე) ერთი დამიხედე, ყაჩაღანას ხასიათს! (აგრძელებს), ოხ! ტახაი-ს დადანაშაულება არ იქნება. ეს დანყველილი ჭოუ-ს ოჯახია თავიდან ბოლომდე, არც ერთი მონესრიგებული ნევრი არაა. ორი წელი პატიოსნად ვემსახურებოდი ყველას, ჩემს თვალს არაფერი გამოჰპარვია, სიმდიდრეში ყოფნა ყოველთვის მოსახერხებელია. ფარულად სისაძაგლეებს სჩადიან, გარედან კი ღირსეულად მოაქვთ თავი, რაც უფრო კულტურულ სიტყვებს აფრქვევენ, მათი პირადი ცხოვრება მით უფრო უარესია, მამაკაცები ავაზაკები, ქალები ბოზები. დღევანდელი დღის მიუხედავად, როდესაც ვტოვებდი, ბატონმა და ქალბატონმა, ყასიდად, გეგონებათ საზოგადოებაში გარკვეულ ცერემონიას იცავენო, განმიცხადეს, კეთილი, ხვალამდე! რას ფიქრობენ, მათი ოჯახის სირცხვილი ჩემთვის უცნობია?

ლუ ს'Fენგ-ი (შიშობს აურზაურის გამო) მა! მაშ ნუ ნახვალ მათთან! ჭოუ-ს ოჯახთან არაფერი გესაქმება!

ლუ კუეი (უნებლიედ, სიამაყით) ჰმ, ხვალ ვაჩვენებ ბატონსა და მის მეუღლეს სად იზამთრებენ კიბორჩხალები, გავამიშვლებ, ისეთ რამეს ვეტყვი, ბებერი ნაძირალა მუხლებში რომ ჩამივარდება. ეგ უნამუსო ეგა! (ხველით) იმის დედა! (აფურთხებს იატაკზე, „მა“, მიმართავს ს'Fენგ-ს) ჩაი სადღაა?

ლუ ს'Fენგ-ი შენ რა, მართლა მთვრალი ხარ? მე ხომ ეს-ესაა მაგიდაზე დაგიდგი?

ლუ კუეი (იღებს ფინჯანს, ს'Fენგ-ს) ეს რა არის, მღუღარე? ეს ხომ ჩაი არ არის, ქალბატონო? (იატაკზე დაღვრის)

ლუ ს'Fენგ-ი (ცივად) მხოლოდ მღუღარეა, ჩაი აღარ არის.

ლუ კუეი (გაბოროტებული, ს'Fენგ-ს) სულელი! სადილის შემდეგ ყოველთვის ვსვამ კარგ ჩაის, შენ რა, არ იცოდი?

ლუ ტახაი (ყასიდად), ო, მამაჩემს, სადილის შემდეგ კარგი ჩაის დაღვევის სურვილი აქვს. ს'

წენგ! რატომ არ დაუყენე ლუნგწინგ-ის ჩაი? ერთი ლიანგ-ი ღირს, 4.8 ვერცხლით (განმარტება: მწვანე ჩაის სახელწოდება, მოჰყავთ წინანგუს პროვინციაში, ლუნგწინგ-ის სახელწოდების ადგილას. ერთი ლიანგ-ი – წონის ერთეულია, ფუნტის – „წინგ“-ის მეთაედი ნაწილია, წინგ=500 გრამს)

ლუ ს'წენგ-ი ლუნგწინგ-ი!? რაო!? სახლში ნამცეცი ჩაიც არ დარჩა.

ლუ ტახაი (ლუ კუეი-ს) გაიგონე, შეიგნე, უფრო მარტივად – დალიე მდულარე. რა ტკბილად საუბრობთ ჩვენი სილატაკის ფონზე (იღებს ფინჯანს ადუღებული წყლით, წინ დაუდგამს, შორდება).

ლუ კუეი ეს ჩემი სახლია, ჩემი ოჯახი, არ მოგწონს? შეგიძლია მიბრძანდე.

ლუ ტახაი (ნაბიჯით წინ) შენ, შენ...

ლუ შ'ფინგ-ი (აყოვნებს ტახაი-ს) არ გინდა, არ გინდა, კარგო ბიჭო, ჩემი გულისათვის მასთან დაპირისპირებას მოერიდე.

ლუ კუეი აი, ხედავ? შენ თვითონ ცუდად არ გრძნობ თავს, მხოლოდ ორი დღეა რაც სახლში ხარ და ასეთ უსიამოვნებებს გადაგყვარე, არ მილანძღიხარ, რატომ აღმართე ჩემზე ხელი? აბა, აუსვი აქედან!

ლუ ტახაი (ძლივს ითმენს) დედა, ძალა არ მყოფნის ვუყურო შენს გაჭირვებას ჩვენ სახლში, მე წავალ!

ლუ შ'ფინგ-ი სისულელეა. საცაა თავსხმა წამოვა, სად წახვალ?

ლუ ტახაი მე კიდევ მაქვს საქმეები. თუ ვერ შევძლებ მოწესრიგებას, წავალ, დავიქირავებ რიქშას, მგზავრებს ვატარებ.

ლუ შ'ფინგ-ი ტახაი! შენ...

ლუ კუეი წადი, წადი, გაუშვი, წავიდე. ეს ყმანვილი მხოლოდ ამისათვის ვარგა, დაბადებით ღატაკი, მოსცილდეს აქაურობას, მოსცილდეს!

ლუ ტახაი ფრთხილად იყავი, ნუ გამიჩაღებ ცეცხლს, უსიამოვნებას გადაეყრები.

ლუ კუეი (ქუჩურად) შენი ღვიძლი დედა აქაა, გაბედავ მამას რამე დაუშავო? ნაძირალავ!

ლუ ტახაი (ლუ კუეი-ს) რაა, ვინ გალანძღე?

ლუ კუეი შენ! შენ ასეთო...

ლუ შ'ფინგ-ი (ლუ კუეი-ს) უსირცხვილოვ! გაჩერდი!

ლუ კუეი ეს მე ვარ უსირცხვილო? მე სახლში არ ვაჩერებდი ნაძირლებს, უკანონოდ შობილებს, გათხოვილიყავ ამნაირებზე (მიანიშნებს ტახაი-ს)

ლუ შ'ფინგ-ი (ტკივილით) ო, ცის განგებავ!

ლუ ტახაი (პისტოლეტს იღებს) მე, მე მოგკლავ, ბებერო მხეცო! (ლუ კუეი-ს)

(ლუ კუეი ყვირილით წამოდგება. შედის შუა ოთახში და ადგილზე ქვავდება)

ლუ კუეი (ყვირის) პისტოლეტი, პისტოლეტი, პისტოლეტი!

ლუ ს'წენგ-ი (მირბის ტახაი-სთან, ეხვევა) ძმაო!

ლუ შ'ფინგ-ი ტახაი, დადე.

ლუ ტახაი (ლუ კუეი-ს) დედას უთხარი, რომ შესცდი, რომ აღარასოდეს შეიგინები, რაც არ უნდა იყოს.

ლუ კუეი ოო

ლუ ტახაი (შეტევით) თქვი!

ლუ კუეი (უთმობს ზეწოლის გამო) შენ, შენ... ჯერ შენ დადე, დატოვე

ლუ ტახაი (გაბოროტებული) არა, ჯერ შენ თქვი!

ლუ კუეი კარგი (გადია ლუ-ს) მე შევცდი, მეტად აღარ შევიგინები, რაც პირზე მომადგება

ყველაფერს აღარ ვიტყვი

ლუ ტახაი (მიანიშნებს ერთადერთ სავარძელზე) კიდევ გაიბღინძები?

ლუ კუეი სულიერად დაცემული, თავჩაქინდრული, ზის, ბურღლუნებს) შეხედეთ, ამ

პატარა უჯიშოს!

ლუ ტახაი ჰმ, ჩემს ლეღვად არ ღირხარ

ლუ შ'ფინგ-ი ტახაი, დადე პისტოლეტი.

ლუ ტახაი (სიცოლით) დედა (პისტოლეტს დებს) ნუ გეშინია, მე მხოლოდ დავაშინე.

ლუ შ'ფინგ-ი მომეცი. საიდან გაქვს იარაღი?

ლუ ტახაი ეს მაღაროდან მოვიტანე, როცა პოლიციელები გვცემდნენ, ერთს დაუვარდა, მეც

ავიღე და წამოვიღე

ლუ შ'ფინგ-ი ახლა რისთვისღა გინდა?

ლუ ტახაი არაფრისათვის, ისე, უბრალოდ

ლუ შ'ფინგ-ი არა, მითხარი

ლუ ტახაი (ცბიერი ღიმილით) არაფრისათვის, უბრალოდ ჭოუ-ს ოჯახობა გადარჩენის საშუ-

ალებას არ გვაძლევს, ეს ერთადერთი გამოსავალია, ერთი გზაა

ლუ შ'ფინგ-ი სისულელებს ატარებ, მომეცი!

ლუ ტახაი (არ ეთანხმება) დედა!

ლუ შ'ფინგ-ი როცა ვვანხობდით, მე ვთქვი, რომ ჭოუ-ს ოჯახთან დაკავშირებული ყველა საქმე დავამთავრეთ. ჩვენი გვარია ლუ, მათთან ყოველგვარი კავშირი გავწყვიტეთ, მათი ხსენებაც აღარ იქნება.

ლუ ტახაი (ჩუმად, ნელა) მაგრამ, მალაროში სისხლი მაქვს ჩალვრილი. სილა უფროსმა ბატონიშვილმა რომ გამანწა? აი ასე. ყველაფერი საპატიებელია? ყველაფერი არაფრად ჩავაგდოთ?

ლუ შ'ფინგ-ი ჰმ, დიახ, ყველაფერი წარსულშია. ასე თუ დაინყებ ანგარიშს, ბოლო არ ექნება, არ დასრულდება შურისძიებაც. ეს ხომ ცის განგებით არის განსაზღვრული, მე ვისურვებდი, რომ შენ უფრო მეტად მოგეთმინა.

ლუ ტახაი მაგრამ ეს შენ თვითონ გადაწყვიტე, მაგრამ მე...(ხმას უწევს) ტახაი, შენ ჩემი ყველაზე საყვარელი ვაჟი ხარ, ყური დამიგდე, მე ხომ არასდროს შენთან მკაცრად არ მისაუბრია. ახლა მომისმინე, შენ თუ ჭოუ-ს ოჯახის რომელიმე წევრს, იქნება ეს ბატონი, თუ ბატონიშვილი, დააზიანებ ან დაჭრი, მე შენ შვილად აღარ გალიარებ.

ლუ ტახაი (ვედრებით) მაგრამ, დედა...

ლუ შ'ფინგ-ი (მტკიცედ) შენ იცი დედაშენის ხასიათი, თუ ამას ჩაიდენ, რასაც ყველაზე მეტად ვუფრთხი, ჯობ აქვე, შენს თვალწინ მოვკვდე.

ლუ ტახაი (ღრმად ამოისუნთქავს) დედა, თქვენ... (ასწევს და დახრის თავს), მამ მთელი ცხოვრება მათი სიძულვილი უნდა ვატარო

ლუ შ'ფინგ-ი (ოხრავს) ო, განგებავ, მაგრამ, ეს უკვე ჩემი ბრალი არაა (ტახაი-ს) მომეცი იარაღი (ტახაი-ს არ სურს) მომეცი! (უახლოვდება და ართმევს)

ლუ ტახაი (ტანჯვით) დედა, თქვენ...

ლუ შ'ფინგ-ი კეთილი, მე ჩავდებ სკივრში (დებს ხის სკივრში, სანოლთან ახლოს), მაგრამ იცოდე, (ტახაი-ს) ხვალ დილას მე განვაცხადებ პოლიციაში, ჩავაბარებ იარაღს.

ლუ კუეი ძალიან, ძალიან სწორია, ეს სამართლიანია,

ლუ ტახაი შენ გაჩუმდი!

ლუ შ'ფინგ-ი ტახაი, მამასთან ნუ საუბრობ ასეთი ტონით.

ლუ ტახაი (შეხედა ლუ კუეი-ს, შეტრიალდება) დედა, კარგი, მე წავედი. უნდა მოინახოს ვინმე ნაცნობი, რიკუმების კანტორაში ვინც მუშაობს. მე წავედი.

ლუ შ'ფინგ-ი კეთილი, წადი, მაგრამ შეუძლებელია ოჯახის წევრებზე გულში ძვირის ტარება

ლუ ტახაი დიახ, მაშინვე დავბრუნდები

(ტახაი მარცხენა მხარიდან, შუა ოთახში გამავალი კარიდან გადის. ისმის კარის საკეტის ხმა. ლუ კუეი ბრუნდება მრგვალ მაგიდასთან გაბოროტებული)

ლუ კუეი (თავისთვის) ერთი დამიხედეთ ამ ნაძირალას! (გადია ლუ-ს) მე ახლახანს გობრძანე ჩაის ყიდვა, რატომ არ იყიდე?

ლუ შ'ფინგ-ი არ მაქვს ზედმეტად ფული

ლუ კუეი მაგრამ, ს'ფენგ, ჩემი ფული სად არის? თქვენ, ხომ სულ ცოტა ხნის წინ რეზიდენციაში მიიღეთ ჯამაგირი (წყალობა)? რა უყავი?

ლუ ს'ფენგ-ი შენ იმ დამატებით ორი თვის ხელფასზე ამბობ?

ლუ კუეი ხო, ახალი და ძველი ერთად, სულ სამოცი იუენი-

ლუ ს'ფენგ-ი (იცის, რომ ადრე თუ გვიან უნდა უთხრას) ხო. მე ვალეები გავისტუმრე.

ლუ კუეი რა? გაისტუმრე?

ლუ ს'ფენგ-ი დიდი ხანი არ არის, რაც ჭაო მოვიდა, კარებში იდგა, არ მიდიოდა, თხოულობდა ვალის დაბრუნებას. დედაჩემი იძულებული გახდა ამ ფულიდან გადაეხადა

ლუ კუეი სამოცი მთლიანად? მთელი ვალი?

ლუ ს'ფენგ-ი ხო, ქალაქში ნაგებული ახალი ვალი. ჩათვალე, რომ ბოლოს და ბოლოს გადახდილია.

ლუ კუეი თქვენი დედა! ჩემი სახლი აი ასე იძარცვება, რა დროსი იყო ვალის გასტუმრება?

ლუ შ'ფინგ-ი (მშვიდად) ძალიანაც კარგი, რომ გავისტუმრეთ. გადავწყვიტე აქაური სახლი გავათავისუფლო

ლუ კუეი რა? ეს სახლი აღარ გინდათ?

ლუ შ'ფინგ-ი დიახ, წინან-ში წასვლა გადავწყვიტე

ლუ კუეი შენ დაბრუნდი წინან-ში, მაგრამ მე და ლუ ს'ფენგ-ი აქ ვიცხოვრებთ, რა, ჩვენ სახლი არ გვინდა?

ლუ შ'ფინგ-ი ამჯერად ს'ფენგ-ს თან წავიყვან. აქ მისი მარტო ცხოვრება უადგილოა.

ლუ კუეი (სიცილით ს'ფენგ-ს) გესმის ს'ფენგ, დედაშენი წაყვანას გიპირებს.

ლუ შ'ფინგ-ი წინა წასვლისას მე არ ვიცოდი ჩემი საქმეები როგორ წავიდოდა. უცხო ადგილას

ადვილი არ არის მოწყობა. აქ კი მეზობელი დეიდა ჭანგ-ი ზრუნავდა მასზე. ბუნებრივია, მაშინ არ ნავიყვანე. ახლა, მე იქ მაქვს მუდმივი სამუშაო, ლუ ს'ფენგ-ი კი აღარ მუშაობს, რატომ არ უნდა ნავიყვანო.

ლუ ს'ფენგ-ი (შეშინებული) რა, თქვენ მართლა ნამიყვანთ?

ლუ შ'ფინგ-ი (დამძიმებული) აბა რა, დედა არასოდეს გაგშორდება

ლუ კუეი არ გამოვა. ამაზე ჩვენ კარგად უნდა მოვითათბიროთ

ლუ შ'ფინგ-ი რაა მოსალაპარაკებელი, თუ გსურს, ორ დღეში ერთად ნავიდეთ. მაგრამ იქ ვერ იპოვი შენს დამქაშებს ქალაქის სათამაშოდ.

ლუ კუეი ბუნებრივია, მე იქ არ ნამოვალ, მაგრამ რა უნდა აკეთოს ს'ფენგ-მა?

ლუ შ'ფინგ-ი ქალიშვილი უნდა დედასთან იყოს. წინათ, უბრალოდ, სხვა გამოსავალი არ იყო.

ლუ კუეი (აცხადებს) ლუ ს'ფენგ-ი ჩემთან ჩაცმულ-დახურული და მძღარი, ცნობილ ადამიანებთან აქვს ურთიერთობა.

ლუ შ'ფინგ-ი შენთან საუბარი ფუჭია, უმჯობესია მას ჰკითხო, ჩემთან ნამოვა თუ შენთან დარჩება?

ლუ კუეი ბუნებრივია, დარჩება

ლუ შ'ფინგ-ი აბა, ჰკითხე!

ლუ კუეი (დარწმუნებული, რომ გაიმარჯვებს), ს'ფენგ, მომიახლოვდი, გესმის? იყოს შენი სურვილისამებრ, დედას გაჰყვები თუ ჩემთან დარჩები?

(ლუ ს'ფენგ-ი შეტრიალდება, ცრემლად იღვრება, უყურებს მას) რა? რაშია საქმე? გოგო, რა გატირებს?

ლუ შ'ფინგ-ი ო, შვილო, ფენგ-იკო, ჩემო საბრალო გოგონა.

ლუ კუეი თქვი რა, ტახტრევანზე ხომ არ გსვამენ საქმროსთან წასაყვანად (განმარტება: უძველეს და ძველ ჩინეთში სარძლოს ტახტრევანით მიუყვანდნენ საქმროს ოჯახს საქორწინოდ, ტრადიციის თანახმად, საპატარძლოს უნდა ეტირა, თუნდაც ეს მოჩვენებითი ყოფილიყო, რადგან ამ დროიდან მშობლიურ კერას ეთხოვებოდა და არც თუ ისე იშვიათად მძიმე ცხოვრებას იწყებდა. ლუ კუეი ამას მწარედ მიანიშნებს)

ლუ შ'ფინგ-ი (ამშვიდება) ო, ენგ-იკო, ძვირფასო, მითხარი, შენ ხომ დამპირდი, დამთანხმდი, რომ ჩემთან ერთად ნამოხვიდოდი, ეს ხომ სულ ცოტა ხნის წინ იყო, ახლა რაღა მოხდა? მითხარი, იყავი გამგონე გოგონა. რაც არ უნდა მიპასუხო, მე დედაშენი ვარ, მაინც გაგალმერთებ.

ლუ კუეი ხედავ, ეუბნები, რომ ნაიყვან, მაგრამ ეტყობა, რომ გულის სიღრმეში უარზეა. ეს მე ვიცი, მას აქაურობის დატოვება არაფრით არ სურს (იცინის).

ლუ ს'ფენგ-ი (ლუ კუეი-ს) ნადი რა! (დედას) ნუ მკითხავ, დედა! გული დამძიმებული მაქვს, დედა, ჩემო საყვარელო, მე მინდოდა შენთან ერთად ნამოსვლა, ო, დედიკო! (ქვითინებს და ჩაეხუტება).

ლუ შ'ფინგ-ი ო, ჩემო შვილო, როგორ გტანჯავთ, როგორ განწყინებთ!

ლუ კუეი ხედავ, როგორც ქალბატონი, ისე იქცევა. ასეთი სენტემენტობა! ან სად უნდა ნაიყვანო, რისი მაქნისია, რისი გამკეთებელი? როგორ, შრომისა და შიმშილობისათვის ივარგებს?

ლუ შ'ფინგ-ი (ლუ კუეი-ს) არ არის შენი საქმე. (ს'ფენგ-ს), შვილიკო, დედაშენს მკაცრი ბედი ერგო, მე არ ვარ დამნაშავე, მე მხოლოდ შემძლია ბოდიში ვითხოვო ამისათვის, შენ ოღონდ ნუ განიცდი! მომავალში ერთად ვიქნებით, ვერავინ შეძლებს ჩვენს შეურაცხყოფას, ო, ჩემო სულს და გულს.

(მოულოდნელად ტახაი შემოდის მარცხენა მხრიდან)

ლუ ტახაი დედა, მეზობელი ჭანგ-ი დეიდა დაბრუნდა, სულ ახლახანს ქუჩაში ვნახე.

ლუ შ'ფინგ-ი შენ უთხარი, რომ ჩვენ ავეჯსა და ბარგი-ბარხანას ვყიდით?

ლუ ტახაი რასაკვირველია ვუთხარი, დამპირდა რაღაცას იღონებს.

ლუ შ'ფინგ-ი როგორ არის საქმე რიქუმების გამქირავებელ ფირმამი? ვინმე ნაცნობი თუ ნახე?

ლუ ტახაი ვნახე, მე კიდევ უნდა ნავიდე, ვინმე თავმდეები მოვანახო

ლუ შ'ფინგ-ი მამ ერთად ნავიდეთ. ს'ფენგ, იყავი სახლში, დამელოდე!

ლუ ტახაი (ლუ კუეი-ს) ნახვამდის, გამოფხიზლდი? (დედას) დღეს გასათევად შინ არ დავბრუნდები

(ტახაი და გაღია ლუ მიდიან)

ლუ კუეი (თვალებით აცილებს) ჰმ, ეს პირუტყვი, ეს ნაძირალა! (ხედავს ფანჯარასთან მდგომ ს'ფენგ-ს, მიმართავს) დედა ნავიდა, ს'ფენგ, არაფერი გაქვს მოსარიდებელი, მითხარი, რას აპირებ?

ლუ ს'ფენგ-ი (ყურადღებას არ აქცევს, ოხრავს. ყურს უგდება ბაყაყების გუნდის ყიყინსა და ჭქქა-ქუხილს)

ლუ კუეი (სიძულვილით) ერთი დამიხედეთ, შენ იდუმალი ფიქრები გაქვს.

ლუ ს'ფენგ-ი (თვალთმაქცურად) რა „იდუმალი ფიქრები“, უბრალოდ ცხელა, სული მეხუთება.

ლუ კუეი ნუ მატყუებ, ვანშმის შემდეგ არაბუნებრივი თვალების გამომეტყველება გაქვს, ვერ

ვხედავ თუ რა, რაზე ფიქრობ?

ლუ ს'ფენგ-ი არაფერზე.

ლუ კუეი (თითქოს განიცდის) ფენგ-იკო, შენ ხომ ჩემი ჭკვიანი შვილიკო ხარ, შენ ხარ მხოლოდ ჩემი ღვიძლი შვილი, როგორ, ნახვალ დედასთან ერთად და მარტოდ დამაგდებ?

ლუ ს'ფენგ-ი შეწყვიტეთ, ისედაც სულში საშინელება მიტრიალებს (გაიელვებს), გესმით, შორს ქუხილი ისმის.

ლუ კუეი შვილიკო, ნუ მანყვეტინებ ლაპარაკს, უბრალოდ მიპასუხე, შენ მართლა მიდიხარ დედასთან ერთად წინან-ში?

ლუ ს'ფენგ-ი ჰმ, დიახ.

ლუ კუეი (მონყენილობისაგან მღერის) „ყვაილები იფურჩქნებიან, ყვაილები ცვივიან, ყველა ასეთ დღეშია, ადამიანს გაზაფხული რომ ჩაუვლის, აღარ გამეორდება“ ოხ! (განმარტება: ქალაქური, ფუქსავატური სიმღერაა, მღეროდნენ გეიშები) (მოულოდნელად წყვეტს სიმღერას) ს'ფენგ, ყოველ ადამიანს ცხოვრებაში არაუმეტეს ორი-სამი წლისა ბედნიერი დღეები დაუდგება, დაკარგავ ამ შანსს და აღარასოდეს გამეორდება!

ლუ ს'ფენგ-ი თქვენ, თქვენ წადით რა, მე დავილაღე, მეძინება.

ლუ კუეი (ფრთხილად, გამოტყვის მიზნით) ჭოუ-ს ოჯახის საქმეები ჩემთვის ცნობილია, ნუ გეშინია, მე შენ დაგიცავ. ხვალ კიდევ დავბრუნდებით სამსახურში. ნუთუ მართლა აპირებ გამგზავრებას? ჭოუ-ს ოჯახის მიტოვებას? მართლა?

ლუ ს'ფენგ-ი გეყოთ სისულელეებზე საუბარი, სჯობს დაიძინოთ! გარეთ უკვე აგრილდა, ხალხი უკვე მიმოიფანტა, რატომ არ წვებით?

ლუ კუეი შენ არაფერზე არ უნდა იფიქრო. (გულწრფელად) მართლა, ამ ქვეყანაზე არავის ნდობა არ შეიძლება, მხოლოდ ფულია მაგარი სიმართლე, რა დასანანია, რომ არც შენ და არც დედა შენმა ფულის ყადრი არ იცით.

ლუ ს'ფენგ-ი უსმინე, მომეჩვენა, რომ კარზე ვიღაც აკაკუნებს

ლუ კუეი თითქმის თერთმეტი საათია, ვინ უნდა იყოს ამ დროს?

ლუ ს'ფენგ-ი მამა, ნავალ, ვნახავ.

ლუ კუეი არა, მე ნავალ (ლუ კუეი მარცხნივ სანახევროდ ალებს კარს. ვინ არის?)

(ხმა გარედან: ეს სახლი ლუ-ს ეკუთვნის?)

ლუ კუეი რა გნებავთ?

(ხმა: ვეძებთ კაცს)

ლუ კუეი თქვენ თვითონ ვინ ხართ?

(ხმა: მე გვარად ჭოუ ვარ)

ლუ კუეი (სიხარულს ვერ ფარავს, კმაყოფილებით) ხედავ, მე ვიყავი მართალი, ჭოუ-ს ოჯახიდან თვითონ გვეწვივენ.

ლუ ს'ფენგ-ი (შეშინებული) მამა, გეთაყვა, უთხარით, რომ ყველა წავიდა, არავინაა სახლში.

ლუ კუეი (ემშაკურად უყურებს) ეს რას ნიშნავს?

(ლუ კუეი გადის)

ლუ ს'ფენგ-ი (ნაჩქარევად ალაგებს ოთახს, ზედმეტი ნივთები გააქვს ოთახუკაში – საკუჭნაოში, დგება მარჯვენა კართან და მორჩილად ელოდება სტუმარს)

(ისმის ჩუნგ-ის საუბარი ლუ კუეი-ისთან და მაშინვე შემოდის)

ჭოუ ჩუნგ-ი (დინახა ლუ ს'ფენგ-ი, სიხარულით) ს'ფენგ!

ლუ ს'ფენგ-ი (ცოტა გაკვირვებული) მეორე ბატონიშვილო, ეს თქვენა ხართ?

ლუ კუეი (მლიქვნელურად იღიმის) ნუ დაგვცინებ ბატონიშვილო, ეს ხომ ღარიბების სახლია.

ჭოუ ჩუნგ-ი დიახ, ეს ადგილი, ჭეშმარიტად ძნელი მოსაძებნია, ძლივს ვიპოვნე, წყალსატყვის პირდაპირ, ძალიან სასაიმოვნოა.

ლუ კუეი უმცროსო ბატონიშვილო, იქნებ დაბრძანდეთ (ს'ფენგ-ს) ს'ფენგ, მოიტანე სავარძელი (მიანიშნა ერთდერთ მრგვალ სავარძელზე).

ჭოუ ჩუნგ-ი (ხედავს რა გაჩუმებულ ს'ფენგ-ს) ს'ფენგ, რა იყო, თავს კარგად ვერ გრძნობ?

ლუ ს'ფენგ-ი არა, არაფერი... (თავშეკავებულად და თავაზიანად), მეორე ბატონიშვილო, აქ რატომ გვეწვიეთ? ქალბატონმა რომ გაიგოს, თქვენ...

ჭოუ ჩუნგ-ი პირიქით, თვითონ გამომგზავნა

ლუ კუეი (ყველაფერი ვერ გაიგო) ქალბატონმა გამოგზავნა?

ჭოუ ჩუნგ-ი დიახ, მაგრამ მე თვითონაც მინდოდა თქვენი მონახულება (ს'ფენგ-ს) სად არიან შენი ძმა და დედა?

ლუ კუეი ისინი გავიდნენ.

ლუ ს'ფენგ-ი ჩვენი მისამართი როგორ შეიტყუეთ?

ჭოუ ჩუნგ-ი (გულუბყრვილოდ) დედამ მითხრა. მე ვერც ვიფიქრებდი, თუ აქ ამოდენა წყლით სახსევ სივრცე იქნებოდა, ამასთან ერთად ცრის, ფეხი ცურავს, ვფიქრობ, სიბნელეში გაუფრთხილებლობით ფეხი გაგისრიალდება.

ლუ კუეი ბატონიშვილო, ვიმედოვნებ არ ნაქცეულხარ?

ჭოუ ჩუნგ-ი (განცვიფრებული) წარმოიდგინეთ არ ნაქცეულვარ. მე ხომ ჩვენი მსუბუქი მანქანით მოვედი. რა საინტერესოა! (ათვალღიერებს ბინას, სამშენისებს, ხალისობს) ს'წენგ, თურმე აქ ცხოვრობ!

ლუ ს'წენგ-ი ო, დიახ, ვფიქრობ, უმჯობესია ჩქარა შინ დაბრუნებულიყავით.

ლუ კუეი რა?

ჭოუ ჩუნგ-ი (უცბად) ო, დიახ, მე დამავინწყდა კიდევაც რისთვის მოვედი. დედამ მითხრა, ჩვენთან აღარ მუშაობთ, წამოხვედით, ლელავს, შიშობს, სამუშაოს მაშინვე ვერ იშოვით და მიბრძანა დედამ-ენისათვის გადმომეცა ასი იუენ-ი ვერცხლით (იღებს ჯიბიდან).

ლუ ს'წენგ-ი რა?

ლუ კუეი (იცის, ჭოუ-ს ოჯახის ყველა წევრი მის გაბრაზებას ერიდება, თვითკმაყოფილი, ს'წენგ-ს) ხედავ, რა მაღალი ზნეობის ბატონები ბრძანდებიან, რაც არ უნდა ითქვას, მდიდრებს კეთილშობილებაც აქვთ.

ლუ ს'წენგ-ი არა, მეორე ბატონიშვილო, თქვენ მაინც დაუბრუნეთ ეს ფული ქალბატონს, ჩვენ არც ისე გვიჭირს, დაუბრუნეთ ფული.

ლუ კუეი (ს'წენგ-ს) შეხედე შენ თავს, ასე ვინ ლაპარაკობს ბატონებთან? ქალბატონის ბრძანებით ბატონიშვილმა მოიტანა, ნუთუ სირცხვილი არაა საჩუქარზე უარის თქმა? (იღებს ფულს). ქალბატონს უპასუხეთ, ჩვენ ყველაფერი რიგზე გვაქვს, ყველანი ცოცხლები, ჯანმრთელები ვართ. ქალბატონი ნუ შეწუხდება. მადლობელი გახლავართ.

ლუ ს'წენგ-ი (ჯიუტად) მამა, ასე არ შეიძლება.

ლუ კუეი შენ ჯერ კიდე ვაგვიხარ, რა გაგებება?

ლუ ს'წენგ-ი შენ თუ მიიღებ, ძმა და დედა ამას არ დაეთანხმებიან.

ლუ კუეი (ყურადღებას არ აქცევს მას, ჩუნგ-ს მიმართავს) დიდი მადლობა, თქვენ ამ სიშორეზე მორბინეთ. მე ახლავ რაიმეს ვიყიდი, გაგიმასპინძლდებით, თქვენ კი ს'წენგ-თან ცოტა ხნით დაბრძანდით, ბოდიშს ვიხდი, რომ ნუთით გტოვებთ.

ლუ ს'წენგ-ი მამა, არ ნახვიდეთ! ასე არ შეიძლება.

ლუ კუეი მორჩი ყბედობას, მანამდე ჩაი მიართვი ბატონიშვილს, წამში დავბრუნდები (ჩქარობს წასვლას).

ჭოუ ჩუნგ-ი (უნებლიედ წამოსცდა) წავიდე, ეს ცუდი არაა.

ლუ ს'წენგ-ი (ზიზღით) ო, ეს პირდაპირ სიმდაბლეა! (უკმაყოფილო) მაინც ვინ გიბრძანა ფულის მოტანა?

ჭოუ ჩუნგ-ი შენ, შენ, ეს რას ნიშნავს? შენ რაღაც სურვილი არ გაქვს ჩემი ნახვის, რატომ? კეთილი, ზედმეტს აღარაფერს ვიტყვი.

ლუ ს'წენგ-ი (ცდილობს საუბარი ფაქიზი თემიდან სხვაზე გადაიტანოს) ბატონმა უკვე ივანშმა?

ჭოუ ჩუნგ-ი ცოტა ხნის წინ ივანშმა, ბატონი ბრზობს, თავის ხასიათს ამფლავნებს, ავიდა მეორე სართულზე დედასთან, კრიჭაში უდგას, მე მომინია მათი დაშოშმინება. ეს რომ არა, ამ სიშორეზე, ასე გვიან არ წამოვიდოდი.

ლუ ს'წენგ-ი (განგებ უგულისყუროდ) უფროსი ბატონიშვილი რაღას აკეთებს?

ჭოუ ჩუნგ-ი არ მინახავს, ვიცი, დიდ განცდებშია, ალბათ თავის საძინებელში ისევ სვამს, შეიძლება მთვრალია კიდეც.

ლუ ს'წენგ-ი ო, (ამოიოხრა) რატომ მსახური არ გამოგზავნე? რა საჭირო იყო შენი ასე შეწუხება, ასეთ აყროლებულ, მივარდნილ ადგილას ღამით წამოსვლა?

ჭოუ ჩუნგ-ი (გულწრფელად) შენ ალბათ გულში ჩვენზე ძალიან ნანწყენი ხარ? (გულწრფელად რცხვენია) რა მოხდა დღეს? ვგრძნობ, ჩვენ ყველანი დამნაშავენი ვართ თქვენს წინაშე, გვედრები, გამიგე, ჩემი უფროსი ძმა არც ისეთი უვარგისი ადამიანია. ისიც ძალიან განიცდის მომხდარ ამბავს, ნუთუ არ იცი, მას ხომ შენ ძალიან უყვარხარ.

ლუ ს'წენგ-ი მეორე ბატონიშვილო, რა საჭიროა ეს ყველაფერი, მე ხომ ჭოუ-ს ოჯახის მსახური აღარ ვარ.

ჭოუ ჩუნგ-ი მაგრამ, ჩვენ რა, არ შეგვიძლია მუდმივად მეგობრები ვიყოთ?

ლუ ს'წენგ-ი მე დედაჩემთან ერთად გამგზავრებას ვაპირებ წინან-ში.

ჭოუ ჩუნგ-ი არა, ჯერ ნუ ნახვალ. ალბათ, ადრე თუ გვიან, შენ შესძლებ მამასთან ერთად ჩამოსვლას, ახლა ჩვენ გადავდივართ ახალ სახლში და, ვფიქრობ, მამაშენი უეჭველად დაბრუნდება მაღაროში, აი მაშინ კი დაბრუნდები. ეს დიდი სიხარული იქნება.

ლუ ს'წენგ-ი დიახ, შენ კეთილი გული გაქვს.

ჭოუ ჩუნგ-ი ს'ენგ, ასეთმა წვრილმანმა სული არ უნდა აგინენოს, სამყარო დიდია, შენ უნდა ისწავლო, მაშინ მიხვდები, რომ ქვეყანაზე ბევრია ჩვენნაირი, ისინი ითმენენ დანაკარგს, ისინი ნელ-ნელა იბრძვიან და შრომობენ, სამაგიეროდ, ბოლოს და ბოლოს სიხარული მიეზღვებათ.

ლუ ს'ენგ-ი ო, ქალები მაინც ქალებად რჩებიან! (უცბად) მოუსმინე (ისმის ბაყაყების ყიყინი) ბაყაყებს რატომ არასოდეს არ სძინავთ? უკვე შუა ღამეა, ისინი კი მღერავენ, ყიყინებენ გაუთავებლად.

ჭოუ ჩუნგ-ი არა, შენ, შენ არაჩვეულებრივი ქალი ხარ, შენ ძლიერი ხარ, ყველაფერს გადაიტან, ჩვენ კი ჯერ კიდევ ახალგაზრდები ვართ, ჩვენ აუცილებლად შევძლებთ ერთად მოვუტანოთ ბედნიერება ხალხს. მე ვერ ვიტან უსამართლო სამყაროს, უთანასწორო საზოგადოებას, ვერ ვიტან ძალადობას, ვერ ვიტან მამაჩემს. ჩვენ ყველანი ვიჩაგრებით, ჩვენ ყველანი ერთნაირები ვართ.

ლუ ს'ენგ-ი მეორე ბატონიშვილო, სურვილი ხომ არ გაგვთ პირი გაისველოთ? ჩაის დაგისხამთ (დგება)

ჭოუ ჩუნგ-ი არა, არაა საჭირო.

ლუ ს'ენგ-ი რატომ? ნება მიბოძეთ მოგემსახუროთ

ჭოუ ჩუნგ-ი ასეთი ტონით ნუ მელაპარაკები. მესმის, ჩვენი სამყარო, როგორც ახლაა, მეტად აღარ უნდა იყოს ასეთი. მე, პირადად, არასოდეს გიღებდი როგორც მსახურს, შენ იყავი და დარჩი დაიკო Fენგ-ი. შენ ბევრ რამეზე ამიხილე თვალი, მე მივხვდი, რომ დღევანდელი სამყარო, რომელშიც ჩვენ ვარსებობთ, არ არის ისეთი, როგორც უნდა იყოს. შენ ჩემი წინამძღოლი ხარ.

ლუ ს'ენგ-ი ო, რა მშვენივრად საუბრობ.

ჭოუ ჩუნგ-ი ზოგჯერ მე მაგინწყდება დღევანდელიობა, (ოცნებაში) ოჯახი, დედა, საკუთარი თავი კი. წარმოვიდგენ, ზამთრის ყინვიან დილას, როდესაც ცა სუფთა და გამჭვირვალეა,... უკიდევანო ზღვაში, მსუბუქ აფრიან ნავზე, როგორც თოლია, მივწვანობ, ვგრძნობ ცოტაოდენ სპეციფიკურ სუნს, ზღვის ფსკერიდან მომლაშო გემოს, მივფრინავ ქარში, თეთრი აფრის დახმარებით, დროდადრო ისევ წყალზე განვირთხმები, როგორც ეხება ზღვის ტალღებს თოლია, არწივის ფართედ გაშლილი ფრთებივით, მივფრინავ, მივფრინავ, უკიდევანო ცისკენ. ამ დროს ცის კიდეზე გამოჩნდება ორი-სამი მკრთალი ღრუბელი, ჩვენ კი, ვსხედვართ ამ ნავის კიჩოზე, წინ ვიყურებით, ხოლო წინ ჩვენი სამყაროა.

ლუ ს'ენგ-ი ჩვენი?

ჭოუ ჩუნგ-ი აბა რა, მე და შენ, დაფრინავთ სუფთა ქვეყანაში, მხიარულ ქვეყანაში, იქ არ არის ბრძოლა, არ არის ტყუილი, არ არის უთანასწორობა, არა... (თავს ოდნავ სწევს, თითქოს სინამდვილეში ხედავდეს ამას, უცბად) აბა. ხომ კარგია?

ლუ ს'ენგ-ი ყველაფერი შესანიშნავად წარმოიდგინე

ჭოუ ჩუნგ-ი (მოფერებით) შენ გექნებოდა ჩემთან წამოსვლის სურვილი? თუნდაც მისი წამოყვანაც რომ გახდეს საჭირო?

ლუ ს'ენგ-ი ვისი?

ჭოუ ჩუნგ-ი გუშინ ხომ მითხარი, ხომ გამომიტყდი, რომ შენი გული სხვას ეკუთნის, ვფიქრობ, ის ადამიანი ალბათ შენი მსგავსია, ასეთივე საყვარელია.

(შემოდის ტახაი)

ლუ ს'ენგ-ი ძმაო!

ლუ ტახაი (ცივად) რაშია საქმე, რა ხდება?

ჭოუ ჩუნგ-ი ბატონო ლუ!

ლუ ს'ენგ-ი ბატონი ჭოუ! მეორე ბატონიშვილმა პატივი დაგვდო, გვენვია.

ლუ ტახაი ო, აქ არ გელოდით, რაშია საქმე? მამა სად არის?

ლუ ს'ენგ-ი საყიდლებზე გავიდა.

ლუ ტახაი (ჩუნგ-ს) ძალიან უცნაურია! ამ დროს! ბატონმა ჭოუ-მ პატივი დაგვდო ჩვენს ბუნაგში ასე ვთქვათ გვნვეოდა. ოჰ, უცნაურია.

ჭოუ ჩუნგ-ი მე ზუსტად შენი ნახვაც მინდოდა. შენ, შენ... არ გინდა ხელის ჩამორთმევით მომესალმო? (მარჯვენა ხელს გაუნჯდის)

ლუ ტახაი (უცნაურად) მე არ ვიცი უცხოური ცერემონიები!

ჭოუ ჩუნგ-ი (ხელს დაუშვებს) მამ ნება მომეცი გითხრა, მთელი გულით ყველას წინაშე დამნაშავედ ვგრძნობ თავს.

ლუ ტახაი რაშია საქმე?

ჭოუ ჩუნგ-ი (განითლდა) დღეს, დღის მეორე ნახევარში, ჩვენს სახლში...

ლუ ტახაი (შედავებით) გეთაყვა, ამ საქმეებს ნუ გაიხსენებთ.

ლუ ს'ენგ-ი ძმაო, გეთაყვა, არ არის საჭირო. ის ხომ კეთილგანწყობით მოვიდა ჩვენს სანუგეშოდ

ლუ ტახაი ბატონიშვილო, ჩვენ არ ვსაჭიროებთ თქვენს ნუგეშს, დავიბადეთ ღარიბებად, მი-თუმეტეს არ გვჭირდება თქვენი დახმარება.

ჭოუ ჩუნგ-ი როგორც სჩანს, ვერ გამიგე
 ლუ ტახაი (ნათლად, გასაგებად) გავიგე. ჩემს სახლში მესამე პირი არ არის, ჩემი უმცროსი და
 მარტოა, როგორ გავიგოთ?

ჭოუ ჩუნგ-ი მე არ მეგონა, თუ შეგეძლო ასე ეჭვიანობა.
 ლუ ტახაი მაგრამ ყველა ასე იეჭვიანებდა (შეტრიალდება ლუ ს'წენგ-ი საკენ) აბა, გადი!
 ლუ ს'წენგ-ი ძმაო!
 ლუ ტახაი ჯერ გადი, გეუბნები. მე რამდენიმე შეკითხვა მაქვს ბატონიშვილთან (ხედავს, რომ
 ლუ ს'წენგ-ი არ გადის) გადი!
 (ლუ ს'წენგ-ი უნდომლად, ნელა გადის მარცხენა კარიდან)
 ლუ ტახაი მეორე ბატონიშვილო! მოვილაპარაკოთ! მე ვიცოდი, რომ თქვენს ოჯახში ყველაზე
 სალად მოაზროვნე, შედარებით გაგებულნი ხართ, მაგრამ დაიხსომეთ, შემდეგში თუ კიდევ მოხვალთ, „ჩვენს
 სანუგეშოდ“ (უცბად მკაცრად) ფეხებს დაგამტვრევთ.
 ჭოუ ჩუნგ-ი დამამტვრევთ? ჩემს ფეხებს?
 ლუ ტახაი (შესაბამისი გამომეტყველებით) ჰმ!
 ჭოუ ჩუნგ-ი (სიცილით) მე ვფიქრობ, რომ ვინც არ უნდა იყოს, ადამიანმა თანაგრძნობაზე უარი
 არ უნდა თქვას.
 ლუ ტახაი თანაგრძნობა მე და შენს შორის არ გამოვა. ამისათვის საერთო სოციალური მდ-
 გომარეობაა საჭირო.
 ჭოუ ჩუნგ-ი ტახაი, მე მეჩვენება, შენ ზოგჯერ ძალიან სუბიექტური ხარ, მდიდრები ხომ დამნა-
 შავეებს არ ნიშნავს, ნუთუ მე არ მაქვს შენთან დაახლოების უფლება?
 ლუ ტახაი ძალიან ახალგაზრდა ხარ, შენთან საუბარი იგივეა, რაც კედელთან საუბარი. შენ
 ვერ გაიგებ. გინდა პირდაპირ გეტყვი, აქ შენთვის მოსვლა არ შეიძლება. აქ არ არის შენი ადგილი.
 ჭოუ ჩუნგ-ი რატომ? დღეს დილით შენ არ სთქვი, რომ ჩვენ მეგობრები ვართ? ვფიქრობ, ლუ
 ს'წენგ-იც მოხარული იქნება ჩემთან მეგობრობით, ნუთუ მე არ შემოიძლია თქვენ ცოტა დაგეხმაროთ?
 ლუ ტახაი ბატონიშვილო, ნუ ფიქრობ, რომ კეთილ საქმეს აკეთებ. გამიგონია, რომ შენ გინ-
 დოდა, რომ ს'წენგ-ს ესწავლა? არა? მაგრამ ლუ ს'წენგ-ი ჩემი დაა, მე მას კარგად ვიცნობ! ის არათან-
 მიმდევრულია, ჩვეულებრივი გოგონაა, მას მოსწონს მხოლოდ აბრეშუმის წინდებით სიარული, კადილაკით
 მგზავრობა, ეს არის და ეს.
 ჭოუ ჩუნგ-ი მამ გეტყვი, შენ სცდები მის შეფასებაში.
 ლუ ტახაი არ ვცდები, თქვენი, მდიდრების სამყარო მაცდუნებელია, რაც მეტად შეეხება,
 მით მეტად მიილტვის მისკენ. და უფრო მეტად დარდსა და უბედურებაში აღმოჩნდები. თქვენი მსუბუქი
 მანქანების, თქვენი ფოქსტროტების, თქვენი უსაქმურობის, ორი წლის განმავლობაში ცქერით გაძღა. მას
 ყველაფერი ხიბლავს და აბნევს. ასე, რომ დაავინწყდა საიდან მოვიდა და ახლა თავის სახლში მაინცა და მაინც
 თავს კარგად ვერ გრძნობს. მაგრამ ის ღარიბის ქალიშვილია. მისი მომავალი ჩვეულებრივი მუშის ცოლად
 ყოფნაა, რომელმაც უნდა რეცხოს, საჭმელი ამზადოს, ნახშირი აგროვოს. ჰმ, სკოლაში სიარულის ოცნებამ,
 ან მდიდარზე გათხოვებამ და მის უბეში ცხოვრებამ გაიტაცა, ამისათვის ქალბატონად უნდა დაიბადო! ლა-
 რიბებს ეს არც დაესიზმრებათ.
 ჭოუ ჩუნგ-ი შენი სიტყვები დასაბუთებულია, მაგრამ...
 ლუ ტახაი აი ამიტომ, თუ ბატონიშვილი გულწრფელია, ლუ ს'წენგ-ის მზრუნველობის გამო,
 ამ დღიდან ცხვირსაც ვერ შემოჰყვობს ჩვენს სახლში, და არავითარი დაპირებები.
 ჭოუ ჩუნგ-ი მე მიმაჩნია, რომ ზედმეტათ ცრუმორწმუნე ხართ, ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ
 მამაჩემი მაღაროს მფლობელია, მაშინ...
 ლუ ტახაი (თვალეზადაჭყეტილმა) ახლა მე გაფრთხილებ.....
 ჭოუ ჩუნგ-ი მაფრთხილებ?
 ლუ ტახაი თუ კიდევ გნახავ ჩემს სახლში მორბენილს, ან ჩემს დასთან ერთად თუ შეგხვდები,
 მე აუცილებლად (გაიღიმა, ცოტა შერბილებულად) კეთილი, ვიმედოვნებ ასეთი რამ აღარ მოხდება, ბა-
 ტონიშვილო, ძალიან გვიანია. ჩვენ უნდა დავიძინოთ.
 ჭოუ ჩუნგ-ი შენ, შენ ასე საუბრობ – მე არ ველოდი, მე არ ვფიქრობდი, ალბათ მამეჩემის ნათქ-
 ვამი მართლდება.
 ლუ ტახაი (მოლუშული) ჰმ! (აფეთქდა) მამაშენი? მამაშენი ძველი არამზადაა!
 ჭოუ ჩუნგ-ი რა?
 ლუ ტახაი შენი უფროსი ძმა კი...
 (ლუ ს'წენგ-ი შემოვლის მარცხენა კარიდან)
 ლუ ს'წენგ-ი შენ, შენ ხმა გაიკმინდე (მიანიშნებს ტახაი-ზე) პირდაპირ მონსტრად გარდაიქცი!
 ლუ ტახაი შენლა? შენ, უბრალოდ, სულელი ყვეყჩი ხარ!
 ლუ ს'წენგ-ი მე არ ვაპირებ შენთან ლაპარაკს! (ჩუნგ-ს) შენ კი ნადი, ნადი, არ არის საჭირო

ამდენი სიტყვები.

ჭოუ ჩუნგ-ი (გამოუვალ მდგომარეობაშია, უყურებს ტახაი-ს) კეთილი. მე ნავალ (ს'წენგ-ს) მე შენს წინაშე თავს დამნაშავედ ვგრძნობ, მოვედი, რათა ბოდში მოგიხადო, უარესი კი გამოვიდა.

ლუ ს'წენგ-ი არ ღირს ამაზე, მეორე ბატონიშვილო, ნაბრძანდით, მიბრძანდი, აქ არ არის თქვენი ადგილი

ჭოუ ჩუნგ-ი კარგი, ნავალ (ტახაი-ს) მშვიდობით. მე გპატიობ. (რბილად) მე ასევე მინდოდა როგორც ადრე, დავრჩენილიყავი შენს მეგობრად (ხელს უწვდის) სურვილი არ გაგქვს დამემშვიდობო?

(ტახაი არ აქცევს ყურადღებას შებრუნდება)

ლუ ს'წენგ-ი ჰმ!

(ჩუნგ-ი უსიტყვოდ გადის)

(ლუ კუეი შემოდის მარცხენა კარიდან, ხილით, ღვინითა და ცოტადენი საუზმით ხელში. სახე წითლად უღაჟღაჟებს, სასმელისაგან ცოტათი ბორძიკობს)

ლუ კუეი (ხედავს ჩუნგ-ი მიდის, ჩუნგ-ს) ეს როგორ?

ლუ ტახაი აბა ერთი მოტრიალდი! (ის მიდის).

ლუ კუეი არა, არა ბატონიშვილო, ჯერ არ მოსულხართ და უკვე მიდიხართ?

ლუ ს'წენგ-ი (გაბოროტებული) ჰკითხე ძმას!

ლუ კუეი (რალაცას მიხვდა, მოულოდნელად სიცილით ჩუნგ-ს) ოხ, ნუ მიაქცევთ ყურადღე-

ბას. დაბრძანდით ისევ.

ჭოუ ჩუნგ-ი არა, მე მაინც უნდა ნავსულიყავი.

ლუ კუეი ცოტა რალაცით შეიქცით თავი და ისე წადით, მე ხომ თქვენთვის ყველაფერი ახალი მოვიტანე, ცოტა გასინჯეთ, ორიოდე სირჩა გადავყლურნოთ, მერე წადით.

ჭოუ ჩუნგ-ი არა, გვიანია, დროა დავბრუნდე.

ლუ ტახაი (ს'წენგ-ს, მიუთითებს ლუ კუი-ს ნავაჭრზე) საიდან გაუჩნდა ამას ფული?

ლუ კუეი (შეტრიალდება ტახაი-სკენ) ჩემი პირადი ფულია, მამაშენის ჯაფით გამომუშავე-ბული.

ლუ ს'წენგ-ი არა, არა, ფული ჭოუ-ს ოჯახს ეკუთვნის, შენ კიდეც სხვის ფულს ხარჯავ? (შეტრიალდება ტახაი-სკენ) ქალბატონმა ჭოუ-მ 100 იუენ-ი გამოგზავნა, დედა სახლში არაა, მამაჩემმა კი აიღო ჩემს დაუკითხავად.

ლუ კუეი (გაბოროტებული, თვალგადმოკარკლული ს'წენგ-ს უხსნის) მეორე ბატონიშვილ-მა პირადად მოიტანა, რომ არ ამელო, თავაზიანობა იქნებოდა?

ლუ ტახაი (ჩუნგ-ს უახლოვდება) რა? როგორც სჩანს, შენ ფულის მოსატანად მოხვედი?

ლუ ს'წენგ-ი (ტახაი-ს) ბოლოს და ბოლოს გაიგე!

ლუ კუეი (ტახაი-ს – ქედმაღალი გამომეტყველებით, ქლესაობით) ხედავ რა კეთილმოსურნ-ენი ბრძანდებიან ამ ჭოუ-ს ოჯახში, ხალხნო...

ლუ ტახაი (ლუ კუეი-ს) აბა, ფული ამოყაჭე! მომეცი!

ლუ კუეი (შეშინებული) რატომ?

ლუ ტახაი მომცემ თუ არა? (გაბოროტებული, მკაცრად) არ მომცემ, კარგი, მამ გაიხსენე რა დევს სკივრში, გაიხსენე?

ლუ კუეი (შეშინებული) მოგცემ, მოგცემ! (ჯიბიდან იღებს ფულის კუპიურებს) ფული აქაა, ასი.

ლუ ტახაი (თვლის) რა? 10 აკლია

ლუ კუეი (თავს აიძულებს გაიღიმოს) მე, მე, მე დავხარჯე.

ჭოუ ჩუნგ-ი (არ სურს მსგავს სცენებს დაესწროს) მშვიდობით, მე წავედი!

ლუ ტახაი (იჭერს, ექაჩება) არ ნახვიდე. შენ ფიქრობ, ჩვენ შენს პროვოკაციას წამოვეგეთ?

ჭოუ ჩუნგ-ი ეს როგორ გავიგო?

ლუ ტახაი მე მაქვს ფული, ჯიბეში მაქვს ფული, ზუსტად ათიანი, იღებს ვერცხლის ფულსა და

ქალაღდის კუპიურებს

ლუ კუეი გაუგებარია!

ჭოუ ჩუნგ-ი დიახ, შენ არაადამიანური ხარ.

ლუ ტახაი ზუსტად, მე ვარ არაადამიანური, მე არ მესმის თქვენი და არ ვიზიარებ თქვენს

თვალთმაქცობას, ეს ნიანგის ცრემლები გაუგებარია

ლუ ს'წენგ-ი ძმაო!

ლუ ტახაი აიღე, შეაყოლე, შეაყოლე!

ჭოუ ჩუნგ-ი (განზილებული, ილუზიებდამსხვრეული, გაჩერდა, აიღო ფული) კეთილი. ნავალ, მე ნავალ, მე ვცდებოდი.

ლუ ტახაი და დაიხსომე, ჭოუ-ს ოჯახიდან ვინც არ უნდა მოვიდეს, ყველას მოვკლავ!

ქოუ ჩუნგ-ი გმადლობ, ვფიქრობ, ქოუ-ს ოჯახში არ მოიძებნება ჩემი მსგავსი სულელი, მშვი-
 დობით! (გადის მარჯვენა კარიდან)
 ლუ ს'ფენგ-ი ტახაი!
 ლუ ტახაი (ხმამალლა, გამოკიდებით) მოუსვას!
 ლუ კუეი კარგი, კარგი, კარგი, მე თქვენ შუქს აგინებთ, იქ ბნელა!
 ქოუ ჩუნგ-ი გმადლობ.
 ლუ ს'ფენგ-ი მეორე ბატონიშვილო (გარბის)
 ლუ ტახაი ს'ფენგ! ნუ მისდევ! (დაინახა, რომ გარბის) აი, სულელი!
 (გადია ლუ შემოდის მარჯვენა კარიდან)
 ლუ ტახაი დედა, იცით, მეორე ბატონიშვილი ქოუ იყო მოსული.
 ლუ შ'ფინგ-ი ვიცი, კართან ვნახე, ვყოყმანობდი შემოსვლას,
 ლუ ტახაი ქალბატონმა ქოუმ 100 იუენ-ი გამოგზავნა.
 ლუ შ'ფინგ-ი (განაწყენებული) ჰმ, არაა საჭირო მისი საჩუქრები, მაინც ნავიყვან ჩემს ქალიშ-
 ვილს.
 ლუ ტახაი მიემგზავრებით? ს'ფენგ-თან ერთად?
 ლუ შ'ფინგ-ი დიახ, ხვალვე.
 ლუ ტახაი ხვალ?
 ლუ შ'ფინგ-ი დიახ, გადავიფიქრე, უცილობლად ხვალ.
 ლუ ტახაი შესანიშნავია, ძალიან კარგი, მამს სათქმელიც აღარაფერი მაქვს.
 ლუ შ'ფინგ-ი რას ნიშნავს?
 ლუ ტახაი (არ ამჟღავნებს) არაფერი განსაკუთრებული, რომ დავბრუნდი, ვხედავ, მეორე ბა-
 ტონიშვილთან როგორ ჭუკჭუკებს.
 ლუ შ'ფინგ-ი რაზე საუბრობდნენ? (უნებურად)
 ლუ ტახაი (მრავალაზროვნად) საიდან უნდა ვიცოდე, ყოველ შემთხვევაში საუბარი ძალიან
 გულთბილი იყო
 ლუ შ'ფინგ-ი (გაოცებულია) ო?.. (თავისთვის) ეს როგორი სულელია?
 ლუ ტახაი დედა, ნახეთ დედა ჭანგ-ი? როგორაა საქმეები?
 ლუ შ'ფინგ-ი ავეჯს ვყიდი, გადანყვეტილია, მოვილაპარაკეთ.
 ლუ ტახაი ჯარგია. დედა, მე ნავედი.
 ლუ შ'ფინგ-ი შენ საით?
 ლუ ტახაი მთელი ღამე რიკშით ვატარებ ხალხს, ფული გაგვითავდა.
 ლუ შ'ფინგ-ი არაა საჭირო, მე მაქვს.
 ლუ ტახაი არა, კიდევ დაგჭირდებათ
 (ლუ ტახაი მარჯვენა კარიდან გადის)
 ლუ შ'ფინგ-ი (ყვირის) ტახაი, ტახაი!
 (შემოდის ლუ ს'ფენგ-ი)
 ლუ ს'ფენგ-ი დედა, დაბრუნდით?
 ლუ შ'ფინგ-ი დავბრუნდი, ბატონიშვილის გაცილებას ჩქარობდი და ვერ შემამჩნიე.
 ლუ ს'ფენგ-ი (განუმარტავს) მეორე ბატონიშვილი გამოგზავნა დედამისმა
 ლუ შ'ფინგ-ი გავიგე შენი ძმისგან. რაზე საუბრობდით?
 ლუ ს'ფენგ-ი ბატონიშვილზე მეკითხები?
 ლუ შ'ფინგ-ი დიახ. რას გელაპარაკებოდა?
 ლუ ს'ფენგ-ი არაფერ განსაკუთრებულზე, ისე, როგორც ყოველთვის, ჩვეულებრივად.
 ლუ შ'ფინგ-ი ფენგ-იკო, ეს სიმართლეა?
 ლუ ს'ფენგ-ი საინტერესოა რას გეჭორავა ძმა, ერთი ბენო ადამიანური გრძნობა არ გააჩნია.
 ლუ შ'ფინგ-ი (მკაცრად) ფენგ-იკო (უყურებს სახეში, ხელს ჰკიდებს) შემომხედე, მე ხომ დედაშენი
 ვარ, არა?
 ლუ ს'ფენგ-ი დედა, რა გჭირს?
 ლუ შ'ფინგ-ი ს'ფენგ, შენ ხომ იცი, ამ ქვეყანაზე ყველაზე ძალიან შენ რომ მოყვარხარ, იცი, არა?
 ლუ ს'ფენგ-ი დედა, რა საჭიროა ასეთი საუბარი
 ლუ შ'ფინგ-ი ნუთუ დედაშენი ყველაზე საბრალო ბებერია ამ ქვეყანაზე, არავის არ უნდა?
 ლუ ს'ფენგ-ი დედა, არ არის მართალი, მე მიყვარხარ
 ლუ შ'ფინგ-ი მამ მე შენთან ერთადერთი თხოვნა მაქვს
 ლუ ს'ფენგ-ი დედა, მამ მითხარით, რაშია საქმე?
 ლუ შ'ფინგ-ი შენ ვალდებული ხარ მითხრა, ბოლოს და ბოლოს შენ და ბატონიშვილ ქოუ-ს რა
 ურთიერთობა გაქვთ?

ლუ ს'ფენგ-ი რასაკვირველია, ძმა რაღაც სისულელეებზე გეჭორავა, რა გითხრათ?

ლუ შ'ფინგ-ი მან არა. მას არაფერი განსაკუთრებული არ უთქვამს, მაგრამ მე დედა ვარ შენი და შენგან მინდა გავიგო!

(შორიდან ძლივსლა აღწევს ჭექა-ქუხილის ხმა)

ლუ ლუ ს'ფენგ-ი რატომ მეკითხები? მე ხომ მოგიყევი, არაფერი, დედა, დამიჯერე, არაფერი.

(შორიდან ისევ ისმის ჭექა-ქუხილის სუსტი ხმა)

ლუ შ'ფინგ-ი მოუსმინე, ელვაა და ჭექა-ქუხილი, ნუ სცოდავ, ნუ მატყუებ!

(პაუზა)

ლუ ს'ფენგ-ი დედა, მე არ გატყუებ! მე ხომ გითხარი, ბოლო ორი წელი...

(ლუ კუეი-ს ხმა: შ'ფინგ, მოდით, დაწეკით, უკვე ძალიან გვიანია)

ლუ შ'ფინგ-ი მე ნუ მელოდები, დაწეკი და დაიძინე!

[ლუ კუეი: შემოდი!

ლუ შ'ფინგ-ი ნუ მბრძანებლობ! – (ს'ფენგ-ს) რა თქვი?

ლუ ს'ფენგ-ი მე ხომ გითხარით, ბოლო ორი წელია ყოველდღე შინ ვბრუნდები, ღამეს ყოველთ-ვის შინ ვათევ.

ლუ შ'ფინგ-ი შვილიკო, სიმართლე უნდა მითხრა, მე ვერ ავიტან დარტყმებს –

ლუ ს'ფენგ-ი (ქვითინებს) დედა, დედა, რატომ არ გჯერათ ღვიძლი შვილის? (მკლავებში უვარ-დება, ეხვევა, ტირის)

ლუ შ'ფინგ-ი (ცრემლებს ინმენდს) ფენგ-იკო, ჩემო საბრალო შვილო, ძალიან მიყვარხარ და მე-შინია უცხოში რაიმე ზიანი არ მოგაყენოს, არ გაგაჯავროს, (ტკივილით), ზედმეტად ვერ ვენდობი ადამიანებს. ჩემო სულელო, შენ არ გესმის დედაშენის შიში, დარდი. ძნელია მოყოლა იმისა, თუ როგორი ყმაწვილ-ქალო-ბა მქონდა, რამდენი ჭირ-ვარამი გადავიტანე, გვერდით არ მყავდა ადამიანი, ვინც ბევრი უბედურებისაგან დამიცავდა. მე ერთხელ წამიცდა ფეხი და ეს ჩემი ბედისათვის მიუტყვევებელი აღმოჩნდა, შემდეგ შეცდომები შეცდომებს მოჰყვა და მთელი ჩემი ცხოვრება შეცდომებში გავატარე. ერთი ქალიშვილი გაგაჩინე და არ მინდა ვინმემ მოგატყუოს, ადამიანის გულები შეიცვალა, მაგრამ მე შენ ისე ძალიან მიყვარხარ, რომ ვერ გადავიტან თუ შენც მომატყუებ!

ლუ ს'ფენგ-ი არა, არა, დედა, დღეიდან სიცოცხლის ბოლომდე შენი ვარ, მხოლოდ შენი.

ლუ შ'ფინგ-ი (მოულოდნელად) ფენგ-იკო, მე აქ ყოველდღიურად ისეთ განცდებში ვარ, რომ ხვალ უნდა გავემგზავროთ და პირი არ უნდა ვქნათ აქეთ.

ლუ ს'ფენგ-ი რა? ხვალვე? (ადგა)

ლუ შ'ფინგ-ი (მტკიცედ) ჰმ, დიას!

ლუ ს'ფენგ-ი დედა, რატომ ასე ადრე?

ლუ შ'ფინგ-ი შენ რა, საქმეები გაქვს?

ლუ ს'ფენგ-ი (გაუბედავად) არა, მე, მე...

ლუ შ'ფინგ-ი არ გინდა დედასთან ერთად ცოტა ადრე წასვლა?

ლუ ს'ფენგ-ი (მწარედ გაიღიმა, ამოიოხრა) არ იქნება ცუდი, ხვალ, იყოს ხვალ.

ლუ შ'ფინგ-ი (ეჭვიანობს) შვილო, კიდევ რაიმეს მიმაღავე?

ლუ ს'ფენგ-ი (ღვარ-ღვარით წამოსულ ცრემლებს ინმენდს) დედა, არაფერს.

ლუ შ'ფინგ-ი (კეთილგანწყობით) შვილიკო, დაიხსომე რაც გითხარი?

ლუ ს'ფენგ-ი დავიხსომე.

ლუ შ'ფინგ-ი ფენგ-იკო, მე მოვითხოვ რომ, შენ არასოდეს არ შეხვედრილიყავი ჭოუ-ს ოჯახის არც ერთ წევრს!

ლუ ს'ფენგ-ი (გულდამძიმებული) კეთილი, დედა.

ლუ შ'ფინგ-ი (შენუხებული) არა, დაიფიცე!

ლუ ს'ფენგ-ი (მუხლებზე ეცემა) დედა, (მუხლებზე შემოხვევს ხელებს), არა, არა, დედა, არ შემძლია.

ლუ შ'ფინგ-ი (ცრემლი სდის) შენ გინდა გული დამიკოდო? ნუთუ ყველაფერი დაგავინწყდა? ყველაფერი? შენი ავადმყოფობის გამო კინალამ მოკვდი, დაგავინწყდა? როგორ გივლიდი, ახლა... (შეტრი-აღდება და ქვითინებს)

ლუ ლუ ს'ფენგ-ი ო, კარგი დედა, დავიფიცებ, დავიფიცებ.

ლუ შ'ფინგ-ი აი ასე, დაიჩოქე და ისე დაიფიცე (თვითონ დგება)

[ჭექა-ქუხილის ხმა ახლოვდება

ლუ ს'ფენგ-ი (გულგატყნული) მაშ, მაშინ დაე, მეხი დამეცეს (დედას მკავებში უვარდება) ო, დედა, ძვირფასო, ო! – (ხმამალლა ქვითინებს)

[ელვა თითქოს ცაზე გასრიალდა

ლუ შ'ფინგ-ი (გულში ჰყავს ჩახუტებული ქალიშვილი, მოსთქვამს) უფარგისია დედაშენი, ცუდი, მაპატიე, მაპატიე (ტირის)

[ლუ კუეი მარჯვენა კარიდან შემოდის, იხდის პერანგს, უსახელოებო ზედატანის ამარა რჩება, უფორმო სხეული ზედნადები ცხიმის ფენით, ცხიმიანი კანის გამო სახე ულაპლაპებს, მღერის, ზღუქუნებს, თვალებმოჭუტული უყურებს ორივეს)

ლუ კუეი ასე გვიან კიდეც არ გძინავთ (უყურებს გადია ლუ-ს) რაზე, ეს თქვენ!

ლუ შ'ფინგ-ი არ არის შენი საქმე, წადი და დაწეი, მე ს'ფინგ-თან დავწვები.

ლუ კუეი რა?

ლუ ს'ფინგ-ი არა, დედა, წადი, მომეცი საშუალება მარტო დავრჩე

ლუ კუეი შ'ფინგ, მთელი დღე ს'ფინგ-ი განცდებშია, შენლა აკლიხარ, რა გინდა მისგან?

ლუ შ'ფინგ-ი ფინგ-იკო, შვილიკო, შენ მართლა არ გინდა, რომ შენთან დავწვე?

ლუ ს'ფინგ-ი დედა, ნება მომეცი მარტომ დავისვენო.

ლუ კუეი აი, ხომ ხედავ, წადი. რა გინდა? გაუშვი გოგომ კარგად დაისვენოს, ის ხომ მიჩვეულია ცალკე ძილს. კარგი, მე წავედი.

[ლუ კუეი მიდის]

ლუ შ'ფინგ-ი კარგი, ამჯერადაც ფინგ-იკო კარგად გამოიძინე, მერე შემოვიხედავ

ლუ ს'ფინგ-ი კეთილი, დედა!

(გადია ლუ გადის. ლუ ს'ფინგ-ი მაგრად ხურავს მარჯვენა კარს, კედლის მიღმიდან ისმის ლუ კუეი-ს სიმღერა. იმეორებს ტექსტსა და მელოდიას. ს'ფინგ-ი დგება, მიდის მრგვალ მაგიდასთან, ლამფას ალს უკლებს, იხდის ტანისამოსს, სანოლის კიდეზე მჯდარი აყურადებს ძაღლების ყეფასა და ბაყაყების ყიყინს. ფანჯრის მიღმა ღამის ყარაული სარაკუნით დროს გვამცნობს. სახეზე ხელსახოცით ოფლს იწმენდს, ინიავებს მარათი, სულში საშინელი შფოთი უტრიალებს, ისევ მიდის მაგიდასთან. ისევ ლუ კუეი-ს სიმღერა. ხელს იდებს მკერდზე და გრძნობს როგორ ეწვის, აღმოხდება სიტყვა „ო, განგებავ!“ უცბად იღებს ღვინის ბოთლს, იმედაგანყვეტილი მოსვამს, ისევ მიუჯდება მაგიდას.)

[ლუ კუეი შემოფლასტუნდება]

ლუ კუეი რატომ არ გძინავს?

ლუ ს'ფინგ-ი (უყურებს მას) დიახ.

ლუ კუეი (ხედავს, ბოთლი უჭირავს) დალევის ნება ვინ მოგცა? (სიცილით, მაგიდიდან იღებს ღვინოსა და საუზმეს) წადი, წადი, დაიძინე.

ლუ ს'ფინგ-ი (როგორც მთვარეული) დიახ.

ლუ კუეი (კარებთან მისული) გვიანია, დედას დაუძინია

[ლუ კუეი მიდის]

(ლუ ს'ფინგ-ი მიუახლოვდება მარცხენა კარს, ხურავს, აყურადებს, მივა მრგვალ მაგიდასთან, მუშტს უბრაზუნებს, უკიდებს სიგარეტს და უცბად, „ო, განგებავ!“ გარედან ისმის ხმა, რომელსაც მოწყურებული აყურადებს, ლამფას შუქს უმატებს და იწყებს გახშირებულ სუნთქვას. სტვენის ხმა ახლოვდება, ნათებას ასუსტებს, მაგიდას მიკრულ სმენადქცეულს ფანჯრის მიღმა ნაბიჯების ხმა და ხველა აკრთობს. ლუ ს'ფინგ-ი მსუბუქი ნაბიჯით უახლოვდება ფანჯარას, ეყრდნობა. იგი პირისახით მაყურებლისაკენაა)

(გარედან ხმაურია; კაკუნი ფანჯარაზე)

ლუ ს'ფინგ-ი (აკანკალებული) ო!

(გარედან ხმა: ფანჯარაზე კაკუნი): ე! გააღე, გამიღე!

ლუ ს'ფინგ-ი ვინ არის?

(ხმა გარედან (გაურკვეველად): აბა თუ მიხვდები!

ლუ ს'ფინგ-ი ახლა არ შემიძლია შენთან შეხვედრა (სახეზე ფერი ეკარგება. კანკალებს)

(გარედან: (სიცილით, გაურკვეველად) გულით ამბობ ამას?

ლუ ს'ფინგ-ი (აღელვებით, ჩქარობს) დედა სახლშია

(გარედან ხმა აგულიანებს. „მერე რა, მან დაიძინა“)

ლუ ს'ფინგ-ი (მზრუნველობით) გაფრთხილდი, ჩემი ძმა დასანახავად ვერ გიტანს, და არც ხუმრობს

(ხმა გარედან. მის სიტყვებს არც უკვირდება) ის სახლში არაა, მე ვიცი.

ლუ ს'ფინგ-ი (ზურგით მაყურებლისაკენ ტრიალდება) წადი!

(ხმა გარედან: არა! (ძლიერად აწვევა ფანჯარას, ფინგ-ი მთელი ძალით აკავენს)

ლუ ს'ფინგ-ი (ძლიერ აღელვებული) არა, არა, არ შემოხვიდე.

(ხმა: (ჩუმად) ს'ფინგ, ს'ფინგ, გეშუადარები! გამიღე!

ლუ ს'ფინგ-ი არა, არა! უკვე შუა ღამეა, გახდილი ვარ.

(ხმა: (ნაჩქარევად) რა? გახდილი?

ლუ ს'ფინგ-ი დიახ (უნებურად თავს უქნევს) მე უკვე სანოლში ვარ.

(ხმა: (აკანკალებული) მაშინ... მაშინ... მე... მე... (ოხვრა)

ლუ ს'ფენგ-ი (ხვეწით) არ არის შემოსვლა საჭირო, კარგი?

(ხმა: (სხვა ტონით) კეთილი, კარგი, წავალ (ნაჩქარევად), მაგრამ ფანჯარა ჯერ ცოტა შეაღე, მე...

ლუ ს'ფენგ-ი არა, არა! წადი ჩქარა

(ხმა: (გულლიად) არა, ფენგ, უფლება მომეცი... მხოლოდ გაკოცო...

ლუ ს'ფენგ-ი (გატანჯული) ო, უფროსო ბატონიშვილო, ესეც ხომ თქვენი რეზიდენცია არაა, გეყოფა ჩემი ტანჯვა.

(ხმა: (განანყენებული) ე.ი. დაგავინყედი,

ლუ ს'ფენგ-ი (მტკიცედ) დიახ, დიახ. (შეტრიალდება სახით მაყურებლისაკენ, გატანჯული, ნაღვ-ლიანად) მე დაგვიწყე, წადი.

(ხმა: (მოულოდნელად, ე.ი. ჩემი ძამიკო იყო შენთან?)

ლუ ს'ფენგ-ი (მერყეობს) აბა რა, დიახ.. იმან... იმან... შემოიარა!

(ხმა: (დაეჭვებული, ზიზღით) ვაი! (ხანგრძლივი ოხვრა), ახლა გასაგებია, უცნაური სულაც არ არის, რომ შენ ასეთი გახდი!

ლუ ს'ფენგ-ი (გამოუვალ მდგომარეობაში) მაგრამ შენთვის ხომ ნათელია, რომ მე ის არ მიყვარს.

(ხმა: (მლიქვნელურად) ჰმ, მითუმეტეს, უგულოვ... მაგრამ გაფრთხილდი, თუ მუხანათობ, არ გაპატიებ (ირონიულ-სარკასტული სიცილი)

ლუ ს'ფენგ-ი რა მუხანათობაზეა ლაპარაკი

(ხმა: (მოუთმენლად, გაღიზიანებით) მაშ რატომ არ ალებ კარს? რატომ არ მიშვებ? შენ ხომ იცი, რომ წრფელი გულით მიყვარხარ, რომ შენს გარეშე არ შემიძლია.

ლუ ს'ფენგ-ი (ხვეწით) ოჰ, უფროსო ბატონიშვილო, კმარა ჩემი ტანჯვა, კარგი? დღეს, ერთ დღე-ში შენი გულისათვის ამდენი უსიამოვნება, არ არის საკმარისი?

(ხმა: (გულწრფელად) მაგრამ, მე ხომ ვაღიარებ, რომ ვცდებოდი, თუმცა ახლა მინდა შენი ნახვა, აი ზუსტად შენი ნახვა.

ლუ ს'ფენგ-ი (ოხრავს) კარგი, საუბარი ხვალისათვის გადავდოთ, გთხოვ! ხვალ ყველაფერი იქნება ისე, როგორც შენ მოისურვებ, ყველაფერში დაგემორჩილები!

(ხმა: (ხვეწა-მუდართით) ხვალ?

ლუ ს'ფენგ-ი (სიმწრით იცინის, ცრემლი სდის, იმმენდს) ხვალ! ასე, ხვალ.

(ხმა: (ეჭვით) ხვალ, ეს სიმართლეა?

ლუ ს'ფენგ-ი დიახ, სიმართლეა, მე არასოდეს მომიტყუებხარ.

(ხმა: კარგი, იყოს ასე, ხვალ, მამ ნულარ დამადანაშაულებ).

(ნაბიჯების ხმა)

ლუ ს'ფენგ-ი ნახვედი?

(ხმა: დიახ, მივდივარ)

(ნაბიჯების ხმა შორდება)

ლუ ს'ფენგ-ი (თითქოს ლოდი გულიდან მოსწყდა, თავისთვის) წავიდა! ის წავიდა! ო, (მკერდზე იკიდებს ხელს, უსმენს გულის ცემას) რა ჩახუთულია, რა სიცხება (ალებს ფანჯარას, დგას, ნიავი უბერავს, ხელს ისვამს გავარვარებულ, ანთებულ ლოყებზე, ოხრავს, ოჰ!)

(სრულიად მოულოდნელად ჭოუ ფინგ-ი თითქოს ამოიზიდა ფანჯრის წინ)

ლუ ს'ფენგ-ი ვაი, დედა! (აჩქარებით მიხურავს ფანჯარას, მაგრამ ჭოუ ფინგ-ი ალებს და იწყება მათ შორის ბლლარძუნი)

ჭოუ ფინგ-ი (ფანჯრის დარბაზ უჭირავს) ახლა კი უკვე ვერ შეძლებ ჩემს გაგდებას.

ლუ ს'ფენგ-ი (მთელი ძალით ცდილობს ფანჯრის დაკეტვას) შენ... შენ... შენ.. წადი რა!(ერთმანეთს აწვებიან ფანჯრის ჩარჩოთი, ჯერ-ჯერობით ვერც ერთი ვერ ჯობნის)

(ბოლოს ჭოუ ფინგ-ი შემოხტება ფანჯარაში, ბოლომდე გალუმპული, თიხაში ამოგანგლული, მარჯვენა ლოყა სისხლით აქვს დასვრილი)

ჭოუ ფინგ-ი ხომ ხედავ, მაინც შეეძელი შემოძრომა!

ლუ ს'ფენგ-ი შენ ისევ ნასვამი, მთვრალი ხარ!

ჭოუ ფინგ-ი ო, არა (ხვეწით) ს'ფენგ, რატომ გამირბიხარ? დღეს გეგმა შეიცვალა, მე ხვალ დი-ლიდან მივემგზავრები, შენ კი გინდა ჩემი გაბრიყვება და მეუბნები, ხვალ შევხვდეთო. შენი ნახვისათვის ასეთი ცოტა დრო მრჩება. რატომ გამირბიხარ? გემინია ჩემი? (ტრიალდება მარჯვნივ. მეორე ლოყაც და-სისხლიანებული უჩანს)

ლუ ს'ფენგ-ი (შეშინებული) რა დაგემართა სახეზე? (მიანიშნებს)

ჭოუ ფინგ-ი (სახეზე იკიდებს ხელს და ხელის გულიც უსისხლიანდება) გეძებდი, ფეხი დამისრი-აღდა და დავიმტვერი (უახლოვდება ფენგ-ს და ეკვრის)

ლუ ს'ფენგ-ი არა, არა. წადი! გემუდარები, წადი!

ჭოუ ფინგ-ი (უცნაურად იცინის) არა, ამ ჯერზე მე უნდა კარგად დაგაკვირდე (ხელს ჰკიდებს ხელზე)
 (ძლიერად დაიქუხა)
 ლუ ს'ენგ-ი (ხელიდან გამოეცალა) არა, გესმის? დაიქუხა, როგორი ჭექა-ქუხილია, ფანჯარა მიხურე. ელავს.
 (ფინგ-ი ემორჩილება)
 ჭოუ ფინგ-ი შენ რალამ შეგაშინა?
 ლუ ს'ენგ-ი (აკანკალებული ხმით) შენი, შენი მეშინია (უკან იხევს), შეხედე, რა საშინელი სახე გაქვს, არც მეტი, არც ნაკლები მკვლელის... მთელი სახე სისხლში გაქვს... ვერ გცნობ... შენ...
 ჭოუ ფინგ-ი (ისეთივე უცნაური ღიმილით) შენ რა გეგონა, ვინ ვარ? ჩემო სულელი? (ისევ მის ხელს ჰკიდებს ხელს)
 (გარედან ხმა და ქალის ხვნეშა ისმის. კაკუნი ფანჯარაში)
 ლუ ს'ენგ-ი (ძლიერად კრავს ხელს) მომისმინე! რა არის? თითქოს ფანჯრის მიღმა ვილაც დგას და ჩურჩულებს.
 ჭოუ ფინგ-ი სისულელეა (აყურადებს) არავინ, არაფერი!
 ლუ ს'ენგ-ი მომეჩვენა ქალის ხმა, ხვნეშა.
 ჭოუ ფინგ-ი (აყურადებს) არა, არაფერი! (უცბად გადაიხარხარა) სულების ხმა თუ იყო? კუი, მო-გეჩვენა? (განმარტება: ძველი გაგებით კუი გარდაცვლილის სულია გარკვეული სახით, რომელიც შეიძლება ადამიანს მოეჩვენოს. ამიტომ მათი ქცევაც, დამოკიდებულება ცოცხლების ან მათი შთამომავლობის მიმართ შესაბამისია. რაც შეეხება სულს – ლინგ, გარდაცვლილის სულია, მანამ ის სხეულშია; ჰუნ- ზოგადად სულია; ნინგ – გარდასახული სულია – ენერჯია; ამის გამო აქ იგულისხმება კუი, რომელიც ახლოსაა ეშმაკთან, ან გარდაცვლილის სულთან, რომლის მოჩვენებითი სახე ყოველთვის შემაშინებელია)
 [ჭექა-ქუხილი გაძლიერდა. უცბათ ყველამ და ყველაფერმა სული განაბა, რასაც მოჰყვა ძლიერი მეხის გავარდნა)
 (ჩუმად) ოი, ჩემო დედი (მიიღრინა ფინგ-თან და გულში ჩაეკონა), მეშინია, მეშინია! (გამოეხსნა და კუთხისკენ დაიხია)
 (ელავს, სცენა თანდათან ბნელდება, ქარმა ღიად დატოვებული ფანჯარა შემოაფრიალა. გარეთ უკუნი სიბნელეა. უცბათ მოლურჯო-მოცისფრო ელვა, გველივით, თავზარდამცემად გაიკლავს. მის ფონზე გამორჩნდება საშინელი მოჩვენება, მკვდარივით ფერმიხდილი Fანი-ს სახე. სახეზე ნაკადულებად მოედინება წვიმის წყალი, მის სახეს თითქოს ღიმილი გადაჰკვრია, სინამდვილეში კრუნჩხვისაგან შებოჭილი სახის კუნთებია. ჩანს აგრეთვე ორი ერთმანეთში მჭიდროდ ჩახვეული ადამიანი. ელვის ნათების დასრულებასთან ერთად, ფანჯრის მიღმა ისეთი უკუნიითი სიბნელე ისადგურებს, თითქოს შავი ზეთის საღებავებით შეეღებათ. ისევ იელვებს, ლუ ს'ენგ-ი ფრთხილად კეტავს ფანჯარას, ჭექა-ქუხილი ისმის სულ შორსა და შორს, მაგრამ მკაფიოდ. ოთახში სიბნელეა, შეუძლებელია რამის ან ვინმეს გარჩევა, მაგრამ გარკვევით ისმის ს'ენგ-ის ხმა)
 ლუ ს'ენგ-ი (ჩუმად) მომეხვიე, მაგრად მომეხვიე, ისე მეშინია
 (სცენა ხან ნათდება, ხანაც ბნელდება, მაგრამ ჩანს მხოლოდ მრგვალ მაგიდაზე ნავთის ლამფა და გარეთ ცაზე გველივით განოლილი ელვის ნათება. ისმის სახლში დაბრუნებული ტახაი-ს ხმა და კაკუნი. სცენა თანდათანობით ნათდება. ჭოუ ფინგ-ი ზის სავარძელში, ლუ ს'ენგ-ი დგას მის სიახლოვეს.
 ჭოუ ფინგ-ი (აყურადებს) ვინ შეიძლება იყოს?
 ლუ ს'ენგ-ი გაჩუმდი!
 [გადია ლუ-ს ხმა: ტახაი, დაბრუნდი?
 (ტახაი-ს ხმა: თავსხმაა, მოულოდნელად რიქმის სადგომის სახურავი ჩამოინგრა)
 ლუ ს'ენგ-ი (აღელვებული, ჩქარა, ჩუმად) ძმა დაბრუნდა. წადი, ჩქარა წადი.
 (ფინგ-ი მიდის ფანჯარასთან, ცდილობს გაღებას)
 ჭოუ ფინგ-ი (მთელი ძალით) უცნაურია!
 ლუ ს'ენგ-ი რა?
 ჭოუ ფინგ-ი (სწრაფად) ფანჯარა გარედან ვილაცას ჩაუკეტავს.
 ლუ ს'ენგ-ი (შეშინებული) რაო? მართლა? ვის შეეძლო ეს ექნა?
 ჭოუ ფინგ-ი (ისევ ცდილობს გაღებას), არ ილება.
 ლუ ს'ენგ-ი გაჩერდი, კარებთან დგანან.
 (ტახაი-ს ხმა: დედა, სანოლის დაფები სადაა?
 (გადია ლუ-ს ხმა: ს'ენგ-თან ოთახში)
 ლუ ს'ენგ-ი ოი, ფინგ! შემოვლენ. დაიმალე, აბა დაიმალე.
 [ს'ენგ-ს მიჰყავს მარცხენა კარისაკენ. ტახაი ლამფით ხელში შემოდის)
 ლუ ტახაი (ნელა, მაგრამ ხმამაღლა) რა? (ხედავს ორივეს გაქვავებულებს) დედა! შემოდით რა,

ეს რა ოხრობაა!

(გადია ლუ შემოდის)

ლუ შ'ფინგ-ი ო, ცის განგებავ, ო, ღმერთებო! (ხმა ეხლიჩება)

ლუ ს'Fენგ-ი (ხედავს დედა როგორ მირბის მარჯვენა კარისკენ, უდიდესი სულიერი ტკივილით)

ა!

(გადია ლუ-ს ურდულზე უპყრია ხელი, საცაა გული ნაუვა)

ლუ ტახაი ო, ეს შენა ხარ?! (იღებს მაგიდიდან დიდ, ფართეპირიან მზარეულის დანას, ფინგ-ს

მივარდება, გადია ლუ მთელი ძალით ცდილობს სამოსის საყელოთი ფინგ-ის დაჭერას,)

ლუ შ'ფინგ-ი ტახაი, შეჩერდი, დაიძვრები ადგილიდან, მაშინვე შენს წინ დავლევ სულს.

ლუ ტახაი გამშვით! გამშვით! (ფეხების ბრაგუნით)

ლუ შ'ფინგ-ი (ხედავს, ფინგ-ი თითქოს მინაში ჩასობილი დგას, ყვირის) სულელო, რატომ არ გარბინარ! გაიქეცი!

(ფინგ-ი გონზე მოვიდა, მარჯვენა კარიდან გარბის)

ლუ ტახაი (ყვირის) დაიჭირეთ! დაიჭირეთ! მამა დაიჭი! (დედა მოეხვია ტახაი-ს და არ უშვებს,

ტახაი რამდენიმე ნაბიჯის მანძილზე მიათრევს)

ლუ შ'ფინგ-ი (ხედავს, რომ ფინგ-მა თავს უშველა და ვეღარ დაენევიან, ჯდება იატაკზე, მისი

მზერა გაქვავებული, გამტერებულია) ო, ცის განგებავ!

ლუ ტახაი (ერთ ადგილს ტკეპნის) დედა! დედა! რა სულელი ხარ!

(ლუ კუეი შემოდის)

ლუ კუეი ნავიდა? ლუ ს'Fენგ-ი სადღაა?

ლუ ტახაი უნამუსო პირუტყვი! გაიქცა!

ლუ შ'ფინგ-ი ვაი, ჩემო შვილო! შვილო ჩემო, გარეთ წყალს მიაქვს ყველაფერი – წყალდიდობაა,

სად ნავიდა, ო, ს'Fენგ-, ღმერთმა ნუ ქნას... (მირბის და ყვირის) ს'Fენგ!

ლუ ტახაი (გაქცეულ დედას ხელს სტაცებს) შენ საით?

ლუ შ'ფინგ-ი ასეთ თავსხმაში, მოვძებნი.

ლუ ტახაი კარგი, მეც ნამოვალ.

ლუ შ'ფინგ-ი ვერ დაგელოდები! (მირბის ყვირილით „ს'Fენგ“, ხმა ვრცელდება)

(ლუ კუეი ქუდს სტაცებს ხელს და ისიც გარბის, ტახაი რჩება მარტო, მიდის სკივრისკენ, იღებს პისტოლეტს, უყურებს, უბეში იდებს და გადის. ჭექა-ქუხილი, ელვა გრძელდება. აქტი მთავრდება წვიმის ხმაურითა და ლუ შ'ფინგ-ის ძახილით „ს'Fენგ!“)

ფარდა სწრაფად ეშვება

IV მოქმედება

სცენაზე ჭოუ ფუიუენ-ის მისაღები ოთახია. დაახლოებით ღამის 2 საათი.

(იხდება ფარდა. ჭოუ ფუიუენ-ი ზის დივანზე, ტორშერის შუქზე, რომელიც ოთახის მხოლოდ ნაწილს ანათებს. კითხულობს საბუთებს.. ოთახის დანარჩენი ნაწილი ჩაბნელებულია. მარტოა.)

(გარედან მკაფიოდ ისმის ძლიერი ჭექა-ქუხილისა და წვიმის ხმა. ფანჯარაზე ფარდაა ჩამოშვებული. შუა კარი მჭიდროდაა დახურული, მაგრამ კარის ფანჯრებიდან ჩანს, როგორ ჩაუნთქავს სიბნელეს გარემო, თუმცა ელვის ცისფერი ნათება დროდადრო სინათლეს ჰფენს დედამინას. ამ ფონზე ელექტრონის ბოძები და ხეები თითქოსდა შავი ტონების კონტურებით დაუხატავთ და ეს შემზარავ შთაბეჭდილებას ტოვებს. მაშინ, როცა თვალის ჩინი სიბნელეს მოუცავს, მაგრამ როგორც კი ელვის ნათება ქრება, ეს ზმანებაც მყისიერად უჩინარდება.)

ჭოუ ფუიუენ-ი (საბუთებს კითხვას თავს ანებებს/. ამთქნარებს, დაღლილ-დაქანცული იზმორება) ხალხო! მოდით ვინმე! (იღებს სათვალეს, შედარებით ხმამაღლა ამბობს) შემოდი! (წმენდს სათვალეს, მიემართება სასადილოს მარცხენა კარისკენ. მისთვის ჩვეული მშვიდი ინტონაციით) არის აქ ვინმე? (ჭექა-ქუხილი წყდება, მიემართება კარადის მარჯვენა მხარისკენ. რეკავს ზარს. როგორღაც ბუნებრივად, მის თვალთახედვის არეში მოექცევა შ'ფინგ-ის ფოტო. იღებს, იკეთებს სათვალეს და უყურებს)

(შემოდის მსახური)

მსახური ბატონო!

ჭოუ ფუიუენ-ი დიდხანს ვცდილობდი შენთვის ხმა მომენვდინა.

მსახური გარეთ წვიმის ხმაურია, არაფერი ისმის.

ჭოუ ფუიუენ-ი (საათზე მიანიშნებს) რატომ გაჩერებულა საათი (ცდილობს ახსნას) ყოველთვის მხოლოდ ლუ ს'Fენგ-ი მართავდა, დღეს წავიდა, ხომ ხედავთ, დაგვაინწყდა.

ჭოუ ფუიუენ-ი რა დროა?

მსახური ო, დაახლოებით ორი საათია.

ჭოუ ფუიუენ-ი ახლახანს დავუბარე ბუღალტერს წინგან-ში ფულის გადაეგზავნა, შეასრულეს? გაერკვნენ?

მსახური თქვენ ბრძანეთ, წინგან-ში ერთი პიროვნებისათვის, გვარად ლუ- სთვის, ასეა არა?

ჭოუ ფუიუენ-ი (თავს უქნევს)

მსახური ყველაფერი მზადაა.

(გარეთ ჭექა-ქუხილია. ჭოუ ფუიუენ-ი შეტრიალდება და ბალს გასცქერის)

ჭოუ ფუიუენ-ი გლიცინიების ფანჩატურთან ელექტროსადენი დაზიანდა, ქალბატონმა ამის თაობაზე თადარიგი დაიჭირა, შეაკეთეს?

მსახური გამოიძახეს, მაგრამ ხელოსანმა წვიმის გამო შეკეთებაზე უარი განაცხადა, დაგვპირდა, ხვალ მოვა.

ჭოუ ფუიუენ-ი ნუთუ საშიში არაა?

მსახური რასაკვირველია. სულ ცოტა ხნის წინ უფროსი ბატონიშვილის ძალღმა გაიარა, სადენს რომ შესებოდა დაკოჭლდებოდა. მაგრამ ჩვენ თოკით შემოვზღუდეთ ის ადგილი, ვერავინ შეეხება.

ჭოუ ფუიუენ-ი აი, თურმე, რომელი საათია?

მსახური ვფიქრობ ორზე მეტია. ბატონი არ ინებებს დანოლას?

ჭოუ ფუიუენ-ი ქალბატონს სთხოვე.

მსახური ქალბატონს უკვე სძინავს.

ჭოუ ფუიუენ-ი (სასხვათაშორისოდ) უმცროსი ბატონიშვილი სად არის?

მსახური დიდი ხანია სძინავს.

ჭოუ ფუიუენ-ი მაშ ნახე, რას აკეთებს უფროსი ბატონიშვილი.

მსახური ვახშმის შემდეგ გავიდა, ჯერაც არ დაბრუნებულა.

(პაუზა)

ჭოუ ფუიუენ-ი (მიდის დივანთან, ჯდება, ნალვლიანად) რა ხდება, სახლში ერთი სულიერი არაა?

მსახური დიახ, ბატონო, არავინ.

ჭოუ ფუიუენ-ი დღეს დილით არც ერთი სტუმარი?

მსახური დიახ, ბატონო. გარეთ ისეთი თავსხმაა, ვისაც სახლი აქვს, ყველა შინ იკეტება.

ჭოუ ფუიუენ-ი (ამთქნარებს, გრძნობს მარტოობას, სიცარიელეს) როგორც სჩანს, სახლში მხოლოდ მე არ მძინავს.

მსახური დიახ, თითქმის ყველას სძინავს.

ჭოუ ფუიუენ-ი კარგი, წადი.

მსახური თქვენ არაფერი გსურთ?

ჭოუ ფუიუენ-ი არაფერი.

[მსახური გადის შუა კარიდან. ფუიუენ-ი ბოლთას სცემს. ბოლოს ჩერდება კარადის მარჯვნივ, ისევ იღებს ფოტოს. ანთებს ჭალს. ამ დროს ჭოუ ჩუნგ-ი სასადილო ოთახიდან შემოდის.]

ჭოუ ფუიუენ-ი (გაოცებული და გახარებული) ეს შენა ხარ? შენ ჯერაც არ გძინავს?

ჭოუ ჩუნგ-ი დიახ.

ჭოუ ფუიუენ-ი მე მეძებდი?

ჭოუ ჩუნგ-ი არა, მეგონა დედა აქ იყო.

ჭოუ ფუიუენ-ი (გულგატეხილი) აა, დედაშენი ზევითაა.

ჭოუ ჩუნგ-ი არა მგონია, მის კარებზე საკმაოდ დიდხანს ვაკაკუნე, კარი დაკეტილია. კეთილი.

ე.ი. შესაძლებელია... მამა, კარგი, მე წავედი.

ჭოუ ფუიუენ-ი ჩუნგ-კო (ჩერდება) არ ნახვიდე.

ჭოუ ჩუნგ-ი მა, ჩემთან საქმე გაქვთ?

ჭოუ ფუიუენ-ი არა (სიყვარულით), აქამდე რატომ არ გძინავს?

ჭოუ ჩუნგ-ი (მორჩილებით) დიახ, მამა, დამიგვიანდა, წავალ, დავწვები.

ჭოუ ფუიუენ-ი სადილის შემდეგ თუ დალიე ექიმ ქეი-ს გამონერილი წამალი?
ჭოუ ჩუნგ-ი დავლიე.
ჭოუ ფუიუენ-ი ჩოგბურთი ითამაშე?
ჭოუ ჩუნგ-ი დიახ.
ჭოუ ფუიუენ-ი კარგ გუნებაზე ხარ?
ჭოუ ჩუნგ-ი დიახ, მამა.
ჭოუ ფუიუენ-ი (დგება, ხელზე ხელსა ჰკიდებს) ვფიქრობ, თითქოს ჩემი გეშინია, რატომ?
ჭოუ ჩუნგ-ი (ცივად) დიახ, მამა.
ჭოუ ფუიუენ-ი შენ თითქოს ჩემით უკმაყოფილო ხარ, ეს ასეა?
ჭოუ ჩუნგ-ი (დარცხვნილი) მე, მე არ შემიძლია ამის გამოთქმა, მა.

[პაუზა]

(ჭოუ ფუიუენ-ი ბრუნდება დივანისაკენ, ოხრავს)

ჭოუ ფუიუენ-ი (ნაღვლიანად) დღეს მამაშენმა იგრძნო, რომ ცოტა არ იყოს დაბერებულა (პაუზა) გესმის?

ჭოუ ჩუნგ-ი (ცივად) არა, არ მესმის.

ჭოუ ფუიუენ-ი (მოულოდნელად) არ გეშინია იმის გაფიქრებისა, რომ ერთ მშვენიერ დღეს, მოულოდნელად, მამაშენი მოკვდება და შენზე მზრუნველი აღარავინ იქნება? ნუთუ არ გეშინია?

ჭოუ ჩუნგ-ი (უმეტყველო სახით) მა კი, მეშინია.

ჭოუ ფუიუენ-ი (ცდილობს უფრო მეტად აღერსიანი იყოს და შვილი დაიხლოვოს) დღეს დილით შენ მეუბნებოდი, რომ შენი საკუთარი ფულით მავანისათვის სწავლის ფულის გადახდა გსურს. მე, შესაძლოა ამის განხორციელების ნება დაგართო.

ჭოუ ჩუნგ-ი (სინანულით) ეს იმიტომ, რომ ბრიყვი ვარ, მომავალში მსგავს სისულელებს აღარ ვიტყვი.

[პაუზა]

ჭოუ ფუიუენ-ი (ვედრებით) ზეგ ახალ სახლში გადავდივართ, ხომ გიხარია?

ჭოუ ჩუნგ-ი ჰმ, (თავს უქნევს)

[პაუზა]

ჭოუ ფუიუენ-ი (საყვედურით შეჰყურებს) შენ ისე ძუნწად საუბრობ ჩემთან!

ჭოუ ჩუნგ-ი (მინდობით, ინიციატივის გარეშე) ჰმ, ხო, არ შემიძლია ჩემი აზრის გამოთქმა. როგორც წესი, ჩვენი ნახვის სურვილიც არ გაქვთ. გულწრფელად თუ ვიტყვი, დღეს, თქვენ... ცოტა უცნაურად მეჩვენებით, მე, მე...

ჭოუ ფუიუენ-ი (ჭოუ ჩუნგ-ის აზრის დამთავრების სურვილი არა აქვს) ხო, კარგი, წადი!

ჭოუ ჩუნგ-ი კეთილი, მამა.

(ჩუნგ-ი გადის სასადილოდან გამავალი კარიდან)

(ჭოუ ფუიუენ-ი გულგატეხილი თვალს მიაყოლებს ვაჟს, იღებს შ'ფინგ-ის სურათს და ყოველგვარი ენთუზიაზმის გარეშე, დამნუხრებული მიმოიხედავს გარშემო, ანთებს ტორშერს, მიდის კაბინეტისკენ.)

(ჭოუ Fანი ჩუმად შემოდის შუა კარიდან. საწვიმრიდან და თმებიდან წვიმის წვეთები იღვრება. მისი გაფითრებული სახე მალალი, თხელი, თეთრი ცხვირით, ტურის საცხისაგან დაჟღავნებული, წითელი, წვრილი ტურებით, სიბნელეში თაბაშირიდან გამოქანდაკებულ, სამასკარადე ნიღაბს ჩამოჰგავს, ანუ მისი სახე არაბუნებრივად მკაცრი. უმეტყველო და გაყინულია. რადგან ხანგრძლივმა წინააღმდეგობამ სიძულვილსა და სიყვარულს შორის, მის სულსა და გულში ყველაფერი სათნო ამოჰბუგა და შურისძიების გრძნობა აღაგზნო. ხედავს, როგორი გაკვირვებული უმზერს ფუიუენ-ი და აპირებს კაბინეტში შესვლას.)

[ის ამჩნევს ფუიუენ-ს და ისიც გაკვირვებული უყურებს მას]

ჭოუ Fანი

(გაკვირვების გარეშე) კიდეც არ დანოლილხარ? (შუა კართან მდგარი არ იხიძრება)

ჭოუ ფუიუენ-ი ეს შენა ხარ!? (უხეშად მიაბიჯებს მისკენ) სად ყოფილხარ? (ჩერდება) მთელი საღამო შენი ვაჟი ჩუნგ-იკო დაგეძებდა.

ჭოუ Fანი (ცივად) სასერიოდ გამოვედი.

ჭოუ ფუიუენ-ი ამ თავსხმაში?

ჭოუ Fანი დიახ, (მოულოდნელად, შურისძიების გრძნობით) მე ხომ სულიერად ავადმყოფი

ვარ

ჭოუ ფუიუენ-ი კიდეც ერთხელ გეკითხები, სად იყავი?

ჭოუ Fანი (ზიზლით) არაა შენი საქმე!

ჭოუ ფუიუენ-ი (თავით ფეხებამდე ჩაათვალიერებს) მთლად გალუმპულხარ, წადი, გამოიცვალე!

ჭოუ Fანი (ცივად, ჩაფიქრებული) ჩემს სულში ცეცხლი გიზგიზებს, გარეთ ვგრილდებოდი.
 ჭოუ ფუიუენ-ი (მობეზრდა მოსმენა) შეწყვიტე სისულელეების ლაპარაკი, ბოლოს და ბოლოს, სად იყავი?
 ჭოუ Fანი (უყურებს არაფრისმთქმელი სახით, საუბრობს გარკვევით, გამომხატველად) შენს სახლში.
 ჭოუ ფუიუენ-ი (მოუთმენლად) რას ნიშნავს, ჩემს სახლში?
 ჭოუ Fანი (გრძნობს შურისგების გემოს, მისთვის დამახასიათებელი ღვარძლიანი სიხარულით) ხო, აბა, ბაღში მსხვერპლშენიერვის რიტუალს აღვასრულებდი, წვიმას ვავედრებდი ჩემს ტკივილს.
 ჭოუ ფუიუენ-ი მთელი ღამე?
 ჭოუ Fანი (სიხარულით) დიახ, მთელი ღამე, წვიმა მესალბუნებოდა.

[პაუზა. ჭოუ ფუიუენ-ი გაკვირვებული შესცქერის მას, ჭოუ Fანი, როგორც თაბაშირის ქანდაკება კარებში ისეა აზიდული]

ჭოუ ფუიუენ-ი Fანი! ვფიქრობ უნდა ახვიდე შენს საძინებელში, წადი, დაისვენე!
 ჭოუ Fანი (ცივად) არა, არა! (მოულოდნელად) რა გიჭირავს ხელში (ზიზლით) ოჰ, ისევ იმ ქალის სურათი (ხელს გაუწვდის გამოსართმევად)
 ჭოუ ფუიუენ-ი შეგიძლია არც უყურო, ეს მხოლოდ და მხოლოდ ფინგ-იკოს დედაა.
 ჭოუ Fანი (ორი ნაბიჯით იუახლოვდება მას. სწრაფად სტაცებს ხელიდან სურათს, მიემართება ტორშერისაკენ, რათა კარგად შეხედოს) ფინგ-იკოს დედა ლამაზია.
 [ჭოუ ფუიუენ-ი ყურადღებას არ აქცევს, ჯდება დივანზე]

ჭოუ Fანი მინდა გკითხო, მართლა ასეთია?
 ჭოუ ფუიუენ-ი დიახ.
 ჭოუ Fანი ასეთი, ქალური, მორჩილი.
 ჭოუ ფუიუენ-ი (იყურება სადღაც შორს)
 ჭოუ Fანი ჩანს, რომ სულელიც არ უნდა იყოს.
 ჭოუ ფუიუენ-ი (ჩაფიქრებული) დიახ.
 ჭოუ Fანი (გახარებული) და ასეთი ახალგაზრდა.
 ჭოუ ფუიუენ-ი (უნებურად) არა, არა, უკვე დაბერდა.
 ჭოუ Fანი (გაახსენდა) ის ხომ დიდი ხნის გარდაცვლილია?
 ჭოუ ფუიუენ-ი დიახ, დიდ ხნის.
 ჭოუ Fანი (გაკვირვებული) უცნაურია, თითქოს სადღაც მინახავს.
 ჭოუ ფუიუენ-ი (თავს სწევს მაღლა, დაეჭვებული) არა, არა, ეს შეუძლებელია, სად შეიძლებოდა მისი ნახვა?

ჭოუ Fანი (მოულოდნელად) სახელი კი ლამაზი აქვს, შ'ფინგ. თუმცა სახელს, ცოტა არ იყოს, მონის შესაფერისი ჟღერადობა აქვს, მაგრამ მაინც სახელი დახვეწილია!
 ჭოუ ფუიუენ-ი საკმარისია, გეყოფა, წადი და დაიძინე (დგება, იღებს ფოტოს)
 ჭოუ Fანი ეს რილასთვისლა გინდა?
 ჭოუ ფუიუენ-ი ზეგ გადავდივართ ახალ სახლში, ვშიშობ არ გატეხონ.
 ჭოუ Fანი არა, არა, (ხელიდან ართმევს სურათს) ერთი ღამითაც დატოვე (უცნაური ღიმილით) არავინ გატეხავს, შენი გულისათვის მე მივაქცევ ყურადღებას (დგამს სურათს მაგიდაზე)
 ჭოუ ფუიუენ-ი თავი ჭკუანაკლულად ნუ მოგაქვს, შენ ხომ ყასიდად, განგებ აკეთებ ამას?
 ჭოუ Fანი რას ვიზამ, შეშლილი ვარ, მითუმეტეს, გთხოვ, ნუ შემეხები.
 ჭოუ ფუიუენ-ი (თრგუნავს შინაგან ამბბოხს) კეთილი, ადი ზევით, მარტო ყოფნა მინდა, დავისვენებ.
 ჭოუ Fანი არა, სწორედ მეც აქ მინდა მარტოობაში ყოფნა, ნუ მაგდებ.
 ჭოუ ფუიუენ-ი (მკაცრად) Fანი, წადი! უკვე გიბრძანებ, წადი!
 ჭოუ Fანი (ზიზლით) არა, არ მსურს, მოგახსენებ, რომ (მოულოდნელად გაბოროტებული) არ მინდა!

[პაუზა
 ჭოუ ფუიუენ-ი (ხმას უწევს) აბა, ყურადღება მიაპყარი (თითს უჩვენებს ფსიქიატრივით) დაიხსომე გერმანელი ფსიქიატრის სიტყვები, მან ხომ სიმშვიდისაკენ მოგიწოდა, ნაკლები საუბრისაკენ, ხვალ ისევ მოვა, უკვე მოვინვიე.
 ჭოუ Fანი გმადლობ! (იყურება პირდაპირ) ხვალ? ჰმ!

[თავჩაქინდრული ჭოუ ფინგ-ი გამოდის სასადილო ოთახიდან, უსაზღვროდ ნაღვლიანი გამომეტყველებით, გაფითრებული, აპირებს კაბინეტში შესვლას

ჭოუ ფუიუენ-ი ფინგ-იკო!

ჭოუ ფინგ-ი (მოულოდნელად განცვიფრებული, თავანუელი) მა, ჯერაც არ გძინავთ?

ჭოუ ფუიუენ-ი როგორ, ახლა დაბრუნდი?

ჭოუ ფინგ-ი ო, არა მამა, დიდ ხანია, საყიდლებზე გავედი.

ჭოუ ფუიუენ-ი ახლა რას საქმიანობ?

ჭოუ ფინგ-ი უცბად გამახსენდა, რომ შესაძლებელია სამის ნახევრიან მატარებელს გავყვე, სარეკომენდაციო წერილი ალბათ უკვე მომიმზადე და ამიტომაც კაბინეტში მოვდიოდი.

ჭოუ ფუიუენ-ი შენ ხომ დილით წასვლა გქონდა გადაწყვეტილი?

ჭოუ ფინგ-ი გადავიფიქრე. ახლა მივდივარ.

ჭოუ Fანი (უცაბედად) ახლა?

ჭოუ ფინგ-ი დიახ, დედილო, ახლავე.

ჭოუ Fანი სულში ასეთი მოუთმენლობაა?

ჭოუ ფინგ-ი ასეა, დედა.

ჭოუ ფუიუენ-ი გარეთ ისეთი თავსხმაა, ღირს კი შუალამეს მგზავრობა?

ჭოუ ფინგ-ი ამ დროს მგზავრობას დადებითიც აქვს, დილითვე ვნახავ მათ, ვისთანაც შეხვედრას ვაპირებ. ამიტომ ეს მოსახერხებელია.

ჭოუ ფუიუენ-ი წერილი სანერ მაგიდაზეა, რაკილა გადაგინყვეტია წასვლა, არც ეს არის ცუდი.

[ჭოუ ფინგ-ი კაბინეტისაკენ მიემართება]

ჭოუ ფუიუენ-ი ო, შენ ნუ აიღებ, (Fანი-ს მიმართავს) წადი, წერილი სანერ მაგიდაზეა და გამოუტანე.

ჭოუ Fანი (ჭოუ ფუიუენ-ს უყურებს უნდობლად) კეთილი.

[Fანი შედის კაბინეტში

ჭოუ ფუიუენ-ი (მას თვალებით აცილებს, სიფრთხილით) ზემოთ ასვლა არ სურს, მერე დაიჭირე თადარიგი, აიყვანე საძინებელში და მსახურებს სთხოვე შესაბამისად მოემსახურონ.

ჭოუ ფინგ-ი (იძულებით) კეთილი, მამა.

ჭოუ ფუიუენ-ი (კიდევ უფრო ფრთხილად) მომიახლოვდი (ფინგ-ი უახლოვდება, ფუიუენ-ი ჩუმად) გააფრთხილე მოსამსახურეები, რომ ფრთხილად მოეკიდონ. (ზიზლით) ვგონებ, მისი ავადობა უფრო გაუარესდა, ცოტა ხნის წინ მარტო სადღაც მიდიოდა.

ჭოუ ფინგ-ი რა? მიდიოდა?

ჭოუ ფუიუენ-ი აბა, წვიმაში გაატარა მთელი ღამე და რაღაც არაბუნებრივი საუბრები, ხან ალთას და ხანაც ბალთას. ვშიშობ ეს ავის მომასწავებელია. (თითქოს წინასწარმეტყველებს) ხო, მე დავბერდი, მე ხომ მინდა, რომ სახლში სიმშვიდე, სინყნარე იყოს... ..

ჭოუ ფინგ-ი (აფორიაქებული) მამა, არ ღირს ყოველგვარ ცხოვრებისულ წვრილმანებზე ყურადღების მიქცევა. თქვენ ყველაფერი ახლოს მიგაქვთ გულთან, ისიც კი, რაც თავისთავად მოგვარდება.

ჭოუ ფუიუენ-ი (მოკრუნჩხული) არა, არა, ზოგიერთი საქმე... პირდაპირ წარმოდგენაც კი უაზრობაა! უცნაური ბედ-იღბალი, ცის უცნაური განგებულება დღევანდელი დღისათვის, მხოლოდ ერთი... მე გავაცნობიერე ძალიან ბევრი (თითქოს ტვირთი მოეხსნა) ხო, კარგი, დღევანდელი დღე უკვე უკან დაგვრჩა. ვინ იცის, (თავს ინუგეშებს) ეგებ შემდგომ შემსუბუქდეს. მეტი აღარ უნდა იყოს (შიშით კანკალმა აიტანა) დიახ, არ უნდა იყოს.

[Fანი წერილით ხელში გამოჩნდება

ჭოუ Fანი (ზიზლით) აჰა, შენ წერილი.

ჭოუ ფუიუენ-ი (თითქოს გამოიღვიძა, გამოფხიზლდა, ჭოუ ფინგ-ს) კეთილი, წადი! მეძინება (ცოტა სიხარულის ნიშან-წყალი დაეტყო) უი, ზეგ გადავივართ (Fანი-ს) გადასვლასთან დაკავშირებით ბევრი საქმე გექნება, კარგად დაისვენე.

ჭოუ Fანი კეთილი (იმედი აქვს, რომ ფუიუენ-ი წავა).

[ფუიუენ-ი მიდის

ჭოუ Fანი (ქმრის წასვლის შემდეგ, მოლუშული) ე.ი. აუცილებლად მიემგზავრები?

ჭოუ ფინგ-ი (ცოტა გაღიზიანებული) დიახ.

ჭოუ Fანი რას გეუბნებოდა მამა? (აჩქარებული)

ჭოუ ფინგ-ი დასაძინებლად რომ წამეყვანე.

ჭოუ Fანი (ემშაკურად იცინის) ალბათ უნდოდა, რომ რამდენიმე მსახურს წავეთრიე ზევით და ჩავეკეტე.

ჭოუ ფინგ-ი ამით რისი თქმა გსურს?

ჭოუ Fანი (ფეთქდება) ნუ თვალთმაქცობ! ვიცი, ვიცი. (სიმწრით) ის ამბობს, რომ შეშლილი, სულიერად ავადმყოფი ვარ და საჭიროა ჩემი ყარაულობა....

ჭოუ ფინგ-ი (შენუხებული) ნუ ფიქრობ ასე.

ჭოუ Fანი (გაკვირვებული) შენ? შენც მატყუებ? (ჩუმად, დათრგუნული) თქვენ თვალეში ყველაფერს ვკითხულობ. თქვენ, მამა-შვილი, ჩემს ზურგს უკან ჩემზე ბჭობთ.

ჭოუ ფინგ-ი (თავს იმშვიდებს) ეს შენი ავადმყოფური ეჭვია, გაგაცილებ დასაძინებლად.

ჭოუ Fანი გაცილება არ მინდა, გამეცაღე! (თავშეკავებულად, ჩუმად) აქამდე ჯერ არ მივსულვარ!

ჭოუ ფინგ-ი (ბოლმას თრგუნავს) მაშ, მომეცი წერილი, რომ წავიდე!

ჭოუ Fანი სად წახვიდე?

ჭოუ ფინგ-ი (იძულებით) უნდა გავემგზავრო, ნივთები მაქვს მოსამზადებელი.

ჭოუ Fანი ჯერ მიპასუხე, სად იყავი დღეს საღამოს?

ჭოუ ფინგ-ი არ არის საჭირო კითხვა, შენ ხომ თავად იცი.

ჭოუ Fანი (მუქარით) აა, ბოლოს და ბოლოს მასთან იყავი?

[პაუზა. Fანი უყურებს მას, ის თავს ხრის]

ჭოუ ფინგ-ი (ჩუმად) დიახ, მასთან ვიყავი (გამომწვევად) რას გააწყობ?

ჭოუ Fანი (გულმომბალი) ვერაფერს. (ნაძალადევი ღიმილით) დღეს, დღის მეორე ნახევარში, ჩვენი საუბარი უსიამოვნო იყო, მაპატიე, ნუ გამინყრები, მე მხოლოდ ის მინდოდა მცოდნოდა, შენი წასვლის შემდეგ რა ეშველება.

ჭოუ ფინგ-ი მას? შემდეგ? (უცბად აღმოაჩენს) მე მასზე ვქორწინდები!

ჭოუ Fანი (მოულოდნელად) ქორწინდები?

ჭოუ ფინგ-ი (ურყევად) დიახ!

ჭოუ Fანი მამაშენილა

ჭოუ ფინგ-ი (უგულვებელყოფით) მოგვიანებით შეიტყობს

ჭოუ Fანი (საიდუმლოდ) ფინგ-იკო, ახლა მე გაძღვე ერთ შანსს!

ჭოუ ფინგ-ი რას? (გონებამდე ვერ მიიტანა)

ჭოუ Fანი (ცდილობს ცდუნებას) შენ თუ დღეს არ წახვალ, მე ვეცდები მამაშენს სიტყვა ჩამოვუგდო

ჭოუ ფინგ-ი არ ღირს. ეს საქმე გაცხადებულია. არაფერი მაქვს დასამალი. ნებისმიერთან შემიძლია ამაზე საუბარი. ის... ის... მხოლოდ ცოტა ღარიბია

ჭოუ Fანი ო, ღმერთო! შენ ისევე ლაპარაკობ, როგორც შენი უმცროსი ძმა! (ნაღვლიანად) ფინგ!

ჭოუ ფინგ-ი რას იზამ?

ჭოუ Fანი ხომ იცი, ამ სახლს თუ დატოვებ, მე რა დღეში ჩავვარდები?!

ჭოუ ფინგ-ი არაფერი ვიცი.

ჭოუ Fანი (შეშინებული) ვერ ხედავ, მამაშენი ... გაუგებარია?

ჭოუ ფინგ-ი (დამარცვლით) გაუგებარია შენი საუბარი

ჭოუ Fანი აი აქ (ხელით მიანიშნებს თავის თავზე) გაუგებარია?

ჭოუ ფინგ-ი როგორ აგისხნა?

ჭოუ Fანი (თითქოს თავის საქმეებზე კი არა, უცხო საქმეებზე საუბრობდეს) პირველ რიგში, გერმანელი ექიმი მაიძულებს წამლების მიღებას. ვსვამ, ვსვამ, ვსვამ. მეორე, უფრო მეტი მსახურები მითვალთვალებენ, თითქოს ურჩხული ვიყო. ისინი...

ჭოუ ფინგ-ი ო, ცის განგებავ. არ ღირს ეჭვიანობა. განა უკეთესი არაა?

ჭოუ Fანი (ყურადღებას არ აქცევს) ისინი მამაშენს ბაძავენ. ფრთხილად! ფრთხილად! შეშინებულნი იყევებიან. მალე საბელს გამომაბავენ და მალე მახინჯად ვიქცევი.

ჭოუ ფინგ-ი (გამოუვალი მდგომარეობის გამო) ოხ! (უყურებს საათს) დროა! წერილი მომეცი, უნდა მოვემზადო.

ჭოუ Fანი ნუთუ? (ვედრებით) ფინგ!"ეს აუტანელია (ხვეწნით) ფინგ, იფიქრე, ნუთუ ცოტა, ცოტათი არ გებრალბები?!

ჭოუ ფინგ-ი ო, შენ (განგებ გაბოროტებული) ეს გზა არჩეულია, შენ თვითონ... მე რისი გაკეთება შემიძლია?

ჭოუ Fანი (გაგულისებული) უკვე დაგავიწყდა? შენი ღვიძლი დედაც ხომ სიკვდილამდე მიიყვანა მამაშენმა?

ჭოუ ფინგ-ი (მობეზრდა და უფრო გაბოროტებული) დედაჩემი? ის არ გგავს შენ... მას ესმოდა სიყვარულის რაობა! მას უყვარდა ვაჟი და მამაჩემის წინაშე უცოდველია!

ჭოუ Fანი (აფეთქდა, ზიზღსავსე თვალები უელვარებს) და შენ ასე ლაპარაკის უფლება გაქვს? დაგავიწყდა, სამი წლის წინ, ამ სასტუმრო ოთახში რა გჭირდა? დაგავიწყდა, რომ დამნაშავე ხარ?! დაგავიწყდა ჩვენ როგორ (მოულოდნელად ენა დაება, იცინის, ნიშნის მოგებით) ო, ყველაფერი წარსულს ჩაბარდა, არ ღირს ყველაფრის ხელახლა დანყება

[აკანკალებული ჭოუ ფინგ-ი ჯდება დივანზე, განანწყენებული, განრისხებული, ძალაგამოცლილი მოკონებებისაგან, სახეზე კუნთები უნებლიედ ეჭიმება]

ჭოუ Fანი (ტირილით, განბილებული მისკენ ტრიალდება) ფინგ, საკმარისია. ამ ჯერზე, თანაგრძნობის გამოხატვას გემუდარები, მხოლოდ ეს იქნება საბოლოოდ. მე არასოდეს არავის წინაშე არ დამიმცირებია თავი, ფინგ, შემობრალე, შემობრალე. ამ სახლის ბინადარი აღარ ვარ. ასეთ ლაპარაკში უნდა გავატარო დღეები, თვეები, წლები, სიკვდილამდე. სხვა გამოსავალი არ დამრჩენია. ფინგ, მას მოვებურდი, ვეზიზღები. მაგრამ მას ეშინია ჩემი, მე ბევრი რამ ვიცი მის დანაშაულებრივ საქმიანობებზე. ის მზად არის დაარწმუნოს ყველა, რომ გიჟი ვარ! ფინგ...

ჭოუ ფინგ-ი კარგი, გეყოფა ამ სისულელეების გამეორება

ჭოუ Fანი (ნაჩქარევად) არც ახლობლები, არც მეგობრები და არც ნათესავები მე არ მყავს. ვერავის ვენდობი. ფინგ, გემუდარები, გევედრები ჯერ ნუ ნახვალ, მხოლოდ ახლა...

ჭოუ ფინგ-ი არა, ეს არ იქნება.

ჭოუ Fანი (ხვეწნა-მუდარით) თუ კი მაინც მიდიხარ, მეც წამიყვანე. მე უნდა დავტოვო აქაურობა.

ჭოუ ფინგ-ი რაო? (შეშინებულმა) შენ მართლა ჭკუიდან შეშლილხარ.

ჭოუ Fანი (ეხვეწება) არა, არა, წამიყვანე, მეც მიინდა ამ დაწყვეტილი ადგილის დატოვება. (უშინურად) შემდეგ კი ს' Fინგ-საც მიიღებ, ერთად ვიცხოვრებთ. მხოლოდ (აღვზნებული) მხოლოდ ნუ მიმატოვებ.

ჭოუ ფინგ-ი (მეტად შეშინებული, უკან იხევს, ხმის კანკალით) მე, მე ვშიშობ, რომ შეიშალე.

ჭოუ Fანი (ნუგეშისცემით) არა, ნუ ლაპარაკობ ასე. მე ხომ მხოლოდ შენი მესმის, მე ვიცი შენი სისუსტეები, ისევე, როგორც შენ იცი ჩემი. ჩემს შესახებ შენთვის ყველაფერი ცნობილია (მაცდუნებლად იღიმება, ხელს უქნევს რომ მიუახლოვდეს) მომიახლოვდი, ასე რამ შეგაშინა?

ჭოუ ფინგ-ი (უყურებს, ვერ ითმენს, ხმამაღლა და ყვირილით) ო, ნუ ბედავ, ასე სიცილს! (უფრო ძლიერად) ნუ ბედავ სიცილს! (სიმწრით თავში იშენს) ოხ, როგორ ვერ ვიტან საკუთარ თავს! ვერ ვიტან რომ ვცოცხლობ

ჭოუ Fანი (ნაღვლიანად) ნუთუ ასე გამძიმებ? შენ ხომ იცი, რომ მე აქ ვერ ვიცხოვრებ რამდენიმე წელსაც კი.

ჭოუ ფინგ-ი ნუთუ არ გესმის, რომ ასეთი ურთიერთობები ნებისმიერ ადამიანს მძიმე ტვირთად აწევს. იცი, რატომ ვთვრები, ყოველდღე რატომ ვსვამ? იმიტომ, რომ საკუთარი თავი მძულს.

ჭოუ Fანი რამდენჯერ ამიხსნია შენთვის (ცივად), მე ამაში არ გეთანხმები. ჩვენ წამუსი სუფთა გვაქვს. (სერიოზულად) ფინგ, დღევანდელი ჩემი საქციელი – შეცდომაა, მე ვიცი. შენ თუ დღეს არ ნახვალ ს'Fინგ-ს დავაბრუნებ, ყველაფერი ისევ ძველებურად იქნება.

ჭოუ ფინგ-ი რაო?

ჭოუ Fანი (გაკვირვებით) მისი დაბრუნება ჯერ კიდევ არ არის გვიან.

ჭოუ ფინგ-ი (უახლოვდება ანი-ს) აბა, აქედან გაეთრიე!

ჭოუ Fანი (ახანებს, ნელა) რაო? გაიმეორე!

ჭოუ ფინგ-ი შენ რაღაც არეული ხარ, უმჯობესია ზევით ახვიდე და დაიძინო.

ჭოუ Fანი (გასაგებად) მაშინ ყველაფერი დამთავრდება.

ჭოუ ფინგ-ი (დაღლილი) დიას, ნადი.

ჭოუ Fანი (განბილებული, დამძიმებული) ეს-ესაა ლუ-ების ოჯახში გნახე, შენ და ს'Fინგ-ი.

ჭოუ ფინგ-ი (გაოცებული, შემკრთალი) რაო!? ლუ-ების ოჯახში მნახე?

ჭოუ Fანი მე დაგინახე, ფანჯრიდან რომ ძვრებოდი.

ჭოუ ფინგ-ი აი ,თურმე სად ყოფილხარ.

ჭოუ Fანი დიას (ჯდება) მათი სახლის ახლოს ვიყავი.

ჭოუ ფინგ-ი ო, ქალის ხვნემა... ა, ეს შენ იყავი?

ჭოუ Fანი დიახ.
 ჭოუ ფინგ-ი შემდეგ, შენ ისევ იდექი?
 ჭოუ Fანი (ნელა და გარკვევით) მანამ შენ არ წახვედი.
 ჭოუ ფინგ-ი ო! (მივიდა მასთან ახლოს, ჩუმად) ის ფანჯარა შენ ჩაკეტე, არა?
 ჭოუ Fანი (ისევე ჩუმად) დიახ, მე.
 ჭოუ ფინგ-ი (უსაზღვრო ზიზლით) ვერც კი წარმოვიდგენდი თუ ასეთი საზარელი იყავი! ურ-ჩხული!
 ჭოუ Fანი რაო? (თავს სწევს მაღლა)
 ჭოუ ფინგ-ი (გამწარებული) ხო, შენ მართლაც ცოფიანი!
 ჭოუ Fანი (გამომეტყველების გარეშე) და რას აპირებ?
 ჭოუ ფინგ-ი (სიძულვილით) მე, მე შენს სიკვდილს ვისურვებდი, მშვიდობით.

[ფინგ-ი აჩქარებით მიდის სასადილოსაკენ, ესმის იქ როგორ მიბრახუნდა კარი].

ჭოუ Fანი (დაჯდა, უფრო სწორად დაეხეთქა, უყურებს სასადილოს ოთახს. უნებურად დაინახა შ'ფინგ-ის სურათი, იღებს, ჩუმად და ნაღვლიანად) ესაა შენი ვაჟკაცი! (აუჩქარებლად გამოიღო სურათი ჩარჩოდან, ნაკუნებად აქცია. ნელ-ნელა მშვიდდება, დგება, გადაგამს ორ ნაბიჯს) უცნაურია, დავმშვიდდი და სულიერი სიმშვიდეც დამეუფლა!

[შუა კარი ნელა იღება. საკმაოდ ხანგრძლივი პაუზა. ლუ კუეი-ს თავი ჩანს, მისი ეშმაკური თვალები ელაგენ]

ლუ კუეი (ლიმილით, ქედმოხრილი) გამარჯობა, ქალბატონო!
 ჭოუ Fანი (ცოტა შეცბუნებულია) აქ რა გინდა?
 ლუ კუეი (ფარისეველი სიცილით) მოვედი თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. დიდი ხანია რაც კართან ვიცდი და გელოდებით.
 ჭოუ Fანი (მშვიდად) ო, შენ კართან იდექი?
 ლუ კუეი (ჩუმად) აბა რა, (მეტად საიდუმლოდ) ვხედავდი უფროსი ბატონიშვილი როგორ გეჩხუბებოდათ, მაშინ მე (ცბიერი ლიმილი) ვერ გავბედე შემოსვლა.
 ჭოუ Fანი (მშვიდად და თავისუფლად, შანტაჟზე არ წამოეგება) მაშ, რისთვის მოხვედი?
 ლუ კუეი (თავდაჯერებული) მოვედი, რომ ქალბატონს მოვახსენო: დღეს უფროსი ბატონიშვილი დათვრა და ჩვენთან სახლში მოვიდა, გაუგონარი ამბავია, მაგრამ რაკილა თქვენც იქ ბრძანდებოდით, მე სათქმელი უკვე არაფერი მაქვს.
 ჭოუ Fანი (ზიზლით) აბა, ახლა რაღა გინდა?
 ლუ კუეი (დათმობით, ამაყად) მინდოდა ბატონის ნახვა.
 ჭოუ Fანი უკვე სძინავს, მაინც რა გინდოდა მისგან?
 ლუ კუეი ისეთი არაფერი. თუ ქალბატონი თანახმა იქნება, მაშინ ბატონი – (ხმას უმატებს, დარწმუნებით) ყველაფერი ქალბატონზეა დამოკიდებული.
 ჭოუ Fანი (დაბნეულობას არ ამჟღავნებს) თქვი, რაშია საქმე!
 ლუ კუეი (მლიქვნელურად) თუ ქალბატონი დათანხმდება, მაშინ საქმე თქვენს სასიკეთოთ იქნება. ჩვენ, მე და ჩემი ცოლი, მხოლოდ იმას გთხოვთ, რომ ნუ გაგვაგდებთ მე და ჩემს ქალიშვილს, პურის ლუკმა რომ გამოიმეტოთ, ეს არის და ეს.
 ჭოუ Fანი (უკმაყოფილო) შენ, შენ ფიქრობ მე (ტონს იცვლის) თუმცა შესაძლებელია, რა არის ამაში ისეთი.
 ლუ კუეი (კმაყოფილი) გმადლობთ, ქალბატონო, ყველას მადლობას გიხდით (მოქნილად) მაშ, ქალბატონს ვთხოვ დანიშნოს დღე.
 ჭოუ Fანი (საკმაოდ პირდაპირ) ახალ სახლში გადავალთ და მეორე დღეს მოდით.
 ლუ კუეი (ქედს იხრის მდაბლად) მადლობა, გმადლობთ სიკეთისათვის (უეცრად) ხო, მართლა, სულ დამავინწყდა, ქალბატონო, უმცროსი ბატონიშვილი არ გინახავთ?
 ჭოუ Fანი არა.
 ლუ კუეი თქვენ ხომ მოუწოდეთ, რომ 100 ვერცხლი გადმოეცა ჩვენთვის, ასე არ არის?
 ჭოუ Fანი (ზიზლით) მე რე რა?
 ლუ კუეი მაგრამ ამაზე ჩვენმა „ბატონიშვილმა“ უარი განაცხადა.
 ჭოუ Fანი ვინ? ვინ არის ეს „ბატონიშვილი“?
 ლუ კუეი აი (უხსნის) აი, ტახაი, ჩემი ძუკნა ვაჟი.
 ჭოუ Fანი რატომ?
 ლუ კუეი (საკმაოდ დახვეწილად) ჩვენი შ'ფინგ-ი, ყველაფერი მან აბურდა.
 ჭოუ Fანი (შეშინებული, ჩუმად) შ'ფინგ-ი? (სახე ეცვლება, მოღუშული) ვინ არის ეს შ'ფინგ-ი?

ლუ კუეი (თითქოს განანწყენებული) შ'ფინგ-ი არის შ'ფინგ-ი! ეს ჩემი ცოლია, აბა ვის ეძახით
 გადია ლუ-ს?
 ჭოუ Fანი შენ გადია ლუ-ზე აბობ? მას შ'ფინგ-ი ჰქვია?
 ლუ კუეი (ნატრაბახებით) ისიც სწავლობდა, განსწავლული პიროვნებაა. მისი სახელიც ასე
 დახვეწილია.
 ჭოუ Fანი შ'ფინგ, ეს იეროგლიფები როგორღა იწერება? შენ იცი კი?
 ლუ კუეი (გაჭირვებით) მე, მე დამავიწყდა, მაგრამ ვიცი, რომ ეს ფინგ-ი და უფროსი ბა-
 ტონიშვილის სახელი ფინგ-ი ერთნაირად იწერება, ეს ზუსტად მახსოვს.
 ჭოუ Fანი ოხ! (იღებს დანაკუნებულ ფოტოსურათს, ერთ-ერთ ნაგლეჯს აჩვენებს) შეხედე, თუ
 გეცნობა?
 ლუ კუეი (უყურებს, თავს მალლა სწევს) არა, არ ვიცნობ, ქალბატონო.
 ჭოუ Fანი (ნაჩქარევად) არც მას რომ ჰგავდეს, ვისმეს არ იცნობ? (პაუზა) დაფიქრდი, შენს
 გარშემო, დაფიქრდი.
 ლუ კუეი (თავს აქნევს) არც ერთს, ქალბატონო, არც ერთს (უცბად დაეჭვებული) ქალბა-
 ტონო, თქვენ როგორა ბრძანდებით?
 ჭოუ Fანი (იხსენებს, დაეჭვებულია) ალბათ მე მომეჩვენა (ვდებია)
 ლუ კუეი (ხარბად) ქალბატონო, თქვენ ხომ აუარებელი ვერცხლეული გვაჩუქეთ, მაგრამ
 ჩვენმა უვარგისმა ტახაი-მ უარი განაცხადა.

[იღება შუა კარი

ლუ კუეი (შებრუნდება) ვინ არის?

[შემოდის ტახაი, წვიმისაგან მთლად გალუმპული, ათვალეირებს გარშემო ყველაფერს, დალილი, ყვე-
 ლას მიმართ ზიზღით. Fანი გაკვირვებული უმზერს
 ლუ ტახაი (ლუ კუეი-ს) აი, თურმე, სად ყოფილხარ.
 ლუ კუეი (სიძულვილით შვილის მიმართ) ხო, შენ კი როგორ შემოაღწიე?
 ლუ ტახაი რკინის კარები დაკეტილია, ლობეზე გადმოვძვერი.
 ლუ კუეი რატომ? დედაშენზე რატომ არ იზრუნე? ლუ ს'Fენგ-ი გამოჩნდა?
 ლუ ტახაი (სველი ხელსახოცით ინმენდს სახეს) ლუ ს'Fენგ-ი არ გამოჩენილა. დედა ჭიშკრის
 გარეთ იცდის (აღელვებული, მძიმედ) შენ ნახე ლუ ს'Fენგ-ი ?
 ლუ კუეი არა, მე არ მინახავს (ზიზღით, მიაჩნია, რომ ტახაი აზვიადებს, ნუ შფოთავ,
 ის აუცილებლად დაბრუნდება სახლში. (უახლოვდება ტახაი-ს) წავედით, ჭოუ-ს ოჯახის საქმეები წესრიგშია,
 ყველა კარგადაა. წავედით!
 ლუ ტახაი არა, არ წამოვალ.
 ლუ კუეი კიდეც რა?
 ლუ ტახაი შენც ნუ წახვალ. ახლავე ნება იბოძე, რომ უფროსი ბატონიშვილი მობრძანდეს,
 მასთან საქმე მაქვს.
 ლუ კუეი რა საქმე? რა განიზრახე? (შეშინებული ლუ უაზროდ ნიკაპს იფხანს)
 ლუ ტახაი არაფერი მნიშვნელოვანი. უნდა მოველაპარაკო.
 ლუ კუეი (არ სჯერა) რალაც ისე არ უნდა იყოს. შენ ისევ...
 ლუ ტახაი (აღელვებული საყელოში სტაცებს ხელს) გამოიძახებ თუ არა?
 ლუ კუეი (შეეშინდა) გამოვიძახებ, გამოვიძახებ, ჯერ გამიშვი.
 ლუ ტახაი (უშვებს ხელს) წადი!
 ლუ კუეი ტახაი, შენ, შენ სიტყვა მომეცი, მხოლოდ საუბარი, შენ, შენ არ გაბედო!
 ლუ ტახაი დიახ, მე გეტყვი შენ, აქ საჩხუბრად არ მოვსულვარ.
 ლუ კუეი მართლა?
 ლუ ტახაი (მუქარით უახლოვდება) მიდიხარ თუ არა?
 ლუ კუეი მე, მე, ტახაი, შენ, შენ
 ჭოუ Fანი (მშვიდად) ლუ კუეი, წადი და მოიწვიე, აქ არაფერი საშინელი არ მოხდება.
 ლუ კუეი კარგი, კეთილი (ტახაი-ს) მე მოვიწვიე და მაშინვე დაგტოვებთ, მე კიდეც
 საქმეები ...
 ლუ ტახაი (ბრძანებით) ჭიშკარი გააღონ და დედა შემოუშვან, წვიმაში იცდის, თავი შეაფარე-
 ბინონ მაინც.
 ლუ კუეი კარგი, კარგი (სასადილოს კარიდან გადის) ესეც ასე, საქმეები კიდეც მაქვს, წავედი.
 ლუ ტახაი შეჩერდი! (მიუახლოვდა) თუ არ გამოიძახებ, გაფრთხილდი, შემდეგ მე სახლში – ჰმ!

ლუ კუეი (გულმოსული) შენ, შენ (ცხვირში, თავისთვის) ნაძირალა! (მიდის)
 ჭოუ Fანი (დგება) ვინ ხარ?
 ლუ ტახაი (უხეშად) ლუ ს'Fენგ-ი ს უფროსი ძმა ვარ.
 ჭოუ Fანი (ალერსიანად) მასთან მოხვედი? რა, საქმე გაქვს უფროს ბატონიშვილთან?
 ლუ ტახაი (მშვიდად) დიახ.
 ჭოუ Fანი (მოლუშული) ვშიშობ, არ მოინდომებს შენთან შეხვედრას.
 ლუ ტახაი შესაძლებელია.
 ჭოუ Fანი (ნელა) როგორც ვიცი, უკვე უნდა წასულიყო
 ლუ ტახაი (გაბრაზებული) თუ გაიქცა, მე მას...

[ჭოუ ფინგ-ი შემოდის სასადილო ოთახის მხრიდან, ცოტა დაბნეულია, გაუბედავად უკრავს თავს, ემჩნევა, რომ მთელი ძალით ცდილობს სიმშვიდე შეინარჩუნოს]
 ჭოუ ფინგ-ი (ტახაი-ს) მე აქ ვარ, მოვედი!
 ლუ ტახაი კარგია, რომ ჯერ არ წასულხარ (თავს ატრიალებს Fანი-საკენ) თუ შეიძლება ეს ქალბატონი გაბრძანდეს, პირადად შენთან მაქვს სალაპარაკო.
 ჭოუ ფინგ-ი (ხედავს რომ Fანი არ იმძრევა, უახლოვდება) გეთაყვა, უმჯობესია აბრძანდეთ მეორე სართულზე!
 ჭოუ Fანი (ამაყად თავ-ანეულმა) კეთილი! (მიდის სასადილოსაკენ)

[პაუზა, ორივენი დაძაბულნი, მზად არიან საჩხუბრად, მაგრამ ადგილიდან არ იძვრიან]
 ჭოუ ფინგ-ი (ვერ მოითმინა) მე არ მეგონა თუ ახლა შემოივლიდი.
 ლუ ტახაი (მოლუშული) გავიგე რომ მიდიხარ.
 ჭოუ ფინგ-ი (ნალვლიანად) დიახ.
 ლუ ტახაი (მიუახლოვდა) შენ, ეი, (მთელი ძალით ურტყავს ფინგ-ს, ზუსტად იმ ადგილას, საიდანაც სისხლი სდიოდა, სისხლი ისევ წამოუვიდა)
 ჭოუ ფინგ-ი (თავს იკავებს) შენ, შენ... (ხელსახოცით ინმენდს სისხლს)
 ლუ ტახაი (ტურჩებს იკვნიტს) ჰმ, ახლა ცდილობ გაიქცე?

[პაუზა
 ჭოუ ფინგ-ი (ცდილობს წყენა დაფაროს) დიდი ხანია, რაც ეს გეგმა მომწიფდა.
 ლუ ტახაი (გაბოროტებული) გეგმა? დიდი ხანია?
 ჭოუ ფინგ-ი როგორც ჩანს, ჩვენს შორის ბევრი გაუგებრობა დაგროვდა.
 ლუ ტახაი გაუგებრობა? სასაცილოა (ტანისამოსზე სისხლიან მუშტს ინმენდს) ჩემთვის არაფერია გაუგებარი. მე ვიცი, რომ შენ ჩვარი ხარ, საბრალო ეგოისტი, შენი თავის გარდა არავიზე ზრუნავ, ასე სრულყოფილი აბუეტი ხარ.

ჭოუ ფინგ-ი (რბილად) ჩვენ მხოლოდ ორჯერ შეხვედრივართ ერთმანეთს, ეს ჩემთვის ყველაზე ცუდი დრო იყო, ამიტომ, როგორც ჩანს, შთაბეჭდილებაც არ დარჩა შესაფერისი.
 ლუ ტახაი (ზიზლით) ნუ უარობ, შენ ბატონიშვილი ხარ, თქვენ ყველანი უჭირველად ცხოვრობთ, გულის ნაცვლად რაღაც დამპალ-დუმპალი გიძევთ, ყველაფერზე თავს იმართლებთ, არ იცით ჯანლონე რაში დახარჯოთ, ღარიბი ოჯახის ქალიშვილებს აბუჩად იგდებთ, დასცინით, ერთობით და პასუხისმგებლობის ნატამალიც კი არ გაგაჩნიათ.

ჭოუ ფინგ-ი (განზილებული) თავის მართლებას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. მე მესმის, შენ გარკვეული მიზნით მოხვედი. (მშვიდად) როგორც გენებოს. ამოიღე პისტოლეტი, შენი დანა, მე მზად ვარ მივიღო შენი მოძღვრება ზნეობაზე.

ლუ ტახაი (ისევ ზიზლით) ეს ამხელა კაცი!? რა ჭკვიანი ხარ!? მე რომ ეს ჩავიდინო, შენ აზრობ? ჰმ! შენ ამის ღირსიც არ ხარ. არ მსურს ჩემთვის ჯერ კიდევ საჭირო ცხოვრება შენ უნიათო ცხოვრებაზე გავცვალო

ჭოუ ფინგ-ი (თვალებში უყურებს, გაბედულად) ვფიქრობ, შენ გგონია, რომ მე შენი მეშინია. ცდები. თუ გეტყვი, რომ შენი მეშინია, უფრო სწორი იქნებოდა, რომ მეთქვა – ჩემი თავის მეშინია. ერთხელ უკვე მომივიდა შეცდომა, სურვილი არ მაქვს მეორედ იგივე ჩავიდინო.

ლუ ტახაი მიმაჩნია, რომ ისეთების არსებობა, როგორიც შენ ხარ, ზოგადად შეცდომაა! ცოტა ხნის წინ რაც მოხდა ჩვენს შორის, დედაჩემის ხვეწნა-მუდარა რომ არა, დიდი ხნის წინ წირვას გამოგიყვანდი! (მუქართ) და ეხლაც შენი სიცოცხლე ჩემს ხელშია.

ჭოუ ფინგ-ი თუ მოვკვდები, ეს ჩემთვის ბედნიერება იქნება. (სიმწრით) გგონია სიკვდილის მეშინია? მე, არა, არა, სიცოცხლე მეზიზღება. ვესალმები შენს გადნევილებას! ჩემთვის კმარა! მომბეზრდა სიცოცხლე!

ლუ ტახაი (ზიზლით) ოჰო, ხედავთ – სიცოცხლე მობეზრდა, მე კი ჩემი საცოდავი ახალგაზრდა დაიკო ზურგსმოკიდებული უნდა ვათრიო, ხოლო შენ თუ ცოცხალი ხარ, მან თანაგრძნობა უნდა გაგინოს!?

ჭოუ ფინგ-ი (სიტყვებს ვერ პოულობს, ნაძალადევად ილიმება) შენ ხომ ამბობ, მე რომ ეგოისტი ვარ, დარწმუნებული ხარ ჩემს უსულგულობაში, და არც ჯიგარი მქონია. მე მხოლოდ დროს ვატარებ შენ დასთან ერთად, მაგრამ წადი, ჰკითხე, მან მაინც იცის რა გულწრფელად მიყვარს. მხოლოდ ეს მანუგეშებს.

ლუ ტახაი ო, რა მოხდენილად საუბრობ! (უცხად) მაშ რატომ არ ქორწინდები მასზე?

ჭოუ ფინგ-ი სწორედ ეს არის ჩემი უბედურება, საძულველი მდგომარეობა. აბა, იფიქრე, ისეთი ოჯახი, როგორც ჩვენია, მომცემს კი ამის უფლებას?

ლუ ტახაი ამიტომაც, რომ თავს უფლებას აძლევ თავბრუ დაახვიო, სიყვარულში დაარწმუნო, სინამდვილეში კი ყველაზე ბინძური საქმე აკეთო. ხედავ, შენ უნდა იფიქრო შენს ოჯახზე, ამპარტავნებით შეპყრობილ მამაზე. ისინი მოგინოდებენ მის მიტოვებას, ცოლად კი თქვენი წრის ქალიშვილის შერთვას, მზითევეზე ზრუნვას. ასე არ არის?

ჭოუ ფინგ-ი (მოუთმენლად) შეეკითხე ს'ფენგ-ს ჩემი წასვლის თაობაზე თუ იცის? მსურს მოვცილდე ჩემს ოჯახს, მოვამზადო ნიადაგი ჩვენი ქორწინებისათვის.

ლუ ტახაი დიახ, შესანიშნავი მიზეზია! იმას კი რა? შუა ღამისას ჩვენს ოჯახში რომ მორბიხარ, საინტერესოა, გაქვს თუ არა ამის უფლება?

ჭოუ ფინგ-ი (აღგზნებული) ეს არ არის მიზეზი, რისთვისაც მე ეს მჭირდება. მე ახლა ვსაუბრობ ლუ ს'ფენგ-ი ს ძმასთან, მხოლოდ ამიტომ ვარ გულწრფელი. ვამბობ, მე მიყვარს ლუ ს'ფენგ-ი, ორივენი ახალგაზრდები ვართ, ადამიანები, რომლებიც ყოველდღე ხვდებიან ერთმანეთს, თავისუფლადაა შესაძლებელი ერთმანეთის შეყვარებისა, მაგრამ სისულელეებსაც სჩადიან. მე კი მტკიცედ გადავწყვიტე მისი ცოლად შერთვა, ის იქნება ჩემი ქალბატონი. ამაში დანაშაული არაა. მე მის წინაშე სუფთა ვარ, არაფერი უნამუსო მე არ ჩამიდენია.

ლუ ტახაი ხედავ? კარგად აკვესებ. თითქოს ყველაფერი შენს მხარესაა. მაგრამ თავმჯდომარის ბატონიშვილო, ვინ დაგიჯერებს, რომ მუშის და შეგიყვარდა? მსახურის შვილი? შიშველ-ტიტველი სარძლო? ვისი დედაც გადიად მუშაობს?

ჭოუ ფინგ-ი (მოკლე პაუზა, ვერ გადაუნყვებია) მაშ, მაშ მე გეტყვი შენ – იყო ერთი ქალი, ვინც გული გამიტეხა, შეიძლება ს'ფენგ-ი რომ არა, აღარასოდეს შეეყვარებდი საწინააღმდეგო სქესის ადამიანს.

ლუ ტახაი (განცვიფრებული) რაო? კიდევ ერთი ქალი?

ჭოუ ფინგ-ი დიახ, ის რომელიც შენ ახლახანს აქ ნახე.

ლუ ტახაი ის?

ჭოუ ფინგ-ი ზუსტად (სიმწრით) ის ჩემი დედინაცვალია! ო, მე ამას დიდი ხნის განმავლობაში გულში ვიმარხავდი, ვერ ვებდავდი ვინმესთვის გამემხილა. სწავლობდა, კარგი განათლება აქვს მიღებული. ერთი ნახვითვე შევეყვარდი. მას სურდა რომ მე... (შეჩერდება) რასაკვირველია, მე მესმის, რაღაც პასუხისმგებლობა ჩემს კისერზეც არის.

ლუ ტახაი ს'ფენგ-მა ეს იცოდა?

ჭოუ ფინგ-ი იცოდა, იცოდა. მე ვიცი, რომ იცოდა (ცრემლებს იკავებს, დამძიმებული) მაშინ ძალიან პატარა ვიყავი. მე საშინლად ბრყვი ვარ, თანდათანობით, რაც დრო გადიოდა, შიში მეტად და მეტად მიპყრობდა, შიში და დებურესია მჯავბნიდნენ. საკუთარ თავს ვერ ვიტანდი, მასაც და ამ არაბუნბრივ კავშირს. ვფიქრობ, შენ მიგებ. მე მინდოდა მისი მიტოვება, ან მისგან გაქცევა, მაგრამ მდგომარეობამ ხელი არ მომიმართა, მიმართედა სადღაც, მას, როგორც ეშმაკს, არავისი და არაფრის არ ეშინია. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი მომბეზრდა და ხელი მივყავი სმას. ოღონდ მას გავცლოდი და მზად ვიყავი სული ამომსვლოდა. მისი დამსახურებაა, რომ ვერ ვიტან განათლებულ ქალებს, კეთილშობილად რომ მოაქვთ თავი, სინამდვილეში კი სიბინძურეში აქვთ ფეხი ჩაყოფილი. ამის შემდეგ შემხვდა ლუ ს'ფენგ-ი. ლუ ს'ფენგ-ი რომ არა, შარმან ცოცხალი აღარც ვიქნებოდი. მან მე კიდევ ერთი წლის სიცოცხლე მაჩუქა.

ლუ ტახაი (უნებლიედ ამოიოხრა) ოხ! ნუთუ!

ჭოუ ფინგ-ი უკვე რამდენი წელია, არავისთვის მომიყოლია, ლუ ს'ფენგ-ისათვისაც კი, მაგრამ... (ნელა) უცნაურია, უცხად ამ ყველაფერს შენ გიყვები

ლუ ტახაი (მოღუშული), ალბათ, მამაშენის ცოდვების გამოა

ჭოუ ფინგ-ი (არ ელოდა ამისთანა პასუხს, არაკეთილგანწყობით) შენ სისულელეს ტვირთულობ (ნანობს, უცხო კაცს გული რომ გადაუშალა) გეტყვი, მე შენ, როგორც ლუ ს'ფენგ-ის ძმას, ისე გიცნობ. მე მხოლოდ იმის ახსნა მინდოდა, რომ გულწრფელი ვარ, როცა ვაცხადებ, რომ მე ის მიყვარს, გინდ დაიჯერე, გინდ არა.

ლუ ტახაი (ცოტა კეთილად განენყო) ე.ი. შენ მართლა აპირებ მასზე დაქორწინებას? იცი, ლუ ს'ფენგ-ი ჯერ კიდევ სულელი ბავშვია, ის მეორედ არავის არ გაჰყვება.

ჭოუ ფინგ-ი დიახ, მე მივდივარ, თვე ან ორი თვეა საჭირო და ჩამოვალ მის წასაყვანად.

ლუ ტახაი მაგრამ, თავმჯდომარის ბატონიშვილო, თქვენ სიტყვას ვენდოთ?
 ჭოუ ფინგ-ი (ჯიბიდან იღებს წერილს) შეგიძლია წაიკითხო, ეს ცოცხალი ხნის წინ მივწერე მას ზუს-
 ტად ამის შესახებ.

ლუ ტახაი (ყასიდად ცდილობს) არაა საჭირო მაჩვენოთ, მე ამისათვის არ მცხელა!
 ჭოუ ფინგ-ი (თავს სწევს) მაშ მე არავითარი სხვა საბუთი არ გამაჩნია. ის მომაკვდინებელი რამ
 კი შენს ჯიბეშია, ესაა ჩემი გარანტი, რაკი არ გჯერა, მე შენს ხელში ვარ.

ლუ ტახაი (ნაღვლიანად) უფროსო ბატონიშვილო, ნუთუ შემიძლია ამით ყველაფერი დავამ-
 თავრო? (გაბოროტებული) ნუთუ შენ ფიქრობ, რომ მოვისურვებდი ჩემი დის შენს ცოლობას (მოულოდნელად
 იღებს პისტოლეტს).

ჭოუ ფინგ-ი (დაბნეული) რისი გაკეთება გსურს?
 ლუ ტახაი (გაბოროტებული) მოგკლა. მამაშენი საძაგელია, მაგრამ არ მძულს, აი შენ კი, ამ
 ქვეყნიერებაზე ყველაზე გამორჩეული არარაობა ხარ,
 ჭოუ ფინგ-ი მაშ კეთილი, იმოქმედე! (ხუჭავს თვალებს)
 ლუ ტახაი მაგრამ... (ოხრავს. პისტოლეტს უწვდის) აილე! ეს ნივთი თქვენი მალაროდანაა.
 ჭოუ ფინგ-ი (გაუგებარია) როგორ? (გამოართმევს)
 ლუ ტახაი (დანაღვლიანებული) არა უშავს, ყველაზე სულელი არსება დედაჩემია, ვიცი, რომ
 ჩემი დაიკო სიცოცხლეა მისთვის. შენ თუ უზრუნველყოფ ლუ ს'ფენგ-ი ს ნორმალურ ცხოვრებას, მაშინ ვის
 რა ესაქმება?

[ფინგ-ს რალაცის თქმა სურს. ტახაი ხელის აქნევით აჩერებს. ფინგ-ი თავჩაქინდრული მიდის მაგიდი-
 საკენ, დებს იარაღს)

ლუ ტახაი (ბრძანებით) მაშ დაუძახე ჩემს დას, გეთაყვა.
 ჭოუ ფინგ-ი (გაკვირვებით) რაო?
 ლუ ტახაი (უნდობლად) ს'ფენგ-ს, ცხადია.

ჭოუ ფინგ-ი არა, არა. მე კი ვფიქრობდი, რომ ის თქვენს სახლშია.
 ლუ ტახაი უცნაურია, მე და დედაჩემი ორი საათია ამ თავსხმაში დავეძებო, არსად არაა.
 ბუნებრივია ვფიქრობ, აქ უნდა იყოს.

ჭოუ ფინგ-ი რაო? ორი საათი თავსხმაში? ის, ის სად იქნება?
 ლუ ტახაი შუალამისას სად წავიდოდა, სად?
 ჭოუ ფინგ-ი (უცბად) არ შეიძლება! (ჯდება, გაშეშებული)
 ლუ ტახაი (გარკვევით) შენ ფიქრობ... არა, შეუძლებელია (ზიზლით) დარწმუნებული ვარ არ
 ეყოფა ნებისყოფა.

ჭოუ ფინგ-ი (აკანკალებული) ო, არა, მას შეუძლია, შენ მას არ იცნობ, ის თავმოყვარეა, სხვისა
 აზრს ანგარიშს უწევს, ხასიათი ხომ ძლიერი აქვს. მაგრამ მას უნდა ვენახე (თითქოს ხედავს მდინარეში
 დამხრჩვალს), არ უნდა გაებედა.

[პაუზა
 ლუ ტახაი (უცბად) ჰმ, შენ თავს კარგად ისულელებ, გინდა მომატყუო? ის შენთანაა! შენთა-
 ნაა!
 [შორიდან ისმის სტვენის ხმა
 ჭოუ ფინგ-ი (ხელით შეაჩერებს ტახაი-ს) ნუ ყვირი, მოუსმინე (სტვენა ახლოვდება, ფინგ-ს სახე
 უნათდება) ეს ისაა, მოდის! მოდის! მესმის!
 ლუ ტახაი რა გესმის?
 ჭოუ ფინგ-ი ეს ჩვენი პირობითი ნიშანია, ყოველთვის ასეა, როდესაც ვხვდებით ერთმანეთს.
 ლუ ტახაი ის სადღაა? --
 ჭოუ ფინგ-ი ალბათ ბაღში. (ფინგ-ი ალებს ფანჯარას და უსტვენს. „პასუხი“ სულ უფრო ახ-
 ლოვდება, (შეტრიალდება, თვალცრემლიანი, იცინის) ის მოვიდა!

[შუა კარზე კაკუნია

ჭოუ ფინგ-ი (ტახაი-ს) წადი, მეზობელ ოთახში მოიცადე, შენი აქ ყოფნა ძალიან შეაშინებს. ის
 ხომ შენ აქ ყოფნას არ მოეწონს. (მიჰყავს სასადილო ოთახის კარისაკენ. ტახაი შედის კარში)

[ჩუმი ხმა: ფინგ!

ჭოუ ფინგ-ი (მირბის შუა კარისაკენ) ფენგ-იკო! (კარს ალებს) შემოდი!

[ლუ ს'ენგ-ი გალუმპული, განენილი, ცრემლები და წვიმის წვეთები ერთდროულად ეღვრება სახეზე. სიცივისა და ლღვისაგან მთელი სხეულით კანკალებს. ფინგ-ი გულში იხუტებს, როგორც დაკარგულ შვილს პოვნის შემდეგ დედა)

ლუ ს'ენგ-ი ფინგ!
ჭოუ ფინგ-ი (მადლიერებით) ენგ! ეს შენა ხარ!
ლუ ს'ენგ-ი იმედი მაქვს უცხო არავინაა?
ჭოუ ფინგ-ი (სიბრალულით) არა, (ხელზე ჰკიდებს ხელს)
ლუ ს'ენგ-ი (ეხვევა მეგობრულად) ო, ფინგ! (ქვითინებს)
ჭოუ ფინგ-ი (თითქოს დიდი ხნის უნახავები იყვნენ) როგორა ხარ? როგორ? (მოუთმენლად) როგორ შემოხვედი?

ლუ ს'ენგ-ი საიდუმლო, პატარა ჭიშკრიდან.
ჭოუ ფინგ-ი ხელები გაგყინვია, გადაიცვი რამე.
ლუ ს'ენგ-ი არა, დაიცა, კარგად შემოგხედო (ისევ ქვითინებს)
ჭოუ ფინგ-ი (მიყავს დივანთან, სხდებიან, აღგზნებული) შენ, სად, სად იყავი ენგ?
ლუ ს'ენგ-ი (უყურებს, ილიმება ცრემლებიანი სახით) ფინგ, შენ კიდევ აქ ხარ? თითქოს ერთი წელია არ მინახიხარ!

ჭოუ ფინგ-ი (დივანიდან იღებს იისფერ თხელ საბანს და მხრებზე წამოასხამს) უმწეო, ჩემო ენგ! ჩემო სულელო, სად წახვედი?

ლუ ს'ენგ-ი (ცრემლებს ინმენდს, მისი ხელი უჭირავს) გავრბოდი ამ თავსხმაში, არ ვიცი სად და რატომ, ქუხდა, ყველაფერი ბურუსშია გახვეული, თითქოს დედაჩემის ძახილი მესმოდა, მაგრამ მე, შეშინებული, მხოლოდ მდინარეზე ვფიქრობდი, ვფიქრობდი, რომ მხოლოდ ის შემიფარებდა, მაგრამ იცი, ვერ გავბედე, ვერ გადავწყვიტე.

ჭოუ ფინგ-ი ენგ! (ხელს უფრო მაგრად უჭერს)
ლუ ს'ენგ-ი არ ვიცი, რატომღაც სახლს გარშემო ვურბენდი.
ჭოუ ფინგ-ი ო, ენგ! მე შენს წინაშე დამნაშავე ვარ! მაპატიე, მე მიგიყვანე აქამდე.
ლუ ს'ენგ-ი ფინგ! განა შემიძლია შენი დადანაშაულება?! (საუბარს აწყვეტინებს) მაგრამ როგორც კი ბალამდე მოვედი, გამახსენდა გაშიშვლებული ელექტრო სადენი და შეიძლებოდა გაცილებით მარტივად და სწრაფად სიკვდილი, ვიდრე მდინარეში თავის დახრჩობა. ერთი შეხება საკმარისი იყო და თავისუფალი ხარ, მაგრამ ვერ შევძელი, ისევ ვერ შევძელი. გამახსენდა უბედური დედაჩემი, მე მის წინაშე დავიფიცე, რომ თავს არაფერს დავატეხავდი, უნესოდ არ მოვექცეოდი თავს. და აი, ამ დროს ამ ფანჯარაში დავინახე შუქი. მე ვიცოდი, შენ რომ აქ ხარ, ფინგ, მე მაშინ როგორღაც გავაცნობიერე, რომ ასე უბრალოდ, ადვილად ვერ მოვკვდებოდი და შენ ვერ მიგატოვებდი ცის ანაბარა. გესმის? ჩვენ ერთად უნდა წავიდეთ! თუ ვერ მოვახერხეთ ერთად ცხოვრება (ხვეწნით) ხვალ ხომ წამიყვან?

ჭოუ ფინგ-ი ერთად?
ლუ ს'ენგ-ი (აღელვებული) მხოლოდ ეს ერთი გზაა, მე ახლა აღარ მაქვს ოჯახი (სიმწრით) ჩემი ძმა ვერ მიტანს, დედაჩემის სანახავად კი სახე არ შემრჩენია, მე ახლა აღარავინ მყავს, არც ნათესავი და არ მეგობრები, მე მხოლოდ შენ მყევხარ, ფინგ, (ხვეწნა-მუდარით) ხვალ ხომ წამიყვან?

[პაუზა

ჭოუ ფინგ-ი (დათრგუნული) არა, არა
ლუ ს'ენგ-ი როგორ არა? ფინგ! (ნირნამხდარი)
ჭოუ ფინგ-ი (თვალეებში უყურებს) არა, არა, ხვალ კი არა, ამ წუთშივე!
ლუ ს'ენგ-ი (ყურებს არ უჯერებს) ახლა?
ჭოუ ფინგ-ი (სიბრალულით, სიყვარულითა და ზრუნვით) მე კი ვაპირებდი ჯერ მარტო წასვლას და როგორც კი მოვენყობოდი შენს ნაყვანასაც. მაგრამ გადავიფიქრე. ახლავე, ახლავე უნდა წავიდეთ ერთად.

ლუ ს'ენგ-ი მართლა?! ერთად?
ჭოუ ფინგ-ი მართლა!
ლუ ს'ენგ-ი (უზომოდ გახარებული ცოფიანივით, მხრებიდან იხსნის თხელ საბანს, დგება, უკოცნის ხელებს, ცრემლებს ინმენდს) მართლა, მართლა, მართლა! ო, განგებამ შემიბრალა, შენ ჩემო გადამრჩენო ვარსკვლავო, შენ მეორე სიცოცხლე მაჩუქე... ო, მიყვარხარ, მიყვარხარ (მის მკლავებშია მოქცეული).
ჭოუ ფინგ-ი (გულაჩუყებული, ისიც დიდი თეთრი ხელსახოცით ცრემლს იმშრალავს) ერთად ვიქნებით მთელი ცხოვრება, სამუდამოდ!

ლუ ს'ენგ-ი ო, დიას (ჩახუტებული) არასოდეს დავშორდებით, ერთად, ერთად.
ჭოუ ფინგ-ი (თავშეკავებით) კეთილი, ჯერ ჩვენ ვალდებულნი ვართ მოვინახულოთ ერთი ადამიანი, ვნახოთ და წავიდეთ.

ლუ ს'ფენგ-ი (გაკვირვებით) ერთი ადამიანი?
ჭოუ ფინგ-ი შენი ძმა, უფროსი ძმა.
ლუ ს'ფენგ-ი ძმა?
ჭოუ ფინგ-ი დიახ, გეძებდა, ლელავდა. ის სასადილო ოთახშია.
ლუ ს'ფენგ-ი არა, არა, (შეშინებული) მე არ მინდა მისი ნახვა, დასანახად ვერ გიტანს, შეუძლია მოგკლას კიდევ. ნამოდი, წავიდეთ მის უნახავად (დამამშვიდებელი ტონით) მე სახლში შევხვდი მას.
ჭოუ ფინგ-ი (გამოუვალ მდგომარეობაშია) უნდა აუცილებლად ვნახოთ, თორემ ვერ წავალთ.
ლუ ს'ფენგ-ი მაგრამ, ფინგ!

[ფინგ-ი სასადილოსაკენ მიემართება, ალებს კარს)
ჭოუ ფინგ-ი ლუ ტახაი! ლუ ტახაი! უცნაურია, სად წავიდა? ნუთუ წავიდა? (პასუხის მოლოდინში გაოცებული უყურებს ს'ფენგ-ს)

ლუ ს'ფენგ-ი (უახლოვდება) ფინგ, (ხეწნა-მუდართით) თავიდან ამოიგდე ეს განზრახვა, წავიდეთ, ახლავე წავიდეთ.

[ლუ ს'ფენგ-ი ეხება შუა კარს, კარი იღება, გადია ლუ და ტახაი შემოდიან.
ორი საათის განმავლობაში გადია ლუ ძლიერ შეცვლილა, აფორიაქებული, დაბერებული, გალუმპული, ნაკვემი, გაუბედურებულია)...

ლუ ს'ფენგ-ი (შეშინებული, უნებურად უკან იხევს) დედილო!
[მცირე პაუზა, გადია ლუ სიბრაღულით უყურებს ქალიშვილს.
ლუ ს'ფენგ-ი (დედის წინაშე იჩოქებს)

ლუ შ'ფინგ-ი ს'ფენგ! ადექი, მომიახლოვდი!
ლუ ს'ფენგ-ი (დგება, ეხუტება დედას) დე!
ლუ შ'ფინგ-ი (სიბრაღულის გრძნობით თავზე უსვამს ხელს) საბრალო შვილო, ჩემო საბრალოვ!
ლუ ს'ფენგ-ი (ქვითინებს) დე, მაპატიე, მომიტყევე! მე დავარღვიე შენს წინაშე დადებული აღთქმა, მე მიყვარს იგი, დამნაშავე ვარ, მე...

ლუ შ'ფინგ-ი მაშ ადრე რატომ არ მითხარი?
ლუ ს'ფენგ-ი (თავს ხრის) მებრალებოდი. მე ვიცოდი, რომ ამას არა თუ მოინდომებდით, მოსმენაც გაგიჭრდებოდათ. მეშინოდა თქვენი ზიზღის, მე ხომ დავიფიცე.
ლუ შ'ფინგ-ი ოხ, ჩემო საბრალო შვილო. ამაზე უნდა მეფიქრა, როგორ ვერ შევძელი შენი დაცვა, ნუთუ ამ ქვეყნად არსებობს ადამიანთა ასეთი უსამართლო ბედი, ასეთი უბედურება? ოხ, ჩემი უბედური, დაწყევლილი ბედი.

ლუ ტახაი (ცივად) დედა, წავიდეთ, ლუ ს'ფენგ-ი ჯერ-ჯერობით ჩვენთან ერთად წამოვიდეს, მე მასთან უკვე ვისაუბრე (მიუთითებს ჭოუ ფინგ-ზე). ის უნდა წავიდეს, მერე კი თანახმაა წაიყვანოს. განა ღირს ასე თავის მოკვლა? წავიდეთ.

ლუ შ'ფინგ-ი ვინ თქვა, ვინ თქვა, რას ნიშნავს „მას წაიყვანს“?

ლუ ტახაი (ცივად) დე, მე მესმის თქვენი. ახლა მხოლოდ ასე უნდა მოვიქცეთ. მე კი თანახმა არ ვიყავი, მით უმეტეს რომ ეს ჭოუ-ს ოჯახს უკავშირდება, მაგრამ ახლა არაა დრო ამეებზე საუბარი, დაე წავიდნენ.

ლუ შ'ფინგ-ი (სიკვდილნაკბენივით ჯდება) რაო? დაე წავიდეს?

ჭოუ ფინგ-ი გადია ლუ, გჯეროდეთ, მე მისი საუკეთესო მეგობარი, მეუღლე ვიქნები. ჩვენ ერთად წასვლა გადავწყვიტეთ, ყველაფერი გადაწყვეტილია.

ლუ შ'ფინგ-ი (ქალიშვილის ხელი უჭირავს) რაო? და შენ თანახმა ხარ მასთან ერთად წახვიდე?

ლუ ს'ფენგ-ი (თავს უქნევს) დე, იძულებული ვარ დაგტოვოთ.

ლუ შ'ფინგ-ი (ხელს უფრო მაგრად უჭერს, აკანკალებული ხმით) ფენგ, შენთვის არ შეიძლება მასთან ერთად წასვლა, არ შეიძლება!

ლუ ტახაი დე, (გაოცებული) ნეტავ რატომ?

ლუ შ'ფინგ-ი არა, არ შეიძლება (დგება, ჯიუტად).

ლუ ს'ფენგ-ი დე, რაშია საქმე?

ლუ შ'ფინგ-ი (არ მიუქცევია ყურადღება, მიათრევს) წავედით! (ტახაი-ს) წადი, დაიქირავე რიქმა, ს'ფენგ-ი დაილალა. წავედით, ჩქარა წავიდეთ.

ლუ ს'ფენგ-ი (თხოვნით) დე, თქვენ გინდათ, რომ თქვენი ღვიძლი შვილი აი აქ, თქვენს წინაშე აღესრულოს? თქვენ... ნუთუ ეს გსურთ?

ჭოუ ფინგ-ი (უახლოვდება გადია ლუ-ს) ბებო ლუ, მე კარგად მესმის, რომ თქვენს წინაშე დამ-

ნაშავე ვარ, მაგრამ ლუ ს'ფენგ-ი ხომ უდანაშაულოა. მე შევეცდები გამოვისყიდო თქვენს წინაშე დანაშაული, მე ის მიყვარს, გესმით? საქმე იქამდეც მივიდა, როცა...

ლუ ტახაი დე (ვერაფერი გაუგია), ამ შემთხვევაში აპატიე მათ, არ მესმის, რაო...
ლუ შ'ფინგ-ი (არ იცის როგორ მოიქცეს, მკაცრად) ნადი, რიქმა მოიყვანე! (ფენგ-ს) ფენგ-იკო, მომისმინე, მე მზად ვარ შენი სიცოცხლე გაეწირო, რათა მას შენი ცხოვრება არ დაუკავშირო! არ შემოძლია. (გადაჭრით) ნავედით!

[ტახაი უახლოვდება კარს. ლუ ს'ფენგ-ი განზილებული, ცივი ხმით კივის)
ლუ ს'ფენგ-ი (კივილით) დე! დე! მე... (დედის მკლავებში გული უწუხდება)
ლუ შ.ფინგ-ი (მისი სხეული ხელით უჭირავს) ჩემო შვილო! ჩემო...
ჭოუ ფინგ-ი (აღელვებული) გულის წასვლამდე მიიყვანეთ.

[გადია ლუ ს'ფენგ-ს შუბლზე ხელს ადეს, ყვირის ს'ფენგ! ველარ გაუძლო, ხმა ჩაუწყდა და ტირის)
ფინგ-ი შერბის სასადილოში
ლუ ტახაი ნუ გარბიხარ! არაფერია, ცივი წყალიც საკმარისია. ეს ბავშვობიდან მოსდის.

[ფინგ-ი შემოდის წყლით ხელში, შუბლზე აპკურებს. ს'ფენგ-ს მკვდრის ფერი ადევს)

ლუ შ'ფინგ-ი (წყალს წვეთ-წვეთობით პირში ასხამს) F'ენგ-იკო! შვილო, ძვირფასო, გაახილე თვალი, სული მოიბრუნე! ჩემო უიღბლო შვილო!
ლუ ს'ფენგ-ი (თვალებს ახელს, ოხვრით) ოხ, დედა!
ლუ შ'ფინგ-ი (ანუგეშებს) შვილო! ნუ გამინყრები, ნუ ფიქრობ, რომ გული გამიქვავდა, მე აუხსნელი მიზეზი მაქვს.
ლუ ს'ფენგ-ი (კიდევ ერთხელ ამოიოხრა) დე!
ლუ შ'ფინგ-ი რა?
ლუ ს'ფენგ-ი მე კი ვერ შევძელი გულის გახსნა. ფინგ!
ჭოუ ფინგ-ი უკეთ ხარ?
ლუ ს'ფენგ-ი ფინგ, მე შენც ვერ გითხარი. მე თქვენც ვერ გაგიმჟღავნეთ საიდუმლო, სიკვდილისათვის მზად ვიყავი (დედას უყურებს ხვეწნით) დე, თქვენ...
ლუ შ'ფინგ-ი რა იყო, თქვი!
ლუ ს'ფენგ-ი (აქვითინდა) მე, მე (გადაწყვეტილება მიიღო) მასთან, უკვე... (ქვითინებს)
ლუ შ'ფინგ-ი რაო? შვილო!
ლუ ს'ფენგ-ი უკვე მოხდა...
ლუ შ'ფინგ-ი როგორ? მეუბნები მოხდა... (საშინელი დარტყმის შეგრძნება ეუფლება)
ჭოუ ფინგ-ი (ხელს ჰკიდებს) ს'ფენგ, მართალია? შენ... როდის მოხდა?

ლუ ს'ფენგ-ი დაახლოებით სამი თვეა.
ჭოუ ფინგ-ი ს'ფენგ, რატომ არ მითხარი? რატომ? მე, მე...
ლუ შ'ფინგ-ი ო, ცის განგებავ, ღმერთებო და მფარველო სულებო!
ჭოუ ფინგ-ი (მიუახლოვდა) ბებო ლუ, იქნებ ახლა მაინც არ გაჯიუტდეთ? (მუხლს იდრეკს მის წინაშე) გეფიცები, ჩვენ ნავალთ, ეს ყველაზე კარგი გამოსავალია! ნავალთ ერთად!
ლუ შ'ფინგ-ი (დუმს) სიზმარში ვარ?! ჩემი ღვიძლი შვილი, ამ 30 წლის განმავლობაში, იმეორებს, ო, ცის განგებავ! (ხელს სახეზე იფარებს, ტირის, კანკალებს). ნადით, გაემგზავრეთ, თქვენი სახელების გაგონებაც კი არ მინდა! (შემოტრიალდება)
ჭოუ ფინგ-ი გმადლობ! როგორც იქნა, ნავედით! ფენგ! (ლუ ს'ფენგ-ი დგება)
ლუ შ'ფინგ-ი (ისევ მათკენ ტრიალდება) ოხ, არა, არა, დაუმეებელია!

[ლუ ს'ფენგ-ი მუხლს იყრის)

ლუ ს'ფენგ-ი (მუდარით) დე, დე, რა გემართებათ? მე სულითა და გულით გავაკეთე არჩევანი, ღარიბია თუ მდიდარი, ვინც არ უნდა იყოს, მე მას ვეკუთვნი... ჩემი გული მას ეკუთვნის. ამას არასოდეს ვინანებ, სადაც ის – მეც იქ, ვინც ის არის, მეც ის გავხდები. ნუთუ თქვენთვის ეს სულერთია? გაუგებარია? მე...

ლუ შ'ფინგ-ი (დამძიმებული) შვილო!
ლუ ტახაი დე, თუ დამ ასე გადაწყვიტა, დაე, ნავიდეს. ეს კარგია.
ჭოუ ფინგ-ი (მოღუშული) ბებო ლუ, რაკილა თქვენ არ უშვებთ, კეთილი, მე არავითარი უფლება

არ მაქვს ძალა ვიხმარო, მე მარტო წავალ. წენგ!

ლუ ს'წენგ-ი (თავს აქნევს) დე, დე! ო, ფინგ! (დაბნეულია)

ლუ შ'ფინგ-ი (ტრაგიკულად) განგებისათვის ცნობილია თქვენი ცოდვა, ის უკეთ ხედავს, თქვენ

ორივე ცოდვის შვილები ხართ, არ უწყით რასა იქმთ, ღმერთო მათ მაგიერ მე დამსაჯე, უკვე ბებერი ვარ, ნაილე ჩემი სიცოცხლე, მხოლოდ მე ვარ ცოდვილი. ეს მე გადავდგი მცდარი ნაბიჯი – (ნაღვლიანად) მივხვდი, რომ შეცდომა შეცდომას მოსდევს. (ს'წენგ-ს თავზე ხელს უსვამს) ისინი ორივენი ჩემი სუფთა ბავშვები არიან. ო, განგებავ, მიეცი განწმენდის საშუალება, ბედნიერი ცხოვრება, ისინი უდანაშაულონი არიან, მხოლოდ უნებურად მოუვიდათ შეცდომა! ისინი ხომ ჯერ ახალგაზრდები არიან. (დგება) ამ ცოდვას საკუთარ თავზე ავიღებ, ჯერ კიდევ არ გამომისყიდია? (იყურება ზევით, თითქოს ცას ხედავდეს) ჩემ ცოდვაზე – ჩემი შვილები პასუხს არ აგებენ! ისინი სუფთა და უდანაშაულონი არიან. ლუ ს'წენგ-იკო!

ლუ ს'წენგ-ი (მოუსვენრად) დე, რა გემართებათ? – არ მესმის, არ მესმის.

ლუ შ'ფინგ-ი (მოტრიალდება, რბილად) არაფერი. (იღიმება) ადექი, წენგ-იკო წადით, გაეგზავრეთ.

ლუ ს'წენგ-ი (ლუ ს'წენგ-ი დგება, მაღლიერებით) დე!

ჭოუ ფინგ-ი მოდი (საათს უყურებს), მხოლოდ 25 წუთი დარჩა, ვთხოვე მსუბუქი მანქანის მომზადება, უნდა წავიდეთ!

ლუ შ'ფინგ-ი (მშვიდად) არა, თქვენი წასვლა დაფარულია, ამიტომ წურავის შეაწუხებთ. (ტახაი-ს)

ტახაი, წადი დაიქირავე მანქანა და წაიყვანე ვაგზალზე. ჩემი წასვლის დროცაა.

ლუ ტახაი დიას.

[ტახაი შუა კარიდან გადის

ლუ შ'ფინგ-ი (ქალიშვილს) მომიახლოვდი შვილო, მოდი, კიდევ ერთხელ შემოგხედო. (ლუ ს'წენგ-ი დედას ეხვევა) შენც წადი. (ფინგ-ს) მე მოვითხოვ, რომ წასვლის წინ პირობა მომცეთ.

ჭოუ ფინგ-ი ბრძანეთ!

ლუ შ'ფინგ-ი პირობის გარეშე, ს'წენგ, წასვლის უფლებას არ მოგცემთ.

ლუ ს'წენგ-ი დედა, გპირდები.

ლუ შ-ფინგ-ი (ორივეს უყურებს) რაც უფრო შორს იქნებით, მით უკეთესი, სიცოცხლეა თუ სიკვდილი, ჩემთან აღარ დაბრუნდეთ. თქვენი დანახვა არ მინდა.

ლუ ს'წენგ-ი დე, ეს ხომ...

ჭოუ ფინგ-ი (თვალებით ანიშნებს, თითქოს „გაჩერდი, დაპირდი“) თუ ახლა სულში სიმძიმის გამო ლაპარაკობთ ასე, დროთა განმავლობაში ყველაფერი მოწესრიგდება.

ლუ ს'წენგ-ი დე, მამ ჩვენ წავედით!

[ლუ ს'წენგ-ი იჩოქებს, თავყვანს სცემს

ლუ შ'ფინგ-ი (ხელს უქნევს) წადით!

ჭოუ ფინგ-ი სამზარეულოდან გავიდეთ, იქ ჩემი ნივთებია.

[სამივენი მიდიან სამზარეულოსაკენ. კარი იღება. შემოდის წანი, სამივენი განცვიფრებულნი არიან

ლუ ს'წენგ-ი ო, ქალბატონო!

ჭოუ წანი (მშვიდად) საით გაგინევიათ, ამისთანა ჭექა-ქუხილში!

ჭოუ ფინგ-ი (წანი-ს) შენ რა, გვისმენდი?!

ჭოუ წანი მარტო მე არა. (სასადილოსაკენ გასძახებს) გამოდი, რაღა!

[ჭოუ ჩუნგ-ი შემოდის, როგორღაც მობლუნძულია

ჭოუ წანი, (გაკვირვებული, ქვავდება) მეორე ბატონიშვილი?

ჭოუ ფინგ-ი (უკმაყოფილო) ძმაო, რა გჭირს?

ჭოუ ჩუნგ-ი (დაბნეული, ვერ გარკვეულა ვითარებაში) დედამ დამიძახა, არც კი ვიცი აქ რას საქმიანობთ...

ჭოუ წანი (მლიქვნელურად) ახლავე გაიგებ

ჭოუ ფინგ-ი (გალიზიანებული ჭოუ წანი-ს) ეს რა მოაწყე?!

ჭოუ წანი (დამცინავად) მე მინდა რომ შენმა ძამიკომ გაგაცილოს!

ჭოუ ფინგ-ი (გაბოროტებული) რა სიმდაბლეა!

ჭოუ ჩუნგ-ი ძმაო!

ჭოუ ფინგ-ი შენს წინაშე დამნაშავე ვარ, ძმაო! (უცბად წანი-ს), მაგრამ ქვეყანაზე შენნაირი დედები არ არსებობენ.

ჭოუ წანი შეხედე ს'წენგ! (ს'წენგ-ს) საით გაგინევია?

ლუ ს'წენგ-ი მე.....მე...
 ჭოუ ფინგ-ი არ იცრუო, თქვი ყველაფერი როგორც არის, გაიმართე, თქვი, რომ მე და შენ გა-
 დავწყვიტეთ ერთად გამგზავრება.
 ჭოუ ჩუნგ-ი (რაღაცას ხვდება) რაო? ს'წენგ, მასთან ერთად აპირებ გამგზავრებას?
 ლუ ს'წენგ-ი პატარა ბატონიშვილო, მე, მე ხომ...
 ჭოუ ჩუნგ-ი (შეცბუნებული) რატომ ადრე არ მითხარი?
 ლუ ს'წენგ-ი არა თუ არ გითხარით, მე ადრეც გეუბნებოდით, გარწმუნებდით, რომ ჩემთან სიახ-
 ლოვეს მორიდებოდით, რადგან ცუდი ქალი ვარ, მაგრამ... მაგრამ თქვენ...
 ჭოუ ფინგ-ი (ს'წენგ-ს) შენს თავს რატომ აყენებ შეურაცყოფას? თქვი! (მიანიშნებს Fანი-ზე)
 იცოდეს, რომ ცოლად მომყვები.
 ჭოუ ჩუნგ-ი ს'წენგ, შენ...
 ჭოუ Fანი აი ახლა კი მიხვდი რაშია საქმე (ჩუნგ-ი დაბლა ხრის თავს).
 ჭოუ ფინგ-ი (უცბად Fანი-ს, უკიდურესად გაბოროტებული) შე უფულო, უჯიგროვ! წარმოიდ-
 გინე, რომ შენი შვილი გეხმარება სხვისი ბედნიერების დასმსხვრევაში? ძმაო! მითხარი გულახდილად, რის
 გაკეთებას მიპირებ ? თქვი!
 ჭოუ ანი
 ჩუნგ-იკო თქვი, ნუ! (აღელვებული) ჩუნგ-იკო, რატომ დუმხარ? სტაცე ხელი შენს ძმას (ჩუნგ-ი დუმს).
 შენ რა, უთმოზ იმას, ვინც შენს ბედნიერებას გპარავს? მან შენ შეყვარებული მოგტაცა!
 ჭოუ ჩუნგ-ი (განტყვევების ვაცისავით) დედა, დედა არა, არა! (ს'წენგ-ს უყურებს), რაკი ს'წენგ-ს
 ასე სურს, მე არაფერი მეთქმის.
 ჭოუ ფინგ-ი (უახლოვდება ძმას) ჩემო ძვირფასო ძმაო, ჩემო საყვარელო ძამიკო, მიხვედრილო,
 დამნდობო!
 ჭოუ ჩუნგ-ი (დაეჭვებული) არა, არა, მე უცბად აღმოვაჩინე... მე მეჩვენებოდა,... მე სინამდ-
 ვილეში არც ისე მიყვარს ლუ ს'წენგ-ი (თითქოს ბურუსში გზააბნეულივით) მე, მე, ალბათ ვსულელობდი!
 ჭოუ ფინგ-ი (მადლიერებით) მაგრამ, ძმაო...
 ჭოუ ჩუნგ-ი (ხედავს თავისი ძმის სულიერ მდგომარეობას) არაა საჭირო, წაიყვანე შენთან, მთა-
 ვარია კარგად მოეპყრა.
 ჭოუ Fანი (განბილებული, ჩამქრალი) ოხ, შე! (უცბათ, სიბოროტით) შენ არ ხარ ჩემი შვილი, შენ
 არ მეგებარ მე, შე, მართლაც ღორო!
 ჭოუ ჩუნგ-ი (დამცრობილი) დე!
 ჭოუ ფინგ-ი (გაოცებული) რა გჭირს ამისთანა (Fანი-ს)
 ჭოუ Fანი (მოღუშული) ვაჟაკობის ნატამალი არ შეგრჩენია, შენს ადგილას მოვკლავდი მას.
 ბრიყვო! მკვდარო! მამაშენის უღირსო, ბინძური ცხვარო! მე შევცდი შენში! ჩემი არა ხარ! ჩემი ვაჟი არა ხარ!
 ჭოუ ფინგ-ი (სამართლიანობისათვის) რას გავს? ნუთუ შენ ჩემი ძმის დედა ხარ? ასე გამოხატავ!
 ჭოუ Fანი ფინგ, უთხარი, არაფრის დაფარვა არ მსურს, არაფრის მეშინია. უთხარი, ო, უთხარი
 მისი დედა აღარ ვარ.
 ჭოუ ჩუნგ-ი (განსაცდელში) დე, რა გემართება?
 ჭოუ Fანი (სირცხვილის გრძნობისაგან გათავისუფლებული) როცა ვეძახდი, თავი აღარ
 მახსოვდა (ჩუნგ-ს, გაცოფებული) ნუ ფიქრობ, რომ დედაშენი ვარ. დედაშენი დიდი ხნის მკვდარია, დიდი
 ხნის ჩაძალღებული ძალაუფლების მოყვარე მამაშენის წყალობით. აი, ეს ქალი ოცნებობდა სიყვარულს,
 ენადა სიყვარული, ის გაცოცხლდა, როცა შეიცნო ფინგ-ი.) მას მამაკაცი უნდოდა!
 ჭოუ ჩუნგ-ი (განცდით) ო, დე!
 ჭოუ ფინგ-ი (შეტრიალდება ჩუნგ-ისკენ, თვალებით მრავალმნიშვნელოვნად) ის ავადმყოფია
 (ჭოუ Fანი-ს), გამომყევი ზევით! ჩანს შენთვის დასვენებაა საჭირო.
 ჭოუ Fანი სისულელეა! მე არ ვარ ავად. ნერვები წესრიგში მაქვს (ცრემლებს ინმენდს, ტკი-
 ვილით) რამდენი წელია ვითმენ, ამ ეშმაკის საუფლოში, ციხისმაგვარ, თქვენს მიერ ხმამაღლა „რეზიდენ-
 ციად“ წოდებულ სახლში, თვრამეტი წელი, დღე და ღამე ეშმაკია ჩემი ცხოვრების თანაზიარი. მერე რა, რომ
 მამაშენმა ჩამისახა ჩუნგ-იკო, მაგრამ ჩემი გული თავისუფალია, ის მე მეკუთვნის (თითით მიანიშნებს ფინგ-
 ზე) მხოლოდ მან დამატყვევა სრულად, ხორციც და გულიც. ახლა კი მას აღარ ვუნდივარ, ხელსა მკრავს.
 ჭოუ ჩუნგ-ი დე, ძვირფასო, რა გემართება?
 ჭოუ ფინგ-ი ნუ აქცევ ყურადღებას, ჭკუიდან შეიშალა!
 ჭოუ Fანი ნუ ჰბაძავ მამაშენს, მე არ ვარ შეშლილი! მე მსურს, რომ შენ მათ უთხრა, უთხ-
 არი... ეს ჩემი სიცოცხლის ბოლო ყლუპია.
 ჭოუ ფინგ-ი (განადგურებული) რა შემიძლია ვთქვა? რა გსურს, რომ მე ვთქვა? დაგნებდე, უკე-
 თესია ახვიდე ზევით, შენთან, დაიძინე.
 ჭოუ Fანი ნუ თვალთმაქობ! მე არ ვარ გიჟი! უთხარი მათ – მე შენი დედინაცვალი არ ვარ

მხოლოდ.

(ყველა შემფოთებულია)

ჭოუ ჩუნგ-ი (გამოუვალ მდგომარეობაში) დე!

ჭოუ ფინგ-ი (შეხედავს ძმას, Fანი-ს რისთვის მოაწყე ეს ყველაფერი? ნარსული ნავიდა, რა საჭიროა ძმას მოუნამლო მთელი სიცოცხლე?

ჭოუ Fანი (კარგავს ქალობას, დედობრივ გრძნობას) მე არ მყავს ვაჟი, არც ქმარი, არც ოჯახი, არაფერი! მე მიინდა მოვისმინო შენგან: „მე მყევხარ მხოლოდ შენ, მე... მე შენი ვარ!

ჭოუ ფინგ-ი შენი ვაჟისათვის მაინც შეგეხედა, შეხედე მას! ის შენი შებრალების ღირსია. თუ ოდნავ მაინც შეგრჩენია დედობრივი გრძნობა.

ჭოუ Fანი (შურისძიებით) მამაშენის ღირსეული შვილი ხარ, საუბრის მანერაც კი, სიტყვებიც, ზუსტად მამაშენის საუბრის ასლია! შე თვალთმაქცო, დაიხსომე, შე მატყუარავ მამასაც უღალატე, ძმა მოატყუე, მეც შეცდომაში შემიყვანე ! აი ვინ ხარ შენ!

ჭოუ ფინგ-ი (გაბოროტებული) სისულელეა, მე, მე მამა არასოდეს მომიტყუებია! მამაჩემი, კარგი ადამიანია, მთელი ცხოვრება სიმართლით, ზნეობრივად გაატარა (Fანი დასცინის). (ს'Fენგ-ს) ნუ მიაქცევ ყურადღებას, ნავიდე!

ჭოუ Fანი ნასვლაა საჭირო, ჭიშკარი დაკეტილია. მამაშენი სადაცაა ჩამოვა, კაცი უკვე გავუგზავნე.

ლუ შ'ფინგ-ი ო, ქალბატონო!

ჭოუ ფინგ-ი (Fანი-ს) ამით რისი მიღწევა გსურთ!

ჭოუ Fანი მიინდა მამილო გაეცნოს მომავალ სარძლოს, შემდეგ გაემგზავრეთ (ყვირის) ფუი-

უენ, ფუიუენ, სად ხარ!

ჭოუ ჩუნგ-ი დედა! არაა საჭირო!

ჭოუ ფინგ-ი (უახლოვდება Fანი-ს) შეშლილო! რა გინდა?

[Fანი მირბის კაბინეტისაკენ, იძახის

ლუ ს'Fენგ-ი (დაბნეული) ნავედით!

ჭოუ Fანი არა, ის მოდის.

(ფუიუენ-ი შემოდის კაბინეტიდან, ყველა გაქვავებულია, სამარისებული სიჩუმეა)

ჭოუ ფუიუენ-ი (კარებთან) რას ყვიროდით? ისევ არ ნავიდა ზევით დასაძინებლად?

ჭოუ ფუიუენ-ი (ხედავს გადია ლუ-ს ს'Fენგ-თან ერთად, გაკვირვებულია) ა, შენ, შენ? თქვენ აქ

რას აკეთებთ?

ჭოუ Fანი (მიათრევს ს'Fენგ-ს ფუიუენ-ისაკენ, ამაყად) შენ მხოლოდ შეხედე, ეს შენი სარძლოა (მიანიშნებს ს'Fენგ-ს რომ ფუიუენ-ს შეხედოს) მამა დაუძახე! (ფუიუენ-ს მიუთითებს გადია ლუ-ზე) გაიცანი, ეს მოხუცი ქალბატონი?! (ჭოუ ფუიუენ-ს)

ლუ შ'ფინგ-ი ქალბატონო!

ჭოუ Fანი ფინგ, მომიახლოვდი! მამის წინაშე მუხლმოდრეკით, მოწინებთ მიესალმე ამ დედლოს (მიანიშნებს შ'ფინგ-ზე)

ჭოუ ფინგ-ი (შემცბარი) მამა, მა, მე, მე...

ჭოუ ფუიუენ-ი (მიხვედრილად) როგორ? (გადია ლუ -ს) შ'ფინგ, შენ ბოლოს და ბოლოს მაინც დაბრუნდი?

ჭოუ Fანი (შეშინებული) რაო?

ლუ შ'ფინგ-ი არა, არა, ვიღაცაში შეგეშალეთ.

ჭოუ ფუიუენ-ი დაბრუნდით, ასეც ვიცოდი, ადრე თუ გვიან დაბრუნდებოდით.

ლუ შ'ფინგ-ი არა! არა! (თავს ხრის) ო! (თავანუელი) ო, ცის განგებავ!

ჭოუ Fანი (განცვიფრებული) შ'ფინგ? რა, ეს შ'ფინგ-ია?!

ჭოუ ფუიუენ-ი (მოქანცული) არა, (ყელში ამოუვიდა) Fანი, მე შენ ტყავგაცლილს გცნობ, არ ღირს ყასიდად შეკითხვა. ეს ფინგ-იკოს დედაა, რომელიც 30 წლის წინ გარდაიცვალა.

ჭოუ Fანი ო, ღმერთო!

[დედაზე მიშტერებულმა ს'Fენგ-მა ნამოიყვირა. აქამდე სიჩუმე იყო. გადია ლუ თავჩაქინდრული ტრაგიკულად დგას. ჭოუ ფინგ-ი, შეშლილივით უყურებს ხან მამას, ხან კი გადია ლუ-ს, არ სჯერა რაც გაიგონა, რასაც ხედავს) Fანი თანდათანობით თავისი ვაჟისაკენ (ჩუნგ-ი) მიდის. დედობრივი გრძნობა და გონება უბრუნდება, თანაუგრძნობს ვაჟიშვილს და თავის საქციელს ნანობს

ჭოუ ფუიუენ-ი (დამძიმებული) ფინგ! მომიახლოვდი. შენი ღვიძლი დედა არ მომკვდარა, ის კიდეც ამ ქვეყნადაა.

ჭოუ ფინგ-ი მხოლოდ ის არა! მამა, მითხარი, მითხარი ის არ არის (როგორც ჭკუიდან შეშლილი)

ჭოუ ფუიუენ-ი (მკაცრად) ფინგ-იკო! სისულეებს ნუ ლაპარაკობ. მართალია მისი წარმომავლობა არასასურველია, მაგრამ ის მაინც დედაშენია.

ჭოუ ფინგ-ი (ენით აუნერელი სიმწარით) ო, მამა ეს ის არაა!

ჭოუ ფუიუენ-ი სულელო, სისულელებს ნუ ლაპარაკობ ფინგ-იკო, მომიხლოვდი (დამძიმებული)

ჭოუ ფინგ-ი ო, მამა, (ძალიან დამძიმებული)

ჭოუ ფუიუენ-ი (სერიოზულად) ნუ ფიქრობ, რომ შენ და ს'ფენგ-ს ერთი დედა გყავთ და ეს ძალიან უხერხულია, ეს ხომ შენი ღვიძლი დედაა.

ლუ ს.ფენგ-ი (ძალიან შეცბუნებული) ო, დე!

ჭოუ ფუიუენ-ი (დამძიმებული) ფინგ-იკო, მაპატიე. მე, მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე მხოლოდ ერთხელ შევცდი. არაფრით ვიფიქრებდი, რომ ის დღეს აქ გამოჩნდებოდა, მოვიდოდა. ვფიქრობ, ეს განგებულებით მოსჯილი ბედია (ამოიოხრებს, გადია ლუ-ს) დავბერდი, ვნანობ, რომ ცოტა ხნის წინ გითხარი წასულიყავი, მე ვნანობ, მე გადავწყვიტე მომეცა შენთვის 20 000 იუენ-ი ვერცხლით, რაკი მოხვედი, გამოგინერ ჩეკს და ბანკში აიღე. ჩვენი ვაჟი ფინგ-ი, კარგი ბიჭია, იცხოვრეთ ერთად, ის პატივსა გცემს. ჩემს დანაშაულს შენს წინაშე ის გამოისყიდის.

ჭოუ ფინგ-ი (გადია ლუ-ს) თქვენ, თქვენ თქვენ ჩემი...

ლუ შ'ფინგ-ი (უნებურად) ფინგ! (შებრუნდება, ქვითინებს)

ჭოუ ფუიუენ-ი დაიჩოქე, ნუ ფიქრობ რომ სიზმარში ხარ, შენ ხომ მან გაგაჩინა.

ლუ ს'ფენგ-ი (სრულიად შეშლილი, დედას) დე! ეს ხომ სიმართლე არ არის!

ლუ შ'ფინგ-ი (გაჩუმებული, ტირის)

ჭოუ ფანი (იცინის, ჭოუ ფინგ-ს) ფინგ, მე ამას არ ველოდებოდი, მე... (სინანულით)

ჭოუ ფინგ-ი (როგორღაც უცნაურად) მამა! (უცნაური, არაბუნებრივი ღიმილით შ'ფინგ-ს) დედა! (მიანიშნებს ს'ფენგ-ზე) ის...

ლუ ს'ფენგ-ი (ისიც გაოგნებული, იცინის, არ სურს დაიჯეროს) ო, განგებავ! განგებავ! (გარბის შუა კარიდან)

(ჭოუ ფინგ-ი ეცემა დივანზე, გადია ლუ-ს სული ეხუთება, დგას)

ჭოუ ფანი (აჩქარებით) ს'ფენგ! ს'ფენგ! (ჩუნგ-ს) დაინახე რა არანორმალური გამომეტყველება ჰქონდა, გაიქეცი, ნახე, სად წავიდა!

(ჩუნგ-ი გარბის, ძახილით „ს'ფენგ“!)

ჭოუ ფუიუენ-ი (უახლოვდება ფინგ-ს) ფინგ-იკო, რაშია საქმე?

ჭოუ ფინგ-ი ო, მამა! ჩემი გაჩენა ამ ქვეყნად არ იყო საჭირო! (გარბის სასადილოსაკენ)

[შორიდან ისმის ლუ ს'ფენგ-ი ს სასონარკვეთილი კვილი, ცოტა ხანში მამაკაცის, ჩუნგ-ის ასეთივე კვილი.] –

ლუ შ'ფინგ-ი და ჭოუ ფანი (ორივენი ერთდროულად ყვირიან „ჩემო ჩუნგ-იკო, ჩემო ს'ფენგ, მირბიან)

ჭოუ ფუიუენ-ი (ხელის კანკალით ფანჯრის ფარდას სწევს, აკანკალებული ხმით) როგორ? როგორ? ნუთუ მართლა? ნუთუ?...

[მსახური შემორბის შუა კარიდან

მსახური (სუნთქვაშეკრული) ბატონო!

ჭოუ ფუიუენ-ი ჩქარა, რაო?

მსახური (ჩქარობს, ხმას კარგავს) ლუ ს'ფენგ-ი ... ლუ ს'ფენგ-ი მოკვდა...

ჭოუ ფუიუენ-ი მეორე ბატონიშვილი (უსაზღვროდ აღელვებული) სადღაა?

მსახური ის... ისიც! მოკვდა!

ჭოუ ფუიუენ-ი (აკანკალებული ხმით) როგორ? არა, რო... როგორ? არა!

მსახური ლუ ს'ფენგ-ი შეეხო ელექტროსადენს, როგორც ჩანს მეორე ბატონიშვილმა არ იცოდა, სტაცა ხელი ასაყვანად, ორივე დანახშირებულია, დენმა დაჰკრა.

ჭოუ ფუიუენ-ი (თითქმის შოკში ვარდება) შეუძლებელია! ეს... ეს... შეუძლებელია... (ფუიუენ-ი ყვირის, გარბის მსახურთან ერთად)

[ფინგ-ი გამოდის სასადილოდან ფერწასული, მაგრამ მშვიდი, მიდის მაგიდისაკენ, სადაც დევს ტახაი-ს დატოვებული პისტოლეტი. მალაროში, გაფიცვის დროს მან განაიარაღა დაცვის ოთხი მცველი. უჯრიდან იღებს პისტოლეტს. ხელის კანკალის მიუხედავად მშვიდად მიემართება მამამისის კაბინეტისაკენ

[თანდათანობით ახლოვდება ხალხის ჩოჩქოლის, ნივილ-კვილის ხმა. გადია ლუ მთლად გაფითრებულია, ნიღბის მსგავსი უმეტყველო სახით შემოდის შუა კარიდან. მას ფეხდაფეხ მოსდევს მოხუცი მსახური

ფარნით ხელში)

[(გაღია ლუ ანგარიშმიუცემლად დგება ოთახის შუა გულში გაქვავებული)

მოხუცი მსახური (ამშვიდებს) ხანდაზმულო ქალბატონო! ნუ დუმხართ! ასე არ შეიძლება, იტირეთ!
იტირეთ! გული მოიოხეთ!

ლუ შ'ფინგ-ი არ შემოძლია, ვერ ვტირი.

მოხუცი მსახური მაგრამ საჭიროა, ეს განგების მონოდებაა! ვერაფერს გააწყობთ. მაგრამ თქვენთვის
ტირილი აუცილებელია.

ლუ შ'ფინგ-ი არა, ჩემთვის უმჯობესია სიჩუმე (ისევე გაქვავებულია)

[შუა კარი ფართოდ იღება. ფანი-ს გარშემო მსახურებია თავშეყრილი, ფანი-ს გამომეტყველებას ხან
სიცილი, ხან კი ტირილი ცვლის)

მსახური (გარედან) შემობრძანდი, ქალბატონო! ნულა უყურებთ.

ჭოუ ფანი (მისი გარემოცვა მოაცილებს, კარებს აწვებიან. კარის ჩარჩოს ეყრდნობა, არაბუნე-
ბრივად იცინის) ჩუნგ-იკო როგორ დაგიღია პირი? იცინი? ჩუნგ-იკო, ჩემო ჩერჩეტო!

ჭოუ ფუიუენ-ი (მიდის შუა კარისკენ თვალცრემლიანი, ფანი, შემოდი! ხელი წამერთვა! შენ კიდე
ნუ უყურებ!

მოხუცი მსახური ქალბატონო, მიბრძანდით, ახლა ვერაფრით უშველით. დანახშირდენ ისინი, ვერ
უშველით.

ჭოუ ფანი (კარში შედის, უცრემლოდ მოსთქვამს) ჩუნგ-იკო, შვილო! სულ ახლახანს იყავი
სიცოცხლით სავსე, მრთელი! და ახლა! როგორ, როგორი მკაცრი სიკვდილია, როგორ შეიძლება ასე მომხ-
დარიყო? (გაქვავდა)

ჭოუ ფუიუენ-ი (შემოსული ცრემლს ინმენდს) ცოტა დამშვიდდი .

ჭოუ ფანი (გიჟის სიცილით) ო, ჩუნგ-იკო, შენ უნდა მომკვდარიყავი, უნდა! ასეთი დედა, რო-
გორც მე ვარ! უნდა მომკვდარიყავი!

(გარედან ისმის როგორ ეჩხუბებიან მსახურები ტახაი-ს)

ჭოუ ფუიუენ-ი იქ ვინ არის? ვინ არის ჩხუბის მოთავე? ასეთ დროს?

[მოხუცი მსახური მიდის რომ გაიგოს, იქვე შემოდის სხვა მსახური

ჭოუ ფუიუენ-ი იქ რა ხდება?

მსახური ბატონო, ისევე ის არის, დილით რომ იყო, ლუ ტახაი, ისევე ის, ისევე ჩხუბობს!

ჭოუ ფუიუენ-ი უბრძანეთ შემოვიდეს!

მსახური ბატონო, ხელებით, ფეხებით ჩხუბობს, რამდენიმე მცველი დაჭრა, პატარა კარიდან

გაიქცა.

ჭოუ ფუიუენ-ი გაიქცა?

მსახური დიახ, ბატონო.

ჭოუ ფუიუენ-ი (ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, მოულოდნელად) ო, გაეკიდეთ, დაენიეთ, დაენიეთ.

მსახური გავიგეთ.

[ყველა მსახური ერთად გარბის, რჩებიან მხოლოდ სამნი – ფუიუენ-ი, ლუ შ'ფინგ-ი, ჭოუ ფანი

ჭოუ ფუიუენ-ი (ტრაგიკულად) ერთი შვილის დაკარგვით არ უნდა დავკარგო მეორე!

[ერთი მეორის მიყოლებით სხდებიან

ლუ შ'ფინგ-ი დაე გაიქცეს! მისთვის უკეთესია წასვლა. მე ამ ბავშვს კარგად ვიცნობ, ის შენ ვერ
გიტანს და ისე გამძვინვარებულია, საეჭვოა, რომ ის შენს დაძახებას დაემორჩილოს და დაბრუნდეს.

ჭოუ ფუიუენ-ი (მშვიდად, თვითონაც გაკვირვებულია) ჩვენზე წინ ახალგაზრდები დაიხოცნენ, უს-
ამართლობაა, თეთრთმიანები აცილებენ შავთმიანებს, დავრჩით ჩვენ, მოხუცები მარტონი (მოულოდნელად)
ფინგ-იკო სადღაა? ფინგ-იკო, ფინგ-იკო! (პასუხი არაა) მსახურო! აქეთ! არ მპასუხობს, წადით მოძებნეთ,
დაუძახეთ ფინგ-იკოს! სად არის ჩემი უფროსი ვაჟი?

[ბედის ირონიით, როგორც პასუხი, კაბინეტიდან გაისმის გასროლის ხმა

ჭოუ ფანი (პირველმა უცბად გააცნობიერა) ა! (ელვის სისწრაფით შერბის კაბინეტში. ღრია-
ლებს როგორც ცოფიანი, გამორბის ყვირილით ის... ის..)

ჭოუ ფუიუენ-ი ის... ის...

[ფუიუნენ-ი და Fანი ახლა ერთად შერბიან კაბინეტში.

[გადია ლუ აუჩქარებლად, როგორც თავრეტდასხმული დგება. ცდილობს ორი ნაბიჯი გადადგას კაბინეტისკენ, სცენის შუა გულს რომ მიაღწევს ძალაგამოცლილი მუხლებზე ეცემა. ზუსტად ისე, პიესის დასაწყისში ქალბატონი რომ დაეცა.)

[სცენა თანდათან ბნელდება. ისმის ბახის... იგივე მუსიკა, როგორც შესავალში. ხმა შორიდან ახლოვდება, სცენის ჩაბნელებასთან ერთად, როგორც შესავალში, ფარდა ეშვება, შემდეგ აიხდება. პიესა დასასრულისკენ მიდის)

ეპილოგი

[იხდება ფარდა, სცენაზე სიბნელეა. ისმის ეკლესიიდან გუნდის გალობის ხმა, ორგანის თანხლებით. სრულდება მესა)

[უმცროსი ძმის ხმა: დაიკო, ნადი რა, ჰკითხე.

[დის ხმა: (ჩუმად) არა, ნადი, შენ ჰკითხე.

[სცენა ნათდება. დეკორაცია პროლოგის დეკორაციის მსგავსია, დრო ბრუნდება ათი წლის წინანდელ 30 დეკემბერს. მოხუცი ქალი (გადია ლუ) ეს-ესაა დაეცა. მის სიახლოვეს დგას და).

და მიდი, შენ თვითონ ჰკითხე.

ძმა არა, მეშინია, შენ მიდი, ჰკითხე! (დას მუჯღუგუნსა ჰკრავს, გუნდის ხმა სუსტდება)

[I მოლოზანი მოლოზანი ხედავს ნაქცეულ გადია ლუ-ს, აღელვებული მიიჭრება ასაყენებლად

[II მოლოზანი (აყენებს) ადექით! ბები ლუ, ადექით! (მიჰყავს ღუმელისკენ, დასვამს, უახლოვდება დას) ოი, პატარავ, შეგეშინდა? დედათქვენი ეზოში გელოდებათ. დაიკო, აბა ნაიყვანე ძამიკო და ნადით!

და გმადლობ, პატივცემულო (ძმას აცმევს)

II მოლოზანი გარეთ ყინვაა. ჩაიცვით.

და დიახ. მშვიდობით!

II მოლოზანი მშვიდობით.

[დას მიჰყავს ძმა, გადიან შუა კარიდან)

[II მოლოზანი მიემართება ბუხრისკენ, მოხუცებული ქალი ჭოუ-სკენ

[მარცხნიდან, სასადილოდან შემოდის I მოლოზანი)

II მოლოზანი ხედავ, (მიუთითებს ლუ-ზე) გამოვიდა.

I მოლოზანი (ჩუმად) ბატონი ჭოუ ახლავე ჩამოვა მის მოსანახულებლად. მე ნავედი.

II მოლოზანი კეთილი. მაგრამ დაიცა, (მიდის ოთახის კუთხისკენ, ქოლგას იღებს) ჩანს გათოვდება, ნაილე.

I მოლოზანი (ალერსიანად) გმადლობ (ართმევს, გადის შუა კარიდან)

(მოხუცი მარცხენა კარიდან შემოდის, ჩერდება, მიმოიხედავს)

II მოლოზანი (მიანიშნებს მოხუცზე) ის აქ არის!

მოხუცი ოი!

(პაუზა)

მოხუცი (გულისხმიერებით) აბა, ახლა ის როგორ არის?

II მოლოზანი (ამოიოხრა) ისევ ისე

მოხუცი ჭამის მადა როგორი აქვს?

II მოლოზანი ჭამს, მაგრამ ცოტას

მოხუცი (თავზე იკიდებს ხელს) აქლა?

II მოლოზანი (თავს აქნევს) ისევ ვერავის სცნობს

(პაუზა)

II მოლოზანი თქვენი მეუღლე მეორე სართულზე უკვე მოინახულებ?

მოხუცი (უნებურად) დიახ

II მოლოზანი (ცდილობს გაამხნეოს) ამ ორიდან ეს ხომ მაინც უკეთესადაა?

მოხუცი დიახ, ეს ასეა (მიანიშნებს მასზე) ამ დღეებში არავინ მოსულა მის სანახავად?

II მოლოზანი მის ვაჟს გულისხმობ?

მოხუცი დიახ, ერთი ჰყავს, გვარად ლუ, ეძახიან ტახაი-ს.
 II მოლოზანი (თანაგრძნობით) არა, არა, ძალიან მეცოდება, ოცნებობს მის ნახვაზე, როგორც კი
 დღესასწაული დგება, მთელი საღამო ფანჯარას არ სცილდება
 მოხუცი (გულგატეხილი) ვშიშობ, ვშიშობ, რომ ის უკვე აღარაა ცოცხალი (თითქოს თავის
 თავს ელაპარაკება)
 II მოლოზანი რატომ? (იმედიანად) არა მგონია
 მოხუცი (თავს აქნევს) ათი წელია რაც დავეძებ, მის ჩრდილსაც ვერ მივაკვლიე.
 II მოლოზანი ასე მგონია, ვაჟი თუ დაუბრუნდება, გამოჯანმრთელდება, გონება დაუბრუნდება.
 მოხუცი (მიდის ლუმელისაკენ) შ'ფინგ!
 [მოხუცი შემობრუნდება] უყურებს არაფრისმთქმელი გამომეტყველებით, მიდის ფანჯრისკენ.
 II მოლოზანი გაუშვით, ნავიდეს, ნუ დაუძახებთ.
 [მოხუცი უახლოვდება ბუხარს, ცეცხლის ალს ჩაშტერებია, ისმის ბავშვების ჟრიაშული, შუა კარიდან
 ყვირილ-ხივილით შემორბიან ბავშვები)
 და (ძმას) აქ! აუცილებლად აქ!
 ძმა (ტირილით) აბა რა, აქ!
 II მოლოზანი (გახარებულია ბავშვებმა სიჩუმე რომ დაარღვიეს. მიმართავს ძმას) რა გატირებს?
 ძმა (ქვითინებს) ხელთათმანები დავკარგე! თოვლი მოდის, ხელთათმანები კი არ მაქვს,
 ჩემი ახალი ხელთათმანები დავკარგე.
 II მოლოზანი ნუ ყვირი, პატარავ, მოგეხმარები მოძებნაში.
 და ერთად მოვძებნოთ
 [სამივენი ეძებენ მარცხენა კუთხეში
 II მოლოზანი (დას) იპოვეთ?
 და არა!
 ძმა (აძვრა ტახტზე, უცბად ჩამოხტა, აქაა, აქაა! ხელთათმანებს იქნევს) დედა, აქ არის,
 ვიპოვეთ. (გარბის)
 II მოლოზანი (შეჰხარის) კეთილი, ნადით, ნადით!
 (პაუზა)
 და პაპიდა, დიდი მადლობა (განმარტება: ჩინეთში ქრისტიან მოლოზნებს მიმარ-
 თავდენენ როგორც პაპიდას).

(და გადის შუა კარიდან. მოლოზანი ხურავს კარს)

მოხუცი (თავს მაღლა სწევს) რაო? თოვლი ისევ წამოვიდა?
 II მოლოზანი დიახ (მშვიდად თავის ქნევით ეთანხმება ჭოუ ფუიუნენ-ი)
 (მოხუცმა ისევ შეხედა ფანჯარასთან მდგომ მოხუცს, შემოტრიალდა, ჩაჯდა სავარძელში ბუხართან
 ახლოს. არაფრისმთქმელი სახით მიაშტერდა ცეცხლის ალს, ამ დროს II მოლოზანი ჯდება დივანის მარცხენა
 მხარეს, ბიბლიით ხელში.
 სცენა თანდათანობით ბნელდება. ფარდა ეშვება)



ტრამალი

原野



მომქმედი პირნი

ჩოუ ჰუ - გამოქცეული კატორღელი

პაი შად'-ი - შერეკილი პაი

ნიაო ტასინგ-ი - ნიაო ენვან-ის ვაჟი, ჯოჯოხეთის მბრძანებლის ვაჟი

მოხუცი ნიაო მუ - ნიაო ენვან-ის მეუღლე

ჰუა ნინწ'-ი - ჩოუ ჰუს ყოფილი საცოლე, ნიაო ტასინგ-ის ცოლი

ჩან უ - ნიაოების ოჯახის ახლობელი მოხუცი

ნიაო ენვანი - ჯოჯოხეთის მბრძანებელი, ყოფილი სამხედრო მოხელე

პროლოგი

შემოდგომის მწუხრი

თვალუწვედენელი დედამინა წყვდიადში ინთქმება, მაგრამ სიცოცხლე არ წყდება, დულს. მინის სურ-ნელოვანი ამონასუნთქი თავის წიაღში ყველას ასულდგმულებს... და ამიტომაც, რომ, ნორჩი თუ ბებერი ფესვები მძიმედ და ლალად მიიწვევენ დედამინის გულისაკენ და მის სიყვარულს ღეროებით, ფოთლებითა თუ ნაყოფით ჰფენენ მთელ არემარეს. ეს უშველებელი ხე კი, პრომეთეს მსგავსად, მთელი თავისი უშრეტი ენერჯითა და დედამინის მარწუხებში მოქცეული ღონიერი ფესვებით, კუს ჯავშნისმაგვარი შესამოსელითა და ცისკენ ლალად აწვდილი ტოტებით, სიამაყესა და სიდიადეს, სიმკაცრესა და წინააღმდეგობას, შიშსა და ნაღველს შეგაგრძნებინებთ. ..

მთვლემარე ტრამალის მყუდროებას დროდადრო, ხის შორიახლოს, გუბეში მოყიყინე ბაყაყები და რკინიგზის ლიანდაგებზე დრაკონივით განოლილი მოძრავი მატარებელი თუ არღვევს, რომელიც ადამიანთა სიხარულსა და ჭირს, სასოებასა და უიმედობას დააქროლებს. სამაგიეროდ, ბორბლებიდან გადმოცვენილი ნაპერწკლები შემოდგომის მწუხრით შეცივებულ ტრამალს გულს უთბობს

ზეცა კამეჩისფერი, სხვადასხვა ცხოველების მსგავსი ღრუბლებით ივსება და შორს, ცის დასასრულში გაჩენილ ღრეჩოში, მენამულის ფერი მთიების ანარეკლს გულზე ლოდებივით აწვება. შუბლშეკრული ტრამალი კი დუმს.

შორს მოჩანს ძველებური სახლი, საიდანაც გამოკრთის სუსტი შუქი.

მოქმედების დასაწყისი

მწუხრმა მოიცვა დედამინა

სცენაზეა ჩოუ ჰუ. უშველებელ ხეზე მიყრდნობილი, მძიმედ და წყვეტილად სუნთქავს. ცდილობს ზედმეტად არ იხმაუროს. მოყიყინე ბაყაყები და ამღერებული ჭრიჭინობლები აიძულებენ ქვას წამოავლოს ხელი. ყიყინ-ჭრიჭინს მატარებლის საყვირის ხმა შთანთქავს. ჩოუ ჰუ იჩოქებს და ქუსლებზე ჯდება. ჩოუ ჰუ ქვას ცივად აგდებს. ჭუჭყიან ფეხს, მეორე ტერფით ინმენდს, რაც ბორკილების ხმაურს ინვევს. ლოდს სტაცებს ხელს და ბორკილებზე ირტყამს, მაგრამ ამაოდ. ხელიდან სისხლი სდის. ბორკილებთან ჭიდილში ოფლად იღვრება. სისხლიანი ხელით შუბლს ინმენდს. უცბად, ნადირივით ღრიალებს, ქვას ცივად აგდებს და დუმდება. დიდხანს არ გრძელდება მისი გარინდვა. უშველებელი ტორებით ბორკილებს ებლაუჭება, თითქოს

უკანასკნელად ცდილობდეს მისგან გათავისუფლებას. არაქათგამოცლილი, იმედაკარგული, ოხვრა-ხვნე- შით ცას აშტერდება.

შორიდან ცხვრების ბაკი-ბუკი ისმის. მწყემსი ე-ე-ს ძახილით ფარეხში ერეკება. ჩოუ ჰუ წამიერად ქვავდება, ყურს უგდებს, მოულოდნელად ჯოჯოხეთიდან გამოქცეულივით წამოხტა, (მაყურებლისაკენ), თმააბურძღნული, საფეთქლებამდე განოლილი ხშირი წარბებით, ზიზლით, მრისხანებით და ტკივილით ანთე- ბული თვალებით გოლიათის მსგავსი სხეულიდან, აბობოქრებული სულის გამოხსნას ცდილობს. ცალი ფეხით კოჭლობს, თუმცაღა ორივე ფეხი მოწყვეტილი რკინის ბოძებს მიუგავს. აცვია მავთულხლართებზე ჩამოხეუ- ლი, ერთი მეორის მიჯრით ჩამორიკრიკებული მიწნულ-მოწნული ღილებიანი პერანგი. მოუჩანს ბანჯგვლიანი ღონიერი მკერდი. წელზე მჭიდროდ არტყია შავი ტყავის ფართე ქამარი. ფეხის წვერებზე ინევა სულ უფრო ახლოს ისმის ცხვრების ბლავილი და მეცხვარის ალგზნებული უაზრო შეძახილები – თიჩი-ქაჩა, თიჩი-ქაჩა, ტუ-ტუ-უ. მეცხვარის გამოჩენაზე ჩოუ ჰუ გუბის დამრეცი ნაპირისაკენ ხტება და თვალს ეფარება. მეცხვარე გვარად პაი. ზედსახელად კოუტან-ი (ძალის კვერცხი) შერეკილი, ხტუნვა-ხტუნვით მოჰყვება ღიანდაგებს, ხელში წნულებით სავსე კალათითა და მხარზე გადებული ცულით. პირისახე მრგვალი, ვირთხის მსგავსი თვალებითა და ძალისებური ბრტყელი ცხვირით, დროდადრო ჩამოვარდნილი ნიკაპითა და პირში გემრი- ელის მოხვედრის მოლოდინში მოჭარბებული დორბლით. 20 წლისაა. შეფარებულია შორეულ ნათესავებთან.

პაი (ალგზნებული შემორბის სცენაზე, თითქოს მატარებელია, ხელებს ფრთებევით იქნევს) ტუ-ტუ-ტუ მოდის მატარებელი... (უცბად ფეხი უცდება და ეცემა. კალათიდან წნულები ებნევა, ცული კი ღიანდაგებ ქვეშ უვარდება. საჯდომზე იტაცა ხელი, მიხედ-მოიხედა, რომ ვერავინ დაინახა დაილ- რიალა. ნატკენი ადგილი გაიზილა, შეუბერა, როგორც ეს უფროსებს სჩვევიათ და რამდენჯერმე გაიმეორა) ციდან მონაბერი სულია (მსუბუქად წაიკრა საჯდომზე ხელი) კეთილი, აღარ მტკივა, გაუყვი გზას. (დამშ- ვიდებული და გამხიარულებული ისევ მატარებლად იქცა, რკინიგზიდან საურმე გზაზე ჩამოვიდა. წინ და უკან უ-უ-სა და თიჩი-ქაჩას ძახილში. რამდენჯერმე კიდევ ნაიქცა. შორიდან მატარებლის საყვირმა შეაცბუ- ნა, წამიერად გაშეშდა, მიიბრინა ღიანდაგებთან, მათ შორის განვა, ყურით მიწას გაეკრა, თვალდახუჭული რალაცის გაგების მოლოდინში). ა-ა-ა! (უნებურად იცინის).

(მინაყრილიდან ჩოუ ჰუ წამოიზიდა, მიუახლოვდა შერეკილ პაი-ს, ფეხის წვერით თავზე შეეხო)

ჩოუ შენ ეი! რას აკეთებ?

პაი (თვალდახუჭული) ვუსმენ მატარებლის ხმას! (კმაყოფილი სახით რიტმულად ტამ- საც აყოლებს, ჩოუ-ს არც უყურებს, ერთ ხელს ითავისუფლებს და იქნევს) არ.... არაა შენი საქმე...

ჩოუ (ფეხით პაი-ს საჯდომს ეხება) ე...ე, არ გესმის?

პაი (ფეთქდება) ნუ ხმაურობ! (ხელის ქნევით) ნუ ხმაურობ! ყური დაუგდე!

ორთქლმავალი (ღიანდაგებზე მიუთითებს) ორთქლმავალი! თიჩი-ქაჩა, თიჩი-ქაჩა.. (კმაყოფილი თავს სწევს ზევით, ხელახლა ეშვება განცდის მორევში)

ტუ....ტუ! (ბუტბუტებს) ე..ე, მატარებელი მიდის შორს, უფრო შორს, ტუ.. ტუ! (ისევ ემხოზა ღიან- დაგებს ყურით).

ჩოუ ადექი! (პაი-ს არ ეყურება), წამოდექი! (არ ეყურება, უფრო ხმამალა) ადექი შე სამგლევე, ემპაკსაც წაუღიხარ! ფეხით ისე ძლიერად ურტყამს, რომ ლამის თვითონაც მიჰყვეს თან)

პაი მინაყრილის ქვემოდან ვარაუდით იღებს ცულს, მეორე ხელს საჯდომის მტკივნეულ ადგილს უსვამს, არ იცის რა უპასუხოს. ჩოუ-ს აშტერდება) შენ.. შენ მკრავდი ფეხს?

ჩოუ (გაბოროტებული უღიმის, დასტურის ნიშნად თავს უქნევს) დიახ! მე ვიყავი. (ერთი ფეხით მეორე ფეხის წვივს იფხანს, რასაც ბორკილების უსიამოვნო ხმაურიც მოჰყვება) აქ რას აკეთებ, რა გინდა?

პაი (ნაბიჯით უკან იხევს) მე.. მე... არაფერი.

ჩოუ (ზიზლით) მხედავ?

პაი (შიშით) ვეჭვობ.. არც ისე კარგად.

ჩოუ (გამოდის ჩრდილიდან, ცისკენ აქვს მიპყრობილი სახე) შემომხედე! ახლა მხედავ?

პაი (შეშინებული, ჩააშტერდება და მთელი ძალით ყვირის ა...ა! დედა (ცულმომარჯვე-

ბული გარბის)

ჩოუ (დამეხილვივით) გაჩერდი!

პაი (დამბლადაცემულივით, დადორბილი, თვალების ხამხამით ჩერდება)

ჩოუ (გაბოროტებული) უ..შენი დედა! რას გარბიხარ!

პაი (თავს იმართლებს) მე.. მე არ გავრბოდი!

ჩოუ (გაგულისებული მკერდზე ხელს ირტყამს) კარგად შემომხედე! არავის არ გაგონებ?

პაი (მიაშტერდება) მაგონდ... ჰო... ა... იცი...ვისა... (თავს იფხანს) ისე.. (თავს აქნევს

უარის ნიშნად) ისე, კაცმა რომ თქვას, ადამიანს არა ჰგევხარ!

ჩოუ (შეცბუნებული ილიმება, ხმაში სიბრალული ეპარება) მე, მახინჯი ვარ, არა? ჩემი შემხედვარე კაცს შეეშინდება?

პაი (თვალეზგადმოკარკლული, სალად მოაზროვნე ადამიანივით) შენ.., მახინჯი ხარ, არა, არა..საფრთხოებელაც არა ხარ, მაგრამ...

ჩოუ (გალიზიანებული) ვინა სთქვა, რომ მახინჯი არა ვარ?

პაი (დაუფიქრებლად) ჰო.. ჰო.. მახინჯი ხარ, ეშმაკივით.

ჩოუ ესე არა, (პაი-საკნ, ბორკილების ხმაურით) ეშმაკმაც წაგიღოს (ეძახის).

პაი (კოჭლობს) არა.არა..არ მომიახლოვდე, მე თვითონ მოვალ.

ჩოუ კარგი!

პაი (ეჭვნარევი შიშით, ფეხებს ძლივს მიათრევს) შენ. ეს საიდან?

ჩოუ ქვეყნის დასალიერიდან!

პაი (ლიანდაგებზე მიუთითებს) ქვეყნის დასალიერიდან? დასალიერიდან? მატარებლით.

(ნელა) თიჩი ქაჩა, თიჩი ქაჩა, ტუ..ტუ..ტუ (ორთქმავალს ბაძავს, წინ და უკან დარბის).

ჩოუ (ხვდება, პაი-ს უყურებს, შეცბუნებული იღიმება) ჰო... თიჩი-ქაჩა თიჩი-ქაჩა (პაი-სავით ამოძრავებს ხელებს, მისკენ მიემართება) ტუ.. ტუ..ტუ...სწრაფად წინ, უკან ნელა, (მატარებლები ეჯახებიან ერთმანეთს უცბად ჩოუ პაი-ს სტაცებს მაჯაში ხელს და თავისაკენ მიათრევს) მომიახლოვდი!

პაი (სიმწრისაგან გამოთავისუფლებას ცდილობს, ღმუის) ვაი! ვაი! დედი, არ გამოგყვები, არა!

ჩოუ (ჩაშტერდა) კარგი. შენ თიჩი-ქაჩა, მე კი ტუ.. ტუ. (მიარტყა მკერდზე, პაი-მ დაიყვირა, ზანტად) ტუ.. ტუ...(გაბოროტებული მომეცი ცული!

პაი (შეშინებული) არა, ჩემი არაა

ჩოუ (გამოსტაცებს) მომეცი!

პაი (ცდილობს გააგებინოს) მე.. მე..(გამწყრალი, თვალებით ანიშნებს) არ მითქვამს, რომ არ მოგცემ მეთქი.

ჩოუ (ცალ ხელში ცული, მეორე ხელით ბორკილებზე ანიშნებს)! ხედავ?

პაი (კისერს იგრძელებს,მთელი ძალ-ლონით, დასტურის ნიშნად თავს უქნევს), ჰო...

ვხედავ.

ჩოუ რა არის ეს, იცი?

პაი (შეხედა, ცინგლებს ინმენდს, თავს იქნევს) არა, არ ვიცი.

ჩოუ (აჩვენებს) ეს სამაჯურებია, თანაც ოქროსი.

პაი (იმეორებს) სამაჯურები, ოქროსი!

ჩოუ ჰო! (ფეხს აჩვენებს) გამინყვიტე (ფეხს უწევს), თუ მომაცილებ დაგასაჩუქრებ, შენ წამოგაცმევ!

პაი მე? (თავს აქნევს) არა, არ მინდა!

ჩოუ (ცულს ართმევს, აყენებს) გინდა თუ არა?

პაი (თვალეზის ხამხამით) მინ.. მინდა.

ჩოუ (ლიანდაგებზე ჯდება), მომიახლოვდი! თუ ვისმესთან დაგცდება სამაჯურებზე რამე, ამ ცულითვე აკუწნავ!

პაი (ვერ ხვდება რას ეუბნება) ჰო! ჰო! კარგი, (ცულს იღებს)

ჩოუ (ორივე ხელით შპალებს ჩაჭიდებული ფეხებგაჭიმული ლიანდაგებზე ზის) დამარტყი.

პაი (ძლიერად ურტყამს ერთხელ, ორჯელ, ჩერდება, ფიქრობს) მაგრამ, ეს ცული.. ეს ხომ არ არის შენი!

ჩოუ (მოუთმენლად) ვიცი, ვიცი!

პაი ჰოდა სხვისი ცულით როგორ ამკუწნავ? (დგება)

ჩოუ (წამოხტა, ცულის წართმევას ლამობს) ვაი დედაჩემო, ჭკუანაკლული, შე ძაღლის ნაშიერო, ბორკილებს მომაშორებ თუ არა? (შორიდან ისმის ცხვრების ბლავილი).

პაი (შეშინებული) არ მითქვამს არ დაგინყვეტავ მეთქი (ცულს იღებს, ჩოუ ჯდება, პაი კი ბორკილებზე ურტყამს. გუბიდან ბაყაყების ყიყინი ისმის, გაკვირვებით უყურებს ჩოუ-ს) ე.., საიდან გაიგე ჩემი სახელი?

ჩოუ რა?

პაი პაი შერეკილიცა ვარ, ძაღლის ნაშიერიც და კუს კვერცხიც. (კმაყოფილებისაგან იღიმება და სასიამოვნო შეგრძნება ეუფლება) ჰი.. ჰი.. (ზურგს იფხანს).

ჩოუ არ მეგონა თუ ვერ გიცნობდი, პაი შერეკილი ხარ? რომელი სახელი უფრო მოგწონს? (პასუხს არ ელოდება, ბურღლუნებს)

პაი არც ერთი არ არის ცუდი! მაგრამ მე მაინც ძაღლის ნაშიერი, ძაღლის კვერცხი მომწონს. საწყალი დედაჩემი მეძახდა. ამბობდა ამ ბაღს პირისახე ძაღლს მიუგავს, ძაღლის კვერცხი დავარქვათ, ჩქარა გაიზრდებო, გესმის? ჩემი პატარაობის სახელია. (საჯდომზე ირტყამს ხელს) ჰი-ჰი (იციანის,

ცინგლებს იწმენდს)

ჩოუ (მოულოდნელად) მიცანი?
პაი (უყურებს და თავს იქნევს) ვერა. (ცულს დებს) შენ რა, მცნობ?
ჩოუ (წამიერი შეყოვნების შემდეგ ცივად პასუხობს) არა, (გალიზიანებული) ჩქარა, დაჰ-
კარ, სისულელეებს ნუ ბოდავ! უფრო მაგრად!
პაი უკვე ბნელდება! მიჭირს შენი სამაჯურების დანახვა.
ჩოუ უჰ შენი..! ძალის შვილო! მომეცი ცული!
პაი (დგება) მოგცე? (იღებს) არა, არ შემიძლია, ცული უფროსი დეიდა წიაო-სია.
ჩოუ რა? (დგება)
პაი (დაალო პირი და ენა გამოუყო), ჰოო, უფროსი დეიდა წიაო-სი, თუ დროზე არ მივუ-
ტან ამკუნავს. (დეიდა წიაო-ს სხენებაზე გათამამდა) თუ ცულს წამართმევ შენც ზედ მიგაყოლებ. (ცდილობს
შეაშინოს და ხელით კისერზე ანიშნებს, ვითომ სჭრის) აი ასე, ქაჩ..ქაჩ.. შეგეშინდა?

ჩოუ ბრუციანი ბებერი?
პაი (უფრო სერიოზულად) ჰო, ბრუციანი, ბრუციანი და გესლიანი.
ჩოუ ჯერ არ ჩაძალღებულა?
პაი (გაკვირვებით) არა, შენ რა, როდისმე გინახავს?
ჩოუ (მოლუშული) მინახავს (უცბად პაი-ს სწვდა იდაყვში) ბებერი წიაო?
პაი (თვალეები დააჭყიტა) ბებერი წიაო?
ჩოუ ბრუციანის ქმარი, ზედსახელად „ჯოჯოხეთის მბრძანებელი“
პაი (თითქოს რაღაცას მიხვდა) ჰო... „მბრძანებელი წიაო“ (სხვათა შორის) მბრძანებელი

დიდი ხანია სამარეშია.

ჩოუ (გაოცებისაგან ენა უვარდება) რა?..... (დგება)
პაი მოკვდა, დავმარხეთ, მიწაშია, მიწაში.....
ჩოუ (გაბოროტებული) რა? მიწაშია?
პაი (აინუნშიაც არ მოაქვს) ორი წლის წინ.
ჩოუ (მოლუშული) მოკვდა! როდესღაც ჯოჯოხეთის მბრძანებელიც წვება სამარეში!
პაი (ღმერთმა იცის ვისგან გაუგონია) დედისშობილები მოვდივართ, ესევე მივდივართ..

ადრე თუ გვიან ყველა მოკვდება, არა?

ჩოუ (განბილებული) ტყუილად ჩამოვედი, ტყუილად.
პაი (გაოცებული) შენ, ჯოჯოხეთის მბრძანებელთან? რისთვის?
ჩოუ (უცბად გაბოროტებული შემობრუნდა) როგორ თუ მოკვდა? არ დამიცადა, არა?

(ტკეპნის ერთ ადგილს, ბორკილები არაამქვეყნიურ ხმას გამოსცემენ) არ დამელოდა! (ტურების კვნიტით) მამ
არ დამელოდა! წაგვართვა მიწები, დაგვიწვა სახლი, დაგვიღუპა მთელი ოჯახი, დამწამა ავაზაკობა და გად-
ამცა სასამართლოს, სადაც ცემით დამაკოჭლეს, ექვსი წელი ვიჯექი, შენ კი იმალებოდი, გესლს ანთხევდი
ჩვენს ოჯახზე, ეხლა კი, როცა ჩამოვედი, გაფშიკე ფეხები და ჩაძალღდი?

პაი (დაუფიქრებლად, იძულებით)... მოკვდა.
ჩოუ (მუშტს უღერებს) უჩუმრად მოკვდა. (აღზნებული) როგორ გაბედე ჩემს გარეშე

სიკვდილი, ბებერო წიაო! მე მაინც ჩამოვედი, ჯოჯოხეთის მბრძანებელი ეწვან! ამოგვხოცე! მეც მაქვს
უფლება შური ვიძიო! ამოგთხარო თვალები. თუ გიფიქრია რა ჰქენი? გაგითხარეს სამარე, მშვიდად წევხარ
და აღარაფერი განუხებს, იაფად გამოხვედი

პაი (გაუგებრად) რას ბურღლუნებ? მოგცე ცული სამაჯურების გასაწყვეტად თუ არა?
ჩოუ (გამოფხიზლდა)–ჰო... მიწა (უცბად იფეთქა) დაჰკა მეთქი!
პაი (სიჩქარით) ჰმ! (დორბლი ჩამოსდის) ცულს იღებს.

ჩოუ მისი ვაჟი?
პაი ვინ?

ჩოუ ეწვან-ის ვაჟი – წიაო ტასინგ?
პაი (ვერ მიხვდა) წიაო ტასინგ?

ჩოუ ჰო.. წიაოტა
პაი (გონს მოვიდა) ააა, ეხლახანს მოიყვანა ქალი ბავშვის გასაზრდელად.

ჩოუ სხვა ცოლი მოიყვანა?
პაი (იღიმება, თეთრი კბილები მოუჩანს) ახალგაზრდა, ლამაზი, წინწ-ი ოქრო.

ჩოუ (შეშლილივით) წინწ-ი, წინწ-ი - ოქრო!
პაი რაო, იცნობ ? წინწ-ს თუ წიაოტა-ს

ჩოუ (სიმწრის სიცილით) ძველი მეგობრები, (ფიქრებში მიდის) ბავშვობიდან ერთად შეზ-

რდილები ვართ (ხელით აჩვენებს).
პაი მამ დაუძახებ (ხელს იშვერს შორს, განმარტოებით მდგარი სახლისაკენ) იქ ცხოვ-

რობს (გარბის).

ჩოუ (გაბოროტებული) დაბრუნდი!

პაი ა..ა. რისთვის?

ჩოუ (ხელს უწვდის) მომეცი ცული!

პაი ცული?

ჩოუ მე თვითონ მოვუვლი ამ სამაჯურებს, მათ რძალს წამოვაცმევ.

პაი (ჯიუტად) ცული ხომ ბებერი წიაოსია.

ჩოუ (არც აინტერესებს როდის დაამთავრებს ლაპარაკს, მისკენ იწევს და ცულის გამორთმევას ცდილობს) მომეცი!

პაი (ენინააღმდეგება, თავს კისერში მალავს, ჩოუ არ უთმობს)

ჩოუ (წართვა, კისერზე დაადო, თავის ნაჭრით აშინებს) შე ძაღლის შვილო! (მარჯვენა მხრიდან ისმის ქალის ხმა, მამაკაცი ამშვიდებს).

პაი (სიმწრისაგან წითლდება) ვილაცაა, ვილაც!

ჩოუ ხელს უშვებს, აყურადებს) მართლა? ძაღლის კვერცხო, ადვილად დამისხლტი ხელიდან

პაი (რომ გამოთავისუფლდა კმაყოფილია) წავიდე?

ჩოუ (ისევ სტაცა ხელი) წახვიდე? ჩემთან წამოხვალ. მიათრევს გუბის მარცხენა მხარისაკენ, პაი ხან რას წამოჰკრავს ფეხს და ხან რას, ბურღულუნებს. ცოტა ხნის შემდეგ ისმის ბოროკილების მსხვერვის ხმა).

(ლიანდაგების მარჯვენა მხრიდან ორნი მოდიან – ქალი – ჰუა წინწ-ოქრო, გაგულისებული, გარინდულა, მორჩილება აღბეჭდია სახეზე, მოოქროვილი საყურეები უქანქარებს. პირისახე მეტად ლამაზი და მიმზიდველი აქვს. კუბრივით შავი თმები, მსხვილი დაბერილი ტუჩები, გრძელი წარბები, შეუპოვარი, მომხიბვლელი და ნათელი თვალები, სახე შესუქებული, ჯანმრთელი, მუქი ფერის კანი, ტანმორჩილი, მოქნილი მიხვრა-მოხვრით. მთლიანობაში საოცრად რომანტიული და ვნებიანი. წითელ ქურთუკში და შარვალშია გამოწყობილი. მძიმე და ხშირი თმები თავზე ერთ გუნდად უქცევია. ოქროს სამაჯურების ხმაური ფეხის ხმას ახშობს, დაბალი ტემბრის ხმით, მაგრამ მოსასმენად ძალზე სასიამოვნო. ოცდაათი წლის. მამაკაცი – წიო ტასინგ-ი პერანგის ამარა, უწვერულვაშო, თხელი შავი წარბებით, ოდნავ ჩავარდნილი თვალებით, გულლია გამომეტყველებითა და ღიმილით, ავადმყოფური ფერით, ნაღვლიანი, შუბლზე გველის წლოკივით განოლილი, ზოგჯერ მოძრავი მოლურჯო ძარღვებით, მარცხენა ყურზე, დიდი თითბერის რგოლი ჰკიდია-ჯოჯოხეთის მბრძანებლის, ნანისნანატრი ვაჟია. საშუალო სიმაღლის, მოციმციმე თვალებით, თავშეკავებული, დაფარული ტემპერამენტით. დედისადმი მონინებული, უყვარს თავისი ლამაზი ვნებიანი ცოლი. მის გამო, რძალ-დედამთილს შორის უსიამოვნებაა. ტასინგ-ი ორ ცეცხლშუაა.

დინჯი, საკმაოდ ფართო ნაბიჯებით, მსუბუქად მოაქვს მოზრდილი ფუთა, აცვია რუხი ფარჩის ყილღი, ჯიბეზე ჰკიდია ვერცხლის ჯაჭვიანი საათი. ახურავს წითელბურთებიანი შავი ქუდი. კანგაცლილი ხის ჯოხით ხელში, ფეხ-დაფეხ მოსდევს თავის ცოლს, წინწ-ს ოქროს.

ტასინგ-ი წინწ, ოქროვ!

წინწ-ი ყურადღებას არ აქცევს.

ტასინგ-ი (ხელს ჰკიდებს) წინწ, შეჩერდი!

წინწ-ი (ხელს ითავისუფლებს) რა გინდა!

ტასინგ-ი (ხვეწნით) რას დადუმებულხარ? ხმას რატომ არ იღებ?

წინწ-ი (გაგულისებული) ხმა ამოვიღო? ვინ მომცა ლაპარაკის უფლება?

ტასინგ-ი (თბილად) წინწ, ოქრო, კიდევ დაინყე? ვინ გაგაჯავრა?

წინწ-ი (რკინიგზაზე შეჩერდა) გამაჯავრა? ვინ გაბედავს ჩემს გაჯავრებას? წიო ტასინგის

ცოლს ვინ გაუბედავს?

ტასინგ-ი (ფუთას ძირს დებს) კეთილი. ნუ მელაპარაკები ასე. მითხარი რაშია საქმე, უფრო გულდამშვიდებული წავალ.

წინწ-ი (აღმაცერად გადახედავს ტასინგს) წახვალ? რისთვის მიდიხარ? გიჯობს დაბრუნდე და დედას მიესიყვარულო.

ტასინგ-ი (ვერ მიხდა) კიდევ დაგიშავა რამე?

წინწ-ი არა, მე არაფერი (დაცინვით) ოი, როგორი მორჩილი და საყვარელი შვილი ხარ წიოტ, მიდიხარ და დედაშენს ვერ ელევო – შვილო ჭამე, შვილო ეს ჩაიცვი, ბოლო არ უჩანს, რატომღაც გგონია, როგორც კი სახლის ზღურბლს გადააბიჯებ დედაშენს ვეფხვი ნააცუნცულებს, ალბათ ჯობია ისევ ჩვილი იყო (ხელით ანიშნებს) და ძუძუს სწოვდე.

ტასინგ-ი (შერცხვა, უხერხულობისაგან თავს იმართლებს) დედა... დედა ხომ უსინათლოა.

წინწ-ი (წინწის მოგებით კისერს იღრეცავს) ვიცი რომ უსინათლოა, (დაცინვით) ოი, წიოტა! ასეთი შვილი ძეგლის დადგმის ღირსია, გესმის? (განგებ) როგორც კი თქვენს ოჯახში შემოვედი, მაშინვე

ვაჟი უნდა გამეჩინა.

ტასინგ-ი (გაოცებული) ვაჟი გაგეჩინა? რას ამბობ?

ნინნ-ი (ქმარს შეავლო თვალი) რისი გეშინია, გამეჩინა ისეთივე ვაჟი, როგორც შენა ხარ.

დედას ხელის გულზე ატარებდა (განგებ მზერას არ აშორებს) რითია ცუდი?

ტასინგ-ი (უნდა რომ დაეთანხმოს, მაგრამ სიტყვას ვერ პოულობს) ნინნ, ზოგჯერ ენა გის-
წრებს, დედამ რომ გაიგოს, ხომ ისევ ატყდება...

ნინნ-ი (შეტევით) გეშინია, მე კი სრულებითაც არა! შენი თქმით დაუფიქრებლად ვისვრი
სიტყვებს და ერთ მშვენიერ დღესაც დედაშენს ვაჩვენებ სეირს.

ტასინგ-ი (მზრუნველობით) შენ... რას გულისხმობ?

ნინნ-ი (სიამაყით) რას ვამბობ? დედაშენისაგან ერთავად მესმის, ჯადოქარი, გაიძვერა,
აღრე თუ გვიან მართლა რომ გიღალატებ...

ტასინგ-ი (უკმაყოფილო) როგორ? მიღალატებ? ჩემი მიტოვება გინდა?

ნინნ-ი თუ ასე გააგრძელებ, მაშინ მე...

ტასინგ-ი (დგება, გაბიროტებული მიჯაში ჰკიდებს ხელს) ვისთან მიღალატებ?

ნინნ-ი (ტკბილად ეღიმება) ნუ ლელავ, ეგ როგორ იფიქრე, ჩემო კარგო, მშვენიერო ტას-

ინგ!

ტასინგ-ი (უნებლიეთ ეცინება) ნინნ, ოქრო, აქედან დედაჩემი, იქედან შენ, ვერაფერს ვახ-
ერხებ.

ნინნ-ი (უკმაყოფილო) ისევ დედა, დედაშენი არ გავინწყდება, ენას ვერ მოატრიალებ დედა
რომ არ ახსენო, შენი აჩრდილია,

ტასინგ-ი (ჯდება ფუთაზე, ოხრავს) უცნაურია, რა გაქვთ გასაყოფი?

(ბაყაყები აყიყინდნენ, ქარმა წამოუბერა, შორიდან ჩიტების გალობა ისმის)

ნინნ-ი (მოულოდნელად სტაცა ხელი ტასინგს) მინდა გკითხო ტასინგ, გიყვარვარ?

ტასინგ-ი (თავი ასწია) რა?

ნინნ-ი (ახლოს ჯდება მასთან) გიყვარვარ? გიყვარვარ?

ტასინგ-ი (უხერხულად) მე? რა კითხვა უნდა, მიყვარხარ.

ნინნ-ი (უფრო ახლოს იწევს) მაშ, თუ ასეა, რასაც შეგეკითხები, დაუყოვნებლივ მიპასუხე

კარგი?

ტასინგ-ი კი, მაგრამ რას შემეკითხები,

ნინნ-ი ჯერ ნუ მკითხავ, მთავარია გიყვარვარ თუ არა?

ტასინგ-ი (თავს აქნევს, გამოუვალ მდგომარეობაშია) კარგი, კარგი.

ნინნ-ი დავუშვათ, ჩავვარდი წყალში...

ტასინგ-ი ჰმ...

ნინნ-ი ჩემთან ერთად დედაშენიც...

ტასინგ-ი (ხედება) ოჰ!

ნინნ-ი შენ ნაპირზე ხარ. ვის ამოიყვან პირველად?

ტასინგ-ი (შენუხებული) ვის ამოვიყვან პირველად?

ნინნ-ი (თვალს არ აცილებს). ვისა? დედაშენს თუ მე?

ტასინგ-ი მე... მე... (ახედა)

ნინნ-ი (შეტევით) ჰო, ჩქარა თქვი, დედაშენს თუ მე?

ტასინგ-ი მაგრამ, ეს არ მოხდება.

ნინნ-ი ვიცი, ვიცი... (ჯიუტად) მაგრამ, რომ მოხდეს? რას იზამ? როგორ მოიქცევი?

ტასინგ-ი (მწარედ იცინის) არა... არა... ეს არ მოხდება

ნინნ-ი ხედავ თავს როგორ იძვრენ? გეკითხები, რომ მოხდეს-მეთქი?

ტასინგ-ი ორივეს გადაგარჩენთ (მწარედ იცინის, ხელებით ანიშნებს), მარცხენით – დედას,

მარჯვენით კი შენ ამოგიყვან.

ნინნ-ი არა! ეს პასუხი არაა. შეგიძლია მხოლოდ ერთის გადარჩენა. ვის გადაარჩენ? მე თუ

დედაშენს?

ტასინგ-ი (გულწრფელად) გასაჭირში როგორ მიგატოვებ, მაგრამ დედაჩემი ხომ...

ნინნ-ი (არ ელოდა) ბრუციანია, არა?

ტასინგ-ი (თვალებით ევედრება) ჰო... ჰო... უსინათლოებს პირველ რიგში ეხმარებიან.

ნინნ-ი (გაიფხორა) მართალი ხარ, წადი! (გაჯავრებული) ხედავ როგორ ვიხრჩობი და არ

გადამარჩენ? ძალიან კარგი... კარგი.

ტასინგ-ი წყალში ხომ არ ჩავარდნილხარ?

ნინნ-ი (გაბრაზებული მოსთქვამს) ჰო, ჩემი სიკვდილი, ჩაძალდება გინდათ (გაბოროტე-
ბული) მესამე ცოლზეც არ იტყვი უარს, გასაკვირი ისაა, არ მალავ, რომ არ გადამარჩენ.

ტასინგ-ი მე სრულებითაც არ მითქვამს, რომ არ გადაგარჩენ მეტი.

ნინწ-ი (იგრძნო ტასინგ-ის მხრიდან დათმობა) მაშ ვის გამოიყვან წყლიდან პირველად?

ტასინგ-ი (ძლივს აღმოხდა) მე... შენ, შენ გადაგარჩენ.

ნინწ-ი (უსწორებს) პირველად მე მიშველი, მე ამომიყვან, არა?

ტასინგ-ი (უნბლიედ) თავდაპირველად გიშველი შენ.

ნინწ-ი (გამარჯვებისაგან თვალები გაუბრწყინდა) თავდაპირველა მე მიშველი არა? (შეტე-
ვით უსწორებს პასუხს) მხოლოდ მე, არა?

ტასინგ-ი (სულელურად) ჰო.. ჰო.. მაგრამ, ნინწ... მაშინ... მაშინ

ნინწ-ი (არ აცდის აზრის დამთავრებას) შენ ხომ სთქვი მხოლოდ მე, მას კი არა?

ტასინგ-ი (გაბრაზებული დგება) რატომ გინდა დედაჩემის დახრჩობა, რისთვის?

ნინწ-ი ნურას უკაცრავად, ვინ ახრჩობს, დედაშენი სახლშია.

ტასინგ-ი (ალარ შეუძლია მეტის მოთმენა) მაშ ჩემი ასეთი პასუხებით თავს რატომ
ირთობ?

ნინწ-ი (ენინააღმდეგება) დიახ, გულს მალამოდ მედება, სთქვი, ერთხელ კიდევ გაიმეორე.

ჩავძირავ დედაჩემს!

ტასინგ-ი (გაოგნებული უყურებს) რა დავახრჩობ?

ნინწ-ი (მოუთმენლად ელოდება პასუხს) სთქვი, რა გემართება! ვერ წარმოიდგენ, უფრო
როგორ შემიყვარდები, შემომხედე, მე შენ გაჩუქებ..(სახეზე ეკვრის და ვნებიანად ჰკოცნის) არ გსიამოვნებს?

ტასინგ-ი (გაშეშდა) ჰო... ჰო... დიახ, შენ.. ჰო

ნინწ-ი ამბობ თუ არა? მოდი აქ (მიათრევს) დაჯექი,(ფუთაზე დაჯდომისაკენ უბიძგებს)

მითხარი, სთქვი, დავახრჩობ, დავახრჩობ დედაჩემს!

ტასინგ-ი (ჯდება) ვიტყვი... არა, არ ვიტყვი!

ნინწ-ი (არ ელოდა, რომ უნდა გაუბრაზდეს, მაგრამ მაინც უღიმის, შერბილებულად) კარ-
გი, კარგი, მასე ნუ იტყვი, (უცბად ბავშვურად ეხვევა) ტასინგ, გიყვარვარ? (მუხლებზე უჯდება, სახეზე
ეკვრის)არ გეცოდები?

ტასინგ-ი (მაგრად იხუტებს, მაგრამ შიშობს) არ გინდა, არა, ვინმემ არ დაგვინახოს (აქეთ
იქით იყურება)

ნინწ-ი არ მეშინია ჩემ ქმართან ყოფნას ვერავინ დამიშლის, ტასინგ ლამაზი ვარ თუ არა?

ტასინგ-ი (თვალს არ აცილებს, უნებურად) მშვენიერი, ლამაზი.

ნინწ-ი (გველივით მოქნილი ხელით თმებზე, სახეზე, მკერდზე ეფერება) მიდიხარ, ნეტავ
თუ მოგენატრები? გინდევარ?

ტასინგ-ი (მაგრად უჭერს ხელს) მომენატრები და მეტიც.

ნინწ-ი (ვნებიანად) ე. ი. გული გწყდება, რომ მტოვებ?

ტასინგ-ი (ტუჩებს ილოკავს, ჩუმი, დამთრგუნველი ხმით) მე... არ... შენი დატოვება არ მინდა
(მოულოდნელად ძლიერად ეხვევა) ჰუა.. (სუნთქვა ეკვრის).

ნინწ-ი (ითავისუფლებს თავს, იცინის, სიცილისაგან წარბები ზემოთ ეწევა) რატომ არ შე-
გიძლია ჩემი დატოვება?

ტასინგ-ი (თავბრუებულად) რა.. არც ვიცი რა ვთქვა.

ნინწ-ი (მაცდურად, ზიზღით) სთქვი, დავახრჩობ და ყველაფერს შეგისრულებ (წამოუქრო-
ლა ქარმა, სადენები ახმაურდნენ).

ტასინგ-ი (სუნთქვა უჭირს) კარგი... კარგი, ის დავახრჩე... (ქვითინებს) მეც დამახრჩეთ...
(ლიანდაგების მარცხენა მხრიდან ამომართა სამოციოდე წლის თმათეთრი, ხმელი და მკაცრი ბე-
რიქალი, ნაიარევი საფეთქლებით, არაფრისმთქმელ, გუგების გარეშე ცარიელ თვალებში დაფარული იდუმ-
ალებით, ხელში ბრტყელი ჯოხი, ეჭვიანი, როგორც ყველა უსინათლო, სამაგიეროდ სმენა ზედმეტად კარგი.
მგლოვიარე ქმრის გარდაცვალების გამო. ზედმეტად ამაყი და ძალმომრე. შავი ფერის უსახელო პერანგში,
რუხი ფერის ქურთუკსა და იმავე ფერის შარვალში. ჩაცმულობა მის მოწესრიგებულობაზე მეტყველებს,
ლიანდაგებზე მოაბიჯებს, ჯოხს ღონივრად ასობს.)

მოხუცი (ცივად, მკაცრად) ჰმ!...

ნინწ-ი (შეშინებული) დე, დედა! (ტასინგს იცილებს და დგება)

ტასინგი დე, დედა (წამიერად უქრება აქამდე განცდილი სასიამოვნო შეგრძნებები, კანკალის
პირას მისული, მონინებით)

მოხუცი (პირქუშად) ჰმ, გაიძვერა, ესეც ვიცოდი, რომ აქ დამხვდებოდით, რაზე ლაპარა-
კობთ?

ნინწ-ი (დაბნეული) არაფერზე, დე.

მოხუცი შენ სთქვი, შენ, ტასინგ!

ტასინგ-ი (ძალიან ჩუმად,თითქმის არაფერი არ ისმის)ჰო...დიახ, არაფერზე.

მოხუცი (ტრიალდება, კბილების ღრჭიალით) ჯადოქარო, სახლში ხომ ქმარს რეტს ასხამ და ახლა გარეთაც არ ეშვები? ტასინგ, სადა ხარ? რატომ დუმხარ?

ტასინგ-ი (აღელვებული, დაბნეული) დე, აქა ვარ, აქ.

მოხუცი (ჯოხით ტასინგისაკენ) ცოცხალო ლეშო! კიდეც არ წასულხარ? მოშორდი აქაურობას (გაბოროტებული)ხომ მიდიოდი, ამ მყრალი ქალის ხელში აპირებ სიკვდილს? პირველად ხედავ ქალს თუ რა, ისიც მიკვირს აქამდე როგორ არ გადაგსანსლა ტკიპივით მონებებულმა შენმა ცოლმა, ამ ხნის ქალი ვარ, ამისთანა უსუსური კაცის მნახველი არა ვარ. მრცხვენია, მამაშენის შვილი რომ ხარ.

ტასინგ-ი (მშიშარა კაცივით) დე, (წინწ-ს შეხედავს) ნავედი, ნავედი... (წინწ-ი რაღაცას გაუგებრად ბურღლუნებს).

მოხუცი თვალთ არ დამენახო! მომცილდი! წინწ, რას იკრულვები?

წინწ-ი მე არა, ქარისაგან სადენები ხმაურობენ, მუდამ ეჭვებში ხართ.

მოხუცი ჰმ! (ჯოხით ცოლზე ანიშნებს, კინალამ თვალებს სთხრის) ნუ გგონია, რომ ბრუ-ციანი ვარ, გაცილებით შორს ვიყურები ჩემი თვალებით ვიდრე შენ, ტასინგ.

ტასინგ-ი ჰო, დედა, მე აქა ვარ, მივდივარ (მხარზე იგდებს ფუთას).

წინწ-ი ნადი, ტასინგ!

მოხუცი (ტრიალდება) შენ არაფერი გეკითხება! ნუ ერევი, ენით გინდა ჭკუიდან გადაიყვანო! (შვილს) დაიხსოვე – ნუ გადაყვები ამხანაგებს, ფულს როგორც კი იშოვი, მოუფრთხილდი, რაც მთავარია ჭამაზე ნუ დაზოგავ, აზარტულ თამაშებს მოერიდე, ქალებთანაც საქმეს აგრერიგად ნუ დაიჭერ, გულს ფულით ვერ იყიდი, ცოტა თუ მოგრჩა, გადმომიგზავნე და ჩამოსვლამდე შეგინახავ, გესმის?

ტასინგ-ი გავიგე დედი!

მოხუცი ნადი, ნადი! (უცბად ტასინგს მიუგდებს ქისას ცოტაოდენი ფულით, ტასინგის ფეხებთან ვარდება) ეს ჩემი საკუთარი ფულია, აილე, დახარჯე!

ტასინგ-ი დე! ჯერ კიდე დამრჩა.

მოხუცი აილე და ნაილე, ჩემთან არ გჭირდება თვალთმაქცობა ვიცი როგორ უყიდე შენს ქალბატონს ოქროს საყურეები და საქორწინო ბეჭედი (წინწ-ს) ეს იმისთანა ჯადოქარია.

ტასინგ-ი კარგი დედა, დამშვიდდი, თავს გაუფრთხილდი, სიცივეში თბილად ჩაიცვი, მატარებელს მოერიდე, ლიანდაგებზე ნუ ივლი, ხომ იცი, როგორ დაჰქრის.

მოხუცი (გალიზიანებული)ვიცი, ვიცი, ტყუილბურალოდ ილლი ენას, გაუყევი გზას!

წინწ-ი ჰმ, ტყუილად ცდები, დედაშენისათვის სულერთია როგორ მოექცევი. ნადი დროზე.

მოხუცი სულერთია, ვინ გითხრა, ტასინგ-ი ჩემი შვილია და არა შენი, მშვენივრად დამარიგა, შენ კი მუდამ ცდილობ ჩვენს შორის უსიამოვნების ჩამოგდებას. ტასინგ! მომცილდი! გაუყევი გზას! შენი აქ ყოფნა მალიზიანებს, ნადი, ნუ ითრევ ფეხს!

ტასინგ-ი ჰო! ჰო! დე! მივდივარ (მშვიდად) წინწ! ნავედი! (ტასინგ-მა გადადგა ოთხი-ხუთი ნაბიჯი მარჯვნივ, მოულოდნელად)

მოხუცი ტასინგ! დაბრუნდი!

ტასინგ-ი რატომ?

მოხუცი (მკაცრად,) დაბრუნდი! (დაფიქრებული, უცბად კრთება და ბრუნდება) ფული რომ მოგეცი რა უყავი?

ტასინგ-ი (იღებს) აი.

მოხუცი (ხელს უწვდის) აქ მომეცი დავთვალო (ტასინგ-ი აძლევს, ქისაში ხელის ფათურით ამონებს, ბურღლუნებს).

წინწ-ი (მოხუცს უყურებს, გაბოროტებული) დე, დამშვიდდით, ტასინგ-ი მე არ მომცემს.

მოხუცი (დარწმუნდა, რომ სწორეა, უბრუნებს უკანვე) აილე და მოუსვი, ჩქარა! (უცბად წინწ-ისკენ ტრიალდება გაანჩხლებული) ჰმ! ნამდვილი ჯადოქარი ხარ, შე ქვემეცემა მეღავ! ქმარი ხომ გამოაშტერე. (ტასინგ-ი მძიმედ, თითქოს ნაბიჯებს ითვლისო მიდის მარცხნივ)

მოხუცი რა, მთვალავ?

წინწ-ი ვინ გთვალავთ?

მოხუცი მალე შებინდდება!

წინწ-ი ჩქარა.

მოხუცი პაი შერეკილო!(მთელი ხმით)პაი სულელო! ჭკუანაკლულო! პაი! (პასუხი არ ისმის)

წინწ-ი რა გაყვირებთ?

მოხუცი (თითქოს თავის თავს ეუბნება) უცნაურია, საცაა დაბნელდება, ჩემი ცული კი ჯერ-აც არ მოუტანია. ჰმ. ძაღლის ნაშიერი, ღმერთმა იცის, სად დაიკარგება ხოლმე, ნავედით სახლში, წამოდი!

წინწ-ი ნავიდეთ (ხელს უწვდის) ხელს შეგაშველებთ.

მოხუცი დამანებე თავი, (ხელს ითავისუფლებს) არ მჭირდება შენი ხელის შეშველება, თვალთმაქცი! (ბერიქალი მარცხნივ ლიანდაგებზეა, წინწ-ი კი უკან მისდევს. შორს, მარჯვენა მხრიდან პაი

შერეკილის ხმა ისმის, თიჩი-ქაჩა, თიჩი-ქაჩა – ხმით მიხვდებით, რომ რაღაც უხარია)

მოხუცი ნინწ, რატომ არ მოდიხარ? მოხდა რამე?

ნინწ-ი (შორიდან დაინახა უცნაურად მომცინარე პაი) დე, გესმით, ორთქმავალი მოდის.

მოხუცი (იდუმალი წინასწარმეტყველური გრძნობით) არ მოდიხარ? თუ ელოდები მატარებელი როდის გაგჭყლეტავს?

ნინწ-ი დე, პაი შერეკილს ველაპარაკები.

პაი (ორთქმავალი პაი, მემაქანის ხელების მოძრაობებითა და მისი საყვირის მსგავსი ხმით მოხუცის დანახვაზე ორთქმავალს ნელ-ნელა აჩერებს და საყვირიც თანდათან იშვიათდება ტუ-ტუ-ტუ. პაი ხან ბერიქალს უყურებს, ხან ნინწ-ს.) არ დავკარგულვარ!

მოხუცი ცული სადა გაქვს? (მკაცრად)

პაი (შეშინებული) ცუ... ცული? ერთმა... კოჭლმა წამართვა.

მოხუცი (მშვიდად) მოდი, ახლოს!

პაი (ვერ ხვდება, უახლოვდება) რა?

მოხუცი რა და ცული რა უყავი?

პაი (ხითხითებს)

მოხუცი (ხმის მიმართულებით სახეში ურტყამს) შე სულელო შენა, ჭკუანაკლულო, შერეკილო! წამიყვანე იმ კოჭლთან!

პაი (თავის ლოყას უყურებს, არ ელოდა მოხუცისაგან სილას) მცემ ? მც...? მცემე?

მოხუცი გცემე, მიდიხარ თუ არა?

პაი (უცბად პატარა ბავშვივით დაიწყო ღრიალი) მი..მი.., მივდივარ.

მოხუცი ნავედით (ჯოხის თავს აძლევს პაის, ბოლო კი თვითონ უჭირავს, მიდიან) (ძლიერი ქარისაგან სადენები ზმუიან, უშველებელი ხის ფოთლებს ტყლაშა-ტყლუში გააქვთ, ბაყაყები ყიყინებენ, ნინწ ეყრდნობა ხეს და შორს იცქირება, მენამულისფერი ღრუბლები სშირად იცვლიან ფერს, ვერცხლისფერთ დანყებული იისფერით დამთავრებული. ტრამალში მწუხრი წვება. ნინწ მიაბიჯებს ლიანდაგებზე, დრო და დრო ჯდება და მსუბუქად ისვრის კენჭებს. რკინიგზის მარცხენა მხრიდან ქურდულად მოცოცავს ჩოუ ჰუ, ხელში დამსხვრეული ბორკილებით. ფრთხილად მიემართება ნინწისაკენ ზურგიდან)

ნინწ-ი (იგრძნო ზურგიდან ვილაცის მიახლოება და უცბად წამოხტა) რომელი ხარ?

ჩოუ მე ვარ!

ნინწ-ი (შეშინებული) ვინ შენ?

ჩოუ (ბორკილების ჯაჭვების თამაშით, პირქუშად) მე! (შენიღბულად) ვერა მცნობ?

ნინწ-ი (შეცბუნებული) ვერა!

ჩოუ (ჩახლეჩილი ხმით) ნინწ, ოქრო, ნუთუ არ გახსოვარ?

ნინწ-ი (უახლოვდება, აშტერდება, ოხვრით) ა!... ა!

ჩოუ (ნაღვლიანად) ნინწ, ოქროვ, მე კი მახსოვხარ.

ნინწ-ი რაა... შენ ჩოუ ჰუ... ვეფხვი?

ჩოუ (მუქარით) ჰო.. დავბრუნდი, ვეფხვი დაბრუნდა.

ნინწ-ი (მიმოიხედავს) რატომ, რისთვის დაბრუნდი?

ჩოუ შენს მოსანახულებლად.

ნინწ-ი ჩემს მოსანახულებლად? (აღელვებული იღიმება) რისთვის? მე დიდი ხანია გავთხოვდი.

ჩოუ (პირქუშად და ბოხი ხმით) ვიცი, გავიგე, ნიაო ტასინგ-ზე, ჩემს მეგობარზე.

ნინწ-ი (მოულოდნელად) შენ (მცირე დაყოვნების შემდეგ) საიდან?

ჩოუ (ცის დასასრულისაკენ მიანიშნებს) აი. იქიდან, ქვეყნის დასალიერიდან.

ნინწ-ი მატარებლით?

ჩოუ დიაღ, (ცივი ირონიით) ტუ... ტუ... ტუ... და აქ გავჩნდი.

ნინწ-ი როგორ ჩამოხვედი, როცა აქ სადგური არაა?

ჩოუ ფანჯრიდან გადმოვხტი (ბორკილებზე მიანიშნებს) ამ ძვირფასი ტვირთით (ისმის გუბეში გადაყრილი ბორკილების ხმა)

ნინწ-ი (ოდნავ შემკრთალი) როგორ? შენ ხომ მოგისაჯეს...

ჩოუ ხედავ? (ცოტა უკან იხევს) ვინ ვყოფილვარ?

ნინწ-ი (ახლალა მიაქცია ყურადღება) შენ, შენ რა, კოჭლობ?

ჩოუ ვკოჭლობ (უცბად) გეცოდები?

ნინწ-ი რომც მეცოდებოდე, მერე რა?

ჩოუ (გაბოროტებული, ირონიით იცინის) გეცოდები და ალბათ სახლში წამიყვან, თუ არა და მოგიტაცებ!

ნინწ-ი (მოულოდნელად, გაბედულად) მახინჯო, გუბეში მაინც ჩაიხედე, რომ დარწმუნდე

ჩემს სიტყვებში,
ჩოუ რაო, რა მითხარი?
წინწ-ი დიალ, მახინჯო, კოჭლო, და კუზიანო, საიქიოს მოციქულო!
ჩოუ (დატკბა, გულწრფელად) წინწ, შენ ვერც წარმოიდგენ როგორ განვიცდიდი უშენო-
ბას, სულ შენზე ვფიქრობდი, ამიტომაცაა, რომ არ ჩავძალადი ამდენ ხანს.
წინწ-ი (წაიქირქლებს, არ სჯერა) მამ თუ ასეა, ადრე რატომ არ დაბრუნდი?
ჩოუ ვფიქრობ, არც ეხლაა გვიან (უახლოვდება, ხელის მოკიდებას აპირებს)
წინწ-ი მომშორდი (ხელს სტაცებს), წადი, მახინჯო, არ მიყვარს უხეირო ზღაპრების მოს-
მენა.
ჩოუ (ემშაკურად) ვიცი, არ გიყვარს, წესიერი ქალი ხარ, მაგრამ მე მაინც ვერ ამიკრძა-
ლავ სიმართლის თქმას.
წინწ-ი (თავიდან ფეხებამდე გამჭოლი მზერით აათვალ-ჩაათვალაიერა) ვინ სულელს მოუვა
თავში აზრად დაგიშალოს რაიმის თქმა?
ჩოუ (მოლუშული სახით) წინწ-ი ოქროვ, ჩამოვედი ერთადერთი მიზნით, რომ წაგიყვანო.
წინწ-ი წამიყვანო? (დოინჯშემოყრილი) მაინც სად?
ჩოუ შორს, ძალიან შორს. შეიდი დღე-ღამის სავალია მატარებლით, სადაც დედამინა
ოქროთია შემოსილი, სახლები ფრინავენ, როგორც პირს გააღებ, სასურველი საქმელი პირში ჩაგიფრინდება,
ხშირად ლხინის მონაწილეც ხდები, სადაც საუკეთესოდ აცვიათ, უმსპინძლებიან და მშვენიერ დროსაც
ატარებენ.
წინწ-ი (თვლებში შური ეხატება) გეყოფა, დიდი ხანია ვიცი, მაგრამ.....ვეჭვობ, ნუთუ რა-
საც ამბობ ყველაფერი...
ჩოუ (დაასწრო) არ გინდა, ვიცი რის თქმასაც აპირებ, მარტო ამას შეხედე (ჯიბიდან
იღებს მძიმე ოქროს რგოლს და უჭირავს მის თავის ზემოთ) შეხედე,....
წინწ-ი მართლა ოქროა? (გაოცებული, ღონემიხდილი)
ჩოუ ნამდვილი, შეხედე ჯიბეები სავსე მაქვს.
წინწ-ი (თვლებში ზიზღი ჩაუდგა) ვხედავ, რომ გამდიდრებულხარ, ოქრო არ მჭირდება,
ვერ მაცდუნებ.
ჩოუ (განგებ) ვიცი, ვიცი, პატიოსანს როგორ გაცდუნებ... დალახვროს ეშმაკმა. (რგოლს
გუბებში გადაისვრის)
წინწ-ი (დანანებით) რა ჰქენი? რატომ მოისროლე?
ჩოუ თუ შენთვის ეს არაფერს არ ნიშნავს, ჩემთვის მითუმეტეს, სულ არ მჭირდება.
წინწ-ი ეშმაკსაც წაუღიხარ, შე მართლა...
ჩოუ (არ ამთავრებინებს) მართლა განვიცდიდი უშენობას წინწ, მხოლოდ ერთი აზრი
მიტრიალებდა თავში – თუ გინდა კიდევ მაქვს ჯიბეში.
წინწ-ი (ამაყად) არ ა, არ მინდა.
ჩოუ მაშინ მთლიანად მოვისვრი
წინწ-ი (იჭერს) ვეფხვო, რას შვრები?
ჩოუ კარგი... გიყვარვარ?
წინწ-ი მერე რა, რომ...
ჩოუ თუ გიყვარვარ სახლში წამიყვანე.
წინწ-ი ეს როგორ? რომ არ წაგიყვანო?
ჩოუ ამ გუბეში თავს დავიხრჩობ.
წინწ-ი გამეცალე, წადი...
ჩოუ (მის ზურგს უკან, თითქოს გადახტომას აპირებს) კეთილი, ეხლავე...
წინწ-ი (იჭერს) ეს როგორ მოგივიდა თავში?
ჩოუ შენ ხომ გინდა, რომ გადავხტე?
წინწ-ი ვინა სთქვა?
ჩოუ არ გინდა, არა? მაშინ... როდის...
წინწ-ი (არ დაემოჩილა, ღიმილი ტუჩებზე შეაშრა) რა გინდა?
ჩოუ (მიხვდა, რომ ზედმეტი მოუვიდა) ყველაფერი მინდა მოგიყვე, საიდან ჩამოვედი
„როგორ ვიყავი...“
წინწ-ი (სიცილს ვერ იკავებს) თუ ასეა, მაშინ დღესვე შეიძლება, სალამოს.
ჩოუ დღეს სალამოს?
წინწ-ი დღეს სალამოს.
ჩოუ (ჩაიქირქლა) წინწ, მე ხომ ბავშვობიდან გიცნობ, გიცნობ როგორც პატიოსან, ნე-
სიერ ადამიანს.

ნინწ-ი (უცბად უსინათლოს ჯოხის კაკუნის ხმაზე, დაბნეული ტრიალდება) დედა მოდის, დედაჩემი, მახინჯო წადი, წადი ჩქარა.

ჩოუ ერთი წუთით შევავლებ თვალს როგორია.

ნინწ-ი არა, არა! (ხელს ჰკიდებს) წადი! (ჩოუ დაბნეულია, მიჰყვება ნინწ-ს. შელამდა. მარჯვნიდან ბერი ქალი შემოდის, უკან მოჰყვება შერეკილი პაი)

მოხუცი ნინწ! ნინწ! სადა ხარ?

პაი იპოვა (გახარებული) ესეც ვიცოდი, ცუღს თან ხომ არ წაიღებდა, შეხედე, შეხედე... მოხუცი ძაღლის ნაშიერო, მორჩი ყბედობას (მკაცრად) ნინწ! ტასინგის, შენი ქმრის წასვლიდან ერთი დღე გავიდა, არ დაგავინწყდეს, დღეიდან სიფრთხილე გმართებს, უკვე რაღაცეები დაგვარგე (გესლიანად) თვალებს ამოვთხრი, ჩემნაირ ბრუციანად ვაქცევ, გესმის?

პაი ჰო... ჰო...

მოხუცი ძაღლის ნაშიერო, რა გემართება?

პაი თქვენი რძალი, დიდი... ახალი რძალი... დიდი ხანია... წავიდა...

მოხუცი (უშველებელი ხის წინ შემცბარი) რა? დიდხანია წავიდა? (შორიდან მატარებლის საყვირისა და ბორბლების ხმაური ისმის, მატარებლის დამაბრმავებელი შუქი, როგორც, ურჩხულის ორი თვალი, მარჯვენა მხრიდან თანდათან ახლოვდება)

პაი (ლიანდაგებთან მიწაყრილებზე ხტუნვა-ხტუნვით გარბის ალგზნებული ყვირის) მატარებელი მოდის!... მატარებელი. (თანდათანობით ახლოვდება მატარებელი, რომლის შუქი ყველაფერს ნთქავს)

მოხუცი (სამარიდან ამოღებულს ჰგავს, ბურღლუნებს, გარკვევით) ჰმ!... ოჰ... შე გაიძვერავე, მატარებელს მაინც გაეხრისე, ნეტამც გაგჭყლიტავდეს!

(ტრამალში მატარებელმა ელვის სისწრაფით ჩაიქროლა, მისმა თვალისმომჭრელმა ნათურებმა მაინც შესძლო უზარმაზარი ხის ძირზე უსინათლოს თეთრი აწეწილი თმებისა და აფრიალებული ტანისამოსის ანაბეჭდის დატოვება).

ფარდა სწრაფად ეშვება

პროლოგის დასასრული

პირველი მოქმედება

პროლოგში აღწერილი მოქმედებიდან გადის 10 დღე.. შემოდგომის მზის გაცრეცილ ყვითელ სხივებს სითბო დაუკარგავთ. შავი ღრუბლებით დაფარული ზეცა მძიმედ აწვება დედამინას და მარწუხებში აქცევს. ძაბვის სადენების ხმაურით იგრძნობა, რომ კარში ქარია. ამას ემატება გუნდ-გუნდად შეკრული ყვავების ჩხავილიცა და ფრთების ტყლაშა-ტყლუში. ნელ-ნელა ყველა ძიღს ეცემა, ხშირ შავ ღრუბლებში გახვეული ტრამალი ირინდება. წიაო ტასინგ-ის სახლში მწუხრი წვება. ოთახი ცარიელია.. ოთახს ორივე მხარეს გვერდით ოთახებში გამავალი კარებები აქვს. თუ ეზოში გასასვლელი შუა კარები ღიაა, მოსჩანს ღობე, და მის იქით თვალუწვდენელი, შავი ღრუბლებით გულში ჩახუტებული ტრამალი. ორთქმავლის გამონაბოლქვი შავი მჭვარტლით.. შუა კარის ორივე მხარეს ფანჯრები გარეთ იხსნება და მისი ამ დგომარეობაში დატოვება საბჭენი ჯოხებით ხდება * ფანჯრიდან მოსჩანს ჩამოზნექილი ცა. ჰორიზონტზე უშველებელი ხე, მარჯვენა ფანჯრის ზემოთ შუაში ჰკიდია დიდი ზომის, ზეთის საღებავებით შესრულებული წელამდე მამაკაცის გამოსახულება...- წიაო ენვან-ი * სამხედრო სამოსში გამოწყობილი, ხშირი წარბებითა და მის ქვემოთ, ღრმად ჩამსხდარი ბოროტი თვალებით, არწივის მსგავსი მოკაუჭებული ცხვირით, ზედმინევით ფაქიზი წვერ-ულვაშითა და ერთი შეხედვით კეთილი ღიმილით. სინამდვილეში – მკვლელი გიმზერთ, სურათის გვერდით ჰკიდია დაჟანგული სამხედრო მახვილი. მარცხენა კარებთან შავი ხისაგან ნაკვეთი გრძელი სარიტუალო მაგიდა საკმეველითა და სანთლებით. მაგიდის შუაში ექვსხელიანი უცნაური შემზარავი სამსახოვანი კერპი, მბრწყინავი მოოქროვილი თვალებით, რომელც აბრეშუმის ფარდითაა დაცული ავი თვალისაგან. კერპის გვერდით დგას სამახსოვრო ობელისკი წიაო-ს წინაპრების გვარებით. მაგიდის წინ ხის თევზია, განოლილი სასანთლე და მოსანევი ჭურჭელი (სიან ლუ), მასთან ახლოს, მუხლმოსაყრელად, წითელი გაუფუფებელი ბალიში, იქვეა ხარისხაზე ჩამოკიდული დიდი ბრინჯაოს ზარი, ხარისხა თავის დროზე წითელ ხალიჩაზე იდგა. ლოცვისათვის მუხლისმოყრამდე და მისთვის საუკეთესო განწყობილების შესაქმნელად. ბერიქალი წიაო ზარს რეკავს, რომელიც თითქოსდა კერპისაგან ყღერს. მთელი ლოცვის განმავლობაში სანთლები თითქმის იწვება, მაგრამ მაინც ანათებენ სინათლის შუქი ეცემა ბრინჯაოს კერპს, რომლის სახე ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში შავად მოსჩანს. მხოლოდ წიაო-ს სურათის წინ ბჟუტავს კანდელი. მარცხენა კედელთან, ჭურამდე აწვდილი წითელი ხისაგან ამოჩუქურთმებული ძველი კარადა დგას, რომელიც ორი, ზედა და ქვედა განყოფილებებისაგან შედგება. თითოეულზე, მოზრდილი თითბერის ფირფიტებია მოთავსებული. კარადას ადევს ძველებური

ჩინური ბოქლომი. კარადის კარებზე ჩამოკიდულია საკმაოდ დაზიანებული ტრადიციული ჩინური ზოლი, ემ-
მაკებზე მონადირის -კუი-ს გამოსახულებით. მარჯვენა ფანჯრის წინ - ძაფის დასართველი, მარცხნივ კი
ბავშვის აკვანი. ბავშვს უკვე სძინავს. იქვე, ჩამუქებულ კედელზე წვრილ-წვრილი ნივთები – სამშვენისებია
ჩამოკიდული, მოშორებით კი გრძელი სკამი,. ვვადრატული მაგიდა გარშემო რამდენიმე სკამით. როდესაც
ფარდა იხდება, შორიდან ისმის– მატარებლის საყვირისა და ბორბლების ხმაური, ქარის ზუზუნი, ყვავების
ჩხავილი. ოთახი ცარიელია თანდათანობით ახლოვდება ჩახლეჩილი ხმით მომღერალი მამაკაცის ხმა.

წლის პირველ თვეში სატრფოს,
მივართმევ წითელ ფარანს,
ის მხოლოდ დღესასწაულის
სამშვენისია მარად,
ვკითხულობ, სატრფოს გულსაც,
არ აქცევს სამშვენისად?

სიმღერას ზოგჯერ ვნებიანი სიცილი სწყვეტს, რომელიც კისკისით იცვლება.

მამაკაცის ხმა - წინწ, წინწ, ოქროვ, მოდი....

ქალის ხმა არა!... არა.. მე..... არა!

მამაკაცი (ხმაჩახლეჩილი, უხეშად) ოქროვ, დაჯექი! (კაცმა თითქოს ქალი მოიმწყვდია)

ქალი (ენინალმდეგება) გამიშვი, გამიშვი, ხელი გამიშვი, ვილაც მოდის! (უცბად ითავისუ-

ფლებს თავს)

(მარჯვენა ოთახიდან შემოდის პუა წინწ-ი მაცდური გამოხედვით. ნახევარ სახეს, შუბლზე ჩამოყრილი
კუპრივით შავი თმები უფარავს, თმის დანარჩენი ნაწილი კი უკან, წვრილი ზონარით შეუკრავს.. წითელ
საცვალზე აცვია შავი ატლასის შარვალი. ხელებს კი ოქროს მოქანქარე სამაჯურები უმშვენებს.)

წინწ-ი (მაყურებლისაკენ. სახეზე ღიმილი დასთამაშებს, ისწორებს ტანსაცმელსა და
თმებს, რომელიც ისევ უცვივდება) საზიზლარი, მახინჯი! გამოდი! (კედელზე ჩამოკიდულ სარკეში იყურება)
გაბადრული სახით, სუნთქვაშეკრული უახლოვდება მარცხენა, ოდნავ შეღებულ საბჯენ ჯოხზე დაყრდნობილ
ფანჯარას. მამაკაცი აგრძელებს სიმღერას. ქალი ახლა მარჯვენა კარისაკენ მიდის.) (ჩუმად) ნუ მღერი, გარეთ
ვილაცა! გამცილდი ჩქარა!

(მარჯვენა კარიდან, კოჭლობით შემოდის ჩოუ პუ, წითელ სარჩულზე შავი ატლასის პერანგით, წელზე
მჭიდროდ შემორტყმული ბამბის ქამარი. ორი ღილის გარდა ყველა გახსნილია. ერთ ხელში ნაქსოვი ქუდი და
მეორეში წითელი ყვავილი უჭირავს.)

წინწ-ი წადი, საცაა დაბნელდება.

ჩოუ ფანჯრიდან აკვირდება მკვირვ ღრუბლებს) რა ადრე დაბნელდა!

წინწ-ი თვეა რაც შემოდგომა დადგა, გამეცალე! ჩქარა! წადი შენს ძმასთან, მოიწყ შენთ-
ვის ბუდე, თორემ ზამთარი კარზეა მომდგარი, გაიყინები!

ჩოუ ამბობ ბუდეო? აქა ჩემი ბუდე(თვალებით ლამის შეჭამოს) სადაც შენა ხარ, იქაა

ჩემი ბუდეც.

წინწ-ი (მშვიდად) რომ წავიდე?

ჩოუ (ქუდს ისვრის) მეც გამოგყვები.

წინწ-ი რომ მოვკვდე? (ყასიდად)

ჩოუ (ხელს ჰკიდებს) მეც შენთან ერთად, გაგინევ მეგზურობას!

წინწ-ი (ვითომ სტკივა, თავს იკატუნებს) ოჰ, როგორ მატკინე (მიანიშნებს რალაცაზე)

ჩოუ გტკივა? (მისი ხელი უჭირავს)

წინწ-ი (ნებივრობს. მშვიდად, ჩუმად) მტკივა .

ჩოუ (ღიმილით).გტკივა? მე უფრო მეტად(ხელს უფრო მაგრად უჭერს)

წინწ-ი (ტკივილისაგან ნამოიკვივლებს) ეშმაკსაც წაუღიხარ, ძალიან მატკინე, გამიშვი!

ჩოუ (უფრო გამეტებით, კბილების კრაჭუნით) ისე ჩაგიხუტებ, არ გაგიშვებ მთელი

ცხოვრება, შენს აჩრდილად ვიქცევი!

წინწ-ი (გაფითრებული) გამიშვი! ძალიან მტკივა, რამის მოვკვდე, მახინჯო შენა.(ჩოუს შუბ-
ლზე სიმწრის ოფლი ასხამს, სიბრალულთი უყურებს წინწს შენუხებულ სახეს

და ძალიან ნელა უშვებს ხელს) .

წინწ-ი (შენუხებულს თვალები უელავს, მაგრამ ადგილიდან არ იძვრის) დაგლახვროს ეშ-

მაკმა, შე..

ჩოუ (აუღელვებლად ტრიალდება, დატანჯული სახით) ახლა თუ გიყვარვარ? გიყვარვარ?

წინწ-ი (ტუჩების კვნებით, თანხმობის ნიშნად თავს უქნევს) დიახ, მიყვარხარ! (ამაყად და

გაბოროტებული უყურებს და და გაჭიანურებით ეუბნება) მე რატომღაც..... შენ.. (ჩოუ-სათვის მოულოდნე-

ლად) მიყვარხარ! მეცოდები, მომცილდი!

ჩოუ (მინაში ჩასობილი ბოძივით ერთ ადგილზეა, უყურებს ქალს, შემდეგ უახლოვდება კვადრატულ მაგიდას) ჰმ! ქალებს ვერ გაუგებ, გული მყის ეცვლება.

ნინნ-ი (დუმს, ხელებს ისრესავს)

ჩოუ (თითქოს არაფერი მომხდარიყოს) ნინნ!

ნინნ-ი რა იყო? (თვალიც არ დაუხამხამებია და არც შეუხედავს)

ჩოუ (ამოიღო წითელი აბრეშუმისაგან დამზადებული ბრონეულის ყვავილი, ალმაცერად უყურებს)აი, რომ გინდოდა მოგიტანე, ძალიან შორიდან (ანვდის)

ნინნ-ი (გაბოროტებულმა შეხედა, უმაღვე შემოტრიალდა)

ჩოუ (ყვავილს უგდებს ნინ) აიღე, მე მივდივარ! (მეიმართება შუა კარისაკენ)

ნინნ-ი (მოულოდნელად თავის თავის გასაკვირად) დაბრუნდი! მომანოდე ყვავილი!

ჩოუ დრო არ ითმენს,აიღე შენ თვითონვე!

ნინნ-ი (ბრძანებით) შენ აიღე!

ჩოუ არა!

ნინნ-ი (ლიმილით) ვეფხვო, მართლა არ მომანვდი?

ჩოუ დიახ, არ მოგანვდი,რა, შემჭამ?

ნინნ-ი (უცნაური გამომეტყველებით მიემართება მისკენ) ვინ გაბედავს შენს შეჭმას! მიპა-
სუხე, წამიყვან თუ არა?

ჩოუ მე? (უყურებს სურვილდაკარგული, უარის ნიშნად თავს აქნევს) არ შემიძლია, ძვი-
რად დამიჯდება.

ნინნ-ი (გაოცებული) რა?

ჩოუ (უფრო მეტად იხუტებს და ამით ვნებას უძლიერებს) ვერ წაგიყვან!

ნინნ-ი (სახეშეშლილი) რა? არ წამიყვან? არა? რატომ შე მახინჯო, ეშმაკო, ცალფეხა,
უიღბლო მაიმუნო, თავზეხელაღებულ ავაზაკო, ცოცხალი ლეშო, შენისთანას მამალსაც კი ვერ მონახავ
სანთლით რომ ეძებო და შენ,...შენ კი(სეტყვასავით აყრის მუშტებს ლონიერ, რკინისმაგვარ მკერდზე)

ჩოუ (ხელით მსუბუქად იშორებს, მაგრამ ქალი როგორც დოღზე უკრავდეს, ისე ურტყ-
მას) ნინნ, გეთაყვა, გამიშვი, ნუ ყვირი, ვილაცაა გარეთ, გესმის?

ნინნ-ი სულ არ მენაღვლება! არც მეშინია! ისე ძლიერად ურტყამს, რომ თმები ეწენება)
მახინჯო, ჯადოქარო, აღარ გინდივარ? როგორ გაბედე იმის თქმა, რომ არ წამიყვან? რატომ? რატომ არ
მიგყევარ? მოგკლავ! მოგკლავ! არ გაცოხლებ! ჩემთვის უკვე სულერთია, ვინც უნდა გვისმენდეს.
(ვილაც ყვირის) ტასინგ-ის ცოლო! ტასინგ-ის ცოლო!

ჩოუ (ქალს იცილებს, ფანჯარაში იყურება) გაიხედე, ვილაცაა ჭიშკართან..

ნინნ-ი (უცბად ჩერდება) ვინ არის? (ფეხის წვერებით უნებლიედ მიდის ფანჯარასთან) ამ
დროს, ვინ უნდა იყოს?

ჩოუ ნუ იყვირებ, დამიგდე ყური!
(ვილაც კაცი მთვრალივით მოძრაობს, უსიამოვნო გატეხილი ხმით მღერის სასიყვარულო სიმღერას)

ვაცილებ საყვარელს ზღურბლამდე,
ვადევნებ შეკითხვას უკან,
ო! ჩემო კარგო მითხარ
როდის დაბრუნდები უკან?
თუ დაბრუნების სურვილი,
არ გაგიჩნდება კარგო,
ბარათი მაინც მომწერე,
რომ არ ვიდარდო მარტომ
და არც ვიფიქრო კარგო!

(უკანასკნელ სიტყვაზე უცბად შეჩერდა და გააგრძელა) ტასინგ-ის ცოლო! გამიღე კარი!

ჩოუ გესმის? გეძახის.

ნინნ-ი (სიბნელებაში ცუდად ჩანს, მაგრამ დანახვას მაინც ცდილობს) ვინ არის? (ისევ ისმის,
ტასინგ-ის ცოლო გამიღე) ეს ხომ ის უხეირო ბერიკაცია, ისევ დამთვრალა.

ჩოუ ვინ?

ნინნ-ი ჩან უ

ჩოუ ეს წუნკი ბებერი ისევ ცოცხალია?

ნინნ-ი ცოცხალია (ამაზრუნენად), ალბათ ამბების ასაკრეფად მობრძანდა.

ჩოუ დასაბეზღებლად?

ნინნ-ი ეს ორი დღეა დადის. ვფიქრობ, ჩემი ბებერი ბრუციანი დედამთილის გამოგზავ-
ნილია, ის ხომ სულ ეჭვიანობს, აინტერესებს სახლში მარტო, რითი ვიქცევ თავს.

ჩოუ კარგი, ოქროვ, მე წავალ, შენ კი როგორმე მალე დააღწიე თავი.

ნინნ-ი (ებლაუჭება) არა უშავს რა, შენ ნუ წახვალ!! (ზიზღით) ჰმ, ესე მიდიხარ?

ჩოუ (ხვდება რისი თქმაც უნდა, მაგრამ,) აბა როგორ?

ნინნ-ი ყვავილი აიღე და ისე წადი! (მიანიშნებს იატაკზე დავრდნილ ყვავილზე)

ჩოუ არა, არა, ვერ ავიღებ.

(დახილი ჭიშკართან უფრო ძლიერდება)

ნინნ-ი (ნირიც არ შესცვლია) გესმის?

(ჩან უ გაცხარებული ყვირის, ტასინგ-ის ცოლო, გამიღე, გამიღე კარი!

ჩოუ (თავითფეხებამდე მზერით მოჰყვება ნინნ-ს) საცაა შემოვა!

ნინნ-ი (გაცოფებული) არ მომანვდი? ეხლავე გაუღებ კარს და მიგაბრძანებენ სადაც
საჭიროა!

ჩოუ (მკვახხედ) რა გულღრძო ქალი ჰყოფილხარ?

ნინნ-ი გულღრძო? მე შენ გაჩვენებ, დამაცადე!

ჩოუ (გაოცებული) მაჩვენებ? ვფიქრობ ეს ჩემგან ისწავლე არა? (ათვალღიერებს თავიდან
ბოლომდე, რაღაც ვერ გადაუნწყვეტია)

ნინნ-ი (ხელები ფერდებზე შემონწყობილი) ჩოუ, ვეფხვო, მომანვდი თუ არა?

ჩოუ მიყურე (ღიმილით) მე.. ხომ ... (აიღო ყვავილი და უწვდის) რა სისულელეა, რომ
მეუბნები უნდა ავიღო... რა სისულელეა..... სისულელე.

ნინნ-ი (ყვავილს ხელიდან ჰგლეჯავს) ვიცი, რომ სისულელეა, მაგრამ, ასეთი ვარ რასაც ვიტყვი,
უნდა შესრულდეს (ხელს იქნევს) მიდი, მიდი..

ჩოუ რა? (უახლოვდება)

ნინნ-ი თმაში ჩამიმაგრე! (ემორჩილება და კეფაზე თმის ბულულში უმაგრებს. უცბად ეხ-
ვევა. უცნაურად) ასე მგონია, ეს 10 დღეა, რაც ხელახლა დავიბადე, გავცოცხლდი, ჩემი ბედისწერა ხარ,
ავადმყოფურად მიყვარხარ, სიკვდილამდე მეყვარები.. მაგრამ ამისთანა რისთვის მიწიდიხარ? (ლაპარაკობს
და თან ცოფიანივით ჰკოცნის კისერში) შენ კი მეუბნები, არ წაგიყვანო? ამით სიცოცხლეს მტაცებ, ჩემო
სიცოცხლე! (ჰკოცნის შეუჩერებლად) ო..

ჩან უ (განელილად) ტასინგ-ის ცოლო!.. რა ხდება? გამიღე ჩქა – რა!

ნინნ-ი (თვალდახუჭული ვეფხვთან ჩახუტებული მოულოდნელად თავს ითავისუფლებს,
ტრიალდება მთელი ძალით და ზანტად პასუხობს) ნუ ჩქარობთ, ნუ, ბიძია ჩან უ, ვლოცულობ, ცოტაც მოით-
მინეთ, ვამთავრებ! (ჩან უ ოხრავს)

ჩოუ (თვალეებს ატრიალებს) ლოცულობს,? რას ლოცულობს?

ნინნ-ი (ხელით ეხება) ნუ ჩაერევი, შედი, მე თვითონ მოუვლი. ეს დღეები, ჩემმა ბრუციანმა
დედამთილმა რაღაც იყნოსა, გამოგზავნა, იქნებ რაღაცას წაჰკრას ყური. შენ კარებს ამოეფარე და მისმინე,
როგორ გავაცუცურაკებ . (რაღაცას ეძებს, იპოვა ქსოვილი ბავშვის ამოქარგული ფაჩურით, დაკეცა, დაანყო
ზედ ლოცვები, დაჯდა სკამზე დაიდო) ყვითელი ფულები (ჩოუ ჰუსკენ) .. როგორ მოგწონს?

ჩოუ (მონონების ნიშნად ცერს აჩვენებს)

ნინნ-ი კარგი, კარგი, გავაღებ ჭიშკარს, შედი საძილე ოთახში.
(ისე მოხდენილად და სწრაფად გაძვრა კარებიდან თითქოს აორთქლდაო)
(ცოტა ხნის შემდეგ)

ჩოუ (ოთახს ათვალღიერებს. დაგროვილი ბოლმა სულს უხუთავს. მარჯვენა მხრიდან ჯო-
ჯოხეთის მბრძანებლის პორტრეტი მისჩერებია, მოლუშული, კბილების კრაჭუნით) შემომხედე, კარგად შე-
მომხედე, ჩოუ ჰუ, ვეფხვი ვარ, სიტყვა არ გავტეხე, ვთქვი დავბრუნდები მეთქი და დავბრუნდი. არც ერთი
შენი კარგი საქმე არ დამვიწყებია, დიახ! 10 წელი გავიდა მე ჩოუ ჰუ, ვეფხვი, დიდ ხანს ველოდდი ამ დღეს
და აი, პირისპირ ვდგევართ. გაახილე თვალები დესპოტო! შემომხედე (მკერდზე ირტყამს ხელს) ჩოუ ჰუ,
ვეფხვი დაბრუნდა. ალმაცერად ნუ მიყურებ, პირდაპირ შემომხედე, ჯოჯოხეთის მაშხალავ! შე ბებრუხანა.
თქვენს ოჯახში ფეხის შემოდგმისთანავე, შენმა რძალმა გვარიანი სილა გაგანნა, როგორია ჯოჯოხეთის მბ-
ძანებელი? მაგრამ შენ სქელკანიანი ხარ და თვალს მაონც არ მაშორებ. (გესლიანად) მიყურე. ეს მხოლოდ
შესავალია, ჩოუ ჰუ არასდროს არ ცრუობს. მოვედი ყველაფრისათვის მადლობის სათქმელად. ჰმ!

(შედის მარჯვენა კარებში, შუა კარიდან შემოდის ჰუა ნინნ, მას მოსდევს ჩან უ.

ჩან უ 70 წლის და მეტისაც შეიძლება იყოს. პატარა ჩამრგვალებული მოხუცია. ყურ-
ადღებას იქცევს თმის ვარცხნილობითა და უღვაშებით. აცვია მუქი, დაგლეჯილი, ყავისფერი ატლასის
პერანგი. ზმოდან ფართე უსახელო სამოსი. ოდესრაც ცუდად არ უცხხოვრია, ეხლა უჭირს, მაგრამ ბედის
უმაღური მაინც არაა. სულ ხუმრობს და ლაპარაკობს გაუჩერებლად, თავსაც იქებს და სასმელზეც არ ამბობს
უარს. მეხსიერებას ვერ დაიკვებნის. თავისი ახალგაზრდობის თავაშვებულობაზეც ბევრჯერ უთქვამს. ერთი

სიტყვით ტიპიური ჩამორჩენილი სოფლელია ასაკის მიუხედავად უდარდელი და მსუბუქი ლაპარაკის მანერა აქვს. ხელში უჭირავს საგულდაგულოდ შერჩეული გალია გადაფარებული აბრშუმის შალითით * -შიგ ლამაზი კანარის ჩიტი უზის. ჩიტებს და ძაღლებს შვილებივით უვლის. დღეს ნასვამი და აღვზნებულია.გადმოაბიჯა ზღურბლს)

ნინწ-ი ჩან უ, მობრძანდით (მიანიშნებს მაგიდასთან სკამზე) დაბრძანდით!
ჩან უ ცოტას წავილაქლაქებ, ჩემი ჩიტიც ცოტას დაისვენებს და წავალ.
ნინწ-ი მაშინ დადგით თქვენი გალია, დაისვენეთ, ამოისუნთქეთ! ჩაის მოგართმევთ!
ჩან უ არა, არაა საჭირო. (უცბად გაახსენდა) ისე ცუდი არ იქნება. ცოტა წყალი ჩიტისთ-

ვისაც მოგეტანა, მთელი დღე ჩემთან ერთად დაბრძანდება, ერთი ყლუპი წყალიც კი არ დამილევიანებია. (ნინწ აძლევს წყალს, ჩან უ კი უსხამს ჩიტისათვის განკუთვნილ პატარა თასში და თან ლაპარაკობს) თქვენი ჭიშკარი.....ძნელად გესმით, ვერც ძახილს, და კაკუნს მითუმეტეს კაცი ვერ გაგაგონებთ. არადა ჭიშკარი დანწულია. რისთვის კეტავთ, ეს ყველაფერი შენი დედამთილის ოინებია, უსაქმოა. რამდენ ხანს გეძახდი ტასინგ-ის ცოლო, რას საქმიანობდი, (უცბად აცემინებს, კინაღამ მთელი წყალი არ დაღვარა მაგიდაზე. დარცხვენილი ღიმილით ჭიქას დგამს მაგიდაზე) იცოცხლე ჩემო თავო 100 წელი, 1000 წელი (ისევ აცემინებს) 10 000 წელი. ხომ ხედავ, სამი დაცემინება ხომ იმპერატორად გახდომას ნიშნავს. დარცხვენილი ღიმილით ჭიქას დგამს მაგიდაზე

ნინწ-ი სახე ეცვალა, დამშვიდებული იღიმება) – თქვენ იმპერატორი, მე კი სამხდრო მრჩეველი.

ჩან უ (მოხუცებულობით სარგებლობს, ზომიერად ანცობს) კარგი, გნიშნავ მრჩეველად და 3 ქარამხანისა და 6 პალატის მმართველად.

ნინწ-ი ბიძია ჩან, თქვენ ხომ გცივათ, ღვინოს შეგიტობთ. *

ჩან უ ნუ შეწუხდებით, ორი გადაკრული მაქვს. შემოდგომა დადგა დილა-სალამოს ცივა, ვბერდები და სიცივისაც მეშინია. მაგრამ არა უშავს რა, ოთახში უკვე გავთბი. ზედმეტს დავლეე ვრაცრაცებ და ვრატრატებ, მაგრამ უბედურება სხვა რამეშია, მეშინია, ნასვამი ველარ დავდივარ, აი მაშინ.....

ნინწ-ი უი,რას ბრძანებთ, საშიში არაფერია, აგერ პაი შერეკილს დავუძახებ და გაგაც-ილებთ.

ჩან უ (უყურებს, უნდა, მაგრამ თავს იკავებს, სცხვენია, უხერხულად გრძნობს თავს) ორი სირჩით მიმასპინძლდები?

ნინწ-ი (მაცდურად) სახლში ნამდვილი ღვინო ბევრი გვაქვს,* ეს ღვინო ჩვენი ქორწილიდანაა დარჩენილი ბიძია ჩან!

ჩან უ ბარაქა, მაშინ კიდევ ორს გადავყლოწუნავ!

ნინწ-ი კეთილი (ღვინოს ათბობს,* თქვენ დაბრძანდით, მე ახლავე.

ჩან უ (კვადრატულ მაგიდასთან) – ტასინგის ცოლო! რას ამბობდი? ვლოცულობო, რას კითხულობდი?

ნინწ-ი ა..ა, ლოცვებს. (ჭიქას დგამს)

ჩან უ კითხულობდი? ლოცვებს?

ნინწ-ი (თავის ქნევით უდასტურებს, უსხამს შემთბარ ღვინოს)

ჩან უ (უბიდან იღებს ხელსახოცს) რამხელა დამთხვევაა, ვიყიდე მოხალეული მინის თხილი (ღვინოს აყოლებს)

ნინწ-ი (თავჩაქინდრული) - ბიძია ჩან! მომიტევეთ მე ცოდვილს (უახლოვდება სურნელოვან მოსანევ სანთლებს, მუხლმოდრეკილი თავით ეხება იატაკს და ჩუმად კითხულობს, შიგადაშიგ ზარსაც რეკავს ან ხის თევზს ურტყამს – ნინწუაშიტობუდა, .იუნწუამიტორ... (იგულისხმება სანსკრიტი, მაგრამ ნინწი ყველფერი აურ-დაურია)

ჩან უ (გაოცებული თვითონაც ბუტბუტებს, უახლოვდება ნინწ-ის) რა ლოცვას კითხუ-ლობ?

ნინწ-ი (ხელით ანიშნა გაჩუმებულიყო, უფრო მონდომებით) გამიმი, გაგანა, ჩიმო-გალისტატვე (ორჯერ ზარს შემოჰკრა, სამჯერ იატაკზე დაემხო თავით, გაცისკროვნებული სახით ადგა და..) ბიძია ჩან,

ჩან უ (მონინებით) სახლში მარტოობისას ამას კითხულობ?

ნინწ-ი დიახ,

ჩან უ რა ჰქვია ამ ლოცვას?

ნინწ-ი ეს წარსული ცხოვრების წყევლაა, ჩემი დედამთილის სულის საცხონებლად, რომ შემდეგი ხორცშესხმისას, მისი ცხოვრება წარმატებული იყოს.

ჩან უ ჩინებულია (თავს იქნევს)აი მესმის რძალი, როგორ ფიქრობ, შენი მამამთილი ენვანი ჯოჯოხ-ეთის მბრძანებელი, შესაძლებელია ახალი ხორცშესხმით უკეთეს ადამიანად მოევილინოს დედამინას? ჯოჯოხ-ეთში არ მოხვდება?

ნინო-ი (სახე გაუნათდა) მამამთილი სიცოცხლეში ხალხს კლავდა.
ჩან უ (გულიანად ხარხარებს) –ნაიკითხე, ნაიკითხე, ვფიქრობ ღმერთის ნება იყო მისი ჯოჯოხეთში მოხვედრა და გავარვარებული ცეცხლის ენებით წვა..

ნინო-ი ო! რას ბრძანებთ, ო.. ბუდა! ამისთანა ლაპარაკი დიდი ცოდვაა მისი შთამომავლების წინაშე

ჩან უ მაპატიე, თუ რამე განყენინე ტასინგ-ის ცოლო! ჟოჯოხეთის მბრძანებელი-ენვან-ი, ჩემი ძმობილი იყო, 20 წელი ვმეგობრობდით., მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას (თხილს ასუფთავებს) შენი დედამთილი არ დაბრუნებულა?

ნინო-ი ბოლო დროს, დღის მეორე ნახევარში მიდის და ღამით ბრუნდება.
ჩან უ (ცნობისმოყვარეობით) იცი რისთვის დადის?
ნინო-ი საიდან უნდა ვიცოდე მე უბედურმა ახალგაზრდამ უფროსების საქმიანობის შესახებ? (ცნობისმოყვარეობით) მსმენია, თითქოს პატივცემული დედამთილი ქალთა მონასტერში დაიარება, სანთლების ფერფლზე მკითხაობს, მონასტერში ერთი ბერ-მონაზონი ყოფილა, წევლის ლოცვებს კითხულობს და ადამიანი შეიძლება სიკვდილამდეც მიიყვანოს.

ჩან უ (მოსვა ყლუპი) მეც მინახავს მონასტერში, უცნაურია უსინათლო, მოხუცი, ღმერთს თყვანს სცემდეს და წყევლა-კრულვით იქცევდეს თავს? * ოჰ, ეს ნიაო-ს მოდგმა, ერთი შეხედვით თითქოს და უბრალო მოკვდავნი, გულში კი რა უძევთ, ვერ გაიგებ. მე ასეთი ხალხი არასოდეს მომწონებია. ნინო, შენ არ გგულისხმობ, შენ წესიერი, სანდომიანი ქალი ხარ, ამიტომ ეცადე ფრთხილად იყო. ჯერ სრულიად ახალგაზრდა, ნორჩი, ლამაზი ყვავილი ხარ. როგორც კი ცოტას მოეშვები...და შენს ბედად ტასინგ-იც რომ არაა სახლში.

ნინო-ი (მოხუცს თვალებში ჩააშტერდა) ტასინგ-ი ორი დღეა რაც წავიდა, ასე ჩქარა ვერ დაბრუნდება.
ჩან უ (მშვიდად მიმოიხედა) ტასინგის ცოლო, ერთი მითხარი, დედამთილი როგორ გექცევა?
ნინო-ი (თვალები ჭერს მიაპყრო, აწონილ-დანონილად) დედამთილი?
ჩან უ ჰო, ჰო.... როგორ?
ნინო-ი (ჩქარა და გარკვევით) რასაკვირველია ცუდად არა, ძალიან კარგად, როგორ საკუთარ შვილს.

ჩან უ – ჩაახველა) მე მაინც მეჩვენება, რომ დამოკიდებულება ისეთი არ არის, როგორიც უნდა იყოს, თქვენ ორივე ძალიან განსხვავებულები ხართ.

ნინო-ი ვინ გითხრათ? (იღებს ბავშვის ფაჩუჩს და ქარგავს თან სააღერსო ლექსებს აყოლებს) ნორმალურად ვცხოვრობთ, ვინ თქვა, რას არ იტყვიან.

ჩან უ (ისევ ჩაახველა, უარის ნიშნად თავს იქნევს) უცნაურია, საერთოდ, სხვის ოჯახში ჩახედვა ძნელია, ასეა.. ამბობ, დედამთილი კარგი მყავსო და ხალხთანაც შენზე კარგის მეტს არას ლაპარაკობს, ზურგს უკან კი .(თავს იქნევს, თითქოს სიტყვა გაეჩხირა) არა ღირს, სჯობია უთქმელობა.

ნინო – (წყვეტს ქარგვას, იცინის) ბიძია ჩან! (თვალს ქურდულად ადევნებს) ეს ხომ ჩვეულებრივი ოჯახური ამბებია, ასე თვით ღმერთმა დაანესა, რა არის ამაში ცუდი?

ჩან უ – (შეთვრა) არა, არა, კარგი, მაშინ ვიტყვი. არ მიყვარს ჭორიკნობა და არც სხვის საქმეებში ცხვირის ჩაყოფა

ნინო-ი ბიძია ჩან, თქვენ ჩვენი ახლობელი ხართ, რამეს თუ მასწავლაით, მაღლიერი ვიქნები, მითუმეტეს, რომ დიდი ხანი არ არის რაც გავთხოვდი, თანაც ახალგაზრდა ვარ. ცუდი ამასში არ უნდა იყოს რა. ბიძია ჩან (უსხამს) – ეს ერთილა ...

ჩან უ (ტკბილად იღიმება) კარგი, კარგი, დავლევ (ერთი მოსმით ჩამოცალა)
ნინო-ი ჰო, მართლა, რას მეუბნებოდით? დედამთილი ზურგს უკან... (ისევ ქარგვა დაიწყო)
ჩან უ (მაცდურად) გითხრა?
ნინო-ი (მოჭუტული თვალებით ეშმაკურად იღიმება) როგორც გნებავთ, ბიძია ჩან. მე არ გთხოვთ.

ჩან უ კეთილი, ჩემი სურვილით, იმიტომ კი არა, რომ განხეთქილება შევიტანო თქვენს შორის, ღმერთმა დამიფაროს ამისაგან, შენმა დედამთილმა მთხოვა, როცა დრო მექნება გითვალთვალო, ისე სულ თავისუფალი ვარ!

ნინო-ი (ჩაახველა) აი, ხედავთ როგორ ვუყვარვარ, ცდილობს ხიფათში არ გავეხვიო.
ჩან უ შენ კი არ გითვალთვალო, შენ ვერ გაიგე, ის ამბობს, რომ ოჯახში სიმშვიდე არა გაქვთ!

ნინო-ი (ხვდება რაზეცაა საუბარი) სიმშვიდე არაა? (ყასიდად უკვირს)
ჩან უ ჰო, არც თუ ისეთი, მეუბნება, უსინათლოა, უკაცოდაა ოჯახი დარჩენილი და ამაზე ნალვლობს.

ნინწ-ი ეს რა შუაშია, სახლში რა არის სანერვიულო?

ჩან უ მეც ამას ვეუბნები, ვფიქრობ თქვენთან სომშვიდეა“ ასეთ კარგ ახალგაზრდასთან, როგორც შენა ხარ, ნუთუ შეიძლება იმალებოდეს ვინმე უცხო კაცი?

ნინწ-ი ჰმ! (აღმაცერად შეხედა) ძნელი სათქმელია.

ჩან უ (შეშინებული) რა?

ნინწ-ი (აშინებს) თქვენ არა ხართ პირველი, ვინც ეს დაიჯერა, და აი მოხვედით კიდევაც სათვალთვალოდ, ეს კაცობაა?

ჩან უ (განითლდა) უი, რას ამბობ, ვინ იჯერებს, მის სიტყვას ერთ ყურში რომ შევეშვებ, მეორედან გავუშვებ, შენ კი.....

ნინწ-ი (მშვიდად) არ გჯერათ არა? ძალიან კარგი. თქვენ, საპატივისცემო მოხუცი ბრძანდებით., ტყუილიც კი დაგვეჯერებათ.

ჩან უ (უღვაშებს ისწორებს) დიახ, შენ მართალი ხარ, სიმართლე მიყვარს, არაფრის გულისათვის სულს არ წავიწყებ. ქმარი სახლში არა გყავს, დედამთილთან ცხოვრობ, თავჩაღუნული შრომობ, ლოცულობ, შენისთანა რძლებს სანთლით ვერ იპოვი.

ნინწ რას ბრძანებთ, ზედმეტად მაქებთ. კიდეც დაგისხამთ?

ჩან უ მე თვითონ.

ნინწ (თვალთმაქცობს) ო! ღმერთო. ღვინო კიდეც არ შემთბარა, ცივს სვამდით? როგორ მომივიდა, წავალ შევათბობ.

ჩან უ (სიხარულისაგან ცმუკავს) არა, არაა საჭირო, ესეც კარგია. ნინწ, მართლა შესანიშნავი რძალი ხარ ჭკვიანი, მეურნე, უფროსების პატივისმცემელი, ჩემს შვილს რომ შეახვედრა ასეთი ცოლი, მშვიდად მოვკვდებოდი. ნინწ, ტასინგი, რომ დაბრუნდება მოვუყვები მხოლოდ სიმართლეს.

ნინწ (მოუსვენრობა დაეცყო) რა ბრძანეთ? ტასინგი მალე დაბრუნდებაო?

ჩან უ შენ რა, არ იცი? (უცბად გაახსენდა, თავზე თითებს ათამაშებს), თავს ზედმეტის უფლება მივეცი.. შენმა დედამთილმა მთხოვა, რომ ამაზე შენთან კრინტი არ დამეძრა, მე კი, ხომ ხედავ ესეც კი წამოვროშე, მაგრამ რა ჩემი ბრალია, ღვინო რას არ ათქმევინებს კაცს, ენა უძვლოა.

ნინწ-ი (უცბად) ვინ შეატყობინა, რომ ჩამოსულიყო?

ჩან უ ვინ თუ არა, მე, მაგრამ მე არაფერ შუაში ვარ, შენმა დედამთილმა ბრძანა და რაც შეიძლება ჩქარა, და აი მეც პირნათლად აღვასრულე მისი ნება.

ნინწ თქვენ შეატყობინეთ?

ჩან უ (გამოუვალ მდგომარეობაშია) დიახ, სხვა რა გზა მქონდა, მე ხომ ძალიან მორჩილი ვარ დაბადებიდან, შენც რომ გეთხოვა, ასევე მოვიქცეოდი. ოჰ! ღვინო რა ბრმაა.

ნინწ (თავშეკავებულად, ნაძალადევად იღიმება) რა ბედნიერებაა, რომ ტასინგი ოჯახში ბრუნდება, თქვენს რა დანაშაულზე შეიძლება იყოს ლაპარაკი?(თითქოს სულ ერთია), დიახ, ტასინგს არ უთქვამს დაბრუნების დრო, არა.

ჩან უ შეიძლება დღეს საღამოს, ან ხვალ დილას, ვინ იცის, იქნებ ამ წუთშიც შემოაბიჯოს.

ნინწ-ი (ჩაფიქრდება) დაგწყევლოს, რა დაჩლუნგებული ნემსია. ჭჷო, მართლა, ჩემმა დედამთილმა როდის გთხოვათ ტასინგის გამოძახება? იქნებ ბარათიც გაგატანათ?

ჩან უ მაგის მსგავსი არ ყოფილა, სხვათაშორის ამბობდა, სახლში ღამ-ღამობით ვილაც შემოდისო.

ნინწ-ი (დაბნეული, შიშ-შეპყრობილი) ვილაც შემოდისო? (ნემსს ისევ ირჭობს, და სისხლიც სდის) ვაი!

ჩან უ რა მოხდა?

ნინწ-ი არაფერია, ნემსი შემერჭო (ამშვიდება) უცნაურია, ვის შეიძლება გულისხმობდეს? (თავს მაღლა სწევს) სანყალი ჩემი დედამთილი, ჭკუაზე არ არის, ეს ხომ სისულელეა, ვითომ ღამ-ღამობით ჩემთან ვილაც დაიარება!

ჩან უ მართლაც, რომ სისულელეა, ამას ვინ დაიჯერებს! მაგრამ ნინწ“ მაინც გაფრთხილდი, ახალგაზრდა და ღამაზი ხარ, თანაც უკაცრიელ ადგილას ცხოვრობთ, მეზობელიც, რომ არა გყავთ. (ახველებს და თან აქეთ-იქით იყურება)

ნინწ-ი რატომ მეუბნებით ასე?

ჩან უ (არავინ არ უნდა გაიგოს) თქვენთან იმალება ვინმე?

ნინწ-ი (გაბრაზებული) იმალება? ვინ უნდა იმალებოდეს.

ჩან უ ეს შენ სულ არ გეხება ტასინგის ცოლო, მე მაინტერესებს“ იქნებ შენს უკითხავდ ვინმე შემოიპარა, ავაზაკი?

ნინწ-ი ავაზაკი? ვინ გაბედავს ჯოჯოხეთის მბრძანებლის სახლში უკითხავად შემოსვლას, შემოპარვას?

ჩან უ ნინწ, შენ ბევრი რამე არ იცი, არიან, ვისაც თქვენი ოჯახის გამასხრება, დაბი-
 ნძურება უნდათ..
 ნინწ-ი რას ბრძანებთ, ვინ არის ასეთი?
 ჩან უ (ნაქარგზე მიანიშნებს) ვინ? ხელში რა გიჭირავს?
 ნინწ-ი ა..ა, ეს ჩვილის სიამ ჰეის ფაჩუჩია.
 ჩან უ არა, ზედ რას აქარგავ მეთქი?
 ნინწ-ი (ვეფხვს).
 ჩან უ (დაიდაბლებს ხმას) აი, ამაზე გეუბნები, ვეფხვი, ჩოუ ჰუ დაბრუნდა.
 ნინწ-ი (თვალთმაქცობს, ვითომ არაფერი იცის) ვეფხვი? ჩოუ ჰუ? ვინაა? მითხარით ნულარ
 მანვალბთ.
 ჩან უ (ეჭვიანად) შენ რა არ იცნობ? ცოლად გაყოლას აპირებდი და მეუბნები არ ვიც-
 ნობო?
 ნინწ-ი ბიძია ჩან, ღვინო მართლა მოგრევიათ, აბა რას ბრძანებთ?
 ჩან უ 10 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მამაშენმა ჩოუ ჰუ-ზე დაგნიშნა.
 ნინწ-ი ა..ა!
 ჩან უ მერე? შემდეგ ჩოუ ჰუ-ს ოჯახი დაენგრა, გაასამართლეს და მამაშენმა გადაწყვიტა
 ჯოჯოხეთის მბრძანებლის რძალი გამხდარიყავი. ნუთუ შეიძლება ამის არ ცოდნა?
 ნინწ-ი სანამ დედ-მამა ცოცხლები მყავდა ამაზე კრინტსაც არ ძრავდნენ.
 ჩან უ მაშინ ერთს გეტყვი, ჩოუ ჰუ ჩამოვიდა, ყველას თავისას მიუზღავს, შურს იძიებს.
 შენ მასთან არაფერი გესაქმება, შენი მამამთილი ძალიან მკაცრად მოექცა. სიძულვილი საშინელებაა, ერთი
 თაობის ჩახლართული კვანძის გახსნას ზოგჯერ რამდენიმე თაობაც ვერ ახერხებს., შურისძიება კი ამაზე
 უარესია.
 ნინწ-ი ტასინგ-ი ხომ საცაა დაბრუნდება?
 ჩან უ (გადის და ხელს ჰკიდებს) ტასინგს რა შეუძლია, ჩოუ ჰუსთან შედარებით არარაო-
 ბაა (უცბად ტრიალდება) ამბობ, ჩოუ ჰუ არ გინახავს არა?
 ნინწ-ი არა. არა, თქვენ? თქვენ ნახეთ?
 ჩან უ რასაკვირველია, ერთს გეტყვით, მახინჯზე მახინჯია, სახით, თავისი უხეში აღნა-
 გობითა და შავი თმით დაფარული სხეულით კერიის სულს ჰგავს, რსოგორც კი გამოჩნდება, მაშინვე შე-
 მატყობინე, სამძებრო განყოფილებაში უკრათ თავი და დავსაჩუქრდებით. ვერცხლის ფულს გვპირდებიან.
 გესმის?
 ნინწ-ი ვიცი, თქვენ მიდიხართ?
 ჩან უ (კარებთან გაჩერდა, თითქოს რაღაც გაახსენდა) იცი, ვინ მითხრა ჩოუ ჰუ დაბ-
 რუნდაო?
 ნინწ-ი ვინ?
 ჩან უ შენმა დედამთილმა.
 ნინწ-ი (შეშინებულმა) იმან როგორ იცნო?
 ჩან უ რკინიგზასთან ვილაცას უთქვამს, სადღაც აქ იმალება და სამძებრო ჯგუფიც ეძე-
 ბსო.
 ნინწ-ი ვაი! (ბავშვი ტირის) ბიძია ჩან, სიამ ჰეი ტირის, ბოდიშს ვიხდი ასეთ საპატივსაც-
 ემო სტუმარს რომ ვერ გაცილებთ.
 ჩან უ სიამ ჰეი.. (ისიც აკვანთან მიდის) ბავშვი ზედგამოჭრილი დედამისია, ის საცოდავი
 როგორ გარდაიცვალა. ჰო, მართლა წინწ, სანამ დედამთილი დაბრუნდებოდა ღვინის ჭურწელი წყლით
 გადაავსე და ნუ გაუმხელ თქვენთან რომ დავლიე და ამდენ ხანს უსაქმოდ ვიყავი. არაფერი არც მითქვამს
 და არც გამიგია. (აღებს კარს) რა ნისლი ჩამოწოლილა, თითქოს არ იყო ცუდი დარი.
 (ჩან უ ჩიტის გალიით ხელში გადის შუა კარიდან სიმღერ-სიმღერით

ვაცილებ საყვარელს ზღურბლამდე,
 ვადევნებ შეკითხვას უკან,
 ო! ჩემო კარგო მითხარ
 როდის დაბრუნდები უკან?
 თუ დაბრუნების სურვილი,
 არ გაგიჩნდება კარგო,
 ბარათი მაინც მომწერე,
 რომ არ ვიდარდო მარტომ
 და არც ვიფიქრო კარგო!

(ბავშვის ტირილი შეწყდა, ჰუა ნინნ აჩქარებული უახლოვდება ფანჯარას, აქეთ-იქით იყურება და მარჯვენა კარისაკენ მიემართება)

ნინნ-ი ჩოუ ჰუ, ჰუ! (ჩოუ შემოდის მარჯვენა კარიდან)

ჩოუ ჰუ (გაბოროტებული) ნავიდა?

ნინნ-ი ნავიდა, (სახეში უყურებს) გესმოდა?

ჩოუ დიად, (მოღუშული) უფრო კარგი, ჩემი ჩამოსვლა, რომ შეუტყვიათ (სურათს შეხედავს) ჯოჯოხეთის მბრძანებელი, ერთხელ უკვე მიყავი საქნელი, ახლა მეორეჯერ ცდილობ, ისე იცოდე, სიკვდილისა არ მეშინია და კარგა ხანია ველოდები კიდევ.

ნინნ-ი ელოდები? სიკვდილს ელოდები? (ოთახში მიდი-მოდის, თავისთვის ლაპარაკობს) რატომ უნდა ელოდოს კაცი სიკვდილს? რატომ? (თავს იქნევს) არა.. არა., ჩვენ ვიქნებით... (ნელა, მშვიდად წევს თავს და მოულოდნელად) ჩოუ ჰუ! ვეფხვო! შეხედე, შეხედე! სურათს! (შიშისაგან გაფითრდა) როგორ მიყურებს, მე მიყურებს.

ჩოუ ვინ?

ნინნ-ი (თავი ჩაქინდრა, ზღარბივით დამრგვალდა) ჯოჯოხეთის მბრძანებელი! ჟოჯოხეთის მამხალა, თვალებს ახამხამებს, ცოცხალია, ცოცხალი..

ჩოუ (ეხვევა, თვალებგადმოკარკლული უყურებს პორტრეტს) სისულელეებს ნუ იძახი, ეშმაკია, ხომ ხედავ ...

ნინნ-ი მართლა? (თანდათანობით გონს მოდის) ვეფხვო, შენ არ გინახავს არა? მე მართლა მინახავს ზოგჯერ როგორ იცინის და მეძახის!

ჩოუ ფუ, (აფურთხებს პორტრეტს) ჯოჯოხეთის მამხალავ, გაცოცხლდი და ჩამოდი ქვევით, ვეფხვი გელოდება! (ნინნს იშორებს) შეხედე კიდევ მოძრაობს?

ნინნ-ი (შეშინებული წევს თავს მაღლა) აღარ, არა.

ჩოუ (აფრთხილებს) ნინნ, სხვა დროს ასე სულელივით ნულარ ოღრიალებ, კარგი?

ნინნ-ი ასეთი რამ არსოდეს არ მომსვლია. მე მართლა დავინახე როგორ.....

ჩოუ ნინნ, ნუ ლაპარაკობ, ჩემო ოქროვ, გაჩერდი.

ნინნ-ი ვიცი, შიშისაგან.... მიდი ერთი ფანჯარასთან, გაიხედე.

ჩოუ რა მოხდა? (ფანჯრიდან იყურება) არაფერი არ სჩანს, ნისლშია ყველაფერი გახვეული.

ნინნ-ი (დაბნეული) მეშინია!

ჩოუ რისი?

ნინნ-ი (მოღუშული) ვშიშობ, რომ, დედამთილი ტასინგს დააბრუნებს

ჩოუ ესე

ფიქრობ?

ნინნ-ი წარმოდგენა არა მაქვს, რის თქმას უნდა აპირებდეს?

ჩოუ ჰმ, რისი თქმა შეუძლია, შენი თავი ხელიდან წამგლიჯა.

ნინნ-ი (თავი ჩალუნა) არა, არა, მამამისმა, ტასინგს არ უნდოდა ჩემი ცოლობა.

ჩოუ ჰმ!

ნინნ-ი ვეფხვო,ნადი, ჩქარა ნადი, ჩემზე ადრე გადი,რომ ტასინგმა არ მოგისწროს.

ჩოუ კეთილი, წავალ, მაგრამ, ნინნ,ოქროვ,არ დაივინყო რაც მითხარი.

ნინნ-ი რა გითხარი (თავს მაღლა სწევს).

ჩოუ აქაურობას მოშორდე, ხომ გინდა?

ნინნ-ი წამოვალ, ვერ წარმოიდგენ რა საშინელებაა ბრუციან მოხუცთან დროის მოკვლა, მოხუცთან, რომელიც თვალის დასანახავად მძულს, ტასინგი ხომ არარაობაა, ის არაა ჩემი ქმარი. ამას ემატება გულისგამანვრილებელი შემოდგომის ნისლიანი დღეებიც და ასე მივათრევ ამ ცხოვრებას. (შორიდან ისმის მატარებლის საყვირის ხმა, რომელიც ნელ-ნელა ახლოვდება)

ჩოუ ნინნ, შენ რაღას იზამ?

ნინნ-ი შორს.. შორს... (სიტყვებს ნელვა-ნელვით წარმოთქვამს) შო-რს (ხელები ნიკაპის ქვეშ ამოუღია და ოცნებობს) შენ მიყვებოდი, რომ ძალიან შორს არის ადგილი, სადაც დედამინა ოქროთია დაფარული,

ჩოუ ოქროთი? (ტრაგიკული სახით) სად ნახავ ამისთანა ადგილს? გატყუებდი.

ნინნ-ი (თავს იქნევს) არა, შენ არ იცი, ასეთი ადგილი მართლა არსებობს, სიზმარშიც მინახავს და კიდევაც გამიგონია. ...

ჩოუ საცაა ტასინგ-ი დაბრუნდება და.. (მატარებლის ხმა უფრო შორს ისმის)

ნინნ-ი (ოცნებობს) რა დროს ტასინგ-ია, მისმინე, ჩავჯდეთ იმ ტუ.ტუ....ში და წავიღეთ ქვეყნის დასალიერში, იქ სიკვდილი მირჩევია, აქ დარჩენას!

(მოულოდნელად) გახსოვს ჩვენი ბავშვობა? დაწულ თმებს ვატარებდი, ხშირად ვიჯექი ფანჯარასთან და გელოდებოდი, ძაფის რთვაში გამყავდა დრო, გახსოვს?
ჩოუ (თვალეები გაუცისკროვნდა) როგორ არა, მაშინ მამაჩემი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მთელ დროს მამასთან მინდვრად ვატარებდი ცხვარში, როგორ არ მახსოვს....
წინწ-ი სიმღერაც კი მახსოვს, ძაფის რთვისას რომ ვმღეროდი.

მაგ ცხვრებმა ძოვა-ძოვითა,
მთა-ველი შემოგატარა,
მინდორში პურ-მარცვლეულმა
სიმწიფე შემოგვაპარა.
თავჩალუნული ძაფს ვართავ,
ნალველის გასაფანტადა,
ძაფის რთვამ როდი დამლალა,
ლოდინმა შენმა კი მამკლა.
ეს ღამეც ნალველს მიმატებს,
თვალს მივსებს მწარე ცრემლითა,
დილას შავყურებ იმედით,
ამოღამებულს თვალითა.

გახსოვს?

ჩოუ (მოულოდნელად, მკაცრად) ნუ გავინწყდება, რომ ტასინგი საცაა დაბრუნდება.
წინწ-ი (მოგონებებით აღელვებული) ჰო, ჰო. ვეფხვო, ნადი, იჩქარე.
ჩოუ წინწ, ჩემო ოქროვ, შენ მართლა გინდა აქედან წასვლა?
წინწ-ი (უხეშად) არავინ აპირებს შენს მოტყუებას!
ჩოუ მაშინ, მე ისევ დავბრუნდები.
წინწ-ი დაბრუნდები? არა, არა, ტასინგი საცაა კარს შემოაღებს.
ჩოუ ა...ა!
წინწ-ი ბრუციანი ალბათ ოთახშია.
ჩოუ იმას რალა შეუძლია?
წინწ-ი რა შეუძლია? მაძებრების ხელში ჩაგაგდოს და ისევ იქ დავაბრუნოს, საიდანაც

მოსულხარ.

ჩოუ ჰმ! ბრუციანი მოხუცი? ბრუციანმა, დასწყევლოს ღმერთმა, (დაჯდა) მაშინ საერთოდ არ წავალ, ვნახოთ რას მიზამს!

წინწ-ი (მხარში სტაცებს ხელს) რას ამბობ?

ჩოუ (უცბად დგება) მაინც განწირული ვარ, წამოდი საძილე ოთახში ცოტა ხნით კიდევ...

(ენევა ხელზე)

წინწ-ი არა, არა, ნადი, გთხოვ, შენ რა, სიკვდილის ბუზი დაგაჯდა?

ჩოუ (შუა კარისაკენ) ჰმ! მე ამ ეშმაკი, კუდიანი ბებრისათვის, როგორც იტყვიან გველი ვარ, არც ერთი არ ვაპირებთ უკან დახევას, უნდა გავაგებინო, რომ მე ჩოუ ჰუ, ვეფხვი დავბრუნდი და აქ, ენვანის სახლში ვარ. დასაფარავი და მითუმეტს დასაკარგი უკვე აღარაფერი მაქვს., დროა, მიხვდეს ვისთან აქვს საქმე და .თავისი ჩაბუდებული ცოდვები გამოამზეუროს.\

წინწ-ი არა, არა, ვეფხვო, დამიგდე ყური, რა დაგემართა,...(შუა კარი ნელ-ნელა იღება, წინწ კარისაკენ ტრიალდება, მოხუცი წიაო, რკინის ჯოხითა და გამეხებული სახით ოთახის ზღურბლზე ჩერდება, მეორე ხელში ნითელი ფუთა აქვს, მისი ყურები ბევრ თვალს სჯობია)

წინწ-ი (ოხვრით) აა.. დედა, თქვენა ხართ?

ჩოუ ჰუ (ჩოუ ჰუ შემდგება ადგილზე, მოხუცთან მისვლა უნდა, მაგრამ წინწ ანიშნებს, ევედრება, რომ გავიდეს სწრაფად, უყურებს ხან წინწის ხან კი მოხუცს, ფეხის წვერებზე მიდის კრებისაკენ)

მოხუცი (ცივად, გულში გამჭოლად) ჰმ!, რას ბუტბუტებ? (მოულოდნელად) შეჩერდი! (ჩოუ ადგილზე შემდგება) რომელი ხარ?

წინწ-ი ვინ? (აღელვებული, მაგრამ ღიმილით) როგორ თუ ვინ? თუ არა მე? (ბავშვი აჰყავს ხელში და უმღერის ნანას, ნანა, ნანინა... ჩემო კარგო პანანინა, სიმღერასთან ერთად ჩოუ ჰუს ეხვეწება, რომელიც ისევ აპირებს მოხუცთან მისვლას, გავიდეს) ნანა, ნანა, (კმაყოფილი ჩოუ ჰუ მიდის მარჯვენა კარისაკენ), ნანა, ნანა.....

მოხუცი (უსმენს, უცბად) წინწ, რას აკეთებ?

წინწ-ი რას უნდა ვაკეთებდე? ბავშვს ვაძინებ. რა მოხდა? (ჩუმად), ბავშვს უკვე სძინავს ნანა.... დე, ჩუმად, ბავშვმა ძლივს დაიძინა (უფრო ჩუმად) ნანა.....

მოხუცი (ხვდება, რომ ცრუობს, ჯოხით ანიშნებს აკვნისაკენ) ჰმ! ბავშვი ხომ სხვა მხარესაა,
 ვიცი შენი თვალთმაქცობისა (აკვნისაკენ აპირებს)
 ნინწ-ი (მალავს) ეს ეს არის ბავშვი გადავიყვანე, თქვენ ხომ ვერ ხედავთ?
 მოხუცი რას აკეთებ მაგიდასთან?
 ნინწ-ი (შეუპოვრად) მომწყურდა და წყალს ვსვამ
 მოხუცი მაგიდაზე რომ წყალი არ არის?
 ნინწ-ი (არ ელოდა თუ ასეთი წვრილმანებიც იცოდა) ა.. არ არის?, მაგრამ მე..
 მოხუცი (ნინწ-ისაკენ ღრიცავს კისერს) ქვეშ-ქვეშა, გაიძვერა, სიცრუეში ამოგივა სული
 (მკაცრად) მოდი აქ!
 ნინწ-ი (გაბოროტებული უყურებს მოხუცს, ნაზი ხმით,ჩუმად) ახლავე, ახლავე, მოვალ
 მოხუცი ეხლავე, (ჯოხს ურტყამს იატაკს) ახლავე მეთქი(ხდება მსხვერპლშენიერვის მაგი-
 დასთან სავარძელში)
 ნინწ-ი ბავშვს შეეშინდება(თან მიდის მოხუცისაკენ, ცივად)
 მოხუცი თვალთმაქცი (აკვანზე ანიშნებს) ეს, არ არის შენი შვილი!
 ნინწ-ი ვიცი, ვიცი, (უახლოვდება), დე, მე აქა ვარ..
 მოხუცი (უცბად ხელს სტაცებს) ხელით მინდა შეგეხო.
 ნინწ-ი შემეხეთ.
 მოხუცი რა გაცვია?
 ნინწ-ი (წინ იყურება) წითელი ქურთუკი, შავი ატლასის შარვალი (განგებ), ტასინგ-მა მიყ-
 იდა ერთ-ერთ დღესასწაულზე
 მოხუცი ხელეზე?
 ნინწ-ი (გაბოროტებული, აღმაცერად უყურებს)მოოქროვილი სამაჯურები და პლატინის
 რგოლი, ესეც დღესასწაულზე ტასინგის ნაჩუქარია, მიყიდა.
 მოხუცი (ზიზლით) ჰმ! (თავზე გაკეთებულ ყვავილს ჰკიდებს ხელს) ეს რაღაა?
 ნინწ-ი (უნებლიეთ, ძალიან შეშინებული) ესა? დე, ეს ყვავილია .
 მოხუცი (შეტევით) ყვავილი? ვინ მოგცა? ვინ მოგცა მეთქი?
 ნინწ-ი (ფიქრობს, თვალებს აქეთ-იქით აცეცებს, ნაძალადევად კითხულობს) ნეტავი ცი-
 დან ხომ არ ჩამოვარდა? ან მიწიდან თუ ამოვიდა? (აღმაცერად) - საიდან და ჭიშკართან ვიყიდე.
 მოხუცი (ვერაფერი ვერ უპასუხა, გააფთრებულმა) იყიდე? რისთვის?
 ნინწ-ი (მოხუცს უყურებს) წუხელ სიზმარში ვნახე, ტასინგი დაბრუნებულიყო და ამიტომ...
 მოხუცი ვინ გითხრა, რომ ბრუნდება?
 ნინწ-ი ვის უნდა ეთქვა, ხომ გითხარით სიზმარში ვანახე მთქი.
 მოხუცი სიზმარში? რა ნახე?
 ნინწ-ი ვითომ, ტასინგ-ი ჩვენს ჭიშკართან რაღაცას დაეჯახა და წაიქცა, მოღვიძებისთა-
 ნავე ვიფიქრე ტასინგს ავი თვალისაგან ვიხსნი თუ წითელ ყვავილის თმებში ჩავიმარებ მეთქი და..
 მოხუცი ტასინგ-ს ავი თვალისაგან? გადააგდე! მე რომ მოვკვდები მაშინ გაიბრანჭე, ტას-
 ინგ-ს ისედაც შენგან გონება აქვს არეული,სული კბილით უჭირავს, ყვავილებილა აკლია.... გადააგდე!
 ნინწ-ი (მშვიდად) კეთილი, (უნებლიეთ იხსნის ყვავილს და თან მოხუცის გაქვავებულ სახ-
 ეს უყურებს)
 მოხუცი სად დააგდე?
 ნინწ-ი (გამოუვალ მდგომარეობაშშია, ყვავილს აგდებს თავის ფეხებთან) აქ. (ფეხის
 წვერებით იატაკს ურტყამს)
 მოხუცი (ენერგიულად დგება, მიდის და ფეხებით თელავს ყვავილს, იხრება, ხელების ფა-
 თურით იღებს ყვავილს და უწვდის ნინწის) აი, ეხლა ატარე (დაშლილ ყვავილს ესვრის და მისდა გასაკვირად
 სახეში ხვდება) შე კახპა, ბინძურო, რომ გარდაიცვლები, გაგიკეთონ, ჯოჯოხეთში, მოახერხებ შენისთანებს
 თავგზა კიდევ აუბნო.
 ნინწ-ი (სიმწრისაგან გამწვანდა, დაუდგა გვერდით, ყბის ცახცახით, მაგრამ მშვიდად) მარ-
 თალი ბრძანდებით,. ჯოჯოხეთში ეშმაკის ცოლი გავხდები და პირველი ვისაც წავაბრძანებ საიქიოს, იქნებით
 თქვენ.
 მოხუცი (ვერ მიუხვდა ნათქვამს) რაო, რას დუდენებ?
 ნინწ-ი ვლოცულობ თქვენს კარგად ყოფნას, ისეთი ტკბილი, უებარი ბრძანდებით, ჯო-
 ჯოხეთის მბრძანებელთან შესახვედრათ მენანებით ..
 მოხუცი (მიხვდა) დიახ, მე არ მოვკვდები, ავო დედაკაცო! სანამ არსებობს ქვეყნიერება, მეც
 ვიქნები, შენი მისნობა ვერაფერს დამაკლებს, შენ კი უცილობლად გაგისტუმრებ (შორს ისმის მატარებლის
 ხმაური)
 ნინწ-ი დე, გესმით! გესმით! (მოხუცებულს მიაჩერდა, მატარებლის საყვირი შორიდან)

მოხუცი რას უნდა ვუსმინო, როგორ წაგაფრიალებს მატარებელი საიქიოს?
 წინნ-ი რატომ ამბობთ ასე? (უნდა რომ როგორმე დაეხსნას დედამთილს), ჰაერზე ხომ არ
 მონინდომებდით გასვლას, მატარებელს შეხვდით, გულს გადააყოლებთ
 მოხუცი (იატაკზე აკაკუნებს) რას დავინახავ?
 წინნ-ი (უხერხულად) თქვენ ამბობთ, რომ ყველაფერს ხედავთ, უფრო უკეთესად, ვიდრე
 თვალის ჩინიანები.
 მოხუცი (მწარედ) დიახ, ვხედავ, ვხედავ იმასაც, რომ წიას ოჯახს შენგან სიკეთე არ ელის,
 ერთს კი გეტყვი, ერთხელაც მატარებელი, შხამიანი დრაკონივით ყლაპს გიზამს და ჯოჯხეთში ამოგაყო-
 ფინებს თავს .
 წინნ-ი მართალი ბრძანებით (ზიზლით) დალევთ ჩაის?
 მოხუცი მე თვითონ დავისხამ, თავი დაანებე თვალთმაქცობას.
 წინნ-ი კეთილი, ჩემს ოთახში გავალ.
 მოხუცი მომშორდი! (ჰუა წინნ გაეშურა ოთახისაკენ, არმისული კარებამდე) შეჩერდი!
 რალაც მინდა გკითხო.
 წინნ-ი გისმენთ, დედა, გისმენთ.
 მოხუცი (ნელა, აულელვებლად) ეს ორი ღამეა, ძილში ლაპარაკობ.
 წინნ-ი უი, რას ბრძანებთ, არასდროს არავის შეუნიშნავს.
 მოხუცი შენი ოთახიდან უჩვეულო ხმაური ისმის, როგორც კი მოგაყურადებ ყველაფერი
 ჩერდება, რა შეიძლება იყოს?
 წინნ-ი აა... (თითქოს ხვდება, იცინის) თავგების შემოსევაა დე, დაჭერას ვლამობ.
 მოხუცი (წინნამხდარი) თუ კიდევ გამოჩნდნენ, უსათუოდ მითხარი, ამას თუ ხედავ? (რკინის
 ჯოხზე მიუთითებს) ადგილზე გავაფრთხობინებ სულს.
 წინნ-ი კეთილი დედა. (მიემართება მარჯვენა კარებისაკენ)
 მოხუცი არ ნახვიდე! დაჯექი!
 წინნ-ი დაჯექი, დე. (დგას)
 მოხუცი (მკაცრად) შენ არ ზიხარ! (ჯოხით აბრახუნებს) დაჯექი!
 წინნ-ი (ზიზლით უყურებს დედამთილს, მეტი გზა არა აქვს ჯდება) დიახ, დედა.
 მოხუცი (უსიამოვნოდ იცინის, მიანიშნებს) რალაც მინდა მოგიყვე.
 წინნ-ი გისმენთ დე.
 მოხუცი ნუხელ ცუდი სიზმარი ვნახე
 წინნ-ი თქვენც?
 მოხუცი დამესიზმრა, თითქოს შენი მამამთილი, ჯოჯოხეთის მბრძანებელი სამართლიანი
 მოსამართლე, გაცოცხლდა
 წინნ-ი მამამთილი - გაცოცხლდა?
 მოხუცი (აუჩქარებლად) დიახ, გაცოცხლბულიყო და სისხლში ამოსვრილი თეთრ- მგლოვი-
 არო ტანისამოსში გამოწყობილი, შორიდან დაბრუნებულიყო. *
 წინნ-ი (აფორიაქდება) სისხლში?
 მოხუცი დიახ, სისხლში (უყურებს ბავშვს, იყვანს ხელში, თვალებიდან ღვიარება ჩამოსდის)
 წინნ-ი ო..ო.!
 მოხუცი მივუახლოვდი დასამშვიდებლად, დაძახებაზე ვეფხვად იქცა! და....
 წინნ-ი (გაოცებული, შეშინებული) ვეფხვად?
 მოხუცი დიახ, ველურ ნადირად, რომელიც სიბო ჰეიციის მოტაცებასა და გაუჩინარებას
 ლამობდა
 წინნ-ი სიზმარი კარგის მომასწავებელი არ უნდა იყოს!
 მოხუცი მეც მასე ვფიქრობ, ანდაზა – ვეფხვის გამოჩენას, ოჯახში ავისულების მომრავ-
 ლება მოსდევსო, მართლდება. რას იტყვი წინნ?
 მოხუცი რას ბრძანებთ, სახლში თითქოს სიმშვიდეა.
 მოხუცი (დგება, სარიტუალო მაგიდიდან იღებს მოსანვე სანთელს და სხვათაშორის) წინნ,
 შენ თუ გაიგე ჩოუ ჰუ-ს - ვეფხვის დაბრუნება?
 წინნ-ი ჩოუ ჰუ?
 მოხუცი (თვალთმაქცობს) ჩემი ნათლული ვეფხვი რომ დაბრუნდა არ იცი? მოდი წინნ,
 (იღებს სანთელს) დაანთე!
 წინნ-ი (აღელვებული უახლოვდება მაგიდაზე საცოდავად მბჟუტავ ფარანს ხანგრძლივი
 სიცოცხლის სიმბოლოს, ანთებს მის ალზე და დგამს მის მოპირდაპირედ) გავიგე ვეფხვის დაბრუნება, მა-
 გრამ ვინ იცის როგორი შესამოსელით, ან სად შეაფარა თავი? (სანთელი უცბად ააღდა და გაანათა მოხუცის
 საშინელი, ფერმიხდილი სახე)

მოხუცი ნინნ, (მაჯაში ჰკიდებს ხელს)
 ნინნ-ი (შეშინებული) დე, რა მოხდა?
 მოხუცი (ავი სულისაგან ნათქვამივით) ხელი თითქოსდა გიკანკალებს?
 ნინნ-ი (ხმაც აუკანკალდა) ხელი დავინვი სანთელზე დე.
 მოხუცი არ მოსულა ჩვენთან სახლში?
 ნინნ-ი ვინ? დედა.
 მოხუცი ჩოუ ჰუ, ვეფხვი!
 ნინნ-ი როგორ გაბედავს? (სანთელს აქეთ-იქით ატრიალებს, ალი ისევ ძლიერდება)
 მოხუცი შენს სანახავადაც? თქვენ ხომ დანიშნულები..... ცოლ-ქმარი უნდა გამხდარიყავით
 (მიანიშნებს, რომ სანთელი დადოს ადგილზე)
 ნინნ-ი (დებს) დედა, ყველაზე ეჭვიანობა არ შეიძლება, რომც მოვიდეს მახინჯს ვინ გაყვება, მაშინვე სამძებროს შევატყობინებ და წააბრძანებენ.
 მოხუცი ეს შენ ამბობ მაგას? შენი სიტყვებია?
 ნინნ-ი დიახაც, ჩემი,
 მოხუცი კარგი წადი (ნინნ მიდის მარჯვენა კარისაკენ, მოხუცს რალაც ახსენდება) ჰო, მართლა როდის არის შენი დაბადების დღე? 9 მაისს არა?
 ნინნ-ი დიახ, (დაეჭვებული ვერ ხვდება რაშია საქმე) რატომ გაგახსენდათ?
 მოხუცი (შერბილებული ტონით) დროა უკვე თადარიგი დავიჭიროთ.
 ნინნ-ი დიახ, მაგრამ მაინც რისთვის კითხულობთ?
 მოხუცი (არ აქცევს ყურადღებას)
 ნინნ-ი დე....!
 მოხუცი (გესლიანად) მკითხავთან მინდა წასვლა, გავიგო ვაჟი გეყოლება თუ არა, ან იქნებ ბერნიცა ხარ?
 ნინნ-ი (სხარტად) ბერნი? არც შეეკითხოთ.
 მოხუცი (შერბილებულად) კარგი, წადი შენს ოთახში.
 ნინნ-ი კეთილი. (გაკვირვებით მიაშტერდა, მიემართება მარჯვენა კარისაკენ)
 მოხუცი (გაფაციცებით უსმენს მის ნაბიჯებს, გაბოროტებული მტაცებელივით ოხრავს) ჰმ!
 ეს ბინძური ესა, რა უბედურება სჭირს ჩვენს ოჯახს, გაიძვერა, ალქალა.
 (გარედან ისმის ყვავების შემანუხებელი ჩხავილი და სადენების ზუზუნნი, მოხუცი წიაო მიემართება მარჯვენა კარისაკენ, აყურადებს, სიჩუმეა. ბრუნდება მსხვერპლშენიერვის მაგიდასთან, უცბად ვილაცის მოლოდინში ტრიალდება მარჯვენა კარისაკენ, მაგიდაზე შლის ნითელ ქსოვილში გახვეულ პატარა ფუთას-ხის თოჯინა, დიდრონი თვალებითა და კეფაზე ბულულად შეკრული თმით, მუცელზე ყვითელი ფურცლით, ზედ წყევლა-კრულვითა და ნინნის დაბადების თარიღით, გულის ადგილზე კინოვარით აღნიშნული ნითელი წერტილი ზედ დასობილი 7 ნემსით, წარმოსთქვამს წყევლას და თან ეხება თოჯინის სახეს).
 მოხუცი იქნებ არცა ჰგავს (ჩუმად) ჰმ, სამაგიეროდ დაბადების დრო ზუსტია (თითებზე ითვლის) 9 მ ა ი ს ი ე. ი. მეხუთე თვე, შუალამეს დაბადებულა, ყველაფერი სწორია. (თოჯინას 3-ჯერ სწევს მაღლ და 3-ჯერ თავდაყირა ჰკიდებს, შემდეგ კი აბრუნებს მსხვერპლშენიერვის მაგიდაზე უკან. ზარს რეკავს 3-ჯერ, ამდენჯერვე ეხება თავით იატაკს წყევლის გამეორებით, წყევლა გაიმეორა მუხლმოდრეკილმა, ერთხელ კიდევ შეეხო შუბლით იატაკს თოჯინის მისამართით) ნინნ, სანთელი ხომ შენი ხელითაა ანთებული, დაბადების დღეც შენი პირიდანაა წარმოთქმული, ამიტომ გული რომ უცაბედად შეგეკუმშოს და სული გააფრთხო, არ იქნება ჩემი ბრალი, შენ თავს დააბრალე (იატაკს ეხება შუბლით, დგება, რეკავს ზარს, თმიდან იღებს სამაგრს და თოჯინას უყრის გულში, რომელსაც თან ახლავს მოხუცის ხორხისმიერი ხმა) – ნინნ, ნინნ, (ძლივს სუნთქავს, ჯადოქრობისაგან სიქაგაცლილი იწყებს ნემსების თვლას) უკვე 8 წაჩველეთია! (გამარჯვებული) ერთიც და მორჩება ნინნ! (სათუთად შეახვია იმავე ქსოვილში და დადო მაგიდაზე) (გარეთ სადენების გაუთავებელი ხმაურია, შორიდან თითქოს ვილაც ფარას ერეკება, ჩუმად შედის მარცხენა კარებში, მაშინვე, ნინნ, ფრთხილად ფეხის წვერებზე შემოდის, ხელის მოძრაობისაც კი ეშინია) (მარჯვენა კარისაკენ ჩუმად)
 ნინნ-ი ეე, ჯერ ნუ გამოხვალ, დაელოდე ჩემს ჩახველებას. (მიდის შუა კარისაკენ, ალებს და იყურება გარეთ, ნისლში გახვეულა ტრამალი, კაციშვილის ჭაჭანება არ არის, ტრიალდება, სარიტუალო მაგიდაზე თვალს მოჰკრავს ნითელ ფუთას, ხსნის, ზიზლით შეხედავს თოჯინას და უკანვე აბრუნებს, მარცხენა კარისაკენ გესლიანად იყურება, ახსენდება ჩოუ ჰუ,ახველებს, ჩოუ ჰუ გამოდის, როგორც კი გაეშურება შუა კარისაკენ, მოხუცი წიაო მალულად და აჩქარებულად გამოდის მარცხენა კარიდან)
 მოხუცი (შიშობს ნინნ,რომ არ წავიდეს) შეჩერდი!
 ნინნ-ი (ისევ მსუბუქად ჩაახველა, ჩოუ ჰუ მარჯვენა კართან გაშეშდა,ნინნ ანიშნებს, რომ ისევ ოთახში შევიდეს)
 მოხუცი (ნელა უახლოვდება შუა კარს) ვინა ხარ? მანდ ვინ არის?
 ნინნ-ი დე, ეს მე ვარ.

მოხუცი (მკაცრად) კიდევ ვინ?
 ნინო-ი კიდევ? (თვალეებით ანიშნებს ვეფხვს ხმა არ ამოიღოს) კიდევ ეშმაკი. (ჰუა თვალე-
 ბით აიძულებს ჩოუს გავიდეს, ისიც ზიზღით უყურებს მოხუცს და გადის)
 მოხუცი (გამოუვალ მდგომარეობაშია, მცირე დაყოვნების შემდეგ) მე კი ვიფიქრე, ვეფხვმა მოგვი-
 ნახულა მეთქი.
 ნინო-ი არა, არა, რატომ არ ისვენებთ?
 მოხუცი შენ გკითხავ სწორედ სად დავისვენო, აი აქ, მისაღებ ოთახში მინდა ყოფნა.
 ნინო-ი კეთილი, დაბრძანდი! (უკმაყოფილო მიემართება მარჯვენა კარისაკენ)
 მოხუცი (მოხუცი ელოდება ნინოს ოთახში შესვლას, მიემართება მსხვერპლშენიერვის მაგ-
 იდისაკენ, მშვიდდება თოჯინას რომ ადგილზე აღმოაჩენს და წარმოსთქვამს წყევლას, უცბათ ბავშვი აკვანში
 საზარლად წამოიყვრება, მოხუცი იყვანს ხელში, ეაღერსება) ჩახუტე ბებოს, მაგრად, თორემ ვეფხვი
 გიკბენს. არა, არა, ვეფხვი სიამ ჰქვია არ შეჭამს, ნუ გეშინია, ნუ ჩემო პატარავ. (შეყავს მარცხენა ოთახში,
 უცბათ ფანჯრიდან მოისმის ცხვრების ჩლიქების ბაკა-ბუკი, მე... მე..., კიკინს მოჰყვება მხიარული, ხორხისმ-
 იერი შეძახილები თა, თი, თა, თი,“ დოლის ბრახუნი დიმიტაური, დამპიტაური, დიმიტაური დამპიტაური „
 დიმიტაურით შედის ნიაოების სასტუმრო ოთახში, იმდენად მონდომებით უკრავს წარმოსახვით დოლს, რომ
 ხელები უკანკალებს და ოფლად იღვრება, ჩქარობს დეიდა ნიაოს ნახვას)
 მოხუცი ძაღლის ნაშიერო, კვერცხო, ნუ უყურებ, ძუ ვეფხვი გამყიდველია, გადაგსანსლავს
 პაი ძუ ვეფხვი? (არ იჯერებს) ჰმ! მე რომ უკვე ვნახე!
 მოხუცი თუ ნახე, რისთვისღა მოხვედი.
 პაი (ცინგლებს ილოკავს) შეხედვა მინდა, ამის გულისათვის შემჭამს? (ისევ ცინგლებს
 ილოკავს)
 მოხუცი (სიბრაღულით) შერეკილო შენა, ოდესმე შენც ასეთი ვეფხვი გადაგყლაპავს....
 პაი (შეგნებულად) ნუთუ ვეფხვი... ასეთია? ვეფხვები.. სომ კარგები არიან
 მოხუცი (მწარედ) ეჰ, სულელი სულელად რჩება, ლამაზ ქალს ცოლად ნუ მოიყვან, თორემ
 დედას დაკარგავ, ჭკვიანი კაცის ნათქვამია.
 პაი არა, არაფერია, დედაჩემი დიდი ხნის მკვდარია.
 მოხუცი უყურებს და ოხრავს) ეჰ, შვილები იზრდებიან და გულიც ეცვლება (მოთქმით)
 დედა ავინყდებათ, ვერც წარმოუდგენით რა ტანჯვა – ვაებით დაიზარდნენ (თავს ქინდრავს)
 პაი (ვერ იგებს) რა, რას ამბობ?
 მოხუცი (იატაკზე აკაკუნებს) არაფერია, არაფერი. ოთახიდან ჩურჩული თუ გესმის?
 პაი (კისერს იგრძელებს, უსმენს, თავის ცანცარით) არა, არ მესმის.
 მოხუცი (მიანიშნებს მარჯვენა კარისაკენ) არა, აქედან კი არა, პაი, იმ ოთახიდან.
 პაი ჰო, ვიცი, (თავს იქნევს უარის ნიშნად) არა, არა.
 მოხუცი აბა შედი ოთახში, თუ არ ნახავ?
 პაი ა...ა (გადაადგა ნაბიჯი)
 მოხუცი (ხელი სტაცა, ჩურჩულით) იცოდე ჩუმად, გაიგე?
 პაი (მოუთმენლად) – ვიცი, ვიცი!
 მოხუცი შერეკილო, რის სანახავად მიდიხარ?
 პაი ჰო, მე რა ვიცი, შენ რა გინდა, რომ ვნახო!
 მოხუცი (ჩუმად) ნახე, არის თუ არა ოთახში ვინმე, უცხო.
 პაი გავიგე, (თითქოს ყველაფერი გაიგო, მიემართება მარჯვენა კარისაკენ, გამოსწია,
 თავს იქნევს) კარი დაკეტილია, არ იღება!
 მოხუცი (გამალებული დგება) რაო? დაკეტილია? მიაწეკი, გატეხე!
 პაი მეშინია, საშიშია.
 მოხუცი რისი გეშინია, მე აქა ვარ, არაფერი მოხდება.
 პაი მეშინია ძუ ვეფხვმა არ შემჭამოს.
 მოხუცი (მოხუცი საიდანლაც აძრობს მოკაუჭებულ რკინის ჯოხს, კარებზე დარტყმის სურ-
 ვილით მიემართება მარჯვნივ) გამომყევი! ვინც, ნინოს გარდა ნახო, დაიჭირე! (პაი თავის ქნევით ჩუმად
 მიჰყვება.)
 ნინო-ი (ჰუა ყვირილით გამოიღობს მარჯვენა კარებიდან, ცდილობს ხელით შეაჩეროს რკი-
 ნის ჯოხი) დე, რას შვრებით? რა დაგემართათ? ვის არტყამთ (ახველებს)
 მოხუცი – (გრძნობს ნინოს ზედმეტ აღელვებას) შე კახა, შენა, (გზიდან ძალით იცილებს, ნინო ვარ-
 დება იატაკზე) შემიშვი!
 ნინო-ი (კვივის) დე!
 მოხუცი შერეკილო, მომყევი (შედის მარჯვენა კარში)
 ნინო-ი (ახველებს, ღრიალებს) დე! დე!

(მოქნეული ჯოხი ეცემა იატაკზე, ვილაც იმალება, მოხუცი ნადირით ღრიალებს, უჰ შენი! ხელს კრავს და მოხუცი ძირს ეცემა, ისმის გატეხილი ფანჯრისა და ვილაცის გადახტომის ხმა, შერეკილს ვერაფერი გაუგია, ადგილზე გაშეშებული დასცქერის მოხუცს,)

მოხუცი ძირს ვგდივარ, ვილაც განჯრიდან გადახტა, შერეკილო გაეკიდე, რას დგებარ მართლა სულელივით, დაიჭირე! სულელო შენა .

პაი (კანკალებს, არ იცის რა ქნას) ვიცი, ვიცი, (ადგილიდან არ იძვრის, მიწაში ჩამაგრეულს წააგავს)

წინწი (წინწიმ გაიგონა ჩოუს გაქცევა, მიიბრინა შუა კართან და ჩოუც შემორბის გარედან, წინწ ხელს ჰკიდებს ჩოუს) გეტკინა რამე?

ჩოუ ის სულძალი ისა, ფეხი ვიტკინე.

წინწი ის სადლა?

ჩოუ ხელი ვკარი და იატაკზე გაიშხლართა.

(ისმის მოხუცის ხმა)- წინწ! წინწ!

წინწი (მისკენ მიემართება) ვაი,..... დე,

ჩოუ (ხელს სტაცებს) ნუ ნახვალ! (შერეკილზე მიანიშნებს) ვერ ხედავ?

პაი (ზურგის ფხანვით ჩოუს თვალს არ აცილებს და თან ჩუმად) თიჩი ქაჩა, თიჩი ქაჩა,

ტუ....

ჩოუ ეს ხომ პაი -ა, სიფრთხილეა საჭირო, არ მიცნოს.

მოხუცი (წინწი-ი ყურადღებას არ აქცევს) შერეკილო, ძაღლის ნაშიერო, კუს კვერცხო!

(კოუ ტანი დუმს, ჩოუ ჰუ დროს იხელთებს და შუა კარიდან იძურნება)

წინწი დედა! დე!

მოხუცი (ტუჩების კვნებით) შე კახა, უნამუსო!

წინწი (აღელვებული) დე! რა იტკინეთ? დადარტყით რამე /

მოხუცი შერეკილო პაი, სადა ხარ? აქა ხარ?

პაი (გამოუვალ მდგომარეობაშია, წინწის მისჩერებია) აქა ვარ აქა. რა გინდა? (წინწს

თვალს არ ამორებს)

მოხუცი ძაღლის კვერცხო, დაინახე?

პაი ჰო, ჰო ვხედავ(თვალი გაუშტერდა წინწიზე) ძუ ვეფხვი აქაა .

წინწი (გაოცებული) რა? რა სთქვი? ვინ? (პაის მაცდურად ჰკოცნის)

პაი (მოულოდნელობასაგან სულშეხუთული) კიდევ, კიდევ ერთხელ,

მოხუცი (გაგულისებული, მკაცრად) რაო? რა სთქვი?

პაი არასოდეს ჰყვარებია ვისმეს, წინწის ნაკოცნ ლოყას ეფერება დიდი სიამოვნებით)

კიდევ ერთხელ რა? ვეფხვო.. ვეფხვო!...

მოხუცი გაიძვერა, მაცდურო! რა უყავი?

წინწი არაფერი, დე, არაფერი (ბავშვის ზღუქუნი ისმის)

მოხუცი კუს კვერცხო, რა დაგემართა, სული გაგძვრა, თუ რა?

პაი (არ იცის რა უპასუხოს) არა, არა, - ვეფხვებს ჩემი შეჭმა უნდათ!

(ბავშვმა ტირილს უმატა)

წინწი დე, გესმით, ბავშვმა გაიღვიძა!

მოხუცი (არ აქცევს ყურადღებას) შერეკილო! მითხარი, კიდევ ვინ?

წინწი (შეშინებული) იქნებ ბავშვს რამე უჭირს, შევხედავ (ცდილობს მიხუცს დაუსხლტეს

ხელიდან)

მოხუცი (მკაცრად) არაა შენი წასვლა საჭირო, სიამოვნება შენი გესლიანი ხელების შეხება (მიემართება მარცხნივ, ბავშვისაკენ) პაი შერეკილო,არ ნახვიდე, რაღაც უნდა გკითხო.(გადის მარცხენა ოთახში, ისმის როგორ ამშვიდებს ბავშვს)

წინწი (წინწ ჯდება გრძელ სკამზე კოუტანთან) ნადი კოუტანი!

პაი რა? რა, რა გინდა?!

წინწი ნადი, ნა-დი (ჩუმად) რაღაცის თქმა....

პაი (თითს წოვს, იმშუშნება) რა.... გინდა?

წინწი (ხელს ჰკიდებს) მოიწი ჩემსკენ, გამოიღე პირიდან თითი!

პაი (ემორჩილება სცხენია, იმშუშნება, ზოგჯერ ახედავს, სულელურად იცინის) რა,

რა?

წინწი (გაგულისებული) გამოიღე თითი და მისმინე ყურადღებით!

პაი (თითს იღებს პირიდან) კარგი, კარგი გისმენ, აბა მითხარი (ენით ცინგლებს ილო-

კავს)

წინწი (აღერსიანად) კუს კვერცხო, დეიდა რომ დაგიძახებს და გეტყვის ვინმე ნახე თუ

არაო, რას ეტყვი?

პაი (თვალეების ხამხამითა და ცინგლებს ლოკვით წამოხტა, თითქოს მოიფიქრაო,) ახ-
ალგაზრდა ტასინგი მეთქი! (გულუბრიყვილოდ, გახარებულმა) აბა თუ გამოიცნობ ცინგლებს რა გემო აქვთ?
წინწ-ი (არ ელოდა) რა? ცინგლებს?

პაი ჰო, სთქვი, ტკბილი თუ მლაშე?

წინწ-ი (გაბოროტებული) არ ვიცი.

პაი (აღრფთოვანებისაგან საჯდომზე ირტყამს ხელს) მლაშე, მლაშე...აი, ხომ ხედავ,
ვერ გამოიცანი (ისევ ილოკავს) მლაშე.. აი ასეთი.

წინწ-ი (დგება) ოხ, შერევილო, კუს ნაშიერო (კოუტან), ძაღლის ნაშიერო

პაი (მომღიმარი სახით) ჰი.. ჰი..ჰი . როგორ დამიძახე?

(ამ დროს გასაცოდავებული და მტვერში ამოგანგლული წიაო ტასინგი ცალ ხელში ნამცხვრებითა და
მეორე ხელში ჯოხით, შუა კარის ზრურბლს აბიჯებს)

ტასინგ-ი (იღიმება გულიანად) წინწ, ოქრო (იხსნის ფუთას)

წინწ-ი (როგორც ყოველთვის ცივად) ა, ეს შენა ხარ!

ტასინგ-ი (ნამცხვრებს მაგიდაზე აწყობს) დედა სადღაა?

წინწ-ი (უყურებს) არ ვიცი.

ტასინგ-ი (დებს ჯოხს, იღებს ხელსახოცს და იწმენდს სახეს) რა ბედნიერებაა, უკვე სახლში

ვარ (შეხედა) სახლში... ყველაფერი რიგზეა?

წინწ-ი (ცივად, მკაცრად) ტასინგ უკან ვინმემ მოგაბრუნა?

ტასინგ-ი (არაბუნებრივი ღიმილით) ჰო.. არა, არა, ჩემი სურვილით, ძალიან მომენატრეთ.

წინწ-ი (მოულოდნელად) სახლიდან ვინმე აპირებს გაქცევას, თუ რაშია საქმე?

ტასინგ-ი (ხვდება, რომ ქალებმა იჩხუბეს და ცდილობს აღარ გააღიზიანოს) არ მესმის, რაზე

ცხარობ, ოქროვ? მოხდა რამე?

წინწ-ი არაფერი, თურმე სახლში თავს, კაცებით ვიქცევ.

ტასინგ-ი (ცდილობს ასეთ საუბარს თავი აარიდოს) რა საჭიროა ასეთი ლაპარაკი, დედამ რომ

გიგონოს?

წინწ-ი არ გაუკვირდება, დედამ თვითონვე მნახა.

ტასინგ-ი (სუსტ ნებისყოფას ამჟღავნებს) წინწ, მართალია, ჩვენს ოჯახში, შენ, ისე თავისუ-
ფლად და ლაღად ვერ გრძნობ თავს, როგორც შენს მშობლებთან ქალწულობის დროს, მაგრამ მე არასოდეს
ზედმეტი არ მომიტხოვნია შენგან, პირიქით, ყოველთვის ვფიქრობდი და ახლაც ასეა, რითი გასიამოვნო, რა
გიყიფოდ, გაჩუქო, შენ კი, დანახვისთანავე ასეთი სიტყვებით მხვდები? რისთვის, რატომ?

წინწ-ი ასეთი სიტყვები? უარესადაც გაიგონებ. საყვარლები მყავს, რაც წახვედი სხვა

საფიქრალი არა მქონია, გესმის? მე...მე...

ტასინგ-ი (იტანჯება) წინწ, ოქრო, რატომ იქცევი ასე? რისთვის ლანძღავ საკუთარ თავს?

წინწ-ი ო! ამჯერად ეს ლანძღვა სიმართლეა. სხვა თუ არა, შენ ძალიან კარგად მიც-
ნობ, ჯერ კიდევ ქალიშვილობაში ძნელად მოსახელთებელი ვიყავი, ცუდი სახელი მქონდა და რატომღაც,
მანც და მანც ჩემი რძელობა მოუნდა მამაშენს- ჯოჯოხეთის მბრძანებელს? რაზე მომათრია? მე ხომ არც
ფიქრობდი ამაზე? როგორც კი თქვენი რძალი გავხდი, ვნება უფრო ამეშალა, ერთი რა სათქმელია, ორსაც
და სამსაც არ ვჯერდებოდი.

ტასინგ-ი (გატანჯული) წინწ, ვაიმე, რა დაგემართა ჩემო სიცოცხლე, რა შეგიძვრა ამისთანა?

(ძალაგამოცლილი ეშვება)

წინწ-ი არაფერი არც შემძრომია და არც დამცემია, სრულიად ჯანმრთელი ვარ, შენ თუ ხარ ჭკუაზე?
ჯერ არ წასულხარ, უკვე დაბრუნდი! ეჭვიანებო! ნახევრად შეშლილებო! ყველა გაგონილ სისულელესაც კი
ყურს მიღმა არ უშვებთ, ის კი არა უღვაშებზე იხვევთ, აი ვანა ხართ. ... მე კი სრულიად საღ ჭკუაზე ვარ.

ტასინგ-ი მართალი ხარ, მართალი ოქროვ, მაგრამ უცნაურია ის, რომ, არ მესმის რაზე
ლაპარაკობ...მე რამეს ვეჭვიანობ? რა გავიგონე ან რა დავინახე, ეს-ეს არის შემოვედი და გესლს და ცოფს
უშურველად ანთხევ, რა მოხდა, რა ეჭვიანობაზე მელაპარაკები, როდესმე თუ გიგრძენია ჩემგან ეჭვიანობა?

წინწ-ი მე.. მე....

ტასინგ-ი (მოშინაურებული) კარგი, კარგი, მაშინ შენ, კოუტან- კუს კვერცხო, მითხარი, ჩემი
არყოფნის დროს რა ნახე?

პაი მე.. (ენა დაება) მე?... მე მხოლოდ ვნახე., დავინახე,... ვნახე.. ერ..

წინწ-ი (ჩქარობს, ჭკუანაკლულისაკენ) წადი, წადი! ცოცხლების ვერ გაგიგია, მკვდრებისას

რას გაიგებ?

პაი (თითქოსდა დაუმსახურებლად) მაგრამ, მე ხომ დავი..

ტასინგ-ი (არ სჯერა) თქვი, თქვი... რა?

პაი ერ.. თი

ნინწ-ი (მოულოდნელად, პაის სახეში გაანწავს) წადი, წადი, შე კუს კვერცხო მეთქი!
 პაი (ვერ ხედება რაშია საქმე) კარგად გამილანუნე (ლოყაზე ისვამს ხელს, დაალო ხახა, მორთო ღრიალი) დედა! დედი, შე მართლა ძუ ვეფხვო შენა!
 ტასინგ-ი (ცოლს სიბრალოლით უყურებს, პაის კი, როგორც ბაემვს ისე ელაპარაკება) წადი, წადი, პაი შერეკილო, ჩქარა წადი, .. ხვალ შემოიარე.
 (ცრემლების წმენდა-წმენდით გადის შუა კარიდან, ისმის მწყემსის შეძახილები)
 ნინწ-ი (ველურივით) ამბობ ეჭვიანი არა ვარო, აბა რა არის, ჯერ არ ჩამოსულხარ და პაი-საგან ცდილობ ამბების გაგებას, თქვენი ასეთი ეჭვიანობა ბოლოს მომიღებს, სამარეს გამითხრის, (ტასინგი ცდილობს რალაც უთხრას, მაგრამ გრძნობს, რომ ვერ შეანყვეტინებს) გავიწყდება, რომ თქვენი გვარი – წიაო გადაბუგულებს ნიშნავს, რომ თქვენს გვერდით სიცოცხლე არ ბოგინობს და რომ ჩვენი ქორწინება ნაძალადევი იყო, ერთი ნათელი, ბედნიერ დღე არ მომაგონდება, დედაშენის ხელის გოგო ვარ, რით ვერ გაიგე, რომ ვნებააშლილი კახპა ვარ (ტასინგი ქვითინებს) და თუ შემდეგ ცხოვრებაში ასეთი დავალებული ვიქნები თქვენს წინაშე, ჯობია საკუთარი სიცოცხლე გავილო. ჩვენს შორის, დღეს ყველაფერი დამთავრდებაო, ღმერთო ჩემო! (მაგიდისაკენ გარბის მკერდზე მჯილის დარტყმით, ფეხებს აბრახუნებს და ტირის).
 ტასინგ-ი (არ იცის როგორ დაამშვიდოს) ნინწ, რას ამბობ? ეს ხომ შენთვის არავის არ უთქვამს . შენს თავს შენ თვითონ აყენებ შეურაცყოფას, შეხედე რამდენი რამე მოგიტანე, გაჩერდი, ნუ ნერვიულობ, გთხოვ!
 ნინწ-ი (ნამოიყვირებს) არ მჭირდება, არც კი ვნახავ.
 ტასინგ-ი ანგარიშს არ უწევ რას ლაპარაკობ, საყვარლები, კაცებიო....
 ნინწ-ი ამას მე კი არა, დედაშენი ბრძანებს.
 ტასინგ-ი (არ სჯერა), ნინწ, დედაჩემი ამას როგორ გაბედავდა? აბა რას ამბობ, ნუთუ ასეთ შეურაცყოფას მოგაყენებდა?
 ნინწ-ი დედაშენს ვძულვარ, მის თვალში მე არარაობა ვარ, ჩემს გამოლევას ლოცულობს. იმასაც ბრძანებს, რომ ღამ-ღამობით კაცებს ვმასპინძლობ, ლანძღვა-გინებას და გესლს უმიზეზოდ არ იშურებს. გათახსირებულო“ ბოზო, ნაძირალა- ეს მისი სიტყვებია.
 ტასინგ-ი ვერ დავიჯერებ! არ მჯერა, რომ დედაჩემი
 (დედა შემოდის კარებში)
 მოხუცი (ჯვრით თითქოს იატაკს ბურღავსო, გაავებული) აა! (ორივე მისკენ ტრიალდება)
 დიახ, ეს ჩემი სიტყვებია ნინწ, კარგია, რომ გითქვამს ქმრისთვის, რა ყოფაში გაგდებ (სიჩუმე)
 ტასინგ-ი (თავგზაბზნეული დედისაკენ მიემართება, რომ ხელი შეაშველოს) დე!
 ნინწ-ი (ზედმეტად გრძნობს თავს, დგება) ტასინგ!
 მოხუცი (მკაცრად) ენა მშვენივრად გიჭრის, თქვი! გულახდილად ლამაზო! ნუ ჩაუდნი ხელ-ში!, მარწუხებში გყავს უმონყალოდ მოქცეული და ვერაფერს ვერც ხედავს და ვერცა გრძნობს. მე კი რა, დავბერდი, და არც არაფერილა შემიძლია....
 ტასინგ-ი (ნაღვლიანად) დე!
 მოხუცი (გესლიანად) ამ სიბერეში, უსინათლო ბერიქალს, შვილილა მყავს ერთადერთ იმე-დად და ესეც გინდა ხელიდან გამომტაცო? ვიცი თქვენთვის რა ტვირთიცა ვარ და ჩემი ცემის სურვილიც რომ გაგიჩნდეს, არც ეგაა გასაკვირი, ცოცხლად დამარხვაზეც არ იტყვი უარს, გისმენ ნინწ, თუმცა შენგან კარგს რას უნდა ველოდე.
 ნინწ-ი ფარხმალდაყრილი) დე! რა ვთქვი ამისთანა? ტასინგ! ხომ გესმოდა?
 მოხუცი (გაცეცხლებული)კახპა, შე გაიძვერა, ჩემს თვალწინაც არ ერიდები კაცების მილე-ბა-გასტუმრებას, უსინდისო, მატყუარა, სახე უკანა ნალად გქცევია, ჩემი შვილის ხელით გინდა მომილო ბოლო, ვერაფერს გამომაპარებ. ჩემს შვილს თავი დაანებე, მიმღობი და პატიოსანი კაცია, თუ შუბლის ძარღვი კიდევ არ გაგწყვეტია, სთქვი, ოთახში ვისთან ერთად იყავი ჩაკეტილი? ფანჯრიდან ვინ გაიპარა? თქვი, თქვი შენს ქმართან, რა ყოფაში გაგდებ, გამწარებ არა?
 ნინწ-ი ვინ გაიგონა ოთახში ხმაური? ვინ გითხრათ რომ ჩაკეტილი ვიყავი ან ვინ გაიქცა ფანჯრიდან? დე, სიბოროტისაგან არ იცით რა ქნათ, სისხლს მანთხევთ, თქვენ კი.....
 მოხუცი წიაო (გაბოროტებული კანკალებს) მეხიც დაგცემია შე კახპა, შენა... (ტრიალდება) კოუ ტან! შენ ხომ დაინახე, თქვი, რას გაჩუმებულხარ
 ტასინგ-ი დე, ნავიდა.
 მოხუცი ნავიდა? (მოულოდნელად) კოუ ტან! კოუ ტან! (სწრაფად გადის შუა კარიდან, გარედან ისმის მისი ძახილი)
 ტასინგ-ი ნინწ!
 ნინწ-ი წადი წადი, მოუსმინე და დაუჯერე დედაშენს!
 ტასინგ-ი (მოლუშული, დაბალ ხმაზე) შედი შენს ოთახში.
 ნინწ-ი რატომ? არ ნავალ!

ტასინგ-ი ნინნ! ნუ თავნებობ. დამიჯერე, წადი.
 ნინნ-ი (გაბოროტებული მიაშტერდა) კეთილი, ნავალ, ამდენი ხნის უნახავ დედა-შვილს ვინ დაგიშლით მარტო ყოფნას.(გადის მარჯვნივ)
 ტასინგ-ი ეი! ნინნ! ყური მიგდე! (მოხუცი ბრუნდება)
 მოხუცი (კანკალებს, ძლივს მოაბიჯებს) ეს შერეკილიც გაქრა, (მაშინვე გადადის საქმეზე, მაცდურად) ჰმ, ნინნ, დავუშვად თვალში, მე ბენვი შეგამჩნიე და უსამართლოდ მოგექეცი, შენ თუ ნამუსი სუფთა გაქვს უთხარი შენს ქმარს, მე კი ჩემს ცოდვას ვალიარებ. ნინნ, ისე უნდა იცოდე, რომ ტასინგს ვემუდარებოდი მამაშენს ნუ დაუჯერებ და ამ ქალს ცოლად ნუ მოიყვან მეთქი (იმეორებს ანდაზას) ლამაზი ცოლის პატრონი დედას გაიხდის მტერადა.
 ტასინგ-ი დე, ნინნ აქ არ არის.
 მოხუცი სად გაქრა?
 ტასინგ-ი თავის ოთახში.
 მოხუცი შეეშინდა...
 ტასინგ-ი არა,არა, მე ვშიშობ, ცუდად არ გახდე, ვგრძნობ, მისი აქ ყოფნა გაღიზიანებს, უმჯობესია თვალიდან მოგცილდე
 მოხუცი რას ნიშნავს თვალიდან მომცილდე, სადა მაქვს თვალეები ამ ბრუცინასა? .შენც ნერვებს მიშლი?
 ტასინგ-ი (მოუთმენლად) დე, არც მიფიქრია, ყველაფერს ეჭვის თვალთ ნუ უყურებთ!
 მოხუცი ვეჭვიანობ კი არა, შენი სიყრუე და სიბრმავე მანუხებს, რაღაც სისულელეებით ცხვირი დაგიმშვენა, შხამიც გახვრეპინა და ახლა ჩემზე ანთხევ!
 ტასინგ-ი დედა! დაისვენეთ, ნუ ბრაზობთ, ხომ გაიგეთ რომ უვარგისია, ერთხელაც იქნება და კარგად მივბეგვავ.
 მოხუცი სრულებითაც არ ვბრაზობ, მე ის მალეღვებს, ამხელა კაცს, ცოლისა როგორ ეშინია .
 ტასინგ-ი (ალარ იცის რა ქნას) კარგი, კარგი დამშვიდდი დედა! ნამცხვრები მოგიტანეთ, აი ისეთი, როგორიც თქვენ გიყვართ.
 მოხუცი მე? ამით გინდა გული მომიღობო? მიაართვი შენს ლამაზმანს.
 ტასინგ-ი (ამოიოხრა) არ ივარგებს დედა ასეთი ლაპარაკი, აბა დაფიქრდით, მისთვის ჩვენს ოჯახში ყოფნა არაა ადვილი, მე ხშირად გარეთა ვარ, შენ მოხუცებული, ის კი ახალგაზრდა, მეზობლებიც სანთლით საძებარია, სამად სამი სული ვართ ოჯახში და ვერ მოვრიგებულვართ, უგუნურობაა და მეტი არაფერი
 მოხუცი ტასინგ! ვის გასაგონად ლაპარაკობ?
 ტასინგ-ი (დამნაშავესავით იღიმება) დე, ვერც გავბედავ თქვენ რამე გასწავლოთ.
 მოხუცი მე უგუნური ვარ, შენ კი ღმობიერი და მორჩილი.
 ტასინგ-ი კარგი დედა, გვეყოფა, ის მითხარი, რა შეემთხვა, ვერაფერი გამიგია.
 მოხუცი შენს თავს ჰკითხე.
 ტასინგ-ი (შეშინებული) დედა, ნუთუ ეს სიმართლეა, ჩემი არ ყოფნის დროს.....
 მოხუცი ეს ორი ღამეა, მისი ოთახის მხრიდან მესმის ორის ხმა.
 ტასინგ-ი ნინნ?
 მოხუცი დიახ, ნინნ და ერთი კაცი, ოთახში ხმაურობენ, ჩურჩულებენ...შუალამისას დილამდე...
 ტასინგ-ი (ბოლომდე არ სჯერა) რატომ არ დაიჭირეთ?
 მოხუცი (შეგნებულად) ახლო-მახლო კაცის ჭაჭანება არაა, უნდა ვიგულისხმოთ, ან შემთხვევით გამვლელია ან კიდევ შენ, ქურდულად მოსული.
 ტასინგ-ი გაოგნებული მე? მე არ ვყოფილვარ.
 მოხუცი (გრძნობს, რომ ტასინგი უკვე იჯერებს, სახეზე ღიმილიც კი დასთამაშებს) რა? შენ არ ყოფილხარ?
 ტასინგ-ი არა, არა დედა.
 მოხუცი მაშინ საინტერესოა, მაინც ვინ იყო? შენ არ ყოფილხარ არა?
 ტასინგ-ი (განანამები) არა, არა მეთქი დედა.... ისე, როგორ გაბედა? არა და იფიცება, რომ... ის..
 მოხუცი (მკაცრად) მისი ცრუ ლაპარაკი ჰაერს ისევე აბინძურებს, როგორც ერთი ხვრელიდან გამოსული, ვიგრძენი, რომ ოთახში ვიღაც ყავდა, ვაღებ კარს, ვიღაც მწვდა საყელოში, მკრა ხელი და ნამაქცია, თვითონ ფანჯრიდან ისკუპა და თავს უშველა.შედი ნახე, ფანჯარა გატეხილია, გესმის? შენ არა ხარ და ბუდეს ასე აბინძურებინებ მაგ გომბოსს? ამიტომ ვჩქარობდი შენს ჩამოსვლას....შენმა ცოლმა ღამე უცნობთან გაატარა, დაგცინა, მასხრად აგიგლო...

ტასინგი- (გაცოფებული მუშტს ურტყამს მაგიდას)დე! დედა! გეყოთ! შეწყვიტეთ! ყელამდე ვარ!

მოხუცი (ყასიდად, ჯოხს ურჭობს უხეშად იატაკს) ის მაკვირვებს, რომ, არც ჰკადრებ რამის კითხვას, სცემე, გატყვიპე და აიძულე ყველაფერი აღიაროს. (აკანკალებული ტასინგი ეცემა მაგიდაზე, წინნ შემოდის მარჯვენა კარიდან)

წინნ-ი (მკაცრად,გაბოროტებული) რას მეძახდით დედა-შვილი, მოვედი, მაგრამ ტყუილად.

მოხუცი ძალიან კარგი, რომ მოხვედი.. ტასინგ, კარის უკან ტყავის მათრახია, მამაშენი ამით აწამებდა ურჩებს, შენ კი, თუ ცახცახებ, ხელი აიღე ჩემს შვილობაზე (ხელით ეხება კარის უკან ჩამოკიდულ მათრახს)

წინნ-ი ჰმ!

მოხუცი აი მათრახი, ტასინგ, მე კარს ჩავკეტავ, შენ კი დაწვრილებით გამოჰკითხე ყველაფერი .

ტასინგი-ი (აცახცახებული ხელით ართმევს მათრახს) წინნ!...

მოხუცი ჩქარა! ჩქარა მეთქი...

ტასინგი-ი დე, დავკითხავ,... თქვენ ნუ შიშობთ.....

მოხუცი მამაშენის წინ დაიჩოქოს.

წინნ-ი რაო?

მოხუცი (მეხდაცემულივით) მუხლებზე! (წინნ-ი იჩოქებს)

ტასინგი-ი მათრახმომარჯვებულს სიმწრის ოფლი ასხამს) ჩემი არ ყოფნის დროს რა.... რას .. აკეთებდი? რას საქმიანობდი?

მოხუცი შე ჯადოვ, შე უწმინდურო!

ტასინგი-ი (მათრახზე მიანიშნებს) თქვი.. შენ! .. შენ!... თქვი!

წინნ-ი (ზიზლით ხან ერთს შეხედავს, ხან კი მეორეს) ჰმ! (ცივად იცინის) თქვე მაიძულეთ! (მოულოდნელად ძალიან ხმამაღლა) დიახ, მართალია, მეძინა კაცთან, აღარ მინდა თქვენი, ნიას ოჯახის პურით პირის ჩატკბარუნება, ამაზე უარესი რა უნდა მიყოთ.

ტასინგი-ი (ფერდაკარგული) რა?... შენ აღიარებ?...

წინნ-ი დიახ, ვაღიარებ, დედაშენის ნათქვამი ყველაფერი სიმართლეა, დღიდან თქვენს ოჯახში შემოსვლიდან, ერთი დღეც არ მიცხოვრია პატიოსანი ცხოვრებით, ღირსი ვარ.. გამთელეთ, გამლანძღეთ, მომსპუთ...ტასინგ, მე უწესო ქალი ვარ, შენ წესიერი, უდანაშაულო, ჩვენ ადრე თუ გვიან დავცილდებოდით, მიუხედავად შენი ფაქიზი დამოკიდებულებისა ჩემდამი. შენი დედიკოს გამო, მე, შენთან პატიოსნად ვერ ვიცხოვრებდი, მებრალეები ასეთი უბედური, არარაობა რომ ხარ, ნებისმიერი ჩემს ადგილზე ასე მოიქცეოდა, იმსახურებ და იმიტომ, შენ ჯერ კიდევ დედის კალთას გამოკერებული ძუძუმწოვარა ხარ.... ესლა კი მომკალი, ყველაფერი გულახდილად ვაღიარე, ერთი კი იცოდე, ამ ქვეყანაზე დედაშენზე გულ-ღრძო, გესლიანი დედაკაცი არ დაიარება, უფრო საზიზლარი და ბოროტო დედამთილი არავის ეყოლება, ვიდრე მე,... შეხედე როგორ.....

ტასინგი-ი წინნ! გაჩერდი! გეყოფა!

მოხუცი (ტასინგ-თან ერთად) ოი, შე ჯადოქარო, კახპავ, კიდევ შენ იმაღლებ ხმას?

წინნ-ი (მირბის მსხვერპლშენიერვის მაგიდასთან, იღებს თოჯინას) ტასინგ, შეხედე, დედაშენის ნამოქმედარია, როგორ მწყევლის და მკრულავს, რას არ მოიგონებს, ოღონდ როგორმე მომსპოს, კარგად შეხედე! (თოჯინას ისვრის)

მოხუცი ტასინგ... მოჰკალი ეგ კახპა, მოჰკალი ეგ ზნედაცემული, დაჰკა! დაჰკა! მათრახი მეთქი.

ტასინგი-ი (დაკარგული აქვს რეაქცია) დიახ, დედი, ვარტყამ, ვცემ! (მათრახს იღებს, თითქოს ჰაერში შემდება, იყინება, იყურება პირდაპირ, თვალებში სიმკაცრე გამოსჭვივის. სიჩუმეა. ცრემლი ახრჩობს. უცბად აგდებს მათრახს, ფეხებში უვარდება დედამისს, მთელი სხეულით თრთის და ტირის) ვაი დედი!

მოხუცი შენ იტყვი კაცი ვარო! სად არის შენი ჯიში და ჯილაგი! (ტასინგი იღებს მათრახს და ურტყამს)

წინნ-ი შენ.. შენ ამას ბედავ?

(ვილაც კარზე ძლიერად აბრახუნებს, გამიღეთ! გააღეთ!

ტასინგი-ი (ორ გაცოფებულ ქალს შუა) ვინ არის? ვინ!

ხმა მე, მე ვარ!

მოხუცი (ჯოხს აგდებს) ვინ შენა!

ხმა (გესლიანი სიცილით) მე, ჩოუ ჰუ.

მოხუცი რა? ვეფხვი?

ხმა ეს მე ვარ, თქვენი ნათლული, გააღეთ კარი!

ტასინგი-ი (გაოცებული) უცნაურია, ვეფხვი დაბრუნებულა (შუა კარს აღებს, ჩოუ ჰუ შემო-

დის, ერთმანეთს შეშინებულები და რალაცის მოლოდინში უყურებენ. სამარისებური სიჩუმეა)

მოხუცი (მოლუშული) ვეფხვო, რისთვის გარჯილხარ?

ჩოუ (გესლიანად) მუხლი რომ მოვიყარო ნათლიის წინაშე.

მოხუცი მუხლი მოიყარო?

ჩოუ დიას!

ტასინგ-ი (გულწრფელად უხარია) ვეფხვო, როგორ ხარ? როგორ დააღწიე თავი?

მოხუცი (მოლუშული) ტასინგ, შვილო, გამომყევი ჩემს ოთახში.

ტასინგ-ი (ვერ გაუგია რაშია საქმე) დე?

მოხუცი (მკაცრად) გამომყევი მეთქი. (მოხუცი ჯოხზე დაყრდნობით მიემართება მარცხენა კარისაკენ, ტასინგ-ი უკან მისდევს)

(ენაჩავარდნილი წინწ-ი შიშით უყურებს ვეფხვს)

წინწ-ი (ჩუმად) რატომ მოხვედი? რისთვის?

ჩოუ (ხანმოკლე მზერას აპყრობს, მოლუშული, დამძიმებული) მომდევდენ.

წინწ-ი ვინ?

ჩოუ გარშემო ნისლია, ვერავინ შევიცანი (უცბად) ჩააქრე სანთელი!

წინწ-ი (შეშინებული) რა? (სანთელს მაინც აქრობს მსხვერპლშენიერვის მაგიდაზე. ჩამობ-
ნელდა. ფანჯრიდან მოსჩანს რუხი ფერის ნისლი და შორიდან ისმის ორთქმავლის გაბმული საყვირი)

(ჩოუ ჰუ ფეხის წვერებზე უახლოვდება ფანჯარას)

წინწ-ი ეს შენა ხარ? შენ?

ჩოუ გაჩუმდი! თითქოს კარის უკან ვილაცაა, დაუგდე ყური!

წინწ-ი (უსმენს) არა, ქარია.

ჩოუ თუმცა მართალი ხარ. (მარცხენა კარისაკენ ტრიალდება) უცნაურია, ამდენ ხანს ოთახში, რას აკეთებენ?

წინწ-ი ვინ იცის?

ჩოუ ჰმ.. (მიანიშნებს ირონიით) ასე მგონია, ამ ღამეს რალაც უნდა მოხდეს.

წინწ-ი მეც ასე ვფიქრობ (თავს უქნევს)

ჩოუ წინწ, გეშინია?

წინწ-ი (ტრიალდება) მეშინია? არა.
ფარდა სწრაფად ეშვება

პირველი მოქმედების დასასრული

მეორე მოქმედება

იმავე დღის ცხრა საათი. ენვანის (ჯოჯოხეთის მბრძანებელი, ასეულის უფროსი, მემამულე, შეი-
არალებული გამომძალველი) სახლში სასტუმრო ოთახი. კვადრატულ მაგიდაზე, მცოცავი არსებების მს-
გავსად, საცოდავად ბუტუტავს ნავთქურა. ოთახის ყველა კედლებზე და ფანჯრის ჩარჩოებზე მოძრაობენ
შავი ჩრდილები. ფანჯრები დაკეტილია ყრუდ. ერთ კედელთან, მედიდურად დგას წითელი ხისაგან ნაკეთი
უზარმაზარი კარადა, რომელიც თავის უბეებში მთელი სახლის საიდუმლოს ინახავს. სარიტუალო მაგიდაზე,
მსხვერპლშენიერვისათვის საჭირო სანთლებთან ერთად, ღამფის მიმქრალი შუქის ანარეკლი, შავი ფერის
კერპის ფიგურას უსიამოვნო, შემაშინებელ გამომეტყველებას აძლევს. მოლუშული ბებერი წიაო დგას მსხვერ-
პლშენიერვის მაგიდასთან.. ფართედ გახელილი თვალებით მიშტერებია რალაცს და სულგანაბული რეკავს
ზარს, თითქოს კერპი გამოსცემდეს ამ ხმას. მაგიდის წინ უშველებელი კერამიკის ჭურჭელია, რომელშიც
ცხოველი ცეცხლით ინვის „ყვითელი ფულები“ * ფულის ნამწვავები ცეცხლის ენებს დაჰფარფატებენ, რომ-
ლის ანარეკლი მოძრავ ფარანს წააგავს * და დრო და დრო საქსოვ დაზგაზე მორბენალ ძაფის მიმწყობივით
ბოროტი ენვან-ის სახეს ხვდება. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ჯოჯოხეთის მბრძანებელი სინათლის შუქ-
ით გალიზიანებული ხან ნადირვით გრგვინავს, ხან კი მოსისინე ჭრელ გველად იქცევა და სისხლძარღვებში
სისხლს გიყინავთ. კერპისაკენ მიმართული უსინათლო, დაღრეჯილი სახით, ბლუჯა-ბლუჯა ყვითელ ფულებს
სჩრის კერამიკის ჭურჭელს და საგულდაგულოდ ბუტუტებებს „წარმავალი ცხოვრების“ შელოცვებს. .ირგ-
ლივ სიჩუმეა. ოთახის ამოღამებული კუთხიდან მოისმის ჩვილის კრუსუნა.

მოხუცი სიაო ჰეი ბოროტი სულების ზმანებებმა გამოაღვიძა.

(ოთახში მორბენალმა შავმა აჩრდილებმა კი უარესად ააღრიალა. მოხუცს ამოჰყავს ბავშვი და ხელში
რწვეა-რწვეით უმღერის)

„ნანა, შვილო, ნანინა,

შვილო რამ შეგაშინა?“

შენ სულს დაბრუნებას ვთხოვ,

არვის მივცემ საჯიჯგნად.
ჩემს სიცოცხლეს მირჩენის,
შენი ერთი ღიმილიც,
ნუ გეშინის პანანა,
აგრემც შემოგველები.
ჰეიც-ის სულო დაბრუნდი,
დაბრუნდი გიცდის ბებია,
რომ ტკბილი ძილი მოგგვაროს,
არ გაგიტაცოს ფერიამ.

(ბავშვი ჩერდება და ყველაფერი ირინდება, მოხუცი ისევ აგრძელებს)

სულო დაბრუნდი, დაბრუნდი,
ჰეიც-თან აბა ჩქარაო,
ცოდვილ ხორცს ნუ მიატოვებ,
თავთან ბებია გადავასო.

მოხუცი (უცბად) ტასინგ! შეხედე ბავშვს რა უცნაურად სძინავს.

ტასინგ-ი (თავს წევს,უყურებს) მართლაც, შიშს მგვრის,თითქოს მოკვდაო.

მოხუცი (მოულოდნელად) ღმერთო ჩემო! ტასინგ.....შენლა აკლდი,(მოფერებით) ჰეიც, ნუ გეშინია, მამაშენმა იხუმრა, დღეგრძელი იყავ ჩვენო იმედო, შენს მეტი არავინ გვაბადია, რასაც უყურებ ყველაფერი შენია, ნუ ნახვალ, ნუ.....

ტასინგ-ი დე, თქვენ ბავშვის სახეს ვერ ხედავთ, სახე მოექცა და თვალები კი დახუჭული აქვს..

მოხუცი (შეშინებული) ზედმეტი დალიე და მაგის ბრალია, ისე შეიძლება მართალიცა ხარ, სადილობისას უცნაურად ატირდა!

ტასინგ-ი ბავშვის თვალების გამომეტყველებით მივხვდი, რომ რალაცამ ძალიან შეაშინა.

მოხუცი ბოლოს და ბოლოს მიხვდი, მადლობა მამაზეციერს! რაც შეიძლება დროზე უნდა გავისტუმროთ. დღეს მართლა გვიანია, ხვალ კი უთენია გავუყენებ გზას.

ტასინგ-ი დედა, რა აჩემებაა, კაცს ქვეყანაზე არავინ აბადია, თქვენ გაგდებას უპირებთ? ეს ხომ.....

მოხუცი მაშინ თქვი, როგორ მოვიქცეთ?

ტასინგ-ი დე, გაიგეთ, ადამიანის ასე მოცილება მის სიკვდილს ნიშნავს, მე ეს მიჭირს, ძალიან კარგად მესმის, რომ უნამუსოდ მოიქცა, მაგრამ, ნუთუ არ შეიძლება ერთხელ ეპატოს?...

მოხუცი (გაცეცხლებული) ჭკუნაკულლო! რას ამბობ თუ გესმის? ან ვის გულისხმობ?

ტასინგ-ი (ორჭოფულად) თქვენ რა, წინწი არ.

მოხუცი- წინწ და წინ, მამაზეციერო (ოხრავს) ვაი, შენ ჩემო სულელო შვილო, სიკვდილის აჩრდილი დაგდევს, შენ კი მასზე ფიქრობ! ტასინგ! ყური მიგდე, ვეფხვი ბუნაგშია, ხვდები ვისაც ვგულისხმობ, შენს გვერდითაა, აი იმ ოთახში სძინავს (უცბად სწყვეტს საუბარს) ტასინგ! რალა მაინც და მაინც დღეს დალიე, რისთვის იყო საჭირო?

ტასინგ-ი (ძალაგამოცლილი) ჰო, დავლიე, დე.

მოხუცი ეშმაკი შეგიძვრა თუ რა არის? ძალზე გამოიცვალე.

ტასინგ-ი არაა დრო თუ. (ძლიერად მოქნეული ხელით, მუშტს არტყამს მაგიდას)

მოხუცი (მოფერებით) ტასინგ!, შვილო, მომიახლოვდი.

ტასინგ-ი (უახლოვდება) ბატონო, დედა!

მოხუცი ტასინგ! გეძნელება? გიჭირს?

ტასინგ-ი (დედას უყურებს, ტურჩების კვნეხით) არა, დე.

მოხუცი (ხელს ჰკიდებს) გიმძიმს წინწ-ისთან გაცილება, მისი გაგდება?

ტასინგ-ი (ხელს ითავისუფლებს,ზიზლით)ვინ გითხრათ?(ცდილობს თავის სისუსტეები დაფაროს, ამიტომ უფრო მეტად გაბრაზებული ვინმემ გითხრათ რამე?

მოხუცი (ცდილობს შვილის თავმოყვარეობაზე იმოქმედოს) დიახ, არცერთ კაცზე უარს არ ამბობს (გრძნობს, რომ ტასინგ-ი თანდათან ნებდება, მსუბუქად იცილებს ტასინგ-ის ხელს და ნელა აგრძელებს) შენს ადგილზე თუ არ ავკუნავდი, გავაგდებდი მაინც.

ტასინგ-ი დე, იქნებ იმ კაცის ვინაობა.. ხომ უნდა ვიცოდე... მართალია ბავშვობიდან ყველაფერს მიმალავთ, მაგრამ,ახლა წინწის ქმარი ვარ. ვინაა ის ხოხობი? (მაგიდას ეყრდნობა) მიმალავთ? ამით უფრო მეტ ტკივილს მაყენებთ, ნუთუ ვერ ხვდებით?

მოხუცი (მცირე დუმილის შემდეგ) ტასინგ, ხელები გიკანკალებს.

ტასინგ-ი მე..მე გულში (გულზე ირტყამს ხელს), (ცეცხლი მინთია, ცოცხლად მფერფლავ

მოხუცი (თვალებს ხუჭავს) ვაი, შენ ჩემო უბედურო, ლერწმის მსგავსო შვილო, ნუთუ გეყო-

ფა ძალა, გაუძლო ასეთ ქარიშხალს?
 ტასინგ-ი მაგრამ (თავისთვის) მე მაინც გავიგებ მის ვინაობას.
 მოხუცი (თითქოს დაინახა) ტასინგ, რა დაგემართა, როგორ გაიცრიცე?
 ტასინგ-ი (ზიზღით) დე, თუ გიყვარვარ, ნუ დამიმაღავ მის ვინაობას.
 მოხუცი როგორ მიყურებ?
 ტასინგ-ი როგორ დედა? როგორ მიხვდით?
 მოხუცი (თავის ქნევით) ბრუციანი კი ვარ, მაგრამ ჩემს სისხლსა და ხორცს შიგნეულობი-
 ანად ვხედავ. (ტრიალდება მისკენ) ტასინგ, რას მომჩერებიხარ? გეშინია არა?
 ტასინგ-ი (შეშინებული) დე, არა, რას ბრძანებთ..
 მოხუცი (დამაჯერებლად) დიახ, ტასინგ, ასეა... საინტერესოა გულში რას ფიქრობ?
 ტასინგ-ი მე.. მე არაფერს.
 მოხუცი რაღაცას მიმაღავ, გითხარი, შენ გულისთქმასაც ვერ გამომაპარებ, დიდი ხანია
 ვგრძნობ სიძულვილს საკუთარი დედისადმი.
 ტასინგ-ი რას ბრძანებთ, დე...
 მოხუცი (მოლუშული) ვერ მიტან, იმიტომ, რომ თქვენს შუაში ვარ და მსურს, სირცხვილი,
 სიბრმავე აგაცილო თავიდან, შენ კი..
 ტასინგ-ი დე, იცით რა, მხოლოდ იმ კაცის ვინაობა მაინტერესებს, ის მძულს, თქვენ კი მტან-
 ჯავთ.
 მოხუცი ნინნ-ის რატომ არ ეკითხები?
 ტასინგ-ი (გულწრფელად ვეფერება) დე, თქვენ ხომ.. ის თქვენი თვალით ნახეთ? რაღა ან ვილა
 გიშლით ხელს, ბრძანეთ.
 მოხუცი ტასინგ, გავინყდება, რომ უსინათლო ვარ
 ტასინგ-ი (უცბად დგება) დედა, მაშინ მივდივარ..
 მოხუცი (აღელვებული) საცაა შუალამეც დადგება, სად უნდა ნახვიდე?
 ტასინგ-ი აქ დარჩენა არ შემიძლია, არა... (მამის პორტრეტისაკენ) დე, შეხედეთ, შეხედეთ
 ჩქარა, მამაჩემიც კი დამცინის (გარბის შუა კარიდან)
 მოხუცი (მისდევს ყვირილით) ტასინგ! ტასინგ დაბრუნდი (შუა კარიდან გადის)
 (მარჯვნიდან ისმის მამაკაცის მკერდისმიერი ხმა, მღერის)
 წლის პირველი თვის თხუთმეტში,
 იღება ტაძარი ყველა,
 შესასვლელში კი ორ რიგად,
 ხარებისა და ცხენების ნიღბებით,
 ჯოჯოხეთის მოციქულები მწკრივდებიან.
 (პასუხს არავენ სცემს)
 (შორიდან ისმის მატარებლის ხმაური, გამოდის ნინნ-ი, დამშვიდებულია, თმის ერთი ლოკონი საფერ-
 თქელზე აქვს ჩამოშვებული, თვალებს აქეთ-იქით აცეცებს, ვილაცას ემალება, ფეხის წვერებზე მარცხენა
 კარს უახლოვდება)
 ნინნ-ი (ჩუმად) ვეფხვო, (მოხუცი შემოდის შუა კარიდან)
 მოხუცი (ძალიან მკაცრად) ნინნ!
 ნინნ-ი (ცდილობს მოაჩვენოს თავი, თითქოს ყველაფერი სულერთია) რა გნებავთ?
 მოხუცი აპირებთ თუ არა წასვლას?
 ნინნ-ი (უკან იხევს) არა.
 მოხუცი ნინნ, (აუჩქარებლად) აბა რას ფიქრობთ?
 ნინნ-ი (გაბოროტებული) არ ვიცი.
 მოხუცი თავს ნუ იკატუნებ, ვიცი რომ აქ ვეფხვია.
 ნინნ-ი სულაც არ ვიკატუნებ და რასაც ვაკეთებ შეგნებულად.
 მოხუცი ნინნ, ოთახში რა უნდა მართოს? რატომ არფერს არ ამბობს, რას ფიქრობს?
 ნინნ-ი არ ვიცი.
 მოხუცი როგორ თუ არ იცი, მისი მუცლის ჭია ხარ, მისი..
 ნინნ-ი (აფრთხილებს) გიჯობთ სიტყვები უკეთესად შეარჩიოთ, უფროს-უმცროსობის წესს
 ნუ დავარღვევთ, თორემ მეც არა ნაკლებ შემიძლია გიპასუხოთ.
 მოხუცი (გრძნობს ნინნის ასეთ შეუვალობას, განგებ) ჰმ! იცი? რომ ტასინგი ეს-ესაა გავი-
 და.
 ნინნ-ი ვიცი..
 მოხუცი იმ ოთახში ვეფხვია, სახლში კი მხოლოდ ბრუციანი მოხუცი ვარ.
 ნინნ-ი ნუ ცდილობთ ჩემს შეშინებას, ვიცი, რომ ჩვენი სიცოცხლე თქვენს ხელშია

მოხუცი ნინო (ღრმად ამოსუნთქის შემდეგ) ისე, ეხლავე რომ წასულიყავით ჯობდა.
 ნინო-ი ამ შუალამისას?
 მოხუცი ვითომ რატომ არაო?
 ნინო-ი სად მიბრძანებთ წასვლას?
 მოხუცი სადაც გინდა. (მრავალაზროვნად, პირქუშად) წახვალ თუ არა?
 ნინო-ი არა!
 მოხუცი ჰმ! ნინო, ნუთუ ასეთი უგულო ხარ?
 ნინო-ი (ზიზღით) დედამთილო, იგივე მსურს თქვენ გკითხოთ.
 მოხუცი (აენთო, მაგრამ ცდილობს ბოლმის დაფარვას) კეთილი, არ ვაპირებუსიამოვნებას,
 მაგრამ გახსოვდეს: მე მყავს ოჯახი და მყავს ვაჟი-მემკვიდრე, შენ კი უშვილი ხარ, ამიტომ დედისას ძნელად
 გაიეგბ, ისიც გავინწყდება, რომ მოხუცი ვარ, ჩემი ჭალარის მაინც შეგრცხვეს. ვალიარებ, რომ შეიძლება
 გავინროვებდი, მაგრამ სახლიდან არავის გაუგდებარ, ახლა კი, (უნებურად ტრიალდება მარჯვენა კარისაკენ)
 როცა ჩვენი ოჯახი განსაცდელშია და ვინ იცის რა ელის, შურისძიების ჟინმა შეგიბყრო?
 ნინო-ი (ყურადღებით აკვირდება მოხუცს) დე, არ გინდათ ქარაგმებით ლაპარაკი, პირდები
 მითხარით სათქმელი. კარგად მესმის, რომ ყველა ოჯახს თავისი კანონები აქვს, უღირსად მოვიქეცი, მაგრამ
 გარწმუნებთ შეგნებულად.
 მოხუცი (რალაცაზე ანიშნებს) შეგნებულად? მაშინ, ეხლავე სთქვი, რას აპირებთ?
 ნინო-ი ვინ ვაპირებთ?
 მოხუცი შენ და ჩოუ ჰუ, ვეფხვი ტყუილად არ გაირჯებოდა ჩვენთან მოსვლით.
 ნინო-ი მშვენივრად მიხვდით, ანდაზისა არ იყოს- ვეფხვის გამოჩენას, ოჯახში ავი სულების
 მომრავლება მოსდევსო.
 მოხუცი ნინო, მართალია, შენ აღარ გინდა ამ ოჯახში დარჩენა, მაგრამ ტასინგ-ის ცოლი
 ხარ, მის გვარს ატარებ, ჩოუ ჰუ-ს, ჩვენი დაღუპვა განუზრახავს, ნუთუ შენ ამას დაუშვებ?
 ნინო-ი (დაცინვით) როდიდან იზიარებთ ჩემს აზრს?
 მოხუცი ნინო! შენ ყოველთვის წინდახედულობით გამოირჩეოდი.
 ნინო-ი ყველა ადამიანი თვითონ ირჩევს თავის სავალ გზას, ფართეს ან ვიწროს, ეს მისი
 ნებაა, ე.ი. თავის უფალია.
 მოხუცი რას ამბობ ნინო, (მზრუნველობით) რას ამბობ?
 ნინო-ი მაშინ, დაასმინეთ და მოუვლიან, თქვენც დაისვენებთ...და ..
 მოხუცი (ხვდება რომ თვალთმაქცობს, სცდის) შენ კარგად იცი, რომ მე ეს არ შემეძლია, სხვა
 რომ არაფერი, ჩოუ ჩემი ნათლულია.
 ნინო-ი (ირონიით) სულ დამავინწყდა, რომ უკვე ცხრა წელია წმინდა წერილს კითხულობთ
 იმ ქვეყნიურ ცხოვრებაზე, ფულს უშურველად სწირავთ ოჯახის კერძს, ის კი წყალობას არ გაკლებთ. და
 ყველაფერი ამის შემდეგ, ჩვენ, თქვენი ოჯახი, ცოდვის ბუდედ ვაქციეთ. თუ დაბეზლება არ შეგიძლიათ,
 იქნებ მისი დაბადების დღე მაინც გავიგო ჰა, რას იტყვით?
 მოხუცი რისთვის?
 ნინო-ი (ჯობრით) ხის თოჯინისათვის, კარგად გეხერხებათ..
 მოხუცი გაიძვერა შენა, (თითქოს ჯავრის ამოყრა უნდოდა, მაგრამ თავი შეიკავა) ნინო,
 ვფიქრობ ჯობია მშვიდად მოვილაპარაკოთ, ვიცი გძულვარ, მაგრამ ჩვენ ერთი ადამიანი გვიყვარს (ნინო-
 ს შეპასუხება უნდა, მაგრამ თავს იკავებს), ჩემი შვილის ცოლი ხარ და ეს როგორც ღვთის, ასევე სხვების
 წინაშე გარკვეული ვალდებულებებია
 ჩოუ (რალაცის მოლოდინში, ჯდება) კეთილი, მოვილაპარაკოთ.
 მოხუცი (დაყოვნების შემდეგ) გშია? თუ?
 ჩოუ (ნიკაპს იფხანს) კარგად გეახელით, დედი.
 მოხუცი ჰუ-ძ, (სკამზე აჩვენებს) დაჯექი.
 ჩოუ დაჯექი (ალმაცერად უყურებს, შორიდან ისმის მატარებლის ხმა)
 მოხუცი საკმაოდ გვიანია.
 ჩოუ დიახ, მერე და რატომ არ წვებით?
 მოხუცი დავბერდი, ძილიც ცოტა მყოფნის (განწყობილების შეცვლას ცდილობს) ვეფხვო,
 რას შვრები, როგორა ხარ?
 ჩოუ ჯერ-ჯერობით სული მიდგა, დედი.
 მოხუცი (ცდილობს მისი ტონის შერბილებას) ასეთი ლაპარაკი, მართლაც, რომ არ გეკადრე-
 ბა, ცოდვია, სხვა თუ არაფერი.
 ჩოუ გამოქცეულმა კაცმა სხვა რა უნდა თქვას? (ქურდულად გახედა)
 მოხუცი მომიახლოვდი
 ჩოუ რა გნებავთ? (აფორიაქებული უახლოვდება)

მოხუცი გამომინოდე ხელი.
 ჩოუ რისთვის?
 მოხუცი უსინათლოებს სჩვევიათ, უფრო მშვიდად გეტყვი სათქმელს.
 ჩოუ (ჩოუ ჰუ ჯდება მაცურებლის პირდაპირ, ხელს უწვდის მოხუცს) თქვენი ხელი, რო-
 გორც ყოველთვის ყინულივით ცივია.
 მოხუცი (იდუმალებით) შეილო, დახუჭე თვალები!
 ჩოუ (ეჭვით უყურებს, ორჭოფობს) დავხუჭე დედი!
 მოხუცი (თავს აქნევს) არ დაგისუჭავს!
 ჩოუ (განგებ ფართედ ახელს) ამჯერად შეცდით, დახუჭული მაქვს.
 მოხუცი აღბათ იცი, უსინათლოებს, ერმანეთის ყველაზე კარგად. ესმით. შენ? თვალში
 გიდგას ნათელი თუ?..
 ჩოუ ღიას
 მოხუცი (ამრეზით) მაინც რას ხედავ?
 ჩოუ (უნებლიეთ მთელ ოთახს ავლებს თვალს) არაფერს. თქვენ?
 მოხუცი (დინჯად) მე? უფრო მეტს, ვიდრე, რომ გგონია. სამი ადამიანის სულის გარემოცვა-
 ში, რომლებიც თავიანთი სიკვდილით არ მომკვდარან., ვხედავ მოკვლის ჟინით ანთებულ შენს სახეს,
 ჩოუ (გრძნობს რომ თვალთმაქცობს) მხედველობა მართლაც მშვენიერი გქონიათ.. კიდევ
 თუ ხედავთ რამეს?
 მოხუცი (ხელს უშვებს) მამაშენის აჩრდილს....
 ჩოუ მამაჩემის (აგდებით) ? აღბათ ჯოჯოხეთის მბრძანებლის ნებართვით გეახლათ,
 წარმომიდგენია თქვენთან შეხვედრისას რა სიხარულს განიცდის არა?
 მოხუცი არა, შენ წინ დაჩოქილს თვალები ცრემლით აქვს სავსე.
 ჩოუ დაჩოქილს ცრემლით? რისთვის?
 მოხუცი გვედრება აქაურობის დატოვებას, მაგრამ შენ არ გეყურება, შურისძიების ჟინი
 გკლავს, რისთვისაც ისჯები, წყვილიაღმი ვხედავ, როგორ სწყდება თავი შენს სხეულს და სისხლი როგორ
 მოსჩქებს პირიდან!
 ჩოუ (გაშმაგებით) ჩემზე საზარელი ბრძანებულხართ, დედილო!
 მოხუცი ჰუნ, (ხელს ჰკიდებს) გაფრთხილდი, ეშმაკი დაგპატრონებია!
 ჩოუ (უცბად წამოხტა) დედი, ხელები გაგციეებიათ, (ბოროტად იღიმება) ვშიშობ სისხლი
 არ გაგიჩრდეთ, ამიტომ, მე კი არა, თქვენ უნდა გაფრთხილდეთ
 მოხუცი ჩოუ ჰუ, (ცდილობს მოელაქუცოს) ვგრძნობ, უკვე როგორ ზრუნავ ჩემზე.
 ჩოუ რვა წელიწადი თქვენს ოჯახზე ფიქრით, არც თუ ისე პატარა დროა.
 მოხუცი არც მე დაგრჩენილვარ ვალში, ყოველთვის კარგად, სიყვარულით გექცეოდი .ვე-
 ფხვო, ერთი ახედე, კედლიდან ვინ გიყურებს?
 ჩოუ (კბილების კრაჭუნით) „ჯოჯოხეთის მბრძანებელი “ ჩემი მამობილი.
 მოხუცი გიყურებს და დარწმუნებული ვარ უხარია... შენ?
 ჩოუ ცრემლს ვერ ვიკავებ .. რატომ ვერ მოვესწარი მის ნახვას, სიცოცხლეშივე მინ-
 დოდა ვალის დაბრუნება, მაგრამ, ხომ ხედავთ, ღმერთმა არ მაცალა
 მოხუცი არაფერია, მაგის გულისათვის ვაჟკაცი როგორ ღვრი ცრემლს? თუ იცი რას
 ვფიქრობ?
 ჩოუ აღბათ როგორ დააღწიოთ თავი თქვენს ნათლულს, თუმცა რა გასაკვირია,
 რომ,იმასაც ფიქრობდეთ, (დაცინვით) ეულად დარჩენილს... თუნდაც საცოლის მოძებნაში დაეხმაროთ?
 მოხუცი (სერიოზულად იღებს ნათქვამს) ვეფხვო, ზედმეტად დაბრძნობხარ,უთქმელად ხვდები
 ყველაფერს (მრავალაზროვნად) ... კარგი საცოლე შეგიჩრჩიე.
 ჩოუ (დამჯერი, მორჩილი ბავშვივით) შემირჩიეთ? თანაც კარგიო?
 მოხუცი (შეპარვით, სცდის) წასვლის სურვილიც კი გაგიჩნდება
 ჩოუ საით მიბრძანებთ?
 მოხუცი საითაც გულმა გაგინოს შეილო ჩემო, მინდა, დახმარების ხელი გამოგიწოდო, თუ
 ფულით, თუ
 ჩოუ (შეანყვეტინა) ნუ გაირჯებით, მადლობელი ვარ, ფულიც, თქვენ წარმოიდგინეთ,
 თავზე გადასაყრელათაც მყოფნის
 მოხუცი (გრძნობს სიტუაციის დაძაბვას) გამოდის, ჩემი სიცოცხლე გინდა? ინებე, შენს
 ხელშია
 ჩოუ (მოჩვენებითი მონინებით) რას ბრძანებთ, ეგ რამ გაფიქრებინათ, ყველა რომ დაიხ-
 ოცოს, თქვენ მაინც არა დაგიშავდებათ რა, დღეგრძელობა...
 მოხუცი (მოუთმენლად, მოლუშული) ვეფხვო, ვიყოთ გულახდილნი, პირდაპირ ვუთხრათ

ერთმანეთს სათქმელი. ერთს კი გეტყვი, უბედურების სუნი მცემს, უბედურებისა, რომელიც ამოფრქვეული ვულკანივით ყველაფერს ნაცარტუტად აქცევს. რა გინდა ჩემგან, ყველაფერზე თანახმა ვარ, სიცოცხლესაც კი არ დავიშურებ.

ჩოუ (მშვიერი ნადირივით უყურებს, მაგრამ შერბილებულად) თქვენს ნათლულს ასეთი მიზანი როდი აქვს, ის მხოლოდ ოცნებებშია, თქვენი შვილის - ჩემი მეგობრის დაბრუნებას ველოდები, თქვენი ნებართვით, მხოლოდ ორ დღესლა შეგანუხებთ, ამ ხნის განმავლობაში კი ჩემს მოწინებებს თქვენდამი უფრო მეტად იგრძნობთ, ეგ არის და ეგ.

მოხუცი (თანდათანობით შიში ეუფლება) როგორა თქვი? მოწინებებს იგრძნობთ? ვეფხვო, უნდა იცოდე, რომ მე, შენდამი არასოდეს ვყოფილვარ ცუდად განწყობილი, არაფერი დამიშავებია, შენი ასეთი საუბარი, შეიძლება იმ ქვეყნად წასულელებს თუ ეხებათ, თორემ, ჩვენ ცოცხლები, შენს წინაშე პირნათელნი ვართ

ჩოუ მე არც მითქვამს, რომ წიაოების გვარი ჩემდამი ცუდად იყვნენ განწყობილნი.

მოხუცი ტასინგ-ი ხომ შენი ბავშვობის მეგობარია.

ჩოუ ტასინგ-ი - ვარსკვლავი, სულელი, კეთილი სულელი, ვიცი..

მოხუცი რომ გასამართლებდნენ, გახსოვს ალბათ, როგორ გაკითხავდა, ყველას ანუხებდა და დახმარებას სთხოვდა, არც საჩუქრების მიტანაზე ამბობდა უარს, გზავნილებიც ბევრჯერ მიგიღია

ჩოუ დიახ, ტასინგის სისუფთავეში ეჭვი არასოდეს შემპარვია.

მოხუცი არც ნათლიაშენს დაუკლია ხელი, სასამართლოს მოხელეები შენუხებული ჰყავდა ცუდი არაფერი გაებედათ, როგორც ღვიძლ შვილზე, ისე გვეთუთქებოდა გულელები.

ჩოუ დიახ, მახსოვს.

მოხუცი უცნაურად მპასუხობ, ვეფხვო.. შენ.

ჩოუ ნათლი, რას იზამ, ვერაფერს გააწყობ, ვეფხვი ცხოველია, თანაც უხეში ზომანონის შეგრძნება მისთვის უცხოა.

მოხუცი (აგრძელებს) თუნდაც ვთქვათ მამაშენი, ის ხომ დარდმა შეჭამა, მაგრამ..

ჩოუ (ბრაზი გადადის დაცინვაში) ჰმ, დიდი შეღავათია, ცოცხლად კაცის დამარხვა, კუბოც კი დაინანეს.

მოხუცი (ედავება) ტასინგ-ის მამა - ჩემი მეუღლე, ამ შემთხვევაში უდანაშაულოა, გახსოვს, ალბათ, მამაშენისა და ერთი მიწებით მოვაჭრის უსიამოვნო ამბავი, შეთანხმების ვადა ამოიწურა და ვაჭარმაც არ აპატია

ჩოუ (ძლივს იკავებს ბოლმას) მართალი ბრძანდებით, მამაჩემი მეგობრობაში უღალატო იყო, ყველას ენდობოდა და მიიღო კიდეც.

მოხუცი ვის გულისხმობ?

ჩოუ ჩასაძაღლებელ ჰუნ-ს.

მოხუცი რაც შეეხება შენს დას შვილო ჩემო, თუ გინდა სიმართლე, დარდმა მოჰკლა საცოდავი, 15 წლის გოგონას მოხვედრა საროსკიპოში ადვილი საქმეა? მაგრამ რას იზამ, ეს ყოფილა მისი ბედისწერა.

ჩოუ დედი, გეყოფათ, ზედმეტად აჭიკჭიკდით, თქვენს ნათლულს ეშმაკის პირითაც შეუძლია ლაპარაკი, გაფრთხილდით.!

მოხუცი (ჯიუტად) არა, ჩემო ვეფხვო, ჩემი სურვილია თეთრი განარჩიო შავისაგან, რომ ჩემი ნათლული უმიზეზოდ არ იყოს გულნაკლული ვისმეზე.. მინდა მკაფიოდ სთქვა, რომ შენი უკმაყოფილება მოსამართლის უკანონო გადაყვეტილებებშია, არა?

ჩოუ დიახ, მთელი ცხრა წელი ავაზაკის იარლიყით ჯდომა.. დაკოჭლდი, ყველაფერი, მიწები ნაგვართვეს.

მოხუცი ეს რვა წელი არც შენს ნათლიას ჰქონია მოსვენება, ვინ არ შეანუხა, რომ დაგხმარებოდა, მიწები კი მამაშენმა ქალაქის თამაშით წააგო, დახმარება სთხოვა შენს ნათლიას, რომელმაც უკან გამოუსყიდა, მინის ორი მესამედი, ნათლიაშენმა დაიტოვა, დანარჩენი მამაშენს მისცა.. უსასყიდლოდ

ჩოუ უსასყიდლოდ, მუქთად არა?

მოხუცი (გრძნობს რომ მოთმინების ფიალა საცაა აევსება, გულისხმიერად) დიახ, დიახ, ჰუნ, ვეფხვო, ჩემი სათქმელი გითხარი, მაგრამ შენგან ვერაფერი გავიგე, ის მაინც მითხარი რისთვის გამოჩნდი?

ჩოუ აკი გითხარით ჩემი მადლიერება და პატივისცემა გამომეხატა თქვენი კე-თი-ლი სა-ქმე-ების გამო ჩემ-მდამი (ბოლო საიტყვები დამარცვლა მკაფიოობისათვის)

მოხუცი უყურადღებობას ვერავინ დაგნამებს, მაგრამ ერთი მითხარი-შენი ჩამოსვლა რატომ დაუკავშირე ტასინგ-ის ჩამოსვლას?

ჩოუ იმიტომ, რომ მე და ტასინგ-ი დიდი ხნის უნახავი ძმები ვართ და გარდა ამისა, თქვენი მონატრებაც მქონდა..

მოხუცი (თითქოს რალაც გაახსენდა) ე. ი .გამოდის, აქ დასახლებას აპირებ?

ჩოუ დამმვიდით, მხოლოდ მანამდე, სანამ თქვენს ბრწყინვალეობას იმ ქვეყნად, ზარ-ზეიმით არ გავაცვილებ.

მოხუცი დიახ, ჩემო ღირსეულო ნათლულო, როგორც სჩანს ჩემმა ლოცვამ გასჭრა (გარეთ ქარი ქრის, სადენები შემანწუხებლად ზუზუნებენ, ისმის ქალის ტირილის მსგავსი ხმა, რასაც დრო და დრო, ბაყაყების ყიყინიც ემატება)

ჩოუ (დაყოვნებით, მოწყენილობისაგან ხრინწიანი ხმით წამოიწყო სიმღერა) წლის პირველი თვის თხუთმეტში, იღება ტაძარი ყველა.....

მოხუცი კმარა! (დგება) ჯობია დაიძინო.

ჩოუ (შეხედავს, აგრძელებს მისამღერს) ორ რიგად ჯოჯოხეთის მოციქულები მწკრივდება.....

მოხუცი გვედრები, ნუ იმღერებ!

ჩოუ (თითქოს არ ესმისო) დიახ, ჯოჯოხეთისას მთავარს, .მოკალათებულა მსაჯად (სცილდება)

მოხუცი (შემაშინებელმა სიჩუმემ დაისადგურა, შიშმა შეიპყრო, ყვირის) ვეფხვო! სადა ხარ? (ხელების ცეცებით ეძებს)

ჩოუ აქა ვარ, აქა (გაბმულად მღერის)....ენვანს ჯოჯოხეთისას მთავარს... და თვალწინ უტრიალებენ, მისი განწირული უმანკო სულები მრავლად..

მოხუცი (კანკალით) ვეფხვო, საიდან იცი ასეთი სიმღერები?

ჩოუ (დაბობებული ხმით) ჩემი უბედური დისაგან, დედი, გნებავთ გავაგრძელო?

მოხუცი (მეყვსეულად ხელი სტაცა მაგიდას მიყუდებულ ჯოხს) არა, არა, საკმარისია

ჩოუ დედი, ისე, კაცმა რომ თქვას, არც თქვენ და არც თქვენ ჯოხს სიმაგრე არ დაუკარგავს (ცდილობს ჯოხის გამორთმევას)

მოხუცი (ჯოხს ხელს მსუბუქად უშვებს) დიახ, ძაღლების გასარეკად, უკაცურ ადგილში მისწრებაა. (ჯოხს ჰკიდებს ხელს და უნებლიეთ ჩოუს ხელს ეხება), ვეფხვო! გამხდარხარ, მაგრამ ძალ-ჯონე ძველებური შეგრჩენია.

ჩოუ როგორ მიხვდით?

მოხუცი (მოხერხებულად დაიჭირა ჯოხი) ასე მალე დაგავინყდა წინწ-ის ოთახში, კარგად გემრიელად რომ მითავაზე და

ჩოუ რა დამავინყებს, ეს ხომ, თქვენ მარჯვედ მოქნეულ ჯოხზე, ჩემი მორიდებული პასუხი იყო (ამაზრზენად ხარხარებს)

მოხუცი (მოხუციც, რალაცით კმაყოფილი ახარხარდა) ჩემო ჩოუ, ძველებური სიცელქე შეგრჩენია. (დაყოვნების შემდეგ) მომიახლოვდი, შვილობილო, შემხედე, სახეზე ჭრილობას თუ მამჩნევ?

ჩოუ (მიდის მოხუცისაკენ) რას ბრძანებთ, ახლავე (იღებს პისტოლეთს და გაავებული უყურებს)

მოხუცი ვეფხვო, (ჯოხის აღებას აპირებს) შენ რა, გადანყვიტე ჩვენს ოჯახში დასახლება?

ჩოუ (პისტოლეთს ნელა უშვებს ქვევით) რა თქმა უნდა, ვიცხოვროთ ერთად სიამტკბილობაში, განა რამდენი უნდა ვიცოცხლოთ.

მოხუცი (უცბად წამოდგა, მკაცრად) ვეფხვო, ჰუნ, ასეთი ლაპარაკი არ ივარგებს, დილაუთენია უნდა დატოვო აქაურობა!

ჩოუ (დაცინვით) მაგდებთ არა?

მოხუცი (აგდებულად) შენი გულის მოგება ძვირად მიჯდება, მაგრამ ეგეც არაფერია, მარტოს კი არა საცოლესთან ერთად.

ჩოუ თქვენი გულუხვობისა არ მიკვირს, მაგრამ ...

მოხუცი დიახ, წინწიმ ჩვენთან ვერ იგუა, შეგიძლია დაიმგზავრო.

ჩოუ (საეჭვოდ) რომ არ წავიდე, მაშინ?

მოხუცი (განრისხებულად) მეძებრების ხელში ჩაგაგდებ.

ჩოუ (მუქარით) ამას ვერ გაბედავთ, ისე კი დროა იცოდეთ, რომ სიკვდილს ბევრჯერ დაუფსხლტი კალანჭებიდან და ეხლაც იგივეს ვეცდები.

მოხუცი (ოხრავს) გადანყვიტე სიკვდილთან თამაში?

ჩოუ (ჯიუტად) გადანყვიტე.... (უცბად ჩერდება) კმარა! მოვიფიქრებ....

მოხუცი ააა.. წინწის ეხლავე დაუფსახებ, მართალი ხარ, იმის გარეშე ვერაფერს გადანყვიტ... ისე, სანამ ტასინგი მოვიდოდეს ჯობია მოილაპარაკოთ....

ჩოუ – (აგდებულად) გულს მიხარებს, დედი ასე რომ გებრალეებით და თანაც ისე როგორ გყვარებივართ, ტასინგის ცოლსაც არ იშურებთ...

მოხუცი ტასინგს კი ნურაფერს ეტყვი, ჩუმად მოახერხეთ შენ ხომ ყოველთვის გამოირჩეოდი გონიერებით.... წინწ! წინწ! (შემოდის მარჯვენა ოთახიდან)

ნინნ რა გნებავთ?
 მოხუცი – ნინნ, სანთელი ამინთე, ვილოცებ, ჩოუს საგზალს და საბანს მოვუმზადებ, ეცადე ჩემთან
 ოთახში არავინ შემოვიდეს. ჩოუ, შენ კი(მიემართება მარცხენა კარისაკენ)
 ნინნ-ი კეთილი (ჩოუ და ნინნ დიდხანს შესცქერიან ერთმანეთს)
 ჩოუ გაიგონე?
 ნინნ-ი (თავს უქნევს) ნუთუ ასე უმტკივნეულოდ?
 ჩოუ (იდუმალებით) ასეც უნდა მომხდარიყო
 ნინნ-ი (ჩუმად) ვეფხვო, შიში მაქვს ვერაგულაად არ ჩაგვცხოს ლახვარი.
 ჩოუ ნუთუ იმ ტკივილის შემდეგ, რაც ჩვენს ოჯახს მიაყენეს ნიაოებმა კიდეც მოუ-
 ბრუნდებთ ხელი ამისთანა საშინელებაზე? ფიქრობ ხაფანგს გვიგებს?
 ნინნ-ი (მზრუნველობით) იქნებ არ უნდა გამოჩენილიყავი?
 ჩოუ (ტანჯვით) პირიქით, ათი წელია ამ წუთს ველი, მე კი არა მარტო, ჩემი საბრალო
 მამა და უბედური და, რასაც მოვიმოქმედებ ყველას გასაგონად და დასანახად, ნუთუ მოგეწონება ქურდუ-
 ლად წასვლა, არა და არა, ამას სიკვდილი მიჯობს. .ნინნ – (ჩუმად) ენვანი ხომ მკვდარია?
 ჩოუ ნაშიერები?
 ნინნ-ი ნაშიერებს შენთვის არ უღალატიათ.
 ჩოუ (სიძულვილით ენვანის პორტრეტისაკენ) ჩვენ ენვანმა დაგვლუპა, ამიტომ უნდა
 ნინნ-ი მომეხმარო, გვედრები.
 ნინნ-ი (პირზე აფარებს ხელს) ვეფხვო, ფრთხილად, არ გაიგონოს.
 ჩოუ კარი მიხურული აქვს
 ნინნ-ი (ხმაჩახრენილი) ამას რაღას უშვრები ... ენვანს, (ორივე ტრიალდება ენვან-ისაკენ,
 ნინნ შეძრწუნებულია, ვეფხვი მიდის მასთან და ეხვევა) გიყვარვარ? თუ არა?
 ჩოუ (თრთოლვით)ნინნ... შენ მთელი არსებით, ჩემო ნინნ.
 ნინნ-ი მაშინ სასწრაფოდ გავეცალოთ აქაურობას, გული ცუდს მიგრძნობს .. ნავიდეთ...
 ჩოუ (ზიზლით ანთებული თვალებით) საქმეებს მოვაგვარებთ და აქ არ დავრჩებით, ნუ
 გეშინია, ეხლა რომ ნავიდეთ, მატარებელი მაინც არ იქნება, გარეთ ნისლია, ვერავინ შეგვამჩნევს, ტყით
 წავალთ.
 ნინნ-ი (შეშინებული) შავი ტყით?
 ჩოუ დიახ, შავი ტყე ათი ლითაა დაცილებული აქედან, გამთენიისას სადგურში ვიქნებით,
 იქ საშიში უკვე არაფერია, ჩვენი მეგობრები დაგვეხმარებიან.
 ნინნ-ი მაშნ ნავიდეთ, ნულარ ვაყოვნებთ, ნავიდეთ შორს, მატარებლით (ჩუმად) «ტუ, ტუ,
 ტუ» (წარმოსახვაში უკვე მატარებელშია და გზას გასცქერის) იქ სადაც მიწა ნოყიერია,
 ჩოუ (ისიც ფიქრებმა გაიტაცა) დიახ, მიწა მოფენილია ოქროთი
 ნინნ-ი სახლები დადიან, ხალხი დაფრინავს, დიდ-პატარა ყოველდღე ახალ წელს ზეიმობს!
 ჩოუ (ნაღვლიანად) დიახ, ყოველდღე ახალ წელს!
 ნინნ-ი (ხელს სტაცებს) ვეფხვო!
 ჩოუ (მოულოდნელად) არა, არ გაინძრე!
 ნინნ-ი რა მოხდა?
 ჩოუ გესმის? იქ ვილაცაა (მიიბრინეს ფანჯარასთან)
 ნინნ-ი ვინ არის? (პასუხი არ ისმის) არა! (უყურებს) დღეს რა გჭირს? (შორიდან გუგულის
 ხმა ისმის)
 ჩოუ (არ ეყურება ნინნს ნათქვამი) მე მგონია ფანჯარასთან ვილაც დგას და მითვალთ-
 ვალებს.
 ნინნ-ი (ამშვიდებს) რას ამბობ? არა, არა. (გუგულზე გადააქვს ყურადღება) გესმის? თუ
 გესმის?
 ჩოუ (იძრო პისტოლეტი) რა?
 ნინნ-ი არა, გუ.. გუ..გუ..
 ჩოუ (იცინის) იცი რას ამბობს? გუგული ამბობს უცოლო კაცს უჭირსო..
 ნინნ-ი (უდარდელად) არა, ის იძახის ცოლიანს უფრო მეტადო.. (ორივე იცინის) ვშიშობ
 რომ გუ-გუ, უკანასკნელად ვისმენ.
 ჩოუ რატომ?
 ნინნ-ი ჩვენ ხომ მივდივართ?
 ჩოუ (გონს მოეგო) დიახ, ამაღამ უსათოოდ (სევდიანად)
 ნინნ-ი (სახეზე შიში აქვს აღბეჭდილი, ტანჯვით) ო, ღმერთო! ნუთუ ბედნიერებისათვის
 მსხვერპლია საჭირო?
 ჩოუ (ეჭვით) ნინნ, გატყობ შიში შეგეპარა.

ნინნ-ი (განწირულად) არა ვეფხვო, მე უკვე აღარაფრის მეშინია, მითუმეტეს შენს გვერ-
დით, (ჩოუ ცერს უჩვენებს) ბევრი დაგვრჩა?
ჩოუ (ზეცას აპხედა) ვფიქრობ ორი საათი .
ნინნ-ი ეგ არაფერია, მალე გაიფრენს .
ჩოუ (გამომცდელად) იქნებ არც გაიფრენს? .
ნინნ-ი (ხელს ჰკიდებს) ვეფხვო, ჩემი ცხოვრება შენ გეკუთვნის.
ჩოუ (გრძნობამორეული) ჩემი ოქრო ხარ, (თვალცრემლიანი) მგონია, რომ მამაჩემისა და
ჩემი საცოდავი დის სულები არ გვცილდებიან, გაჭირვებაში არ მიგვატოვებენ და დაგვიცავენ
ნინნ-ი (სიბრალულით) ტასინგი მეცოდება, ის ხომ, ეს-ეს არის დაბრუნდა
ჩოუ მეც სწორედ მაგის ჩამოსვლას ვუცდიდი .
ნინნ-ი (შემკრთალი) რალა მანც ტასინგი? დედამთილი საკმარისია!
ჩოუ არა! რას ამბობ! სიკვდილი მისთვის შვება იქნება., (მკაცრად) მარტოს უნდა ამოხ-
დეს სული.
ნინნ-ი ტასინგ-ი უებარი კაცია..
ჩოუ (ეთანხმება თავის დაქნევით) ჭიანჭველასაც არ იმეტებს სასიკვდილოდ, მაგრამ ის
ენვანის, ეშმაკის შვილია.
ნინნ-ი (ლმობიერად) შენი არ ყოფნის დროს ხშირად გიხსენებდით, თქვენ ხომ ბავშვების
მეგობრები ხართ, გონს მოდი!
ჩოუ (თავს იქნევს) დიახ, უმცროს ძმასავით მიმაჩნდა, მაგრამ ახლა ენვანის შვილია
ნინნ-ი (მოთმინებიდან გამოდის) არა, ვეფხვო, შენ უბრალოდ არა გაქვს ამის უფლება,
მისგან სიყვარულისა და პატივისცემის მეტი არაფერი მახსოვს.
ჩოუ (დაუფიქრებლად) მით უფრო ...და კიდევ იმიტომ, რომ ენვანის შვილია.
ნინნ-ი (მოულოდნელად) მაშინ რალას აყოვნებ, დროზე, რომ თავსაც ვუშველოთ. (დაყ-
ოვნების შემდეგ) ვფიქრობ“ ვეფხვო, შენ გაგიჭირდება ამის გაკეთება, ბავშვობის სიყვარულს დიდი ძალა
აქვს. გულიც საოცრად კეთილი გაქვს, ძალიან გთხოვ ნუ ჩაიდენ ამ საშინელებას.
ჩოუ (ზეცას მიაპყრო თვალები, სევდიანად) ნინნ, გულქვა ვარ, ვერაფერი შემაცვ-
ლევინებს აზრს, მამაჩემის სულის წინაშე აღთქმა მაქვს დადებული, ესეც რომ არ იყოს, ცოდვა ორ თაობაზე
გადადის და შურისძიების გრძნობა მოსვენებას არ მომცემს.
ნინნ-ი (სასონარკვეთით) ვეფხვო! გემუდარები, ამხელა ცოდვით სიარული გაგვიჭირდება,
ჩოუ (ეშმაკურად იღიმება) გამოდის ტასინგს იცავ? გებრალეა და ლოცულობ?
ნინნ-ი (ეჭვიანობას გრძნობს) რატომ მიყურებ ასე? შენ რა... (ჩოუ ჰუ მხრებში ჩააფრინდა,
თვალდახუჭული ნინნ-ი ტკივილისაგან ტუჩებს იკვნიტს) მეტკინა, ხელი გამიშვი, ვეფხვო! არ დამახრჩო!
ჩოუ (მიიმედ უშვებს ხელს, ხარბად სუნთქავს, შუბლზე ოფლს იწმენდს) მშვენივრად გა-
მოჩნდი ნინნ! აი, თურმე ვინა ჰყოფილხარ, შემომიძვერი, რომ ტასინგ-ი გადაარჩინო..
ნინნ-ი (თვალეში ჩახედა) ადამიანის ცნობა არ შეგძლება. შეიძლება არაფრით არ გამო-
ვირჩევი სხვებისაგან, მაგრამ ჩემს გულწრფელობაში, ძალიან გთხოვ, ეჭვი ნუ შეგეპარება, ტასინგ-ი არ
მიყვარს და არც მყვარებია, მაგრამ ძალიან მებრალეა, იმასაც კი ვფიქრობ, რა მოხდება, ჩემი წასვლის
შემდეგ ვინმე გამოჩნდეს, ვისაც მთელი გულით ეყვარება და ღირსეულ ცოლობას გაუნევეს მეთქი, ჩემი აქ
დარჩენა და მასთან ცხოვრება წარმოუდგენელია, ვეფხვო, ნუთუ ამას დაუშვებ და სისნდისი არ შეგანუხებს
ჩოუ (ოხვრით) მართალი ხარ ნინნ! ტასინგ-ი მეგობრად მთვლის, არაფერს მიმაღავს,
(შეჩერდება) თუ არა მისი გულუბრყვილო სახე, მისი პატიოსნება და ჩემდამი დიდი სიყვარული, აქამდე მო-
ვაშთობდი.....
ნინნ-ი (ხელს ჰკიდებს) ხო და ნავიდეო, რალას ველოდებით.
ჩოუ ნუ გავიწყდება, რომ ჩოუ ჰუ ვარ, შურისმაძიებელი, რა ვუთხრა მამაჩემსა და ჩემს
უბედურ დას?... არა... ეს არ მოხდება (შეყოვნების შემდეგ) მტანჯავს ის, რომ პირველი ვერ ავღმართავ
ხელს მის წინააღმდეგ, ანკესზე თუ წამოვაგე და პირველმა დაიწყო, მაშინ თავს დავიცავ
ნინნ-ი (შეშინებულმა) მაგრამ, ვეფხვო, უცბად რომ მოგკლას?, ამის გაფიქრება კი მზარა-
ვს, ამიტომ შემობრალე, გვედრები.
ჩოუ (ამშვიდება) კმარა, დამშვიდდი და ყური მიგდე!
ნინნ-ი რა ხმაურია? (მაშინვე ხელი ჰკრა) არა მგონია ტასინგი იყოს. (შუა კარიდან ტასინგი
შემოდის, დაბნეულია, თვალეებს აქეთ-იქით აცეცებს, თვალეზასისხლიანებული, თმააბურძგნული, ეჭვით
შეპყრობილი, ხმაში ხრინწარეული, ეჩვენება ნინნ-ი საქვეყნოდ შეარცხვინა და შური უნდა იძიონ. ააშტერ-
დება ნინნის, აღარ იცის, უყვარს თუ სძულს ეს ქალი, გრძნობს გონის დაკარგვას. ხედავს ორ გაქვავებულ
ადამიანს. ნინნ-ის დანახვაზე ხელი იტაცა უბეში დამალულ ხანჯალზე, თავისი მოძრაობის შეეშინდა და გონს
მოეგო, უნდოდა გაეღიმა, მაგრამ სანაცვლოდ ცრემლი მოადგა. ჩოუ ჰუ ჯიბეში პისტოლეტს ეხება)
ტასინგ-ი (ჩოუ ჰუ-ს) თქვენ აქა ხართ? (ტასინგ-ი და ჩოუ ჰუ, ორივე ქალს მისჩერებთან) სად არის

დედა?

ნინო-ი ოთახში (თავი ჩაჰქინდრა)

ტასინგ-ი რაზე საუბრობდით, თუ საიდუმლო არ არის?

ნინო-ი არაფერზე.

ტასინგ-ი (დაეჯახა მაგიდას, ღრმად ამოიოხრა, შეხედა ჩოუს) ვეფხვო! (ნინოს) მოიტანე

ლვინო!

ნინო-ი (თხოვნით) ტასინგ!

ტასინგ-ი მოიტანე ლვინო!

(ნინოს მოაქვს ლვინო სამსხვერპლოდან და დგამს მაგიდაზე)

ნინო-ი (მოუსვენრად) ძმაო ჩოუ, ტასინგ-მა ცოტა ზედმეტი დალია, იმედია იზრუნებ

მასზე.

ჩოუ (თავს უქნევს) ნუ ინალვლებ.

ნინო-ი (ტასინგ-ს დააშტერდა) ტასინგ, მე წავედი.

ტასინგ-ი (შეხედა მდუმარებით)

ჩოუ თქვენ.. თქვენ წადით ..

ტასინგ-ი (ელოდება ნინოს გასვლას) ვეფხვო! დაჯექი, რატომ მიყურებ ასე უცნაურად?

ჩოუ (მშვიდად) რატომ უცნაურად?

ტასინგ-ი ქალს უცნაურად გააყოლე თვალი..

ჩოუ გავაყოლე. რძალს?

ტასინგ-ი (შუბლს იზილავს) რაღაც მემართება, დამისხი ლვინო, ვეფხვო, დედაჩემი რას

გელაპარაკებოდა?

ჩოუ (ენვან-ის სურათს შეხედა) ვსაუბრობდით შენზე, ჩემზე და ნინო-ზე.

ტასინგ-ი (თოფნაკრავით) ნინო .. (დგება) რა თქვა, რა გითხრა?

ჩოუ (გამოუვალ მდგომარეობაშია) შენ რა? რომ?

ტასინგ-ი (ხელს უაზროდ ამოძრავებს ჰაერში) ნინო-ოქრო ქალია,... .. ის... მას შენთვის

არაფერი უთქვამს? არ გითხრა, რომ დღეს ნინოს ოთახში, .. მის ოთახში (ველარ შეიკავა თავი და მაგიდაზე დაენარცხა, ყვირის) ჰუნ, ასე მომექცა, მითხარი (თავზე იტყაპუნებს ხელს) რა ვქნა, რა ვიღონო?

ჩოუ (დინჯად) გამაგებინე რას ამბობ?

ტასინგ-ი (დარცხვენით) არაფერია, ცოტა დავთვერი (კიდევ ერთი სირჩა გადაჰკრა)

ჩოუ ტასინგ! ლვინომ საქმეს ხელი არ უნდა შეუშალოს.

ტასინგ-ი ვიცი, შენ ვერ გაიგებ, როგორც კი შევხედე, საშინლად დავმძიმდი, თითქოს სიკვდი-

ლის სუნი მეცა.

ჩოუ (გაკვირვებით) რატომ?

ტასინგ-ი (ლვინის არომატი მთელი არსებით შეიგრძნო)არ ვიცი რატომ, ალბათ შეამჩნიე?

როგორ უცნაურად მათვლიერებდა.

ჩოუ (თავი ჩაქინდრა) არ დამინახავს.

ტასინგ-ი ვიცი, ვიცი, ვძულვარ.

ჩოუ რატომ?

ტასინგ-ი ქორწინების მესამე დღიდან ყინულივით გახდა, ვერაფრით მივხვდი რა მოხდა, მე

მანც არაფერს ვაკლებდი.... დღეს კი გამომიცხადა.. სხვა მამაკაცი ჰყოლია..მტოვებს.. (მუშტებს ურტყამს მაგიდას) ალბათ ვერ გადავიტან (ლვინოს ისხამს)

ჩოუ (აღზნებული) ტასინგ, მერე სადაა შენი ვაჟკაცობა, ან ვისი ჯიშისა ხარ ხომ არ

გავინყდება?

ტასინგ-ი ვაჟკაცობა? ჯიში? (შეხედა პორტრეტს, საკმაოდ მთვრალია) ენვანის

შვილი,ჯოჯოხეთის მბრძანებელია.

ჩოუ მერე, რას აპირებ?

ტასინგ-ი იმ კაცის მოძებნას და მოკვლას. (ჩაარჭო დანა მაგიდაში და კიდევ ერთი სირჩაც

გადაჰკრა)

ჩოუ ტასინგ! დადგი სასმისი.

ტასინგ-ი რისთვის? (მისთვის გაუგებარია)

ჩოუ (ხმამალლა) დადგი სასმისი და შემომხედე ვინა ვარ.

ტასინგ-ი (დადგა სასმისი და ჩოუ, თავიდან ფეხებამდე შეათვალღერა) შენ ჩემი, ჩემი

საკუთარი მეგობარი ხარ (თითქოს რაღაც მოიფიქრა), ვეფხვო! შენ ხომ გინდა ჩემი დახმარება, დაიჭირე ის არაკაცი! .. შენ ფიქრობ, რომ შიშისაგან ვკანკალებ და ისეთივე უსუსური ჭია ვარ, ისეთივე უიღბლო? (შურისძიებით) მინდა ნინოს დავუმტკიცო, რომ მე, ის აღარა ვარ, რომ ჩემში, მამაჩემის, ენვან-ის სისხლი შჩქებს.

ჩოუ ტასინგი! შენ ვერ გამოიგე...
ტასინგი-ი (მადლიერებით) მესმის, კარგად მესმის შენი, ვეფხვო, ბავშვობის მეგობრები ვართ..
კარგად ,გიცნობ, რა გულის პატრონი ხარ,.. გაგასამართლეს, ფეხები გადაგიმტვრიეს და ერთი არ დაგიკვნე-
სია. ეხლა კი სხვას გინდა დაეხმარო, კარგად გიცნობ, .
ჩოუ (მშვიდად ვერ უსმენს) მე.. მე.. ტასინგი....
ტასინგი-ი რომ მოგისაჯეს, რამდენჯერმე ვიყავი სანახავად, მაგრამ მითხრეს სხვაგან გა-
დაიყვანესო, 10 წლის განმავლობაში გეძებდი .. დღეს შევხვდით, შენს უმცროსს ძმას უჭირს, გესმის? ... ეს
ჩემი სირცხვილია.. ჩემი სირცხვილი, რომელიც მე თვითონვე უნდა ჩამოვრეცხო, მე უნდა დავაბოლოო ჩემი
საქმე. და თუ მე ვერ შევძელი, ჩემი სიკვდილის შემდეგ, იმედი მაქვს, შენ აღასრულებ.
ჩოუ დიახ, მაგრამ.. თუ იცი ის კაცი ვინ არის? წინწის რატომ არ ეკითხები?
ტასინგი-ი (ზიზღით) წინწ-ი ხელს აფარებს, არ მეტყვის? შერეკილი პაი-საგან მაინც გავიგებ.
ჩოუ რა, პაი ნახე?
ტასინგი-ი კაცი გავაგზავნე პაის მოსაყვანად, ის იცნობს იმ კაცს და წამომყვება .
ჩოუ (ოხრავს) როდისლა მოვა?
ტასინგი-ი საცაა შემოვა და წავალთ..
ჩოუ შენ ძალიან მთვრალი ხარ, რალაცეებს ბოდავ..
ტასინგი-ი ვბოდავ?
ჩოუ მეგობრობა არც ისე რთულია, როგორც შენ გგონია
ტასინგი-ი მაშ შენ იცი რა არის მეგობრობა?
ჩოუ დიახ.
ტასინგი-ი მითხარი.
ჩოუ (ალმაცერად უყურებს მაგიდაში ჩარჭმულ დანას) მოაცილე ეს აქედან! ასე ლაპაკი
არ შეიძლება.
ტასინგი-ი (უყურებს, ჰგონია, რომ ჩოუ ხუმრობს, იღიმება) ჰმ, დამცინი?(შეინახა დანა ქა-
მარში, ზურგის მხრიდან)
ჩოუ დაგცინი? გნებავს ხუმრობად ჩათვალე, მაგრამ სრულებით არაა სასაცილო (ღრ-
მად ამოისუნთქავს) ტასინგი! მოდი დავლიოთ (იღებს სასმელს, სულმოუთქმელად სვამს) ჩვენი მეგობრობა,
დაცლილ სასმელს დაემსგავსა..... (მხარზე მოუთათუნა ხელი).. ტასინგი! ...
ტასინგი-ი (ვერ გაერკვია, იღებს სირჩას) რა არის?
ჩოუ დააცალე ბოლომდე!
ტასინგი-ი დავცალო?
ჩოუ ტასინგი, ცხოვრობდა ორი მეგობარი, ბავშვობიდან ერთად შეზრდილები, როგორც
მე და შენ.
ტასინგი- ი გასაგებია, როგორც ძმები.
ჩოუ ორივენი ძალიან კარგი ბიჭები იყვნენ. უმცროსს, ბოროტი მამა ჰყავდა, ყველას
სძულდა, თავისზე სუსტს ამცირებდა აბუჩად იგდებდა, თვალი დაადგა უფროსი მეგობრის მამის უხვმოსაგ-
ლიან მამულს, შეეკრა ავაზაკებს, მოიტაცეს მეგობრის მამა და ცოცხლად დამარხეს, მამულიც წაართვეს.
ტასინგი-ი შენ.. ვისზე ჰყვები?
ჩოუ მიგდე ყური, უმცროსი მეგობრის მამას გაუჩნდა შიში, რომ მისი შთამომავლობა
ვალში არ დარჩებოდა, მოისყიდა სასმართლოს მოხელეები და უფროსი მეგობარი „გაავაზაკეს“, მოსწყვიტეს
თავის ახლობლებს და შორს გადაასახლეს, ესეც არ აკმარეს, 15 წლის უმანკო დას საროსკიპოში ამოაყო-
ფინეს თავი,
ტასინგი უმცროსს მეგობარს, იმას
ჩოუ ის ამას ვერც წარმოიდგენდა, კეთილი, გულუბრყვილო სულელია, მშობლები თავის
შვილიკოს შავ-ბნელ საქმეებში არ რევედენენ
ტასინგი შენ...რას მიყვები? ამ საქმესთან ...რამე კავშირიაქვს?
ჩოუ ნუ ჩქარობ, ბოლომდე მისმინე, გატანჯული უფროსი მეგობარი კატორღიან გაი-
ქცა, დაკოჭლდა (ტასინგი უნებლიეთ შეხედავს ჩოუს ფეხებზე), როგორც მე...
ტასინგი სახლში დაბრუნდა?
ჩოუ დაბრუნდა კი არა, ანთებულია შურისძიებით, უმცროსი მეგობრის მთელი ოჯახის
ამონწყვეტის უინით.
ტასინგი (ვერაფერი გაიგო) თავის მეგობარსაც არ ინდობს?
ჩოუ (გაბოროტებული) რომელ მეგობრობაზეა ლაპარაკი, 10 წლის ჯოჯოხეთური ყო-
ფის შემდეგ ადამიანი მასში მოკვდა, სამაგიეროდ დაჭრილმა ცხოველმა ჩაიბუდა, რომლისთვისაც მთავარია
სურვილის - შურისძიების გრძნობის აღსრულება.
ტასინგი მაინც რისთვის (გატაცებით უსმენს ჩოუს ანთებულ საუბარს)

ჩოუ შურისძიებისათვის მეთქი, გამოქცეულს, დანიშნული საცოლე მაინც მცემს ნუგეშს
მეთქი, მტრის ოჯახის რძლად დამხვდა.

ტასინგი უმცროსი მეგობრის?
ჩოუ დიახ.

ტასინგი დაუფერებელ ამბავს ჰყვები, ჩემო ჩოუ.. ძმა ამას როგორ იზამდა?
ჩოუ (ცივად) უმცროსმა მეგობარმა ეს არ იცოდა
ტასინგი როგორ თუ არ იცოდა?
ჩოუ მეც მიკვირს, მისმა მშობლებმა მიიღეს როგორც საკუთარი შვილი (შეათვალისწინებ
ტასინგის დიდი საყურე, თვითონაც უნებურად ყურზე მოიკიდა ხელი) და ცოლმაც არ გაუმხილა საიდუმლო, სამაგიეროდ ჭირივით სძულდა ქმარი

ტასინგი (თანაგრძნობით) მართლა.. სძულდა?
ჩოუ დაბრუნებისთანავე უფროსმა მეგობარმა თავის ყოფილ საცოლესთან გაატარა
ღამე.

ტასინგი მეგობარმა?
ჩოუ მეგობრები დიდი ხანია იქცნენ დაუძინებელ მტრებად (აღელვებისაგან ვეღარ იმორ-
ჩილებს ენას) ერთი რამ უღრღნის ტვინს-შურისძიება. უმცროსი მეგობარი სულელი აღმოჩნდა, უფროსს მის
ცოლთან სძინავს და მეგობრობაო კიდევ გაიძახის...ტასინგი (წამოხტა ანთებულის, მაგიდას დაეყრდნო) რას
ამბობ... ვერ გამიგია...

ჩოუ (გახელებული, მუშტებშეკრული) მე უფროსი მეგობარი, შენ კი უმცროსი, (შემოდის
წინწ)

წინწ ვეფხვო! შეჩერდი, (ტასინგზე ანიშნებს) ის.. ის...
ტასინგი (თავბრუდახვეული) როგორ, შენ, ...ის კაცი შენა ხარ ვეფხვო?
ჩოუ (ჩამტერდა) კარგია რომ მიხვდი..
ტასინგი არა, წარმოუდგენელია, წინწ (აჯანჯლარებს), მითხარი, ეს ის არის (წინწ გაქვავე-
ბული უყურებს)

(გარედან პაი ყვირის, დედილო წიაო, დედი... და ფარნით ხელში შემორბის)
პაი დე წიაო! დედილო წიაო, გეძებენ (მარცხენა კარისაკენ გარბის)
ტასინგი (პაის აჩერებს) კუს კვერცხო, შე ძაღლის ნაშიერო, რატომ დაიგვიანე, შეხედე
(კანკალით ჩოუზე მიანიშნებს) ის არის,? კარგად შეხედე,
პაი (ჩოუს დანახვით გაკვირვებულმა დაალო პირი და სიხარულისაგან) თიჩი-ქაჩა, თი-
ჩი-ქაჩა, დიახ, ეს არის, ეს... (მარცხენა კარს არ სწყვეტს თვალს) დედილო წიაო... (შედის მარცხენა კარში,
სიჩუმე...)

ტასინგი (უცბად დაიძრობს დანას) ვეფხვო, შენ...
ჩოუ (თავს იცავს) მიდი ტასინგ, პირველმა შენ...
წინწ (ჩოუ ჰუს ეფარება) ტასინგ!... გააგდე ხელიდან დანა!
ტასინგი (კბილებიდან სცრის) წინწ! შეგიყვარდა და ვინ?
წინწ (გულით) დიახ მიყვარს, ერთადერთი ადამიანი (ხუჭავს თვალებს, იმის ლოდინში,
რომ ტასინგი დანას დაარტყამს)

ტასინგი (თითქოს გულშია დაჭრილი) წინწ, მიეცი დანა, შენი სიტყვა გაცილებით ბასრი აღ-
მოჩნდა, ვიდრე ამ დანით მიყენებული ჭრილობა
ჩოუ (უნებლიეთ) ტასინგ!
ტასინგ-ი (ხელს უქნევს ჩოუს) შენ .. ცოტა ხნით დაგვტოვე (ლონემიხდილი ეშვება სკამზე)
(პაი შემოდის მარცხნიდან) ნეტავ სად გაქრა? წიაო დედილო, არ არის ..
ჩოუ უცნაურია, ეს წუთია შევიდა თავის ოთახში...
პაი (უარის ნიშნად თავს იქნევს) არა, არ არის ..
ჩოუ რას უნდა ნიშნავდეს?
პაი (შეშინებული) არაფერსაც არ ნიშნავს.
ჩოუ თქვი!
პაი ვილაც ეძებს.
ჩოუ ვინ?
ტასინგ-ი მითხრა, რომ თქვენთვის არაფერი მეთქვა .
ჩოუ მომყევი (მიათრევს შერეკილს შუა კარისაკენ)

(დაყოვნების შემდეგ)

ტასინგ-ი წინწ! კიდევ რა შეგიძლია მითხრა, ან რა განგიზრახავს?
წინწ-ი (გაქვავებული) წასვლა გადავწყვიტე ..
ტასინგ-ი (მოულოდნელად დგება) როგორ თუ წასვლა წინწ (ხელს ჰკიდებს)

ნინნ-ი (მარტო დარჩენილმა უფრო მეტი ზიზლი იგრძნო ტასინგისადმი, მისმა ხელის შეხებას კი უხსენებელის დაგესვლით გამოწვეული განცდა აღუძრა და იკივლა) შენ.. შენ.. როგორ მეხეზი, არ გაბედო!

ტასინგ-ი (განცვიფრებულია) როგორ თუ?!

ნინნ-ი გულს მირევ! რატომ არ მომკალი, რატომ?

ტასინგ-ი ნინნ!

ნინნ-ი შენ.. შენ ხომ ჭიაყელა, არარაობა ხარ!

ტასინგ-ი ჰმ! ნუ თვალთმაქცობ, თქვი რომ გსიამოვნებს..

ნინნ-ი არა, არა! (ჩუმად, თითქოს თხოვნით) რატომ არ დამარტყი, მე ხომ სიკვდილისთვის

მზად ვიყავი.

ტასინგ-ი (გრძნობს რა ნინნ-ის ხმაში სირბილეს, ცდილობს როგორმე მის შემორიგებს) ნინნ!

მითხარი, რომ იცრუე, მოიგონე..(უახლოვდება ნინნის) ვიცრუე? ეს ისეთივე სიცრუეა, როგორც ცისა და დედამიწის არსებობა, სწორეა რომ ღამე გავათენე მასთან.

ტასინგ-ი (უახლოვდება ნინნის, უსაზღვროდ შენუხებული) ოჰ.. კახბა, გაიძვერა შენა (დანას

იღებს და უღერებს)

ნინნ-ი (გამარჯვებული თავს ამაყად სწევს მალლა) მომკალი! მომკალი, შენ როგორი მა-

მაშენის შვილი ხარ.?

ტასინგ-ი (თვალეზგადმოკარკლული უღერებს დანას) ნინნ, ვერ გცნობივარ, შემხედე (არტყ-

ამს)

ნინნ-ი (უსაზღვროდ შეშინებული უნებურად, დანას,ხელს უფარებს, მაგრამ ვერ ასწრებს და ხელის მტევანი ზურგის მხრიდან მაინც ეჭრება, სისხლი მოსდის, ყვირის) შენ მართლა გამიმეტე... (ხელს ჰკრავს და გარბის)

ტასინგ-ი გაგიმეტე, (ცდილობს დაენიოს ნინნის, მაგიდის გარშემო დარბიან)

ნინნ-ი (მირბის და თან ყვირის) ჰუნ, ჰუნ, ვეფხვო!

ტასინგ-ი (დაენია და კუთხეში მოიმწყვდია) ვერ გამექცევი, ნავიდა და მიგატოვა!

ნინნ-ი (გამძვინვარებული)ჰუნ, ჰუნ!

ტასინგ-ი (ლურჯი ძარღვებით ესერება შუბლი) კიდევ იმას ეძახი? იყვირე! იყვირე... ის.(დანას

უღერებს)

ნინნ-ი მე... ჩემო ტასინგ ხელი არ მოგიბრუნდება (თვალეზს ხუჭავს)

ტასინგ-ი (გაქვავებული ხელით ზემოდან დასცქერის მის სახეს და სიბრალულით იქნევს

თავს) ეჰ, ნინნ, შენა ხარ დაუნდობელი (თანდათან ხელს უშვებს დანას ქვევით თავისი მკერდის დონეზე) რა მიყავი ეს? რა ჩაიდინე?

ნინნ-ი (ფრთხილად ახელს თვალეზს) ტასინგ, რა გემართება?, რა გჭირს?

ტასინგ-ი (კვლავ უღერებს დანას, ნინნ-ი ისევ ხუჭავს თვალეზს) ერთი დარტყმით შენს

გულს...(ხელი მოკვეთილივით უვარდება, ნინნ-ი თვალეზით ეხვეწება) ო, ნინნ, ნუ იქნები ასეთი დაუნდობელი და უნამუსო, .. (მათხოვარივით) ნუ ნახვალ..

ნინნ-ი შენი ცოლი ვარ, სად ნავალ..

ტასინგ-ი შენი გულიც რომ მეკუთვნოდეს ის მინდა, ნინნ, ხომ ცუდად მოიქეცი? გვედრები,

ყველაფერი დაივიწყე, მე კი არასდროს სიტყვაც კი არ დამცდება, დაანებე თავი, ეხლავე! ნულარ აყოვნებ!

ნინნ-ი დავანებო და..

ტასინგ-ი დიახ, დაანებე, ხვალვე გავისტუმრებ და გზასაც დავულოცავ, თავიდან დავიწყით

ცხოვრება, ყველაფერს შეგისრულებ.... შენს გარეშე ჩემს ცხოვრებაას აზრი არა აქვს, ვერ ავიტან ლალატს, თუ მოინდომებ, დედაჩემისაგანაც კი ცალკე ვიცხოვრებთ, ნახე რა კარგად ვიქნებით ერთად...

ნინნ-ი კი მაგრამ რაში გჭირდები მე? შენთან ყოფნა ჩემთვის ჯოჯოხეთია, შენც დაგტან-

ჯავ და....

ტასინგ-ი ნინნ – შენ ისევ შენსას აგრძელებ?

ნინნ-ი დედაშენი და მე, დაუძინებელი მტრები ვართ, ჩვენს გამო შენ იჭყლიტები და ამი-

ტომ უფრო მეტრალეები, მაგრამ,...

ტასინგ-ი ე. ი. გადანყვეტიტე ნასვლა და არაფერი აღარ შეიცვლება?

ნინნ-ი მე.. მე ეს არ მითქვამს..

ტასინგ-ი (ტანჯვით) შენ მასთან ერთად... მიდიხარ? შენ კი მატყუებ არა? ნინნ, გულწრფე-

ლად მითხარი რას ფიქრობ, მხოლოდ არ მომატყუო....

ნინნ-ი გულწრფელად? კარგი...მიყვარხარ, დღე არ არის შენზე ფიქრში, რომ არ გავათენო

და არ დავალამო. ვლოცულობ კიდევაც.. შენზე..

ტასინგ-ი კმარა! ნინნ (ხელს ურტყამს მაგიდას) გაჩერდი ნუ მტანჯავ!....

ნინნ-ი ხომ გსიამოვნებს ჩემგან ამისთანა სიტყვების მ.....

ტასინგ-ი ო, ღმერთო, რატომ ჩნდებიან ამისთანა ქალები.. უბედურების მომტანნი?
 ნინწ-ი ამას გეუბნები, ტასინგ, რაში გჭირდება მეთქი?
 ტასინგ-ი ვერ გავიგე რას მეუბნები.
 ნინწ-ი ასეთ ქალს ყელს გამოვჭრიდი.
 ტასინგ-ი შენ ხომ მამაკაცი არა ხარ?
 ნინწ-ი მამაკაცი რომ ვიყო ასეთ ქალს სახლში არ გავაჩერებდი ..
 ტასინგ-ი გაუშვებდი? ამის უფლება რომ არა გაქვს, გავინყდება, რომ ბავშვი გყავს,
 რომელსაც დედის გარეშე ვერ დატოვებ
 ნინწ-ი მე არ გამიჩენია
 ტასინგ-ი ნინწ, მე ხომ შენი ვარ, ქმარი ვარ შენი (ნერწყვი გადაყლაპა) როგორ ნახვალ ნინწ
 – მე ქმრად არ ამირჩევხარ.
 ტასინგ-ი როგორ არაფრის შიში და რიდი არა გაქვს, ხალხის რისხვას რას უშვრები? ან რომ
 დაგიჭირონ? ეს ხომ დანაშაულია
 ნინწ-ი გაჩმუდი! მე არაფრის არ მეშინია, რაკი არ მიშვებ, მომკალი, თუ არ და ირველივე
 შესაძლებლობისთანავე გაგექცევი, ჩიტივით თავისუფალი არსება ვარ, გავინყდება, რომ ტრამალში დაბადე-
 ბულსა და გაზრდილს საფლავიც აქვე აქვს. ადამიანს ერთხელ ეძლევა სიცოცხლე, შენ, ნიაოების ოჯახში კი
 ცოცხალი ლეში ვარ.
 ტასინგ-ი იქნებ კიდევ ასწონ-დასწონო, ცოტა წინ გაიხედო, გულში ნაკიდებული ცეცხლი
 ოდნავ გაინელო და ისე გადანყვიტო, ისე, გახსოვდეს, მე შენი არაფერი არ მმართებს,... ვალი არა მაქვს.
 ნინწ-ი (თავის ქნევით) ვიცი..
 ტასინგ-ი კარგი, მაშინ ერთს კიდევ გეტყვი (სერიოზულად), შენს წინაშე მუხლს ვიყრი და
 ვფიქრობ.. ასეთ ლამაზ სხეულში უსათუოდ ლამაზი სულია, სიყვარულის ფასიც კარგად იცი, მაგრამ შენ
 ისეთი რამ ჩაიდიხე, არცერთ ქალს არ ეკადრება, ალბათ წარსულ ცხოვრებაში თუ დამედო შენი ვალი.....
 .ვალს კი, გადახდა უნდა,.... ვისტუმრებ, ე.ი. გპატიობ ყველაფერს, დაივიწყე შენც და მეც, ფულს მივცემ და
 უვნებელს გავუშვებ, ამისათვის კი შენი ერთი სიტყვაა საჭირო..(დგება)
 ნინწ-ი (მკაცრად, გადანყვიტით) არა!
 ტასინგ-ი ნინწ, ამისთანამ როგორ შეიყვარე ის მახინჯი. ნამდვილი ეშმაკია..
 ნინწ-ი კმარა, შენ ნუ ძიობ მაგას, მომწონს, მიყვარს და მასთან ერთადაც წავალ.
 ტასინგ-ი რა სთქვი? მაინც მასთან ერთად წახვალ?
 ნინწ-ი ღიას!
 ტასინგ-ი (მოულოდნელობისაგან გაშემდა) რისთვის? მხოლოდ ათმა დღემ გადანყვიტა
 ყველაფერი?
 ნინწ-ი ღიას, ათმა დღემ, საუკუნოდ მისი ვარ..
 ტასინგ-ი (გაცოფებული) რაკი ასეა, შენ დარჩი, მე მას მოვიყვან, როცა სახლში არ იქნები,
 შენ,... თქვენ..... (ენა ებმის)
 ნინწ-ი სთქვი,! დაამთავრე!
 ტასინგ-ი შენი გულისათვის მე ამას დავუშვებ
 ნინწ-ი (აფეთქდა) რეებს რომა? (სიძულვილით) შენ მე მანანწალა გგონივარ? აი თურმე
 ვინ ყოფილხარ?..
 ნინწ-ი ღიას, ნამდვილი კუ ხარ *
 ტასინგ-ი (ტასინგ-მა ვერ მოითმინა და სილა გააწანა) შენ.. (ცრემლებით სავსე თვალებით
 უყურებს), ძალიან მიყვარხარ, შენ, ჩემი სიყვარულის ღირსი არა ხარ. (თვალები გაყფართოვდა) მოვრჩით,
 მიდიხარ და წადი!
 ნინწ-ი მერე რა იქნება?
 ტასინგ-ი მე მას მოვკლავ!
 ნინწ-ი ვერ გაბედავ..
 ტასინგ-ი მე ვერ შევძლებ? სხვები იზრუნებენ..
 ნინწ-ი განაცხადებ სამძებროში? მაინც დავუსხლტებით ხელიდან..
 ტასინგ-ი მხოლოდ ერთი სურვილი შემისრულეთ. ნუ დამტოვებთ ცოცხალს (მარცხენა კარი-
 დან მოხუცი შემოდის)
 მოხუცი რას კამათობთ?
 ნინწ-ი (განცვიფრებულია, ეს ეს არის პაი მისი ოთახიდან გამოვიდა) აქ საიდანგაჩნდით?
 ოთახში ხომ არ იყავით? შერეკილმა პაიმ კი ვერ გნახათ..
 მოხუცი პაი შერეკილი.. კოუტანი?
 ნინწ-ი ღიას..
 მოხუცი ვეფხვი სადღაა?

წინნ-ი ეხლახანს გავიდა..
 მოხუცი კი მაგრამ ვინ გაუშვა?
 ჩოუ (ჩოუ ჰუ მარცხენა კარიდან შემოდის და ტასინგ-ის და წინნ-ის გაკვირვებას ინვეს, ემბაკურად) მე არსად არ წავსულვარ, დედილო, მეც ოთახში ვიყავი.. მოხუცი და წინნ – (ერთად) როგორ?
 ჩოუ შევამჩნიე, მოხუცი ფანჯრიდან ძვრებოდა, ვიფიქრე ხუმრობს მეთქი, ჰოდა მეც ვიხუმრე და ფანჯრიდან გადმოვძვერი
 მოხუცი კარგი, დარჩი ჩემს ოთახში, მე სასტუმრო ოთახშიც შემიძლია ძილი. წინნ, ბარგი, საბანი თუ მოამზადე?
 მოხუცი კეთილი, მაშინ ძილის დროა, დაიძინეთ (პაი – შემორბის შუა კარიდან)
 პაი დეიდა წიო, დეიდა.. ჩან უ... გეძებთ..
 მოხუცი ვიცი,.. ვიცი..
 ჩოუ (რაღაცას მიხვდა) ჩან უ? (ბავშვი წამოიტირებს)
 მოხუცი დაიძინეთ მეთქი, ისე ხმაურობთ, რომ ბავშვიც გამოაღვიძეთ... (ტასინგი და წინნ მარჯვნივ მიდიან, ჩოუ ჰუ კი მარცხნივ)
 მოხუცი (პაი შერეკილს) თვალთ არ დამენახო, შე კუს კვერცხო ..
 (სცენაზე შუქი თანდათან ქრება, ათი წამის შემდეგ კვლავ ნათდება სცენა, ერთი საათის შემდეგ.. შუა ღამე.. მარცხნიდან ჩოუს ხვრინვა ისმის, მარჯვნიდან კი - ტასინგის ბოძვა სიზმარში. კვადრატულ მაგიდაზე ნავთის ლამფა ბუუტავს, მსხვერპლშენიერვის მაგიდაზე კი მქრთალი შუქით კანდელი. მოხუცი წიო ბავშვით ხელში სკამზე ზის, ბავშვს ანანავებს, გვერდით ფიცრისაგან შეკრული ტახტია, რომელზედაც ხანდახან წვება. მკაფიოდ ისმის გუგულის ხმა, მაგრამ მალევე წყდება... მთელი ყურადღება მარცხენა კარისაკენ აქვს მიპყრობილი. შუა კარზე ვიღაც აკაკუნებს)
 მოხუცი (ხელების ცეცებით მიდის კართან) ვინ არის? (ხმა – მე .. ჩან უ)
 მოხუცი შემოდი., (ჩუმად) (მარცხენა კარისაკენ ანიშნებს)
 ჩან უ ვეფხვმა დაიძინა?
 მოხუცი გესმს?
 ჩან უ (ესმის ჩოუ-ს ხვრინვა, გახარებული) მკვდარივით სძინავს.
 მოხუცი (წითელი ფარანი ანათებს მის უსიამოვნო სახეს) როგორ არის საქმე?
 ჩან უ სამძებრო განყოფილებაში განვაცხადე, წუთი წუთზე აქ გაჩნდებიან ჩემო რძალო, პირობაზე როგორა ხარ? დასაჩუქრებას შემპირდი.
 მოხუცი მთელ ფულს შენ გაძღვევ..
 ჩან უ თქვენ რაღას იტოვებთ?
 მოხუცი (მოლუშული) ჩემთვის მთავარია ჩქარა მოთავდეს ყველაფერი.. (უცბად) რატომ აგვიანებენ?
 ჩან უ სამძებროში ცოტანი არიან და საქმეს ვერ სწვდებიან, თანაც ურჩევიათ მკვდრის წაყვანა, ნაკლებად შენუხდებიან.
 მოხუცი რაო? მკვდარზეც ყაბულს არიან?
 ჩან უ მათთვის სულერთია, მთავარია ავაზაკისაგან თავის დაღწევა, მკვლელს პასუხს არ აგებინებენ.
 მოხუცი მკვლელს არ დაიჭერენ? კარგია.. (კბილებიდან წარმოთქვა) ჩან, შენ ჯობია წახვიდე, ოლონდ, მათი მოსვლა არ უნდა გამოგეპაროს..
 ჩან უ წავალ .. (შუა კარიდან ერთად გადიან)
 (წინნ შემოდის ანთებული სანთლით ხელში, წითელი ვინრო ქურთუკით, აწეწილი თმებით და გაბოროტებული თვალებით. მსხვერპლშენიერვის მაგიდაზე სდებს პატარა ფუთას, აკანკალებული ტრიალდება მარცხენა კარისაკენ და იმავ დროულად შიშით უყურებს შუა კარს. მარჯვნივ კარიდან შემოდის წელს ზემოთ შიშველი, კუნთებდაბერილი ჩოუ ჰუ, სხეულზე შავი აბურძგნული ბალანი საზარელ შთაბეჭდილებას ტოვებს, წითელ ქსოვილში გახვეული პისტოლეტი ფართე ქამარში აქვს გაჩრილი, ცალ ხელში ლურჯი ქურთუკი, მეორე ხელით კი წინნის ეხება)
 წინნ-ი (მოულოდნელობისაგან ყვირის) ვაი, ეს შენა ხარ? როგორ შემაშინე?
 ჩოუ (აჩქარებით) ჩააქრე სანთელი!
 წინნ-ი რატომ? ბებერი ხომ ვერ ხედავს?
 ჩოუ სხვები ხედავენ..
 წინნ-ი (აქრობს) ა..... ჩან უ ..
 ჩოუ (სერიოზულად) რა სიბნელეა (ორივე სუნთქვაშეკრულნი დგანან ერთმანეთის პირისპირ)
 წინნ-ი (სიბნელეში) საქმე არ ითმენს.
 ჩოუ ვიცი, სამძებროში განაცხადეს..

ნინწ-ი (ტანჯვით) გამოდის ტასინგს სიმართლე უთქვამს..
 ჩოუ ტასინგიც გასვრილია? მოუვლი...
 ნინწ-ი ვშიშობ, რომ ვერ გავიპარებთ... ის იძახდა..
 ჩოუ დროა საქმეს შევუდგეთ...
 ნინწ-ი (იმედიანად უჭირავს მისი ხელი, ნავიდეო არა?
 ჩოუ არა (თვალები შურისძიების გრძნობით აქვს ანთებული) დროა ვალი მოვიხადო ..
 ნინწ-ი (შეშფოთებული) ვეფხვო, შენ მართლა...?
 ჩოუ (თავის ქნევით, ბავშვის სანოლისაკენ მიანიშნებს) ბავში გაიყვანე ოთახში..
 ნინწ-ი (მიდის სანოლისაკენ, მაგრამ ჩოუ ჰუს თვალს არ აცილებს) რისთვის?
 ჩოუ არ შეშინდეს..
 ნინწ-ი (ბავშვს ხელში იყვანს) მაგრამ.. ვეფხვო...
 ჩოუ (ხელი აიქნია) ჯერ გაიყვანე..
 (ბავში გაჰყავს, ჩოუ აქეთ-იქით აცილებს თვალებს, რალაცას ეძებს, მაგრამ ვერ პოულობს. ამ დროს შემოდის ნინწ)
 ჩოუ (ამტერდება ნინწის, გონს მოეგო, რალაცაზე მიანიშნებს) დაინახე?
 ნინწ-ი რა?
 ჩოუ (შიშით) მამაჩემი აქ არის..
 ნინწ (ჩუმად, აჩქარებით) ვეფხვო!
 ჩოუ (თითქოს დაინახა) მეუბნება, ხანჯალი ოთახშიაო..
 ნინწ (ვითომ არ იცის) ხანჯალი?
 ჩოუ (უყურებს ნინწის) იძახის, ჩემს წინ არისო. ...
 ნინწ (მოულოდნელად უბიდან იღებს ხანჯალს) ვეფხვო! .. მე...
 ჩოუ (ხელს უშვერს) მომეცი!
 ნინწ (არ აძლევს მაგრამ, შემდეგ თითქოს რალაცამ დარია ხელიო) კმარა, სწრაფად აიღე!, რაც მოსახდენია, მოხდეს..
 ჩოუ (ჩუმად) სძინავს?
 ნინწ (თავი დახარა) მე,.... მე. დავაძინე..
 ჩოუ თვალი გეჭიროს შემოსასვლელი კარისაკენ. ზეფხვის წვერებზე გადის მარცხნივ)
 ტასინგ! ტასინგ! (მარჯვნიდან ისმის მთვრალი კაცის ლულული, ნინწ! ნინწ.. ჩემი ხანჯალი! სადაა ჩემი ხანჯალი? ჩქარა.. ჩქარა, გატანჯული ხმით, გაურკვეველად)
 ნინწ (ჩურჩულით) ის.. ის ლაპარაკობს ძილში..
 ჩოუ რა საზარელი სიტყვებია (ისევე მარჯვენა კარისაკენ) ტასინგ!
 (ოთახიდან ისმის ტასინგის ხმა.. რა სიბნელეა... ყველაფერი შავია .კვლავ სიჩუმე)
 ნინწ (კანკალით) თითქოს რალაცას გვეუბნება..
 ჩოუ ტასინგ! (ხმა არ ისმის) ტასინგ! (უცბად უაზროდ ბრუნდება) მამა! იყავი მშვიდად, ყველაფერს გავაკეთებ... (ღმუილით შედის ტასინგთან)
 (ნინწ გაშეშებული ფანჯარას გაჰყურებს რალაცის მოლოდინში, ოთახიდან ჩამიჩუმი არ ისმის. გარეთ მანანწალა ძაღლები იყეფებიან, ოთახიდან საშინელი ხროტინისა და იატაკზე მძიმედ დავარდნის ხმა გაისმა.)
 ნინწ (უნებურად, ხმამაღლა) ო! ღმერთო ჩემო!
 ჩოუ (მაშინვე მარჯვნიდან ბარბაცით, სისხლიანი ხანჯლით ხელში ჩოუ შემოდის, თვალებგადმოკარკლული და სახედაკარგული) ყველაფერი გათავდა, ბოლო მოუღეთ..
 ნინწ-ი (სუნთქვა შეკრული)ო!" სისხლიანი ხელები, შენი სისხლიანი ხელები..
 ჩოუ (აღმართული აკანკალებული ხელებით) ხელები ბევრჯერ დამსვრია სისხლში, მაგრამ ასე არ ამკანკალებია (თითქოს გულიდან ამოძახილი) სიცოცხლე არაფერია, სიკვდილი ამალღებულია (შეძრწუნებული) ვტაცე ხელი, გამოიღვიძა და გაშტერებული მიყურებდა, არ შეშინებია, ო, ღმერთო (თანაგრძნობით, თავს იქნევს) ვიცი, რომ გულის სიღრმეში ნაწყენია, დამცირებულია.. აღვმართე რა ხანჯალი, თვალები გაუნათდა, ყველაფერს მიხვდა“ ო, რა საშინელი წამი იყო... უცნაურად შემომხედა, ჩაიხითხითა, გულზე ხელი დაიდო და თავი დამიქნია, რისთვის, არ ვიცი, ერთი დარტყმით მოვრჩი ყველაფერს, ხმა არ ამოუღია, თვალებიც თვითონვე დახუჭა (დააგდო ხანჯალი) ო, რა საშინელებაა, რა წამიერია ადამიანის სიცოცხლე, არარაობაა..
 ნინწ-ი სასწრაფოდ დაიბანე ხელები!
 ჩოუ ამ სისხლს ვერ მოიბან ..
 ნინწ-ი მაშინ ეხლავე ნავიდეო, გავცილდე აქაურობას!
 ჩოუ (შეხედა ნინწის) ნავიდეო (გადადგა ორი ნაბიჯი)
 ნინწ-ი გესმის ხმაური? ხალხის ხმა?
 ჩოუ ვისი?

ნინნ-ი ხალხის.. (ფანჯრისაკენ გარბის და ჩოუ ჰუც მისდევს) წითელი ფარნები! მოდიან!
ჩოუ (ფანჯრის წინ) არა, არა, ეს ბებერი წიაო, შერევილ პაისტან ერთად წითელი ფარ-

ნით ხელში.

ნინნ-ი (ეთანხმება) დიახ, დედამთილია, მოდის.

ჩოუ მე მეძებს (ჩუმად) ვიცი, რომ მკვლეელი არ ისჯება... არ ისჯება ჩემი მკვლეელი..

ნინნ-ი გეყოფა..

(მოხუცი შემოდის შუა კარიდან. ჩოუ და ჰუა სუნთქვაშეკრულები დგანან ფანჯარასთან, თვალყურს ადევნებენ როგორ საზეიმოდ და ამავე დროს საზარლად მიდის მსხვერპლშენიერვის მაგიდასთან, ჯოხის ცეცე-ბით მარჯვენა კარისაკენ, აყურადებს და საშინელი გაბოროტებული სახით ჰკეტავს სასტუმრო ოთახის მხრი-დან. მომარჯვებული ჯოხით მიდის მარცხენა კარისაკენ, ჩამიჩუმი არ ისმის, შორიდან დროდადრო მგლების ყმუილი თუ დაარღვევს სიჩუმეს . ჩოუ და ნინნ გაქვავებულები არ აცილებენ თვალს მარცხენა კარებს)

ნინნ-ი (ჩუმად) რა უცნაურია, ნეტავი რას უნდა აკეთებდეს?

ჩოუ (ხელს ჰკიდებს ნინნის) ჩემი მოკვლა უნდა, ჯოხი ვერ დაინახე?

ნინნ-ი (რალაც გაახსენდა აკანკალდა) ბავშვი.. ბავშვი.. შენს საწოლზეა

ჩოუ ბავშვი ...?

(უცბად ისმის ჯოხის დარტყმის ხმა, რომელსაც თითქოს წამიერად ლეკვის ნკავნკავი ყვა. ისევ სიჩუმემ დაისადგურა.)

ჩოუ და ნინნ-ი (ერთდროულად) ო, ღმერთო..!

მოხუცი (მარცხხენა მხრიდან ისმის გულ-განგმირავი ოხვრა, სასონარკვეთილი) ო.. ჩემო

ჰეინ, ჩემო პატარავ (ისევ სიჩუმე)

ჩოუ (გაშეშებული, შიშისაგან დამუნჯებული) უკვე გვიანია!

ნინნ-ი (მოულოდნელად) ნავიდეთ ჩქარა!

ჩოუ ჰეინ მოკვდა

ნინნ-ი სასწრაფოდ ჩაიცვი, ქუჩაში მძებრები არიან, შიშველი არ გახვიდე, ადვილად

შეგამჩნევენ.

(ნინნ-ი ეხმარება ჩაცმაში, იღებს ბოხჩას და ხანჯალს, ჩოუ ნახევრად ასწრებს პერანგის შეკვრას, რომ შემოდის მარცხნიდან გაფითრებული, წარბშეკრული, სევდიანი მოხუცი მკვდარი ჰეინით ხელში. არ ტირის, საზარელ მოძრავ ქანდაკებასა ჰგავს. ჩოუ და ნინნ შიშისაგან ერთმუჭად ქცეულნი ოთახის ერთ კუთხეში იმალებიან)

მოხუცი (არაადმიანური ხმით) ჰუნ! .ვეფხვო (დუმილი) ჰუნ! (დუმილი) შენი სუნი მცემს, ვიცი, რომ აქა ხარ, დაუნდობლო! ღმერთი არ დაუშვებს შენს არსებობას, ხომ იძიე შური! საკუთარი ხე-ლით მომაკვლევინე უმანკო ბავშვი, შვილიშვილი, რომლის გაცოცხლება ღმერთსაც აღარ შეუძლია, შენ რა მოგელის, თუ იცი, გარეთ გყარაულობენ, შენც ცოტალა დაგრჩა. (ჩვრებში გახვეული ბავშვის გვამი ანეული ხელებით, თავს ზემოთ უჭირავს, გადის, გარედან მოხუცის ძახილი – კოუტან! ჩოუ და ნინნ ისევ გაუნძრევ-ლად დგანან. მოხუცს არავინ ეპასუხებდა. არაამქვეყნიური ხმით მოისმის სიმღერა

წლის პირველი თვის თხუთმეტში,
იღება ტაძარი ყველა,
შესასვლელში კი ორ რიგად,
ხარებისა და ცხენების ნიღბებით,
ჯოჯოხეთის მოციქულები მწკრივდებან.
თვით ენვანს, ჯოჯოხეთისას მთავარს,
ძვლებში გამჭოლი ქარი არ აწუხებს
და ერთ-ერთი ტაძრის წინ მოკალათებულა მსაჯად
დრო-და დრო ქარის გარინდვა,
შეაკრთობს ჯოჯოხეთისას მთავარს,
და თვალწინ უტრიალებენ
მისი განწირული უმანკო სულები მრავლად.

ნინნ-ი ვინ მღერის?

ჩოუ კუს კვერცხი

(სიმღერა – და თვალწინ უტრიალებენ მისი განწირული უმანკო სულები მრავლად..)

ნინნ-ი (იყურება მალლა, უცბად ხმამალლა) ენვანის თვალები მოძრაობენ..

ჩოუ რა თქვი? (ჩოუ ჰუმ ხელი იტაცა პისტოლეტზე და რამდენჯერმე ესროლა ენვანის პორტრეტს) ეხლა კი ნამდვილად მოვიდნენ.

(ისმის სროლის ხმა, ჩან უ ყვირის–ნუ ისვრით ნაძირალებო, არ მომახვედროთ, შემორბის შუა კარიდან)

ჩან უ (ვეფხვის დანახვაზე ფეხები ეკვეთება) ო, ღმერთო! (დააპირებს გაქცევას)
 ჩოუ (ერთ ნახტომში იჭერს) დაგიჭირე? (პისტოლეტს უმიზნებს)
 ჩან უ (სროლა გრძელდება) (მთელი ძალით ყვირის) სერჟანტო ლიუ, არ ისროლოთ! მე ჩან უ ვარ (სროლა მაშინვე შეწყდა).
 ჩოუ ჩემს ხელთა ხარ, დაუყვირე არ ისროლონ, აქედან მივდივარ...
 ჩან უ (სიჩუმეა) სერჟანტო ლიუ, ჩოუ ჰუმ დამიჭირა, გაქცევა უნდა, გემუდარებით არ ისროლოთ..
 ჩოუ (ხმამალა, მკაფიოდ) ძმებო! ჩოუ ჰუ ვარ, თქვენთვის არასოდეს არაფერი დამიმშვებია და არც ახლა გერჩით, ჩემი საქმეების მოსაგვარებლად დავბრუნდი ნიაოების ოჯახში, ვალი დამიბრუნეს. თუ გზას არ მომცემთ ჩან უ ჩემს ხელთაა, ბოლოს მოვუღებ.
 ჩოუ რატომ სდუმხართ? თანხმობის ნიშნად ორჯერ ისროლეთ, თუ არა და ერთხელ. (ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე) ვითვლი 10 –მდე, მერე კი .. (შეხედა ჩან უს)
 ჩან უ სერჟანტო ლიუ! (ჩოუ ითვლის.. ერთი....)სახლში შვილები მელოდებიან, თუ კი ამე მომივა, ჩემიანები შურს იძიებენ ...(ისევ სიჩუმე) სერჟანტო ლიუ! (გასროლა)...სერჟანტო!.....
 ჩოუ ჰუ (პისტოლეტის ლულას ჩან უ-ს ზურგზე ადებს) წამოდი!
 (წინ-ი თავისი ფუთით ხელში და ორი მამაკაცის თანხლებით გადის შუა კარიდან. (კიდევ ორ გასროლას, მოჰყვა გასროლის ჯერი, სროლები მატულობს, ფარდა თანდათან ეშვება, სროლა კვლავ ისმის)

მეორე მოქმედების დასასრული.

მესამე მოქმედება

მოჩვენებები კაცი ქოლგითა და ფარნით (მსახური), მოხუცი ნიაო ზეაღმართული შვლიშვილით, ჩოუ ჟუნ, (ჩოუ ჰუ-ს მამა), ჩოუ ჰუ-ს 15 წლის და, ენვანი-ჯოჯოხეთის მბრძანებელი, ენვან-ის წინაპრები, 10 –მდე კატორღელი– 2 წყლის დამტარებელი, ციხის ზედამხედველი, დანარჩენები საკაცებით ხელში. ხარის და ცხენის ნიღბები, ორი მწვანე სახიანი ეშმაკი, გოლიათები – (ა,ბ,გ), ზეციური სამსჯავრო.

პირველი სურათი

ლამის პირველ საათზე ჩოუ ჰუ და წინ ვინრო ბილიკით შედიან დაბურულ ტყეში. რძისფერი ნისლი თანდათან ზევით იწევს, მსგავსად ქალის პირბადისა, რომლითაც მრისხანების დაფარვას ლამობს. ხეების გაჭიმული ტოტები ცას აჰკვრიან. წყლის ანარეკლი ბუდრუგანა ნისქვილს აშუქებს, სადაც ბინა უთავო ჯარისკაცების მსგავს ბუჩქებს დაუდვიათ. ნისქვილის მარჯვნივ, ხავსით დაფარული ჭაა. დროდადრო ტოტებს შორის გამომკრთალი ლამის შუქი და ტოტების შრიალით გამოცემული იდუმალი ბგერები–ჰუა-ლა, ჰუ-ლა, მოფარფატე სულების სამყაროს ჰქმნიან.

სცენაზე

წინ ქვის უცნაური ლოდები, რომლებზეც ეშმაკის თათების მსგავსი ალვის ხის ტოტები ჩამოზიდულან და ურჩხულის ხახას დამსგავსებიან.. იხსნება ფარდა, უბერავს ქარი და ისმის ტოტებისა შრიალისა და სროლის ხმა. ცოტა ხნის შემდეგ ქარი ყუჩდება, ნისლი ისევ ქვევით იწევს. ბუჩქებიდან ისმის ვილაცის ღრმა სუნთქვა. წინ, რის ვაი-ვაგლახით, მხარზე გადაკიდული ფუთით მიდის ბილიკზე. ოფლიანი სახე, ტანზე მჭიდროდ შემოკრული, აქა-იქ გამოგლეჯილი ნითელი ტანისამოსი, მარჯვენა მხარეს შესხნილი საკინძიდან მკერდი მოუჩანს. ბილიკის არჩევის მიზნით გზაჯვარედინთან ჩერდება . ჯიბიდან ამოღებული ჭრელი აბრეშუმის ცხვირსახოცით ოფლს იწმენდს.

წინ-ი

(მძიმედ სუნთნავს, ოხვრით) ო, რა უცნაური სიბნელეა (შეშინებული) სადა ვართ? (ჩრდილების კიაფი) ჰუნ! (დუმილი, ისმის სროლის ხმა, ტყვიამ ახლოს გაიზუზუნა, ფეხი დაუცდა და რალაცას დაეჯახა, ფოთლების შრიალთან ერთად ჩრდილების კიაფი ძლიერდება. იყურება ზევით, შიშისაგან გულშემზარავად ყვირის), ჰუნ! ჰუნ! სადა ხარ?

ხმა

(ხრინნიანი, მარჯვენა მხრიდან) აქა ვარ წინწ! დაბრუნდი!

წინ-ი

(ცოტა დამშვიდებული) გზას ვერ ვხედავ, წინ რალაც ანათებს (მიდის მარჯვნივ)

ხმა

(მარჯვნიდან) შეჩერდი! არ გაინძრე!

წინ-ი

(ჩუმად) რატომ?

(ხმა ჩუმად პასუხობს) შეხედე, ფარანი, ნითელი!

(წინ-ი იყურება მარჯვნივ, უცხო ხმა–ნითელი ფარანი! ვილაცას ურტყამენ და ისმის სილის განწნის ხმაც)

ხმა

იყვირე! მე შენ გაჩვენებ როგორ უნდა იყვირო (სამარისებული სიჩუმე)

წინ-ი

რა მოხდა, რა ამბავია?

ხმა

(მარჯვნიდან მშვიდად) ნუ ლელავ, ჩან უ სიკვდილს ეთამაშება! (ჩან უ-ს უყვირის ისევ გაშმაგებით და წიხლავს) იყვირე, მოგიღებ ბოლოს!

ნინნ-ი კიდევ არ გაგიშვია?
 ხმა (მარჯვნიდან) ტყიდან გავალთ და გავუშვებ (ჩან უ-ს) მიდი! ნადი მეთქი!
 (მარჯვნიდან ჩნდება ჩოუ ჰუ – მარჯვენა ხელში პისტოლეტით, ძონძებით შეხვეულ დაჭრილ მარცხენა ხელს ხშირად ივლებს ქამარში გაყრილ ხანჯალზე. თან უკან იყურება.)
 (ჩოუ ჰუ ტყეში ლალი და თავისუფალია, დაფლეთილი სამოსიდან კარგად მოსჩანს მისი მკვრივი სხეული, მაგრამ მის მოძრაობაში მაინც იგრძნობა დამფრთხალ ნადირში შეპარული შიშის მსგავსი რამ. შავ ტრამალში არ იგრძნობა მისი სიმახინჯე, პირიქით, მოწმენი ვხდებით იმ მეტამორფოზისა, რომელიც განიცადა ჩოუ ჰუმ, პროლოგში აღწერილი უბედური, დათრგუნული, სისხლისმსმელი, გამძვინვარებული ცხოველიდან, ლამაზ ამალეზულ არსებამდე.. მის ფონზე, ტანსაცმელჩამოფლეთილი ჩან უ უფრო შეშინებული ჩანს, ვედრების თვალებით ჩოუ ჰუს მისჩერება)
 ნინნ-ი (მირბის ჩოუ ჰუსაკენ და ეკვრის) ვეფხვო, ძალიან მეშინია.
 ჩოუ (გაოფლილი) ჩემო ნინნ, მე ვფიქრობ, უკან მოგვდევენ, (ჩუმად) წითელი ფარანი მოგვდევეს.(სროლის ხმა, ჩან უ აყურადებს)მომისმინე (კვლავ სროლის ხმა).
 ნინნ-ი საცაა მოვლენ (ჩან უს მიათრევს), წამოდი!
 ჩან უ ტასინგ-ის ცოლო, ოცი ლი გამოვირბინე, მეტი აღარ შემიძლია.
 ჩოუ ბებერო ძაღლო! ყური მიგდე! (სროლის ხმა შორდება, შედარებით მშვიდად) „ძალე-ბი“ შორს არიან, დასავლეთისაკენ გაუყვნენ.
 ნინნ-ი (მოუსვენრად) როდისღა გავალთ ტყიდან?
 ჩოუ მალე სამი ლილა დაგვრჩა, ჩამოჯექი, (წისქვილის ქვაზე სხდებიან, თავი ხელებში ჩაურგავს და ფიქრობს).
 ჩან ჩოუ, ბატონო ჩოუ საით გაგვინწევია?
 ჩოუ (თავს სწევს) დასავლეთისაკენ – სიკვდილის შესახვედრად*
 ჩან უ ტასინგ-ის ცოლო, სიტყვით მაინც მანუგეშე, რომ შენ ამას არ დაუშვებ...
 ჩოუ (აფეთქდა) ბებერო ძაღლო, კრინტი, კრინტი არ დაძრა – მეთქი, (წამოხტება) რას აჩემე ტასინგის ცოლო, ტასინგის ცოლო. (პისტოლეტს უმიზნებს).
 ჩან უ არ შეიძლება ტასინგის ხსენება? თუმცა... აღარ ვიტყვი (უყურებს ნინნს), უთხარი, ნუ გამიმეტებს საიქიოსათვის (უნებლიედ) ტასინგის ცოლო!
 ჩოუ (ვეღარ ითმენს, ისვრის ჩ ანის თავზე) ესეც შენ!
 ჩან უ (თავზე იტაცებს ხელს) ჩემო თავო! ჩემი თავი...
 ნინნ-ი ვეფხვო! რა გემართება, ისევ ისვრი?
 ჩოუ არ ვიცი რა მემართება, ტასინგის ხსენებაზე გონება მიბნელებდა.
 ნინნ-ი (ცდილობს სიტყვა ბანზე აუგდოს) ჰუნ, გვედრები გაუშვი, დაბრუნდეს.
 ჩოუ მეც ასე ვფიქრობ.
 ჩან უ მართლა?
 ჩოუ დიახ.
 ჩან უ ახლავე?
 ჩოუ დიახ.
 ნინნ-ი ბიძია ჩან, რომ ბნელა, თქვენ...
 ჩან უ (აჩქარებით) არა უშავს რა, არაფერია, ძველ ტაძარში გავათენებ (ნინნს) მშვიდობით! ნავედი (აჩქარებით მიდის მარჯვნივ).
 ჩოუ ძველ ტაძარში?
 ჩან უ (ვერ გაიგო) დიახ, იმ ტაძარში, სადაც უსინათლო წიაო გალობს და ლოცულობს, მისი ანგელოზის ტაძარია.
 ჩოუ უცნაურად ილიმება)ნინნ, ოქრო! უკვე ტყეში ვართ.
 ნინნ რაო?
 ჩოუ (სერიოზულად) და ვფიქრობ უსინათლო წიაოც აქაა.
 ნინნ დიახ! ვიცი.
 ჩოუ (თითქოს მოხუცს ხედავს) ვგრძნობ, როგორ მოგვდევეს ხელში აყვანილი ბავშვით. (გააკანკალა) წითელი ფარანი... ნამდვილად ის არის...
 ნინნ-ი (ჩუმად შეძრწუნებული ხმით) ვიცი, ამბობდა– ბავშვს არაფერი ეშველება, თქვენ კი სამარემდე თავს არ დაგანებებთო.
 ჩოუ (ჩან-ს) სად არის მონასტერი?
 ჩან უ აქვე... ახლოს.
 ჩოუ შენ ხომ არ დაგინახავს მოხუცი ბავშვით?
 ჩან უ (უკან იხევს) დ.. ა. დავინახე
 ჩოუ (შეანჯღრია) სად?

ჩან უ (შიშისაგან მოიბუზა, უჩვენებს) ტყეში შემოვიდნენ დასავლეთის მხრიდან, ვფიქრობ, აი, კოუტანი მოუძღვის ნინ, წითელი ფარნით ხელში..

ჩოუ (ხელს უშვებს, გასცქერის უღრან ტყეს, უახლოვდება ჭას) კარგი.. კარგი.

ჩან უ (ჩუმად ნინს) როგორ? სიო ჰეინ მკვდარია?

ჩოუ (ერთ ნახტომში უმალ მათთან ჩნდება) რაზე ლაპარაკობთ? სიო ჰეინ მე არ მომიკლავს. (ქვაზე შედგა, ცისკენ ხელებაღმართული) ო, ღმერთო! მე ბავშვის მამა მოვკალი, ბავშვს არაფრის გულისათვის არ მოვკლავდი. (გულწრფელად) ჰეინ ბებიამისმა გამოსალმა სიცოცხლეს, მე არაფერ შუაში ვარ! (თავი ჩაქინდრა, ქვაზე ჩამოჯდა)

ნინს-ი (გრძნობს ჩან-ს უფრო მეტად ემინია)ბიძია ჩან, სასწრაფოდ გაეცალეთ აქაურობას, უბედურებაში არ გაეხვეთ!

ჩან უ (სიჩქარით) მივდივარ, მივდივარ.

ჩოუ რას ლუღლუღებ?

ჩან უ (შეშინებული) მე? ... არაფერს.

ჩოუ (უცებ წამოხტა) დაიკარგე აქედან, წადი.....

(ჩან მარჯვნივ გარბის, ჩოუ ჰუ ჯდება)

ნინს-ი რა გემართება?

ჩოუ მწყურია (გულზე იდებს ხელს) ძალიან მწყურია!... (ტანისამოსიდან მოგლეჯილი ძონძით ოფლს იწმენდს).

ნინს-ი (აფრთხილებს) ჰუნ! ნუ იწმენდავ, ხელები სისხლიანი გაქვს და სახეს დაისვრი!

ჩოუ რა განსხვავებაა სისხლიან ხელებსა და სისხლიან სახეს შორის, მე უკვე ვერაფერი გამრეცხავს. რა უკუნეთი ღამეა, არც ვარსკვლავები, არც მთვარე. (ოხრავს, ყურში ჩაესმის სიკვდილის პირს მყოფი ტასინგის ხმა) – რა სიბნელეა და რა შავია ირგვლივ ყველაფერი, ცხოვრება შავია გესმის? მოისმინე.

ნინს-ი რას მოუსმინო?

ჩოუ რა სიბნელეა და რა შავია ირგვლივ ყველაფერი, ცხოვრება შავია? (ყურში კვლავ ტასინგის ხმა)

ნინს-ი (გაკვირებული) ვეფხვო! რას ბუტბუტებ? ეს ხომ ტასინგის სიტყვებია.

ჩოუ შენც გესმის, არა?

ნინს-ი ხომ არ შეიშალე, რა უნდა მესმოდეს?

ჩოუ არაფერი, რაღაც მემართება, მგონი გონს ვკარგავ, ძალიან მწყურია.

ნინს-ი რატომ გაგახსენდა ტასინგი? იძახდი ტასინგი მოვკალიო

ჩოუ მე? (გონს კარგავს) მე, მე მოვკალი ტასინგი! (ჩუმი ხმა – „ჩქარა, ჩქარა ჩემი ხანჯალი. ჩემი ხანჯალი (ბუტბუტებს) ჩემი ხანჯალი! (მოულოდნელად ტყისკენ მირბის) ტასინგ! რას გადამეკიდე, ჩვენ ხომ ბავშვობის მეგობრები ვართ, მამაშენმა, ჯოჯოხეთის ბრძანებულმა ჩამოაგდო მტრობა ჩვენს შორის და იმიტომ მოგკალი, სიო ჰეინ კი დედაშენის ხელითაა მკვდარი, ამიტომ ნუ მომდეგ, თავი დამანებე (პისტოლეტს ისინჯავს).

ნინს-ი (შიშისაგან მძიმედ სუნთქავს) ვეფხვო! რა გჭირს, ადამიანს არა გეხარ, გავიგეთ, რომ სიო ჰეინს სიკვდილში შენი ხელი არ ურევია, ნულარ ფიქრობ ამაზე, საცაა ინათებს დაგვინახვენ და დაგვიჭერენ, წავიდეთ.

ჩოუ ვიცი, მაგრამ (სინანულით) სიო ჰეინ. მე მოვდივარ. დროზე გავცილდეთ საშინელ ადგილს.

ნინს-ი (ყურადღების გასაფანტად) გამთენიისას სადგურში ვიქნებით (მოჩვენებითი სიმშვიდით) და სადაც მოგვესურება იქ წავალთ!

ჩოუ (გამოფხიზლდა) დიას! სადაც გვინდა იქ წავალთ (სადღაც შორს ისმის მატარებლის ხმა) მატარებელი.

ნინს-ი წავიდეთ, ჩქარა, ტყიდან გავიდეთ დროზე.

ჩოუ ტყიდან გავალთ და სამშვიდობოს ვიქნებით (ტყეში ქრის ქარი, ოთხივე მხრიდან მოძრაობენ ჩრდილები. ნინს ხელს ჰკიდებს ვეფხვს) ხომ არ შეგეშინდა?

ნინს-ი (თავი ასწია) არა, შეხედე, საცაა ირიყრაყებს, ჩქარა (ხელისხელ ჩაკიდებულებმა 3 ნაბიჯი გადადგეს. განწირული ხმით შეჩერდი ვეფხვო! (უკან დაიხია, ჩუმად) ნინ გაიხედე, (შეშინებული) შავი თავების გროვია.

ჩოუ (მკაცრად) რიყის ქვებია.

ნინს-ი (მიანიშნებს დაბალ გაბარჯულ ბუჩქზე, რომელიც ქარისაგან ირხევა) შეხედე! როგორ ირხევა, თითქოს ჩვენსკენ მოექანებია.

ჩოუ სისულელეა, ბუჩქია, იარე (რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ჩოუ ჩერდება, ისმის მხვერპლშენიერვის მაგიდის თევზზე კაკუნი, ხან ძლიერად, ხან კი სუსტად, რასაც ზარის რეკვა მოსდევს, ჯერ კანტიკუნტად, შემდეგ კი უწყვეტად) შეჩერდი!

ნინო-ი რა მოხდა?
 ჩოუ გესმის? (ისმის ტყეში ძახილი- იუ და ლიუ...)
 ნინო-ი ზარი!
 ჩოუ (ცოტა შეშინებული) რა თქვი?
 ნინო-ი (სუსტად) მონასტრის ზარებია (კატეგორიულად) დედამთილი შევიდა მონასტერში (უფრო ხმამაღლა ისმის კაკუნნი).
 ჩოუ (ჩაფიქრებული) ნუთუ შეუძლია ჰეინის გაცოცხლება?
 ნინო-ი ვინ იცის მოხუცი წიას თხოვნით მოლოზანი ლოცულობს, ხის თევზზე კაკუნისა და ზარის რეკვის თანხლებით, შემდეგ გადიან ტაძრიდან გარეთ და სულებს უხმობენ.
 ჩოუ (იმედიანად) მერე სული ბრუნდება?
 ნინო-ი ვინ იცის?
 ჩოუ (უსმენს) გესმის, მონასტერში რაღაც ხდება.
 ნინო-ი რა დროს ყურის გდებაა, წავიდეთ ჩქარა, რამ გაგაშეშა? (გულის განმგმირავი ხმა ისმის შორიდან – დაბრუნდი ჰეინ, დაბრუნდი. მოულოდნელად იხედება მარჯვნივ) ფარანი! (ხმა – დაბრუნდი სულა!)
 ჩოუ (ხმის კანკალით) მოხუცი მოდის!
 ნინო-ი (ვეფხვს სტაცა ხელი) ხეს ამოეფარე სწრაფად!
 (ეფარებიან ხეს, უდარდელ შერეკილს ბუტბუტით, მხარზე დაყრდნობით, ფარნით ხელში მოჰყავს თმაგანენილი, ტანსაცმელშემოხეული უსინათლო, ცრემლიანი თვალებით, ბერძნული ტრაგედიის ნიღბის მსგავსად შეჭმუნული წარბებით, ხრინწიანი ხმით „ჰეინის სულო დაბრუნდი, ჩემო სიცოცხლე, ჩემო სისხლო და ხორცო..“ ხმა გადადის გოდებაში, რომელიც ღმუილსაც და ტირილსაცა ჰგავს. შერეკილს მოხუცი მიჰყავს მარცხნივ).
 ჩოუ (ტოტებიდან იცქირება) ნამდვილი ჯოჯოხეთია.
 ნინო-ი წავიდეთ!
 ჩოუ (შეძრწუნებული) მოიცა, გესმის? (ისმის შერეკილის ხმა. – გზა წყდება, უკან დავბრუნდეთ ტაძარში. ისინი ბრუნდებიან უკან) აი, მონასტერში ზარებს რეკავენ, შორს ნულარ წავალთ, ვეღარ დავბრუნდებით.
 მოხუცი (ისევ იძახის) ჩემო უმანკო ჰეინ, დაბრუნდი! (ორივე გადიან მარჯვნივ).
 ნინო-ი წავიდეთ!
 ჩოუ წავიდეთ (არ იძვრის) გესმის? (ზარის ხმას ბაძავს) ტუმ, ტუმ...
 ნინო-ი რატომ არ მოდიხარ?
 ჩოუ (მარცხნივ იყურება) ვიღაც მოდის! ფარნით.
 ნინო-ი უკუნეთი სიბნელეა, სად ხედავ ფარანს.
 ჩოუ (ჯიუტად) ფარანიც და გახსნილი ქოლგაც უჭირავს, ჩვენსკენ მოდის (თითქოს მართლა ხედავდეს).
 ნინო-ი (შეშინებული) ვეფხვო!
 ჩოუ შეხედე!
 (ადამიანის ჩრდილი მოძრაობს ძალიან ნელა, ჩრდილის ნახევარი დაფარულია გაშლილი ქოლგით, მაყურებელი ხედავს ლურჯ შარვალს, ჩრდილი ქვავდება).
 ჩოუ ძმობილო! თუ შეიძლება მითხარით როგორ შეიძლება ამ ტყიდან გასვლა?
 ნინო-ი ვეფხვო! ნუ მაშინებ, ვის ელაპარაკები? არავინ არ სჩანს.
 ჩოუ (მიუთითებს ჩრდილზე) უცნაურია, პაი, შენს წინაა!
 ნინო-ი სად?
 ჩოუ თვალწინ გიდგას ადამიანი და ვერ ამჩნევ? ძმობილო, გვითხარი, როგორ გავიდეთ ტყიდან? (აჩრდილი მოძრაობს ჩოუ ჰუსაკენ) ხედავ? (უბრუნდება ნინოს) მიდის (აჩრდილს ქოლგა ფარავს, ჩოუ ჰუსთან პირისპირ ჩერდება, ჩოუ - ქვითინებს) უკან დაიხიე, ძმობილო! (აჩრდილი სწევს ნითელ ფარანს და ჩოუ-ს სახეში ანათებს, თითქოს აკვირდებაო, ჩოუ განწირული ხმით ღრიალებს) ა...ა! (აჩრდილი ქრება, მიაქვს თან ჩოუ ჰუს ხმა და ფოთლების შრიალში იკარგება).
 ნინო-ი რა დაინახე?
 ჩოუ (გადმოკარკლული თვალებით) ამის ახსნა არ შეიძლება, წავიდეთ! (ტყეში ქარისაგან მოძრაობენ აჩრდილები, რომლებსაც დროდადრო შუქი ეცემა. დინჯად რეკავს ზარი).

მეორე სურათი

ტყის შუაგულში ჩავარდნილი, მწვანე ხავსით დაფარული ვაკე. იქვე მოსჩანს ბორცვი, სუროთი დაფარული ნასახლარით. მარჯვნივ მეხდაცემული, კოდალას ნისკარტით მრავალჯერ გაბურღული ხე, თითოეული

ნაწვრეტი ადამიანის თვალს მოგაგონებთ. ხის ქვეშ, ხშირ ბალახზე უცნაური მინდვრის ყვავილები, თავზე მოფუსფუსე ხოჭოებით. მარცხნივ მორყეული ელექტრო ბოძების რიგი, რომელიც ტყეშიც გრძელდება, ერთ-ერთ ბოძს, მასთან დაგდებული რამდენიმე რიყის ქვით მაყურებელიც ხედავს. მოსჩანს ნახევრად ღრუბლით დაფარული ფერდაკარგული მთვარე და შავი ღრუბლების ჯარი, რომელიც თითქოს დაბურული ტყის ან-არეკლიაო. ზუზუნებს ქარი, შორიდან ისმის ზარის ხმა. ტანსაცმელშემოხეული ჩოუ ჰუ კოჭლობითა და ბარ-ბაცით შემოდის სცენაზე. ოფლისაგან მთლად დასველებულია, ფეხსაცმელი დაუქარგავს, მძიმედ სუნთქავს. ხშირად ისინჯავს პისტოლეტს).

ჩოუ ვაი დედი (ხელის ზურგით იწმენდს ოფლს) სადა ვართ?

ნინნ-ი ვეფხვო! გაიკვლიე გზა? (ჯერ კიდევ არ სჩანს).

ჩოუ ცუდად ვხედავ, ნინნ, მოდი ჩემთან, მთვარის შუქით შეიძლება გზის გაკვლევა.

(ქანცგანყვეტილი ხეს ეყრდნობა) ვიხრჩობი წყურვილით. (გამხმარ ტუჩებს ილოკავს)

ნინნ-ი (შემოდის მარჯვნიდან სიღრმეში. აქეთ-იქით იცქირება, ხელით ცდილობს გაშლილი თმების უკან გადაყრას, მაგრამ თმები ეურჩებიან. მის თვალეში ერთდროულად შიშის და იმედიც გამოკრთის) მალე გავალთ ტყიდან?

ჩოუ (ხეზე მიყრდნობილი, ცის სიღრმეში მოცქირალი) ვინ იცის, ალბათ.

ნინნ-ი (იმედიანად) მალე? (უცბად კოდალამ ატეხა კაკუნი).

ჩოუ (უნებლიეთ შეცბა) აა.. (ზევით იყურება, კაკუნი გრძელდება).

ნინნ-ი რა უნდა იყოს?

ჩოუ კოდალა.

ნინნ-ი ო, ღმერთო! თუ დროზე არ გავედით ამ ტყიდან, შიშით სული გამძვრება.

ჩოუ ნუ გეშინია. (გალიზიანებული) ჩვენ ხომ გზა აგვებნა, საით წავიდეთ, გარშემო სიბ-ნელეა, ერთ ადგილს ვტყეპნით (უცბად) ა!.. ერთი, ორი, (ტანთ იხევს, მკერდს იმიშვლებს და განწირული ხმით) კარგი, მომიხლოვდით, ყველას დაგხოცავთ, რამდენიც არ უნდა იყოთ, ბოლოს მოგიღებთ, დასაკარ-გავი უკვე არაფერი მაქვს. ვაგლახ, რომ ამისთანა ბედი მქონია, ამიტომ ღირსეულად წავალ. ნინნ! საიდანაც გაიგონებ სროლის ხმას იქით წავიდეთ, დაე მოვკვდეთ, მოვკვდეთ.

ნინნ (ამშვიდებს) ვეფხვო! ნუ ლელავ! შენ მხოლოდ წყურვილი განუხებს, ვიცი, რომ სული გტკივა, ჩვენ არც თუ ისეთი ცუდი ადამიანები ვართ, იძულებულები გაგვხადეს ასეთები რომ ვყოფილ-იყავით, ასე არ არის? ენვანმა, რომელმაც შენი ოჯახი ამოწყვიტა და ისევ ენვანმა მაიძულა შენთან ერთად გაქცევა. მე არ მინდოდა წიაოების რძლობა, ჩვენ ხომ იმ ხანად უმწეოები ვიყავით. ნუთუ ამ ბოროტების მსხვერპლი ჩვენ აღმოვჩნდით? ღმერთო, დაინახე ბოროტება.

ჩოუ ვინ სთქვა, რომ ღმერთს თვალეები აქვს?

ნინნ-ი (შეშინებული) ვეფხვო! გესმის ზარის ხმა?

ჩოუ ისევ მონასტერთან? ო, ღმერთო ჩემო.

ნინნ-ი რა ვქნათ? (ანჯღრევს ჩოუს) რა გვეშველება?

(ხეზე კოდალას კაკუნი, ხის თევზზე კაკუნში ასოცირდება).

ჩოუ (ლულლულით) სიაო ჰეინ! დაბრუნდი!

ნინნ-ი მოხუცი ბოლოს მოგვიღებს.

ჩოუ ის, ისაა(მარცხნივ იხედება) შეხედე, მოვიდა (მოხუცებულის ხელეზალმართული აჩრდილი ჩვილით. ჩოუ ჰუს ნინ ჩერდება) ჩემს წასაყვანად.

ნინნ-ი ვეფხვო, რა გჭირს? რას ხედავ? (ჩრდილი თვალს ახელს და აკვირდება

მათ)

ჩოუ (ხრინნიანი ხმით) უსინათლოს, ბავშვთან ერთად.

ნინნ-ი (ყვირილით გარბის ელექტრო ბოძისაკენ) შენ ისევ შეიშალე?

ჩოუ (ვევდრება აჩრდილს) მე არ შემეძლო ამის გაკეთება, თქვი, რომ მე არ მომიკლავს

შენი შვილიშვილი! (ჩრდილი თვალმოუშორებლად თანდათან მარჯვნივ გადის, ჩრდილის გაქრობასთან ერ-თად ჩოუ ეცემა მუხლებზე) ო, ღმერთო!

ნინნ-ი (ფრთხილად უახლოვდება) რა მოხდა?

ჩოუ წავიდა.

ნინნ-ი ვეფხვო! ბავშვი როგორ მოკვდა?

ჩოუ (ანგარიშმიუცემლად) ბებია მოკლა.

ნინნ-ი ვიცი, მაგრამ რატომ შემაყვანინე საძილე ოთახში?

ჩოუ (თავისთვის) ერთი ბადით ყველა... ყველა... მათ ჩემი ოჯახი დალუპეს.

ნინნ-ი შენ განგებ დამანვენიე ბავშვი?

ჩოუ დიახ, განგ.

ნინნ-ი შენ იცოდი, რომ მოხუცი შენს მოკვლას აპირებდა?

ჩოუ ვიცოდი...

ნინო-ი და შენს მაგივრად ბავშვი დალუპე?
ჩოუ (აფეთქდა) არა, არა, ეს არ მიფიქრია, მაგრამ უსინათლო მძულს, მისი დასჯა და შეურაცხყოფა მწყუროდა, დამავინწყდა, რომ ოთახში ბავშვი, ...როგორ შემოვიდა ოთახში კარგად მახსოვს, (ტანჯვით) გაისმა დარტყმის ხმა, ხედავ დამნაშავე ვარ, დამნაშავე. თუმცა. ვარ კი დამნაშავე? არ მინდა ვიფიქრო, რომ უსინათლო ჯადოქარია, მაგრამ მათი სახეები მოსვენებას არ მაძლევენ, ჰეინს სულს კი არ უხმობს, ჩემს სიკვდილზე ლოცულობს

ნინო-ი ეფხვო, ამაზე ნულარ იფიქრებ, დაგავინწყდა მამაშენი ან შენი და?
ჩოუ რა დამავინწყებს (სიბნელიდან მოფრინავენ ციცნათელები, პირდაღებული უყურებს, მიფრინავენ ბორცვისაკენ, რომლებსაც უამრავი აჩრდილები მისდევენ, წინ სამი ჩაფსკენილი მამაკაცი, ხელში ფარნებითა და ნიჩბებით მიუძღვიან, ბოლოს მსუქანი იანი, ხელში მარათი, მისდევს, ხვნეშის და ოფლს იწმენდს. იქვეა გაჭაღარავებული გლეხი ჩოუ ჟუნი, შრომისაგან წელში მოხრილი, ვედრებით შესცქერის იანს. მონოტონურად რეკავს ზარი, აჩრდილები მარიონეტებივით ზარის ხმაზე მიაბიჯებენ. მთვარე მედიდურად დასცქერის პროცესიას. ცა კი შავი ღრუბლებით იფარება. ზურგიდან ჩნდება ძლიერი ჩაფსკენილი კაცის აჩრდილი შავ მოსასხამში, რომლის ქვემოდანაც მოუჩანს სამხედრო ფორმა იანი მოწინებით ელაპარაკება სამხედროს, ჩოუ ჟუნიც იქვეა.

ნინო-ი ჰუნ! რას ათვალერებ?

ჩოუ (ჩუმად) ეს იან-ია, ამ ღორს რა უნდა აქ?

ნინო-ი (აკვირდება ჩოუ-ს) სად?

ჩოუ ბორცვზე (გამტერებული იყურება).

(სამხედრო-აჩრდილი რალაცს ანიშნებს იანს, რომელიც თავის ქნევით ემუქრება მოხუც ჩოუ ჟუნს. იქვეა ორი გოლიათიც, რომლებიც ძალიან გამომწვევად იყურებიან. ერთი თხრის ორმოს. მოხუცმა ჟუმ ჯიბიდან რალაც ამოიღო და იანის დახმარებით სამხედროს გადასცა, რომელმაც გადააგდო).

ჩოუ ეს მოხუცი მამაჩემია, მაგრამ ის ხომ დიდი ხნის მკვდარია, ო, ღმერთო! რა ხდება?

(იანი გოლიათებს უბრძანებს მოხუცის წამებას, მოხუცი განწირული ხმით ღრიალებს. მარცხნიდან შემოდის 15 წლის გოგონა ქალადით ხელში, რომელსაც ზურგით მდგარ სამხედრო- აჩრდილს გადასცემს) საცოდავი ჩემი და და დედაჩემი.

ნინო-ი (ხელს ჰკიდებს ჩოუს და მიათრევს) რა გჭირს ჰუნ, გეხვეწები გონს მოდი!

(იანი გახარებულია, გოგონა მოხუცის წინ იყრის მუხლს, რაზეც მოხუცი უწყრება. სამხედრო-აჩრდილის ბრძანებით გოგონას და მოხუცს აშორებენ. გოგონას ერთი გოლიათი მიათრევს, მოხუცს კი ორმოსაკენ, გოგონა ტირის, მოხუცი კი ღმერთს ევედრება გადარჩენას და მიმართავს ჩოუ ჰუს).

ჩოუ (თითქოს საღათას ძილიდან გამოიღვიძა) მამა! მამა! ჩემო მამა! აქა ვარ შენი შვილი

(ნინო ხელს ჰკიდებს და ცდილობს გამოაფხიზლოს, ტრიალდება ნინოსკენ) ხელი გამიშვი! (იღებს პისტოლეტს და სიძულვილით მიმართავს სამხედრო- აჩრდილს) ავაზაკო! (აჩრდილი ელვის სისწრაფით იქცევა ენვანაად, გაქვავებული სახითა და სისხლიანი თვალებით, ჩოუ ჰუც ქვავდება) ენვან!

ნინო-ი შიშისაგან ფერნასული ენვანი?

ჩოუ (გამძვინვარებული) როგორც იქნა შევხვდით!(ისროლა სამჯერ), აჩრდილი გაქრა)

ნინო-ი ვეფხვო! ვეფხვო! (მთვარეს ღრუბლები ფარავენ და სცენაც ბნელდება).

ჩოუ ნინო, სადა ხარ?

ნინო-ი აქა ვარ!

ჩოუ დაინახე ისინი?

ნინო-ი (შეძრწუნებული) არა!

ჩოუ ნავიდეთ! (დაბნელდა, გარბიან. ისმის ხის თევზზე რაკუნისა და ზარის რეკვის ხმა).

მესამე სურათი

ღამის 3 საათი. უღრანი ტყე. ტყეში წყალსაცავი. მის ფართე ზედაპირზე არეკლილია ცა. მდუმარებას ბაყაყების ყიყინი არღვევს. ტირიფს ტოტები დაუშვია წყალში. წყალსაცავის წინ მდებარე მონჯლრეული ლობით ძველი ნასახლარია. ადამიანის სიმაღლის ტოლა სარეველებში ამოზრდილა პატარა ხე, რომლის გარშემო ლოდებია. ზარების ხმას ქარი აქე-იქით დააქანებს. ბაყაყების ყიყინი წყდება და ბალახებიდან ხელჩაკიდებულინი, ქანცგანყვეტილნი, დასისხლიანებულები და ტანსაცმელმეოხეულნი ჩოუ ჰუ და ნინო ამოიზიდნენ.. ჩოუ ჰუს, ფეხსაცმლის ნაცვლად, ეკლებსაგან დასაცავად, ძონები შემოუკრავს, მკერდი შიშველი და მხარზე პატარა ფუთა. ნინო ხელებზე ოქროსფერი სამაჯურებით. თმები მთლად სველი, ზედა ტანსაცმელი მხოლოდ მკერდს უფარავს, შარვალი მუხლამდე ანეული, თითქოს წყალში შესვლას აპირებსო.

ნინო-ი ისევ ტყეში ვართ! ღმერთო ჩემო (ფეხი დაუსხლტა და ქვაზე ჩამოჯდა).

ჩოუ (ხელი შეაშველა)ნინო, რა დაგემართა?

ნინო-ი (ხელი მოიცილა) არაფერია, მე არსად აღარ წამოვალ, აღარ შემიძლია, თავბრუ

მეხვევა, წყალი მწყურია.

ჩოუ (სასონარკვეთილი) წყალი... (იმედდაკარგული, ჩამოჯდა) სად არის წყალი...

წინწ-ი ფეხებიც სულ დამინწყულდა....

ჩოუ ჩემო წინწ, ტკივილის მეტი არაფერი მოგიტანა ჩემმა ჩამოსვლამ.

წინწ-ი სამაგიეროდ სული გამითავისუფლდა.

ჩოუ ყველას ყაჩაღი ვგონივარ.

წინწ-ი მე კი ყაჩაღის ცოლი...

ჩოუ თუ, დამიჭირეს თავს მომჭრიან.

წინწ-ი შვილი გვეყოლება და შურს იძიებს.

ჩოუ (მადლიერებით შესცქერის) მაინც რატომ წამომყევი?

წინწ-ი (დაჟინებით) მხოლოდ შენთან ერთად მინდა ოქროთი დაფარულ ქვეყანაში მოხვე-

დრა.

ჩოუ (თავი ჩაქინდრა) რატომ მაინც და მაინც ჩემთან ერთად?

წინწ-ი ღირსეული ხარ, ჩემო ჰუნ და იმიტომ, ოქროთი მოფენილი მინა სიზმარშიც კი მინახავს. (ისმის მატარებლის ხმა) ტყიდან გავდივართ, ტყიდან...გესმის მატარებლის ხმა?

ჩოუ (უცნაურად უყურებს წინწს და გრძნობს, რომ წინწის გონება ებინდება) დიახ, ჩემო კარგო, ჩვენ მოვხვდებით ოქროთი დაფარულ მინაზე, მე წამყოფი ვარ, იქ კაცი დღე და ღამ შრომობს, სცემენ, სხვათა შორის მეც მცემდნენ, აი ფეხიც მომამტვრიეს.. მერე კი თავი დავაღწიე. იქ ოქრო ბევრია, მაგრამ ვის რაში არგია, იქ ყველანი ჯოჯოხეთში მაცხოვრებლებს დავემსგავსეთ, ძნელია მოგონება... (ატყდა ბაყაყების ყიყინი)

წინწ-ი (სიხარულისაგან ყვირის) წყალი! (თავი დააღწია ბალახებს და წამსვე აღმოჩნდა წყლის პირას) ჰუნ, წყალი, წყალი (სიხარულისაგან კანკალებს).

ჩოუ მანდ პატარა ფიცარია, როგორმე მოკალათდი და ისე დალიე, თორემ გაგიჭირდება (წინწ მოხერხებულად წევა ფიცარზე და სვამს. ჰუნ დარაჯობს, შორიდან ისმის ჯგუფური შეძახილები ჰენ ჰაი...)

წინწ (ფიცარზე) მოდი ვეფხვო, შენთვისაც არის ადგილი, მუჭით შეიძლება წყლის დალ-

ევა.

ჩოუ (თვალს არ აცილებს იმ მხარეს, საიდანაც ისმის შეძახილები,მექანიკურად) დიახ!. (სცენაზე ჩნდებიან კატორღელები რუხ ტანსაცმელში, ზოგი ჩალის ქუდით, ზოგი ხუნდებით ხელზე, დაახლოებით ათამდე კატორღელი, თავჩაქინდრული მოათრევენ უმძიმეს კალათებს, ჩოუ ჰუნს გვერდით ჩაუარეს).

წინწ (გადმოდის ფიცრიდან) ვეფხვო, რატომ არ სვამ?

ჩოუ (გაშეშებული) გაჩუმდი, გესმის? (ორი კატორღელს წყალი ვედროებით მოაქვს, ერთი ნიჩბითა და მეორე გუთნით ხელში დგანან. ჩოუს არავის მოძრაობა არ ეპარება, ყველას თვალყურს ადევნებს), გესმის? ჰუნ ა და იუ ა?

წინწ (ხვდება რომ, ჩოუ ჰუნ ბოდავს) გეყოფა ჰუნ!

(მარცხნივ ჩნდება თავგადაპარსული გოლიათი, სამხედრო ტანსაცმელში, ცალ ხელში ქუდითა და მეორე ხელში ტყავის გრძელი დანხული მათრახით. შიშველ ტანზე უსახელო სამოსი აცვია. თვალებს მეძებარივით აქეთ-იქით აცეცებს, დროდადრო ისინჯავს პისტოლეტს. ჩოუ ჰუნ უყურებს გოლიათს. ტუსალები განწირული ხმით იძახიან „ჰუნ ია“, „იუ ია“ შემდეგ კალათებს დგამენ და ოფლს იწმენდავენ).

ჩოუ (შეშინებული უყურებს მეთვალყურეს) ეს კიდეც ცოცხალია?

(მარჯვნივ კატორღელებს მოუყრიათ თავი, ვინ ერთმანეთში საუბრობს, ვინ ოფლს იწმენდს, ვინ თავ-ჩალუნული იცრემლება. ერთმა გრძელფეხებიანმა კატორღელმა შეიცნო ჩოუ და ხელით რაღაც ანიშნა. ნაიარევმა კაცმა ყველა კატორღელს მოუყარა თავი და იკითხა, რატომ არ იყო მათთან ჩოუ ჰუნ. მოულოდნელად ჩოუ ჰუნ დაინახა) ის ხომ ორთქმავალია, ზედსახელად „ორთქმავალი“ (ესალმება) ჰუნ ვარ.

წინწ ჰუნ, კმარა, წავიდეთ (ხელს ჰკიდებს).

ჩოუ (არ აქცევს ყურადღებას, ხედავს კატორღელ მეგობრებს, ზოგი ესალმება, ზოგი ანიშნებს არ მიუახლოვდეს, ერთი ახალგაზრდა სიხარულისაგან სახეზე უტყაპუნებს) გოგრა ბიჭო! როგორ ხარ? (აჩრდილები ნაღვლიანი სახეებით ესალმებიან, უხმობენ) მე გავიქეცი, არ მოვდივარ. (ერთი შავწვერა კატორღელი ლამობს ჩოუ ჰუნსაკენ გამოქცევას, მაგრამ ადგილზე გაშეშდა) ჭან ფეი, შენა ხარ? გახსოვს როგორ მცემე? სიკვდილის პირას მიმიყვანე, ნუ დაიჭერთ, მაინც ვერ დამენევა, უკვე გაქცეული ვარ. (კატორღელებს შორის უთანხმოებაა, ზედამხედველი მათრახით უმასპინძლებდა და არეულობის მოთავედ, ერთერთი კატორღელი ჩოუ ჰუნს ასახელებს. ჩოუ ჰუნ გაგცევას ლამობს, ზედამხედველი ადგილზე გაშეშებულ ჩოუ ჰუნს უყვირის და მათრახსაც დაუზოგავად სთავაზობს. სად მიეთრევი? ჩოუ ჰუნ კანკალებს) მოვდივარ...

წინწ-ი ჰუნ, სად მიდიხარ? სად მიდიხარ? (ხედავს რა ვეფხვი ამ ყოფაშია, ხელს უშვებს და

თვითონაც ადგილზე შეშდება).

(ჩოუ ჰუს ხუნდებს ადებენ და ზედამხედველი აიძულებს მძიმე კალათით ხელში მისდოს უკან, ფეხს წამოკრავს, წაბარბაცდება და ზურგში მათრახიც ხედება. ყოველ დარტყმაზე ყვირის და ზურგზე ხელს იფარებს).

ნინნ-ი ჰუნ (ტანჯული სახით) რა გაყვირებს?

ჩოუ ჩუმად, იმის შიშით, რომ ვინმემ არ გაიგოს) ერთი ფეხის მოტეხვა არ იკმარა, მეორეც უნდა, რომ მომტეხოს. (კატორღელები, ვედროებიდან მორიგეობით წყალს სვამენ, ჩოუ ჰუს კი ზედამხედველი ამისათვის, მათრახით სცემს. ჩოუ ცდილობს მათრახის წართმევას. ბოლოს წაართმევს.) მოგკლავ, მოგკლავ! (ზედამხედველი პისტოლეტს უმიზნებს, მაგრამ უშედეგოდ) ხომ ხედავ, შენც არ გაგიმართლდა, იარაღი დაგიჟანგდა, ეხლა დამაცადე (ართმევს იარაღს და ორჯერ ისვრის. კატორღელები გარბიან, აჩრდილები ქრებიან. ჩოუ ჰუ გაოცებული შესცქერის თავის ფეხებს) ღმერთო, სად გაქრა ჩემი ხუნდები?

ნინნ-ი (გაოცებული და შეშინებული ჰუნს საქციელით, ბოდვით, მუჭებით მიაქვს მისთვის წყალი) ჰუნ! დალიე! გევედრები. (ამოვარდა ქარი, რასაც ზარების რეკვის მკაფიო ხმა მოჰყვა).

ჩოუ (ნინნს) ზარები რეკავს, ჩვენ კი ისევ აქა ვართ (ისმის გულისგანგმირავი ყვირილი) დალახვროს ეშმაკმა (ნინნის ხელს უკრავს წყალზე, ჰკიდებს ხელს და გადიან მარცხნივ. ისმის ზარების მონოტონური ხმა).

მეოთხე სურათი

ტყე. დილის ოთხი საათი. მოსჩანს პატარა მონასტერი. სცენის შუაში წყლის ზოლი გვირაბივით გრძელდება სიღრმეში. სცენა დაფარულია მაღალი ბალახით. ზოლის ორივე მხარეს ჩამწკრივებულია ელექტრობოძები. მარჯვნივ ადამიანის სიმაღლის სამსხვერპლოა, რომელზეც ალბათ თავის დროზე კერპი იყო დაბრძანებული. მის წინ არომატული სანთლები ანყვია. დროთა განმავლობაში გვარიანად მოქცეულა გვერძე და სავარძელს დამსგავსებია, სანთლების დასაწყობი კი მაგიდას. მარცხნივ არყის ხის წინ ხავსით დაფარული ქვა გდია, რომელიც დღენიადაგ მოგზაურთათვის დასასვენებელ ადგილს წარმოადგენს. ტყის შუა გულიდან მოსჩანს ღრუბლით დაფარული ცა. უმთვარო ღამეა, ხანდახან ზუზუნებს ქარი, ფოთლების შრიალისა და ტყის ბინადართა ფუთფუთის თანხლებით. ჩოუ ჰუ და ნინნ ხელიხელჩაკიდულები, არაქათგამოცლილები, განუწულელები, ტალახში ამოსვრილები, ჩოუ მოკლე შარვლის ამარა, ნინნ კი ფეხშიშველი, კაბიდან წურწურით ჩამოსდის წყალი, შარვალი უფრო მეტად აქვს მაღლა აჩაჩული, ხელში ფუთა, ჩოუ ჰუს ხელში პიტოლეტი და ტყეები უჭირავს, იმის შიშით, რომ არ დაუსველდეს).

ჩოუ ჩვენ ისევ ტყეში შემოვებით! ნინნ, ჩემო ოქრო (ნინნის ფეხები ეკეცება).

ნინნ-ი (თვალები გაახილა) მე უკვე აღარ შემიძლია.

ჩოუ (მიანიშნებს ქვაზე) დაჯექი (ეხმარება).

ნინნ-ი ოი, როგორ ცივა (იმედიანად) ალბათ მალე მოელება ბოლო ამ ტყესაც.

ჩოუ ღმერთმა ქნას (ისიც ჯდება) ზარების ხმა აღარ ისმის?

ნინნ-ი არა, არ ისმის, ალბათ ტყიდან გავდივართ.

ჩოუ კი, გავალთ,... სადგურში მივალთ გათენებამდე. რა უცნაურია, მთვარე არ სჩანს.

ნინნ-ი და არც ვარსკვლავები. გვაქვს კიდევ კოლოფი ასანთი?

ჩოუ მხოლოდ ორი ღერილაა დარჩენილი.

ნინნ-ი მართლა? მაშ როგორ გავალთ? (უცებ არყის ხესთან მუხლებზე ეცემა), ო! ღმერთო, შეგვიწყალე, შეგვიხდე, ინათე, სულ ცოტა ნათელი მოგვეცი, თითქმის მივედით.

ჩოუ (ფეთქდება) ნინნ, რას ევედრები, არაფრის არ მჯერა, ნუ სთხოვ.

ნინნ-ი (წვიმის წვეთებს გრძნობს) ჰუნ! (დინჯად) წვიმა წამოვიდა, აი ნახე სახეზე.

ჩოუ არა, ჩემი სისხლია.

ნინნ-ი ისევ მოგდის?

ჩოუ (პირქუშად) ესეც შენი ღმერთი!

ნინნ-ი (უარის ნიშნად თავს იქნევს) ჩემო საბრალო ვეფხვო (ქვაზე ჯდება) ამ ღამემ შენ ჭკუიდან შეგშალა.

ჩოუ ან კიდევ როგორა ვარ, ერთ დღეში მთელი სიცოცხლე განვლიე, თუ დღეს მიწერია სიკვდილი, იქაც სამსჯავროზე პირნათლად წარვდგები, ნუთუ ყველაფერზე მე უნდა ვაგო პასუხი? სამსჯავროზე მოვითხოვ წიაოს გვარისაგან ვალს.

ნინნ-ი (იმის შიშით, რომ ჩოუ ისევ ბოდავს) გესმის ბალახში, კალიები.

ჩოუ დიახ (ისმის გუგულის ხმა, ყურს უგდებს, უცბად ამოიხრა) მორჩა, ყველაფერი დამთავრდა.

ნინწ-ი რატომ? (ესმის მაგრამ. კვლავ ქარი ამოვარდა გუგუნით. გაითიშა) ჰუნ!
 ჩოუ ნუ გეშინია.
 ნინწ-ი ძალიან მცირე (მარჯვნივ მიუთითებს რალაც ადგილზე) იქ რა არის?
 ჩოუ ძველი მონასტერია.
 ნინწ-ი წავიდეთ ჰუნ. (ქარმა შორიდან მოიტანა ჯერ ბუნდოვნად, შემდეგ კი მკაფიოდ)
 მოდი! მოდი! დაბრუნდი ჩემო ჰეინ, ჩემო სიცოცხლე!
 ჩოუ (ხმა უცბად შეეცვალა, დაუნვრილდა) გესმის? რა არის?
 ნინწ-ი (უცბად შემოეხვია) ო, ღმერთო, სწრაფად წავიდეთ (ორი ნაბიჯი არ ჰქონდათ გავ-
 ლილი, რალაცას დააბიჯა ფეხი და ხმამალა წამოიყვირა).
 ჩოუ რა დაგემართა? ნინწ – რალაც შემერჭო ფეხში.
 ჩოუ (ანთებს ასანთს, ორივეს დატანჯული სახეები უჩანთ) ეს ხომ ზღარბია.
 ნინწ-ი ზღარბი? (მშვიდდება, ტყიდან ისმის სიმღერა).

წლის პირველი თვის თხუთმეტში, იღება ტაძარი ყველა ხარებისა და ცხენების ნიღბებით...(ჩოუ ჰუ ბრუნდება)

ჩოუ ვინ არის?
 ნინწ-ი კოუტან-ი, სხვა ვინ უნდა იყოს, მას ჰგავს. (ყოველი მხრიდან ისმის გუნდის შეს-
 რულებით ეს სიმღერა, აჩრდილები მოიზღაზნებინან).
 ჩოუ ნინწ, არა, ეს გუნდი მღერის.
 ნინწ ეხლა? (თავი გაიქნია) არა, არავინ არ მღერის. (ვილაც მღერის იგივე სიმღერას).
 ჩოუ ვინ, ვინ მღერის?
 ნინწ-ი (ყურს უგდებს) კოუტანია, შერეკილი პაი. (ისევ გუნდი.) ჩოუს ერვენება მონას-
 ტერში ორ რიგად მონყობილი ხარისა და ცხენების ნიღბებში ჯოჯოხეთის მოციქულები. შუაში უძრავად ზის
 თიხის კერპის მსგავსი საიქიოს(ინის) მსაჯული.

ჩოუ (ამოიოხრა) დედა! დედა!
 ნინწ-ი ჰუნ!
 (კვლავ ისმის გაუჩერებლად – „მწვანე სახიანი ეშმაკუნა“).
 ნინწ-ი (უკავია მისი ხელი) წავიდეთ! წავიდეთ! (ჩოუ არ იძვრის. ისმის გუნდის იგივე სიმ-
 ღერა, ჩოუს ერვენება, მიუხედავად იმისა, რომ მწვანე ეშმაკუნები მკვდარი სულეებია, ისინი მაინც დგებიან
 ხარისა და ცხენის ნიღბებიანი მოციქულების რიგში).

ჩოუ (ოფლს იწმენდს ისმის სიმღერა – თვით ენვანს, ჯოჯოხეთისას მთავარს, ძვლებში
 გამჭოლი ქარი არ აწუხებს, შუაში მოკალათებულა მსაჯად. (გუნდს უერთდებიან ყოველი მხრიდან, სამსჯავ-
 როს მოლოდინში აჩრდილები. ენვანი ხვთისმსახურის მსგავს ძველ სამოსში გამწყობილი, ხელში განსასჯელ-
 თა სიით.) დედაჩემი!

ნინწ-ი (ჰუნ-ს საქციელით შეძრწუნებულა) ჰუნ! რას ხედავ, სთქვი, სთქვი....
 ჩოუ შენ ვერ გაიგებ.. (დაუბერა ქარმა, მომღერალთა გუნდს ქალთა გუნდიც უერთ-
 დება, სცენაზე ჩნდება ქალიშვილი, გრძელ აბრეშუმის სამოსში, გაფითრებული, მოქნილი მოძრაობებით.
 საფეთქლებზე უსვია შავი მალამო * ხელში უჭირავს თოკი, ბუმბულივით დაფრინავს. უახლოვდება სამსხ-
 ვერპლოს წინ მაგიდას და იყრის მუხლს (მაგიდას პატარა ბორცვი სწევს, ჩოუ ჰუ სანახაობით გაოცებული),
 ღმერთო ჩემო, ეს ხომ ჩემი ტანჯული დაა (ნინწ ჩუმად შეჰყურებს და ცდილობს როგორმე ყურადღება
 გაუფანტოს) მსაჯული ენვანი უსმენს თვალცრემლიანი ქალიშვილის ნაამბობს მამის, ძმის და ბოლოს სა-
 როსკიპოში ყოფნის შესახებ, სადაც მან თავი ჩამოიხრჩო. ბოლოს თაყვანი სცა ენვანს, რომელმაც მეოხება
 აღუთქვა და გაუშვა მისი უდანაშაულო სული.

ჩოუ (თვალცრემლიანი) ო, ჩემო საბრალო დაო, რა უმძიმესი ხვედრი გარგუნა ბედმა,
 რა ბოროტებაა. (მსაჯული ენვანი დროდადრო გვერდზე მჯდომი მოსამართლისაგან რჩევისმილების შემდეგ,
 მორიგ სულს უხმობს. სულეების სამსჯავროზე გამოყვანა მწვანე ეშმაკუნებს ავალათ, რომლებსაც ხელთ
 აქვთ გამოსაყვანი სულეების სია. ჩოუ ჰუს მამის რიგმაც მოაღწია, თეთრთმიანი მოხუცი ხელ-ფეხზე ბორკილ
 დადებული ეშმაკუნების ხელით მოფარფატებს, ქალიშვილის დანახვაზე მისკენ მიემართება, თან სულეების
 ოხვრა-კვნესა სდევს. მამა-შვილი ენვანის წინაშე მუხლს იდრეკენ, მამა ყვება თუ რა შეამთხვია ენვანმა.

ჩოუ (ზიზღით) საბრალო მამა, არავის მივცემ შენი შეურაცხყოფის უფლებას. (უცბად
 ორ რიგად დაწყობილმა ხარისა და ცხენების ნიღბიანმა ჯოჯოხეთის მოციქულებმა, ჩოუ ჰუსაკენ მიმართეს
 მზერა, რაც მის სამსჯავროს წინაშე წარსდგომას ნიშნავს.

ნინწ-ი ჰუნ! სად მიდიხარ (ვერ აკავებს. ჩოუ ჰუ ხედავს ყველა თავის ახლობელს, თავის
 დაქნევით ესალმება და მუხლს იყრის მსაჯულის წინაშე. ოხვრას ჩურჩული სცვლის).

ჩოუ (თავჩაქინდრული, მთვრალის ხმით) ახალგაზრდა ჩოუ ჰუ შეპყრობილია შუ-
 რისძიების გრძნობით საკუთარი მამისა და დის გამო. მათი ყოველი სიტყვა, თქმული თქვენს წინაშე გული-

დან ამოხეთქილი სიმართლეა, ჩემი ცხოვრებაც წიაომ აწენ-დანენა. აქაც და იქაც მექრთამეები, ავაზაკები, ჩინოვნიკები საწყალი ხალხის უბედურებით მდიდრდებიან, ჩვენი ოჯახის უბედურება და ვინ იცის, კიდეც რამდენის, ამათ კისერზეა. პატიოსან ადამიანებს თავის დაცვა უჭირთ. მიკარით ადუღებულ კუპრში თავი, რაღას ვლოდებით! (მუხლებზე ეცემა და თავით მიწას ეხება. ეშმაკებს მიჰყავთ ენვანი. სულელები ღმუიან, ვიშვიშებენ, სიბნელეში ჩნდება თვითკმაყოფილი ენვანი, სამხედრო ფორმაში, ჩექმეში, დაშნითა და კარტუზით, დგას გაჭიმული, ჩოუ ჰუში თავდასხმის სურვილმა გაიღვიძა, მოსამართლე უბრძანებს ენვანს მუხლისმოძრევას. და ჩოუ ჰუს ნათქვამის დადასტურებას, ენვანი უარის ნიშნად თავს იქნევს) ო, ზეციურო მსაჯულო, ცრუობს (ენვანი კვლავ თავს იქნევს, მოსამართლე ჩოუ ჰუს თითს უქნევს, ენვანს კი მოკრძალებულად უმზერს) ნუთუ წიაოს დაღუპული მამა და ჩემი საცოდავო და ჯოჯოხეთში მოხვდებიან, ეს უსამარტლობაა! (ხარისა და ცხენების ნიღბებიანი მოციქულები, ჩოუ ჰუს ორლესული მახვილით ზურგიდან ჰგმირავენ. მწვანე ნიღბებიან ეშმაკებს თეთრთმიანი მოხუცი და გოგონა ჯოჯოხეთში მიჰყავთ. მოსამართლე კითხულობს განაჩენს. წიაო აღფრთოვანებულია, ჩოუ ჰუ მთელი სხეულით კანკალებს, გონს კარგავს. უცბად წამოხტება) სიმართლისათვის ასეთი სასჯელი, ღმერთო, თუ გესმის? (გონს ისევ კარგავს, ცხენის ნიღბებიანი კვლავ ზურგში ორკაპს ურჭობენ, რასაც ეშმაკების ხითხი მოსდევს, ჩოუ ჰუ თავს სწევს, სიცილი წყდება, ენვანსაც გამომეტყველება ეცვლება) (ჩუმად) ჯოჯოხეთის მბრძანებელი, სიმართლეს აქ ვერ ვიპოვი. (იწყება სიცილი, გადადის ხარხარში და შემდეგ თავისი ხმოვანებით ჭექა-ქუხილს ემსგავსება) თაღლითებო! ავაზაკებო, მძარცველებო, კაცს კლავთ და ხარხარებთ? იხარხარეთ (მოულოდნელად დუმდება ყველა, რასაც სიბნელე მოჰყვება).

წინწი (დასერილი სულით) ჰუნ რა მოგდის, შეიშალე თუ ... გავეცალოთ აქაურობას (შორს ისმის მამლის ყვირილი, შეშინებული) საცაა ინათებს.
 ჩოუ ი-ნა-თებს (მარჯვნიდან ისმის სროლის ხმა) ალბათ გვიპოვნიან. (სროლა ხშირდება).
 წინწი-ი ალყაში თუ მოგვაქციეს (სროლა).
 ჩოუ (მიათრევს) ნავიდეთ, ნავიდეთ წინწ, ღირსეულად შევხვდეთ! (გარბიან მარცხნივ).

მეხუთე სურათი

ყველაფერი ისევეა, როგორც პროლოგში, იმ განსხვავებით, რომ აქ დედამიწა იღვიძებს, დილის 6 საათია. ლიანდაგების ახლოს, დიდ ქვაზე პაის სძინავს. გემრიელად ხვრინავს, ტანსაცმელი ეკალ-ბარდებისაგან შემოხეული, სახე ჭუჭყიანი, ფეხშიშველი, ფეხსაცმელი შორიახლოს დაუყრია, ეტყობა ტკბილ სიზმრებშია. სახე მშვიდი და მომლიძარი აქვს. შორიდან ისმის მამლის ყვირილი.

პაი (ძიღში) თიჩი-ქაჩა, თიჩი-ქაჩა.. (შორიდან ორთქმავლის ხმა) ტუ-ტუ-ტუ (სროლის ხმა და ტყვიამ პაისთან ახლოს გაიზუზუნა, შიშისაგან წამოხტა, თვლების ფშვნევით აქეთ-იქით იყურება, ვერ გარკვეულა რა ხდება, გაახსენდა, რომ მოხუცი იქვე სადღაც მიატოვა, ძალიან დაღლილია, დედა წიაო! პატივცემულო! აქა ვარ მე კოუტანი. (პასუხი არ ისმის, რაღაცის მოგონების სურვილით შუბლს იზილავს, ლიანდაგებს შუა მიდის, მოულოდნელად ბრუნდება.) დედა წიაო, ფარანი აქა მაქვს, მომყვით (ფარანს მოულოდნელად წყალსაცავში ისვრის) ეშმაკსაც წაუღიხარ, თუ არ გინდა...ვაითუ მოკვდა? ისინი ყველანი დაიხოცნენ. (წყალზე მოტივტივე ფარანმა გაახსენა მისი პატრონი-დედა წიაო, შეშინებული გარბის წყალსაცავისაკენ, ისმის კოუტანის წყალში შესვლა. მარცხნიდან ნირნამხდარი ჩან უ ჩნდება)

ჩან უ (ყვირის) დედილო წიაო! დედილო წიაო! (ოფლს იწმენდს, ბურცყუნებს თავისთვის) კი გიცნობდი ვინც იყავი, მაგრამ ეხლა, უკეთესად გამოჩნდი, მატყუარა, რას უძლებს ეს ბერიქალი, მთელი ღამე ზარები, კაკუნი, შელოცვები და წყევლა... დედილო წიაო!.. სად უნდა წაეყვანა ის ქალი, კოუტან....

პაი შერეული დაძახებაზე ამოდის წყლიდან, წყალი ნურნურით გასდის, ცალ ხელში, ალბათ უკვე უვარგისი ფარნითა და მეორე ხელში ბორკილებით) ბატონო, რა მოხდა?

ჩან უ კოუტან (შეშინებული), შე ძაღლის ნაშიერო, რატომ არ მპასუხობ?
 პაი (ხითხითებს) შენ მეძახდი?
 ჩან უ რა თქმა უნდა, შენ... (შეცვალა თემა) სად არის დედილო წიაო?
 პაი (ასწია სველი ფარანი) აქ არის, ეს მისი ფარანია.
 ჩან უ ფარანი.. (მოუთმენლად) კოუტან, სად წაიყვანე, ნუხელ სად იყავით?
 პაი ა.. ნუხელ ღამით? (თვალბი დახუჭა) სიაო ჰეინის ეძახდა, ეძახის და ეძახის, მე გზას ვუნათებ, ის კი უკან მომყვება, მივდივარ, მომყვება.
 ჩან უ (მოთმინების ფიალა აევსო) ვიცი! ვიცი!..შენ რა, გამოექეცი?
 პაი არა, მე სულ წინ მივდიოდი, მაგრამ მერე როცა მოვბრუნდი და ვნახე აღარ მომყვე-

ბოდა...
 ჩან უ მერე არ მოძებნე?
 პაი ვეძებდი, ხან სად და ხან სად, მერე ჩამეძინა (დაიმორცხვა).
 ჩან უ ძაღლის ნაშიერო! ნამოდი, ჩოუ ჰუს შეიარაღებულები ეძებენ, ყოველი მხრიდან

მოდინ, შეიძლება შენ მოგკლან!

პაი სად წავიდეთ?

ჩან უ წავიდეთ, მოვძებნოთ (ბორკილებზე მიანიშნებს) საიდანა გაქვს?

პაი სამაჯურებზე მეკითხები? წყალში ვიპოვე (მალლა სწევს) გინდა? (მარცხნიდან ის-მის სროლის ჯერი და წამსვე სიჩუმე ისადგურებს).

ჩან უ (დაბნეული იღებს ბორკილებს, ჩუმად) ეს ვეფხვი, ჰუნ.

პაი (არ ესმის) ვეფხვი?

ჩან უ (მიათრევს პაის) ჩქარა! (ორივე გადის მარჯვნივ, სროლა, ტყვიების ზუზუნის, წინ მოხრილი, ჩოუზე დაყრდნობილი შემოდის, გამეხებული ნადირის მსგავსი ჰუნ მთლიანად გაოფლილი, კუნთებდაბერილი და თვალეზრაცვივებული, ცალ ხელში იარაღითა და ქამარში გაჩრილი ხანჯლით, გოლიათ ხესთან ჩერდება, ქანცგანწყვეტილ წინს სიამაყე არ დაუკარგავს. ირგვლივ გაფაციცებით იყურება).

ჩოუ (ტანჯული სახით) ძაღლებმა ალყა შემოგვარტყეს.

წინწ-ი ჰუნ, წავიდეთ!

ჩოუ უკვე გვიანაა, გესმის, ოთხივე მხრიდან ისვრიან.

წინწ-ი (ებლაუჭება) მათ ხომ არ იციან რომ აქა ვართ?

ჩოუ მალე შეიტყობენ, მაინც მოგვძებნიან.

წინწ-ი (ევედრება) მაშ წავიდეთ, ჩქარა, ჩქარა...

ჩოუ არა ღირს, ოცდა ხუთი ნაბიჯი არაფერს სწყვეტს.

წინწ-ი ვეფხვო, ნუ გეშინია, ჩვენც ხომ გვაქვს პისტოლეტი.

ჩოუ პისტოლეტი? ორი ტყვიალა დარჩა, როგორც კი გავისვრით, იმ წამსვე თავს

წაგვადგებიან.

წინწ-ი ნუთუ ეს არის ჩვენი ბედი? ასე დავამთავრებთ ცხოვრებას?

ჩოუ ჩემი სიკვდილით ცხოვრება არ წყდება, სიკვდილის შემდეგ ნაღდი სახელი დამერქმევა და მაშინ კი თავს ბედნიერად იგრძნობ. გახსოვს, ამ ცოტა ხნის წინ რას გეუბნეოდი? (თითქოს გამოფხიზლდა) ნადი, ნადი, გემუდარები, ფუთაში ფულია...

წინწ-ი ჰუნ. მე შენ ვერ დაგტოვებ, არ წავალ, ძალიან გთხოვ ნუ გამაგდებ, ან კი სად უნდა წავიდე? შენს მეგობრებთან? შეიძლება კი მათი ნდობა?

ჩოუ ისინი უღალატონი არიან, გადაეცი: ჩოუ ჰუ არ დანებდა, აღარაფრის არ სჯერა და ერთადერთ იმედად თქვენ ეგულებით თქო. წინწ, დაგავინწყდა რა მითხარი?

წინწ (გამოფხიზლდა) ა.. იმაზე მეკითხები?

ჩოუ წინწ, მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასეა, ამიტომ უფრო მეტად გთხოვ, გვევდრები, შენი აქ დარჩენა კიდევ ერთ ახალ სიცოცხლეს შეინიარავს.

წინწ მაგრამ, ჰუნ, ვეფხვო...

ჩოუ (ფეხებთან ბორკილებს ხედავს) წინწ, ეს რა არის?

წინწ ეს ხომ ბორკილებია.

ჩოუ დიას (აიღებს) ძველი მეგობრები, როგორ არ მანებებთ თავს?

წინწ (ცუდი წინათგრძნობით) არა, ვეფხვო! შენ უნდა იცოცხლო!

ჩოუ (გაკვირვებით) მე? მე.. (ბაყაყები აყიყინდნენ) უცნაურია, გეცნობა ეს ადგილი?

წინწ მეცნობა, ათმა დღემ წამში გაირბინა.

ჩოუ თვალის დახამხამებაში, იმ დღეს გავთავისუფლდი ამისაგან (ბორკილებზე ანიშნებს) დღეს კი ხელმეორედ მომრთავენ, წინწ შეგებრალები?

წინწ შემებრალები კი არა, ამ ათი დღით ვცოცხლობ, შენ კი ... (ისმის გუგულის თავდავინწყებული სიმღერა).

წინწ გესმის? სიცოცხლის წყურვილი ეხლა მაინც არ გაგიჩნდა? წამოდი, გავიქცეთ. იმ ქვეყანაში, სადაც დედამიწა ოქროთია დაფარული.

ჩოუ იქ წასვლის ღირსი მხოლოდ შენა ხარ, წინწ.

წინწ ეს როგორ?

ჩოუ თუ არ ნახვალ, გაიძულებ, ვისვრი (ცისაკენ აღმართავს პისტოლეტს).

წინწ რას შვრები?

ჩოუ დაე მოვიდნენ...

წინწ არა, ვეფხვო!..

ჩოუ (ტანჯვით ყვირის) ნადი! ჩემო ოქრო, გაიქეცი, გაიქეცი, ჩემო ოქროვ... (სროლა გახშირდა).

წინწ (ყვირის განწირული ხმით) ო, ჩემო ვეფხვო!

ჩოუ (ხელში ხანჯალი უჭირავს და ფეხს მიწას ურტყამს) ოქროვ, ნადი, იმის გულისათვის ნადი, წაუსვლელობას ვერ გაპატიებ.

წინნ (ხვდება, რომ ჩოუს ვერ გადაათქმევინებს, თვალის მოუცილებლად მიბარბაცებს, ცრემლი ახრჩობს, ძლივს ახერხებს), კარგი, მივდივარ, (სროლა უფრო ხშირდება) მივდივარ.
 ჩოუ (თვალცრემლიანი) გახსოვდეს, ოქრო! ბავშვი რომ გაჩნდება, ყველაფერი მოუყვები ჩემს მეგობრებს, როგორ უსამართლოდ დამიჭირეს. ბორკილების ხელმეორედ დადებას ასეთი (ხანჯალს პირდაპირ გულში იცემს) სიკვდილი ამჯობინათქო ... (ხეს ებლაუჭება).
 წინნ-ი (შეშლილი ყვირის და მისკენ გარბის, ეხვევა) ვეფხვო, ჩემო, ჩემო ვეფხვო.
 ჩოუ (შუბლზე სიმწრის ოფლი ასხამს, ტუჩების კვნიტით) გაიქეცი წინნ, გაიქეცი! დაიმახსოვრე ჩემი სიტყვები, მოუყვები...
 წინნ-ი (გულამოსკვნილად ტირის, ფეხებში უვარდება) ეს რა ჩაიდინე... (სროლა ახლოვდება).
 ჩოუ (მძიმედ სუნთქავს, ქოშინებს) გაიქეცი, მინდა დაგინახო როგორ გაიქცევი... (სროლა, ტყვია წინნ-ის ხვდება მარცხენა მხარში. მობრუნდა, ჩოუ ჰუ ყვირის მთელი ძალით). შენ ისევ (გამეტებულად ჰკრავს ნიხლს ისე, რომ წინნ-ი ლიანდაგების ნაშალთან ეცემა და მიგორავს).
 წინნ-ი (როცა შეჩერდა ამოიხედა ზევით, ჩოუ ჰუ მის მხარეს აღარ იხედება, ხელებს იფარებს თვალებზე და გულამოსკვნილი ტირის, გარბის მარჯვნივ).
 ჩოუ (წინნ-ი მიეფარა რა თვალს, სწევს მალლა ბორკილებს და მწარე სიცილით, მთელი ღონით ისვრის წინნ-ისკენ. ისმის ბორკილების დაცემის ხმა ლიანდაგებზე).
 (ფარდა ეშვება)

განმარტებები

მიუხედავად ჩინელების მრავალრიცხოვნებისა, ჩინური გვარები მკაცრად განსაზღვრულია და რაოდენობრივად შეზღუდული. სახელები კი ნებაყოფლობითი და შინაარსობრივი დატვირთვის მატარებელია.

გვ. 34 – ასეთ ფარნებს საახალწლოდ ან ფარნების დღესასწაულისათვის ამზადებენ. ოთახში თბილი და გარედან შემოსული ცივი ჰაერის შეჯახებით ფარანში მოთავსებული ცხოველები იწყებენ მოძრაობას. ხშირად ეს ფიგურები ცხენებია. ასეთი ფარნები მოძველებულად ითვლება, მაგრამ სოფლებში მაინც შეხვდებით.

გვ. 48 – ჩინეთში კუ ძალიან სალანძღავი სიტყვაა.

გვ. 53 – ბუდისტურ ლიტერატურაში დასავლეთი საიქიოს ნიშნავს.

გვ. 60 – პიტნის ზეთისაგან დამზადებული სამკურნალო მალამო.

ჩინური გვარ-სახელები

პიესაში გამოყენებული გვარ-სახელები შემდეგნაირად ითარგმნება.

ჩოუ ჰუ - შურისმაძიებელი ვეფხვი

პაი შაძ'-ი - თეთრი შერეკილი

წიაო - გადაბუგული

ტასინგ-ი - დიდი ვარსკვლავი

წიაო მუ - დედილო წიაო

ჰუა წინნ - ოქროს ყვავილი

ჩან უ - რიგით მეხუთე

ცაო იუი (1910-1996) XX საუკუნის ერთ-ერთი გამოჩენილი დრამატურგი და შექსპირის პიესების მთარგმნელი, 8 პიესის ავტორი. მთარგმნილია მრავალ ენაზე, მათ შორის ქართულზეც (1999 წელს ითარგმნა და შემდგომ ქართულ სცენაზე დაიდგა პიესა „ტრამალი“, რომელიც მიეძღვნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის 50 -ე წლისთავს). ცაო იუიმ ჩინური დრამა გაამდიდრა დასავლური დრამის ელემენტებით, კერძოდ იგი ითვლება ჩინურ დრამაში მეტყველების დამკვიდრების ერთ-ერთ მესაძირკვლედ.

მთარგმნელები: ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი, ნინო დალუნდარიძე



მკვდარი ქვა . “死石” .

კლდის ნატეხი
გლუვ ქვად ქცეულა
მილიარდი წელიწადია
წყლის ჭავლი რეცხავს,
მილიარდი წელიწადია
ქვიშა ხეხავს,
თევზი კოცნის,
დინება ანართობს,
ასე თანდათან,
ასე ნელა
კლდის ნატეხი
ძვირფას ქვად იქცა.
ისხლეტს ათინათს,
ბრწყინავს კიდეც,
ჯადოსნურ კვერცხს ჰგავს –
თავის ქალას დალანდავ ლამის,
მაგრამ შიგნიდან
ჩანასახი არ უნისკარტებს,
არც წინილა იჩეკება.
ეს ნაყოფი უსიცოცხლოა და
უგუნური.
დევს რბილ ქვიშაზე,
მჭვირვალ წყლის ფსკერზე.
გაზაფხულის ან შემოდგომის
უხვი წვიმები რომ დაიწყება
და ნაკადებად იქცევა ხოლმე,
მხოლოდ მაშინ გადაგორდება
და გვერდს შეიცვლის.
განა ტალღას ააგორებს
ან ჩქამს გამოსცემს?

თესლი. 籽.

დაქროლოს ქარმა
უხნავ მინდორში
დაფანტოს თესლი,
შავმა მინამ დაფაროს იგი.
შენ ნუ იდარდებ,
ნურც თესლზე და
ნურც მინაზე
დაგცდება წყევლა.
მშვიდად იყავი.
მხოლოდ ასეთ თესლს,
მინაში ასე გადანახულს
ეზრდება ბნკალი.

მარტის განთიადი. “三月天”

ტბის ლურჯ ზედაპირს
თეთრი კვლები გადმოელვარა,
თევზის გუნდმა წყალში იწყო
სვლა და სიმღერა.
სოფლის ყამირზე
ბამბუკის ყლორტი
ემზადება ამოსანვერად.
ნიავიც არ ქრის.
ბამბუკის ტყის კენწეროები ხმაურობენ:
სე-სი, სე-სიო,
თუ ნამიანი ჩიტის ფრთის ხმაა,
სულ ახლახან რომ გაიღვიძა?
სარკმელში სხივიც გაკრთა. ნეტა
მზის სინათლეა
თუ ფუტკრებისა,
რომ იჩქარიან აყვავებულ ატმებისაკენ?

გამოჩენილი ჩინელი პოეტი, ესეისტი ნიუ ხან-ი დაიბადა 1923 წელს ტრადიციულ, კულტურული გლეხ-ის ოჯახში. 1940 წელს დაიწყო ლექსების გამოქვეყნება. მუშაობდა გაზეთ „ახალი ლიტერატურის“ რედაქტორად, რედაქტორის დამხმარედ გამომცემლობაში „ჩინეთის ისტორია“. ეროვნულ მწერალთა კავშირის წევრია, პოეზიის საზოგადოების საპატიო თანათავმჯდომარე.

მთარგმნელები ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი და მარიამ ნიკლაური-dididგური

კუო მოჟო

郭沫若

ლარნაკი “花瓶” .

(კრებულიდან „ლარნაკი“. 1927)

გაზაფხულის ნიავს სამყაროდან სურნელება მოაქვს,
ტბას სავსე გარინდებული მთვარე დასცქერის,
სიძ'ს ტბისაკენ მივეშურები
მტკნარი წყლით რომ ავავსო ლარნაკი.

ამ ლარნაკში სიყვარულით ჩავდგამ
ველური ქლიავის აყვავებულ რტოს, მეიხუა-ს
და მოთმინებით დაველოდები
დაბერილ კვირტების მომწიფებასა და გაფურჩქნას.

რა თქმა უნდა, მეტყვით, რომანტიკოსი ხარო და მეოცნებე,
მაგრამ ჩემი პასუხი ძლევამოსილია:
მარტო მე კი არა, მთელი კაცობრიობა ბუნებაზეა შეყვარებული,
სულელებს კი არა სწადიათ აღიარება ამის.

დიალ, მე ძალიან მიყვარს ვარდებიცა და შროშანებიც,
მზად ვარ მიუძღვნა ნახატები და პოემები,

ველოლიავები ჩემს სიყვარულს ყვავილებსადმი
და ამ გრძნობას არასოდეს დავფარავ!

ო, საყვარელო მშობლიურო ჩემო ყვავილებო,
თქვენ შეგიძლიათ გულში აღძრათ გაზაფხული და სიცოცხლის წყურვილი,
მე რომ მეგონა, ებერდები-მეთქი,
გიხილეთ თუ არა, სიყმანვილე კვლავ დამიბრუნდა!

ლარნაკი, ავსებული ცოცხალი წყლით,
ცოცხალ ყვავილებს კვებავს, ინახავს,
თვალსა და გულს ატკობს,
თავისუფლებასა და სურნელებას ჰგვრის!

კუო მოჟო (1892–1978) – XXს. გამოჩენილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, ცნობილი მწერალი, ლიტერატურათმცოდნე, პიკტოგრაფიის სპეციალისტი. დაიბადა სიჩუანის პროვინციაში. ახალგაზრდობიდანვე ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის ლიტერატურისა და ენის რეფორმებში. უმაღლესი განათლება მიიღო იაპონიასა და ევროპაში. გატაცებული იყო ევროპული მეცნიერებებით, ლიტერატურით, მთარგმნელობითი საქმიანობით. საკუთარი აღიარებით განიცადა შელის, ჰაინეს, უიგმენის, თავორის, ტოლსტოის, ჩეხოვის, გორკის ზეგავლენა. ნაყოფიერად მოღვაწეობდა დრამის, პოეზიის, პროზის (მოთხრობები) სფეროში. აქტიურად მონაწილეობდა 1949წ. რევოლუციაში და ამიერიდან 60-იანი წლების ჩათვლით ეკავა სამთავრობო, მწერალთა კავშირის თავმჯდომარის, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტისა და სხვა თანამდებობები. კულტურული რევოლუციის დროს, რაკი არ იზიარებდა მემარცხენე იდეებს, მასობრივ რეპრესიებს და ბევრი კულტურული ძეგლის გადარჩენისათვის თავდადებით იბრძოდა, შერისხული იყო. დღეისათვის კუო მოჟოს უკავია საკუთარი ადგილი ჩინურ ლიტერატურის ისტორიაში, მისი ნაწარები შეტანილია მრავალრიცხოვან ანთოლოგიებში, კრებულებში, თარგმნილია მსოფლიოს მრავალენაზე. კუო მოჟოს ლექსების ქართული თარგმანი იბეჭდება პირველად.

მთარგმნელები ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი და თამარ გაბროშვილი

ემი სიაო.

EMY XIAO

აღსდექ, პოეტო! 站起来, 诗人!

პოეტო, გეყოს ოცნება.
მართალია, შენი სიზმრები მაცდუნებლად მიმზიდველია,
გამოდი ოცნებებით გამოკეტილი კოშკიდან,
დაინახე შენი მილიონიანი საძმო
სისხლს რომ ღვრის უთანასწორო ბრძოლაში.

შენ კი ოცნებებში ჩაფლული,
შენი სამშობლოს მოქალაქე ნუთუ არა ხარ?
არ გრძნობ მოვალეობას, მათ რიგებს შეუერთდე?
აილე ხიშტი, დაიცავი მთები, ველები,
როგორც სხვა ყველამ.
შენი კალამი ახლა ხიშტს უნდა გაუთანაბრდეს!

სიაო სან-ი (ემი სიაო. 1896-1983) – XXს. ცნობილი პოეტი, მთარგმნელი. თარგმნილი აქვს მაიაკოვსკი, გორკი, რამდენიმე ქართველი მწერალი.

მთარგმნელები ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი და თამარ გაბროშვილი

მხდალი და ამაო სამყარო 胆怯的世界

ჩვენს სამყაროში მშიშარა ცოტა როდია,
 მოშიშართა შორის კი სიყვარულს ადგილი არ აქვს.
 რას იტყვიან, როგორ განსჯიან,
 ფეხშიშველი ვარ თუ, უბრალოდ, თავშიშველი.

შენ არ შეშინდე,
 ნამომყევი,
 სიყვარულის ფიცი მგზნებარედ გამიმეორე,
 მაშინ სიკვდილიც ვერ მოგვერევა.

შენ ხელს ხელს ჩავჭიდებ,
 წინ გრძელი გზა და ბილიკი გვაქვს სიყვარულისა,
 ეკალ-ბარდებით სავსე.
 წვიმს და სეტყვას, თავშესაფარს კი ვერსადა ვპოვებთ,
 მაგრამ გამაგრდი, ნამომყევი,
 შენ ხელს ხელს ჩავჭიდებ,
 გათავისუფლდი სიმხდალისაგან,
 დაჭაობებული სამყაროსაგან,
 ნამომყევი გაბედულად, წინ გველოდება თავისუფლება!

ჩემო სიყვარულო!
 ნამომყევი,
 ჩამოვიტოვოთ მხდალთა სამყარო,
 წინ თავისუფლების ოკეანეა,
 გამჭვირვალე წყალი, ტალღათა დგაფუნე
 და ჩვენი ერთად ყოფნის მარადისი თავისუფლება!

თავი ასნიე,
 შეხედე ზეცას,
 იქეთ გაიხედე, ზეცაში,
 სადაც ლურჯი ვარსკვლავი ბრწყინავს,
 გზას მიგვანიშნებს იქეთ, იქეთ!

შეხედე, ჩვენს ფეხქვეშაა საოცნებო კუნძული,
 აბიზინული მოლით, ყვავილით,
 სილამაზე ასეთი შენ არსად გინახავს.

ო, ძვირფასო, ჩაჯექ საჰაერო ხომალდში,
 ვიფარფატოთ ხომალდით, ავფრინდეთ ცაში,
 ამაო, მხდალ სამყაროს
 გამოვეთხოვოთ სამუდამოდ!

სიუ ჭ'მო (1898-1931) – პოეტი-რომანტიკოსი, პროზაიკოსი, ესეისტი. იბეჭდებოდა XXს. დამდეგიდან. თავისი დროის მრავალ თანამოკალმეზე იქონია გავლენა. მართალია, ხშირად გამხდარა კრიტიკის ობიექტი, როგორც პესიმისტი, ფორმალისტი, მაგრამ მკითხველთა სიყვარულზე ამ გარემოებას ზეგავლენა არ მოუხდენია. ნაადრევად დაიღუპა ავტოკატასტროფაში.

მთარგმნელები ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი და თამარ გაბროშვილი

ქალაღის გემი 纸船

ალარ გადავავდებ ქალაღის ნაგლეჯს,
ხელში რომ ჩამივარდა.
ბავშვობაში ვერა ვხვდებოდი
როგორ მომეხმარა:
ერთი მეორის მიყოლებით ვკეცავდი ქალაღებს
და ვაკეთებდი ნავებს, ხომალდებს, გემებს.

თავს გამოვყოფდი კაიუტის სარკმლიდან
და იქვე ზღვის მორევში გადავუშვებდი
ტალღებზე ლალად საცურაოდ.

ხანდახან ქარიშხალი მტაცებდა პანია ნავს
და გემის სარკმელს მიატმასნებდა.
ხანაც, ყველაზე ლამაზს,
გემის ცხვირიდან წამოსული ტალღა
მორევში ჩაიტანდა, ჩამიყლაპავდა.

გულმოდგინედ ვმუშაობ,
ვაკეთებ ახალს და ახალს,
ვუშვებ გემებს ზღვაში,
ვიმედოვნებ, ერთი მაინც მიაღწევს ადგილს,
სადაც ჩემი ოცნებები იფურჩქნებიან,
სადაცა ვცხოვრობ.

დედავ, საყვარელო ჩემო დედავ,
ჩემი გემი, შემთხვევის ძალით,
შენი სიზმრის მდინარეში ხომ არ შემოცურდა?

ო, დედავ, ნეტავ თუ მიხვდი,
დადუმებულმა, მაგრამ ცრემლმორეულმა,
რომ ჩემს სიზმარში შენსკენ გამოვგზავნე,
მჩქეფარე ტალღებზე სამარადისოდ . . .

ჩემი სიყვარულით და ნაღველით
მთლიანად ამოვავსე,
მარად მოსიყვარულემ და მეოცნებემ.
1923

სიე პინგსინ-ი – XXს ერთ-ერთი პირველი პროფესიული პოეტი ქალი, პროზაიკოსი, ესეისტი. 30-40-იანი წლების ახალგაზრდობის საყვარელი მწერალი. მისი მრავალი ნაწარმოები შესულია ქრესტომათიებსა და კრებულებში. ხოლო ეს ლექსი 30-40-იან წლებში ახალგაზრდობამ ზეპირად იცოდა, იმღერებოდა.

მთარგმნელები ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი და თამარ გაბროშვილი

სიმღერა ვირუკასადმი 歌唱小驴

ო, ვირუკავ, საყვარელო, მშვენიეზ სოფლის,
 „რკინის ქალამნები“ ისე გაგცვეითა,
 სითეთრემდე გიელავს ჩლიქი.
 ხამი ტილოს ხურჯინ-საპალნეს
 გადახეხილი ზურგით მიათრევ.

არ გინდობს პატრონი, ტვირთს უფრო გიმატებს,
 მათრახსაც, შეუბრალებლად, ხშირად მტკივნეულად გირტყამს.
 შეჩერდი! მაგრამ შეჩერების არ გრთავს უფლებას,
 მაშ, წინ-წინ გასწი, ჩემო ვირუკელავ, როგორც ყოველთვის.
 საუკუნეა, შენ მათრახი წინ-წინ გიბიძგებს,
 ვირის ბედისწერა და მათრახი განუყრელად ერთად არიან!

სამი თაობა 三代

შვილი
 მინდვრად მიწას ჩიჩქნის, თამაშით ერთობა;

მამა
 შრომობს და ოფლით რწყავს მიწას;

პაპა კი
 იქ, იმ მიწაში ცხოვრობს, უკვე დიდი ხანია;

სამი თაობა ერთადა ვართ, გლეხები სოფლად.

ნანგ ქენია (1905-19??) – პოეტი-რეალისტი. მრავალრიცხოვანი კრებულების (პოემები, ლექსები) ავტორი. მის „გლეხურ პოეზიას“ და სატირულ მანერას დიდი წარმატება ჰქონდა. მისი პოეზიის რიტმს, რითმასა და ენას ღრმა კავშირი აქვს ხალხურ პოეზიასთან, სიმღერასთან. გავლენა იქონია მის მომდევნო თაობის პოეტებზე.

მთარგმნელები ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი და თამარ გაბროშვილი



*(ლექსებში პოეტი თითქმის არ ხმარობს სასვენ ნიშნებს)

შავი ზღვა 黑海

მუდამ მეგონა
რომ წითელი ზღვა იყო წითელი
ხოლო შავი –
შავი

მაგრამ არა, როცა სიო არ იძვრის და მზეც აცხუნებს
ნაპირს მივყვები
ზვირთები სანაპიროს მინის ბურთულეზად ეხეთქებიან
ტალღები მწვანე მინის ხვეულებიდან
ზურმუხტისფერ მჭვირვალ შხეფებს აფრქვევენ
და შავი ზღვა სულაც არაა შავი

როცა ცის ტატნობზე ღრუბლები გროვდებიან
ქარიშხალი ჩადგება და წვიმა გადაიღებს
ლამაზია გამჭვირვალე ზღვა
თუმცა განიცადა ქარიშხლის ძალადობა
მაღალი ტალღები ანგრევენ საფლავთა ყორღანებს
შავი ტალღები კი საფლავის სვეტებად გამწკრივდებიან
ასეთ ჟამს ვიხილე შავი ზღვა

მე ვლოცულობ
შავ ზღვას არასოდეს მოაკლდეს მზე და
ზღვის თოლიების გალობა

პატარა ნიჟარა 螺.

შენყდა მოქცევა
ნაპირზე დარჩა
ნიჟარების ნამსხვრევები
მოლუსკების ეს პანანინა სარკოფაგები
ქათქათა ძვლების გროვებად ანთია

მაგრამ იყო ერთი ზღვისფერი ნიჟარა
მჭიდროდ რომ ჩაეგმანა კარი
საბრალო ჯერაც ცოცხალია და ლამობს სინოტივე შეინარჩუნოს
რათა სასიკვდილოდ არ გაიწიროს
შეძლებს კი მოქცევა ის ზღვაში დააბრუნოს
მოლოდინადაა იგი ქცეული

ო, ზღვაო, შენ დაბადე და გამოკვებე იგი
ნუ, ნუ დაუშვებ რომ დაილუპოს
ცეროდენა ნორჩი ნიჟარა

ბაბუანვერა 蒲公英

შემოდგომის დღეა
ბაბუანვერა
თეთრად გადაიპენტა შავი ზღვის ქვიშიან სანაპიროზე
რად გაფურჩქნულა
ტალღების შხეფებს როგორც ყვავილებს
ისე რომ მიესაღმოს?

ოჰ, ოჰ, ჩემო თეთრო ბაბუანვერავ
ჩემი თავივით გაჭალარავებულხარ

მოვნყვიტე ბაბუანვერას ყლორტი
ბავშვივით სული შევუბერე
დაე მისი ნამცეცა თესლები
ქარმა გააბნიოს
ეგებ დაემგზავრნონ შავი ზღვის ტალღებს

სასიყვარულო გზავნილი 爰

ჩვენ ერთად უნდა ვესტუმროთ შავ ზღვას
ერთად შევაგროვოთ შავი ზღვის ნიჟარები
შენ როგორც ქალი მილეს ნახატზე „მარცვლების ამგროვებელი“
ნელში მოიხრები
და ჩემსავით ჩაფიქრდები
რომ სხვაობაა
ამ ნიჟარებსა და ბეიტაიხესეულ ნიჟარებს შორის
და რაშია სხვაობა

როცა ჩვენ ჩამოვსხდებით
ქვიშაზე
ნიჟარები გაიხსნებიან
და ჩვენს მხურვალე სასიყვარულო ინტიმურ ბაასს
ცნობისმოყვარედ მიაყურადებენ

შენ ჩემთან ერთად უნდა იყო შავ ზღვაზე
ერთად ჩამოვსხდებით
ერთიმეორის გვერდიგვერდ
ზღვისპირა ციცაბოზე
და ყურს მივუგდებთ თოლიების ყვილს და ძახილს
და მე ვიფიქრებ
აქაური თოლიების ხმა
ბოლოს და ბოლოს განსხვავდება თუ არა
ბეიხაის თოლიათა ხმისაგან

ო, არა
მთარგმნელი არაა საჭირო
თავიანთ ენაზე
ისინი დასცინიან ჩემს მარტოობას
მარტოსული წინ და უკან რომ დავეხეტები

დაეშვა ღამე
გამოვალეფ ფანჯარას და მივთვლემ
ზღვა მიმღერებს იავნანას
ღრმა ძილით რომ ჩამაძინოს
სიზმრად ერთად ვსხედვართ შავი ზღვის პირას

მე ვამბობ
შავი ზღვა არაა შავი
შენ ამბობ
ბოხაის ტალღები ზურმუხტისფერია

ორივე ზღვა
ერთმანეთის გვერდით თუ დადგება
როგორც ზღვის სტიქიის ორი ალი
ისინი ერთერთს გრძნობების შესარწყმელად
ჩაეხვევიან

1993წ. ოქტომბერი
შავი ზღვა ქ. კონსტანცაში

განმარტებები: პეითაიხე – ჩინეთის სახელგანთქმული საზღვაო კურორტი ყვითელი ზღვის სანაპიროზე. აქ მდინარე პეითაიხე ჩაედინება ზღვაში. აქედან წარმოდგება სახელწოდება.
პოხაის ზღვა – ჩინეთის სამხრეთით, შანგტუნგ-ის პროვინციაში.
ქ. კონსტანცა – ქალაქი რუმინეთში შავი ზღვის სანაპიროზე

ნოუ ტიფან-ი (19??) – თანამედროვე ხანდაზმული, აქტიურად მოღვაწე პოეტი.
ლექსი ითარგმნა ქართველებისათვის ძვირფასი შავი ზღვის გამო.

მთარგმნელები ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი და თამარ გაბროშვილი

თიენ ნიენ-ი
田间

(1916-1985)

*** **

სდექ! აღსდექ დასაცავად, მიდი !
ნუ დაინდობ ვერაგ დამპყრობლებს !
ამოვიგლიჯოთ სხეულიდან ჩვენი გულ-ღვიძლი
მე და შენ, მე და მათ . . .

ჩვენ ბევრნი ვართ, ლეგიონია ჩვენი სახელი – მილიონები,
ჩვენი გულ-ღვიძლით კედელს ავაგებთ,
კედელს დიადს, ფოლადისებურ მტკიცეს.
აი ასე, ავაშენებთ!

თიენ ნიენ-ი (1916-1985) – ერთ-ერთი თვითმყოფი პოეტი. მისი პოეზია ლაკონური და მგზნებარეა, ტემპერამენტული და მონოდებითი. ახალგაზრდობაში განიცადა მაიაკოვსკის გავლენა.

თარგმანი ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ისა და რუსუდან ქუთათელაძის

მზეს 天阳向

(პოემის ნაწყვეტი)

ათასწლეულთა სამარეებიდან,
 ეპოქების უკუნეთიდან,
 მთაგრეხილთა გადაღმიდან,
 შორეულ ხეობებიდან,
 ისტორიულ წარსულში
 ღრმა ძილს მიცემულნი
 სად სიკვდილები ხროვად ირევიან –
 ჩემთვის აღმობრწყინდა
 მზე!

ჰოი, მზე, ცის ტატნობზე ამოცურდება
 ვითარცა მთაგრეხილთა მწვერვალებზე
 მოფრიალე ბაირალი.
 მე წამოვდგები
 როგორც ნადირი, ქანცგანწყვეტილი,
 ორთაბრძოლებში ნაიარევი, ისრით განგმირული,
 ნაცვენ ფოთლებით მოფენილ ტყიდან,
 თიენშანის ყინულოვან მწვერვალებიდან,
 მე, უილაჯო, ყმულით მივდივარ,
 მივეშურები ნანატრ მხარეში,
 სად ზეცა ეკვრის დედამინას.
 ჰოი, სადაა ეს კუთხე ნანატრი?
 შორეულსა და თვალუნვდენ მთაგრეხილებიდან,
 საცა მინა არასდროს მოხნულა,
 ქალაქებიდან, საცა უთვალავი ადამიანი ირევა,
 საცა ყველაფერი მათი ხელითაა შექმნილი
 და გატკეპნილია მათი ტერფებით . . .

მე მოვალ, ეული, მაგრამ არა უბადრუკი მგზავრი, ყარიბი.
 სხეული ჩემი სიმღერად ქცეულა,
 სხეული მღერის, თუმც დალლას გაუცვითავს,
 ძლივს მოვლასლასებ უვალ გზა-ბილიკებზე,
 ღამით, წვიმაში, ავდარშიც მოვდივარ.

ჰოი!

მაინც წამოვდგები.
 გამოვხსნი სარკმელს,
 ტუსალის თვალთ გავეხედავ სივრცეს,
 მზე რახანია რომ არ უხილავს!

და დავინახავ კაშკაშა განთიადს,
 დიად! განთიადს!

მე ნადირი ვარ, სმენა მაქვს მძაფრი,
 როს არ ველოდი, მესმა სიმღერა –
 ხალხი მღეროდა!
 და გულმა ჩემმა გამწია მათკენ,
 ხალხისაკენ!

აი ცინგ-ი – XXს. 30-იანი წლების ახალგაზრდობის საყვარელი პოეტი-რომანტიკოსი, რევოლუციის მომღერალი. მიუხედავად რევოლუციური სულისკვეთებისა კომუნისტური რეჟიმი არა სწყალობდა, მძიმე ცხოვრება გამოიარა, იყო დევნილი, გადასახლებული. პოემა „მზე“ დაინერა ახალგაზრდობაში, პარიზში სწავლის დროს.

თარგმანი ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ისა და რუსუდან ქუთათელაძის

მაო ნეტუნ-ი

毛泽东

(1893-1976)

პროფესიული რევოლუციონერი, ჩინეთში კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი და პარტიის ლიდერი. 1949-1976 ჩინეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე. დაიბადა ხუნ ანის პროვინციაში. პოეზიაში ეროვნული ტრადიციის მიმდევარია, უძველესი ლიტერატურული ენით, „ვენ-ენით“ წერს და მის ლექსთანყოფის კანონებს ეყრდნობა. ხოლო მისი პროზა და ფილოსოფიური ნაწერები დანერვილია თანამედროვე ენით, პოლიტიკური შინაარსისაა. დატოვა მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა.

მეიხუა . 梅花

ის-ის იყო გაზაფხული გავაცილეთ წვიმით,
თოვლი კი გვეგებება კვლავ
და ყინულსაც, აკი ხედავ, ირგვლივ მოუცავს ყოველი,
მეიხუა ყვავილობს ოდენ.
მას, გაფურჩქენისას, არა სწადია
არავის დაჩრდილოს მშვენება.
გაზაფხულის დადგომას გვაუწყებს ოდენ,
როს აყვავდება მთაზე ყვავილი ნაზი,
ღიმილი მისი მათ შორის აღმოზრწყინდება.

თარგმანი ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ისა და რუსუდან ქუთათელაძის

ნიუ ხან-ი

牛汉

არწივი 鹰

(პოეტი თითქმის არ ხმარობს სასვენ ნიშნებს)

ეპიგრაფი:

ერთი ფოფხვით მიმავალი მამაცი არწივი –
თიენ შან-ის მთის სამხრეთ კალთაზე ნანახი

ნაცრისფერია
ნაცრისფერი და უსაზღვრო ეს უდაბური ხმელეთი, ხედავ
სამი წელი ხუთი წელი, ათი წელი რვა წელი
არ ქუსს
არ ელავს

მხოლოდ მტვერი ცას და მინას შორის ფენილი
დრო-ჟამი ჩარაზული მდუმარეა და რუხი
სივრცეც რუხით მოცული და მდუმარეა
რარიგ ჩამოგავს ნოტიო ნისლს
თავად მწყურვალეს
ერთ ნვეთსაც რომ ვერ გამოსწურავ
შემზარავი სიზმარია, ცოცხალ არსებას რომ მოაშთობს,
თავს ვერ დააღწევ
საზარელ სიზმარს სამანივით ვერ გადასცდები
აღმოვაჩინე სულიერი
უდაბნოს სული

II

არ შეცდები – არწივია, ეს სულიერი
შავი თვალუნვედენი სტეპის არწივი
გარინდული გაშეშებული
მოსისინე უდაბნოში
დანაფებული მხურვალე ქვიშას
ამ მთებივით მოზეიმე და მედიდური

გზააბნეული როდი არის
თვისსავე ქარიშხლიან ბედისწერას
ჩასაფრებული მკვლელის მსგავსად ელოდება

III

ცხრაბალიანი ქარიშხალი
თითქოს მთის დაღებული ხახიდან ამოიფრქვა
ჰოი, ეს უკვდავი და მარადიული სულები უდაბნოს მკვიდრნი
დაე თუკი ამ ამაყ ცხენებს აქლემებს ხარებს თხებს
რაშზე ამხედრებულ მწყემსებს მხედრებს
ან ზეცაში ნარნარად მონავარდე არწივს კამარას რომ ჰკრავს
არავის ძალუძს ლაგამი ამოსდოს –
მხურვალე მხურვალე და საზარელ ქარბორბალას მხოლოდ
არწივი კი ქარბორბალას ხოხვით ფორთხვით
ხან ფრენა-ფრენით აჰყვება და აედევნება
თუ არა და ქარი გაგლეჯს-გაფატრავს
მხოლოდ ბრძოლა დარჩენია მის წინააღმდეგ!

IV

არწივი, სიკვდილისმთესველ ქარბორბალას პირისპირაა
გართხმულა დიდხანს დიდხანს გართხმულა

არწივი ნაბიჯ-ნაბიჯ მიფორთხავს, მილასლასებს
სიცოცხლით სავსე ლონიერი ძლიერი ფრთები
აკავებენ მის სხეულს რომ მობობოქრე ქარაშოტმა
ვერაფრით დასცეს
ვერც მარცხნივ და ვერც მარჯვნივ იგი

(მაშ რატომ არ ფრენს
თავს რომ იწონებს ამ ჟრუნის ფრთებით
გადაევილოს აზიდულ ქედებს
მთის ჩრდილოეთით
სტეპის ბალახოვან ატეხილ შამბში

სად ლურჯი ტბები და გარინდული ჭაობებია
სადაც ბუდობს გედების გუნდი)

V

ამოვარდება ქარბორბალა ისევ ზმუილით
მუცელი მისი უშველებელი
რათა შობოს ქვიშის ნამცეცი, ნანგრევები, საფლავები
დაკბილული სხეული მისი ალესილია
კბეჩს და ლეჭავს თავდავინწყებით
საზღვრებსა და სახედაკარგულ ცასა და მიწას

ეს უხნესი მთაგრეხილები სალი კლდეები
ათასობით წლების მსვლელობით
ზოგნი ქარებით ნაქუცმაცები
გობის უდაბნოს ქვიშად ქცეულნი
(ერთი თქმულება მოგვითხრობს
უდაბნოებში თუ რატომღა უამრავი ქარბორბალა იმიტომ თურმე
როცა ქარი ჩაიფიქრებს
ქარბორბალად აზიდოს ფეხზე სამყაროს ქვიშა

კიდევ და კიდევ შექმნას ახალ-ახალი მთები
მაგრამ ბუნება ცბიერი და შურისმაძიებელია თავის ყოვლისშემძლეობაში)

ქარბორბალა უდაბნოში
მარტო როდია
ერთი მეორეს მოუხმობს ხოლმე
უფრო ამაყს, უფრო თავნებას
აიშლებიან სვეტად მიწაზე თავალერილნი
საკუთარ ღრუვში
ქვა-ლორლსა და ცხოველების სისხლიან გვამებს
გარეშემო მიყრი-მოყრიან
და ღრიალით მიმოფანტავენ
ყურს არ უგდებენ ძველთაძველ საფლავებიდან
ჩონჩხებისა და ფერფლის მოთქმა-ვაებას
და ამიტომაც შორიდანაც ჩანს
ნაცრისფერი ქარბორბალა
მზის სხივებში რომ
საშიშ ფერთა ათინათებით დალაქულია

VI

„მეტოქეთა ვინროა ბილიკი“
ქარბორბალას გულისგულში
როგორც ნესი ყოველთვის მხოლოდ
არწივია –
უდაბნოს ათასობით ვერსში
ერთადერთი ცოცხალი არსება
არწივი მიწაზე გართხმული კვლავინდებურად
აისიდან მზის ჩასვენებამდე მუხლოდრეკით მლოცველ
უდაბნოში მოლასლასე მწყემსებებით
მარცხნივ და მარჯვნივ ფართოდ გაშლილი ფრთებით
მტკიცედ მიტმასნული არც თუ სანდო დედამიწას
თავისი მოკაუჭებული ნისკარტითა და ბასრი ბრჭყალებით
ხერხის კბილანებისაებრი ფრთათა ნვეტებით
ჩარჭობილა სიღრმისად მხურვალე უდაბნოს დიუნებში
ვითარცა მახვილის ზეატყორცნილი ნვეტი

მომლოდინე წამისა რომ მოვარდნილი ქარბორბალას ცარიელი მუცელი ზედ წამოიგოს

ქარბორბალა ზედიზედ
დაეძგერება არწივს
თავსა და ზურგზე ამოჰკორტნის ფრთებსა და ბუმბულს
მანამ ვიდრე მთელ ბუმბულს არ გააცლის ნაკრტენს
თანაც ენით ალოკავს სისხლფაფად ქცეულ კანის ნარჩენებს
და მხოლოდ ფრთებიღა არ დამსხვრევია თუმც მთლად შიშველ-ტიტველია
ისინი ცის მსგავსად
მარადიულნი და ურყევენი არიან

კიდევ ერთი სტეპის არწივი
მას მერე იქცა მელოტ გრიფონად

VII

განზილებული ქარბორბალა ფეხაკრეფით იძურნება მერე შორეთში
ფხიზელი არწივი ჯერაც გაშეშებული გართხმულა
მთები მდუმარებენ მედიდურად და ისიც მთებსავით მდუმარეა
ხოლო გამელოტებულ თავის ქალიდან და ზურგიდან
საბედისწერო
ზეიმური შურისძიების ალი ვარდება

არ მომკვდარა არწივი
მან გაიმარჯვა
ფრთხილად ააღერა თავი
უზარმაზარ ფრთათა აქნევით აზიდა დაფლეთილი სიცოცხლე
აქნევს აქნევს
ფრთების ეს მოყიჟინე ქნევა
მის ირგვლივ ყოველი მხრიდან ატეხავს
ქარს წინასწარმეტყველურად მომღერალს ფრენისა

ხატება არწივისა და მისი ფრენისა
კიდევ უფრო დიადი და მშვენიერია

აგერ გადაევლო მთას ათიათასი წელი მიწაზე რომ მიეთრეოდა
ქარი-დალაქის მიერ შიშველ ძვლებამდე გადაპარსულ მთაგრეხილს

სისხლოფლნარევი ცხენი 汗血马

ათას ვერსს რომ გადაიქროლებ უდაბნოში ნაკადულსაც იხილავ მერე
ათას ვერსს რომ გადაიქროლებ უდაბნოში სტეპსაც მიაღწევ

ივლის-აგვისტოს ხორშაკ დღეებში
ცეცხლად ქცეულან გობის მიწები
ერთადერთი ქროლვა ძლებს მხოლოდ
ოთხივე ფლოქვი ქარიშხალს ატეხს
მაშინლა იგრძნობს მკერდი ქარს
მაშინლა გაჰკვეთს მზურვალე ღრუბლებს უთვალავ ვერსზე
ოფლის ცვარით დარწყულდება ქვიშის სიმშრალე

თეთრ ლაქებად ზურგს მოუხატავს
დაშრება ოფლი
და ნალველაც დაინრიტება
ცხენის მზერა კი შორეთს მისწვდება
განიერ მკერდის კუნთებს დაადგება სიმკვრივის ჭვალი
შენსავ სიცოცხლეს ევედრები რომ შეგენიოს
ბეჭით გავამდე
სისხლისფერი მარგალიტების ნამს გამოსწურავ
ამბობენ
მხოლოდ ამ არსებებსო
შერწყმული აქვთ სისხლი ოფლთანო
ცხენებს ბეჭებზე მართლა ფრთები ასხია განა
და არც მათ ოთხ ფლოქვს შეუძლია ქარის ატეხვა
რა იცის ცხენმა იდუმალი თქმულებანი კაცთა მოდმისა
გუმანით გრძნობს, სულ ასე წინ რომ უნდა იფრინოს ჭენებ-ჭენებით
აისის წითლად შეფერილი ღრუბელივით მთელ სხეულზე
ოხშივარი უდის სისხლისა
რომ გადალახოს მარად თოვლიან მთათა მწვერვალი
და ზეციურ გაყინულ ღრუბლებში
მოინელოს განუწყვეტლივ თავის სიცოცხლე
ბოლო წვეთამდე
გაძვალტყავებულს კვლავინდებურად შესწევს ძალ-ღონე ათასი ვერსი იჭენოს
ასე იჭენოს

ჰოი, როცა
სიცოცხლის უკანასკნელ მწვერვალს გადახვალ და დაეცემი
გარდაიქმნები თოვლის ფიფქივით
სპეტაკ ყვავილად

ქ. ურუმჩი. 1986წ. აგვისტო

განმარტება: ჩინელების ძველი წარმოდგენით თიენ შან-ის მთებში მობინადრე ცხენის ჯიშს სისხლისა და ოფლის სადინარები შეერთებული ჰქონდათ. რაც სინამდვილეში ბუნებაში არა არსებობს. ამ ჯიშის ცხენებს „ციურ რაშებს“ უწოდებდნენ და მათ უამრავ ღირსებას კიდევ ამ თვისებასაც მიანერდნენ. ამ ჯიშის ცხენებს ტყავი აქვთ ნაზი და თხელი, ამიტომ უნაგირი ადვილად ხეხავს, გამოედინება სისხლი, რომელიც ითქვიფება ოფლში. ეს, სხვათა შორის, გამოაწრობს კიდევაც მათ. ძალზე გამძლენი არიან, ბრძოლებშიც დაუმარცხებლები იყვნენ, ზღაპრული ფასი ედოთ. უწინ მიაჩნდათ, აგრეთვე, რომ ესხათ ფრთები, რომლებსაც ჭენებისას გაშლიდნენ, რაც აყენებდა საოცარ კორიანტელს, ქარბუქს. რემა კი ფრენის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ჩინურად ხან სიუე მა: ხან – სისხლი, სიუე – ოფლი, მა – რაში, ცხენი, მერანი.

ნიუ ხან პოეტის ფსევდონიმია. ნამდვ. გვარ-სახელია ში ჩენგხან. ლექსები ურითმოა, მაგრამ მძაფრი რიტმი აქვთ.

თარგმანი ლიუ-ყანდარელი კუანგვენისა და რუსუდან ქუთათელაძის

ლირიკა 诗作

ერთი ლექსი მაქვს, მსგავსი მჭვირვალი ნაკადულისა,
ანაზღად ფერად-ფერადი ტალღა აათრთოლებს ზედაპირს წყლისა;
ეს ლექსი მე არ დამინერია,
ეს თევზებია, ნაკადულში საჰაერო ბუშტებს ბერავენ.

ყველა ჩემი ლექსი ჩემს სულში დაგუბებულა,
როგორც ზღვები უსაზღვრო, როგორც დიდებული მთები;
როგორც ველურ მინდვრებში ბალახი ხშირზე ხშირი,
ისევე ვით ჩაუქრობელი ლამპარი,
მეხისტება ღამის წყვრიადშიც რომ არა ქრება.
მე მაქვს ერთი ლექსი, ჰგავს დაბურულ ტყეს,
რა საამური მუსიკა ესაღბუნება სმენას;
ეს ლექსი მე არ დამინერია,
ეს ჩიტებს აუტეხავთ გამარჯვების ნალარა.

ყველა ეს ლექსი თუ ლექსუკა, ჩემს გრძობათა ნაფლეთებია, როგორც აისი რიჟრაჟზე ამონვერილი,
ვითარცა დაისი მიმწუხრისას მინავლული;
როგორც ციმციმა ვარსკვლავი, ღრუბლებით გადაფარული,
ვით ქარბუქი, თან რომ წარიტაცებს უდაბნოს მარადიულ ქვიშას.

მთვარის სამშობლო 月亮.

ცაში ერთი მთვარეა
წყალში ერთი მთვარეა
ცაში მთვარეა წყალში
წყალში მთვარეა ცაში

დავხარე თავი ვხედავ წყალში
აენიე თავი ვხედავ ცაში

ვუმზერ მთვარეს,
ვფიქრობ სამშობლოზე
ერთი წყალში
ერთი ცაში

გაზაფხულები შემოდგომები მეოცე საუკუნეში 20 世纪的春秋

გაზაფხულზე ცვივა ყვავილი!
ზაფხულში მოდის წვიმა!
შემოდგომაზე ცვივა ფოთოლი!
ზამთარში მოდის თოვლი!

და მე მხოლოდ ოცდაათი წლისას გადმომცვივდა ცრემლი.
და მე მხოლოდ სამოცი წლისას ჩამომცვივდა თმა.

გაზაფხულზე ცვივა ყვავილი.
ზაფხულში მოდის წვიმა.

ფენგ პანგტენ-ი ცნობილი პოეტია(1949) გადასახლდა თაივანზე, ხოლო 1973-დან ცხოვრობს აშშ-ში. მუშაობს პოეზიის თეორიის საკითხებში, პროფესორი. წერს ორ ენაზე. იბეჭდება აშშ-ში და ჩინეთში.

მთარგმნელები ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი, რუსუდან ქუთათელაძე

იგავები და ელექტრონული მოთხრობა 寓言; 电子文学

ვანგ ლიცინგ-ი

王莉清

ცხოველების გაბაასება

动物聊天

ყოველკვირეული „სახალხო საკითხავი გაზეთი“ 2005 წელი, 25 თებერვალი-3 მარტი

1. გოჭუნა: დედა, ხალხი ასეთი უნარიანი და ყოჩაღები არიან, რატომ გვივლიან ასე?

დედა ღორი: ეს არის განსაკუთრებული ჭკუა ადამიანთა. მართალია, შეიძლება ვცხოვრობდეთ უდარდელად, ვსვათ და ვჭამოთ, მაგრამ ეს ჩვენი სიცოცხლის საფასურია; ხალხი გვივლის, რომ მერე შეჭამოს ჩვენი ხორცი. თავიდან იხარჯება, შემდეგ იღებს, დასაწყისში შვილიშვილი ხარ, შემდეგ ხდები პაპა, ეს ისეთი საქმეებია, რომელშიც კაცობრიობას განსაკუთრებული ნიჭი აქვს.

2. შვილიკო მელაკუდა: შენ თუ არ გაგისინჯავს ყურძენი, რატომ ამბობ, ყურძენი მყავება, ნუთუ ეს ცოტა თვალთმაქცობა არაა?

დედა მელა: უყურე ამ პატარას, როგორ განიკითხავს დედას? ზოგადად, ასეთ რამ არ ყოფილა, ეს ხალხის მონაგონია; კაცობრიობა, როგორც ყოველთვის ფარისეველია და ამიტომ მუდამ ეჭვი აქვს, რომ დანარჩენი ყველა ცხოველი თვალთმაქცია, ეს არის ადამიანის თვისებებში ყველაზე ძირდამპალი თვისება.

3. პატარა ზღარბუკელა: ჩვენ მთელი სხეული ეკლიანი გვაქვს, ამიტომ ბავშვებს არ ვუყვარვართ, რისთვისაა საჭირო ასეთი გრძელი ეკლები?

დედა ზღარბი: ვეფხვი, მართალია ლამაზი და დარბაისელია, მაგრამ მათი ჯიშში მალე გადაშენდება. მართალია, ჩვენი ცხოვრება არც ისე ტკბილია, მაგრამ ჩვენ კიდევ შეგვიღია ცხოვრების გაგრძელება, ეს ჩვენი ეკლების დამსახურებაა: უძველესი დროიდან ამბობენ: „ლამაზმანების სიცოცხლე, ხშირ შემთხვევაში ხანმოკლეა“. შვილიკო, ეს სიმართლე შენ აუცილებლად უნდა გაიგო.

4. პატარა კუ: ჩვენ მთელი დღეები უსაქმურად ვართ და ყოველთვის ნახევრადმშვივრებიც, ჩვენი გვარის სიზარმაცის გამო პირდაპირ ვნითლდები.

დედა კუ: პატარავ, შენ რა გაგეგება? მართალია ზარმაცები ვართ, ნელები, მაგრამ ცოტასაც ვხარჯავთ. ჩვენ არ ვართ ის ფაციფუცა ხალხი, რომლებიც სურვილით იწვიან. ამიტომ ჩვენ, კუები ყველაზე ხანგრძლივად ვცხოვრობთ; თავგები გაუთავებლად თხრიან და ღრღნიან და მოთხოვნილებაც დიდი აქვთ, ამიტომ ისინი ხალხს ეჯავრება. სიცოცხლეს ხანმოკლე აქვთ. მათთან შედარებით ყველაზე ბრძენი ცხოველები ვართ, რომელს კუს უნახავს 1000 წლოვანი ადამიანი? ღმერთი სამართლიანია, ის ჯიშები, რომლებიც სიცოცხლით მეტად ტკბებიან, მით უფრო ხანმოკლე სიცოცხლე აქვთ.

მთარგმნელები ლიუ-ყანდარელი კუანგვენ-ი, ნინო დალუნდარიძე

ელექტრონული მოთხრობა 电子文学

ამ ადგილზე დაჯდომა არ შეიძლება

这个位置不能坐

ჩინეთში ცხოვრებისას, ერთ დღეს გაზეთების ჯიხურში გადავანყდი პატრა ჟურნალს. თავდაპირველად მიმიზიდა მისმა ყდამ, რომელზეც ძალიან ლამაზი, სევდიანი სურათი იყო გამოსახული. თავისუფალ დროს ხატვა მიყვარს ხოლმე და ვიფიქრე, ასეთი ლამაზი სურათი გამომადგება და ამიტომაც ჟურნალი ვიყიდე. ცოტა ხნის შემდეგ, დამაინტერესა, თუ რის შესახებ იყო ჟურნალი. აღმოვაჩინე, რომ ეს იყო ახალგაზრდა მოყვარული მწერლების ნაშრომების კრებული, რომელიც ინტერნეტის მეშვეობით შეიქმნა. კრებულში ძირითადად მოთხრობილია საშინელი ისტორიები, რომლებსაც მისი მკითხველები თხზავენ, ან, როგორც ზოგი ამბობს, საკუთარი გამოცდილებიდან იღებენ, მაგრამ მთელი განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ ჟურნალს არ ყავს რედაქტორი, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით და არ ყავს მუდმივი ავტორები. ეს ჟურნალი და მისი ისტორიები თანამედროვე ვირტუალური სამყაროს პირმშოა. მისი შექმნა ონლაინ რეჟიმში, ჩინური ინტერნეტ ქსელის, ქიუ ქიუს მეშვეობით ხდება. თანაც ჟურნალში ნაშრომის გაგზავნა ყველას შეუძლია. ძირითადად ჟურნალის შემქმნელები ჩემი ტოლი სტუდენტები არიან. ჩემი აზრით ამგვარი მოვლენა ყურადღებას იმსახურებს, ამიტომაც გადავწყვიტე ჟურნალიდან ერთ-ერთი ისტორია გადამეთარგმნა.

ადგილი, რომელიც აჰიპნოზებს

დაჯდომისთანავე იაო ფეიფეი-მ ბარაქიანად დაამთქნარა, შემდეგ კი მაგიდაზე ჩამოდო თავი და მთელი ლექციის განმავლობაში ეძინა.

ტრიბუნაზე მდგარი პროფესორი დროდადრო ცივად გახედავდა მძინარე სტუდენტს, რის გამოც მის გვერდით მჯდომ მეგობარს, ჟუ სიაოსიუ-ს ცივი ოფლი ასხამდა. იაო ფეიფეი უნივერსიტეტის სამაგალითო სტუდენტია, ყოველ დღე ლექციებს ბეჯითად უსმენს, მაგრამ დღეს რა დაემართა? ყველასათვის მოულოდნელად დასავლეთის ფრთის დიდი აუდიტორიის მეცხრე რიგის შუა მაგიდაზე თავჩამოდებულს ეძინა.

იაო ფეიფეი-ს ტკბილი ძილი უკვე სტუდენტების ცხარე ინტერესს იწვევდა.

ლექციის ბოლოს ჟუ სიაოსიუ-მ, როგორც იქნა გააღვიძა მეგობარი. იაო ფეიფეი-მ თავი წამოწია, მისი მოძრაობები უცნაურად მოუქნელი იყო, თითქოს ის ცოცხალი ადამიანი კი არა, ძაფებით ჩამოკიდებული მარიონეტია. იგი ოდნავ შეირყა და გაიცინა, შემდეგ კი ჟუ სიაოსიუ-საკენ შემობრუნდა და მეგობარმა დაინახა, რომ იაო ფეიფეი-ს თვალებში არ ჰქონდა გუგები, მხოლოდ ორი ცარიელი თეთრი ხვრელი.

„ვაიმე!“ - წამოიყვირა შეშინებულმა გოგონამ. მისი ყვირილით გაოცებულმა იაო ფეიფეი-მ თითქოს გამოიღვიძა, ხელი ჰკრა მეგობარს და ჟუ სიაოსიუ-მ დაინახა, რომ ფეიფეი-ს თვალები ისევ ნორმალური ჰქონდა და საერთოდ, იგი ისევ ისეთივე იყო, როგორც ყოველთვის. ნუთუ ყველაფერი რაც ამ წუთას მოხდა ჟუ სიაოსიუ-ს მოეჩვენა?

გოგონები საერთო საცხოვრებელში დაბრუნდნენ. გზაში იაო ფეიფეიმ ჟუ სიაოსიუ-ს უთხრა: „ახლახანს გაკვეთილზე, არ ვიცი რატომ, დაჯდომისთანავე ძილი მომერია და თვალები როგორც კი დავხუჭე, მაშინვე ჩამეძინა. ამის გარდა, საშიში სიზმარი დამესიზმრა!“

„რა დაგესიზმრა?“ - იკითხა მეგობარმა.

„დამესიზმრა, რომ მე და ლი ლელი ერთად ნავედით კინოთეატრში. დარბაზის ყველაზე უკან რიგში დაჯექით, ძალიან ბედნიერები ვიყავით. უეცრად ვიგრძენი, თითქოს ვილაც მხარზე შემეხო. შიშისგან კინაღამ მოვკვდი, ჩვენ სულ ბოლო რიგში ვიჯექით, იქ არავინ არ უნდა ყოფილიყო! თავი იქეთ შევაბრუნე და ამ დროს ვილაცამ სილა გამანწა.“

„ჰა ჰა!“ - გაეცინა ჟუ სიაოსიუ-ს - „ეს სიზმარი მართლაც ამაღელვებელია!“

„ნუ დამცინი!“ - იაო ფეიფეი-მ მრისხანედ გახედა მეგობარს - „ისე ძლიერად დამარტყა, რომ თვალებში დამიბნელდა და თავბრუ დამეხვა, ვერ დავინახე ვინ იყო. ამ დროს ქალის ხმა გავიგე, იგი ლი ლელი-ს ეუბნებოდა: „თურმე ჩემს ზურგს უკან სხვა ქალი გაიჩინე?“ ის კი პასუხობდა: „რატომ გიყვარს ძილი ასე ძალიან?“

„რა საინტერესოა, ეს სიზმარი ეჭვიანობის სიზმარი ყოფილა. მერე რა მოხდა?“ - დაინტერესდა ჟუ სიაოსიუე.

„მერე, როგორც იქნა გონზე მოვედი, მაგრამ ის ქალი უკვე შორს წასულა, თითქოს ქარი ყოფილიყო. მე კარგად დაეკვირდი, და დავინახე, რომ ბოლო რიგი ძალიან ახლოსაა კედელთან, ისე ახლოს, რომ სკამებსა და კედელს შორის ადამიანი ვერ ჩაეტევა, აქედან გამომდინარე ის ქალი რომელიც ახლახანს ჩემს უკან იდგა... ადამიანი სულაც არ ყოფილა?!“

ორივე გოგონას გააჟრიალა. ჟუ სიაოსიუე-მ იაო ფეიფეი-ს მხარზე ხელი მოუთათინა: „კარგი, მართლაც საშიში სიზმარი ყოფილა!“

იაო ფეიფეი-მ ყოყმანის შემდეგ თქვა: „შესაძლოა ეს სიზმარი ახდეს. მითხარი, ლი ლელეი-ს ჩემამდე შეყვარებული ყავდა?“

ჟუ სიაოსიუე-მ გულწრფელად უპასუხა მეგობარს: „ლი ლელეი ისეთი ბიჭია, რომ შენამდე ნამდვილად ეყოლებოდა შეყვარებული.“

იაო ფეიფეი-მ თავი დახარა. ამას იგი თვითონაც ხვდებოდა. ლი ლელეი ძალიან რომანტიული ყმანვილია, მისი ჰობი ფილმები, კინემატოგრაფიაა. იაო ფეიფეი-მ და ლი ლელეი-მ ერთმანეთი ზუსტად კინოთეატრში გაიცნეს. იმ დღეს ისინი სრულიად შემთხვევით ერთმანეთის გვერდზე დასხდნენ, ორი ახალგაზრდა კინოს გამირების აკვარგს გულისტკივილით ადევნებდა თვალს. ლი ლელეი-მ თითქოს თანამოაზრე იპოვა, იაო ფეიფეის-თან საუბარი გააბა, შემდეგ ტელეფონის ნომერი სთხოვა, ამის შემდეგ ახალგაზრდები ერთმანეთს ხშირად ხვდებოდნენ და ფილმებს ერთად უყურებდნენ. ნელ-ნელა მათი მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდა.

„სიყვარული, რომელიც კინოფილმების გამო დაიწყო, მე ვიცოდი, რომ ჩემსა და ლილეი-ს შორის არსებული გრძობა არც ისე ძლიერი იქნებოდა.“ - თქვა იაო ფეიფეი-მ - „მაგრამ მე ის მიყვარს და სხვა გამოსავალი არ მაქვს.“

გოგონებმა ამით დაამთავრეს საუბარი.

უეცრად, ჟუ სიაოსიუე-მ აღმოაჩინა, რომ მობილური ტელეფონი აუდიტორიაში დარჩენია. მან იაო ფეიფეი ოთახამდე მიაცილა, შემდეგ კი ტელეფონის საპოვნელად გაბრუნდა. აუდიტორიაში რომ მივიდა, იქ მუზობელი ჯგუფიდან ლიაო ნი დახვდა. ლიაო ნი იმავე ადგილას იჯდა სადაც ცოტა ხნის წინ იაო ფეიფეი, მასაც მაგიდაზე ჰქონდა თავი ჩამოდებული და არ ინძრეოდა. მობილურის მოსაძებნად მოსული ჟუ სიაოსიუე განგებ დააკვირდა ლიაო ნი-ს და აღმოაჩინა, რომ მას ღრმად ეძინა, ისევე როგორც იაო ფეიფეი-ს.

ეს ადგილი ძალიან უცნაურია, ვინც კი დაჯდება, მაშინვე იძინებს. ჟუ სიაოსიუემ იპოვა ტელეფონი და მაშინვე საერთო საცხოვრებლისკენ გაემურა.

უცნაური სამსახური.

დილით ამდგარი იაო ფეიფეი-ს ძალიან ცუდი ფერი ედო. მთელი ღამე გული ერეოდა და მაღალი სიცხე ჰქონდა.

„იაო ფეიფეი, დღეს გაკვეთილებზე არ წახვიდე, ნახე რა მდგომარეობაში ხარ!“ არწმუნებდა მას ჟუ სიაოსიუე, მაგრამ გოგონამ ჯიუტად გაიქნია თავი და სიაოსიუე-სთან ერთად ლექციებზე წავიდა. აუდიტორიაში რომ მივიდნენ, ფეიფეი ისევ იმავე ადგილას დაჯდა. როგორც კი დაჯდა, მაშინვე ჩაეძინა.

ჟუ სიაოსიუე მის გვერდით დაჯდა და მეგობრის სუნთქვას უსმენდა, მასაც მოუნდა ძილი. საერთოდ, ჟუ სიაოსიუე-ს სულ არ ყოფნიდა ძილი. რთული ოჯახური პირობების გამო, მას ყოველდღე რამდენიმე სამსახურში უწევდა მუშაობა. ამის გამო იგი ყოველთვის გადაღლილი იყო. მარტო დღისით რომ ემუშავა, ჟუ სიაოსიუე ასე დაღლილი არ იქნებოდა, მაგრამ ცოტა ხნის წინ მან იპოვა ერთი ძალიან უცნაური სამსახური.

არც ისე დიდი ხნის წინ, ჟუ სიაოსიუე-მ ინტერნეტში გამოაქვეყნა განცხადება იმის შესახებ, რომ სამსახურს ეძებს. მეორე დღეს შუალამისას მას ვილაც ადამიანმა დაურეკა და სთხოვა, ერთ ძალიან შორ ადგილას წასულიყო გასაუბრებაზე. ამ ადამიანის მიერ შეთავაზებული ანაზღაურება ძალიან მაღალი იყო, თვეში ხუთი ათასი იუანი. მაგრამ მან ჟუ სიაოსიუე-ს არ უთხრა თუ ზუსტად რაში მდგომარეობდ მისი სამსახური, მხოლოდ თხოვა, რომ გასაუბრების ადგილას მისულიყო.

ჟუ სიაოსიუე-მ იმ დროს გადაწყვიტა, უარი განეცხადებინა ამ სამსახურზე, მაგრამ შემდეგ ხელფასის ოდენობა მაინც იზიდავდა. ბოლოს გოგონამ ვერ მოითმინა და დარეკა იმ ნომერზე, მაგრამ ტელეფონის ყურმილში მხოლოდ ქვითინი გაიგონა.

ქალის ინტუიცია კარნახობდა ჟუ სიაოსიუე-ს, რომ ეს სამსახური სახიფათო იქნებოდა, მაგრამ ფული ჯოჯოხეთსაც ანათებს, ასე რომ გოგონამ გამბედაობა მოიკრიბა და გასაუბრებაზე წავიდა.

პირველ დღეს საღამო ხანს ჟუ სიაოსიუე მივიდა მითითებულ ადგილას. ეს იყო ქალაქის ცენტრი, მაღალი მრავალსართულიანი შენობებით, რომელთა მაცხოვრებლები გავდნენ ჭიანჭველებს, რომლებიც თავიანთ ბუდეში განუწყვეტლივ წინ და უკან დადიან. როდესაც ლიფტი ერთ-ერთი ასეთი შენობის ოცდამესამე სართულზე გაჩერდა, ჟუ სიაოსიუე მიხვდა, რომ ამ ქვეყნად ყველაზე საშიში ადგილი რაიმე იზოლირებული ქალაქგარეთ სოფელი კი არა, არამედ ყოველ ნაბიჯზე აზიდული ცივი ცათამბჯენების ჯუნგლებია. ასეთ ადგილას ადამიანი ძალიან პატარა და უმნიშვნელოა, მას არავინ მიაქცევს ყურადღებას.

ყუ სიაოსიუე-მ შეალო კარი. იგი სიბნელემ მოიცვა. გოგონას შიშისგან უკან დაბრუნება მოუნდა, მაგრამ ვილაც მამაკაცმა იგი ოთახში შეათრია. სიბნელეში გოგონა ვერაფერს ხედავდა, მაგრამ გაიგონა მამაკაცის ხმა: „ნუ გეშინია...“

ყუ სიაოსიუე-მ იგრძნო, რომ მამაკაცის ხელები თბილი ჰქონდა და ცოტა დამშვიდდა.

მამაკაცმა უთხრა გოგონას, რომ მისთვის ღამის ადამიანი დაეძახა. ყუ სიაოსიუე მის სახეს ვერ ხედავდა, მხოლოდ გაურკვეველად არჩევდა, რომ მას ნიღაბი ეკეთა, ხმაც რაღაც ინსტრუმენტის გამოყენებით შეცლილი ჰქონდა. სამუშაო, რომელსაც ყუ სიაოსიუე ასრულებდა ძალიან ადვილი, მაგრამ ამავე დროს ძალიან უცნაური იყო. მის მოვალეობაში მხოლოდ ამ ბნელ ოთახში მთელი ღამის განმავლობაში ჯდომა შედიოდა.

„აქ სანამ ზიხარ, ყველაფრის გაკეთება შეგიძლია რაც გინდა, არ უნდა დაიძინო.“ უთხრა მას ღამის ადამიანმა. გოგონამ თავი დაუქნია და თავის ადგილას დაჯდა. უცნობმა და შიში, სიბნელესთან ერთად გარს ერტყმოდა გოგონას. დაახლოებით ორი საათის შემდეგ ყუ სიაოსიუე-მ ქალის ნაბიჯების ხმა გაიგონა. მან მოჩვენებებზე გაიფიქრა და აკანკალდა, მაგრამ ფეხის ნაბიჯების ხმა მას არ მიუახლოვდა.

იმ დღიდან მოყოლებული, ყუ სიაოსიუე ყოველ ღამეს ცათამბჯენის ოცდამესამე სართულზე ათენებდა.

როგორ შეეძლო მას ახლა ფხიზლად ყოფნა? მან თავის თავს უთრა: არაფრით არ შეიძლება ძილი, არც დღისით, არც ღამით.

უცბათ, ყუ სიაოსიუე-მ იგრძნო, რომ მის გვერდით მჯდომ იყო ფეიფეი-ს კრუნჩხვები დაენყო, გოგონა ძილში ტკვილისგან კვნესოდა. მთელი ჯგუფი იყო ფეიფეი-ს უყურებდა, ყუ სიაოსიუე-მ მეგობრის გაღვიძება სცადა. ფეიფეიმ თვალეები რომ გაახილა, მის თვალეებში გუგების მაგივრად ისევ ცარიელი თეთრი ხვრელები იყო, შემდეგ მან ძლიერად დაახველა, სახე გაუფითრდა. კათედრასთან მდგარმა პროფესორმაც მიაქცია მათ ყურადღება და უთხრა ყუ სიაოსიუე-ს მეგობარი საერთო საცხოვრებელში წაეყვანა.

ყუ სიაოსიუე მიეხმარა იყო ფეიფეი-ს საერთო საცხოვრებელამდე მისულიყო, მაგრამ გოგონას მდგომარეობა არ გაუმჯობესდა. იგი კანკალებდა და თანდათანობით უფრო და უფრო სუსტდებოდა როგორც ქარისაგან მონყვეტილი ფოთოლი.

არ დაჯდე

მესამე დღეს იყო ფეიფეი ისევ იმავე ადგილას დაჯდა და როგორც მკვდარს, ისე დაეძინა. საერთო-საცხოვრებელში დაბრუნების შემდეგ იყო ფეიფეი-ს გული აერია. ყუ სიაოსიუე-მ ველარ გაძლო და მეგობარს შეეხვეწა: „ფეიფეი, ნუ სულელობ, ნულა ჯდეები იმ ადგილას!“

გოგონამ ჯიუტად გაიქნია თავი: „არა, მე არ მჯერა ამ ცრურწმენის!“

თურმე იყო ფეიფეი-მ ადრეც იცოდა რომ ის ადგილი ცუდი იყო, მაგრამ განგებ ჯდებოდა იქ, მიუხედავად იმისა, რომ მისი ჯანმრთელობა ყოველ დღე უარესდებოდა. ეს ყველაფერი იყო ფეიფეის შეყვარებულის, ლი ლელეი-ს გამო ხდებოდა.

სამი დღის წინ, იყო ფეიფეი და ლი ლელეი ერთად ნავიდნენ კინოფილმის საყურებლად. ფილმი მოჩვენებებზე იყო, მასში მოყოლილი იყო ადგილზე, რომლის საშუალებითაც მოჩვენებებს შეუძლიათ ცოცხალი ადამიანების სხეულში შესახლდნენ, მათი სხეულები ითხოვონ. ეს ადგილი არის განსაკუთრებული სივრცე, სადაც მკვდრები და ცოცხლები ერთმანეთს ენაცვლებიან. ცოცხალთა სამყაროში არის ისეთი ადგილები, სადაც მოჩვენებებს შეუძლიათ ჩვენს სამყაროში შემოიღწევა. თუ ადამიანი ასეთ ადგილას დაიძინებს, მკვდარ სულს შეუძლია მისი სხეული „ითხოვოს“. გარკვეული დროის შემდეგ ადამიანი დასუსტდება, ხოლო სულს შეუძლია სიკვდილის პირას მისული სხეული მიიღოს.

ამ ფილმს ლი ლელეი მოჯადოებულებით უყურებდა, იყო ფეიფეი-მ კი, რომელსაც ამგვარი მისტიკის არ სჯეროდა, ხმალალა დასცინა. ლი ლელეი ძალიან გაბრაზდა და იყო ფეიფეი-ს ეჩხუბა. ახალგაზრდები ერთმანეთს გულგატეხილები დაშორდნენ.

იყო ფეიფეი იმედოვნებდა, რომ ლი ლელეი პირველ ნაბიჯს გადადგამდა და ბოდიშს მოუხდიდა მას. იმავე საღამოს იყო ფეიფეი-მ ლი ლელეი-სგან შეტყობინება მიიღო: თუ არ გჯერა ამ ცრურწმენის, წადი და შენ თვითონ გამოსცადე. ჩვენს უნივერსიტეტში არის ერთი ისეთი ადგილი, სადაც შეგეძლება მოჩვენებას ათხოვო შენი სხეული. თუ ამ ადგილზე შვიდი დღის განმავლობაში იჯდე, მაშინ ბოდიშს მოგიხდის. თუ არა და ჩვენ ერთმანეთს აღარ ვნახავთ. რა თქმა უნდა, ამ შეტყობინების გაგზავნის შემდეგ ლი ლელეი გაქრა.

იყო ფეიფეი-ს სხვა გზა არ ჰქონდა, მხოლოდ ლი ლელეის მიერ მითითებულ ადგილას ჯდებოდა, იძინებდა და ყოველ დღე ჯანმრთელობას იზიანებდა.

„შესაძლოა ლი ლელეი-მ ეს უბრალოდ თქვა, ამის გამო სისულელები ხომ არ უნდა ჩაიდინო!“ არნ-მუნებდა მას ყუ სიაოსიუე.

იყო ფეიფეი ჯიუტად პასუხობდა: „მე იმდენად მიყვარს ლი ლელეი, რომ მას ასე ადვილად არ დავთმობ!“

საერთო საცხოვრებელში დასუსტებული იყო ფეიფეი ჩუმად ტიროდა. ნუთუ არის რამე საოცარი იმაში, რომ იგი სიყვარულისთვის მზად იყო სიცოცხლე დაეთმო?

როდესაც ყველამ დაიძინა, ყუ სიაოსიუე ჩუმად გავიდა ოთახიდან, იგი ისევ სამსახურში მიდიოდა.

ყუ სიაოსიუე-ს ძალიან ეძინებოდა, იგი მოთენთილი მიდიოდა საერთო საცხოვრებლის დერეფანში.

იქ შუქი სენსორების მემწეობით ირთვებოდა, სადაც გოგონა დააბიჯებდა, შუქი იმ ადგილას ინთებოდა, სადაც შუქი არ იყო ისე ბნელოდა, რომ ვერაფერს ვერ დაინახავდი. უცბად წინიდან ქვითინის ხმა მოისმა, შუ სიაოსიუე-ს შიშისგან კანკალი დაანყებინა, ჩაბნელებულ დერეფანში მან ბუნდოვნად დაინახა ქალის მორთოლვარე აჩრდილი, რომელიც საცაა მას დაეჯახებოდა.

აა! „დაიყვირა შეშინებულმა შუ სიაოსიუე-მ, მაგრამ მალევე დაინახა, რომ ეს მოჩვენება კი არა, მისი პარალელური ჯგუფი ლიაო ნი იყო. ლიაო ნი-ც შეშინებული ჩანდა, მან უკმაყოფილოდ გახედა შუ სიაოსიუე-ს: „ამ ღამით აქ რას აკეთებ, მოჩვენებასავით რომ ყვირიხარ?!“

შუ სიაოსიუე-მ მორიდებით მოიბოდიშა. ალბათ მას ძალიან ეძინება და უბრალოდ მოეჩვენა.

ლიაო ნი მაშინვე არ წასულა, იგი შუ სიაოსიუე-ს პირისპირ დადგა, ყურადღებით ჩახედა გოგონას თვალებში და თქვა: „შენ თითქოს რაღაც ჭუჭყიანი გაქვს შემოხვეული.“ გოგონას კანკალი დაეწყო. „ამ ორი დღის განმავლობაში კარგი იქნება რომ არ დაიძინო.“ განაგრძობდა ლიაო ნი „თუ დაიძინებ, მაშინ შენში ვინმე ჩასახლება.“ შუ სიაოსიუე-ს შიშისგან გული აუფანცქალდა. გოგონა კარგა ხანს იდგა ბნელ დერეფანში და ვერ ინძრეოდა. „არაფერია, ეს არაფერია, მე უბრალოდ ძალიან დავიღალე და ყველაფერი ამის ბრალია“ იმშვიდებდა თავს გოგონა.

როდესაც შუ სიაოსიუე-მ გზა განაგრძო, მას უცებ გაახსენდა ერთი რამ: ახლახანს ლიაო ნი მას დერეფნის ბოლოდან მიუახლოვდა, მაგრამ სადაც ის მიდიოდა, სენსორული შუქი რატომ არ ინთებოდა? ნუთუ სენსორებმა ლიაო ნი ვერ იგრძნეს?

გულში დასადგურებული შიშის გრძნობით გოგონა ისევ მივიდა თავის უცნაურ სამსახურში. სიბნელებში ჯდომისას მას ნელნელა მონყენილობა და დაღლილობა ერეოდა. მას თვალები ეხუჭებოდა და თვლემას იწყებდა, გულისცემაც თითქოს შეუნელდა. უცბად ვილაცის ხელებმა შეარყია იგი. შუ სიაოსიუე-მ შიშისგან წამოიყვირა.

„ნუ გეშინია, მე ვარ“ გაისმა ღამის ადამიანის ხმა „დავინახე, რომ მალე ჩაგეძინებოდა და მოვედი, რომ დაგელაპარაკო. გინდა ერთ ამბავს მოუხსინო? შესაძლოა მისი მოსმენის შემდეგ ძილი აღარ მოგიხდეს.“

ღამის ადამიანი დაიწყო მოყოლა:

სიმართლე რომ ვთქვა, მეც შენსავით უნივერსიტეტის სტუდენტი ვარ. ყველაფერი სხვაგვარად რომ ყოფილიყო, მეც ალბათ შენსა და სხვა სტუდენტებისნაირი ცხოვრება მექნებოდა, ვინმესთან ვიმეგობრებდი, შემოიყვარებოდა, მერე უნივერსიტეტს დავამთავრებდი, სამსახურს მოვძებნიდი, მაგრამ მე ჩემი ლექტორი შემოიყვარდა.

იგი ორმოცი წლის იყო, ალბათ ხალხი ამბობდა, რომ მან „ბალზაკის ასაკს“ მიაღწია. მე კი ის მიყვარდა, მას განსაკუთრებული, სხვებისთვის შეუმჩნეველი მომხიბვლელობა ჰქონდა. მე ყველაფრს ვაკეთებდი, რომ მისი სიყვარული დამემსახურებინა, და როგორც ჩანს, ჩემსას მივალნიე, მასაც მოვეწონე. ჩვენს შორის უცნაური სიყვარული გაჩაღდა, ასეთზე ამბობენ „როდესაც შენ დაიბადე, მე ჯერ არ ვიყავი, როდესაც მე დავიბადე, შენ უკვე მოხუცი იყავი. ვნანობდით, რომ ჩვენს შორის ასეთი სხვაობა იყო, გვინდოდა რაიმე გამოსავალი გვეპოვა და მდგომარეობა გამოგვესწორებინა და ვიპოვეთ კიდევ - ეს იყო მოჩვენების მიერ სხეულის თხოვება. ეს არის ძველი და უცნაური მეთოდი, თანაც არაბუნებრივი. მაგრამ ჩვენ ეს მაინც ვაკეთეთ. მე ჩემი წლები მას მივეცი, ამგვარად მე ასაკი მომემატა, ის კი უფრო ახალგაზრდა გახდა. უკვე ხომ შეგვეძლო ერთად ყოფნა?

მაგრამ საქმე არც ისე მარტივად ყოფილა, მე როგორც მეგონა. ამ მეთოდის გამოყენება მხოლოდ სულს და მოჩვენებებს შეუძლიათ, ჩემი მასწავლებელი კი ცოცხალი იყო. ამის გამო მან სიცოცხლე დაკარგა და ეს ყველაფერი ჩემი ბრალია.

ღამის ადამიანის ხმაში უსაზღვრო ტკივილი ისმოდა. შუ სიაოსიუე-ს გულში სევდა გაუჩნდა. „რატომ, მე რატომ არ შეიძლება ასეთი სიყვარული შემხვედეს?“

მეშვიდე დღეც როგორც იქნა დადგა.

როდესაც იაო ფეიფეი იმ დაწყვეტილი ადგილიდან დგებოდა, სახეზე განუსაზღვრელი გამომეტყველება ჰქონდა, თვალები ცარიელი. „იაო ფეიფეი, ხომ კარგად ხარ?“ ჰკითხა შეშინებულმა შუ სიაოსიუე-მ. იაო ფეიფეი-მ უცნაური სიცილის ხმა ამოუშვა, შემდეგ კი აუდიტორიის იატაკზე დაეცა. შუ სიაოსიუე-მ იგი საავადმყოფოში გააქანა. ექიმმა გოგონას გასინჯვის შემდეგ თქვა, რომ მისი ორგანოები დაბერებული და დასუსტებულია, რაც მის ასაკს სრულიად არ შეესაბამება. ამგვარი ავადმყოფობის განკურნების საშუალება არ არსებობს. უეცრად პალატის კარი გაიღო და ოთახში სიმპათიური გარეგნობის ახალგაზრდა ყმანვილი შემოვიდა. იგი იაო ფეიფეი-ს საწოლთან მივიდა, თავი დახარა და სევდიანადი ბუტბუტებდა: „ფეიფეი, ფეიფეი დამიბრუნდი, გთხოვ, მიპასუხე...“

გოგონამ გაიცინა: „ლელეი, უკვე მეშვიდე დღეა, იგი მაინც გდომებია ჩემი ნახვა...“ სუსტი ხმით თქვა მან.

„რა შვიდი დღე? რაზე ლაპარაკობ?“ ეკითხებოდა გაოგნებული ლი ლელეი.

„ის შვიდი დღე, ჩვენ რომ დავნიძლავდით“ ახსენებდა მას იაო ფეიფეი.

ლი ლელეი-მ თავი გაიქნა: „იმ დღეს, ჩვენი ჩხუბის შემდეგ ხელმძღვანელთან ერთად ქალაქ გარეთ

ნავედი კვლევის სანარმოებლად. იმ დროს ნაწყენი ვიყავი და ამიტომაც არაფერი არ გითხარი. რომ ჩამოვე-
დი, ასეთ დღეში დამხვდი, მითხარი რა დაგემართა?“

იყო ფეიფეი მღელვარებამ მოიცვა. ესე იგი ყველაფერი, რაც მან ამ შვიდი დღის განმავლობაში გა-
დაიტანა ტყულად იყო? იყო ფეიფეი-ს კრუნჩხვა დაეწყო, პირზე თეთრი ქაფი მოადგა. ექიმი იყო ფეიფეი-ს
მივარდა, ლი ლელიე ოთახიდან გაიყვანეს.

რამდენიმე წუთში პალატიდან ექიმი გამოვიდა. მან თავი გაიქნია, ესე იგი იყო ფეიფეი აღარ არის.

ლი ლელიე-მ თავი ვერ შეიკავა და ხმამაღლა ატირდა. ამ დროს ჟუ სიაოსიუ-ს გამომეტყველება
შეეცვალა, მან უცნაურად ჩაიცინა, ლი ლელიე-სთან მივიდა და თქვა: „შენ იყო ფეიფეი-ს მიმართ სერიო-
ზული გრძნობა არ გქონია. ჩემ წინაშე ცოტა თავშეკავებულად მოიქეცი.“

ლი ლელიე-მ გოგონას სიძულვილით გადახედა: „ჩვენ უკვე დავშორდით ერთმანეთს!“

ჟუ სიაოსიუ-მ ცივად გაიცინა: „ჩვენ, როგორ დავშორდით? მე მგონია ეს შენ შეგიყვარდა იყო ფეიფეი
და მე მიმატოვე. მაგრამ მე არ დავნებდები.“

ლი ლელიე-მ გვერძე გაიხედა: „ჩვენ ერთმანეთს არ ვუხდებით. შენ არანაირი გრძნობები არ გაგაჩნია,
ყოველთვის, როდესაც ფილმებს ვუყურებდით, გეძინა. შენნაირ ცივ, უემოციო ადამიანთან მე ბედნიერი ვერ
ვიქნებოდი!“

ჟუ სიაოსიუ-მ ვერაფერი უპასუხა. დიდი ხანი გავიდა, სანამ მან ისევ ამოიღო ხმა: „მე რატომ მეძინა?
იმიტომ, რომ ყოველ დღე ღამ-ღამობით ვმუშაობდი!“ ეს თქვა და საავადმყოფოდან გავარდა.

ჟუ სიაოსიუ ერთ უკაცრიელ ადგილას მივიდა, მობილური ტელეფონი აიღო და ღამის ადამიანის
ნომერი აკრიფა: „ღამის ადამიანო, გმადლობ. ყველაფერი ისე გავაკეთე, როგორც მასწავლე და ეხლა იყო
ფეიფეი მკვდარია.“ მის ხმაში შურისძიების კმაყოფილება ისმოდა. ყურმილის მეორე ბოლოდან არაფერი არ
ისმოდა, მხოლოდ ცივი სიჩუმე. ჟუ სიაოსიუ იხსენებდა იმას, რაც გააკეთა. ლი ლელიე-ს იყო ფეიფეი-სთან
ჩხუბის მერე, მან ყმანვილი მოძებნა და უთხრა, რომ თუ იგი მას თავის ტელეფონს ათხოვებდა, და ასევე
24 საათით გაქრებოდა, ჟუ სიაოსიუ მას სამუდამოდ დაანებებდა თავს. ამგვარ მოთხოვნაზე ნებისმიერი
ჩვეულებრივი ბიჭი უარს იტყობდა, მაგრამ ლი ლელიე არ იყო ჩვეულებრივი, მას უყვარდა ყველაფერი ახალი
და უჩვეულო. გახარებულმა ბიჭმა შეასრულა ჟუ სიაოსიუ-ს თხოვნა და გადანყვითა ენახა, თუ როგორ
განვითარდებოდა მოვლენები. ჟუ სიაოსიუ-მ ლი ლელიე-ს ტელეფონიდან იყო ფეიფეი-ს გაუგზავნა ის
ცრურწმენასთან დაკავშირებული შეტყობინება, ფეიფეი-ც საგონებელში ჩავარდა.

ახლა იყო ფეიფეი მოკვდა, მაგრამ ჟუ სიაოსიუ და ლი ლელიე მაინც არ არიან ერთად. გოგონამ
იმედგაცრუება იგრძნო.

მინდა რომ მოკვდე.

იმ საღამოს ჟუ სიაოსიუ როგორც ყოველთვის სამსახურში წავიდა. სიჩუმე, სიბნელე და დაღლილობა,
ყველაფერ ამის გამო ჟუ სიაოსიუ-ს საშინლად ეძინებოდა. გოგონა გრძნობდა, რომ უკვე ზღვარს მიაღწია.
როგორც კი ოდნავ მოხუჭავდა თვალებს, მაშინვე მოლანდებები ეწყებოდა. იგი ხედავდა ემმაკურად მოცეკ-
ვავე სახეგაფითრებულ იყო ფეიფეი-ს, რომელიც მზად იყო ნებისმერ წამს სცემოდა ჟუ სიაოსიუ-ს.

„გაიღვიძე, გაიღვიძე!“ მოესმა მას ღამის ადამიანის ხმა. ჟუ სიაოსიუ-ს მაშინვე გულში შიშის გრძნო-
ბით გამოელვია.

„შენ თითქმის გეძინა, მოდი, რაღაცას გკითხავ, იქნებ გამოფხიზლდე.“ - უთხრა მას ღამის ადამიანმა.

„მკითხე“ - გაურკვეველად ჩაიბურტყუნა ჟუ სიაოსიუ-მ

„იცი რატომ დაგეხმარე იყო ფეიფეი-ს თავიდან მოცილებაში?“ ჰკითხა ღამის ადამიანმა

„ალბათ თანამიგრძნობდი“

ღამის ადამიანს გაცინა: „გახსოვს, გითხარი, რომ როდესაც იყო ფეიფეი-ს დღის განმავლობაში ეძინე-
ბოდა, შენ დაძინება არავითარ შემთხვევაში არ შეგეძლო, თუ არა და შენი სულიც გაქრებოდა და სხეულში
მოჩვენება შესახლდებოდა, ხომ ასე იყო?“

ჟუ სიაოსიუ-მ თავი დაუქნია. ღამის ადამიანმა განაგრძო: „მე ასე იმიტომ გითხარი, რომ არც დღის და
არც ღამის განმავლობაში არ გძინებოდა. თუ ადამიანი დიდ ხანს ვერ დაიძინებს, იგი მოკვდება!...იცოდი?“

ჟუ სიაოსიუ-ს გააჟრიალა, მას უნდოდა სწვდომოდა ღამის ადამიანს, მაგრამ ხელში მხოლოდ სიცარი-
ელე შერჩა. უცბათ, მან ქუსლების ბაკაბუკი გაიგონა. ნაბიჯები სულ უფრო ახლოვდებოდა. ჟუ სიაოსიუ-ს
მოეჩვენა, რომ ისინი ზუსტად მის წინ გაჩერდნენ. ჟუ სიაოსიუ-მ აიხედა და მხოლოდ მისი შემყურე მწვანე
თვალები დაინახა. გოგონა შიშისგან წამოხტა, მას გაქცევა უნდოდა, მაგრამ საითკენაც არ შებრუნდებოდა,
ყველგან მწვანე თვალებს ხედავდა. მას გაქცევა უნდოდა, მაგრამ ვერ შეძლო, ვიღაც აკავებდა. ჟუ სიაო-
სიუ-მ იგრძნო, რომ კისერზე გრძელი თმა ბანარით შემოეხვია, გოგონას სუნთქვა შეეკრა.

თვალები, სახე, ხელები, თმა...სხეულის ნაწილები ნელნელა ჩნდებოდა ჟუ სიაოსიუ-ს წინ. სიბნელეში
გოგონამ გაიგონა ქალის ხმა: „რატომ არის ჩემი სხეული დანანვერებული? იმიტომ რომ მისი ყველა ნაწილი
ნასესხებია.“

დაღლილ-დაქანცულმა, დასუსტებულმა ჟუ სიაოსიუ-მ მხოლოდ თავისი გულისცემა იგრძნო. ისევე
როგორც იყო ფეიფეი, ჟუ სიაოსიუ-ს სხეულიც უდროოდ დაბერდა. გოგონა უგონოდ დაეცა მიწაზე, ერთი

ამოისუნთქა და მოკვდა.

შენობის ოცდამესამე სართულზე პირველად აინთო შუქი. ოთხში ორნი იყვნენ - ქალი და კაცი. მაკაცს სახეზე ნილაბი ეკეთა ისე, რომ მისი ამოცნობა შეუძლებელი იყოს. ქალი კი ის გოგონა აღმოჩნდა, რომელიც დერეფანში მოჩვენებასავით დასეირნობდა - ლიაო ნი.

„ამჯერად ორი გოგოს სხეული ვიშოვეთ, მასწავლებელო. ცოტა ხანს უნდა გეყოთ.“ თქვა ლამის ადამიანმა. ლიაო ნი-ს სახეზე სიხარული არ შეეცყო. „მართალია, მაგრამ ერთი წლის მერე კიდევ ორი გოგონას მოკვლა დაგვჭირდება. და ასე დაუსრულებლად, ადამიანებს მოსვენებას არ მივცემთ.“

„არაუშავს,“ გაეცინა ლამის ადამიანს „ნუთუ შენ ჩემი მიმზიდველობის არ გჯერა?“

ლამის ადამიანმა ნილაბი მოიხსნა და ხმის შემცვლელი აპარატიც მოიშორა. ნილბის ქვეშ თურმე ამდენი ხნის განმავლობაში ლი ლელი იმალებოდა. „ჩემი მიმზიდველობის წყალობით ყველგან ვნახავთ ისტ გოგოებს, როგორებიცაა შუ სიაოსიუე და იაო ფეიფეი იყვნენ. დამშვიდდით, მასწავლებელო, თქვენთვის მე ყველაფერს გავაკეთებ.“ გაიცინა ლი ლელი-მ.

„ამ ყველაფერს ჩემთვის რატომ აკეთებ? ნუთუ არ გაინტერესებს სხვა, ახალგაზრდა გოგოები?“ იკითხა ლიაო ნი-მ.

ლი ლელი-მ ჩაიცინა: „შენთან ერთად ცხოვრება ყველაზე საინტერესო, თავგადასავლებით სავსე და სიახლის მომტანია. მე არ მჭირდება ვიარო კინოთეატრებში და სხვების ცხოვრებას ვუყურო, ჩემი ყოველი დღე - კინოფილმია.“

ყიველდღე - საშინელებათა ფილმია.

მთარგმნელი თინათინ ფიჩხაია



გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47
☎ 239-15-22
E-mail: meridiani777@gmail.com